# ემილ ზოლა
# ხაფანგი

## თავი პირველი

ჟერვეზა ღამის ორ საათამდე ელოდებოდა ლანტიეს, მერე მთლად ათრთოლებული იმის გამო, რომ ფანჯარასთან სიცივეში პერანგის ამარა იდგა, გარდიგარდმო დაემხო საწოლზე და ციებიანივით აცახცახებულმა, ცრემლშეუმშრალმა ცოტა ხნით ჩაიძინა. რვა დღე იყო მას აქეთ, რაც ლანტიე, გამოვიდოდნენ თუ არა რესტორან „ორთავიანი ხბოდან“, სადაც ერთად სადილობდნენ, მას ბავშვებთან ერთად დასაძინებლად ისტუმრებდა, ხოლო თვითონ გვიან ღამით ბრუნდებოდა შინ. სამუშაოს ვეძებდიო, ამბობდა. აი, ამ საღამოსაც, ლოდინით გაბეზრებულმა ჟერვეზამ თითქოს დაინახა, რომ ლანტიე საცეკვაო საღამოზე დროს გასატარებლად შევიდა რესტორან „გრანბალკონში“, რომლის ათივე ფანჯრიდან ალისფერი შუქი ეფრქვეოდა ბულვარების ჩაბნელებულ მწკრივს. ჟერვეზამ თითქოს ისიც შენიშნა, რომ ლანტიეს უკან მისდევდა პატარა ადელი, გამპრიალებელი ქალი, რომელიც იმავე რესტორანში სადილობდა, სადაც ესენი. ადელი ხუთი თუ ექვსი ნაბიჯის სიშორეზე მისდევდა ლანტიეს ხელების ქნევით. ეტყობოდა, ის-ის იყო გაეშვა მისთვის ხელი, რათა შესასვლელი კარის ფარნების მკვეთრ შუქზე მასთან ერთად არ გამოჩენილიყო.

დილის ხუთი საათი იქნებოდა, როდესაც ჟერვეზას გამოეღვიძა და მთლად გათოშილსა და დამტვრეულს ქვითინი წასკდა. ლანტიე ჯერ კიდევ არ იყო მოსული. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მან ღამე შინ არ გაათია. ჟერვეზა საწოლის პირას ჩამოჯდა. მაღლიდან ჩამოშვებული, გახუნებული ჩითის ნაგლეჯის ქვეშ, რომელიც ყაითანზე მიბმული ისრით დაემაგრებინათ ჭერზე. მძიმედ მოავლო ცრემლით დაბინდული თვალი სასტუმროს ღარიბულ ოთახს. ამ ოთახის მოწყობილობას შეადგენდა: კაკლის ხის კამოდი, რომელსაც ერთი უჯრა აკლდა, სამი სელის სკამი და ერთი პატარა ძველი მაგიდა, რომელზედაც პირმოტეხილი წყლის დოქი ეგდო. კამოდის წინ იდგა ბავშვებისთვის დამატებით დადგმული რკინის საწოლი, რომელსაც ოთახის სამი მეოთხედი ეჭირა. კუთხეში ჟერვეზას და ლანტიეს თითქმის ცარიელ ჩემოდანს დაეღო პირი. მის ძირში ჭუჭყიან პერანგებსა და წინდებშუა მამაკაცის ძველი ქუდი იყო ჩატენილი; კედლების გასწვრივ, სკამების საზურგეზე ჩამოეკიდათ მთლად დაცხავებული შალი და ჭუჭყისგან შეჭმული შარვალი, – უკანასკნელი ძონძები, რომლებიც ძველმანებით მოვაჭრეებსაც აღარ მიჰქონდათ. ბუხრის თავზე, ორი დაშორიშორებული თუთიის შანდლის შუა, ლომბარდის ქვითრების მოვარდისფრო დასტა იდო. ასე გამოიყურებოდა ამ სასტუმროს საუკეთესო ოთახი პირველ სართულზე, რომელიც ბულვარზე გადიოდა.

ბავშვებს ერთიმეორის გვერდით ერთ ბალიშზე დაედოთ თავი და ეძინათ. რვა წლის კლოდს საბნის გარეთ ამოეყო პაწია ხელები და მშვიდად სუნთქავდა, ხოლო ოთხი წლის ეტიენს ძმისთვის კისერზე შემოეხვია ცალი ხელი და ძილში იღიმებოდა. დედამ ცრემლით სავსე თვალი შეაჩერა შვილებზე და კვლავ აქვითინდა. პირში ცხვირსახოცი ჩაიჩარა, ტირილის ხმა რომ ჩაეხშო. მერე ფეხშიშველი, ისე, რომ ფეხიდან დაცვივნული ძველი ფრატების ჩაცმა არც უფიქრია, კვლავ სარკმელს მიუბრუნდა, ზედ გადაეყუდა და წუხანდელივით ლოდინი განაგრძო, თან შორეულ ქვაფენილებს ათვალიერებდა.

სასტუმრო ლაშაპელის ბულვარზე იყო, პუასონიერის სადარაჯოს მარცხნივ. ეს იყო ორსართულიანი ქოხმახი, მეორე სართულამდე ღვინის მოწითალო ნალექისფრად შეღებილი, წვიმისგან დამპალი და დაცხავებული დარაბებით. შუშებგაბზარული ფარნის ზემოთ, ორი ფანჯრის შუა დიდი ყვითელი, ზოგან სინესტისგან ჩამონგრეული ასოებით გაკეთებული წარწერის გარჩევა შეიძლებოდა: „სასტუმრო „კაიგული“, სასტუმროს პატრონი მარსულიე“. ჟერვეზა ტუჩებზე ხელსახოცმიკრული ფეხის თითებზე დგებოდა, რადგან ფარანი ცქერას უშლიდა. იყურებოდა მარჯვნივ, ბულვარ როშეშუარის მხარეს, სადაც სასაკლაოს წინ ჯგუფად იდგნენ ყასბები სისხლიანი წინსაფრებით, ხოლო გრილ ნიავს დროდადრო სიმყრალისა და დაკლული პირუტყვის ოხშივრის სუნი მოჰქონდა. ჟერვეზა იყურებოდა მარცხნივაც, ქუჩის გრძელ ზოლს აყოლებდა თვალს და თითქმის თავის პირდაპირ მიაჩერდებოდა ლარიბუაზერის საავადმყოფოს თეთრ შენობას, რომელიც იმ ხანებში შენდებოდა. ჟერვეზა ჰორიზონტის ერთი კიდიდან მეორემდე ნელა, მძიმედ აყოლებდა თვალს საბაჟოს კედელს, რომლის იქითაც ზოგჯერ ღამღამობით საზარელი კივილი ისმოდა. შეჰყურებდა ქუჩის შორეულ შესახვევებს, ჭუჭყისა და სინესტისგან ჩაშავებულ ბნელ კუთხეებს და შიშობდა, იქ დანით მუცელდასერილი ლანტიეს გვამი არ დაენახა. როდესაც უდაბნოს ზოლივით ქალაქის ირგვლივ გარშემორტყმულ კედლის გადაღმა მიაპყრობდა თვალს, იქ ხედავდა მზისგან უხვად ნაფრქვევ შუქს, რომელიც უკვე პარიზის დილის ხმაურით ავსებულიყო. ამის შემდეგ ჟერვეზა აუცილებლად ისევ პუასონიერის სადარაჯოს უბრუნდებოდა და კისერწაწვდენილი მისჩერებოდა საბაჟოს ორ ულაზათო პავილიონს, რომელთა შორის მონმარტრისა და ლაშაპელის მაღლობებიდან წამოსული ხალხის, პირუტყვისა და პატარა ფორნების ნაკადი მოედინებოდა. ლანტიეს თავბრუ ეხვეოდა. მიბაკუნებდნენ ჯოგები, უეცრად შეჩერებული ბრბო შარაზე ტბორდებოდა, მუშები ზურგზე აკიდებული სამუშაო ხელსაწყოთი და იღლიაში ამოდებული პურებით უწყვეტ ნაკადად მიედინებოდნენ სამუშაოზე. ეს ახმაურებული ბრბო განუწყვეტლივ ისწრაფოდა პარიზისკენ და იქ ინთქმებოდა. როცა ჟერვეზას ეგონა, თითქოს ამ ბრბოში ლანტიეს მოვკარი თვალიო, ისე დაბლა იხრებოდა ფანჯრიდან, ლამის გადავარდნილიყო, მაგრამ მერე უფრო მაგრად მიიჭერდა ცხვირსახოცს ტუჩებთან, თითქოს ამით სურდა თავისი ტანჯვა ჩაეხშო.

ახალგაზრდა და მხიარულმა ხმამ ჩამოაშორა იგი ფანჯარას: – ოჯახის უფროსი ჯერ არ დაბრუნებულა, მადამ ლანტიე?

– ჯერ არა, მუსიე კუპო, – მიუგო ჟერვეზამ და გაღიმება სცადა.

ეს კაცი მესახურავე იყო. ერთი ათფრანკიანი ოთახი ეჭირა სასტუმროში, სულ მაღლა სართულზე. მესახურავეს მხარზე ტომარა გადაეკიდა. მან კარში გასაღები დაინახა და ამიტომ შემოვიდა ასე შინაურულად.

– თქვენ იცით, რომ მე, – განაგრძო ლაპარაკი მესახურავემ, – აგერ, იქ, საავადმყოფოში ვმუშაობ... ჰე-ჰეი! რა კარგი მაისია! ამ დილით ეს განსაკუთრებით იგრძნობა!

შეხედა ცრემლისგან დაწითლებულ ჟერვეზას სახეს და, როცა ხელუხლებელი ლოგინიც შენიშნა, ოდნავ გაიქნია თავი. მერე ბავშვების საწოლთან მივიდა. ანგელოზივით ვარდისფერლოყებიან პატარებს კვლავ ეძინათ. კუპომ ხმადაბლა წარმოთქვა: – ერიჰა! გგონიათ, ოჯახის მამა ჭკვიანურად ვერ იქცევა, არა, მადამ ლანტიე? ამაზე ნუ დაღონდებით. იგი ძალზე გართულია პოლიტიკით. ამას წინათ, ლანტიე გიჟივით იყო, აი, იმ დღეს, როცა ეჟენ სიუს ირჩევდნენ, მასზე ხომ ამბობენ, კარგი ვინმეაო. ახლაც, შეიძლება მეგობრებთან ერთად ამ სალახანა ბონაპარტის ლანძღვაში გაათენა ღამე!

– არა, არა, – ძლივს ამოილუღლუღა ჟერვეზამ, – საქმე ისე არ არის, როგორც თქვენ გგონიათ. მე ვიცი, სადაც იქნება ლანტიე... ჩვენც ჩვენი დარდი გვაქვს, როგორც ყველას, ღმერთო ჩემო!

კუპომ თვალი ჩაუკრა, ვითომ მაგ ტყუილით ვერ გამასულელებთო. ვიდრე ოთახიდან გავიდოდა, დახმარება შესთავაზა ჟერვეზას, შინიდან გასვლა თუ არ გინდათ, რძეს მე მოგიტანთო. მადამ ლანტიე ლამაზი და ყოჩაღი ქალია და გაჭირვების ჟამს შეუძლია ჩემი იმედი იქონიოსო.

გავიდა თუ არა კუპო, ჟერვეზა კვლავ სარკმელს დაუბრუნდა.

ქალაქის კარიბჭესთან სუსხიან დილით ისევ ბრბოს ფეხის ბაკაბუკის ხმა ისმოდა. ზეინკლებს ლურჯი ბლუზებით გამოარჩევდით, კალატოზებს – თეთრი ხალათებით, მღებავებს – პიჯაკებით, რომელთა ქვეშ გრძელი ბლუზები მოუჩანდათ. შორიდან ამ ბრბოს მკრთალი ელფერი დაჰკრავდა, გახუნებული ფერი, რომელშიც მღვრიე ცისფერი და ჭუჭყიანი ნაცრისფერი ჭარბობდა. დროდადრო რომელიმე მუშა ჩიბუხის მოსაკიდებლად შეჩერდებოდა, ხოლო დანარჩენები კვლავ წინ მიდიოდნენ. არც სიცილი, არც ერთმანეთთან გამოლაპარაკება, ღაწვებზე მიწისფერი ედოთ, სევდიანი თვალებით გაჰყურებდნენ პარიზს, რომელიც ფობურ-პუასონიერის ქუჩის დაღებული ხახით ყლაპავდა მათ სათითაოდ. პუასონიერის ქუჩის ორივე კუთხეში ორი სამიკიტნოს დარაბები უკვე გამოეღოთ. სამიკიტნოების კარებთან მამაკაცები ნაბიჯს ანელებდნენ. დუქანში შესვლამდე ქუჩის პირას ჩერდებოდნენ და ალმაცერად

გახედავდნენ პარიზს. ხელები უდუნდებოდათ, სამუშაო დღის გაცდენის სურვილი ერეოდათ. დახლის წინ ჯგუფ-ჯგუფად ჩერდებოდნენ და სასმელს შეექცეოდნენ; თავდავიწყებას ეძლეოდნენ; დუქანს ავსებდნენ, იფურთხებოდნენ, ახველებდნენ და პატარ-პატარა ჭიქების გადაკვრით ისველებდნენ ყელს.

ჟერვეზა ქუჩის მარცხენა ნაპირზე უთვალთვალებდა ბიძია კოლომბის სამიკიტნოს. მოეჩვენა, თითქოს იქ დაინახა ლანტიე. ამ დროს ერთმა ზორბა და თავშიშველმა, წინსაფრიანმა დედაკაცმა დაუძახა შუა ქუჩიდან.

– ერთი ამას უყურეთ! მადამ ლანტიე, რა დილაადრიან წამომდგარხართ!

ჟერვეზა სარკმლიდან გადაიხარა.

– ვაი! ეს თქვენ ხართ, მადამ ბოშ!.. – ოჰ! იმდენი საქმე მაქვს დღეს, რომ!

– დიახაც, აბა რა?.. თავისთავად რა კეთდება?..

და გაიბა საუბარი ქვაფენილსა და ფანჯრის შუა. მადამ ბოში კარისქალი იყო იმ სახლისა, რომლის პირველი სართულიც რესტორან „ორთავიან ხბოს“ ეჭირა. ჟერვეზა ხშირად უცდიდა ხოლმე მის ბინაზე ლანტიეს, მარტო რომ არ მისჯდომოდა მაგიდას, იმ მამაკაცების გვერდით, რომლებიც იქ სადილობდნენ. მეკარე ქალმა უთხრა, მე აქვე ახლოს მივდივარ, შარბონიერის ქუჩაზე, მინდა დილით ლოგინშივე მივუსწრო ერთ მოხელეს, რომლისგანაც ჩემმა ქმარმა სერთუკის დაკერების გასამრჯელო ვერაფრით ვერ მიიღოო. ამის შემდეგ მადამ ბოში ერთი თავისი მობინადრე მამაკაცის ამბავსაც მოუყვა: წინადღით ვიღაც ქალთან ერთად დაბრუნდა შინ და ღამის სამ საათამდე მოსვენება არავის მისცაო. მადამ ბოში ყბედობდა და თან ცხარე ცნობისმოყვარეობით სავსე თვალით აკვირდებოდა ახალგაზრდა ქალს; ეტყობოდა, ამიტომ მოსულიყო და ფანჯრის ქვეშაც მხოლოდ ამიტომ გაჩერდა, რომ რამე შეეტყო.

– მუსიე ლანტიეს ჯერ კიდევ სძინავს? – უეცრად იკითხა მან.

– დიახ, სძინავს, – მიუგო ჟერვეზამ და უნებლიეთ გაწითლდა.

მადამ ბოშმა შენიშნა, რომ ახალგაზრდა ქალს თვალზე ცრემლი მოადგა. ამით ცხადად დაკმაყოფილებული მადამ ბოში წავიდა. გზადაგზა მამაკაცებს ლანძღავდა, – უსაქმურ არამზადებს უწოდებდა. მერე ისევ უკან მობრუნდა და ჟერვეზას შესძახა: – ამ დილით ხომ მოხვალთ სამრეცხაოში?.. მეც მაქვს რაღაცები დასარეცხი, ჩემ გვერდით შეგინახავთ ადგილს და იქ ვიმუსაიფოთ.

მერე მეკარე ქალი თითქოს უეცარმა სიბრალულმა შეიპყრო: – ჩემო საცოდავო პატარა ქალო, ძალიან კარგს იზამთ, თუ მაგ ფანჯარას მოშორდებით, ავად გახდებით... მთლად გალურჯებული ხართ.

გაკერპებული ჟერვეზა მაინც განაგრძობდა ფანჯარასთან დგომას; ორი მომაკვდინებელი საათი გაატარა ასე, დილის რვა საათამდე. მერე დუქნებიც გაიღო,

მაღლობებიდან წამოსული ნაკადიც შეწყდა. მხოლოდ რამდენიმე დაგვიანებული კაცი გადადიოდა აჩქარებული ნაბიჯით საგუშაგოზე. სამიკიტნოებში იგივე მუშები იდგნენ და განაგრძობდნენ სმას, ხველასა და ფურთხებას. მუშა მამაკაცებს მუშა ქალებიც მიჰყვნენ. მკერავი, მეყვავილე ქალები საცოდავ კაბებში გამოხვეულები მიძუნძულებდნენ გარე ბულვარებზე; ჯგუფ-ჯგუფად, სამ-სამი და ოთხ-ოთხი ერთად მიდიოდნენ გაცხოველებული მუსაიფით და მსუბუქი სიცილით, თან აქეთ-იქით აცეცებდნენ გაბრწყინებულ თვალებს. დროდადრო გამოჩნდებოდა თითო-ოროლა განმარტოებით მომავალი ქალი, გამხდარი, გაფითრებული, სერიოზული სახით რომ მიუყვებოდა საბაჟოს კედელს და ტალახის გუბეს თავს არიდებდა. შემდეგ გაიარეს მოსამსახურეებმა, რომლებიც ხელის თითებს იორთქლავდნენ და გზადაგზა ხუთსანტიმიან პურს შეექცეოდნენ; ესენი იყვნენ შეფენთხილი ახალგაზრდა მამაკაცები, ძალიან მოკლე სამოსში, მორღვეული და ნამძინარევი, ლიბრგადაკრული თვალებით. მოგოგავდნენ კანცელარიებში გატარებული დღეებით გაცვეთილი პაწაწუნა მოხუცებიც, გაფითრებული სახეებით, თან საათებს დაჰყურებდნენ, რათა ისე გამოეზომათ თავიანთი ნაბიჯი, რომ წუთი არ გაეცდინათ. მალე ბულვარებმა ჩვეულებრივი დილის მშვიდობიანი სახე მიიღო; უბნის რანტიეები[1] გამოვიდნენ მზეზე გასათბობად; თავშიშველა დედები ჭუჭყიან კაბებში მკლავზე არწევდნენ ჩვრებში გამოკრულ ბავშვებს და იქვე სკამებზე უცვლიდნენ საფენებს. წრიპინის, სიცილისა და ტირილის ხმაურში ერთმანეთს ეხლებოდა ცხვირმოუხოცავი, ჭუჭყიანი ბავშვების ხროვა, მიწაზე გორაობდნენ და კოტრიალებდნენ. ჟერვეზამ იგრძნო, რომ სული ეხუთებოდა, სიმწრისგან თავბრუ ესხმოდა, უკიდურეს სასოწარკვეთას მოეცვა. ეგონა, ყველაფერი გათავდა, დროც გაჩერდა და ლანტიეც არასოდეს დაბრუნდებოდა. სისხლისა და სიმყრალისგან ჩაშავებული ძველი სასაკლაოდან ის გაოგნებული ავლებდა თვალს საავადმყოფოს ახალ, მოთეთრო შენობას, რომლის ჯერ კიდევ შუშაჩაუსმელ ფანჯრებში მოჩანდა ცარიელი დარბაზები, სადაც სიკვდილი თავის სამკალს ელოდა... ხოლო პირდაპირ, საბაჟოს კედლის იქით, ცა კაშკაშებდა და უზარმაზარი, ახალგამოღვიძებული პარიზის თავზე ამოდიოდა მზე, რომელიც თანდათან იზრდებოდა და თვალს სჭრიდა ჟერვეზას.

სკამზე ჩამომჯდარ ახალგაზრდა ქალს ხელები ჩამოეშვა და აღარ ტიროდა, როდესაც წყნარად შემოვიდა ლანტიე.

– ეს შენ ხარ! შენ ხარ! – წამოიყვირა ქალმა. მზად იყო კისერზე მოხვეოდა ქმარს.

– დიახ, ეს მე ვარ, მერე? – მიუგო მამაკაცმა, – იმედია, ახლა, შენებურ სისულელეებს მოჰყვები!

მან ხელით მოიშორა ქალი. მერე შავი ფეტრის ქუდი გაჯავრებით გადაისროლა კამოდზე. ეს იყო ოცდაექვსი წლის ყმაწვილი კაცი, მომცრო ტანის, ძალიან შავგვრემანი, ლამაზი სახის, პაწია ულვაშებით, რომლებსაც მუდამ ხელის მაშინალური მოძრაობით იგრეხდა. მუშის შარვალი და წელში გამოყვანილი ძველი,

დალაქავებული სერთუკი ეცვა. ლაპარაკის დროს ძალიან ემჩნეოდა პროვანსული კილო.

ჟერვეზა კვლავ სკამზე დაეშვა და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებით, წყნარი ხმით წუწუნებდა: – თვალი არ მომიხუჭავს... არ შემეძლო... მე მეგონა, შენ რაღაც უბედურება შეგემთხვა... სად წახვედი?... სად გაატარე ღამე? ღმერთო ჩემო! ეს აღარ გაიმეორო, თორემ გავგიჟდები... თქვი, ოგიუსტ, სად წახვედი?

– სადაც მესაქმებოდა, დასწყევლის ეშმაკი! – მხრების აჩეჩით უპასუხა ლანტიემ, – რვა საათზე გლასიერში ვიყავი, იმ ამხანაგთან, რომელიც ქუდების ფაბრიკის გამართვას აპირებს. იქ შემაგვიანდა. ჰოდა, იქ ვარჩიე დაძინება... ესეც არ იყოს, შენ ხომ იცი, რომ არ მიყვარს, როცა თვალყურს მადევნებენ. მომასვენე!

ახალგაზრდა ქალი ისევ აქვითინდა. ლანტიეს ყვირილმა, უხეშმა მოძრაობამ და სკამების მიხლა-მოხლამ ბავშვები გამოაღვიძა; ნახევრად შიშვლები წამოდგნენ თავიანთ საწოლზე და პატარა ხელებით თმის გასწორება დაიწყეს. დედის ტირილი რომ შემოესმათ, საშინელი ყვირილი ატეხეს და ოდნავ გახელილი, ნამძინარევი თვალებიდან ცრემლები ღაპაღუპით წამოსცვივდათ.

– აი, დაიწყო მუსიკა! – გაცოფებით წამოიყვირა ლანტიემ, – მე თქვენ გაფრთხილებთ, რომ წავალ აქედან... ამჯერად უკვე სამუდამოდ წავალ... არ გაიკმენდთ ხმასა? კარგად იყავით! ვბრუნდები იქ, საიდანაც მოვედი.

კამოდიდან ქუდი აიღო, მაგრამ ჟერვეზამ მიაშურა ლუღლუღით: – არა! არა!

ჟერვეზა ცდილობდა ალერსით ჩაეჩუმებინა მტირალი ბავშვები, თმას უკოცნიდა მათ და ალერსიანი სიტყვებით ლამობდა ხელახლა ლოგინზე დაეწვინა. პატარები ხელად დამშვიდდნენ, ბალიშზე დადეს თავი, სიცილი დაიწყეს და ერთმანეთის ჩქმეტაში გაერთნენ, ხოლო მათ მამას ფეხსაცმელიც არ გაუხდია, ისე მიეგდო საწოლზე ქანცმილეული, თეთრად გათენებული ღამისგან მოთენთილი და ფერმიხდილი. მას არ დაუძინია, ფართოდ გახელილ თვალს ავლებდა ოთახს.

– რა სისუფთავეა აქ! – წაიბუტბუტა მან.

მერე წამით შეხედა ჟერვეზას და ბოროტად დასძინა: – შენ, მგონი, პირსაც აღარ იბან?

ჟერვეზა სულ ოცდაორი წლისა იქნებოდა. მაღალი ტანისა იყო, ცოტა გამხდარი, მისი ნატიფი პირისახე მძიმე ცხოვრებას უკვე მოეთელა; დაუვარცხნელი, სიცივისგან კანკალებდა თეთრ, გამტვრიანებულ და გაქონილ კაბაში. მწუხარებასა და ცრემლში გატარებულ ღამეს თითქოს ათი წლით დაებერებინა. ლანტიეს სიტყვებმა შიშისა და მორჩილების მდგომარეობდან გამოიყვანა.

– მართალი არა ხარ, – გაცხარებით წარმოთქვა მან, – კარგად იცი, ყველაფერს ვაკეთებ, რაც შემიძლია. ეს ჩემი ბრალი არ არის, აქამდე რომ მოვედით... მე შენ გნახავდი, რას

იზამდი ორი ბავშვით, ერთ ოთახში, სადაც ღუმელიც კი არ არის, წყალი რომ გაათბო... პარიზში რომ ჩამოვედით, იმის მაგივრად რომ ფული გეხარჯა, არ აჯობებდა ჯერ მოვწყობილიყავით, როგორც შენ დამპირდი?!

– ერთი ამას უყურეთ! – შეჰყვირა ლანტიემ, – შენ ჩემთან ერთად არ შესანსლე მთელი დოვლათი?! განა სამდურავი გეთქმის ამაზე?!

მაგრამ ჟერვეზა თითქოს ყურს არ უგდებდა და განაგრძობდა: – ბოლოს და ბოლოს, მონდომებით ახლაც შეიძლება თავის დაღწევა... გუშინ მადამ ფოკონიე ვნახე, მრეცხავი ქალი „ახალი ქუჩიდან“. ორშაბათიდან მივყავარ. შენც რომ მოაგვარებდე საქმეს იმ მეგობართან გლასიერში, ექვს თვეში ზევით ამოვტივტივდებოდით, ტანთ ჩავიცვამდით, ერთ პატარა სოროსაც ვიქირავებდით და გვექნებოდა ჩვენი კუთხე... ოხ! შრომაა საჭირო, შრომა...

ლანტიე კედლისკენ მიბრუნდა მოწყენილი სახით. ახლა კი ჟერვეზა გაბრაზდა.

– დიახ, ვიცით, ვიცით, რომ შრომის სიყვარულით არ კვდები. ლამისაა პატივმოყვარეობისგან გასკდე, გინდა ბატონკაცურად იყო ჩაცმული და აბრეშუმის კაბებში გამოწყობილ ქუჩის ქალებთან სეირნობდე. არა, განა? მე აღარ მოგწონვარ მას შემდეგ, რაც ყველა ჩემი კაბა ლომბარდში დამაგირავებინე... იცი რა, ოგიუსტ, მე ვიცი, სადაც გაატარე ღამე! დაგინახე „გრანბალკონში“ რომ შეხვედი იმ შარახვეტია ადელთან ერთად! ახ! კარგი არჩევა კი გცოდნია! ის ხომ ძალიან სუფთა ვინმე ბრძანდება! სამართლიანად შეუძლია პრინცესასავით ეჭიროს თავი... მთელ რესტორანთან იწვა...

ლანტიე ერთი ნახტომით წამოვარდა ლოგინიდან, თვალები მელანივით გაუმუქდა გაფითრებულ სახეზე. ამ პატარა კაცის რისხვა შემზარავი იყო.

– დიახ, დიახ, მთელ რესტორანთან! – იმეორებდა ახალგაზრდა ქალი, – მადამ ბოში გაგდებას უპირებს მასაც და მის გაბახებულ, აყლაყუდა დასაც, რადგან მაგათ გამო მამაკაცების მთელი კუდებია ხოლმე კიბეზე.

ლანტიემ ორივე მუშტი ასწია, მაგრამ უმალვე დასძლია ჟერვეზას ცემის სურვილი, მხოლოდ ხელები მოუჭირა მაგრად, შეანჯღრია და ბავშვების ლოგინზე დაანარცხა. პატარებმა ხელახლა მორთეს ტირილი. ლანტიე კვლავ ლოგინზე წამოწვა და გაასპიტებული სახით, როგორც ადამიანმა, რომელმაც საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო, ახლა უკვე უყოყმანოდ წაიბურტყუნა: – შენ არ იცი, რა ჩაიდინე, ჟერვეზა!.. შენ მერე ნახავ, რა შეცდომაც დაუშვი.

წუთის განმავლობაში ბავშვები ზლუქუნებდნენ, ხოლო მათი დედა მოკუნტული მიმჯდარიყო საწოლთან, ორივე ერთად ჩაეხვია მკლავებში და ერთფეროვანი ხმით ერთი ოცჯერ მაინც გაიმეორა შემდეგი ფრაზა: – ახ! ნეტავ თქვენ არ ყოფილიყავით აქ,

ჩემო საბრალო პატარებო!.. ნეტავ თქვენ არ ყოფილიყავით... თქვენ არ ყოფილიყავით!..

ლანტიე მშვიდად გაშოტილიყო ლოგინზე, თვალები მაღლა მიეპყრო ჩითის ნაგლეჯისთვის, ქალს ყურს აღარ უგდებდა და ერთ აკვიატებულ ფიქრს ჩაღრმავებოდა. ის თითქმის ერთ საათს დარჩა ასე, ძილს ებრძოდა, თუმცა ქუთუთოები დამძიმებული ჰქონდა დაღლილობისგან. ხოლო როდესაც იდაყვზე დაყრდნობილმა პირი აქეთ მოიბრუნა, მკაცრ სახეზე მტკიცე გადაწყვეტილება აღბეჭდოდა. ჟერვეზა ამ დროს ოთახის დალაგებას ამთავრებდა. ბავშვები წამოაყენა, ტანთ ჩააცვა და მათი ლოგინის გასწორება დაიწყო. ლანტიე უყურებდა ჟერვეზას, როცა იგი ოთახს გვიდა და ავეჯზე მტვერს წმენდდა, მაგრამ ოთახი ისევ შავი და უბადრუკი იყო გაჭვარტლული ჭერით, სინესტისგან ამძვრალი შპალერით, სამი სკამით და დანჯღრეული კამოდით, რომელსაც ჭუჭყი ისე ჩაჰკვდომოდა, რომ მტვრის საწმენდი ტილოს ქვეშ უფრო მეტად იგლისებოდა. სანამ ჟერვეზა ფანჯრის საკეტზე ჩამოკიდებულ პატარა, მრგვალი სარკის წინ, რომელსაც ლანტიე წვერის პარსვის დროს ხმარობდა, თმას ივარცხნიდა და პირის დაბანას შეუდგა, ლანტიე თითქოს სინჯავდა მის შიშველ მკლავებს, შიშველ კისერს და ყოველივე სიშიშვლეს, რაც მის თვალს ხვდებოდა და თითქოს გონებაში შედარებას ახდენდა. მერე უკმაყოფილოდ მოღრიცა ტუჩები. ჟერვეზა მარჯვენა ფეხით კოჭლი იყო, მაგრამ ეს სრულებით არ ემჩნეოდა მას. თუ ძალიან არ დაიღლებოდა და არ მოეშვებოდა დაქანცულობისგან. ამ დილით კი ღამენატეხი ძლივს დაათრევდა ფეხს, – კედელზე დასაყრდენს ეძებდა.

დუმილი გამეფდა, ხმა არ გაუციათ ერთმანეთისთვის. კაცი თითქოს ელოდებოდა. ქალი კი გულში ნაღველს იკლავდა, ცდილობდა, გულგრილი სახე მიეღო და ჩქარობდა. როდესაც ჟერვეზა ჩემოდნის უკან კუთხეში მიყრილი ჭუჭყიანი სარეცხის ბოხჩის შეკვრას შეუდგა, ლანტიემ ძლივს გააღო პირი და შეეკითხა: – რას აკეთებ?.. სად მიდიხარ?..

ქალმა ჯერ არ უპასუხა, მაგრამ როდესაც ლანტიემ გააფთრებით გაუმეორა შეკითხვა, ჟერვეზამ გადაწყვიტა ეპასუხა.

– მგონი კარგად ხედავ... მინდა ყველაფერი ეს დავრეცხო... სანაგვეში ხომ არ უნდა იცხოვრონ ბავშვებმა!

ლანტიემ ორი თუ სამი ცხვირსახოცის აღება დააცალა, მერე კი ხელახლა ჩამოვარდნილი სიჩუმე დაარღვია: – ფული გაქვს?

ჟერვეზა უეცრად წელში გასწორდა, ბავშვების ჭუჭყიანი პერანგები ხელში შერჩა და ლანტიეს პირდაპირ სახეში შეხედა.

– ფული? შენ იქნებ გინდა, რომ ვიქურდო? ძალიან კარგად იცი, რომ გუშინწინ სამი ფრანკი მქონდა ჩემს შავ კაბაში მიღებული. მას შემდეგ ორჯერ ვისაუზმეთ, ჭამაში

ფული მალე იხარჯება... არა, რა თქმა უნდა, ფული არა მაქვს! ოთხი სუ მაქვს სამრეცხაოსთვის... მე ფულს ისე არ ვშოულობ, როგორც ზოგიერთი ქალი!

ლანტიემ ყური არ ათხოვა გადაკვრით ნათქვამ სიტყვებს. ლოგინიდან წამოდგა და ოთახის ყველა კუთხეში დაკიდებულ ძონძებს თვალიერება დაუწყო. ბოლოს შარვალი და შალი ჩამოიღო, კამოდიც გამოაღო, იქიდან კიდევ ერთი ბოლოკაბა და ქალის ორი პერანგი მიუმატა და მერე ყველა ერთად ჟერვეზას მკლავზე გადაუგდო.

– წადი, დააგირავე!

– შენ ხომ არ გინდა ბავშვებიც იქ წავიყვანო? ეეჰ! ბავშვების დაგირავება რომ შეიძლებოდეს, კაი სულის მოთქმა იქნებოდა, ოღონდაც!

მაგრამ ჟერვეზა მაინც წავიდა ლომბარდში. ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდა და ერთი ხუთფრანკიანი დადო ბუხრის თავზე, ხოლო ქვითარი დანარჩენ ქვითრებს მიუმატა ორ შანდალს შუა.

– აი, რა მომცეს, – წარმოთქვა მან, – მე ექვსი ფრანკი მინდოდა, მაგრამ არასგზით არ მოხერხდა. ოხ! ისინი არ გაკოტრდებიან... იქ ყოველთვის ბლომად არის ხალხი.

ლანტიემ ხუთფრანკიანს იმავ წუთს არ მოჰკიდა ხელი. უნდოდა ჟერვეზას დაეხურდავებინა, რათა მისთვისაც დაეტოვებინა ცოტაოდენი. მაგრამ მერე გაბედულად ჩააცურა ხუთფრანკიანი თავისი ჟილეტის ჯიბეში, როდესაც კამოდზე ქაღალდში გახვეული ლორის ნარჩენები და ერთი ნატეხი პური დაინახა.

– მერძევე ქალთან ვეღარ მივედი, რადგან მისი მთელი კვირისა გვმართებს, – უხსნიდა ჟერვეზა, – მე მალე დავბრუნდები. ჩემს მოსვლამდე შენ ჩადი, პური და კატლეტები იყიდე და ვისაუზმოთ... ერთი ბოთლი ღვინოც ამოიტანე.

ლანტიეს უარი არ უთქვამს. თითქოს მშვიდობა დამყარდა. ახალგაზრდა ქალი ჭუჭყიანი სარეცხს კრავდა და, როდესაც ჩემოდნის ძირიდან ლანტიეს პერანგებისა და წინდების ამოლაგება მოინდომა, ლანტიემ შეჰყვირა: – მაგეებს თავი დაანებე! ჩემს საცვალს თავი დანებე, გესმის! მე არ მსურს!..

– რა არ გსურს? – შეეკითხა ფეხზე წამომდგარი ქალი, – ამ ჭუჭყის ტარებას ხომ არ აპირებ? გარეცხვა ხომ სჭირდება?

ჟერვეზა შეშფოთებული აკვირდებოდა ლანტიეს და ამ ლამაზი ბიჭის სახეზე კვლავ დაუნდობელ სიმკაცრეს ხედავდა, თითქოს ამიერიდან მას ვერაფერი მოარჯულებდა. ლანტიე გაბრაზდა, ხელიდან გამოჰგლიჯა ცოლს თავისი საცვლები და ისევ ჩემოდანში ჩაყარა.

– ღვთის რისხვა! ერთხელ მაინც დამემორჩილე, როცა გეუბნები, არ მინდა-მეთქი!

– მერე რატომ? – შეეკითხა გაფითრებული ჟერვეზა, რომელსაც საშინელმა ეჭვმა გაურბინა თავში, – ახლა ხომ არ გჭირდება შენი პერანგები, ხომ არსად მიდიხარ?.. რა მოგივა ამით, რომ წავიღო?

ლანტიე წუთით შეყოყმანდა, შეშფოთდა, როდესაც ქალმა ანთებული თვალები მიაშტერა.

– რატომ? რატომ?.. – ლუღლუღებდა ის, – ეშმაკმა უწყის! შენ ყველგან იტყვი, რომ მე მინახავ, მირეცხავ, მიკერებ, ჰოდა! მომწყინდა ეს! შენ შენს საქმეს მოუარე, მე კიდევ ჩემსას მოვუვლი... მრეცხავი ქალები ძაღლებისთვის არ მუშაობენ.

ჟერვეზა ემუდარებოდა, თავს იმართლებდა, რომ არასოდეს დაუჩივლია, მაგრამ ლანტიემ ტლანქად დახურა ჩემოდანი, ზედ ჩამოჯდა და ქალს პირში მიახალა: – რაც ჩემია, ჩემთვის იყოს, ვარ თუ არა პატრონი?!

შემდეგ, ჟერვეზას დაჟინებული ცქერისთვის რომ თავი აერიდებინა, ისევ ლოგინზე გაიშოტა და უთხრა, მეძინება, თავს ნუ მიხეთქავო. ამ ჯერზე მას თითქოს მართლა დაეძინა.

წუთით ჟერვეზა შეყოყმანდა. კინაღამ სულმა წასძლია, ფეხი წაეკრა საცვლების ბოხჩისთვის, დამჯდარიყო და კემსვას შესდგომოდა, მაგრამ ბოლოს ლანტიეს ზომიერმა სუნთქვამ დაამშვიდა, აიღო ლილა, რეცხვისგან დარჩენილი საპნის ნაჭერი, მიუახლოვდა ბავშვებს, რომლებიც ფანჯრის წინ, ძველი ბოთლის საცობებით თამაშობდნენ, გადაკოცნა ისინი და ხმადაბლა უთხრა: – აბა, ჭკვიანად იყავით, არ იხმაუროთ. მამას სძინავს.

როდესაც ჟერვეზამ ოთახი დატოვა, იქ სიწყნარემ დაისადგურა, მხოლოდ კლოდისა და ეტიენის ნაზი სიცილი წკრიალებდა გაშავებულ ჭერქვეშ. დილის რვა საათი იყო. მზის ვიწრო ზოლმა შემოატანა ნახევრად გაღებულ ფანჯარაში.

ბულვარზე ჟერვეზამ მარცხნივ გაუხვია. როცა მადამ ფოკონიეს დუქნის წინ გაიარა, ოდნავი თავის დახრით მიესალმა მას. სამრეცხაო ქუჩის შუაში იყო, სწორედ იმ ადგილას, სადაც აღმართი იწყებოდა. ბრტყელი შენობის თავზე სამი უზარმაზარი წყალსაცავი, მაგრად ქანჩმოჭერილი სამი თუთიის ცილინდრი ჩანდა; უკან კი მაღალი, დარაბებშემოკეტილი საშრობი აღმართულიყო. დარაბებში ჰორიზონტალურად დაწყობილ თხელპირიან, ვიწრო ფიცრებშუა თავისუფლად მოძრაობდა ჰაერი და თითბრის მავთულებზე გაფენილი სარეცხი მოჩანდა. წყალსაცავების მარჯვნივ ორთქლის მანქანის ვიწრო მილი ქშინავდა და ტლანქი და გაზომილი სუნთქვით თეთრი კვამლის ქულებს ისროდა. წყლის გუბეებში სიარულს შეჩვეულმა ჟერვეზამ ისე გაიარა შესასვლელში, სადაც ქლორიანი წყლით სავსე ავზები იდგა, რომ კაბის კალთა არ აუწევია. ის უკვე იცნობდა სამრეცხაოს მეპატრონეს. ეს იყო სუსტი აგებულების ქალი, თვალებიც კი დაავადებული ჰქონდა. იგი შუშაბანდიან ოთახში იჯდა, წინ ელაგა დავთრები, ხოლო თაროებზე მწკრივად

ეწყო საპნის ნაჭრები, ლილის გორგლები შუშის ქილებში და სარეცხი სოდის გირვანქიანი პაკეტები. გავლისას ჟერვეზამ ქალს თავისი სატყეპელა და ჯაგრისი მოსთხოვა, რომლებიც წინა გარეცხვის შემდეგ მიებარებინა მისთვის. შემდეგ აიღო თავისი ნომერი და სამრეცხაოში შევიდა.

ეს იყო უზარმაზარი ფარდული, ფართო, ნათელი ფანჯრებით, ბრტყელი ჭერით, რომლის გამოშვერილი კოჭებიც თუჯის ბოძებს ებჯინებოდა. ცხელი ორთქლის რძისფერ ბუღში დღის მკრთალი შუქი იჭრებოდა. ზოგიერთი კუთხიდან კვამლი გამოდიოდა და გარემოს ეფინებოდა. წვიმასავით ჟონავდა მძიმე სინესტე, რომელშიც საპნის ნოტიო და გულისამრევი სუნი ტრიალებდა განუწყვეტლივ; ზოგჯერ ქლორიანი წყლის მძაფრი სუნი შეიჭრებოდა და ყველაფერს ფარავდა. სამრეცხაოს მთელ სიგრძეზე, შუა გასასვლელის ორივე მხარეს ჩამწკრივებულიყვნენ ქალები მხრებამდე გაშიშვლებული მკლავებით, შიშველი ყელით, დაკაპიწებული ბოლოკაბებით, რომელთა ქვეშიდან ფერადი წინდები და თასმით შეკრული უხეში ფეხსაცმელი ჩანდა. ქალები გაშმაგებით ურტყამდნენ სარეცხს, იცინოდნენ, დროდადრო უკან იზნიქებოდნენ, რათა ამ საშინელ ღრიანცელში თავისი სიტყვა გაეგონებინათ ერთიმეორისთვის. მერე ისევ დაბლა იხრებოდნენ თავიანთი გობებისკენ; ჭუჭყიანი, ტლანქი და მოუხეშავები იყვნენ, თითქოს კოკისპირული წვიმის ქვეშ დასველებულიყვნენ და გაწითლებულ კანზე ოხშივარი ასდიოდათ. მათ ირგვლივ, მათ ფეხქვეშ უხვად მოედინებოდა წყალი, მოდიოდა ცხელი წყლით სავსე კასრები და ერთბაშად იცლებოდა. ცივი წყლის მიმწოდებელი ონკანები ღია იყო და წყალი მაღლიდან გადმოდიოდა. სატყეპელები შხეფებს ისროდნენ, გაწურულ სარეცხს წყალი წურწურით გასდიოდა. გუბეები, რომლებშიც ეს ქალები დაჭყაპუნებდნენ, ნაკადებად მიედინებოდა დაქანებული იატაკის ფილაქანზე. საერთო ყვირილს, გაზომილი დარტყმების ხმაურს, წყლის წვეთების ბუტბუტსა და ღრიანცელის გრიგალში, რომელიც ყრუდ ისმოდა დასველებული ჭერის ქვეშ, მარჯვნივ განუწყვეტელი ხრიალით სუთქავდა და ქოშინობდა ორთქლის მანქანა, წვრილი ცვრით დანამული და გათეთრებული. მისი თრთოლით მოხამხამე მქნევარა თითქოს ამ ზათქსა და ხმაურს აწესრიგებდა.

ამასობაში ჟერვეზა პატარ-პატარა ნაბიჯით მიიწევდა წინ გასავლელზე და მარჯვნივ და მარცხნივ იყურებოდა. იღლიის ქვეშ ამოედო ბოხჩა და გასარეცხად მოსული ქალების წაკვრა-წამოკვრასა და მისვლა-მოსვლაში ჩვეულებრივზე უფრო კოჭლობდა.

– ეი! აქეთ, ჩემო კარგო! – გაისმა მადამ ბოშის ბოხი ხმა.

მერე, როდესაც ახალგაზრდა ქალი მიუახლოვდა მას და მარცხნივ დადგა სულ ბოლოში, მეკარე ქალმა, რომელიც გააფთრებით სრესდა წინდას, ლაპარაკი გაუბა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებით, ისე, რომ სამუშაო ხელიდან არ გაუშვია.

– აქეთ დადექით, მე თქვენ ადგილი შეგინახეთ... ოჰ! მე დიდხანს არ მოვუნდები. ბოში თითქმის არ აჭუჭყიანებს საცვალს... თქვენ? ოჰ, არც თქვენი რეცხვა გასტანს

დიდხანს. სულ პატარაა თქვენი ბოხჩა. შუადღემდე მოვრჩებით და საუზმის საჭმელადაც წავალთ... მე ჩემს სარეცხს ერთ მრეცხავ ქალს ვაძლევდი ხოლმე პულეს ქუჩაზე, მაგრამ იგი სულ მთლად მიოხრებდა ყველაფერს თავისი ქლორითა და ჯაგრისებით; ახლა მე თვითონ ვრეცხავ და მოგებულიც ვარ. საპნის მეტი არაფერი მეხარჯება... თქვენ ეგ პაწია პერანგები ჯერ კარგად უნდა დაგელბოთ. ამ პატარებს ხომ ოფლი საჯდომზე გამოსდით.

– ოხ! არა, თბილი წყალი იკმარებს... მე ვიცი...

ჟერვეზამ სარეცხი გადაარჩია, ფერადი ნაჭრები იქით გადადო. მერე იქვე, ზურგს უკან ონკანიდან აღებული ოთხი ვედრო ცივი წყალი ჩაასხა თავის გობში და თეთრეულის გროვა შიგ ჩაალბო. შემდეგ ბოლოკაბა აიწია, ფეხებში ამოიდო; და ბოლოს შევიდა აყირავებულ ყუთში, რომელიც მას მუცლამდე სწვდებოდა.

– ოჰო-ჰო! ჩანს, გცოდნიათ, – იმეორებდა მადამ ბოში, – მრეცხავად მუშაობდით, არა, ჩემო კარგო?

ჟერვეზამ სახელოები გადაიკეცა, თეთრყირმიზა, ქერა ქალის ლამაზი, ჯერ კიდევ ნორჩი და იდაყვებთან ნაზად მოვარდისფრო მკლავები გამოაჩინა და რეცხვას შეუდგა. სამრეცხაოს წყლისგან შეჭმულ და გათეთრებულ ვიწრო ფიცარზე გაშალა ერთი პერანგი. ჯერ ცალ მხარეს წაუსვა საპონი, მერე გადმოაბრუნა და მეორე მხარე გასაპნა. სანამ მადამ ბოშს უპასუხებდა, სატყეპელას მოჰკიდა ხელი და სარეცხის ტყეპას შეუდგა, მერე ამ გაზომილ და მაგარ დარტყმებთან აყოლებით ხმამაღლა წარმოთქვა: – დიახ, დიახ, მრეცხავი ვიყავი... ათი წლიდან... უკვე თორმეტი წელია მას აქეთ... მდინარეზე დავდიოდით ხოლმე... იქ უკეთესი სუნი ტრიალებდა, ვიდრე აქ... უნდა გენახათ, იქ ერთი კუნჭული იყო ხეების ქვეშ... ანკარა წყალი მოქროდა... ხომ იცით, პლასანი? თქვენ პლასანი არ იცით... მარსელის მახლობლად.

– დასცხო და როგორ დასცხო! – წამოიძახა სატყეპელას მაგარი დარტყმებით აღტაცებულმა მადამ ბოშმა, – რა გოგოა! ეს გოგო რკინასაც გაგიბრტყელებთ თავისი პატარა დიდკაცური ხელებით!

ხმამაღალი საუბარი გრძელდებოდა. მეკარე ქალი ზოგჯერ იძულებული ხდებოდა დახრილიყო, რადგან კარგად არ ესმოდა. ჟერვეზამ მთელი თეთრეული დაბეგვა და მაგრადაც დაბეგვა! მერე სარეცხი გობში ჩაალბო; სათითაოდ ნაწილობრივ იღებდა, ხელმეორედ უსვამდა საპონს და ჯაგრისით ხეხავდა. ერთი ხელით ფიცარზე ამაგრებდა ნაჭერს, ხოლო მეორეში მოკლე ჯაგრისი ეჭირა და სარეცხს ჭუჭყიან ქაფს ადენდა, რომელიც მოგრძო ზოლებად ცვიოდა. ჯაგრისის მსუბუქ ხმაურზე ქალები ერთმანეთს მიუახლოვდნენ და მათმა მუსაიფმა უფრო ინტიმური ხასიათი მიიღო.

– არა, ჩვენ ჯვარდაწერილები არა ვართ, – უპასუხა ჟერვეზამ, – ამას არ ვმალავ. ლანტიე ისეთი კარგი არ არის, ქალმა მისი ცოლობა მოინდომოს. ბავშვები არ ყოფილიყვნენ, ეჰ!.. მე თოთხმეტი წლის ვიყავი, ის კი თვრამეტის, როცა პირველი

შვილი შეგვეძინა, მეორე ოთხი წლის შემდეგ გაჩნდა... ეს მოხდა ისე, როგორც საერთოდ ხდება ამისთანა ამბები. მე ბედნიერი არ ვიყავი ჩემი მშობლების სახლში. მართალი ვიყავი თუ მტყუანი, მამაჩემი მაკარი ფერდებში წიხლებს მირტყამდა... როცა შინ ამისთანა ცხოვრება გაქვს, – გასაგებია, რომ გარეთ ეძებ შვებას... ჩვენ შევუღლდებოდით, მაგრამ მე თვითონაც არ ვიცი, რატომ, ჩვენმა მშობლებმა ეს არ ისურვეს.

ჟერვეზამ თეთრი ქაფის ქვეშ გაწითლებული ხელები დაიბერტყა და თქვა: – ძალიან ხისტი წყალია პარიზში.

მადამ ბოში ნება-ნება რეცხავდა. ჩერდებოდა, დიდხანს საპნავდა სარეცხს, რათა უფრო მეტხანს დარჩენილიყო და გაეგო ეს ამბავი, რომელიც ორი კვირის განმავლობაში ტანჯავდა მის ცნობისმოყვარეობას. პირი ნახევრად გაეღო და ვეება სახეზე გადმოკარკლული თვალები უბრწყინავდა. დიდად კმაყოფილი იყო თავისი მიხვედრილობით და ფიქრობდა: – ეს პატარა ბევრს ლაპარაკობს; ჩანს, ამათ დაკადაკა აქვთ ერთმანეთში.

მერე ხმამაღლა მიმართა: – მაშ, ის კარგად არ გექცევათ?

– ნუ მეტყვით მაგას! – მიუგო ჟერვეზამ, – იგი კარგი იყო ჩემთვის იქ, მაგრამ რაც პარიზში ჩამოვედით, არ ვიცი, რა დაემართა... უნდა გითხრათ, რომ დედამისი შარშან გარდაიცვალა და ცოტაოდენი ფული დაუტოვა მას, ასე, ათას შვიდას ფრანკამდე. მან პარიზში წამოსვლა მოინდომა. რადგან მამაჩემი ისევ უმოწყალოდ მცემდა, ამიტომ მეც მასთან ერთად წამოსვლას დავთანხმდი. ორივე ბავშვიც წამოვიყვანეთ. მე მას მრეცხავად უნდა მოვეწყვე, ხოლო თვითონ თავისი ხელობით უნდა ემუშავა, – მექუდედ, ძალიან ბედნიერად ვიცხოვრებდით... მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ ლანტიე პატივმოყვარე და მფლანგავია, მარტო თავის სიამოვნებაზე ფიქრობს. ბოლოს და ბოლოს, რა ფასი აქვს მაგისთანა კაცს, დიდი არაფერი... ჰოდა, ჩვენ სასტუმრო „მონმარტრში“ დავბინავდით, მონმარტრის ქუჩაზე. დაიწყო სადილები, ეტლები, თეატრი, საათი თავისთვის, აბრეშუმის კაბა ჩემთვის. ცუდი გულისა არ არის, როცა ფული აქვს. ხომ გესმით, რომ მთელი ამ ბაქიბუქის შემდეგ ორ თვეს არ გაუვლია, ჯიბეგამოფხეკილები დავრჩით. შემდეგ გადმოვედით სასტუმრო „კაიგულში“ და ეს წყეული ცხოვრებაც დაიწყო...

ახალგაზრდა ქალმა ლაპარაკი შეწყვიტა, უცებ ყელში მოუჭირა და მოწოლილი ცრემლი ჩაყლაპა. სარეცხის ხეხვას უკვე მორჩა.

– ცხელი წყალი უნდა მოვიტანო, – წაიბუტბუტა.

გულახდილი საუბრის შეწყვეტით დიდად ნაწყენმა მადამ ბოშმა სამრეცხაოს მოსამსახურე ბიჭს დაუძახა.

– ჩემო პატარა შარლ, რა კარგი ბიჭი იქნებით თუ ამ მადამს ერთ ვედრო ცხელ წყალს მოურბენინებთ, ძალიან ეჩქარება.

ბიჭმა ვედრო წაიღო და გავსებული მოიტანა. ჟერვეზამ ფული გადაიხადა, – ერთი სუ ვედროში, მერე ცხელი წყალი ჩაასხა გობში და სარეცხი უკანასკნელად გასაპნა. მოხრილი იდგა ორთქლის ბუღში, რომელიც ნაცრისფერი კვამლის ზოლებად ეხვეოდა მის ქერა თმას.

– თქვენ მანდ სოდა უნდა ჩადოთ. აი, მე მაქვს, – თავაზიანად უთხრა მეკარე ქალმა.

მადამ ბოშმა ჟერვეზას გობში ჩაცალა მისი მიცემული სოდის ნარჩენები. ქლორის წყალიც შესთავაზა, მაგრამ ახალგაზრდა ქალმა უარი უთხრა. ეგ კარგია ქონის ან ღვინის ლაქებისთვისო.

– მგონი, ცოტა მოარშიყე უნდა იყოს, – წარმოთქვა მადამ ბოშმა, რომელიც ისევ ლანტიეს დაუბრუნდა, ხოლო მისი სახელი არ უხსენებია.

ორად მოხრილმა ჟერვეზამ, რომელსაც სარეცხში ჰქონდა ჩაყოფილი ხელები, მხოლოდ თავი გაიქნია.

– დიახ, დიახ, – განაგრძობდა მადამ ბოში, – მე ბევრი რაღაც წვრილმანი შევნიშნე...

მაგრამ მაშინვე უარყო ნათქვამი, როდესაც ჟერვეზა უეცარი მოძრაობით წელში გასწორდა და მთლად გაფითრებული მიაჩერდა.

– ოჰ, არა, არაფერი ვიცი!.. სიცილი უყვარს, მგონი, მეტი არაფერი... ჰოდა, ორი ქალიშვილი რომ ცხოვრობს ჩვენთან, ადელი და ვირჯინია, ხომ იცნობთ?! აი, იმათთან ხუმრობს ხოლმე, და დარწმუნებული ვარ, ამაზე შორს არც წასულა საქმე.

ახალგაზრდა ქალი წელში გამართული იდგა მის პირდაპირ, ოფლიანი სახით, სველი ხელებით და ღრმა და დაკვირვებული თვალით მისჩერებოდა მადამ ბოშს. მეკარე ქალი ბოლოს გაჯავრდა, გულზე მუშტი დაირტყა და დაიყვირა: – არაფერი ვიცი-მეთქი, ხომ გითხარით!

შემდეგ დამშვიდდა და დამტკბარი ხმით ისე დაუწყო ლაპარაკი ჟერვეზას, როგორც ელაპარაკებიან ადამიანს, რომლისთვისაც სიმართლის ცოდნა არ არის საჭირო: – ჩემი აზრით, მას პატიოსანი თვალები აქვს... ის თქვენ შეგირთავთ, ჩემო კარგო, დამიჯერეთ!

ჟერვეზამ სველი ხელით მოიწმინდა შუბლი, მეორე ხელით სარეცხის ნაჭერი ამოიღო და ხელახლა თავი გაიქნია. წამით ორივე გაჩუმდა. მათ გარშემო სამრეცხაო დაწყნარდა. საათმა თერთმეტჯერ დარეკა. მრეცხავი ქალები თავიანთი გობების ნაპირზე ჩამომსხდარიყვნენ, ფეხებთან თითო-თითო ღვინის ბოთლი დაედგათ და ორად გაჭრილ პურში ჩადებულ ძეხვს შეექცეოდნენ. მხოლოდ დიასახლისები, რომელთაც საკუთარი საცვლის ბოხჩები მოეტანათ გასარეცხად, ჩქარობდნენ და

ანგარანის სადარაჯოს თავზე ჩამოკიდებულ საათს უყურებდნენ. თავშეკავებული სიცილისა და ხარბად მოძრავი ყბების ხმაურით ჩახშობილ წყნარ მუსაიფში ერთიმეორისგან დაშორებული სატყეპელების ტყლაშუნი ისმოდა აქა-იქ. ორთქლის მანქანა კი კვლავ შეუსვენებლად მუშაობდა, სულმოუთქმელად და მთრთოლარე, ხიხინა და თითქოს ამაღლებული ხმით ავსებდა მთელ დარბაზს. მაგრამ არც ერთ ქალს მისი ხმაური არ ესმოდა; ეს თითქოს თვით სამრეცხაოს სუნთქვა იყო, მხურვალე ამოქშენა, რომელიც ჭერის კოჭებთან მუდამ მოფარფატე ორთქლის ღრუბლებს აგროვებდა. სიცხე აუტანელი გახდა; მარცხნიდან, მაღალ ფანჯრებში მზის სხივმა შემოიჭვრიტა და ორთქლის ქულებს ნაზი, მოვარდისფრო-ნაცრისფერი და ციაგი-ნაცრისფერი ელფერი მისცა. რადგან აქეთ-იქიდან წუწუნი გაისმა აუტანელი სიცხის გამო, სამრეცხაოს მოსამსახურე ბიჭმა შარლმა სათითაოდ დაუარა ფანჯრებს და დიდი ტილოს ფარდები ჩამოაფარა; შემდეგ ჩრდილის მხარეს გადავიდა და სარკმელები გამოაღო. დიდი ხმაურით და ტაშის ცემით მიეგებნენ ამას ქალები, უზომო მხიარულება მოედო იქაურობას. მალე უკანასკნელი სატყეპელების ხმაც მიწყდა. პირგამოტენილი მრეცხავი ქალები ახლა გახსნილ დანებს იქნევდნენ. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ოთახის ბოლოდან აქანდაზის თანაბარზომიერი ფხაჭუნი ისმოდა, როდესაც ცეცხლფარეში ნახშირს იღებდა ორთქლის მანქანის ღუმელში შესაყრელად.

ამასობაში ჟერვეზა თავის ფერად სარეცხს რეცხავდა ცხელ, საპნიან წყალში, რომელიც ამისთვის შემოენახა. როდესაც რეცხვას მორჩა, ხარიხები მისწია თავისკენ და გარეცხილი ნაჭრები ზედ გადაჰკიდა. სარეცხს მოლურჯო წყალი გაუვიდა და მიწაზე გუბეები დააყენა. ჟერვეზამ სარეცხის გავლება დაიწყო. უკან ონკანიდან ცივი წყალი მიწაზე მიმაგრებულ დიდ გობში ჩადიოდა. გობის თავზე ორი ლატანი გაედოთ სარეცხის დასაჭერად. ამაზე მაღლა კიდევ ორი ლატანი მოეთავსებინათ, რომლებზედაც სარეცხს საბოლოოდ უნდა გასვლოდა წყალი.

– აჰა, ამასაც ბოლო ეღება, ცუდი ამბავი არ არის, – წარმოთქვა მადამ ბოშმა, – მე აქ ვრჩები, გაწურვაზე უნდა მოგეხმაროთ.

– რად წუხდებით, დიდად გმადლობთ, – მიუგო ახალგაზრდა ქალმა, რომელიც ტკეპნიდა და სუფთა წყალში ავლებდა ფერად ნაჭრებს, – ზეწრები რომ მქონოდა, კიდევ არას ვიტყოდი.

მაგრამ მას მაინც დასჭირდა მეკარე ქალის დახმარება. ერთმა ერთ ბოლოში მოჰკიდა ხელი, მეორემ – მეორეში, და ორივე ერთად წურავდნენ ულაზათო წაბლისფერი შალის ბოლოკაბას, რომელსაც ყვითელი წყალი გასდიოდა. უცებ მადამ ბოშმა შეჰკივლა: – შეხეთ! მაღალი ვირჯინია!.. ეგ რიღას გასარეცხად მოსულა, ხელსახოცში გამოკრული ოთხიოდე ძონძით?!

ჟერვეზამ სწრაფად აიღო თავი. ვირჯინია მისი ხნის ქალი იყო, მასზე მაღალი, შავგვრემანი და ლამაზი, მიუხედავად ოდნავ მოგრძო პირისახისა. მას ძველი, შავი

კუბოკრული კაბა ეცვა, ყელზე წითელი ლენტი ეკეთა, განსაკუთრებული მზრუნველობით დავარცხნილი და მაღლა აწეული თმა აბრეშუმის ძაფის ცისფერი ბადით დაემაგრებინა. იგი წუთით ცენტრალური გასასვლელის შუაგულში შეჩერდა და თვალები მოჭუტა, თითქოს ვიღაცას ეძებდა. მერე, როდესაც ჟერვეზა შენიშნა, გვერდით ჩაუარა, თავხედურად, წელში გამართულმა, თეძოების ქნევით და იმავე რიგში ჩადგა, რომელშიც ჟერვეზა, ხუთიოდე გობის მოშორებით.

– აი, კაპრიზი! – განაგრძობდა მადამ ბოში ხმადაბლა, – თავის დღეში ერთი წყვილი მანჟეტი არ გაურეცხავს!.. ცნობილი უქნარაა, გარწმუნებთ! ვითომ ეგეც მკერავი ქალია რაღა! ნეტავი ერთხელ მაინც თუ დაუკერებია თავისი წინდები! ეგეც ისაა, რაც მაგისი უნამუსო და ადელი, რომელიც სამ დღეში ერთხელ ცხადდება სახელოსნოში! არც მამა ჰყავთ, არც დედა. რითი ცხოვრობენ, არავინ იცის. ყველაფერი რომ ითქმოდეს... ნეტავი რას ჭეჭყავს იქა? ჰოო, ბოლოკაბას! ბოლოკაბა, თორემ, მე ვიცი, ცოტა ჭუჭყი ექნება ნანახი! რა საზიზღარია!

მადამ ბოში აშკარად ჟერვეზას საამებლად ამბობდა ამას, თორემ სინამდვილეში ის ძალიან ხშირად მიირთმევდა ყავას ადელსა და ვირჯინიასთან, როცა მათ ფული ჰქონდათ. ჟერვეზა არაფერს ამბობდა, ჩქარობდა ხელების ცახცახით. მან პატარა სამფეხა გობში გახსნა ლილა და თეთრეულს სათითაოდ ალბობდა; წუთით გაავლ-გამოავლებდა ნაჭერს შეფერიანებულ წყალში, მერე ამოიღებდა, მსუბუქად გაწურავდა და მაღლა გადებულ ხის ლატანებზე ჰფენდა. მთელი ამ მუშაობის დროს განგებ შეაქცია ზურგი ვირჯინიას, მაგრამ ესმოდა მისი ხითხითი, გრძნობდა მის ალმაცერ გამოხედვას. ეტყობოდა, ვირჯინია მხოლოდ მის გასაღიზიანებლად მოსულიყო. წამით ჟერვეზა მისკენ მიბრუნდა და ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს.

– დაანებეთ თავი, – წასჩურჩულა მადამ ბოშმა, – თმაში ხომ არ უნდა სწვდეთ... მე ხომ გითხარით, არაფერია-მეთქი! მერე კიდევ, – ეგ ხომ არ არის!

იმ წუთში, როდესაც ახალგაზრდა ქალი უკანასკნელ ნაჭერს ფენდა, სიცილი გაისმა სამრეცხაოს კარიდან.

– ეს ორი ბუთხუზა დედას ეძებს! – შეჰყვირა შარლმა.

ქალები იქით მიბრუნდნენ. ჟერვეზამ კლოდი და ეტიენი შენიშნა. დაინახეს თუ არა დედა, გუბეებზე ჭყაპუნით და ფილაქანზე თასმაშეუკრავი ფეხსაცმლის ქუსლების ტყაპუნით გაექანენ მისკენ; უფროსს, კლოდს ხელი მოეკიდა პატარა ძმისთვის. სინაზით შეპრობილმა მრეცხვმა ქალებმა ოდნავ შეჰკივლეს, როცა დედისკენ მიმავალი ბავშვები დაინახეს. ბიჭები შეშინებული ჩანდნენ, მაგრამ მაინც იღიმებოდნენ. დედის წინ გაჩერდნენ ხელიხელჩაკიდებულები და ქერა თავები მაღლა ასწიეს.

– მამამ გამოგგზავნათ? – შეეკითხა შვილებს ჟერვეზა.

მაგრამ როდესაც ჟერვეზა დაიხარა, რათა ეტიენის ფეხსაცმელზე თასმა შეეკრა, დაინახა, რომ კლოდს თითზე ჰქონდა ჩამოკიდებული ოთახის გასაღები ლითონის ნომრით.

– რა, გასაღებიც მომიტანე? – წამოიყვირა გაოცებულმა ქალმა, – კი მაგრამ, რატომ?

როდესაც ბიჭუნამ შენიშნა გასაღები, რომელიც დავიწყებოდა კიდეც, თითქოს ახლა გაახსენდა და წკრიალა ხმით შეჰყვირა: – მამა წავიდა!

– მამა საუზმის საყიდლად გავიდა და თქვენ აქ ჩემს მოსაძებნად გამოგგზავნათ?

კლოდმა ძმას შეხედა, შეყოყმანდა, არ იცოდა, რა ეთქვა. მერე ერთბაშად წამოიყვირა: – მამა წავიდა!.. იგი ლოგინიდან გადმოხტა, მთელი თავისი ბარგი ჩემოდანში ჩაალაგა, ჩემოდანი კი ეტლზე დადო... ის წავიდა.

ჩაცუცქული ჟერვეზა ნელა წამოდგა, სახე გაჰფითრებოდა, ხელები ჯერ ლოყებზე მიიდო, მერე საფეთქლებზე, ეგონა თავი უსკდებოდა. სიტყვებს ვერ პოულობდა და ერთი და იმავე კილოთი მხოლოდ ამას იმეორებდა: – ახ! ღმერთო ჩემო!.. ახ! ღმერთო ჩემო!.. ახ! ღმერთო ჩემო!..

ამასობაში მადამ ბოში, მთლად გაბრწყინებული, რომ ასეთ ამბავში გაერია, თავის მხრივ ბავშვს ეკითხებოდა: – მოიხედე, ჩემო ბიჭუნავ, კარგად გამირკვიე საქმე... მან თვითონ დაკეტა კარი და ეს გასაღები აქ გამოგატანათ, არა?

მერე ხმადაბლა ყურში ჩაუჩურჩულა კლოდს: – ვინმე ქალი ხომ არ იყო ეტლში?

ბიჭი კვლავ შეკრთა და ხელახლა დიდი ზარ-ზეიმით გაიმეორა იგივე ამბავი.

– ის ლოგინიდან გადმოხტა, თავისი ბარგი ჩემოდანში ჩაალაგა, ის წავიდა...

როდესაც მადამ ბოშმა ბიჭს თავი მიანება, კლოდმა თავის ძმას წაავლო ხელი და ონკანისკენ წაათრია. ონკანთან წყლის მოშვებით გაერთო ორივე.

ჟერვეზას ტირილი არ შეეძლო. სული უგუბდებოდა და გობზე მიყრდნობილს ხელები კვლავ სახეზე მიეფარებინა. ზოგჯერ ხანმოკლე ჟრუანტელი დაურბენდა მთელ სხეულში. დროდადრო ღრმად ამოიოხრებდა და უფრო მაგრად მიიჭერდა ხელებს თვალებზე, თითქოს სურდა თავისი სიმარტოვის სიბნელეში ჩანთქმულიყო. ეჩვენებოდა, თითქოს ბნელ ორმოში ჩავარდა.

– კარგი, ჩემო პატარავ, გეყოფათ, რა მოხდა, – ეტუტუნებოდა მას მადამ ბოში.

– თქვენ რომ იცოდეთ! თქვენ რომ იცოდეთ! – ბოლოს ძლივს წარმოთქვა ხმადაბლა ჟერვეზამ, – მან ამ დილით ჩემი შალი და პერანგები წამაღებინა ლომბარდში დასაგირავებლად, რათა ამ ეტლის ფული გაესტუმრებინა...

და ატირდა. ლომბარდში წასვლის გახსენებით საბოლოოდ ცხადი გახდა მისთვის დილანდელი ამბავი და ყელში ცრემლი მოებჯინა.

ლომბარდში მისი გაგზავნა ამაზრზენი უსინდისობა იყო და ყველაზე დამტანჯველი მის უნუგეშო მდგომარეობაში. ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ნიკაპზე, უკვე ხელებიც სველი ჰქონდა და ცხვირსახოცის ამოღება კი ვერ მოეფიქრებინა.

– გონიერად მოიქეცით, გაჩუმდით, გიყურებენ, – იმეორებდა მის გარშემო მოფუსფუსე მადამ ბოში, – განა შესაძლებელია ასე დაიტანჯოს ქალმა თავი მამაკაცისთვის!.. გამოდის, ისევ გყვარებიათ, ჩემო საბრალო პატარავ! ეს-ეს არის ასე ცხარობდით მის წინააღმდეგ? ახლა კი მისტირით და გული გიკვდებათ... ღმერთო ჩემო, რა სულელები ვართ ყველანი!

შემდეგ მან დედობრივი გრძნობა გამოიჩინა: – ასეთი ახალგაზრდა და ლამაზი ქალი, როგორიც თქვენ... განა ეს დასაშვებია?! ახლა ხომ შეიძლება ყველაფერი გიამბოთ, არა? ჰოდა, გახსოვთ, მე რომ თქვენი ფანჯრის ქვეშ გამოვიარე, უკვე ეჭვი მქონდა... წარმოიდგინეთ, წუხელ, როცა ადელი დაბრუნდა, მამაკაცის ნაბიჯის ხმა შემომესმა მის ნაბიჯთან ერთად. მინდოდა გამერკვია, რა მოხდა და კიბეზე გავიხედე. კაცი უკვე მეორე სართულზე იყო, მაგრამ მე მაინც ვიცანი მუსიე ლანტიეს სერთუკი. ბოში ამ დილას მორიგე იყო და დაუნახავს, რომ ის სრულიად დამშვიდებით გამოსულა იქიდან... ადელთან ერთად, გესმით?! ვირჯინიას ჰყავს ახლა ერთი მამაკაცი, რომელთანაც კვირაში ორჯერ დადის. მაგრამ ეს ხომ უსუფთაობაა, სხვა რომ არა იყოს რა. ამ ქალებს ხომ ერთი ოთახი აქვთ და ერთი საწოლი. აღარ მესმის, სადღა შეეძლო დაეძინა ვირჯინიას?

მადამ ბოშმა წუთით შეწყვიტა ლაპარაკი, იქით მიიხედა და მერე ისევ თავისი ყრუ და ბოხი ხმით განაგრძო: – ეგ იცინის თქვენს ტირილზე, ეგ უგულო, ეგა! მე მდუღარეში ხელს ჩავყოფ, თუ ამჟამად მაგისი სარეცხის რეცხვა უბრალო ოინი არ იყოს... მან დააკავშირა ისინი და ახლა აქ მოვიდა, რათა ნახოს, თუ როგორ იმოქმედებს ეს თქვენზე, რომ მერე წავიდეს და იმათ უამბოს.

ჟერვეზამ სახიდან ჩამოიღო ხელები და გაიხედა. როდესაც შენიშნა, რომ ვირჯინია, სამ-ოთხ ქალს შუა ჩამდგარი, მისკენ იყურებოდა და რაღაცას უამბობდა მათ, გიჟურმა რისხვამ შეიპყრო. ძირს დაიხარა და ხელით ფათურს მოჰყვა; ერთსა და იმავე ადგილზე ტრიალებდა, მთელი სხეული უთრთოდა, რამდენიმე ნაბიჯი წინ წადგა და სავსე ვედროს წააწყდა, სტაცა ორივე ხელი და ერთი მოქნევით შეასხა.

– შენ ეი, აქლემო! – წამოიყვირა ტანმაღალმა ვირჯინიამ და უკან გადახტა, მხოლოდ ფეხსაცმელი დასველებოდა. ამასობაში მთელი სამრეცხაოს ქალები, რომელნიც ერთხანს დიდ ღელვაში იყვნენ ჟერვეზას ცრემლების გამო, ახლა ერთიმეორეს ეხეთქებოდნენ, რათა ბრძოლა დაენახათ. ზოგიერთი მრეცხავი, რომელიც პურის ჭამას მორჩა, თავის გობზე შემდგარიყო, ხოლო დანარჩენები ხელგასაპნულები მორბოდნენ. წრე გაკეთდა.

– ახ! შე აქლემო! – გაიძახოდა მაღალი ვირჯინია, – ვიცოდე მაინც, რამ მოუარა ამ ცოფიანს!

ჟერვეზა უძრავად იდგა ნიკაპწაწვეტებული, სახედაჭიმული და პასუხს არ იძლეოდა. მან პარიზული ჩხუბი ჯერ არ იცოდა, ხოლო ვირჯინია განაგრძობდა: – ჰა! ვერ უყურებთ ამას! პროვინციაში ხეტიალით მოქანცულა! ჯერ თორმეტი წლისაც არ იყო, სალდათებს დოშაკად[2] ქვეშ ეგებოდა, ცალი ფეხიც იქ დატოვა, თავის ქვეყანაში... ფეხი დაულპა და მოსძვრა...

სიცილი გაისმა. რაკი ვირჯინიამ წარმატება იგრძნო, ორი ნაბიჯი წინ გადმოდგა, წელში გასწორდა და ხმაც აიმაღლა: – აბა, ჰა! ცოტა წინ წამოდექი, რომ გაჩვენო სეირი! გესმის თუ არა?! აქ ნუ მოდიხარ, თავს ნუ გვაბეზრებ!.. მე განა არ ვიცნობ ამ ქეციან ტყავსა! აბა, ხელი მახლოს, როგორ ავუწევ ბოლოკაბას, ყველა დაინახავთ! ის მაინც თქვას, მე რა დავუშავე?! მითხარი, რა გიყავი, შე მახინჯო!

– ბევრს ნუ ლაპარაკობთ, – წაილუღლუღა ჟერვეზამ, – კარგად იცით... ჩემი ქმარი ნახეს გუშინ საღამოს... გაჩუმდით, თორემ დაგახრჩობთ ნამდვილად...

– მისი ქმარი! ახ! ამ კაი ქალს დამიხედეთ!.. თითქოს ამისთანა უმსგავსებსაც ქმრები ჰყავთ!.. ეგ რა ჩემი ბრალია, თუ მან მიგატოვა. მე ხომ არ მომიპარავს იგი შენთვის? თუ უნდათ, გამჩხრიკონ... იცი, რას გეტყვი? შენ იმ კაცს სიცოცხლეს უშხამებდი! ის მეტისმეტად კარგი იყო შენთვის... ყელსაბამი მაინც არ ჰქონდა შებმული? ხომ არავის უპოვია ამ ქალის ქმარი?.. ჯილდოს მიიღებს!

კვლავ სიცილი გაისმა. ჟერვეზა ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით იმეორებდა: – თქვენ კარგად იცით, თქვენ კარგად იცით... ეს თქვენი და არის, მე მას დავახრჩობ, იმ თქვენ დას...

– დიახ, წადი და ჩემს დას ეძგერე, – მიუგო ვირჯინიამ ხითხითით, – ახ! ეს ჩემი და ყოფილა! დიახაც, ძალიან შესაძლებელია, რადგან ჩემს დას სხვა შნო და ლაზათი აქვს, შენ რა მისი ტოლი ხარ... თუმცა მე რა მესაქმება! ვაჰ! აღარ შეიძლება ადამიანმა აქ თავისი სარეცხი დამშვიდებით გარეცხოს! მომასვენე, გესმის, შენ! გეყოფა! იკმარე!

და ვირჯინიამ სულ ხუთჯერ თუ ექვსჯერ დაჰკრა სატყეპელა სარეცხს და შემდეგ ისევ მოუბრუნდა ლანძღვით დამთვრალი და გაღიზიანებული. გაჩუმდებოდა და მერე ისევ იწყებდა და ასე სამჯერ გაიმეორა...

– ჰოდა, რა! დიახ, ეს ჩემი და არის. შეისმინე? დაკმაყოფილდი?.. მათ გაგიჟებით უყვართ ერთმანეთი. სანახავად ღირს, როცა ერთმანეთს ეჭუკჭუკებიან!.. შენ კი მიგატოვა შენი ორი ნაბიჭვრით! კალმით ნახატები გყვანან სწორედ, შენი პირმოთხუპნილი ბიჭები! ერთი ჟანდარმისგან გყავს, არა? სამიც კიდევ ამოიჭამე, რომ ზედმეტი ბარგი არ გქონოდა... ეს შენმა ლანტიემ გვიამბო. ახ! კაი-კაი რამეები ილაპარაკა. საკმაოდ ჰქონდა სათქმელი მაგ შენს ჩონჩხზე!

– ბილწო! ბილწო! ბილწო! – დაიღმუვლა მოთმინებიდან გამოსულმა ჟერვეზამ და გაცოფებული აცახცახდა.

მერე მიბრუნდა და ისევ იატაკზე რაღაცის ძებნა დაიწყო ფათურით. პატარა გობის მეტი ვერაფერი იპოვა, ფეხებით მოსწია და ლილიანი წყალი პირდაპირ სახეში მიასხა ვირჯინიას.

– ჯაგლაგო! კაბა გამიფუჭე! – წამოიყვირა ვირჯინიამ, რომელსაც ცალი მხარე მთლად დაუსველდა და მარცხენა ხელი ლურჯად შეეღება, – დამაცადე, შე ნეხვო!

თავის მხრივ მანაც სტაცა ხელი ერთ ვედროს და ახალგაზრდა ქალს თავზე მოუპირქვავა. საზარელი ბრძოლა გაიმართა. ორივე ქალი დარბოდა გობების გასწვრივ, სავსე ვედროებს იტაცებდნენ და ერთმანეთს თავზე ასხამდნენ. ახლა ჟერვეზაც აძლევდა შესაფერ პასუხებს.

– აჰა! ეგეც შენ, გათახსირებულო!.. ხომ მიიღე! ეგებ გაგიგრილდეს საჯდომი!

– ახ, შე ლეშო, შენა! აჰა, ეს შენი ჭუჭყისა იყოს! ეგებ ერთხელ მაინც ჩამოიბანო შენს სიცოცხლეში ეგ ცხვირ-პირი!

– მე შენ გიჩვენებ ჭუჭყის ჩამორეცხვას! წაგრძელებულო ვირთევზავ!

– ერთი კიდევ!.. კბილები გამოირეცხე, მოირთე, რომ საღამოზე სადარაჯოდ წახვიდე ბელომის ქუჩაზე.

ბოლოს იქამდე მივიდნენ, რომ ვედროები ონკანთან მიჰქონდათ, ელოდნენ, სანამ აივსებოდა და კვლავ ასხამდნენ ერთმანეთს. თავიდან ვედროებიდან წყალს უმისამართოდ ასხამდნენ ერთმანეთს. მალე ორივემ ხელი გაიწაფა და პირველად ვირჯინიამ მიიღო მთელი ვედრო წყალი პირისახეში. წყალი კისერში ჩაუვიდა, მკერდსა და ზურგზე ჩემოედინა და მერე კაბაშიც ბოლომდე გაატანა. ჯერ კიდევ გონზე არ მოსულიყო ვირჯინია, რომ მეორე ვედრო შემოესხა გვერდიდან. წყალმა მაგრად გაიტყლაშუნა მარცხენა ყურთან და შინიონი დაუსველა. თმა ჩამოეშალა და ძაფებად დაეკიდა. ჟერვეზას ერთი ვედრო ჯერ ფეხებში მოხვდა, ფეხსაცმელი წყლით აუვსო და კოჭზედაც მიეშხეფა, ხოლო შემდეგმა ორმა ვედრომ უკვე თეძოებიც დაუსველა. მალე უკვე აღარ შეიძლებოდა გარკვევა, ვინ ვის წუწავდა. ერთიცა და მეორეც თავით ფეხამდე გალუმპულიყვნენ, კორსაჟები მხრებზე მიჰკვროდათ, ბოლოკაბები – ბარძაყებზე და ასე გაწუწულებს, გაშეშებულებსა და მოცახცახეებს წყალი ისე ჩამოსდიოდათ წურწურით ყოველი მხრიდან, როგორც საწვიმარ ქოლგებს თავსხმის დროს.

– ნამდვილი სეირია ამათი ყურება! – ჩახრინწული ხმით წამოიძახა ერთმა მრეცხავმა ქალმა.

მთელი სამრეცხაო უზომოდ ტკბებოდა. ყველანი უკან იხევდენენ, რომ წყლის წვეთები არ მოხვედროდათ. ტაშისცემა და მხიარული შეძახილები ისმოდა ერთბაშად მოქნეული და დაცლილი ვედროების ხმაურზე, რომელიც რაბიდან[3] გამოშვებულ წყლის ხმაურს ჰგავდა. იატაკზე გუბე დადგა და ორივე ქალი შიგ დაჭყაპუნებდა კოჭებამდე სველი ფეხით. ამასობაში ვირჯინიამ მუხანათური რამ ჩაიფიქრა, უეცრად დაეპატრონა მდუღარე წყლით სავსე თასს, რომელიც ერთ-ერთმა მისმა მეზობელმა ქალმა მოითხოვა, და ისროლა. კივილი გაისმა. ეგონათ ჟერვეზა გაიფუფქა. მაგრამ მას მხოლოდ მარცხენა ფეხი ჰქონდა მსუბუქად დამწვარი. ტკივილისგან გამწარებულმა ჟერვეზამ ვედრო წყლით აღარ აავსო და ცარიელი გაუქანა პირდაპირ ფეხებში ვირჯინიას, რომელიც წაიქცა. მრეცხავი ქალები ერთბაშად აყაყანდნენ.

– ფეხი მოსტეხა ქალს!

– ვაჰ! ეგ რომ გაფუფქვას უპირებდა!

– ბოლოს და ბოლოს, ის მართალია, ქერა ქალი, მაშ როგორ! თუ კაცი წაართვეს!

მადამ ბოშს ხელები ცისკენ აეპყრო და ლოცულობდა. მას გონივრულად შეეფარებინა თავი ორ გობს შუა. ბავშვებსაც, კლოდსა და ეტიენს კაბის კალთაში ჩაევლოთ მისთვის ხელი და გულამოსკვნით ტიროდნენ. თავზარდაცემულნი იყვნენ, ძლივს ითქვამდენენ სულს და განუწყვეტლივ გაჰკიოდნენ: – დედა! დედა! და მათივე ქვითინი ფარავდა მათ ყვირილს. როდესაც მადამ ბოშმა ვირჯინია ძირს დაცემული დაინახა, ჟერვეზასთან მიირბინა. კაბის კალთით ეწეოდა და ჩასჩიჩინებდა: – წადით აქედან, მე თქვენ გეუბნებით! ჭკვიანად მოიქეცით. ძარღვებში სისხლი გამეყინა, გეფიცებით! არასდროს მინახავს ამგვარი ხოცვა-ჟლეტა.

შემდეგ ჟერვეზამ უკან დაიხია და კვლავ ორ გობს შუა შეიხიზნა ბავშვებიანად. ვირჯინია ყელში სწვდა ჟერვეზას. მაგრად უჭერდა ხელს და მის დახრჩობას ლამობდა. მაშინ ჟერვეზა მძლავრად შეირხა, თავი გაითავისუფლა და შინიონში მისწვდა ვირჯინიას, თითქოს მზად იყო თავი მოეგლიჯა მისთვის. ბრძოლა კვლავ განახლდა, უსიტყვოდ, უხმოდ, ლანძღვის დაუხმარებლად. ქალები სხეულზე ხელს არ ჰკიდებდნენ ერთმანეთს, ცდილობდნენ სახეში მისწვდენოდნენ და მოკრუნჩხული, თავისუფალი ხელებით ჩქმეტდნენ და კაწრავდნენ ყველგან, სადაც მოუხვდებოდათ. მაღალ, შავგვრემან ქალს წითელი ლენტი და ცისფერი აბრეშუმის ყაითნით ნაქსოვი ბადე ჩამოჰგლეჯოდა, კორსაჟიც გაფხრეწოდა საყელოსთან და შიშველი სხეული უჩანდა მხრებამდე. ქერა ქალსაც თითქმის შემოეძარცვა ტანსაცმელი და მის თეთრ ზედატანს ისე მოვარდა სახელო, რომ არც კი გაუგია; პერანგიც შემოხეოდა და შიშველი სხეული უჩანდა. ქსოვილის ნაგლეჯები აქეთ-იქით დაფრინავდნენ. პირველად ჟერვეზას გამოაჩნდა სისხლი: სამი გრძელი ნაფხაჭნი მიდიოდა მისი პირიდან ნიკაპისკენ. თვალებს უფრთხილდებოდა და ყოველ გარტყმაზე თვალებზე ხელს იფარებდა დაბრმავების შიშით. ვირჯინია ჯერ დასისხლიანებული არ იყო. ჟერვეზა მის ყურებს უმიზნებდა და გაცოფებული იყო,

რომ ვერ სწვდებოდა; ბოლოს ძლივს მისწვდა ერთ საყურეს, ყვითელი შუშის პატარა მსხალს, გამოსწია ის და ყური ჩამოახია. სისხლი წამოვიდა.

– დახოცავენ ერთმანეთს! გააშველეთ ეგ უნამუსოები!.. – გაისმა ხმები.

მრეცხავი ქალები მიუახლოვდნენ მოჩხუბრებს. ქალები ორ ბანაკად დაყოფილიყვნენ. ერთნი ორივეს ისე უსისინებდა, როგორც ორ მოჩხუბარ ძაღლს, ხოლო მეორენი, უფრო მგრძნობიარენი, – კანკალებდნენ, თავს გვერდით იბრუნებდნენ, იძახდნენ, – კმარა, მეტი აღარ შეგვიძლია, ნამდვილად გული გაგვისკდებაო. კინაღამ საერთო ჩხუბი და აყალმაყალი ატყდა; უგულოებს და ცუღლუტებს უწოდებდნენ ერთმანეთს, შიშველ მკლავებს იშვერდნენ და სამიოდე სილის ხმაც გაისმა.

ამ ამბავში მადამ ბოში სამრეცხაოს მოსამსახურე ბიჭს დაეძებდა.

– შარლ!.. შარლ!.. რა იქნა ნეტავი!..

მადამ ბოშმა ის პირველ რიგში აღმოაჩინა. გულხელდაკრეფილი იდგა და უყურებდა. ზორბა ბიჭი იყო, სქელკისერა, იცინოდა, უხაროდა ამ ორი ქალის შიშველი სხეულის დანახვა. ქერა გოგო მწყერივით იყო ჩასუქებული. მართლა სეირი იქნება, სულ რომ შუაზე გაეხეს პერანგი, – ფიქრობდა შარლი.

– ეჰე! – წაიჩურჩულა მან თვალის ჩაკვრით, – იღლიის ქვეშ ხალი ჰქონია!

– როგორ! თქვენ აქა ხართ! – შეჰყვირა მადამ ბოშმა მის დანახვაზე, – მოგვეხმარეთ, გავაშველოთ!.. თქვენ ამას კარგად შეძლებთ, თქვენ გააშველებთ ამათ.

– ახ! როგორ არა, მადლობას მოგახსენებთ! ჩემს მეტი არავინ არის! – მშვიდად წარმოთქვა შარლმა, – თვალები გამოვაკაწვრინო, როგორც იმ დღეს, არა?.. მე ამისთვის კი არ ვარ აქ, მე ჩემი საქმეც ბევრი მაქვს... თქვენ ნუ გეშინიათ, არხეინად იყავით, მაგათ მოუხდებათ ცოტა სისხლის გამოშვება. უფრო განაზდებიან.

მაშინ მეკარე ქალმა განაცხადა, წავალ და პოლიციას შევატყობინებო. მაგრამ სამრეცხაოს პატრონი, ახალგაზრდა, სუსტი აგებულების ქალი, რომელსაც ავადმყოფი თვალები ჰქონდა, გადაჭრით წინ აღუდგა ამას. იგი განუწყვეტლივ იმეორებდა: – არა, არა, მე არ მინდა, ეს სახელს გაუტეხს ჩემს სამრეცხაოს.

ბრძოლა იატაკზე გრძელდებოდა. უეცრად ვირჯინიამ წამოიჩოქა, მოავლო ხელი ძირს დაგდებულ სატყეპელას, ჰაერში გაიქნია და შეცვლილი ხმით დაიხრიალა: – აბა, ძაღლო! მოამზადე შენი ჭუჭყიანი სარეცხი!

ჟერვეზაც ასევე მარდად დასწვდა სატყეპელას და ხელში კომბალივით მოიმარჯვა. ხმა მასაც წართმეოდა.

– ახ! კაი ჭკუის სწავლება გჭირდება... მომეცი შენი ტყავი, რათა ჩვრებად ვაქციო.

წუთით ასე დარჩნენ დაჩოქილები და ერთმანეთს ემუქრებოდნენ. სახეზე თმაჩამოწეწილნი, ჭუჭყიანები, დასისხლიანებულები, მძიმედ ქშინავდნენ, სულს ძლივს ითქვამდნენ. პირველად ჟერვეზამ დაარტყა. ვირჯინიას მხარზე გაისრიალა მისმა სატყეპელამ, ჟერვეზა კი გვერდზე გახტა, რათა თავიდან აეცდინა ვირჯინიას სატყეპელა, რომელიც მას ოდნავ შეეხო ბარძაყზე. მერე, როდესაც ეშხში შევიდნენ, ისე ურტყამდნენ ერთმანეთს, როგორც მრეცხავი დედაკაცები თავიანთ სარეცხს, ღონივრად და თანაბარზომიერად. დარტყმების ყრუ ხმაური ისმოდა, როგორც გობში დაგროვილ წყალზე ხელის ტყლაშუნი.

მათ გარშემო მრეცხავი ქალები აღარ იცინოდნენ. ბევრი მოშორდა იქაურობას: გული საგულეს აღარ გვაქვს, ეს რა ამბავიაო; ხოლო ისინი, ვინც დარჩნენ, კისერწაწვდენილები იდგნენ, თვალებში სისასტიკის ცეცხლი უკრთოდათ და ხალისით შესცქეროდნენ ამ ორ ჩხუბისთავს. მადამ ბოშმა ჩხუბს გაარიდა კლოდი და ეტიენი. სამრეცხაოს მეორე მხრიდან ისმოდა მათი ტირილის ხმა, რომელიც ორი სატყეპელას მჭახე ხმაურში ირეოდა.

უეცრად ჟერვეზამ დაიღმუვლა. ვირჯინიამ მძლავრი მოქნევით სატყეპელა მას შიშველ მკლავზე მოახვედრა, იდაყვის ზემოთ. წითელი ლაქა დააჩნდა, ხორცი იმ წამსვე აებურცა; ჟერვეზა ეძგერა მოპირდაპირეს და თითქოს დახრჩობას უპირებდა.

– კმარა! კმარა! – გაისმა ყვირილი.

ჟერვეზას ისეთი საზარელი სახე ჰქონდა, რომ მიახლოებას ვერავინ უბედავდა. გაათკეცებული ძალით შემოხვია მან ხელები ვირჯინიას სხეულს, მოღუნა და ფილაქანზე პირქვე დაამხო ფეხებაშვერილი. მიუხედავად იმისა, რომ ვირჯინია წიხლებს იქნევდა, ჟერვეზამ მას ბოლოკაბა აუწია მთლიანად. ქვეშიდან ბიკინი გამოჩნდა, მერე შესაკრავთან ხელი ამოუტარა და ბიკინი ჩააძრო. ყველაფერი გამოჩნდა: შიშველი ბარძაყები, შიშველი დუნდულები. მერე ჟერვეზამ სატყეპელა მაღლა ასწია და ისეთი ტყაპატყუპი ატეხა, როგორც უტყაპუნებდა ოდესღაც პლასანში, ვიორნის ნაპირზე, როდესაც სამრეცხაოს პატრონი ქალი გარნიზონის სარეცხს რეცხავდა. სატყეპელა სველი ხმაურით, რბილად ხვდებოდა ქალის სხეულს და ყოველ დარტყმაზე წითელი ზოლებით უჭრელებდა თეთრ კანს.

– ოხ! ოხ! – აღფრთოვანებით ჩურჩულებდა თვალებგაფართოებული მოსამსახურე ბიჭი შარლი.

ხელახლა სიცილმა დაურბინა სამრეცხაოს. მაგრამ მალე ისევ ყვირილი გაისმა: კმარა! კმარა! ჟერვეზა ყურს არ უგდებდა და გაალმასებული უტყაპუნებდა. დაბლა დახრილი დასცქეროდა თავის ნამუშევარს, გულდაგულ ზრუნავდა, რომ არც ერთი ადგილი არ გამორჩენოდა თავისუფალი. უნდოდა მთლიანად გაეტყიპა ამ ქალის სხეული, სამარცხვინოდ გაეხადა იგი. ველური სიხარულით შეპრყობილი ჟერვეზა მრეცხავი ქალის სიმღერას იგონებდა: ტყაპ-ტყუპ! მარგო, გავრეცხოთ...

სატყეპელას დაკვრითა...

ტყაპ-ტყუპ! გულიც გავრეცხოთ...

მთლად შავი გვაქვს დარდითა...

მერე ისევ განაგრძობდა: – ეს შენთვის, ეს შენი დისთვის, ეს ლანტიესთვის... როდესაც ნახო ისინი, გადაეცი... ყურადღება! ისევ ვიწყებ. ეს ლანტიესთვის, ეს შენი დისთვის, ეს შენთვის...

ტყაპ! ტყუპ! მარგო გავრეცხოთი...

სატყეპელას დაკვრითა...

მრეცხავი ქალები იძულებული გახდნენ, ხელიდან გამოეგლიჯათ მისთვის ვირჯინია. მაღალმა, შავგვრემანმა ქალმა, რომელსაც ცრემლით დასველებოდა სახე, გაწითლებულმა და შერცხვენილმა, სტაცა ხელი თავის სარეცხს და თავს უშველა. იგი დამარცხებული ჩანდა, ხოლო ამ დროს ჟერვეზა ბლუზის სახელოს ისწორებდა და ბოლოკაბას იკრავდა. მკლავი სტკიოდა ძალიან და მადამ ბოშს სთხოვა, მხარზე აეკიდა მისთვის სარეცხი. მეკარე ქალი განუწყვეტლივ ქაქანებდა ამ ჩხუბზე, თავის განცდას უზიარებდა ჟერვეზას და სთავაზობდა, სხეულს გაგისინჯავო.

– შეიძლება გატეხილი გაქვთ რამე... რაღაც ტკრციალი შემომესმა...

მაგრამ ახალგაზრდა ქალს წასვლა უნდოდა. ის პასუხს არ აძლევდა, მის ირგვლივ შეკრებილი თეთრწინსაფრიანი ქალების არც სიბრალულით სავსე თანაგრძნობას და არც მათ ხმამაღალ მისალმებას. სარეცხი წამოიკიდა და მაშინვე კარისკენ გასწია, სადაც ბავშვები ელოდნენ.

– ამ ორ საათში ორი სუ უნდა გადაიხადოთ! – ამ სიტყვებით შეაჩერა იგი სამრეცხაოს მეპატრონე ქალმა, რომელიც უკვე თავის შუშაბანდიან ოთახში დაბრუნებულიყო.

რატომ ორი სუ? ჟერვეზას ვერ გაეგო, რომ მისი ადგილის საფასურს სთხოვდნენ. ბოლოს გადაიხადა ეს ორი სუ და ძლიერი კოჭლობით, მხარზე აკიდებული სველი სარეცხით დამძიმებული და დასველებული, გალურჯებული იდაყვით, დასისხლიანებული ლოყით გავიდა, თან შიშველ მკლავებზე ხელმოჭიდებულ კლოდსა და ეტიენს მიათრევდა. ბავშვები ტუსტუსით მისდევდნენ დედას, ჯერ ისევ სლუკუნებდნენ ცრემლით პირმოთხუპნილები.

სამრეცხაო კვლავ აშვებული რაბივით ახმაურდა. მრეცხავმა ქალებმა ისაუზმეს, დალიეს თავიანთი ღვინო და სახეალეწილები, ჟერვეზასა და ვირჯინიას ჩხუბით გამხიარულებულები, უფრო მაგრად ურტყამდნენ სარეცხს. გობების გასწვრივ კვლავ ამოძრავდნენ გაშმაგებული მკლავები. სახსრებში გადატეხილ თოჯინებს დაემსგავსნენ, თითქოს მხრები ამოვარდნოდათ, წელში სამად მოხრილიყვნენ და მექანიკურად მოძრაობდნენ. გასასვლელის თავსა და ბოლოში კვლავ საუბარი გაიბა.

ხმაური, სიცილი, სალანძღავი სიტყვები წყლის მძლავრ შხუილში იბნეოდა. ონკანები შხეფებს ისროდა, ვედროებიდან წყალი იღვრებოდა, სამრეცხაოს ფიცრების ქვეშ მთელი მდინარე მიედინებოდა. ეს იყო ნაშუადღევის გაშმაგებული მუშაობა. სარეცხი სატყეპელას დაკვრით ისრისებოდა. უზარმაზარ ოთახში ორთქლს ჟღალი ფერი დაჰკრავდა და მასში მხოლოდ მზის შუქის რგოლები იჭრებოდა, ოქროს ბურთულები, რომელთაც ფარდის ნახევები უშვებდა. სულის შემხუთველი ჰაერი საპნის მოთბო სუნით იყო გაჟღენთილი. უცებ მთელი ფარდული თეთრი ორთქლით გაივსო. გეჯაში წყალი დუღდა, ხოლო მისი უზარმაზარი სახურავი მექანიკურად მაღლა ავიდა ცენტრალურ, დაკბილული ღერძის მთელ სიგრძეზე. აგურების ჩარჩოში ჩასმული გეჯის დაღებული ხახა ბორიალით ისროდა ორთქლის ბუღს, რომელსაც ნაცარტუტის მოტკბო სუნი ასდიოდა. გვერდით საშრობები მუშაობდნენ, თუჯის ცილინდრებში ჩაწყობილ სარეცხს მანქანის ბორბლის ყოველ შემოტრიალებაზე წყალი გასდიოდა. მანქანა ქშინავდა, ბუღს ისროდა და მისი ფოლადის მკლავების განუწყვეტელი მოძრაობა მთელ სამრეცხაოს აზანზარებდა.

როდესაც ჟერვეზამ სასტუმრო „კაიგულის“ დერეფანში ფეხი შედგა, ცრემლები წამოსცვივდა. ეს შესასვლელი შავი და ვიწრო იყო და მთელი კედლის გასწვრივ ღარი დაჰყვებოდა ჭუჭყიანი წყლის სადენად. სიმყრალემ, რომელიც ჟერვეზას აქ დაუხვდა, ლანტიესთან ერთად გატარებული ორი კვირა გაახსენა, ორი კვირა სიღატაკისა და ერთმანეთთან ჩხუბისა, რომლის მოგონებაც ამ წუთში მწვავე სინანულს აღუძრავდა. სრული სიმარტოვე თითქოს ახლა იწყებოდა.

მაღლა, მთლად გაშიშვლებული ოთახი მზით იყო სავსე, ფანჯარაც გაღებული ჰქონდა. ჩახჩახა მზის შუქი და მოცეკვავე ოქროს მტვრის ლეჩაქი საბრალო შესახედაობას აძლევდა გაშავებულ ჭერსა და შპალერჩამოგლეჯილ კედლებს, ბუხრის გვერდით ლურსმანზე მხოლოდ ერთი თოკივით დაგრეხილი ხილაბანდი ეკიდა, მეტი არაფერი. ბავშვების საწოლი ოთახის შუაგულში იყო გამოწეული და კამოდი მოჩანდა. კამოდის ღია უჯრები მთლად ცარიელი ჩანდა. ლანტიეს პირი დაებანა და პომადაც კი აეღო, ორი სუს პომადა, სათამაშო კარტში გამოხვეული. ტაშტი მისი ნაბანი ჭუჭყიანი წყლით იყო სავსე. არაფერი დავიწყებოდა. ის კუთხე, სადაც წინათ ჩემოდანი იდგა, ჟერვეზას უზარმაზარ სიცარიელედ ეჩვენებოდა. ფანჯრის საკეტზე დაკიდებული პატარა მრგვალი სარკეც ვეღარსად ნახა. რაღაც წინათგრძნობით ბუხრის თავს შეხედა: ლანტიეს წაეღო ლომბარდის ქვითრებიც. ის ვარდისფერი დასტა იქ აღარ იდო, თუთიის შანდლებს შუა.

ჟერვეზამ სარეცხი სკამის ზურგზე ჩამოჰკიდა. ერთ ადგილას იდგა და აქეთ-იქით იხედებოდა, ავეჯს აკვირდებოდა და იმდენად იყო გამოთაყვანებული, რომ ცრემლის დენაც შეუწყდა. სამრეცხაოსთვის გადადებული ოთხი სუდან მხოლოდ ერთიღა დარჩენოდა. მოულოდნელად ფანჯარასთან მდგარი, უკვე დამშვიდებული კლოდისა და ეტიენის სიცილი შემოესმა. მიუახლოვდა შვილებს, თავზე ხელები შემოხვია ორივეს და ნაცრისფერი ქუჩის დანახვაზე წუთით თავდავიწებას მიეცა. დილით მან ამ ქუჩაზე სამუშაოზე მიმავალი ხალხის გამოღვიძება და პარიზის გოლიათური დღის

დასაწყისი იხილა, ახლა კი ქალაქის თავზე, საბაჟოს კედლის იქით, დღის ჩოჩქოლით გახურებული ქვაფენილის გავარვარებული ანარეკლი ლაპლაპებდა. აი, ამ ქვაფენილზე, ამ გახურებულ თონეში გადაისროლეს ის მარტოდმარტო, ორი ბავშვით. გარე ბულვარებს მოავლო თვალი, მარჯვნივ, მარცხნივ და მერე ყრუ შიშით შეპყრობილი, ბულვარის თავსა და ბოლოზე შეჩერდა, თითქოს ამიერიდან მისი ცხოვრება აი აქ, სასაკლაოსა და საავადმყოფოს შუა მოქცეულიყო.

## თავი მეორე

სამი კვირის შემდეგ, ერთ მშვენიერ მზიან დღეს, დაახლოებით თორმეტის ნახევაზე, ჟერვეზა და კუპო, – მესახურავე, არაყში ჩაყრილ ქლიავს შეექცეოდნენ ძია კოლომბის „ხაფანგში“. კუპო პაპიროსს აბოლებდა ქუჩაში და აქ ძალით შემოიყვანა ჟერვეზა, რომელსაც სარეცხი წაეღო და ამ ქუჩით ბრუნდებოდა. მრეცხავი ქალის დიდი ოთხკუთხი კალათა ძირს იდგა თუთიის პატარა მაგიდის უკან.

ძია კოლომბის „ხაფანგი“ პუასონიერის ქუჩისა და როშეშუარის ბულვარის კუთხეში იყო მოთავსებული. აბრის მთელ სიგრძეზე დიდი ლურჯი ასოებით მხოლოდ ერთი სიტყვა იყო გამოყვანილი: „ორნახადი“. კართან კასრში ორი გამტვრიანებული ოლეანდრი ჩაერგოთ. შესასვლელიდან მარცხნივ გაჭიმულიყო უზარმაზარი დახლი ზედ ჩამწკრივებული ჭიქებით, ონკანიანი კასრებით და თუნუქის საწყაოებით. ფართო დარბაზის კედლებთან ვეება, ღია ყვითელი ფერით შეღებილი და ლაქით გაპრიალებული კასრები შემოერიგებინათ. მათ სპილენძის სალტეებსა და ონკანებს ლაპლაპი გაუდიოდა. კედლებს ფარავდა თაროები, რომლებზედაც საგულდაგულოდ დაეწყოთ ლიქიორის ბოთლები, მინის ქილები ხილის ნაყენისთვის, სხვადასხვა ფერის მინისა და კერამიკის სასმისები. დახლის უკან ჩამოკიდებულ სარკეში ფერად ლაქებად მოჩანდა მათი ბრჭყვიალა და მომწვანო, მკრთალი ოქროსფერი ანარეკლი. სამიკიტნოს ყველაზე საყურადღებო საგანი კი იქით იყო, სიღრმეში, მუხის მოაჯირის მეორე მხარეს, შუშაბანდიან ეზოში. ეს გახლდათ არყის გამოსახდელი ქვაბი გრძელყელა ზარფიშებითა და მიწის ქვეშ ჩაშვებული კლაკნილი მილებით, ეშმაკის სამზარეულო, რომელიც მომსვლელთა თვალწინ მოქმედებდა და რომლის წინაშეც ოცნებას ეძლეოდნენ გალოთებული მუშები.

საუზმის დრო მოვიდა, მაგრამ „ხაფანგი“ ჯერ ისევ ცარიელი იყო. ძია კოლომბი, ზორბა, დაახლოებით ორმოც წელს მიღწეული მამაკაცი, სახელოებიან ფლანელის პერანგისამარა ათიოდე წლის გოგონას ოთხი სუს არაყს უსხამდა ბოთლში. კარიდან შემოჭრილი მზის შუქი ათბობდა ჩიბუხის მწეველთა ფურთხისგან დასველებულ

იატაკს. დახლს, დიდ კასრებსა და მთელ დარბაზს სასმლის სუნი ასდიოდა, ალკოჰოლის ოხშივარი, რომელიც თითქოს მზის სხივებში მოთამაშე მტვერს ასქელებდა და ათრობდა.

კუპო უკვე ახალი პაპიროსის გახვევას შეუდგა. ის ძალიან სუფთად იყო ჩაცმული, მოკლე ქურთუკი ეცვა და ლურჯი ტილოს პატარა ქუდი ეხურა, იცინოდა და თეთრ კბილებს აჩენდა. წინგამოწეული ყბა, ოდნავ პაჭუა ცხვირი და ლამაზი თაფლისფერი თვალები მხიარული კაიბიჭის სახეს აძლევდა. გრუზა თმა ბუჩქად ადგა თავზე. ოცდაექვსი წლის ასაკის მამაკაცის კვალობაზე მშვენივრად გამოიყურებოდა. ჟერვეზა მის პირდაპირ იჯდა, შავ, აბრეშუმნარევ ბლუზაში გამოწყობილი და ქლიავს შეექცეოდა. ხილისთვის ყუნწში მოევლო თითის წვერები. ჟერვეზა და კუპო დახლის წინ, დიდი კასრების გასწვრივ გამწკრივებული ოთხი მაგიდიდან პირველს უსხდნენ, ქუჩის მხარეს. როცა კუპომ პაპიროსს მოუკიდა, იდაყვებით დაეყრდნო მაგიდას, სახე წინ წასწია და წამით უსიტყვოდ მიაჩერდა ახალგაზრდა ქალის ლამაზ, თეთრ სახეს, რძისფერი ფაიფურივით გამჭვირვალეს. ბოლოს კუპომ გადაკვრით დაუწყო ქალს ლაპარაკი საქმეზე, რომელიც, ეტყობა, მხოლოდ მათთვის იყო ცნობილი და არაერთხელ გამხდარიყო მსჯელობის საგნად, ვაჟმა უბრალოდ, ხმადაბლა ჰკითხა: – მაშ არა? თქვენ ამბობთ, არა?

– ოხ! არა, რა თქმა უნდა, მუსიე კუპო, – მიუგო მშვიდი ღიმილით ჟერვეზამ, – ახლა აქაც ნუ დამიწყებთ ამეებზე ლაპარაკს! აკი დამპირდით, კეთილგონიერად მოვიქცევიო... მე რომ ასე მცოდნოდა, თქვენს დაპატიჟებაზე უარს ვიტყოდი.

კუპოს ხმა არ ამოუღია, ჟერვეზას კადნიერი სინაზით მისჩერებოდა. მის ვნებას განსაკუთრებით ქალის ტუჩის კუთხეები აღვიძებდა, – მკრთალი ვარდისფერი, პატარა, ოდნავ სველი კუთხეები, რომლებიც ღიმილის დროს ტუჩების ხასხასა სიწითლეს აჩენდა. ჟერვეზას თავი არ აურიდებია, ის ისევ ალერსიანად და შეუშფოთებლად იჯდა. ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ მან კვლავ დაიწყო: – თქვენ უსათუოდ არ უფიქრდებით და ისე ლაპარაკობთ. მე ხომ აღარც ისე ახალგაზრდა ვარ. დიდი ბიჭი მყავს უკვე, რვა წლისაა... აბა, რა უნდა ვაკეთოთ ჩვენ ერთად?..

– დალახვროს ღმერთმა! – წაიბუტბუტა კუპომ თვალის ჩაკვრით, – რასაც სხვები აკეთებენ!

ქალი უკმაყოფილოდ შეიშმუშნა.

– ახ! თქვენ თუ გგონიათ, რომ ეს ყოველთვის სასიამოვნოა?! როგორ გეტყობათ, რომ ოჯახი არ გყოლიათ!.. არა, მუსიე კუპო, მე სერიოზულ რამეზე უნდა ვიფიქრო. ამსუბუქება კარგს არაფერს მომიტანს, გესმით! მე ორი პირი შემომყურებს ხელებში და მათი გამოკვება ადვილი საქმე არ არის, ხომ იცით! როგორ გგონიათ, ჩემი პატარების გაზრდაზე უნდა ვიფიქრო თუ მსუბუქ გართობას ავყვე?.. ამას გარდა ჩემი უბედურება საკმაო გაკვეთილი იყო ჩემთვის. მამაკაცებთან აღარაფერი მესაქმება.

ქალი გაუჯავრებლად ლაპარაკობდა, გონივრულად, გულცივად, თითქოს რაღაც სამუშაოს შესახებ მსჯელობდა, თითქოს იხილავდა მიზეზებს, რომლებიც ხელს უშლიან ერთი ხილაბანდი სახამებელში გაავლოსო. ეტყობოდა, ყოველივე მტკიცედ ჩასჯდომოდა თავში, კარგა ხნის საფუძვლიანი მოსაზრებებისა და აწონ-დაწონის შემდეგ.

გულმომბალი კუპო იმეორებდა: – მე თქვენ ძალიან მაწყენინეთ მაგით, ძალიან მაწყენინეთ...

– დიახ, მე ვხედავ ამას და ძალიან ვწუხვარ, მუსიე კუპო... თქვენ ეს არ უნდა გწყენოდათ. მე თუ აზრად მომივიდოდა მხიარულებასა და სიცილში მეტარებინა დრო, ღმერთო ჩემო! რა თქმა უნდა, ამას თქვენთან უფრო ვარჩევდი, ვიდრე ვინმე სხვასთან. თქვენ კარგი ბიჭი ჩანხართ, სასიამოვნო და მიმზიდველი! ჩვენ მოვრიგდებოდით, კარგად ვიცხოვრებდით და მერე, რაც იქნებოდა, იქნებოდა! მე პრინცესობას არ ვიჩემებ, არ ვამბობ, ეს არასოდეს შეიძლება მოხდეს-მეთქი, მაგრამ ახლა რატომ, რისთვის, როცა ამის სურვილი არა მაქვს? აი, მე მადამ ფოკონიესთან ვარ ორი კვირაა უკვე. ბავშვები სკოლაში დადიან. ვმუშაობ და კმაყოფილი ვარ... ეჰ! უკეთესი იქნება, ასე დარჩებოდეს, როგორც არის.

და ჟერვეზა თავისი კალათის ასაღებად დაიხარა.

– აქ მალაპარაკებთ, იქ კი სამრეცხაოს პატრონი ქალი მელოდება... თქვენ სხვას იპოვით, მუსიე კუპო, ჩემზე ლამაზს, რომელსაც ორი ბიჭი არ ეყოლება ზურგზე აკიდებული.

კუპომ საათს შეხედა, რომელიც სარკის ჩარჩოს თავში იყო ჩასმული. ჟერვეზა ძალით დასვა და შეჰყვირა: – მოიცადეთ, რა არის ახლა! თორმეტს ოცდახუთი წუთი უკლია, მე ჯერ კიდევ მაქვს ოცდახუთი წუთი... თქვენ ნუ გეშინიათ, მე სისულელეებს არ ჩავიდენ. მაგიდა ხომ დგას ჩვენ შორის... ნუთუ ისე გძულვართ, რომ ერთ ბეწო ხანს არ გსურთ ჩემთან მუსაიფი?

ჟერვეზამ ისევ ძირს დადგა კალათა, კუპოსთვის რომ არ ეწყენინებინა, და მათ კეთილმეგობრული საუბარი გააბეს. ჟერვეზამ, სანამ სარეცხს წამოიღებდა, ისაუზმა. კუპომ კი იმ დღეს ჰაიჰარად გადასანსლა თავისი წვნიანი და ხორცი, რათა დროზე მოსულიყო აქ და ჟერვეზას დადარაჯებოდა. ქალი ალერსიანად პასუხობდა კუპოს, თან ფანჯარაში ხილზე დაყენებულ არყის შუშებს შუა ქუჩის მოძრაობას გაჰყურებდა. საუზმის დრო მოსულიყო და ქუჩებში ჭედვა იყო. სახლებით შევიწროებულ ორივე ქვაფენილზე დაიწყო აჩქარებული ნაბიჯით მიმოსვლა, ხელების ქნევა და დაუსრულებელი წაკვრა-წამოკვრა. დაგვიანებული, სამუშაოზე შერჩენილი მუშები დაღვრემილი და დამშეული სახით, ფართო ნაბიჯით გადადიოდნენ ქუჩას და პირდაპირ მეპურესთან შედიოდნენ. იქიდან იღლიაში ამოდებული გირვანქიანი პურებით გამოდიოდნენ და იქვე ზემოთ, რესტორან „ორთავიან ხბოში“ შედიოდნენ, სადაც ექვს სუდ ღირებულ კერძს შეექცეოდნენ. მეპურის გვერდით ბოსტნეულის

დუქანი იყო, სადაც შემწვარ კარტოფილსა და ოხრახუშმოყრილ ნიჟარებს ყიდდნენ. გრძელწინსაფრიანი მუშა ქალების დაუსრულებელ რიგებს გამოჰქონდათ იქიდან ქაღალდში შეხვეული შემწვარი კარტოფილი და ნიჟარები ჯამებით. ზოგიერთი ახალგაზრდა ქალი წითელი ბოლოკის კონებს ყიდულობდა. როდესაც ჟერვეზა დაბლა დაიხრებოდა, მეძეხვის დუქანს ხედავდა, რომელიც ხალხით გატენილიყო. იქიდან გამოდიოდნენ ბავშვები გაქონილ ქაღალდში შეხვეული წვრილი ძეხვეულით, კატლეტებით ან ცხელ-ცხელი კუპატებით ხელში. ამასობაში განუწყვეტელი მოძრაობისგან თვით კარგ ამინდშიც მუდამ შავი ტალახით გაგლესილ ქუჩაში სასადილო დუქნებიდან გამოსული მუშები გამოჩნდნენ. ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ, მოხეტიალობდნენ, ამ საერთო ღრიანცელსა და მიხლა-მოხლაში, მკლავჩამოყრილნი, საკმაოდ დამძიმებულები, წყნარად და აუჩქარებლად.

ერთი პატარა ჯგუფი „ხაფანგის“ შესასვლელთან შეჩერდა.

– ერთი ეს მითხარი, გარუჯულო ბიბი, – ჰკითხა ჩახრინწული ხმით ერთ-ერთმა მეორეს, – შენ გადაიხდი ამ ერთი გადაკვრის საფასურს?

ხუთი მუშა შევიდა სამიკიტნოში და დახლის წინ გაჩერდა. – ჰა! ძია კოლომბ! – წამოიძახა იმავე ხმამ, – იცოდეთ, ძველი გამოხდილი უნდა ჩამოგვისხათ, მაგრამ თხილის ნაჭუჭებში კი არა, ნამდვილ ჭიქებში.

ძია კოლომბმა აუღელვებლად მიართვა სასმელი ახალმოსულთ..

შემოვიდა კიდევ სამი მუშა. ნელ-ნელა დაგროვდნენ ქვაფენილის კუთხეში, მცირე ხნით ჩერდებოდნენ, ბოლოს კი ერთიმეორის ხელის წაკვრით მტვრისგან განაცრისფრებულ ოლეანდრებს შუა გაივლიდნენ და სამიკიტნოს დარბაზში შედიოდნენ.

– რა სულელი ხართ! თქვენ სულ სხვაგვარად ფიქრობთ! – ეუბნებოდა ჟერვეზა კუპოს, – რა თქმა უნდა, მე მიყვარდა ის... მაგრამ მას შემდეგ, რაც ისე საზიზღრად მიმატოვა...

ლანტიეზე ლაპარაკობდნენ. ჟერვეზა ამბობდა, რომ ლანტიე აღარ უნახავს. ფიქრობდა, რომ იგი ვირჯინიას დასთან ერთად ცხოვრობდა გლასიერში, იმ ამხანაგთან, რომელსაც ქუდების სახელოსნოს გახსნა უნდოდა. ჟერვეზა ახლა მის მოძებნას არც აპირებდა. პირველ ხანებში კი ძალიან განიცდიდა, წყალში თავის დახრჩობაზეც ფიქრობდა, მაგრამ ახლა უკვე გონს მოვიდა. მიაჩნია, რომ ყველაფერი მშვენივრად მოეწყო, რადგან ლანტიესთან ჟერვეზა ბავშვების ნორმალურად აღზრდას ვერც მოახერხებდა, ისეთი მფლანგველი იყო... თუ ლანტიე მოვა კლოდისა და ეტიენის სანახავად, ჟერვეზა გარეთ არ გაუძახებს. ხოლო რაც შეეხება ჟერვეზას, ის უმალ ნაჭერ-ნაჭერ ააკუწვინებს თავს, ვიდრე თითს დააკარებინებს ლანტიეს.

ჟერვეზა ამას გადაჭრით აცხადებდა. ეტყობოდა, რომ მტკიცედ შეემუშავებინა თავისი მომავალი ცხოვრების გეგმა, ხოლო კუპო, რომელსაც მისი დაუფლების სურვილზე

ხელი არ აეღო, ხუმრობდა, ყოველ მის სიტყვას სხვაგვარ მნიშვნელობას აძლევდა და მეტიმეტად თავისუფალი შეკითხვებით მიმართავდა მას ლანტიეს შესახებ. თანაც ისე მხიარულად, რომ ჟერვეზას ფიქრადაც არ მოსდიოდა, ეს სწყენოდა.

– თქვენ, ალბათ, სცემდით მას, – წამოიძახა ბოლოს კუპომ, – ოხ! თქვენ არა ხართ კეთილი! თქვენ ყველას ურტყამთ.

ჟერვეზამ ხანგრძლივი სიცილით შეაწყვეტინა სიტყვა. დიახ, ეს მართალია, მან მიტყიპა ის აყლაყუდა ვირჯინია. ისეთ გულზე იყო იმ დღეს, რომ შეეძლო დაეხრჩო კიდეც ვინმე. ჟერვეზას გულიანად გაეცინა, როცა კუპომ უამბო, ვირჯინია ძალიან დარდობდა, რომ ყველაფერი გამოუჩნდა იმ დღეს, ჩხუბისას და ამ უბნიდან აიბარგაო. ამის მიუხედავად, ჟერვეზამ უწყინარი, ბავშვური გამომეტყველებით გამოიშვირა ლამაზი ხელები და ჩუმად ჩაილაპარაკა, ბუზსაც კი არ გავსრესო. მერე კი დასძინა, განა მე არ ვიცი, რა არის ცემა, ამის მეტი რა მინახავს ცხოვრებაშიო. და მოჰყვა პლასანში გატარებული ახალგაზრდობის ამბავს. ამბობდა, სულაც არ ვყოფილვარ მსუბუქი ქალი, მამაკაცთან ყოფნა მოსაწყენადაც მიმაჩნდა, ხოლო, როდესაც ლანტიე დამეუფლა, თოთხმეტი წლის ვიყავიო. მომწონდა მასთან, რადგან მეუბნებოდა, შენი ქმარი ვარო. მე კი ოჯახობანას თამაში მეხალისებოდა. ჩემი ერთადერთი ნაკლი, – ირწმუნებოდა ჟერვეზა, – ის არის, რომ ძალიან მგრძნობიარე ვარ, ყველა მიყვარს, გულით მივენდობი ხოლმე ადამიანებს, და ბოლოს ისინი ათასი სისაძაგლით მიხდიან. ასეა მაშინაც, როდესაც მამაკაცი მიყვარს, სისულელეებზე კი არ ვფიქრობ იმ დროს, მხოლოდ იმას ვოცნებობ, რომ მუდამ ერთად ვიყოთ და ბედნიერად ვიცხოვროთ. მაგრამ კუპომ სიცილით გაახსენა ორი შვილი, რომლებიც, ალბათ, ბალიშის ქვეშ არ გეყოლებათ გამოჩეკილებიო, რის გამოც ჟერვეზამ თითებზე ხელი დაარტყა და დასძინა, რომ ისიც, რა თქმა უნდა, იმავე ცომისგან არის გამომცხვარი, რომლისგანაც სხვა ქალები, მაგრამ ტყუილად ფიქრობენ, რომ ქალები ამისთვის გიჟდებიან. ქალები ოჯახზე ფიქრობენ, წელში ოთხად მოხრილნი მუშაობენ შინ თუ გარეთ და საღამოობით იმდენად დაღლილები არიან, მაშინვე ძილი ერევათ. ამას გარდა, ჟერვეზა დედას ჰგავს. გამრჯე ქალი იყო დედამისი. იგი ზედმეტმა ჯაფამ მოკლა. ოცი წლის განმავლობაში როგორც მუშა პირუტყვი, ისე ემსახურებოდა ქმარს, მაკარს. ჟერვეზა ტანწვრილია, ხოლო მის დედას ისეთი მხარბეჭი ჰქონდა, ვაჟკაცს რომ შეშურდებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჟერვეზა მაინც მას ჰგავს უაღრესად მოსიყვარულე გულით. ცოტათი კოჭლობს. ესეც საბრალო დედისგან დაჰყვა, რომელსაც ქმარი ცემით აოსებდა. ერთი ასჯერ მაინც ჰქონდა დედას ნაამბობი მისთვის, რომ როდესაც მამა მთვრალი ბრუნდებოდა შინ, ისეთი პირუტყვული ალერსი იცოდა, ქალი სახსრებში იშლებოდა. უეჭველად, ჟერვეზა ერთ-ერთ ამისთანა ღამეშია ჩასახული და ფეხიც ამიტომ გამოჰყვა ოდნავ მოკლე.

– ოხ! ეს არაფერია, თითქმის არც კი ჩანს! – დასამშვიდებლად უთხრა კუპომ.

ჟერვეზამ თავი გაიქნია. ძალიან კარგად ვიცი, რომ მეტყობა. ორმოცი წლის რომ გავხდები, ალბათ ორად მოვიკაკვებიო. მერე კი წყნარად, მსუბუქი სიცილით შენიშნა: – უცნაური გემოვნება გქონიათ, კოჭლი ქალი რომ შეგიყვარდათ.

მაშინ კუპომ, რომელსაც იდაყვები ისევ მაგიდაზე ჰქონდა დაბჯენილი, სახე უფრო ახლოს მიუტანა ჟერვეზას და ძალიან გაბედული სიტყვებით მიუალერსა, თითქოს ამითი უნდოდა დაეთრო და გაებრუებინა ქალი, მაგრამ ჟერვეზა უარყოფის ნიშნად თავს იქნევდა, არ ნებდებოდა ცდუნებას, თუმცა ეს ტკბილად მოუბარი ხმა მას სასიამოვნოდ ჩაესმოდა. ჟერვეზა ყურს უგდებდა კუპოს, თან ქუჩისაკენ ეჭირა თვალი, და თითქოს ხელახლა დაინტერესებული ჩანდა ხალხის მოძრაობით: დაცარიელებულ დუქნებს უკვე გვიდნენ; ბოსტნეულითა და ხილით მოვაჭრე ქალმაც ბოლო შემწვარი კარტოფილი გამოიტანა, ხოლო მეძეხვე გაფანტულ თეფშებს ალაგებდა. სასადილო დუქნებიდან გუნდ-გუნდად გამოდიოდნენ მუშები. წვერულვაშიანი მამაკაცები ერთმანეთს ებღლაძუნებოდნენ, პატარა ბიჭებივით თამაშობდნენ, დალურსმულ ვეება ფეხსაცმელებს მიაბაკუნებდნენ და ქვაფენილს ფხაჭნიდნენ. ზოგს კი ჯიბეებში ჩაეწყო ხელები, დაფიქრებული სახით თუთუნს აბოლებდა და მზეს შეჰყურებდა თვალების ხამხამით. ქუჩები, ქვაფენილები, ქუჩის არხების ნაპირები, ყველაფერი ხალხით იყო გაჭედილი. ბლუზების, ქურთუკებისა და ძველი პალტოების ნაკადი ზანტად მიედინებოდა გაღებული კარებიდან და ეტლებთან ჩერდებოდა. შორს ქარხნის ზარები ირეკებოდა, მაგრამ მუშები არ ჩქარობდნენ, ჩიბუხებს უკიდებდნენ, ერთი სამიკიტნოდან მეორეში გადადიოდნენ და, ბოლოს, როგორც იყო გადაწყვეტდნენ სამუშაოზე წასვლას. წელში მოხრილები, ფეხათრევით მიდიოდნენ ქარხნისკენ. ჟერვეზა სამი მუშის თვალყურის დევნებით ერთობოდა: ერთი მათგანი მაღალი იყო, ხოლო ორი მომცრო ტანისა. ყოველ ათ ნაბიჯზე უკან იხედებოდნენ და, ბოლოს, როგორც იქნა, უკან დაბრუნდნენ. დაუყვნენ თავქვე ქუჩას და პირდაპირ ბიძია კოლომბის „ხაფანგში“ შემოლაგდნენ.

– კარგია! – წაიბუტბუტა ჟერვეზამ, – ეს სამნი მარჯვე ბიჭები ჩანან!

– ოჰ, – წამოიძახა კუპომ, – აი, იმ ახმახს ვიცნობ, წაღას ეძახიან ამხანაგები.

„ხაფანგი“ ხალხით აივსო. ხმამაღლა ყაყანებდნენ, ხრინწიანი ხმების გუგუნში მჭახე წამოძახილები იჭრებოდა. ზოგჯერ დახლზე დაკრული მუშტისგან მინებს ზრიალი გაჰქონდა. ყველანი ფეხზე იდგნენ, ზოგს მუცელზე დაეწყო ხელები, ზოგს – ზურგზე. პატარა ჯგუფებად შეკრებილი მსმელები ერთიმეორეს აწვებოდნენ. ზოგიერთი ჯგუფი იძულებული იყო არყის კასრების წინ თხუთმეტი წუთი ეცადა, სანამ ბიძია კოლომბს თავის წილ სასმელს შეუკვეთდა.

– როგორ! ეს არისტოკრატი მოცხარა არ არის? – წამოიყვირა წაღამ და ერთი მაგრად ჩასცხო ბეჭებში ხელი კუპოს, – ეს მშვენიერი ვაჟბატონი ჩიბუხს ეწევა და მოდური ტრუსიც აცვია!.. ყველა თავს ევლება!

– ეჰ! თავს ნუ მაბეზრებ! – წამოიძახა გაბრაზებულმა კუპომ.

მაგრამ „წაღა“ მაინც ხითხითებდა.

– გასაგებია! ჩვენც გვესმის ცოტა რამ, ძმობილო... ვიცით, ძაღლის თავი სადაც მარხია...

და ზურგი შეაქცია კუპოს მას შემდეგ, რაც საზარლად დაელმებული თვალები შეავლო ჟერვეზას. ოდნავ შემკრთალმა ქალმა უკან გაიწია. ჩიბუხების კვამლი და იქ მყოფ მამაკაცთა მძაფრი სუნი ალკოჰოლით გაჟღენთილ ჰაერში ადიოდა... ჟერვეზა იხრჩობოდა, ხველა აუვარდა.

– რა საზიზღრობაა ლოთობა! – წარმოთქვა მან ხმადაბლა. მერე კუპოს უამბო, რომ ის ოდესღაც დედასთან ერთად, პლასანში, ანისულს სვამდა. მაგრამ ერთ დღეს კინაღამ მოკვდა და მას შემდეგ არაყი შეზიზღდა; ლიქიორის დანახვაც არ შეუძლია.

– შეხედეთ, – დასძინა მან და თავისი ჭიქა უჩვენა, – მე ჩემი ქლიავი შევჭამე, ხოლო სითხე შიგ დავტოვე, რადგან სასმლისგან ცუდად ვხდები.

კუპოსაც არ ესმოდა, როგორ შეიძლება ასე ჭიქა ჭიქაზე არყის ხუხვა. ქლიავის წვენით შეზავებული სასმელი ერთხელ ან ორჯერ, არა უშავს რა. მაგრამ, აი, ეს ვიტრიოლი, აბსენტი და სხვა ამგვარი სისაზიზღრეები, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, არ გვჭირდება! ჩემს ამხანაგებს რამდენიც სურთ, იმდენი დამცინონ. მე კართან ატუზული ვრჩები, როცა ეს ყურუმსაღები არყის გადასაკრავად შელაგდებიან ხოლმე. მამაჩემს, რომელიც ჩემსავით მესახურავე იყო, თავი გაუსკდა ვოკენარის ქუჩის ქვაფენილზე: #25 სახლის სახურავიდან ჩამოვარდა მთვრალი. ყველას კარგად ახსოვს ეს ამბავი ჩვენს ოჯახში და ამიტომ ჭკვიანად იქცევიან. როცა ვოკენარის ქუჩაზე მივდივარ და იმ ადგილს შევხედავ, ვფიქრობ, ჯობს არხიდან ამოღებული წყალი ვსვა, ვიდრე სირაჯთან უფასოდ მიწოდებული ჭიქა არაყი გადავკრაო. ბოლოს კუპომ შემდეგი სიტყვებით დაასკვნა: – ჩვენს ხელობაში მაგარი მუხლია საჭირო.

ჟერვეზამ კალათა აიღო, მაგრამ არ წამომდგარა. კალათა მუხლებზე დაიდო, თვალი გაუშტერდა, ჩაფიქრდა, თითქოს ახალგაზრდა მუშის სიტყვებმა მის გულში ჩამარხული აზრები გააღვიძეს და მანაც წინათ თქმულთან დაუკავშირებლად ნელა წარმოთქვა: – ღმერთო ჩემო! მე პატივმოყვარე არა ვარ, დიდს არაფერს მოვითხოვ... ჩემი ოცნებაა მშვიდობიანი შრომა, ლუკმაპური მქონდეს მუდამ, სუფთა სორო მქონდეს დასაძინებლად, გესმით, ერთი საწოლი, ერთი მაგიდა და ორი სკამი, მეტი არაფერი!.. აჰ! ჩემი შვილების აღზრდასაც ვისურვებდი, რომ კარგი კაცები გამოსულიყვნენ, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა... ერთი ოცნება კიდევ მაქვს. მინდა, არავინ მცემდეს, თუკი ოდესმე ოჯახს მოვეკიდები. არა, ვერაფრით ავიტან, ვინმემ რომ ცემა დამიწყოს... აი, სულ ეს არის, გესმით, მხოლოდ ეს...

მერე ჟერვეზა თითქოს თავს დაეკითხა, კიდევ რაიმე სურვილი ხომ არ დამრჩენიაო, და ვერაფერი იპოვა იმდენად სერიოზული, რომ კიდევ ენატრა, მაგრამ ყოყმანის შემდეგ მაინც დაუმატა: – დიახ, ბოლოს, შეიძლება ერთი რამ მენატრა კიდევ: ჩემს

ლოგინში სიკვდილი... მე მთელი ჩემი ცხოვრება აქეთ-იქით ვეთრეოდი და სიამოვნებით მოვკვდებოდი საკუთარ ლოგინში, ჩემს ბინაში.

ჟერვეზა წამოდგა. კუპო, რომელიც ყველა მის სურვილს ხალისიანად კვერს უკრავდა, უკვე ფეხზე იდგა და დაგვიანების გამო შფოთავდა. მაგრამ ისინი მაშინვე მაინც არ გამოსულან სამიკიტნოდან. ჟერვეზამ ცნობისმოყვარეობა გამოიჩინა, მუხის ხის მოაჯირის იქით გადახედვა უნდოდა, რათა ენახა არყისსახდელი სპილენძის ქვაბი, რომელიც პატარა ეზოში თუხთუხებდა. მესახურავე გაჰყვა და აუხსნა კიდეც, როგორ იხდებოდა არაყი. თითით უჩვენებდა ხელსაწყოს სხვადასხვა ნაწილს. დაანახვა ჟერვეზას უზარმაზარი ქვაბიდან ანკარა წყაროსავით როგორ მოწანწკარებდა არაყი. ქვაბს პირქუში შესახედაობა ჰქონდა უჩვეულო ფორმის სათავსებითა და მილების დაუსრულებელი ხვეულებით. იგი ორთქლის არც ერთ ქულას არ უშვებდა, ძლივს ისმოდა მისი შინაგანი სუნთქვა, მიწის ქვეშიდან მომავალი ხიხინი, და გეგონებოდათ, დღის კაშკაშა შუქზე მძლავრი, კუშტი და მუნჯი მუშა ასრულებს ღამის სამუშაოსო.

წაღა და ორი მისი ამფსონი ტიხართან მიყუდებულიყვნენ და დახლზე რომელიმე კუთხის გათავისუფლებას ელოდნენ. წაღას სიცილი საპონწაუსმელი დანჯღრეული ურმის ჭრიალს მიუგავდა. მინაზებული თვალებით და თავის ქნევით მისჩერებოდა ლოთობის მანქანას. დალახვროს ღმერთმა! რა კარგი რამ არის! ამ უზარმაზარ სპილენძის ღიპში იმდენი მაინც იქნება, რომ ერთი კვირის განმავლობაში ყელი ჩაგისველოს. წაღა ისურვებდა, ამ კლაკნილი მილის ბოლო პირში ჩაედოთ მისთვის მოუშორებლად და ჯერ კიდევ თბილ ვიტრიოლს რაკრაკით ედინა მის სხეულში. მიდიოდეს და მიდიოდეს, ისე, რომ ფეხისგულამდე გრძნობდე ამ პატარა ნაკადულს. დასწყევლის ეშმაკი! თავის შეწუხებაც არ დასჭირდებოდა! იცოცხლე, ბეხრეკი ძია კოლომბის სათითის მაგივრობას გასწევდა ეს მილი. მისი ამხანაგები ხითხითებდნენ და იძახდნენ, ეს პირუტყვი წაღა სულ ტყუილად ტრაბახობსო. საარყე ქვაბი კი სპილენძის მკრთალ ანარეკლში ყრუდ, უალოდ, პირქუშად, სიხარულის ნაპერწკლის გაუელვებლად განაგრძობდა თუხთუხს და ალკოჰოლის ოფლი სდიოდა. არაყი ისე მიედინებოდა, როგორც ნელი და დაუშრეტელი ნაკადული, რომელსაც უნდა აევსო ეს დარბაზი, გარე ბულვარებზე დაღვრილიყო და წაელეკა უზარმაზარი ორმო – პარიზი. ჟერვეზას ტანში ჟრუანტელმა დაურბინა, უკან დაიხია. გაღიმებას ცდილობდა და თან ლუღლუღებდა: – რა სისულელეა, მამცივნებს, ამ მანქანის ბრალია... ეს სასმელი მყინავს...

მერე ისევ სანატრელი ბედნიერების აღთქმულ ოცნებას დაუბრუნდა: – ჰა? არა, განა? ასე არ ემჯობინება: იშრომო, ლუკმაპური ჭამო, საკუთარი სორო გქონდეს, გაზარდო შვილები და საკუთარ ლოგინშივე მოკვდე...

– და არავინ გცემდეს, – მხიარულად დაუმატა კუპომ, – მაგრამ მე არ გცემდით, მადამ ჟერვეზა, რომც მოგენდომებინათ... ამის შიში ნუ გექნებათ, მე სულ არ ვსვამ, ამას გარდა, ძალიან მიყვარხართ... ნახვამდის, ამ საღამოს ისევ შევხვდებით...

კუპომ ხმას დაუწია და პირი ახლოს, კისერთან მიუტანა ჟერვეზას, რომელსაც კალათა წინ ეჭირა და გზას იკაფავდა მამაკაცების ბრბოში. ჟერვეზა კვლავ თავს იქნევდა უარის ნიშნად, თუმცა უკან მოიხედა და გაუღიმა კუპოს. ეტყობოდა, ბედნიერი იყო იმ გარემოებით, რომ ეს კაცი არ სვამდა. ჟერვეზა, უეჭველად, ჰოს ეტყოდა კუპოს, ფიცი რომ არ ჰქონოდა დადებული, არც ერთ მამაკაცს აღარ გავეკარებიო.. ბოლოს, კარს მიუახლოვდნენ და გავიდნენ. უკან დარჩა ხალხით გაჭედილი „ხაფანგი“, საიდანაც ჩახრინწული ხმების გუგუნი და არყის სურნელება ქუჩაშიც გამოდიოდა. მოისმოდა წაღას ლანძღვა: იგი ძია კოლომბს თაღლითს უწოდებდა, ბრალს სდებდა, რომ ჭიქა მხოლოდ ნახევრად აუვსო. არა, წაღა ამ კოლოფში შემომსვლელი აღარ არის, გულში ცეცხლი უღვივის! და წაღამ წინადადება მისცა ორ ამხანაგს, წასულიყვნენ აქედან სირაჯხანაში, უცნაური სახელი რომ ერქვა: „პატარა კაცი, რომელიც ახველებს“, – სენ-დენის სადარაჯოსთან, სადაც არაყი გამოულეველია, ოხრად სვამენ.

– ახ! აქ შეიძლება სული მოითქვა! – წამოიძახა ჟერვეზამ ქუჩაში, – მაშ ასე! მშვიდობით და გმადლობთ, მუსიე კუპო... მალე დავბრუნდები შინ.

ჟერვეზას ბულვარზე უნდოდა გაევლო, მაგრამ კუპომ ხელში ხელი სტაცა და შეაჩერა: – ერთად წავიდეთ, რა! გუტ-დორის ქუჩაზე გავლით თქვენ ხომ გზა არ გაგიგრძელდებათ... ჩემს დასთან ვარ მისასვლელი, ვიდრე სახელოსნოში წავიდოდე... ერთად წავიდეთ.

ბოლოს ჟერვეზა დათანხმდა და წყნარად შეუდგნენ პუასონიერის ქუჩის აღმართს. ერთიმეორის გვერდით მიდიოდნენ, თუმცა ხელი არ მოუკიდიათ ერთმანეთისთვის. კუპო თავისი ოჯახის ამბავს მოუთხრობდა. მისი დედა წინათ ჟილეტების მკერავი იყო, ახლა კი შინამოსამსახურედ მუშაობს, რადგან თანდათან თვალთ აკლდება. კუპო ყველაზე უმცროსია, ნაბოლარა. მისი ერთი და, – მადამ ლერა, – ოცდათექვსმეტი წლის ქვრივი ქალია, მეყვავილეა და მუანის ქუჩაზე ცხოვრობს, ბატინიოლში, ხოლო მეორე და – ოცდაათი წლის ქალი, გათხოვილია მეძეწკვეზე, აი, იმ გაიძვერა ლორილეზე. კუპო ახლა სწორედ მათთან მიდის, გუტ-დორის ქუჩაზე. მისი და, მადამ ლორილე, დიდ სახლში ცხოვრობს, მარცხნივ. საღამოობით კუპო მათთან ვახშმობს. ამით სამივენი ფულს ზოგავენ. ახლა კუპო იქ მიდის, რათა ისინი გააფრთხილოს, რომ არ დაელოდონ, რადგან ის დღეს ერთ მეგობართანაა დაპატიჟებული.

ჟერვეზა ყურს უგდებდა, უეცრად სიტყვა შეაწყვეტინა, რათა ღიმილით ეკითხა: – მაშ თქვენ მოცხარას გეძახიან, მუსიე კუპო?

– ოხ! – მიუგო კუპომ, – ეს მეტსახელი ამხანაგებმა შემარქვეს, რადგან მე, ჩვეულებრივ, შავ მოცხარზე დაყენებულ სასმელს ვითხოვ იმ დროს, როცა ისინი ძალისძალად შემათრევენ ხოლმე სამიკიტნოში... რაც მოცხარაა, ის წაღა, ბარიბარში ვართ! უარესი ხომ არ არის?

– რა თქმა უნდა, „მოცხარა“ ცუდი არ არის, – განაცხადა ახალგაზრდა ქალმა.

მერე ჟერვეზამ სამუშაოს ამბავი ჰკითხა კუპოს. კუპომ უპასუხა, მუდამ აქ ვმუშაობ, საბაჟოს კედლის იქით, ახალ საავადმყოფოში. ოოხ! სამუშაო არ მაკლია, აქ წლის სამყოფი მექნება. სახურავის ღარებია ყველგან გასაკეთებელიო!

– იცით, თქვენ, – განაგრძო კუპომ, – რომ მე სასტუმრო „კაიგულს“ ვხედავ ხოლმე მაღლიდან... გუშინ თქვენ ფანჯარასთან იყავით და მე ხელი დაგიქნიეთ, მაგრამ ვერ შემნიშნეთ.

ამასობაში ასიოდე ნაბიჯი გაიარეს გუტ-დორის ქუჩაზე, კუპო შეჩერდა. მაღლა აიხედა და თქვა: – აი, ეს სახლია... მე უფრო მოშორებით დავიბადე, ოცდამეორე ნომერში... კაი ზორბა შენობაა, ყაზარმასავით დიდია!

ჟერვეზამ თავი მაღლა ასწია და სახლის ფასადი დაათვალიერა. ქუჩაში ამ სახლის ხუთი სართული გამოდიოდა, თხუთმეტი ფანჯარა ჰქონდა თითოეულს. მათი პირმომტვრეული შავი დარაბები ძველისძველი ნანგრევის იერს აძლევდა უზარმაზარ კედელს. ქვედა სართულზე ოთხი დუქანი განეთავსებინათ: ალაყაფის მარჯვნივ – სასადილო დუქანი უზარმაზარი დარბაზით, ხოლო მარცხნივ – მენახშირის, საწვრილმანო და ქოლგების სავაჭრო. სახლი მით უფრო გოლიათური ჩანდა, რადგანაც იგი მდებარეობდა ორ პატარა, უბადრუკ შენობას შორის. ეს უზარმაზარი, ოთხკუთხედი შენობა ჰგავდა უხეშად გათლილ კირქვის ლოდს, რომელიც წვიმის ქვეშ იფიტება და იფშხვნება. მოწმენდილ ცაზე, მეზობელი სახურავების ზემოთ მკვეთრად ჩანდა მისი ტლანქი უზარმაზარი კუბი, სატუსაღოსავით მარად შიშველი, გაულესავი და ჭუჭყისფერი კედლებით. ამ კედლების ქვების მწკრივები ბებერი ყბები გეგონებოდათ, თითქოს სიცარიელეში ამთქნარებენო. მაგრამ ჟერვეზა განსაკუთრებით ვეებერთელათაღიან კარს მისჩერებოდა. ეს კარი მეორე სართულზე ადიოდა, მისი თაღიანი შესასვლელის ბოლოში დიდი ეზოდან მკრთალი შუქი ბჟუტავდა. ქუჩის ქვაფენილივით მოკირწყლულ შესასვლელში მოვარდისფრო წყლის პატარა ნაკადი მოწანწკარებდა.

– შემოდით რა, – უთხრა კუპომ, – არ შეგჭამენ.

ჟერვეზას ქუჩაში უნდოდა მოეცადა, მაგრამ ვერ მოითმინა და თაღიანი შესასვლელი გაიარა მეკარის ბინამდე, რომელიც მარჯვენა მხარეზე იყო. კარის ზღურბლზე მან კვლავ მაღლა აიხედა. ამ სახლის შიგნითა ფასადი ექვსსართულიანი იყო და ეზოს ვეება კვადრატს ავსებდა. მისი ნაცრისფერი, თითქოს ყვითელი კეთრით შეჭმული, სახურავიდან ჩამოჟონილი წვიმით დახაზული კედლები ბრტყლად აღმართულიყო, არც ერთი ჩუქურთმა არ ამშვენებდა, მხოლოდ სართულებზე მუქად მოჩანდა ტყვიის მოღუნული საწვიმარი მილების პირდაღებული ღარები. უდარაბო ფანჯრები მღვრიე მწვანე ფერის შუქის თვალებით იყურებოდნენ. ზოგიერთი მათგანი გამოღებული იყო და შიგ გასამზეურებლად გამოფენილი ცისფერუჯრიანი ლეიბები მოჩანდა. დანარჩენი სარეცხი ფანჯრების წინ თოკზე შრებოდა. ეს იყო მთელი ოჯახის საცვლები, მამაკაცის პერანგები, ქალის ბლუზები, ბავშვის შარვლები. მესამე

სართულის ერთ-ერთ ფანჯარაში ჩვილის დასვრილი ჩვრები გამოეფინათ. ზემოდან დაწყებული ქვემო სართულებამდე თვალში გეცემოდათ პატარ-პატარა ბინები, რომელთა ყოველი ჭუჭრუტანიდან სიღატაკე იჭვრიტებოდა.

ქვემოთ, თითოეულ ფასადში ვიწრო და მაღალი, სრულიად მოუფიცრავი შესასვლელი კარი უბრალოდ იყო გამოჭრილი კედელში. კარის გაგრძელებას წარმოადგენდა კედლებდახეთქილი დერეფანი, რომლის ბოლოშიც რკინისმოაჯირიანი კიბის ჭუჭყიანი საფეხურები იწყებოდა. კიბე, რიცხვით ოთხი, კედელზე დახატული ანბანის პირველი ასოებით იყო აღნიშნული, სარდაფის სართულები, რომელთა ფანჯრებიც მტვერს გაეშავებინა, უზარმაზარ სახელოსნოებს ეჭირა. აქეთ ზეინკლის ქურა გიზგიზებდა, მოშორებით კი დურგლის რანდის ხმაური ისმოდა, ხოლო მეეზოვის ბინის ახლოს მოთავსებული იყო სამღებრო, საიდანაც მოვარდისფრო წყლის ნაკადი გადმოდიოდა ჩხრიალით და გასასვლელისკენ მიედინებოდა. შეფერადებული წყლის გუბეებით გაჭუჭყიანებულ, ბურბუშელითა და ნახშირით მოფენილ და ქვაფენილიდან ამოვარდნილი ქვების ადგილას გაბალახიანებულ ეზოს მზის ჩახჩახა შუქი ეფინებოდა. ეზო ორად იყოფოდა ხაზით, რომლის იქითაც მზის სინათლე აღარ მიდიოდა. ჩრდილის მხარეს, სადაც შადრევნის ონკანის გამო მუდმივი სისველე იყო, სამი პატარა ვარიკა ჭუჭყიანი ფეხებით მიწას ქექავდა ჭიაყელების მოსაძებნად. ჟერვეზა წყნარად ავლებდა თვალს ირგვლივ: მეექვსე სართულიდან დაიწყებდა, მერე დაბლა, ქვაფენილზე ჩამოაყოლებდა, მერე ისევ აიხედავდა. გაოცებული შენობის სიდიდით, ისე გრძნობდა, თითქოს გარშემო იყო მთელი ქალაქი, რომლის გულშიც ეს ცოცხალი გოლიათი აღმართულიყო.

– თქვენ ვინ გნებავთ, მადამ? – შესძახა მას ცნობისმოყვარე მეკარე ქალმა, რომელიც კარის დირეზე გამოჩნდა.

ახალგაზრდა ქალმა აუხსნა, ერთ კაცს ველოდებიო და კვლავ ქუჩაში გავიდა. მერე, რადგანაც კუპოს შეაგვიანდა, ისევ ეზოში შემობრუნდა და კვლავ თვალიერება დაიწყო. ჟერვეზას ეს სახლი მახინჯად არ ეჩვენებოდა. ფანჯრებში გამოფენილ ძონძებს შორის მხიარული, ნათელი კუთხეებიც ჩანდა, – ქილაში გაშლილი მიხაკი, იადონის გალია, საიდანაც ჭიკჭიკის ხმა გამოდიოდა, და სარკეები, რომლებიც ჩრდილის სიღრმეში მოციმციმე შუქის მრგვალ ვარსკვლავებს ისროდნენ. დურგალი მღეროდა შალაშინის თანაბარზომიერი ხმის აკომპანემენტზე, ხოლო ზეინკლის სახელოსნოში ჩაქუჩის გამოზომილი ვერცხლისებრი წკარუნი ისმოდა. ამას გარდა, თითქმის ყველა გაღებულ ფანჯარაში, ამ სიღატაკის ფონზე ბავშვების მოთხუპნილი და მოცინარი თავები მოჩანდა. ქალები კერავდნენ, დამშვიდებული პროფილებით სამუშაოსკენ დახრილნი. საუზმის შემდეგ ახალდაწყებული მუშაობის საათი იყო. ოთახებში მამაკაცები არ ჩანდნენ. გარეთ იყვნენ სამუშაოზე გასულნი. სახლში სიწყნარე სუფევდა, რომელსაც არღვევდა მხოლოდ ხელოსანთა ხმაური და ერთფეროვანი და ძილის მომგვრელი ღიღინი, რომელიც მთელი საათების განმავლობაში გაისმოდა. ეზო ცოტათი ნესტიანი იყო. ჟერვეზა რომ აქ ცხოვრობდეს, ბინას შიგნით აირჩევდა, მზიან მხარეს. მან ხუთი თუ ექვსი ნაბიჯი გადადგა და

ღატაკი ბინების შმორიანი, დიდი ხნის მტვრისა და ჩამკვდარი ჭუჭყის სუნი შეისუნთქა. მაგრამ, რადგანაც სამღებრო წყლის მძაფრი სუნი ჭარბობდა, გაიფიქრა, რომ აქ უფრო ცუდი ჰაერი იყო, ვიდრე სასტუმრო „კაიგულში“! მან უკვე ამოირჩია აქ თავისთვის ერთი ფანჯარა მარცხენა კუთხეში. ფანჯარა, რომლის წინაც პატარა ყუთი იყო ესპანური ლობიოთი. ლობიოს წვრილ ღეროებს უკვე დაეწყო კანაფის თალარის ირგვლივ შემოხვევა.

– ეჰე! მე თქვენ ბევრი გალოდინეთ! – წარმოთქვა კუპომ, რომელიც უეცრად ქალის გვერდით გაჩნდა, – ერთი ამბავი ატყდება ხოლმე, როცა იმათთან არ ვსადილობ. მით უმეტეს, დღეს ჩემს დას ხბოს ხორცი უყიდია.

რადგან ჟერვეზა მოულოდნელობისგან ცოტა შეკრთა, კუპომ თვალი შეავლო შენობას და განაგრძო: – თქვენ ამ სახლს ათვალიერებდით. ეს სახლი მუდამ თავით ბოლომდე გაჭედილია. ჩემი აზრით, აქ სამასამდე მობინადრე იქნება... მე რომ ავეჯი მქონოდა, აქ ერთ ოთახს ვიშოვიდი... აქ ცხოვრება კარგი იქნებოდა, არა?

– დიახ, კარგი იქნებოდა, – წაიბუტბუტა ჟერვეზამ, – პლასანში მთელ ჩვენს ქუჩაზე არ ყოფილა ამდენი ხალხი... შეხეთ, რა კარგია, აი, ის ფანჯარა მეხუთე სართულზე, სადაც ლობიოა.

მაშინ კუპომ თავისებური სიჯიუტით კვლავ ჰკითხა ქალს: თანახმა ხართ თუ არაო. თუ მათ საერთო საწოლი ექნებოდათ, აქ ოთახის დაქირავებასაც შეძლებდნენ. მაგრამ ქალმა თავს უშველა და საჩქაროდ გასასვლელისკენ გაეშურა. იგი ეხვეწებოდა კუპოს, სისულელეების ლაპარაკისთვის თავი დაენებებინა. მთელი სახლი რომ დაინგრეს, არავითარ შემთხვევაში ერთ საბანქვეშ არ დავიძინებ თქვენთანო. მიუხედავად ამისა, კუპომ, როცა მადამ ფოკონიეს სამრეცხაოს წინ ეთხოვებოდა ჟერვეზას, წუთით მისი ხელი თავის ხელში გააჩერა და ქალმაც უშფოთველად მიიღო ეს.

ერთი თვის განმავლობაში გრძელდებოდა კარგი განწყობილება ახალგაზრდა ქალსა და მესახურავეს შორის. კუპოს ძალიან მხნე, გამრჯე ქალად მიაჩნდა ჟერვეზა, როცა ხედავდა, რომ ის მუშაობას თავს აკლავდა, უვლიდა ბავშვებს და საღამოობით, რაღაც-რაღაცების შესაკერავად პოულობდა დროს. არიან უსუფთაო, ქეიფისა და პირის პატივის მოყვარული ქალები, მაგრამ დასწყევლის ღმერთი ამ გოგოს! არაფრით რომ იმათ არ წააგავს, ძალიან სერიოზულად უყურებს ცხოვრებას! ჟერვეზა იცინოდა და თავს მოკრძალებით იცავდა. ამბობდა, ჩემდა საუბედუროდ, ყოველთვის ასეთი გონიერი არ ვყოფილვარო. შეახსენებდა კუპოს პირველ სასიყვარულო კავშირს, თოთხმეტი წლის ასაკში დაწყებულს და დედასთან ერთად მრავლად გამოცლილ ანისულის ბოთლებს. გამოცდილებამ მხოლოდ ცოტათი გამომასწორა, მეტი არაფერიო. მცდარია, ვინც ფიქრობს, რომ მე ძლიერი ნებისყოფა მაქვსო. პირიქით, ძალიან სუსტი ხასიათისა ვარ, საითაც ხელს წამკრავენ, იქით მივდივარ, იმის შიშით, რომ არავის არაფერი ვაწყენინოო. ჩემი ოცნებაა კარგ საზოგადოებაში ცხოვრება, რადგან ცუდი წრე ხაფანგს ჰგავს, რომელიც თავის ქალას გაგიჭეჭყავს და ერთი

დაკვრით ისე გააბრტყელებს და მიწასთან გააწორებს ქალს, რომ არარაობად აქცევსო. ჟერვეზას ცივ ოფლს ასხამდა, როდესაც მომავალზე ფიქრობდა და თავს ჰაერში ასროლილ გროშს ადარებდა: შემთხვევაზეა დამოკიდებული, პირით დაეცემა ქვაფენილზე თუ ზურგითო. ის, რაც მას ბავშვობისას თავისი თვალით უნახავს, ის ცუდი მაგალითები ჭკუის სასწავლებლაც ქცეულიყო მისთვის. მაგრამ კუპო ხუმრობად აქცევდა ხოლმე მის აზრებს, ამხნევებდა და ამავე დროს ცდილობდა მისთვის თეძოზე ეჩქმიტა: ქალი ხელს ჰკრავდა, ხელებზე ურტყამდა, მაგრამ კუპო სიცილით უყვიროდა, სუსტი ხასიათის ქალად ვერ ჩაითვლებით, ძნელი დასაპყრობი ბრძანდებითო. დღეებს დღეები მოსდევს, დასწყევლის ეშმაკი! ლუკმაპური და თავშესაფარი მუდამ იქნება! კუპოს ეს უბანი სუფთად მიაჩნდა, მხოლოდ ამბობდა, ლოთებისგან უნდა გაიწმინდოსო. კუპო არ იყო ცუდი ბიჭი, ზოგჯერ ძალიან გონივრულადაც მსჯელობდა, კოხტაობაც უყვარდა, თმა გვერდზე ჰქონდა გემოვნებით გადავარცხნილი, ფეხსაცმელიც მუდამ გაკრიალებული ეცვა. ამასთანავე ყოჩაღიც იყო, ხელმარჯვე და მხიარული, სიტყვამოსწრებული პარიზელი მუშა. უყვარდა ხუმრობაც, რაც ძალიან უხდებოდა.

ბოლოს საქმე იმით დაბოლოვდა, რომ ორივენი ათასნაირ სამსახურს უწევდნენ ერთმანეთს სასტუმრო „კაიგულში“. კუპო ჟერვეზასთვის რძის მოსატანად დადიოდა, სხვადასხვა დავალებაზე ეგზავნებოდა და მისი სარეცხის ბოხჩებსაც ეზიდებოდა. ხშირად, საღამოობით, როცა სამუშაოდან ადრე დაბრუნდებოდა, მისი შვილები მიჰყავდა სასეირნოდ გარე ბულვარებზე. ჟერვეზა ამ თავაზიანობის საპასუხოდ ადიოდა სახურავის ქვეშ მოთავსებულ მის პატარა საძინებელ ოთახში და მთელ მის ტანისამოსს აწესრიგებდა, პერანგებზე ღილებს უკერებდა, ტილოს ქურთუკებს კემსავდა. ძალიან დაახლოვდნენ კიდეც. ჟერვეზა გახალისდებოდა ხოლმე, როდესაც კუპო მასთან იმყოფებოდა. სიამოვნებით უსმენდა კუპოს სიმღერებს და პარიზის გარეუბნების გონებამახვილურ ხუმრობებს, რაც ჟერვეზასთვის ჯერ კიდევ ახალი ხილი იყო. კუპოს მით მეტი ცეცხლი ედებოდა, რაც მეტს ეხახუნებოდა ამ ქალის კაბას. ის გულდაკოდილი იყო და ძალიან მაგრადაც. ბოლოს ეს გაუთავებელი მოლოდინი შემაწუხებელი შეიქნა მისთვის. თუმცა კვლავინდებურად განუწყვეტლივ იცინოდა, მაგრამ ეს სიმწრის სიცილი იყო, გული ეხურებოდა, ცუდად ხდებოდა და ეს უკვე აღარ იყო სასიამოვნო. სისულელეების ლაპარაკიც კვლავ გრძელდებოდა: ისე არ შეხვდებოდა ჟერვეზას, რომ არ ეკითხა: „როდისღა?“ ქალს ესმოდა, რაც უნდოდა ამით ეთქვა კუპოს, და ისიც უპასუხებდა: „როდინობის კვირაში“. მაშინ კუპო ჟერვეზას გასაბრაზებლად ფლოსტებით ხელში მივიდოდა ხოლმე მასთან, ვითომდა უკვე გადმოვსახლდიო. ჟერვეზა ხუმრობად მიიჩნევდა ამ ყველაფერს. ასე მხიარულად ატარებდა ახალგაზრდა ქალი დროს კუპოს გამუდმებულ მასხრობასა და ნართაულ ლაპარაკში. ოღონდ კუპო უხეში ნუ იქნებოდა, თორემ სხვა დანარჩენს ჟერვეზა ყველაფერს აპატიებდა. მხოლოდ ერთხელ გაჯავრდა, როდესაც კუპომ ძალით კოცნა მოუნდომა.

ივნისის ბოლო რიცხვებში კუპომ მთლად დაკარგა სიმხიარულე. მზად იყო ყველაფერი ჩაედინა. ზოგჯერ ისე უყურებდა ჟერვეზას, რომ შეშფოთებული ქალი ღამღამობით ბარიკადებს აწყობდა. სამი დღის უბრობის შემდეგ, რაც კვირიდან სამშაბათამდე გაგრძელდა, უეცრად სამშაბათ საღამოს, დაახლოებით თერთმეტ საათზე, კუპომ ჟერვეზას კარზე მიუკაკუნა. ქალს არ უნდოდა კარის გაღება, მაგრამ კუპოს ისეთი წყნარი და აკანკალებული ხმა ჰქონდა, რომ ბოლოს კარზე მიდგმული კამოდი გასწია. როცა კუპო ოთახში შევიდა, ჟერვეზას ეგონა, ავად არისო, ისეთი ფერმკრთალი იყო, ისე გაფითრებული სახე და დაწითლებული თვალები ჰქონდა. კუპო ერთ ადგილას გაჩერდა, თავს იქნევდა და ლუღლუღებდა: – არა, არა, ავად არ ვყოფილვარ, ჩემს ოთახში ვიყავი ზემოთ და მთელი ორი საათი ვტიროდი, ბალიშს ვკბენდი, რომ მეზობლებს არ გაეგოთ ჩემი ტირილი. აგერ სამი ღამეა არ მძინავს, არ შეიძლება, რომ ეს ასე გაგრძელდეს.

– ყური დამიგდეთ, მადამ ჟერვეზა, – ყრუ ხმით გააგრძელა და ცრემლი ყელში მოებჯინა, – ბოლო ხომ უნდა მოეღოს ამას? ჩვენ უნდა ჯვარი დავიწეროთ. მე ძალიან მსურს ეს და გადაწყვეტილიც მაქვს.

ჟერვეზა განცვიფრებული ჩანდა და ძალიან სერიოზული სახე ჰქონდა.

– ოხ! მუსიე კუპო! – წაიბუტბუტა მან, – ეს რა მოგიგონიათ! მე ხომ არასოდეს ეს არ მითხოვია თქვენთვის. თქვენ კარგად იცით... მე ეს შეუფერებლად მიმაჩნდა ჩემთვის, მეტი არაფერი... ოხ! არა! არა! ახლა უკვე მართლა სერიოზულად გელაპარაკებით, კარგად დაუფიქრდით, გთხოვთ ამას.

მაგრამ კუპო თავს იქნევდა ურყევი გადაწყვეტილების ნიშნად. ყველაფერი მოფიქრებულია. ის იმიტომ ჩამოვიდა მაღლიდან, რომ სურს ერთი ღამე მაინც მშვიდად გაატაროს. ნუთუ ჟერვეზა მას ისევ უკან გაისტუმრებს მაღლა, რომ მან იტიროს! ოღონდ ჰო უთხრას ჟერვეზამ და აღარ შეაწუხებს, შეუძლია მერე დამშვიდებით იძინოს. კუპოს მხოლოდ ეს ჰო უნდა მისგან მოისმინოს, ლაპარაკით კი ხვალ მოილაპარაკებენ.

– რა თქმა უნდა, მე ამნაირად ჰოს არ ვიტყვი, – მიუგო ჟერვეზამ, – არ მინდა, შემდეგ დამაბრალოთ, რომ სისულელე ჩაგადენინეთ. გამიგონეთ, მუსიე კუპო, ძალიან ცდებით, რომ ასე ჯიუტობთ. თქვენ თვითონაც არ იცით, რას გრძნობთ ჩემდამი. ნაძლევს დავდებ, ერთი კვირის განმავლობაში რომ არ მნახოთ, ყველაფერი დაგავიწყდებათ. მამაკაცები ხშირად ცოლს ერთი ღამისთვის ირთავენ, პირველი ღამისთვის. მერე ღამეებს ღამეები მოჰყვება, დღეები დღეებს შეცვლის, ისინი კი მთელი სიცოცხლე გასულელებულები რჩებიან... დაბრძანდით, მე ახლავე მსურს ლაპარაკი.

და ღამის პირველ საათამდე, ბნელ ოთახში, რომელსაც მკრთალად ანათებდა ქონის სანთელი, რომლის პატრუქის გაწმენდაც დავიწყდებოდათ, ისინი თავიანთ ქორწინებაზე თათბირობდნენ. ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, რათა არ გაეღვიძებინათ

ორი ბავშვი, კლოდი და ეტიენი, რომელთაც ერთ ბალიშზე ედოთ თავები და ძილში აჩქარებით სუნთქავდნენ. ჟერვეზა ლაპარაკის დროს წამდაუწუმ უბრუნდებოდა მათ, კუპოს უთითებდა მათზე, ძალიან ახირებული მზითევი გამომყვებაო, – ეუბნებოდა. არა, მას არ შეუძლია კაცს ზურგზე ორი ბალღი აჰკიდოს. ამას გარდა, მას რცხვენია: რას იტყვიან უბანში? ყველამ იცის, რომ ჟერვეზას საყვარელი ჰყავდა, მთელი მისი ამბავი იციან. და უცებ გამომჟღავნდება, რომ ორ თვესაც არ გაუვლია და მათ უკვე ჯვარი დაიწერეს. არ ივარგებს ეს. მაგრამ ყველა ამ გონიერი მოსაზრების საპასუხოდ კუპო მხოლოდ მხრებს იჩეჩდა. რაში ეკითხება მას უბანი! ის ხომ არ ჰყოფს ცხვირს სხვის საქმეში! რა არის იმაში ცუდი, რომ ჟერვეზას წინათ ლანტიე ჰყავდა. ხომ პატიოსნად ცხოვრობდა მასთან, მამაკაცები ხომ არ მიჰყავდა სახლში, როგორც ამას სხვა მრავალი ქალი სჩადის, ზოგი ძალიან მდიდარიც. ხოლო, რაც შეეხება ბავშვებს, ბავშვები გაიზრდებიან, ერთად გაზრდიან მათ, დალახვროს ეშმაკმა. კუპო ხომ ვერასოდეს იპოვის ისეთ მხნე და გულად ცოლს, ისეთ კარგსა და სიკეთით შემკულს, როგორიც ჟერვეზაა. ესეც რომ არ იყოს, ჟერვეზა ქუჩაში ნათრევი, მახინჯი და უქნარაც რომ ყოფილიყო და თუნდ მას საზიზღარი, ჭუჭყიანი ბავშვების მთელი ხროვა ჰყოლოდა, კუპო ამას მაინც არაფრად ჩააგდებდა, რადგან მას სურს ჟერვეზა.

– მე თქვენ მინდიხართ, – იმეორებდა კუპო და მუშტებს ირტყამდა მუხლებზე, – კარგად შეიგნეთ, რომ მე მინდიხართ, ხომ არაფერი ითქმის ამის საწინააღმდეგო?

ჟერვეზა ნელ-ნელა მოლბა. გული მოუდუნდა, გრძნობა მოერია ტლანქი სურვილის ზეგავლენით, რომელიც თანდათან გარს ებურებოდა. ჟერვეზა მხოლოდ მოკრძალებული სიტყვებით ბედავდა კიდევ წინააღმდეგობის გაწევას, ხელები მუხლებზე ჰქონდა ჩამოყრილი და სახე სინაზით ევსებოდა. გარედან, გაღებულ ფანჯარაში, მშვენიერი ივნისის ღამის ცხელი სუნთქვა იჭრებოდა და მსუბუქად ხვდებოდა შანდალს, რომელშიც სანთლის გრძელი პატრუქი ნაღვერდალივით ღვიოდა. მიძინებული უბნის სიჩუმეს მხოლოდ ქუჩაზე გულაღმა გაგორებული მთვრალი მამაკაცის ბავშვური ქვითინი არღვევდა. ძალიან შორს, რომელიღაც რესტორანში, რომელიღაც შეგვიანებული კომპანიისთვის ვიოლინო კადრილს[4] უკრავდა თავგამოდებით. და ეს სუფთა, კრისტალური ხმები გარმონზე დაკრულ ფრაზასავით დაყოფილ ბგერებად ირხეოდა. როდესაც კუპომ შეამჩნია, რომ ახალგაზრდა ქალს ყველა საწინააღმდეგო მოსაზრება გამოელია, რომ ის გაჩუმდა და გაურკვეველი ღიმილი უთამაშებდა სახეზე, მან მაგრად დაუჭირა ხელები და თავისკენ მიიზიდა. ჟერვეზა იმ თავდავიწყების წუთს განიცდიდა, რომლისაც მუდამ ასე ეშინოდა. ის დაძლეული, ამასთან გადაჭარბებით აღელვებულიც იყო იმისთვის, რომ უარის თქმა შესძლებოდა ან ვისთვისმე ეწყენინებინა. მაგრამ კუპო ვერ მიხვდა, რომ ქალი ნებდებოდა და მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ ხელებზე ხელი მოუჭირა მაგრად. ორივემ ერთად ამოიოხრეს და ამ მსუბუქ ტკივილში გამოსავალი პოვა მათმა სინაზემ.

– თქვენ ჰოს ამბობთ, არა? – შეეკითხა კუპო.

– როგორ მტანჯავთ, – წაიბუტბუტა ჟერვეზამ, – თქვენ ასე გსურთ? ძალიან კარგი, დაე იყოს ჰო... ღმერთო ჩემო, შესაძლოა, დიდ სისულელეს ჩავდივართ ახლა!

კუპო წამოდგა, წელზე ხელი შემოხვია ჟერვეზას და მაგრად აკოცა სახეზე, სადაც მოუხვდა. შემდეგ, რადგანაც ამ ალერსმა დიდი ხმაური გამოიწვია, კუპო შეშფოთდა, კლოდსა და ეტიენს გადახედა და ფეხაკრეფით გაიარა.

– ჩუ! ჭკვიანად მოვიქცეთ, – წარმოთქვა მან, – ბავშვების გაღვიძება არ არის საჭირო. ხვალამდე.

და თავის ოთახში ავიდა. მთლად აცახცახებული ჟერვეზა თითქმის ერთი საათი იჯდა საწოლის პირას და ტანისამოსის გახდას არ ფიქრობდა. გულაჩვილებული იყო. ძალიან პატიოსან ადამიანად ეჩვენა მას კუპო. იმ დროს, როდესაც დარწმუნდა, რომ სადაცაა დანებდებოდა, კუპო ადგა და დასაძინებლად წავიდა...

ქუჩაში, ფანჯრის ქვემოთ, მთვრალი მამაკაცი დასაკლავად გამზადებული პირუტყვივით ზმუოდა, ხოლო შორს განწირული ვიოლინო დადუმდა.

შემდეგ დღეებში კუპო ცდილობდა ჟერვეზა დაეთანხმებინა, რომ მის დასთან წაჰყოლოდა გუტ-დორის ქუჩაზე. მაგრამ მეტად მოკრძალებულ ახალგაზრდა ქალს დიდ შიშს ჰგვრიდა ეს დარბაზობა ლორილეებთან. ჟერვეზა მშვენივრად ამჩნევდა, რომ კუპოს გულში შიში ჰქონდა იმ ოჯახის. მართალია, დამოუკიდებელი იყო თავისი დისგან, რომელიც მასზე უფროსიც არ იყო. დედამისი კი ორივე ხელით დალოცავდა კუპოს, რადგანაც იგი არასოდეს არ უწევდა წინააღმდეგობას ვაჟიშვილს. ლორილეებს მთელ ნათესაობაში სახელი ჰქონდათ გავარდნილი, რომ დღეში ათ ფრანკს შოულობდნენ თავიანთი შრომით და ამის გამო დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ მოპოვებული. კუპო ისე ვერ გაბედავდა ცოლის შერთვას, თუ პირველ ყოვლისა, მისი საცოლე ლორილეებისთვის არ იქნებოდა მისაღები.

– მე მათ ველაპარაკე თქვენზე, მათ იციან ჩვენი გეგმები, – უხსნიდა კუპო ჟერვეზას, – ღმერთო ჩემო! რა ბავშვი ხართ! ამ საღამოს წავიდეთ... მე ხომ გაფრთხილებული მყავხართ, არა? ჩემი და ცოტა უხეში გეჩვენებათ. ლორილეც არ არის მაინცდამაინც მუდამ ზრდილობიანი. გულის სიღრმეში კი ისინი ძალიან შეშფოთებულნი არიან, რადგან თუ მე ცოლი შევირთე, იქ აღარ ვისადილებ და ამით ცოტაოდენი შემოსავალი მოაკლდებათ. მაგრამ ეს არაფერია, თქვენ გარეთ მაინც არ გამოგაგდებენ. ჩემთვის გააკეთეთ ეს, აუცილებლად საჭიროა.

ეს სიტყვები უფრო მეტად აშინებდა ჟერვეზას. ერთ შაბათ საღამოს იგი მაინც დათანხმდა. კუპო ცხრის ნახევარზე მოვიდა მის წასაყვანად. ჟერვეზა მოირთო. შავი კაბა ჩაიცვა, ყვითელსახეებიანი, დაჭდეული, მატყლნარევი მუსლინის[5] შალი წამოისხა, წვრილ ბაფთებშემოვლებული თეთრი თავსაბურიც დაიხურა. მან ექვსი კვირის განმავლობაში მუშაობით დააგროვა შვიდი ფრანკი შალისთვის და ორი

ფრანკი და ორმოცდაათი სუ თავსაბურავისთვის. კაბა კი ძველი იყო – გაწმენდილი და გადაკეთებული.

– ისინი გელოდებიან, – უთხრა მას კუპომ, სანამ პუასონიერის ქუჩის მხრიდან უხვევდნენ, – ოხ! თანდათან უკვე ეჩვევიან იმ აზრს, რომ ცოლი უნდა შევირთო. ამ საღამოს ძალიან თავაზიანი შესახედაობა აქვთ... ამას გარდა, თუ თქვენ არასოდეს არ გინახავთ, როგორ კეთდება ოქროს ძეწკვები, გაერთობით ამისი ნახვით. მათ სწორეთ ახლა აქვთ ერთი სასწრაფო შეკვეთა ორშაბათისთვის.

– ოქრო სახლში აქვთ? – შეეკითხა ჟერვეზა.

– მაშ! ოქრო მათ კედლებზეც აქვთ, ძირსაც უყრიათ, ყველგან ოქროა.

ამასობაში მათ თაღიანი შესასვლელი გაიარეს და ეზოში შევიდნენ. ლორილეები მეექვსე სართულზე ცხოვროდნენ, კიბე B-სთან. კუპო სიცილით უყვიროდა ჟერვეზას, მაგრად მოეჭიდეთ მოაჯირს, ხელი არ გაუშვათო. ჟერვეზამ თავი მაღლა ასწია და თვალები მოჭუტა, როცა თითქმის მორღვეული კიბე დაინახა. ყოველი ორი სართულის შემდეგ თითო, ე.ი. სულ სამი აირმაშუქი ანათებდა სახიფათო საფეხურებს.

– ეჰე! – წამოიძახა კუპომ, როცა პირველი სართულის ბაქანზე ავიდა, – ხახვის გემრიელი სუნი ტრიალებს, აქ უსათუოდ წვნიანი მიურთმევიათ.

მართლაც, ეს ნაცრისფერი, უსუფთაო მოაჯირი და საფეხურებგაჭუჭყიანებული კიბე B, დაფხაჭნილი კედლებით, რომლებსაც თაბაშირი უჩანდა, ჯერ ისევ სამზარეულოს ძლიერი სუნით იყო გაჟღენთილი. ყოველი ბაქნის გვერდით ახმაურებული დერეფანი მიდიოდა, იღებოდა ყვითლად შეღებილი კარები, რომელთაც ხელით გაჭუჭყიანებული სახელურები ჰქონდათ. ფანჯრების გასწვრივ ტყვიის ღარებიდან შმორისა და სიმყრალის სუნი ამოდიოდა და შემწვარი ხახვის მკვეთრ სურნელებაში ირეოდა. ქვედა სართულიდან დაწყებული მეექვსე სართულამდე ყველგან ჭურჭლის ჩხარუნის, ტაფებისა და ქვაბების ხეხვის ხმაური ისმოდა. პირველ სართულზე ჟერვეზამ ოდნავ გამოღებულ კარში, რომელზედაც დიდი ასოებით გაეკეთებინათ წარწერა – „მხაზველი“, ორი მამაკაცი დაინახა; ისინი მუშამბაგადაფარებულ და უკვე ალაგებულ მაგიდას მისხდომოდნენ და, საკუთარი ჩიბუხების ბოლში გახვეულნი, რაღაცაზე გაცხარებით ლაპარაკობდნენ. მეორე და მესამე სართულზე მეტი სიწყნარე იყო. იქიდან მხოლოდ ფიცრულების ჭუჭრუტანაში გამოდიოდა ბავშვის საწოლის თანაბარზომიერი რწევის ხმა, ყრუდ ისმოდა ჩვილის ტირილი და ქალის ბოხი ხმის გაურკვეველი, ნაკადისებური ბუტბუტი. კარებზე მიკრულ აბრებზე ჟერვეზას შეეძლო შემდეგი სახელები წაეკითხა: მადამ გოდრონი, მჩეჩავი, და მოშორებით: მუსიე მადინიე, მუყაოს სახელოსნო. მეოთხე სართულზე ჩხუბი გაემართათ. იატაკს აზანზარებდა ფეხების ტყაპუნი და აქეთ-იქით გასროლილი ავეჯის ბრახაბრუხი. მოჩხუბართა ეს საშინელი ლანძღვა და ცემა-ტყეპა მათ პირდაპირ მყოფ მეზობლებს ხელს არ უშლიდა, ბანქო ეთამაშათ და კარიც გამოეღოთ ჰაერის გასაწმენდად.

როდესაც ჟერვეზა მეხუთე სართულზე ავიდა, იძულებული შეიქნა, სული მოეთქვა. ამ სიმაღლეზე ასვლას შეჩვეული არ იყო. კიბის დაუსრულებელი ხვეულები, კედლები, ბინების რიგები და გაღებული კარები თავბრუს ახვევდა. ერთი ოჯახი ბაქანზე მოთავსებულიყო. ქმარი თიხის პატარა ღუმლის თავზე ჭუჭყიანი წყლის სადინარი ღარის მახლობლად თეფშებს რეცხავდა, ხოლო ცოლი მოაჯირს მიჰყუდებოდა და პატარა ბიჭს დაძინების წინ ბანდა. კუპო ამხნევებდა ახალგაზრდა ქალს, სულ მალე მივალთო. დაბოლოს, როდესაც მეექვსე სართულზე ავიდნენ, კუპო მობრუნდა და ჟერვეზას გასამხნევებლად გაუღიმა.

ჟერვეზას თავი მაღლა აეწია და ცდილობდა შეეტყო, საიდან მოდიოდა ის წვრილი ხმა, რომელიც მას უკვე პირველი საფეხურიდანვე ესმოდა. ეს ყურის გამხვრეტი ხმა სხვა დანარჩენ ხმებს ფარავდა. ის სხვენიდან მოდიოდა. იქ ერთი პატარა მოხუცი ქალი მღეროდა, თან ცამეტ სუდ ღირებულ ტიკინებს ტანისამოსს აცმევდა. ერთმა ზორბა ქალიშვილმა ვედრო შეიტანა მეზობელ ოთახში. ხოლო იმ წუთში, როდესაც ამ ოთახის კარი გამოაღო, ჟერვეზამ არეულ-დარეული ლოგინი დაინახა, რომელზეც საცვლისამარა მამაკაცი გაშხლართულიყო. ამ კაცს თვალები ჭერისკენ მიეშტერებინა, ეტყობოდა რაღაცას ელოდებოდა. როცა კარი მიიხურა, ზედ გამოჩნდა ქაღალდი, რომელზეც ხელით მიეწერათ: „მადმუაზელ კემანსი, მეუთოე“. მაღლა ასულ ჟერვეზას უკვე მუხლი ეკვეთებოდა, სულს ძლივს ითქვამდა, მაგრამ მაინც ცნობისმოყვარეობა ვერ სძლია და მოაჯირის იქით გადაიხედა. ექვსსართულიანი ვიწრო შენობის სიღრმეში ახლა უკვე ქვემოთა აირმაშუქი ციმციმებდა ვარსკვლავივით. სხვადასხვანაირი სურნელება, უზარმაზარი და ახმაურებული სახლის ცხოვრების სუნთქვა ცხადად ხვდებოდა მის შეშფოთებულ სახეს, თითქოს უფსკრულის პირას იდგა.

– ჯერ მისულები არა ვართ, – წარმოთქვა კუპომ, – ოჰ! ეს მთელი მოგზაურობაა!

კუპომ მარცხნივ გაუხვია და გრძელ დერეფანს გაჰყვა. მერე ორჯერ კიდევ შემოუხვია, – ჯერ მარცხნივ, მერე მარჯვნივ. დახეთქილ, ჩამონგრეულ, დაძველებულ დერეფნებს ბოლო აღარ უჩანდა. მრავალტოტად დაყოფილი ზოგან ვიწროვდებოდა და აირმაშუქი მკრთალად ანათებდა. მონასტრის თუ ციხისებურად ყველგან ერთნაირი კარი ჩაემწკრივებინათ. თითქმის ყველა ეს კარი ფართოდ გამოეღოთ, საიდანაც სიღატაკის თავშესაფრები მოჩანდა. ეს ბინები ივნისის მხურვალე საღამოს მოწითალო ბუღს აევსო. ჟერვეზა და კუპო სრულიად ჩაბნელებულ ტალანს მიადგნენ ბოლოს.

– მოვედით, – წამოიძახა კუპომ, – ყურადღება! კედელს მოეჭიდეთ, სამი საფეხურია.

ჟერვეზამ სიბნელეში ჯერ ათიოდე ნაბიჯი გადადგა ფრთხილად, მერე ფეხით მოსინჯა და სამი საფეხური დაითვალა. დერეფნის ბოლოში კუპომ დაუკაკუნებლივ შეაღო კარი. იატაკს შუქი მოეფინა და ისინი შიგ შევიდნენ.

ეს იყო ვიწრო ოთახი. დერეფანს ჰგავდა და თითქოს მის გაგრძელებას წარმოადგენდა. შუაზე ჰყოფდა გახუნებული შალის ფარდა, რომელიც ახლა თოკით

აეწიათ მაღლა. პირველ განყოფილებაში იდგა საწოლი. სხვენისებურ ჭერის კუთხეში კი სადილობის შემდეგ ჯერ ისევ თბილად დარჩენილი თუჯის ღუმელი მიედგათ, ორი სკამი, ერთი მაგიდა და ერთიც კარადა, რომელსაც ლავგარდანი ჰქონდა მოხერხილი, რათა საწოლსა და კარებს შუა დატეულიყო. მეორე განყოფილებაში სახელოსნო მოეწყოთ. სიღრმეში იდგა ვიწრო ქურა საბერვლით. მარჯვნივ, თაროების ქვეშ, რომელზედაც რკინეული ეყარა, კედელში ჩასმული იყო ჭახრაკი. ხოლო მარცხნივ, ფანჯრის გვერდით იდგა პატარა სამუშაო დაზგა, რომელზეც გაჭუჭყიანებული და გაქონილი საჭრისები და მიკროსკოპული ხერხები ელაგა.

– ეს ჩვენ ვართ! – შეჰყვირა კუპომ, როცა შალის ფარდასთან მივიდა.

მაშინვე არ უპასუხეს. ჟერვეზა ძალიან აღელვებული იყო. უმთავრესად ის აღელვებდა, რომ ოქროთი ავსებულ ოთახში შედიოდა. კუპოს ეფარებოდა უკან, რაღაცას ლუღლუღებდა და მისალმების ნიშნად თავს აკანტურებდა. დაზგაზე დადგმული ლამპის მკრთალი შუქი და ქურაში გაღვივებული ნახშირის გავარვარებული ლაპლაპი უფრო აძლიერებდა ჟერვეზას დაბნეულობას. ბოლოს მან მაინც შეძლო მადამ ლორილეს დანახვა. ლორილე ტანმორჩილი, წითური და საკმაოდ მაგარი აგებულების ქალი იყო. ამჟამად იგი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თავისი პატარა ხელებით დიდი ქანჩსაღების დახმარებით ეწეოდა შავი ლითონის ძაფს და ჭახრაკით დამაგრებული სახრახნი ფიცრის ნახვრეტებში ატარებდა. ლორილე, ასეთივე ჩია ტანისა, მაგრამ მხრებში უფრო თხელი და ვიწრო, გასაოცარი სისწრაფით მუშაობდა დაზგასთან საოქრომჭედლო მინიატიურული ხელსაწყოებით. ნაკეთობა ისეთი ფაქიზი იყო, რომ მის დაკორძებულ თითებში არც კი ჩანდა. პირველად ქმარმა აიღო მაღლა თხელთმიანი და სანთელივით გაყვითლებული, გრძელი და ავადმყოფური თავი.

– ახ! ეს თქვენ ხართ? კარგი, კარგი! – წაიბუტბუტა, – ჩვენ, ხომ იცით, გვეჩქარება... სახელოსნოში ნუ შემოხვალთ, ხელს შეგვიშლით. მანდ დარჩით, ოთახში.

კვლავ სამუშაოს მიუბრუნდა და სახეზე ისევ მომწვანო შუქი მიადგა. ეს იყო ანარეკლი, რომელსაც ლამპის წინ დადგმული წყლით სავსე ბურთი ისროდა, ხოლო ლამპის ჩახჩახა შუქის რგოლი მის სამუშაოს ეცემოდა.

– სკამები აიღეთ! დასხედით, – შესძახა თავის მხრივ მადამ ლორილემაც, – ეს ის ქალია, არა? ძალიან კარგი, ძალიან კარგი!

მადამ ლორილემ ძაფი დაახვია. მერე ქურასთან მიიტანა და ხის ფართო, მარაოსებრი საბერვლის შემწეობით ნაკვერჩხლები უფრო გააღვივა ქურაში, და ძაფი წინასწარ გამოწვა, სანამ მას სახრახნი ფიცრის უკანასკნელ ნახვრეტში გაატარებდა.

კუპომ სკამები წინ წამოსწია და ჟერვეზა ფარდასთან დასვა. ოთახი ისეთი ვიწრო იყო, რომ კუპო ჟერვეზას გვერდით ვერ დაეტია, მის უკან იჯდა და წინ იხრებოდა, რათა ქალისთვის ახსნა-განმარტებები მიეცა მუშაობაზე. ახალგაზრდა ქალი გაოგნებული

იყო ლორილეების უცნაური მიღებით, თავს კარგად ვერ გრძნობდა მათი ალმაცერი ცქერის გამო და ყურები ისე უბჟუოდა, რომ აღარაფერი ესმოდა. ოცდაათი წლის ლორილე მას უფრო ხნიერი ეჩვენა, ძალიან მოღუშული და თანაც უსუფთაო თავისი ძროხის კუდისებურად დაგრეხილი თმით და დაჭმუჭნილი ბლუზით. ქმარი, ცოლზე მხოლოდ ერთი წლით უფროსი, მთლად მოხუცად ეჩვენა, თხელი, ბოროტი ტუჩებით, უსერთუკოდ და შიშველ ფეხზე წამოცმული მოღრეცილი ქოშებით. მაგრამ ჟერვეზას უმთავრესად ამ სახელოსნოს სიმცირე აშტერებდა, გათხუპნილი კედლები, ხელსაწყოების მკრთალი რკინა და საერთოდ ამ ხარახურისა და რკინის ნაჭრების შავი ჭუჭყი, რაც ძველი ლურსმნებით მოვაჭრე დუქანს მოგაგონებდათ. აუტანელი სიცხე იყო. ოფლის წვეთები ბრწყინავდა ლორილეს გამწვანებულ სახეზე; ამასობაში მადამ ლორილემ ბლუზის გახდა გადაწყვიტა, მკლავები გაიშიშვლა და დამჭკნარ მკერდზე ჩამოკიდებული თხელი პერანგისამარა დარჩა.

– ოქრო სადღაა? – იკითხა ჟერვეზამ ხმადაბლა.

ის შეშფოთებული თვალებით ათვალიერებდა კუთხეებს და მთელ ამ სიბინძურეში ეძებდა ბრწყინვალე სიმდიდრეს, რომელზედაც ოცნებობდა.

კუპოს სიცილი აუტყდა.

– ოქრო? – უთხრა კუპომ, – აგერ ოქრო, აგერ აქაც, ყველგან, აგერ, თქვენს ფეხებთანაც.

კუპო თანამიმდევრობით უთითებდა ჟერვეზას ჯერ გაწვრილებულ ძაფზე, რომელსაც მისი და ამუშავებდა, მერე ძაფების ხვეულზე, რომელიც რკინის მავთულის შეკრულას ჰგავდა და კედელზე იყო დაკიდებული ჭახრაკის გვერდით. მერე კუპო დაიოთხა და ლასტის ქვეშიდან, რომელიც იატაკს ფარავდა, ერთი პატარა, დაჟანგებულ ნემსისწვერისებური ნაჭერი აიღო. ჟერვეზამ არ დაუჯერა. ეს ხომ ოქრო არ არის, რკინასავით საძაგელი მოშავო ლითონია! კუპომ კბილით გაკვნიტა ეს ნატეხები, რათა ჟერვეზასთვის ნაკბილარი ადგილის ელვარება დაენახვებინა. ამის შემდეგ კუპო კვლავ ახსნა-განმარტებას შეუდგა: ოქროს პატრონებს ოქრო მოაქვთ შენადნობის სახით, მავთულებად. მომუშავენი მას სახრახნ ფიცარში ატარებენ, რომ სათანადოდ გააწვრილონ, ხოლო მერე ხუთჯერ თუ ექვსჯერ უხდებათ მისი გამოწვა, მხოლოდ იმ დონემდე, რომ არ გაწყდეს. ოჰ! მარჯვე ხელი და დიდი გამოცდილებაა ამისთვის საჭირო! მისი და სახრახნ ფიცარს არ აკარებს ქმარს, რადგანაც იგი ახველებს. განთქმული ხელი აქვს მის დას. კუპოს ისიც უნახავს, რომ მას თმასავით წმინდა ოქროს ძაფი დაუხვეწავს ხოლმე.

ამ დროს ლორილეს ხველება აუვარდა, ტაბურეტზე მოიკუზა და სუნთქვაშეკრულმა დაილაპარაკა, ისე, რომ ჟერვეზასთვის არ შეუხედავს, მან თითქოს თავის თავს უთხრა: – მე სვეტს ვაკეთებ.

კუპომ აიძულა ჟერვეზა, ფეხზე წამომდგარიყო, შეგიძლიათ ახლოს მიხვიდეთ და კარგად დაინახავთო.

მეძეწკვემ თანხმობის ნიშნად რაღაც წაიბურტყუნა. ის თავისი ცოლის მიერ გამზადებულ ძაფს ახვევდა ძალიან წვრილ ფოლადის ღერძზე. შემდეგ ღერძის სიგრძეზე პატარა ხერხს უსვამდა ოდნავ და ძაფი წყდებოდა, ხოლო ყოველი მისი ხვეულისგან რგოლი კეთდებოდა. შემდეგ ლორილე რჩილვას იწყებდა. პატარა რგოლები ხისგან გამომწვარ ნახშირის დიდ ნატეხზე იყო განლაგებული. ლორილე მის გვერდით მდგარი სავსე ჭიქის ძირიდან რგოლებს ასველებდა, შემდეგ საჩქაროდ მრჩილავი ლამპის ჰორიზონტალურ ალზე ავარვარებდა. მერე ეყრდნობოდა ქვესადგომს – ხის პატარა ფიცარს, რომელიც მისი ხელის მუდმივ ხახუნს გაეპრიალებინა და კვლავ საკირკიტო, წვრილ სამუშაოს უბრუნდებოდა. რგოლს ღუნავდა, ერთი მხრიდან უჭერდა და უკვე თავის ადგილზე მყოფ ზემოთა რგოლში ატარებდა, მერე ნემსით ისევ აშლიდა, ასე განუწყვეტლივ და მექანიკურად ერთი რგოლი მეორეს ისეთი სისწრაფით მისდევდა და ძეწკვს ჟერვეზას თვალწინ ნელ-ნელა ისე ემატებოდა სიგრძე, რომ ქალს შესაძლებლობა არ ჰქონდა თვალი ედევნებინა, კარგად გარკვეულიყო, რანაირად იქსოვებოდა იგი.

– ეს სვეტია, – წარმოთქვა კუპომ, – არსებობს კიდევ ძეწკვები, სირმა, სიმები. მაგრამ ეს სვეტია. ლორილე მხოლოდ სვეტებს აკეთებს.

ამ უკანასკნელმა კმაყოფილებით ჩაიხითხითა. ხელსაწყოთი აიღო მის შავ ფრჩხილებს შორის უჩინარი რგოლები და შეჰყვირა: – გამიგონე, მოცხარავ!.. ამ დილას გამოვიანგარიშე! მე ხომ თორმეტი წლიდან დავიწყე, არა? კეთილი! იცი, შენ, რა სიგრძის სვეტი მაქვს დღევანდლამდე გაკეთებული?

მან მაღლა აიღო თავისი გაფითრებული სახე და დაწითლებული ქუთუთოები მოჭუტა!

– რვა ათასი მეტრი, გესმის! ორი ლიე!.. ჰა! ორი ლიეს სიგრძის სვეტი! მთელი ამ უბნის დედაკაცებს ხომ ეყოფათ ყელზე შემოსახვევად!.. ახლა თანდათან ხომ ემატება სიგრძე?! ასე რომ, იმედი მაქვს მალე პარიზიდან ვერსალამდე მივალ.

იმედგაცრუებული ჟერვეზა კვლავ თავის ადგილზე დაჯდა. მას მეტად მახინჯად ეჩვენა ყველაფერი, მაგრამ მაინც იღიმებოდა, რათა ლორილეებისთვის ეამებინა.

ჟერვეზას უმთავრესად დუმილი აწუხებდა, რომელსაც ისინი მისი ქორწილის საკითხის გამო იცავდნენ. ეს იმდენად დიდი საქმე იყო ჟერვეზასთვის, რომ უამისოდ ის აქ არც მოვიდოდა. ხოლო ლორილეები ისე ექცეოდნენ, თითქოს იგი კუპოს მიერ მოყვანილი ვინმე აბეზარი ცნობისმოყვარე ქალი იყო. ბოლოს, საუბარი გაიბა, რომელიც მხოლოდ ამ სახლის მობინადრეებს ეხებოდა. მადამ ლორილემ ჰკითხა ძმას, – აქ ამოსვლისას მეოთხე სართულზე მცხოვრებთა ცემა-ტყეპის ხმაური ხომ არ გაგიგონიაო. ეს ბენარები ყოველდღე ერთიმეორეს ურტყამენ, ლამის არის ამოხოცონ ერთმანეთიო. ქმარი მუდამ გალეშილი მთვრალი მოდის შინ. ცოლიც ბევრ რამეს აშავებს, ისე ყვირის და უშვერად ილანძღება, რომ მეტი არ შეიძლებაო. შემდეგ პირველ სართულზე მცხოვრებ მხაზველზე დაიწყო ლაპარაკი, იმ ახმახ ბედეკენზე, იმ

ყბედზე, პრანჭიაზე, რომელიც ვალებში იხრჩობა და იმის მეტს არაფერს აკეთებს, რომ თუთუნს აბოლებს და ამხანაგებთან ლაქლაქობს პირმოხეული. მუსიე მადინიეს მუყაოს სახელოსნოც სულს ღაფავს, ჯერ მარტო გუშინ ორი მუშა დაითხოვა; ახია, თუ ეგ კისერს მოიტეხს, რადგან ყველაფერს თვითონ ჭამს და შვილებს შიშველ-ტიტველს ტოვებს. საინტერესოა, მადამ გოდრონი როგორღა ახერხებს თავისი ნალების ჩეჩას. ისევ ორსულად არის. ბოლოს და ბოლოს, ეს უწმინდურობაა მაგის ასაკში! სახლის პატრონმა ბინიდან დაითხოვა კოკე, – მეხუთე სართულის მობინადრე, სამი თვის ბინის ქირა მართებთ. ამას გარდა, ისინი თავისას არ იშლიან და ქურას მაინც კიბის ბაქანზე ახურებენ. კიდევ კარგი, რომ გასულ შაბათს, მადმუაზელ რემანჟუს, – მეექვსე სართულზე მცხოვრებ მოხუც ქალს, თავისი ტიკინები მიჰქონდა: სულზე მიუსწრო პატარა ლანერლოს და გადაარჩინა, თორემ ბავშვი მთლად დაიწვებოდა. ხოლო მადმუაზელ კლემანსი, მეუთოე ქალი, რა თქმა უნდა, კარგი ყოფაქცევისა არ არის, მაგრამ ცუდი ქალი არ არის, ღვთის წინაშე, ავს ვერაფერს იტყვი მასზე, ოქროს გული აქვს, ცხოველები უყვარს გადარევით. ეჰ! სამწუხაროა, რომ ასეთი ლამაზი ქალი პირველ შემხვედრ მამაკაცებთან დაეთრევა. ოდესმე ღამე ქუჩაში დარჩება ნამდვილად.

– აჰა, კიდევ ერთი! – უთხრა ლორილემ ცოლს და გადასცა ძეწკვი, რომელზედაც ის საუზმის შემდეგ მუშაობდა, – შეგიძლია გაჭიმო და გაასწორო.

მერე მან, როგორც კაცმა, რომელიც ადვილად ვერ ახერხებს ხუმრობას, დაჟინებით გაიმეორა: – ოთხ ნაბიჯ-ნახევარი კიდევ... აი, ამდენზე მივუახლოვდი ვერსალს.

ამასობაში მადამ ლორილემ ხელახლა გამოწვა ძეწკვი, გაჭიმა და გასასწორებლად სახრახნის ნახვრეტებში გაატარა. შემდეგ არყით სავსე პატარა გრძელტარიან სპილენძის სადუღარში ჩადო და გასათეთრებლად ქურის ცეცხლზე გამოხარშვა დაუწყო. კუპომ ხელახლა აიძულა ჟერვეზა ამ უკანასკნელი ოპერაციისთვის თვალი ედევნებინა. როდესაც ძეწკვი გამოიხარშა, მუქწითელი ფერი მიიღო. იგი უკვე გამზადებული იყო ჩასაბარებლად.

– როცა ყიდიან, ეს ძეწკვები უკვე თეთრები არიან, – უხსნიდა ჟერვეზას კუპო, – ეს უკვე გამპრიალებლების საქმეა. ისინი მაუდს უსვამენ და აპრიალებენ.

მაგრამ ჟერვეზა გრძნობდა, რომ მეტის ატანა აღარ შეეძლო. სიცხე თანდათან მატულობდა და სულს უხუთავდა. კარი დახურული იყო, იმიტომ, რომ ლორილეები სულ ოდნავ ორპირ ქარზე უკვე ცივდებოდნენ. რადგან ისევ არაფერს ამბობდნენ ჟერვეზასა და კუპოს ქორწილზე, ჟერვეზამ წასვლა დააპირა და კუპოს ქურთუკზე მსუბუქად ჩამოსწია ხელი. კუპო მიხვდა. მით უმეტეს, რომ მასაც აღარაფრად ეჭაშნიკებოდა და აბრაზებდა კიდეც ეს მათი განზრახ გაჩუმება.

– მაშ ასე, ჩვენ მივდივართ, – წარმოთქვა კუპომ, – ხელს აღარ შევუშლით თქვენს მუშაობას.

ცოტა ხანს კიდევ კუპო ერთ ადგილზე იტკეპნებოდა. იცდიდა, ერთი სიტყვის იმედი მაინც ჰქონდა, რომელიმე გადაკვრით ნათქვამი სიტყვისა. ბოლოს, გადაწყვიტა თვითონვე დაეწყო ამაზე ლაპარაკი.

– ხომ იცი, ლორილე, თქვენი იმედი გვაქვს. თქვენ იქნებით ჩემი ცოლის მოწმე.

მეძეწკვემ თავი მაღლა აიღო, ვითომ გაუკვირდა, თანაც ჩაიხითხითა, ხოლო მისმა მეუღლემ სახრახნი ფიცარი მიატოვა და სახელოსნოს შუაგულში გაჩნდა.

– მაშ, ეს სერიოზულია? – წაიბურტყუნა ლორილემ, – ეს წყეული მოცხარა, ვერასოდეს გაუგებ, როდის ხუმრობს.

– ახ! ეს ბრძანდება ის პიროვნება? – წარმოთქვა თავის მხრივ მისმა მეუღლემ და ჟერვეზას თვალი შეავლო, – ღმერთო ჩემო! ჩვენ რა რჩევის მოცემა შეგვიძლია, ჩვენ ხომ... უცნაური მოსაზრებაა ცოლის შერთვა, თუმცა, ბოლოს და ბოლოს, თუ თქვენ მოგწონთ – ერთსაც და მეორესაც... როცა ამას სიკეთე არ მოაქვს, საკუთარ თავს დააბრალებენ ხოლმე, მეტი არაფერი, ხოლო ამას კი ხშირად არ დაჰყვება ხოლმე კაი ბედი, ხშირად, ხშირად...

ამ უკანასკნელ სიტყვებზე მან ხმა შეანელა, თავი გააქნ-გამოაქნია და ახალგაზრდა ქალი თავით ფეხამდე შეათვალიერა. ათვალიერებდა მის სახეს, ხელებს, ფეხებს, თითქოს ტანსაცმელი უნდოდა გაეხადა მისთვის, რათა თითოეული ნაკვთი გაესინჯა. მადამ ლორილე იძულებული შეიქნა, გულში მაინც გამოტეხილიყო, რომ ჟერვეზა მას უკეთესი ეჩვენა, ვიდრე მოელოდა.

– ჩემი ძმა სრულიად თავისუფალია, – განაგრძო მან უფრო გესლიანი კილოთი, – რა თქმა უნდა, ოჯახს შეიძლება სურდა... ახლობლებს ყოველთვის აქვთ თავიანთი გეგმები. მაგრამ საქმე ისე უცნაურად შეტრიალდა... მე, ჯერ ერთი, კამათის ატეხა არ მსურს... ჩემს ძმას შეეძლო უკანასკნელზე უკანასკნელი ქალიც მოეყვანა, მე მაინც ასე ვეტყოდი: შეირთე ეგ ქალი, ოღონდ მე მომასვენე-მეთქი... თუმცა ეგ ჩვენთან ცუდად არ იყო მოწყობილი. მშვენივრად გამოიყურება და, ეტყობა, რომ არ შიმშილობდა! ცხელი საჭმელი ყოველთვის ჰქონდა და ყოველთვის თავის დროზე... მითხარი ერთი, ლორილე, შენ არ ფიქრობ, რომ ეს ქალი ტერეზას ჰგავს, შენ კარგად იცი, ვისზედაც ვამბობ. აი, იმ ქალზე, ჩვენ პირდაპირ ჭლექით რომ მოკვდა.

– ჰო, თითქოს წააგავს, – მიუგო მეძეწკვემ.

– მაშ, თქვენ ორი შვილი გყავთ, მადამ? ოხ! ეს უნდა მოგახსენოთ... მე ვუთხარი კიდეც ჩემს ძმას, არ მესმის, როგორ ირთავ ქალს, რომელსაც ორი შვილი ჰყავს-მეთქი... თქვენ არ უნდა გეწყინოთ ეს, რომ მე მის ინტერესებს ვიცავ. ეს ძალიან ბუნებრივია... არა, ლორილე, მადამს ჯანმრთელი შესახედაობა არა აქვს, არა?!

– არა, არა, ჯანიანი არ ჩანს.

ჟერვეზას კოჭლობაზე არაფერი უთქვამთ. მაგრამ მიხვდა მათ ირიბ ცქერასა და ტუჩების კვნეტაზე, რომ ამაზე მიუთითებდნენ გადაკვრით. ჟერვეზა მათ წინ იდგა, თხელსა და ყვითელსახეებიან შალში გამოხვეული, და ერთმარცვლიანი სიტყვებით აძლევდა პასუხს, თითქოს მოსამართლეების წინაშე ყოფილიყოს. კუპომ შენიშნა, რომ იგი იტანჯებოდა და ბოლოს შეჰყვირა: – ეგ ის არ არის, რაც სათქმელი იყო... არაფერი აზრი არა აქვს იმას, რასაც თქვენ ლაპარაკობთ. ქორწილი იქნება შაბათს, 29 ივლისს. მე ეს კალენდარზე გამოვთვალე. მოსახერხებელი დღეა თქვენთვის?

– ო, ჩვენთვის ყოველთვის მოსახერხებელია, – მიუგო დამ, – შენ ჩვენი რჩევა არ გჭირდება... მე არ ვუშლი ლორილეს მოწმედ იყოს, ოღონდ კი მე მომასვენოთ და!

თავჩაღუნულმა ჟერვეზამ აღარ იცოდა, რა ექნა და ხის ლასტში ფეხის წვერი გაყო. ეს ლასტი მთელი სახელოსნოს იატაკს ფარავდა. ჟერვეზას შეეშინდა, რომ ამით რამე გააფუჭა და ფეხი საჩქაროდ უკანვე გამოიღო, დაიღუნა და იმ ადგილს ხელი მოუფათურა. ლორილემ მარდად მიუნათა ლამპა. მერე უნდობლად დაუწყო სინჯვა ჟერვეზას თითებს.

– სიფრთხილეა საჭირო, – წარმოთქვა ლორილემ, – ოქროს პაწაწა კილიტები ფეხსაცმელს ეკვრის და შეიძლება თან გაჰყვეს ადამიანს, ისე, რომ მან თვითონაც არ იცოდეს ეს.

შემდეგ ის მთელ ამბებს მოჰყვა, რომ შემკვეთლები ოქროს ნარჩენების ერთ მილიგრამსაც არ მიტოვებენო და ჟერვეზას უჩვენა კურდღლის თათი, რომლითაც ის დაზგაზე დარჩენილ ოქროს ნამცეცებს გვიდა და მუხლებზე გადაფარებულ წინსაფარზე აგროვებდა. სახელოსნოს დიდი ყურადღებით კვირაში ორჯერ ვგვით, ნაგავს ვინახავთ და ვწვავთ, შემდეგ ნაცარს ვსინჯავთ და თვეში ოცდახუთი, ოცდაათი ფრანკის ოქროს ვაგროვებთო.

მადამ ლორილე ჟერვეზას ფეხსაცმელს თვალს არ აშორებდა.

– აქ საწყენი არაფერია, – წაიბუტბუტა მან თავაზიანი ღიმილით, – ეგებ მადამმა კეთილი ინებოს და გასინჯოს თავისი ფეხსაცმელი.

ძლიერ გაწითლებული ჟერვეზა ხელახლა ჩამოჯდა, ფეხები ასწია და დაანახვა, რომ ზედ არაფერი ჰქონდა. კუპომ კარი გამოაღო და მკვახე ხმით შესძახა: – მშვიდობით! მერე აივნიდან ჟერვეზაც გაიხმო. ჟერვეზამ თავაზიანი ფრაზა წაიბურტყუნა, იმედი მაქვს, კიდევ შევხვდებით და უკეთესად გავუგებთ ერთმანეთსო და ისიც გავიდა, მაგრამ ლორილეები უკვე სამუშაოს შეუდგნენ სახელოსნოს შავ სოროში, სადაც პატარა ქურა ისე ბრწყინავდა, როგორც გავარვარებულ ღუმელში უკანასკნელად დარჩენილი გათეთრებული ნახშირი. ცოლს პერანგის კუთხე გადასწეოდა მხარზე და ნაკვერჩხლების ანარეკლზე კანი წითლად უჩანდა. ის ახალ ძაფს ჭიმავდა და ყოველი ძალდატანების დროს კისერი ებერებოდა, ხოლო კისრის ძარღვები კანაფის ძაფებივით ეგრიხებოდა. მისი ქმარი წყლის ბურთულის მწვანე შუქის ქვეშ

დახრილიყო და ახალი ძეწკვის კეთება დაეწყო. გვერდიდან ახვევდა რგოლებს, მერე მოუჭერდა და ზემოთა რგოლს წამოაცვამდა, შემდეგ ნემსის დახმარებით პირს უღებდა და ასე განუწყვეტლივ და მექანიკურად, ოფლის მოწმენდაზედაც კი არ ჰკარგავდა არც ერთ მოძრაობას.

როდესაც ჟერვეზა დერეფანს გასცდა და მეექვსე სართულის ბაქანზე გავიდა, თავი ვერ შეიკავა, რომ თვალცრემლიანს არ წარმოეთქვა: – არ გვიქადის ჩვენ ეს დიდ ბედნიერებას!

კუპომ გააფთრებით გაიქნია თავი. ლორილეები პასუხს აგებენ ამ საღამოსთვის. გაგონილა, ამისთანა სიძუნწე! ეგონათ, რომ მათი ოქროს მტვრიდან სამი მარცვლის წასაღებად მოვედით. პირწმინდა სიძუნწეა მთელი ეს ამბავი! ჩემს დას კიდევ, ალბათ, ეგონა, რომ არასოდეს ცოლს არ შევირთავდი და მას ოთხ-ოთხი სუ დაეზოგებოდა სადილზე! ყოველ შემთხვევაში 29 ივლისს ქორწილი იქნება. მე რაში მეკითხება ეგენი!

ჟერვეზა კიბეზე ჩამოდიოდა და გრძნობდა, რომ გული დაუმძიმდა; უცნაურმა შიშმა შეიპყრო. შეშფოთებით აკვირდებოდა მოაჯირის გადიდებულ ჩრდილებს. ამჟამად უკვე დაცარიელებულ კიბეს ეძინა. მას მხოლოდ მეორე სართულის ერთი აირმაშუქი ანათებდა. ამ აირმაშუქის შემცირებული ალი ღამის ლამპარივით ერთი ბეწო შუქს აწვდიდა ჩაბნელებული ჭის უფსკრულს. დაკეტილი კარების იქით ღრმა დუმილი სუფევდა. იგრძნობოდა, რომ ჭამის შემდეგ მიწოლილ მუშებს მკვდრებივით ეძინათ. მხოლოდ მეუთოე ქალის ოთახიდან გამოდიოდა ჩუმი სიცილის ხმა და მადმუაზელ რემანჟუს კარის საკეტის ჭუჭრუტანიდან მკრთალი შუქის ზოლი გამოსჭვიოდა. მადემუაზელ რემანჟუ მაკრატლის ოდნავ გასაგონი ხმაურით კვლავ მარმაშის[6] საკაბეებს ჭრიდა ცამეტ სუდ ღირებული ტიკინებისთვის. ქვემოთ, მადამ გოდრონთან, ბავშვი ისევ ტიროდა. ჭუჭყიანი წყლის სადენი ღარები უფრო ძლიერ სიმყრალეს ავრცელებდნენ ამ ღრმა დუმილში.

სანამ კუპო ამღერებული ხმით უძახდა მეკარეს, ჟერვეზა მიბრუნდა და ერთხელ კიდევ, უკანასკნელად შეხედა სახლს. იგი თითქოს უფრო გაზრდილიყო უმთვარო ცის ქვეშ. ალაგ-ალაგ დაჩრდილული ფასადები განზე იწევდნენ და მაღლა მიისწრაფოდნენ, რადგან მათ უკვე აღარ ფარავდა დღის განმავლობაში მზეზე გასაშრობად გამოფენილი სარეცხი. ჩაკეტილ ფანჯრებს ეძინათ. მხოლოდ ზოგიერთ მათგანს სახლის კუთხეებში გამოეხილა თვალი და ელამ შუქს ისროდა. ყოველი შესასვლელის თავზე, ზემოდან ქვემოთ, ერთიმეორის მიდევნებით, ექვსი ბაქნის მკრთლად განათებული შუშების მწკრივი სინათლის ვიწრო კოშკად აღმართულიყო. მეორე სართულზე, მუყაოს სახელოსნოდან ლამპის შუქის სხივი გამოკრთოდა, ყვითელ ზოლად წვებოდა ქვაფენილზე და არღვევდა სიბნელეს, რომელშიც ქვედა სართულის სახელოსნოები ჩანთქმულიყო. უკუნეთ წყვდიადში, ნესტიან კუთხეში, ცუდად დაკეტილი ონკანიდან წყალი წვეთ-წვეთად ჟონავდა და ამ წვეთების ხმაური მკაფიოდ ისმოდა საერთო დუმილში. ჟერვეზას ეჩვენებოდა, რომ ეს სახლი მას მხრებზე დააწვა და სრესდა თავისი ყინულოვანი სიმძიმით.

ეს იყო ბავშვური, სულელური შიში, რომელზეც შემდგომ თვითონვე იცინოდა ხოლმე.

– ფრთხილად იყავით! – დაუძახა კუპომ.

ჟერვეზას გასვლისას ერთ დიდ გუბეზე გადახტომამ მოუწია. ეს გუბე სამღებროდან გამოსულ წყალს დაეყენებინა და მას იმ დღეს ლურჯი ფერი დაჰკრავდა, ზაფხულის მუქი ლაჟვარდისფერი, რომელზედაც მეკარის ღამის პატარა ლამპარი ვარსკვლავებს ანთებდა.

## თავი მესამე

ჟერვეზას ქორწილის გადახდა არ უნდოდა. რა საჭიროა ზედმეტი ფულის ხარჯვა? ამასთანავე, ერცხვინებოდა კიდეც. საჭიროდ არ მიაჩნდა მთელი უბნის წინაშე ამ შეუღლების ამბის გამოფენა, მაგრამ კუპოს ვერ გააგონებდით ამას. როგორ, ისე იქორწინონ, რომ ერთი ლუკმა პური არ გატეხონ ტოლ-ამხანაგებში? მთელ უბანთან მას რა საქმე აქვს?! თვალიც დავსებიათ! ოხ! ჩვენ ამ ამბავს სულ უბრალოდ მოვაწყობთ. ნაშუადღევს ცოტას გავისეირნებთ, ხოლო საღამოს კურდღლის ხორცს ავხლეჩთ სადმე პირველ შეხვედრილ რესტორანში. არავითარი მუსიკა, რა თქმა უნდა, საუზმის დროს არ იქნება და არც კლარნეტები – ქალების გულის დასატკბობად. ჩვენ, უბრალოდ, ერთიმეორეს ჭიქას მივუჭახუნებთ, ვიდრე სახლებში წავიდოდეთ დასაძინებლად.

კუპომ ლაზღანდარობითა და ხუმრობით ახალგაზრდა ქალი ბოლოს დაითანხმა, მხოლოდ შეჰფიცა, რომ იქ ქეიფი და სმა არ იქნება, რომ ის თვითონ ადევნებდა თვალყურს, რომ არავის ზედმეტი არ გადაეკრა. ამის შემდეგ კუპო შეუდგა არიფანას[7] მოწყობას. სულზე თითოს ხუთი ფრანკი უნდა გადაეხადა. არიფანას ისინი მოაწყობდნენ ოგიუსტთან, „ვერცხლის წისქვილში“, ლაშაპელის ბულვარზე. ეს იყო პატარა რესტორანი, რომლის ღვინის სავაჭროს უკან, ეზოში, სამი აკაციის ჩრდილქვეშ სანადიმოდ ფარდული გაემართათ. მეორე სართულზე მშვენივრად მოთავსდებოდნენ. კუპომ ათი დღის განმავლობაში მოაგროვა მეინახეთა ჯგუფი თავის დის მეზობლებში, გუტ-დორის ქუჩაზე: მუსიე მადინიე, მადმუაზელ რემანჟუ და მადამ გოდრონი ქმრით. ბოლოს კუპომ ჟერვეზა იმაზედაც დაითანხმა, რომ ორი თავისი ამხანაგიც მიეპატიჟა – გარუჯული ბიბი და წაღა. ეს უკანასკნელი, მართალია, ღვინის მსმელია, მაგრამ ისეთი საარაკო მადა აქვს, მუდამ ეპატიჟებიან ქეიფზე, სეირის საცქერლად, რათა დაინახონ, როგორ მოეღრიცება რესტორნის პატრონს სახე, როცა ეს წყეული ღორმუცელა თორმეტ გირვანქა პურს ჩაიტენის გაუმაძღარ

სტომაქში. ჟერვეზამაც აღუთქვა, რომ თავის დიასახლისს, მადამ ფოკონიეს მოიყვანდა და ბოშებს, რადგან კარგი ადამიანები არიან.

როცა დაითვალეს, გამოვიდა, რომ სუფრასთან სულ თხუთმეტი კაცი გროვდებოდა. ეს საკმარისი იყო: როცა ბევრი ხალხია, ქეიფი მუდამ ჩხუბით მთავრდება.

საქმე ის იყო, რომ კუპოს არც ერთი სუ არ გააჩნდა, მაგრამ მან გონივრულად იცოდა მოქცევა, თავგზას არ კარგავდა. მან ორმოცდაათი ფრანკი ისესხა თავისი უფროსისგან და თავდაპირველად ნიშნობის ბეჭედი შეიძინა, თორმეტ ფრანკად ღირებული ოქროს ბეჭედი, რომელიც ლორილემ ფაბრიკიდან ცხრა ფრანკად გამოუტანა. მერე მირას ქუჩაზე თერძს შეუკვეთა სერთუკი, შარვალი და ჟილეტი თავისთვის და ბედ მხოლოდ ოცდახუთი ფრანკი დაუტოვა. თავისი გალაქული ფეხსაცმელი და ქუდი ჯერ კიდევ გამოადგებოდა სახმარად. როდესაც მან ათი ფრანკი გადასდო არიფანასთვის. – თავისი და ჟერვეზას წილი (ბავშვები სათვალავში არ შედიოდნენ) – სულ ექვსი ფრანკიღა დარჩა, სწორედ იმდენი, რაც წირვას დასჭირდებოდა ღარიბების ეკლესიაში. მართალია, კუპოს არ უყვარდა ეს ყორნები – მღვდლები, გული ეთანაღრებოდა, რომ ექვსი ფრანკი უნდა მიეტანა ამ უქნარებისთვის, რომელთაც ისედაც არ აკლიათ ყელის ჩასასველებელი, მაგრამ წირვის გადაუხდელად ხომ ქორწილი ქორწილი ვერ იქნებოდა.

კუპო თვითონ წავიდა ეკლესიაში შესავაჭრებლად. მთელი ერთი საათის განმავლობაში ევაჭრებოდა ერთ პატარა, ბებერ მღვდელს, ჭუჭყიან ანაფორაში გამოხვეულ ქურდბაცაცას. თუმცა კუპოს გული ერჩოდა, ერთი მაგრად ჩაეფარებინა მისთვის კუნკულაში, მაგრამ ბოლოს მაინც ხუმრობით შეეკითხა, ხომ არ მოგეძებნებათ თქვენს დუქანში ერთი სახელდახელო, არცთუ მთლად უვარგისი წირვა, რომ ერთი კარგი წყვილის ჯვრის დასაწერად გამოდგესო. პატარა მოხუცმა მღვდელმა წაიბურტყუნა, რომ ღმერთს არ ეამება ასეთი კავშირის დალოცვაო, მაგრამ ბოლოს მაინც ხუთ ფრანკად მოურიგდა. ამით კუპოს ოცი სუ ეზოგებოდა, და საერთოდ, მას მხოლოდ ეს ოცი სუღა ჰქონდა დარჩენილი.

ჟერვეზაც თავის მხრივ ცდილობდა თავი არ შეერცხვინა მას შემდეგ, რაც ქორწილის გადახდა გადაწყდა, მან თავი გადასდო და ზედმეტ საათებს მუშაობდა საღამოობით და ამით ოცდაათი ფრანკის გადადება შეძლო. ფობურ-პუასონიერის ქუჩაზე მას ერთი პატარა, ცამეტ ფრანკად შეფასებული აბრეშუმის მოსასხამი ჰქონდა შეთვალიერებული. ძალიან უნდოდა მისი ყიდვა და იყიდა კიდეც. მერე მადამ ფოკონიეს სახლში გარდაცვლილი მრეცხავი ქალის ქმრისგან ათ ფრანკად შეიძინა ერთი ცისფერი შალის კაბა, რომელიც თავის ტანზე მოირგო. დანარჩენი შვიდი ფრანკით ერთი წყვილი ბამბის ხელთათმანი და თავსაბურის მოსართავი ვარდი იყიდა თავისთვის და ფეხსაცმელი თავისი უფროსი ბიჭის, კლოდისათვის. საბედნიეროდ, ბავშვების ბლუზებს არა უშავდათ რა. ჟერვეზამ ოთხი ღამე გაათენა ყველაფრის დაწმენდასა და მოწესრიგებაში. ის სულ პაწაწა ნაჩვრეტებს ეძებდა და კემსავდა წინდებსა და პერანგზე.

ბოლოს, პარასკევს, ბედნიერი დღის წინაღამით, როცა ჟერვეზა და კუპო სამუშაოდან შინ დაბრუნდნენ, იძულებული გახდნენ ღამის თერთმეტ საათამდე ეფუსფუსათ. მერე, სანამ თავ-თავიანთ ოთახებში დაიძინებდნენ. ერთი საათი გაატარეს ერთად ახალგაზრდა ქალის ოთახში. ძალიან კმაყოფილი იყვნენ, რომ ამ ალიაქოთს ბოლო ეღებოდა. იმის მიუხედავად, რომ გადაწყვეტილი ჰქონდათ, თავი არ ემტვრიათ უბნის გასართობად. ბოლოს მაინც ისე დაუდეს გული საქმეს, რომ არაქათი გამოელიათ. როცა ერთმანეთს ღამე მშვიდობისა უსურვეს, უკვე ფეხზე ეძინათ. მაგრამ მაინც თავისუფლად ამოისუნთქეს, ახლა ყველაფერი რიგზე იყო. კუპოს მოწმეებად ჰყავდა მუსიე მადინიე და გარუჯული ბიბი. ჟერვეზას ლორილეს და ბოშის იმედი ჰქონდა. ქალაქის თვითმმართველობასა და ეკლესიაში ექვსივე ისე წყნარად უნდა წასულიყვნენ, რომ კუდში არ გამოსდევნებოდა ყველა. საქმროს დებმაც განაცხადეს, შინ დავრჩებით, რადგან ჩვენი დასწრება საჭირო არ არისო. მხოლოდ კუპოს დედამ ატეხა ტირილი: ამბობდა, წინდაწინვე წავალ და იქ სადმე კუთხეში დავიმალებიო. დედაბერს დაჰპირდნენ, რომ ეკლესიაში წაიყვანდნენ. დანარჩენი საზოგადოების ერთმანეთთან შეხვედრა ნაშუადღევის პირველი საათისთვის იყო დანიშნული „ვერცხლის წისქვილში“. იქიდან მადის გასაღვიძებლად სენ-დენიში უნდა წასულიყვნენ. არაფერი ზედმეტი, არაფერი უხეში არ იქნება, მშვენიერად მოეწყობა ყველაფერი, მხიარულად გავატარებთ დროს, ლაზათიანად და პატიოსნადო.

შაბათ დილას ტანისამოსის ჩაცმის დროს კუპო შფოთავდა თავისი ოცი სუს გამო. მისი აზრით, ზრდილობა მოითხოვდა, რომ სადილობამდე თითო ჭიქა ღვინო და თითო ნაჭერი ლორი მაინც შეეთავაზებინა თავისი მოწმეებისთვის. ამასთანავე მას, შეიძლებოდა, მოულოდნელი ხარჯებიც აღმოსჩენოდა. ცხადია, ეს ოცი სუ საკმარისი არ იყო. მას შემდეგ, რაც მან კლოდისა და ეტიენის წაყვანა იკისრა მადამ ბოშთან, რომელსაც ბავშვები მერე სადილზე უნდა მიეყვანა, კუპო გუტ-დორის ქუჩაზე გაიქცა, მოურიდებლად ავიდა ლორილესთან და ათ ფრანკს დაესესხა. გულს უკაწრავდა ეს გარემოება, რადგან წინდაწინვე იცოდა, როგორ დაიღრიჯებოდა მისი სიძე. და მართლაც ლორილემ რაღაც წაიბურტყუნა, ბოროტად ჩაიხითხითა, მაგრამ საბოლოოდ ორი ხუთფრანკიანი მაინც ასესხა. კუპომ ყური მოჰკრა, რომ მისმა დამ ამ დროს ოდნავ გასაგონად ჩაილაპარაკა: „კაი დასაწყისია!“

ქორწინება ქალაქის თვითმმართველობაში დილის თერთმეტის ნახევარზე იყო დანიშნული. მშვენიერი დარი იდგა. ცხარე მზე წვავდა ქუჩებს... იმ მიზნით, რომ არავის სასეიროდ არ გამხდარიყვნენ, საპატარძლო და საქმრო, დედა და ოთხი მოწმე ორ ჯგუფად გაიყვნენ: წინ მიდიოდა ჟერვეზა ლორილესთან მკლავგაყრილი, მუსიე მადინიე კუპოს დედას ახლდა და შემდეგ, ორი ნაბიჯის სიშორეზე, მეორე ქვაფენილზე მიდიოდნენ კუპო, ბოში და გარუჯული ბიბი. სამივენი შავ სერთუკებში იყვნენ გამოწყობილნი დიდი ამბით და ხელებს იქნევდნენ. ბოშს ყვითელი შარვალი ეცვა. გარუჯულ ბიბის სერთუკის ყველა ღილი ყელამდე შეეკრა, რადგან უჟილეტოდ იყო და მხოლოდ თოკივით დაგრეხილი ყელსახვევის ბოლო უჩანდა. მხოლოდ მუსიე

მადინიეს ეცვა უზარმაზარი საზეიმო ფრაკი ოთხკუთხა კალთებით. გამვლელ-გამომვლელნი ჩერდებოდნენ, რათა შეეხედათ ამ ვაჟბატონისთვის, რომელსაც ციმციმ მიჰყავდა სქელი დედაბერი კუპო. კუპოს დედას მწვანე შალი წამოესხა, ხოლო მის შავ თავსაბურს წითელი ლენტები ამკობდა. ჟერვეზა, წყნარი და მხიარული ცისფერ კაბასა და ვიწრო წამოსასხამში, რომელიც მხრებში უჭერდა, ლბომიერი ღიმილით ისმენდა ლორილეს დამცინავ ხითხითს. ეს უკანასკნელი, მიუხედავად პაპანაქება სიცხისა, ვეება პალტოში ჩაკარგულიყო. დროდადრო, ქუჩის მოსახვევებში, ჟერვეზა ოდნავ უკან მიაბრუნებდა ხოლმე თავს და უღიმოდა კუპოს, რომელსაც ეხამუშებოდა თავისი ახალი, მზეზე მბრწყინავი ტანსაცმელი.

ამნაირად, ისინი ძალიან ნელი ნაბიჯით, დანიშნულ დროზე ნახევარი საათით ადრე მიადგნენ ქალაქის თვითმმართველობას. რადგანაც მერს დააგვიანდა, მათი ჯერი მხოლოდ თერთმეტ საათზე მოვიდა. სკამებზე ჩამოსხდნენ დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში და იცდიდნენ, დაბალი ხმით მუსაიფობდნენ და გადაჭარბებული ზრდილობით სკამებიანად გაიწევდნენ ხოლმე, როდესაც კანცელარიის მოსამსახურე ბიჭი გაივლიდა. მაგრამ ამავე დროს დაბალი ხმით ლაძღავდნენ ქალაქის მერს, უსაქმურს უწოდებდნენ, შეიძლება თავის ქერა სატრფოს ვეღარ მოშორდა, მასთან ნეკრისის ქარით დაავადებულ სხეულს იზელსო. მაგრამ, როდესაც ქალაქის მესვეური გამოჩნდა, პატივისცემით წამოდგნენ ფეხზე. მათ სთხოვეს ისევ დამსხდარიყვნენ.

სამ ქორწინებას დაესწრნენ. სამმა ბურჟუაზიულმა ქორწინებამ ძალიან გაართო ისინი თეთრებში გამოწყობილი საპატარძლოებით, თმადახუჭუჭებული გოგონებით, ვარდისფერქამრიანი ქალიშვილებით და საგანგებოდ მორთულ-მოკაზმული ქალბატონებისა და ბატონების დაუსრულებელი მაყრიონით. შემდეგ, როცა მათი ჯერი მოვიდა და დაუძახეს, ქორწინება კინაღამ ჩაიშალა. გარუჯული ბიბი სადღაც გადაკარგულიყო. ბოშმა ძლივს იპოვა იგი ქვემოთ, მოედანზე, სადაც ჩიბუხს ეწეოდა. აბა, იმ გაპრანჭულ ხალხში გაჩერდებოდა სწორედ, აი! ისინი ხომ არაფრად აგდებენ ყველას, ვისაც არ შეუძლია თავისი ჩალისფერი ხელთათმანი ცხვირთან მიუტანოს მათ. შემდეგ ყველა ფორმალობა, კოდექსის კითხვა, შეკითხვები, დოკუმენტებზე ხელის მოწერა, ყველაფერი ისე მარდად შესრულდა, რომ ერთმანეთს გადახედეს იჭვიანად, ცერემონიის ნახევარი ხომ არ გამოგვაპარესო. გაოგნებული და გულდამძიმებული ჟერვეზა ტუჩებზე მაგრად იჭერდა ცხვირსახოცს. კუპოს დედა ცხარე ცრემლით ტიროდა. ყველამ ხელი მოაწერა სარეგისტრაციო წიგნში. მსხვილი, დაბღაჯნილი ასოებით აწერდა თავის გვარს ყველა, გარდა თვით საქმროსი, რომელმაც მხოლოდ ჯვარი დაუსვა, წერა-კითხვის უცოდინარობის გამო. თითოეულმა მათგანმა ოთხ-ოთხი სუ გადაიხადა ღარიბთა სასარგებლოდ. როცა კანცელარიის მოსამსახურე ბიჭმა ქორწინების მოწმობა ჩააბარა კუპოს, ჟერვეზამ ხელი წაჰკრა და კუპომ ძლივს გაიმეტა კიდევ ხუთი სუ.

ქალაქის თვითმმართველობიდან ეკლესიამდე კარგა მანძილი იყო გასავლელი. გზაზე მამაკაცებმა ლუდი დალიეს, ხოლო კუპოს დედამ და ჟერვეზამ – მოცხარიანი წყალი. გრძელი ქუჩა ჰქონდათ გასავლელი. მზე უმოწყალოდ აჭერდა და ნამცეცი ჩრდილი

არსად ჩანდა. ეკლესიის მსახური მათ ცარიელ ეკლესიაში უცდიდა. მერე საყდრის პატარა სამლოცველოში შერეკა ყველა და გაცოფებულმა იკითხა, რას ნიშნავს ეს: სარწმუნოებას სასაცილოდ ხომ არ იგდებენ, ასე რომ დაიგვიანეს! დიდი ნაბიჯით მოვიდა მოძღვარი, დაღვრემილი და შიმშილისგან გაფითრებული სახით. მის წინ ჭუჭყიან სამოსელში გამოწყობილი დიაკვანი მოცუნცულებდა. მღვდელი წირვას აჩქარებდა, ყლაპავდა ლათინურ ფრაზებს, აქეთ-იქით ტრიალებდა, ძირს იხრებოდა, ხელებს შლიდა, თანაც ალმაცერად გაჰყურებდა ნეფიონს. ნეფე-დედოფალი ძალიან დაბნეულები ჩანდნენ საკურთხევლის წინ. არ იცოდნენ, როდის უნდა მოეყარათ მუხლი, როდის წამომდგარიყვნენ ან როდის დამსხდარიყვნენ, ამის შესასრულებლად დიაკვნის ნიშანს ელოდნენ. მოწმეები სულ ფეხზე იდგნენ ზრდილობიანად, კუპოს დედას კი მეზობელი ქალისგან ნათხოვარ ლოცვანში ჩაერგო ცხვირი და ტიროდა. ამასობაში შუადღემაც მოაწია და დაგვიანებული წირვიდან ხალხი გამოვიდა. ეკლესია მსახურთა ფეხის ბაკუნითა და აქეთ-იქით გაწეულ-გამოწეული სკამების ბრახუნით აივსო. როგორც ჩანდა, მთავარ საკურთხეველს რომელიღაც უქმე დღისთვის ამზადებდნენ, იქ ფარდებს აკრავდნენ. მსახურმა ჯაგრისით დაგავა ეკლესია და მტვერი დააყენა. ხოლო ამ დროს პატარა სამლოცველოს სიღრმეში უღიმღამოსახიანი მოძღვარი გამხმარ ხელებს თავზე უსვამდა მის წინ დახრილ ჟერვეზასა და კუპოს. ის, თითქოს, აერთებდა მათ არეულ-დარეულობაში, რომელიც ერთი ბინიდან მეორეში გადასვლას მოგაგონებდათ; ის აერთებდა მათ კეთილი ღმერთის იქ არყოფნის დროს, ორ სერიოზულ წირვას შუა. ხოლო, როდესაც ნეფიონმა ეკლესიის სალაროს სარეგისტრაციო დავთარში ხელახლა მოაწერა ხელი და კარიბჭეში გავიდნენ სუფთა ჰაერზე, ყველა გაოგნებული და გაბრუებული იყო ჯვრისწერის ასეთი ჭენებით ჩატარების გამო.

– ესეც ასე! – ნაძალადევი სიცილით წამოიძახა კუპომ. ტორტმანით მიაბიჯებდა და თუმცა მომხდარში არაფერს ხედავდა სახუმაროს, მაინც დასძინა: – ძალიან კარგი!.. არ აჭიანურებენ. ერთი, ორი და მორჩა!..

ისე, როგორც კბილის ექიმთან ვერ მოასწრებ დაიძახო, – უჰ! რომ კბილი ამოგლეჯილია. ესენიც უმტკივნეულოდ გწერენ ჯვარს.

– დიახ! დიახ! კაი ნამუშევარია, – წაიბუტბუტა ლორილემ ხითხითით, – ხუთ წუთშია შეხანხლული და მთელ სიცოცხლეს კი გასტანს!.. ახ! შე საწყალო მოცხარავ!

ოთხივე მოწმემ ბეჭებში ჩაუტყაპუნა კუპოს, რომელსაც ეტყობოდა, თავი მოსწონდა. ხოლო ჟერვეზა ამ დროს კუპოს დედას ეხვეოდა მოღიმარი და თვალცრემლიანი. ის პასუხებს აძლევდა დედაბერს ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოსროლილ სიტყვებზე.

– ნუ გეშინიათ, ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემეძლება. თუ ცუდად წავა საქმე, ეს ჩემი ბრალი არ იქნება. არა, ჭეშმარიტად არა, მე ისე დიდი სურვილი მაქვს, ბედნიერი ვიყო... ბოლოს და ბოლოს, უკვე ჯვარი დავიწერეთ, ხომ ასეა? ახლა ჩემზე და კუპოზეა დამოკიდებული ყველაფერი.

მერე ყველა პირდაპირ „ვერცხლის წისქვილისკენ“ დაიძრა. კუპომ მკლავში ხელი გაუყარა ცოლს. გაჩქარებული ნაბიჯით მიდიოდნენ, იცინოდნენ, თითქოს რაღაც მიაქანებდათ, ორასი ნაბიჯით გაუსწრეს დანარჩენებს. არაფერს ხედავდნენ, არც სახლებს, არც გამვლელ-გამომვლელებს, არც ეტლებს. ქალაქის გარეუბნის გამაყრუებელი ხმაური ზარებად ირეკებოდა მათ ყურში. როდესაც სამიკიტნო დუქანთან მივიდნენ, კუპომ ორი ბოთლი ღვინო, პური და ლორის ნაჭერი შეუკვეთა ქვემო სართულის პატარა შუშაბანდიან ოთახში, უთეფშოდ და უსუფროდ. ეს მხოლოდ უბრალო, სახელდახელო პურის გატეხა იყო. შემდეგ, როდესაც შეამჩნია, რომ ბოში და გარუჯული ბიბი სერიოზულ მადას იჩენდნენ, მესამე ბოთლიც გამოატანინა და ზედ ერთი ნაჭერი ყველიც მოაყოლებინა. კუპოს დედას არ შიოდა, გადაჭარბებულმა ღელვამ მადა წაართვა. ჟერვეზას კი წყურვილი ჰკლავდა და ამიტომ დიდი ჭიქით სვამდა ღვინით ოდნავ შეწითლებულ წყალს.

– ჩემი ხარჯია, – წარმოთქვა კუპომ და მაშინვე დახლისკენ გაემართა, სადაც ოთხი ფრანკი და ხუთი სუ გადაიხადა.

ამასობაში პირველი საათი შესრულდა. დაპატიჟებულები თანდათან იკრიბებოდნენ. პირველად გამოჩნდა მადამ ფოკონიე, მსუქანი, ჯერ კიდევ ლამაზი ქალი, მას ყვავილებით ნაქარგი მუქი აბრეშუმის კაბა ეცვა, ვარდისფერი ყელსახვევი და ყვავილებითვე გადატვირთული თავსაბური ეხურა. შემდეგ ერთად მოვიდნენ მარადიულ გამტვრიანებულ კაბაში აწურული მადმუაზელ რემანჟუ; ამ კაბას ის მგონი ღამით, ძილის დროსაც არ იხდიდა; ცოლ-ქმარი გოდრონები: ხარივით მძიმე ქმარი, ყავისფერ ქურთუკში, რომელიც ყოველ მის მოძრაობაზე ფხრიწინებდა და უზარმაზარი ცოლი, ორსული დედაკაცი, რომელსაც ღია იისფერი კაბა უფრო დიდს აჩენდა. კუპომ აუხსნა ყველას, რომ წაღას ლოდინი არ იყო საჭირო: ჩემი ამხანაგი სენ-დენის გზაზე დაგვხვდებაო.

– ოხ! როგორც ვხედავ, – შემოსვლისთანავე წამოიძახა მადამ ლერამ, – ლაზათიანად გავილუმპებით! ძალიან გართობა არ მოგველის?!

მერე მან მთელი საზოგადოება რესტორნის კართან მიიხმო, რათა ღრუბლები დაენახვებინა მათთვის. შავი საავდრო ღრუბლები სწრაფად იძვროდნენ პარიზის სამხრეთიდან. მადამ ლერა ყველაზე უფროსი იყო კუპოების ოჯახში. ის იყო მაღალი ტანის, ხმელ-ხმელი, ვაჟკაცური იერის ქალი, ცხვირში დუდღუნით ლაპარაკობდა, განიერ, მოწითალოყავისფერ ფოჩებიან კაბაში უშნოდ გახვეულიყო და ეს კაბა მას წყლიდან ამოსულ გამხდარ პუდელს ამსგავსებდა. ქოლგას ჯოხივით ათამაშებდა. მან ჟერვეზას აკოცა და განაგრძო: – ვერ წარმოიდგენთ, რანაირი ქარი ქრის ქუჩაში, თითქოს სახეში ცეცხლს გესვრიან!

ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ისინი კაი ხანია ელოდნენ ამ ჭექა-ქუხილს. როდესაც ეკლესიიდან გამოვიდნენ, მუსიე მადინიემ მშვენიერად იგრძნო, რომ საქმე ასე შეტრიალდებოდა. ლორილემ თქვა, რომ დილის სამი საათიდან ძილი გაუფრთხა,

კორძები მოსვენებას არ აძლევდა. უნდა ითქვას, რომ სხვანაირად ეს არც დაბოლოვდებოდა, რადგან სამი დღეა, რაც მართლა პაპანაქება სიცხე იყო.

– ოჰ! შეიძლება გამოიდაროს, გადაიღოს, – იმეორებდა კართან გაჩერებული კუპო და თან შეშფოთებით აკვირდებოდა ცას, – ჩვენ ჩემი დის მეტს ხომ არავის ველით, ის რომ მოსულიყო, მაშინვე დავიძროდით.

მადამ ლორილე მართლაც იგვიანებდა. მადამ ლერამ შეუარა მას, რათა ერთად წამოსულიყვნენ, მაგრამ მაშინ მხოლოდ კორსეტს იცვამდა. მათ კინკლაობა მოუვიდათ. ახმახმა ქვრივმა ყურში ჩასჩურჩულა თავის ძმას: – ისე გავხადე, ისე გავხადე! ისეთ გუნებაზეა, რომ!.. ნახავ მის გაბუებულ თავსა.

ნეფიონს კიდევ თხუთმეტი წუთი ლოდინი დასჭირდა. ერთ ადგილზე იტკეპნებოდნენ, აქეთ-იქიდან მუჯლუგუნები ხვდებოდათ, ხელსა ჰკრავდნენ მამაკაცები, რომლებიც რესტორანში შემორბოდნენ, რათა დახლთან თითო ჭიქა გადაეკრათ. დროდადრო ბოში ან მადამ ფოკონიე, ან გარუჯული ბიბი შორდებოდნენ ჯგუფს, ქვაფენილზე გადიოდნენ და ცას უცქეროდნენ. ნისლი არ იფანტებოდა. სინათლემ იკლო, ქარი მიწიდან თეთრ მტვერს ხვეტდა და ჰაერში ატრიალებდა. ქუხილის პირველ დაჭექებაზე მადმუაზელ რემანჟუმ პირჯვარი გადაიწერა. ყველამ სარკის ჩარჩოში ჩასმულ საათს შეავლო შეშფოთებული თვალი: ორს ოცი წუთი აკლდა.

– დაიწყო, – წამოიძახა კუპომ, – ანგელოზები ატირდნენ.

წვიმა შხაპუნით წამოვიდა ქვაფენილზე. გამვლელ ქალებს ორივე ხელით ეჭირათ თავ-თავიანთი ბოლოკაბები და ისე გარბოდნენ. ის იყო დაუშვა წვიმამ და ძლივს მადამ ლორილეც გამოჩნდა. სუნთქვაშეკრული, გააფთრებული, კარის დირესთან ებრძოდა საკუთარ ქოლგას, რომელიც არ იკეცებოდა.

– გაგონილა სადმე ასეთი ამბავი. – ლუღლუღებდა ის, – სწორედ კართან მომასწრო. მინდოდა უკან გავბრუნებულიყავი და ტანისამოსიც გამეხადა. ძალიან კარგსაც ვიზამდი. ახ! რა მშვენიერი ქორწილია! მე ვამბობდი მომავალი შაბათისთვის გადაგვედო, მაგრამ არ გამიგონეს და, აი, წვიმაც მოვიდა. მით უკეთესი! მით უკეთესი! სულაც ჩამონგრეულა მთელი ცა!

კუპო შეეცადა მის დამშვიდებას, მაგრამ მადამ ლორილემ იგი ჯანდაბაში გაისტუმრა. მე ვიცი, კაბას მიყიდი, თუ გამიფუჭდაო. მას შავი აბრეშუმის კაბა ეცვა, რომელშიც სული ეხუთებოდა; ღილკილოებით მოჭერილი კორსაჟი მხრებს უჭრიდა, ხოლო შალითასავით გამოჭრილი ბოლოკაბა ისეთი ვიწრო იყო, რომ ქალს მხოლოდ სულ პაწაწინა ნაბიჯით შეეძლო სიარული. მაგრამ მას ტუჩების კვნეტით შესცქეროდნენ ამ საზოგადოების მანდილოსნები, რომელთაც აღელვებდათ მისი ტუალეტი. მადამ ლორილე თითქოს ვერც კი ხედავდა კუპოს დედის გვერდით მჯდომარე ჟერვეზას. მან ქმარს დაუძახა და ცხვირსახოცი სთხოვა, მერე რესტორნის ერთ კუთხეში მიდგა

და დიდი მზრუნველობით სათითაოდ ამოწმინდა აბრეშუმზე მოხვედრილი წვიმის წვეთები.

ამასობაში თავსხმა უეცრად შეწყდა. დღის სინათლემ იკლო, თითქმის დაღამდა, ღამის მოლურჯო ბინდბუნდს ელვა სერავდა. გარუჯული ბიბი მასხრობას მოჰყვა. შემდეგ ხელახლა ატყდა საზარელი ჭექა-ქუხილი. ნახევარი საათის განმავლობაში კოკისპირული წვიმა მოდიოდა და განუწყვეტლივ ქუხდა. მამაკაცები კარის წინ გაჩერებულიყვნენ, შეჰყურებდნენ წვიმის ნაცრისფერ ბადეს, ქუჩაში ნიაღვრების მატებას და გუბეებიდან წყლის წინწკლების აქეთ-იქით ცვენას. ქალები შეშინებული ისხდნენ და თვალებზე ხელებს იფარებდნენ. ვეღარ ლაპარაკობდნენ, სიტყვები ყელში ეჩრებოდათ. ბოშის გაბედულმა ხუმრობამ ქუხილის გამო, რომ მაღლა წმინდა პეტრე აცემინებსო, ოდნავი ღიმილიც კი არ მოჰგვარა არავის. მაგრამ როდესაც ჭექა-ქუხილმა გადაიარა და მისი ხმა უკვე შორიდან ისმოდა, საზოგადოებას მოუთმენლობა დაეტყო. ჯავრობდნენ ამ ავდრიან დარზე, იწყევლებოდნენ და მუშტებს უღერებდნენ ღრუბლებს. ახლა ნაცრისფერი ციდან წვრილი წვიმა ცრიდა განუწყვეტლივ.

– უკვე ორმა საათმა განვლო, – წამოიყვირა მადამ ლორილემ, – აქ ხომ ვერ დავიძინებთ!

მადმუაზელ რემანჟუმ წინადადება შეიტანა, ქალაქგარეთ მაინც გასულიყვნენ, ციხესიმაგრის თხრილებამდე, მაგრამ კომპანიამ წინააღმდეგობა გაუწია: გზები გაფუჭებული იქნება, ბალახზეც კი ვერ ჩამოვსხდებითო. გარდა ამისა, ავდარს ბოლო აღარ უჩანს, შეიძლება ისევ წვიმამ დაუშვასო. კუპომ თვალი გააყოლა გაწუწულ მუშას, რომელიც დამშვიდებით მიაბიჯებდა წვიმის ქვეშ და წაიბუტბუტა: – თუ ის პირუტყვი წაღა ახლა სენ-დენის გზაზე გველოდება, უეჭველია, მზე თავში არ დაჰკრავს.

ამან სიცილი გამოიწვია, მაგრამ უსიამოვნო განწყობილება მატულობდა. ბოლოს და ბოლოს, აუტანელი ხდებოდა ეს უაზრო ლოდინი. რაიმე გადაწყვეტილების მიღება იყო საჭირო. ასე ცას ხომ არ უნდა უყურონ სადილობამდე! მერე მთელი თხუთმეტი წუთის განმავლობაში, რაკი წვიმა თავისას არ იშლიდა და დაჟინებით მოდიოდა, მათ თავის სამტვრევად გაუხდათ საკითხი, თუ როგორ მოქცეულიყვნენ. გარუჯული ბიბი წინადადებას იძლეოდა კარტი ეთამაშათ. გაიძვერა და ქვეშ-ქვეშა ბოშმა ერთი პატარა სასაცილო თამაში იცოდა, სახელად „სულიერი მოძღვარი“. მადამ გოდრონმა მოინდომა კლინიანკურის ქუჩაზე წასვლა ხახვიანი კუპატის საჭმელად. მადამ ლერა ითხოვდა სხვადასხვა გასართობი ამბის მოყოლას. გოდრონი მოწყენილობას სულ არ გრძნობდა, ძალიანაც კარგად იყო აქ და ურჩევდა ყველას, დაუყოვნებლივ მისხდომოდნენ სუფრას. ყოველ წინადადებაზე კამათობდნენ, ჯავრობდნენ: ეს სისულელეა, ეს ყველას ძილს მოჰგვრის, ბალღები ხომ არ ვართ. ბოლოს ლორილემ ჩაურთო სიტყვა, ძალიან უბრალო რამ მოიგონა: გარეულვარებზე გასეირნება პერ-ლაშეზამდე; იქ ელოიზას და აბელარის[8] საფლავებს ნახავდნენ, თუ დრო

ექნებოდათ. მადამ ლორილემ თავი ვეღარ შეიკავა და იფეთქა. ის სულ წავა აქედან, დიახ! აი, რას იზამს ის! ქვეყანას სასაცილოდ იგდებენ, თუ რა არის ეს? იმიტომ ჩაიცვა კაბა და წვიმაში იმიტომ დასველდა, რომ აქ, სამიკიტნოში მჯდარიყო ჩაკეტილი?! არა, არა! კმარა ამისთანა ქორწილი, მას შინ ყოფნა ურჩევნია. კუპო და ლორილე იძულებული გახდნენ კართან გადაღობებოდნენ, მაგრამ მადამ ლორილე გაიძახოდა: – მოშორდით მანდედან! მე თქვენ გეუბნებით, მივდივარ-მეთქი!

ქმარმა ძლივს დაამშვიდა, ხოლო კუპო ჟერვეზას მიუახლოვდა. ჟერვეზა ერთ კუთხეში მიმჯდარიყო და ხან დედამთილს ესაუბრებოდა წყნარად, ხან – მადამ ფოკონიეს.

– თქვენ არაფერ წინადადებას არ იძლევით?.. – მიმართა მას კუპომ, შენობით ლაპარაკს ჯერ ვერ უბედავდა.

– ოჰ! რასაც ყველა მოისურვებს, – სიცილით მიუგო ჟერვეზამ, – მე ყველაფერზე თანახმა ვიქნები. წავალთ თუ არ წავალთ, ჩემთვის სულერთია. მე ძალიან კარგად ვგრძნობ თავს და ამაზე მეტს არაფერს ვითხოვ.

ჭექა-ქუხილის დროს მას თვალი არ მოუშორებია ელვისთვის, დაჟინებით მისჩერებოდა და თითქოს ამ უეცარ გაელვებაში რაღაც დიდმნიშვნელოვანს ჭვრეტდა, ძალიან შორეულ მომავალში.

მხოლოდ მუსიე მადინიეს არ შემოუტანია არავითარი წინადადება. დახლზე დაყრდნობილს, ფრაკის კალთები გადაეკეცა და ცდილობდა, მფარველის მრავალმნიშვნელოვანი გამომეტყველბა არ დაჰკარგოდა. დინჯად გადააფურთხა და თავისი დიდი თვალები გადმოატრიალა.

– ღმერთო ჩემო! – წარმოთქვა მან, – ხომ შეიძლებოდა მუზეუმში წავსულიყავით.

მერე ნიკაპზე ხელი მოისვა და საზოგადოებას თვალი შეავლო მათი აზრის შესატყობად.

– იქ სიძველენია, ნახატებია, სურათები, მრავალი რამ არის გონების გასავარჯიშებლად... შესაძლებელია, თქვენ არც იცნობთ ამეებს. ოჰ! ამის ნახვა ღირს ერთხელ მაინც.

ნეფე-დედოფალი და მაყრიონის შემადგენლობა ერთმანეთს უყურებდნენ, ამოწმებდნენ ერთიმეორეს. არა, ჟერვეზას ეს არ უნახავს, არც მადამ ფოკონიეს, არც ბოშს, არც სხვებს, დანარჩენებს. კუპო დარწმუნებული იყო, რომ ერთხელ იქ ავიდა კვირადღეს, მაგრამ კარგად არაფერი ახსოვდა. ისევ ყოყმანობდნენ, რომ ამ დროს მადამ ლორილემ, რომელზეც მუსიე მადინიეს მრავალმნიშვნელოვანი შესახედაობა დიდ შთაბეჭდილებებს ახდენდა, ეს წინადადება მისაღებად ცნო. რადგან დღე გავწირეთ და ჩაცმულიც ვართ, ჯობს ისეთი რამე ვნახოთ, რაც ცოდნას შეგვძენსო.

ყველამ მოიწონა ეს აზრი. რადგანაც ჯერ ისევ ჟინჟღლავდა, მათ რესტორნის პატრონისგან ითხოვეს ქოლგები, – ლურჯი, მწვანე, წაბლისფერი, ასევე ძველი, მომხმარებელთა მიერ დატოვებული საწვიმრები და მერე მუზეუმში წავიდნენ.

კომპანიამ მარჯვნივ გაუხვია და სენ-დენის გარეუბანზე გავლით პარიზში ჩავიდა. კუპო და ჟერვეზა კვლავ თავში მოექცნენ. მხიარულად მიდიოდნენ, წინ უსწრებდნენ ყველას. მუსიე მადინიემ ახლა მადამ ლორილეს შესთავაზა მკლავი, რადგან კუპოს დედა რესტორანში დარჩა თავისი მუხლების მიზეზით. შემდეგ მოდიოდნენ ლორილე და მადამ ლერა, ბოში და მადამ ფოკონიე, გარუჯული ბიბი და მადმუაზელ რემანჟუ, ბოლოში – ცოლ-ქმარი გოდრონები. სულ თორმეტი იყვნენ. კარგა გრძელი კუდი გაიბა ქვაფენილზე.

– ოჰ. ჩვენ აქ არაფერ შუაში ვართ, გეფიცებით, – უხსნიდა მადამ ლორილე მუსიე მადინიეს, – არ ვიცით, საიდან აიკიდა ეგ ქალი ან უკეთ, ჩვენ მეტად კარგად ვიცით ეს, მაგრამ ჩვენი საქმე არ არის ამაზე ლაპარაკი, არა?.. ჩემს ქმარს მოუხდა ნიშნობის ბეჭდის ყიდვა. დღეს დილით, ჯერ ლოგინიდან ფეხი არ ჰქონდა გადმოყოფილი, რომ ათი ფრანკი ასესხა მაგათ, უამისოდ ყველაფერი ჩაიშლებოდა... პატარძალი, რომელსაც ერთი ნათესავიც კი არ მოუყვანია თავის ქორწილში! ამბობს, ერთი და მყავს პარიზში, მეძეხვეო. მაშ რატომ არ მოიპატიჟა იგი?

მადამ ლორილემ ლაპარაკი შეწყვიტა, რათა დაენახვებინა ჟერვეზა, რომელიც ქვაფენილის დაღმართზე ძალიან კოჭლობდა.

– შეხედეთ ერთი! დასაშვებია ეს?!.. ოჰ! შე, ჩაუხავ!

ამ სიტყვა ჩაუხამ დიდი გასავალი პოვა იქ მყოფთა შორის. ყველამ მოიწონა იგი. ლორილე ხითხითებდა და იძახოდა, მაგ ქალისთვის ეს სახელი უნდა დაერქმიათო. მაგრამ მადამ ფოკონიე გამოესარჩლა ჟერვეზას: ძალიან ცდებით, რომ მას ასე სასაცილოდ იგდებთ. საკმაოდ სუფთა ქალია და მუშაობაც ემარჯვება, როცა ამას საჭიროება მოითხოვსო. მადამ ლერა, მუდამ ორაზროვანი ფიქრით სავსე, ახალგაზრდა ქალის ფეხს „სასიყვარულო ფეხს“ უწოდებდა. თანაც ურთავდა, ეს ბევრ მამაკაცს უყვარსო, ხოლო თუ რატომ, დამატებითი განმარტების მოცემა არ ისურვა.

ნეფე-დედოფალი და მაყრიონი სენ-დენის ქუჩის ბოლოს გასცდნენ და ბულვარზე გადავიდნენ. წუთით ეტლების ტალღასთან შეჩერდნენ და მერე ქვაფენილიდან ქუჩაზე გადასვლა გაბედეს. ქუჩა თქეშის შემდეგ მოძრავი ლაფის გუბედ გადაქცეულიყო. კვლავ თავსხმა დაიწყო. ყველამ მაშინვე ქოლგები გაშალა.

ამ საცოდავი ნაფლეთების ქვეშ, რომლებიც მამაკაცების ხელებში ქანაობდნენ, ქალებმა კაბები დაიკაპიწეს და ყველანი ერთი ქვაფენილიდან მეორემდე გამწკრივდნენ ლაფში. ორმა ანცმა ბიჭუნამ ყიჟინა დასცა მაყრიონს. გამვლელ-გამომვლელებიც დაგროვდნენ. მოღიმარი მედუქნეები ვიტრინებიდან უყურებდნენ სეირს. ბრბოს ყაყანში ბულვარების ნაცრისფერ და სველ ფონზე პროცესიის წყვილები

ღია ფერის ლაქებად მოჩანდნენ: ჟერვეზას ლაჟვარდი კაბა, მადამ ფოკონიეს მუქი კაბა ამოქარგული ყვავილებით და ბოშის იადონისებურად ყვითელი შარვალი. ეს სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმული ხალხი წელში გაჭიმული მიდიოდა. კარნავალის სასაცილო იერი ეძლეოდა კუპოს გაპრიალებულ სერთუკსაც და მუსიე მადინიეს ოთხკუთხკალთებიან ფრაკსაც. ხოლო მადამ ლორილეს მშვენიერი ტუალეტი, მადამ ლერას ფოჩები და მადმუაზელ რემანჟუს დაჭმუჭნილი ბოლოკაბა მოდების აღრევას და ღატაკებში უბადრუკი ფუფუნების გამოფენას წარმოადგენდა. განსაკუთრებით სასაცილო იყო მამაკაცთა ქუდები, – კარადაში შენახული და სიბნელეში დებით გამკრთალებული ძველი ქუდები, მეტად კომიკური ფორმისაა: ამაღლებული, თანაც განზე გაწეული, წვეტიანი, არაჩვეულებრივფარფლებიანი, მაღლა აწეული, ბრტყელი, ძალიან განიერი ან ძალიან ვიწრო. გამვლელთა მხიარულება მატულობდა, როცა ხედავდნენ, რომ სულ ბოლოში, სანახაობის დასაგვირგვინებლად, მოდიოდა მადამ გოდრონი, მჩეჩავი ქალი, ღია იისფერ კაბაში გამოწყობილი, რომელსაც ორსული დედაკაცის ვეება, მეტისმეტად წინგამოშვერილი მუცელი მოჰქონდა. ქორწილის მონაწილეები აუჩქარებელი ნაბიჯით მიდიოდნენ, ბავშვურად უხაროდათ საერთო ყურადღება და თვითონაც ერთობოდნენ ამ ხუმრობებზე.

– აგერ, პატარძალი! – წამოიძახა ერთ-ერთმა ანცმა ბიჭუნამ და მადამ გოდრონზე მიუთითა, – ახ! რა უბედურებაა! კაი მოზრდილი კურკა არ გადაუყლაპავს ამ ქალს!

მთელ საზოგადოებას სიცილი წასკდა. გარუჯული ბიბის აზრით, ამ ბალღმა მოსწრებულად იხუმრა, კარგად იყო ნათქვამიო. ყველაზე ხმამაღლა თვითონ მჩეჩავი ქალი ხარხარებდა და უფრო მეტად ცდილობდა გამოეჩინა თავი. ეს ხომ სამარცხვინო არ იყო, პირიქით, არაერთმა მანდილოსანმა გამოაყოლა შურით თვალი და მის მდგომარეობაში ყოფნა ინატრა.

კომპანია კლერის ქუჩას დაადგა. შემდეგ მაილის ქუჩით წავიდნენ, ხოლო ვიქტუარის მოედანზე შეჩერება დასჭირდათ, რადგან პატარძალს მარცხენა ფეხსაცმელზე თასმა შეხსნოდა და, სანამ ის ამ თასმას ლუი XIV-ის ქანდაკების ფერხთით იკრავდა, წყვილები მის უკან იდგნენ ჯგუფად და კაბის ქვეშიდან ოდნავ გამოჩენილ წვივზე მასხრობდნენ. ბოლოს, კრუა-დე-პტი-შანის ქუჩა ჩაიარეს და ლუვრთან მივიდნენ.

მუსიე მადინიემ ზრდილობიანად შესთავაზა მათ თავისი ხელმძღვანელობა. უზარმაზარი მოცულობის ადგილია, ადვილად შეიძლება გზის აბნევაო. გარდა ამისა, მე აქ საუკეთესო კუნჭულებს ვიცნობ, რადგან ხშირად ვყოფილვარ ერთ მხატვართან ერთადო. ის ძალიან მცოდნე ყმაწვილია, ერთი მსხვილი საკარტონაჟო ფირმა მისგან სურათებს იძენდა ყუთებზე დასაკრავადო. როდესაც ნეფე-დედოფალი და მაყრები ასირიულ განყოფილებაში ჩავიდნენ, მათ სიცივის ჟრუანტელმა დაურბინა. დასწყევლის ეშმაკი! იქ არ ცხელოდა! ეს დარბაზი კაი სარდაფად გამოდგებოდა. წყვილები წყნარად მიიწევდნენ წინ, თავაწეულები, თვალების ხამხამით, ქვის გოლიათებს, მდუმარედ გაშეშებულ მარმარილოს ღმერთებსა და უცნაურ ცხოველებს

შორის, რომლებიც ნახევრად კატებს და ნახევრად ქალებს წარმოადგენდნენ თავიანთი მკვდარი სახეებით, წაწვეტებული ცხვირებითა და ამობურცული ტუჩებით. ნეფიონს ყველაფერი ეს დიდ სიმახინჯედ ეჩვენებოდა. ფინიკიური ასოებით გაკეთებულმა წარწერამ ხომ სულ გააშტერა ყველა. ეს შეუძლებელია, ამ აბდაუბდას ვერავინ წაიკითხავდა ვერასდროსო. მაგრამ ამ დროს მუსიე მადინიემ, რომელიც უკვე პირველი კიბის ბაქანზე იყო ასული მადამ ლორილესთან ერთად, დაუძახა მათ და თაღების ქვეშ გაისმა მისი ყვირილი: – წამოდით ერთი აქეთ! ეგ რა არის, რაღაც ახმახებია... კაი სანახავი პირველ სართულზეა.

კიბის კუშტმა სიშიშვლემ დაადინჯა ისინი. ხოლო წითელ ჟილეტსა და ოქროსსირმებიან ლივრეაში გამოწყობილმა დიდებულმა მეკარემ, რომელიც თითქოს მათ ელოდა კიბის ბაქანზე, გააორკეცა მათი განცდების ძალა. მოწიწებით, წყნარად და უხმაუროდ შელაგდნენ ფრანგულ გალერეაში.

იქ ოქროს ჩარჩოებით თვალმოჭრილებმა შეუჩერებლივ გაიარეს პატარ-პატარა სალონები; გზადაგზა უყურებდნენ სურათებს, რომელთა გადაჭარბებული სიმრავლე არ იძლეოდა მათი კარგად გასინჯვის შესაძლებლობას. ერთი საათი მაინც უნდა დამდგარიყვნენ თითოეული მათგანის წინაშე, რომ კარგად გაეგოთ მათი რაობა. დალახვროს ეშმაკმა! რამდენი სურათია! ბოლო აღარ უჩანს! კაი ფული კი იქნება აქ ჩაბნეულიო, განცვიფრებას ეძლეოდნენ. სულ ბოლომდე რომ მივიდნენ, უეცრად მუსიე მადინიემ „მედუზას ტივის“[9] წინ შეაჩერა ყველა და ნახატის სიუჟეტი აუხსნა. ყველანი აღელვებულები იდგნენ და დუმდნენ. და როდესაც დაიძრნენ, ბოშმა გამოთქვა საერთო მოსაზრება: ეს ძალზე შთამბეჭდავი რამ იყოო!

აპოლონის გალერეაში საზოგადოება განსაკუთრებით პარკეტმა მოიყვანა აღტაცებაში, გაპრიალებულმა პარკეტმა, სარკესავით კრიალამ, რომელშიც სკამის ფეხების ანარეკლი ჩანდა. მადმუაზელ რამანჟუმ თვალები დახუჭა, ეგონა, წყალზე მივდივარო. მადამ გოდრონს უყვიროდნენ, ფრთხილად დაედგა ფეხი მისი მდგომარეობის გამო. მუსიე მადინიეს სურდა ნახატებიანი ჭერის ვარაყსა და მხატვრობაზე მიექცია დამთვალიერებელთა ყურადღება, მაგრამ მათ კისრები ეღრიცებოდათ და ვერაფერს არჩევდნენ. ვიდრე ოთხკუთხედ დარბაზში შევიდოდნენ, მუსიე მადინიემ მათ ჟესტით მიუთითა ფანჯარაზე და წარმოთქვა: – აგერ, აივანი, საიდანაც შარლ IX ესროდა ხალხს.

ამასთანვე იგი პროცესიის კუდს ადევნებდა თვალყურს. ოთხკუთხა დარბაზის შუაგულში ჟესტით შეაჩერა ყველანი: აქ რასაც ხედავთ, – დაბალი ხმით წაიჩურჩულა მან, როგორც საყდარში, – ყველაფერი სანიმუშოა. ჟერვეზამ ითხოვა, აეხსნათ მისთვის სიუჟეტი სურათისა: „ქორწინება კანაში“.[10] ეს რა სისულელეა, რომ ჩარჩოებზე არ წერენ სიუჟეტებსო. კუპო „ჯოკონდას“[11] წინ გაჩერდა და ერთ-ერთ თავის ბიცოლას მიამსგავსა ეს ქალი. ბოში და გარუჯული ბიბი ხითხითებდნენ და ერთმანეთს შიშველ ქალებზე ანიშნებდნენ. განსაკუთრებით ანტიოპას წვივებმა აღაფრთოვანა ისინი.

სულ ბოლოში იდგნენ ცოლ-ქმარი გოდრონები. ქმარს პირი დაეღო, ცოლს მუცელზე დაეწყო ხელები და ასე გაშტერებული, გაოგნებული და გულაჩვილებული შესცქეროდნენ მურილიოს „ქალწულს“.[12]

მუსიე მადინიემ მოისურვა, სალონისთვის მეორედაც შემოევლოთ: ამაზე ღირდა შრომის დახარჯვა. მუსიე მადინიე დიდი ყურადღებით ექცეოდა მადამ ლორილეს მისი აბრეშუმის კაბის გამო. როცა მადამ ლორილე რაიმე შეკითხვით მიმართავდა, იგი დინჯად და თავდაჭერილად აძლევდა პასუხს.

მადამ ლორილე ტიციანის სატრფომ დააინტერესა, რომლის ჩალისფერ თმასა და საკუთარ თმას შორის მსგავსებას პოულობდა. მუსიე მადინიემ შეცდომით აუხსნა, თითქო ეს ყოფილიყო მშვენიერი ფერონიერა, ჰენრი IV-ის სატრფო.[13] ეს ქალი გამოყვანილია იმ დრამაში, ამას წინათ ამბიგიუში რომ ითამაშესო.

შემდეგ პროცესია გრძელ გალერეას გაუყვა, სადაც იტალიური და ფლამანდიური სკოლებია წარმოდგენილი. კვლავ სურათები, სულ სურათები, წმინდანები, მამაკაცები და ქალები გაუგებარი სახეებით, მთლად შავი პეიზაჟები, გაყვითლებული ცხოველები და ერთიმეორეში არეული ადამიანისა და ნივთების მყვირალა ფერები უკვე თავის ტკივილს იწვევდა მათში. მუსიე მადინიე აღარ ლაპარაკობდა, წყნარად მიუძღოდა პროცესიას, რომელიც რიგზე დაწყობილი მისდევდა. ყველას კისრები დაჭიმვოდა და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ. საუკუნეთა ხელოვნებამ გაიარა მათი გამოშტერებული თვალების წინაშე, პრიმიტივების დახვეწილმა სიმშრალემ, ვენეციელთა ფუფუნებამ, ჰოლანდიელთა მაძღარმა და ლამაზად განათებულმა ცხოვრებამ. მაგრამ ამ კომპანიას უმთავრესად სურათების ასლების გადამღებები აინტერესებდა. მოურიდებლად მოწყობილიყვნენ იქ მხატვრები: მნახველთა შორის დაედგათ თავიანთი მოლბერტები და ხატავდნენ. ისინი გააოცა განსაკუთრებით ერთმა ხნიერმა მანდილოსანმა, რომელიც მაღლა კიბეზე ასულიყო და იქ ფუნჯს აქეთ-იქით უსვამდა ვეება ტილოს მოლურჯო ცაზე. ამასობაში ეტყობა, ნელ-ნელა ხმა გავრცელდა, რომ ნეფე-პატარძალი მოსულა თავისი მაყრებით ლუვრის სანახავადო. აქეთ-იქიდან მოგროვდნენ პირზე ღიმმორეული მხატვრები. ცნობისმოყვარეები წინა სკამებზე სხდებოდნენ, რათა პროცესია უკეთ დაენახათ. დარაჯები ტუჩებს იკვნეტდნენ და თავს იკავებდნენ სამასხრო სიტყვებისგან. ნეფე-პატარძალი თავისი მაყრიონით ისე დაიღალა, რომ საზეიმო იერი დაკარგეს. ძლივს მიაფრატუნებდნენ ლურსმნებიან ფეხსაცმელს და ისეთი ბრაგუნით ადგამდნენ ქუსლებს პარკეტზე, გეგონებოდათ, პირუტყვის აშვებული, გაფანტული ჯოგი მობაკუნობს ამ ზვიად და გაკრიალებულ დარბაზშიო.

მუსიე მადინიე დუმდა, ეფექტს ამზადებდა. მერე პირდაპირ რუბენსის „კერმესასკენ“[14] გაემართა. აქაც არაფერი თქვა და მხოლოდ ტილოზე მიუთითა კამპანიას მზაკვრული გამომეტყველებით. მანდილოსნებმა, მიუახლოვდნენ თუ არა სურათს, მსუბუქად შეჰკივლეს. მერე პირი უკან მიაბრუნეს ძალიან

გაწითლებულებმა. მამაკაცები მათ იჭერდნენ, ლაზღანდარობდნენ და სურათზე ბინძურ დეტალებს ეძებდნენ.

– შეხედეთ ერთი! – იმეორებდა ბოში, – ამისთვის კი ფული არ მენანება. ერთი იმას უყურეთ, როგორ აღებინებს, ის კიდევ ბაბუაწვერებს რწყავს. ოჰ, ესა, ესა!.. კარგები არიან, ლაპარაკი არ უნდა.

– წავიდეთ, – წარმოთქვა ეფექტით აღტაცებულმა მუსიე მადინიემ, – აქ სანახავი აღარაფერია.

კამპანიამ პირი უკან იბრუნა. ხელახლა გაიარეს ოთხკუთხა დაბაზი და აპოლონის გალერეა. მადამ ლერა და მადმუაზელ რემანჟუ ჩიოდნენ, მეტი აღარ შეგვიძლია, ფეხები დაგვაწყდაო. მაგრამ მუყაოს მუშას უნდოდა ძველებური ძვირფასი ნივთები ეჩვენებინა ლორილესთვის. ეს განძეული იქვე გვერდით, პატარა ოთახში იყო მოთავსებული. ამ ოთახს მუსიე მადინიე სხვა დროს თვალდახუჭული მიაგნებდა, მაგრამ ახლა გზა აებნა და მთელი კამპანია შვიდ თუ რვა ცარიელ და ცივ დარბაზში გაატარა. ამ დარბაზებს მხოლოდ პირქუში ვიტრინები ამკობდა, სადაც უამრავი დამტვრეული დოქი და საშინლად მახინჯი კაცუნები განეთავსებინათ. საქორწილო პროცესიის წევრები კანკალებდნენ და ძალიანაც მოიწყინეს.

მერე გასასვლელი კარის ძებნაში ისევ სურათებიან დარბაზში მოხვდნენ და კვლავ დაიწყო მათი ახალი გაჭიანურებული მოგზაურობა.

სურათებს ბოლო აღარ უჩანდა, სალონს სალონი მისდევდა. გასართობი უკვე აღარაფერი იყო. კედელთან, შუშების ქვეშ დაწყობილი დაფხაჭნილი ქაღალდების მეტს ვერაფერს ნახავდით. მუსიე მადინიეს თავგზა აებნა, თანაც არ უნდოდა გამოტეხილიყო, რომ გზას ვეღარ იგნებდა. ერთ კიბეზე ავიდა და ნეფე-დედოფალი თავისი მაყრიონით თან აიყვანა, ერთი სართულით უფრო მაღლა. ამჯერად საზღვაო მუზეუმში მოგზაურობდნენ, სანიმუშო ხელსაწყოებს, ზარბაზნებსა, აგეგმილ რელიეფებსა და სათამაშოებივით პატარა ხომალდებს შორის. თხუთმეტი წუთის განმავლობაში ასე იარეს და მერე სხვა კიბეს მიადგნენ მოშორებით და, როდესაც ეს კიბეც ჩაიარეს, კვლავ სურათებით სავსე დარბაზში მოექცნენ. სასოწარკვეთილებამ შეიპყრო მთელი მაყრიონი. უკვე ალალბედზე დაყიალებდნენ დარბაზებში და წყვილ-წყვილად დაწყობილნი მისდევდნენ მუსიე მადინიეს, რომელიც შუბლიდან ოფლს იწმენდდა, საკუთარი თავი აღარ ახსოვდა, ადმინისტრაციაზე გაცოფებულიყო, ლანძღავდა მას და კარის შეცვლას აბრალებდა. დარაჯები და დამთვალიერებლები გაოცებით შესცქეროდნენ მიმავალ პროცესიას. ოც წუთს არ გაუვლია, რომ კვლავ ოთხკუთხა დარბაზში აღმოჩნდნენ, ფრანგულ გალერეაში, ვიტრინებთან, სადაც პატარა აღმოსავლურ ღმერთებს სძინავთ. ეგონათ, ვერასოდეს გავიდოდნენ აქედან. ფეხებში წყალი ჩაუდგათ, ყველაფერი დაავიწყდათ, წესიერებაზე აღარ ფიქრობდნენ და უზომო ხმაურით მიისწრაფოდნენ და მადამ გოდრონს ტოვებდნენ უკან მისი მუცლითურთ.

– იხურება! იხურება! – ხმამაღლა ყვიროდნენ დარაჯები.

კომპანია კინაღამ ჩაკეტილი აღმოჩნდა. ბოლოს და ბოლოს, მათ ერთი დარაჯი გაუძღვა წინ და გასასვლელ კართან მიიყვანა. დერეფანში დატოვებული ქოლგები რომ ჩამოირიგეს და ლუვრის ეზოში გავიდნენ, მხოლოდ მაშინ მოითქვეს სული. მუსიე მადინიეს კვლავ დაუბრუნდა თავმოყვარეობა, შევცდი, რომ მარცხნივ არ გავუხვიე, ახლა მაგონდება, ძვირფასი ნივთები მარცხნივ არის დალაგებულიო. საზოგადოებაც ცდილობდა ეჩვენებინა, რომ ყველა კმაყოფილი იყო ნანახით.

ოთხი საათი დაირეკა. სადილობამდე კიდევ ორი საათი ჰქონდათ თავიანთ განკარგულებაში. დროის მოსაკლავად გადაწყვიტეს ცოტა გაესეირნათ. ქალები ისე იყვნენ დაღლილები, სიამოვნებით ჩამოსხდებოდნენ, მაგრამ, რადგანაც მათ არავინ არაფერზე ეპატიჟებოდა, ყველანი ერთად კვლავ გზას გაუდგნენ სანაპირო ქუჩით. აქ ისევ ისეთმა კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა, რომ, მიუხედავად საწვიმარი ქოლგებისა, ქალების ტანისამოსს ცუდი დღე დააყენა.

მადამ ლორილემ, რომელსაც გულზე ცეცხლი ეკიდებოდა მის კაბაზე დაცემული თითოეული წვეთის გამო, წინადადება შემოიტანა სამეფო ხიდის ქვეშ შეეფარებინათ თავი. თუ სხვები არ მიჰყვებოდნენ, იმუქრებოდა, იქ მარტოდმარტო წავალო. მთელი კამპანია სამეფო ხიდის ქვეშ წავიდა. ძალიან კარგი იყო იქ ყოფნა. მადამ ლორილეს აზრი სწორედ მისწრება აღმოჩნდა! ქალებმა ქვაფენილზე გაშალეს თავიანთი ცხვირსახოცები, ზედ მოსვენებით ჩამოსხდნენ, მუხლი გაშალეს. ორივე ხელით გლეჯდნენ ქვებსა და ქვებს შუა ახალამოზრდილ ბალახს, შეჰყურებდნენ შავი წყლის დენას და თითქოს სოფელში იმყოფებოდნენ. მამაკაცებიც მოპირდაპირე არხიდან ექოს გამოწვევით ერთობოდნენ და ამ მიზნით ხმამაღლა ყვიროდნენ. ბოში და გარუჯული ბიბი სალანძღავ სიტყვებს გაიძახოდნენ, ყვიროდნენ, – „ღორო“ და ბევრს იცინოდნენ, როდესაც ექო უკან უბრუნებდა ამ სიტყვას. მერე, როცა ყელი ამოეხრინწათ, ბრტყელი ქვები მოაგროვეს და წყლის ზედაპირზე მათი გაცურებით ერთობოდნენ. ამასობაში თავსხმა შეწყდა, მაგრამ საზოგადოება იმდენად კარგად გრძნობდა იქ თავს, რომ წასვლას აღარც ფიქრობდა. სენა მოაქანებდა ჭუჭყიან ტალღებს, მოჰქონდა ბოთლის ძველი საცობები, ბოსტნეულის ნაფცქვენები და სიბინძურის მთელი გროვა, რომელიც წუთით ჩერდებოდა მორევში, სადაც თაღის ჩრდილით ჩაშავებული წყალი ტრიალებდა. ზემოთ კი, ხიდზე, ომნიბუსებსა და ფიაკრებს გაჰქონდათ გრიალი. ეს პარიზის ხმაური იყო. თაღს ქვემოდან, როგორც ორმოდან, ისე მოჩანდა ქალაქის სახურავები მარჯვნივ და მარცხნივ. მადმუაზელ რემანჟუ ოხრავდა: აქ რომ ფოთლები ყოფილიყო, – ამბობდა ის, – მე ეს მომაგონებდა მარნის ერთ კუთხეს, სადაც 1817 წელს ვიყავი ერთ ყმაწვილთან ერთად, რომელსაც აქამდე მივტირიო.

ბოლოს მუსიე მადინიემ წასვლის ნიშანი მისცა. მათ ტიულრის ბაღზე გაიარეს ბავშვების გროვაში, რომელთა ბურთებმა და სერსოს[15] სალტეებმა დაარღვია ამ წყვილთა სანიმუშო წესრიგი. შემდეგ ვანდომის მოედანზე გავიდნენ და იქაურობა

დაათვალიერეს. მუსიე მადინიემ გადაწყვიტა მანდილოსნებთან თავაზიანობა გამოეჩინა და მათ პარიზის დასანახავად სვეტზე ასვლა შესთავაზა. ყველა გაამხიარულა ამ წინადადებამ. დიახ, დიახ, საჭიროა ასვლა, იქ ბევრს იცინებენ. ამასთანავე, ეს საინტერესოც არის მათთვის, ვინც თავის დღეში ქვაფენილს არ ასცილებია.

– თქვენ გგონიათ, რომ ჩაუხა გაბედავს იქ ასვლას თავისი კოჭლი ფეხით? – წაიბურტყუნა მადამ ლორილემ.

– მე კი დიდი ხალისით ავალ, – წარმოთქვა მადამ ლერამ, – ოღონდ არ მინდა, უკან ვინმე მამაკაცი მომდევდეს.

ნეფე-დედოფალი თავისი მაყრიონითურთ ასვლას შეუდგა. კიბის ვიწრო სპირალზე მიფოფხავდნენ თორმეტივენი, თოკს ეჭიდებოდნენ, დაძველებულ საფეხურებზე ფორხილობდნენ და ხელით ეჭიდებოდნენ კედლებს. მერე, როცა სრულიად დაბნელდა, დიდი სიცილ-ხარხარი ატეხეს. ქალები მსუბუქად კიოდნენ. მამაკაცები უღიტინებდნენ, ფეხებზე ჩქმეტდნენ. მაგრამ ქალები სულელები ხომ არ იყვნენ, რომ ამაზე კრინტი დაეძრათ! ისე ეჭირათ თავი, ვითომდაც არაფერი მომხდარა. მერე ბოშმა მოიგონა ერთი ხუმრობა, რომელსაც ყველა იმეორებდა. მადამ გოდრონს განგებ ეძახდნენ, ვითომ გზაზე ჩამორჩა და ეკითხებოდნენ, – გამოეტევა თქვენი მუცელი თუ არაო. იქ რომ გაიჭედოს და ვეღარც ამოვიდეს და ვეღარც ჩავიდეს, სეირი არ იქნება! საცობივით გაიჭედება გასასვლელში და ჩვენც აღარ გვეცოდინება, საიდან გავიდეთო! ისე იცინოდნენ ორსული ქალის მუცელზე, ისე გამხიარულდნენ, ისეთი ხმაური ატეხეს, რომ სვეტს ზანზარი გაჰქონდა. მერე ეშხში შესულმა ბოშმა განაცხადა, ამ ბუხრის საკვამურს ბოლო აღარ უჩანს, ჩვენ, ალბათ, აქ დავბერდებით, ცაზე ხომ არ ავდივართო. მერე ქალების შეშინებას ცდილობდა და ყვიროდა, – სვეტი ირხევაო. კუპოს ამ დროს კრინტი არ დაუძრავს. ის ჟერვეზას მისდევდა, მის წელზე ჰქონდა შემოხვეული ხელი და გრძნობდა, რომ ქალი თანდათან მოეშვა: როცა უეცრად დღის სინათლე შემოიჭრა, კუპო ის იყო, კისერზე კოცნას უპირებდა.

– ყოჩაღ! კაი ამბავია, თქვენ აღარავის ერიდებით ორივე! – წარმოთქვა მადამ ლორილემ აღშფოთებით, ხოლო განგებ გააფთრებული გარუჯული ბიბი ბუტბუტებდა: – ეს რა ხმაური ატეხეთ, ხელი შემიშალეთ, საფეხურებს ვეღარ ვითვლი! მაგრამ მუსიე მადინიე უკვე ბაქანზე იყო და ძეგლებს უჩვენებდა. მადამ ფოკონიემ და მადმუაზელ რამანჟუმ არასგზით არ მოისურვეს კიბის ზემოთ ასვლა. მარტო ფიქრი იმ ქვაფენილზე, რომელიც ქვემოთ დარჩა, უკვე თავბრუს ახვევდა მათ. მათ მხოლოდ ცალი თვალით გაბედეს გარეთ გახედვა პატარა კარის საშუალებით. მადამ ლერამ, სხვებზე უფრო მაგარმა, ვიწრო ბაქანს შემოუარა, თან ბრინჯაოს გუმბათს ეჭიდებოდა. მართლაც საშიში და ამაღელვებელი იყო ფიქრი, რომ საკმაოა ერთი ფეხის გადაცდენა და, დალახვროს ღმერთმა, სად გადაიჩეხები. მამაკაცები ოდნავ გაფითრებულები დაჰყურებდნენ მოედანს. კაცს გგონია, ჰაერში ხარ

ატაცებული, ნიადაგს ხარ მოცილებული. არა, მართლა ჟრუანტელი გივლის მთელ ტანში!

მუსიე მადინიე ურჩევდა მათ, თავი მაღლა აეღოთ, წინ ეცქირათ ძალიან შორს, და თავბრუ აღარ დაეხვეოდათ. მუსიე მადინიე განაგრძობდა თითით ჩვენებას. ის უთითებდა ინვალიდების სახლს, პანთეონს, წმინდა იაკობის კოშკსა და მონმარტრის სერებზე.

ამის შემდეგ მადამ ლორილეს აზრად მოუვიდა ეკითხა, შეიძლებოდა თუ არა აქედან დაენახათ ლაშაპელის ქუჩაზე რესტორანი „ვერცხლის წისქვილი“, სადაც სადილობას აპირებდნენ. ათი წუთის განმავლობაში ეძებდა ყველა ამ ადგილს, კამათობდნენ კიდეც. თითოეული სხვადასხვა ადგილს უჩვენებდა. მათ ირგვლივ გადაჭიმულიყო ნაცრისფერი ბუმბერაზი – პარიზი. მოცისფრო სივრცეში იკარგებოდა მისი ღრმა ხეობები, რომლებშიც სახლის სახურავების მოძრავი ტალღები შეჩერებულიყო. მარჯვენა მხარე მთლად ჩრდილით დაეფარა სპილენძისფერ ღრუბლებს და ამ ოქროსფოჩიანი ღრუბლების კიდიდან დაშვებული განიერი სხივი ბრჭყვიალა ნაპერწკლებად ელვარებდა მარცხენა მხარის უამრავი ფანჯრის მინაზე. ქალაქის ეს კუთხე მკაფიოდ მოჩანდა მოწმენდილ და ქარიშხლით განბანილ ცაზე.

– სისულელე და კისრის ტეხა არ იყო ახლა ჩვენი აქ ამოსვლა? – კიბეზე ჩამოსვლის დროს წარმოთქვა გაცოფებულმა ბოშმა.

ნეფე-პატარძალი და მაყრიონი ხმაგაკმენდილები ჩადიოდნენ; გაჯავრებულები იყვნენ და მხოლოდ მათი ფეხსაცმლის ბაკუნის ხმა ისმოდა კიბის საფეხურებზე. ქვემოთ მუსიე მადინიეს უნდოდა ფულის გადახდა, მაგრამ კუპომ არ აცალა და დარაჯს სასწრაფოდ ჩაუდო ხელში ოცდაოთხი სუ, – ორ-ორი სუ სულზე. ექვსის ნახევარი იყო. დაბრუნების დროც მოვიდა და ისინი ბულვარებისა და პუასონიერის გარეუბნის გავლით დაბრუნდნენ. კუპოს აზრით, სეირნობის ამნაირად დასრულება არ შეიძლებოდა. მან ერთ-ერთ ღვინის დუქანში შეათრია ყველა და იქ ვერმუტი გადააკვრევინა.

სადილი ექვსი საათისთვის იყო შეკვეთილი „ვერცხლის წისქვილში“. უკვე ოცი წუთი იყო, რაც ელოდებოდნენ ნეფიონს. მადამ ბოში, რომელსაც სახლის ერთ-ერთი მობინადრე ქალისთვის ჩაებარებინა თავისი მოვალეობის შესრულება, კუპოს დედას ესაუბრებოდა პირველი სართულის დარბაზში, გაშლილი სუფრის წინ, ხოლო მის მიერ მოყვანილი ბიჭუნები, კლოდი და ეტიენი, მაგიდის ქვეშ თამაშობდნენ და გაფანტულ სკამებს შუა დარბოდნენ. ჟერვეზამ შენიშნა თუ არა პატარები, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში არ ენახა, მაშინვე მუხლებზე დაისვა ორივენი, მიუალერსა და მაგრად ჩაკოცნა.

– ჭკვიანად იქცეოდნენ? – შეეკითხა იგი მადამ ბოშს, – ძალიან ხომ არ იეშმაკეს?

მადამ ბოში მოუყვა, რა ილაპარაკეს პატარებმა მთელი ნახევარი დღის განმავლობაში; შეიძლებოდა სიცილით მომკვდარიყო კაცი მათ მიერ ნათქვამ სიტყვებზე. მაშინ ჟერვეზამ ხელახლა აიყვანა ისინი ხელში და, გაშმაგებული სინაზით შეპყრობილმა, მაგრად მიიკრა გულზე.

– რაც უნდა იყოს, ეს მაინც სასაცილოს ხდის კუპოს, – ოთახის სიღრმეში ელაპარაკებოდა მადამ ლორილე სხვა ქალებს.

ჟერვეზა დილანდელ ნათელ, მოღიმარ სიმშვიდეს არ კარგავდა. თუმცა გასეირნების შემდეგ სევდაც იპყრობდა. დაფიქრებული და კეთილგონიერებით აღსავსე სახით აკვირდებოდა ქმარსა და ლორილეებს. კუპოს, მისი აზრით, ლაჩრულად ეჭირა თავი დის წინაშე. გუშინ არ იყო, რომ ყვიროდა და იფიცებდა, თავის ადგილს მივუჩენ ამ გველის ენებს, თუ გონიერად არ მოიქცევიანო. ახლა კი ჟერვეზა კარგად ხედავდა, როგორიც იყო კუპო მათ პირისპირ, როგორ ძაღლივით ფეხქვეშ ეგებოდა, თვალებში შეჰყურებდა და თითოეულ მათ ნათქვამ სიტყვას იჭერდა. აღარ იცოდა რა ექნა, როცა გაჯავრებულებს ხედავდა. ახალგაზრდა ქალს ეს უბრალოდ, მათი მომავლის თვალსაზრისით აწუხებდა.

ახლა ისინი წაღას მეტს აღარავის ელოდნენ, ხოლო წაღა ჯერ არსად ჩანდა.

– ეჰ! წავიდეს ერთი და! – წამოიყვირა კუპომ, – ჩვენ სუფრას შემოვუსხდეთ და ნახავთ, თუ მაშინვე აქ არ გაჩნდეს! კარგი ყნოსვა აქვს, საჭმლის სუნს შორიდანვე გრძნობს... რა სასაცილო იქნება, თუ ის ახლაც იქ, სენ-დენის გზაზეა დარჭობილი!

ამ სიტყვებით ძლიერ გამხიარულებული ქორწილის მონაწილენი სკამების ბრახაბრუხით შემოუსხდნენ სუფრას. ჟერვეზა მადინიესა და ლორილეს შუა იჯდა, ხოლო კუპო – მადამ ფოკონიესა და მადამ ლორილეს შუა. დანარჩენი სტუმრები, ვისაც სად უნდოდა, იქ დასხდნენ, რადგან მუდამ შუღლითა და უკმაყოფილებით თავდება წვეულება, როცა ადგილები სუფრაზე წინასწარვე აღნიშნულია. ბოში მადამ ლერას მიუცუცქდა. გარუჯულ ბიბის მეზობლებად ჰყავდა მადმუაზელ რემანჟუ და მადამ გოდრონი. ხოლო მადამ ბოში და კუპოს დედა სუფრის ბოლოში მოთავსდენენ და ბავშვების პატრონობა იკისრეს: ისინი დაუჭრიდნენ მათ ხორცს, დაუსხამდნენ სასმელს და უმთავრესად ყურადღებას მიაქცევდნენ, რომ ბევრი ღვინო არ დაელიათ.

– სუფრას არავინ აკურთხებს? – იკითხა ბოშმა, სანამ ქალები სუფრის კალთებს იფარებდნენ ბოლოკაბებზე, რადგან დალაქავების ეშინოდათ.

მადამ ლორილეს არ უყვარდა ამგვარი ხუმრობა. ძალიან მალე, კოვზებზე ტუჩების წკლაპუნით შეიჭამა თითქმის უკვე გაცივებული ვერმიშელის წვნიანი. სუფრას ემსახურებოდა ორი ჭუჭყიანი, მოკლებლუზიანი და უსუფთაოწინსაფრიანი ბიჭი. აკაციებიან ეზოში გამავალი ოთხი გაღებული ფანჯრიდან შემოდიოდა დღის სინათლე. ეს იყო უკვე მიწურული, წვიმით განბანილი და ჯერ კიდევ თბილი, ავდრიანი დღის შუქი. ხეების ანარეკლი ამ ნესტიან კუთხეში მწვანე ფერს აძლევდა

კვამლით სავსე დარბაზს და ფოთოლთა ჩრდილებს ათამაშებდა შმორის სუნით გაჟღენთილ სუფრაზე. ორი სარკე, ერთი სუფრის თავში, ხოლო მეორე – ბოლოში, ბუზების ნაჯდომით იყო გაჭუჭყიანებული და უსასრულოდ აგრძელებდა მაგიდას, რომელზედაც ტლანქი, გაყვითლებული ჭურჭელი ეწყო. დანების ნაფხაჭნებს შავად ჩაჰკვდომოდა სამზარეულოს მაგიდის ცხიმის ნარჩენები. როდესაც სამზრეულოდან მოსამსახურე ბიჭი ამოდიოდა და შიდა კარი გაიღებოდა, ხრაკის სუნი ამოვარდებოდა ხოლმე ქვემოდან.

– ყველა ერთად ნუ ლაპარაკობთ, – წამოთქვა ბოშმა, როდესაც ყველა გაჩუმებულიყო და საკუთარ თეფშებს დასცქეროდნენ.

ის-ის იყო, პირველი ჭიქა ღვინო დალიეს და მოსამსახურე ბიჭების მოტანილ დაკეპილი ხორცის ღვეზელს გააყოლეს თვალი, რომ წაღაც შემოვიდა.

– ეჰ! თქვენ კი რა გითხრათ, თქვე რჯულძაღლებო, თქვენა! – შეჰყვირა მან, – ფეხსაცმლის ძირი დამიცვდა სამი საათის განმავლობაში გზაზე ხეტიალით. ერთმა ჟანდარმმა მოწმობაც კი მომთხოვა... განა შეიძლება მეგობართან ასე ღორულად მოქცევა? ერთი ეტლი მაინც დაგექირავებინათ და გამოგეგზავნათ ჩემთვის. ახ! არა, ხუმრობა იქით იყოს და ეგ უნამუსობაა, ჩემი აზრით! სხვა რომ არა იყოს რა, როგორ წვიმდა, რა თქეში იყო, ჯიბეები სულ წყლით ამევსო... ჰო, მეთქი, მართალს გეუბნებით, შემწვარი თევზის დაჭერა შეიძლება შიგ!

სიცილით დაოსდნენ მექორწილენი. წაღა უკვე შეზარხოშებული იყო, ერთ ლიტრამდე მაინც ჰქონდა გადაკრული. ოღონდ კი ლაფი, რომელიც ამ თავსხმა წვიმაში ზედ აჰკვროდა, არავისთვის მოეცხო და ჯანდაბას!

– ეი, შენ, გრაფ ჟიგოფენ, – უთხრა მას კუპომ, – წადი და მანდ დაჯექი, მადამ გოდრონის გვერდით. ხომ ხედავ, გელოდებოდით?!

ფიქრი არ არის, წაღას ეს ვერ შეაკრთობს, მალე მტერი მოგიკვდეთ, მალე ის დაეწევა ყველას. სამჯერ მოითხოვა ვერმიშელის წვნიანი და სამივე მათლაფა შეჭამა, ამასთან შიგ უზარმაზარ ნაჭერ პურსაც ყრიდა. როდესაც ხორციანი ღვეზლის ჭამას შეუდგნენ, მაშინ ხომ წაღამ მთელი სუფრა აღტაცებაში მოიყვანა! ახლა როგორ სანსლავდა! თავზარდაცემული მოსამსახურე ბიჭები ერთიმეორეს ცვლიდნენ, რომ მისთვის მოეტანათ თხელ-თხელ ნაჭრებად დაჭრილი პური, რომელსაც ის მთელ-მთელს ყლაპავდა. ბოლოს, წაღა გაჯავრდა. მას მთელი პური უნდა ედოს გვერდით! ერთი წამით, კართან ძალზე შეშფოთებული მედუქნე გამოჩნდა: საზოგადოებასაც სწორედ ეს უნდოდა, სიცილისგან მუცელზე კანი აღარ შერჩათ. ეგ ხომ მიკიტანს არ გაახარებს! რა ოხერი ღორმუცელაა, კაცო, ეს წაღა! ეგ არ იყო, რომ ერთხელ თორმეტი მაგრად მოხარშული კვერცხი შეჭამა და ზედ თორმეტი ჭიქა ღვინოც დააყოლა იმ ხნის განმავლობაში, სანამ საათი თორმეტჯერ რეკავდა შუადღეს?! ამისთანა ძალ-ღონის პატრონს ბევრს ვერ შეხვდება კაცი! მადმუაზელ რემანჟუ სინაზით ადევნებდა თვალყურს, თუ როგორ იღმურძლებოდა წაღა. ხოლო მუსიე მადინიეს ხომ სიტყვა

ვერ მოეძებნა თითქმის მოწიწებამდე მისული განცვიფრების გამოსათქმელად, დაბოლოს განაცხადა, ეს არაჩვეულებრივი ნიჭიაო.

სიჩუმე ჩამოვარდა. მოსამსახურე ბიჭმა ვეებერთელა, სასალათესავით ღრმა ლანგრით მოიტანა ბაჭიის ყაურმა და მაგიდაზე დადგა. ლაზღანდარა კუპომ მოსწრებულად იოხუნჯა: – ერთი ეს მითხარი, ბიჭო, ეგ ბაჭია სახურავიდან ხომ არ ჩამოგიყვანიათ?.. ჯერ ისევ ჭყივის!

ამ დროს, მართლაც ლანგრიდან თითქოს მოისმა შესანიშნავად გამოჯავრებული, ოდნავი ჭყივილის ხმა. ეს იყო კუპო, რომელიც ტუჩების გაუნძრევლად, ყელით გამოსცემდა ამ ბგერებს... კუპოს ეს ნიჭი მუდამ მოსწონდათ საზოგადოებაში და ის ისე არ ისადილებდა გარეთ, რომ ბაჭიის ყაურმა არ შეეკვეთა. მერე მან კრუტუნიც დაიწყო. ქალები ტუჩებს ხელსახოცით იფარავდნენ, ისე ძლიერ ეცინებოდათ.

მადამ ფოკონიემ ბაჭიის თავი მოითხოვა, მას თავის მეტი არაფერი უყვარდა. მადმუაზელ რემანჟუს გამორჩევით მოსწონდა ყაურმაში ჩადებული ქონი, ბოშმა კი შენიშნა, რომ მას წვრილად დაჭრილი ხახვი ურჩევნია, ხორცში ბლომად როცაა ჩატენილი. მადამ ლერამ ტუჩები ჩაიკვნიტა და წაიბუტბუტა: – გასაგებია ჩემთვის.

მადამ ლერა ჭიგოსავით ხმელი იყო, მუშა ქალის კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა და მას შემდეგ, რაც დაქვრივდა, მის სახლში არც ერთ მამაკაცს ფეხი არ შეუდგამს, მაგრამ ეს ქალი მუდამ განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ვინმეს სიმრუშეზე რაიმე გაეგო, თან ორაზროვანი და გადაკვრით ნათქვამი სიტყვები უყვარდა. ოღონდ იგი ამ სიტყვებს ისე ღრმა აზრს აძლევდა ხოლმე, რომ მის მეტს არავის ესმოდა. როდესაც ბოში მისკენ დაიხარა და ყურში ხმადაბლა განმარტება სთხოვა, ქალმა გაიმეორა: – რა თქმა უნდა, პატარ-პატარა ხახვები... საკმარისია, მე ვფიქრობ.

მაგრამ ამ დროს საუბარმა სერიოზული ხასიათი მიიღო. ყველამ თავის ხელობაზე დაიწყო ლაპარაკი. მუსიე მადინიე აღფრთოვანებით აქებდა მუყაოზე მუშაობას. ამ საქმის ჭეშმარიტი ოსტატები არსებობენ, ნამდვილი არტისტებიო და მან ჩამოთვალა საახალწლო საჩუქრებისთვის დამზადებული ყუთების ნიმუშები, მათი სასწაულებრივი მდიდრული მორთულობა აღნიშნა. მიუხედავად ამისა, ლორილემ მაინც ჩაიცინა. ლორილეს თავი მოჰქონდა, რომ ოქრომჭედელი იყო და ოქროს ანარეკლს ხედავდა თავის თითებსა და მთლად თავის პერსონაზე. – ბოლოს და ბოლოს, – წარმოთქვა მან, – ოდესღაც, ძველ დროში, ხშირად ჯავაირჩები მახვილსაც ატარებდნენ. მერე, თუმცა მან ეს კარგად არ იცოდა, ბერნარ პალისი[16] დაასახელა. კუპო ლაპარაკობდა ფლუგერზე, სანიმუშო ფლუგერზე, რომელიც ერთმა მისმა ამხანაგმა დაამზადა. ეს ფლუგერი შედგება სვეტისგან, მერე ძნა მოდის, მერე ხილით სავსე კალათა, ხოლო თავზე კი დროშა აქვს დამაგრებული. ყველაფერი ეს შესანიშნავად გამოიყურება და რისგან არის დამზადებული, თუ იცით, – იკითხა კუპომ, – მხოლოდ ნაჭრებად დაჭრილი და შეკოწიწებული თუთიისგან! მადამ ლერა გარუჯულ ბიბის უჩვენებდა, თუ როგორ უნდა ვარდის ღეროს დახვევა, და გამხმარ

თითებში დანის ტარს ატრიალებდა. ამასობაში ხმაურმა იმატა, ხმები ერთმანეთში აირია და ამ აურზაურში გაისმა მადამ ფოკონიეს მიერ ძალიან მაღალი ხმით წარმოთქმული სიტყვები. ის თავის მუშა ქალებს უჩიოდა. ერთმა პატარა მოწაფე გოგომ გუშინ კვლავ ერთი ზეწარი დამიწვაო.

– თქვენ ძალიან გაერთეთ ლაპარაკში, – შეჰყვირა ლორილემ მაგიდაზე მუშტის დაკვრით, – ოქრო არის, ოქრო!

ერთბაშად ყველა გაჩუმდა და ამ სიჩუმეში მხოლოდ მადმუაზელ რემანჟუს წვრილი ხმა ისმოდა, იგი განაგრძობდა: – მერე ბოლოკაბას ავუწევ და შიგნიდან ვკერავ... თავში ქინძისთავს გავურჭობ ქუდის მისამაგრებლად... მორჩა და გათავდა, მერე ცამეტ სუდ იყიდება.

მადმუაზელ რემანჟუ თავისი ტიკინების აღნაგობას უხსნიდა წაღას, რომელიც ყბებს წისქვილის ქვასავით წყნარად ატრიალებდა.

წაღა ყურს არ უგდებდა, თავს იქნევდა და მოსამსახურე ბიჭებს თვალს ადევნებდა, რათა საჭმელები უკან არ გაეტანათ. საწებელმოსხმული, ქონით დატენილი ხბოს ხორცი და მწვანე ლობიო უკვე შეჭამეს, ახლა ორი გამხდარი, შემწვარი ვარიკა შემოიტანეს ღუმელში გამომშრალი მოშუშული წიწმატით შემორიგებული. გარეთ, აკაციის მაღალ ტოტებზე, მზის შუქი ილეოდა, ხოლო დარბაზში მომწვანო შუქის ანარეკლი ღვინით და წვენით დალაქავებული და არეულ-დარეული ჭურჭლით სავსე სუფრიდან ასულ ოხშივარს უფრო ასქელებდა. მოსამსახურე ბიჭების მიერ კედლებთან მიწყობილი ჭუჭყიანი თეფშები და ცარიელი ბოთლები, სუფრიდან გადაგვილ და გადაყრილ ჩეჩქს ჰგავდა. მამაკაცებმა სერთუკები გაიხადეს და პერანგის ამარა განაგრძობდნენ ჭამას.

– მადამ ბოშ, გთხოვთ, ეგრე ბევრს ნუ აჭმევთ მაგ ბავშვებს, – წარმოთქვა ჟერვეზამ, რომელიც ცოტას ლაპარაკობდა და კლოდს და ეტიენს შორიდან თვალყურს ადევნებდა.

ჟერვეზა წამოდგა და წავიდა, რათა ბავშვების სკამების უკან დამდგარიყო და წუთით მაინც ელაპარაკა მათთან. ბავშვს რა ჭკუა აქვს, მთელი დღე შეუძლია ჭამოს, არც ერთ ლუკმაზე უარს არ იტყვის. მერე ჟერვეზამ თვითვე მისცა მათ ცოტაოდენი ქათმის ხორცი და თეთრი საწებელი. მაგრამ კუპოს დედამ შენიშნა, არა უშავს, ერთხელ მაინც ჭამონ მაძღრისად და თუნდაც ძნელად მოინელონო. მადამ ბოში ხმადაბლა ბრალსა სდებდა ბოშს, რომ მან მადამ ლერას მუხლზე უჩქმიტა. – ოჰ! ეს ქვეშ-ქვეშა, რანაირად გამოთვრა! – მადამ ბოშმა კარგად დაინახა, როცა მისი ხელი მიიმალა. ხოლო თუ კიდევ გაუმეორებია, ღმერთს ვფიცავ, ქალი არ ვიქნები, თუ სურა არ ვახეთქე შიგ თავშიო.

საერთო დუმილში მუსიე მადინიე პოლიტიკაზე ლაპარაკობდა.

– მათი 31 მაისის კანონი უაღრესი სისაძაგლეა. ახლა საჭიროა ორ წელიწადს ერთ ადგილზე ცხოვრობდე, რათა მონაწილეობა მიიღო არჩევნებში. სამი მილიონი მოქალაქე სიიდან ამოშლილია... მე მითხრეს, რომ სინამდვილეში ბონაპარტი ძალიან აღშფოთებულია თურმე ამით, რადგან მას ხალხი უყვარს. ამის დამამტკიცებელი საბუთები არაერთხელ მოუცია.

მუსიე მადინიე რესპუბლიკელი იყო. ის აღმერთებდა პრინცს მისი ბიძის გამო, რომლის ბადალსაც ვეღარავინ ნახავს ვერასდროსო... გარუჯული ბიბი აღშფოთდა: იგი ელისეს სასახლეში მუშაობდა და ბონაპარტი ისე ახლო ჰყავდა ნანახი, როგორც ახლა თავის პირდაპირ წაღას ხედავდა. მერე რა? პრეზიდენტს სიფათი ულაყს მიუგავს, მეტი არაფერი! ამბობენ, ახლა ლიონის მიმართულებით აპირებს გამგზავრებასო. ძალიან კარგი იქნება, თუ იქ სადმე ორმოში კისერს მოიტეხს და თავიდან მოგვშორდება.

რადგან საუბარმა ცუდი მიმართულება მიიღო, კუპო იძულებული შეიქნა, ჩარეულიყო.

– ნეტავი თქვენ!.. გულუბრყვილონი ყოფილხართ, თუ პოლიტიკის გამო წაკინკლავდით... რა იცით თქვენ პოლიტიკისა! ცარიელი ლაყბობაა ეგ პოლიტიკა! განა ის ჩვენთვის არსებობს?.. ვინც უნდა ის დასვან, მეფე იქნება ეს, იმპერატორი თუ სულ არავინ! მე ეს ხელს არ შემიშლის ჩემი შრომით ხუთი ფრანკი ვიშოვო, ვჭამო და ვიძინო. მართალი არ არის?!. არა, ეგ დიდი სისულელეა!..

ლორილე თავს აქნევდა. ლორილე სწორედ იმ დღეს იყო დაბადებული, რა დღესაც გრაფი შამბორი, ე.ი. 1820 წლის სექტემბრის 29-ს. ეს დამთხვევა მას დიდად აღელვებდა, რაღაც გაურკვეველი ოცნება იპყრობდა ამის გამო და ფიქრში რაღაც კავშირს ამყარებდა საფრანგეთში მეფის დაბრუნებასა და საკუთარ კეთილდღეობას შორის. ის არ ამბობდა გარკვეულად, თუ რისი იმედი ჰქონდა, მაგრამ გაგაგებინებდათ კი, რომ მაშინ რაღაც არაჩვეულებრივად სასიამოვნო რამე მოელოდა. ამიტომ ლორილე ძნელად განსახორციელებელ და გადაჭარბებით დიდ სურვილს იმ დროისთვის დებდა, როცა მეფე დაბრუნდებოდა.

– ამას წინათ, – თქვა მან, – ერთ საღამოს მე ფრაფი შამბროი ვნახე...

ყველამ სახე მისკენ მიაბრუნა.

– ნამდვილად! მაღალი კაცია, პალტო აცვია, შესახედავად კარგი ყმაწვილი ჩანს... მე პეკინოსთან ვიყავი, ერთ-ერთ ჩემს მეგობართან, ავეჯის გამყიდველია ლა შაპელის ქუჩაზე. ჰოდა, იქ შემოვიდა და აი, ასე სულ უბრალოდ წარმოთქვა: „თუ შეიძლება, დამიბრუნეთ ჩემი ქოლგა“. ღმერთო ჩემო! სწორედ ის იყო, პეკინომ პატიოსნება დაიფიცა.

არც ერთ მის თანამესუფრეს ამაში ეჭვი არ შეუტანია...

დესერტი მოიტანეს. მოსამსახურე ბიჭებმა დიდი ხმაურით გაათავისუფლეს მაგიდა და მადამ ლორილემ, რომელსაც აქამდე ისე ეჭირა თავი, როგორც ნამდვილ მანდილოსანს შეეფერებოდა. უეცრად შეჰყვირა: – წყეულო პირდაუბანელო!

საქმე ის იყო, რომ ერთმა მოსამსახურე ბიჭმა, როცა თეფში მიჰქონდა, მას რაღაც სითხე ჩაასხა კისერში. მისი აბრეშუმის კაბა ნამდვილად დალაქავდა. მუსიე მადინიე იძულებული გახდა, მისი ზურგი გაესინჯა და დაეფიცა, ზედ არაფერი აჩნევიაო. ახლა სუფრის შუაგულს კვერცხის კრემი ამშვენებდა. ის სასალათეში იყო ჩადებული და აქეთ-იქით ორ-ორი თეფში ჰქონდა მიდგმული, ორ თეფშზე იდო ყველი, ხოლო დანარჩენ ორზე – ხილი. ყვითელ კრემში კარგად შემწვარი ცილა დაცურავდა. ამ კერძმა საერთო აღტაცება გამოიწვია. ამას არ ელოდნენ და ეს, საერთო აზრით, ჩინებული რამ იყო. წაღა კი სულ ჭამდა. კვლავ ერთი მთელი პური მოითხოვა, ორი ყველიც შესანსლა. რადგან კრემი დარჩა, წაღამ სასალათე თავისკენ მისწია და შიგ პურის დიდი ნაჭრები ჩაყარა ბლომად.

– შესანიშნავია სწორედ, – კვლავ აღფრთოვანებით წარმოთქვა მუსიე მადინიემ.

მამაკაცები ჩიბუხების ასაღებად წამოიშალნენ. წუთით წაღას უკან გაჩერდნენ, მხრებზე ხელს უტყაპუნებდნენ და ეკითხებოდნენ, – ხომ კარგად მიდის საქმეო. გარუჯულმა ბიბიმ სკამიანად ასწია წაღა, მაგრამ დალახვროს ღმერთმა! ამ პირუტყვს წონა გაორკეცებოდა. კუპო ხუმრობით ლაპარაკობდა, ჩემი ამხანაგი მხოლოდ ახლა შეუდგა საქმეს და მთელი ღამის განმავლობაში პურის ჭამაში იქნებაო. თავზარდაცემული მოსამსახურე ბიჭები გაქრნენ. ერთი წუთით სამზარეულოში ჩასული ბოში დაბრუნდა და განაცხადა, იქ, ქვემოთ, მედუქნე მთლად გადაფითრებული დგას დახლთან, ხოლო თავგზააბნეულმა დიასახლისმა კაცი გაგზავნა გასაგებად, პურის დუქანი ღიაა თუ არაო. თვით შინაური კატაც კი განადგურებული ჩანსო. მართლა, კაი საყურებელი სეირია. ამისთვის სადილის ფული დასანანი არ არისო. რა არიფანა იქნებოდა?! მამაკაცებმა ჩიბუხებს მოუკიდეს და შურით სავსე თვალით შესცქეროდნენ წაღას. ბოლოს და ბოლოს, მართლა კაი მაგარი ვაჟკაცი უნდა იყო, რომ ამისთანა ჭამას გაუძლო!

– არ ვისურვებდი, თქვენი გამოკვება მქონოდა დაკისრებული, – წარმოთქვა მადამ გოდრონმა, – ახ! არა, შენი ჭირიმე!

– მაგას ნუ იტყვით, ჩემო დედიკო, ნუ მეხუმრებით, – მიუგო წაღამ და ალმაცერად გადახედა მეზობელი ქალის მუცელს, – თქვენ ჩემზე უფრო ზორბა რაღაც გადაგიყლაპავთ...

გაისმა ტაშისცემა, ბრავოს ძახილი: – აი, ნათქვამიც ესაა! ღამე ბნელი იყო. დარბაზში სამი აირმაშუქი ენთო და მკრთალ შუქს უხვად ისროდა ჩიბუხების კვამლში. მოსამსახურე ბიჭებმა მას შემდეგ, რაც ყავა და კონიაკი მოიტანეს, ჭუჭყიანი თეფშების უკანასკნელი გროვა გაზიდეს, ხოლო ქვემოთ, სამი აკაციის ქვეშ, ქეიფი და ცეკვა გაიმართა. ერთი კორნეტი და ორიც ვიოლინო უკრავდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა,

და ამას ზედ ერთვოდა ქალების სიცილ-კისკისი, რომელიც ოდნავ ჩახრინწულად მოისმოდა თბილ ღამეში.

– აბა, ახლა ერთი ცეცხლი დავანთოთ! – წამოიყვირა წაღამ, – ორი ლიტრი რომი, ბლომად ლიმონი და ცოტაოდენი შაქარი.

მაგრამ ამ დროს კუპომ მის პირდაპირ მჯდომ ჟერვეზას შეშფოთებული სახე დაინახა, წამოდგა და განაცხადა, მეტს აღარ დავლევთო. ოცდახუთი ბოთლი გამოცალეს, თითოზე ბოთლ-ნახევარი მოდის, ბავშვებიც რომ დიდებში ჩათვალონ. მოკლედ, სრულიად საკმარისი იყო. ერთად გატეხეს პური, მეგობრულად, დიდ არაფერს გამოსდგომიან, მათ მხოლოდ ერთიმეორის პატივისცემა აქვთ და სურდათ შინაურულად გადაეხადათ საოჯახო დღესასწაული. ყველაფერმა ძალიან კარგად ჩაიარა, – იმხიარულეს კიდეც და ახლა სულ არ არის საჭირო ღორულად გამოთრობა, ქალების პატივისცემა უნდა იქონიონ. ერთი სიტყვით, საბოლოოდ, აქ იმიტომ შეიკრიბნენ, რომ ახალდაქორწინებულები დალოცონ და არა იმიტომ, რომ გასკდნენ. ეს სიტყვა, რომელიც კუპომ მტკიცე ხმით წარმოთქვა ისე, რომ ყოველი ფრაზის დაბოლოებისას გულზე ხელს იდებდა, მუსიე ლორილემ და მუსიე მადინიემ მოიწონეს, მაგრამ დანარჩენებმა – ბოშმა, გოდრონმა, გარუჯულმა ბიბიმ და, უმთავრესად წაღამ (ოთხივენი კარგად შეზარხოშებულები იყვნენ) სიცილი დააყარეს. ენას ძლივს იბრუნებდნენ და გაიძახოდნენ, წყეული წყურვილისგან ყელი გვიშრება და ამიტომ ცოტა დამატებაა საჭიროო.

– ვისაც სწყურია, სწყურია, ვისაც არა სწყურია, მაშ, არა სწყურებია, – შენიშნა წაღამ, – ასე რომ, ალს ვუკვეთთ. ჩვენ არავის ვაკვირვებთ. არისტოკრატებს თუ ნებავთ, შაქრიანი წყალი ამოატანინონ.

მაგრამ, რადგანაც კუპომ ისევ ქადაგება დაიწყო, წაღამ შეჰყვირა: – ახ! იცი რა, მოცხარავ, მოდი, მაკოცე... ბიჭო, ორი ბოთლი ძველისა!

მაშინ კუპომ თქვა: – ძალიან კარგი, ეგრე იყოს, ოღონდ სადილის ხარჯები ახლავე გავასწოროთ ჩხუბისა და დავიდარაბის თავიდან ასაცილებლად, კარგად აღზრდილმა ხალხმა ლოთების ხარჯები რად უნდა გაისტუმრონო. წაღამ ჯიბეზე ხელი გაიკრა, კარგა ხანს ეძებდა, მაგრამ სამი ფრანკისა და შვიდი სუს მეტი ვერაფერი იპოვა. მაშ, რად ალოდინეს ის სენ-დენის გზაზე? იქ რომ არ გაწუწულიყო, იძულებული გახდა ხუთფრანკიანი დაეხურდავებინა, დიახ, ეს მათი ბრალია, ყველასი! ბოლოს, მან სამი ფრანკი გადაიხადა, ხოლო შვიდი სუ მეორე დღის თუთუნისთვის დაიტოვა. გაცოფებული კუპო მზად იყო გაერტყა მეგობრისთვის, ამ დროს შიშით გულგახეთქილ ჟერვეზას ხელი რომ არ ჩაევლო მისთვის და ხვეწნით განზე არ გაეწია. კუპომ გადაწყვიტა, ორ ფრანკს დასესხებოდა ლორილეს, რომელმაც ჯერ უარი უთხრა და მერე ჩუმად მისცა, რადგან, ეჭვგარეშე იყო, მისი ცოლი არ დასთანხმდებოდა.

მუსიე მადინიემ თეფში დაიჭირა ხელში. მხოლოდ მანდილოსნებმა: მადამ ლერამ, მადამ ფოკონიემ, მადმუაზელ რემანჟუმ პირველებმა დადეს თავიანთი ხუთფრანკიანები მალულად. ამის შემდეგ მამაკაცები განცალკევდნენ ოთახის მეორე კუთხეში და ანგარიში დაიწყეს. სულ თხუთმეტნი იყვნენ. ეს ხომ სამოცდათხუთმეტ ფრანკს შეადგენდა. როდესაც სამოცდათხუთმეტი ფრანკი მოგროვდა თეფშზე, თითოეულმა მამაკაცმა კიდევ ხუთ-ხუთი სუ დაუმატა მოსამსახურე ბიჭებისთვის. საათის მთელი მეოთხედი დასჭირდა გულმოდგინე ანგარიშს, სანამ ყველაფერი ისე მოწესრიგდებოდა, რომ ყველა სათითაოდ კმაყოფილი დარჩენილიყო.

მაგრამ, როდესაც მუსიე მადინიემ, რომელმაც საქმის მოგვარება ისურვა, სასადილოს მეპატრონე მოიხმო, საზოგადოება სახტად დარჩა, რადგან მან ღიმილით განაცხადა, რომ ეს ანგარიში სრული არ არის, დამატებებიც იყოო. და, როცა სიტყვა „დამატებებს“ გააფთრებული შეძახილებით შეხვდნენ, სასადილოს მეპატრონემ დაწვრილებით განმარტა: ოცდახუთი ბოთლი ღვინო ნაცვლად ოცისა, რაც წინასწარ იყო დათქმული, კვერცხის კრემი, რომელიც მან დაუმატა, რადგან შეატყო, რომ დესერტი არასაკმარისი იყო; შემდეგ ერთი პატარა ბოთლი რომი, ყავასთან ერთად მორთმეული იმ შემთხვევისთვის, თუ ვინმე მსურველი გამოჩნდებოდა. საშინელი აურზაური ატყდა. კუპო, რომელსაც განმარტების მიცემა ევალებოდა, თავს იცავდა: მას არ უხსენებია ოცი ბოთლი, ხოლო რაც შეეხება კვერცხის კრემს, ეს დესერტში შედიოდა და მით უარესი, თუ პატრონმა ის თავისი ნებით დაუმატა. რჩებოდა პატარა ბოთლი რომი. ეს ხომ ყალთაბანდობა და ანგარიშის გასაზრდელად მოგონილი ხრიკი იყო, რომ სუფრაზე შეეპარებინათ ისეთი სასმელები, რომელიც არავის ფიქრად არ მოსვლია.

– ის ყავის ლანგარზე იდგა, – ყვიროდა კუპო, – ჰოდა, ის ყავის ანგარიშში უნდა შესულიყო!.. თავი დაგვანებეთ, აიღეთ თქვენი ფული და ეშმაკმა წაგვიღოს, თუ ოდესმე კიდევ ფეხი შემოვდგათ ამ თქვენს ფარდულში.

– ექვსი ფრანკით მეტია, – გაიძახოდა სასადილოს პატრონი, – ჩემი ექვსი ფრანკი მომეცით... იმ ვაჟბატონის პურს კი უკვე აღარ ვანგარიშობ.

მთელი საზოგადოება მჭიდროდ შემოხვეოდა მედუქნეს გაცოფებული ჟესტიკულაციით და ისეთი წივილ-კივილით, რომ სიბრაზისგან სიტყვები ყელში ეჩხირებოდათ. განსაკუთრებით ქალებს დაჰკარგოდათ თავის შეკავების უნარი და ერთი სანტიმის მომატებაზედაც კი უარს ამბობდნენ. ეს კაი ამბავია! მადლობას მოგახსენებთ ამ მშვენიერი ქორწილისთვის! მადმუაზელ რემანჟუ აცხადებდა, ჩემს დღეში აღარ გავერევი ასე მოწყობილ სადილებშიო. მადამ ფოკონიე გაიძახოდა, ძალიან ცუდად ვჭამე: შინ ორმოც სუს დავხარჯავდი. ცოტა რამეს მოვამზადებდი, მაგრამ ისე გემრიელად, რომ კაცი თითებს ჩაიკვნეტავდაო. მადამ გოდრონი ჩიოდა, ყველაზე ცუდ ადგილას დამსვეს, სუფრის ბოლოში, წაღას გვერდით, რომელიც ერთი ბეწო ყურადღებასაც არ მაქცევდაო. ბოლოს და ბოლოს, ამისთანა არიფანები მუდამ ასე ცუდად მთავრდება, თუ ქორწილის გადახდა გსურს და გინდა ხალხი დაისწრო,

დასწყევლოს ღმერთმა, აიღე და მიიპატიჟე სტუმრებიო! ჟერვეზა ერთ-ერთი ფანჯრის წინ კუპოს დედას მიჰკედლებოდა და კრინტს არ ძრავდა. დარცხვენილი იყო, გრძნობდა, რომ ყველა ეს საყვედური მას ეკუთვნოდა.

მუსიე მადინიე ბოლოს სასადილოს მეპატრონეს ქვევით ჩაჰყვა და იქიდან ისმოდა მათი კამათის ხმა. ნახევარი საათის შემდეგ მუყაოს მუშა ძლივს გამოჩნდა. მან სამი ფრანკი კიდეც მისცა და ამაზე მორიგდნენ, მაგრამ საზოგადოება გაკაპასებული იყო, ძალიან გაბრაზებული და განუწყვეტლივ ამ დამატებებზე ლაპარაკს უბრუნდებოდა. ეს საერთო აყალმაყალი და ალიაქოთი მადამ ბოშის ტლანქმა საქციელმა კიდევ უფრო გააძლიერა. ეს ქალი სულ ქმარს უთვალთვალებდა და დაინახა, რომ მან ერთ კუთხეში მადამ ლერას წელზე უჩქმიტა. მაშინ მადამ ბოშმა აიღო და მას სურა ესროლა, რომელიც კედელს მოხვდა და დაიმსხვრა.

– როგორ ეტყობა თქვენს ქმარს, რომ თერძია, – წარმოთქვა აწოწილმა ქვრივმა და თავისი ჩვეულებრივი ორაზროვანი გამომეტყველებით ტუჩები ჩაიკვნიტა.

– ქალის ბოლოკაბის პირველხარისხოვანი მუსუსია... თუმცა მაგარი წიხლები ვუთავაზე მაგიდის ქვეშ.

საღამო ჩაიშალა. საზოგადოება თანდათან უფრო ცუდ გუნებაზე დგებოდა. მუსიე მადინიემ წინადადება შემოიტანა, ემღერათ, მაგრამ გარუჯული ბიბი, რომელსაც კარგი ხმა ჰქონდა, სადღაც გამქრალიყო. შემდეგ ფანჯარასთან მდგარმა მადმუაზელ რემანჟუმ დაინახა, რომ იგი აკაციების ქვეშ ერთ ზორბა ქალიშვილს ასდევნებოდა. კორნეტი, ვიოლინოები უკრავდნენ კადრილს „მდოგვის გამყიდველს“, რომლის შესრულების დროსაც ზოგჯერ ხელზე ხელის შემოკვრა იყო საჭირო. ყველა აქეთ-იქით გაიფანტა. წაღა და ცოლ-ქმარი გოდრონები ქვევით ჩავიდნენ, ბოშიც გაიძურწა.. ფანჯრების ქვემოთ, ფოთოლთა შორის, რომლებსაც ტოტებზე ჩამოკიდული ფარნები დახატული დეკორაციის ღია მწვანე ფერს აძლევდა, მოცეკვავე წყვილები ჩანდნენ. ღამე თითქოს არ სუნთქავდა, ისე გათანგულიყო სულის შემხუთველი სიცხისგან. დარბაზში სერიოზული მუსაიფი გაიბა ლორილესა და მუსიე მადინიეს შორის, ხოლო მანდილოსნებმა არ იცოდნენ ამ ხნის განმავლობაში რაზე ამოეყარათ ჯავრი და კაბებზე ლაქებს დაუწყეს ძებნა.

მადამ ლერას ფოჩები, ეტყობოდა, ყავას დაესველებინა. მადამ ფოკონიეს მუქი კაბა მთლად სოუსში ამოსვრილიყო. კუპოს დედის მწვანე შალი სკამიდან გადმოვარდნილიყო და კუთხეში იპოვეს ფეხით გათელილი. განსაკუთრებით მადამ ლორილე იყო გაანჩხლებული. გაიძახოდა, ზურგზე ლაქა მაქვსო, და იმდენი იტრიალა სარკის წინ, რომ ბოლოს ის მაინც აღმოაჩინა.

– რას ვამბობდი? – შეჰყვირა, – ეს შემწვარი ქათმის საწებელია! მოსამსახურე ბიჭმა უნდა გადამიხადოს კაბის საფასური! წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოში ვუჩივლებ! ახ, რა საშინელი დღეა! არ ჯობდა შინ დავრჩენილიყავი და დამეძინა?.. პირველ ყოვლისა, აქედან მივდივარ, მეყო მაგათი წყეული ქორწილი!

მადამ ლორილე ისეთი გაცოფებული წავიდა, რომ მისი ქუსლების ტყაპუნით კიბეს ზანზარი გაჰქონდა. ლორილე უკან გამოედევნა, მაგრამ ვერაფერს მიაღწია, გარდა იმისა, რომ ცოლი დაჰპირდა, ხუთ წუთს დავიცდი ქვაფენილზე, თუ ყველას ერთად უნდა წასვლაო. მადამ ლორილე ნანობდა, რატომ ისე არ მოვიქეცი, როგორც წინათ ვაპირებდი, წვიმის შემდეგ უნდა წავსულიყავიო. კუპოს ვაზღვევინებ დღევანდელ დღესო! კუპომ მისი გააფთრების ამბავი რომ შეიტყო, გაშტერდა. ჟერვეზაც, ქმრისთვის რომ არ ეწყენინებინა, მაშინვე შინ წასვლას დათანხმდა. საჩქაროდ გამოეთხოვნენ ყველას. მუსიე მადინიემ კუპოს დედის გაცილება იკისრა. მადამ ბოშს ამ პირველ ღამეს თავისთან მიჰყავდა დასაძინებლად კლოდი და ეტიენი. დედას შეეძლო დამშვიდებული ყოფილიყო. ძნელად მოსანელებელი კვერცხიანი კრემით დამძიმებულ ბავშვებს სკამებზე ეძინათ. ბოლოს და ბოლოს, ახალშეუღლებულებმა თავს უშველეს ლორილეებთან ერთად და დანარჩენი სტუმრები დუქანში დატოვეს. სწორედ ამ დროს დიდი ჩხუბი ატყდა ქვევით, რესტორანში, მექორწილეებსა და სხვა კამპანიას შორის. ბოში და წაღა ერთ ქალს გადახვეოდნენ და არ ანებებდნენ ორ სამხედროს, რომელთაც ის ეკუთვნოდა. კორნეტის და ორი ვიოლინოს მიერ დაკრული პოლკას „მარგალიტების“ საშინელ ხმაურში ბოში და წაღა იმუქრებოდნენ, დავანგრევთ აქაურობასო.

თითქმის თერთმეტი საათი იყო უკვე. რადგან ორი კვირის ხელფასის მიღების დღე სწორედ ამ შაბათს დაემთხვა, მოქეიფე ლოთების საშინელი ღრიანცელის ხმა გაისმოდა ლაშაპელის ბულვარსა და გუტ-დორის მთელ უბანში. მადამ ლორილე „ვერცხლის წისქვილიდან“ ოცი ნაბიჯის სიშორეზე იდგა აირმაშუქის ქვეშ და იცდიდა. მან მკლავში ხელი გაუყარა ლორილეს და უკანმოუხედავად წავიდა ისეთი ნაბიჯით, რომ სუნთქვაშეკრული კუპო და ჟერვეზა ძლივს ეწეოდნენ. დროდადრო ქვაფენილიდან გადადიოდნენ რომელიმე ძირს გართხმული ლოთისთვის გზის ასაქცევად. ლორილემ უკან მოიხედა, რათა როგორმე გამოესწორებინა შექმნილი მდგომარეობა.

– კარამდე მიგაცილებთ, – წარმოთქვა მან.

მადამ ლორილემ კი ამაღლებული ხმით განაცხადა, – დიდ უცნაურობად მიმაჩნია, კაცმა თავისი საქორწინო ღამე ბინძურ სასტუმრო „კაიგულში“ გაატაროს. განა მათ ქორწილი არ უნდა გადაედოთ, არ უნდა მოეგროვებინათ ოთხ-ოთხი სუ, არ უნდა შეეძინათ ავეჯი, რომ საკუთარ ბინაში შესულიყვნენ პირველ ღამეს? ახ! ძალიან კარგად არ იქნებიან ორივენი სხვენის ქვეშ, ათფრანკიან ოთახში ჩაჭედილები, სადაც საკმაო ჰაერიც კი არ არის!

– მე ის ოთახი გავათავისუფლე, ჩვენ არ ვრჩებით მაღლა, – შენიშნა მოკრძალებით კუპომ, – ჩვენ ჟერვეზას ოთახს ვიტოვებთ, ის უფრო დიდია.

მადამ ლორილეს ყველაფერი დაავიწყდა, ის უეცრად მობრუნდა: – ეს უკვე ნამეტანია! – წამოიყვირა მან, – შენ ჩაუხას ოთახში იძინებ?

ჟერვეზა მთლად გაფითრდა. ეს მეტსახელი, რომელიც მას პირველად გააგონეს, სილასავით მოხვდა. გარდა ამისა, კარგად მიხვდა მულის წამოძახებულ სიტყვებს: ჩაუხას ოთახი! ეს ნიშნავდა ოთახს, სადაც იგი ცხოვრობდა ლანტიესთან ერთად, სადაც ჯერ ისევ ეყარა მისი წარსული ცხოვრების ნივთები. კუპო ამას ვერ მიხვდა, ის მხოლოდ მეტსახელით იყო შეურაცხყოფილი.

– ძალიან ცდები, რომ სხვებს მეტსახელებით ნათლავ, – მიუგო მან წყენით დას, – შენ ეს არ იცი, რომ უბანში ძროხის კუდს გეძახიან შენი თმის გამო? აჰა, არ გესიამოვნა, განა? რატომ არ უნდა შევინარჩუნოთ პირველი სართულის ოთახი? ბავშვები ამაღამ იქ არ იქნებიან და ჩვენ კარგად მოვეწყობით.

მადამ ლორილემ არაფერი უპასუხა, სასტიკად შეურაცხყოფილი და გაბრაზებული იყო ამ მეტსახელით: „ძროხის კუდი“. კუპო ჟერვეზას ნუგეშის საცემად ხელზე ხელს უჭერდა ნაზად და შეძლო კიდეც გაემხიარულებინა, რადგან ყურში ეჩურჩულებოდა, ახალ ოჯახს ვაწყობთ, ჯიბეში კი მხოლოდ სამი დიდი და ერთიც პატარა სუ გვიჭყავისო. თანაც შარვლის ჯიბეში ამ ფულებს ხელით აჩხარუნებდა. სასტუმრო „კაიგულთან“ რომ მივიდნენ, ერთმანეთს გაჯავრებული სახეებით გამოეთხოვნენ და იმ წუთში, როდესაც კუპო ორივე ქალს ერთიმეორეს მოსახვევად ხელს ჰკრავდა და ტუტუცებს უწოდებდა, ერთი მთვრალი მამაკაცი, რომელიც, ეტყობოდა, მარჯვნივ აპირებდა გახვევას, უეცრად მარცხენა მხარეს წატორტმანდა და ქალებს შუაში ჩაუვარდა.

– ეჰე! ეს ბიძია ბაზუჟია! – წამოიძახა ლორილემ, – დღეს თავისი სამყოფი უკვე გადაუყლაპავს.’

თავზარდაცემული ჟერვეზა სასტუმროს კარს აეკრა. ბიძია ბაზუჟი მეკუბოე იყო, დაახლოებით ორმოცდაათი წლისა. შარვალი ტალახში ამოსვროდა, შავი წამოსასხამი მხარზე დუგმით შეეკრა, ტყავის ქუდი კი წაქცევის დროს გაბრტყელებოდა.

– ნუ გეშინიათ, ეგ ბოროტი არ არის, – განაგრძობდა ლორილე, – ჩვენი მეზობელია, მესამე ოთახი უჭირავს დერეფანში, სანამ ჩვენთან შემოხვიდოდეთ... კაი ამბავი არ იქნებოდა, მის უფროსებს რომ ენახათ ამ მდგომარეობაში.

ბიძია ბაზუჟს, ეტყობოდა, საწყენად მიეღო ახალგაზრდა ქალის შიში.

– რა იყო, რა მოხდა? – წაილუღლუღა მან, – ჩვენ არავის ვჭამთ... რითი ვარ სხვებზე ნაკლები, ჩემო პატარავ... ეჭვი არ არის, ცოტა გადავკარი. როცა მანქანა მუშაობს, ბორბლებს ზეთის წასმა სჭირდება! ვერც თქვენ და ვერც სხვა ვინმე ვერ შეძლებდა ექვსასგირვანქიანი კაცის ჩამოტანას მეოთხე სართულიდან ქვაფენილზე ისე, როგორც ეს ჩვენ, მარტო ორმა კაცმა შევძელით, თან არ დაგვიმტვრევია... მე მომლხენი ხალხი მიყვარს.

მაგრამ ჟერვეზა უფრო ღრმად მიიკუნჭა კარის კუთხეში. მძლავრი სურვილი ერეოდა ეტირა, რაც სულმთლად უშხამებდა ქორწილის დღეს. თავისი მულის კოცნაზე კი აღარ ფიქრობდა, მხოლოდ კუპოს ევედრებოდა, მოეშორებინა მისთვის ეს მთვრალი კაცი. ბაზუჟმა ტორტმანით, ფილოსოფიური მედიდურობითა და ზიზღით სავსე ჟესტით წარმოთქვა: – იქ წასვლა არ აგცდებათ, ჩემო პატარავ... შეიძლება ისეთი დღეც დაგიდგეთ, რომ ძალიანაც გიხაროდეთ იქ წასვლა... დიახ, მე ვიცნობ ქალებს, რომლებიც მადლობას იტყოდნენ, თუკი იქ წავათრევდი.

და რადგან ლორილეებმა გადაწყვიტეს, ბაზუჟი თან წაეყვანათ, იგი მობრუნდა და უკანასკნელი ფრაზა სლოკინით წაიბურტყუნა: – როცა... ეს შეისმინეთ... როცა კვდებიან... უკვე დიდი ხნით კვდებიან.

## თავი მეოთხე

მძიმე შრომაში განვლო ოთხმა წელიწადმა. უბანში ჟერვეზა და კუპო სანიმუშო ცოლ-ქმრად ითვლებოდნენ. ცხოვრობდნენ თავისთვის მყუდროდ, უმუშტიკრივოდ და ყოველ კვირადღეს რეგულარულად სენტ-უენისკენ დადიოდნენ სასეირნოდ. ცოლი დღეში თორმეტ საათს მუშაობდა მადამ ფოკონიესთან და მაინც ასწრებდა, რომ შინ ყველაფერი დაკრიალებული ჰქონოდა, ჯალაბსაც დილა-საღამოს თბილ ლუკმას არ აკლებდა. კაცი არ ლოთობდა, მას თავისი ორი კვირის ნამუშევარი შინ მოჰქონდა, საღამოობით კი, ძილის პირას, ფანჯარასთან ჰაერის ჩასაყლაპავად ჯდებოდა და ჩიბუხს აბოლებდა. ერთი სიტყვით, კუპოები სამაგალითონი იყვნენ ყველასთვის და რაკი მათი დღიური ნაშრომი ცხრა ფრანკს აღწევდა, მეზობლებიც ფიქრობდნენ, საკმაო ფული აქვთ გადადებული შავი დღისთვისო.

სინამდვილეში კი ისინი, განსაკუთრებით პირველ ხანებში, წელებზე ფეხს იდგამდნენ, რომ როგორმე თავი გაეტანათ. ქორწინებამ ორასი ფრანკი ვალი აჰკიდა. ამასთანვე ძალიან შეჯავრდათ სასტუმრო „კაიგული“. ეზიზღებოდათ ბინძური ხალხი, რომელიც მუდამ ავსებდა ამ სასტუმროს. კუპო და ჟერვეზა ოცნებობდნენ საკუთარ ბინაზე საკუთარი ავეჯით, რომელსაც კარგად მოუვლიდნენ. ერთი ოცჯერ მაინც ჰქონდათ გამოანგარიშებული, თუ რამდენი დასჭირდებოდათ ამისთვის. კარგა მოზრდილი თანხა იყო საჭირო, დაახლოებით სამას ორმოცდაათი ფრანკი, თუ მაშინვე მოისურვებდნენ შეუვიწროებლად ცხოვრებას, ე.ი. ხელთ რომ ჰქონოდათ ყველაფერი, რაც დასჭირდებოდათ, – ქვაბი იქნებოდა ეს, თუ კარდალა. მათ იმედი უკვე დაკარგული ჰქონდათ, არ ეგონათ, თუ ორ წელიწადზე ადრე შეძლებდნენ ამოდენა თანხის შეგროვებას, მაგრამ უცებ ბედი ეწიათ: ერთმა პლასანში მცხოვრებმა მოხუცმა მამაკაცმა ცოლ-ქმარს სთხოვა, თქვენს უფროს ბიჭს, კლოდს სასწავლებლად მივაბარებ კოლეჯშიო. ეს გახლდათ დიდსულოვანი უცნაურობა ერთი ახირებული,

მხატვრობის მოყვარული კაცისა, რომელიც ოდესღაც გაეკვირვებინა ამ ბავშვის ნახატებს. ჟერვეზასა და კუპოს ძალიან უჭირდათ კლოდის რჩენა და, რაკი ახლა უმცროსი ბიჭის, ეტიენის მეტი შესანახი არავინ დარჩათ, მათ ეს სამას ორმოცდაათი ფრანკი შვიდ-ნახევარ თვეში მოაგროვეს. იმ დღეს, როდესაც შეიძინეს ძველი ავეჯის მოვაჭრესთან ბელომის ქუჩაზე, ჯერ გარე ბულვარებზე ისეირნეს, ვიდრე შინ დაბრუნდებოდნენ. სიხარულით უცემდათ გული. ავეჯს შეადგენდა ერთი საწოლი, საწოლთან დასადგმელი მაგიდა, მარმარილოსთავიანი კამოდი, ერთი კარადა, მრგვალი მაგიდა მუშამბით და ექვსი სკამი – ყველაფერი ძველი წითელი ხის. ამას ემატებოდა საწოლის მოწყობილობა, თეთრეული და თითქმის ახალთახალი სამზარეულო ავეჯი. ამით თითქოს ცხოვრებაში შედგეს ფეხი საბოლოოდ და სერიოზულად, კერძო მესაკუთრეები გახდნენ, რაც თვალსაჩინო მდგომარეობას უქმნიდა მათ უბნის დარბაისელ ოჯახთა შორის.

ახალი ბინის არჩევას თითქმის ორ თვეს მოუნდნენ. უწინარეს ყოვლისა, უნდოდათ ბინა დაექირავებინათ დიდ სახლში, გუტ-დორის ქუჩაზე, მაგრამ იქ არც ერთი თავისუფალი ოთახი არ მოიძებნებოდა და იძულებული გახდნენ, ხელი აეღოთ ძველ ოცნებაზე. სიმართლე რომ ითქვას, ჟერვეზას არცთუ ძალიან აწუხებდა ეს გარემოება, რადგან ლორილეების მეზობლობა იქვე, ყურის ძირში ძალიან აშინებდა. ცოლ-ქმარმა სხვაგან დაიწყეს ბინის ძებნა. კუპო სამართლიანად მსჯელობდა, რომ ბინა მადამ ფოკონიეს სამრეცხაოსთან ახლოს უნდა ყოფილიყო, რათა ჟერვეზას ერთი ნახტომით შესძლებოდა თავის ბინაში გაჩენილიყო, რა დროსაც კი მოისურვებდა. ბოლოს მათ ნამდვილ განძს მიაგნეს: ეს იყო ერთი დიდი ოთახი, საკუჭნაოთი და სამზარეულოთი ახალ ქუჩაზე, გუტდორის უბანში, თითქმის სამრეცხაოს პირდაპირ. ეს იყო პატარა ერთსართულიანი სახლი ძალიან დაქანებული კიბით, რომლის თავზეც მხოლოდ ორი ბინა იყო მოთავსებული, – ერთი მარჯვნივ, მეორე მარცხნივ. ქვემოთ ეტლების გამქირავებელი ცხოვრობდა. მის ეტლებს დიდი ფარდულები ეჭირა ფართო ეზოში, ქუჩის გასწვრივ. აღტაცებულ ახალგაზრდა ქალს ეგონა, რომ პროვინციაში დაბრუნდა. არც მეზობელი ქალები, არც მითქმა-მოთქმა და ჭორები, წყნარი კუთხე, რომელიც მას პლასანის პატარა ქუჩას აგონებდა ქალაქის ციხესიმაგრის უკან. დაბოლოს, მას სამრეცხაო მაგიდასთან დგომის დროსაც კი შეეძლო უთოს ხელიდან გაუშვებლად საკუთარი ბინის ფანჯრები დაენახა, საკმაო იყო ამისთვის ოდნავ წინ წაეწია თავი.

აპრილის ბოლო რიცხვებში დაბინავდნენ. ჟერვეზა მაშინ რვა თვის ორსული იყო. მაგრამ დიდ მხნეობას იჩენდა, სიცილით ლაპარაკობდა, ბავშვი მუშაობაში მეხმარება, ვგრძნობ, პატარა ცაცებს მირტყამს და ეს ძალას მმატებსო. ხოლო როცა კუპო ეუბნებოდა, ცოტა ხანს წამოწექი და დაისვენეო, ამ რჩევას არაფრად აგდებდა. აბა, სწორედ ახლა დავწვები! მე მხოლოდ მაშინ დავწვები, როცა დიდი ტკივილები მომივლის. მაშინაც მეყოფა წოლა! ახლა ერთი მჭამელი კიდევ გვემატება და გარჯაც მეტია საჭიროო. სანამ ქმარს მიეხმარებოდა ავეჯის დალაგებაში, ჟერვეზამ საკუთარი ხელით დაწმინდა და დაასუფთავა მთელი ბინა. სალოცავად გაუხდა ეს ავეჯი,

დედობრივი მზრუნველობით წმენდდა მას და გული უკვდებოდა თითოეული ნაფხაჭნის დანახვაზე, უეცრად შეჩერდებოდა შემკრთალი, თითქოს მას მოარტყეს რამე, როდესაც დაგვის დროს ავეჯზე ხელი მოუხვდებოდა. განსაკუთრებით ძვირფასი იყო მისთვის კამოდი. მისი აზრით, ეს კამოდი ლამაზიც იყო, მკვიდრად გაკეთებულიც და შესახედაობაც ძალიან დარბაისლური ჰქონდა. მისი იდუმალი ოცნება იყო ამ კამოდის მარმარილოს თავზე საათი დაედგა. რა ეფექტს მოახდენდა, რა ძვირფასი რამ იქნებოდა! პაწაწას რომ არ ელოდეს ჟერვეზა, შეიძლება გაებედა კიდეც ამ საათის შეძენა: ახლა კი ამ ოცნების განხორციელება მან ამოოხვრით სამერმისოდ გადადო.

აღტაცებულები იყვნენ ახალი ბინით. ეტიენის საწოლი პატარა ოთახში დადგეს, სადაც მეორე ბავშვის საწოლიც დაეტეოდა. სამზარეულო ოთახი სულ პაწაწინა იყო, თითის ტოლა და ამასთანავე ბნელიც, მაგრამ როცა კარი გაიღებოდა, საკმაოდ კარგად ჩანდა შიგ ყველაფერი. გარდა ამისა, ჟერვეზა ხომ ოცდაათი კაცისთვის არ ამზადებდა სადილს. მისთვის საკმარისი იყო შეჭამანდის დასადგმელი ადგილი ეპოვა სადმე. მათ სიამაყეს შეადგენდა დიდი ოთახი. დილიდანვე ცოლ-ქმარი მიტკლის თეთრ ფარდას ჩამოაფარებდა საწოლს და ოთახი სასადილოდ გადაიქცეოდა შუაში დადგმული მაგიდით, ერთიმეორის პირდაპირ მოთავსებული კარადითა და კამოდით. ვინაიდან ბუხარი დღეში თითქმის თხუთმეტი სუს ნახშირს წვავდა, ამიტომ იგი ამოქოლეს. დიდი სიცივის დროს მათ მარმარილოს დაფაზე დადგმული პატარა ღუმელი ათბობდა. ეს სულ შვიდი სუ უჯდებოდათ. კუპომ, რამდენადაც შეეძლო, საუკეთესოდ მორთო კედლები. დაიქადა კიდეც, ბინას შევალამაზებო. სარკის მაგივრად დიდი სურათი ჩამოკიდა. სურათზე საფრანგეთის მარშალი ეხატა კვერთხით ხელში, ცხენს მიაჯირითებდა ზარბაზანსა და ყუმბარების გროვას შუა. კამოდის ზემოთ, ძველი მოვარაყებული ფაიფურის სასხურებლის მარჯვნივ და მარცხნივ მათი ნათესავების ფოტოები იყო ორ რიგად გამწკრივებული, თვით სასხურებელში ასანთს ინახავდნენ. კარადის ლავგარდანზე ორი ბიუსტი იდგა, ერთი პასკალის, მეორე ბერანჟესი. ერთი სერიოზული იყო, მეორე კი მოღიმარი. ბიუსტები გუგულიანი საათის ახლოს იდგნენ და თითქოს მის ტაკიტუკს ისმენდნენ. ოთახი მართლაც რომ მშვენიერი გამოვიდა.

– აბა, თუ გამოიცნობთ, რამდენს ვიხდით ბინის ქირას? – ეკითხებოდა ყველა მომსვლელს ჟერვეზა.

და, როდესაც საპასუხოდ ძალიან დიდ თანხას ასახელებდნენ, აღტაცებაში მოდიოდა, უხაროდა, რომ ასეთი მცირე თანხით ასე კარგად მოეწყვნენ.

– ას ორმოცდაათ ფრანკს, არც ერთ სუს მეტს... ხომ მუქთია?! ჰა?!

მათ კმაყოფილებაში თვით გუტ-დორის უბანსაც დიდი წილი ედო. ჟერვეზა მთელი დღის განმავლობაში ხან შინ იყო, ხან მადამ ფოკონიესთან. კუპო საღამოობით ქვევით ჩადიოდა და კარის წინ ეწეოდა ჩიბუხს.

უქვაფენილო, მოუკირწყლავი ქუჩა აღმართს წარმოადგენდა. აღმართის თავზე, გუტ-დორის ქუჩის მხარეს, ჩაბნელებული დუქნები იდგა ჭუჭყიანი ფანჯრებით. მათ შორის იყო სახარაზო, მეკასრეების დუქანი, ერთი საცოდავი საწვრილმანო და ერთიც – გაკოტრებული სამიკიტნო, რომლის დარაბებიც, უკვე დაკეტილი რამდენიმე კვირის განმავლობაში, აფიშებს დაეფარა. ქუჩის მეორე მხარეს, პარიზის მიმართულებით, ერთი ოთხსართულიანი სახლი აბნელებდა ცას. მისი პირველი სართული ჯგუფად დასახლებულ მრეცხავებს ეჭირათ. მხოლოდ საპარიკმახეროს მწვანედ შეღებილი და ნაზი ფერის შუშებით სავსე ვიტრინა სუფთად შენახული სპილენძის თასების ბრჭყვიალით ამხიარულებდა ამ ჩაბნელებულ კუთხეს. მაგრამ ყველაზე მხიარული ადგილი ქუჩის შუაგული იყო, სადაც შენობები უფრო შორიშორს იდგა, უფრო დაბლებიც იყო და მზეს და ჰაერს გზას აძლევდა. ეტლების გამქირავებელთა ფარდულები, მათ მეზობლად სელტერის წყლის დამამზადებელი შენობა და პირდაპირ სამრეცხაო აგანიერებდნენ ფართო, თავისუფალ, დადუმებულ სივრცეს, რომლის გულჩათხრობილ დუმილსაც ხაზს უსვამდა მრეცხავი ქალების ყრუ ხმაური და ორთქლის მანქანის თანაბარზომიერი სუნთქვა. უშენი ადგილები და შავ კედლებს შუა მიმავალი გრძელი გასასვლელები სოფლურ შესახედაობას აძლევდა ამ მიდამოს. კუპოს ართობდა ცქერა იშვიათი გამვლელებისა, რომლებიც საპნიანი წყლის განუწყვეტელ ნაკადებს ალაჯებდნენ. კუპო ამბობდა: ეს ადგილი მაგონებს სოფელს, სადაც ბიძამ წამიყვანა ერთხელ, როცა ხუთი წლისა ვიყავიო. ჟერვეზას კი ახარებდა მისი ფანჯრის მარცხნივ ერთ-ერთ ეზოში დარგული აკაცია ერთადერთი გაშვერილი ტოტით, რომლის მკრთალი სიმწვანეც ლამის მთელ ქუჩას ამშვენებდა.

ჟერვეზამ აპრილის უკანასკნელ დღეებში იმშობიარა. ტკივილები ნაშუადღევს დაეწყო, დაახლოებით ოთხ საათზე, როდესაც წყვილ ფარდას აუთოებდა მადამ ფოკონიესთან. არ ისურვა იმავე წუთს შინ წასვლა. იქ დარჩა და როცა ტკივილები მოუვლიდა, სკამზე იკრუნჩხებოდა, ხოლო ცოტა გაუყუჩდებოდა თუ არა, ისევ უთოს ჰკიდებდა ხელს. ფარდების დაუთოება საჩქარო იყო და ისიც არ ეშვებოდა სამუშაოს, უნდოდა როგორმე დაესრულებინა. გარდა ამისა, შესაძლებელი იყო, ეს მხოლოდ ჭვალი ყოფილიყო და ღირდა განა უბრალო მუცლის გვრემის გამო შინ წასვლა? მაგრამ ჟერვეზა ის-ის იყო, შეუდგა მამაკაცის პერანგის უთოობას, რომ უეცრად საშინლად გაფითრდა და იძულებული შეიქნა სამრეცხაო მიეტოვებინა. კედელზე მიყრდნობით, ორად მოკაკვულმა გაიარა ქუჩა. ერთმა მრეცხავმა ქალმა გაცილება შესთავაზა, მაგრამ ჟერვეზამ უარი უთხრა: მხოლოდ შეეხვეწა, რომ იქვე ახლოს, ლაშარბონიერის ქუჩაზე ბებიაქალთან წასულიყო. სახლს ცეცხლი ხომ არ ეკიდებოდა! ეს ტკივილები ალბათ, მთელ ღამეს გასტანსო, ფიქრობდა ჟერვეზა. მისი აზრით, ეს ამბავი ხელს არ შეუშლიდა შინ დაბრუნების შემდეგ სადილიც მოემზადებინა კუპოსთვის. მერე ვნახოთ, შესაძლოა, ლოგინზედაც წამოვწვე ტანისამოსის გაუხდელადო. კიბეზე ჟერვეზას ისეთმა ტკივილმა მოუარა, რომ შუა საფეხურებზე ჩამოჯდომა დასჭირდა. ორივე მუშტი მაგრად მიიჭირა ტუჩებზე, რათა არ ეყვირა: სირცხვილი იქნებოდა, გამვლელ მამაკაცებს რომ ამ მდგომარეობში ენახათ. ტკივილმა გაუარა და თავისუფლად ამოისუნთქა, კარი შეაღო და გაიფიქრა,

უსათუოდ მოვტყუვდიო. იმ დღეს სადილად ცხვრის ხორცის რაგუს და კატლეტს ამზადებდა. სანამ კარტოფილს ფცქვნიდა, ჯერ კიდევ რიგზე იყო ყველაფერი. ტაფაზე დაწყობილი კატლეტებიც თითქმის მზად იყო, რომ უცებ ოფლმა დაასხა და მწვავე ტკივილები გაუახლდა. შემწვარი ხორცი გადაატრიალა. ღუმლის წინ ერთ ადგილზე იტკეპნებოდა და ცრემლით დაბინდული თვალებით ვეღარაფერს ხედავდა. კიდევაც რომ მოიმშობიაროს, განა ეს საკმარისი საბუთი იქნება იმისთვის, რომ კუპო უსადილოდ დატოვოს? ბოლოს, რაგუ წყნარად აჩუხჩუხდა განელებულ ცეცხლზე. ჟერვეზა ოთახში გავიდა დარწმუნებული, რომ ერთი ხელი ჭურჭლის დაწყობას მაინც მოასწრებდა მაგიდის ბოლოში. ჩქარობდა ერთი ბოთლი ღვინოც დაედგა, მაგრამ ლოგინამდე მისვლაც ვერ შეძლო, ძირს დაეცა და იქვე იატაკზე დაფენილ ჭილობზე მოიმშობიარა. თხუთმეტი წუთის შემდეგ მოსულმა ბებიაქალმა იქვე აღმოუჩინა დახმარება.

კუპო კვლავ საავადმყოფოში მუშაობდა. ჟერვეზამ აკრძალა მასთან წასვლა და მისი შეწუხება. შვიდ საათზე, როდესაც კუპო შინ დაბრუნდა, ჟერვეზა მას ლოგინში დაუხვდა კარგად შეფუთნული. ბალიშზე ჩანდა მისი ძალიან გაფითრებული სახე. დედის ფერხთით შალში გამოკრული ჩვილი ტიროდა.

ახ! ჩემი საწყალი ცოლი! – წამოიძახა კუპომ და ჟერვეზას აკოცა, – ერთ საათსაც არ გაუვლია მას შემდეგ, რაც ვმასხარაობდი, ვხუმრობდი, და შენ კი თურმე აქ ამ დროს იტანჯებოდი და კიოდი. თქვენ ამას ვერ უყურებთ, რა მარჯვე ქალი ყოფილა! ცხვირის დაცემინებას ვერ მოასწრებთ, რომ უკვე მზად არის.

ჟერვეზამ სუსტად გაიღიმა. მერე ამოილუღლუღა: – გოგოა!

– დიახ, სწორედ! – ხუმრობით წამოიძახა კუპომ, რათა ქალი გაემხნევებინა, – მეც გოგო არ შეგიკვეთე? აჰა! მომერთვა კიდეც! გამოდის, შენ ყველა ჩემს სურვილს ასრულებ, ხომ?

მერე ბავშვი ხელში აიყვანა და განაგრძო: – აბა, ერთი შემოგხედოთ, მადმუაზელ თხუპნიავ, თქვენ ძალიან შავი და პატარა სიფათი გაქვთ. ნუ გეშინიათ, გათეთრდებით, მხოლოდ საჭიროა, ჭკვიანად მოიქცეთ, სისულელეები არ ჩაიდინოთ და კეთილგონიერი გაიზარდოთ დედასა და მამასავით.

ჟერვეზა ფართოდ გაღებული თვალებით, სერიოზული გამომეტყველებით შესცქეროდა თავის გოგოს. ნელ-ნელა სახე სევდით მოეღრუბლა, მერე თავი გაიქნია. ჟერვეზას ვაჟი უნდოდა, რადგან ბიჭი უკეთ გაიკაფავს გზას ცხოვრებაში, არავითარი საფრთხე არ მოელის ამ საშინელ პარიზშიო. ბებიაქალმა ბავშვი გამოართვა კუპოს. ჟერვეზას კი ლაპარაკი აუკრძალა, – ჯერ ასეც არ არის კარგი, რომ მელოგინე ქალის ირგვლივ ასეთი ხმაურიაო. ამის შემდეგ კუპომ განაცხადა, საჭიროა დედაჩემს და ლორილეებს ვაცნობოთ, მაგრამ შიმშილით ვკვდები და ჯერ უნდა ვისადილოო.

მელოგინე ქალს დიდად აწუხებდა იმის ცქერა, თუ როგორ ემსახურებოდა კუპო თავს. როგორ გარბოდა სამზარეულოში რაგუს მოსაძებნად, ღრმა თეფშში ჭამდა და პურიც ვერ ეპოვა. მიუხედავად აკრძალვისა, ჟერვეზა აწუწუნდა და საბანქვეშ აქეთ-იქით ტრიალი დაიწყო. ეს რა სულელურად გამოვიდა, რომ სუფრის გაშლა ვერ მოვასწარიო! ტკივილებმა ჯოხივით ჩამცხო და ძირს დამცა. ჩემი საბრალო ქმარი, ალბათ, მემდურის და ჯავრობს, რომ მე ლოგინში ვნებივრობ, სათუთად ვისვენებ იმ დროს, როდესაც ის ისე ცუდად სადილობს. კარგად შემწვარი თუ მაინც იყო კარტოფილი? ჟერვეზას აღარ ახსოვდა, მოაყარა მარილი კარტოფილს თუ არა.

– გაჩუმდით-მეთქი! – დაუყვირა მას ბებიაქალმა.

– ახ! აუკრძალეთ, გეთაყვა, აუკრძალეთ ერთი მაგას, თავს ეგრე ნუ ისუსტებს, – წარმოთქვა პირგამოტენილმა კუპომ, – თქვენ რომ აქ არ ყოფილიყავით, ნაძლევს ვდებ, ჩემთვის პურის მოსაჭრელად ადგებოდა... წყნარად იწექი, გულაღმა, ინდაურო! ნუ ტრიალებ აგრე, თორემ კიდევ ორ კვირას ვერ დადგები ფეხზე. ძალიან კარგია ეს შენი რაგუ! თქვენ ჩემთან ერთად მიირთმევთ არა, მადამ?

ბებიაქალმა უარი განაცხადა, მაგრამ ერთი ჭიქა ღვინის დალევას კი სიამოვნებით დათანხმდა, რადგან იგი ძალიან ააღელვა, – როგორც თვითონ ამბობდა, – ამ უბედური ქალისა და ბავშვის ჭილოფზე დანახვამ. ბოლოს კუპო წავიდა, რათა ახალი ამბავი ეცნობებინა თავისი ოჯახისთვის, ნახევარი საათის შემდეგ მთელ ჯალაბთან ერთად დაბრუნდა. მოვიდნენ კუპოს დედა, ლორილეები და მადამ ლერა, რომელიც კუპოს სწორედ ლორილეებთან დახვედროდა. ლორილეები, რაკი ამ ახალგაზრდა ოჯახის აყვავებას ხედავდნენ, ძალიან თავაზიანები გახდნენ, გადაჭარბებით აქებდნენ ჟერვეზას. თუმცა რაღაც უარყოფითი ჟესტებით, თავის გაქნევით და თვალის ჩაკვრით, თითქოს, საკუთარი აზრის გამოთქმა ჯერ ნაადრევად მიაჩნდათ. ბოლოს და ბოლოს, მათ მხოლოდ უბნის საერთო აზრის წინააღმდეგ წასვლა არ სურთ.

– აი, მოგიყვანე მთელი ხროვა! – შეყვირა კუპომ, – მით უარესი! შენი ნახვა მოისურვეს. პირი არ გააღო, შენ ეს აკრძალული გაქვს. ესენი აქ იქნებიან და წყნარად დაგიწყებენ ცქერას, ყოველგვარი ცერემონიების გარეშე, არა?.. მე კი წავალ, ამათ ყავას მოვუმზადებ და მერე რა ყავას, სანაქებოს!

კუპო სამზარეულოში მიიმალა. კუპოს დედამ ჯერ აკოცა ჟერვეზას და მერე გაიკვირვა ბავშვის სიდიდე. დანარჩენმა ორმა ქალმა სათითაოდ მაგრად აკოცა მელოგინეს. მერე სამივენი ლოგინთან გაჩერდნენ და ლაპარაკი გააბეს მშობიარობის დეტალებზე. გაიძახოდნენ, მშობიარობა ხუმრობაა და მეტი არაფერი, ვითომც კბილი ამოგიღიაო. მადამ ლერა ყოველმხრივ ათვალიერებდა პატარა გოგოს და განაცხადა, პატარას კარგი სხეული აქვსო. მერე თავისებური ორაზროვნებით დასძინა, ქალი იქნება სახელოვანიო. მერე, რადგანაც ბავშვის თავი მეტად წოწოლა ეჩვენა, მიუხედავად მისი ჩხავილისა, თავზე მსუბუქად ხელი მოუჭირა, რათა

მოემრგვალებინა. გაჯავრებულმა მადამ ლორილემ ხელიდან გამოჰგლიჯა ბავშვი – მეტი კი არ უნდა პატარას, ათასნაირი მანკი შეიძლება შესძინო მაგნაირი ჭყლეტით, როცა ბავშვს თავის ქალა ამდენად ჩვილი აქვსო. ლორილეს არავინ შესდავებია, როდესაც ის ქალების უკან დამდგარი და კისერწაწვდენილი იმეორებდა, პატარას არაფერი აქვს კუპოების ოჯახიდანო. შეიძლება ოდნავ ცხვირი მიუგავს, ისიც სათუოაო. პირწავარდნილი დედაა, მეტადრე თვალები მიუგავს, ეს უკვე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მას თვალები ამ ოჯახისა არა აქვსო.

კუპო ჯერ არ ჩანდა. სამზარეულოდან ისმოდა მისი ფუსფუსის, ღუმელთან და ყავადანთან ბრძოლის ხმაური. ჟერვეზას გული უტრიალდებოდა. განა ეს მამაკაცის საქმეა – ყავის მომზადება? ჟერვეზა ოთახიდან უყვიროდა ქმარს, როგორ უნდა მოქცეულიყო და ბებიაქალის ენერგიულ ჩუს ყურს არ უგდებდა.

– მოხსენი ბოხჩა! – წამოიძახა კუპომ, რომელიც ყავადნით ხელში გამოვიდა, – არ გააჭირა საქმე!.. რა მოეჩვენა? ჩვენ ყავას ჭიქებით მივირთმევთ, არა? რადგანაც, როგორც ხედავთ, ფინჯნები გამყიდველთან დარჩენილა.

ყველანი გარს შემოუსხდნენ მაგიდას და კუპომ თვითონ მოისურვა ყავის დასხმა. რა კარგი სუნი ასდის, ნამდვილია, ნამდვილი. ღოლოს შეჭამანდი არ გეგონოთ. ბებიაქალი მაშინვე წავიდა, როგორც კი თავისი ჭიქა გამოწრუპა. ყველაფერი კარგად მიდის, მე საჭირო აღარ ვარ, თუ ღამე ცუდად ჩაივლის, ხვალ დამიბარეთო. ბებიაქალი ჯერ კიბეზეც არ იქნებოდა ჩასული, რომ მადამ ლორილემ მას წუწკი, მუქთამჭამელი და უმაქნისი უწოდა. ყავის ჭიქაში ოთხ ნაჭერ შაქარს იყრის და თხუთმეტი ფრანკი იმაში მიაქვს, რომ მელოგინეს მარტოდმარტო ტოვებსო. კუპო ბებიაქალს გამოექომაგა. ეს თხუთმეტი ფრანკი არ მენანება. სხვა რომ არა იყოს რა, ეს ქალები მთელ ახალგაზრდობას სწავლას ანდომებენ და უფლება აქვთ დიდი საფასურიც მოითხოვონო. მერე ლორილე შეეკამათა მადამ ლერას: ის ამბობდა, ვისაც სურს ვაჟი შეეძინოს, ლოგინის თავი ჩრდილოეთისკენ უნდა ჰქონდეს მიბრუნებულიო. მადამ ლერა მხრების აჩეჩით ბავშვობას უწოდებდა ამას და სხვა რეცეპტს იძლეოდა, სახელდობრ, ქმარმა ცოლს არ უნდა გაუმხილოს, ისე უნდა დაუდოს ლეიბქვეშ მზისგულზე მოკრეფილი ახალთახალი ჭინჭრის კონაო. მათ მაგიდა საწოლთან ახლოს მისწიეს. ჟერვეზა თანდათან საშინლად მოიქანცა. ათ საათამდე იწვა ასე გაოგნებული, მოღიმარი. თავი უძრავად მიედო ბალიშზე. ყველაფერს ხედავდა, ყველაფერი ესმოდა, მაგრამ ძალა აღარ ჰყოფნიდა ან ხელი გაენძრია, ან ხმა ამოეღო. ეჩვენებოდა, რომ უკვე მკვდარია, რომ მან განისვენა ტკბილი სიკვდილით და ამ სიკვდილის წიაღიდან დიდი კმაყოფილებით ხედავდა, რომ სხვები ცოცხლობდნენ. ხანგამოშვებით, ტლანქი ხმების ხმაურში, ბავშვის ჩხავილი ესმოდა და ეს მასში დაუსრულებელ, გამოურკვეველ ფიქრებს იწვევდა ერთ მკვლელობაზე, რომელიც წინადღით მოხდა ბონპიუის ქუჩაზე, ლაშაპელის ბოლოში.

მერე, როდესაც სტუმრებმა წასვლა დააპირეს, ლაპარაკი ნათლობაზე ჩამოვარდა. ლორილეები დათანხმდნენ ბავშვის მონათვლას. თუმცა გულის სიღრმეში მათ ეს

არაფრად ეჭაშნიკებოდათ, მაგრამ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს მათთვის რომ არ მიემართა, ეწყინებოდათ. კუპო მაინცდამაინც აუცილებელ საჭიროებად არ მიიჩნევდა პატარა გოგოს მონათვლას. ათი ათასი ლივრის რენტას ეს არ შეგვძენს და საშიშროება კი არსებობს, რომ პატარა გაცივდესო. რაც უფრო ნაკლები საქმე გაქვს ხუცებთან, მით უკეთესიაო. მაგრამ კუპოს დედამ მას წარმართი უწოდა. ლორილეები, მართალია, ეკლესიის კარს არ უტალახებდნენ მამა ღმერთს, მაგრამ მაინც მორწმუნეებად მოჰქონდათ თავი.

– თუ გნებავთ, ეს კვირისთვის დავნიშნოთ, – წარმოთქვა მეძეწკვემ.

როდესაც ჟერვეზამ თავის დაქნევით თანხმობა გამოთქვა, ყველამ გადაკოცნა და ჯანმრთელობა უსურვა მას. პაწაწასაც გამოეთხოვნენ. თითოეული მათგანი იხრებოდა ამ საცოდავად მთრთოლარე სხეულისკენ და სიცილ-კისკისით, ალერსიანი სიტყვებით მიმართავდნენ, თითქოს მას ყველაფერი ესმოდა. სახელად დაარქვეს ნანა, საალერსო სახელი ანადან, მისი ნათლიის სახელიდან.

– მშვიდობით, ნანა!.. აბა, ნანა, ლამაზი გოგო გაიზარდე!..

ბოლოს და ბოლოს, როდესაც ისინი წავიდნენ, კუპომ ლოგინთან ახლოს მიიდგა სკამი, ჩიბუხს მოუკიდა და ჟერვეზას ხელი დაიჭირა ხელში. იგი ნელა ეწეოდა ჩიბუხს, ნაფაზით, ძალიან გულაჩვილებული იყო და ყოველი გაბოლების შემდეგ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფრაზებს ისროდა.

– ჰა! ჩემო ბებერო, თავი გაგიხეთქეს, არა? ხომ გესმის, მე არ შემეძლო მათთვის აქ მოსვლა ამეკრძალა. ამას გარდა, ეს მათი კარგი განწყობილების დამამტკიცებელია... მაგრამ მარტო ყოფნა ჯობს, არა? მინდოდა შენთან ერთად ცოტა ხანს მაინც მარტო დავრჩენილიყავი, აი ასე, როგორც ახლა. საღამო ისეთი გრძელი მეჩვენა, რომ... ჩემო საწყალო პატარა, ვინ იცის, როგორ გტკიოდა. ეს ღლაპები ჩნდებიან და თვითონ კი არ გრძნობენ, რა ტკივილები მოაქვთ დედისთვის. მართლა, მგონი, ეს ისეთი ტკივილი უნდა იყოს, თითქოს ნაწლავები გადმოგიყარეს... აბა, მაჩვენე სად გეტკინა, რომ სწორედ მაგ ადგილს ვაკოცო.

კუპომ ჟერვეზას ზურგის ქვეშ ამოუდო ფრთხილად თავისი დიდი ხელი, თავისკენ მიიზიდა ქალი და საბნის ზემოდან მუცელზე დაუწყო კოცნა. ტლანქ, მამაკაცურ სინაზეს უღვიძებდა მას ეს ჯერ კიდევ გატანჯული, ახალმომშობიარებული ქალი. თანაც ეკითხებოდა, ხომ არაფერი გატკინეო და სულის შებერვით უნდოდა მისი განკურნება. ჟერვეზა ძალიან ბედნიერი იყო. ის ეფიცებოდა კუპოს, სრულებით აღარაფერი მტკივა, ყველაფერმა გამიარაო. ჟერვეზა მხოლოდ იმას ფიქრობდა, რაც შეიძლება მალე წამომდგარიყო ლოგინიდან, რადგან ახლა გულხელდაკრეფილი ჯდომა არ ივარგებდა, მაგრამ ქმარი ამშვიდებდა. განა მე უარს ვამბობ ამ პატარას შენახვაზე? მაშინ ხომ ყოვლად უსინდისო კაცი ვიქნებოდი, ეს ღლაპი მარტო ცოლისთვის რომ ამეკიდა ზურგზე, ბავშვის გაკეთება რა გმირობაა, საქმე იმისი გამოკვება და გაზრდააო.

კუპოს სულ არ დაუძინია იმ ღამეს. ღუმელში ცეცხლი ჩაუქრობლად ენთო. ყოველ საათს დგებოდა, რომ პაწაწასათვის თბილი დაშაქრული წყალი მიეცა კოვზით. ამ გარემოებამ მაინც ხელი არ შეუშალა მეორე დღეს, ჩვეულებისამებრ, სამუშაოდ წასულიყო. თავისი სადილობის დროც იმისათვის გამოიყენა, რომ თვითმმართველობაში წავიდა და ახალდაბადებული ჩააწერინა. წინასწარ გაფრთხილებულმა მადამ ბოშმა მოირბინა, რათა მთელი დღე ჟერვეზასთან გაეტარებინა, მაგრამ ჟერვეზა, მას შემდეგ, რაც ათი საათი ღრმა ძილში გაატარა, წუწუნს მოჰყვა, მეტი აღარ შემიძლია, ამდენი ლოგინში წოლით მთლად დამტვრეული ვარ, ავად გავხდები, თუ ადგომის ნება არ მომცესო. საღამოს, როდესაც კუპო დაბრუნდა, ჟერვეზამ მას თავისი ჭირ-ვარამი გაუზიარა: მე, რა თქმა უნდა, ვენდობი მადამ ბოშს, მაგრამ ვერ ვიტან, როდესაც უცხო ქალი ტრიალებს ჩემს ოთახში, უჯრებსა სწევს და ჩემს ნივთებს ხელს ახლებსო. მეორე დღეს, როდესაც მეკარე ქალი ერთ-ერთი დავალების შესრულების შემდეგ მობრუნდა, ჟერვეზა ფეხზე დაუხვდა, ჩაცმული იყო, ოთახს გვიდა და ქმარს სადილს უმზადებდა. ლოგინში ჩაწოლა არაფრით ინდომა. სასაცილოდ ხომ არ მიგდებენ? მხოლოდ განებივრებულ ქალბატონებს შეუძლიათ თავი მოიავადმყოფონ, ღარიბს ამის დრო არა აქვსო. მოლოგინების შემდეგ სამმა დღემ განვლო და ჟერვეზა უკვე ბოლოკაბებს აუთოებდა მადამ ფოკონიესთან, ხელში ატრიალებდა უთოს და გავარვარებული ღუმლის სიცხოვლის გამო ოფლში იწურებოდა.

შაბათ საღამოს მადამ ლორილემ დასანათლებელი საჩუქრები მოიტანა: თავსაბური, რომელიც ოცდათხუთმეტი სუ ღირდა და წვრილ ბაფთებშემოვლებული ნათლობის კაბა, რომელიც ექვსი ფრანკი დაუჯდა, რადგან ის უკვე ნახმარი იყო. მეორე დილას ლორილემ, როგორც მეორე ნათლიამ, მელოგინეს ექვსი გირვანქა შაქარი მოუტანა. ისინი ყველაფერს ისე აკეთებდნენ, როგორც წესი და რიგი იყო. იმ საღამოსაც, როდესაც ცოლ-ქმარმა კუპოებმა სადილი გამართეს, ლორილეები ხელცარიელები არ მოსულან. ქმარს ორივე იღლიის ქვეშ თითო-თითო დაბეჭდილი ბოთლი ღვინო ამოედო, ხოლო ცოლმა კარგა მოზრდილი ტკბილი კვერი მოიტანა, რომელიც ძალიან ცნობილ მეკონდიტრესთან ეყიდა, კლინიანკურის ქუჩაზე. სამაგიეროდ, ლორილეებმა მერე მთელ უბანს მოსდეს საკუთარი ხელგაშლილობის ამბავი, თითქმის ოცი ფრანკი დაგვეხარჯაო. როცა ჟერვეზამ ეს ჭორი გაიგო, სიბრაზისგან სუნთქვა შეეკრა და ამის შემდეგ აღარაფრად აგდებდა მათ კეთილგანწყობას.

ამ ნათლობის შემდეგ კუპოები ძალიან დაუახლოვდნენ თავიანთ მეზობლებს, რომლებთანაც საერთო კიბე ჰქონდათ. ამ პატარა სახლის მეორე ბინა, დედა-შვილ გუჟეებს ეჭირათ, როგორც მათ უწოდებდნენ. მანამდე ეს ორი ოჯახი ერთმანეთს მხოლოდ ესალმებოდა კიბეზე ან ქუჩაზე და მეტი არაფერი. ეს მეზობლები ცოტა მიუკარებლები ჩანდნენ. მაგრამ, როდესაც ჟერვეზამ მოილოგინა, მეორე დღეს დედამ მას ერთი ვედრო წყალი ამოუტანა. ამის შემდეგ ჟერვეზამ საჭიროდ ცნო მეზობლებიც მიეპატიჟა სადილად, მით უმეტეს, რომ ძალიან მოსწონდა ისინი. ამნაირად, ბუნებრივია, მათ უკვე გაიცნეს ერთმანეთი.

გუჟეები ჩრდილოეთის დეპარტამენტიდან იყვნენ. დედა მაქმანებს აკერებდა, ვაჟი მჭედელი იყო, ჭანჭიკების ფაბრიკაში მუშაობდა. ისინი ხუთი წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ მეორე ბინაში, კიბესთან. მათი ცხოვრების წყნარი დუმილის ქვეშ ძველი, ღრმა მწუხარება იფარებოდა. გუჟეს მამამ ლილში, სიმთვრალის დროს გაცოფებულმა, ჯართის ნაგლეჯის დარტყმით მოკლა ამხანაგი და მერე ციხეში საკუთარ ხელსახოცზე ჩამოიხრჩო თავი. მისი ქვრივი და ვაჟიშვილი ამ უბედურების შემდეგ პარიზში ჩამოვიდნენ. მუდამ ამ ტრაგედიის გავლენის ქვეშ ცხოვრობდნენ და ცდილობდნენ, ეს ჭირი მკაცრი პატიოსნებით, სათნოებითა და დაუშრეტელი სიმხნევით გამოესყიდათ. ამაში ერთგვარი სიამაყეც ერია, რადგან ისინი ბოლოს და ბოლოს, დარწმუნდნენ, რომ სხვებს ჯობდნენ. მადამ გუჟეს მუდამ შავი სამოსი ეცვა და მონაზონივით თავმობურვილი დადიოდა. ამ დარბაისელი ქალის თეთრსა და მშვიდ სახეზე თითქოს მაქმანების სიფერმკრთალეს და მისი თითების განუწყვეტელ, დახვეწილ სამუშაოს წყნარი ნათელის ანარეკლი დაეტოვებინა. გუჟე ოცდასამი წლის გოლიათი იყო, ვარდისფერი სახის, ცისფერთვალება, ჰერკულესისებური ძალ-ღონის პატრონი. ქარხანაში ამხანაგები ოქროს ყბას უწოდებდნენ ლამაზი, ყვითელი წვერის გამო.

ჟერვეზას მაშინვე გული შეუვარდა დედა-შვილზე. როცა პირველად მივიდა მათთან, აღტაცებული დარჩა ბინის სისუფთავით. არსად მტვრის ნატამალი არ ჩანდა. იატაკი სარკესავით კრიალებდა. მადამ გუჟემ ჟერვეზა თავისი ვაჟიშვილის ოთახში შეიყვანა და აჩვენა. ქალიშვილის ოთახივით კოხტა და მოვლილი იყო. შიგ იდგა პატარა რკინის საწოლი მულინის ფარდებით, ტუალეტის და სამუშაო მაგიდები, კედელზე მიდგმული წიგნები ვიწრო კარადა. კედლები თავიდან ბოლომდე სურათებით დაეფარათ. ეს იყო გამოჭრილი ფიგურები, ლურსმნებით დამაგრებული ფერადი გრავიურები და ნახატებიანი ჟურნალებიდან ამოჭრილი მრავალი სხვადასხვა ცნობილი პირის პორტრეტი. მადამ გუჟე ღიმილით ამბობდა: ჩემი ვაჟიშვილი ჯერ ისევ დიდი ბავშვია, საღამოობით წიგნების კითხვით იღლება და მერე შიგ მოთავსებული ნახატების თვალიერებით ერთობაო. ჟერვეზამ შეუმჩნევლად ერთი საათი გაატარა მეზობელ ქალთან, რომელიც ფანჯრის წინ მოკალათებულიყო საქარგავით. ჟერვეზა დაინტერესა ასეულმა ქინძისთავმა, რომლებითაც მაქმანები იყო დამაგრებული: ბედნიერად გრძნობდა თავს, რომ იქ იმყოფებოდა, ამ სუფთა ბინის სურნელებას ისუნთქავდა და ტკბებოდა ფაქიზი მუშაობისას დამყარებული სიმშვიდით.

გუჟეებს კარგი რეპუტაცია ჰქონდათ. ბლომად ფულსაც შოულობდნენ და ორკვირეული ხელფასის მეოთხედი შემნახველ სალაროში შეჰქონდათ. უბანში მათ ყველა ესალმებოდა და მათ მომჭირნეობაზე ლაპარაკობდა. გუჟეს დახეულ ტანსაცმელში ვერ ნახავდით, მუდამ სუფთა ბლუზით გამოდიოდა, რომელსაც არც ერთი ლაქა არ აჩნდა. ძალიან ზრდილობიანი იყო, ოდნავ მოკრძალებულიც, მიუხედავად თავისი განიერი მხარბეჭისა. მრეცხავი ქალები ჩაიღიმებდნენ, როცა ხედავდნენ, რომ იგი გავლისას თვალებს ძირს ხრიდა. გუჟეს არ უყვარდა მათი

ტლანქი, ურიგო სიტყვები, საზიზღრობად მიაჩნდა, ქალს რომ სიბილწე აკერია პირზე. მაგრამ ის ერთხელ შეზარხოშებული დაბრუნდა შინ. მაშინ მადამ გუჟემ, ყოველი საყვედურის გარეშე, მამამისის სურათი უჩვენა, ცუდად შესრულებული სურათი, რომელიც კამოდის ერთ-ერთ უჯრაში ინახებოდა მოწიწებით. ამ გაკვეთილის შემდეგ გუჟეს არასდროს ზედმეტი არ დაულევია, თუმცა ღვინო არ სძულდა, რადგან ღვინო საჭიროა მუშა კაცისთვის. კვირაობით დედასთან ერთად გამოდიოდა მკლავში ხელგაყრილი და უფრო ხშირად ვენსენისკენ მისეირნობდნენ, ზოგჯერ თეატრშიც წავიდოდნენ ხოლმე. ის თაყვანს სცემდა დედას. ისე ელაპარაკებოდა, თითქოს ისევ პატარა ბიჭი ყოფილიყო. თავისი ოთხკუთხედი თავით და ჩაქუჩისმცემლის მძიმე, უხეში სხეულით გონებაჩლუნგ, მაგრამ კეთილ ცხოველს ჰგავდა.

პირველ დღეებში ძალიან ერიდებოდა ჟერვეზას. მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ შეეჩვია. უცდიდა ხოლმე ჟერვეზას, რომ სარეცხის ბოხჩების ზიდვაში მიხმარებოდა. ისე ექცეოდა, როგორც დას: უხეშად, შინაურულად. ნახატებსაც ამოჭრიდა ხოლმე მისთვის. მაგრამ ერთ დილას, მან წინასწარ დაუკაკუნებლად შეაღო კარი და ჟერვეზა ნახევრად შიშველი დაინახა: ქალი კისერს იბანდა. ამის შემდეგ მთელი კვირის განმავლობაში თვალი აღარ გაუსწორებია ჟერვეზასთვის, სახეში ვეღარ უყურებდა და ბოლოს ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ჟერვეზაც გააწითლა.

მოცხარას, ამ ნამდვილ პარიზელ ლაზღანდარას, ოქროს ყბა გულუბრყვილო ტუტუცად მიაჩნდა. მართალია, კარგი იყო, რომ არ სვამდა და ქუჩაში გოგონებს არ ეტმასნებოდა, მაგრამ მაინც მამაკაცი მამაკაცს უნდა ჰგავდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში აიღოს და ქალის კაბა ჩაიცვასო. კუპო ჟერვეზას წინაშე მასხარად იგდებდა გუჟეს, სწამებდა, უბნის არც ერთ ქალს ისე არ გაუშვებს, თვალი არ ჩაუკრასო. აყლაყუდა გუჟე კი ამის საპასუხოდ გაცხარებით თავს იმართლებდა. ეს გარემოება მაინც ხელს არ უშლიდა ამ ორ მუშას, ამხანაგები ყოფილიყვნენ. დილაობით ეძახდნენ ერთიმეორეს, ერთად მიდიოდნენ და ზოგ შემთხვევაში შინ დაბრუნებამდე თითო-ოროლა კათხა ლუდსაც გადაჰკრავდნენ ხოლმე. ნათლობაზე გამართული სადილის შემდეგ ერთმანეთს შენობით ელაპარაკებოდნენ, რადგან სიტყვა თქვენ ფრაზას აჭიანურებს. მათი მეგობრობა ამგვარ დამოკიდებულებას არ გასცდებოდა, რომ ოქროს ყბას მოცხარასთვის ერთი ისეთი შესანიშნავი სამსახური არ გაეწია, რომელსაც კაცი მთელ სიცოცხლეში ვერ დაივიწყებს. ეს ორ დეკემბერს მოხდა. კუპოს აზრად მოუვიდა, უბრალოდ, სეირის საყურებლად და გასართობად აჯანყების სანახავად ჩასულიყო. მას ფეხებზე ეკიდა რესპუბლიკაც, ბონაპარტიც და მთელი ეს ბაქიბუქიც, მხოლოდ თოფის წამალი უყვარდა და თოფების ჭახაჭუხიც ძალიან ამხიარულებდა. ამის შედეგად ერთი ბარიკადის უკან იგი კინაღამ დაიჭირეს, მაგრამ მის ბედზე სწორედ იმ დროს იქ აღმოჩნდა მჭედელი, რომელიც თავისი უზარმაზარი სხეულით აეფარა და შესაძლებლობა მისცა გაქცეულიყო. ჩაფიქრებული გუჟე ჩქარი ნაბიჯით ადიოდა ფობურ-პუასონიერის ქუჩას. მას პოლიტიკა აინტერესებდა, რესპუბლიკელი იყო. გონიერი მოსაზრების გავლენით,

სამართლიანობისა და საერთოდ ბედნიერების მიღწევის სურვილის კარნახით მოქმედებდა, მაგრამ თოფი არც ერთხელ არ გაუსვრია. ამის განმარტებასაც იძლეოდა: ხალხი თვითონვე აძლევს ნებას ბურჟუებს, ხალხისავე ხელით ნარი გლიჯონ, თებერვალი და ივნისი[17] საუკეთესო მაგალითია ამისი, ამიერიდან, დაე, ქალაქმა როგორც უნდა, ისე მოუაროს თავს, გარეუბნები აღარ გაერევიან ამ საქმეშიო. მერე, როდესაც ის, პუასონიერის ქუჩით სულ მაღლა ავიდა, თავი უკან მოიბრუნა და გადახედა პარიზს. იქ, უსათუოდ, რაღაც საძაგელი საქმე იჩარხებოდა. მოვა დრო და ხალხი მოინანიებს, რომ ასე გულხელდაკრეფილი შეჰყურებდა ამ ამბავსო. მაგრამ კუპოს ეს სიცილადაც არ ჰყოფნიდა. იგი დიდ ვირებად ნათლავდა იმათ, ვინც თავის ტყავს არ იშურებს იმისთვის, რომ საბოლოო ჯამში პარლამენტის წყეულ უქნარებს ოცდახუთი ფრანკი გასამრჯელო შეუნარჩუნოს. საღამოს კუპოებმა სადილად მიიპატიჟეს გუჟეები. დესერტის დროს მოცხარამ და ოქროს ყბამ მაგრად გადაკოცნეს ერთმანეთი. ამიერიდან განმტკიცდა მათი მეგობრობა საფლავის კარამდე.

სამი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ეს ორი ოჯახი კიბის აქეთ-იქით და არაფერი ღირსშესანიშნავი არ მომხდარა. ჟერვეზა ზრდიდა პატარას და ახერხებდა, კვირაში ორი სამუშაო დღის მეტი არ გაეცდინა. საბოლოოდ, ის კარგი მომუშავე დადგა და დღეში თითქმის სამ ფრანკს იღებდა. ამიტომაც გაბედა, რომ ეტიენი, რომელიც მეცხრე წელში გადადგა, პანსიონში მიებარებინა, დეშარტრის ქუჩაზე, სადაც ხუთ ფრანკს იხდიდა. კუპოს ოჯახს, მიუხედავად იმისა, რომ ორ ბავშვს ინახავდა, ყოველთვიურად ოცი ან ოცდაათი ფრანკი შეჰქონდა შემნახველ სალაროში. როდესაც მათმა დანაზოგმა ექვსას ფრანკს მიაღწია, ახალგაზრდა ქალს ძილი გაუფრთხა, – ერთი პატივმოყვრული ოცნება აეკვიატა: უნდოდა პატარა დუქანი დაექირავებინა და სამრეცხაო გაეხსნა, მუშა ქალებიც აეყვანა. ჟერვეზას ყველაფერი გამოანგარიშებული ჰქონდა. ოცი წლის განმავლობაში თუ მუშაობა კარგად წავიდოდა, ცოლ-ქმარი შეძლებდა რენტა აეღო და სადმე სოფელში საცხოვრებლად წასულიყვნენ, მაგრამ ჟერვეზა რისკის გაწევას ჯერჯერობით ვერ ბედავდა. უნდოდა მოფიქრების დრო დარჩენოდა და ამიტომ გაიძახოდა, დასაქირავებელ ბინას ვეძებო. შემნახველ სალაროში ფული ხომ არ ეკარგებოდა. პირიქით, ამ თანხას პროცენტები ემატებოდა. სამი წლის განმავლობაში ჟერვეზამ მხოლოდ ერთი ოცნება შეისრულა: იყიდა იაკარანდის ხის დასადგმელი საათი, ხვეული სვეტებით, მოვარაყებული სპილენძის ქანქარათი. ერთ წელიწადში უნდა დაეფარა საათის საფასური, ყოველ ორშაბათობით თითო ფრანკის გადახდა უწევდა. ჟერვეზა ჯავრობდა, როცა კუპო ამ საათის მომართვას დააპირებდა. შუშის ხუფი მხოლოდ მას, ჟერვეზას, უნდა აეხადა. სარწმუნოებრივი მოწიწებით წმენდდა საათის სვეტებს, თითქოს მისი კამოდის მარმარილო ამიერიდან საკურთხევლად გადაქცეულიყო. ხუფის ქვეშ, საათის უკან, შემნახველი სალაროს წიგნაკს ინახავდა. ხშირად, როდესაც საკუთარ სახელოსნოზე ოცნებობდა, ამ საათის ციფერბლატის წინ დადგებოდა, თავდავიწყებითა და დაჟინებით აკვირდებოდა ისრების მოძრაობას, თითქოს ელოდა, რომ რაღაც განსაკუთრებული საზეიმო წუთი დაჰკრავდა მისთვის საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

კუპოები თითქმის ყოველ კვირადღეს გადიოდნენ სასეირნოდ გუჟეებთან ერთად. ძალიან უყვარდათ ეს გასეირნება. რომელიმე რესტორნის ბაღში შეექცეოდნენ მცირე საუზმეს, ეს იყო ან შემწვარი თევზი სანტანტუანში, ან კურდღლის ხორცი ვენსენში. მამაკაცები სვამდნენ, მაგრამ ცოტ-ცოტას და ფხიზლები ბრუნდებოდნენ, თვალი აცაბაცა არ გაურბოდათ და ქალები მკლავში ხელგაყრილები მიჰყავდათ. საღამოს, სანამ დაიძინებდნენ, ორივე ოჯახი გამოიანგარიშებდა ხარჯებს და შუაზე გაიყოფდა. არასოდეს არავითარი კინკლაობა არ მოსვლიათ ზედმეტად ან ნაკლებად დახარჯული სუს გამო. ლორილეებს ძალიან შურდათ მათი მეგობრობა გუჟეებთან და ეჭვიანობდნენ. დიდ უცნაურობად მიაჩნდათ ეს, რომ მოცხარა და ჩაუხა მუდამ უცხოებთან დადიოდნენ, როდესაც მათ ახლო ნათესავები ჰყავდათ. ახ! ძალიან კარგი! არაფრად მიაჩნიათ თავისი ნათესავები?! რაღაც ოთხიოდე სუ მოუგროვებიათ და მაღლა აუწევიათ თავი. მადამ ლორილემ, დიდად გაკაპასებულმა იმის გამო, რომ ძმა ხელიდან წაუვიდა, კვლავ ჟერვეზას ლანძღვას მიჰყო ხელი. მადამ ლერა, პირიქით, იცავდა ახალგაზრდა ქალს, მის მხარეზე იყო და არაჩვეულებრივ, საარაკო ამბავს ჰყვებოდა იმაზე, თითქოს ჟერვეზას საღამოობით ბულვარზე ხშირად ხვდებოდნენ ვიღაც სალახანები, შეცდენას რომ უპირებდნენ ქალს, მაგრამ მადამ ლერას მუდამ დრამატულ გმირად გამოჰყავდა ჟერვეზა. ის ყოველთვის ყოჩაღად თავს იხსნის განსაცდელისგან და კაი-კაი სილასაც სთავაზობს იმ ლაჩარ მოძალადეებსო. კუპოს დედა კი ყველას მორიგებას ცდილობდა. უნდოდა, ყველა შვილთან კარგი ურთიერთობა ჰქონოდა. მხედველობა სულ უფრო და უფრო მეტად უსუსტდებოდა, შინამოსამსახურეობის მეტი სხვა სამუშაოს შესრულება აღარ შეეძლო. კმაყოფილი იყო, როცა აქ თუ იქ ხუთიოდე ფრანკს მიიღებდა ხოლმე.

იმ დღეს, როდესაც ნანას სამი წელი შეუსრულდა, საღამოს, შინ დაბრუნებისას, კუპოს ჟერვეზა რაღაც არეული და აღელვებული დახვდა. მას არაფრის თქმა არ სურდა, ამბობდა, არაფერი მომხდარაო, მაგრამ რადგანაც კუპომ შეამჩნია, რომ ქალმა სუფრა უკუღმა გადააფარა, მერე თეფშებით ხელში ჩერდებოდა და ღრმა ფიქრს ეძლეოდა, მან გადაჭრით მოსთხოვა განმარტება: – მაშ, კარგი! – ბოლოს გამოტყდა ცოლი, – გუტ-დორის ქუჩაზე საწვრილმანო დუქანი ქირავდება... მე ერთი საათის წინ ვნახე ის, როცა ძაფის საყიდლად მივდიოდი... ამან ძალიან ამაღელვა.

ეს იყო ერთი პატარა, სუფთა დუქანი, სწორედ იმ დიდ სახლში, რომელშიც ჟერვეზა და კუპო ოდესღაც დასახლებას ოცნებობდნენ. დუქანს სულ ოთხი ოთახი ჰქონდა: ერთი წინ, ერთი უკან და ორიც გვერდით, მარჯვნივ და მარცხნივ. ამათაც სწორედ ეს უნდოდათ; მართალია, ოთახები პატარები იყო, სამაგიეროდ ძალიან კარგად იყო განლაგებული, მაგრამ ჟერვეზას ბინა მეტად ეძვირებოდა, პატრონი ხუთას ფრანკს ითხოვდა.

– მაშ, შენ უკვე ყოფილხარ იქ და ფასიც გიკითხავს? – უთხრა კუპომ.

– ოჰ! ხომ იცი, ისე... ცნობისმოყვარეობის გამო! – მიუგო ცოლმა და თან შეეცადა გულგრილი სახე მიეღო, – როცა ეძებ, ყველა გამოკრული ქაღალდის დანახვაზე შიგ

შედიხარ, ეს ხომ არაფერს გავალებს!.. მაგრამ ეს ბინა ნამეტანი ძვირია. მერე კიდევ, შესაძლოა, ჩემი მხრივ სისულელეც იყოს სამრეცხაოს გახსნა.

მიუხედავად ამისა, ჟერვეზა სადილის შემდეგაც დაუბრუნდა ამ საწვრილმანო დუქანს. მან გაზეთის არშიაზე დახაზა ამ ბინის გეგმა. მერე ნელ-ნელა ლაპარაკსაც მოჰყვა ამაზე: კუთხეებს ზომავდა, ოთახებს ანაწილებდა, თითქოს მეორე დღესვე აპირებდა იქ თავისი ავეჯის დაწყობას. რაკი კუპომ შეამჩნია, რომ ჟერვერზას ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა, ხელი შეუწყო და ურჩია ამ დუქნის დაქირავება. ეჭვი არ არის, რომ ხუთას ფრანკზე იაფად ვერაფერს ხეირიანს ვერ იშოვი, ამასთანავე, ეგებ ცოტა დავაკლებინოთო. ერთადერთი არასასიამოვნო გარემოება შენთვის ის იქნება, რომ იმავე სახლში უნდა იცხოვრო, სადაც ლორილეები ცხოვრობენ, შენ კი მათ ვერ იტანო. მაგრამ ჟერვეზა გაჯავრდა, მე არავინ მძულსო. იმდენად მხურვალე იყო ჟერვეზას სურვილი, რომ ლორილეების დაცვაც კი დაიწყო. სინამდვილეში ისინი ცუდი ადამიანები არ არიან, ძალიანაც კარგად შეიძლება მათთან მორიგებაო. როდესაც კუპო და ჟერვეზა დაწვნენ, კუპოს ჩქარა ჩაეძინა, ხოლო ჟერვეზა ისევ ოთახების მოწყობაზე ფიქრს განაგრძობდა, თუმცა დაქირავება ბოლომდე გადაწყვეტილი არ ჰქონდა.

მეორე დღეს, როდესაც ჟერვეზა მარტო დარჩა, გულმა ვერ მოუთმინა, საათის ხუფი არ აეხადა და შემნახველი სალაროს წიგნაკი არ შეეთვალიერებინა. მისი სამრეცხაო თითქოს ამ უსუფთაოდ დაბღაჯნილ ქაღალდის ფურცლებში იყო მოთავსებული. სანამ სამუშაოდ წავიდოდა, ჟერვეზამ მადამ გუჟეს სთხოვა რჩევა, მადამ გუჟემ ძალიან მოუწონა ეს განზრახვა – სამრეცხაოს გახსნა. ისეთ კარგ ქმართან, როგორიც მას ჰყავს, მშრომელი, არამსმელი, ჟერვეზას შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ საქმე კარგად წაუვა და არ გაკოტრდება. საუზმის დროს ჟერვეზა ლორილეებთანაც კი ავიდა, მათი აზრიც უნდოდა გაეგო. არ უნდოდა ეთქვათ, რომ ოჯახისთვის დაფარულად აწყობდა ამ საქმეს. მადამ ლორილეს ელდა ეცა. როგორ? ჩაუხას სამრეცხაო ექნება? თუმცა ჯავრით გული უსკდებოდა, მაგრამ მაინც იძულებული გახდა, ძალიან მხიარულად ეჩვენებინა თავი და წაიბუტბუტა, ეჭვგარეშეა ეს დუქანი შესაფერისი ბინა იქნება და სამართლიანად მოგისურვებიათ მისი დაქირავებაო. მაგრამ, როდესაც მადამ ლორილე გონს მოვიდა, ის და მისი ქმარი ეზოს სინესტესა და მიწისპირა ოთახების სიბნელეზე მოჰყვნენ ლაპარაკს. ახ! ის კუთხეა სწორედ, სადაც ნამდვილად რევმატიზმს შეიძენს კაცი, თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ჟერვეზას თუ გადაწყვეტილი აქვს ეს ბინა იქირაოს, რა თქმა უნდა, ამას არ დაიშლისო.

საღამოზე ჟერვეზა სიცილით გამოტყდა, ნამდვილად ავად გავხდები, თუ სამრეცხაოს გახსნა დამიშალესო. მაგრამ ვიდრე ამას საბოლოოდ გადაწყვეტდა, მაინც უნდოდა კუპოს ენახა ეს ადგილი და, იქნებ ბინის პატრონიც დაეთანხმებინა, ქირა შეემცირებინა.

– კარგი, მაშ ხვალისთვის იყოს, თუ გინდა, – უთხრა მას ქმარმა, – შენ ჩემთან მოხვალ ექვსი საათისთვის იმ სახლთან, სადაც ვმუშაობ, ნაციის ქუჩაზე; იქიდან ჩვენ გუტ-დორის ქუჩაზე გამოვლით დავბრუნდებით.

კუპო მაშინ ერთი ახალი სამსართულიანი სახლის სახურავს ამთავრებდა. სწორედ იმ დღეს უნდა დაეხურა თუთიის უკანასკნელი ფურცლები. რადგან სახურავი თითქმის ბრტყელი იყო, კუპომ თავისი ორ ფიცარნაგზე დადგმული დაზგა იქვე მოაწყო. მშვენიერი მაისის მზე ჩადიოდა და საკვამლე მილებს ავარაყებდა. სულ მაღლა, მოწმენილ ცაზე მკაფიოდ მოჩანდა მესახურავე, რომელიც დაზგისკენ დახრილიყო და დინჯად, დიდი მაკრატლის დახმარებით თუთიის ფურცლებს ჭრიდა, თერძივით, რომელიც სახელოსნოში ქსოვილს ჭრის... მეზობელი სახლის კედელთან იდგა მისი თანაშემწე, ჩვიდმეტი წლის გამხდარი ქერა ბიჭი და ვეებერთელა საბერვლით მაყალზე ცეცხლს აჩაღებდა. საბერვლის ყოველ დაბერვაზე ნაპერწკლები ტკაცუნით ცვიოდა.

– ეი, ზიდორ! სარჩილავი დადე! – დაუყვირა კუპომ.

თანაშემწემ სარჩილავი ჩადო ნაკვერჩხლებში, რომლებიც ვარდისფრად მოჩანდნენ დღის შუქზე. მერე ისევ საბერველს მოჰკიდა ხელი. კუპოს ეჭირა თუთიის უკანასკნელი ფურცელი, რომელიც სახურავის ნაპირში საწვიმარ ღართან უნდა დაეფარებინა. ამ ადგილას სახურავი ციცაბოდ იყო დახრილი და პირდაღებულ ნახვრეტში ქუჩა მოჩანდა. მესახურავეს საშინაო ჩუსტები ეცვა. იგი წინ მიიწევდა ფეხების ფლატუნით და თან უსტვენდა სიმღერას: „ოე, პაწაწა ბატკნებო!“. როცა ნახვრეტთან მივიდა, ფეხი დაუცურდა, ცალი მუხლი აგურის საკვამლე მილს მიაბჯინა და მოკრუნჩხული სანახევროდ ქვაფენილისკენ დაეკიდა. ცალი ფეხი ჰაერში ჰქონდა ჩამოკიდებული. მოტრიალდა ამ გველხოკერა ზიდორის დასაძახებლად, თან საკვამლე მილის კუთხეს მოეჭიდა, რათა ქვევით, ქვაფენილზე არ გადავარდნილიყო.

– შენ, ეი, წყეულო აყლაყუდავ! მოიტა რაღა, მრჩილავი! რას უყურებ მაღლა, ახმახო! ხომ არა გგონია, რომ პირში შემწვარი ტოროლები ჩაგიცვივიან?..

მაგრამ ზიდორი არ ჩქარობდა. მეზობელ სახურავებს შეჰყურებდა, აინტერესებდა სქელი კვამლი, რომელიც პარიზის შუაგულში ამოდიოდა, გრენელის მხარეს. შეიძლება ეს ხანძარი იყო? თანაშემწე მაინც წამოვიდა ხოხვით ნახვრეტისკენ და კუპოს ზევიდან მრჩილავი ჩააწოდა. მესახურავე ფურცლების ერთმანეთთან გადაბმას შეუდგა. ხან მოიკრუნჩხებოდა, ხან გაიშლებოდა, მაგრამ წონასწორობას არ კარგავდა. ცალ თეძოზე დაყრდნობილი, ცალი ფეხით დაკიდებული, მხოლოდ ფეხის თითებით იყო მიმაგრებული და ასე მუშაობდა. მუშაობდა და მერე როგორ! რა შეჩვენებული სითავხედით, რა თავზე ხელაღებული გაბედულობით, რა არხეინად და ყოველგვარი შიშის გარეშე! მან თავისი საქმე იცოდა. ქუჩას უნდა შინებოდა მისი. კუპო ჩიბუხს

პირიდან არ უშვებდა და ამიტომ დროდადრო მობრუნდებოდა და მშვიდად აფურთხებდა ქუჩაში.

– აჰა! მადამ ბოში! – შეჰყვირა მან უეცრად, – ჰეი! მადამ ბოშ!

მან დაინახა მეკარე ქალი, რომელიც ქუჩაზე გადმოდიოდა. მადამ ბოშმა თავი ასწია და კუპო იცნო. სახურავსა და ქვაფენილს შორის საუბარი გაიბა. მადამ ბოშს თავი მაღლა ჰქონდა აწეული, ხოლო ხელები წინსაფრის ქვეშ ამოეფარებინა. მესახურავე ამჟამად ფეხზე იდგა, მარცხენა ხელი საკვამლე მილზე შემოეხვია და ძირს იხრებოდა.

– ჩემი ცოლი ხომ არ გინახავთ? – შეეკითხა ის მადამ ბოშს.

– არა, არ მინახავს, – მიუგო მეკარე ქალმა, – აქ არის?

– ჩემთან უნდა მოვიდეს... თქვენები როგორ არიან, ხომ კარგად?

– გმადლობთ, კარგად, ყველაზე ავადმყოფი მე ვარ, როგორც ხედავთ... კლინიანკურის ქუჩაზე მივდივარ ცხვრის ხორცისთვის. მულენრუჟის გვერდით ყასაბი თექვსმეტ სუზე ნაკლებად არ ყიდის ხორცს.

ისინი ხმას უმაღლებდნენ, რადგან ნაციის ფართო ქუჩაზე ამ დროს ეტლი მიგრიალებდა. მათმა ყვირილით ლაპარაკმა მხოლოდ ერთი მოხუცი ქალი მოიზიდა ფანჯარასთან. ეს მოხუცი იქვე დარჩა იდაყვდაყრდნობილი. ერთობოდა მძლავრი განცდით – ამ კაცის ყურებით პირდაპირ სახურავზე, თითქოს იმედოვნდებდა, რომ საცაა მის ძირს ჩამოვარდნას დაინახავდა.

– აბა, მშვიდობით იყავით! – შეჰყვირა ბოლოს მადამ ბოშმა, – არ მინდა ხელი შეგიშალოთ.

კუპო მიბრუნდა და ზიდორის მიერ მიწოდებული მრჩილავი აიღო, მაგრამ როდესაც მეკარე ქალი მოშორდა იქაურობას, მან მეორე ქვაფენილზე ჟერვეზა დაინახა, რომელსაც ნანა მოჰყავდა ხელჩაკიდებული.

მეკარე ქალმა ის იყო თავი მაღლა ასწია, რათა მესახურავისთვის ეუწყებინა ეს ამბავი, რომ ახალგაზრდა ქალმა ენერგიული ჟესტით პირზე ხელი მიაფარა. შემდეგ ჟერვეზამ ხმადაბლა, ისე, რომ ზევით არ გაეგონათ, თავისი შიშის მიზეზი აუხსნა: ვცდილობ, უცებ არ დავენახვო ჩემს ქმარს, რადგან მეშინია, უეცრად არ აღელდეს და არ ჩამოვარდეს იქიდანო. ამ ოთხი წლის განმავლობაში ჟერვეზა დღვანდელ დღეს მეორედ იყო კუპოსთან. მას არ შეეძლო მისი ცქერა, გული უჩერდებოდა, როცა ქმარს ცისა და მიწის შუა ხედავდა ისეთ ადგილას, სადაც თვით ბეღურებიც კი ვერ ბედავდნენ აფრენას.

– ეჭვგარეშეა, სასიამოვნო არ არის, – წაიბუტბუტა მადამ ბოშმა, – მე კი საშიში არაფერი მაქვს, ჩემი ქმარი თერძია.

– რომ იცოდეთ, პირველ ხანებში, – წარმოთქვა ისევ ჟერვეზამ, – რა გულის ხეთქვაში ვიყავი დილიდან საღამომდე. სულ მელანდებოდა, რომ ჩემი ქმარი თავგატეხილი მოაქვთ საკაცით... ახლა იმდენს აღარ ვფიქრობ ამაზე. ყველაფერს ეჩვევა კაცი. ლუკმაპური ხომ უნდა იშოვო როგორმე.. თუმცა ძვირად კი გვიჯდება ჩვენ ეს პური, რადგან ჩემი ქმრის სიცოცხლე მუდამ საფრთხეშია.

ჟერვეზა გაჩუმდა და ბოლოკაბა მოაფარა ნანას, რადგან ეშინოდა, პატარას არ დაეყვირა. ჟერვეზა თავისდა უნებურად მთლად გაფითრებული იყურებოდა მაღლა. სწორედ ამ დროს კუპო საწვიმარი ღარის მახლობლად აკავშირებდა ფურცლის განაპირა კიდეს. იგი იხრებოდა რამდენადაც კი შეეძლო, და მაინც წვერს ვერ სწვდებოდა. მაშინ მან დინჯი, მძიმე და მტკიცე მოძრაობით უფრო დაბლა დაშვება გაბედა. ერთ წუთს ქვაფენილის პირდაპირ დაეკიდა, თითქოს არაფერს ეჭიდებოდა და ასე წყნარად განაგრძობდა საქმეს. ქვემოდან, ფრთხილი ხელით ამოძრავებული რკინის ქვეშ, ნარჩილავის თეთრი ალის შუქი მოჩანდა. შეწუხებულ ჟერვეზას სუნთქვა უჩერდებოდა და მაგრად შეკუმშულ ხელებს უნებლიეთ იშვერდა ზემოთ. ძლივს თავისუფლად ამოისუნთქა, როცა კუპო აუჩქარებლად კვლავ სახურავზე ავიდა და ასვლისას ერთხელ კიდევ მოასწრო ქუჩაში გადაფურთხება.

– დასაზვერავად მოსულხარ? – მხიარულად შესძახა მან ჟერვეზას, როდესაც თვალი მოჰკრა, – ეგ მანდ სისულელეებს ლაპარაკობდა, არა, მადამ ბოშ? ჩემი დაძახებაც არ უნდოდა, ხომ?.. ცოტა მოიცადეთ კიდევ, სულ ათი წუთის საქმე დაგვრჩა.

კუპოს სულ უმნიშვნელო რაღაც ჰქონდა კიდევ გასაკეთებელი: საკვამლე მილზე ხუფი უნდა დაეფარებინა. მრეცხავი და მეკარე ქალი ქვაფენილზე იდგნენ და უბნის ამბებზე ჭორაობდნენ. თან ნანას ადევნებნენ თვალყურს, არხის წყალში არ მოთხუპნილიყო, რადგან პატარა გოგო იქ ჭიჭყინა თევზების დაჭერას აპირებდა. ორივე წამდაუწუმ სახურავისკენ იყურებოდა, იღიმებოდნენ და თავს იქნევდნენ, თითქოს ამით უნდოდათ ეთქვათ, რომ ლოდინი არ მოგვწყენიაო. მათ პირდაპირ მოხუცი ქალი ფანჯარას არ შორდებოდა, ისევ მომუშავე კაცს შეჰყურებდა და ელოდა.

– ეს ბეხრეკი ნეტავი რას უთვალთვალებს? – წარმოთქვა მადამ ბოშმა, – რა ცუდი სახე აქვს!

მაღლიდან მესახურავის მძლავრი ხმა ისმოდა, იგი მღეროდა: „ახ! რა კარგია მარწყვს ჰკრეფდე!“ ახლა დაზგისკენ დახრილიყო და ოსტატის ხელით ჭრიდა თუთიას. ფარგლის ერთი მოსმით მოხაზა რკალი და მერე დიდი, მაკრატელისმაგვარი საჭრისით თუთიის ფართო მარაო გამოჭრა, შემდეგ ჩაქუჩის მსუბუქი დარტყმით მოღუნა ეს მარაო და თავწვეტიანი სოკოს სახე მისცა. ზიდორმა ისევ საბერველს მოჰკიდა ხელი და მაყალზე ცეცხლი გააჩაღა. სახლის უკან მზე ჩადიოდა, ცა ვარდისფრად იყო მთლად შეღებილი. ეს ფერი თანდათან გამკრთალდა და ნაზი იასამნისსფერში გადავიდა. მოწმენდილ ცაზე, მიწურული დღის ამ წყნარ საათში,

გამჭვირვალე ჰაერში მკაფიოდ მოჩანდა ორი მუშის უზომოდ გაზრდილი ჩრდილი, დაზგის მუქი ზოლი და საბერვლის უჩვეულო პროფილი.

როდესაც ხუფი მზად იყო, კუპომ კვლავ გადმოსძახხა: – ზიდორ, მრჩილავი!

მაგრამ ზიდორი სადღაც გამქრალიყო. მესახურავე ილანძღებოდა, თან თვალით დაძებდა მას და მერე სხვენის გაღებულ ფანჯარაში ჩასძახა. ბოლოს, იგი მეზობელ სახურავზე აღმოაჩინა, ერთი ორიოდე სახლის იქით. ეს ცუღლუტი იქ დასეირნობდა, არემარეს ათვალიერებდა და თვალმოჭუტული გაჰყურებდა პარიზის უზარმაზარ სივრცეს. მისი თხელი ქერა თმა ჰაერში ფრიალებდა.

– ერთი მითხარი, უქნარავ! სოფელში ხომ არა გგონია შენი თავი, – წამოიყვირა გაცეცხლებულმა კუპომ, – ან იქნებ მუსიე ბერანჟესავით ლექსებს თხზავ?.. მაძლევ თუ არა მაგ მრჩილავს? ასეთი რამ გინახავთ?! სახურავებზე დახეტიალებს! შენი გულის ვარდი რატომ არ ამოგიყვანია, რომ სასიყვარულო სიმღერები გემღერა მისთვის?.. იძლევი მრჩილავს, თუ არა, წყეულო ვირგლავ?

კუპომ ხუფი მიაკრა და ჟერვეზას დაუყვირა: – აჰა, ესეც დავასრულე... ჩამოვდივარ!

მილი, რომელზედაც კუპოს ხუფი უნდა მიემაგრებინა, სახურავის შუაგულში იყო. ჟერვეზა დაწყნარდა და ღიმილით ადევნებდა თვალყურს ქმრის მოძრაობას. უცებ ნანამ მამა დაინახა და სიხარულით პატარა ხელებით ტაში შემოჰკრა. გოგონა ქვაფენილზე დამჯდარიყო, რათა უკეთესად დაენახა, რაც მაღლა ხდებოდა.

– მამა! მამა! – შეჰყვირა მან, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, – მამა! მოიხედე, რა!

მესახურავეს უნდოდა დახრილიყო, მაგრამ უცებ ფეხი დაუცურდა. უეცრად სულელურად, კატასავით, რომელსაც თათები გახლართვია, დაგორდა და ოდნავ დახრილ სახურავზე ისე წამოვიდა, რომ ხელი ვერაფერს მოსჭიდა.

– ღმერთო ჩემო! – დაბალი ხმით წამოიძახა მან.

და დაეცა. მისმა სხეულმა რბილად მოხაზა მრუდე, ორჯერ გადატრიალდა ჰაერში და ზემოდან ჩამოგდებულ სარეცხის ბოხჩასავით ყრუ ხმაურით ქუჩის შუაგულში ზღართანი გაადინა.

გაოგნებულმა ჟერვეზამ ერთი საშინლად შეღრიალა: და მას ხელები ჰაერში გაწვდილი დარჩა. აქეთ-იქიდან მოირბინეს გამვლელებმა და მთელი ბრბო შედგა. თავზარდაცემულ მადამ ბოშს მუხლები ეკეცებდა, ნანა აეყვანა ხელში და ბავშვს თავს უმალავდა, რომ მამა არ დაენახვებინა. ამასობაში, მათ პირდაპირ პატარა ბებრუხანამ, თითქო დაკმაყოფილებულმა, წყნარად მიხურა თავისი ფანჯარა.

ბოლოს, ოთხმა კაცმა კუპო აფთიაქამდე მიიყვანა, პუასონიერის ქუჩის კუთხეში. ერთი საათის განმავლობაში ჰყავდათ იქ, რაღაც საბანზე დაწვენილი, სანამ კაცს გაგზავნიდნენ ლარიბუაზერის საავადმყოფოში საკაცის მოსატანად. კუპო ჯერ კიდევ

სუთქავდა, მაგრამ მეაფთიაქე თავს აქეთ-იქით აქნევდა. ჟერვეზა ახლა უკვე მიწაზე დაჩოქილიყო და გაბმით ქვითინებდა, უაზროდ იწვდიდა ხელებს და ნელა, ფრთხილად უფათურებდა ქმრის სხეულს. მერე მეაფთიაქეს შეხედავდა, რადგან მან ქმრის შეხება აუკრძალა და ხელები კვლავ უკან მიჰქონდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ ხელს წაატანდა, ვერ სძლევდა სურვილს – შეეტყო კვლავ თბილი იყო თუ არა სხეული და თან იმასაც ფიქრობდა, რომ ამით სიკეთეს მოუტანდა კუპოს. ბოლოს, როდესაც საკაცე მოიტანეს და საავადმყოფოში წაყვანაზე დაიწყეს ლაპარაკი, ჟერვეზა წამოხტა და შეჰკივლა: – არა, არა, საავადმყოფოში არა! ჩვენ ახალ ქუჩაზე ვცხოვრობთ, გუტ-დორში.

ცდილობდნენ ჩაეგონებინათ მისთვის, რომ იმ შემთხვევაში, თუ ქმარს შინ წაიყვანდა, ავადმყოფის წამლობა ძალიან ძვირად დაუჯდებოდა, მაგრამ ქალი ჯიუტად იმეორებდა: – „ახალი ქუჩა“, გუტ-დორში, შესასვლელს მე გიჩვენებთ... თქვენ რა გინდათ, ფული მაქვს... ეგ ჩემი ქმარია, არა? ეგ ჩემია და ჩემთან უნდა დარჩეს.

იძულებული გახდნენ, კუპო სახლში გადაეყვანათ. იმ დროს, როდესაც საკაცე აფთიაქის წინ შეკრებილ ბრბოში ძლივძლივობით გაატარეს, უბნის ქალები გაცხარებით ლაპარაკობდნენ ჟერვეზაზე: ყოჩაღი ქალი ყოფილა! ეგ თუ გადაარჩენს ქმარს, თორემ, თუ ავადმყოფი ძალიან ცუდად არის, საავადმყოფოში ექიმები თავს აღარ იცხელებენ მისი მოვლით, რაში ენაღვლებათ მისი გამოჯანმრთელება, უყურადღებოდ დატოვებენო. მადამ ბოშმა ნანა თავის სახლში წაიყვანა და ისევ უკან მობრუნდა. ჯერ ისევ შეძრწუნებული იყო და გაუთავებლად, დაწვრილებით ჰყვებოდა ამ უბედური შემთხვევის ამბავს.

– ცხვრის ხორცის საყიდლად მივდიოდი და აი, აქ ვიყავი, ამ ადგილას. დავინახე, როცა ჩამოვარდა, – იმეორებდა ის: – თავისი პატარა გოგოს გამო დაემართა. უნდოდა შეეხედა მისთვის და... ბრახ! ოჰ, ღმერთო, ღმერთო! არ ვისურვებდი ხელმეორედ კიდევ ამის ნახვას... ასეა თუ ისე, მე ჩემი ცხვრის ხორცის საყიდლად მაინც უნდა წავიდე.

ერთი კვირის განმავლობაში კუპო სიკვდილის პირას იყო. ნათესავები, მეზობლები, ყველანი ყოველ წუთს ელოდნენ მის გათავებას. ექიმსაც, ძალიან გამოცდილს, რომელიც ვიზიტში ხუთ ფრანკს იღებდა, შიგნეულის დაზიანებისა ეშინოდა. ეს სიტყვა ყველას ძალიან აშინებდა. უბანში ლაპარაკობდნენ, მესახურავეს თურმე დაცემის დროს გული მოსწყვეტიაო. მხოლოდ ერთადერთი ჟერვეზა, უძილო ღამეებისგან გაფითრებული მხრებს იჩეჩდა და ამბობდა, ჩემს ქმარს მარჯვენა ფეხი აქვს მოტეხილი, ეს მთელმა ქვეყანამ იცისო, ამ ფეხს მოურჩენენ, მორჩა და გათავდაო. ხოლო რაც შეეხება დანარჩენს, – გული აქვს მოწყვეტილიო, – ეს არაფერია! მე თავის ადგილას მივუბამ ამ გულს! ვიცი, როგორც უნდა გულის თავის ადგილას მიბმა, ამისთვის საჭიროა კარგი მოვლა, სისუფთავე და სიყვარულიო. ეს ქალი ურყევ რწმენას იჩენდა. სჯეროდა, რომ ქმარს მოარჩენდა, თუ სულ მის გვერდით იქნებოდა და ავადმყოფს მისი ხელის შეხება არ მოაკლდებოდა ციებ-ცხელების წუთებში.

ჟერვეზას ამაში წუთითაც არ შეჰპარვია ეჭვი. მთელი კვირის განმავლობაში ფეხზე ხედავნენ. ცოტას ლაპარაკობდა, გულჩათხრობილი და გაკაჟებული იყო, ერთადერთი სურვილით შეპყრობილი – დაეხსნა თავისი ქმარი. დავიწყებული ჰყავდა შვილებიც, ქუჩაც და მთელი ქალაქიც. მეცხრე დღეს, საღამო ხანს, როდესაც ექიმმა განუცხადა, უკვე პასუხს ვაგებ ავადმყოფის გამოჯანმრთელებაზეო, ჟერვეზა სკამზე დაეშვა, მუხლი მოეკვეთა, წელი მოსწყდა და ღაპაღუპით წამოსცვივდა ცრემლები. მხოლოდ იმ ღამეს დათანხმდა, რომ საწოლის ფერხთით თავმიდებულს ორი საათით წაეძინა.

კუპოს სახურავიდან ჩამოვარდნამ მთელი ოჯახი ააფორიაქა. დედამისი მთელ ღამეებს ჟერვეზასთან ატარებდა, მაგრამ საღამოს ცხრა საათიდან მას უკვე ეძინა სკამზე. მადამ ლერას სამუშაოდან დაბრუნებისას ძალიან შორი გზით მოვლა სჭირდებოდა, მაგრამ მაინც ყოველ საღამოს მოდიოდა ახალი ამბის შესატყობად. ლორილეები თავდაპირველად დღეში ორჯერ-სამჯერ შემოდიოდნენ, წინადადებასაც იძლეოდნენ ღამე ეთიათ ავადმყოფთან, ჟერვეზას სავარძელიც კი მოუტანეს, მაგრამ ძალიან მალე ჩხუბი ატყდა იმის გამო, თუ როგორ უნდა ავადმყოფის მოვლა. მადამ ლორილე აცხადებდა, ჩემი სიცოცხლის განმავლობაში იმდენი ადამიანი მყავს გადარჩენილი, რომ კარგად ვიცი, როგორ უნდა მოვკიდო საქმეს ხელიო. ამასთანავე, მადამ ლორილე ბრალს სდებდა ახალგაზრდა ქალს, რომ ის ხელს ჰკრავდა მას და ძმის ლოგინთან ახლოს არ უშვებდა. რა თქმა უნდა, ჟერვეზა მართალია, რომ ცდილობს კუპო თვითონვე მოარჩინოს, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ის რომ არ მისულიყო ქმართან ნაციის ქუჩაზე და მუშაობის დროს ხელი არ შეეშალა, კუპოც არ გადმოვარდებოდაო. მხოლოდ ამნაირი მოვლით კი, როგორც ეგ უვლის, უეჭველად, ბოლოს მოუღებს ავადმყოფსო.

როდესაც ჟერვეზამ შენიშნა, რომ კუპოს საფრთხე აღარ მოელოდა, მან თავი მიანება ქმრის ლოგინთან მკაცრი ეჭვიანობით სავსე გუშაგობას. ახლა ქმარს ვეღარავინ მოუკლავდა, ის უშიშრად აძლევდა ნებას, რომ კუპოს ლოგინს სხვები მიახლოებოდნენ. ოჯახის წევრები სულ მუდამ ოთახში ტრიალებდნენ. გამოჯანმრთელების პროცესს ისეთი პირი უჩანდა, რომ იგი დიდხანს გასტანდა. ექიმის სიტყვით, ამას ოთხი თვე მაინც დასჭირდებოდა. საღამოობით. კუპოს ძილის დროს, ლორილეები ლანძღავდნენ ჟერვეზას, სულელს უწოდებდნენ იმის გამო, რომ ქმარი სახლში მოიყვანა, საავადმყოფოში ის ორჯერ უფრო ადრე დადგებოდა ფეხზეო. ლორილე იძახდა, მსურს ავად გავხდე, ერთი ცოტა რამ წამომტკივდეს, რომ დავანახვო ამ ქალს, თუ როგორ უყოყმანოდ წავალ ლარიბუაზერში, წუთსაც არ დავაყოვნებო. მადამ ლორილე იცნობდა ერთ გათხოვილ ქალს, რომელიც იქიდან გამოვიდა. და მერე? როგორ იყო იქ?!.. დილა-საღამოს ქათმის ხორცს მიირთმევდა. ლორილეები მერამდენედ იწყებდნენ ანგარიშს, თუ რა დაუჯდებოდა ოჯახს ამ ოთხი თვის წამლობა. და კიდევ, დაკარგული სამუშაო დღეები, მერე ექიმი, მერე წამლები, შემდეგ დასჭირდება კაი ღვინო და საუკეთესო, ახალი ხორცი. ბედნიერება იქნება თუ კუპოები მხოლოდ დანაზოგ ოთხ სუს დაკარგავენ, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ მათ ვალებიც დაედებათ. ოჰ! ეს მათი საქმეა! უმთავრესად კი ეს იცოდნენ – ნათესავების

იმედი ნუ ექნებათ; ისინი ისეთი მდიდრები არ არიან, რომ ავადმყოფი შინ შეინახონ. მით უარესი ჩაუხასთვის, არა? მას შეეძლო სხვასავით მოქცეულიყო და ქმარი საავადმყოფოში წაეყვანა. მაგრამ თავის გამოჩენა სჯობია? ყოყოჩობს, თავი მოაქვს, ეგღა აკლდა, სწორედ!

ერთ საღამოს მადამ ლორილემ იმდენი ბოროტება გამოიჩინა, რომ უხეშად შეეკითხა ჟერვეზას: – მართლა, თქვენი დუქანი? როდის იქირავებთ?

– დიახ, – ჩაიხითხითა ლორილემ, – მეკარე ქალი ჯერ კიდევ გელოდებათ.

ჟერვეზას სუნთქვა შეუჩერდა. მას სრულიად დავიწყებოდა დუქანი. მაგრამ ახლა იგი ხედავდა ამ ადამიანების ბოროტ სიხარულს იმის გამო, რომ მისი ოცნება დუქანზე უკვე ჩაიფერფლა. ამ საღამოდან დაწყებული ლორილეები ყოველ შემთხვევას იყენებდნენ იმისთვის, რომ სასაცილოდ აეგდოთ ჟერვეზას წყალწაღებული ოცნება. როდესაც რაიმე განუხორციელებელ იმედზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, ისინი ამ იმედის განხორციელებას იმ დღისათვის დებდნენ, როცა „ჟერვეზა მშვენიერი მაღაზიის პატრონი გახდება საუკეთესო ქუჩაზე“. დაუფარავად დასცინოდნენ ჟერვეზას, მას კი არ უნდოდა ცუდად ეფიქრა, მაგრამ სინამდვილეში ისე ჩანდა, რომ ლორილეებს ძალიან გაუხარდათ კუპოს უბედურება, რადგან ამან ხელი შეუშალა ჟერვეზას, სამრეცხაო გაეხსნა გუტ-დორის ქუჩაზე.

მაშინ ჟერვეზამ თვითონაც დაიწყო სიცილი განუხორციელებელ გეგმაზე: ის უჩვენებდა მათ, თუ რა ხალისით სწირავდა ფულს ქმრის გამოჯანმრთელებას. ყოველთვის, როცა კი ჟერვეზა მათი თანდასწრებით საათის ხუფის ქვეშიდან შემნახველი სალაროს წიგნაკს გამოიღებდა, სიცილით იტყოდა ხოლმე: – მივდივარ, დუქანი უნდა ვიქირავო.

ჟერვეზას არ უნდოდა ფულის ერთბაშად გამოტანა სალაროდან, ას-ასი ფრანკი გამოჰქონდა, რათა კამოდში ფული ბლომად არ დაგროვილიყო. ამას გარდა, ბუნდოვანი იმედი კიდევ ჰქონდა, რომ სასწაული მოხდებოდა, კუპო უეცრად გამოჯანმრთელდებოდა და მათ მთლიანად ფულის გამოტანა აღარ დასჭირდებოდათ. შემნახველი სალაროდან დაბრუნების შემდეგ, ჟერვეზა ყოველთვის ქაღალდის ნაგლეჯზე იწერდა, კიდევ რამდენი რჩებოდა ანგარიშზე. ამას მხოლოდ და მხოლოდ წესრიგისთვის აკეთებდა. მის კაპიტალს კარგა მოზრდილი ფუღურო გაუჩნდა, მაგრამ ჟერვეზას კეთილგონიერად ეჭირა თავი და განუშორებელი წყნარი ღიმილით აწარმოებდა დაზოგილი ფულის განიავების ანგარიშს. განა ეს სანუგეშო არ იყო, რომ მათ ასე კარგად გამოიყენეს ეს ფული, რომ ის ხელთ აღმოაჩნდათ უბედურების წუთებში? ჟერვეზა არ ნანობდა ფულის ხარჯვას და ფრთხილად დებდა შემნახველი სალაროს წიგნაკს საათის უკან, ხუფის ქვეშ.

სანამ კუპო ავად იყო, გუჟეები საუკეთესოდ ეპყრობოდნენ ჟერვეზას. მადამ გუჟე ჟერვეზას განკარგულებაში იმყოფებოდა. ისე არ ჩამოივლიდა, რომ ჟერვეზასთვის არ ეკითხა, რა გჭირდებაო: შაქარი, კარაქი თუ მარილიო. საღამოობით, როცა მადამ გუჟე

საჭმელს ცეცხლზე დადგამდა, უეჭველად პირველად ამოღებულ ბულიონს მათ შესთავაზებდა. თუ დაინახავდა, რომ ჟერვეზას არ ეცალა, ის სამზარეულოს მიხედავდა და ჭურჭლის დარეცხვაში ხელს წაახმარდა. თვით გუჟეს ყოველ დილით მიჰქონდა ახალგაზრდა ქალის ვედროები და პუასონიერის ქუჩის შადრევანთან წყლით უვსებდა. ამით ჟერვეზას ორი სუ ეზოგებოდა. სადილის შემდეგ, თუ მათი ოთახი ნათესავებით არ იყო გატენილი, გუჟეები მოდიოდნენ კუპოებთან კომპანიის გასაწევად. ორი საათის განმავლობაში საღამოს ათ საათამდე მჭედელი იჯდა და ჩიბუხს აბოლებდა, თან შეჰყურებდა ჟერვეზას ტრიალს ავადმყოფის ირგვლივ. ეს კაცი მთელი საღამოს განმავლობაში ორ სიტყვას არ იტყოდა. გოლიათურ მხრებში ჰქონდა ჩამძვრალი დიდი, ქერა თავი და გულაჩვილებული მისჩერებოდა ჟერვეზას, როდესაც იგი ფინჯანში წამალს ასხამდა ან ფრთხილად, უხმაუროდ კოვზით შაქარს ხსნიდა. როდესაც ჟერვეზა ავადმყოფის ლოგინს მიუახლოვდებოდა და ტკბილი ხმით ამხნევებდა მას, გუჟეს მღელვარება იპყრობდა. სიცოცხლეში არ უნახავს ასე ყოჩაღი ქალი, სიკოჭლეც რომ არ აუშნოებდა! მით უფრო დასაფასებელია მისი ამაგი, რომ ამისთანა მდგომარეობაში მთელი დღის განმავლობაში ფეხზე დგას და ქმარს თავს დასტრიალებს. ჟერვეზა თხუთმეტ წუთსაც არ დაჯდებოდა, რომ ეჭამა. მთელი დღე ფუსფუსებდა. აფთიაქში დარბოდა, არავითარ ჭუჭყიან საქმეს არ ერიდებოდა, თავს იკლავდა, რომ სუფთად ჰქონოდა ოთახი, სადაც ავადმყოფი იმყოფებოდა. ამავე დროს, ერთხელაც არ დაიჩივლებდა! ყოველთვის ტკბილი და თავაზიანი იყო, საღამოობითაც კი, როდესაც ისე იყო დაღლილი, რომ თვალგახელილს და ფეხზე მდგომს ეძინა. ამ თავდადების ატმოსფეროში მჭედელი თანაგრძნობით და დიდი პატივისცემით განიმსჭვალა ჟერვეზასადმი. ხედავდა, თუ რანაირად უყვარდა მას კუპო და როგორ მთელი გულით უვლიდა და ჰპატრონობდა მას.

– აჰა! ჩემო მოხუცო, გამოკეთდი კიდეც, – უთხრა ერთხელ მჭედელმა გამოჯანმრთელებულ კუპოს, – მე, სიმართლე გითხრა, არც შემშინებია შენ გამო, რადგან შენი ცოლი სიკეთით სავსე ღმერთია.

მჭედელიც აპირებდა ცოლის შერთვას, ყოველ შემთხვევაში, დედამისს, მადამ გუჟეს უკვე გამოძებნილი ჰყავდა ერთი ახალგაზრდა, შესაფერისი ქალი. მემაქმანე იყო მადამ გუჟესავით. გუჟემ, დედისთვის რომ არ ეწყენინებინა, თანხმობა განაცხადა და ქორწილიც დანიშნული იყო სექტემბრის პირველი რიცხვებისთვის. ახალგაზრდა ოჯახის მოსაწყობად საჭირო ფული დიდი ხანია გადადებული ჰქონდათ შემნახველ სალაროში. მაგრამ გუჟე თავს აქეთ-იქით იქნევდა, როდესაც ჟერვეზა ამ ქორწინებაზე დაუწყებდა ლაპარაკს. ჩუმი ხმით წაილუღლუღებდა ხოლმე: – ყველა ქალი ხომ ისეთი არ არის, როგორიც თქვენ ხართ, მადამ კუპო. ყველა ქალი რომ თქვენისთანა იყოს, მე ათს შევირთავდი ერთად.

კუპომ ორი თვის შემდეგ უკვე ლოგინიდან წამოდგომა შეძლო. ჯერ სიარული უჭირდა. ლოგინიდან მხოლოდ ფანჯრამდე მიდიოდა, ისიც ჟერვეზას დახმარებით. იქ, ფანჯარასთან ლორილეების სავარძელში ჯდებოდა და მარჯვენა ფეხი ტაბურეტზე ჰქონდა ხოლმე გაჭიმული. ეს ხუმარა, რომელიც ყველაფერზე იცინოდა

და მთელ ქვეყანას სახუმაროდ იყენებდა, ახლა ძალიან გაბოროტდა თავისი უბედურების გამო. ეს ორი თვე ლოგინში სულ აუტანელ ლანძღვა-გინებაში გაატარა. მართლაცდა, განა ეს ცხოვრება იყო, ძეხვივით გაშოტილი და შეხვეული ფეხით გულაღმა წოლა?! ახ! ის ამ სახლის ჭერს ახლა ისე იცნობს, როგორც თავის ხუთ თითს. იქით კუთხეში, საწოლის ზემოთ ერთი ბზარია, რომელსაც კუპო თვალდახუჭულიც კი დახატავს. შემდეგ, როდესაც სავარძელში დაჯდომა შეძლო, სხვაგვარი აურზაური ატეხა. რამდენ ხანს უნდა იყოს ასე ერთ ადგილზე მუმიასავით მილურსმული? ამ ქუჩაშიც რომ არაფერია გასართობი?! არავინ დადის და მთელი დღის განმავლობაში ქლორიანი წყლის სუნი ტრიალებს! არა, ის, მართლაც, ძალიან დაბერდა! ათი წლის სიცოცხლეს მისცემდა, ოღონდ დაენახა, თუ რა შესახედაობა ჰქონდა ახლა პარიზის სიმაგრეებს. განუწყვეტლივ ჩიოდა და ცხარედ ემდუროდა ბედს. განა უსამართლობა არ იყო, რომ ასეთი უბედურება შეემთხვა? ეს არ უნდა დამართოდა, ის ხომ კარგი მუშა იყო, არ იყო ზარმაცი, უქნარა, ლოთი. ეს რომ სხვებს მოსვლოდათ, გასაგები იქნებოდა მისთვის.

– მამაჩემმა კუპომ, – ამბობდა ის, – სიმთვრალის დროს მოიტეხა კისერი. არ ვამბობ, რომ მან ეს დაიმსახურა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ეს გასაგები იყო... მე კი მშიერ კუჭზე, თითქოს ნათლისმცემელი ვყოფილიყავი, პირში ნამცეცი პური არ ჩამსვლოდა, წვეთი სასმელიც არ დამელია და, ნახეთ, როგორ გადმოვკოტრიალდი მხოლოდ იმიტომ, რომ მინდოდა ნანასთვის შემეხედა და გამეცინა!.. მეტისმეტი არ არის ეს? თუ ქვეყანაზე ღმერთი არსებობს, მას ძალიან უცნაურად მოუწყვია ყველაფერი! ვერასოდეს მოვინელებ ამას!’

მართალია, კუპო უკვე ფეხზე დადგა, მაგრამ მაინც ყრუ გაბოროტება დარჩა გულში თავისი სამუშაოს წინააღმდეგ. ეს საუბედურო ხელობაა, მთელი დღეები სახურავზე, საწვიმარი ღარების გვერდით უნდა გაატარო კატასავით! ბურჟუები სულელები როდი არიან! თქვენ სასიკვდილოდ გგზავნიან და თვითონ კიბეზე ასვლასაც ვერ ბედავენ, სხედან დინჯად კუთხეში, ბუხრის პირას და ფეხებზე ჰკიდიათ ღარიბი ხალხი. ბოლოს, კუპო იქამდეც მივიდა, რომ ამტკიცებდა, ყველამ თვითონ უნდა გადახუროს თავისი სახლიო. ჰოდა რა! თუ სამართალია, ასე უნდა იყოს: ვისაც არ სურს გაიწუწოს, ადგეს და გაიკეთოს სახურავი. მერე კუპო ნანობდა ძალიან, რომ სხვა ხელობა არ შეისწავლა, უფრო სასიამოვნო და ნაკლებად სახიფათო, მაგალითად, დურგლობა. ესეც ისევ მამაჩემი ბრალიაო, – ამბობდა იგი, – ეს რა სულელური ჩვეულება აქვთ მამებს, შვილებიც უსათუოდ იმ საქმეში უნდა ჩასჩარონ, რომელშიც თვითონ არიან ჩაბმულიო.

კუპომ კიდევ ორი თვის განმავლობაში ყავარჯნებით იარა. თავდაპირველად ქუჩაში ჩადიოდა და კარის წინ ჩიბუხს ეწეოდა. შემდეგ გარე ბულვარამდე მისვლაც შეძლო. იქ საათობით იჯდა სკამზე და მზეს ეფიცხებოდა. კვლავ დაუბრუნდა სიმხიარულე და ჯოჯოხეთური მასხრობის უნარი. ამ ხანგრძლივი უსაქმურობის საათებში უკეთ ილესავდა ენას. განიცდიდა სიცოცხლის სიამეს, მაგრამ ამასთან უსაქმურობის სიამეც შეიგრძნო, სიამე სახსრების მოდუნებისა და კუნთების ტკბილ ძილში შეცურებისა.

სიზარმაცე, თითქოს, ნელ-ნელა მოერია მას, დასძლია და მისი გამოჯანმრთელების დრო იმისთვის გამოიყენა, რომ ძვალსა და რბილში გასჯდომოდა და მოედუნებინა. კუპო კარგ გუნებაზე ბრუნდებოდა შინ, მასხრობდა, ცხოვრება მშვენიერი ეჩვენებოდა. ფიქრობდა, რატომ არ შეიძლება, მუდამ ასე გაგრძელდესო. როდესაც ყავარჯნები მოიშორა, უფრო შორს დაიწყო სასეირნოდ საირული. სახელოსნოებს ჩამოურბენდა, რათა ამხანაგები ენახა. გულხელდაკრეფილი დადგებოდა შენების პროცესში მყოფი სახლების წინ, ხითხითებდა და თავს აქეთ-იქით აქნევდა. სასაცილოდ იგდებდა მუშებს, რომლებიც წელებზე ფეხს იდგამდნენ და მათ თავის ფეხს უჩვენებდა: ნახეთ, სად მიჰყავს კაცი თავდაუზოგავ შრომასო. ასეთი დამცინავი დგომა და სხვისი შრომის ცქერა თითქოს აკმაყოფილებდა მის გაბოროტებას, მიმართულს შრომის წინააღმდეგ. ეჭვგარეშეა, მან ისევ უნდა მოჰკიდოს ხელი შრომას, რას იზამ, როცა საჭიროა, რა გაეწყობა! მაგრამ ეს, რაც შეიძლება გვიან უნდა მოხდეს. ოჰ! მას ისეთი ჭირი გადახდა თავს, ისე ძვირად დაუჯდა ეს შრომა, რომ მაინცდამაინც შრომისადმი დიდ აღფრთოვანებას არ ატარებს გულში. ამას გარდა რა უშავს, თუ მცირე ხანს მაინც უსაქმოდ იქნება.

საუზმის შემდეგ, როცა კუპო მოიწყენდა, ლორილეებთან ადიოდა. ისინი დიდ სიბრალულს იჩენდნენ მისდამი და ყურადღებითა და მოფერებით ცდილობდნენ თავისკენ მიეზიდათ. კუპო დაოჯახების პირველ წლებში სრულიად ჩამოშორდა მათ ჟერვეზას გავლენით. ახლა მათ კვლავ ხელში ჩაიგდეს ის იმით, რომ დასცინოდნენ, ვაჟკაცი არ არის, ცოლის ეშინიაო. ამავე დროს ლორილეები ძალიან ფრთხილად და ქვეშ-ქვეშურად იქცეოდნენ, გადაჭარბებული ქებით იხსენიებდნენ მრეცხავ ქალს. კუპო თუმცა არ ეჩხუბებოდა ცოლს, მაგრამ ეფიცებოდა და არწმუნებდა, ჩემს დას ძალიან უყვარხარ და ეცადე უკეთ მოექცეო. პირველი ოჯახური ჩხუბი ერთ საღამოს ეტიენის გამო მოხდა. კუპომ საუზმის შემდეგ რამდენიმე ხანი ლორილეებთან გაატარა. მერე, როცა შინ დაბრუნდა, დაინახა, რომ სადილს ცოტა შეაგვიანდებოდა და ბავშვები ყვიროდნენ, წვნიანი გვინდაო. კუპო უცებ მივარდა ეტიენს და ორი ლაზათიანი სილა გააწნა. ამის შემდეგ მთელი ერთი საათი ბურტყუნებდა, ეს ბიჭი ჩემი არ არის, არ მესმის, რატომ უნდა ვიტანდე ჩემს სახლში მის ყოფნასო. ბოლოს და ბოლოს, ავდგები და გარეთ გავუძახებო. აქამდე იგი ბავშვს არაფერს უშავებდა. მეორე დღეს საკუთარ ღირსებაზე ალაპარაკდა. სამმა დღემ განვლო და ის უკვე ყოველ დილა-საღამოს პანღურს სცემდა ბავშვს და იქამდე მიიყვანა, რომ პატარა ბიჭი, გაიგებდა თუ არა მისი ფეხის ხმას, მაშინვე გუჟეებთან გარბოდა თავის საშველად. იქ მოხუც მემაქმანე ქალს მაგიდაზე ერთი კუთხე ჰქონდა მიჩენილი, სადაც ბავშვი გაკვეთილებს ამზადებდა.

კარგა ხანი იყო, რაც ჟერვეზა მუშაობას შეუდგა. საათის ხუფის ასახდელად თუ დასახურავად თავის შეწუხება აღარ სჭირდებოდა, რადგან შესანახად გადადებული თანხა უკვე მთლიანად შეჭმული იყო. მაგარი მუშაობა იყო საჭირო, სასტიკი, რადგან ახლა ის ოთხისთვის შრომობდა, ოთხი ადამიანი ჰყავდა ხელში შემაცქერალი. მარტო ის ინახავდა ყველას. როდესაც ჟერვეზა ყურს მოჰკრავდა, რომ მას იბრალებდნენ,

მაშინვე ბოდიშს მოხდიდა კუპოს, აბა, თქვენ იფიქრეთ! რამდენი ტანჯვა გამოიარა, განა გასაკვირია, რომ ხასიათი წაუხდა? მაგრამ ეს გაუვლის, როცა სულ გამოჯანმრთელდება. თუ ნაცნობები გააგონებდნენ, რომ კუპო ახლა ძალიან ჯანსაღად გამოიყურება და შეუძლია დაუბრუნდეს სახელოსნოსო, ჟერვეზა მათ ცხარე წინააღმდეგობას უწევდა, არა, არა, ჯერ არა! მას არ სურს ისევ ლოგინში მწოლიარე ნახოს კუპო! განა მას არ ახსოვს როგორ დაარიგა იგი ექიმმა?.. ჟერვეზა თვითონვე უშლიდა კუპოს მუშაობას, ყოველ დილას ეუბნებოდა, რომ ჯერ დრო არ არის, ძალას ნუ დაატან თავსო, და ხუთფრანკიანებსაც კი უცურებდა ჩუმად ჟილეტის ჯიბეში. კუპო ისე იღებდა ამას, როგორც რაღაც სრულიად ბუნებრივს. ის სხვადასხვა ტკივილს უჩიოდა, რომ უფრო გაენებივრებინათ. ექვსმა თვემ განვლო უკვე და მისი გამოჯანმრთელების ხანა ისევ გრძელდებოდა. ახლა, როცა სხვების მუშაობის საცქერლად წავიდოდა, ერთი ჭიქის გადასაკვრელადაც ხალისიანად შედიოდა დუქანში ამხანაგებთან ერთად. ბოლოს და ბოლოს, არც ისე ცუდია რესტორანში ყოფნა! ხუთიოდე წუთს დაჯდები, გაიცინებ მაინც, ვის რა უშავდება ამით? მხოლოდ პრანჭია ხალხი ცდილობს თავისი სიფხიზლე დაიკვეხოს! წინათ მას სამართლიანად იგდებდნენ სასაცილოდ, რადგან ერთ ჭიქა ღვინოს ჯერ არავინ მოუკლავს. კუპო გულში ხელის ცემითაც ირწმუნებოდა, რომ ღვინის მეტს არაფერს სვამდა. მუდამ ღვინოს, არაყს არასოდეს! ღვინო ახანგრძლივებს კაცის სიცოცხლეს, ვნება არ მოაქვს და არც ათრობს. თუმცა ერთი სახელოსნოდან მეორეში და ერთი რესტორნიდან მეორეში უსაქმურად ყიალის დროს ის კარგა მაგრად გამოთვრებოდა ხოლმე და ამ მდგომარეობაში ბრუნდებოდა შინ. ამისთანა შემთხვევისას ჟერვეზა ძლიერ თავის ტკივილს მოიმიზეზებდა და ოთახის კარს კეტავდა, რომ გუჟეებს არ გაეგონათ კუპოს სისულეების ჩმახვა.

ამასობაში ახალგაზრდა ქალს ნელ-ნელა სევდა მოერია. ის ყოველ დილა – საღამოს დადიოდა გუტ-დორის ქუჩაზე თავისი დუქნის სანახავად. დუქანი ჯერ კიდევ გაუქირავებელი იყო. ჟერვეზა მალვით დადიოდა იქ, თითქოს დიდი ადამიანისთვის შეუფერებელ ანცობას სჩადიოდა. დუქანი კვლავ აგიჟებდა. ღამღამობით, როცა შუქი ჩაქრებოდა, ჟერვეზას თვალები გახელილი ჰქონდა და, როგორც აკრძალულ ხილზე, ისე ტკბილად ოცნებობდა ამ დუქანზე. ხელახლა იწყებდა ანგარიშს: ორას ორმოცდაათი ფრანკი ბინის ქირა, ას ორმოცდაათი ფრანკი ხელსაწყოსა და დაბინავებისთვის, ხოლო ასი ფრანკი წინდაწინ იქნება გადადებული – პირველი ორი კვირის საცხოვრებელ ფულად. სულ ცოტა რომ ავიღოთ, ხუთასი ფრანკი მაინც გამოდიოდა. თუ ჟერვეზა ამაზე ხმამაღლა და განუწყვეტლივ არ ლაპარაკობდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ შიშობდა არ ეფიქრათ, კუპოს ავადმყოფობაზე დახარჯული ფული ენანებაო. ხშირად ჟერვეზა ფითრდებოდა, როცა შეამჩნევდა, რომ გაუფრთხილებელი ფრაზა წამოსცდა და გაამხილა თავისი გულისნადები. თითქოს ეს რაღაც ცუდი იყო. ახლა მას ოთხი თუ ხუთი წელიწადი უნდა ემუშავა იმისთვის, რომ ამოდენა თანხა გადაედო შესანახად. ძალიან აღონებდა ის, რომ ახლავე არ შეეძლო გაეხსნა სამრეცხაო. ქმრის დაუხმარებლად რამდენიმე თვეს კიდევ შეინახავდა ოჯახს და დააცდიდა, რომ კუპოს შრომის ხალისი გაღვიძებოდა.

ხანდახან ჟერვეზა მშვიდდებოდა, მომავლის იმედი ესახებოდა და თავისუფლდებოდა იდუმალი შიშისგან, რომელიც მას ზოგჯერ იპყრობდა, როცა კუპო მეტისმეტად მხიარული ღიღინით ბრუნდებოდა შინ და ჟერვეზას უამბობდა, თუ ნადირმა წაღამ, რომელიც მან ერთ ბოთლ ღვინოზე დაპატიჟა, რანაირად იცუღლუტა და რა ოინბაზობა გასწია დუქანში.

ერთ საღამოს ჟერვეზა სულ მარტო იყო შინ. ამ დროს შემოვიდა გუჟე, რომელიც ჩვეულებისამებრ მაშინვე არ გაბრუნდა უკან. იგი ჩამოჯდა და ჩიბუხის მოწევით უყურებდა ჟერვეზას. ეტყობოდა, ძალიან დიდმნიშვნელოვანი რამ ჰქონდა სათქმელი. სიტყვებს უფიქრდებოდა, წონიდა და თქმა მაინც ვერ გაებედა. ბოლოს, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, ძლივს გადაწყვიტა. პირიდან ჩიბუხი გამოიღო და ერთბაშად წამოაყრანტალა: – მადამ ჟერვეზა, ნებას მომცემთ, რომ ფული გასესხოთ?

ჟერვეზა კამოდის ერთ-ერთი უჯრასთან იდგა დახრილი და რაღაც ქსოვილს ეძებდა. უცებ წელში გასწორდა და ძალიან გაწითლდა. ჩანს, გუჟეს დაუნახავს იგი ამ დილით, თითქმის ათი წუთის განმავლობაში რომ იმ დუქნის წინ იდგა აღფრთოვანებული.

გუჟე უხერხულად გრძნობდა თავს, დარცხვენილად იღიმებოდა, თითქოს, მისი წინადადება შეურაცხმყოფელი იყო. ჟერვეზამ გადაჭრით უარი უთხრა. არასოდეს ვისესხებ ისე ფულს, თუ არ მეცოდინება, როდის შევძლებ მის გადახდას, გარდა ამისა, საქმე ძალიან დიდ თანხას ეხებაო. მაგრამ რადგანაც გუჟე დაჟინებით მოითხოვდა, ჟერვეზამ წამოიძახა: – მერე თქვენი ქორწილი? მე ხომ არ შემიძლია თქვენი ქორწილის ფული ავიღო?

– ოჰ! მაგაზე ნუ შეწუხდებით! – მიუგო მას თავის მხრივაც გაწითლებულმა მჭედელმა, – ცოლს აღარ ვირთავ. იცი, რა... სიმართლე გითხრათ, მე უფრო მესიამოვნება, თქვენ გასესხოთ ფული.

მაშინ ორივემ ერთად ჩაღუნა თავი. მათ შორის იყო რაღაც ძალიან სათუთი, რაზედაც ისინი არ ლაპარაკობდნენ. ჟერვეზა დათანხმდა. გუჟეს თავისი დედა გაფრთხილებული ჰყავდა. მათ კიბის ბაქანი გაიარეს და მაშინვე წავიდნენ დედის სანახავად. მემაქმანე ქალი ჩაფიქრებული იყო, ოდნავ დაღონებულიც, მას ქარგაზე დაეხარა წყნარი სახე. არ უნდოდა შვილისთვის წინააღმდეგობა გაეწია, თორემ ახლა უკვე აღარ თანაუგრძნობდა ჟერვეზას გეგმებს და პირდაპირ ამბობდა: კუპო ცუდ გზას დაადგა, კუპო მას სამრეცხაოს შეუჭამსო. გუჟეს დედას უმთავრესად ის ვერ ეპატიებინა კუპოსთვის, რომ მან წერა-კითხვის სწავლა არ ინდომა, როცა გამოჯანმრთელების გზაზე დადგა. მჭედელმა მას დახმარება შესთავაზა, მაგრამ კუპომ იგი ჯანდაბისკენ გაისტუმრა და უთხრა, სწავლა კაცს ამჭლევებსო. ამის გამო კინაღამ წაიჩხუბნენ. მათი გზები, ეტყობა, სხვადასხვა იყო. მიუხედავად უკმაყოფილებისა, რაკი მადამ გუჟემ თავისი დიდი ბავშვის ვედრებით სავსე თვალები დაინახა, ძალიან კარგად მიიღო ჟერვეზა და გადაწყდა, რომ გუჟეები მეზობლებს ხუთას ფრანკს მისცემდნენ სესხად. ჟერვეზა ამ ვალს ერთბაშად არ

გადაიხდიდა, მას თვეში ოც-ოცი ფრანკი უნდა ეძლია, სანამ ვალი მთლიანად დაიფარებოდა.

– შენ ეს მითხარი, ხომ არ გეარშიყება ეგ მჭედელი, – სიცილით წამოიძახა კუპომ, როდესაც ეს ამბავი შეიტყო, – ოჰ! მე ამ მხრივ ძალიან დამშვიდებული ვარ, რადგან ის დიდი დოყლაპიაა. ფულს კი, რა თქმა უნდა, დავუბრუნებთ, მაგრამ, სიმართლე უნდა გითხრა, თაღლით ხალხთან რომ დაეჭირა საქმე, პირში ჩალაგამოვლებული დარჩებოდა.

კუპოებმა მეორე დღესვე იქირავეს დუქანი. ჟერვეზა მთელი დღე დარბოდა ახალი ქუჩიდან გუტ-დორის ქუჩაზე. რადგან უბანში ხედავდნენ, რომ ეს ქალი ასე მსუბუქად დადიოდა და იმ ზომამდე გახარებული იყო, რომ აღარც კი კოჭლობდა, ლაპარაკობდნენ, – ალბათ, ოპერაცია გაიკეთაო.

## თავი მეხუთე

სწორედ იმავე დღეებში, აპრილის დამლევს, ბოშებმაც მიატოვეს პუასონიერის ქუჩა და კარისკაცებად გადავიდნენ დიდ სახლში, გუტ-დორის ქუჩაზე. თითქოს საგანგებოდ მოეწყო ასე. ჟერვეზასთვის ერთ-ერთი დიდად შემაწუხებელი გარემოება ის იყო, რომ მას შემდეგ, რაც ასე დამშვიდებით, კარისკაცის გარეშე იცხოვრა თავის ხვრელში ახალ ქუჩაზე, ახლა ვინ იცის, რა საძაგელი მეკარის ხელში უნდა ჩავარდნილიყო. რამდენჯერ მოუხდებოდა მასთან წაჩხუბება ცოტაოდენი დაღვრილი წყლის ან საღამოთი დაბრუნებისას, ძლიერ მოჯახუნებული შესასვლელი კარის გამო, საერთოდ, აუტანლები არიან ეს მეკარეები! ბოშები სულ სხვა იყვნენ! სასიამოვნოც კი იქნებოდა მათთან ერთად ყოფნა, – ერთმანეთს იცნობდნენ და შინაურულად მორიგდებოდნენ კიდეც.

ბინის დაქირავების დღეს, როდესაც კუპოები საიჯარო ხელშეკრულებაზე ხელმოსაწერად მივიდნენ და ჟერვეზა მაღალ ალაყაფის კარში შედიოდა, გული დაუმძიმდა. მაშ, ახლა მან ამ უზარმაზარ სახლში უნდა იცხოვროს, პატარა ქალაქისოდენა სახლში, რომელიც სავსეა შუშაბანდებივით ერთიმეორეში გადახლართული, გაუთავებელი და გრძელი კიბეებით და დერეფნებით? აშფოთებდა ნაცრისფერი ფასადები, ფანჯრების წინ მზეზე გასაშრობად გამოკიდებული ჩვრები, უფერული ეზო, ამოჩიჩქნილი ქვაფენილი და შრომის გუგუნი, რომელიც კედლებთან ისმოდა. მას, თითქოს, უხაროდა კიდეც, რომ თავისი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებას მიაღწია, მაგრამ ამავე დროს შიშსაც განიცდიდა, ვაითუ წარმატებას ვერ მივაღწიო და გავისრისო ამ საზარელ ბრძოლაში შიმშილთან, რომლის სუნთქვაც

აქ იგრძნობაო. ჟერვეზა ფიქრობდა, გაბედული ნაბიჯი გადავდგიო. და სანამ ის ამ ფიქრში იყო გართული, სარდაფის სართულის სიღრმიდან ზეინკლის ჩაქუჩის ხმაური და დურგლის შალაშინის შრიალი ისმოდა. იმ დღეს თაღის ქვეშ სამღებროდან მომწვანო ფერის წყალი გამოდიოდა, და ჟერვეზამ ღიმილით გადაალაჯა ამ ნაკადს. ის ამ ფერში კეთილის მომასწავებელ ნიშანს ხედავდა.

სახლის პატრონთან შეხვედრა ბოშების ბინაზე იყო დანიშნული. მუსიე მარესკოს დანების მსხვილი სავაჭრო ჰქონდა ლა პეს ქუჩაზე. ოდესღაც ის უბრალო დანების მლესავად მუშაობდა და ქუჩა-ქუჩა დადიოდა, ამჟამად კი მრავალი მილიონის პატრონად ითვლებოდა. ის იყო ორმოცდათხუთმეტი წლის მამაკაცი, ღონიერი, ძვალმსხვილი, ორდენით შემკული. უზარმაზარ, მუშის ბებერ ხელებს არ მალავდა. მის საყვარელ გასართობს შეადგენდა საკუთარი სახლის მობინადრეთა შორის დანებისა და მაკრატლების მოგროვება და მათი გალესვა. მას უბრალო და თავმდაბალი კაცის სახელი მოეპოვებინა, რადგან საათობით რჩებოდა მეკარის ბინაზე და კუთხეში მიმჯდარი ანგარიშებსაც იქ იბარებდა. ყველა საქმეს კიბეზე აწარმოებდა. კუპოებსაც იქ დაუხვდა. მადამ ბოშის ჭუჭყიანი მაგიდის წინ იჯდა და ისმენდა ამბავს, თუ მეორე სართულზე კიბე A-სთან მცხოვრებმა მკერავმა ქალმა როგორი ლანძღვით განაცხადა უარი ბინის ქირის გადახდაზე. შემდეგ, როდესაც ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერეს, სახლის პატრონმა მაგრად ჩამოართვა ხელი მესახურავეს. მიყვარს მუშები, თავის დროზე მეც დიდი ჭაპანწყვეტა მინახავს, მაგრამ შრომით კაცი ყველაფერს მიაღწევსო. მერე, როდესაც ორას ორმოცდაათი ფრანკი, – წლის პირველი ნახევრის ქირა, – გადაითვალა და ფართო ჯიბისკენ გაისტუმრა, თავისი ცხოვრების ამბავსაც მოჰყვა და მათ ორდენიც უჩვენა.

ჟერვეზა ბოშებს უყურებდა და როგორღაც უხერხულად გრძნობდა თავს. მათ ისეთი სახე მიიღეს, ვითომ არ იცნობდნენ ამ ქალს. გაფაციცებით ტრიალებდნენ სახლის პატრონის ირგვლივ, ორად მოხრილი იჭერდნენ ყოველ მის სიტყვას და თავის კანტურით კვერს უკრავდნენ. მადამ ბოში ფიცხლად გავარდა გარეთ, რათა გაეფანტა წყალსადენის წინ შეკრებილი ბავშვები, რომლებიც მოშვებული ონკანიდან ქვაფენილზე უხვად დაღვრილ წყალში ჭყუმპალაობდნენ. მერე წელში გაჭიმული უკან შემობრუნდა, კუშტად და მედიდურად აზუზული. ეზოსა და ფანჯრებს დინჯად თვალს ავლებდა, თითქოს სურდა დარწმუნებულიყო, რომ სახლში ყველაფერი წესრიგში იყო. ამის შემდეგ მაგრად მოკუმა ტუჩები, რათა ეჩვენებინა, თუ რამდენად უფლებამოსილი იყო ახლა, როდესაც სამასბინიანი სახლი ჰქონდა ჩაბარებული და სამასი მობინადრე ექვემდებარებოდა. ბოში კვლავ მეორე სართულზე მცხოვრებ მკერავ ქალზე ლაპარაკობდა. მისი აზრით, ეს ქალი გასასახლებელი იყო. მეკარე მრავალმნიშვნელოვანი გამომეტყველებით ითვლიდა ქირის გადახდის გადაცდენილ ვადებს და, თითქოს შიშობდა, რომ მას, როგორც სახლის მმართველს, შეიძლებოდა ამით სახელი გასტეხოდა. მუსიე მარესკომ მოიწონა აზრი მკერავი ქალის გასახლებისა, მაგრამ მას უნდოდა ერთი თვე კიდევ ედროვებინა მისთვის. ეს ხომ სისასტიკეა, ადამიანების ქუჩაში გაყრა, მით უმეტეს,

რომ ამით სახლის პატრონის ჯიბეში არც ერთი სუ არ ჩავა. ჟერვეზა ცოტა შეკრთა, როცა გაიფიქრა, რომ მასაც ასე გაუძახებენ ქუჩაში, თუ ერთ უბედურ დღეს ბინის ქირის გადახდას ვერ შეძლებს. მეკარის ბინა გაჭვარტლული იყო, შავი ავეჯით იყო სავსე, ნესტიანი და სარდაფივით მკრთალად განათებული. ფანჯრის წინ დასაბრუნებლად გამზადებული სერთუკი იდო, ხოლო ამ დროს პოლინა, ბოშების პატარა, ოთხი წლის წითური გოგონა, იატაკზე იჯდა და ჭკვიანად შეჰყურებდა ხბოს ხორცს, რომელიც ღუმელში იწვოდა, და სიამით იყნოსავდა საჭმლის მძაფრ სუნს.

მუსიე მარესკომ კვლავ ხელი გაუწოდა კუპოს, რომელმაც დუქნის შეკეთებაზე დაუწყო ლაპარაკი და სახლის პატრონს გაახსენა მის მიერ სიტყვიერად მიცემული პირობა, რომ ამაზე შემდგომ მოილაპარაკებდნენ, მაგრამ სახლის პატრონი გაჯავრდა: მე არაფერი მიკისრია, დუქნის შეკეთებას არასოდეს სახლის პატრონები არ აწარმოებენო. თუმცა ის ბოლოს მაინც დათანხმდა დუქნის დასათვალიერებლად წასვლას კუპოსა და ბოშის თანხლებით. წინანდელ მედუქნეს გადასვლისას თან გაეყოლებინა თაროები და დახლი, და დუქანი მთლად გაშიშვლებული იყო. მოჩანდა ჩაშავებული ჭერი და გაპარტახებული კედლები, რომლებზედაც ძველი ყვითელი ქაღალდის ნაფლეთები ეკიდა. აქ გაიმართა ცხარე ჩხუბი, რომელიც გუგუნით ისმოდა ცარიელ ოთახებში. მუსიე მარესკო ყვიროდა, რომ მაღაზიების შეკეთება თვითონ მოვაჭრეს ევალება, ეგება მას მთელი დუქნის მოვარაყება სურს, და სახლის პატრონი ოქროს ხომ ვერ მიართმევსო. ამის შემდეგ მან ილაპარაკა საკუთარ მაღაზიაზე, რომელიც ლა პეს ქუჩაზე ჰქონდა და რომელზედაც ოცი ათას ფრანკზე მეტი დახარჯა. ჟერვეზა ქალური დაჟინებით იმეორებდა ერთ მოსაზრებას, რომელიც მას უცილობლად მიაჩნდა: საცხოვრებელ ბინაში ხომ საჭიროა შპალერის გაკვრა? ჰოდა, რატომ არ შეიძლება დუქანსაც ისე შევხედოთ, როგორც საცხოვრებელ ბინას? სახლის პატრონს ეს ქალი მეტს არაფერს სთხოვდა, ოღონდ მას გაეთეთრებინა ჭერი და კედლებზე შპალერი გაეკრა.

ამ ხნის განმავლობაში ბოშს თავი ისე ეჭირა, როგორც იდუმალებით და ღირსებით აღსავსე პიროვნებას. აქეთ-იქით ტრიალებდა, მაღლა იხედებოდა და კრინტს არ ძრავდა. კუპომ რამდენჯერმე ამაოდ ჩაუკრა თვალი. ბოში კი ცდილობდა ისეთი სახე მიეღო, თითქოს არ სურდა ბოროტად გამოეყენებინა თავისი გავლენა სახლის პატრონზე. მაგრამ ბოლოს მაინც თითქოს რაღაც აუთამაშდა სახეზე, – ოდნავმა ღიმილმა გადაურბინა და თან თავიც გაიქნია.

სწორედ ამ დროს მარესკომ, რომელიც ძალიან ჯავრობდა, გაუბედურებული სახე ჰქონდა და ისე კრუნჩხავდა თითებს, როგორც ძუნწი, რომელსაც ოქროს ართმევენ, უცებ დაუთმო ჟერვეზას. ის დაჰპირდა ჭერის გათეთრებას და კედლებზე შპალერის გაკვრას იმ პირობით, რომ შპალერის ნახევარ ფასს ჟერვეზა გადაიხდიდა. ამის შემდეგ მუსიე მარესკომ სასწრაფოდ თავს უშველა, რომ მეტი აღარაფერი მოესმინა.

მაშინ ბოშმა, რომელიც მარტო დარჩა კუპოებთან, მრავლისმეტყველად დაარტყა მათ მხრებზე ხელი. ჰა, ხომ გაიჩარხა საქმე! ის რომ არ ყოფილიყო აქ, ვერაფერს

მიიღებდნენ, ვერც ჭერის გათეთრებას და ვერც შპალერის გაკვრას! შეამჩნიეთ თუ არა თქვენ, რომ სახლის პატრონი ცალი თვალით სულ ჩემკენ იყურებოდა და უეცრად დათანხმდა, როცა სახეზე ღიმილი შემნიშნა? მერე ბოშმა საიდუმლოდ გაუმჟღავნა მათ, რომ სახლის ფაქტობრივი პატრონი ის იყო; რომ მცხოვრებლების ბინიდან დათხოვნა მას ეკითხებოდა; რომ ის ბინას მიაქირავებს იმას, ვინც თვალში მოუვა; ბინის ქირასაც ის აგროვებს და ორ-ორი კვირით უდევს კამოდში ფული. საღამოს კუპოებმა, მადლობის ნიშნად, როგორც ამას, მათი აზრით, ზრდილობა მოითხოვდა, ორი ბოთლი ღვინო გაუგზავნეს ბოშებს. ბოშების სამსახური ღირდა ამ საჩუქრად.

ორშაბათიდან მუშებმა ხელი მოჰკიდეს დუქანს. ყველაზე დიდი ამოცანა შპალერის ყიდვა იყო. ჟერვეზას უნდოდა ნაცრისფერი ქაღალდი ცისფერი ყვავილებით, რათა კედლებს ღია, მხიარული ფერი ჰქონოდა. ბოშმა თან გაყოლა შესთავაზა, ხოლო შპალერი ჟერვეზას უნდა აერჩია, მაგრამ ბოშს სასტიკად ჰქონდა ნაბრძანები სახლის პატრონისგან, თითო შეკვრის ფასი თხუთმეტ სუს არ გადასცილებოდა. ბოში და ჟერვეზა ერთ საათს დარჩნენ ვაჭართან. მრეცხავ ქალს თვალში მოუვიდა ერთი ძალიან ლამაზი შპალერი და სულ მას უბრუნდებოდა, მაგრამ მისი ფასი თვრამეტ სუს შეადგენდა და ჟერვეზა სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, რადგან დანარჩენი გასაკრავი ქაღალდები, მისი აზრით, სრულიად არ ვარგოდა. ბოლოს, მეკარემ დაუთმო, მე მოვაგვარებ ამ საქმეს, ერთი შეკვრით მეტს ვიანგარიშებ თუ საჭირო გახდაო. უკან დაბრუნებისას ჟერვეზამ პოლინასთვის ტკბილეული იყიდა. მას არ უყვარდა, რომ ვინმესგან დავალებული დარჩენილიყო. ამ ქალთან კეთილგანწყობა მეტად სახეირო იყო.

ოთხი დღის განმავლობაში დუქანი მზად უნდა ყოფილიყო. მაგრამ მუშაობა სამ კვირას გაგრძელდა. ჯერ იმაზე იყო ლაპარაკი, რომ უბრალოდ შეეთეთრებინათ ძველი საღებავწასმული კედლები. ოდესღაც მოწითალო ღვინის ნალექისფრად შეღებილ ადგილებს ახლა ისეთი ჭუჭყიანი და საბრალო შესახედაობა ჰქონდა, რომ ჟერვეზამ ვერ მოითმინა და მთელი წინა მხარე ღია ცისფრად შეაღებვინა და ზედ წითელი ზოლები გაავლებინა. ამის გამო რემონტი ძალიან გაჭინაურდა. კუპო, რომელიც კვლავ არაფერს აკეთებდა, ყოველ დილით მოდიოდა იმის შესამოწმებლად, თუ როგორ მიდიოდა საქმე. ბოშიც მიატოვებდა ხოლმე გადასაკეთებლად აღებულ სერთუკს ან შარვალს და ამ მუშების საცქერად მოდიოდა. ორივე, ბოშიც და კუპოც, მუშების წინ დადგებოდნენ ხელებუკანდაწყობილები, თუთუნს ეწეოდნენ, იფურთხებოდნენ და ფუნჯის ყოველ მოსმაზე მსჯელობდნენ მთელი დღის განმავლობაში. გაუთავებლად მსჯელობდნენ ყოველი ამოსაძრობი ლურსმნის გამო. მღებავებიც – ორი ზორბა ბიჭი – ყოველ წუთს ტოვებდნენ თავიანთ კიბეს, დუქნის შუაგულში ჩერდებოდნენ, საერთო მსჯელობასა და კამათში ერეოდნენ და საათობით თავის ქნევით მისჩერებოდნენ მათ მიერ დაწყებულ სამუშაოს. ჭერი საკმაოდ ჩქარა გაათეთრეს, მაგრამ კედლების შეღებვას ბოლო აღარ უჩანდა. საღებავი არ შრებოდა, მღებავები დილის ცხრა საათისთვის ჩნდებოდნენ სამღებრო ვედროებით, დგამდნენ მათ კუთხეში, ერთ თვალს შეავლებდნენ იქაურობას და მერე ისე გაქრებოდნენ, რომ

მათ თვალს ვეღარავინ მოჰკრავდა. ისინი ან სასაუზმოდ მიდიოდნენ, ან კიდევ ერთი მცირე სამუშაოს დასამთავრებლად – მირას ქუჩაზე. ზოგჯერ კუპო თითო ჭიქის გადასაკრავადაც წაიყვანდა ხოლმე მთელ კომპანიას: ბოშს, მღებავებს და გზაში შეხვედრილ ამხანაგებს. ამრიგად, მთელი ნაშუადღევი იკარგებოდა. ჟერვეზა თავს იკლავდა ამის გამო. მერე უეცრად მთელი სამუშაო ორ დღეში დასრულდა, საღებავს ლაქი წაუსვეს და გააპრიალეს, შპალერი გააკრეს, მთელი ნაგავი გახვეტეს და ურიკაზე დაყარეს. მუშებმა ეს საქმე თითქოს თამაშით დაასრულეს, უსტვენდნენ კიბეზე და მათი სიმღერა მთელ უბანს აყრუებდა.

ახალ ბინაზე გადმოსვლაც მაშინვე მოხდა. ჟერვეზა პირველ ხანებში ბავშვივით იყო გახარებული. როცა რაიმე საქმეზე გასული შინ ბრუნდებოდა, ნაბიჯს ანელებდა და უღიმოდა თავის ბინას. შორიდანვე სხვა ფასადების შავი მწკრივის შუაგულში ნათელ, მხიარულ ლაქად მოჩანდა მისი სამრეცხაო ნაზი ცისფერი აბრით, რომელზედაც დიდი, ყვითელი ასოებით შემდეგი სიტყვები ეწერა: „წმინდა თეთრეულის მრეცხავი“. შიგნიდან ვიტრინას მარმაშის პატარა ფარდები ეფარა და ზედ ცისფერი ქაღალდიც ჰქონდა გაკრული, რათა სარეცხის სითეთრე უფრო მკაფიოდ გამოჩენილიყო. იქ იყო გამოფენილი მამაკაცის პერანგები, ხოლო თითბრის მავთულზე ეკიდა შესაკრავით მიმაგრებული ქალის თავსაბურები. მეტად ლამაზად ეჩვენებოდა ჟერვეზას თავისი ცისფერი სამრეცხაო. შიგნითაც ყველაფერი ცისფერი იყო. შპალერზე, რომელიც პომპადურის[18] ჩითის იმიტაციას წარმოადგენდა, სუროშემოხვეული თალარი იყო გამოსახული. სამუშოსთვის განკუთვნილ მაგიდას ოთახის ორი მესამედი ეჭირა და სქელი შალითა ჰქონდა გადაფარებული. ერთი მხრიდან ფიცარნაგის დასამალავად ცისფერი კრეტონი იყო მოფარდაგებული. ჟერვეზა ჩამოჯდებოდა ხოლმე ტაბურეტზე, სუნთქვა ეკვროდა სიამოვნებისგან. ახარებდა ეს სისუფთავე და სილამაზე, ალერსით აღსავსე თვალებით შესცქეროდა თავის ახალ სამყოფელს. პირველ ყოვლისა, მთავარ ხელსაწყოს შეავლებდა თვალს, – თუჯის ღუმელს, რომელზედაც ცეცხლის ირგვლივ მრუდე ქვესადგარებზე შემოლაგებული ათი უთო ერთბაშად ცხელდებოდა. ჟერვეზა იჩოქებდა და ისე იყურებოდა ღუმელში, რადგან მუდმივ იმის შიში ჰქონდა, რომ პატარა, ტუტრუცანა შეგირდ გოგოს ზედმეტი ნახშირი არ შეეყარა და თუჯი არ გამსკდარიყო.

დუქნის უკან მშვენიერი საცხოვრებელი ბინა გამოუვიდათ. ჟერვეზასა და კუპოს პირველ ოთახში ეძინათ. ეს ოთახი სამზარეულოც იყო და სასადილოც; მისი შიდა კარი ეზოში დადიოდა. ნანას საწოლი მარჯვნივ კარგა მოზრდილ ოთახში იყო მოთავსებული. შუქი ამ ოთახში ჭერში გაკეთებული მრგვალი სანათურიდან ჩამოდიოდა, ხოლო ეტიენი მარცხნივ იწვა პატარა ოთახში, სადაც მუდამ ჭუჭყიანი სარეცხის გროვები ეყარა იატაკზე. უნდა ითქვას, რომ ამ ბინას ერთი ნაკლი ჰქონდა, რომელშიც კუპოები ჯერ საკუთარ თავსაც არ უტყდებოდნენ: კედლები ძალიან ნესტიანი იყო და ნაშუადღევის სამი საათის შემდეგ ოთახებში უკვე ბნელოდა.

ახალმა სამრეცხაომ დიდი მღელვარება გამოიწვია უბანში. კუპოებს კიცხავდნენ, მათ ძალიან სწრაფად წაიწიეს წინ და ჩაიფლობიანო. მართლაც, მათ გუჟესგან ნასესხები

ხუთასი ფრანკი ისე დახარჯეს, რომ ორი კვირის საცხოვრებელი ფულიც კი არ დაუტოვებიათ თავისთვის, როგორც ეს წინასწარ ჰქონდათ ნავარაუდევი. იმ დილით, როდესაც ჟერვეზამ პირველად გამოაღო ახალი ბინის დარაბები, მხოლოდ ექვსი ფრანკიღა ეგდო საფულეში, მაგრამ გულს მაინც არ იტეხდა. შეკვეთები მოდიოდა და დაწყებულ საქმეს კარგი პირი უჩანდა.

ერთი კვირის შემდეგ, შაბათ დღეს, ჟერვეზა დაწოლის წინ ორი საათის განმავლობაში ქაღალდის ნაგლეჯზე რაღაცას ანგარიშობდა, მერე კუპო გააღვიძა და გაბრწყინებული სახით აუწყა, რომ ასობით და ათასობით ფრანკი შემოგვივა, თუ ჭკვიანად მოვიქცევითო.

– ახ! რა კარგია! – ღრიალებდა, მთელი გუტ-დორის ქუჩის გასაგონად მადამ ლორილე, – ეს ჩემი ყეყეჩი ძმა სულ მთლად გამოტუტუცებულა!.. ისღა აკლია, რომ ახლა ჩაუხამ ხელგაშლით ცხოვრებასაც მიჰყოს ხელი. ძალიან არ მოუხდება?!

ლორილეები სამარადჟამოდ გადაეკიდნენ ჟერვეზას. ჯერ ხომ სანამ დუქანს რემონტი უკეთდებოდა, კინაღამ გასკდნენ ჯავრისაგან: საკმარისი იყო შორიდან თვალი მოეკრათ მღებავებისთვის, რომ მაშინვე მეორე ქვაფენილზე გადადიოდნენ და სიბრაზისგან კრიჭაშეკრულები ადიოდნენ მაღლა. – ცისფერი სამრეცხაო ჰქონდეს და მერე ვის? ამ არარაობას? გულზე როგორ არ უნდა გასკდეს პატიოსანი კაცი?! კუპოების გადმოსვლის მეორე დღიდანვე შეგირდმა გოგომ სახამებლიანი წყალი გადმოღვარა ტაშტიდან სწორედ იმ დროს, როცა მადამ ლორილე გარეთ გამოდიოდა. მან მთელი ქუჩა შეყარა: რძალს აბრალდებდა, მისი ჩაგონებით მუშა ქალები შეურაცხყოფას მაყენებენო. ამის შემდეგ მათ შორის ყოველგვარი ურთიერთობა გაწყდა და თვალებით ჭამდნენ ერთმანეთს, სადაც კი შეხვდებოდნენ.

დიახ, მშვენიერი ცხოვრება აქვთ! – გაიძახოდა მადამ ლორილე, – ვიცით, საიდანაც მოუვიდა ფული თავისი ხუხულა დუქნისთვის! მჭედლისგან შემოსდით ეგ ფული... ერთი ისინი არიან კიდევ წმინდა წყლის ხალხი! მაგისმა მამამ დანით გამოიჭრა ყელი, რომ გილიოტინაზე ტანჯვას გადარჩენოდა. ერთი სიტყვით, რაღაც ჭუჭყიანი ამბავია. მადამ ლორილე ჟერვეზას პირდაპირ სწამებდა, გუჟეს საყვარელიაო. ის ცრუობდა კიდეც, ვითომ ერთ საღამოს მათ მიუსწრო ბულვარზე, რომ ერთად ისხდნენ ძელსკამზე. ფიქრი ამ კავშირზე, ფიქრი იმ სიამოვნებაზე, რომელსაც ალბათ განიცდიდა მისი რძალი, სულ გულზე ხეთქავდა ამ შეუხედავ ქალს. ეს იყო მისი მთავარი გულისტკივილი და ყოველდღე ერთი და იგივე ეკერა პირზე: – რა აქვს ნეტავი ისეთი ამ ხეიბარს, რომ ასე აყვარებს თავს ყველას? რატომ მე არავის ვუყვარვარ, მე?!

მერე ამას მოჰყვებოდა გაუთავებელი ჭორების ქაქანი მეზობელ ქალებთან. მადამ ლორილე მათ თავიდან ბოლომდე უყვებოდა მთელ ამბავს. ქორწილის პირველი დღიდანვე გამოჩნდა ჟერვეზას ოინბაზობა. მე ისეთი ცხვირი მაქვს, ყველაფერს გამოვქექავ, წინდაწინვე ვგრძნობდი, როგორც შეტრიალდებოდა ეს საქმეო. მაგრამ

ამის შემდეგ, ღმერთო ჩემო! ჩაუხამ ისეთი წყნარი სახე მიიღო, ისე პირმოთნეობდა, რომ მე და ჩემმა ქმარმა, კუპოსადმი პატივისცემის გამო, ნანას მონათვლაც კი ვიკისრეთო. იცოცხლე, ამათ იმ ნათლობაზე ხარჯი გასწიეს! მაგრამ ახლა კი იცოდეთ, სიკვდილის პირსაც რომ იყოს მისული ჩაუხა და ერთი ჭიქა წყალი ენატრებოდეს, მადამ ლორილე ხელსაც არ გაანძრევს მის მისაწოდებლად. მას არ უყვარს არც უტიფარი, არც გაიძვერა და არც გათახსირებული ქალები! ხოლო რაც შეეხება ნანას, მას ყოველთვის კარგად მიიღებენ, თუკი იგი თვითონ ამოვა თავისი ნათლიების სანახავად. აბა, პატარა რა შუაშია, ის ხომ ვერ აგებს პასუხს დედის ცოდვებისთვის! კუპოს არ სჭირდება რჩევა-დარიგება. მის ადგილას სხვა მამაკაცი ამდენს არ მოუთმენდა ცოლს! თუმცა ეს მისი საქმეა, ჩვენ მხოლოდ იმას ვითხოვთ, რომ ოჯახის პატივისცემა ასწავლოს ცოლს. ღმერთო მაღალო! ჩემს ქმარს რომ ჩემთვის მიესწრო დანაშაულზე, ეს ამბავი ხომ ეგრე უბრალოდ და მშვიდობიანად არ ჩაივლიდა, ლორილე, ალბათ, მას მაკრატელს ჩასცემდა მუცელში.

ბოშები, – ამ სახლის მობინადრეთა მკაცრი მსაჯულები, – ლორილეებს ამტყუნებდნენ. ლორილეები, ეჭვგარეშეა, რიგიანი ადამიანები არიან, წყნარები, ცისმარე დღე მუშაობაში ჩაბმულნი, ბინის ქირის წესიერად გადამხდელნი, მაგრამ ამ შემთხვევაში, გულახდილად უნდა ითქვას, მათ შური აცოფებთო. ძუნწები არიან და როგორი? ქვას წყალს გამოადენენო. ადამიანები, რომლებიც ბოთლს მალავენ, როცა მათთან მიხვალ, რადგან ერთი ჭიქა ღვინო ენანებათ, – ერთი სიტყვით კაი სულის ხალხი არ არიანო. ერთ დღეს ჟერვეზა მოცხარზე დაყენებული სელტერის წყლით გაუმასპინძლდა ბოშებს მათივე ბინაზე. იმ დროს, როცა ისინი ამ წყალს სვამდნენ, მადამ ლორილემ გამოიარა. წელში გაჭიმული და თავაღებული მოდიოდა და განზრახ კარის წინ დააფურთხა. მას შემდეგ ყოველ შაბათს, როცა მადამ ბოში კიბესა და აივანს გვიდა, ლორილეების კარის წინ მუდამ ნაგავს ტოვებდა.

– დასწყევლოს ღმერთმა! – ყვიროდა მადამ ლორილე, – ჩაუხა ჭამით ხეთქავს ამ ღორმუცელებს. ახ, ეგენი ყველანი ერთი ყაიდისანი არიან!.. მაგრამ მე თავი დამანებონ, თორემ სახლის პატრონთან წავალ და ვუჩივლებ... გუშინ არ იყო, რომ დავინახე ეს ქვეშ-ქვეშა ბოში მადამ გოდრონს ბოლოკაბაზე ეხახუნებოდა. რას ეტმასნება მაგ ხნის დედაკაცს, რომელსაც ნახევარი დუჟინი შვილები ჰყავს, ჰა! ნამდვილი ღორობა არის ეს! თუ კიდევ შევნიშნე მაგისთანა ბილწი საქციელი, წავალ და მის ცოლს გავაფრთხილებ, რომ ერთი კარგად მიტყიპოს... ცოტას მაინც გავიცინებთ, ჰა?

კუპოს დედა ორივე ოჯახში დადიოდა და ყველას ეთანხმებოდა. ამით ის მოგებული რჩებოდა, რადგან ყოველდღე რიგრიგობით თავისთან სადილად ტოვებდნენ ქალიშვილიც და რძალიც, ვინაიდან ის ერთსაც და მეორესაც თანაგრძნობით უსმენდა.

მადამ ლერა იმ ხანებში კუპოებთან არ დადიოდა, რადგანაც მას ლაპარაკი მოუვიდა ჟერვეზასთან ერთი ზუავის[19] გამო. ამ ზუავმა საყვარელ ქალს სამართებლით

მოსჭრა ცხვირი. მადამ ლერა მხარს უჭერდა ზუავს და სამართებლით ცხვირის მოჭრას სიყვარულის უაღრეს გამოხატულებად მიიჩნევდა, ხოლო თუ რატომ ფიქრობდა ასე, ამის განმარტებას არ იძლეოდა. ახლა ის თავისი ლაპარაკით აღიზიანებდა და აბოროტებდა მადამ ლორილეს, არწმუნებდა, რომ ჩაუხამ მას ლაპარაკის დროს თხუთმეტი თუ ოცი კაცის თანდასწრებით სრულიად მოურიდებლად ძროხის კუდი უწოდა. ღმერთო ჩემო! დიახ, ახლა ბოშებიცა და სხვა ყველა მეზობელიც მადამ ლორილეს ძროხის კუდს ეძახიან.

ამ მითქმა-მოთქმისა და ჭორების გარემოცვაში ჟერვეზა დამშვიდებული და მოღიმარი ჩნდებოდა თავისი სამრეცხაოს კართან და ნაცნობ-მეგობრებს ალერსიანად, ოდნავი თავის დახრით ესალმებოდა. სიამოვნებდა წუთით მაინც გარეთ გამოხედვა: ერთი-ორჯერ გაჰკრავდა უთოს და მერე ვაჭრის პატივმოყვარეობით შეხაროდა ქუჩას. უხაროდა, რომ საკუთარი წარმოება ჰქონდა, რომ მასაც ეჭირა ამ ქვაფენილზე პატარა კუთხე; გუტ-დორის ქუჩაც მას ეკუთვნოდა, სხვა მეზობელი ქუჩებიც და მთელი უბანიც. თავს გამოყოფდა ხოლმე ქუჩაში, თეთრ ბლუზაში გამოწყობილი, შიშველი მკლავებით, გახურებულ მუშაობის დროს ჩამოშლილი ქერა თმით და იცქირებოდა ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ, თვალს ავლებდა ქუჩის თავსაც და ბოლოსაც, თითქოს ერთ შეხედვაში უნდოდა მოექცია გამვლელ-გამომვლელებიც, სახლებიც, ქვაფენილიც, და თვით ცაც; მარცხნივ ჩანდა წყნარი და ცარიელი გუტ-დორის ქუჩა, რომელიც თითქოს ღრმად იჭრებოდა პროვინციის კუთხეში, სადაც წყნარად მუსაიფობდნენ კარის წინ ჩამომსხდარი ქალები, ხოლო მარჯვნივ, რამდენიმე ნაბიჯის სიშორეზე, პუასონიერის ქუჩაზე ეტლების გრიალი გაისმოდა. ბრბოს განუწყვეტელი ბაკიბუკი და დინება ახმაურებულ და ხალხის ჟრიამულით სავსე ქუჩის ამ ნაწილს გზაჯვარედინად აქცევდა.

ჟერვეზას უყვარდა ქუჩა, ფორნების ჯაყჯაყი და ამოჩიჩქნილ ოღროჩოღრო გზატკეცილზე მათი ხტომა. უყვარდა ქვის ღორღით მოკირწყლულ, დაღმართებიან ვიწრო ქვაფენილზე ხალხის ჩოჩქოლი და ჭედვა. სამმეტრიანი არხის წყალი სამრეცხაოს წინ მის თვალში უზომოდ იზრდებოდა, განიერ მდინარედ იქცეოდა და მეტად სუფთა, ანკარა, უცნაური და ცოცხალი ჩანდა შავი ტალახის გარემოცვაში. სახლის სამღებრო კი ამ ნაკადს ნაირ-ნაირი, კაპრიზული და ნაზი საღებავებით აფერადებდა. ჟერვეზას მაღაზიებიც აინტერესებდა, – დიდი საბაყლო დუქანი, სადაც წვრილთვლიან ბადურებში გამხმარი ხილი გამოეფინათ, მზა ტანისამოსისა და საცვლების მაღაზია მუშებისთვის, სადაც ლურჯი ბლუზები, პერანგები და საცვლები ქანაობდნენ ნიავის ოდნავ შემობერვაზე. ჟერვეზა მეხილე ქალის დუქანსა და სახაშეში ხედავდა დახლებს, რომლებზედაც წყნარად კრუტუნებდნენ საუცხოო კატები. მისი მეზობელი ქალი, მადამ ვიგურუ, მენახშირის ცოლი, სალამზე მუდამ სალმითვე უპასუხებდა.

ეს იყო პატარა, მსუქანი, შავგვრემანი მოციმციმეთვალებიანი ქალი, რომელსაც ძალიან ეხალისებოდა უსაქმურად თავისი დუქნის ვიტრინაზე ზურგმიყრდნობით დგომა და მამაკაცებთან სიცილი. ღვინის ლექისფრად შეღებილ აბრაზე რთული,

სოფლის პატარა სახლისებური ნაგებობა იყო დახატული. ჟერვეზას სხვა მეზობლებს – მადამ კიუდორჟებს, დედასა და ქალიშვილს, ქოლგების მაღაზია ჰქონდათ. ეს ქალები გარეთ თავს არ ჰყოფდნენ, მათი მაღაზიის ვიტრინა მუდამ ჩაბნელებული იყო და დაკეტილ კარს ორი პატარა, სქლად სინგურწასმული[20] თუთიის ქოლგა ამშვენებდა. ჟერვეზა, ვიდრე სამრეცხაოში დაბრუნდებოდა, უსათუოდ პირდაპირ აღმართულ თეთრ კედელს შეხედავდა. ამ კედელს არც ერთი ფანჯარა არ ჰქონდა, მხოლოდ დიდი ალაყაფის კარი იყო შიგ შეჭრილი და ამ კარის საშუალებით ხელნააწეული ფორნებითა და ოთხთვალებით ავსებულ ეზოში მოჩანდა სამჭედლოს გავარვარებული ქურა. კედელზე მსხვილი ასოებით ეწერა: „სამჭედლო“. ეს წარწერა რკინის ნალებისგან დამზადებულ მარაოსმაგვარ ჩარჩოში იყო ჩასმული. მთელი დღის განმავლობაში გაისმოდა გრდემლზე უროს ცემის ხმა და ჩაბნელებულ ეზოს შადრევნებად გადმოყრილი ნაპერწკლები ანათებდა. კედლის ბოლოში, ერთ-ერთ ხვრელში, რომელიც კარადისოდენა თუ იქნებოდა, რკინეულისა და ხარახურის გამყიდველისა და შემწვარი კარტოფილით მოვაჭრის შუა მესაათე მუშაობდა. ეს იყო სერთუკში გამოწყობილი, საკმაოდ სუფთა კაცი, რომელიც თავისი დაზგის წინ პატარა, ფაქიზი ხელსაწყოებით განუწყვეტლივ უჩხიკინებდა საათებს. დაზგაზე, შუშის ქვეშ ეწყო სათუთი და ნაზი საგნები. მესაათის უკან ორი თუ სამი დუჟინი პატარა კედლის საათის ქანქარა ქანაობდა ერთდროულად და ქუჩის სიღატაკესა და სამჭედლოს თანაბარზომიერ ბრახუნში წამებს ითვლიდა.

უბანში ჟერვეზას ძალიან მიმზიდველ ქალად მიიჩნევდნენ. რა თქმა უნდა, ბევრ რამესაც ყბედობდნენ მასზე, მაგრამ მაინც ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ დიდი, ბრიალა თვალები ჰქონდა, პატარა, მოხდენილი პირი და მშვენიერი თეთრი კბილები. ბოლოს და ბოლოს, ლამაზი ქერა ქალი იყო და კოჭლობა რომ არა, ერთი ულამაზესთაგანი იქნებოდა. ჟერვეზა ოცდარვა წლისა შესრულდა, ოდნავ შეივსო. მისი ნატიფი ნაკვთები მომრგვალდა, ნელი, ზანტი და ბედნიერებით სავსე მოძრაობა ჰქონდა. ზოგჯერ თავდავიწყებასაც ეძლეოდა, უთოს გახურების ლოდინში სკამზე ჩამომჯდარს სახეზე გაურკვეველი, ბუნდოვანი ღიმილი უკრთოდა, კმაყოფილების იერი გადაჰკრავდა. გემრიელი ჭამის მოყვარული გახდა. ამას ყველა ამბობდა, მაგრამ რა იყო აქ ცუდი? პირიქით, თუკი ადამიანი იმდენ ფულს შოულობს, რომ შეუძლია გემრიელად ყელი ჩაიკოკლოზინოს, განა სისულელე არ იქნებოდა კარტოფილის ნაფცქვენებით იკვებებოდეს? მით უმეტეს, რომ ჟერვეზა მუდამ წელებზე ფეხს იდგამდა, ორად მოკაკული მუშაობდა, მთელ ღამეებს ათენებდა დახურულ დარაბებში, როცა საჩქარო სამუშაო ჰქონდა. უბანში ლაპარაკობდნენ, რომ მას ქუდბედი აქვს დაყოლილი, ყველაფერში ხელი ემართებაო. მთელ იმ სახლს იგი ურეცხავდა სარეცხს: მუსიე მადინიეს, მადმუაზელ რემანჟუს, ბოშებს, თავის დიასახლისს. მადამ ფოკონიესაც კი წაართვა მუშტრები, – პარიზელი ქალები, რომლებიც ფობურ-პუასონიერის ქუჩაზე ცხოვრობდნენ. თვის მეორე ნახევარში მას ორი მუშა ქალის აყვანაც დასჭირდა: მადამ პიუტუასი და ზორბა კლემანსისა, – იმ ქალიშვილისა, რომელიც ოდესღაც მეექვსე სართულზე ცხოვრობდა. ამრიგად, მას უკვე სამი მუშახელი მოუგროვდა, პატარა, ელამ, ჯოჯოხეთის მაშხალასავით

შეუხედავ შეგირდ ოგიუსტინასთან ერთად. სხვა გონებას დაჰკარგავდა ბედის ამდენი წყალობით. ამიტომ ჟერვეზას სავსებით ეპატიებოდა, თუ ის ორშაბათობით ცოტას წაიქეიფებდა. რადგან მთელი კვირა შეუსვენებლად, წელგაუმართავად შრომობდა. ეს პირის პატივი საჭიროც იყო მისთვის. ძალა გამოელეოდა თუ მარტოოდენ პერანგების გაუთოებით დაკმაყოფილდებოდა და დროგამოშვებით ყელს არ ჩაისველებდა.

ჟერვეზა არასოდეს ასეთი თავაზიანი არ ყოფილა. ბატკანივით უწყინარი იყო და დედის რძესავით ტკბილი. გარდა მადამ ლორილესი, რომელსაც შურისძიების მიზნით ძროხის კუდს უწოდებდა, მას არავინ სძულდა, ყველასადმი მიმტევებელი იყო. როდესაც ჟერვეზა კარგა ლაზათიანად ისაუზმებდა, ყავასაც მიირთმევდა, სურვილი უჩნდებოდა, ყველასადმი შემწყნარებელი ყოფილიყო. მისი საყვარელი სიტყვა იყო: „ერთმანეთს უნდა მივუტევოთ, თუ არ გვინდა, რომ ველურებივით ვიცხოვროთ“. იგი იცინოდა, როცა მის გულკეთილობაზე ლაპარაკობდნენ: ესღა მაკლია, ბოროტი ვიყოოო. იგი ეკამათებოდა ყველას და უმტკიცებდა, რომ მისი გულკეთილობა არავითარ დამსახურებას არ წარმოადგენდა. განა ყველა მისი ოცნება არ განხორციელდა? იხსენებდა თავის წინანდელ იდეალს, როცა ქუჩაში მიატოვეს მარტოდმარტო: ეშრომა, ლუკმაპური ეჭამა, ერთი ხვრელი ჰქონოდა საცხოვრებლად, შვილები გაეზარდა, არავის ეცემა მისთვის და საკუთარ ლოგინში მომკვდარიყო. ახლა მისი ოცნება გადაჭარბებით განხორციელდა, ყველაფერი აქვს და ამასთანავე ყველაფერი საუკეთესო. ხოლო, რაც შეეხება საკუთარ საწოლზე სიკვდილს, – დასძენდა ხოლმე ხუმრობით, – იმედი აქვს, ეს ასეც მოხდება, ოღონდ, რა თქმა უნდა, ეს რაც შეიძლება გვიან უნდა აღსრულდეს.

ჟერვეზა განსაკუთრებით კუპოსადმი იჩენდა სითბოს. არასოდეს მასზე ცუდ სიტყვას არ იტყოდა, არ დაიჩივლებდა ქმრის ზურგს უკან. მესახურავემ ბოლოს და ბოლოს, შრომას მოჰკიდა ხელი, მაგრამ რადგანაც მისი სახელოსნო პარიზის მეორე ბოლოში იყო, ჟერვეზა მას დილაობით ორმოც სუს აძლევდა საუზმის, სასმლისა და თამბაქოსთვის. კუპო კი კვირაში ორჯერ მაინც ჩერდებოდა გზაში, ერთ-ერთ თავის ამხანაგთან ერთად და ამ ორმოც სუს მთლად სასმელზე ხარჯავდა. მერე სასაუზმოდ მიდიოდა შინ და ჟერვეზას მოგონილ ამბავს მოუთხრობდა. ერთხელ მან კარგა მაგრადაც წაიქეიფა. შორს არ წასულა, ლაშაპელის სადარაჯოსთან, რესტორან „კაპუცინში“, წაღასა და ორ-სამ სხვა ამხანაგს გაუმასპინძლდა ლოკოკინით, შემწვარი ხორცით და დაბეჭდილი ღვინით. რადგან ორმოცი სუ არ ეყო, ბიჭის ხელით ანგარიში გაუგზავნა ცოლს და შეუთვალა, ხარჯი მომივიდა და გასაჭირში ვიმყოფებიო. ჟერვეზამ გაიცინა, მხრები აიჩეჩა, რა არის აქ ცუდი თუ ჩემი ქმარი ცოტა გაერთოო? მამაკაცი თავისუფლად უნდა მიუშვა, თუ გსურს, რომ ოჯახში მშვიდობა გქონდეს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში სიტყვას სიტყვა მოჰყვება და მალე მუშტებზეც გადავა საქმეო. ღმერთო ჩემო, უნდა გესმოდეს ყველაფერი. კუპოს ჯერ ისევ აწუხებს ფეხი, მერე ალბათ ამხანაგებმაც აიყოლიეს. ამიტომ იგი იძულებული შეიქნა დამორჩილებოდა მათ, რათა სიძუნწეში არ ჩამოერთმიათ უარი. ამას ხომ ცუდი შედეგი არ მოჰყვება. როცა კუპო შინ შეზარხოშებული ბრუნდება, მაშინვე

დასაძინებლად წვება და ორი საათის შემდეგ, როცა ადგება, სულ აღარაფერი ეტყობა ხოლმე.

ამასობაში დიდი სიცხეები დაიჭირა. ივნისის ერთ საღამოს, შაბათი დღე იყო და ჟერვეზას სასწრაფო სამუშაო ჰქონდა. თვითონ გამოავსო კოქსით ღუმელი, რომელზეც საბერვლის გუგუნში ათი უთო ცხელდებოდა. მზე მაგრად აჭერდა ფილაქანს და გახურებული ქვაფენილის ანარეკლი სამრეცხაოს ჭერზე ციალებდა. დუქანში შემოჭრილი მზის სინათლე თაროებისა და ფანჯრის ქაღალდების ანარეკლის გამო გაცისფრდა. თვალისმომჭრელი შუქი ეფრქვეოდა სამუშაო მაგიდას. სულის შემხუთველი სიცხე იდგა. ქუჩის კარი გამოაღეს, მაგრამ ნიავიც არ იძვროდა. თითბრის მავთულებზე გასაშრობად გაფენილ სარეცხს ბუღი ასდიოდა, სულ სამი მეოთხედი საათის განმავლობაში შრებოდა და ბურბუშელასავით იგრიხებოდა. ამ გავარვარებულ თონეში წამით დუმილი გამეფდა. ამ დუმილს არღვევდა მხოლოდ უთოების ყრუ ხმაური, რომელსაც მაგიდის მიტკალშემოვლებული სქელი საფარი ახშობდა.

– კარგი იქნება, – შენიშნა ჟერვეზამ, – თუ დღეს ამ სიცხემ არ დაგვადნო.

ჟერვეზა ტაშტთან იჯდა ჩაცუცქული და საცვალს სახამებელში ავლებდა. თეთრი ბოლოკაბა ეცვა, მხრებიდან ჩამოცურებული ბლუზის სახელოები დაეკაპიწებინა. მკლავები შიშველი ჰქონდა, ყელიც მოღეღილი. მთლად ავარდისფერებულიყო და ოფლი ისე სდიოდა, რომ მისი აწეწილი ქერა თმის ხვეულები კანს ეკვროდა. ფრთხილად ავლებდა მოთეთრო სითხეში თავსაბურავებს და საცვლების არშიებს. მერე წყლიან ჭურჭელში ხელს ჰყოფდა და საცვლების გაუხამებელ ნაწილებს ნამავდა, ხოლო შემდეგ ამ ნაჭრებს სათითაოდ ახვევდა და ოთხკუთხა კალათაში აწყობდა.

– ეს კალათა თქვენთვის არის, მადამ პიუტუა, – წარმოთქვა ჟერვეზამ, – დააჩქარეთ, თუ შეიძლება. ძალიან მალე შრება და ერთი საათის შემდეგ ხელახლა გასახამებელი გაგვიხდება.

მადამ პიუტუა, ორმოცდახუთი წლის, გამხდარი, ჩია ტანის ქალი, ისე აუთოებდა, რომ წვეთი ოფლი არ გამოსდენია. ძველი ყავისფერი ღილებიანი ბლუზა ყელამდე შეეკრა. თავსაბურიც არ ჰქონდა გადაწეული, შავი თავსაბური, რომელსაც მწვანე, უკვე გაყვითლებული ბაფთები ამკობდა. იგი მაგიდის წინ იდგა გაჭიმული. მაგიდა მისთვის მაღალი იყო, რის გამოც იდაყვები მაღლა აეწია და უთოს მარიონეტის არაბუნებრივი მოძრაობით უგლასუნებდა. უცებ შეჰყვირა: – ეს კი მეტისმეტია! მადმუაზელ კლემანს, გადაიცვით ბლუზა. ხომ იცით, უწესობა არ მიყვარს! მთელი თქვენი მშვენება გაგიფენიათ საქვეყნოდ. აგერ, უკვე სამი მამაკაცი გაჩერდა ჩვენ პირდაპირ.

– გამოთაყვანებული ბებერი! – თავისთვის ჩაილაპარაკა ახმახმა კლემანსმა, – ლამის არის დავიხრჩო, ცოტას მაინც ამოისუთქავდა ადამიანი, ყველას ხომ მოთრიმლული

კანი არა აქვს! მერე განა მიჩანს რამე? – და კლემანსი მაღლა იწევდა მკლავებს. ლამაზი ქალიშვილის ღონიერი კისერი და გულმკერდი პერანგში აღარ ეტეოდა და მისი მძლავრი მხრების მოძრაობაზე მოკლე სახელოებს ფხრიწინი გაჰქონდა. კლემანსი თავშეუკავებლად გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა, ქეიფსა და დროს ტარებაში ღამენათევი ფეხზე ძლივსღა იდგა, მუშაობის დროს გული ერეოდა და თავიც და მუცელიც თითქოს ჩეჩქით ჰქონდა გამოტენილი. თავს ძალიან უქეიფოდ გრძნობდა ხოლმე, მაგრამ მას მაინც უფრთხილდებოდნენ, სამუშაოდან არ ითხოვდნენ, რადგან ვერც ერთი მუშა ქალი ვერ დაიკვეხნიდა მამაკაცის პერანგის გაუთოებას ისეთი ლაზათით, როგორც ამას კლემანსი აკეთებდა. მამაკაცის პერანგების უთოობის ოსტატი იყო.

– ეს ჩემი საქმეა! – ბოლოს განაცხადა მან და მკერდზე ხელი დაირტყა, – მიყურონ რა! მერე რა მოხდა? არავის ხომ არაფერი აკლდება ამით?

– კლემანს, ჩაიცვით ბლუზა, – უთხრა მას ჟერვეზამ, – მადამ პიუტუა მართალს ამბობს, ეს უწესობაა... ჩემი სახლი შეიძლება ისეთი რამ ეგონოთ, რაც არ არის.

ახმახმა კლემანსმა ბურტყუნით ჩაიცვა. რას იპრანჭებიან ნეტავი? ვითომ რაო, გამვლელებს ჯერ ქალის ძუძუ არ უნახავთ? და მან ჯავრი ამოიყარა შეგირდ გოგოზე, ელამ ოგიუსტინაზე, რომელიც მის გვერდით უფრო უბრალო სარეცხს, წინდებსა და ცხვირსახოცებს აუთოებდა. კლემანსმა ჯერ წაუთაქა გოგოს და მერე იდაყვიც წაჰკრა, ხოლო გულღრძო ოგიუსტინამ, რომელიც ყველას ხელწამოსაკრავად ჰყავდა და რომელიც საკუთარ სიმახინჯეს გაებოროტებინა, შური იძია კლემანსზე. აიღო და ისე, რომ სხვებს არ დაენახათ, უკან, კაბაზე დააფურთხა.

ამ დროს ჟერვეზა მადამ ბოშის თავსაბურის გაუთოებას შეუდგა. ამ ქალისადმი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა. ადუღებული სახამებელი მოამზადა, რათა თავსაბურისთვის ახლის შესახედაობა მიეცა, და პატარა უთო „პოლონელს“, რომელიც ორივე მხრიდან იყო მომრგვალებული, დინჯად უსვამდა თავსაბურს შიგნიდან. სწორედ ამ დროს შემოვიდა ერთი გამხდარი, გაძვალტყავებული დედაკაცი, სახეზე წითელი ლაქებით და სველი ბოლოკაბით. ეს იყო მრეცხავი ქალი, რომელსაც გუტ-დორის ქუჩაზე სამი მუშა ქალი ჰყავდა სამრეცხაოში.

– თქვენ ძალიან ადრე მოხვედით, მადამ ბიჟარ! – წამოიყვირა ჟერვეზამ, – მე თქვენ საღამოსთვის გითხარით მოსვლა... ამჟამად მე არ მცალია.

მაგრამ მრეცხავი ქალი ისე იხვეწებოდა, თან შიშსაც გამოთქვამდა, დღეს უკვე დროს ვეღარ ვიპოვი აქ მოსასვლელადო, რომ ჟერვეზა დაეთანხმა, ახლავე მიეცა მისთვის ჭუჭყიანი სარეცხი. ისინი სარეცხის შეკვრის გამოსატანად გავიდნენ მეორე ოთახში, მარცხნივ, სადაც ეტიენს ეძინა, და იქიდან ვეებერთელა ბოხჩებით დაბრუნდნენ. გამოტანილი სარეცხი სამრეცხაოს სიღრმეში იატაკზე დაჰყარეს დიდ გროვებად. ამ სარეცხის გარჩევა-განაწილებამ ნახევარ საათს მაინც გასტანა. ჟერვეზა გროვა-გროვად აწყობდა სარეცხს თავის ირგვლივ. ცალკე დებდა მამაკაცის პერანგებს, ცალკე

ქალისას, ცხვირსახოცებს, წინდებს, ჭურჭლის ტილოებს და, როდესაც ახალი კლიენტის ნაჭერი ჩაუვარდებოდა ხელში. წითელი ძაფით ჯვარს უკეთებდა, რათა ამ ნიშნით მერე გამოეცნო ისინი. გახურებულ ჰაერში ჭუჭყიანი სარეცხის მძიმე სუნი ტრიალებდა.

– ოჰ, ოჰ! რანაირად ყარს! – წამოიძახა კლემანსმა და ცხვირზე ხელი მოიჭირა.

– სუფთა რომ ყოფილიყო, ჩვენ ხომ არ მოგვიტანდნენ! – წყნარად მიუგო ჟერვეზამ, – რა ხილიც არის, სუნიც ისა აქვს. აბა რა?.. თოთხმეტი იყო ქალის პერანგი, არა, მადამ ბიჟარ?.. თხუთმეტი, თექვსმეტი, ჩვიდმეტი...

ჟერვეზა ხმამაღლა განაგრძობდა თვლას. ის არავითარ ზიზღს არ გრძნობდა: ამ ჭუჭყს შეჩვეული იყო. გაყვითლებული პერანგები, ქონიანი წყლისგან გაგლესილ, ხეშეში ტილოებისა და ოფლისგან შეჭმულ წინდების გროვებში ჰყოფდა ის თავის შიშველ, ვარდისფერ ხელებს. მძაფრმა სუნმა, რომელიც სარეცხის გროვებიდან ხვდებოდა მის დახრილ სახეს, რაღაცნაირად მოადუნა იგი. ჟერვეზა ტაბურეტის პირზე ჩამოჯდა ორად მოხრილი. ზანტი მოძრაობით იწვდიდა ხელებს ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ და თითქოს, ადამიანის სუნით იბნიდებოდა. თვალები მიენაბა და გაურკვეველი ღიმილი უკრთოდა სახეზე. შესაძლოა, მას პირველად აქ მოერია სიზარმაცე, ამ ძველი საცვლის გამგუდველ სუნში, რომელიც მის გარშემო წამლავდა ჰაერს.

ჟერვეზა ხელში რაღაც ნაჭრებს ატრიალებდა, იმდენად დასვრილს, რომ ვერც კი გაერკვია, თუ ეს ბავშვის ჩვრები იყო. სწორედ ამ დროს შემოვიდა კუპო.

– რანაირად აჭერს მზე! – ამოილუღლუღა კუპომ, – ეს რჯულძაღლი! პირდაპირ თავში გირტყამს!

რომ არ წაქცეულიყო, მესახურავე სამუშაო მაგიდას მიეჭიდა. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ის ამ მდგომარეობაში დაბრუნდა. მანამდე მხოლოდ ცოტა შეზარხოშებული მოდიოდა ხოლმე. ახლა კი თვალიც დალურჯებული ჰქონდა. როგორც ჩანდა, საერთო ჩოჩქოლსა და მიხლა-მოხლაში რომელიმე მოჩხუბარს შემთხვევით ხელი მოეხვედრებინა. მის ხუჭუჭ თმასაც, რომელსაც უკვე თეთრი გამორეოდა, ეტყობოდა, რომ ღვინის სავაჭრო დუქნის ჭუჭყიანი კუთხე მოეწმინდა, რადგან კეფაზე აბლაბუდა დასთრევდა. კუპო კვლავინდებურად ოხუნჯი და ლაზღანდარა იყო, თუმცა სახის ნაკვთები ოდნავ მობერებოდა, ქვედა ყბაც წინ გამოსწეოდა. მაგრამ კუპო ისევ კაი ბიჭი იყო, როგორც თვითონ ამბობდა, და კანიც ჯერ კიდევ იმდენად ნაზი ჰქონდა, რომ თვით ჰერცოგის მეუღლეს შეშურდებოდა.

– ახლავე აგიხსნი, – მიმართა მან ჟერვეზას, – ნიახურის ძირა, შენ ხომ კარგად იცნობ მას, აი ის, ცალი ფეხი რომ ხისა აქვს... ჰოდა, ის სამშობლოში მიდის და ჩვენი გამასპინძლება მოისურვა. ოჰ! ძალიან წავიქეიფებდით, ეს წყეული სიცხე რომ არ ყოფილიყო... ქუჩაში ხალხი სულ ავად გახდა. მართლა, მართლა, ყველანი ტორტმანებდნენ...

ზორბა კლემანსს სიცილი აუტყდა იმის გამო, რომ კუპოს მთელი ქუჩა მთვრალი ეჩვენებოდა, და კუპოც საშინლად გამხიარულდა. ისე იცინოდა, რომ კინაღამ დაიხრჩო... კუპომ შეჰყვირა: – ჰეი, თქვენ! შეჩვენებულო ლოთებო! რა სასაცილონი არიან! როგორ ავარდნიათ თავში! მაგრამ მაგათი ბრალი ხომ არ არის, ეს სულ მზის და სიცხის ბრალია...

მთელი სამრეცხაო ხარხარებდა. თვით მადამ პიუტუაც კი, რომელსაც არ უყვარდა ლოთები. ელამი ოგიუსტინა ხომ ქათამივით კაკანებდა, პირი დაეღო და სული უგუბდებოდა. ჟერვეზას ეჭვი აღეძრა, რომ კუპო აქ პირდაპირ არ უნდა ყოფილიყო მოსული: ალბათ, ერთი საათი მაინც გაატარა ლორილეებთან, სადაც ბოროტ რჩევა-დარიგებებს ისმენდა. მაგრამ, როდესაც კუპომ შეჰფიცა, არაო, მაშინ ჟერვეზამაც დაიწყო სიცილი. მან მოწყალე თვალით შეხედა ქმარს და გაცდენილი სამუშაო დღეც არ უსაყვედურა.

– რა სისულელეებს როშავს, ღმერთო ჩემო! – ბუტბუტებდა ჟერვეზა, – განა შეიძლება ამისთანა სისულელეების ჩმახვა!

მერე დედობრივი კილოთი დაუმატა: – ახლა წახვალ და დაწვები, ხომ ხედავ, არ გვცალია, შენ კი ხელს გვიშლი... ოცდათორმეტი ცხვირსახოცი იქნება, მადამ ბიჟარ. ორიც კიდევ, მაშ, ოცდათოთხმეტი...

მაგრამ კუპოს არ ეძინებოდა. ის სამრეცხაოში დარჩა, ერთ ადგილზე ქანაობდა საათის ქანქარასავით, და გაკერპებული ხითხითებდა, სახეზე ჯიბრიანი გამომეტყველებით.

ჟერვეზამ, რომელსაც უნდოდა თავიდან მოეშორებინა მადამ ბიჟარი, კლემანსი მოიხმო, რათა მას დაეთვალა სარეცხი, ხოლო თვითონ სათითაოდ ჩაეწერა. ყოვლად უმსგავსი კლემანსი ამ სარეცხის ყოველი ნაჭრის გამო ურიგო და უწმაწურ სიტყვებს ამბობდა. ის სასაცილოდ იგდებდა კლიენტების სიღატაკეს, მათი საწოლის თავგადასავალს ამასხარავებდა და ყოველ ნახვრეტსა და ყოველ ლაქას, რომელიც მის ხელში გაივლიდა, თან აყოლებდა ბინძურ ხუმრობასა და განმარტებებს. ოგიუსტინამ ისეთი სახე მიიღო, ვითომ არაფერი გაეგებოდა, სინამდვილში კი წამხდარი გოგოს ხარბი ცნობისმოყვარეობით ყურდაცქვეტილი ისმენდა ყველაფერს.

მადამ პიუტუა ტუჩებს იკვნეტდა, მას სისულელედ მიაჩნდა კუპოს წინაშე ამისთანა რამეების ლაპარაკი: რა მამაკაცის საქმეა ჭუჭყიანი სარეცხის ცქერა, რიგიან ხალხში ეს არ არის მიღებული, ისინი ერიდებიან სარეცხის ასე გაშლა-გამოფენასო. ხოლო რაც შეეხება ჟერვეზას, ის ისე სერიოზულად იყო გართული საქმეში, რომ მის ყურამდე თითქოს არაფერი აღწევდა. ის თან წერდა, თან გაფაციცებით თვალს ადევნებდა ყოველ ნაჭერს, რათა გამოეცნო, თუ ვის ეკუთვნოდა იგი. არასოდეს შეცდომა არ მოსვლია, თავისი კლიენტების სარეცხს სუნითა და ფერით ცნობდა. ეს ხელსახოცები გუჟებისაა. მაშინვე შეატყობ, რომ ამ ხელსახოცებით ქვაბები არ უწმენდიათ. აგერ, ბალიშისპირი, რომელიც, უეჭველად, ბოშებს ეკუთვნის. პომადით იცნობ მას. მადამ ბოში მთელ თავის სარეცხს ამ პომადას სცხებს საამო სურნელის მისაცემად. საჭირო

არ იყო მუსიე მადინიეს ფლანელის ჟილეტში ცხვირი ჩაგეყოთ იმის გამოსაცნობად, თუ ვისი იყო იგი, ისეც მიხვდებოდით, რომ მას ეკუთვნოდა. ამ კაცს ისეთი ქონიანი კანი ჰქონდა, რომ მატყლის ხაოს აწებებდა. ჟერვეზამ სხვა კერძო ამბებიც იცოდა, სხვა თავისებურებანი და ტანისამოსის საიდუმლოებანი, თუ ვინ რა სისუფთავისა იყო, თუ მის მეზობელ ქალებს, რომლებიც ქუჩაში აბრეშუმის კაბებში გამოწყობილნი გამოდიოდნენ, შიგნით რა ეცვათ. იცოდა მათი წინდების რაოდენობა, რამდენ ცხვირსახოცს ან პერანგს აჭუჭყიანებდნენ და იცვლიდნენ კვირაში, ვინ როგორ ცვეთდა საცვალს და ვის რა ადგილას ეხებოდა იგი. მრავალი ანეკდოტიც იცოდა ჟერვეზამ ამაზე. გაუთავებელი ლაპარაკის საგნად ხდებოდა მუდამ მადმუაზელ რემანჟუს პერანგები, რადგანაც ამ ქალს საცვალი ყოველთვის მაღლა, მხრებთან ეხეოდა. როგორც ჩანდა, გაუთხოვრად დარჩენილ მოხუც ქალს მეტად გახრეკილი და წვეტიანი მხრები ჰქონდა. ორი კვირა რომ სცმოდა პერანგი, სრულებით არ გააჭუჭყიანებდა; ეს გარემოება ადასტურებდა იმას, რომ ადამიანი ამ ხანში ხის ნაჭერივით არის, წვეთს ვერაფერს გამოადენ. ამრიგად, სამრეცხაოში, სარეცხის ყოველი გარჩევის დროს, გუტ-დორის მთელ უბანს ხდიდნენ ტანსაცმელს.

– აი, ეს კი ყელის ჩასაკოკლოზინებელია! – წამოიყვირა კლემანსმა, როდესაც ახალი ბოხჩა გახსნა.

ჟერვეზამ უეცრად ისეთი ზიზღი იგრძნო, რომ უკან დაიხია.

– მადამ გოდრონის ბოხჩა, – წარმოთქვა მან, – აღარ მინდა მას გავურეცხო, საბაბს ვეძებ ამისთვის, რომ... მე სხვებზე მეტად მომთხოვნი არა ვარ და ჩემს ცხოვრებაში ბევრი საზიზღარი სარეცხისთვის მომიკიდია ხელი, მაგრამ ამას, მართალი გითხრათ, ვეღარ ვუძლებ, გულს მირევს... რანაირად ხმარობს, ნეტავი ეს ქალი საცვალს, რომ ასე აჭუჭყიანებს! და მან კლემანსს სთხოვა აჩქარებულიყო. მაგრამ მუშა ქალი კვლავ შენიშვნების გამოთქმას განაგრძობდა, ნახევებში თითებს ჰყოფდა, თითოეულ ნაჭერს კილავდა და ჰაერში აფრიალებდა, თითქოს ხელში ძლევამოსილი სიბინძურის ალამი სჭეროდეს. ამასობაში ჟერვეზას ირგვლივ სარეცხის გროვა იზრდებოდა. მრეცხავი ქალი კვლავ ტაბურეტზე იჯდა და პერანგებისა და ბოლოკაბების ზვინებში თითქოს აღარც კი ჩანდა. მის წინ ეყარა ზეწრები, ტრუსები, სუფრები... ერთი სიტყვით აქ სიბინძურის მთელი წარღვნა იყო. სიბინძურის ამ უზარმაზარ ჭაობში მყოფი მრეცხავი ქალი შიშველი მკლავებით, შიშველი ყელ-კისრით და საფეთქლებზე მიწებებული ქერა თმის ხვეულებით კიდევ უფრო ვარდისფერი და მიბნედილი ჩანდა. მან კვლავ დაიბრუნა სიმშვიდე, ყურადღებიანი, მზრუნველი დიასახლისის ღიმილი და იერი. უკვე დაავიწყდა მადამ გოდრონის სარეცხი, რადგან აღარ გრძნობდა მის სუნს და საცვლების გროვაში ხელებს ურევდა, რომ რაიმე შეცდომა არ მოსვლოდა. ელამ ოგიუსტინას ძალიან უყვარდა ღუმელში ბლომად კოქსის შეყრა, და ახლაც ისე გამოეტენა იგი, რომ მთლად გაევარვარებინა. მზის სხივები ალმაცერად ხვდებოდა ფანჯრებს, სამრეცხაო სიცხით იწვოდა. ამ საშინელმა სიმხურვალემ უფრო მეტად დაათრო კუპო და ის უეცარმა სინაზემ შეიპყრო: ჟერვეზასკენ გაემართა ხელებგაშლილი და გულაჩვილებული.

– შენ კარგი ქალი ხარ, – ლუღლუღებდა ის, – უნდა გაკოცო.

მაგრამ კუპოს გზა გადაუღობა ბოლოკაბების გროვამ, რომელშიც ფეხები გაეხლართა და კინაღამ წაიქცა.

– რა არის, რა! – გაუჯავრებლად უთხრა მას ჟერვეზამ, – წყნარად იყავი, ჩვენ უკვე მოვრჩით.

– არა, უნდა გაკოცო, უნდა გაკოცო იმიტომ, რომ ძალიან მიყვარხარ! – და კუპომ ბურტყუნით შემოუარა ბოლოკაბების გროვას. ახლა პერანგების გროვას გადააწყდა. შემდეგ, რადგან თავისას არ იშლიდა და წინ მიიწევდა, ფეხი რაღაცას წამოსდო, პირქვე დაეცა და ცხვირით შიგ სარეცხის გროვაში ჩაეფლო. უკვე მოთმინებადაკარგულმა ჟერვეზამ მას ხელი წაჰკრა და დაუყვირა, ყველაფერი ამირ-დამირიეო. მაგრამ კლემანსმა და თვით მადამ პიუტუამაც ჟერვეზა გაამტყუნეს, ბოლოს და ბოლოს, რას აშავებდა ეს კაცი? ცუდად არ იქცეოდა. მას ჟერვეზას კოცნა უნდოდა, ჟერვეზას შეეძლო ამის ნება მიეცა მისთვის.

– რა გიშავთ, ბედნიერი ხართ, მადამ კუპო, – უთხრა მას მადამ ბიჟარმა. მადამ ბიჟარის ქმარი, ზეინკალი, ლოთობდა და ყოველ საღამოს შინ დაბრუნებისას, ცემით კლავდა ცოლს, – ჩემი რომ ეგეთი ყოფილიყო სიმთვრალეში, რაღა მინდოდა, სიამოვნება იქნებოდა, მეტი არაფერი!

ჟერვეზა დამშვიდდა და უკვე ინანა კიდეც თავისი გაცხარება. ის მიეხმარა კუპოს და ფეხზე წამოაყენა. მერე ღიმილით ლოყა მიუშვირა, მაგრამ ქმარმა მას ყველას წინაშე მოურიდებლად ძუძუში სტაცა ხელი.

– ამას ლაპარაკი არ უნდა, – ლუღლუღებდა კუპო, – რომ შენი სარეცხი კარგა მაგრად ყარს! მაგრამ მე მაინც მიყვარხარ, ხომ ხედავ!

– თავი დამანებე, მეღიტინება! – ყვიროდა ქალი ხმამაღალი სიცილით, – რა სულელი ხარ, ამაზე მეტი სისულელე გაგონილა?!

კუპოს მაგრად ჩაებღუჯა ცოლი, ხელიდან არ უშვებდა. ჟერვეზა მოდუნდა, მოეშვა, სარეცხის სუნმა ოდნავ თავბრუ დაახვია, გააბრუა და კუპოს პირიდან ამოსული ღვინის სუნიც უკვე ზიზღს აღარ ჰგვრიდა. ცოლ-ქმარი ერთმანეთს ჩაეკონა... ამასობაში მადამ ბიჟარი სარეცხს ბოხჩებად კრავდა. იგი ლაპარაკობდა თავის პატარა ორი წლის გოგონაზე, რომელსაც ევლალი ერქვა, და რომელსაც უკვე ქალის გონება ჰქონდა. შეგიძლიათ მარტო დატოვოთ, არასოდეს იტირებს, ასანთითაც არ ითამაშებსო... მადამ ბიჟარმა ძლივძლივობით სათითაოდ გაზიდა ბოხჩები, წელში ორად იხრებოდა და სახეზე აჭრელებული ლაქები ჩაულურჯდა.

– მეტის გაძლება აღარ შეიძლება, დავიწვით! – წამოიძახა ჟერვეზამ და, სანამ მადამ ბოშის თავსაბურავს მიხედავდა, სახიდან ოფლი ჩამოიწმინდა.

როდესაც წითლად გავარვარებული ღუმელი შენიშნეს, ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ოგიუსტინა გვარიანი სილის ღირსიც იყო. უთოები ალისფრად ღვიოდა. რა ეშმაკი უზის ამ გოგოს თავში, საკმარისია, თვალი მოაშორო და უკვე რაიმე ცუდ ჩაიდენს. ახლა საათის მეოთხედი მაინც უნდა იცადონ, სანამ უთო განელდება! ჟერვეზამ ორი აქანდაზი ნაცარი დააყარა ნაკვერჩხლებს. ამას გარდა, მან მოიფიქრა მზის სიცხოვლის შესანელებლად ერთი წყვილი ზეწარი ჩამოეფარებინა ფარდებად ჭერქვეშ, თითბრის მავთულებზე. ამის შემდეგ სახელოსნო თითქოს გაგრილდა, თუმცა სიცხე კვლავ საგრძნობი იყო, მაგრამ უკვე ისეთი მყუდროება იგრძნობოდა იქ, როგორც დაჩრდილულ საწოლ ოთახში კაშკაშა შუადღისას, როცა შენთვის ხარ შეკეტილი სახლში, მთელ ქვეყანას მოშორებული. აქაც სწორედ ასე იყო, მიუხედავად იმისა, რომ ჩამოფარებულ ზეწრებს იქით, ქვაფენილზე, ხალხის ჩქარი მიმოსვლის ხმაური ისმოდა. მომუშავე ქალებმა თავისუფლად იგრძნეს თავი, საკუთარ ნებაზე იყვნენ მიშვებულნი. და კლემანსმაც ბლუზა გახადა. კუპო კვლავ უარზე იდგა და დასაწოლად არ მიდიოდა. ბოლოს მას მაინც ნება დართეს, რომ იქ დარჩენილიყო, მხოლოდ იმ პირობით, რომ წყნარად იქნებოდა ერთ კუთხეში, რადგან ქალებს ისეთი საჩქარო სამუშაო ჰქონდათ, რომ გულხედაკრეფილი ჯდომა არ გამოდგებოდა.

– რა უყო, ნეტავი, იმ პატარა უთოს ამ უწმინდურმა, – ბუტბუტებდა ჟერვეზა, რომელიც ამ სიტყვებში ოგიუსტინას გულისხმობდა.

ისინი მუდამ ამ პატარა უთოს ძებნაში იყვნენ და, ბოლოს, აღმოაჩენდნენ ხოლმე სრულიად შეუფერებელ ადგილას, სადაც, მათი სიტყვით, შეგირდი გოგო უთოს ბოროტი განზრახვით მალავდა. ჟერვეზამ, როგორც იქნა, დაასრულა მადამ ბოშის თავსაბურავის დაუთოება. ახლა მასზე მოვლებული მაქმანების შესწორებას შეუდგა: ხელით გასწევდა, გაჭიმავდა, შეამზადებდა და მერე მსუბუქად გაჰკრავდა უთოს.

თავსაბურავი მორთული იყო ვიწრო ბუფებით, ხოლო ამ ბუფებს ნაქარგი ცვლიდა. ჟერვეზამ ხის ფეხზე მიმაგრებულ ყალიბს მოარგო ამობურცული მოსავლებები და ფრთხილად და ხმაამოუღებლად, მზრუნველი ხელით აუთოებდა.

სიჩუმე გამეფდა. წუთის განმავლობაში მაგიდის საფრით ჩახშობილი უთოების ყრუ ხმაურის მეტი არაფერი ისმოდა. ფართო, ოთხკუთხედი მაგიდის ორივე მხარეს წახრილები იდგნენ: დიასახლისი, ორი მუშა ქალი და შეგირდი გოგო. მხრები მაღლა აეწიათ და მუშაობით იყვნენ გართულნი. მათი მკლავები განუწყვეტლივ მიდიოდა აქეთ-იქით. თითოეული მათგანის მარჯვენა განუწყვეტლივ მიდი-მოდიოდა აქეთ-იქით. თითოეულ მათგანს მარჯვენა მხარეზე მიდგმული ჰქონდა საკუთარი უთოს დასადგმელი, – ცხელი უთოებისგან დამწვარი ბრტყელი აგური. მაგიდის შუაგულში, სუფთა წყლით სავსე ღრმა თეფშის გვერდით, ჩვარი და პატარა ჯაგრისი იდო. არაყზე დაყენებული ალუბლის წვენის ძველ სურაში შროშანების დიდი თაიგული ჩაედგათ და ამ თოვლივით ქათქათა, ფართოდ გაშლილი ყვავილების კონა სამეფო ბაღის კუთხეს ქმნიდა აქ. მადამ პიუტუა ჟერვეზას მიერ მომზადებულ სარეცხის კალათას მიადგა და ხელსახოცებს, საცვლებს და სამაჯეებს წყვილ-წყვილად აუთოებდა.

ოგიუსტინა წინდებსა და ჭურჭლის ტილოებს უგლასუნებდა უთოს და თან თავი მაღლა აეწია, რადგან ერთი დიდი ბუზის ფრენით იყო დაინტერესებული. რაც შეეხება ბრგე კლემანსს, ეს ქალი, დილიდან მოყოლებული, უკვე მამაკაცის ოცდამეთხუთმეტე პერანგს აუთოებდა.

– მუდამ ღვინოს, არაყს არასოდეს, – უეცრად წამოიძახა კუპომ, რომელმაც მოთხოვნილება იგრძნო, ეს განცხადება გაეკეთებინა, – არაყი მათრობს, ამიტომ არაყი არ არის საჭირო.

კლემანსმა ტყავის ხელმოსაკიდებლის დახმარებით გამოიღო ღუმლიდან უთო და ლოყასთან ახლოს მიიტანა, რათა შეეტყო, საკმაოდ ცხელი იყო ის თუ არა. მერე დასადგმელს გაუხახუნა, შემდეგ ქამარზე ჩამოკიდებული ნაჭრით გაწმინდა და ოცდამეთხუთმეტე პერანგს შეუტია. მან ჯერ ზურგი გაუუთოვა პერანგს, ხოლო შემდეგ ორივე სახელო.

– ვაჰ! მუსიე კუპო! – წარმოთქვა კლემანსმა წუთის შემდეგ, – ერთი პაწია ჭიქა არაყი ცუდი არ არის ხოლმე. მე ხალისზე მოვყავარ... ამას გარდა, ხომ იცით, რაც უფრო მალე მოგიგრეხს კისერს, მით უფრო კაი ქეიფზე გაყენებს. ოჰ! მე ხომ ბევრს არ ვეპოტინები, ვიცი, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ მიწერია ამქვეყნად.

– რა მოსაბეზრებელი ხართ მაგ თქვენი სამგლოვიარო აზრებით! – შეაწყვეტინა მას მადამ პიუტუამ, რომელსაც სევდიანი ლაპარაკი არ უყვარდა.

კუპო წამოდგა და გაჯავრდა, რადგან ეგონა, რომ მას არყის დალევას აბრალებდნენ. იფიცებდა თავსაც, ცოლსაც, შვილსაც, რომ მას არც ერთი წვეთი არაყი არ ჰქონდა დალეული. მერე მიუახლოვდა კლემანსს და მის წინ სუნთქვა დაიწყო, რომ ამ ქალს შეემოწმებინა, ამოსდიოდა მას პირიდან არყის სუნი თუ არა. მან კლემანსს ცხვირი დაადო შიშველ მხრებზე და ხითხითი დაიწყო. კლემანსი მას შემდეგ, რაც პერანგს ზურგი გადაუკეცა და ორივე მხარეზე უთო გაჰკრა, საყელოსა და მაჯების გაუთოებას აპირებდა, მაგრამ რადგანაც კუპო ახლოს მიიწევდა მისკენ და ეჯახებოდა, ქალმა უადგილო ადგილას გააკეთა ნაკეცი; კლემანსი იძულებული შეიქნა თეფშიდან ჯაგრისი აეღო და ხელმეორედ წაესვა სახამებელი.

– მადამ, – წამოიძახა კლემანსმა, – უთხარით, ნუ მექცევა ასე...

– დაანებე თავი, რა უგუნური ხარ! – წყნარად უთხრა ჟერვეზამ კუპოს, – გვეჩქარება, გესმის თუ არა?!

ქალებს ეჩქარებათ. მერე რა? მისი რა ბრალია! მას ცუდი არაფერი ჩაუდენია! მას ხომ ხელი არ დაუკარებია, უცქეროდა მხოლოდ. განა ნებადართული არ არის უყურო იმას, რაც ღვთის წყალობას ლამაზად გაუჩენია? ამ კუდრაჭა კლემანსს ვერ უყურებთ, რა მკლავები ჰქონია?! მას შეუძლია გამოფენა გამართოს და ორ-ორი სუ აიღოს ხელის მოფათურებისთვის, ფულს არავინ დაიშურებს ამისთვის.

ახლა მუშა ქალი უკვე წინააღმდეგობას აღარ უწევდა კუპოს. ის უკვე იცინოდა კიდეც შეზარხოშებული კაცის უხეშ ქათინაურზე, შემდეგ თვითონაც აჰყვა კუპოს და ხუმრობა დაიწყო. კუპო მას მამაკაცის პერანგების გამო ეხუმრებოდა. ამ ქალს სულ მამაკაცის პერანგებთან აქვს საქმე? – დიახ, ეგრეა! მა რა! ის ამით ცხოვრობს. ოჰ, მაღალო ღმერთო! ის კარგად იცნობს ამ პერანგებს, მთელი მათი ასავალ-დასავალი იცის. მის ხელში გაუვლია ასეულებს, ასეულებს... ყველა ქერა და ყველა შავგვრემანი მამაკაცი მათ უბანში მის გარეცხილ პერანგს არ ატარებს? ამავე დროს კლემანსი მუშაობას განაგრძობდა და სიცილისგან მხრები უცახცახებდა: გულისპირის ნახევში გატარებული უთოთი მან ხუთი დიდი, ბრტყელი ნაკეცი გაუკეთა პერანგს ზურგზე. მერე გულისპირს დაუსვა უთო და იქაც ასევე თანაბარი, ბრტყელი ნაკეცები გააკეთა

– ეს დროშაა, დროშა! – ხმამაღალი სიცილით წამოიძახა მან.

ელამ ოგიუსტინას ისე მოეწონა ეს სიტყვა, რომ ხარხარი ატეხა. მაგრამ ის დატუქსეს. ვერ უყურებთ ამ ცინგლიან გოგოს? კიდევაც რომ იცინის, მას არც უნდა ესმოდეს ამ სიტყვების მნიშვნელობა! კლემანსმა ოგიუსტინას გადაულოცა თავისი უთო. შეგირდი გოგო უკვე ნახმარი უთოთი აუთოებდა ხოლმე ტილოებსა და წინდებს, როდესაც უთო საკმაოდ ცხელი აღარ იყო გახამებული ნაჭრებისთვის. ხოლო ამჯერად ოგიუსტინამ ისე უხერხულად მოავლო ხელი უთოს, რომ ძალიან დაეწვა მაჯა. შეგირდი გოგო აღრიალდა და კლემანსს დააბრალა, განზრახ დამწვაო. კლემანსმა, რომელიც ამ დროს პერანგის გულისპირისათვის გახურებული უთოს ასაღებად წავიდა ღუმლისაკენ, მტირალ გოგოს დაემუქრა, ორივე ყურს გაგიუთოებ, თუ არ გაჩუმდებიო. კლემანსს პერანგის გულისპირის ქვეშ შალის ნაჭერი ამოედო და ზედ ნელა უსვამდა უთოს, რათა სახამებლისთვის დრო მიეცა, რომ გამოჟონილიყო და გამხმარიყო.

– უჰ, შე უნიათო, შენა! – ილანძღებოდა კუპო, თან მთვრალი კაცის ახირებული სიჯიუტით კლემანსის უკან ერთ ადგილს ტკეპნიდა.

კუპო ფეხის წვერზე დგებოდა და უგერგილოდ იცინოდა. სამუშაო მაგიდაზე მაგრად დაყრდნობილ კლემანსს მაჯები შემობრუნებული ჰქონდა, იდაყვები განზე ეჭირა და ძალების დაძაბვისგან კისერმოღუნულს შიშველი ზურგი ებურცებოდა. მაღლა აწეულ მხრებზე ნაზი კანის ქვეშ კუნთები უთამაშებდა და გაღეღილი პერანგის ვარდისფერ ჩრდილში ოფლისაგან დანესტიანებული ყელი ებერებოდა. კუპომ კლემანსს ხელი წაატანა.

– მადამ, მადამ! – წამოიყვირა კლემანსმა, – დააწყნარეთ ეს კაცი, რა არის ბოლოს და ბოლოს!.. მე წავალ აქედან, თუ ასე გაგრძელდება. არ მინდა, რომ აქ შეურაცხყოფა მომაყენონ.

ჟერვეზამ ის-ის იყო, თეთრქსოვილგადაკრულ ყალიბზე წამოაცვა მადამ ბოშის თავსაბური და პატარა უთოთი ყალიბზე წამოცმულ მაქმანებს გულდასმით

უკეთებდა გრაგნილებს. მან სწორედ იმ წუთში ასწია თავი მაღლა, როდესაც მისმა ქმარმა ხელმეორედ წაატანა ხელი კლემანსს და პერანგის ქვეშ მოუცაცუნა.

– მართლა უგუნურად იქცევი, კუპო! – გაბეზრებული ადამიანის კილოთი წარმოთქვა ჟერვეზამ, თითქოს ტუქსავდა გაკერპებულ ბავშვს, რომელიც მურაბის შეჭმას აპირებდა უპუროდ, – წადი, დაიძინე!

– დიახ, დასაძინებლად წაბრძანდით, მუსიე კუპო, ასე ემჯობინება, – განუცხადა მას მადამ პიუტუამ.

– ახ! კეთილი! – ლუღლუღებდა კუპო და კვლავ ხითხითებდა, – რა ახირებულები ხართ... მაშ, კაცმა აღარ გაიხუმროს? მე ქალებს საკმაოდ ვიცნობ, მათთვის არასოდეს არაფერი დამიშავებია. ქალს შეიძლება უჩქმიტო, მაგრამ ამაზე შორს არ უნდა წახვიდე. ქალებს პატივისცემით მოპყრობა შეჰფერის. მაგრამ, როდესაც თავის საქონელს გამოფენენ, ეს იმას ნიშნავს, მოდი და აირჩიეო. ხომ მართალია? მაშ, ეს ზორბა ქერა ქალი რად გვიჩვენებს თავის ავლადიდებას? არა, აქ სუფთა საქმე არ არის!..

მერე მიუბრუნდა კლემანსს: – შენ, ჩემო ფურირემო, თავს ტყუილად ნუ იკატუნებ... თუ იმიტომ სჩადიხარ ამას, რომ აქ სხვებიც არიან...

მაგრამ კუპომ ვეღარ განაგრძო. ჟერვეზამ ისე, რომ სიტლანქე არ გამოუჩენია, ცალი ხელი ქმარს მოხვია, ხოლო მეორე ტუჩებზე მიაფარა. კუპო ცუღლუტობდა, ვითომ თავს იცავდა, სანამ ის ჟერვეზას ხელის კვრით სამრეცხაოს შიდა ნაწილიკენ მიჰყავდა იმ მიზნით, რომ მეორე ოთახში გაეყვანა. კუპომ პირი გაითავისუფლა და წარმოთქვა, რომ იგი სიამოვნებით დაიძინებს, თუ ზორბა ქერა ქალიც წაჰყვება და ფეხებს ჩაუთბუნებს. ამის შემდეგ შემოესმათ, რომ ჟერვეზამ ფეხსაცმელები გახადა ქმარს. ჟერვეზა ტანისამოსს ხდიდა კუპოს და თან დედობრივი ალერსით ოდნავ ტუქსავდა კიდეც. როდესაც მან შარვლის გახდა დაუწყო, კუპო კინაღამ სიცილით მოკვდა, სულ მოეშვა, ლოგინზე გაიშხლართა, წიხლებს იქნევდა და ჟერვეზას ეუბნებოდა, მეღიტინებაო. როგორც იქნა, ჟერვეზამ ის მზრუნველი ხელით შეფუთნა ბავშვივით. კარგად თუ ხარ მაინცო, – შეეკითხა, მაგრამ კუპომ არ უპასუხა, მან კლემანსს გასძახა: – მოდი რაღა, ჩემო ირემო, ლოგინში ვარ და გელოდები!

როცა ჟერვეზა სახელოსნოში დაბრუნდა, სწორედ ამ დროს ელამმა ოგიუსტინამ ერთი კაი ალიყური მიიღო კლემანსისგან. მიზეზი იყო გაჭუჭყიანებული უთო, რომელიც მან აიღო ღუმლიდან. მადამ პიუტუამ გულდანდობილად დაუსვა უთო და სულმთლად გააშავა ბოლოკაბა. კლემანსი თავს იმართლებდა, უთო გავწმინდე და მისი გასვრა ოგიუსტინას ბრალიაო. მიუხედავად იმისა, რომ უთოზე მიმწვარი სახამებელი იყო დარჩენილი, კლემანსი ყველა ხატს იფიცებდა, უთო ჩემი არ არისო. ამ უსამართლობით შეურაცხყოფილმა შეგირდმა გოგომ ახლა უკვე დაუფარავად და მოურიდებლად დააფურთხა კლემანსს კაბის წინა კალთაზე, რის გამოც ეს ლაზათიანი სილა მიიღო. ელამმა გოგომ ცრემლები ჩაყლაპა, უთო გაასუფთავა,

პატარა ნაჭრით გაფხიკა, სანთელი წაუსვა და მერე ისევ გაწმინდა. მაგრამ რამდენჯერაც კლემანსს ჩაუვლიდა უკან, იმდენჯერ კაბაზე აფურთხებდა და ჩუმ-ჩუმად ხითხითებდა, როდესაც კლემანსს ბოლოკაბის მთელ სიგრძეზე ფურთხი ჩამოედინებოდა.

ჟერვეზა კვლავ თავსაბურავის მაქმანების გრაგნას შეუდგა. უეცრად ჩამოვარდნილ სიჩუმეში უკანა ოთახის სიღრმიდან მკაფიოდ გაისმა კუპოს როხროხა ხმა. ის ისევ კარგ გუნებაზე იყო, თავისთვის იცინოდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფრაზებს ისროდა.

– ხომ არ გასულელდა ჩემი ცოლი?.. აბა, სისულელე არ იყო ახლა ჩემი დაწვენა?.. ჰაი-ჰაი, რომ დიდი სისულელეა, ამ შუადღისას, დღისით-მზისით დასაძინებლად დაწოლა, როცა არაფერი გტკივა!

მაგრამ მან უეცრად ხვრინვა ამოუშვა. ჟერვეზამ თავისუფლად ამოისუნთქა, გაუხარდა, რომ კუპომ ძლივს მოისვენა და რბილ ლოგინზე გამოიძინებდა.

ჟერვეზამ ლაპარაკი დაიწყო. საერთო დუმილში ის წყნარი, ზომიერი ხმით ლაპარაკობდა და თან თვალს არ აშორებდა ნაკეცების მგრაგვნელ პატარა უთოს, რომელსაც ის მარჯვედ და ცქვიტად ხმარობდა.

– აბა, რა უნდა ვუყო, მითხარით ერთი. კაცი თავის ჭკუაზე არ არის, ხომ ვერ გავუწყრები? მე რომ ჩხუბი და დავიდარაბა ამეტეხა, რას გავხდებოდი? არაფერს. მირჩევნია დავუყვავო, ყველაფერზე კვერი დავუკრა და დავაწვინო; ყოველ შემთხვევაში, ამ ამბავს მაშინვე ეღება ბოლო და მეც ვმშვიდდები... ამას გარდა ბოროტი არ არის, ძალიან ვუყვარვარ. ამ საათში თქვენი თვალით ნახეთ, რომ მზად იყო ნაჭერ-ნაჭერ აეკუწვინა თავი, ოღონდ კი ჩემთვის ეკოცნა. ეს ძალიან კარგი მხარე აქვს. ხომ არიან მამაკაცები, რომლებიც დალევენ თუ არა, მაშინვე ქალებისკენ გასწევენ... ეგ კი პირიქით, პირდაპირ შინ ბრუნდება. მართალია, მუშა ქალებს ეხუმრება, ებღლაძუნებოდა, მაგრამ ამაზე შორს ხომ არ მიდის! გესმით, კლემანს! თქვენ არ უნდა გწყინდეთ ეს. თქვენ ხომ იცით, მთვრალი კაცი რა არის? მთვრალ კაცს შეუძლია დედ-მამა ამოხოცოს და მერე სრულებით არაფერი ახსოვდეს... ოხ! კეთილი გულით ვაპატიებ ხოლმე, ეგეც ის არის, რაც სხვები, დასწყევლოს ღმერთმა!

ჟერვეზა ლაპარაკობდა მსუბუქად, აუღელვებლად. იგი შეჩვეული იყო კუპოს ამგვარ ქცევას და ახლა ცდილობდა თავისი შემწყნარებლობა კუპოსადმი სხვების თვალშიც გაემართლებინა, ხოლო მისი ქმარი რომ მისივე თვალწინ მუშა ქალებს ჩქმეტდა, ამაში ცუდს ვერაფერს ხედავდა. როცა ჟერვეზამ ლაპარაკი შეწყვიტა, ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. მადამ პიუტუა გასაუთოებელი ნაჭრის ასაღებად გამოსწევდა კალათას და, როცა გააუთოებდა, მოკლე მკლავებს მაღლა სწევდა და ნაჭერს თაროზე დებდა. კლემანსი კი უკვე მამაკაცის ოცდამეთხუთმეტე პერანგზე უთოთი გრაგნილების გასწორებას ამთავრებდა. სამუშაო მათი ანგარიშით ყელამდე იყო. თუ დაუჩქარებდნენ, თერთმეტ საათამდე მორჩებოდნენ. მთელმა სახელოსნომ, რომელსაც გასართობი აღარაფერი ჰქონდა, მაგრად შეუტია სამუშაოს. შიშველი

მკლავები აქეთ-იქით მიდი-მოდიოდა და თეთრ სარეცხზე ვარდისფერ ლაქებად მოჩანდა. ღუმელი კვლავ კოქსით გამოავსეს, ფარდებში შემოტანებული მზის შუქი პირდაპირ ღუმელს ხვდებოდა და ამ კაშკაშა სინათლეზე ჩანდა, თუ როგორ მაღლა ადიოდა სიცხის ბუღი და უხილავი ალივით თრთოდა და ირხეოდა ჰაერში. ჭერთან გასაშრობად გაფენილი ბოლოკაბებისა და სუფრების ქვეშ იმდენად სულის შემხუთველი სიცხე იყო, რომ ელამ ოგიუსტინას პირში ნერწყვი გაუშრა და ენის წვერი გარეთ ჰქონდა გამოყოფილი. ირგვლივ გავარვარებული თუჯის, დამჟავებული სახამებლის, უთოსგან დამწვარი სარეცხის და აბანოს მომადუნებელი თბილი ბუღის სუნი ტრიალებდა. ამას ოთხი ნახევრად შიშველი მუშა ქალის თმისა და ოფლით დასველებული კეფა-კისრის მკვეთრი არომატიც ემატებოდა. ამავე დროს ქილის მწვანე წყალში მაღალი შროშნების თაიგული ჭკნებოდა და მეტად მძაფრ სურნელს აფრქვევდა. დროგამოშვებით, უთოების ხმაურსა და ღუმლის საჩხრეკის ფხაჭუნში, კუპოს თანაბარი ხვრინვა ისმოდა, და ის თითქოს სახელოსნოს მძიმე და დაძაბულ მუშაობას აწესრიგებდა.

როდესაც კუპო გადაჰკრავდა, მეორე დღეს საშინელი თავის ტკივილით იღვიძებდა ხოლმე. საზარლად სტკიოდა თავი. თმის ძირები ეწვოდა და ამიტომ მთელი დღის განმავლობაში თმაგაჩეჩილი, ცხვირჩამოშვებული და დაღრეჯილი დადიოდა. ლოგინიდან გვიან დგებოდა, რვა საათისთვის თუ მოიფშვნეტდა თვალებს. მერე ოთახში დაყიალებდა, იფურთხებოდა და სამუშაო დღეც იკარგებოდა. დილაობით კუპო ჩიოდა. ამბობდა, თითქო ბამბის ფეხები მაბიაო, ასე ყლურწვა დიდი სისულელეა, კაცს ხასიათს უფუჭებსო. მაგრამ აბა, რას იზამ, როცა ეს ყურუმსაღი ძმაკაცები ჩაგაცივდებიან, არ მოგეშვებიან და შენც ძალაუნებურად იმათ აჰყვები. ჩაგითრევენ და აქეთ-იქით დახეტიალებ, ხოლო, რაკი ერთს გადაყლაპავ და გაებმები, მერე უკვე მორჩა, მშვიდობით, თავქვე დაეშვებიო. ახ! ეშმაკმა წაიღოს იმათი თავი, არა, კუპო ასე აღარ მოიქცევა, არ სურს, რომ მან, ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა კაცმა, რომელიმე სამიკიტნოში გაფშიკოს ფეხები! მაგრამ საუზმის შემდეგ ჩაიცვამდა, გამოკოპწიავდებოდა და წამდაუწუმ გაიძახოდა: თითქოს არაფერი მიშავს, ისევ მზად ვარო. წინადღის ქეიფს უკვე უარყოფდა, – აბა, ის რა სმა იყო, ცოტა შევქეიფიანდითო. სმა როგორც უნდა, კუპომ კარგად იცის, ამაში ნურავინ შეედავება, მას შეუძლია, რა სასმელიც გინდა და რამდენიც გინდა, ისე გადაუშვას, რომ თვალი არ დაახამხამოს. მთელ ნაშუადღევს უბანში ხეტიალს ანდომებდა. როდესაც მუშა ქალებს თავს ძალიან მოაბეზრებდა, მაშინ მისი ცოლი ოც სუს მისცემდა ხოლმე, ოღონდ კი თავიდან მოეშორებინა. კუპო მაშინვე მოუსვამდა იქიდან. ჯერ თამბაქოს საყიდლად შევიდოდა „პტიტ-სივეტში“, პუასონიერის ქუჩაზე, სადაც, ჩვეულებრივ, ქლიავის წვენზე დაყენებულ ერთ ჭიქა არაყსაც გადაჰკრავდა და თუ იქ რომელიმე თავის ამფსონს შეხვდებოდა, ამ ოც სუსაც მიკიტან ფრანსუას დუქანში მოუღებდა ბოლოს. ეს დუქანი გუტ-დორის ქუჩის კუთხეში იყო. იქ მუდამ ჰქონდათ კარგი ღვინო, ახალი, თავანკარა, რომელიც ყელს შუშხავდა. ამ ძველი ყაიდის, დაბალჭერიან და თუთუნის კვამლით შებოლილ დუქან-სასადილოს გვერდით ერთი პატარა ოთახი იყო, სადაც ვახშმობა შეიძლებოდა. კუპო საღამომდე ამ დუქანში რჩებოდა, თითო ჭიქა ღვინოზე

ტურნიკეს თამაშობდა. კუპო ფრანსუასთან მორიგებული იყო: მედუქნემ ფიცის ქვეშ პირობა მისცა, რომ არასოდეს მის ანგარიშებს ჟერვეზას არ წარუდგენდა. ნაბახუსევზე ყელს ხომ ჩაწმენდა სჭირდება? ხოლო ერთი ჭიქა ღვინო, უსათუოდ, მეორესაც ითხოვს. თუმცა კუპო მაინც კაი ბიჭია, ქალებს არ ეტმასნება. მას მხოლოდ მხიარულება და ხუმრობა უყვარს, რა თქმა უნდა, ზოგჯერ წაიქეიფებს, გადაჰკრავს კიდეც, მაგრამ შნოიანად, ლამაზად. მას ძალიან ეზიზღება ისეთები, სასმელში რომ თავს იხრჩობენ, ვერასოდეს ფხიზელს რომ ვერ ნახავ! კუპო სკვინჩასავით მხიარული და თავაზიანი ბრუნდებოდა სახლში.

– შენი მოტრფიალე არ მოსულა? – გამოსაჯავრებლად შეეკითხებოდა ზოგჯერ ჟერვეზას, – რაღაც არ ჩანს ამ ბოლო დროს, უნდა წავიდე, მოვძებნო.

მოტრფიალედ იგულისხმებოდა გუჟე. მჭედელი მართლაც გაურბოდა მათთან ხშირ სიარულს. ერიდებოდა, არ უნდოდა მათი შეწუხება, თანაც ეშინოდა ამით რაიმე მითქმა-მოთქმა არ გამოეწვია. თუმცა კი ყოველ შემთხვევას იყენებდა, რომ იქ მისულიყო: ტანსაცმელი მიჰქონდა გასარეცხად, ერთი ოცჯერ გაივლ-გამოივლიდა ქვაფენილზე. გუჟეს ერთი კუთხე ჰქონდა ამორჩეული სახელოსნოში და იქ უყვარდა საათობით გაუნძრევლად ჯდომა და მოკლე ჩიბუხის გაბოლება. მაგრამ ამ კუთხეში მოკალათებას ის ათ დღეში ერთხელ თუ ბედავდა, ნასადილევს, საღამოზე. მოლაპარაკე კაცი ის არ იყო, ხმაგაკმენდილი იჯდა და მისჩერებოდა ჟერვეზას. ჩიბუხს პირიდან იმიტომ თუ გამოიღებდა, რომ გაეცინა ყველაფერზე, რასაც კი ეს ქალი წარმოთქვმდა. თუ სამრეცხაო შაბათ ღამეს მუშაობაში გაათევდა, ისიც გვიანობამდე იქ რჩებოდა და იქ გაცილებით უკეთ ერთობოდა, ვიდრე წარმოდგენაზე. იყო ისეთი შემთხვევები, რომ მრეცხავი ქალები დილის სამ საათამდე აუთოებდნენ. სარეცხი თოვლივით თეთრად ქათქათებდა ჭერზე რკინის მავთულით ჩამოკიდებულ აბაჟურთან ლამპის შუქის რგოლში. შეგირდი გოგო დუქნის დარაბებს კეტავდა, მაგრამ, რადგანაც სულის შემხუთველი ცხელი ივლისის ღამეები იყო, ქუჩის კარს ღია ტოვებდნენ. რაც უფრო ღამდებოდა, მუშა ქალებიც უფრო მეტ ღილებს იხსნიდნენ ტანსაცმელზე, შილიფად რჩებოდნენ, რომ თავისუფლად ესუნთქათ. მათ ნაზი კანი ჰქონდათ, ამ კანს აოქროსფრებდა ლამპის შუქი. განსაკუთრებით ჟერვეზა იყო ჩათქვირებული, აბრეშუმივით სალუქი და თეთრი მხრები ჰქონდა, ყელთან ბავშვური ნაკეცი და ყელზე პატარა ღრმული, რომლის დახატვა ზეპირადაც კი შეეძლო გუჟეს, იმდენად კარგად იცნობდა მას. ღუმლის მძლავრი სიცხოველე მოქმედებდა გუჟეზე, ამას ზედ ერთვოდა სარეცხიდან უთოობის დროს ასული ორთქლის სუნი. გუჟე ოდნავ ბრუვდებოდა, იბნიდებოდა, აზროვნება უდუნდებოდა და თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა ქალებს, რომლებიც ჩქარობდნენ, შიშველ მკლავებს აქეთ-იქით იქნევდნენ და ღამეს მხოლოდ იმიტომ ათენებდნენ, რომ უქმე დღეს მთელი უბანი მორთულ-მოკაზმულიყო. სახელოსნოს ირგვლივ თვლემდნენ მეზობელი სახლები, ირგვლივ ნელ-ნელა სიჩუმე ისადგურებდა. დაირეკებოდა შუაღამის თორმეტი საათი, მერე პირველი, შემდეგ ორი. ეტლები და გამვლელ-გამომვლელები აღარ ჩანდნენ დაცარიელებულ და ჩაბნელებულ ქუჩაზე, რომელსაც

მხოლოდ ერთადერთი გაღებული კარი სტყორცნიდა შუქის ზოლს, თითქოს ყვითელი ქსოვილი გაშლილიყო მიწაზე. შორეული ფეხის ხმა გაისმოდა დროგამოშვებით. გამვლელი კაცი უახლოვდებოდა სახელოსნოს. ის შუქის ზოლს აბიჯებდა, უთოების ჩხარუნის ხმაზე თავს წინ სწევდა და მერე გონებაში თან გაიყოლებდა მოწითალო ბუღში მომუშავე ნახევრად შიშველი ქალების უეცრად გაელვებულ მოჩვენებას.

გუჟე ხედავდა, რომ ჟერვეზა დიდ საგონებელში იყო ჩავარდნილი ეტიენის გამო. არ იცოდა რანაირად დაეხსნა ბავშვი კუპოს პანღურებისგან. გუჟემ ლურსმნების ფაბრიკაში, თავისთან მოაწყო ეტიენი საბერვლის მბერავად. თუ მელურსმნის ხელობა თავისთავად არაფრით სახარბიელო იყო სამჭედლოს ჭუჭყისა და ერთსა და იმავე რკინის ნაჭერზე გამომათაყვანებელი დარტყმების გამო, სამაგიეროდ, ის სახეირო მდგომარეობას უქმნიდა ხელოსანს, რადგან დღეში ათი-თორმეტი ფრანკის გამომუშავება შეიძლებოდა. ბიჭს უკვე თორმეტი წელი შეუსრულდა და თუ ხელობას კარგად შეისწავლიდა, მალე შეეძლო ამ საქმისთვის ხელი მოეკიდა. ამრიგად, ეტიენი მრეცხავი ქალისა და მჭედლის ერთ დამატებით შემაკავშირებელ ძალად გადაიქცა. მჭედელს შინ თვითონ მოჰყავდა ბავშვი და მის კარგ ყოფაქცევაზე ლაპარაკობდა ხოლმე. ყველანი სიცილით ეუბნებოდნენ ჟერვეზას, გულში ჩავარდნიხარ გუჟესო. ჟერვეზამ ეს თვითონაც ძალიან კარგად იცოდა და ქალიშვილივით წითლდებოდა. კდემის ალმური, როგორც წითელ ვაშლს ისე აჰკრავდა ღაწვებზე. ახ! საწყალი ბიჭი! არც შემაწუხებელი იყო! არასოდეს კრინტი არ დაუძრავს გრძნობაზე, არც ერთი საარშიყო სიტყვა არ წამოსცდენია. განა ხშირად შეხვდებით ასეთ პატიოსნებას? ჟერვეზა თავსაც არ უტყდებოდა, რომ უდიდეს სიხარულს გრძნობდა ამგვარი ტრფობის გამო, უხაროდა, რომ მას უმანკო გოგონასავით ეტრფოდნენ. როდესაც ჟერვეზას მძიმე გასაჭირი ადგა, მყისვე მჭედელი გაახსენდებოდა. მას ანუგეშებდა ამ კაცზე ფიქრი. როცა პირისპირ, მარტონი რჩებოდნენ, არავითარ უხერხულობას არ განიცდიდნენ ამის გამო. ღიმილით შესცქეროდნენ ერთმანეთს თვალებში და კრინტს არ სძრავდნენ საკუთარ განცდებზე. ეს იყო წყნარი, კეთილგონიერი სინაზე და არაფერი შემბღალავი არ ერია ამ გრძნობაში. თუ ადამიანს შეუძლია ბედნიერებაში სიმშვიდეც შეინარჩუნოს, ამას რა ჯობს? უნდა გაუფრთხილდეს საკუთარ სიმშვიდეს.

ზაფხულის მიწურული იყო, როცა ნანამ მთელი სახლი ააფორიაქა. იგი ექვსი წლისა გახდა და ყოვლად საძაგელი გოგო იზრდებოდა. ყოველ წამს ფეხებში რომ არ წამოსდებოდა, დედას ის ყოველდილაობით დაჰყავდა ერთ პატარა პანსიონში, პოლონსოს ქუჩაზე, მადმუაზელ ჟოსთან. ნანა ამ პანსიონში საძაგლად იქცეოდა: თავის ტოლ გოგონებს უკნიდან ეპარებოდა, კაბის ბოლოებს გადაუბამდა, მასწავლებელს სათუთუნეში ნაცარს უყრიდა, და უფრო უარეს, ულაზათო და უგვანო სიცელქეებსაც იგონებდა, ისეთს, რომ ამაზე ლაპარაკიც კი უხერხული იყო. მადმუაზელ ჟოსმა ის ორჯერ გამოაგდო, მაგრამ მერე ისევ მიიღო უკან, რათა თვეში ექვსი ფრანკი შემოსავალი არ დაჰკარგოდა. ნანა გამოვიდოდა თუ არა კლასიდან, იმის ასანაზღაურებლად, რომ კლასში ჩაკეტილად გრძნობდა თავს, ერთ ჯოჯოხეთს

დაატრიალებდა ხოლმე ალაყაფის თაღის ქვეშ და ეზოში, სადაც გაბეზრებული მეუთოე ქალები ისტუმრებდნენ სათამაშოდ. იქ მას ხვდებოდენენ ბოშების ქალიშვილი პოლინა და ჟერვეზას ძველი დიასახლისის ვაჟიშვილი ვიქტორი, ათი წლის დოყლაპია, რომელსაც გაგიჟებით უყვარდა პაწაწინა გოგოებთან კუნტრუში. მადამ ფოკონიე ცუდ განწყობით არ იყო კუპოებთან და თვითონვე გზავნიდა თავის ვაჟიშვილს მათთან, ამას გარდა, ამ სახლში უამრავი ბავშვი ცხოვრობდა, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში წყება-წყებად არბოდნენ და ჩარბოდნენ ოთხივე კიბეზე. მათ მჭყივანა და ქურდბაცაცა ბეღურების გუნდივით ხორხოცი გაჰქონდათ ქვაფენილზე. ჯერ მარტო მადამ გოდრონი გამოუშვებდა ხოლმე ცხრა დაუვარცხნელ და ცხვირმოუხოცავ ღლაპს, თითქმის ნიკაპამდე აჩაჩული შარვლებით, ფეხსაცმელზე გადმოჩაჩული წინდებითა და დახეული ხალათებით. მეხუთე სართულზე მცხოვრებ ფუნთუშების დამტარებელს კი შვიდი შვილი ჰყავდა. ბავშვები გროვა-გროვა გამოდიოდნენ ბინებიდან. ამ ვარდისფერ ცხვირპირიან, წვიმის ქვეშ მობანავე წვრილფეხობის ფუთფუთში გაარჩევდით ზოგს დიდს, ზოგს ჯოხივით აწოწილს, ზოგს მსუქანს და ღიპიანს, ზოგს პატარას, სულ პაწაწინას, ეს-ეს არის სიარული რომ ისწავლა და თუ გაქცევა უნდოდა, ჯერ კიდევ ოთხზე დახოხავდა. ნანა იყო ამ წვრილფეხობის მეთაური და ბატონ-პატრონი. ის თავისზე ორჯერ უფრო დიდ გოგონებს ტუჩს უბზუებდა, მოზრდილი ქალიშვილივით ეჭირა თავი და ძალაუფლებას, ისიც მხოლოდ ნაწილობრივ, პოლინასა და ვიქტორს უყოფდა, – ორ გულითად მეგობარს, რომლებიც ყველაფერში მხარს უჭერდნენ. ეს საძაგელი გოგო მუდამ დედის როლს ასრულებდა, ტანისამოსს ხდიდა პაწაწინებს, მერე ისევ აცმევდა, ხელებს უფათურებდა და ზოგიერთებს ჯიჯგნიდა კიდეც ბიწიერი დიდი ადამიანის ჟინიანი დესპოტიზმით. მისი მეთაურობით ეწყობოდა თამაშობები, რომელთა გამოც მათ კაი მიბერტყვა ეკუთვნოდათ. ბავშვების ხროვა სამღებროდან გამომდინარე შეფერადებულ წყალში დაჭყაპუნებდა და მუხლებამდე ან ლურჯად ან წითლად შეღებილი გამოდიოდა. მერე ზეინკლის სახელოსნოსკენ გაიქროლებდნენ. იქ ლურსმნებსა და რკინის ნატეხებს იპარავდნენ, მერე იქიდან გამოცვივდებოდნენ და დურგალთან შეირბენდნენ, რათა იქ ბურბუშელების გროვებში ეკოტრიალათ და ყირაზე გადასულიყვნენ. ხელში ეჭირათ მთელი ეზო, რომელსაც გუგუნი გაჰქონდა მათი ფეხსაცმელების ბაკუნისა და ჟივილ-ხივილისგან. ეს ჟივილ-ხივილი მატულობდა, როცა ისინი გუნდ-გუნდად წამოიშლებოდნენ. იყო დღეები, რომ ეზო აღარ ჰყოფნიდათ. მაშინ მთელი ხროვა სარდაფებისკენ დაეშვებოდა. მერე ისევ უკან ამოცვივდებოდნენ, კიბეზე მოფოფხავდნენ, ახლა სხვა კიბით ჩავიდოდნენ და მერე დერეფანში დარბოდნენ. ასე გრძელდებოდა განუწყვეტლივ, საათობით; ამ უზარმაზარ სახლს აზანზარებდა მათი ღრიანცელი და ისეთი ბრაგაბრუგი ისმოდა, გეგონებოდათ, ყოველი კუთხიდან მავნებელ ცხოველთა ჯოგს აუწყვეტიაო.

– რა არგასაზრდელები არიან, ეს საზიზღები! – ყვიროდა მადამ ბოში, – მართლა, ცოტა საქმე უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ამდენი ბავშვები გააჩინოს... მერე ჩივილს მოჰყვებიან, პური არ გვყოფნისო.

ბოში ამბობდა, რომ ბავშვები სიღატაკში ისე მრავლდებიან, როგორც სოკოები ნეხვზეო.

მეკარე ქალი მთელი დღის განმავლობაში უყვიროდა და ცოცხით ემუქრებოდა ბავშვებს. ბოლო და ბოლოს, მადამ ბოშმა იმით დაასრულა საქმე, რომ მათ სარდაფის კარი დაუკეტა, რადგან პოლინასგან შეიტყო, რომ ნანამ იქ სიბნელეში ექიმობანას თამაში გამოიგონა. ეს წამხდარი გოგო ჯოხის დარტყმით წამლობდა დანარჩენ ბავშვებს.

ერთხელ, ნაშუადღევს საშინელი სცენა გაიმართა. ადრე თუ გვიან, ეს ასეც უნდა მომხდარიყო. მეეზოვის ბინიდან ნანამ მადამ ბოშის ხის ქოში მოიპარა. შემდეგ ამ ქოშს თოკი მოაბა და ეზოში ეტლივით თრევა დაუწყო. ვიქტორმა, თავის მხრივ, ქოში ვაშლის ნაფცქვენებით აავსო. ამრიგად, მთელი პროცესია გაიმართა: წინ ნანა მიუძღოდა და ქოშს მიათრევდა, ხოლო აქეთ-იქიდან ვიქტორი და პოლინა მიჰყვებოდნენ. შემდეგ უმცროსების მთელი ხროვა მოდიოდა წესრიგზე დაწყობილი: წინ მიდიოდნენ დიდები, უკან პატარები მისდევდნენ ჩოჩქოლით, ხოლო სულ ბოლოში ერთი ციცქნა ღლაპი მიდიოდა. პროცესია რაღაც სევდიანს გალობდა. ნანა ამბობდა, დასაფლაობანას ვთამაშობთო. ვაშლის ნაფცქვენები წარმოადგენდნენ მკვდარს. ერთხელ შემოუარეს ეზოს, მერე ხელახლა დაიწყეს შემოვლა. ბავშვები ძალიან ერთობოდნენ ამით.

– რას აკეთებენ ნეტავ? – წაიბუტბუტა მადამ ბოშმა, რომელმაც ბინიდან ეზოში გამოიხედა, რათა გაეგო, რა ხდებოდა. ის მუდამ ეჭვით იყო შეპყრობილი, სულ სადარაჯოზე იდგა და, როდესაც გაიგო, რაშიც იყო საქმე, გააფთრებით შეჰყვირა: – ეს ხომ ჩემი ქოშია! ახ! თქვე არდასაცალებლებო! – მადამ ბოში დაერია ბავშვებს, აქეთ და იქით ურტყამდა, ნანას ორივე ლოყაზე სილა გააწნა, პოლინას პანღური ამოჰკრა, – ამ ვეებერთელა ინდაურს, რომელმაც სხვებს მისცა ნება აეღოთ დედამისის ქოში. სწორედ ამ დროს ჟერვეზა წყალსადენთან იდგა და ვედროს ავსებდა. როდესაც დაინახა, რომ ნანას ცხვირიდან სისხლი მოსდის და ცრემლები ახრჩობს, ცოტა დააკლდა, კინაღამ თმაში არ სწვდა მეეზოვე დედაკაცს. განა შეიძლება ბავშვს ისე დაარტყა, როგორც ხარს? ამის ჩამდენი უგულო, უკანასკნელი ადამიანი უნდა იყოს! აბა, რაღა თქმა უნდა, მადამ ბოშმაც უპასუხოდ არ დატოვა ეს სიტყვები და უთხრა, რაკი ამისთანა გათახსირებული გოგო გყავთ, დაკეტილში უნდა ამყოფოთო. ბოლოს და ბოლოს, თვით ბოშიც გამოჩნდა საკუთარი ბინის კარის დირეზე და ცოლს დაუყვირა, – შინ შემობრუნდი, რა საჭიროა ამდენი ახსნა-განმარტება წუნკლებთანო. ეს უკვე სრული განხეთქილება იყო.

სიმართლე უნდა ითქვას, უკვე ერთი თვე იყო, რაც ბოშებსა და კუპოებს ერთმანეთში აღარ ჰქონდათ კეთილი განწყობა. დღე არ იყო, რომ ჟერვეზას, ბუნებით ხელგაშლილს, ბოშებისთვის არ მიეწოდებინა ბოთლით ღვინო, ჯამით ბულიონი, ფორთოხალი ან ტკბილი ნამცხვრის ნაჭრები. ერთ საღამოს ჟერვეზამ მეკარის ბინაზე მიიტანა ვარდკაჭაჭისა და ჭარხლის სალათი, რადგან იცოდა, რომ მეეზოვე ქალს

ძალიან უყვარდა სალათა, მაგრამ მეორე დღეს მკვდრისფერი დაედო, როცა მადმუაზელ რემანჟუსგან გაიგონა, რომ მადამ ბოშმა ყველას დასანახად ზიზღით გადაისროლა ფანჯრიდან ეს ვარდკაჭაჭი: მადლობა ღმერთს, ჯერ ისეთი არაფერი გამჭირვებია, სხვისი დაწუნებული საჭმელი ვჭამოო. მას შემდეგ ჟერვეზამ ერთბაშად შეწყვიტა ძღვნის მირთმევა. უნდა გენახათ, როგორ ჩამოუშვეს ცხვირი ბოშებმა. ასე ეგონათ, კუპოები გვძარცვავენო. ჟერვეზამ იგრძნო თავისი შეცდომა: არ უნდა ჩამედინა ეს სისულელე, არ უნდა მეზიდნა მათთვის ამდენი რამ, ისინიც არ დაეჩვეოდნენ და ახლაც კეთილი განწყობა ექნებოდათ ჩემთანო. ამჟამად კი მეკარე ქალი უკანასკნელ ადამიანად იხსენიებდა ჟერვეზას. ოქტომბერში, როდესაც ბინის ქირის გადახდის ვადა მოვიდა, მეკარე ქალმა ათასი ჭორი მიუტანა სახლის პატრონს, მუსიე მარესკოს. მადამ ბოშის სიტყვით, მრეცხავმა ქალმა გაფლანგა თავისი ქონება, სახელოსნო შემოეჭამა, და ამიტომ ერთი დღით შეუგვიანდა ბინის ქირის გადახდა. მუსიე მარესკო, რომელიც არ გამოირჩეოდა მაინცდამაინც დიდი ზრდილობით, პირდაპირ, ქუდმოუხდელად შევიდა დუქანში და მოითხოვა თავისი ფული, რომელიც იმავე წუთში გადმოუთვალეს. ბუნებრივია, ბოშებმა სამეგობრო ხელი გაუწოდეს ლორილეებს. ახლა ისინი ლორილეებთან ერთად თვრებოდნენ მეკარის ჯიხურში, იყო ერთი დიდი ღრეობა და ამ ახალშერიგებულთა ერთმანეთთან შეხმატკბილება. განა ისინი ერთმანეთს წაეჩხუბებოდნენ ოდესმე, ეს ჩაუხა რომ არ ყოფილიყო? ეგ ხომ მთას მთას დააჯახებს. ახ! ბოშებმა ახლა უკვე კარგად გაიცნეს იგი და მათთვის გასაგებია, თუ როგორ იტანჯებოდნენ მის გამო ლორილეები. როდესაც ჟერვეზა მათი კარის წინ გაივლიდა, ყველანი ერთბაშად სიცილს აყრიდნენ.

მიუხედავად ამისა, ჟერვეზა ერთ დღეს მაინც ავიდა ლორილეებთან. საქმე ეხებოდა კუპოს დედას, რომელსაც უკვე სამოცდაშვიდი წელი შეუსრულდა. კუპოს დედას მთლად დაეკარგა მხედველობა, მუხლიც არ ემორჩილებოდა. ის იძულებული შეიქნა თავისი უკანასკნელი სამუშაოც მიეტოვებინა და, თუ არ მიეხმარებოდნენ, შიმშილით სიკვდილი ელოდა. ჟერვეზას სამარცხვინოდ მიაჩნდა, რომ ამ ხნის დედაკაცი, რომელსაც სამი შვილი ჰყავდა, ასე ღვთისანაბარად ყოფილიყო მიტოვებული. კუპომ თვითონ არ ისურვა ლორილეებთან ლაპარაკი, მან ჟერვეზას უთხრა, – ძალიან კარგად შეგიძლია ახვიდეო, და ჟერვეზაც, უაღრესად შეწუხებული, ავიდა ლორილეებთან.

ის კარის დაუკაკუნებლივ ქარიშხალივით შევარდა მათთან. იქ არაფერი შეცვლილიყო იმ საღამოს შემდეგ, როდესაც ლორილეებმა მათთან პირველად მისული ჟერვეზა უცხვირპიროდ მიიღეს. ოთახი და სახელოსნო ერთიმეორისგან იმავე გახუნებული შალის ნაგლეჯით იყო გაყოფილი. ეს თითის სიგრძის ბინა თითქოს გველთევზისთვის აეშენებინათ. ოთახის სიღრმეში სამუშაო დაზგისკენ დახრილი ლორილე ერთიმეორეზე აბამდა ძეწკვის რგოლებს, ხოლო მადამ ლორილე ჭახრაკთან იდგა და სახრახნის საშუალებით ოქროს ძაფს ჭიმავდა. დღის კაშკაშა შუქზე პატარა ქურას ვარდისფერი დაჰკრავდა.

– დიახ, ეს მე ვარ! – წარმოთქვა ჟერვეზამ, – თქვენ ეს გაკვირვებთ, რადგან ჩვენ დანასისხლად ვართ ერთმანეთზე გადაკიდებული. მაგრამ კარგად უნდა იცოდეთ, რომ მე არც საკუთარი თავისა და არც თქვენთვის მოვსულვარ აქ... მე კუპოს დედის გამო მოვედი. დიახ, მოვედი გავიგო, თუ რას ვუპირებთ მას, – სხვის ხელში შემაცქერლად და სხვისი მოწყალების იმედად ვტოვებთ?

– კაი ამბავია! სახლში შემოჭრა, თუ გნებავთ, ამას ჰქვია! – წაიბუტბუტა მადამ ლორილემ, – ადამიანი სინდისგარეცხილი, უტიფარი არ უნდა იყოს!

ამ სიტყვების შემდეგ მან ზურგი შეაქცია ჟერვეზას და ოქროს ძაფის გაჭიმვას შეუდგა, თითქოს თავისი რძლის იქ ყოფნას არც კი ამჩნევდა. ლორილემ კი მაღლა აიღო გადაფითრებული სახე და შეჰყვირა: – რაო, რა თქვით?

ხოლო შემდეგ, რადგანაც მას ძალიან კარგად ჰქონდა გაგონილი ის, რაც ჟერვეზამ თქვა, დაუმატა: – ისევ ჭორები, მითქმა-მოთქმა და წუწუნი არა? კუპოს დედა დადის და სულ თავის სიღატაკეს შესჩივის ყველას!.. იმის მიუხედავად, რომ ჯერ გუშინწინაც აქ მიირთვა პური! ჩვენ ვაკეთებთ იმას, რაც შეგვიძლია... პერუს ოქროს მადნები ჩვენ არა გვაქვს... ხოლო თუ ეს დედაბერი სხვებთან დადის და ყბედობს, შეუძლია იქვე დარჩეს კიდეც, რადგან ჩვენ ჯაშუშები არ გვიყვარს.

ამ სიტყვების შემდეგ ლორილემ ისევ ძეწკვს მოავლო ხელი და თავის მხრივ მანაც ზურგი შეაქცია ჟერვეზას, მერე კი თითქოს ძალაუნებურად დასძინა: – თუ სხვები მისცემენ თვეში ხუთ ფრანკს, ჩვენც ხუთ ფრანკს მივცემთ.

ჟერვეზამ სიცივე იგრძნო ლორილეს გახევებული სახის დანახვაზე. ჟერვეზას ისე არ შეუდგამს ფეხი მათ სახლში, რომ ცუდად არ გამხდარიყო. თვალები ძირს დახარა, მიაშტერდა ლასტის რომბებს, რომლებზედაც ოქროს ანაფცქვენები ცვიოდა, და გონივრულად დაიწყო მსჯელობა. კუპოს დედას სამი შვილი ჰყავს. თითოეული მათგანი თუ ხუთ ფრანკს მისცემს თვეში, ეს მხოლოდ თხუთმეტ ფრანკს შეადგენს, რაც, რა თქმა უნდა, საკმარისი არ იქნება. ამ ფულით ის ვერ იცხოვრებს, სამჯერ უფრო მეტი თანხა მაინცაა საჭირო. მაგრამ ლორილე აყვირდა: საიდან მერე? სად უნდა მოიპარონ მათ ეს თხუთმეტი ფრანკი? სასაცილოა სწორედ ეს ხალხი! მათ ჰგონიათ, რომ ლორილე მდიდარია, რაკი სახლში ოქრო აქვს. ამის შემდეგ მან კუპოს დედას გადაჰკრა მათრახები: ამ მოხუცს არ სურს დილაობით ყავა მოიკლოს, არაყსაც მიირთმევს. ისეთი მოთხოვნები აქვს, თითქოს ძალიან შეძლებული ადამიანი იყოს. დალახვროს ეშმაკმა! ვის არ უყვარს თავისი თავის პატივი?! მაგრამ, როცა გროში არ შემოგინახავს შავი დღისთვის, რა გაეწყობა, მუცელზე ქამარი მაგრად უნდა მოიჭირო. იქამდე უნდა გაშალო ფეხი, სადამდისაც საბანი გაგწვდება. ამას გარდა, კუპოს დედა იმ ასაკში ხომ არ არის, რომ მუშაობა აღარ შეეძლოს. ძალიან კარგად უჭრის თვალი, როცა ლანგარზე გემრიელი ნაჭერია დარჩენილი! გაქსუებული დედაბერია, სულ იმაზე ოცნებობს, როგორ გაინაზოს და ინებივროს. საშუალებაც რომ ჰქონოდა

ლორილეს, კეთილ საქმედ არ ჩაუთვლიდა თავს ვისიმე სიზარმაცისთვის ხელის შეწყობას.

ჟერვეზა მორიგების გუნებაზე იყო და უკუღმართ მოსაზრებებზე წყნარად აძლევდა პასუხს. ცდილობდა, გული მოელბო ლორილეებისთვის. მაგრამ ქმარმა, ბოლოს, იმით დაამთავრა, რომ პასუხსაც აღარ აძლევდა. ცოლი კი ამ დროს ქურის წინ იდგა და პატარა, გრძელტარიან სპილენძის ქვაბურაში ძეწკვს ათეთრებდა. მადამ ლორილე ცდილობდა კვლავ ზურგშექცევით მდგარიყო ჟერვეზასთან. მას ასი ლიეს სიშორეზე ეჭირა თავი ამ ქალისგან. ჟერვეზა კვლავ განაგრძობდა ლაპარაკს და თან შეჰყურებდა, როგორი სიჯიუტით ჩასჭიდებოდნენ ისინი სამუშაოს შავად გამტვრიანებულ სახელოსნოში, – დამახინჯებულნი, აკონკილ-დაკონკილნი, ჭუჭყიან ტანსაცმელში, თითქოს დაძველებულ ხელსაწყოდ ქცეულნი და მანქანასავით გამოთაყვანებულნი. ჟერვეზას უეცრად გული მოუვიდა, ყელში ბრაზი მოაწვა და წამოიყვირა: – კეთილი, ასე გიჯობთ, გაუფრთხილდით თქვენს ფულს!.. მე მიმყავს კუპოს დედა, გესმით! ერთ საღამოს მე კატა ავიყვანე და დედათქვენის აყვანასაც კარგად შევძლებ ახლა! მას არაფერი მოაკლდება – ყავაც ექნება და თავისი ერთი ჭიქა არაყიც... ღმერთო ჩემო, რა საზიზღარი ოჯახია!

მადამ ლორილე უცებ მობრუნდა და ისე გაიქნია ქვაბი, თითქოს მდუღარე წყლის შესხმას უპირებდა სახეში რძალს, ენას ძლივსღა იბრუნებდა სიბრაზისგან.

– დაიკარგე აქედან, თორემ უბედურებას დავატრიალებ... ხუთი ფრანკის იმედი ნუ გექნებათ, ერთ შეკვრა ბოლოკსაც არ გავიმეტებ, ერთ თავ ბოლოკსაც!.. კაი ამბავია! ხუთი ფრანკი! დიახ! დედაჩემი თქვენ მოსამსახურედ დაიყენოთ და ჩემი ხუთი ფრანკით კი დრო ატაროთ. რახან ის თქვენთან მოდის, ასე გადაეცით ჩემ მაგივრად, სულიც რომ გძვრებოდეს, ერთ ჭიქა წყალსაც არ მოგაწოდებ-თქო... აბა ახლა გასწით აქედან, გაეთრიეთ!

– რა საზარელი დედაკაცია! – წარმოთქვა ჟერვეზამ და კარი მაგრად გაიჯახუნა.

ჟერვეზამ მეორე დღესვე თავისთან გადაიყვანა კუპოს დედა. დედაბრის საწოლი დიდ ოთახში დადგეს, სადაც ნანას ეძინა, და სადაც დღის სინათლე ჭერში გაკეთებული მრგვალი სარკმლიდან ჩამოდიოდა. კუპოს დედის გადმოსვლას დიდი დრო და შრომა არ დასჭირვებია, რადგან მთელ იმის ავეჯს ერთი საწოლი შეადგენდა, ერთი ძველი ხის კარადა, რომელიც ჭუჭყიანი სარეცხის ოთახში დადგეს, ერთი მაგიდა და ორიც სკამი. მაგიდა გაყიდეს, სკამები შესაკეთებლად მისცეს. მოხუცმა ქალმა, გადმოვიდა თუ არა, იმავე საღამოს ოთახები დაგავა, ჭურჭელი დარეცხა და ცდილობდა, რაიმე სარგებლობა მოეტანა. ის ძალიან კმაყოფილი დარჩა საქმის ასეთი კეთილი დაბოლოებით. ლორილეები გულზე სკდებოდნენ, მით უმეტეს, რომ მადამ ლერა ისევ კუპოებს დაუმეგობრდა. ერთ მშვენიერ დღეს ეს ორი და – მეყვავილე და მეძეწკვე – ძალიან წაეკიდნენ ერთმანეთს ჟერვეზას გამო. მეყვავილე ქალმა გაბედა და მოიწონა ჟერვეზას დამოკიდებულება მათ დედასთან. მერე თავისი დის

გამოსაჯავრებლად, რაკი ხედავდა, რომ ის ამის გამო ძალიან ანჩხლდებოდა, მრეცხავი ქალის თვალები შეაქო. მშვენიერი თვალები აქვს, საუცხოო, ქაღალდი რომ ახლოს მიუტანო, ცეცხლი მოეკიდებაო. ფიცი დასდეს, აღარასოდეს შეხვედროდნენ ერთიმეორეს. მადამ ლერა ახლა საღამოებს სამრეცხაოში ატარებდა და ჩუმად ტკბებოდა აყლაყუდა კლემანსის ბინძური ხუმრობით.

სამმა წელმა განვლო. ბევრჯერ წაეჩხუბნენ და ბევრჯერ კვლავ შეურიგდნენ ერთმანეთს. ჟერვეზა ძაღლად არ აგდებდა ლორილეებს, ბოშებს და ყველა იმათ, ვინც მასთან დამდურებული იყო. კმაყოფილები არ არიან? ნუ იქნებიან, სადაც უნდათ, იქ წაბრძანდნენ, ის სამყოფ სარჩოს ხომ შოულობს, მთავარი ესაა! ბოლოს და ბოლოს, ჟერვეზამ მთელ უბანში საერთო პატივისცემა მოიპოვა, რადგან ბევრი არ იყო ისეთი, ვინც მასავით წესიერად ასწორებდა ანგარიშებს, არ ჯანჯლობდა. ჟერვეზა პურს იღებდა მადამ კუდლუსგან, პუასონიერის ქუჩაზე, ხორცს – სქელი ყასაბი შარლისგან, პოლონსოს ქუჩაზე, ხოლო საბაყლო საქონელს – ლეონგრთან, გუტ-დორის ქუჩაზე, სწორედ თავისი სამრეცხაოს პირდაპირ. ფრანსუა, – ღვინით მოვაჭრე ქუჩის კუთხეში, – მას ორმოცდაათბოთლიანი კალათით უზიდავდა ღვინოს. მისი მეზობელი ვიგურუ, რომლის ცოლსაც თეძოები დალურჯებული უნდა ჰქონოდა, ისე ჩქმეტდნენ მამაკაცები, გაზის კომპანიის ფასებში უთმობდა ნახშირს.

უნდა ითქვას, რომ მიმწოდებლები სინდისიერად ემსახურებოდნენ ჟერვეზას, რადგან ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ამ ქალთან კარგი განწყობის დამყარება სახეირო იყო. ამიტომაც, როცა ჟერვეზა გარეთ, უბანში, შინაურულად ჩაცმული, თავშიშველა და ფოსტლებში ფეხწაყოფილი გავიდოდა, ყოველი მხრიდან სალამს აძლევდნენ. ჟერვეზა გარეთ თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში. მეზობელი ქუჩები თითქოს მისი ბინის გაგრძელებას წარმოადგენდა, რადგან მისი ბინის კარი პირდაპირ ქვაფენილზე გამოდიოდა. ის ხალისით გადიოდა გარეთ საქმეებზე, მხიარულად გრძნობდა თავს ნაცნობებში. იმ დღეებში, როცა დრო არ ჰქონდა, სადილი სახლში მოემზადებინა, კერძის მოსატანად მიდიოდა დუქანში, სადაც მედუქნესთან მუსაიფობდა. სახლის მეორე მხარეს მოთავსებული დუქანი ერთი ფართო დარბაზი იყო გამტვრიანებული ფანჯრებით, რომელთა ჭუჭყიან მინებში დღის მკრთალი შუქი შედიოდა ეზოდან.

ხანდახან ჟერვეზა, რომელსაც ჯამ-ჭურჭლით ჰქონდა ხოლმე დატვირთული ხელები, სარდაფის სართულის რომელიმე ფანჯრის წინ ჩერდებოდა და მასლაათობდა. ამ ფანჯარაში მოჩანდა ღარიბი ხელოსნის ბინის მოწყობილობა, არეულ-დარეული ლოგინი, იატაკზე დაყრილი ჩვრები, მოღრეცილი ბავშვის საწოლი და ჭუჭყიანი წყლით სავსე თიხის ჯამი. მაგრამ მეზობელი, რომელსაც ჟერვეზა ყველაზე მეტ პატივსა სცემდა, მის პირდაპირ ცხოვრობდა. ეს იყო მესაათე, სერთუკში გამოწყობილი, სუფთა, რიგიანი შესახედაობის კაცი, რომელიც პაწია და ფაქიზი ხელსაწყოებით განუწყვეტლივ საათებს უჩხიკინებდა. ხშირად ჟერვეზა ქუჩის მეორე მხარეს გადადიოდა, რათა ამ კაცისთვის სალამი მიეცა. ჟერვეზა მხიარულად

იცინოდა, როცა ამ კარადასავით ვიწრო სახელოსნოში პატარა გუგულიანი საათების ქანქარები აჩქარდებოდნენ და უდროო დროს ყველა ერთბაშად დაიწყებდა რეკვას.

## თავი მეექვსე

შემოდგომის დღე იყო. ნაშუადღევს ჟერვეზას სარეცხი წაეღო ერთი მუშტარი ქალისთვის პორტ-ბლანშის ქუჩაზე და საღამო ხანს პუასონიერის ქუჩის აღმართით ბრუნდებოდა. ძალიან თბილი ამინდის გამო ნაწვიმარზე ჭუჭყიან ქვაფენილს მძიმე სუნი ასდიოდა. დატვირთულ მრეცხავ ქალს სუნთქვა ეკვროდა, სხეული უდუნდებოდა და ნელი ნაბიჯით ადიოდა ქუჩაზე, ხოლო რაც უფრო მეტად იღლებოდა, მით უფრო მძლავრად ერეოდა გაურკვეველი ხორციელი სურვილი. საიმოვნებით მიირთმევდა ახლა რაიმე გემრიელს! თავი მაღლა ასწია და კარკადეს ქუჩის აბრა დაინახა. უეცრად დაებადა აზრი, გუჟეს სანახავად წასულიყო სამჭედლოში. გუჟეს, მგონი, ოცჯერ მაინც ჰქონდა მისთვის ნათქვამი, ერთ დღეს თუ დაინტერესდით, შემოდგით ფეხი ჩემს სამჭედლოში და ჩემი მუშაობა ნახეთო.

ჟერვეზამ გადაწყვიტა მუშების თანდასწრებით ეტიენი ეკითხა, ვითომ მხოლოდ და მხოლოდ პატარა ბიჭის სანახავად იყო მისული.

ჭანჭიკებისა და ბოქლომების ფაბრიკა სადღაც აქ, მარკადეს ქუჩის ბოლოში უნდა ყოფილიყო, მაგრამ სად იყო, ჟერვეზამ ეს ზედმიწევნით არ იცოდა. მით უმეტეს, რომ ამ ცარიელ ადგილებზე გაფანტული ქოხმახების უმრავლესობა დაუნომრავი იყო. ეს ისეთი ქუჩა იყო, რომელზედაც მთელი ქვეყნის ოქრო რომ მიეცათ, ჟერვეზა მაინც არ ისურვებდა დასახლებას. ქუჩა ფართო იყო და ჭუჭყიანი, ჩაშავებული მეზობელი ფაბრიკების ქვანახშირის მტვრით. გადაჩიჩქნილი ქვაფენილები და თხრილები ჰქონდა, სადაც დამყაყებული წყლის გუბეები იდგა მუდამ. ქუჩის ორივე მხარეს დიდი შუშაბანდიანი სახელოსნოები და ფარდულები იყო გამწკრივებული... მათ ნაცრისფერ, თითქოს დაუმთავრებელ შენობებს ხარაჩოები და აგურები უჩანდა. ამ ქვის ზვინებს შუა ვიწრო შუკები გადიოდა პირდაპირ მინდორში. ხოლო აქეთ-იქით, ალაგ-ალაგ გაფანტული იყო საეჭვო დუქან-სასადილოები და ჭუჭყიანი სასტუმროები. ჟერვეზას მხოლოდ ის ახსოვდა, რომ სამჭედლო ხარახურისა და ძველი რკინეულის მაღაზიის გვერდით უნდა ყოფილიყო, იმ პირდაღებული ორმოს გვერდით, რომელშიც, გუჟეს სიტყვით, ასეული ათასი ფრანკის ღირებულების საქონელი ეყარა.

ჟერვეზა ქარხნების გუგუნში ცდილობდა გზის გაგნებას. სახურავებზე ვიწრო მილები ძლიერი ქშენით ისროდნენ ორთქლის ქულებს. სახერხი ქარხნის რეგულარული

ხმაური მიტკლის ნაჭრის უეცარი ჩახევის ხმას მიაგავდა. ღილების დამამზადებელი ფაბრიკის მანქანები მიწას აზანზარებდნენ ტრიალითა და დაგადუგით. ჟერვეზა მონმარტრისკენ იცქირებოდა და ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა უფრო შორს წასვლა. ამ დროს ქარმა წამოუბერა, ერთ-ერთი საკვამლე მილიდან ჭვარტლიანი კვამლი წამოიღო და მთელი ქუჩა გამურა. ჟერვეზამ თვალი დახუჭა, სული შეუგუბდა და სწორედ ამ დროს უროების თანაბარზომიერი ხმაურიც შემოესმა. იგი შეუცნობლად, სწორედ ფაბრიკის პირდაპირ აღმოჩენილიყო და ეს ადგილი მან იქვე გვერდით მოთავსებული, ხარახურებით გამოტენილი ორმოს მიხედვით იცნო.

ამის მიუხედავად, ის ისევ ყოყმანობდა, არ იცოდა, საიდან შესულიყო. დანგრეული მესრის შესასვლელი დაშლილი სახელოსნოს ღორღში იკარგებოდა. გზაზე ლაფიანი წყლის გუბე იდგა. მასზე გადასასვლელად ორი ფიცარი გაედოთ. საბოლოოდ ჟერვეზამ ამ ფიცრებზე გასვლა გაბედა, მერე მარცხნივ შეუხვია, და გადაბრუნებულ, ხელნააწეული ძველი ფორნებისა და დანგრეული ქოხმახებისგან დარჩენილი, მაღლა აღმართული ჩონჩხების უცნაურ ტყეში მოექცა. ეზოს სიღრმეში, საღამოს ჭუჭყიან ბინდბუნდში ქურის წითელი ცეცხლი ვარვარებდა. უროების ხმაური შეწყდა. ჟერვეზა ფრთხილად მიიკვლევდა გზას, მას სინათლისკენ ეჭირა გეზი. ამ დროს გვერდით ერთმა მუშამ ჩაუარა. მას ჭვარტლით გამურული სახე ჰქონდა, თხის კიკინა წვერები და მისი მკრთალი თვალები ქვეშ-ქვეშ გამოიყურებოდნენ.

– მუსიე, – შეეკითხა მას ქალი, – განა აქ არ მუშაობს ერთი ბიჭი, სახელად ეტიენი?.. ის ჩემი შვილია!

– ეტიენი, ეტიენი, – ხრინწიანი ხმით იმეორებდა მუშა, თან ერთ ადგილზე იტკეპნებოდა, – ეტიენი! არა არ ვიცნობ.

გააღო თუ არა ამ კაცმა პირი, ალკოჰოლის ისეთი სუნი ამოვარდა, თითქოს არყის ძველ კასრს საცობი მოხსნესო. ქალთან ბნელ კუთხეში შეხვედრა, როგორც ჩანს, ამ კაცს მხიარულ გუნებაზე აყენებდა და ამიტომ ჟერვეზამ უკან დაიხია ბუტბუტით: – განა აქ არ მუშაობს მუსიე გუჟე?

– ახ! გუჟე, დიახ! – წარმოთქვა მუშამ, – გუჟეს ვიცნობ... თუ გუჟესთვის მოსულხართ... აგერ იქით მიბრძანდით, შიგნით.

შემდეგ ეს კაცი მიბრუნდა და გაბზარული სპილენძის მსგავსი ხმით შესძახა: – გესმის, შენ, ოქროს ყბავ, შენთან არიან!

ჟერვეზა შუაგულისკენ გაემართა. იქ ერთ კარს მიადგა და შეიხედა. მის წინაშე იყო ფართო დარბაზი, რომელშიც ჯერ ვერაფერს არჩევდა. თითქოს უსიცოცხლო სამჭედლოს კუთხეში ვარსკვლავივით კიაფობდა მკრთალი შუქი, რომელსაც ჯერ კიდევ სიბნელე სძლევდა, ხოლო ამ სიბნელეში უზარმაზარი ჩრდილები დაფარფატებდნენ. დროგამოშვებით ცეცხლს რაღაც შავი მასები ეფარებოდნენ და შუქის ამ ერთადერთ ლაქასაც გზას უკრავდნენ. ეს იყო მამაკაცების უზომოდ

გაზრდილი ფიგურები. ჟერვეზა შესვლას ვერ ბედავდა და კარიდან ოდნავ გასაგონი ხმით უძახოდა: – მუსიე გუჟე, მუსიე გუჟე!..

უეცრად ყველაფერი განათდა. საბერველმა დაიქშინა და ირგვლივ თეთრი ალის ძნები გაიფანტა. ამ შუქზე გამოჩნდა ფიცრებისგან შეკოწიწებული ფარდული ტლანქად გამოჩორკნილი კარით, სარკმლებით და გასამაგრებლად კუთხეებში დატანებული აგურის კედლებით. ქვანახშირის მტვერი ნაცრისფერი ჭვარტლით აფერადებდა ფარდულს. მრავალი წლის ჭუჭყით დამძიმებული აბლაბუდები მაღლა გასაშრობად ჩამოფენილი ჩვრებივით ეკიდა ბოძებზე. კედლების გასწვრივ თაროებზე დალაგებული ან ლურსმნებზე დაკიდებული, ზოგან კი უბრალოდ ბნელ კუთხეებში უწესრიგოდ იყო მიყრილ-მოყრილი, ძველი, დაჟანგული რკინეული, გაცვეთილი უზარმაზარი ხელსაწყო და მიმტვრეულ-მომტვრეული დაჭეჭყილი იარაღი. თეთრი ალი მატულობდა, ლაპლაპებდა და მზესავით ანათებდა დატკეპნილ მიწურ იატაკს, რომელზედაც ოთხი გრდემლის გაპრიალებული ფოლადი ოქროში დაფერილი ვერცხლივით ელვარებდა.

ქურის წინ იდგა გუჟე, რომელიც ჟერვეზამ მისი ყვითელი, ლამაზი წვერით იცნო. ეტიენი საბერველს ბერავდა. იქვე სხვა ორი მუშაც ტრიალებდა, მაგრამ ჟერვეზა გუჟეს მეტს ვერავის ხედავდა. ქალმა წინ წადგა ფეხი და გუჟეს წინ გაჩერდა.

– ვაჰ! მადამ ჟერვეზა! – წამოიძახახ გუჟემ და სახე გაუბრწყინდა, – რა სასიამოვნო სიურპრიზია.

მაგრამ, რადგანაც მის ამხანაგებს სახეზე ცელქური ღიმილი უთამაშებდა, მან უცებ მოიფიქრა – ეტიენი წასწია დედისკენ და დასძინა: – თქვენი პატარა ბიჭის სანახავად მობრძანდებოდით... ეტიენი ჭკვიანად იქცევა, უკვე ხელიც გაიწაფა.

– ახ, კარგია! – წარმოთქვა ქალმა, – ადვილი არ ყოფილა აქ მოსვლა... მე მეგონა, ქვეყნის დასალიერს მოვექეცი-მეთქი...

და ჟერვეზა მოჰყვა თავისი მოგზაურობის ამბავს, მერე იკითხა, რატომ არავინ იცის აქ ეტიენის სახელი, რაზედაც გუჟემ გაიცინა და აუხსნა, რომ პატარა ბიჭს აქ ყველანი ზუზუს ვეძახით მოფერებითო. სანამ ესენი მუსაიფობდნენ, ეტიენმა საბერველს ხელი მიუშვა და ცეცხლის ალმაც იკლო. ვარდისფერი შუქი ნელ-ნელა დაილია და ფარდულის შუაგული წყვდიადმა მოიცვა. მჭედელი სინაზით შესცქეროდა მოღიმარ ახალგაზრდა ქალს, რომელიც მეტისმეტად ნატიფი მოჩანდა ამ შუქზე. სიბნელეში გახვეულნი იდგნენ ორივენი და ხმას არ იღებდნენ. ბოლოს, გუჟეს თითქოს რაღაცა გაახსენდა და სიჩუმე დაარღვია: – თუ ნებას მომცემთ, მადამ ჟერვეზა, ცოტაოდენი სამუშაო მაქვს დასასრულებელი. თქვენ ხომ დარჩებით აქ? ამით ხელს არავის შეუშლით.

ქალი დარჩა. ეტიენი ისევ საბერველს მოეჭიდა. ქურა კვლავ გაღვივდა და ბღუჯა-ბღუჯა ნაპერწკლებს ისროდა აქეთ-იქით. პატარა ბიჭს უნდოდა დედისთვის თავისი

ხელის სიმარჯვე ეჩვენებინა და ისე მძლავრად ააქშინა საბერველი, რომ კორიანტელი დააყენა. გუჟე მაშით ხელში იდგა, ცეცხლზე დადებულ რკინის ძელაკს უთვალთვალებდა და უცდიდა. ჩახჩახა და ძლიერი ალი ანათებდა მას. პერანგის სახელოები აეკეცა, საკინძე გაეხსნა, გულმკერდგაღეღილს ქალიშვილივით ვარდისფერ კანზე ქერა ბუსუსები უჩანდა. უზარმაზარ, მაღალ კუნთებთან მხრებში ცოტა ღრმად ჩამჯარი თავი, ყურადღებით სავსე სახე და დაუხამხამებლივ ცეცხლის ალზე მიშტერებული ღია თვალები მოგაგონებდათ გოლიათს, რომელიც წყნარად დგას და ისვენებს, საკუთარი ძალაში დარწმუნებული. რკინის ძელაკი თეთრად გავარვარდა, გუჟემ მაშა მოავლო მას და, გრდემლზე უროს დარტყმებით, ნაჭერ-ნაჭერ დაყო, ამასთან ისეთი თანაბარზომიერი და მსუბუქი მოძრაობა ჰქონდა, თითქოს მინის ჯოხს ამტვრევდა. შემდეგ რკინის ნაჭრებს ცეცხლში აწყობდა და სათითაოდ იღებდა იქიდან, რათა მათთვის ფორმა მიეცა. გუჟე ჭედავდა ლურსმნებს ექვსწახნაგიანი ქუდებით. ჯერ განსაკუთრებულ ყალიბში დებდა რკინის ძელაკს, შემდეგ ჭყლეტდა, ქუდის ფორმას მიაღებინებდა, ექვს წახნაგად გააბრტყელებდა და, დასასრულ, სავსებით გამზადებულსა და ჯერ კიდევ წითლად მოვარვარე ლურსმანს შავ მიწაზე დააგდებდა, სადაც ის თანდათან კარგავდა ღია წითელ ფერს. ამ საქმეს ის უროს განუწყვეტელი ქნევით ასრულებდა. ხელში ხუთგირვანქიანი ურო ეჭირა და ყოველ დარტყმაზე რაიმე დეტალს ამთავრებდა. ისე მარჯვედ ატრიალებდა და ამუშავებდა რკინას, რომ ამ დროს მუსაიფიც შეეძლო ყველასთან და მათი ცქერაც. გრდემლი ვერცხლივით წკრიალებდა. გუჟეს წვეთი ოფლი არ გამოსვლია, ძალიან თავისუფლად, სახეზე უწყინარი გამომეტყველებით ურტყამდა უროს და ახლაც თითქოს იმაზე მეტი ძალა არ ეხარჯებოდა, რაც სჭირდებოდა საღამოობით შინ, როცა ჟურნალებიდან ნახატებს ჭრიდა.

– ოხ! ესა? ესენი ხომ პატარა ლურსმნებია, ოცმილიმეტრიანი, – ეუბნებოდა იგი ჟერვეზას მისი შეკითხვების საპასუხოდ. – ამისთანა ლურსმნები დღეში შეიძლება სამასიც გამოჭრა... მაგრამ ამას შეჩვევა უნდა, თორემ სულ ადვილად შეიძლება მხარი ამოიგდო.

როდესაც ჟერვეზამ ჰკითხა, – დღის ბოლოს ხელი ხომ არ გიბუჟდებათო, – მჭედელმა გულიანად გადაიხარხარა, ქალიშვილი ხომ არ გგონივართო. მის მაჯას ბევრი რამ უნახავს ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში, ხელსაწყოების ამდენ ტრიალში რკინასავით გაუმაგრდა ხელი. თქვენ მხოლოდ ერთში ხართ მართალი: თუ ვინმე, ვისაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში არც ერთი ლურსმანი და არც ერთი ჭანჭიკი არ გამოუჭედია, მისი ხუთგირვანქიანი უროთი თამაშს მოინდომებს, ორი საათიც არ გაივლის, რომ მას შავი დღე დაადგება. ერთი შეხედვით, თითქოს ეს არაფერია, მაგრამ ბევრი მაგარი ბიჭი გამოუყვანია მწყობრიდან სულ რამდენიმე წლის განმავლობაში. ისინი რომ ამ ლაპარაკში იყვნენ, დანარჩენი მუშები ერთბაშად ურტყამდნენ უროს. მათი ლანდები ცეკვავდნენ ბრძმედის შუქზე და გახურებული რკინის ძელაკები წითლად ვარვარებდნენ სიბნელეში. უროების ქვემოდან გუნდ-გუნდად ცვიოდა ნაპერწკლები და მზიურ შუქს ჰფენდა გარემოს. ჟერვეზა გრძნობდა,

რომ სამჭედლოს მუშაობამ გაიტაცა, რომ წასვლა აღარ უნდოდა იქიდან. ქალს შორიდან შემოვლა დასჭირდა, რომ ხელები არ დასწვოდა, და ისე მიუახლოვდა ეტიენს. ამ დროს შემოვიდა ის ჭუჭყიანი, წვერიანი მუშა, რომელსაც ჟერვეზამ შეკითხვით მიმართა ეზოში: – მიაგენით, მადამ, – ლაზღანდარული კილოთი წარმოთქვა მან, – შენ იცი, ოქროს ყბავ, მე მოვასწავლე შენკენ გზა...

ამ კაცს მეტსახელად მლაშე ხახას ანუ მარად მწყურვალს უწოდებდნენ. ოსტატთა ოსტატი იყო თავის ხელობაში, სამაგალითო ლურსმნების მჭედავი, ხოლო მუშაობის დროს თითო ლიტრი არყით ყელს ისველებდა. ახლაც ჭიქა არყის გადასაკრავად იყო გასული, უამისოდ ის ერთ საათსაც ვერ უძლებდა მუშაობას, ხალისი არ ჰყოფნიდა. ეს კაცი დიდად გაამხიარულა იმ ამბავმა, რომ ზუზუს ეტიენი რქმევია. ის იცინოდა და სიცილის დროს შავ კბილებს აჩენდა. ბოლოს მიხვდა, ვინც იყო ჟერვეზა. გუშინ არ იყო, რომ მან და კუპომ თითო ჭიქა შაბიამანზე დაყენებული არაყი ერთად გადახუხეს! უთხარით ერთი კუპოს ჩემი სახელი მლაშე ხახა, ეგრეთ წოდებული მარად მწყურალი ვნახე-თქო და ნახავთ, თუ მაშინვე არ წამოიძახოს – კაციც მაგას ჰქვიაო. ახ! ის პირუტყვი, ისა! კუპო! კაი გულისა კი არის! ხშირად უყვარს ერთ ჭიქაზე რიგგარეშე დაპატიჟება.

– ძალიან სასიამოვნოა ჩემთვის ამის გაგება, რომ თქვენ მისი მეუღლე ყოფილხართ, – იმეორებდა მლაშე ხახა, – კუპო ღირსია იმისი, რომ ლამაზი ცოლი ჰყავდეს...

– არა, განა? ოქროს ყბავ, ხომ ლამაზი ქალია?

ეს კაცი ცდილობდა თავი აშიკივით დაეჭირა და მრეცხავი ქალისკენ იწევდა, მაგრამ ჟერვეზამ კალათი წინ აიფარა, რათა აბეზარი კაცი ახლოს არ მიჰკარებოდა.

გუჟე მიხვდა, რომ მისი ამხანაგი მასხრად იგდებდა მის კეთილ მეგობრობას ჟერვეზასთან, გაჯავრდა და დაუყვირა: – შენ ეს მითხარი, მცონარავ, ორმოცმილიმეტრიანები როდისღა იქნება?.. ახლა მაინც თუ ხარ მუშაობის გუნებაზე? როცა ამოივსე ეგ ფაშვი, წყეულო ლოთო!

მჭედელი იმ დიდ ლურსმნებზე ლაპარაკობდა, რომელთაც ორი მუშახელი სჭირდებოდა გრდემლზე.

– თუ გინდა ამ წუთშივე შევუდგები, დიდო ბალღო, – მიუგო მას მლაშე ხახამ.

– ხომ იცით, ეს ჯერ კიდევ სულ ბავშვია, თავი კი დიდი ადამიანი ჰგონია. ზორბა კი ხარ, მაგრამ ბევრი შენისთანას ოხტში მოვსულვარ.

– კეთილი, დაე, აგრე იყოს, ახლავე დავიწყოთ ორივემ.

– კარგი, დავიწყოთ, ბოროტო!

ორივენი გაღიზიანებული იყვნენ ჟერვეზას იქ ყოფნით და ერთმანეთს ახელებდნენ. გუჟემ ცეცხლზე დააწყო წინასწარ გამზადებული რკინის ძელაკები. მერე დიდი

ზომის ლურსმნების ყალიბი გრდემლზე მიამაგრა, ხოლო მისმა ამხანაგმა ამ დროს კედლიდან ჩამოიღო ორი ნახევარფუტიანი ურო, სახელოსნოს ორი დობილი, რომლებსაც მუშები სახელად ფიფინას და დედელს უწოდებდნენ. გუჟეს ამხანაგი კვლავ განაგრძობდა ტრაბახს, ის ნახევარგროშიან ლურსმნებზე ლაპარაკობდა, იმ ლურსმნებზე, რომლებიც მას დიუნკერკის შუქურისთვის გამოუჭედავს. სანახავად ღირდა, ისეთი ძვირფასი სათამაშოები იყო, სწორედ სამუზეუმო ნივთებიო. რა ოსტატურად იყვნენ გამოჭედილნი, რა დახვეწილები იყვნენ, დალახვროს ეშმაკმა! არა! მას კონკურენციისა არ ეშინია, დედაქალაქის ყველა კუთხე-კუნჭული უნდა გადაჩხრიკო, რომ ამისთანა მარჯვე ბიჭი გამოძებნო. უყურეთ, აქ რა სიცილი იქნება, რა სეირსა ნახავთ!

– ჩვენი მსაჯი მადამ ჟერვეზა იყოს, – დაუმატა მან.

– კმარა ლაპარაკი! – დაუყვირა გუჟემ, – აბა, ზუზუ, დასცხე, უფრო ცოცხლად, ჩემო ბიჭო!

მლაშე ხახამ კვლავ იკითხა: – მაშ, ერთად ვჭედავთ?

– არა, ჩემო ძმაო! სრულებითაც არა! თითოეულმა ჩვენგანმა თავისი ლურსმანი თვითონ უნდა გამოჭედოს.

ამ წინადადებამ გუჟეს ამხანაგი, მიუხედავად მისი ქადილისა, ცოტა არ იყოს, გააგრილა, ხალისი წაართვა. ჯერ არავის უნახავს, რომ ორმოცმილიმეტრიანი ლურსმანი ერთ კაცს გამოეჭედოს. მით უმეტეს, რომ ლურსმნებს მრგვალი თავები უნდა ჰქონოდა, ეს კი მეტად ძნელი სამუშაო იყო და ნამდვილ ოსტატობას მოითხოვდა. სამჭედლოს დანარჩენმა მუშებმა – სამმა კაცმა, მიატოვა სამუშაო და საცქერად მოვიდნენ. ერთი ხმელ-ხმელი, მაღალი მუშა ნაძლევს დებდა ერთ ბოთლ ღვინოზე, რომ გუჟე დამარცხდებოდა. ამასობაში ორივე მჭედელმა თვალი დახუჭა; და ასე თვალდახუჭულებმა აიღეს ხელში სათითაოდ ურო, რადგან ფიფინა ნახევარი გირვანქით მძიმე იყო დედელზე, მლაშე ხახამ დედელს დაადო ხელი, ხოლო ოქროს ყბას ფიფინა შეხვდა. მლაშე ხახა იმის მოლოდინში, რკინა გათეთრებულიყო, თავმომწონედ იდგა გრდემლის წინ და მრეცხავ ქალს ნაზად ჩაუკრავდა ხოლმე თვალს. იგი იჭიმებოდა, წელში იმართებოდა და მიწაზე ფეხს სცემდა, როგორც მებრძოლი, რომელიც ხმალში იწვევს მოწინააღმდეგეს და წინდაწინვე მთელი ძალით ჰაერში ატრიალებდა დედელს. ახ! მეხიც დასცემია! მას იმდენი ძალა აქვს, რომ შეუძლია ლავაშივით გააბრტყელოს თვით ვანდომის სვეტი!

– აბა, დაიწყე! – უთხრა გუჟემ და ქალის მუშტისოდენა რკინის ნაჭერი თვითონვე ჩადო ყალიბში.

მლაშე ხახა, იგივე მარადი წყურვილი, უკან გადაიხარა და ორივე ხელით აიქნია თავისი ურო. ის ჩია კაცი იყო, გამხმარი და თხისწვერა. აჩეჩილ-დაჩეჩილი ქოჩრის ქვეშ მგლის თვალები უციმციმებდა. უროს ყოველ მოქნევაზე ორად იკაკვებოდა და

ისე მაღლა ხტოდა, თითქოს საკუთარი ხელის მოქნევის ძალა ჰაერში იტაცებდა. გაცოფებული იყო, გააფთრებით ებრძოდა რკინას, თითქოს უჯავრდებოდა მის სიმკვრივეს და სიხარულით ბრდღვინავდა, როცა მარჯვედ მოახვედრებდა უროს. შესაძლებელია, ზოგიერთს მკლავს უსუსტებს არაყი, მაგრამ მას სისხლის მაგივრად სჭირდებოდა იგი ძარღვებში: ახლახან გადახუხული სასმელი ქვაბივით უხურებდა შიგნეულს და ორთქლის ქვაბის შეჩვენებულ ძალას ანიჭებდა. ამ საღამოს რკინას თითქოს ეშინოდა ამ კაცისა, რომელიც საღეჭ თუთუნზე უფრო რბილად აბრტყელებდა მას.

უნდა გენახათ, როგორ ცეკვავდა მის ხელში დედელი, რა ნახტომებს აკეთებდა, როგორ ელიზე-მონმარტრის ჯამბაზი ქალივით ისროდა ჰაერში ფეხებს, როდესაც ამ ქალს ტრუსი გამოუჩნდებოდა ხოლმე. ასეთ დროს პირის დაღება და ხელის შეშვება არ ვარგა, თორემ რკინა ისეთი შეჩვენებული რამ არის, რომ თუ ერთი შეანელე უროს დარტყმა, მყისვე გაცივდება. მლაშე ხახამ, იმავე მარადმა წყურვილმა უკვე ოცდაათი დარტყმის შემდეგ თავი გაუკეთა ლურსმანს. მაგრამ ძლივსღა სუნთქავდა, თვალები ბუდიდან უვარდებოდა და საშინლად აფთრდებოდა, როცა საკუთარი მკლავის ტკაცუნი ესმოდა. ბოლოს და ბოლოს, ასე გაშმაგებულმა, ღრიალითა და ცეკვით ორჯერ კიდევ დაჰკრა ურო, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ შური ეძია დაქანცულობის გამო და ყალიბიდან კუზიანივით თავმოღრეცილი ლურსმანი გამოიღო.

– აჰა! ხომ სუფთა ნამუშევარია! – მაინც თავისებური რიხით წამოიძახა მან და ჟერვეზას თავისი ნამუშევარი გაუწოდა.

– მე ამისი არაფერი გამეგება, მუსიე, – ფრთხილად მიუგო მრეცხავმა ქალმა.

ჟერვეზა ძალიან კარგად ხედავდა ლურსმანზე დედელის ორი უკანასკნელი დარტყმის შედეგს და მეტად კმაყოფილიც დარჩა ამით. იგი ტუჩებს იკვნეტდა, რომ არ გასცინებოდა, რადგან ამჟამად უკვე ყველა შანსი გუჟეს მხარეზე იყო.

ახლა ოქროს ყბის ჯერიც დადგა.

გუჟემ, ვიდრე დაიწყებდა მუშაობას, სიყვარულით სავსე თვალებით გადახედა ქალს, მერე აუჩქარებლად გადგა გრდემლიდან, მაღლა ასწია ურო და თანაბარზომიერი მძლავრი აქნევით შეუდგა საქმეს. მისი მუშაობა კლასიკური, სწორი, მარჯვე და წონასწორობის დამცველი იყო. ფიფინა მის ორივე ხელში დუქანში გამომთვრალ და კაბაწამოწეული ქალივით კი არ ისროდა ტლინკებს! არა, ის ხან მაღლა ავიდოდა, ხან დაბლა დაეშვებოდა კეთილშობილი მანდილოსნის თანაბარზომიერებით, სერიოზული იერით, და თითქოს რომელიღაც ძველებურ მენუეტს ასრულებდა. ფიფინათი დარბაისლურად და გამოთვლით ურტყამდა გრდემლს, მოფიქრებით და შეგნებით ეშვებოდა თავზე გავარვარებულ რკინასა და ლურსმნებს. ჯერ შუაში ჩაჭყლეტდა ლითონს, ხოლო შემდეგ მთელი რიგი რიტმული და ზუსტი დარტყმით ფორმას ჭედავდა. ეჭვი არ არის, რომ ოქროს ყბას ძარღვებში არაყი არ უდიოდა, ეს ნამდვილი სისხლი იყო, წმინდა სისხლი, რომელიც თვით ურობიც კი ფეთქავდა

მძლავრად და მჭედლის მუშაობას აწესრიგებდა. რა საუცხოო სანახავი იყო ეს ვაჟკაცი მუშაობისას. თავით ფეხამდე გრდემლის ელვარე შუქით განათებულს მოკლე თმის ხვეულები დაჰფენოდა დაბალ შუბლზე. კულულებად ეყარა მშვენიერი, ყვითელი წვერი, რომელიც ოქროსფრად ჰფენდა შუქს მთელ მის სახეს. მართლაც ვარაყიანი სახე ჰქონდა, თლილი და ბავშვის ყელივით თეთრი კისერი, მკერდი კი იმდენად ფართო და განიერი, რომ ზედ გარდიგარდმო დაწოლილ ქალს დაიტევდა, ხოლო მისი გამოძერწილი მხრები და მკლავები რომელიმე სამუზეუმო გოლიათისგან გადმოღებული ასლი გეგონებოდათ. უროს თითოეულ აქნევაზე გუჟეს კუნთები ებურცებოდა და კანქვეშ დაძაბული, მკვრივი სხეულის ბორცვები აუგორდებოდა ხოლმე. მხრები, მკერდი და ყელი ებერებოდა. ის შუქს ჰფენდა გარემოს, ყოვლისშემძლე იყო და გოლიათივით ძლიერი. გუჟემ უკვე ოცჯერ დაჰკრა ფიფინა, თვალები რკინისთვის მიეშტერებინა და ყოველი დარტყმის შემდეგ სულს ითქვამდა. მხოლოდ საფეთქლებზე ჩამოუვარდა ორი მსხვილი წვეთი ოფლი. დარტყმებს ითვლიდა: ოცდაერთი, ოცდაორი, ოცდასამი... და ფიფინაც განაგრძობდა წარჩინებული ბანოვანის რევერანსებს.

– როგორ ფაფხურობს! – დაცინვით წაიდუდუნა მლაშე ხახამ.

ჟერვეზა გუჟეს პირდაპირ იდგა და ღიმილით შესცქეროდა. ღმერთო ჩემო! რა სულელები არიან მამაკაცები! განა ეს ორი კაცი ახლა მისთვის არ ურტყამს ასე გაშმაგებით, რომ ქალს თავი მოაწონონ! ახ! ჟერვეზას კარგად ესმოდა, რომ ისინი უროს დარტყმებით მის თავს ედავებოდნენ ერთმანეთს და ორი დიდი წითელი მამალივით ვაჟკაცობდნენ ამ თეთრი, პატარა ვარიკას წინაშე. ამასაც ხომ გამოგონება უნდა? უცნაურად ამჟღავნებს ზოგჯერ გული გრძნობებს. დიახ, ამ ქალისთვის გაჰქონდათ ბაგაბუგი გრდემლზე დედელსა და ფიფინას. მისთვის გაიჭყლიტა ეს რკინაც, მის გამო ზანზარებდა მთელი სამჭედლო, მისთვის ვარვარებდა ეს ხანძარი და მოკაშკაშე ნაპერწკლებს ისროდა აქეთ-იქით. ქალის წინაშე ჭედავდა ორი მჭედელი საკუთარ სიყვარულს და ერთიმეორეს ეჯიბრებოდა, თუ ვინ უკეთ გამოჭედავდა. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ჟერვეზას გულის სიღრმეში სასიამოვნოდ რჩებოდა ეს ამბავი, რადგან ქალებს უყვართ, როცა მათ ეტრფიან. ჟერვეზას განსაკუთრებით ოქროს ყბის უროს დარტყმები ხვდებოდა გულში. როგორც გრდემლზე, ისე მის გულშიც წკრიალებდა ეს დარტყმები. ეს წმინდა მუსიკა ბანს აძლევდა მჭედლის სისხლის ძლიერ ჩქროლას. შესაძლებელია, ეს სისულელეც იყოს, მაგრამ ჟერვეზა გრძნობდა, რომ მას თითქოს გულში ესობოდა რაღაც რკინის ლურსმანივით მტკიცე და მყარი. შებინდებისას, როდესაც სამჭედლოსკენ მოაბიჯებდა სველ ქვაფენილზე, გაურკვეველი სურვილი ერეოდა, უნდოდა შეეჭამა რაიმე გემრიელი. ახლა კი აღარაფერი უნდოდა, თითქოს ოქროს ყბის უროს დარტყმებით დანაყრდა. ოხ! ჟერვეზას ეჭვი არ შეუტანია მის გამარჯვებაში. გუჟე გაიმარჯვებს; მლაშე ხახა, იგივე მარადი წყურვილი ძალიან მახინჯია ჭუჭყიანი ქურთუკითა და მაიმუნისებრი ხტუნაობით! ჟერვეზა იცდიდა, მთლად

აწითლებული, მაგრამ მას სიამოვნებდა ეს აუტანელი სიცხე. უხაროდა, როცა ფიფინას საბოლოო დარტყმების გამო თავით ფეხამდე თრთოდა.

გუჟე კვლავ ითვლიდა დარტყმებს.

– და ოცდარვა! – წამოიყვირა ბოლოს და ურო მიწაზე დადო, – მზად არის! შეგიძლიათ ნახოთ!

ლურსმანს თავი სუფთა, გაპრიალებული და გადატკეცილი ჰქონდა, არც ერთი ნაკაწრი არ ემჩნეოდა ზედ. ოქრომჭედლის ნამუშევარს ჰგავდა, თითქოს ყალიბში ჩამოუსხამთო. მუშები თავის ქნევითა და სიამოვნებით შეჰყურებდნენ ლურსმანს. ლაპარაკი ზედმეტი იყო, უნდა დაეჩოქათ მის წინაშე. მლაშე ხახა შეეცადა ხუმრობაში გაეტარებინა ეს, მაგრამ, ბოლოს, რაღაც გაურკვეველი წაილუღლუღა და ცხვირჩამოშვებული გაემართა თავისი გრდემლისკენ. ამ დროს კი ჟერვეზა გუჟეს მიჰკვროდა, ვითომც იმიტომ, რომ უკეთესად დაეთვალიერებინა მისი ნამუშევარი. ეტიენმა საბერველი მიატოვა და სამჭედლო ისევ სიბნელემ მოიცვა. ქურა ბრწყინავდა წითელი ვარსკვლავივით, რომელსაც უეცრად წყვდიადი ნთქავს. მჭედელი და მრეცხავი ქალი ერთიმეორეს მიკრულნი იდგნენ და უხაროდათ, რომ ირგვლივ წყვდიადი სუფევდა. ამ ჭვარტლით გაშავებულ და რკინის ნახერხით სავსე ფარდულში ძველი რკინეულის სუნი ტრიალებდა. ესენი კი, ალბათ, ამაზე მეტ განმარტოებას თვით ვენსენის ტყეშიც ვერ იგრძნობდნენ, ხშირი ბალახის გარემოცვაში რომ დაენიშნათ ერთმანეთისთვის პაემანი. გუჟემ ისე წაავლო ხელი ჟერვეზას, თითქოს ეს-ეს არის, დაიპყროო.’

მერე გარეთ გავიდნენ. აქაც კრინტი არ დაუძრავთ. გუჟე სიტყვებს ვერ პოულობდა. მან მხოლოდ შენიშნა, რომ ჟერვეზას შეეძლო ეტიენი თან წაეყვანა, ნახევარი საათი სამუშაო რომ არ ჰქონოდა კიდევ დარჩენილი. ბოლოს ჟერვეზამ წასვლა დააპირა, მაგრამ გუჟემ კვლავ მოიხმო იგი, რათა რამდენიმე წუთით კიდევ გაეჩერებინა თავისთან.

– აქეთ მობრძანდით, თქვენ ყველაფერი არ დაგითვალიერებიათ, არა, მართლა ეს ძალიან საინტერესოა...

გუჟემ ჟერვეზა მარცხნივ წაიყვანა, მეორე ფარდულში, სადაც მის პატრონს მთელი მექანიკური სახელოსნო ჰქონდა მოწყობილი. კარის დირეზე ჟერვეზა შეკრთა, ინსტინქტურმა შიშმა შეიპყრო. მანქანების მუშაობა არყევდა და აზანზარებდა ფართო დარბაზს. აქა-იქ წითელი ცეცხლის ლაქებით დაჩითული ვეება ჩრდილები მოძრაობდნენ. გუჟემ ღიმილით დაამშვიდა ქალი, არწმუნდებდა, აქ საშიში არაფერიაო, მაგრამ ამასთანავე გააფრთხილა, ყურადღებით ყოფილიყო, და ბოლოკაბის კალთა მანქანის კბილანას არ მოსდებოდა. გუჟე წინ წაუძღვა ჟერვეზას გამაყრუებელ ხმაურში, სადაც ერთმანეთში ირეოდა ათასგვარი ხმა: სტვენა, ხიხინი, ხრიალი – და კვამლში, რომელიც სავსე იყო გაურკვეველი ლანდებით, საქმიანად მოფუსფუსე შავი ადამიანებით. მანქანები კი ამ დროს ფრთებს იქნევდნენ და ჟერვეზა

მათ ერთიმეორისგან ვერ არჩევდა. გასასვლელი მეტად ვიწრო იყო, საჭირო იყო დაბრკოლებათა გადალახვა, თავის არიდება ხვრელებისთვის. ჟერვეზა კვლავ ვერაფერს ხედავდა. ყველაფერი ცეკვავდა მის თვალწინ. მერე, როდესაც ზემოთ, სულ მაღლა უზარმაზარი ფრთების შრიალი იგრძნო, აიხედა და დაინახა გრძელი ღვედები ჭერთან გაბმული ობობას გოლიათური ქსელივით, რომლის თითოეული ძაფი დაუსრულებლად იხვეოდა. ორთქლის ძრავა აგურის პატარა კედლის უკან, კუთხეში იყო მიმალული. ღვედები თითქოს თავისთავად მოძრაობდნენ, თითქოს რაღაც უხილავი ძალა მართავდა მათ წყვდიადიდან და ღამის ფრინველის ფრენასავით რბილი იყო მათი განუწყვეტელი და თანაბარზომიერი სრიალი. ჟერვეზა კინაღამ წაიქცა, როცა ვენტილატორის ერთ-ერთ მილს წამოედო. ვენტილატორის მილები მიწურზე განტოტვილიყო და მათი საშუალებით ჰაერის მძლავრი ბერვა ნაწილდებოდა პატარ-პატარა ქურებში მანქანების გვერდით. გუჟემ თავდაპირველად ეს აჩვენა ჟერვეზას. მან ჰაერის ნაკადი შეუშვა ქურაში, ოთხივე მხრიდან გამოვარდა დიდი ალი და თვალისმომჭრელი სითეთრის მარაოდ გაიშალა. წითელი საღებავით დაწინწკლულ და არშიამოვლებულ ხელსახოცად გეჩვენებოდათ. ისეთი მძლავრი შუქი ჰქონდა, რომ მასთან შედარებით მუშის ლამპა უმცირეს ლაქასავით მოჩანდა. ამის შემდეგ გუჟემ ხმას აუწია, რათა ახსნა-განმარტებებს შესდგომოდა და მანქანებზე გადავიდა. მანქანათა რკინის საჭრისები ჭამდნენ რკინის ნაჭრებს, კბილანების ერთი მოვლებით კვნეტდნენ მათ და შემდეგ თითო-თითოდ უკანვე ისროდნენ. ჭანჭიკებისა და ლურსმნების მჭედავი მაღალი და რთული დანადგარები მძლავრი ხრახნის ერთი დაჭერით ამრგვალებდნენ ლურსმნის თავებს. მჭრელი მანქანები თუჯის მქნევარებით გაცოფებით აპობდნენ ჰაერს, ხოლო ჭანჭიკმჭრელები, რომელთა მოძრაობას ქალები განაგებდნენ, ზეთით გაპრიალებული ფოლადის ბორბლების რაკარუკში ჭედავდნენ ჭანჭიკებსა და ქანჩებს. ამრიგად, ჟერვეზამ შეძლო თვალყური ედევნებინა მთელი ამ მუშაობისთვის: დაწყებული კედელზე მიყუდებული რკინის ძელაკით და დასრულებული უკვე მზა ლურსმნებითა და ჭანჭიკებით, რომლებიც კუთხეში მიწყობილ ყუთებს ავსებდნენ. ჟერვეზამ ყველაფერი გაიგო და ღიმილით თავი გაიქნია. მაგრამ ამავე დროს მას მაინც რაღაც გულს უმძიმებდა. პატარა და უძლური ეჩვენებოდა თავი ამ ლითონის ბუმბერაზ დანადგართა შორის. ზოგჯერ, რომელიმე მანქანის ყრუ ხმაურზე, შიშისგან გაყინული ჟერვეზა უკან იხედებოდა. იგი შეეჩვია სიბნელეს და ფარდულის სიღრმეში უკვე არჩევდა უძრავად მდგარ ადამიანებს, რომლებიც მქნევარების გაშმაგებულ ცეკვას აწესრიგებდნენ იმ დროს, როცა რომელიმე ბრძმედი ცეცხლის შუქს გამოაფრქვევდა. ჟერვეზა თავისდა უნებურად მაინც სულ ჭერს უბრუნდებოდა, მანქანების ამ სიცოცხლის ძარღვის ფეთქვას, მათ სისხლს. თავი მაღლა აეწია და შესცქეროდა ღვედების რბილ სრიალს. იქ, განუსაზღვრელი წყვდიადით მოცულ ხარაჩოებში საზარელი და მუნჯი ძალა მოძრაობდა.

ამასობაში გუჟე ლურსმნების დამამზადებელი მანქანის წინ შეჩერდა. დაფიქრებული, თავჩაღუნული იდგა და თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა. მანქანა გოლიათის წყნარი სიმშვიდით ჭედავდა ორმოცმილიმეტრიან ლურსმნებს. რა უბრალოდ

კეთდებოდა ეს! ცეცხლფარეში ბრძმედიდან გამოიღებდა რკინის ნაჭერს, ხოლო ურoს მცემელი ჩადებდა სალურსმნეში, რომელსაც წყლის წვრილი ჭავლი განუწყვეტლივ დასდიოდა, რათა ფოლადის მოწვა თავიდან აეცილებინა. ეს იყო და ეს! ხრახნი დაეშვებოდა და ლურსმანი ძირს გადმოვარდებოდა. ლურსმანს თავი ისე ჰქონდა მომრგვალებული, თითქოს ყალიბში ჩამოუსხამთო. თორმეტი საათის განმავლობაში ასეულ კილოგრამობით ამზადებდა ლურსმანს ეს წყეული მანქანა. გუჟე ზოგჯერ განრისხებული იმ აზრით, რომ ამ მანქანის მკლავები ღონით სჯობნიდა მისას, მზად იყო ხელი დაევლო თავისი ფიფინასთვის და მიემსხვრ-მოემსხვრია მთელი ეს რკინეული. გუჟეს ძლიერ აღონებდა ეს გარემოება იმ დროსაც კი, როდესაც ასე გონივრულად მსჯელობდა და არწმუნებდა თავს, რომ ადამიანის სხეულს არ შეუძლია რკინასთან შებრძოლება. ისეთი დღეც დადგება, ამას ხომ ლაპარაკი არ უნდა, რომ მანქანა გამოდევნის მუშას. უკვე ახლავე მათი დღიური ხელფასი თორმეტიდან ცხრა ფრანკამდე დავიდა და ამბობენ, კიდევ უფრო მოიკლებსო. ბოლოს და ბოლოს, ამ უზარმაზარ, მხეცურ მანქანებში, რომლებიც ჭინჭიკებსა და ლურსმნებს ისე ადვილად ამზადებენ, თითქოს ძეხვიაო, სამხიარულო არაფერია. გუჟე დაახლოებით სამი წუთის განმავლობაში უსიტყვოდ შეჰყურებდა ამ მანქანას. წარბშეხრილი იდგა, მერე ნელ-ნელა მორჩილებით სავსე და ლმობიერმა გამომეტყველებამ შეურბილა სახის ნაკვთები. ჟერვეზასკენ მიბრუნდა, რომელიც მას ეკვროდა და ნაღვლიანი ღიმილით წარმოთქვა: – ეჰ! ძალიან გვჯობნის ჩვენ ეს! მაგრამ, შესაძლოა, შემდეგში საერთო კეთილდღეობას გაუწიოს სამსახური.

ჟერვეზას რაში ეკითხებოდა საერთო კეთილდღეობა. არც მანქანით დამზადებული ლურსმნები მოეწონა.

– გამიგონეთ, – გაცხარებით წამოიძახა ქალმა, – აი, ხომ ძალიან ლამაზია ეს ლურსმნები, მაგრამ მე თქვენები უფრო მომწონს: იქ ოსტატის ხელს მაინც გრძნობ, სხვა რომ არა იყოს რა!

ამ სიტყვებით ჟერვეზამ კმაყოფილება აგრძნობინა მჭედელს, რომელსაც ეშინოდა, ქალი ზიზღით დამიწყებს ცქერას მას შემდეგ, რაც მანქანებს ნახავსო. ჰო და რა! გუჟე თუ მლაშე ხახაზე ღონიერი იყო, სამაგიეროდ მას მანქანები სჯაბნიდნენ. ძალიან გახარებული იყო გუჟე და, ბოლოს, ეზოში გამოთხოვებისას, ისე მაგრად ჩამოართვა ქალს ხელი, რომ კინაღამ დაუმტვრია.

მრეცხავი ქალი ყოველ შაბათობით გუჟეებთან მიდიოდა მათი სარეცხის მისატანად. გუჟეები ისევ იმ პატარა სახლში ცხოვრობდნენ, ახალ ქუჩაზე, გუტ-დორში. პირველ წელიწადს ჟერვეზა მათ ყოველთვიურად უბრუნებდა ოც-ოც ფრანკს ხუთასი ფრანკის ვალის დასაფარავად. იმ მიზნით, რომ არაფერი არეოდათ, მხოლოდ თვის ბოლოს ასწორებდა ხოლმე ანგარიშს. ჟერვეზა სარეცხის დარეცხვის საფასურს გამოდიოდა, ხოლო დანარჩენს ფულად იხდიდა. ოცი ფრანკის შესასრულებლად მას მუდამ ფულის დამატება სჭირდებოდა, რადგანაც გუჟეების სარეცხის დარეცხვის საფასური თვიურად შვიდ-რვა ფრანკს ზემოთ არ ადიოდა.

ამრიგად, ჟერვეზამ, თითქმის ნახევარი ვალი გაისტუმრა, მაგრამ ერთ დღეს ბინის ქირა ჰქონდა გადასახდელი. არ იცოდა რა ექნა, რადგან მუშტრებმა შეპირებულ დროს არ მოუტანეს ფული. სხვა გზა არ ჰქონდა, ადგა და ისევ გუჟეებს მიაშურა, ბინის ქირის ფულს მათ დაესესხა. ორჯერ კიდევ მოუხდა ასე: თავისი მუშა ქალების გასასტუმრებლადაც ისევ გუჟეებს მიმართა და, ამნაირად, ვალი კვლავ გაიზარდა – ოთხას ოცდახუთ ფრანკამდე ავიდა. ამჟამად ჟერვეზა უკვე არც ერთ სუს ფულად აღარ იხდიდა, მხოლოდ დარეცხვის საფასურით ფარავდა ყოველთვიურად ვალს. ეს იმიტომ კი არ ხდებოდა, რომ ჟერვეზა ახლა ნაკლებს მუშაობდა ან ცუდად წაუვიდა საქმე, არა, მაგრამ ფული როგორღაც მის სახლში არ ჩერდებოდა, თითქოს დნებოდა, და ჟერვეზა უკვე იმითაც კმაყოფილი რჩებოდა, რომ თვიდან თვემდე თავი გაჰქონდა. ღმერთო ჩემო! ნეტავი საცხოვრებლად ჰყოფნოდა ფული, თორემ სხვას აღარაფერს ჩიოდა. მრეცხავი ქალი გასუქდა, ნელ-ნელა მოეშვა კიდეც: თავისი დამრგვალებული სხეულის წვრილმან მოთხოვნებს დაემორჩილა და ძალა აღარ ჰყოფნიდა, შიშით ეფიქრა მომავალზე. ეს ხომ უარესია, – ამბობდა იგი, – ფულზე... ფული მუდამ იქნება, თავისთავად მოვა. შენახულ ფულს შეიძლება ტყუილუბრალოდ ჟანგიც მოეკიდოს. მიუხედავად ამისა, მადამ გუჟე მაინც დედობრივი ალერსით ექცეოდა ჟერვეზას. თუმცა ხანდახან ტკბილად ტუქსავდა კიდეც. მაგრამ არა იმიტომ, რომ მრეცხავ ქალს მისი ვალი ემართა, არამედ იმიტომ, რომ მადამ გუჟეს უყვარდა იგი და შიშობდა, რომ ჭკუა არ წაეგო ცხოვრებაში. ვალზე კი მადამ გუჟე კრინტს არ ძრავდა. ამ მხრივ დიდ სიფაქიზეს იჩენდა.

იმ თვის უკანასკნელი შაბათი ჟერვეზას სამჭედლოში მისვლის მეორე დღე იყო სწორედ. იგი მივიდა გუჟეს ბინაზე, სადაც სარეცხი მუდამ თვითონ მიჰქონდა. კალათმა ისე მოსწყვიტა მკლავი, რომ ერთი-ორი წუთის განმავლობაში ძლივს მოითქვა სული. მართლაც მძიმეა სარეცხი, მეტადრე მაშინ, როცა შიგ ზეწრები ურევია.

– ხომ ყველაფერი მოიტანეთ? – შეეკითხა მას მადამ გუჟე.

ამ საკითხში გუჟეს დედა მეტად მკაცრი იყო. მოითხოვდა, რომ მისი სარეცხი მუდამ სრულად ჩაებარებინათ, არც ერთი ნაჭერი არ უნდა ჰკლებოდა; ეს წესრიგისთვის არის საჭირო, – ამბობდა მოხუცი ქალი. ხოლო მეორე მისი მოთხოვნა იყო, რომ მრეცხავი ზუსტად დანიშნულ დღეს და ყოველთვის ერთსა და იმავე დროს მისულიყო. ამნაირად დრო არავის ეკარგებაო, – ამბობდა მადამ გუჟე.

– ოხ! ყველაფერი შიგ არის! – ღიმილით მიუგო ჟერვეზამ, – ხომ იცით, რომ არაფრის გადადება არ მიყვარს.

– ეგ მართალია, – აღიარა მადამ გუჟემ, – მართალია ნაკლოვანებები გაგიჩნდათ, მაგრამ მანდამდე ჯერ კიდევ არ მისულა საქმე.

სანამ მრეცხავი ქალი კალათს ცლიდა და სარეცხს საწოლზე ალაგებდა, მოხუცი ქალი სულ მის ქებაში იყო. ჟერვეზა არ სწვავს სარეცხს, არა ხევს, როგორც სხვები, უთოთი

ღილებს არ აგლეჯს, მხოლოდ ბევრ ლილას ხმარობს და მამაკაცის პერანგის გულისპირს მეტისმეტად ახამებს.

– აბა, მოჰკიდეთ ხელი, ნამდვილი მუყაოა! – უთხრა ჟერვეზას და პერანგის გულისპირს ტკაცატკუცი დააწყებინა, – ჩემი ვაჟი არ ჩივის, მაგრამ ეს ყელს უჭრის... ხვალ, ალბათ ყელი დასისხლიანებული ექნება, როდესაც ვენსენიდან დავბრუნდებით.

– არა, მაგას ნუ მეტყვით! – წამოიყვირა შეწუხებულმა ჟერვეზამ, – პერანგი ცოტა მაგარი უნდა იყოს, როცა იცვამ, თუ არ გინდა, რომ ტანზე ჩვარივით ჩამოგეკიდოს... აბა, დააკვირდით ნამდვილ ბატონებს... თქვენს სარეცხს არც ერთი მუშა ქალის ხელი არ მიჰკარებია, მხოლოდ მე ვრეცხავ ხოლმე. გარწმუნებთ, ძალიან ვუფრთხილდები. მიჯობს, ათჯერ მივუბრუნდე ამ საქმეს, რადგანაც ეს სარეცხი თქვენია. ხომ გესმით?

ჟერვეზა ოდნავ გაწითლდა, როცა უკანასკნელი სიტყვები წაილუღლუღა, შეეშინდა გამოემჟღავნებინა, თუ რა სიამოვნებას გრძნობდა, როცა გუჟეს პერანგებს აუთოებდა.

– ოჰ! მე ხომ თქვენს ნამუშევარს არ ვაძაგებ, თქვენ რომ საუკეთესოდ მუშაობთ, მე ეს ვიცი! – მიუგო მას მადამ გუჟემ, – აი, თუნდაც, ეს თავსაბური ავიღოთ, ჩინებულად არის დაწყობილი. თქვენს მეტს არავის შეუძლია ნაქარგი სახეების ასე გამოჩენა. ანდა ეს ნაკეცები, რა მშვენიერებაა! მე თქვენს ხელს მაშინვე ვცნობ. საკმარისია, ერთადერთი სამზარეულო ტილო მისცეთ მუშა ქალს, რომ მაშინვე შეეტყობა ხოლმე... ასეა ხომ? ოღონდ, ნაკლები სახამებელი იხმარეთ, მეტი არაფერი! გუჟე იმას არ დაგიდევთ, რომ უსათუოდ დიდი ბატონის შესახედაობა ჰქონდეს.

ამასობაში მადამ გუჟემ ხელში წიგნაკი აიღო და იქ აღნიშნული სარეცხი კალმის ერთი გასმით ამოშალა. ყველაფერი მოწესრიგდა. როდესაც ანგარიშის სწორებას შეუდგნენ, მადამ გუჟემ შეამჩნია, რომ ჟერვეზამ ერთი თავსაბურავი ექვს სუდ უანგარიშა. მადამ გუჟე შეეკამათა, მაგრამ ბოლოს უნდა დათანხმებულიყო, რომ ახლანდელ პირობებში ეს არც ისე ძვირი იყო. არა, მამაკაცის პერანგი – ხუთი სუ, ტრუსი ქალისა – ოთხი სუ, ბალიშისპირი – ერთ-ნახევარი სუ, წინსაფარი – ერთი სუ... არა, ეს ძვირი არ იყო, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ბევრი მრეცხავი ქალი ორ ლიარდს იღებს ან არადა თითო ნაჭერზე თითო სუს უმატებს... ამის შემდეგ ჟერვეზამ მოაგროვა ჭუჭყიანი სარეცხი, რომელიც მოხუცმა ქალმა ჩაწერა, და კალათში ჩატენა, მაგრამ წასვლით არ მიდიოდა, ყოყმანობდა, დაბნეული იყო, თითქოს ენის წვერზე ადგა რაღაც სათხოვარი, გამოთქმა კი ძალიან უძნელდებოდა.

– მადამ გუჟე, – წარმოთქვა მან ბოლოს, – თუ თქვენთვის ეს ძნელი არ იქნება, მე თვის სარეცხის ფული მინდა ახლავე მივიღო.

ეს თვე სწორედ ხვავიანი იყო, სარეცხი ბლომად იყო დარეცხილი და, როდესაც მათ ერთად იანგარიშეს, კარგა მოზრდილი ჯამი შედგა, – ათი ფრანკი და შვიდი სუ. მადამ გუჟე ერთი წუთის განმავლობაში სერიოზული სახით უცქეროდა ჟერვეზას და

მერე უპასუხა: – როგორც გენებოთ, ჩემო შვილო. მე არ მინდა უარი გითხრათ ამ ფულზე ისეთ დროს, როდესაც გჭირდებათ... მაგრამ ვალის ამგვარად გასწორება კი არ ვარგა. მე ამას თქვენთვის ვლაპარაკობ, ხომ გესმით, უსათუოდ სიფრთხილე გმართებთ.

ჟერვეზა თავჩაღუნული ისმენდა ამ გაკვეთილს, თან ენის ბორძიკით რაღაცას ლუღლუღებდა, რომ მას კოქსის გამყიდველისგან ხელწერილით აღებული ვალი აქვს გასასტუმრებელი და ეს ათი ფრანკი დააკლდა. ხელწერილის გაგონებაზე მადამ გუჟე უფრო მეტად მოიღუშა. მან მაგალითად თავისი თავი მოუყვანა ჟერვეზას. მადამ გუჟემ შეამცირა ხარჯები მას შემდეგ, რაც გუჟეს დღიური ხელფასი თორმეტი ფრანკიდან ცხრაზე დაიყვანეს. როცა ახალგაზრდობისას კეთილგონიერება გაკლია, სიბერის დროს შიმშილით ამოგხდება სული. ამასთან მადამ გუჟემ თავი შეიკავა და არ უთხრა ჟერვეზას, რომ სარეცხს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ აძლევდა, რომ მისთვის ვალის დაფარვის შესაძლებლობა მიეცა. ოდესღაც მადამ გუჟე თვითონვე რეცხავდა თავის სარეცხს და ახლაც თვითონ დარეცხავდა, თუკი ასე ძვირი დაუჯდებოდა რეცხვა. ჟერვეზამ, მიიღო თუ არა თავისი ათი ფრანკი და შვიდი სუ, მადლობა გადაიხადა და საჩქაროდ თავს უშველა. კიბეზე თავისუფლად ამოისუნთქა, მზად იყო ეცეკვა, რადგან შეჩვეული იყო ფულის გამო ყოველგვარი უსიამოვნებისა და დავიდარაბის ატანას, და უკვე გულგრილად ხვდებოდა ასეთ ამბებს. ამ წუთს მას მხოლოდ ის ახსოვდა და ახარებდა, რომ ამჯერად მაინც თავი დააღწია გასაჭირს, ვიდრე უახლოეს დროში მორიგ გასაჭირში ჩავარდებოდა.

სწორედ ამ შაბათ დღეს, გუჟეების კიბეზე ჩამოსვლის დროს, მას ერთი მეტად კურიოზული შეხვედრა ჰქონდა. ჟერვეზა იძულებული გახდა თავისი კალათით კიბის მოაჯირს აჰკვროდა, რათა გზა დაეთმო ერთი მაღალი, თავშიშველი ქალისთვის. ამ ქალს ხელთ ეჭირა ქაღალდში გახვეული ახალთახალი დორადი. თევზს ლაყუჩებიდან სისხლი სდიოდა. რას ხედავს ჟერვეზა? ეს ქალი ხომ ვირჯინიაა, რომელსაც მან სამრეცხაოში ბოლოკაბა წამოხადა. ჟერვეზამ თვალი დახუჭა, რადგან წუთით გაიფიქრა, რომ ვირჯინია დორადს მას პირდაპირ სახეში სთხლეშდა, მაგრამ, არა, ვირჯინიამ მხოლოდ ოდნავ გაიღიმა და მაშინ მრეცხავმა ქალმაც, რომლის კალათაც კიბეზე გზას ღობავდა, თავაზიანობის გამოჩენა მოისურვა.

– ბოდიშს ვიხდი, – წარმოთქვა მან.

– ნუ წუხდებით, საბოდიშო არაფერია, – მიუგო მაღალმა, შავგვრემანმა ქალმა.

ორივენი გაჩერდნენ შუა კიბეზე და მუსაიფი გააბეს. ისინი მყისვე შეეწყვნენ ერთმანეთს, არც ერთი გადაკრული სიტყვით არ გაუხსენებიათ წარსული. ვირჯინია ამჟამად უკვე ოცდაცხრა წლისა იყო. საუცხოო ქალი დამდგარიყო, ტანადი, ოდნავ მოგრძო პირისახისა, რომელსაც შუაზე ორად გაყოფილი გიშრის თმა ამშვენებდა. ვირჯინია მაშინვე მოუყვა თავის ამბავს, რათა თავისი მდგომარეობით დაეტრაბახა: ის ახლა გათხოვილია, ამ გაზაფხულზე გაჰყოლია ოსტატ დურგალს, რომელიც

ამჟამად უმუშევარია და პოლიციელის ადგილს ეძებს, რადგან ეს უფრო საიმედოა და უფრო საპატიოც. სწორედ ქმრისთვის უყიდია ეს დორადი.

– გაგიჟებით უყვარს დორადი, – წარმოთქვა ვირჯინიამ, – ამ საზიზღარ მამაკაცებს ხომ სულ უნდა ველოლიაოთ, ხომ ასეა?.. კი, მაგრამ, თქვენ ზევით ამობრძანდით. ჩვენს ბინასაც ნახავთ... აქ, ორპირ ქარზე ვდგავართ. ჟერვეზაც მოუყვა თავის მხრივ თავისი გათხოვების ამბავს და ამასთან აუწყა ვირჯინიას, რომ ის სწორედ მის ახლანდელ ბინაში ცხოვრობდა წინათ, და ქალიშვილიც აქ შეეძინა. ვირჯინია მეტი დაჟინებით ჩააცივდა, რომ ჟერვეზა მათთან ასულიყო. სასიამოვნოა იმ ადგილების ნახვა, სადაც ბედნიერება განგიცდია. მე ხუთი წლის განმავლობაში მდინარის გაღმა ვცხოვრობდი გრო-კაიუში. სწორედ იქ გავიცანი ჩემი მომავალი ქმარი. მაშინ იგი მუშაობდა, მაგრამ მე იქ ძალიან მოვიწყინე, ვდარდობდი და კვლავ გუტ-დორის უბანში დაბრუნებას ვნატრობდი, რადგან აქ ყველას ვიცნობდიო. ამ ორი კვირის წინ დავსახლდით გუჟეს ბინის პირდაპირ. ოხ! ჯერ კიდევ არეულ-დარეულები ვართ, მაგრამ ნელ-ნელა მოეწყობა ყველაფერიო.

შემდეგ, როდესაც ქალები კიბის ბაქანზე ავიდნენ, თავიანთი თავი წარუდგინეს ერთმანეთს: – მადამ კუპო!

– მადამ პუასონი!

ამის შემდეგ ისინი ისე არ მიმართავდნენ ერთმანეთს, რომ ეს სახელები არ ეხსენებინათ გაბრტყელებით: მადამ პუასონი, მადამ კუპო. ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ხდებოდა, რომ მათ სიამოვნებდათ დაქორწინებულ მანდილოსნებად ეგრძნოთ თავი, რადგან ოდესღაც ორივეს, ცოტა არ იყოს, საეჭვო მდგომარეობა ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ჟერვეზა გულში მაინც უნდობლობას ფარავდა. ვინ იცის, რა ბოროტი განზრახვა უდევს ამ აყლაყუდა, შავგვრემან ქალს გულში. ეგებ ფიქრობს, რომ შერიგებით გადაწყვიტა სიფრთხილე დაეცვა, თუმცა ჯერჯერობით, ამ თხუთმეტი წუთის განმავლობაში, ვირჯინიას ძალიან თავაზიანად ეჭირა თავი, და ამიტომ ჟერვეზასაც ზრდილობიანი მოქცევა მართებდა.

მაღლა ოთახში ვირჯინიას ქმარი, პუასონი, ოცდათხუთმეტი წლის, გაცრეცილი სახის წითურულვაშიანი მამაკაცი კოლოფებს ამზადებდა. მთელ მის ხელსაწყოს ჯიბის დანა, ფრჩხილების ქლიბივით პატარა ხერხი და ქილაში ჩასხმული წებო შეადგენდა. პუასონი მასალად იყენებდა წითელი ხისგან დამზადებულ სიგარის ძველი ყუთების თხელ ფირფიტებს. ამ ფირფიტებზე ჭრიდა იგი სხვადასხვა უნაზეს ჩუქურთმას. ყოველდღე, მთელი წლის განმავლობაში ერთი და იმავე სახის კოლოფებს ამზადებდა – ზომით რვა სანტიმეტრი ექვსზე. პუასონი მხოლოდ დეტალებს უცვლიდა მათ, ხუფის ახალ-ახალ ფორმას იგონებდა ან ახალ განყოფილებას უმატებდა. თავშესაქცევად ჰქონდა მას ეს სამუშაო, დროის მოსაკლავად, სანამ პოლიციელად დანიშნავდნენ. ძველი ხელობიდან მხოლოდ ეს გატაცებაღა შერჩენოდა. თანაც, თავის ნაშრომს არ ყიდდა, საჩუქრად ურიგებდა ნაცნობებს.

პუასონი ფეხზე წამოდგა და ზრდილობიანად მიესალმა ჟერვეზას, რომელიც მისმა მეუღლემ გააცნო როგორც ძველი მეგობარი, მაგრამ პუასონი სიტყვაძვირი იყო და ამიტომ მაშინვე პატარა ხერხს მოავლო ხელი. დროდადრო მხოლოდ თვალს შეავლებდა ხოლმე დორადს, რომელიც კამოდის თავზე იდო. ჟერვეზა კმაყოფილი დარჩა თავისი ძველი ბინის ნახვით. იგი უჩვენებდა ვირჯინიას, თუ სად რა ავეჯი ედგა. ის ადგილიც უჩვენა იატაკზე, სადაც იმშობიარა. რა საკვირველი დამთხვევაა ზოგჯერ ცხოვრებაში! მათ ოდესღაც ორივემ თვალთახედვიდან დაკარგეს ერთმანეთი და განა მაშინ წარმოიდგენდნენ, რომ აქ შეხვდებოდნენ ისევ? ან რომ ერთიმეორის შემდეგ ერთსა და იმავე ოთახში იცხოვრებდნენ?! ვირჯინიამ ნაამბობს ახალი დეტალებიც დაურთო: მისმა ქმარმა ერთი თავისი დეიდისგან მცირე მემკვიდრეობა მიიღო. რა თქმა უნდა, ჩვენ შემდეგში მოვეწყობით, მაგრამ ამჟამად მაინც ვმუშაობ, თითო-ოროლა კაბას ვჩხლართავო. ამასობაში, თითქმის ნახევარმა საათმა განვლო და, ბოლოს მრეცხავმა ქალმა წასვლა დააპირა. პუასონი ოდნავ შეირხა, ხოლო ვირჯინიამ ჟერვეზა გააცილა და შეჰპირდა, მეც გინახულებო. ამავე დროს თავისთავად ისიც იგულისხმებოდა, რომ ამიერიდან ვირჯინია სარეცხს ჟერვეზასთან მიიტანდა. მერე, რადგანაც ვირჯინიამ კიბის ბაქანზე შეაჩერა ჟერვეზა, ამ უკანასკნელმა წარმოიდგინა, რომ ვირჯინიას სურდა ლანტიესა და საკუთარ დაზე, ადელზე, ლითონის გამპრიალებელ ქალზე ჩამოეგდო ლაპარაკი. ჟერვეზამ აღშფოთება და ღელვა იგრძნო... მაგრამ არც ერთი სიტყვითაც არ გაუხსენებიათ ეს სამწუხარო ამბავი. განშორებისას ზრდილობიანად დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

– ნახვამდის, მადამ კუპო!

– ნახვამდის, მადამ პუასონ!

აქედან ჩაეყარა საფუძველი მათ დიდ მეგობრობას. ერთი კვირის შემდეგ უკვე ვირჯინიას ისე აღარ შეეძლო გავლა ჟერვეზას სამრეცხაოს წინ, რომ იქ არ შესულიყო. იქ ლაპარაკის საღერღელი აეშლებოდა ხოლმე და ორ-სამ საათს ქაქანებდა, სანამ პუასონი შეშფოთებული, ხომ არაფერმა გაიტანა ჩემი ცოლიო, არ მიაკითხავდა, თავისი უტყვი, თითქოს საფლავიდან ამოღებული მკვდრის გაცრეცილი სახით. მკერავ ქალთან ამ ყოველდღიური შეხვედრების გამო, ჟერვეზა რაღაც უცნაურმა შეშფოთებამ და ზრუნვამ შეიპყრო. ისე ვერ დაიწყებდა ლაპარაკს ვირჯინია, რომ ჟერვეზას არ გაეფიქრა, აი ახლა ლანტიეზე ჩამოაგდებს სიტყვასო. მთელი იმ დროის განმავლობაში, სანამ ვირჯინია იქ იმყოფებოდა, ჟერვეზა თავს ვერ ერეოდა და სულ ლანტიეზე ფიქრობდა. სასაცილოც კი იყო ეს ამბავი სწორედ. აბა, რაში ეკითხებოდა ჟერვეზას ან ლანტიე, ან ადელი, რაც უნდა დამართოდა ერთსაც და მეორესაც! მას არასოდეს არც უკითხავს ისინი. ბოლოს და ბოლოს, არც აინტერესებდა მათი ბედ-იღბალი, მაგრამ მისდა უნებურად ეს აზრი იპყრობდა და აკვიატებული მისამღერივით თან სდევდა მათზე ფიქრი. ამასთან მას არავითარი ღვარძლი და მტრობა არ ჰქონდა ვირჯინიასადმი, რადგან ეჭვგარეშეა, ვირჯინია აქ არაფერ შუაში იყო. ძალიან ართობდა ჟერვეზას ვირჯინიასთან ყოფნა, და ერთი ათჯერ მაინც შეაჩერებდა ხოლმე, სანამ სახლში გაუშვებდა.

ამასობაში ზამთარიც მოვიდა, მეოთხე ზამთარი, რომელსაც კუპოს ოჯახი გუტ-დორის ქუჩაზე ატარებდა. იმ წელიწადს დეკემბერიც და იანვარიც განსაკუთრებით სუსხიანი იყო. მაგარი ყინვები დაიჭირა. ახალი წლის შემდეგ თოვლი სამ კვირას იდო. მაგრამ ეს გარემოება ხელს არ უშლიდა მუშაობაში. პირიქით, რადგან ზამთარი საუკეთესო ხანაა მეუთოე ქალებისთვის, ძალიან კარგი იყო ამ დროს სახელოსნო. ფანჯრებზე იქ ყინულს ვერასოდეს დაინახავდით ისე, როგორც ეს მათ პირდაპირ მეწინდესთან და საბაყლო დუქანში იყო. კოქსით გამოტენილი ღუმელი აბანოსავით ათბობდა სახელოსნოს. სარეცხს, თითქოს შუა ზაფხულიაო, ისე ასდიოდა ბუღი. კარი მაგრად მიხურული ჰქონდათ. კარგი იყო იქ ყოფნა! ყველგან ცხელოდა და ცხელოდა ისე, რომ თვალგახელილს მოგერეოდა ძილი. ჟერვეზა სიცილით იტყოდა, თავი აგარაკზე მგონიაო. და მართლაც, ეტლები ისე მიგორავდნენ თოვლზე, რომ მათი ხმაური არ ისმოდა. მხოლოდ გამვლელ-გამომვლელთა ფეხის ხმა ისმოდა და ისიც ოდნავ. სიცივის დიად დუმილს მხოლოდ ბავშვების ჟრიამული არღვევდა. ბიჭბუჭების ხროვას სამჭედლოდან გამოსული წყლის გაყინულ ნაკადზე სასრიალო მოეწყო და მთელ მის სიგრძეზე დასრიალებდნენ ერთი ჟივილ-ხივილით. მრეცხავი ქალი ზოგჯერ მივიდოდა მინებიან კართან, მინებზე ორთქლს გადაწმენდდა და ცდილობდა გაეგო, რა ხდებოდა უბანში ამ წყეული სიცივის დროს. მეზობელი დუქნებიდან გარეთ ცხვირს არავინ ჰყოფდა. თოვლში შესუდრული უბანი თითქოს ამპარტავნობდა. ჟერვეზა მხოლოდ ოდნავი თავის დახრით მიესალმებოდა ხოლმე იქვე, გვერდით მყოფ მენახშირის ცოლს, რომელიც გარეთ დასეირნობდა თავშიშველი.

რა იყო განსაკუთრებით სასიამოვნო ამ ძაღლურ ამინდში? ეს იყო შუადღის საუზმე და ცხელი ყავის მირთმევა. მუშა ქალები ამაზე ვერ დაემდურებოდნენ ჟერვეზას. დიასახლისი ძალიან მაგარ ყავას უმზადებდა მათ. იგი არ იშურებდა შიგ ბლომად ვარდკაჭაჭის ჩადებას. ეს ყავა სრულებით არ ჰგავდა მადამ ფოკონიეს ყავას, რომელიც ნამდვილი ნარეცხი იყო. ოღონდ მაშინ, როდესაც კუპოს დედა ადუღებდა ყავას, ამ ამბავს ბოლო აღარ უჩანდა ხოლმე, რადგან დედაბერს ძილი ერეოდა ყავადანთან. მუშა ქალები საუზმის შემდეგ აუთოებდნენ, ყავის მოლოდინში.

სწორედ ნათლისღების მეორე დღე იყო, როცა ნაშუადღევის პირველის ნახევარი დაირეკა და ყავა კი ჯერ მზად არ იყო. იმ დღეს რაღაცა დაემართა ყავადანს, გაჯიქდა, წყალი ვერ ატანდა ნალექში. კუპოს დედა პატარა კოვზს ურტყამდა სახურავს და ისმოდა, თუ როგორ დინჯად, სათითაოდ ცვიოდა წყლის წვეთები.

– თავი დაანებეთ, – წარმოთქვა ზორბა კლემანსმა, – ასე უფრო აამღვრევთ... იმედია, დღეს, ასე თუ ისე, უეჭველად მოვესწრებით საჭმელსაც და სასმელსაც!

ზორბა კლემანსი ახლის შესახედაობას აძლევდა მამაკაცის პერანგს, რომლის ნაკეცებსაც ერთიმეორისგან ფრჩხილით ჰყოფდა. ის ძლიერ გაცივებულიყო, ახველებდა, თვალები გასივებოდა, უეცრად ავარდნილი ხველა ყელს უხლეჩდა და სამუშაო მაგიდის წინ ორად იკაკვებოდა. ამასთან მსუბუქი ყელსახვევიც კი არ

შემოეხვია და თვრამეტ სუდ ღირებული, თხელი შალის ბლუზაში ცახცახებდა. მის გვერდით ბოლოკაბას აუთოებდა მთლად ფლანელში გამოხვეული და ყურებამდე შეფუთნილი მადამ პიუტუა. იგი ბოლოკაბას საუთოებელი ფიცრის ირგვლივ ატრიალებდა. ფიცარი ერთი ბოლოთი სკამის ზურგზე იყო დაბჯენილი, ხოლო ძირს ზეწარი ეფინა, რათა ფიცრიდან ჩამოფრიალებული კაბა იატაკს არ მოხვედროდა და არ გაჭუჭყიანებულიყო. საუთოებელი მაგიდის მთელი ნახევარი ჟერვეზას დაეჭირა, ის მუსლინის მოქარგულ ფარდებს აუთოებდა. უთოს პირდაპირ, ხელებგაჭიმული უსვამდა ფარდებს, რათა ზედმეტი ნაკეცი არ გაეკეთებინა. უეცრად ათუხთუხებულმა ყავამ ქალს თავი მაღლა ააწევინა. ეს ელამი ოგიუსტინას გამო მოხდა, მან კოვზი გაატარა საწურავ ბადეში და ყავის ნალექში ნაჩვრეტი გააკეთა.

– მოისვენებ შენ, თუ არა? – შეჰყვირა ჟერვეზამ, – ნეტავი რა გიზის მაგ ტანში?!. – ახლა ჩვენ ხომ ტალახი უნდა დავლიოთ.

კუპოს დედამ საუთოებელი მაგიდის თავისუფალ კუთხეში გაამწკრივა ხუთი ფინჯანი. ქალებმა მიატოვეს სამუშაო. დიასახლისი მუდამ თვითონ ასხამდა ყავას მას შემდეგ, როცა ფინჯნებში ორ-ორ ნატეხ შაქარს ჩაყრიდა. მუშა ქალები მთელი დღის განმავლობაში ელოდებოდნენ ამ წუთს. იმ დღეს, როცა ჭიქები სათითაოდ ჩამოირიგეს და ღუმელთან ახლოს პატარა სკამებზე მოიკალათეს, ქუჩის კარი გაიღო და მთლად აკანკალებული ვირჯინია შემოვიდა.

– ახ! ჩემო გოგოებო, – წარმოთქვა მან, – რა სიცივეა, ორად მოგკეცავს! ყურებს ვეღარ ვგრძნობ, ისე დამაზრა. რა ოხერტიალი ყინვაა!

– ოო! ეს ხომ მადამ პუასონია! – წამოიძახა ჟერვეზამ, – რა კარგია! სწორედ დროზე მოგვისწარით... თქვენც ჩვენთან ერთად მიირთმევთ ყავას.

– ვფიქრობ უარს არ ვიტყვი... საკმარისია მხოლოდ ქუჩა გამოიარო, რომ ზამთარი ძვლებში გაგიჯდეს.

საბედნიეროდ, ყავა კიდევ იყო დარჩენილი და კუპოს დედა მეექვსე ფინჯნის მოსატანად წავიდა, ხოლო ჟერვეზამ ზრდილობიანად თვითონ ვირჯინიას მიანდო თავისი ყავის დაშაქვრა. მუშა ქალები გაიწ-გამოიწივნენ და ვირჯინიას ადგილი დაუთმეს ღუმელთან. ვირჯინია ერთხანს ცახცახებდა, ცხვირი გასწითლებოდა და სიცივისგან გაშეშებული ხელებით ჭიქას ეჭიდებოდა, რათა ცოტათი გამთბარიყო. ის საბაყლო დუქნიდან მოვიდა, რომელშიც თურმე ისე ყინავდა, რომ გირვანქის მეოთხედი ყველის მოლოდინში მთლად გათოშილა. სახელოსნოში კი ისე ცხელოდა, რომ ვირჯინიამ წამოიძახა: „აქ ისე ცხელა, თითქოს ღუმელში შეხვედი, მკვდარსაც კი გააცოცხლებს, ისე სასიამოვნოდ გელამუნება ცხელი ჰაერი“. ბოლოს, როდესაც ვირჯინია ცოტათი მოსულიერდა, მოხერხებულად მოკალათდა და მაშინ ექვსივენი ნელ-ნელა ყავის დალევას შეუდგნენ. ჰაერში სარეცხიდან ანაორთქლი ნესტიანი, სულის შემხუთველი ბუღი ტრიალებდა. მხოლოდ კუპოს დედა და ვირჯინია ისხდნენ სკამებზე, დანარჩენები კი ისე მოჩანდნენ პატარა ტაბურეტებზე, თითქოს

ძირს სხედანო, თუმცა კი სინამდვილეში მარტო ელამი ოგიუსტინა იჯდა პირდაპირ იატაკზე. მას გასაუთოებელი ბოლოკაბის ქვეშ დაფენილი ზეწრის ბოლო გაეწია თავისკენ და ზედ არხეინად მოკალათებულიყო. ჯერჯერობთი ყველანი დუმდნენ: ცხვირები ჭიქებში წაეყოთ და ნეტარებით წრუპავდნენ ყავას.

– ასე თუ ისე, კარგია! – განაცხადა კლემანსმა.

მაგრამ ამ დროს ისეთი ხველა აუვარდა, რომ კინაღამ დაიხრჩო. თავი კედელს მიაყრდნო, რომ უფრო მაგრად წამოეხველებინა.

– ძალიან ხართ გაცივებული, – უთხრა მას ვირჯინიამ, – სად გაცივდით ასე?

– აბა, რა ვიცი! – მიუგო კლემანსმა და თან სახელოთი მოიწმინდა პირი. – ალბათ, გუშინ საღამოს თუ გავცივდი. ორი ქალი დაერია ერთმანეთს „გრანბალკონის“ გამოსასვლელთან და სეირის საყურებლად გავჩერდი, თან თოვდა... ოჰ! რა დაკადაკა იყო. სიცილით მოკვდებოდით, ერთს ცხვირი ჰქონდა მოგლეჯილი და სისხლი თქრიალით მოსდიოდა, ხოლო როცა მეორემ სისხლი დაინახა, – ისიც ასე ჩემსავით ახმახი ვინმე იყო, – იცოცხლე, იქიდან მოუსვა... მე კი ღამე ხველება დამაწყებინა. ამასთან, უნდა ითქვას, რომ როცა ქალთან წვანან, მამაკაცები აუტანლები არიან. მთელი ღამის განმავლობაში საბანგადახდილს გტოვებენ...

– რა მშვენიერია! – წაიბუტბუტა დამცინავად მადამ პიუტუამ, – ასე ხომ თავს დაიღუპავთ, ჩემო პატარავ.

– მე, ეგებ, მეხალისება თავის დაღუპვა!.. ამასთან რა არის ეს ცხოვრება, უცნაურობაა! მთელ ამ დალოცვილ დღეს ჯანს იგდებინებ მხოლოდ იმიტომ, რომ ორმოცდათხუთმეტი სუ გამოიმუშაო. დილიდან საღამომდე ღუმლის წინ იხრაკები! არა, იცოდეთ, მომწყინდა, უკვე თავზე გადამდის... ეს გაცივება კი მაინც არ გამიწევს იმ სამსახურს, რომ საიქიოს წამიყვანოს. ისევე წავა, როგორც მოვიდა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ეს სალახანა კლემანსი, რომელიც დუქანსასადილოებს იკლებდა ცეკვა-თამაშით, სახელოსნოში ყოფნის დროს ყველას გულს უღონებდა საკუთარ სიკვდილზე ლაპარაკით. ჟერვეზა მას კარგად იცნობდა და ამიტომ მხოლოდ ეს შენიშნა: – ქეიფის შემდეგ თქვენ არა ხართ ხოლმე მაინცდამაინც კარგ გუნებაზე.

თუმცა სინამდვილეში, ამჟამად თვით ჟერვეზასაც არაფრად ეჭაშნიკებოდა ქალების მუშტი-კრივზე ლაპარაკი. სამრეცხაოში მომხდარი შეხლა-შემოხლის შემდეგ მისთვის არცთუ ისე სასიამოვნო იყო ვირჯინიას წინაშე წიხლების გაკვრა-გამოკვრასა და ხუთივე თითით გაშლილ სილაზე ლაპარაკი, მიუხედავად იმისა, რომ თვით ვირჯინია ღიმილით შესცქეროდა მას.

– ოხ! – წაიბუტბუტა ვირჯინიამ, – მე რომ გუშინ მუშტი-კრივი და თმის გლეჯა ვნახე! კინაღამ დაფლითეს ერთმანეთი...

– ვინ იყვნენ? – შეეკითხა მადამ პიუტუა.

– აი, ქუჩის ბოლოში რომ ბებიაქალი ცხოვრობს, ის და მისი მოსამსახურე ქალი, პატარა ქერა გოგო რომ არის... რა სასიკვდილეა ის გოგო! ბებიაქალს უყვიროდა, – დიახ, დიახ, შენ მოსწყვიტე მუცელი მემწვანილე ქალს, მე პოლიციაში წავალ და განვაცხადებ, თუ ფულს არ მომცემო. ამასთან, უნდა გაგეგონათ, რა სახით ილანძღებოდა! ბებიაქალმა ერთი კაი სილა სტკიცა პირდაპირ სიფათში. ის შეჩვენებული გოგო, ეგრე არ უნდაო, რომ მივარდა თავის ქალბატონს, ისე გაჩეჩა, სულ ბურტყლები გააცვინა. უიმე! კიდევ კარგი, მეძეხვე ჩაერია ჩხუბში და ხელიდან გამოჰგლიჯა ის ქალი, თორემ სულ მთლად თმას დააწიწკნიდა...

მუშა ქალებმა მხიარულად იცინეს ამაზე და შემდეგ ყველამ სიამოვნებით მოსვა თითო ყლუპი ყავა.

– როგორ გგონიათ, – შეეკითხა ვირჯინიას კლემანსი, – მართლა მოსწყვიტა მუცელი?

– აბა, მე რა ვიცი, მე ხომ იქ არ შევსწრებივარ. ხმა კი დაირხა მთელ უბანში და! – მიუგო მას ვირჯინიამ, – ბოლოს და ბოლოს, მაგათი ხელობაც ეგ არი, ყველას მუცელს სწყვეტენ.

– ჰოდა, დიდ სისულელესაც სჩადიან, – წარმოთქვა მადამ პიუტუამ, – აგრე რომ ენდობიან მაგათ. რად უნდა დავასახიჩრებინო თავი! მადლობას მოგახსენებთ!.. უნდა იცოდეთ, რომ ერთი საუკეთესო საშუალება არსებობს, მისწრებაა სწორედ! ყოველ საღამოს თითო ჭიქა ნაკურთხი წყალი უნდა დალიო და ცერით სამჯერ ჯვარი უნდა გამოისახო მუცელზე. ისე გაქრება, ვითომც არ ყოფილა.

კუპოს დედამ, რომელიც ჩაძინებული ეგონათ, უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია. მან სულ სხვა საშუალება იცოდა, უფრო უებარი. ყოველ ორ საათში ერთხელ მაგრად მოხარშული კვერცხი უნდა შეჭამო და წელზე ისპანახის ფოთლები შემოიფინოო. ოთხივე ქალი სერიოზული სახით უსმენდა. მხოლოდ ელამი ოგიუსტინა, რომელმაც ყველასთვის გაუგებარი მიზეზით, მარტოდმარტო იცოდა ხოლმე გამხიარულება, ქათამივით აკაკანდა, ასეთი იყო მისი სიცილი. შეგირდი გოგო მათ სრულიად დავიწყებული ჰყავდათ და, როდესაც ჟერვეზამ ძირს დაიხედა, დაინახა, რომ იგი გოჭივით გაგორებულიყო ზეწარზე და ფეხებიც მაღლა აეშვირა. ჟერვეზამ გამოათრია იქიდან და ერთი სილის გარტყმით წამოაყენა ფეხზე. – რას იცინის, ნეტავი, ეს ინდაური? განა მან ყური უნდა დაუგდოს დიდების ლაპარაკს? ამასთან მას ხომ სარეცხი აქვს წასაღები მადამ ლერას მეგობარ ქალებთან, ბატინიოლში. ამ ლაპარაკში დიასახლისმა მკლავზე კალათი გადაჰკიდა გოგოს და კარისკენ კინწისკვრით გააგდო. ელამი გოგო სახემოღუშული, კოპშეკრული, ზლუქუნით გაუდგა გზას, ძლივს მიათრევდა თოვლზე ფეხებს.

ამავე დროს კუპოს დედა, მადამ პიუტუა და კლემანსი კვლავ ბჭობდნენ იმაზე, თუ როგორ მოქმედებს მაგრად მოხარშული კვერცხი და ისპანახის ფოთოლი. ხოლო

ვირჯინიამ, რომელიც ჩაფიქრებული იჯდა ფინჯნით ხელში, ხმადაბლა ჩაილაპარაკა: – ღმერთო ჩემო! შეეყრებიან ერთმანეთს, გადაეხვევიან და მერე ეს თავისთავად ხდება. ასეა, როცა გული გერჩის...

შემდეგ ის ჟერვეზასკენ გადაიხარა და ღიმილით უთხრა: – არა, მე თქვენ გარწმუნებთ, რომ არ გემდურით... გახსოვთ სამრეცხაოში მომხდარი ამბავი?

ჟერვეზა აირია, მას სწორედ ამისი ეშინოდა. იგრძნო, რომ ახლა კი უეჭველად ლაპარაკი ლანტიესა და ადელზე ჩამოვარდებოდა. ღუმელი გუგუნებდა, წითლად გავარვარებული მილიდან გაორკეცებული სითბო გამოდიოდა. თვლემამორეული მუშა ქალები ცდილობდნენ ყავის სმა გაეხანგრძლივებინათ და რაც შეიძლება გვიან შესდგომოდნენ მუშაობას. სიამით მოშვებულნი, მოდუნებულნი, ხარბად გასცქეროდნენ თოვლიან ქუჩას და გულახდილ მუსაიფში იყვნენ გართულნი. საუბრობდნენ იმაზე, თუ რას იზამდა თითოეული მათგანი ათი ათასი ფრანკის რენტა რომ ჰქონოდათ. ხელს არაფერს მოჰკიდებდნენ, ისხდებოდნენ უსაქმურად, ღუმელთან ახლოს, თბილად და სამუშაოს ჯანდაბამდისაც გზა ჰქონოდა! ვირჯინიამ იმდენად ახლოს მიიწია ჟერვეზასკენ, რამდენადაც საჭირო იყო იმისთვის, რომ მისი ხმა სხვებს არ გაეგონათ. ხოლო ჟერვეზა უეჭველია საშინელი სიცხის გამო იყო იმდენად მოშვებული და მოდუნებული, რომ ძალა ვერ იპოვა, საუბრისთვის სხვა მიმართულება მიეცა. პირიქით, ანგარიშმიუცემლად სასიამოვნო მღელვარებით ელოდებოდა ამ შავგვრემანი ქალის სიტყვებს.

– ყოველ შემთხვევაში, მე თქვენთვის საწყენი არაფერი მითქვამს, – განაგრძო მკერავმა ქალმა, – ერთი ოცჯერ მაინც მომადგა ენაზე, და რახან ახლა სიტყვამაც მოიტანა... რატომ არ უნდა ითქვას... ახ! არა, დამიჯერეთ, მე არ გემდურით იმის გამო, რაც მაშინ მოხდა. პატიოსნებას გეფიცებით, მე გულში ღვარძლი არ მაქვს თქვენდამი.

ვირჯინიამ ფინჯანს მოურია, რათა შაქარი მთლად დამდნარიყო და შემდეგ სამიოდეჯერ მოხვრიპა ყავა. ჟერვეზა სუნთქვაშეკრული კვლავ ელოდებოდა, თანაც თავს ეკითხებოდა, მართლა მაპატია ვირჯინიამ გატყეპა, როგორც ლაპარაკობს თუ არა? რადგან, შენიშნა, რომ ვირჯინიას შავ თვალებში ყვითელმა ნაპერწკლებმა გაიელვა. შესაძლოა ამ აყალყუდა ალქაჯს ჯიბეში ჰქონდა გადამალული თავისი სიბოროტე და ზედ ხელსახოცი ეფარა.

– თქვენ საპატიო მიზეზი გქონდათ, – განაგრძობდა ვირჯინია, – საზიზღრად მოგექცნენ, სისაძაგლე ჩაიდინეს... ოჰ! მე სამართლიანი ვარ. ჩემთვის რომ ეგ ექნათ, დანას ავიღებდი ხელში.

ვირჯინიამ კვლავ მოსვა სამი ყლუპი ყავა. მერე გაჭიანურებული ხმით ლაპარაკს თავი მიანება და სხაპასხუპით, შეუსვენებლივ მიაყარა: – მაგრამ ამით ხომ ვერ გაბედნიერდნენ?!! ახ! არა, ღმერთია მოწამე, სრულიად არა!.. ისინი სადღაც გადაკარგულში დასახლდნენ, ჯანდაბაში, გლასიერის მხარეს, ჭუჭყიან ქუჩაზე, სადაც მუდამ მუხლებამდე ლაფია. ორი დღის შემდეგ დილით წავედი მათთან სასაუზმოდ

და, უნდა გითხრათ, კარგა დიდი მანძილი იყო ომნიბუსით გასავლელი. მივედი, ჩემო კარგო, და რა დღეში ვნახე, რა დღეში, რომ იცოდეთ! ჭამდნენ ერთმანეთს! მართალს გეუბნებით, – რომ შევედი, ერთიმეორეს ურტყამდნენ. აჰა! ეგეც თქვენი შეყვარებულები!.. ხომ იცით, ადელი იმ თოკის ფასადაც არ ღირს, რომელზედაც უნდა ჩამოახრჩო... თუმცა ჩემი და არის, მაგრამ ეს ხელს არ მიშლის ვაღიარო, რომ ბილწი და ენით გამოუთქმელი სალახანაა. ბევრჯერ მომქცევია ღორულად. მაგრამ ამეების მოყოლა სიტყვას გამიგრძელებს და, გარდა ამისა, ეს ხომ ჩვენი შინაური საქმეა, ჩვენ თვითონ მოვრიგდებით ერთმანეთში... ხოლო, რაც შეეხება ლანტიეს, აბა, რა ვთქვა, თქვენ თვითონაც იცით, რაც არის... არც ის ბრძანდება კაი კაცი. მერე რა მაგარი მუშტი აქვს დარტყმის დროს! ჰოდა, კაი ლაზათიანად მოჰქანცეს ერთმანეთი... კიბეზე ასვლისას ისმოდა მათი დაკადაკას ხმა. ერთ დღეს პოლიციაც კი მისულა. ლანტიეს ზეთზე მომზადებული წვენი მონატრებია, აი, ის საშინელება, სამხრეთში რომ ჭამენ, მაგრამ რადგანაც ადელს განუცხადებია, ეგ საზიზღრობააო, მიჰყოლიან, მუსიე, და ერთმანეთისთვის თავ-პირში დაუშენიათ ზეთის ბოთლი, ქვაბი, საწვნე ჯამი და ისეთი აურზაური აუტეხავთ, რომ ბოლოს მთელი უბანი ფეხზე დამდგარა.

კიდევ სხვა მუშტი-კრივის ამბებსაც ჰყვებოდა ვირჯინია. მას გამოულევლად ჰქონდა ამ ოჯახზე სალაპარაკო და ისეთი რაღაცები იცოდა, თმა ყალყზე დაგიდგებოდათ. ჟერვეზა უსიტყვოდ უსმენდა, სახე გაჰფითრებოდა და ტუჩის კუთხეებში რაღაც ღიმილის მაგვარი ნერვიული ნაკეცები ემჩნეოდა. თითქმის შვიდმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც მას არაფერი სმენია ლანტიეზე. ჟერვეზა ვერასოდეს წარმოიდგენდა, თუ ყურში ოდნავ გასაგონი ჩურჩულით ჩაწვეთებული მისი სახელი ასეთ ცეცხლს გაუჩენდა გულში! არა, ჟერვეზას არ ეგონა, თუ ამდენად დააინტერესებდა მას ამ ბედუკუღმართი კაცის თავგადასავალი. კაცისა, რომელიც ასე საზიზღრად მოექცა. ჟერვეზას ამჟამად უკვე აღარ შეეძლო ეჭვიანობა ადელზე, თუმცა გულში კი ეცინებოდა იმათ ცემა-ტყეპაზე. წარმოიდგინა იმ ქალის დალილავებული სხეული, მისი შურისძიებაც დაცხრა და უხაროდა. ამავე დროს მზად იყო, დილამდე ყური ეგდო ვირჯინიასთვის, თუმცა თვითონ, თავის მხრივ, შეკითხვებს არ აძლევდა, რადგან არ უნდოდა მისთვის ეგრძნობინებინა, რომ ამდენად დაინტერესებული იყო. ახლა, თითქოს უეცრად ამოივსო ჟერვეზას ცხოვრებაში არსებული ხარვეზი და ამ საათში მისი აწმყო და მისი წარსული უშუალოდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს.

ამასობაში ვირჯინიამ ისევ ყავის ფინჯანში ჩაყო ცხვირი და თითქმის თვალდახუჭულმა დაუწყო წუწნა შაქარს. ჟერვეზა გრძნობდა, რომ საჭირო იყო მასაც ხმა ამოეღო, ეთქვა რამე. ბოლოს მან გულგრილი სახე მიიღო და იკითხა: – ისევ გლასიერში ცხოვრობენ?

– ოჰ, არა! – მიუგო ვირჯინიამ, – განა თქვენთვის არ მითქვამს?.. აგერ, ერთი კვირაა, რაც დაშორდნენ ერთმანეთს. ერთ მშვენიერ დილას ადელმა აკრიბა თავისი ბარგი-ბარხანა და წავიდა. ლანტიეც, გარწმუნებთ, უკან არ გამოსდგომია.

მრეცხავმა ქალმა ოდნავ შეჰკივლა და ხმამაღლა გაიმეორა: – დაშორდნენ ერთმანეთს?

– ვინ? – იკითხა კლემანსმა, რომელმაც ამ დროს შეწყვიტა საუბარი კუპოს დედასა და მადამ პიუტუასთან.

– არავინ. – მიუგო ვირჯინიამ, – თქვენ მათ არ იცნობთ.

თან ჟერვეზას აკვირდებოდა, მეტად აღელვებული ეჩვენებოდა, თითქოს ბოროტი სიხარულით განაგრძო თავისი ამბების თხრობა. შემდეგ უეცრად ჰკითხა მრეცხავ ქალს, რას იზამდით თქვენ, ლანტიე რომ კვლავ აგეტორღიალოთ და თქვენ ირგვლივ დაიწყოს ხეტიალიო. მამაკაცები ხომ ისეთი უცნაურები არიან და, მით უმეტეს, ლანტიე. მისგან სწორედ მოსალოდნელია, რომ პირველ სიყვარულს დაუბრუნდესო. ჟერვეზა წელში გასწორდა და დიდი პირდაპირობით და ღირსებით მიუგო, რომ იგი ახლა გათხოვილი ქალია და გარეთ გააგდებს ლანტიეს, მორჩა და გათავდა! მათ შორის საერთო აღარაფერია, უბრალოდ ხელსაც ვერ ჩამოართმევენ ერთმანეთს. ჟერვეზა უგულო და უგრძნობელი ქალი იქნება იმ დღეს, რა დღესაც პირდაპირ სახეში შეხედავს და თვალს გაუსწორებს ამ კაცს.

– მე კარგად ვიცი, – წარმოთქვა ჟერვეზამ, – რომ ეტიენი მისგან მყავს და ამ კავშირს ვერ გავწყვეტ. თუ ლანტიე მოისურვებს ეტიენის კოცნას, მე ბიჭს გავგზავნი მასთან, რადგან შეუძლებელია მამას შვილის სიყვარული აუკრძალო... მაგრამ მე თვითონ, იცოდეთ, მადამ პუასონ, უფრო ადვილად ნაჭერ-ნაჭერ ავაკუწვინებ თავს, ვიდრე იმ კაცს თითის წვერი დავაკარებინო. ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრებულია.

და ამ სიტყვებით მან ჯვარი გამოსახა ჰაერში, თითქოს ამით ბეჭედი დაასვა თავის აღთქმას. ჟერვეზას უნდოდა ეს საუბარი შეეწყვიტა და, თითქოს უეცრად გამოფხიზლდაო, ისე შესძახა მუშა ქალებს.

– თქვენ, ეი, მანდ, როგორ გგონიათ, სარეცხი თავისით დაუთოვდება?! რა ხალხია, ერთი ამათ უყურეთ!.. აბა, ჰა! მარდად შეუდექით საქმეს...

მაგრამ მუშა ქალები არ ჩქარობდნენ, სიზარმაცე მორეოდათ, მოდუნებული, უგრძნობლად გამოშტერებულნი ისხდნენ, მუხლზე ცალხელჩამოშვებულნი, ხოლო მეორე ხელში კვლავ ფინჯნები ეჭირათ ყავის ნარჩენით და მუსაიფს განაგრძობდნენ: – ეს იყო პატარა სელესტინა, – ამბობდა კლემანსი, მე ვიცნობდი მას. ხომ იცით, მას კატის ბალნის სიგიჟე ჰქონდა. ყველგან კატის ბალანი ელანდებოდა; სულ, აი, ისე ატრიალებდა ენას, ეგონა, პირი კატის ბეწვით ჰქონდა გამოტენილი.

– მეც მყავდა, – სიტყვა ჩამოართვა მას მადამ პიუტუამ, – ერთი მეგობარი ქალი, რომელსაც ჭია გაუჩნდა. ოჰ! რა მოთხოვნილება აქვს ამ ცხოველს... სულ მუცელს უგლეჯდა, თუ ქალი წიწილს არ მიაწვდიდა. წარმოდგენილი გაქვთ, მისი ქმარი სულ შვიდ ფრანკს იღებდა დღეში და მთელი ეს შემოსავალი ამ გაუმაძღარ ჭიას უნდებოდა...

– მე მას უცებ მოვარჩენდი, – სიტყვა გააწყვეტინა კუპოს დედამ, – ღმერთო ჩემო, შემწვარი თაგვი უნდა ჩაყლაპო და ჭია იმ წამსვე მოიწამლება.

ჟერვეზა კვლავ უსაქმურობის ტკბილ მორევში ცურავდა, მაგრამ უეცრად შეირხა და ზეზე წამოიჭრა. ეს კაი ამბავია! მთელი ნაშუადღევი ლაყბობაზე წავიდა. ამნაირად ჯიბეს ვერ გაისქელებ! ჟერვეზამ პირველმა მოჰკიდა ხელი ფარდებს, მაგრამ იგი გაჭუჭყიანებული დაუხვდა, ყავის ლაქები მოსცხებოდა და ჟერვეზა იძულებული შეიქნა, ვიდრე მათ უთოს დაუსვამდა, სველი ნაჭრით ამოეწმინდა ლაქები. მუშა ქალები ღუმლის წინ იზმორებოდნენ და უკმაყოფილო ბურტყუნით ჩამოირიგეს უთოები. კლემანსი წამოდგა თუ არა, ისეთი ხველა აუვარდა, ლამის დაიხრჩო. შემდეგ იგი მამაკაცის პერანგის დაუთოებას შეუდგა, მაჯები და საყელო ქინძისთავებით მიუმაგრა და ამრიგად დაასრულა ამ პერანგის დაუთოება. მადამ პიუტუამაც კვლავ ბოლოკაბის დაუთოებას მიჰყო ხელი.

– ახლა კი ნახვამდის, – წარმოთქვა ვირჯინიამ, – გირვანქის მეოთხედი ყველის საყიდლად წამოვედი. პუასონს კი უსათუოდ ჰგონია, რომ გზაში გავიყინე.

სამი ნაბიჯიც არ გადაუდგამს ვირჯინიას ქვაფენილზე, რომ კვლავ უკან დაბრუნდა, კარი შემოაღო და დაიყვირა, ქუჩის ბოლოში ოგიუსტინას ვხედავ, ვიღაც ბიჭებთან ყინულზე დასრიალებსო.

ორ საათზე მეტმა დრომ განვლო მას შემდეგ, რაც ეს სასიკვდილე გოგო წავიდა. ოგიუსტინა ოთახში შემოვიდა გაწითლებული, კალათით ხელში, სულს ძლივს ითქვამდა და თოვლის გუნდისგან თმა გადაგლესოდა. სახეზე ქვეშ-ქვეშა, ეშმაკური გამომეტყველებით მოისმინა დატუქსვა. ქალებს ეუბნებოდა, ძალიან მოყინული იყო და სიარული გამიჭირდაო. როგორც ჩანს, რომელიღაც ანც ბიჭს მისთვის ჯიბეში ყინულის ნაჭრები ჩაელაგებინა, რადგან სულ თხუთმეტ წუთს არ გაუვლია, რომ მისი ჯიბეებიდან, როგორც ძაბრიდან, ისე წამოვიდა წყალი და მთელი სახელოსნო მორწყო.

ამგვარად ატარებდნენ ნაშუადღევს მუშა ქალები. ეს სახელოსნო ყველა შეციებული ადამიანის თავშესაფარი იყო იმ უბანში. მთელმა გუტ-დორის ქუჩამ იცოდა, რომ იქ ძალიან თბილოდა. იქ მუდამ იმყოფებოდნენ ლაყბობის მოყვარული ქალები. როგორც სალოცავში, ისე მოდიოდნენ აქ ქალები, მუხლამდე კაბაწამოწეულები შემოუსხდებოდნენ ღუმელს და ცეცხლს ეფიცხებოდნენ. ჟერვეზა ამაყობდა იმით, რომ მის სახელოსნოში ასე თბილოდა. იგი თვითონვე იხმობდა თავისთან ხალხს, სალონი ჰქონდა გამართული, – როგორც ცოლ-ქმარი ლორილეები და ბოშები ამბობდნენ გესლიანად. სინამდვილეში კი ჟერვეზა ყველას გამკითხავი, შემწე და შემწყალებელი იყო. იქამდეც კი მიდიოდა, რომ თავისთან იხმობდა ღატაკებს, როცა ხედავდა, რომ გარეთ სიცივისგან კანკალებდნენ. ჟერვეზა განსაკუთრებით დაუმეგობრდა ერთ ძველ მღებავს, სამოცდაათი წლის მოხუცს, რომელსაც ერთი სორო ეჭირა იმავე სახლში და მასში სიცივითა და შიმშილით სული სძვრებოდა. ამ

კაცმა სამი ვაჟიშვილი დაკარგა ყირიმში, უკვე ორი წელია, რაც ხელში ფუნჯის ჭერა აღარ შეეძლო და სულს ღაფავდა, რის ვაი-ვაგლახით გაჰქონდა თავი. ჟერვეზა დაინახავდა თუ არა ბიძია ბრიუს, როდესაც ის გათბობას ცდილობდა თოვლში ერთ ადგილზე ტკეპნით, მაშინვე დაუძახებდა ხოლმე. შეიყვანდა თავისთან, ღუმელთან დასვამდა მისთვის განკუთვნილ ადგილას და ხშირად ძალით ერთ ნაჭერ პურსა და ყველსაც კი შეაჭმევდა. წელში მოხრილი, თეთრწვერა, დამჭკნარი ვაშლივით სახედაღმეჭილი ბიძია ბრიუ იჯდა ასე საათობით, ხმაგაკმენდილი და ქვანახშირის ტკაცუნს უდგებდა ყურს. შესაძლოა, ამ დროს იგონებდა თავის მუშაობას ორმოცდაათი წლის განმავლობაში, პარიზის ყველა კუთხეში კარის ღებვასა და ჭერის შეთეთრებაში გატარებულ ნახევარ საუკუნეს.

– ნეტავი რაზე ფიქრობთ, ბიძია ბრიუ? – ზოგჯერ შეეკითხებოდა მას მრეცხავი ქალი.

– არაფერზე, სხვადასხვა რამეზე, – მიუგებდა მას მოხუცი გამოთაყვანებული სახით.

მუშა ქალები ოხუნჯობდნენ, ბიძია ბრიუს სიყვარული აქვს გულში ჩავარდნილიო. მაგრამ მოხუცი ყურს არ უგდებდა მათ და იჯდა კვლავ დუმილით მოცული, დაღვრემილი და ჩაფიქრებული.

ხსენებული დღიდან დაწყებული ვირჯინია ხშირად ელაპარაკებოდა ჟერვეზას ლანტიეზე. თითქოს სიამოვნებდა მრეცხავ ქალთან მის ძველ სატრფოზე მუსაიფი. თითქოს ერთობოდა ამით, ეხალისებოდა სავარაუდოდ სხვადასხვა აზრის გამოთქმა და ჟერვეზას დაბნეულობის გამოწვევა. ერთ დღეს მან ჟერვეზას ისიც კი უთხრა, რომ ლანტიეს შეხვდა, მაგრამ რადგანაც მრეცხავმა ქალმა ამის საპასუხოდ კრინტი არ დაძრა, ვირჯინიამაც ნათქვამს აღარაფერი დაუმატა. მაგრამ შემდეგ, მეორე დღეს, მაინც გააგონა ჟერვეზას, რომ ის დიდხანს ესაუბრა ლანტიეს ჟერვეზაზე და ვითომ ლანტიე დიდი სინაზით იხსენებდა ჟერვეზას. ჟერვეზას ძალიან აღელვებდა ეს ხმადაბალი საუბარი სახელოსნოს კუთხეში და სულ შიგნეულს უწვავდა ლანტიეს სახელის ხსენება, თითქოს ამ კაცს თავისი არსების რაღაც ნაწილი ჰქონდა დატოვებული მის სხეულში. მიუხედავად ამისა, ჟერვეზა მაინც მტკიცედ იყო დარწმუნებული თავის თავში, პატიოსან ქალად უნდოდა ეცხოვრა, რადგან პატიოსნება ბედნიერების ნახევარია. მას ერთხელაც არ გახსენებია კუპო, არ ფიქრობდა მასზე, რადგან აზრითაც არ შეუცოდავს ქმრის წინაშე, თუმცა მჭედელზე კი გულისტკივილით და მღელვარებით ფიქრობდა... და ჟერვეზას ეგონა, რომ ლანტიეს ხსოვნის ხელახალი აღდგენა მის გულში და ის განცდა, რომელიც მას ნელ-ნელა ეუფლებოდა, გუჟეს ღალატი იყო, ღალატი მათი გაუმხელელი, მეგობრობასავით ნაზი სიყვარულისა. ჟერვეზა მაშინ, როდესაც თავისი კეთილი მეგობრის წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობდა, სევდიან დღეებს ატარებდა. არ უნდოდა, რომ საკუთარი ოჯახის გარეთ, ამ კაცის გარდა, მახლობლად ჰყოლოდა ვინმე. მის გულში ეს განცდა მეტისმეტად მაღალი იყო, მაღლა იდგა ყველა იმ სიბილწეზე, რომლის დაღსაც მის სახეზე ეძებდა ვირჯინია.

მოვიდა თუ არა გაზაფხული, ჟერვეზამ გუჟეს შეაფარა თავი. აღარაფერზე აღარ ფიქრობდა. დაჯდებოდა თუ არა სკამზე, მაშინვე თავისი პირველი სატრფო აგონდებოდა. წარმოიდგენდა, რომ ლანტიემ მიატოვა ადელი, თავისი ტანსაცმელი მათ ძველ ჩემოდანში ჩააწყო, ჩემოდანი ეტლზე დადო და მასთან, ჟერვეზასთან მივიდა. ქუჩაში გავიდოდა თუ არა, სულელური შიში იპყრობდა. ლანტიეს ფეხის ხმა ესმოდა და უკან მოხედვას ვერ ბედავდა, – კანკალებდა, ეჩვენებოდა, რომ ლანტიემ წელზე ხელი მოხვია, რომ ლანტიე უეჭველად უთვალთვალებს, და ერთ მშვენიერ დღეს, ნაშუადღევს, უეცრად თავს დაატყდება. ამის გაფიქრებაზე ჟერვეზას ცივ ოფლს დაასხამდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ლანტიე, როგორც უწინ იცოდა ხოლმე, ხუმრობით და გამოსაჯავრებლად მას უსათუოდ ყურის ძირში აკოცებდა. სწორედ ეს კოცნა იყო, რომ თავზარს სცემდა ჟერვეზას, წინდაწინვე ყურთასმენას ართმევდა, ყურში ბჟუილს აუტეხდა, და ამ ხმაურში აღარაფერი ესმოდა გარდა საკუთარი გულის ბაგაბუგისა. იმ დროს, როდესაც ჟერვეზას ამგვარი შიში შეიპყრობდა, მისი ერთადერთი სავანე სამჭედლო იყო ხოლმე. გუჟეს მფარველობის ქვეშ ის კვლავ წყნარდებოდა, პირზე ღიმი უბრუნდებოდა, მჭედლის უროს ხმაურზე ყველა მძიმე ფიქრი ეფანტებოდა.

რა ბედნიერი ხანა იყო! მრეცხავი ქალი რაღაც განსაკუთრებული ყურადღებით ზრუნავდა იმ შემკვეთ ქალზე, რომელიც პორტ-ბლანშის ქუჩაზე ცხოვრობდა. ჟერვეზას მუდამ თვითონვე დაჰქონდა მასთან სარეცხი, რადგან ეს ძალიან კარგი საბაბი იყო იმისთვის, რომ მას ყოველ პარასკევს მარკადეს ქუჩაზე გაევლო და სამჭედლოში შეეხვია. შეუხვევდა თუ არა ამ ქუჩის კუთხეს, მაშინვე სიმსუბუქეს იგრძნობდა, გამხიარულდებოდა და ამ ვერან ადგილებში, რომლებსაც ნაცრისფერი ქარხნების არშია ევლო, ისე გრძნობდა თავს, თითქოს სოფელში იყო გასული სასეირნოდ. ნახშირით გაშავებული ქუჩა და სახურავზე ორთქლის ლეჩაქის ფრიალი მის თვალს ისე ახარებდა, როგორც ქალაქის განაპირას, ტყეში მწვანე მოლით მოფარდაგებული ბილიკი, რომელიც ტყის სიხშირეში იკარგება. ჟერვეზას მოსწონდა ეს გაცრეცილი ჰორიზონტიც, ეს ქარხნების საკვამურებით დასერილი მონმარტრის მაღლობიც, რომელიც ცას ფარავდა ცარცით შეთეთრებული და ფანჯრის მწკრივებით დახვრეტილი შენობებით. ჟერვეზა, როცა სამჭედლოს მიუახლოვდებოდა, ნაბიჯს შეანელებდა, წყლის გუბეებზე ხტებოდა და სიამოვნებით გადაივლიდა ხოლმე მოცარიელებულ ადგილებს და ეტლების ნამსხვრევებითა და სხვადასხვა ხარახურით ავსებულ ეზოს. რაც უნდა კაშკაშა შუადღე ყოფილიყო, სამჭედლოში მაინც ცეცხლი ლაპლაპებდა. უროს დარტყმასთან ერთად ჟერვეზას გულიც ხტოდა. სამჭედლოში მთლად წამოწითლებული შევიდოდა ხოლმე და, ვით პაემანზე მიმავალ ქალს, ისე ჰქონდა ყელ-კისერზე ჩამოშლილი ქერა თმა. გუჟე უცდიდა მას მკერდგაღეღილი და მკლავებმოშიშვლებული. იმ დღეს ის უფრო მაგრად ურტყამდა უროს, რათა მისი ხმაური შორიდანვე გაეგონათ. გუჟე გრძნობდა ჟერვეზას მოახლოებას და ოქროსფერ წვერში ჩუმი, კეთილი ჩაცინებით მიესალმებოდა ხოლმე. მრეცხავ ქალს არ უნდოდა ხელი შეეშალა მისი მუშაობისთვის და ემუდარებოდა გუჟეს, კვლავ ხელში აეღო ურო, რადგან ჟერვეზას ის უფრო მეტად მაშინ უყვარდა, როდესაც უზარმაზარ,

კუნთებამობურთულ მკლავში ატრიალებდა ურროს. ჟერვეზა ეტიენს, რომელსაც საბერველზე ეკიდა ხელი, მხოლოდ ოდნავ მოუცაცუნებდა ხოლმე ხელს ლოყაზე და, მერე ლურსმნების მზადების ცქერაში გართული, მთელ საათს სამჭედლოში ატარებდა. სულ ათიოდე სიტყვას არ ეტყოდნენ ერთმანეთს ის და გუჟე. მათი ნაზი გრძნობა ამაზე მეტ კმაყოფილებას ვერ პოვებდა, ორმაგად ჩაკეტილ ოთახშიც რომ ყოფილიყვნენ ერთად. მლაშე ხახას, იმავე მარადი წყურვილის დაცინვაც არ აწუხებდა მათ, რადგან მათ ყურამდე ვერც აღწევდა. თხუთმეტი წუთის შემდეგ ჟერვეზას უკვე სული ეხუთებოდა, სიცხე და ქურიდან ამოსული კვამლი აბრუებდა და ურროს ყოველ დარტყმაზე თავით ფეხამდე თრთოდა. ჟერვეზას მეტი არაფერი უნდოდა, ამაში პოულობდა სიამეს. გუჟეს რომ მაგრად შემოეჭდო მისთვის მკლავები, ალბათ, ამაზე უკეთესს ვერაფერს აგრძნობინებდა. ჟერვეზა მიუახლოვდებოდა ხოლმე გუჟეს, რათა ლოყაზე ეგრძნო ურროს აქნევით გამოწვეული ნიავქარი, ურროს დარტყმის არეში მოქცეულიყო. როდესაც ჟერვეზას ნაზ ხელებს ნაპერწკლები სწვავდა, მას ხელი უკან არ მიჰქონდა. პირიქით, ტკბებოდა ნაპერწკლებით, რომელიც მის კანს ეფრქვეოდა. გუჟე, უეჭველია, ხვდებოდა, რომ ქალი იქ ბედნიერებას განიცდიდა და ამიტომ პარასკევისთვის გადადებდა ხოლმე ძნელ სამუშაოს, რათა ქალისადმი ალერსი საკუთარი ძალღონისა და სიმარჯვის გამოჩენაში გამოეხატა. ეს კაცი თავს არ ზოგავდა, მზად იყო შუაზე გაეპო გრდემლი, სუნთქვა ეკვროდა და სიხარულისგან სულ ცახცახებდა.

მთელ გაზაფხულს მათი სიყვარული ასე ქარიშხალივით გუგუნებდა სამჭედლოში. ეს იყო იდილია მომუშავე გოლიათის, გავარვარებული ნახშირისა და აზანზარებული ფარდულის გარემოცვაში, რომლის ჭვარტლით გაშავებული ჩონჩხიც ჭრაჭუნებდა. დაჭყლეტილი და წითელ ლუქივით აზელილი რკინა მათი ალერსის ნიშნებით დადაღულიყო. პარასკეობით, როდესაც მრეცხავი ქალი ოქროს ყბას მოიტოვებდა და ნელი ნაბიჯით შეუდგებოდა პუასონიერის ქუჩის აღმართს, ის კმაყოფილი, მოქანცული და სულით და ხორცით დამშვიდებული იყო ხოლმე.

ნელ-ნელა ლანტიეს შიშიც შეუმცირდა ჟერვეზას. ის კვლავ კეთილგონიერებას დაუბრუნდა. ამხანად ჟერვეზა ძალიან ბედნიერადაც იცხოვრებდა, რომ არ ყოფილიყო კუპო, რომელიც უკვე საბოლოოდ ცუდ გზას დაადგა. ერთ დღეს, ჟერვეზა სწორედ სამჭედლოდან ბრუნდებოდა, რომ ბიძია კოლომბის „ხაფანგში“ თითქოს თვალი მოჰკრა კუპოს. კუპო იქ შაბიამანზე დაყენებულ არაყს მიირთმევდა წაღას, გარუჯული ბიბის და მლაშე ხახასთან ერთად. ჟერვეზამ ნაბიჯს მოუჩქარა, – კუპომ არ იფიქროს, ვუთვალთვალებო, მაგრამ უკან მაინც მოიხედა: დიახ, ეს ნამდვილად კუპო იყო, მან უკვე ჩვეული ჟესტით ჩაისხა ყელში ერთი პატარა ჭიქა არაყი... მაშ, ის ტყუის და ისევ არყის სმისთვის მიუყვია ხელი! ჟერვეზა სასოწარკვეთილებით აღსავსე დაბრუნდა შინ. მისი არსება მთლად შეიპყრო იმ შიშმა, რომელსაც იგი არყის წინაშე გრძნობდა. ღვინოს კიდევ აპატიებდა, რადგან ღვინო კვებავს მუშაკაცს, მაგრამ არაყი!. იგი ხომ საწამლავია, რომელიც მადას უკარგავს მუშას. ახ! მთავრობა უნდა კრძალავდეს ამ საზიზღრობის გამოხდას.

როდესაც ჟერვეზა გუტ-დორის ქუჩაზე მივიდა, მთელ სახლში დიდი ალიაქოთი დაუხვდა. ყველა მის მუშა ქალს სამრეცხაო მიეტოვებინა, ეზოში გამოსულიყო და მაღლა იცქირებოდა. ჟერვეზა კლემანსს შეეკითხა, რა ამბავიაო.

– ბიძია ბიჟარი ცოლს სცემს, – მიუგო მეუთოე ქალმა, – მთვრალი, ისეთი გალეშილი, რომ პირში ენა არ ჰქონდა, კართან იდგა და თავისი ცოლის დაბრუნებას ელოდა სამრეცხაოდან. სულ კინწისკვრითა და მუშტის ცემით აათრია კიბეზე და ახლა იქ, მაღლა, ოთახში ცემით კლავს... აჰა, ხომ გესმით ყვირილი?

ჟერვეზა საჩქაროდ ავარდა მაღლა. ის დამეგობრებული იყო მადამ ბიჟართან, რომელიც მასთან მრეცხავად მუშაობდა და ამასთან ძალიან მხნე ქალიც იყო. ჟერვეზას იმედი ჰქონდა, რომ დააშოშმინებდა მათ. მაღლა, მეექვსე სართულზე, ოთახის კარი ღია დარჩენილიყო. რამდენიმე მობინადრე შეკრებილიყო შესასვლელთან და ყაყანებდნენ, ხოლო მადამ ბოში კარის წინ იდგა და ყვიროდა: – მოეღება ბოლო ამ ამბავს თუ არა?! იცოდეთ, ახლავე პოლიციას დავუძახებ, გესმით, თქვენ!..

ოთახში შესვლას ვერავინ ბედავდა, ვინაიდან იცოდნენ, რომ ბიჟარი სიმთვრალის დროს ნამდვილი მხეცი იყო, თუმცა ფხიზელი არც არასდროს ყოფილა. იმ იშვიათ დღეებშიც, როდესაც მუშაობდა, ერთ ბოთლ არაყს მოიდგამდა ხოლმე საზეინკლო დაზგის გვერდით და ნახევარი საათის განმავლობაში ყლურწავდა. სხვანაიარად ყოფნა არც შეეძლო, მის პირთან ახლოს რომ ასანთი მიგეტანათ, ჩირაღდანივით აინთებოდა.

– ასე ხომ ვერ დავასახიჩრებინებთ ქალს, – წარმოთქვა ჟერვეზამ ცახცახით.

და მათ ოთახში შევიდა. ეს იყო სხვენის ოთახი, ძალიან სუფთა, მაგრამ შიშველი და ცივი, ამ კაცის ლოთობით გამოცარიელებული. ოღონდ დაელია და, ბიჟარი უკანასკნელ ზეწარსაც კი აძრობდა ლოგინს. ჩხუბის დროს მაგიდა ფანჯრისკენ გაგორებულიყო, ორადორი სკამი გადატრიალებულიყო და ფეხები მაღლა აეშვირა. ოთახის შუაგულში, იატაკზე ეგდო მადამ ბიჟარი, რომელსაც ტანზე მიჰკრობოდა ჯერ კიდევ სამრეცხაოს წყლისგან სველი ბოლოკაბა. თმა გაწეწილი ჰქონდა, მთლად დასისხლიანებული მძიმედ სუნთქავდა, ხრიალებდა და ბიჟარის ქუსლის ყოველ დაკვრაზე გაბმით გმინავდა: ოხ, ოხ! ბიჟარს ჯერ ორივე მუშტის დარტყმით წაექცია ის და ახლა ფეხით თელავდა.

– ახ, სალახანავ! ახ, სალახანავ! ახ, სალახანავ! – ყრუ ხმით ბრდღვინავდა კაცი, და თითოეულ სიტყვას დარტყმას აყოლებდა. ყოველი დაკვრის გამეორებისას მეტად ხელდებოდა, და რამდენადაც უფრო უჭირდა სულის მობრუნება, იმდენად უფრო ძლიერი იყო მისი დარტყმა.

ბოლოს ხმამ უღალატა ბიჟარს და ბლუზაშემოხეული, უხმოდ განაგრძობდა გაშმაგებით ცემას. ჭუჭყიანი წვერი ჰქონდა, გალურჯებული სახე, ხოლო მოტვლეპილ

თავზე ვეება წითელი ლაქები ზოლებად დასჩნეოდა. კართან შეკრებილი მეზობლები ლაპარაკობდნენ, – იმიტომ სცემს ცოლს, რომ დილით ოცი სუს მიცემაზე უარი უთხრაო. კიბის ქვემოთ ბოშის ხმა ისმოდა. ის მადამ ბოშს ეძახდა და უყვიროდა: – ჩამოდი, დაანებე თავი, დეე, ერთმანეთი ამოხოცონ. ერთი სალახანით ნაკლები იქნება.

მიუხედავად ამისა, ბიძია ბრიუც ოთახში შეჰყვა ჟერვეზას. ორივენი ცდილობდნენ როგორმე დაეშოშმინებინათ ზეინკალი და ხელს ჰკრავდნენ მას კარისკენ. მაგრამ ის უკანვე ბრუნდებოდა უსიტყვოდ, პირზე ქაფმომდგარი და მის უფერულ თვალებში გამონაკრთობი ალკოჰოლის შუქი მკვლელობის ბოროტი ცეცხლით ინთებოდა. ჟერვეზას მკლავი დაუზიანა, მოხუცებული მუშა მაგიდაზე დაანარცხა. იატაკზე დაგდებული მადამ ბიჟარი უფრო მეტად ხრიალებდა, მას ფართოდ გაეღო პირი, ხოლო თვალები დახუჭული ჰქონდა. ამჟამად ბიჟარი ხელს ვეღარ ახვედრებდა მას. თუმცა ისევ უბრუნდებოდა, მაგრამ გამძვინვარებულსა და გაშმაგებულს ხელი გვერდზე მიუდიოდა, აუცდებოდა ხოლმე, რის გამოც უფრო ცოფდებოდა და სიბრაზით დაბრმავებული სიცარიელეს ურტყამდა და თვითონვე ბორძიკობდა. მთელ ამ სისხლის ღვრასა და ორომტრიალში ჟერვეზა ოთახის ერთ კუთხეში ხედავდა პატარა ლალის, ოთხი წლის გოგონას, რომელიც უყურებდა, თუ როგორ ასახიჩრებდა და სიცოცხლეს უსპობდა მამამისი მის დედას. ბავშვს თითქოს მფარველობის გაწევის მიზნით ხელში ეჭირა თავისი ახალძუძუგანაშვები დაიკო ჰენრიეტა. ინდურთავსაფრიანი ლალი ფეხზე იდგა, ძლიერ გაფითრებული, სერიოზული სახით. მისი დიდრონი შავი, აზრით სავსე თვალები დაკვირვებით იყურებოდნენ და ერთი ცრემლიც არ ჩამოუგდიათ.

ბოლოს, როცა ბიჟარი სკამს გადააწყდა, ძირს გაიშხლართა და ხვრინვა ამოუშვა. ჟერვეზამ ბიძია ბრიუს დახმარებით წამოაყენა მადამ ბიჟარი. მადამ ბიჟარი ახლა მოთქმით ტიროდა, ქვითინებდა. ლალი მიუახლოვდა დედას და უყურებდა მტირალს. ის ამგვარ ამბებს შეჩვეული იყო უკვე და ბედს დამორჩილებოდა. როდესაც ჟერვეზა ძირს ჩადიოდა, მთელი სახლი უკვე დაწყნარებული დაუხვდა, ხოლო თვითონ მას სულ თვალწინ ედგა ოთხი წლის გოგონას თვალები, მხნე და სერიოზული, დიდი ქალის თვალებივით.

– აგერ, მუსიე კუპო, პირდაპირ ქვაფენილზე, – შესძახა კლემანსმა, როგორც კი დაინახა ჟერვეზა, – ძალიან შექეიფიანებული ჩანს!

სწორედ ამ დროს ქუჩაზე გადმოდიოდა კუპო, და რაკი კარს ვერ მიაგნო, კინაღამ შემოამტვრია ფანჯარა, ისე დაეჯახა მას მხარით. კუპო გალეშილი იყო. კრიჭაშეკრული და ცხვირჩამოშვებული მოდიოდა. ჟერვეზამ იმწამსვე იცნო „ხაფანგის“ შაბიამანზე დაყენებული არაყი, რომელიც ისე წამლავს სისხლს, რომ კაცს პირისკანი ულურჯდება. ჟერვეზას უნდოდა სიცილით ჩაეწვინა კუპო ლოგინში ისევე, როგორც ამას იმ დღეებში სჩადიოდა, როდესაც კუპო ღვინით იყო ხოლმე გამხიარულებული. მაგრამ პირმოკუმულმა კუპომ მას მუჯლუგუნი ჰკრა და, როცა

ლოგინისკენ წავიდა, მუშტიც მოუღერა. ის ამ დროს იმ მეორეს ჰგავდა, იმ ლოთს, რომელიც თავისი ცოლის ცემით მოღლილი ზემოთ ხვრინავდა. ჟერვეზას ტანში ჟრუანტელმა დაურბინა. ის ფიქრობდა მამაკაცებზე, ქმარზე, გუჟეზე. გულგატეხილი და სასწარკვეთილი იყო იმ აზრით, რომ არასდროს ბედნიერი არ იქნებოდა.

## თავი მეშვიდე

ჟერვეზას დღეობა 19 ივნისს მოდიოდა. საოჯახო დღესასწაულზე კუპოებთან დიდი ქეიფის გადახდა იცოდნენ. ნადიმის შემდეგ ისეთი გამაძღრები დგებოდნენ სუფრიდან, რომ ლამის გასკდომაზე იყვნენ. ერთი კვირის სამყოფ საჭმელს იტენიდნენ მუცელში. სამაგიეროდ, პირწმინდად ჯიბეგაფხეკილები რჩებოდნენ. უკანასკნელი ოთხი სუ რომ გააჩნდათ ოჯახში, იმასაც კი ფლანგავდნენ. გამოგონილი წმინდანების სახელებს დაეძებდნენ კალენდრებში, რათა საბაბი გამოენახათ ამ ღორმუცელობისთვის. ვირჯინია კვერს უკრავდა და აქეზებდა ჟერვეზას, პირისთვის არ აეშორებინა ტკბილი ლუკმა. როცა ქმარი ყველაფერს ლოთობაზე ფლანგავს, ხომ ასეა? მაშინ ლუკმა დალოცვილია, თუ ოჯახის ქონება სასმლის მაგივრად სტომაქის ლაზათიანად გამოვსებას მოხმარდებაო. ფული ხომ მაინც მიდის, არ ჩერდება! ჯობია ისევ ყასაბმა ისარგებლოს სირაჯის მოგებას! და გამსუნაგებული ჟერვეზაც ადვილად პოულობდა თავის გასამართლებელ საბუთს ამგვარი მსჯელობისას. მაინც ხომ უკან მიდიოდა საქმე! განა კუპოს ბრალი არ იყო, რომ მათ ერთი სუც არ ჰქონოდათ გადადებული შავი დღისთვის? ჟერვეზა უკვე გასუქდა, ქონიც მოიკიდა და მეტადაც კოჭლობდა, რადგან სიმსუქნესთან ერთად, თითქოს ფეხიც უფრო დაუმოკლდა.

დღეობისთვის მზადებას იმ წელიწადს ერთი თვით ადრე შეუდგნენ. საჭმელების არჩევანში იყვნენ და თან ნერწყვს ყლაპავდნენ. სული მისდიოდათ, ისე ენატრებოდა მთელ სახელოსნოს ქეიფი. რაღაც არაჩვეულებრივი და ბრწყინვალე უნდა მოვაწყოთ, სანაქებო ქეიფი და ღრეობა უნდა გადავიხადოთო. ღმერთო ჩემო! განა ყოველდღე უხდება ადამიანს კარგი დროს ტარება?

მრეცხავი ქალის უდიდეს საზრუნავს შეადგენდა საკითხი, თუ ვინ დაეპატიჟებინა. მას უნდოდა, რომ სუფრაზე ჰყოლოდა სულ თორმეტი კაცი. არც მეტი, არც ნაკლები. ჯერ ხომ თვითონ ჟერვეზა, მერე კუპო. კუპოს დედა, მადამ ლერა, ამრიგად ოთხი უკვე შინაური იქნებოდა. ახლა გუჟე თავისი დედით და პუასონები. ჟერვეზას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, არ დაეპატიჟნა თავისი მუშა ქალები პიუტუა და კლემანსი, რათა ძალიან არ გაშინაურებოდნენ. მაგრამ ყოველ ცისმარე დღე ამ დღეობაზე ლაპარაკობდნენ სწორედ მათ წინაშე და ისინი ცხვირჩამოშვებულები

იყვნენ. ჟერვეზამაც ბოლოს აიღო და მათაც უთხრა, რომ მოსულიყვნენ. ოთხი და ოთხი – რვა, კიდევ ორიც – ათი, რაკი ჟერვეზას სურდა, რომ სტუმართა რიცხვი უეჭველად თორმეტი ყოფილიყო, ამიტომ შეურიგდა ლორილეებს, რომლებიც ეს ერთი ხანია სულ გარს უტრიალებდნენ. ასე თუ ისე შეთანხმდნენ, რომ ლორილეები სადილად ჩამოვიდოდნენ მათთან და იქ სასმისით ხელში შეურიგდებოდნენ ერთმანეთს. მართლაც ხომ არ შეიძლებოდა, რომ სულ ასე ნაჩხუბრები ყოფილიყვნენ. ამასთან, ქეიფზე ფიქრიც გულს ულბობდა ყველას. შეუძლებელი იყო ამ შემთხვევის ხელიდან გაშვება. როცა ბოშებმა შეიტყვეს ამ მოსალოდნელი შერიგების ამბავი, მაშინვე დაუახლოვდნენ ჟერვეზას, უღიმოდნენ, თავაზიანად დაუწყეს მოპყრობა. ამიტომ ჟერვეზას მათი მოპატიჟებაც მოუხდა. ესეც ასე! ამრიგად დაგროვდა თოთხმეტი კაცი, ბავშვების გამოკლებით. არასდროს გადაუხდია ასეთი ნადიმი ჟერვეზას, ძალიან ღელავდა, მაგრამ ესახელებოდა კიდეც.

იღბალზე დღესასწაული ორშაბათ დღეს ემთხვეოდა. ჟერვეზას განსაკუთრებით კვირადღის ნაშუადღევის იმედი ჰქონდა, რომ მზარეულობას შეუდგებოდა. შაბათს მუშა ქალებმა ჰაიჰარად დაასრულეს სამუშაო და შემდეგ სახელოსნოში გაიმართა ხანგრძლივი სჯა-ბაასი, თუ რას მიირთმევდნენ იმ დღეს. ერთი თავი კერძი უკვე სამი კვირაა, რაც დადგენილი იყო. ეს იყო მსუქანი შემწვარი ბატი. პირზე ნეწყვმორეულები ლაპარაკობდნენ ისინი ამ ბატზე. ბატი უკვე ნაყიდიც იყო. კუპოს დედამ მოიტანა იგი და მადამ პიუტუასა და კლემანსს ხელით გაასინჯვინა მისი სიმძიმე. გაისმა აღტაცებული შეძახილები: უზარმაზარი ეჩვენათ მათ ეს ბატი თავისი ხორკლიანი და ყვითლად ქონმორეული კანით.

– სანამ სუფრაზე ამას მოვიტანდეთ, ჯერ წვნიანი იქნება, არა? – წარმოთქვა ჟერვეზამ, – წვნიანი მოხარშული ხორცის ერთი პატარა ნაჭრით მუდამ კარგია... ამის შემდეგ საჭიროა ერთი თავი კერძი საწებლით.

ახმახმა კლემანსმა წინადადება შემოიტანა, ეს კურდღელი იყოსო. მაგრამ ამის მეტს რას ჭამდნენ, კურდღლის ხორცი ყელში ჰქონდათ ამოსული. ჟერვეზა რაღაც უფრო საგანგებოზე ოცნებობდა.

მადამ პიუტუამ ჩაილაპარაკა: ხბოს ხორცი თეთრი საწებლითო. ყველამ ერთიმეორეს გადახედა ღიმილით, ეს ღიმილი თანდათან მატულობდა. აი, ეს კი მართლაც კარგი აზრია: ხბოს ხორცი საწებლით, ჩინებულია, უკეთესს ვერ მოიგონებ.

– შემდეგ, – განაგრძო ჟერვეზამ, – საჭირო იქნება კიდევ რაიმე საწებლიანი.

კუპოს დედამ თევზი მოინდომა, მაგრამ დანარჩენები დაიღრიჯნენ და უფრო მაგრად დააწვნენ თავიანთ უთოებს. თევზი არავის უყვარდა: კუჭში არაფერი გრჩება და, გარდა ამისა, ძვლებით არის სავსეო. ელამმა ოგიუსტინამ გაბედა და თქვა, ქამბალა მიყვარსო, მაგრამ კლემანსმა ერთი მაგრად შეუტია და ხმა ჩააწყვეტინა გოგოს. ბოლოს, დიასახლისმა მოიფიქრა, ღორის ხორცი კარტოფილით და კვლავ ყველას სახე გაუბრწყინდა. ამ დროს ქარივით შემოიჭრა სახეალეწილი ვირჯინია.

– სწორედ კაი დროს მოხვედით, – წამოიძახა ჟერვეზამ, – დედა, – მიმართა მან კუპოს დედას, – ერთი ამათაც უჩვენეთ ის ფრინველი!

კუპოს დედა ხელმეორედ წავიდა მსუქანი ბატის მოსატანად, რომ ახლა ვირჯინიას დაეჭირა იგი ხელში. ვირჯინიამ გაოცებით შეჰკივლა: „რა მძიმეა, დასწყევლის ღმერთი!“ მაგრამ ბატი მაშინვე მაგიდაზე დადო, ერთ ბოლოკაბასა და პერანგების შეკვრას შუა. მისი ფიქრი სხვაგან იყო. მან უკანა ოთახში გაიყვანა ჟერვეზა.

– გამიგონეთ, გეთაყვა, – აჩქარებით წასჩურჩულა მან ჟერვეზას, – რაღაც უნდა გაცნობოთ... ვერასოდეს მიხვდებით, თუ ვინ შემხვდა ქუჩის ბოლოს. ლანტიე, ჩემო ძვირფასო! იქ დახეტიალებს, ვიღაცას უთვალთვალებს... მე მაშინვე აქეთ გამოვკურცხლე. თქვენ მაგივრად შემეშინდა, გესმით?!

მრეცხავი ქალი მთლად გადაფითრდა. რა უნდა მისგან, ბოლოს და ბოლოს, იმ უბედურს? რაღა ახლა დაატყდა თავზე, როცა დღესასწაულისთვის ემზადება. მუდამ რომ ასეთი უიღბლოა ჟერვეზა. ერთხელაც არ დასცალდება დამშვიდებით ისიამოვნოს. მაგრამ ვირჯინიამ უპასუხა: შენც მოგცლია, ტყუილუბრალოდ გულს რაზე იფუჭებ. თუ ლანტიე არ დაიშლის და აგეტორღიალება, პოლიციას დაუძახე და დაატუსაღებინეო. მხოლოდ ერთმა თვემ განვლო, რაც ვირჯინიას ქმარმა პოლიციელის ადგილი მიიღო და მას შემდეგ ამ მაღალ შავტუხა ქალს გამომწვევად ეჭირა თავი, მზად იყო მთელი ქვეყანა დაეტუსაღებინა. – ნეტავ ერთი ვინმემ ხელი მახლოს ქუჩაში, როგორ წავაბრძანებ იმ თავხედს პოლიციაში და თვით პუასონს ჩავაბარებო! – ხმამაღლა წამოიძახა ვირჯინიამ, მაგრამ ჟერვეზამ მაშინვე მუდარით ანიშნა, გაჩუმებულიყო, რადგან მომუშავე ქალები ყურს უგდებდნენ მათ. ჟერვეზა პირველი დაბრუნდა სახელოსნოში. ცდილობდა, რაც შეიძლება მშვიდი სახე მიეღო და წარმოთქვა: – ახლა ბოსტნეულიც დაგვჭირდება, არა?

– ჰე, ჰე! წვრილი მუხუდო ქონით, – წარმოთქვა ვირჯინიამ. – ბოსტნეულიდან მე მეტს არაფერს ვჭამ.

– დიახ, დიახ, წვრილი მუხუდო ქონით, – დაუდასტურა ყველამ ერთხმად, ხოლო აღფრთოვანებულმა ოგიუსტინამ რაც ძალი და ღონე ჰქონდა ღუმელს შეუჩხიკინა.

მეორე დღეს, ე. ი. კვირას, კუპოს დედამ უკვე სამი საათიდან გაახურა ორივე ღუმელი, რომელიც მათ ჰქონდათ, ხოლო მესამე, მოძრავი ღუმელი, ბოშებიდან გადმოიტანეს. ოთხის ნახევარზე ბულიონი უკვე თუხთუხებდა ვეებერთელა ქვაბში, რომელიც მეზობელი რესტორნიდან ითხოვეს, რადგან მათი საოჯახო კარდალა მეტად პატარა ეჩვენათ. გადაწყვიტეს: ხბოსა და ღორის ხორცი წინადღითვე მოემზადებინათ, რადგანაც ეს ორი თავი კერძი უკეთესია, როდესაც ხელმეორედ შეათბობ. ხბოს ხორცს კი თეთრ საწებელს სწორედ სუფრაზე მიტანის წინ დაასხამდნენ. ორშაბათისთვის კიდევ კარგა ბლომად საქმე რჩებოდა გასაკეთებელი. წვნიანი, წვრილი მუხუდო ქონით, შემწვარი ბატი. სამი მოგიზგიზე ცეცხლის ალი ანათებდა უკანა ოთახს. ერბოზე მომზადებული საწებელი ტაფაზე შიშინებდა, ხოლო უზარმაზარი კარდალა

ორთქლის ქვაბივით ისროდა ორთქლის ქულებს და მის გვერდებს დინჯი და თანაბარზომიერი თუხთუხი არხევდა. კუპოს დედა და ჟერვეზა თეთრი წანსაფრებით ფუსფუსებდნენ ოთახში, ოხრახუშს ჭრიდნენ, ხან მარილისთვის გარბოდნენ, ხან შავი პილპილისთვის. ხან ხორცს პატარა ხის ნიჩბით ატრიალებდნენ. კუპო სახლიდან გაისტუმრეს, რათა ხელი არ შეეშალა მათთვის. მაგრამ ნაშუადღევიდან ხალხი მაინც ბუზივით ირეოდა მათ გარშემო. საჭმლის მზადების გამო მთელ სახლში ისეთი გემრიელი სუნი ტრიალებდა, რომ მეზობელი ქალები ზედიზედ შემოდიოდნენ, ვითომ რაიმე საქმისთვის და ნამდვილად კი იმის შესატყობად, თუ რა მზადდებოდა: მოვიდოდნენ, დადგებოდნენ იქ და ელოდებოდნენ, სანამდე მრეცხავ ქალს ქვაბის ხუფების ახდა დასჭირდებოდა. ხუთი საათისთვის ვირჯინიაც გამოჩნდა. მას კიდევ ენახა ლანტიე. სწორედ ფეხი ვეღარ გადაგიდგამს ქუჩაში ისე, რომ მას არ წააწყდეო. მადამ ბოშსაც მოეკრა თვალი მისთვის ქუჩის კუთხეში, – თავი წინ წამოეყო, და რაღაცა ქვეშ-ქვეშ იყურებოდაო.

ჟერვეზა სწორედ ამ დროს წვნიანისთვის შემწვარი ხახვის საყიდლად აპირებდა გასვლას, მაგრამ ისე დაფრთხა, ისეთმა კანკალმა აიტანა, რომ გარეთ გასვლა ვეღარ გაბედა, მით უმეტეს, რომ მეკარე ქალმა და მკერავმა ძლიერ დააშინეს იგი საშინელი ამბებით, თუ როგორ უხვდებიან ქალებს მამაკაცები დანებით და სერთუკქვეშ ამოფარებული დამბაჩებით. ეგრე, მაშ! ყოველდღე მაგისთანა ამბებს არ წერენ გაზეთებში? როდესაც ამისთანა სალახანა ნახავს, რომ მისი ძველი სატრფო ბედნიერებაშია, გაცოფდება და მზად არის ყველაფერი ჩაიდინოს... ვირჯინიამ თავაზიანად იკისრა ხახვის საყიდლად წასულიყო, – ქალები უნდა დაეხმარონ ერთიმეორეს, ხომ ვერ ააკუწვინებენ ამ საწყალ გოგოს. ვირჯინიამ დაბრუნებისას თქვა, რომ ლანტიე იქ აღარ იყო, ალბათ, გაიძურწა, რაკი იგრძნო, რომ შევნიშნეთო. მაგრამ, ამის მიუხედავად, ტაფების ირგვლივ მუსაიფი საღამომდე სულ მაინც ლანტიეს გარშემო ტრიალებდა. მადამ ბოშმა ურჩია ჟერვეზას, კუპოსთვის გაემხილა ყველაფერი, მაგრამ თავზარდაცემული ჟერვეზა ევედრებოდა, ჩემს ქმარს ისედაც მგონი ეჭვი აქვს აღებული ამ საქმეზე, რადგან აგერ რამდენიმე დღეა, რაც დაწოლის წინ სულ ილანძღება და მუშტებს ურტყამს კედლებსო. ჟერვეზას ხელები უცახცახებდა იმ ფიქრით, რომ ორ მამაკაცს შეეძლო ერთმანეთი დაეჭამა მის გამო. მან იცის კუპოს ამბავი, ისეთი ეჭვიანია, რომ შეუძლია უზარმაზარი მაკრატლით ეძგეროს ლანტიეს. სანამ ეს ოთხი ქალი ამ დრამაზე მსჯელობდნენ, საწებელი წყნარად იშუშებოდა ღუმლის განელებულ ცეცხლზე. როცა კუპოს დედა ხუფებს ახდიდა ხოლმე, ხბოს ხორცი და ღორის ხორციც ოდნავ გაიხმაურებდნენ, შეთრთოლდებოდნენ მოკრძალებით. შეჭამანდიც მზისგულზე ჩაძინებული მგალობელივით თუხთუხებდა. დაბოლოს, ქალებმა გემოს გასასინჯად სათითაოდ მოსვეს ფინჯნიდან ბულიონი.

ორშაბათიც მოვიდა. რადგანაც ჟერვეზას ახლა უკვე თოთხმეტი კაცი ჰყავდა მოწვეული სადილად, შეშინდა, – ვაითუ, ვერ მოვათავსო ყველანი ერთადო და გადაწყვიტა სუფრა სახელოსნოში გაეშალა. ჟერვეზა დილიდანვე ზომავდა

სახელოსნოს და ფიქრობდა, საით უფრო აჯობებდა მაგიდის დადგმა. ამის შემდეგ დასჭირდა სარეცხის ალაგება, სამუშაო დაზგის დაშლა, საუთოო ფიცრის აღება. ამ სამუშაო დაზგას სასადილო მაგიდის მაგივრობა უნდა გაეწია მათთვის. სწორედ ამ ალაგება-დალაგებაში იყო ჟერვეზა, რომ კლიენტი ქალი მოვიდა და ერთი ყოფა დააწია, რადგან იგი სარეცხს უკვე პარასკევიდან ელოდებოდა. დამცინით თუ რა არის, ახლავე უნდა მომცეთ ჩემი თეთრეულიო! ჟერვეზამ ბოდიში მოიხადა და დიდი რიხით იცრუა კიდეც. ჩემი ბრალი არ არის, სახელოსნოს ვალაგებ, მუშა ქალები კი მხოლოდ ხვალიდან მოვლენო, და როგორც იქნა, დააშოშმინა და გაისტუმრა კლიენტი, იმ დაპირებით, რომ პირველ რიგში მის სარეცხს მოჰკიდებდა ხელს. მაგრამ როცა პირველ კლიენტ ქალს მეორე მოჰყვა, აქ კი უკვე გაცხარდა ჟერვეზა და ლანძღვა დაიწყო: კლიენტებს რომ ყური უგდოს ადამიანმა, ჭამის დროც აღარ ექნება, თავი უნდა შეაკლას იმათ თვალებში ცქერასო. მრეცხავი ქალები დაბმული ძაღლები კი არ არიან, მართლა და მართლა! არა, ტყუილია, თვით ოსმალეთის ხონთქარიც რომ მოვიდეს თავისი ფეხით და თავისი საყელოს გაუთოება სთხოვოს და ასი ათასი ფრანკიც შესთავაზოს, უთოს ხელს არ მიაკარებს ამ ორშაბათს! მასაც უნდა, ბოლოს და ბოლოს, დაისვენოს და ისიამოვნოს კიდეც ცოტა!

მთელი დილა მოუნდა წინადღით გადადებულ საყიდლებს: ჯორცხენასავით დატვირთულ ჟერვეზას სამჯერ მაინც დასჭირდა წასვლა და შინ მობრუნება. მაგრამ, როდესაც ღვინის მოსატანად მიდიოდა, აღმოჩნდა, რომ ფული აღარ ჰყოფნიდა. რასაკვირველია, ძალიან კარგად შეეძლო ღვინო ნისიად წამოეღო, მაგრამ სახლს ხომ მაინც ასე უკაპიკოდ ვერ დატოვებდა, ხომ შეიძლებოდა აღმოჩენილიყო ათასი წვრილ-წვრილი ხარჯი, რაც წანასწარ ნავარაუდევი არ ჰქონდა. უკანა ოთახში კუპოს დედა და ჟერვეზა სასოწარკვეთილები ანგარიშობდნენ, რომ მათ სულ ცოტა ოცი ფრანკი მაინც დასჭირდებოდათ. კუპოს დედამ, რომელიც ოდესღაც ერთ პატარა მსახიობ ქალს ემსახურებოდა, პირველმა გაიხსენა ლომბარდი. ჟერვეზას გულზე მოეშვა და გაიცინა. რა სულელია! რატომ თვითონ არ მოაფიქრდა ლომბარდი. საჩქაროდ შეახვია ხელსახოცში შავი აბრეშუმის კაბა, ქინძისთავებით დაამაგრა შეკრულა, თავისი ხელით წინსაფრის ქვეშ ამოუდო კუპოს დედას და ურჩია გაბრტყელებული მიეკრა მუცელზე, რათა მეზობლებს არ დაენახათ. სულაც არ იყო საჭირო, რომ მათ ეს სცოდნოდათ, ხოლო ჟერვეზა კართან დადგა და თვალყურს ადევნებდა, ხომ არავინ უთვალთვალებს მოხუცსო. მაგრამ კუპოს დედა ჯერ მენახშირე ქალს არ მიახლოებოდა, რომ ჟერვეზამ კვლავ მოიხმო.

– დედა! დედა!

ისევ სახელოსნოში შემოიყვანა. თითიდან ჯვრისწერის ბეჭედი მოიხსნა და უთხრა: – აჰა, ესეც წაიღეთ, უფრო მეტს მოგცემენ.

როდესაც კუპოს დედამ ოცდახუთი ფრანკი მოუტანა, ჟერვეზა სიხარულით აცეკვდა. წავიდა და ექვსი ბოთლი სამარკო ღვინო დამატებით შეუკვეთა შემწვარზე დასაყოლებლად. თვალი გამოეთხრებათ ლორილეებსო.

ორი კვირის განმავლობაში კუპოს ოჯახის ოცნება იყო ლორილეებისთვის თვალი გამოეთხარათ. განა ეს ქვეშ-ქვეშები, ცოლიცა და ქმარიც, ეს სწორედ ფერი ფერსაო, რომ იტყვიან, არ შეიკეტებიან ხოლმე, როცა გემრიელი ლუკმა აქვთ შესაჭმელი, თითქოს მოპარული ჰქონდეთ? დიახ, ფარდებს აფარებენ ფანჯარას, რომ შუქი არ გამოვიდეს, ვითომ სძინავთ. რა თქმა უნდა, ვინღა მივა მათთან? ისინიც მარტოდმარტო ხეთქავენ, ჩქარობენ უჩუმრად გამოიტენონ პირი, სიტყვას არ იტყვიან ხმამაღლა. ხოლო მეორე დღეს სანაგვეში არ ყრიან ძვლებს, სხვებმა არ შეიტყონ, რა ვჭამეთო! მადამ ლორილე ქუჩის ბოლოს მიდის და იქ ნაგავსადენ მილში ყრის საჭმლის ნარჩენებს. ერთ დილას ჟერვეზამ მიუსწრო, რომ მადამ ლორილემ ხამანწკების ნიჟარებით სავსე კალათა ჩაცალა იქ.

ახ! არა, ხელგაშლით არ ირჯებიან ეს ქვაწვიები, ყველა ეს ხრიკი გამომდინარეობს გაშმაგებული სურვილისგან, ყველას ღატაკებად მოაჩვენონ თავი. ძალიან კარგი! ახლა ნახონ, ჭკუა ისწავლონ ამათგან, რომ ყველა მათსავით ძაღლურად არ იქცევა. ჟერვეზას რომ შესძლებოდა, შუა ქუჩაში გაშლიდა სუფრას და ყველა გამვლელ-გამომვლელს მიიპატიჟებდა.

ფული? ობის მოსაკიდებლად ხომ არ არის იგი მოგონილი? ფული კარგი მაშინ არის, როცა ახალია და მზეზე ბრჭყვიალებს. ჟერვეზა ძალიან ნაკლებად ჰგავდა იმათ: როცა ოცი სუ ჰქონდა, ისე იქცეოდა, იფიქრებდით, ორმოცის პატრონიაო.

კუპოს დედა და ჟერვეზა სანამ სუფრას შლიდნენ, ე. ი. დაწყებული სამი საათიდან, სულ ლორილეებზე ლაპარაკობდნენ. ფანჯრებს დიდი ფარდები ჩამოაფარეს, მაგრამ, რადგანაც ცხელოდა, კარი ღია დატოვეს და ქუჩაზე ყველა გამვლელი ხედავდა გაშლილ სუფრას. ამ ორ ქალს არც ერთი სურა, ბოთლი თუ სამარილე ისე არ დაუდგამთ, რომ ლორილეები არ გაექილიკებინათ. ყველაფერს ისე აწყობდნენ, რომ ლორილეებს დაენახათ გაშლილი სუფრის მთელი სილამაზე და სიუხვე, აწყობდნენ საუკეთესო ჭურჭელს, რადგან ძლიერ კარგად იცოდნენ, რომ თითოეული ფაიფურის თეფში გულზე ლახვრად დაესობოდა მათ.

– არა, არა, დედა, – შეჰყვირა ჟერვეზამ, – ამ ხელსაწმენდებს ნუ უწყობთ იმათ. მე ორი მაქვს ნაქარგი.

– აჰა, კეთილი, – წაიბუტბუტა მოხუცმა, – აი, ეგ იქნება სწორედ, რომ სულს ამოართმევს მათ.

თეთრად გადაპენტილი დიდი მაგიდის აქეთ-იქით მდგომი ქალები უღიმოდნენ ერთმანეთს და სუფრაზე მწყობრად დალაგებული თოთხმეტი ხელი ჭურჭელი უზომო სიამაყით უვსებდათ გულს. გაწყობილი სუფრა საკურთხეველივით იდგა სახელოსნოს შუაგულში.

– ნეტავი ასეთი ხელმომჭირნეები რად არიან მაინც?.. – წარმოთქვა ისევ ჟერვეზამ, – წინა თვეში ხომ იცრუეს, ცოლი რომ ყველას უყვებოდა, დამთავრებული სამუშაო

ჩასაბარებლად მიმქონდა და ოქროს ძეწკვის ნაჭერი დავკარგეო. რა დასაჯერია? აბა, სწორედ ეგ რამეს დაკარგავს თავის სიცოცხლეში!.. ეს უბრალო ოინი იყო, გაჭირვებას უჩიოდა, წუწუნებდა, რომ თქვენთვის ის თქვენი ასი სუ არ მოეცა.

– მე ხომ ორჯერ მეტად არც მინახავს ეგ ჩემი ასი სუ! – შენიშნა კუპოს დედამ.

– გინდა, დავნაძლევდეთ! მომავალ თვეს სხვა ამბავს მოიგონებენ... ახლა კი გასაგებია, რად აფარებენ ეგენი ფანჯარაზე ფარდას, როცა კურდღლის ხორცს მიირთმევენ. ეგრე რომ არ იქცეოდნენ, ხომ ყველას ექნებოდა უფლება ეთქვა მათთვის: „თუ კურდღლის ხორცს მიირთმევთ, მაშ, ძალიან კარგად შეგიძლიათ დედათქვენსაც მისცეთ მისი ასი სუ“. ოხ! რა გაიძვერები არიან! რა დაგემართებოდათ თქვენ, ჩემთან რომ არ მომეყვანეთ?

კუპოს დედამ თავი გაიქნია. იმ დღეს ეს დედაბერი გადაჭრით ლორილეების წინააღმდეგ იყო განწყობილი, ვინაიდან კუპოს ოჯახში დიდი წვეულება იმართებოდა, მას კი უყვარდა კერძების მზადება, ქვაბების გვერდით მასლაათი და სადღესასწაულო არეულობა და ალიაქოთი მთელ სახლში. გარდა ამისა, ის საერთოდ საკმაოდ კარგად ეწყობოდა ჟერვეზას. ხანდახან თუ მოუვიდოდათ კინკლაობა ერთმანეთში, რაც ყოველ ოჯახში ხდება. მოხუცი ქალი მოჰყვებოდა ხოლმე ბუზღუნს, ჩიოდა, ასე ვარ გაუბედურებული, რძალთან სამადლოდ ვცხოვრობო. ნაზი გრძნობა გულის სიღრმეში, ეტყობა, ჩარჩენილი ჰქონდა მადამ ლორილესადმი. რაც უნდა იყოს, ქალიშვილი იყო მისი!

– ჰა? – გაიმეორა ჟერვეზამ, – იმათთან ხომ ასე ვერ მოკეთდებოდით? არც ყავა გექნებოდათ, არც თამბაქო, არც ტკბილეულით გაგანებივრებდნენ. მითხარით ერთი, ისინი ორ ლეიბს დაგიგებდნენ ლოგინზე?

– რა თქმა უნდა, არა, – მიუგო კუპოს დედამ, – როცა ისინი შემოვლენ, მე კარის პირდაპირ უნდა გავჩერდე, რომ მათი ცხვირები დავინახო.

ლორილეების სიფათები წინდაწინვე ამხიარულებდა მათ. მაგრამ ახლა ერთ ადგილზე დგომისა და მაგიდის ცქერის დრო აღარ იყო. დღეს კუპოს ოჯახმა ძალიან გვიან ისაუზმა, თითქმის პირველი საათი იქნებოდა, რომ ცოტაოდენ ძეხვეულს შეექცნენ, რადგან სამივე ღუმელი დაკავებული იყო და, გარდა ამისა, არ უნდოდათ საღამოსთვის დარეცხილი ჭურჭელი გაეჭუჭყიანებინათ. ოთხ საათზე ორივე ქალი გაცხარებულ სამზადისში იყო: გაღებულ ფანჯარასთან, იატაკზე დადგმულ და კედელთან მიდგმულ მაყალზე იწვოდა ბატი. ისეთი ვეებერთელა იყო ეს ფრინველი, რომ ძალით ჩატენეს ტაფაში. ელამი ოგიუსტინა პატარა სკამზე ჩამომჯდარიყო და პირდაპირ სახეში სცემდა გავარვარებული მაყალიდან შუქის ანარეკლი; გოგოს ხელში გრძელტარიანი კოვზი ეჭირა და დინჯად რწყავდა ბატს. ჟერვეზა ქონზე მომზადებულ მუხუდოს დასტრიალებდა. კუპოს დედა, გაოგნებული ამდენნაირი საჭმლის ცქერით, დაპროწიალებდა და იმ წუთს ელოდა, ღორისა და ხბოს ხორცი შეედგა გასათბობად. ხუთი საათისთვის სტუმრებმა დაიწყეს მოსვლა. პირველად

მოვიდნენ მუშა ქალები, კლემანსი და მადამ პიუტუა, ორივე სადღესასწაულოდ იყვნენ მორთულები, – პირველს ეცვა ლაჟვარდისფერი კაბა, ხოლო მეორეს – შავი. კლემანსს ხელში ნემსიწვერას ყვავილი ეჭირა, მადამ პიუტუას – ჰელიოტროპი. ჟერვეზამ ფქვილიანი ხელები უკან გასწია და ისე გადაკოცნა მაგრად ორივე. მათ ფეხდაფეხ მოჰყვა ვირჯინიაც, რომელიც ქალბატონივით გამოწყობილიყო ყვავილებიან მარმაშის კაბაში და მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ქუჩა ჰქონდა გადმოსასვლელი, თავზე ქუდიც დაეხურა. ხელში ეჭირა ქოთანი წითელი მიხაკებით. მან თავისი გრძელი ხელები შემოხვია მრეცხავ ქალს და მაგრად მიიკრა გულზე. ბოლოს გამოჩნდნენ მუსიე ბოში – იასამფერას ყვავილის ქოთნით ხელში და მადამ ბოში, რომელსაც ეჭირა ქოთანი რეზედათი. მადამ ლერამ მოიტანა ქოთანი ლიმონის ხით, რომლის მიწასაც გაეჭუჭყიანებინა მისი იისფერი მირინოსის კაბა. ყველამ დაჰკოცნა ჟერვეზა და ერთად შეჯგუფდნენ ოთახში, სადაც სამი ღუმელი და მაყალი სულშემხუთველ სიცხეს ავრცელებდა. ქვაბებში ქონის შიშხინი ფარავდა საერთო ხმაურს. ტაფაზე წამოდებულმა კაბის კალთამ ალიაქოთი გამოწვია. ბატს ისეთი სუნი ასდიოდა, ყველას ნესტოები ებერებოდა. ჟერვეზა ძალიან თავაზიანი იყო, ყველას სათითაოდ მადლობა გადაუხადა ყვავილებისთვის, თანაც განაგრძობდა ღრმა თეფშში ხბოს ხორცის საწებლის მზადებას. ყვავილის ქოთნები მაგიდის ბოლოში დააწყო, გარშემოხვეული თეთრი ქაღალდების შემოუხსნელად. კერძების სუნი ყვავილთა ტკბილ სურნელებაში ირეოდა.

– გნებავთ, მოგეხმარებით? – უთხრა მას ვირჯინიამ, – რომ დაუფიქრდები, თქვენ ხომ სამი დღე მაინც მოუნდით ამ საჭმელების მზადებას და ორიოდე წუთში კი უნდა შეისანსლოს.

– ეგრეა! თავისთავად არაფერი კეთდება... – მიუგო ჟერვეზამ, – არა, ხელებს ნუ გაიჭუჭყიანებთ. როგორც ხედავთ, ყველაფერი უკვე მზად არის, მხოლოდ წვნიანიღა დარჩა...

ყველანი შინაურულად მოეწყვნენ. მანდილოსნებმა საწოლზე დაალაგეს წამოსასხამები და ქუდები, ბოლოკაბები ქინძისთავებით დაიმაგრეს, რომ არ გაჭუჭყიანებოდათ. ბოშმა მეუღლე გაისტუმრა, რათა სადილობამდე ბინისთვის ეგდო ყური, ხოლო კლემანსი ღუმლის კუთხეში მიჭუჭკა და ეკითხებოდა, – ღიტინისა ხომ არ გეშინიაო. კლემანსი სულს ძლივს ითქვამდა, იგრიხებოდა და ისე იბუზებოდა, რომ ძუძუებზე მოჭერილი კორსაჟი გაფხრეწაზე ჰქონდა. ღიტინზე ფიქრიც კი ჟრუანტელს ჰგვრიდა. დანარჩენი მანდილოსნები, მზარეულებისთვის ხელი რომ არ შეეშალათ, სახელოსნოში გაიკრიფნენ და კედლის გასწვრივ გამწკრივდნენ, მაგიდის პირდაპირ. მაგრამ რადგანაც გაღებული კარის საშუალებით მუსაიფი მაინც გრძელდებოდა და ერთმანეთის სიტყვები არ ესმოდათ, ისინი ყოველ წუთს უკანა ოთახს უბრუნდებოდნენ და ხმაურით ავსებდნენ იქაურობას, გარს ეხვეოდნენ ჟერვეზას, რომელიც გაორთქლილი კოვზით ხელში თავდავიწყებით ერეოდა ლაპარაკში, პასუხებს აძლევდა სტუმრებს და იყო ერთი სიცილ-ხარხარი და მაგარ-მაგარი სიტყვები. ვირჯინია გაიძახოდა: ორი დღეა არაფერი მიჭამია, მინდოდა

დღევანდელი დღისთვის ცარიელი შემენახა მუცელიო. ისიც კი თქვა, – დილას საფაღარათო დავლიე, რომ კუჭი გაწმენდილი მქონოდა, როგორც ინგლისელებმა იციან ხოლმეო. მაშინ ბოშმა ერთი უებარი საშუალება ასწავლა მას, თუ გსურთ რომ საჭმელი უეცრად მოინელოთ, თითოეული კერძის მიღებისთანავე კარსა და კარს შუა უნდა გაიჭედოთ, – ესეც ინგლისელების მიერ მოგონილი საშუალება არის და, ამნაირად, შეგიძლიათ თორმეტი საათის განმავლობაში განუწყვეტლივ ჭამოთ და სტომაქი მაინც არ დაგიმძიმდებათო. ჰოდა რა! მართალი არ არის? ზრდილობა მოითხოვს, რომ ჭამო, როცა სადილად გპატიჟებენ. აბა, ხბოს ხორცი, ღორის ხორცი და ბატი კატებისთვის კი არ დაიდგმება სუფრაზე! ოჰ! დიასახლისს შეუძლია დამშვიდებული ბრძანდებოდეს, ისე სუფთად მოლოკავენ ყველაფერს, რომ მეორე დღეს ჭურჭლის დარეცხვა არც დასჭირდება. მთელი საზოგადოება მიდიოდა და თითქოს მადის გასაღვიძებლად ისუნთქავდა ოთახში დატრიალებულ ოხშივარს. ბოლოს, მანდილოსნები თითქოს ქალიშვილებად იქცნენ, ერთმანეთს ხელს ჰკრავდნენ, ერთი ოთახიდან მეორეში დარბოდნენ, იატაკს აზანზარებდნენ და კაბის კალთებით აქეთ-იქით მიჰქონდათ და ავრცელებდნენ სამზარეულოს სურნელებას. გამაყრუებელ ხმაურს ქმნიდა ერთმანეთში არეული სიცილ-ხარხარი და დანის რაკუნი, რომლითაც კუპოს დედა ქონს კეპავდა.

გუჟე სწორედ იმ დროს გამოჩნდა, როდესაც ყველანი წივილ-კივილით აქეთ-იქით დახტოდნენ მხიარულად. მჭედელი ვერ ბედავდა შესვლას, მოკრძალებით იდგა. ხელში ეჭირა თეთრი ვარდების შესანიშნავი ვეება ბუჩქი, რომლის ღეროებიც მის პირისახეს სწვდებოდნენ, ხოლო ყვავილები ოქროსფერ წვერში გაბადრულიყვნენ. ჟერვეზა, რომელსაც ღუმლის სიმხურვალისგან ლოყები წამოსწითლებოდა, მისკენ გაექანა, მაგრამ გუჟემ არ იცოდა, როგორ გათავისუფლებულიყო ამ საყვავილე ქოთნისგან, და როდესაც ჟერვეზამ გამოართვა, გუჟემ რაღაც წაილუღლუღა და კოცნაც ვერ გაუბედა ქალს. ისევ ჟერვეზა დადგა ფეხის წვერებზე და ტუჩებთან ახლოს მიუტანა ლოყა. გუჟე ისე დაიბნა, რომ ქალს თვალზე აკოცა, თანაც ისე უხეშად, რომ კინაღამ გამოსთხარა. ორივე კანკალმა აიტანა.

– ოჰ! მუსიე გუჟე, რა მშვენიერებაა! – უთხრა მას ჟერვეზამ, როდესაც სხვა ყვავილთა გვერდით დადგა ვარდის ბუჩქი, რომელიც დანარჩენი ყვავილებისგან გამოირჩეოდა.

– რას ბრძანებთ, არა, არა, – იმეორებდა გუჟე, რადგან სხვა სიტყვებს ვერ პოულობდა.

როდესაც მან სული მოითქვა და ცოტათი დამშვიდდა, განაცხადა, დედაჩემი ვერ მოვა, რადგან იშიასმა შეუტიაო. ჯერვეზა შეწუხდა და თქვა, ერთი ნაჭერი ბატის ხორცი უნდა გადავდო, უსათუოდ მინდა მადამ გუჟემაც იგემოსო. ამრიგად, უკვე აღარავის ელოდნენ. კუპო, ალბათ, აქვე უბანში დახეტიალებდა პუასონთან ერთად, რადგან საუზმის შემდეგ წავიდა მის წამოსაყვანად. მათ არ შეაგვიანდებოდათ, რადგან შეჰპირდნენ, რომ ზუსტად ექვსი საათისთვის მივიდოდნენ. წვნიანი თითქმის უკვე მზად იყო. ჟერვეზამ მოიხმო მადამ ლერა და უთხრა, ახლა ჩემი აზრით, დრო არის, ლორილეები ჩამოვიყვანოთო. მადამ ლერამ მაშინვე სერიოზული

სახე მიიღო, რადგან სწორედ ის აწარმოებდა მოლაპარაკებას ამ ორ ოჯახს შორის, და სწორედ მან მოაწესრიგა, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ეს შერიგება. მადამ ლერამ წამოისხა მოსასხამი, დაიხურა ქუდი და მაღლა ავიდა სადღესასწაულო სამოსში გამოწყობილი მეტად სერიოზული იერით. ქვემოთ მრეცხავი ქალი განაგრძობდა ვერმიშელიანი წვნიანის მორევას და კრინტი აღარ დაუძრავს. უეცრად სერიოზულ გუნებაზე დამდგარი საზოგადოებაც საზეიმო მოლოდინში გაინაბა.

პირველად გამოჩნდა მადამ ლერა. მან ქუჩიდან მოუარა, რომ მეტი საზეიმო იერი მიეცა შერიგებისთვის. მადამ ლერას ხელით ეჭირა სახელოსნოს ფართოდ გაღებული კარი, ხოლო აბრეშუმის კაბაში გამოწყობილი მადამ ლორილე კარის დირეზე შეჩერდა. სტუმრები ფეხზე წამოდგნენ, ჟერვეზა მიეგება, გადაეხვია მულს და, როგორც წინასწარ იყო შეთანხმებული, უთხრა: – აბა, მობრძანდით. ამას უკვე ბოლო მოეღო, არა?.. ჩვენ შორის სიამტკბილობა ჩამოვარდება.

მადამ ლორილემ მიუგო: – მეც უკეთესს არაფერს ვისურვებდი, რომ სულ ერთთავად ასე ვყოფილიყავით.

როდესაც ეს ქალი შემოვიდა, მისი მეუღლე კარის ზღურბლზე გაჩერდა, ისიც, სანამ სახელოსნოში შემოვიდოდა, კოცნას ელოდა. არც ერთსა და არც მეორეს თაიგული არ მოუტანია, მათი აზრით, თავის დამცირება იქნებოდა ჩაუხას წინაშე, შერიგების დღესვე რომ მისთვის ყვავილები მიერთმიათ. ჟერვეზამ უბრძანა ოგიუსტინას, ორი ბოთლი ღვინო მოეტანა. შემდეგ, მან მაგიდის ბოლოში ჭიქებში ჩამოასხა ღვინო და ყველანი მიიპატიჟა. სტუმრებმა თითო ჭიქა აიღეს ხელში და ერთიმეორეს მიუჭახუნეს, ამ ოჯახში კეთილი განწყობის სადღეგრძელოდ. სიჩუმე ჩამოვარდა. საზოგადოება სვამდა, ქალებმა იდაყვები მაღლა ასწიეს და ერთბაშად, უკანასკნელ წვეთამდე გამოცალეს ჭიქები.

– ამას არაფერი სჯობია სუფრის წინ! – განაცხადა ბოშმა ენის წკლაპუნით, – კაი პანღურივით შეგაჯანჯღარებს.

კუპოს დედა კარის პირდაპირ გაჩერებულიყო, რათა ლორილეების სიფათისთვის შეეხედა. მან ჟერვეზას კაბა მოსწია და უკანა ოთახში წაიყვანა. ორივენი კერძისკენ დახრილიყვნენ და ხმადაბლა გაცხარებით ლაპარაკობდნენ.

– იიფ! რა სეირი იყო! – წარმოთქვა დედაბერმა, – თქვენ ხომ მათ ვერ დაინახავდით, მაგრამ მე კი სულ თვალყურს ვადევნებდი... როცა ქალმა სუფრა დაინახა, უნდა გენახათ, როგორ მოეღრიცა სახე. ტუჩის კუთხეები თვალებამდე აუვიდა, კაცი ხომ კინაღამ დაიხრჩო, ხველა აუვარდა... ახლაც შეხედეთ! პირში ნერწყვი გაშრობიათ და ტუჩებს იკვნეტენ.

– რა სამწუხაროა, როდესაც ამდენად შურიანები არიან, – წაიბუტბუტა ჟერვეზამ.

ლორილეები მართლა სასაცილო სანახავი იყვნენ. რა თქმა უნდა, არავის ესიამოვნება, რომ დასჯაბნონ. მით უმეტეს, ნათესაობაში, როცა ერთს ალჩუზე მისდის საქმე, მეორენი შურით აფთრდებიან ხოლმე, ეს ბუნებრივია, მაგრამ თავშეკავება ხომ უნდა გქონდეს? სასეიროდ კი არ უნდა გაიხადო საქმე! ჰოდა, სწორედ ლორილეები ვერ იკავებდნენ თავს. ეს მათ ძალ-ღონეს აღემატებოდა, თვალები ებრიცებოდათ, დამანჭული სახე გვერდზე მოჰქცეოდათ. ეს იმდენად თვალსაჩინო გახდა, რომ დანარჩენი სტუმრები ეკითხებოდნენ, უქეიფოდ ხომ არ ხართო. ისინი ვერასოდეს მოინელებდნენ ამ სუფრას, ზედ თოთხმეტი კაცისთვის დაწყობილი ჭურჭლით, თეთრად გაქათქათებული სუფრითა და ხელსახოცით და წინდაწინვე გამზადებული პურის ნაჭრებით, გეგონებოდათ, ბულვარის ერთ-ერთ რესტორანში იმყოფებოდით. მადამ ლორილემ გარს შემოუარა მაგიდას, თავი დაღუნა, რომ ყვავილები არ დაენახა და მერე, ჩუმ-ჩუმად ხელი მოუცაცუნა დიდ სუფრას, შეწუხებულმა იმ აზრით, რომ შესაძლოა, ის ახალი ყოფილიყო.

– აი, ჩვენც გიახელით, – წამოიძახა ჟერვეზამ და გამოჩნდა მოღიმარი სახით, შიშველა მკლავებით და საფეთქლებზე ჩამოშლილი ქერა თმის ხვეულებით.

სტუმრები მაგიდის გარშემო იტკეპნებოდნენ. ყველას შიოდა, ცოტ-ცოტას ამთქნარებდნენ კიდეც, გამოთაყვანებული სახეები ჰქონდათ.

– სახლის უფროსი რომ მოსულიყო, – წარმოთქვა მრეცხავმა ქალმა, – უკვე შეგვეძლო შევდგომოდით.

– ახ, კარგი ამბავია! – წამოიძახა მადამ ლორილემ, – წვენიც მოასწრებს მანამდე გაცივებას... კუპოს ხომ მუდამ ასე ავიწყდება. არ უნდა გაგეშვათ.

უკვე შვიდის ნახევარი იყო. შეიძლება, საჭმელები დახრაკულიყო, ბატი გადაიწვებოდა. სასოწარკვეთილმა ჟერვეზამ თქვა, საჭიროა ვინმე წავიდეს და მთელი უბნის სამიკიტნოები მოათვალიეროს, ეგებ, კუპო იქ აღმოაჩინოსო. ხოლო როცა გუჟემ იკისრა წასულიყო, მაშინ ჟერვეზამაც მოინდომა მასთან ერთად გასვლა. მათ შეუერთდა ვირჯინიაც, რომელსაც ქმრის დარდი აწუხებდა. სამივენი თავშიშვლები წავიდნენ და მთელი ქვაფენილი დაიკავეს. სერთუკში გამოწყობილ მჭედელს მკლავში ხელგაყრილი მიჰყავდა ქალები, მარცხნივ ჟერვეზა და მარჯვნივ – ვირჯინია.

– მე ახლა ორყურიანი კალათა ვარ, – თქვა გუჟემ და ეს სიტყვა იმდენად სასაცილოდ ეჩვენათ, რომ შეჩერდნენ და კინაღამ ფერდები დააწყდათ სიცილით. მერე ძეხვის დუქნის სარკეში რომ ჩაიხედეს, უფრო მეტად აუტყდათ სიცილი. შავებში გამოწყობილ გუჟეს ეს ორი ქალი ისე ამოსდგომოდა აქეთ-იქიდან, როგორც ორი ჭრელი ვარიკა: მკერავი ქალი – ვარდისფერ, ყვავილიანი მარმაშის კაბით, ხოლო მრეცხავი ქალი – თეთრი პირკალის ლურჯწინწკლებიანი კაბით, შიშველი მკლავებით, ყელზე შემოხვეული ნაცრისფერი აბრეშუმის პატარა შარფით. ყველა გამვლელ-გამომვლელი მათ უყურებდა, ისეთი მხიარულები, ისე ნატიფები, თითქოს

უქმე დღისთვის მორთულები იყვნენ და ხელის კვრით გზას იკვლევდნენ ბრბოში, რომელიც ამ თბილ ივნისის საღამოს ავსებდა პუასონიერის ქუჩას. მაგრამ ახლა მათ ლაზღანდარობისა და გართობისთვის არ ეცალათ. ყოველი სამიკიტნოს წინ ჩერდებოდნენ და ათვალიერებდნენ დახლის წინ თუ იმყოფებოდა ვინმე. ნუთუ ეგ პირუტყვი კუპო არყის გადასაკრავად „ტრიუმფალურ თაღთან“ წავიდა? მთელი ქუჩა შემოიარეს უკვე. ყველა მყუდრო კუნჭულში შეიხედეს: „პტიტ სივეტში“, რომელიც ქლიავზე დაყენებული სასმლით იყო განთქმული; დეიდა ბაკესთან, რომელიც რვა სუდ ყიდდა ორლეანურ ღვინოს; „პეპელაში“, სადაც მეეტლეები, ერთობ მიზეზიანი ხალხი იყრიდა თავს. კუპო არსად ჩანდა. როდესაც ბულვარისკენ წავიდნენ და კუთხეში ფრანსუას პატარა დუქანს ჩაუარეს, ჟერვეზამ ოდნავ შეჰკივლა.

– რა მოხდა? – შეეკითხა გუჟე.

მრეცხავი ქალი აღარ იცინოდა, მთლად გადაფითრებული და იმდენად აღელვებული იყო, რომ კინაღამ წაიქცა. ვირჯინია იმავე წუთში მიხვდა, რაშიც იყო საქმე, რადგან ფრანსუას დუქანში ერთ-ერთ მაგიდასთან დაინახა ლანტიე, რომელიც წყნარად სადილობდა. ორივე ქალმა იქაურობას მოაშორა მჭედელი.

– ფეხი შემიტრიალდა, – უთხრა მას ჟერვეზამ, როდესაც ლაპარაკის უნარი დაუბრუნდა.

მერე ძლივს, ქუჩის ბოლოში, ბიძია კოლომბის „ხაფანგში“ აღმოაჩინეს კუპო და პუასონი. ისინი ფეხზე იდგნენ კარგა მოზრდილი ბრბოს შუაგულში. კუპო ნაცრისფერ ხალათში იყო, ყვიროდა გააფთრებული ჟესტიკულაციით და დახლზე მუშტებს ურტყამდა. პუასონი ძველ წაბლისფერ პალტოში გაჯგიმულიყო, უფერული და უტყვი სახით ყურს უგდებდა კუპოს, თან წითურ ულვაშსა და მოკლე, წვეტიან წვერს იძიძგნიდა. გუჟემ ქალები ქვაფენილზე დატოვა და დუქანში შევიდა, რათა მხარზე ხელი დაედო მესახურავისთვის, მაგრამ, როდესაც ამ უკანასკნელმა ჟერვეზა და ვირჯინია დაინახა გარეთ, საშინლად გაბრაზდა, ეს დედაკაცები რისთვის მოთრეულან, მაგათ კაბის კალთაზე ხომ არ უნდა ვიყო მიკერებულიო. ჰოდა, ასე! მე ფეხსაც არ მოვიცვლი აქედან. მაგათ თავიანთი ნაწუწი სადილი თვითონვე შეხეთქონ უჩემოდო. გუჟე იძულებული შეიქნა მის დასაშოშმინებლად ჭიქა არაყი გადაეკრა, მაგრამ კუპო ჯიბრზე ერთ ხუთ წუთს კიდევ ჯანჯალობდა დახლის წინ და, ბოლო, როცა გამოვიდა იქიდან, ცოლს უთხრა: – მე ეგეები არ მომწონს... ჩემებური არ არი... მე იქ ვრჩები, საცა მესაქმება. გესმის შენ თუ არა?

ქალმა არაფერი მიუგო. მთელი სხეულით კანკალებდა. ეტყობა, მას და ვირჯინიას მოელაპარაკათ უკვე ლანტიეზე, რადგან ვირჯინიამ თავისი ქმარი და გუჟე წინ გაისტუმრა და შესძახა, თქვენ წინ იარეთო. ხოლო თვითონ და ჟერვეზა აქეთ-იქით ამოუდგნენ კუპოს, რათა გაერთოთ და ხელი შეეშალათ მისთვის, რამე დაენახა. კუპოს ბევრი არ დაელია, ღრიალითა და ყაყანით უფრო იყო გაბრუებული, ვიდრე სასმლით. ის გაუჯიუტდა ქალებს და როცა მოინდომეს, მარცხენა ქვაფენილზე

გადაეყვანათ, ხელი ჰკრა მათ და განზრახ მარჯვენა მხარეზე გადავიდა. შიშისგან დაფეთებული ქალები გამოუდგნენ და ცდილობდნენ ფრანსუას დუქნის კარს აფარებოდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, კუპომ უკვე იცოდა, რომ იქ ლანტიე იმყოფებოდა, და ჟერვეზა გაქვავდა, როდესაც მისი ბურტყუნი შემოესმა: – დიახ, დიახ, ჩემო სულიკო! იქ ერთი ჩვენი ნაცნობი იმყოფება. ტუტუცი ნურავის ვგონივარ... მე ვიცი, რისთვისაც დახეტიალებ აქ, ჩუმ-ჩუმად ვისაც უთვალთვალებ...

ამასთან მან მაგრადაც შეუკურთხა. მე კი არ დამეძებ თავაღებული, შენი ძველი კუროსთვის გამოპრანჭულხარ და დაგიფქვილავს სიფათიო. შემდეგ კუპო გიჟურმა გააფთრებამ შეიპყრო ლანტიეს წინააღმდეგ. – აჰ! ეგ ავაზაკი! ახ! ეგ საზიზღარი, ეგ, ბილწი, ეგა! ერთ-ერთი ჩვენგანი აქ უნდა დარჩეს, ქვაფენილზე, კურდღელივით მუცელგამოფატრული! მაგრამ, მიუხედავად ამისა, ლანტიე, ვითომც არაფერი გაუგონია, ისე წყნარად განაგრძობდა მჟაუნიანი ხბოს ხორცის ჭამას. ხალხი ნელ-ნელა შეიკრიბა. ვირჯინიამ ძალით წაიყვანა კუპო, რომელიც, შეუხვიეს თუ არა ქუჩის კუთხეში, ანაზდად დამშვიდდა. ასე თუ ისე, სახელოსნოში ნაკლებად მხიარულები დაბრუნდნენ, ვიდრე იქიდან გამოვიდნენ.

სუფრის ირგვლივ შემომსხდარი სტუმრები უკმაყოფილო სახეებით ელოდებოდნენ მათ. მესახურავემ ყველას ხელი ჩამოართვა, ქალების წინაშე თავმომწონედ ირხეოდა. უგუნებოდ გამხდარი, გულდამძიმებული ჟერვეზა ხმადაბლა ლაპარაკობდა და სტუმრებს დასაჯდომად ადგილებს უთითებდა. მაგრამ უეცრად აღმოაჩინა, რომ, ვინაიდან მადამ გუჟე არ მოვიდა, ერთი ადგილი ცარიელი რჩებოდა, მადამ ლილეს გვერდით.

– ცამეტნი ვართ! – წამოიძახა ჟერვეზამ აღელვებით, რადგან ამაში ხელახალი დადასტურება დაინახა მოსალოდნელი უბედურების წინათგრძნობისა, რომელიც მას ეს ერთი ხანია დაუფლებოდა.

მანდილოსნები უკვე ადგილებზე ისხდნენ და ფეხზე წამოდგნენ შეშფოთებულნი, გაჯავრებული სახეებით. მადამ პიუტუამ წასვლა დააპირა, რადგან, მისი აზრით, ამისთანა რამეებთან თამაში არ ვარგოდა. ამასთან, ის ხომ ხელს ვეღარაფერს დააკარებდა, ვერც ერთ ლუკმას ვერ შეირგებდა. ხოლო, რაც შეეხებოდა ბოშს, ის მასხარაობდა, ჩემი აზრით, ცამეტი სჯობია თოთხმეტს, რადგან მეტ-მეტი ულუფა შეგვხვდებაო.

– მოითმინეთ! – შესძახა ჟერვეზამ, – ეს საქმე მოგვარდება!

ჟერვეზა გავიდა ქვაფენილზე და დაუძახა ბიძია ბრიუს, რომელიც სწორედ ამ დროს ქუჩაზე გადმოდიოდა. მოხუცი მუშა წელში მოხრილი შემოვიდა, გახევებული და უტყვი სახით, როგორც ყოველთვის.

– აი, აქ დაბრძანდით, ჩემო კეთილო ბიძიავ! – უთხრა მას მრეცხავმა ქალმა, – ხომ გნებავთ ჩვენთან ერთად ისადილოთ?

ბიძია ბრიუმ უბრალოდ თავი დაუქნია: კიდეც უნდოდა ძალიან და თითქოს სულერთიც იყო მისთვის!

– ეეჰ, ისევ ამას ერგოს, ვიდრე სხვას, – განაგრძო მრეცხავმა ქალმა ხმის დადაბლებით. – განა ხშირად ჭამს მაძღრისად, ერთხელ მაინც დანაყრდება კარგად... ჩვენც სინდისის ქენჯნას არ ვიგრძნობთ, როცა მუცელს ამოვივსებთ.

გუჟეს თვალები აუწყლიანდა, ისე იყო გულაჩვილებული. დანარჩენებსაც აუჩვილდათ გული და ამბობდნენ, ეს ძალიან კარგიაო. ამასთან უმატებდნენ, ეს ყველას ბედნიერებას მოგვიტანსო. ოღონდ, მადამ ლორილე არ ჩანდა კმაყოფილი ამ მოხუცის გვერდში ყოფნით, იქით გაიწია და გამანადგურებელი თვალით უმზერდა ბიძია ბრიუს დაკორძებულ ხელებსა და დაგლეჯილ, გახუნებულ ხალათს. ბიძია ბრიუ თავჩაღუნული იჯდა, მას, უმთავრესად, აწუხებდა ხელსაწმენდი, რომელიც მის წინ დადგმულ თეფშს ეფარა. საბოლოოდ მან იგი აიღო და მაგიდის ნაპირას დადო ფრთხილად, ფიქრადაც არ მოსვლია მისი მუხლებზე გადაფენა.

ბოლოს და ბოლოს, როცა ჟერვეზამ ვერმიშელის წვნიანი ჩამოარიგა, და სტუმრებმაც კოვზებს მოჰკიდეს ხელი, ვირჯინიამ შენიშნა, რომ კუპო ისევ გაქრა. შეიძლება, ისევ ბიძია კოლომბთან დაბრუნდა. მაგრამ საზოგადოება უკვე აღშფოთდა: მით უარესი მისთვის, ახლა უკვე უკან აღარ აედევნებიან, შეუძლია ქუჩაში დარჩეს, თუ არ შიაო.

ის-ის იყო, კოვზებმა რაკარუკი ატეხეს მოცარიელებულ თეფშებზე, რომ კუპოც გამოჩნდა ორი საყვავილე ქოთნით ხელში. ქოთნები მას სათითაოდ ამოეჩარა იღლიებში. ერთში იყო იაყვითელა, ხოლო მეორეში – ინის ყვავილი, მთელი სუფრა ტაშისცემით მიეგება. კუპო მივიდა და ჟერვეზას ჭიქას დარდიმანდულად აქეთ-იქით შემოუწყო ქოთნები, შემდეგ დაიხარა და ცოლს აკოცა.

– სულ დამავიწყდი, ჩემო კარგო... არა უშავს, ეს ხელს არ შეგვიშლის, რომ დღევანდელი დღე სიამტკბილობაში გავატაროთ.

– რა კარგია მუსიე კუპო ამ საღამოს, – ყურში წასჩურჩულა კლემანსმა ბოშს, – იმდენად არის შეზარხოშებული, რამდენადაც საჭიროა იმისთვის, რომ თავაზიანად მოიქცეს.

სახლის უფროსის დარდიმანდულმა საქციელმა ისევ დაამყარა სიმხიარულე, რომელიც ერთხანს ცოტა შეიმღვრა.

დამშვიდებულ ჟერვეზასაც პირზე ღიმილი გადაეფინა. სტუმრებმა წვნიანი მიირთვეს, მერე ბოთლები ჩამორიგდა და თითო ჭიქა თავანკარა ღვინო გადაჰკრეს ვერმიშელის ჩასაწმენდად. მეზობელი ოთახიდან ბავშვების კიკლაობის ხმა ისმოდა. იქ იყვნენ: ეტიენი, ნანა, პოლინა და პატარა ვიქტორ ფოკონიე. მათ ცალკე გაუშალეს სუფრა და დაარიგეს, ჭკვიანად მოქცეულიყვნენ. ელამ ოგიუსტინას, რომელიც ღუმელს ადევნებდა თვალყურს, მუხლმოკეცილს უნდა ეჭამა.

– დედა, დედა! – უცებ დაიყვირა ნანამ, – ოგიუსტინამ თავისი პური საწებელში ჩააწო.

მრეცხავი ქალი გაექანა და ელამ გოგოს სწორედ იმ დროს მიუსწრო, როდესაც ის სიჩქარის გამო პირს ითუთქავდა შემწვარი ბატის ცხელ ქონში ჩაწობილი ლუკმით. ჟერვეზამ ერთი კარგად წაუთაქა, რადგან წყეული გოგო გაჰკიოდა, ეგ მართალი არ არისო. სტუმრებს პირზე ღიმილმა გადაურბინა, როდესაც მოხარშული ხორცის შემდეგ ხბოს ხორცი მოიტანეს, რომელიც სასალათეში იყო ჩადებული, რადგან კუპოებს დიდი ლანგარი არ აღმოაჩნდათ ოჯახში.

– საქმე სახუმარო აღარ არის, – განაცხადა პუასონმა, რომელიც იშვიათად ლაპარაკობდა.

რვის ნახევარი იყო. სახელოსნოს კარი ჩაკეტეს, რათა ცნობისმოყვარეებისთვის აერიდებინათ თავი. განსაკუთრებით მათ პირდაპირ რომ პატარა მესაათე იყო, ის შემოსცქეროდა მოქეიფეებს ფართოდ გაღებული თვალებით, პირში ლუკმას უთვლიდა და ისეთი სიხარბით შესცქეროდა, რომ საჭმელი ყელზე ადგებოდათ. ფანჯრებზე ჩამოფარებული ფარდების მეოხებით, თეთრი, თანაბარი, რბილი შუქი ეფინებოდა ოთახს და ამ სინათლეში ბანაობდა სუფრა, ჯერ კიდევ სიმეტრიულად ზედ დაწყობილი ჭურჭლით და ქაღალდებშემოხვეული საყვავილე ქოთნებით. ეს მკრთალი შუქი და წყნარი ბინდბუნდი განსაკუთრებულ შესახედაობას აძლევდა საზოგადოებას. ვირჯინიამ მიაგნო საამისოდ შესაფერის გამოთქმას: მან თვალი შეავლო მყუდროდ ჩაკეტილ და მარმაშის ფარდებით მორთულ ოთახს და განაცხადა. კარგია, ლაზათიანიაო. როცა ქუჩაში ფორანი მიდიოდა, მაგიდაზე ჭიქები ხტოდნენ, ქალები იძულებული ხდებოდნენ ისევე ხმამაღლა ეყვირათ, როგორც მამაკაცები, მაგრამ თანამესუფრენი, საერთოდ, ნაკლებად ლაპარაკობდნენ, თავი კარგად ეჭირა ყველას და ერთმანეთს თავაზით ექცეოდნენ. მარტოდმარტო კუპო იყო ხალათში და ამბობდა, რომ მეგობრებთან არ არის საჭირო მორიდება და, გარდა ამისა, ხალათი ხომ მუშის საპატიო სამოსიაო. ქალები კორსეტებში იყვნენ გაძაგრულნი, თმაზე პომადა წაესვათ, რის გამოც დღის შუქზე თმა უბრწყინავდათ. მამაკაცები შორს ისხდნენ მაგიდისგან, მკერდს ჭიმავდნენ და იდაყვები განზე ეჭირათ, რომ სერთუკები არ გაჭუჭყიანებოდათ.

ახ! დალახვროს ღმერთმა, თუ ცოტას ლაპარაკობდნენ, სამაგიეროდ, მაგრად იღეჭებოდნენ. მერე რა საწებელი იყო, ყვითელი, ჟელესავით! შიგ ხბოს ხორცის ნაჭრებს აწყობდნენ, მაგრამ მაინც გამოულევლად იყო ეს ნაჭრები. სასალათე მოგზაურობდა, ხელიდან ხელში გადადიოდა, მისკენ დახრილი სახეები ქამასოკოს ეძებდნენ. უზარმაზარი პურები, რომლებიც კედელთან, სტუმრების ზურგს უკან მიეწყოთ, თითქოს დნებოდა. ყოველი გადაკვრის შემდეგ სუფრაზე დადგმული ჭიქის ჭახუნი ისმოდა. საწებელი ოდნავ დამლაშებულიყო და ოთხი ლიტრი დასჭირდა ამ დასაქცევი ხბოს ხორცის მირთმევას, რადგან ნაღებივით ჩადიოდა ყელში და მუცელში ხანძარს აჩენდა. სტუმრებს ამოსუნთქვაც არ დასცალდათ, რომ გამოჩნდა ღორის ხორცი, ღრმა ლანგარზე დაწყობილი, დიდი მრგვალი კარტოფილებით

გარშემორიგებული და ორთქლის ღრუბლებში გახვეული. ყველამ ერთხმად შეჰკივლა. ეს წყეული, ეს! რაც კარგია, კარგია, მისწრებაა სწორედ! აი, ეს ყველას უყვარს! ამჯერადაც მადაზე მოვიდა ყველა. თითოეული ირიბად აყოლებდა თვალს ლანგარს, თან დანას პურზე წმენდდა, რომ სავსებით მომზადებული დახვედროდა მას. მერე, როდესაც ყველას მიართვეს ღორის ხორცი, ერთიმეორეს იდაყვს ჰკრავდნენ და პირგამოტენილები საუბრობდნენ. ჰა! კარაქია სწორედ ეს ბურვაკი! რაღაცა ისეთი საამური და ნოყიერი, რომ მთელ ნაწლავებში გივლის. კარტოფილია კი სწორედ რომ ყოველ წუთს ჭიქა ღვინის ჩასხმას ითხოვს. ოთხ ლიტრს კიდევ მოსტეხეს ყელი. თეფშები ისე სუფთად მოლოკეს, რომ გამოცვლა არ დასჭირდათ, როცა ქონზე მომზადებული წვრილი მუხუდოს ჭამას შეუდგნენ. ოხ! ბოსტნეული რა არის, არაფრად ჩასაგდებია! სულ სავსე კოვზებს ყლაპავდნენ, ისე რაღა, მხოლოდ გასართობად! ეს ხომ პირის ჩასატკბარუნებელია, ქალების სასუსნავი! საუკეთესო ამ მუხუდოში დამწვარი ქონია, რომელსაც ცხენის ჩლიქის სუნი ასდის. ორმა ბოთლმა სულ იკმარა.

– დედა, დედა! – უცებ შეჰყვირა ნანამ, – ოგიუსტინა ხელებს ურევს ჩემს თეფშში.

– გააჭირე საქმე, ერთი წაუთაქე მაგას! – უპასუხა ჟერვეზამ, რომელიც წვრილ მუხუდოს იტენიდა პირში.

მეზობელ ოთახში, ბავშვების მაგიდაზე ნანა დიასახლისობანას თამაშობდა: თვითონ გვერდით მიუჯდა ვიქტორს, ხოლო თავისი ძმა ეტიენი პატარა პოლინას მიუსვა. ამრიგად, ვითომ ეს ორი წყვილი ცოლ-ქმარი იყო და ქეიფობდნენ. დასაწყისში ნანა თავაზით უმასპინძლდებოდა სტუმრებს, ღიმილით, დიდი ადამიანივით, მაგრამ აჰყვა ბოლოს სიყვარულს მოხრაკული ქონისადმი და ხაწიწი სულ თავისთვის დააგროვა. ელამმა ოგიუსტინამ, რომელიც უჩუმრად თავს დასტრიალებდა ბავშვებს, ისარგებლა შემთხვევით და მთელი მუჭა ხაწიწი ჩაბღუჯა, თითქოს იმისთვის, რომ სამართლიანად დაენაწილებინა, მაგრამ გააფთრებულმა ნანამ ხელზე უკბინა.

– აჰ! ეგრე?! მაშ, იცოდე, – წაიბურტყუნა ოგიუსტინამ, – წავალ და დედაშენს მოვახსენებ, ხბოს ხორცის შემდეგ ვიქტორს რომ უთხარი, მაკოცეო.

მაგრამ ყველაფერი მალე მოწესრიგდა, რადგან ჟერვეზა და კუპოს დედა შემოვიდნენ ბატის წასაღებად. დიდი მაგიდის ირგვლივ სკამებზე გადაწოლილი სტუმრები სულს ითქვამდნენ. მამაკაცებს ჟილეტები გაეხსნათ, ხოლო ქალები პირს იწმენდდნენ ხელსახოცებით. ნადიმი ცოტა ხანს შეწყდა. მხოლოდ რამდენიმე სტუმარი განაგრძობდა თავისდა შეუმჩნევლად პურის დიდი ლუკმების ღეჭვას, დანარჩენები კი მორიგი კერძის მოლოდინში უკვე მირთმეულ საჭმელს სტომაქში ინელებდნენ. ნელ-ნელა ღამდებოდა. ჭუჭყიანი, ნაცრისფერი ბინდი ჩამოწვა ფარდების იქით. ხოლო როდესაც ოგიუსტინამ ორი ანთებული ლამპა გამოიტანა და სუფრის თავსა და ბოლოში დადგა, შუქზე უკვე გამოჩნდა, თუ რა არეულობა სუფევდა მაგიდაზე: გაქონილი დანა-ჩანგალი, გაჭუჭყიანებული თეფშები, ღვინით დალაქავებული და

ნამცეცებით მოფენილი სუფრა. მძიმე, სულის შემხუთველი სუნი ტრიალებდა. მიუხედავად ამისა, ყველას ცხვირი იქით ჰქონდა მიბრუნებული, სამზარეულოსკენ, საიდანაც ცხლად წამოუბერავდა ხოლმე ახალი სურნელება.

– მოგეხმარებით! – შესძახა ვირჯინიამ ჟერვეზას.

მერე თავისი სკამი მიატოვა და მეზობელ ოთახში გავიდა. ყველა ქალი მას გაჰყვა სათითაოდ. მაყალს შემოეხვივნენ ირგვლივ და უღრმესი ინტერესით შეჰყურებდნენ ჟერვეზასა და კუპოს დედას, რომლებიც თავს დასტრიალებდნენ ბატს. მერე ატყდა საერთო წივილ-კივილი, რომელშიც მკაფიოდ გამოირჩეოდა ბავშვების წივანა ხმები. შემოსვლა იყო დიდად საზეიმო: ჟერვეზას მოჰქონდა ბატი, ხელები გაჭიმული ეჭირა, გაოფლიანებულ სახეზე ღიმილი გადაჰფენოდა. მას მოსდევდნენ სხვა ქალები, ასევე პირმცინარენი, ხოლო სულ ბოლოში მოქცეულიყო ნანა, უზომოდ გაფართოებული თვალებით. იგი ცდილობდა ფეხის წვერებზე მდგარიყო, რათა რამე დაენახა.

როცა სუფრაზე გაჩნდა ოქროსფრად დაბრაწული ბატი, რომელსაც ქონი ჟონავდა, მაშინვე არ დასტაკებიან. არა, ეს იყო საერთო გაოცება, მოწიწებით აღსავსე განცვიფრება, რომელმაც ენა ჩაუგდო მოქეიფეებს. იქ მყოფნი ერთიმეორეს თვალის ჩაკვრით მიუთითებდნენ ბატზე და თავებს აქეთ-იქით იქნევდენენ. – ვერ უყურებთ ამ შეჩვენებულს! საოცრება არ არის?! რა ბარკლები აქვს! რა ზურგი!

– ეტყობა, ამ ბატს კედლების ლოკვით არ შეუძენია ქონი, – წარმოთქვა ბოშმა.

ამის შემდეგ ყველა ბატის დაწვრილებით განხილვას შეუდგა. ჟერვეზამ დააზუსტა ცნობები, რომ ფრინველებით მოვაჭრესთან პუასონიერის გარეუბანში ყველაზე უკეთესი ეს იყო, ხუთ კილოზე მეტი აიწონა მენახშირის სასწორზე. ერთი საწყაო ნახშირი დაიხარჯა მის შეწვაზე და სამი ფინჯანი ქონი გამოიდნოო. ვირჯინიამ სიტყვა შეაწყვეტინა ტრაბახით: მე ეგ ბატი ჯერ კიდევ შეუწვავი ვნახე, უმს შეჭამდა კაცი, ისეთი ნაზი, ქერა ქალივით თეთრი კანი ჰქონდაო. მამაკაცებმა ისეთი ორაზროვანი სიცილი ატეხეს, რომ პირი გახევაზე ჰქონდათ. მხოლოდ ლორილე და მისი ქალბატონი სკდებოდნენ გულზე, სიბრაზე ახრჩობდათ, რომ ამისთანა ბატს ჩაუხას სუფრაზე ხედავდნენ.

– ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ეგრე მთელს ხომ ვერ შევჭამთ! – შენიშნა ბოლოს ჟერვეზამ, – ვინ დაჭრის? არა, არა ოღონდ მე ნუ! მეტისმეტად დიდია, მეშინია, ვერ მოვერევი!

კუპომ სამსახური შესთავაზა – ღმერთო ჩემო! რა დიდი რამ არის! რა უნდა მაგას! სულ უბრალო საქმეა! აიღე, მაგრად მოსჭიდე ხელი სახსრებში და ისე აახლიჩე ნაჭრები. რანაირადაც უნდა დაანაწილო, მაინც გემრიელი იქნებაო. მაგრამ ყველამ წინააღმდეგობა გაუწია, ძალით გამოჰგლიჯეს ხელიდან სამზარეულოს დანა კუპოს, რომელიც საძაგლად აქუცმაცებდა ნაჭრებს და არეულად ჰყრიდა ლანგარზე. ეძებდნენ ისეთ ვინმეს, ვინც კეთილს ინებებდა და იკისრებდა ამ საქმეს. ბოლოს

მადამ ლერამ ტკბილი ხმით წარმოთქვა: – ყური დამიგდეთ, ეს საქმე მუსიე პუასონს უნდა მივანდოთ... უსათუოდ მუსიე პუასონს!..

და რადგან საზოგადოება თითქოს ვერ მიხვდა მის აზრს, მადამ ლერამ კიდევ უფრო მეტად თავაზიანი და პირმოთნე ხმით დასძინა: – რა თქმა უნდა, მუსიე პუასონს, რომელიც შეჩვეულია იარაღის ხმარებას.

და მან პოლიციელს გადაულოცა სამზარეულოს დანა, რომელიც ხელში ეჭირა. თანამესუფრეებმა კმაყოფილებისა და მოწონების ნიშნად სიცილი დაიწყეს.

პუასონმა მხედრულად დაუკრა თავი საზოდადოებას და ბატი წინ დაიდო. მისმა მეზობელმა ქალებმა, მადამ ბოშმა და ჟერვეზამ აქეთ-იქით გაიწიეს, რათა ხელი არ შეეშალათ მისი იდაყვების თავისუფლად მოძრაობისთვის. პუასონი ბატს ნელ-ნელა ჭრიდა. ხელები განზე მიჰქონდა და ისე მიშტერებოდა ბატს, თითქოს უნდოდა, ზედ ლანგარზე მიელურსმა. ხოლო როდესაც მან დანა ჩაურჭო და ძვლებმა ტკაცატკუცი გაიღეს, პატრიოტული გრძნობით შეპყრობილმა ლორილემ წამოიძახა: – აჰ! ნეტავი ეგ კაზაკი ყოფილიყო!

– განა თქვენ კაზაკებთან გიბრძოლიათ, მუსიე პუასონ? – შეეკითხა მადამ ბოში.

– არა, ბედუინებთან, – მიუგო ქალს პოლიციელმა და ბატს ფრთა ჩამოსჭრა, – კაზაკები აღარ არიან.

დუმილი ჩამოვარდა. ყველას თავი წინ ჰქონდა წაწეული და დანის მოძრაობას ყველა გაფაციცებით ადევნებდა თვალს. პუასონი სიურპრიზს ამზადებდა. დანის უეცარი და უკანასკნელი დასმით მან ბატს უკანა ნაწილი ჩამოაცალა და ფრინველი, ფეხზე შემდგარი, მაღლა კურტუმაშვერილი დარჩა, თითქოს ეპისკოპოსის მიტრა ყოფილიყოს. ყველა აღტაცებამ მოიცვა. მხოლოდ ძველ სამხედროებს შეუძლიათ საზოგადოებაში ასეთი თავაზიანი და სასიამოვნონი იყვნენ. ამასობაში ბატს უხვად გადმოედინა წვენი უკანა ნაწილიდან და ბოში ლაზღანდარობას მოჰყვა.

– ვისურვებდი, – წაიბუტბუტა მან, – რომ ეგ წვენი მე ჩამსვლოდა მთლიანად პირში.

– ოჰ! რა სიბინძურეა! – შეჰკივლეს ქალებმა, – განა შესაძლებელია ასეთი სიბინძურის ლაპარაკი?

– არა, მე მაგაზე უფრო საზიზღარი კაცის მნახველი არა ვარ! – წამოიძახა ყველაზე მეტად გაწიწმატებულმა მადამ ბოშმა! – ხმა ჩაიწყვიტე, გესმის შენ! შენ შეგიძლია მთელ არმიას წაართვა მადა!.. ხომ იცით, რატომ სჩადის ამას, რომ ყველაფერი მარტომ შეჭამოს.

ამ დროს კლემანსი, საერთო ხმაურში, დაჟინებით იმეორებდა: – მუსიე პუასონ, გამიგონეთ, მუსიე პუასონ!.. კურტუმს ხომ მე შემინახავთ, არა?

– ჩემო ძვირფასო, კურტუმზე თქვენ სრული უფლება გაქვთ, – შენიშნა მადამ ლერამ, თავისი ჩვეულებრივი მოკრძალებული, ორაზროვანი იერით.

ასე თუ ისე, ბატი დაჭრილი იყო. პოლიციელმა რამდენიმე წუთს აცალა საზოგადოებას დამტკბარიყო ეპისკოპოსის მიტრის ცქერით, შემდეგ ნაწილ-ნაწილ დაყო ბატი და ნაჭრები ლანგარზე ირგლივ შემოამწკრივა. უკვე შეიძლებოდა შეჰქცეოდნენ კიდეც. მაგრამ მანდილოსნები, რომლებსაც კაბები შეხსნილი ჰქონდათ, სიცხეს უჩიოდნენ. კუპომ შეჰყვირა, ჩვენ რა გვაქვს მოსარიდებელი, საკუთარ სახლში ტკბილი ლუკმით ვუმასპინძლდებით ჩვენს მეზობლებსო და ამ სიტყვებით ფართოდ გამოაღო ქუჩაში გასასვლელი კარი. ამიერიდან უკვე ეტლების გრიალსა, გამვლელ-გამომვლელთა ჩოჩქოლსა და მიხლა-მოხლაში გრძელდებოდა ეს ღრეობა. ყბებმა დაისვენეს, ახალი კერძისთვისაც მოემზადნენ და სადილი კვლავ განახლდა. ყველანი გააფთრებით ეძგერნენ ბატს.

– ბატის დაჭრის ცქერასა და ლოდინში, ხბოსა და ღორის ხორცი უკვე კოჭებამდე ჩამივიდა, – ლაზღანდარობდა ბოში.

არა, უნდა ითქვას, რომ სმა-ჭამა მართლაც სანაქებო იყო. მთელ ამ საზოგადოებაში ერთი არავინ ერია ისეთი, რომ ამგვარ სიმაძღრესა და ასე ძნელად მოსანელებელ ჭამა-სმას ოდესმე შესწრებოდეს. აქ არავის ასეთი არაფერი ახსოვდა. დამძიმებული ჟერვეზა იდაყვზე დაყრდნობილიყო და ხმაამოუღებლად, რომ დრო არ დაჰკარგოდა, თეთრი ხორცის ვეება ნაჭრებს სანსლავდა. მას მხოლოდ გუჟეს წინაშე ერცხვინებოდა ცოტა, სწყინდა, რომ ეს კაცი მის კატისებურ სიმსუნაგეს ხედავდა, თუმცა გუჟე თვითონაც კარგა მადიანად ილუკმებოდა, და თან სიამოვნებით შესცქეროდა ჭამისგან წამოწითლებულ ჟერვეზას. ჟერვეზა ხომ მსუნაგობაშიც კეთილი რჩებოდა. მართალია, არ ლაპარაკობდა, მაგრამ წამდაუწუმ იმაზე ზრუნავდა, რომ ბიძია ბრიუს თეფშზე გემრიელი ნაჭრები დაელაგებინა. გულის ამაჩვილებელი სანახავი იყო, როდესაც ეს ჭამის მოყვარული ქალი ლამის პირიდან იცლიდა ლუკმას და აწოდებდა ამ ბერიკაცს, რომელიც განურჩევლად ყლაპავდა ყველაფერს თავჩაქინდრული და გამოთაყვანებული ამდენი სანოვაგის შთანთქმით. მის ხახას უკვე პურის გემოც კი დავიწყებული ჰქონდა. ლორილეებმა შემწვარ ბატზე იყარეს თავისი ჯავრი და გააფთრება. სამი დღის საგზალს იტენიდნენ პირში, მზად იყვნენ თვით ლანგარიც შეეყლაპათ, მაგიდაც და მთლად სახელოსნოც, რომ საბოლოოდ გაენიავებინათ ამ კოჭლი ჩაუხას სარჩო-საბადებელი. ყველა ქალი საბძელას ითხოვდა. საბძელა ხომ ქალების საყვარელი ნაჭერია. მადამ ლერა, მადამ ბოში, მადამ პიუტუა ძვლებს აკნატუნებდნენ, ხოლო კუპოს დედა, რომელსაც გაგიჟებით უყვარდა კისერი, თავისი ორი უკანასკნელი კბილით ხორცს აგლეჯდა მას. ვირჯინიას უყვარდა შებრაწული კანი და ყველა თანამესუფრე სათითაოდ სთავაზობდა. პუასონი მკაცრად ადევნებდა თვალს მეუღლეს და უბრძანებდა შეჩერებულიყო, ეკმარა ჭამა, რადგანაც ერთხელ მას ზედმეტად მოუვიდა შემწვარი ბატის ხორცის ჭამა და ორი კვირა ლოგინად იყო ჩავარდნილი გაბერილი მუცლით. მაგრამ კუპო გაჯავრდა და ბარკალი შესთავაზა ვირჯინიას, თან გაჰყვიროდა, დალახვროს ღმერთმა, თუ ამას არ გამოხრავს, ქალი არ

ყოფილაო. განა ბატის ხორცმა შეიძლება ვინმეს აწყინოს? პირიქით, ბატის ხორცი ელენთის დაავადებას კურნავს. ბატის ხორცი შეიძლება უპუროდ მიირთვა, როგორც დესერტი. კუპოს შეუძლია მთელ ღამეს ყლაპოს იგი და არაფერი ვნება და შეწუხება არ იგრძნოს ამის გამო. და მან სატრაბახოდ ბატის ფეხი მთლიანად შეიტენა პირში. ამავე დროს კლემანსი ტუჩების წკლაპუნით შეექცეოდა კურტუმს, თან ფერდები სწყდებოდა სიცილით, რადგანაც ბოში ხმადაბლა ურიგო სიტყვებს ჩასჩურჩულებდა. ოხ! ღვთის მადლმა! ჭამა იყო, მართლა, გაბერვამდე. როცა არის, ბარემ იყოს! მაშ, როგორ გინდათ? ვინ იცის, როდის ეღირსები, გემრიელი ლუკმა შეგხვდეს და ისიც პირს ააცდინო? სულ ტუტუცი უნდა იყო, რომ ყელამდე არ ამოივსო სტომაქი. სიმართლე უნდა ითქვას, თანდათან ებერებოდათ მუცლები. ქალები ორსულებს ჰგავდნენ.

ახლა ღვინო თქვათ, ჩემო კარგებო! ღვინო ისე მოდიოდა სუფრაზე, როგორც სენაში წყალი! ნამდვილი ნაკადული იყო, როცა მიწა მოწყურებულია და გაწვიმდება. კუპო მაღლიდან ისხამდა პირში ღვინოს, რათა წითელი ჭავლის აქაფება დაენახა. როცა ის ერთ ლიტრს გამოცლიდა, მერე მოაყირავებდა მას და ბოთლს ყელზე თითებს ისე დააჭერდა, როგორ ქალი, რომელიც ძროხას წველის. აი, ერთ ბოთლს კიდევ მოსტეხეს ყელი! სახელოსნოს კუთხეში თანდათან იზრდებოდა დაცლილი ბოთლების გროვა. იქ ბოთლების სასაფლაო იყო, რომელზედაც სუფრიდან გადმობერტყილ ნამცეცებსა და ნარჩენებს ყრიდნენ. როდესაც მადამ პიუტუამ წყალი მოითხოვა, შეურაცხყოფილმა მესახურავემ დასტაცა ხელი ყველა სურას და ოთახიდან გაიტანა. განა პატიოსანი ხალხი წყალს სვამს? მადამ პიუტუას ხომ არ უნდა, მუცელში ბაყაყები გაიჩინოს? ჭიქები ერთი ყლუპით იცლებოდა. ერთბაშად გადაკრული ღვინო ისეთი ხმაურით ჩადიოდა ყანყრატოში, როგორც დიდი თქეშის დროს წვიმის წყალი საწვიმარ მილში. დიახ, წვიმა მოდიოდა, წკლარტე და მჟავე ღვინის წვიმა. მჟავე ღვინის, რომელსაც ჯერ თითქოს ძველი კასრის სუნი ასდიოდა, მაგრამ მშვენივრად ეწყობოდნენ მას და ბოლოს ეგემრიელებოდათ კიდეც. ახ! ღმერთო მაღალო! იეზუიტებმა, რაცა სურთ, ის ილაპარაკონ, ხოლო ეს ყურძნის წვენი მაინც შესანიშნავი გამოგონება არის! მოქეიფენი ხარხარებდნენ, ამ აზრს იწონებდნენ, რადგანაც, ბოლოს და ბოლოს, მუშაკაცს უღვინოდ სიცოცხლე არ შეუძლია. პაპა ნოემ მესახურავეების, თერძებისა და მჭედლებისთვის გააშენა ვენახი. ღვინო ახალ ძალას გაძლევს მუშაობისთვის, დაქანცულობას ჩამოგაცლის, ხოლო ზარმაცებს ცეცხლს უჩენს მუცელში. მერე რა ოინები იცის ნუნუამ, როგორ აგათამაშებს! ცა ქუდად აღარ მიგაჩნია და დედამიწა ქალამნად, მთელი პარიზი მაშინ შენია! მაშ, რა უნდა ქნას მუშამ, ღონემიხდილმა, გამოფიტულმა, ბურჟუების მიერ ათვალწუნებულმა, როცა ერთი სუც არ გააჩნია! რითიმე ხომ უნდა გაიხაროს! განა ეს სასაყვედუროა, რომ მან ერთხელ მაინც გადაჰკრას, რათა ცხოვრება ვარდის ფერებში ეჩვენოს! აი, ჩვენ ახლა, იმპერატორი ხომ ფეხებზედაც არ გვკიდია! ეგება, ის თვითონაც მთვრალია ამჟამად. დაე, უფრო მეტად გამოთვრეს, ჩვენ რაში გვეკითხება, ილაღობოს, უფრო მეტად გამხიარულდეს! ჩვენ რა! კისერიც უტეხიათ არისტოკრატებს! კუპო მთელ ქვეყანას ჯანდაბისკენ ისტუმრებდა, მას ახლა ყველა ქალი მიმზიდველად ეჩვენობდა. ჯიბეზე

ხელს ირტყამდა, სადაც სულ სამი სუ უჩხაკუნებდა, მაგრამ ისე კი იცინოდა, თითქოს სულ ხუთფრანკიანები უჩხრიალებდა და ფული ნიჩბით ჰქონდა სახვეტი. თვით გუჟეც, რომელიც ჩვეულებრივ ასეთი თავშეკავებული იყო, ახლა გამოლენჩებული ჩანდა. ბოშს თვალები მოეჭუტა, ხოლო ლორილეს სულ გამოუხუნდა და გაუბაცდა. მხოლოდ პუასონი უფრო და უფრო მეტი სიმკაცრით ატრიალებდა თვალებს ძველი ჯარისკაცის ბრინჯაოსფერ სახეზე. კაცები გალეშილები იყვნენ უკვე. ქალებიც ერთ ზომაზე შეზარხოშდნენ, ოჰ! ისინი სულ მსუბუქად იყვნენ შეჭიკჭიკებულნი, ლოყები შესწითლებოდათ ღვინისგან. ტანისამოსის გახდის სურვილმა აიძულა თავსახვევები მაინც მოეხსნათ. მარტოდმარტო კლემანსი იქცეოდა უკვე უწესოდ. უეცრად ჟერვეზას გაახსენდა ის ექვსი დაბეჭდილი ბოთლი ღვინო, რომლის მოტანაც ბატთან ერთად უნდოდა და დავიწყებოდა. ჟერვეზამ მოიტანა ეს დაბეჭდილი ბოთლები და ყველამ ჭიქები აივსო. მაშინ პუასონი წამოდგა და ჭიქით ხელში წარმოთქვა: – მე დიასახლისის სადღეგრძელოს ვსვამ.

მთელი საზოგადოება, სკამების მიწევ-მოწევასა და ბრახუნში, ფეხზე წამოიჭრა, საერთო ღრიანცელში ხელგაწვდილები ჭიქას ჭიქაზე უჭახუნებდნენ ერთმანეთს.

– ორმოცდაათი წელი სიცოცხლე კიდევ! – წამოიძახა ვირჯინიამ.

– არა, არა! – მიუგო აღელვებულმა და მოღიმარე ჟერვეზამ, – მაგდენად დაბერება არ მსურს. ისეთი დღეც დადგება ხოლმე, რომ ადამიანს თვითონვე უხარია იმ ქვეყნად წასვლა.

ამავე დროს ფართოდ გაღებულ კარში მთელი უბანი იჭვრიტებოდა და მონაწილეობასაც კი იღებდა ქეიფში. ქუჩაში მიმავალნი ჩერდებოდნენ მკვეთრი შუქის ზოლის დანახვაზე და მხიარულად იღრიჭებოდნენ, ამ გალაღებულ მოქეიფეებს რომ უყურებდნენ. თავიანთი კოფოებიდან გადმოხრილი მეეტლეები თან თავის ჯაგლაგებს მიერეკებოდნენ, თანაც მასხრობდნენ: „შენ ერთი ეს მითხარი, არაფერს იხდი? მუქთად ქეიფობ?.. ფეხმძიმე ქალო, წავიდე, ბებიაქალი მოგიძებნო?“ შემწვარი ბატის სუნს მადაზე მოჰყავდა ყველა, ნეტარებას ჰგვრიდა მთელ ქუჩას. მოპირდაპირე ქვაფენილზე საბაყლო დუქნის ბიჭები, თითქოს თვითონ შეექცეოდნენ ამ ბატს. მემწვანილე ქალი და სახაშე დუქნის დიასახლისი ხომ წამდაწუმ თავ-თავიანთი დუქნების წინ დგებოდნენ, რათა ჰაერი შეეყნოსათ და თან ტუჩებს ილოკავდნენ, ნერწყვს ყლაპავდნენ. ეჭვგარეშეა, მთელი ქუჩა ნაყრდებოდა. ორივე მადამ კიუდორჟი, იქვე გვერდით ქოლგებით მოვაჭრენი, – დედაც და ქალიშვილიც, გარეთ გამოსულს რომ ვერავინ ნახავდა, ამჟამად ერთიმეორის მიდევნებით გადმოდიოდნენ ქუჩაზე და მალულად იცქირებოდნენ. სახეწამოჭარხლებულები იყვნენ, თითქოს ბლინები დაეცხოთ. პატარა მესაათე სამუშაო მაგიდასთან იჯდა, მაგრამ მუშაობა არ შეეძლო, – ის მარტო ბოთლების თვლით იყო უკვე მთვრალი, აღელვებით ცმუკავდა მხიარულ, პატარა გუგულიან საათებს შორის.

– დიახ, მეზობლებსაც მოეკიდა, – გაჰყვიროდა კუპო, – დასამალავი რა გვაქვს!

ამ ეშხში შესულ საზოგადოებას აღარ ერცხვინებოდა ყველას თვალწინ სუფრასთან ჯდომა, პირიქით, მათ თავმოყვარეობას ესალბუნებოდა და ცეცხლს მატებდა ის გარემოება, რომ მადააშლილი, პირდაღებული ბრბო მათ ირგვლივ შეკრებილიყო და ხარბად შესცქეროდა მათ მოლხენას. მოქეიფენი მზად იყვნენ, ვიტრინებიც კი გაენგრიათ, სუფრა ქუჩაში გაეშალათ, და აზანზარებულ ქვაფენილზე, მთელი ხალხის თვალწინ შეექცეოდნენ დესერტს. უსიამოვნო სანახავი ხომ არ იყვნენ, არა? რად ეჭირვებოდათ ზოგიერთი ეგოისტივით ჩაკეტვა?

კუპო ხედავდა, რომ მესაათეს თავისი ემართება და შორიდან ბოთლი დაანახვა. მან თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და კუპომ ბოთლი და ჭიქა წაუღო. ქუჩასთან დაძმობილება მოხდა. ყველა გამვლელ-გამომვლელის სადღეგრძელოდ ჭიქას ჭიქაზე უჭახუნებდნენ, თავისთან იხმობდნენ, იამხანაგებდნენ ყველას... ლხინი ძლიერდებოდა და თანდათან ედებოდა მთელ იმ მიდამოს, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა, ყველა გრძნობდა, რომ დიდი ამბავი დატრიალდა და, ბოლოს, მთელ გუტ-დორის უბანს მოედო ჯოჯოხეთური და თავაშვებული ქეიფი.

ეს ერთი ხანია, რაც მადამ ვიგურუ, – მენახშირის ცოლი, – კარის წინ მიმოდიოდა.

– ეი, მადამ ვიგურუ! მადამ ვიგურუ! – შეჰღრიალა მას საზოგადოებამ.

ეს ქალი სულელური ღრეჭით შემოვიდა, პირდაბანილი და გასუფთავებული, თანაც ისეთი სქელი, რომ კორსაჟი ზედ ასკდებოდა. მამაკაცებს უყვარდათ მისი ჩქმეტა, რადგან, სადაც კი უნდა ეჩქმიტათ, ძვალი არსად დაუხვდებოდათ. ბოშმა გვერდით მოისვა ახალმოსული და მაშინვე მაგიდის ქვეშ, ჩუმად, მუხლში სტაცა ხელი, ხოლო მადამ ვიგურუ ისე იყო შეჩვეული ამგვარ მოპყრობას, რომ მან სრულიად დამშვიდებით მოიყუდა ამ დროს ერთი ჭიქა ღვინო და ერთბაშად გამოცალა, თანაც ლაპარაკობდა, მთელი მეზობლობა ფანჯრებზეა გადმოყუდებული და სახლის მობინადრენი უკვე ჯავრობენო.

– ოჰ! ეგ ჩვენი საქმეა! – წარმოთქვა მადამ ბოშმა, – მეეზოვეები ჩვენ ვართ აქ, არა? ჰოდა, სიწყნარეზეც ჩვენ ვაგებთ პასუხს!.. ერთი მობრძანდნენ აქ საჩივლელად და ჩვენ ვიცით, რანაირადაც დავუხვდებით.

უკანა ოთახში გააფთრებული, ხელჩართული ბრძოლა გაიმართა ნანასა და ოგიუსტინას შორის იმ ტაფის გამო, რომლის მოლოკვაც ორივეს სურდა. თხუთმეტი წუთის განმავლობაში ტაფა იატაკზე ზრიალებდა ძველი, დანჯღრეული ქვაბივით. ახლა კი ნანა უკვე თავს დასტრიალებდა ვიქტორს, რომელსაც ბატის ძვალი გასჩხეროდა ყელში. გოგო ნიკაპის ქვეშ ხელს უცაცუნებდა ბიჭს და შაქრის ვეება ნატეხებს ძალით აყლაპებდა, როგორც წამალს. ეს გარემოება ხელს არ უშლიდა ნანას, დიდების მაგიდისთვის ედევნებინა თვალყური. ყოველ წუთს იქ იყო და ითხოვდა ხან ღვინოს, ხან პურს და ხან ხორცს, ეტიენისა და პოლინასთვის.

– აჰა და, შეხეთქე! – ეუბნებოდა მას დედა, – ეგება მომასვენო.

ბავშვებს ჭამის თავი აღარ ჰქონდათ, ყელში არაფერი ჩასდიოდათ, მაგრამ მაინც ჭამდნენ და გასამხნევებლად თანაბარზომიერი ხმაურით აჩხაკუნებდნენ ჩანგლებს.

ამ საერთო ხმაურში საუბარი გაიბა კუპოს დედასა და ბიძია ბრიუს შორის. ბერიკაცი, რომელიც, მიუხედავად დალეული ღვინისა და გვარიანად დანაყრებისა, მაინც გაფითრებული იყო, ყირიმში დაღუპულ ვაჟიშვილებზე ლაპარაკობდა.

– ახ! იმ ბიჭებს რომ ეცოცხლათ, ყოველდღიური ლუკმა არ მომაკლდებოდა! – მაგრამ კუპოს დედა დაიხარა მისკენ და ოდნავ დამძიმებული ენით ელაპარაკებოდა: – რას ბრძანებთ, შვილებთანაც ბევრია სადარდებელი! აი, გინდაც მე, ბედნიერი შესახედაობა მაქვს თითქოს, არა? ეჰ! განა ერთხელ ვტირი ხოლმე?.. არა, შვილების ყოლას ნუ ინატრებთ!

ბიძია ბრიუმ თავი გაიქნია.

– აღარსად სამუშაოს არ მაძლევენ, – წაიბუტბუტა მან, – ძალიან დავბერდი, როცა სახელოსნოში შევდივარ, ყმაწვილები სასაცილოდ მიგდებენ და მეკითხებიან, – ეს შენ ხომ არ იყავი ანრი IV-ს რომ წაღებს უპრიალებდიო... ჯერ კიდევ შარშან ოცდაათ სუს ვიღებდი დღეში, ხიდს ვღებავდი. პირაღმა წოლა მიხდებოდა, ქვეშ კი მდინარე მიდიოდა. მას შემდეგ დამჩემდა ხველა... ამჟამად კი ყველაფერი მორჩა, ყველა გარეთ მაგდებს და ყველგან კარი დაკეტილია ჩემთვის.

მან თავის საცოდავ დაკოჟრებულ ხელებს დახედა და დასძინა: – გასაგებიცაა, რადგან აღარაფერში გამოსადეგი აღარ ვარ. ისინი მართლები არიან, მეც აგრე მოვიქცეოდი... უბედურება ის არის, რომ არ ვკვდები. დიახ, ეს არის ჩემი დანაშაული. უნდა დაწვე და სული უნდა ამოგხდეს, როცა მუშაობა აღარ შეგიძლია.

– მართლა, – წარმოთქვა ლორილემ, რომელიც მათ ყურს უგდებდა, – მე არ მესმის, რატომ მთავრობა არ აღმოუჩენს დახმარებას ამ შრომის ინვალიდებს?.. ამას წინათ გაზეთში წავიკითხე...

მაგრამ პუასონმა თავი ვალდებულად მიიჩნია, გამოსარჩლებოდა მთავრობას.

– მუშები ჯარისკაცები არ არიან, – განაცხადა მან, – ინვალიდების სახლი ჯარისკაცებისთვის არის... შეუძლებელი რამ არ უნდა მოვითხოვოთ.

სუფრაზე მოიტანეს დესერტი. მაგიდის შუაგულში აღიმართა ტკბილი ღვეზელი ტაძრის ფორმისა, დაშაქრული ხილისგან დამზადებული სამრეკლოთი. სამრეკლოს თავზე დაერჭოთ ხელოვნური ქაღალდის პეპელა. ვარდს გულში ჰქონდა ორი წვეთი წებო, რაც ორ ცვარნამს გამოსახავდა. მარჯვნივ, ღრმა ლანგარზე იდო თეთრი ყველის ნაჭერი, ხოლო მარცხნივ მეორე ლანგარზე დასრესილი მსხვილი მარწყვის გროვას წვენი გასდიოდა; მაგრამ ჯერ ხომ სალათი იყო კიდევ დარჩენილი, ზეთგადასხმული სალათის ფართო ფოთლები.

– მადამ ბოშ, – თავაზიანად მიმართა მას ჟერვეზამ, – ცოტა სალათა მიირთვით კიდევ, მე ხომ ვიცი, ეს თქვენი საყვარელი კერძია.

– არა, არა, გმადლობთ. ყელამდე სავსე ვარ. – მიუგო მეკარე ქალმა.

მრეცხავი ქალი მერე ვირჯინიას მიუბრუნდა, მაგრამ მან პირში თითი ჩაიყო, თითქოს საჭმელს სინჯავდა, რომ ყელში აღარ ჩასდის.

– მართლა, ძალიან ვარ გაზეზილი, – ჩაილაპარაკა მან, – ადგილი აღარ არის. ერთი ლუკმაც აღარ ჩამეტევა.

– ოჰ! ცოტა ძალას თუ დაატანთ თავს, – მიუგო ჟერვეზამ ღიმილით, – ერთი პაწია ადგილი მუდამ მოიძებნება. ტყუილად ხომ არ უნდა გავაფუჭოთ ეს სალათა.

– ხვალ შეწვავთ და ისე შეჭამთ, – უთხრა მას მადამ ლერამ, – შემწვარი კიდევ უკეთესია.

ქალები ქშინავდნენ და თანაც სინანულით სავსე თვალით შესცქეროდნენ სასალათეს. კლემანსი მოუყვა მათ, რომ ერთხელ სამი კონა წიწმატი შესანსლა ერთბაშად საუზმის დროს, ხოლო მადამ პიუტუა კიდევ უფრო შორს წავიდა, – ის ღეროებსაც კი არ აჭრის სალათას, მხოლოდ მარილს აყრის ხოლმე და ისე ახრამუნებს პირდაპირ. ამ ლაპარაკში მანდილოსნებმა კიდევაც გამოაცარიელეს სასალათე.

– მე შემიძლია დავიოთხო და ისე ვძოვო კვლებში, – განუწყვეტლივ იმეორებდა პირგამოტენილი მეკარე ქალი.

მერე დესერტის გამო დაიწყეს მასხრობა. დესერტი ხომ სულ უბრალო საქმეა, სათვალავში არც არის მისაღები. თუმცა მას ცოტა შეაგვიანდა, მაგრამ არა უშავს, არც მას მოაკლებენ ალერსს. ყუმბარასავით გახეთქაზე რომ იყვნენ, მარწვისა და ღვეზლის წინაშე მაინც უკან არ დაიხევენ. ამასთან რა ეჩქარებათ, დრო ხომ ბევრია! თუნდაც, მთელი ღამე. ამის მოლოდინში მათ მარწყვითა და ყველით აივსეს თეფშები. მამაკაცებმა ჩიბუხებს მოუკიდეს, ხოლო, რადგანაც დაბეჭდილი ბოთლები უკვე დაცლილიყო, ისევ ლიტრებში ჩამოსხმულს უბრუნდებოდნენ და ჩიბუხის მოწევით ღვინოსაც შეექცეოდნენ... ამასთან, საერთო სურვილი იყო, ჟერვეზას ახლავე გაეჭრა ტკბილი ნამცხვარი. უაღრესად თავაზიანი პუასონი წამოდგა და ხელში აიღო ვარდი, რომელიც დიასახლისს მიართვა მთელი საზოგადოების ტაშის გრიალში. ჟერვეზას ქინძისთავით უნდა მიემაგრებინა ყვავილი მკერდზე მარცხნივ, გულის მხარეს. ქალის თითოეულ მოძრაობაზე პეპელა ქანაობდა და თრთოდა.

– მითხარით ერთი! – წამოიყვირა ლორილემ, რომელმაც ამ დროს ერთი აღმოჩენა გააკეთა, – ეს თქვენი საუთოებელი მაგიდა არ არის, რომელზედაც ჩვენ შევექცევით პურს?.. აჰ! რა კარგია. შესაძლოა მასზე არასოდეს არც უმუშავიათ ამდენი! – დიდი გასავალი ჰქონდა ამ ბოროტ ხუმრობას. წვიმასავით წამოვიდა გადაკვრით ნათქვამი, ჭკუამხიარული სიტყვები: კლემანსი ისე არ გადაყლაპავდა კოვზით მარწყვს, რომ არ

ეთქვა, ერთხელ კიდევ გავკარ უთოო. მადამ ლერაც ამბობდა, რომ თეთრ ყველს თითქოს სახამებლის სუნი ასდის, ხოლო მადამ ლორილემ კბილებს შუა გამოცრა: „მართლაც, დიდი მოხერხება უნდა გქონდეს, რომ ასე სწრაფად შეიყლაპოს ფული იმ ფიცრებზე, რომლებზედაც იგი ასე დიდი შრომით არის ნაშოვნი“. იგრიალა საერთო სიცილმა და ხმაურმა.

მაგრამ უეცრად ძლიერმა ხმამ დაამყარა საერთო სიჩუმე. ეს იყო ბოში, რომელიც ფეხზე წამომდგარი ტორტმანებდა და ეშმაკური იერით მღეროდა „სიყვარულის ვულკანს“ ანუ „მაცდურ ჯარისკაცს“: „მე ვარ ბლავენი, ტურფათა შემაცდენელი“...

ვაშას გრიალმა დაფარა პირველი ტაეპი. დიახ, დიახ, უნდა იმღერონ! ყველა თავისას იტყვის. ამგვარ გართობას არაფერი სჯობია! და საზოგადოება იდაყვებით დაეყრდნო მაგიდას, ზოგი სკამის ზურგს მიესვენა, ხოლო სიმღერის რჩეული ადგილების დროს თავებს იქნევდნენ და მისამღერზე ცოტ-ცოტას მოსვამდნენ ხოლმე კიდეც. ეს პირუტყვი ბოში კომიკური სიმღერების სპეციალისტი იყო სწორედ. მკვდარსაც კი გააცინებდა, როცა ონავარ ჯარისკაცს ჰბაძავდა და თითებგაფარჩხული და კეფაზე ქუდგადაგდებული მღეროდა. „სიყვარულის ვულკანს“ მან მიაყოლა „ბარონ ფოლბიშის მეუღლე“, რომელსაც მუდამ წარმატებით ასრულებდა და, როცა სიმღერის მესამე ტაეპამდე მივიდა, კლემანსს მიუბრუნდა და მინელებული, ვნებიანი ხმით წაიკრუტუნა: ბარონის ცოლს ჰყავს სტუმართა ჯარია, მისი დები ოთხივე იქ არიან, სამი შავი, ერთი ქერათმიანი, რვა თვალია ლამაზი, ეშხიანი.

აღტაცებაში მოსულმა საზოგადოებამ სიმღერას ხმა ააყოლა. მამაკაცები ტაქტს ქუსლების ბაკუნით იცავდნენ, ხოლო ქალებმა დაიჭირეს ხელში დანები და თანაბარზომიერად ურაკუნებდნენ ჭიქებს. ყველა ერთხმად ღრიალებდა: დასწყევლის ეშმაკი! ნეტავ ვინ გადიხდის

არყის საფასურს, პა... პა... პა... პა...

დასწყევლის ეშმაკი! ნეტავ ვინ გადიხდის

არყის საფასურს პა... პატრუ...უ... ულისა!

სახელოსნოში ფანჯრის მინებს ზრიალი გაჰქონდა, სიმღერით ამოძრავებული ჰაერის ტალღა მარმაშის ფარდებს აფრიალებდა. ამასობაში ვირჯინია ორჯერ გაქრა ოთახიდან. დაბრუნებისას დაიხრებოდა ხოლმე ჟერვეზას ყურთან და რაღაცას ჩურჩულით უხსნიდა, ხოლო როდესაც მესამეჯერ დაბრუნდა გარედან, საერთო ღრიანცელში მრეცხავ ქალს შემდეგი უთხრა: – ჩემო ძვირფასო, ის ისევ ფრანსუასთან იმყოფება, ვითომ გაზეთსა კითხულობს... რაღაცა ოინი აქვს ნამდვილად განზრახული.

ვირჯინია ლაპარაკობდა ლანტიეზე, რომლის თვალყურის სადევნებლადაც გადიოდა გარეთ. ყოველ ახალ ცნობაზე ჟერვეზა იღუშებოდა.

– მთვრალი ხომ არ არის? – შეეკითხა ის ვირჯინიას.

– არა, – მიუგო მას ზორბა შავგვრემანმა ქალმა, – ფხიზელი ჩანს. კიდეც ეგ არი, უმთავრესად, საფიქრებელი და სამწუხარო. აბა, რას უზის იქ იმ მიკიტანს, თუ ფხიზელია... ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! ნეტავი უბედურება რამე არ მოხდებოდეს და!

დიდად შეშფოთებული მრეცხავი ქალი შეევედრა ვირჯინიას გაჩუმებულიყო. უეცრად დუმილი ჩამოვარდა. წამოდგა მადამ პიუტუა და შემოსძახა: „აბორდაჟზე!“ მონადიმენი უსიტყვოდ, ყურადღებით შესცქეროდნენ მას. თვით პუასონმაც კი, რათა უკეთესად მოესმინა, მაგიდაზე დადო თავისი ჩიბუხი. ტანმორჩილი მადამ პიუტუა გაჭიმული იდგა მრისხანედ. შავი თავსაბურის ქვეშ მისი გაფითრებული სახე მოჩანდა. მარცხენა მუშტი წინ გაეწვდინა ამაყი რწმენით და თავისი აღნაგობისთვის შეუფერებელი ბოხი ხმით გრგვინავდა: დაე, მეკობრე ზღვისა, თავხედი

ქარივით გვდევდეს ჩვენ გამალებით, ავაზაკს მუდამ რისხვით დავხვდებით, და როდი გავხდით ღირსს შებრალების.

შვილებო, პირი იქით ზარბაზნებს!

და ფიალები დასცალეთ რომის!

რომ ჩამოვკიდოთ მალე ანძაზე

ავკაცობისა და ძარცვის მნდომნი.

ეს უკვე სერიოზული რამ იყო. დასწყევლის ღმერთი, თითქოს შენი თვალით ხედავდი ყველაფერს! პუასონი, რომელსაც გემით ემოგზაურა, თავს აკანტურებდა ზოგიერთი წვრილმანის დასადასტურებლად. ყველა კარგად გრძნობდა, რომ ეს სიმღერა მადამ პიუტუას გულის სიღრმიდან იყო ამოსული. კუპო ხმადაბლა უამბობდა იქ მყოფთ, თუ მადამ პიუტუამ ერთ საღამოს, პულეს ქუჩაზე როგორ მიბეგვა ოთხი მამაკაცი, რომელთაც მისი გაუპატიურება სურდათ.

ამასობაში ჟერვეზამ კუპოს დედის დახმარებით, ყავაც მოამზადა, თუმცა სტუმრები ჯერ კიდევ ტკბილ ნამცხვარს შეექცეოდნენ. ჟერვეზას დაჯდომის ნებაც კი არ მისცეს, უყვიროდნენ, ახლა თქვენი ჯერიაო. ის უარზე იდგა, გაფითრებული იყო, ეტყობოდა, ცუდ გუნებაზე დადგა იმდენად, რომ შეეკითხნენ კიდეც, შემთხვევით, ბატის ხორცმა ხომ არ გაწყინათო. მაშინ ის სუსტი და მინაზებული ხმით ამღერდა: „ახ! გამიშვით დავიძინო“... და, როდესაც მისამღერთან მივიდა, სადაც გამოთქმული იყო სურვილი მშვენიერი სიზმრებით აღსავსე ძილისა, მან ოდნავ მოხუჭა თვალები და მისი მიბნედილი მზერა ჩაიკარგა სიბნელეში, – ქუჩის მხარეს. დაასრულა თუ არა ჟერვეზამ სიმღერა, იმავე წუთში პუასონმა უეცრად თავი დაუკრა ქალებს და შემოსძახა სუფრული: „საფრანგეთის ღვინოები“. მაგრამ პოლიციელი ტუმბოსავით ხრიალებდა. მხოლოდ უკანასკნელმა ტაეპმა მოიპოვა მოწონება, რადგან პუასონმა ამ

დროს ახსენა სამფეროვანი დროშა, ჭიქა სულ მაღლა ასწია, შეარხია და, ბოლოს, ფართოდ გაღებულ პირში ერთბაშად გადაიპირქვავა. ამის შემდეგ ერთმანეთს მოჰყვა რომანსები. ვენეციასა და მეგონდოლეებს ეხებოდა მადამ ბოშის ბარკაროლა[21]. სევილიასა და ანდალუზიის ქალებზე იყო მადამ ლორილეს ბოლერო[22], ხოლო მუსიე ლორილე არაბულ ნელსაცხებელთა კეთილსურნელებასაც კი შეეხო მოცეკვავე ქალი ფატმას სიყვარულის გამო. ჭუჭყიანი მაგიდის ირგვლივ, სტუმრების ბოყინით დამძიმებულ ჰაერში, იშლებოდა ოქროვანი ჰორიზონტი, ტკბილი ამბორის ხმა ისმოდა მთვარის შუქზე. გიტარის ჟღარუნში თვალმარგალიტი და ბრილიანტი აწვიმდა მროკავი ქალის ნატერფალს, მამაკაცები უდარდელი სახით ეწეოდნენ ჩიბუხს, ხოლო ქალებს გაურკვეველი სიამის ღიმი დასთამაშებდა სახეზე. ყველას თავი იქ წამოედგინა, სადაც კეთილსურნელებას აკმევს ჰაერი. როდესაც კლემანსმა ხმის კანკალით დაიღუღუნა: „ამიშენე ბუდე“, ამანაც დიდად ასიამოვნა ყველა, რადგან მოაგონა მათ სოფელი, ჩიტების ჭიკჭიკი, ხეების ჩრდილში ცეკვა, თაფლით სავსე ყვავილები და ყოველივე ის, რასაც ვენსენის ტყეში ხედავდნენ იმ დღეებში, როცა მიდიოდნენ კურდღლისთვის კისრის მოსაგრეხად. მაგრამ ვირჯინიამ ისევ ლაზღანდარობას დაუბრუნა ყველა თავისი სიმღერით: „ჩემი პატარა რიკიკი“. იგი მარკიტანტ[23] ქალს ჰბაძავდა, ცალი ხელით დოინჯი შემოიყარა, ხოლო მეორით ვითომდა სიცარიელეში ასხამდა არაყს. ამ სიმღერის შემდეგ საზოგადოება ისეთ გუნებაზე დადგა, რომ კუპოს დედას დაუწყეს ხვეწნა ემღერა „თაგუნა“. დედაბერი უარობდა, არ ვიცი ეს უწმაწური სიმღერაო, მაგრამ ბოლოს მაინც დაიწყო ჩახლეჩილი ხმით. მისი დანაოჭებული სახე და პატარა, ცოცხალი თვალები, უფრო მეტად უსვამდა ხაზს გადაკვრით ნათქვამ სიტყვებს იმაზე, თუ როგორ შეეშინდა მადმუაზელ ლიზას და როგორ აიკრიფა ბოლოკაბა თაგუნას დანახვაზე. ყველანი ხარხარებდნენ. ქალები ვერ ახერხებდნენ სერიოზული გამომეტყველების შენარჩუნებას და გაბრწყინებული თვალებით უყურებდნენ მეზობლებს. ბოლოს და ბოლოს, რით არ იყო ეს სიმღერა წესიერი, ხომ არ იყო აქ ტლანქი, ბინძური სიტყვები?! ბოში, სიმართლე ითქვას, თითებით თაგვის როლს მენახშირე ქალის წვივებზე ასრულებდა. შესაძლოა, უკვე უხამსობაში გადასულიყვნენ, რომ ჟერვეზას თვალით არ ენიშნებინა გუჟესთვის, რომელმაც სიჩუმე და წესიერება დაამყარა „აბდელკადერის გამოთხოვებით“. იცოცხლეთ, გუჟეს ძლიერი ბანი ჰქონდა! მისი ლამაზი ოქროსფერი, გაშლილი წვერის ქვეშიდან სპილენძის ბუკის ხმასავით გაისმოდა ეს სიმღერა. მჭედელმა ისეთი სიძლიერით შესძახა: „ო, ჩემო კეთილშობილო მეგობარო“ (აქ მეომრის შავ ცხენზე იყო ლაპარაკი), რომ ყველას გული აუძგერდა, და სიმღერის დასრულება არც კი აცალეს, ერთხმად იგრიალა ტაშმა.

– ახლა თქვენი ჯერია, ბიძია ბრიუ, თქვენი! – უთხრა მოხუცს კუპოს დედამ. თქვენი სიმღერა თქვით, ისევ ძველი სიმღერები სჯობია. უფრო ლამაზებია.

ახლა ამ ბერიკაცს მიუბრუნდა საზოგადოება. ჩააცივდნენ და თანაც ამხევებდნენ. გაბრუებული ბერიკაცი გადახრუკული პირისკანის უძრავი ნიღბით ყველას

შეჰყურებდა, თითქოს არ ესმოდა რას სთხოვდნენ. ისინი კი ეკითხებოდნენ, იცოდა თუ არა მან სიმღერა „ხუთი ხმოვანი“. მოხუცმა თავი ჩაქინდრა, აღარაფერი ახსოვდა. ძველი და კარგი დროის ყველა სიმღერა ერთმანეთში არეულიყო მის თავში. როდესაც გადაწყვიტეს თავი დაენებებინათ, მას თითქოს მაშინ გაახსენდა, და ჩახლეჩილი ხმით წაილუღლუღა: ტრუ ლა-ლა, ტრუ ლა-ლა, ტრუ-ლა, ტრუ-ლა, ტრუ ლა-ლა!

ბერიკაცს სახე გამოუცოცხლდა. ეტყობოდა, ეს მისამღერი აღვიძებდა მასში შორეული, მხიარული დროის მოგონებებს, რასაც მხოლოდ თვითონ განიცდიდა და როდესაც თავის მიყრუებულ ხმას ყურს უგდებდა, ბავშვურ აღტაცებას ეძლეოდა: ტრუ-ლა-ლა, ტრუ ლა-ლა, ტრუ ლა, ტრუ-ლა, ტრუ ლა-ლა!

– გამიგონეთ, ჩემო ძვირფასო, – ყურში ჩასჩურჩულა ჟერვეზას ვირჯინიამ, – იცი, რას გეტყვით, მე ხომ ისევ იქ ვიყავი. მოსვენებას არ მაძლევდა ეს... და იცი! ლანტიე წასულა ფრანსუასგან.

– ქუჩაში ხომ არ შეგხვედრიათ? – შეეკითხა მას მრეცხავი ქალი.

– არა, ჩქარი ნაბიჯით მოვდიოდი და ფიქრადაც არ მომსვლია აქეთ-იქით გახედვა.

ამ დროს ვირჯინიამ თავი მაღლა აიღო, უცებ შეწყვიტა ლაპარაკი და ყრუდ ამოიხვნეშა.

– ახ, ღმერთო ჩემო!.. აგერ იქ არის, მოპირდაპირე ქვაფენილზე, აქეთ იყურება.

გაოგნებულმა ჟერვეზამ მხოლოდ ცალი თვალით გახედვა გაბედა. ქუჩაში ხალხი ბლომად შეკრებილიყო, რათა ამ საზოგადოების სიმღერა მოესმინათ. საბაყლო დუქნის ბიჭები, სახაშე დუქნის დიასახლისი, პატარა მესაათე შეჯგუფებულიყვნენ ერთად, როგორც ჩანს, სეირის საყურებლად. იქ სამხედროებიც იყვნენ, სერთუკიანი ბურჟუებიც და სამი ხელიხელჩაკიდებული ხუთი თუ ექვსი წლის გოგონაც მეტად სერიოზული და აღფრთოვანებული სახეებით. ლანტიეც სწორედ იქ იმყოფებოდა, პირველ რიგში იდგა და სრულიად დამშვიდებული სახით ისმენდა და იმზირებოდა. ამჯერად ეს უკვე ნაღდი უტიფრობა იყო. ჟერვეზას მუხლებიდან წამოსული სიცივე გულამდე აუვიდა, განძრევას ვეღარ ბედავდა, ბიძია ბრიუ კი განაგრძობდა: ტრუ ლა-ლა, ტრუ ლა-ლა, ტრუ-ლა, ტრუ-ლა, ტრუ ლა-ლა!

– ახ! კარგი და პატიოსანი! მაგრამ უკვე საკმარისია, ჩემო მოხუცო, – წარმოთქვა კუპომ, – ნუთუ ბოლომდე იცით ეგ სიმღერა?.. მაშ, თქვენ ამას სხვა დროს გვიმღერებთ, ჰა? როცა გადამეტებით მხიარულები ვიქნებით.

ყველამ გაიცინა. ბერიკაცი უცებ შეჩერდა, გარს შემოავლო მაგიდას თავისი მიმქრალი თვალები და კვლავ ჩაფიქრდა. ყავაც დაილია, მესახურავემ ხელმეორედ მოითხოვა ღვინო. კლემანსი ხელახლა შეუდგა მარწყვის ჭამას. წუთით სიმღერები შეწყდა, ისინი ლაპარაკობდნენ ქალზე, რომელიც ამ დილით ენახათ. მას თავი ჩამოეხრჩო მეზობელ სახლში. ახლა მადამ ლერას ჯერიც მოვიდა, უნდა ემღერა, მაგრამ მას ჯერ სამზადისი

სჭირდებოდა. მადამ ლერამ თავისი ხელსახოცის წვერი წყლით სავსე ჭიქაში ჩაასველა და საფეთქლებზე შემოიდო, რადგან ძალიან სცხელოდა. შემდეგ მან ერთი ყლუპი არაყიც მოითხოვა, მოსვა და დიდხანს იწმენდდა ტუჩებს.

– „კეთილი უფლის შვილი“, არა? – წაიბუტბუტა მან, – „კეთილი უფლის შვილი“...

და ამ ვაჟკაცივით ბრგე, გრძელცხვირა, ჟანდარმივით მხარბეჭიანმა და ძვალმსხვილმა ქალმა დაიწყო: გზად მიგდებული ბავშვი დედისგან, ღვთის სამყოფელში პოულობს ბინას.

განაგებს ღმერთი იმის ბედ-იღბალს, თავის კალთაში ინახავს თბილად.

მისი ხმა კანკალებდა ზოგიერთ სიტყვაზე, ხოლო შესაბრალის ნოტებს ახანგრძლივებდა, აჭიანურებდა, მალვით ცისკენ აპყრობდა თვალებს, ხოლო მარჯვენა ხელს მკერდის წინ აქანავებდა და გულზე იდებდა შთაგონებული ჟესტით. ამ დროს ლანტიეს იქ ყოფნით გაწამებულმა ჟერვეზამ ცრემლი ვეღარ შეიკავა, ეჩვენებოდა, რომ ეს სიმღერა მის ტანჯვას გამოხატავდა, რომ სწორედ ის იყო ეს დაკარგული ბავშვი, ღვთის ანაბარა მიტოვებული, რომელსაც მხოლოდ კეთილი ღმერთი დაიცავდა. კარგა მაგრად გამომთვრალ კლემანსსაც უეცრად ქვითინი აუვარდა. მაგიდაზე დაემხო და ცდილობდა, სლუკუნი როგორღაც ჩაეხშო. მთრთოლარე სიჩუმე გამეფდა. მანდილოსნებმა ცხვირსახოცები ამოიღეს და თვალებს იწმენდდნენ, ესახელებოდათ კიდეც ეს მღელვარება. თავჩაღუნული მამაკაცები წინ იყურებოდნენ დაჟინებით და თვალებს ახამხამებდნენ. პუასონი იხრჩობოდა, თან კბილებს მაგრად უჭერდა და ორჯერ ბოლო მოაკვნიტა ჩიბუხს, ოღონდ თუთუნის მოწევა მაინც არ შეუწყვეტია. ბოშს, მართალია, ხელი ისევ მენახშირის ცოლის მუხლზე ედო, მაგრამ აღარ ჩქმეტდა, რაღაც სინანულითა და გაურკვეველი მოწიწებით შეპყრობილიყო. ამავე დროს ორი მსხვილი კურცხალი მოგორავდა მის ლოყებზე. ეს მოქეიფენი ტლანქები იყვნენ, ვით მართლმსაჯულება და ნაზნი, ვით კრავები. ღვინო ჟონავდა მათ თვალთაგან, აი, რა! როდესაც მისამღერი განახლდა, უფრო მინელებული და უფრო ცრემლიანი, ამას უკვე ვეღარავინ გაუძლო, ყველანი მოეშვნენ, თეფშებში ჩაჰყვეს თავები და აზლუქუნდნენ, ღილები შეიხსნეს, რადგან მოჭარბებულ გრძნობებს ვეღარ იტევდნენ.

მაგრამ ჟერვეზა და ვირჯინია თავისდა უნებურად თვალს ვერ აშორებდნენ მოპირდაპირე ქვაფენილს. მადამ ბოშმაც, თავის მხრივ, შენიშნა იქ ლანტიე და მსუბუქად შეჰკივლა, მაგრამ მდუღარე ცრემლთა ფრქვევა მაინც არ შეუწყვეტია. სამივეს ძალიან შეშფოთებული სახეები ჰქონდათ, უნებლიეთ თავით ანიშნებდნენ ერთმანეთს. ღმერთო ჩემო! კუპო რომ იქით მიბრუნდეს, კუპომ რომ ის დაინახოს, რა ხოცვა-ჟლეტა გაჩაღდება! რა სისხლის ღვრა!

იმდენი ქნეს ამ ქალებმა, რომ კუპო ბოლოს შეეკითხა მათ: – რას უყურებთ ნეტავი?

მერე დაიხარა და იცნო ლანტიე.

– დასწყევლის ღმერთი! ეს უკვე ნამეტანია, – წაიბუტბუტა კუპომ, – ახ! ბილწი სიფათი! ახ! ბილწი სიფათი! არა, ეს მეტისმეტია, ბოლო უნდა მოეღოს ამას!..

და რადგანაც კუპო საშინელი მუქარის სიტყვების ლუღლუღით წამოდგა, ჟერვეზა ხმადაბლა შეემუდარა მას.

– გამიგონე, გევედრები... დანა აქ დატოვე... დარჩი შენს ადგილას, უბედურება არ დაატრიალო.

ვირჯინიამ ჩამოართვა კუპოს დანა, რომელიც მან მაგიდიდან აიღო. მაგრამ მისი შეჩერება ქალებმა უკვე ვეღარ შეძლეს. საზოგადოება ამ დროს სულ უფრო მეტად ღელავდა და ვეღარაფერს ხედავდა. ტირილს უმატეს, როდესაც მადამ ლერა გულსაკლავი გამოთქმით მღეროდა: მიტოვებული ობლად კვნესოდა, მისი ძახილი არავის ესმოდა, გარდა ქარისა და ხეებისა.

ლექსის ბოლო ისე გაისმა, ვით ქარიშხლის საბრალო ზუზუნი, მადამ პიუტუას ის იყო ღვინო უნდა დაელია, მაგრამ ისე აუჩვილდა გული, რომ სუფრაზე დაღვარა. ჟერვეზა კი ამ დროს გაყინულივით იყო. რომ არ ეყვირა, მუშტი მაგრად მიიჭირა ტუჩებზე და შიშისაგან გულგახეთქილი ელოდა, რომ იქ, სადაცაა ერთ-ერთი მოწინააღმდეგე მამაკაცთაგანი მკვდარი დაეცემოდა ქვაფენილზე. ვირჯინია და მადამ ბოშიც ინტერესით ადევნებდნენ თვალს ამ სცენას. გარეთ, ჰაერზე გასულ კუპოს უფრო მეტად მოეკიდა ღვინო და კინაღამ არხში ჩავარდა, როცა ლამობდა დასძგერებოდა ლანტიეს. ამ უკანასკნელს ჯიბიდან ხელიც არ ამოუღია, ისე უბრალოდ აარიდა თავი თავდამსხმელს. ახლა კი ეს ორი მამაკაცი ლანძღავდნენ ერთმანეთს, განსაკუთრებით მესახურავე ამკობდა მოწინააღმდეგეს უშვერი სიტყვებით, ჭირიან ღორს უწოდებდა და ემუქრებოდა, ნაწლავებს გამოგაყრევინებო. ოთახში ისმოდა მათი გაცოფებული ღრიალი, მოჩანდა მათი გააფთრებული ჟესტიკულაცია და, გეგონებოდათ, ისეთ მაგარ სილას უთავაზებენ ერთმანეთს, ხელს იღრძობენო. ჟერვეზა ცუდად გახდა, თვალებს ხუჭავდა, რადგან ძალიან დიდხანს გაგრძელდა ეს ამბავი და ქალს ეგონა, რომ ცხვირებს მოაკვნეტდნენ ერთმანეთს, ისე იდგნენ, სახე სახესთან ჰქონდათ მიტანილი. შემდეგ, რადგანაც უკვე ჩამიჩუმი აღარ ესმოდა, ჟერვეზამ თვალი გაახილა და გაშტერებული დარჩა, როდესაც დაინახა, რომ დამშვიდებით საუბრობდნენ.

მადამ ლერამ ხმას აუწია და მოღუღუნე მტირალა ბგერებით შემდეგი ტაეპი დაიწყო: და მეორე დღეს ნახევრად მკვდარი, იპოვეს ბავშვი შესაბრალისი.

– ხომ არსებობენ ასეთი უნამუსო დედაკაცები! – წარმოთქვა მადამ ლორილემ საერთო მოწონების ხმაურში.

ჟერვეზამ, მადამ ბოშმა და ვირჯინიამ ერთიმეორეს გადახედეს. მორიგებით დასრულდა საქმე? კუპო და ლანტიე ქვაფენილის ნაპირას იდგნენ და განაგრძობდნენ საუბარს. მართალია, ისევ ლანძღავდნენ ერთიმეორეს, მაგრამ უკვე მეგობრულად. ერთმანეთს უწოდებდნენ „შე, წყეულო ნადირო შენა“, ისეთი კილოთი, რომელშიც

უკვე სინაზე გამოკრთოდა. რადგანაც ქუჩაში აქეთ-იქიდან უყურებდნენ, ამიტომ მათ წყნარად დაიწყეს სეირნობა სახლების გასწვრივ, ერთმანეთის გვერდით, გაივლიდნენ ერთ ათიოდე ნაბიჯს და ისევ შემობრუნდებოდნენ. ძალიან ცხარედ დაიწყეს ლაპარაკი. უეცრად კუპო თითქოს ხელახალა გაჯავრდა, ხოლო მეორე კაცი უარზე იდგა, ათხოვნინებდა მას და სწორედ მესახურავე იყო, რომ ძალისძალად გადმოათრია ლანტიე ქუჩაზე და სახელოსნოში შემოიყვანა.

– მე ხომ გითხარით, ეს კეთილი გულით არის-მეთქი! – ყვიროდა კუპო, – ერთ ჭიქა ღვინოს დაგილევთ... ვაჟკაცები. ვაჟკაცები არიან, ასეა, ხომ? ყოველთვის მორიგდებიან ერთმანეთში.

მადამ ლერა უკანასკნელ რეფრენს ასრულებდა. მანდილოსნები ცხვირსახოცებს კეცავდნენ და თან იმეორებდნენ ერთხმად: გზად მიგდებული ბავშვი დედისგან

ღვთის სამყოფელში პოულობს ბინას.

მრავალი ქათინაურით შეამკეს მომღერალი ქალი, რომელიც ისე ჩამოჯდა, ვითომ მთლად დამსხვრეული იყო. მადამ ლერამ მოითხოვა, რამე სასმელი მიეცათ მისთვის, ვინაიდან, მისი სიტყვით, ის იმდენ გრძნობას ხარჯავს ამ სიმღერაზე, რომ მუდამ შიშშია, რომელიმე ნერვი არ გაუწყდეს. ამასობაში სტუმრები მიაშტერდნენ ლანტიეს. იგი მშვიდად იჯდა კუპოს გვერდით და უკვე შეექცეოდა ტკბილი ნამცხვრის ნაჭერს, რომელსაც ღვინით სავსე ჭიქაში აწობდა. ვირჯინიას და მადამ ბოშის გარდა, აქ მას არავინ იცნობდა. ლორილეებმა ყნოსვით გაიგეს, რომ აქ რაღაც სუფთა ამბავი არ იყო, მაგრამ რაში იყო საქმე, არ იცოდნენ, და აიმრიზნენ. გუჟემ შენიშნა ჟერვეზას ღელვა და ალმაცერად შეჰყურებდა ახალმოსულს. რაკი უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, ამიტომ კუპომ უბრალოდ თქვა: – ეს მეგობარია.

მერე ცოლს მიუბრუნდა: – გაინძერი, რაღა!.. ეგებ ცხელი ყავა იყოს დარჩენილი.

ჟერვეზა მისჩერებოდა ხან ერთს, ხან მეორეს უწყინარი და ჩლუნგი სახით. თავდაპირველად მან, როდესაც მისმა ქმარმა ხელისკვრით შემოიყვანა სახელოსნოში მისი ძველი სიყვარული, ორივე ხელი თავში იტაცა იმავე ინსტინქტური ჟესტით, როგორც ეს ხდება დიდი ჭექა-ქუხილის დროს ყოველ ახალ დაჭექებაზე. ჟერვეზასთვის წარმოუდგენელი იყო ეს. კედლები უნდა ჩამონგრეულიყო და ქვეშ ჩაეტანა ყველა. ხოლო შემდეგში, როდესაც მან დაინახა, როგორ დასხდნენ ისინი და თვით მარმაშის ფარდებიც კი არ შერხეულა, უეცრად ყოველივე სრულიად ბუნებრივად ეჩვენა. მას ბატი ამძიმებდა ცოტაოდენად. ეჭვგარეშეა, ზედმეტი მოუვიდა ამ ხორცის ჭამა და ეს გარემოება ფიქრის უნარს უკარგავდა. ნეტარი სიზანტით გაბრუებული ერთადერთი სურვილით შეპყრობილიყო, არავის შეეწუხებინა. მძიმედ მიეყრდნო მაგიდის კიდეს. ღმერთო ჩემო! რაზე უნდა აიშალოს ნერვები, როდესაც სხვები დამშვიდებული არიან, ყოველივე თავისთავად ეწყობა და აკმაყოფილებს ყველას. ჟერვეზა წამოდგა, რომ ენახა, თუ კიდევ იყო ყავა.

უკანა ოთახში ბავშვებს ეძინათ. ელამი ოგიუსტინა დესერტის ჭამის დროს აშინებდა მათ, ხან მარწყვს აწაპნიდა, ხან საშინელი მუქარით გულს უხეთქავდა. ახლა კი ძალიან უქეიფოდ იყო. მოკრუნჩხული იჯდა პატარა სკამზე და სახეგაფითრებული კრინტს არ სძრავდა. სქელ პოლინას თავი ეტიენის მხარზე მიეყრდნო, ეტიენს კი თავის მხრივ აგრეთვე მაგიდაზე მიეყრდნო თავი და ეძინა. ნანა საწოლზე იჯდა და ახლოს მიჰკრობოდა ვიქტორს, რომლისთვისაც კისერზე შემოეხვია ხელი. თვალდახუჭული ნანა ძილში სუსტი და ერთფეროვანი ხმით იმეორებდა: – ოჰ! დედა, მტკივა... ოჰ! დედა, მტკივა...

– ღვთის მადლმა, – წაიბურტყუნა ოგიუსტინამ, რომელიც თავს აკანტურებდა, – მაგათ თავში აუვარდათ. ისე მღეროდნენ, როგორც დიდები.

ეტიენის დანახვაზე ჟერვეზას ხელახლა ელდა ეცა. სუნთქვა შეეკრა, როდესაც გაიფიქრა, რომ ამ ბიჭუნას მამა აქვე იმყოფებოდა, გვერდით, ტკბილ ნამცხვარს მიირთმევდა და სულ უბრალო სურვილიც კი არ გამოუთქვამს ეკოცნა თავისი შვილისთვის. ჟერვეზა მზად იყო გაეღვიძებინა ეტიენი და ხელში აყვანილი გაეყვანა იქ. მაგრამ, მერე, ამჯერადაც საუკეთესოდ ცნო შექმნილი მდგომარეობა, რადგან ყველაფერი ასე მშვიდობიანად მოგვარდა. მართლაც, ურიგობა იქნებოდა სადილის დაბოლოებისას არეულობა. ჟერვეზა დაბრუნდა ყავადნით ხელში და ერთი ფინჯანი ყავა მიართვა ლანტიეს, რომელიც თითქოს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მას.

– ახლა ჩემი ჯერია, – წაილუღულუღ კუპომ, რომელიც ძლივს იბრუნებდა ენას, – ჰე – ჰე! მე პირის ჩასატკბარუნებლად დამტოვეს!.. ძალიან კარგი, მე თქვენ გიმღერებთ. „ღორია და არა ბავშვი“.

– დიახ! დაიხ! „რა ღორი ბავშვია“, – ერთხმად შესძახა მას მთელმა საზოგადოებამ.

ხმაური ატყდა, ლანტიე გადაავიწყდათ. ქალებმა გაამზადეს თავიანთი ჭიქები და დანები, რომ მისამღერისთვის აკომპანემენტი დაეკრათ. წინდაწინვე იცინოდა ყველა, როცა შეჰყურებდნენ მესახურავეს, რომელიც ერთ ადგილზე ტორტმანებდა ოინბაზური იერით. მან დედაბრის ჩახრინწული ხმით დაიწყო: როცა ვდგები ყოველ დილით, მისუსტდება უცებ გული; ქალაქს მიდის შვილიშვილი, ბოთლი სამ სუდ ღირებული

რომ მიშოვოს. საათს დაჰყოფს.

მერე როცა მოვა სახლში, ნახევარი მოაქვს არყის, ღორია და არა ბავშვი!

მანდილოსნები ჭიქებს უჭახუნებდნენ და ერთხმად შემოსძახოდნენ, საერთო ჟრიამულსა და უზომო მხიარულებაში: ღორია და არა ბავშვი!

ღორია და არა ბავშვი!

ახლა თვით გუტ-დორის ქუჩაც ჩაერია ქეიფში. მთელი უბანი მღეროდა: „რა ღორი ბავშვია“. მათ პირდაპირ პატარა მესაათე, საბაყლო დუქნის ბიჭები, მეხაშე ქალი და მემწვანილე დედაკაცი, რომელთაც ეს სიმღერა იცოდნენ, შემოუერთდნენ ამ მისამღერს და თან ხუმრობით ერთმანეთს სილასაც უტყლაშუნებდნენ. ბოლოს და ბოლოს, მართლა მთელი ქუჩა დაითრო. მხოლოდ ქეიფის სურნელება, რომელიც კუპოების სახლიდან გამოდიოდა, მხოლოდ ის აცეკვებდა ხალხს ქვაფენილზე ახირებულად. ამასთან უნდა ითქვას, რომ შიგნით უკვე ყველა გალეშილი მთვრალი იყო. ეს სიმთვრალე, დაწყებული წვნიანის შემდეგ გადაკრული პირველი ჭიქა თავანკარა ღვინიდან, ნელ-ნელა მატულობდა. ამჟამად კი იგი აბოლებული ლამპების მოწითალო ბუღში მეტისმეტი ჭამისგან ალაპლაპებული სახეების თაიგულად გაიშალა. ამ უზომო ღრეობის ღრიანცელი დაგვიანებული ეტლების გრუხუნსაც კი ფარავდა. ორ პოლიციელს ეგონა, აჯანყება დაიწყოო და მოირბინეს, მაგრამ პუასონის დანახვაზე თავის კანტურით ანიშნეს ერთმანეთს, გასაგებია, არაფერიაო, და ბნელი სახლების გასწვრივ ნელი ნაბიჯით გაშორდნენ იქაურობას.

კუპო კი შემდეგ ტაეპს მღეროდა: კვირა დღე რომ დადგა გრილი, სეირნობით გავყევ ვილეტს.

მე თან მახლდა შვილიშვილი, მივაკითხეთ ძია ტინეტს.

ჩემი ძველი მეგობარი

ნეხვში ოქროს მთხრელი არი.

საუბარი გვქონდა ტკბილი, მოვბრუნდი და უცებ გავშრი.

ნეხვში გდია შვილიშვილი, ღორია და არა ბავშვი!

ღორია და არა ბავშვი!

ღამის წყნარსა და თბილ ჰაერში უცებ ისეთი ღრიანცელის ხმა ავარდა, რომ კინაღამ სახლი დააქცია. ამ მყვირალებმა თვითვე დაუკრეს ტაში საკუთარ თავს, ვინაიდან ამაზე უფრო ღონიერი ღრიალი შეუძლებელი იყო.

შემდეგში არც ერთს ამ საზოგადოებიდან არ შეეძლო ზუსტად გაეხსენებინა, თუ რანაირად დასრულდა ეს ქეიფი. ალბათ, ძალიან გვიან დაიშალნენ, რადგან ქუჩაში კაცის ჭაჭანება აღარ იყო. შესაძლებელია, ხელიხელჩაკიდებულნი მაგიდის ირგვლივაც ცეკვავდნენ. მეხსიერებაში ჩარჩათ ყვითელ ბუღში მოხტუნავე ფიგურების ყურთამდე პირგახეული სახეები. სიმართლე ითქვას, დასასრულს ღვინოს ფრანგულ ყაიდაზე სვამდნენ, ოღონდ ეს კი აღარ იცოდნენ, ეხუმრა მათ ვინმე და ჩაუყარა ჭიქებში მარილი თუ არა. ბავშვები იძულებული შეიქნენ ტანსაცმელი თვითონვე გაეხადათ და მარტონი წოლილიყვნენ. მეორე დღეს მადამ ბოში იკვეხნიდა, ორი კარგი სილა ვუთავაზე ბოშს, როცა კუთხეში მენახშირის ცოლთან შევასწარი, სულ ახლოს იდგა მასთანო. ხოლო ბოში, რომელსაც ქვეყანაზე არაფერი

ახსოვდა, იძახდა, ეგ სულ მოჭორილი ამბავიაო. აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობდა მხოლოდ ერთ რამეზე, რომ კლემანსი ყოვლად უწესოა და ამ ქალის მიპატიჟება არსად არ შეიძლება. ბოლოს და ბოლოს, მან ყველაფერი გამოიჩინა, რაც ებადა, მერე გულიც აერია და ერთი მარმაშის ფარდაც მოსვარა. მამაკაცები გარეთ მაინც გადიოდნენ, ქუჩაში! როდესაც ლორილემ და პუასონმა იგრძნეს, რომ მუცელში ცუდად არიან, მეძეხვის დუქნამდე მივიდნენ. კარგი აღზრდა მუდამ ჩანს. ასევე მოიქცნენ მანდილოსნებიც. როცა მადამ პიუტუა, მადამ ლერა და ვირჯინია სიცხემ შეაწუხა, ისინი უბრალოდ უკანა ოთახში გავიდნენ და კორსეტები გაიხადეს. ვირჯინია საწოლზეც კი წამოწვა, როცა ერთ წამს ცუდად იგრძნო თავი, რათა ამას ცუდი შედეგები არ მოჰყოლოდა. შემდეგ საზოგადოება თითქოს დადნა, ერთიმეორის მიყოლებით ქრებოდნენ, ერთმანეთს აცილებდნენ და ინთქმებოდნენ ჩაბნელებული უბნის წყვდიადში უკანასკნელი აურზაურის, ცოლ-ქმარი ლორილეების გააფთრებული კამათისა და ბიძია ბრიუს დაჟინებული და ნაღვლიანი „ტრუ ლა-ლა, ტრუ ლა-ლას“ ხმაზე. ჟერვეზას კარგად ახსოვდა, რომ გუჟეს ქვითინი აუვარდა წასვლის წინ. ხოლო კუპო კვლავ მღეროდა. ლანტიე კი, ის მგონი, ბოლომდე დარჩა. ჟერვეზა ახლაც გრძნობდა ერთი წამით მის სუნთქვას თავის თმაში, ოღონდ იმის თქმა არ შეეძლო, ეს სუნთქვა ნამდვილად ლანტიესი იყო თუ ცხელი ღამისა.

ვინაიდან მადამ ლერამ უარი განაცხადა ასე გვიან ბატინიოლში დაბრუნებაზე, ამიტომ მას თავიანთი ლოგინიდან აღებული ერთი ლეიბი გამოუტანეს და ერთ-ერთ კუთხეში დაუგეს მას შემდეგ, როცა მაგიდა იქით გასწიეს. მადამ ლერამ იქ დაიძინა ნადიმის შემდეგ დარჩენილ ნამუსრევში. მერე, მთელი ღამის განმავლობაში, როდესაც ნაქეიფარ კუპოებს ღრმა ძილით ეძინათ, მეზობელი ქალის კატამ ისარგებლა გაღებული ფანჯრით, ბატის ძვალი აწაპნა და წვეტიანი კბილების ხრამახრუმით ბოლო მოუღო ამ ფრინველს.

## თავი მერვე

შემდეგ შაბათს კუპომ, რომელიც სადილად არ მისულა შინ, დაახლოებით ათი საათისთვის ლანტიეც თან მოიყვანა. იმათ ერთად ეჭამათ ცხვრის ფეხები თომასთან, მონმარტრზე.

– კი არ იბუზღუნო, დიასახლისო, – წარმოთქვა მესახურავემ, – ხომ ხედავ, ჭკვიანად ვიქცევი... ოხ! ამ კაცთან საშიში არაფერია: ეს ყოველთვის სწორ გზაზე დაგაყენებს.

მერე კუპომ უამბო, თუ როგორ შეხვდნენ ერთმანეთს როშეშუარის ქუჩაზე. ლანტიემ სადილის შემდეგ როგორ განაცხადა უარი ყავის დალევაზე „შავ ბურთში“ ამ

სიტყვებით: როცა კაცს ასეთი კარგი და პატიოსანი ცოლი ჰყავს, აქეთ-იქით დუქნებში არ უნდა იხეტიალოსო. ჟერვეზა ოდნავი ღიმილით უსმენდა. ეჭვგარეშეა, ფიქრადაც არ მოსვლია გაწყრომა და ბუზღუნი. ის მეტისმეტად იყო შემკრთალი. თუმცა იმ დღესასწაულის შემდეგ უთუოდ მოელოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს შეხვდებოდა ძველ სიყვარულს, მაგრამ ასე გვიან, როცა უკვე ძილის დროც იყო, ამ ორი მამაკაცის ანაზდეულად მოსვლამ გააშტერა ჟერვეზა. ის აკანკალებული ხელით ისწორებდა კისერზე ჩამოშლილ თმის კულულს.

– შენ ეს უნდა იცოდე, – განაგრძო კუპომ, – რომ რადგან ლანტიემ ამდენი სიფაქიზე გამოიჩინა და ოჯახის გარეთ დაპატიჟებაზე უარი განაცხადა, მაშასადამე, არყით შენ უნდა გაგვიმასპინძლდე. ახ! ეს ნამდვილად შენი ვალია.

მუშა ქალები დიდი ხნის წასულები იყვნენ. კუპოს დედას და ნანას ეძინათ. ჟერვეზამ, რომელსაც იმ დროს, როცა ესენი გამოჩნდნენ, უკვე ხელი ეკიდა დარაბაზე დასაკეტად, ღიად დატოვა სახელოსნო და სამუშაო მაგიდის ერთ-ერთ კუთხეში მოიტანა ჭიქები და ბოთლი, შიგ ჩარჩენილი კონიაკით. ლანტიე ფეხზე იდგა და ჟერვეზასთვის პირდაპირ სიტყვიერ მიმართვას ერიდებოდა, თუმცა როდესაც ჟერვეზამ კონიაკი დაუსხა, მან შესძახა: – სულ ერთი წვეთი, მადამ, გთხოვთ!

კუპომ უყურა, უყურა ორივეს, და მიუკიბ-მოუკიბავად განუმარტა: იმედია, სულელურად თავის აგდებას არ მოჰყვებით. წარსული წარსულია, ხომ ასეა! ადამიანი თუ ცხრა და ათი წლის განმავლობაში გულში ბოროტებას ჩაირჩენს, მაშინ ბოლო ისეთი იქნება, რომ ვერასოდეს ვერავის მიეკარება. არა, არა, მე გული ღია მაქვს, ხელისგულივით გაშლილი. ჯერ ერთი, ვიცი, ვისთანაც მაქვს საქმე, – პატიოსან ქალთან და პატიოსან კაცთან, ორ მეგობართან, ჰოდა, რაღა! მე დამშვიდებული ვარ, ვიცნობ თქვენს პატიოსნებას.

– ოჰ! დიახაც... დიახაც... – იმეორებდა თვალებდახრილი ჟერვეზა და თვითონაც არ გაეგებოდა, თუ რას ლაპარაკობდა.

– ახლა ეს ქალი ჩემი და არის, მხოლოდ და, სხვა არაფერი, – წილუღლუღა თავის მხრივ ლანტიემაც.

– მაშ, გაუწოდეთ ერთმანეთს, ხელი, დალახვროს ღმერთმა! – წამოიყვირა კუპომ, – ფეხებზე გვკიდია ჩვენ ბურჟუები! როდესაც, აი აქ, გოგრაში გიყრია რაღაც, მაშინ მილიონერსაც სჯობიხარ. ჩემი აზრით, უპირველესი საქმეა მეგობრობა! იმიტომ, რომ მეგობრობა არის მეგობრობა, მასზე მაღალი არაფერია.

კუპო ისე მაგრად ირტყამდა გულში მჯიღს და ისე აღელდა, რომ მისი დაწყნარება დასჭირდათ. სამივემ უსიტყვოდ მიუჭახუნეს ჭიქები ერთმანეთს და კონიაკი მოსვეს. ჟერვეზას შეეძლო ახლა კარგად დაეთვალიერებინა ლანტიე, რომელსაც ქეიფის საღამოზე ბუღში ხედავდა. ლანტიე გასქელებულიყო, ჩათქვირული და მრგვალი, ხელ-ფეხი დამძიმებოდა ჩია ტანის გამო. უსაქმური ცხოვრებით შეშუპებულ სახეზე

მაინც ლამაზი ნაკვთები ჰქონდა შენარჩუნებული. ვინაიდან მუდამ უვლიდა კოპწია ულვაშს, ამიტომ შეიძლებოდა მისთვის სწორედ მისივე ხნოვანება მიგეცათ, ე.ი. ოცდათხუთმეტი წელი. იმ დღით მას ნაცრისფერი შარვალი ეცვა, ლურჯი პალტო, როგორც ვინმე კეთილშობილს და მრგვალი ქუდი ეხურა, საათიც კი ჰქონდა ვერცხლის ძეწკვზე, რომელზედაც ეკიდა ბეჭედი, ვიღაცის სახსოვარი.

– მივდივარ, – წარმოთქვა მან, – ეშმაკმა უწყის, რანაირად დამაგვიანდა.

ის უკვე ქვაფენილზე იყო გასული, როდესაც მესახურავემ კვლავ მოიხმო, რათა პირობა ჩამოერთმია მისთვის, რომ ის ამიერიდან ისე არ ჩაუვლიდა მათ კარს, რომ უბრალო სალამი მაინც არ მიეცა მათთვის. ამასობაში, ოთახიდან ჩუმად გასული ჟერვეზაც დაბრუნდა და ხელისკვრით მოჰყავდა პერანგისამარა და ნამძინარევი ეტიენი. ბავშვი იღიმებოდა და თვალებს იფშვნეტდა, მაგრამ როდესაც ლანტიე დაინახა, აკანკალდა, დაიბნა, შეკრთა და შეშფოთებული თვალით უცქეროდა დედას და კუპოს.

– შენ ვერ ცნობ ამ მუსიეს? – ჰკითხა მას კუპომ.

ბიჭმა არაფერი უპასუხა და თავი ჩაღუნა, მხოლოდ შემდეგ მსუბუქი მოძრაობით აგრძნობინა, დიახ, ვიცნობო.

– მაშ, კარგი! ნუ ხარ სულელი, მიდი და აკოცე.

ლანტიე მშვიდად და დარბაისლურად ელოდებოდა. როდესაც ეტიენმა გადაწყვიტა მასთან მიახლოება, ლანტიე დაიხარა და ორივე ლოყა მიუშვირა ბავშვს, მერე თვითონაც აკოცა ბიჭუნას შუბლზე. მაშინ ეტიენმა გაბედა მამისთვის შეხედვა, მაგრამ უეცრად აქვითინდა და პერანგის ფრიალით გიჟივით გავარდა ოთახიდან, რაზედაც კუპო გაუჯავრდა და ველური უწოდა.

– ეს აღელვებით მოუვიდა, – წარმოთქვა თვითონაც გადაფითრებულმა და ძლიერ აღელვებულმა ჟერვეზამ.

– ოჰ! ძალიან წყნარი, ძალიან უწყინარი, კარგი ბავშვია, – განმარტებას აძლევდა კუპო ლანტიეს, – მე ძლიერ კარგი აღზრდა მივეცი მას, თქვენ თვითონ დაინახავთ... შეგეჩვევათ, საჭიროა, რომ გაიცნოს ადამიანები. ბოლოს და ბოლოს, ამ პატარა ბიჭისთვის მაშინაც არ უნდა ვყოფილიყავით ნაჩხუბრები, არა? კაი ხანია, რაც უნდა შევრიგებულიყავით, რადგან მე უფრო ადვილად გავიმეტებ თავს მოსაკვეთად, ვიდრე მამას შვილის ნახვა დავუშალო.

ამასთან კუპომ იმ ერთი ბოთლი კონიაკის ერთად დალევაც შესთავაზა ლანტიეს. სამივემ ხელახლა მიუჭახუნეს ერთმანეთს ჭიქები. ლანტიეს არაფერი აკვირვებდა, მშვიდად ეჭირა თავი. წასვლის წინ, მესახურავისთვის მადლობის ნიშნად სახელოსნოს დაკეტვაში მოეხმარა მათ. შემდეგ ხელები დაიბერტყა, რათა სუფთად ჰქონოდა და მშვიდი ღამე უსურვა ცოლ-ქმარს.

– იძინეთ ტკბილად. მე ვეცდები ავტობუსს მივუსწრო. სიტყვას გაძლევთ, მალე მოგინახულებთ.

ამ საღამოდან მოყოლებული ლანტიე ხშირი სტუმარი იყო გუდორის ქუჩაზე. ის მიდიოდა იქ მაშინ, როდესაც მესახურავე შინ იყო, და კარიდანვე მის ამბავს კითხულობდა, რათა ეჩვენებინა, რომ მარტოოდენ მისთვის იყო იქ მისული. ამის შემდეგ ჩამოჯდებოდა ფანჯარასთან, ყოველთვის პალტოში, გაპარსული და დავარცხნილი და ზრდილობიანად მუსაიფობდა, კარგად აღზრდილი კაცის მიხრა-მოხრით. ამრიგად, კუპოებმა თანდათან დაწვრილებით შეიტყვეს მისი ცხოვრების შესახებ. უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში, ერთხანს ის ქუდების სახელოსნოს განაგებდა. როდესაც ეკითხებოდნენ, თუ რატომ დაანება თავი ამ საქმეს, ის მხოლოდ ერთი თავისი ამხანაგისა და თანამემამულის თაღლითობაზე ლაპარაკობდა, რომ იმ არამზადამ მთელი წამოწყება ქალებს გადააგო. სამაგიეროდ, ლანტიეზე ამ სახელოსნოს უფროსის ძველ თანამდებობას კეთილშობილების დაღი დაემჩნია. განუწყვეტლივ ლაპარაკობდა რომელიღაც საუცხოო წამოწყებაზე, ქუდებით სავაჭრო სახლების აგებაზე, სადაც მას, ვითომდა უზარმაზარ საქმეს მიანდობდნენ. ამის ლოდინში კი აბსოლუტურად არაფერს აკეთებდა, მზეზე დასეირნობდა ბურჟუასავით ჯიბეში ხელებჩაწყობილი. ხოლო როდესაც მას, მისი დაჩივლების საპასუხოდ, ზოგჯერ გაუბედავდნენ და ეტყოდნენ, რომ არის ერთი სავაჭრო მაღაზია, სადაც მუშახელი სჭირდებათ, ის სიბრალულის ღიმილით უპასუხებდა, რომ არ სურს შიმშილით სული ამოსძვრეს, უკანასკნელი ძალ-ღონე შეალიოს, სიქა გაიგდებინოს სხვების გამო. კუპო სამართლიანად შენიშნავდა, რომ ეს მოლაყბე ბიჭი ასეა თუ ისე, ჰაერით ხომ არ ცხოვრობსო! ოჰ! ამ ყურუმსაღმა იცის, როგორც, უნდა მოწყობა, მაგას რამე სავაჭრო საქმე ექნება გამოჭახრაკებული, თორემ ასე კარგი შესახედაობა საიდან ექნებოდა, ფული ხომ უნდა ამ თეთრეულსა და კაიოჯახიშვილის შესაფერის ყელსახვევებსო! ერთ დილას კუპომ დაინახა, რომ ლანტიე ბულვარ მონმარტრზე აპრიალებინებდა ფეხსაცმელს. ერთი რამ ცხადი იყო, რომ ლანტიე, რომელსაც ძალიან ბევრი ლაპარაკი უყვარდა სხვებზე, ჩუმი იყო ან ცრუობდა, როცა საკითხი მას ეხებოდა. იმის თქმაც კი არ სურდა, თუ სად ჰქონდა ბინა. არა! ის ერთ მეგობართან ცხოვრობს იქით, სადღაც ჯანდაბაში, სანამ მდგომარეობას არ გამოისწორებს, ნურავინ მივა მასთან, ყველას უშლიდა თავისთან მისვლას, რადგან შინ არ ვიმყოფები არასდროსო.

– ადგილს ათასსაც ვიშოვიდი, – იტყოდა ხშირად, – ეგ არის, რომ არ ღირს მარტო ერთი დღით სადმე შეჩურთვა... ამნაირად არ იყო, რომ მივედი ერთ ორშაბათს შამპიონთან მონრუჟში. საღამოს შამპიონი ჩამაცივდა პოლიტიკით. აღმოჩნდა, რომ სულ სხვადასხვა აზრისანი ვართ. ჰოდა! სამშაბათ დილას გამოვეცალე იქაურობას, რადგან ახლა მონობის ხანა აღარ არის, და არ მსურს დღეში შვიდ ფრანკად გავყიდო ჩემი თავი.

ნოემბრის დასაწყისი იყო. ლანტიემ დარდიმანდულად მოიტანა იის თაიგულები და ჟერვეზას და ორ მუშა ქალს დაურიგა. მან თანდათან უფრო მოუხშირა ვიზიტებს,

თითქმის ყოველდღე მოდიოდა. ეტყობოდა, ამ სახლის და მთელი უბნის ბინადართა გულის მოგება სურდა. თავდაპირველად კლემანსსა და მადამ პიუტუას შეუჩნდა, მათ მოხიბვლას ცდილობდა და, ხნოვანების განურჩევლად, მხურვალე ყურადღებით ექცეოდა ორივეს. ერთ თვესაც არ გაუვლია, რომ ეს მუშა ქალები უკვე აღმერთებდნენ მას. ბოშები აღტაცებული იყვნენ მისი ზრდილობით, ვინაიდან ლანტიე თავს უქონავდა იმით, რომ მათთან ბინაზე მიდიოდა მოსაკითხავად. ხოლო, რაც შეეხება ლორილეებს, როდესაც მათ შეიტყვეს, თუ ვინ ბრძანდებოდა ის ვაჟბატონი, რომელიც დესერტის დროს შემოვიდა დღეობაზე, ჯერ ათასი სისაზიზღრე გადმოანთხიეს ჟერვეზას წინააღმდეგ, რომელმაც გაბედა და ამნაირად შემოიყვანა საკუთარ ოჯახში თავისი ძველი სატრფო. მაგრამ ერთ დღეს ლანტიე ავიდა მათთან და ისე მოხერხებულად წარდგა მათ წინაშე და შეუკვეთა ძეწკვი ერთი თავისი ნაცნობი მანდილოსნისთვის, რომ მათ სთხოვეს დამჯდარიყო და მთელ საათს გააჩერეს თავისთან. მისი საუბრით იმდენად მოიხიბლნენ, რომ კიდევაც ეკითხებოდნენ თავს, როგორ შეძლო ასეთმა რიგიანმა კაცმა იმ ჩაუხასთან ცხოვრებაო. ბოლოს და ბოლოს, მექუდის ვიზიტები გუტ-დორის ქუჩაზე აღარავის აშფოთებდა და სრულიად ბუნებრივად მიაჩნდა ყველას, იმდენად მოაწონა თავი მთელ ქუჩას. მხოლოდ გუჟე იყო ისევ მოღუშული. თუ იქ იმყოფებოდა იმ დროს, როდესაც ლანტიე შემოვიდოდა, მაშინვე კარს მიაშურებდა ხოლმე, რათა იძულებული არ გამხდარიყო ნაცნობობა გაება მასთან.

მიუხედავად იმისა, რომ ლანტიესადმი სინაზე ყველას ყივანახველასავით მოედო, ჟერვეზა მაინც პირველ კვირებში დიდ მოუსვენრობას განიცდიდა.

მრეცხავი ქალი გრძნობდა, რომ ცეცხლი ედებოდა გულ-ღვიძლში ისევე, როგორც იმ დღეს, როდესაც გულახდილი საუბარი ჰქონდა ვირჯინიასთან. ჟერვეზას ყველაზე მეტად იმისი ეშინოდა, იმას უფრთხოდა, რომ უძლური არ აღმოჩენილიყო ერთ რომელიმე საღამოს, როდესაც ლანტიე დაიმარტოხელებდა და მის კოცნას განიზრახავდა. მეტისმეტად ბევრს ფიქრობდა ჟერვეზა ამ კაცზე, გადაჭარბებით სავსე იყო მისით, მაგრამ ნელ-ნელა დამშვიდდა, როცა დაინახა, რომ ლანტიე წესიერად იქცეოდა, თვალს არც კი უსწორებდა, თითიც არ დაუკარებია მისთვის, თუნდაც, სხვები ზურგშექცეული ყოფილიყვნენ მათგან. ამასთან ვირჯინიამაც, რომელიც თითქოს კითხულობდა ჟერვეზას გულისნადებს, შეარცხვინა იგი ამ ცუდი აზრებისთვის. რად კანკალებს ჟერვეზა? ამაზე უფრო კარგ კაცს ვერ შეხვდები! უეჭველი იყო, რომ ჟერვეზას საშიში აღარაფერი ჰქონდა და აყლაყუდა შავგვრემანმა ქალმა ისე მოახერხა, რომ ერთ დღეს ორივენი ერთ კუთხეში მირეკა და გრძნობების შესახებ დაუწყო საუბარი. ლანტიემ სერიოზული ხმით და სიტყვების ფრთხილად შერჩევით განაცხადა, რომ მისი გული უკვე მკვდარია, რომ ამიერიდან მას ერთადერთი რამ სურს მხოლოდ – თავი შესწიროს ვაჟიშვილის კეთილდღეობას. ის არასოდეს ლაპარაკობდა კლოდზე, რომელიც სამხრეთში ცხოვრობდა. ყოველ საღამოს შუბლზე კოცნიდა ეტიენს, ხოლო არ იცოდა რაზე ელპარაკა მასთან, როცა ბავშვი იქ რჩებოდა, და სრულიად ავიწყდებოდა იგი, როდესაც კლემანსთან არშიყს

დაიწყებდა. დამშვიდებული ჟერვეზა გრძნობდა, რომ მის გულში წარსული მოკვდა. ლანტიეს იქ ყოფნამ განდევნა მოგონებები პლასანსა და სასტუმრო „კაიგულზე“, რადგანაც ქალი განუწყვეტლივ ხედავდა ამ კაცს, უკვე აღარ ფიქრობდა მასზე. ჟერვეზა ზიზღსაც კი გრძნობდა, როცა გაიხსენებდა წარსულს. ოჰ! ეს ხომ წარსულია, რომელიც საბოლოოდ დასრულდა. ამგვარი რამის მოთხოვნა რომ გაუბედოს ლანტიემ, ერთ ორ კაი სილას უთავაზებს და მაშინვე ქმარსაც უამბობს ყველაფერს. მრეცხავი ქალი ხელახლა, სინდისი ქენჯნის უქონლად, არაჩვეულებრივი სინაზით ფიქრობდა გუჟეს კეთილ მეგობრობაზე.

ერთ დილას სახელოსნოში მოსული კლემანსი ლაპარაკობდა, რომ წინა საღამოს, დაახლოებით თერთმეტ საათზე ის შეხვდა ლანტიეს, რომელიც მკლავში ხელგაყრილი მისდევდა ერთ ქალს. კლემანსი ძალიან ბინძური სიტყვებით ჰყვებოდა ამ ამბავს, ფარული ბოროტებით, რათა ენახა, თუ რა სიფათი ექნებოდა ამ დროს მის დიასახლისს. დიახ, მუსიე ლანტიე ნოტრდამ დე ლორეტის ქუჩაზე მიფოფხავდა. ქალი ქერა იყო, ქუჩის დედაკაცი, ისეთი, რომელთაც შიმშილით სული სძვრებათ და აბრეშუმის კაბის ქვეშ ტიტლიკანები არიან. კლემანსი მათ ისე, სეირისთვის გაჰყვა. ეს ქუჩის მაწანწალა ქალი მეძეხვესთან შევიდა ძეხვისა და შაშხის საყიდლად, მერე როცა ლაროშფუკოს ქუჩაზე მივიდნენ, მუსიე ლანტიე ქვაფენილზე გაჩერდა სახლის წინ, მაღლა იყურებოდა, ელოდებოდა, სანამ მისი გოგო მარტოდმარტო ავიდოდა სახლში და მერე ფანჯრიდან ანიშნებდა, რომ ისიც მასთან ასულიყო. მაგრამ ამაოდ ცდილობდა კლემანსი. ამაზე უფრო უწმაწური განმარტებებიც რომ დაერთო, ჟერვეზა მაინც დამშვიდებით განაგრძობდა თეთრი კაბის გაუთოებას, ხანდახან მხოლოდ მკრთალ ღიმილს იწვევდა მის ტუჩებზე ეს ამბავი. ეს პროვანსელი მამაკაცები, – ამბობდა ჟერვეზა, – ქალის გიჟები არიან სწორედ. ოღონდ კი ქალი იყოს და მზად არიან ნიჩბით ხელში სანაგვიდანაც კი ამოიყვანონ ის. მერე, საღამოს, როდესაც მექუდე მოვიდა, ჟერვეზას ართობდა კლემანსი, რომელიც განზრახ ახელებდა ამ კაცს იმ ქერა ქალით. ლანტიე ნასიამოვნები ჩანდა იმის გამო, რომ ის ქალთან ერთად ნახეს. ღმერთო ჩემო! ეს ჩემი ძველი მეგობარი ქალი იყო, რომელსაც დროგამოშვებით ვხვდები ისეთ შემთხვევაში, როდესაც ჩემი ვიზიტი არავის შეაწუხებსო. შესანიშნავად ცხოვრობს ეს ქალიშვილი, პალისანდრის[24] ავეჯი აქვს. შემდეგ ლანტიემ ჩამოთვალა ამ ქალის ძველი მიჯნურები: ერთი ვიკონტი, ერთი დიდი ვაჭარი, ქაშანურის ჭურჭლით მოვაჭრე, ნოტარიუსის ვაჟიშვილი. ლანტიეს უყვარს ქალები, რომლებიც ძვირფას სუნამოს ხმარობენ. მან ცხვირთან მიუტანა კლემანსს თავისი ცხვირსახოცი, რომელსაც იმ გოგონამ სუნამო ასხურა. ამ დროს შემოვიდა ეტიენი. ლანტიემ მაშინვე სერიოზული სახე მიიღო, ბავშვს აკოცა, თანაც დასძინა, ეს ხუმრობა და ლაზღანდარობა სათვალავში მისაღები არ არის, ჩემი გული მკვდარიაო. სამუშაოსკენ დახრილმა ჟერვეზამ მოწონების ნიშნად თავი დაიქნია. ისევ თვითონვე კლემანსი დაისაჯა საკუთარი ბოროტებისთვის, რადგან მას ლანტიემ ორჯერ-სამჯერ უჩქმიტა ისეთი სახით, ვითომც აქ არაფერიო, და ახლა კლემანსი შურით კვდებოდა იმის გამო, თუ რატომ მასაც მუშკის[25] სუნი არ ასდიოდა ისევე, როგორც იმ შარახვეტია ქალებს.

როდესაც გაზაფხული მოვიდა, ლანტიემ, რომელიც უკვე შინაურ კაცად ქცეულიყო ამ სახლში, სურვილი გამოთქვა ამ უბანში დასახლებულიყო, რათა უფრო ახლოს ყოფილიყო მეგობრებთან. ავეჯით გაწყობილი ოთახი უნდოდა სუფთა სახლში. მადამ ბოშსა და ჟერვეზას ფეხები გადააცვდათ ამგვარი ოთახის ძებნაში. გადაჩხრიკეს ყველა ქუჩა, მაგრამ ლანტიე მეტად მომთხოვნი აღმოჩნდა, მას დიდი ეზოც სჭირდებოდა, პირველი სართულიც უნდა ყოფილიყო და მოწყობილობას ხომ ნუ იტყვით, რაც შეიძლება საუკეთესო. ახლა, ყოველ საღამოს კუპოებთან ის თითქოს თვალით ზომავდა ჭერის სიმაღლეს, ეცნობოდა ოთახების განლაგებას და სწორედ ასეთ ბინას შენატროდა. ოჰ! ამაზე უკეთესს ის არაფერს ითხოვდა, ოღონდ ერთი სორო ამოეთხარა ამ თბილსა და წყნარ კუთხეში! მერე ყოველ ამგვარ შემოწმებასა და დათვალიერებას შემდეგი ფრაზით აბოლოებდა: – დალახვროს ეშმაკმა! მართლაც ძალიან კარგად ხართ აქ მოწყობილი!

ერთ საღამოს, როდესაც ლანტიე მათთან სადილობდა და კვლავ გაამჟღავნა სურვილი მათთან ყოფნისა, კუპომ, რომელიც მას უკვე შენობით ელაპარაკებოდა, უეცრად შეჰყვირა: – აქ უნდა დარჩე და თუკი გულიც ამას გთხოვს, როგორმე მოვეწყობით!..

მერე კი ლანტიეს განუმარტა, რომ ჭუჭყიანი სარეცხის ოთახს თუ გაწმენდდნენ, მშვენიერი ბინა იქნებოდა. ეტიენი სახელოსნოში დაწვება, მას ძირს გაუშლიან ლოგინს, მორჩა და გათავდა.

– არა, არა, – ამბობდა ლანტიე, – ამაზე ვერ დავთანხმდები. მეტისმეტად შეგავიწროებთ. ვიცი, რომ ეს კეთილი გულით არის ნათქვამი, მაგრამ ერთიმეორეზე მიყრილები ვიქნებით... მერე, ხომ იცით, თავისუფლად ვერ ვიგრძნობ თავს, უხერხული იქნება. მე თქვენს ოთახზე უნდა გავიარო ხოლმე და ყოველთვის ხომ არ იქნება ეს სასიამოვნო და სასიხარულო.

– ახ! შე მუდრეგო, შენა! – წამოიძახა მესახურავემ და კინაღამ დაიხრჩო სიცილით, თან მაგიდაზე მუშტებს ურტყამდა, რათა სული მოეთქვა, – ეს რომ სულ ეშმაკობაზე ფიქრობს! მერე და, განა არ შეიძლება მოვიფიქროთ?! არა? ოთახს ხომ ორი ფანჯარა აქვს? კეთილი. ჰოდა, ერთი მათგანი იატაკამდე ჩაიჭრება და კარი გაკეთდება. ახლა ხომ გაიგე?! შენ ეზოდან შემოხვალ ხოლმე, საერთო კარს სულაც გადავკეტავთ, თუკი ეს მოგვესურვება. შენ შენთვის იქნები და ჩვენ ჩვენთვის, შეგვიძლია სულაც არ ვნახოთ ერთმანეთი.

სიჩუმე ჩამოვარდა. მექუდე ლუღლუღებდა: – ახ, დიახ, თუ ამნაირად იქნება, არაფერს ვიტყოდი... მაგრამ მაინც არა, ზურგზე აგეკიდებით, შეგაწუხებთ მეტად.

ჟერვეზას თვალს არიდებდა, თუმცა ეტყობოდა, რომ ის მხოლოდ ამ ქალის ერთ სიტყვას ელოდა, რომ დათანხმებულიყო. ჟერვეზა დიდად შეაშფოთა და დააბნია ქმრის მიერ გამოთქმულმა აზრმა. იმიტომ კი არა, რომ ლანტიეს დასახლება მათთან შეურაცხყოფდა ან ძალიან შეაწუხებდა, ჟერვეზას მხოლოდ ის აფიქრებდა, სად უნდა დაეწყო ჭუჭყიანი სარეცხი. ამასობაში კი მესახურავე ანგარიშობდა, თუ რამდენად

სახეირო იქნებოდა მათთვის საქმის ამნაირად მოგვარება. ორმოცდაათი ფრანკი ბინის ქირის გადახდა, ცოტა არ იყოს სამძიმო იყო მუდამ. ჰოდა! ახლა ეს ამხანაგი ავეჯით მოწყობილ ოთახში თვეში ოც ფრანკს გადაუხდიდა მათ. ეს არ იქნება საძნელო მისთვის და ესენიც უფრო იოლად, ვადაზე გადაიხდიან ბინის ქირას. ამას ისიც დაუმატა კუპომ, რომ თავიანთი საწოლის ქვეშ იმოდენა ყუთს დადგამდა, რომ შიგ მთელი უბნის ჭუჭყიანი სარეცხი დაეტეოდა. ჟერვეზა ყოყმანობდა და თვალით რჩევასა სთხოვდა კუპოს დედას, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა, მოსყიდული ჰყავდა ლანტიეს იმით, რომ შაქარყინულს უზიდავდა ხველის საწინააღმდეგოდ.

– არა, თქვენ არ შეგვაწუხებთ, რასაკვირველია, – ბოლოს და ბოლოს, წარმოთქვა ჟერვეზამ, – საშუალება გამოიძებნება ამის მოსაწყობად...

– არა, არა, გმადლობთ, – გაიმეორა მექუდემ, – მეტად თავაზიანები ხართ, ბოროტად ვერ გამოვიყენებ ამას.

ამჯერად კუპომ უკვე იფეთქა: – დიდხანს გაგრძელდება ეს სიჯიუტე? ხომ გელაპარაკებიან, რომ ეს კეთილი გულით არის. შენც გადაგვიხდი ოდესმე ამ სამსახურს, ხომ გესმის? – და მერე გაცოფებული ხმით დაიღრიალა, – ეტიენ! ეტიენ!

ბიჭუნას მაგიდაზე დასძინებოდა. შიშნაკრავმა თავი მაღლა ასწია უეცრად.

– გამიგონე, უთხარი მამას, რომ შენ გსურს... ხმამაღლა უთხარი: მე ასე მსურს-თქო.

– მე ასე მსურს! – წამოიტიტინა ნახევრად გაღვიძებულმა ბიჭმა.

ყველამ გაიცინა. მაგრამ ლანტიემ საჩქაროდ კვლავ სერიოზული და გრძნობით გამსჭვალული გამომეტყველება მიიღო, მან მაგიდაზე გადაწვდენით მაგრად ჩამოართვა ხელი კუპოს და წარმოთქვა: – თანახმა ვარ... ეს კეთილი გულითაა გაკეთებული, როგორც ერთი, ისე მეორე მხრითაც, არა? კარგი, თანახმა ვარ, ბავშვის გამო.

მეორე დღეს, როდესაც სახლის პატრონი მუსიე მარესკო ერთი საათით ჩავიდა ბოშებთან, ჟერვეზამ იქ გააცნო მას საქმის ვითარება. თავდაპირველად ის თითქოს შეშფოთდა, უარზე იყო, ჯავრობდა, თითქოს ეს ქალი სახლისთვის მთელი ფრთის ჩამოცლას სთხოვდა. ხოლო შემდეგ, როდესაც ბინა დაათვალიერა, მაღლაც კი აიხედა, თითქოს დასარწმუნებლად, რომ ზემოთა სართულები ამის გამო არ ჩამოინგრეოდა, ბოლოს და ბოლოს, ნება დართო, მხოლოდ იმ პირობით, რომ არავითარ ხარჯებს თვითონ არ კისრულობდა. ამასთან, კუპოებს ხელწერილიც უნდა მიეცათ მისთვის, რომ ბინას უვნებლად ჩააბარებდნენ, როცა ხელშეკრულებას ვადა გაუვიდოდა. მესახურავემ იმავე საღამოს მოიყვანა ამხანაგები: კალატოზი, დურგალი და მღებავი, ძმაბიჭები, რომელთაც იკისრეს სამუშაო დღის ბოლოს, სახელდახელოდ შეესრულებინათ ეს პატარა საქმე და ამით სამსახური გაეწიათ მეგობრისთვის. ახალი კარის ჩასმა, ოთახის დასუფთავება და დაწმენდა ას ფრანკამდე დაჯდა, თუ

სათვალავში არ მივიღებთ იმ ბოთლებსაც, რომლითაც აღნიშნეს ეს სამუშაო. მესახურავემ აღუთქვა ამხანაგებს, რომ ამ შრომის საფასურს შემდეგში გადაუხდიდა, როდესაც პირველ ქირას მიიღებდა ახალი მობინადრისგან. შემდეგი საკითხი – ოთახის ავეჯით მოწყობა იყო. ჟერვეზამ დატოვა იქ კუპოს დედის კამოდი, მერე ერთი მაგიდა და ორი სკამიც დაუმატა საკუთარი ოთახიდან. ტუალეტის მაგიდის, საწოლისა და თეთრეულის ყიდვა კი დასჭირდა, რამაც სულ ას ოცდაათი ფრანკი დაიჭირა. ეს ფული ნაწილ-ნაწილ უნდა გადაეხადა ჟერვეზას, ათ-ათ ფრანკობით თვეში. თუმცა ლანტიეს ათი თვის ქირა ოც-ოცი ფრანკი თვეში უკვე წინდაწინვე უნდა დახარჯულიყო ამ ნაკისრ ვალდებულებათა გასასტუმრებლად. სამაგიეროდ, შემდეგში ხომ ბინის ქირა კარგ მოგებას მოუტანდა მათ!

მექუდე ახალ ბინაში ივნისის პირველ რიცხვებში გადმოსახლდა. წინადღით კუპომ დახმარება შესთავაზა ლანტიეს, მოვალ და ჩემოდნის წამოღებაში მოგეშველები, რითაც ეტლზე ათი სუს დახარჯვას თავიდან აიცდენო. მაგრამ ლანტიემ უხერხულობა იგრძნო და განაცხადა, ჩემი ჩემოდანი მეტად მძიმეაო. მას თითქოს უკანასკნელ წუთებამდე სურდა დაემალა ის ადგილი, სადაც ცხოვრობდა. ლანტიე მოვიდა ნაშუადღევს, დაახლოებით სამ საათზე. კუპო შინ არ იმყოფებოდა. ჟერვეზა სახელოსნოს კარის წინ იდგა და საშინლად გაფითრდა, როდესაც ეტლზე ჩემოდანი იცნო. ამჟამად უკვე გაქუცული, დამტვრეული და თოკებით დამაგრებული. აი, კვლავ დაუბრუნდა მას ეს ჩემოდანი, როგორც ხშირად ფიქრში წარმოიდგენდა ხოლმე. შესაძლოა ეტლიც იგივეა, ეტლი, რომელზედაც იმ გარეწარმა გამპრიალებელმა ქალმა გაამასხარავა იგი. შესაძლოა, იმავე ეტლმა უკანვე მოუტანა ეს ჩემოდანი. ამასობაში ბოშმა ხელი ჩამოართვა ლანტიეს. მრეცხავი ქალი გაჰყვა მათ, დადუმებული და გაოგნებული. მერე, როდესაც ბარგი ოთახის შუაგულში დააწყვეს, ჟერვეზამ, მხოლოდ იმიტომ, რომ ეთქვა რამე, წამოიძახა: – აჰა! ეს კარგი საქმეც ხომ გაკეთდა!

მერე გამოერკვა და როცა დაინახა, რომ ლანტიე თოკების გახსნით იყო გართული და მას არც უყურებდა, დასძინა: – მუსიე ბოშ, ერთ ჭიქას ხომ მიირთმევთ? – და ჟერვეზა ბოთლისა და ჭიქების მოსატანად გავიდა. სწორედ ამ დროს ქვაფენილზე მოდიოდა სრულ ფორმაში გამოწყობილი პუასონი. ჟერვეზამ თვალის ჩაკვრით ანიშნა მას და გაუღიმა. პოლიციელი მშვენიერად მიხვდა. როცა სამსახურში მიდიოდა და თვალს ჩაუკრავდნენ, ეს იმას ნიშნავდა, რომ ღვინოს სთავაზობდნენ. ის საათობით დასეირნობდა ხოლმე სამრეცხაოს წინ, რათა ამ ქალს თვალი ჩაეკრა მისთვის. ასეთ შემთხვევაში პოლიციელი ეზოზე გადმოდიოდა და მერე მალულად გადაჰკრავდა ხოლმე ჭიქა ღვინოს.

– ახ! ახ! – წამოიძახა ლანტიემ, როდესაც შემოსული დაინახა, – ეს თქვენ ხართ, ბადენგ?

ლანტიე იმიტომ უწოდებდა მას ბადენგს, რომ ამით აბუჩად აეგდო იმპერატორი. პუასონი თავისი ჩვეულებრივი, გახევებული სახით ისმენდა ამას და ვერ გაიგებდით,

სწყინდა ეს გულის სიღრმეში თუ არა. სულ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებები ჰქონდა ამ ორ ადამიანს, მაგრამ მაინც კარგი მეგობრები იყვნენ.

– თქვენ იცით, რომ იმპერატორი პოლიციელად მსახურობდა ლონდონში? – წარმოთქვა თავის მხრივ ბოშმა, – დიახ, პატიოსან სიტყვას გაძლევთ! მთვრალ ქალებს კრეფდა ქუჩებში.

ამასობაში ჟერვეზამ აავსო სამი ჭიქა მაგიდაზე. თვითონ კი არ დაულევია, გული ცუდად ჰქონდა, მაგრამ მაინც იქ იდგა, შეჰყურებდა ლანტიეს, რომელიც უკანასკნელ თოკებს ხსნიდა; ჟერვეზა შეიპყრო სურვილმა, გაეგო თუ რა ეწყო ამ ჩემოდანში. მას ახსოვდა ჩემოდნის ერთ-ერთ კუთხეში წინდების გროვა, ორი ჭუჭყიანი პერანგი და ერთიც ძველი ქუდი. ნუთუ ეს ნივთები ისევ შიგ აწყვია? ნუთუ მან კვლავ უნდა ნახოს თავისი წარსული ძონძები? ლანტიემ, ვიდრე ჩემოდანს გახსნიდა, აიღო ჭიქა და იქ მყოფებს მიუჭახუნა: – თქვენი სადღეგრძელო იყოს!

– თქვენიც! – მიუგეს მას ბოშმა და პუასონმა.

მრეცხავმა ქალმა ხელახლა აავსო ჭიქები. სამივე მამაკაცმა ხელით მოიწმინდა ტუჩები. ბოლოს და ბოლოს, მექუდემ ჩემოდანი გახსნა. ის სავსე იყო სხვადასხვა ხარახურით, შიგ ეწყო გაზეთები, წიგნები, ძველი ტანისამოსი და ბოხჩად შეკრული საცვლები... ლანტიემ რიგრიგობით ამოალაგა ქვაბი, ერთი წყვილი ფეხსაცმელი, ლედრიუროლენის ცხვირმომტვრეული ბიუსტი, ნაქარგი პერანგი და სამუშაო შარვალი. ჩემოდნისკენ დახრილმა ჟერვეზამ იგრძნო თუთუნის სუნი, სურნელება უსუფთაო მამაკაცისა, რომელიც მხოლოდ იმას უფრთხილდება, რაც ზემოდან აცვია, რაც გარედან ჩანს მის ტანზე. არა, ძველი ქუდი მარცხენა კუთხეში აღარ იყო. აქ იყო ჟერვეზასთვის უცნობი პატარა ბალიში ქინძისთავებისთვის, რომელიმე ქალის საჩუქარი. ბოლოს ჟერვეზა დამშვიდდა, რაღაც გაურკვეველი სევდა იგრძნო, ხოლო ნივთების თვალიერებას მაინც განაგრძობდა და თან თავს ეკითხებოდა: როდინდელი უნდა ყოფილიყო ეს ნივთები, მისი თუ სხვების დროისა.

– აბა, ერთი მითხარით, ბადენგ, გეცნობათ თქვენ ეს? – შეეკითხა ლანტიე პუასონს.

და ცხვირთან მიუტანა პატარა, ნახატებიანი წიგნი, დაბეჭდილი ბრიუსელში „ნაპოლეონ III-ის სასიყვარულო თავგადასავალი“. ამ წიგნში სხვა ანეკდოტთა შორის მოთხრობილი იყო, თუ როგორ შეაცდინა იმპერატორმა მზარეულის გოგო, ცამეტი წლის ასაკის. სურათზე წარმოდგენილი იყო ნაპოლეონ III უშარვლოდ, შიშველი ფეხებით, მას მხოლოდ საპატიო ლეგიონის ვეებერთელა ორდენი ეკიდა და მისდევდა პატარა გოგოს, რომელიც ცდილობდა გაჰქცეოდა მის ავხორცობას.

– ახ! ეს კარგია! – წამოიძახა ბოშმა, რომლის ფარული ინსტინქტი სიამოვნებით გამოეხმაურა ამ ამბავს, – ეს ასე ხდება მუდამ!

პუასონი გაოგნებული იყო, გაშტერებული, სიტყვას ვერ პოულობდა იმპერატორის დასაცავად. ეს ხომ წიგნში იყო დაბეჭდილი! წიგნის წინააღმდეგ ის ვერაფერს იტყოდა. ლანტიე კი კვლავ ცხვირში სჩრიდა ამ წიგნს, თანაც დასცინოდა. პუასონმა ხელების შლით წამოიყვირა: – მერე რა? ეს ხომ ბუნებრივია?..

ლანტიე სახტად დარჩა ამ პასუხის გამო. მერე მან თავისი წიგნები და გაზეთები დაალაგა კარადის თავზე. ეტყობა, დიდად უკმაყოფილო იყო იმ გარემოებით, რომ პატარა ბიბლიოთეკისთვის თარო არ ჰქონდა მაგიდის თავთან, მაგრამ ჟერვეზამ აღუთქვა მას ასეთი თაროს შოვნა. ლანტიეს ჰქონდა: „ათი წლის ისტორია“ – ლუი ბლანისა, პირველი ტომის გამოკლებით, რომელიც მას არასოდეს ჰქონია, „ჟირონდისტები“ ლამარგინისა, ორ-ორ სუდ ღირებულ პატარა წიგნაკების სახით გამოცემული, „პარიზის საიდუმლოებანი“ და „მარად ებრაელი“ ეჟენ სიუსი. ამას გარდა, კიდევ მთელი გროვა დაფურცლული, ფილოსოფიური და ჰუმანიტარული ბროშურებისა, რომელნიც ბუკინისტებთან შეუძენია. მაგრამ ლანტიე განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით უმზერდა გაზეთებს. ეს იყო მის მიერ წლების განმავლობაში დაგროვილი კოლექცია. ყოველთვის, როდესაც კაფეში იყო და გაზეთში ამოიკითხავდა სხარტულა სტატიას, რომელიც მის აზრებს ეთანხმებოდა, ამ გაზეთს ყიდულობდა და ინახავდა. ამრიგად, მას დაუგროვდა ვეებერთელა შეკრულა სხვადასხვა თარიღისა და სახელწოდების გაზეთებისა, რომლებიც უწესრიგოდ დაეწყო ერთმანეთზე. როდესაც ლანტიემ ეს შეკრულა ამოიღო ჩემოდნიდან, ალერსიანად დაჰკრა ზედ ხელი და პუასონსა და ბოშს უთხრა: – თქვენ ხედავთ ამას? ჰოდა, ეს ისეთი რამ არის, რასაც ვერავინ დაიკვეხნის ჩემს მეტი, რომ ამისთანა შესანიშნავი რამე ჰქონდეს!.. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რეები წერია შიგ! ამ აზრების ნახევარიც რომ განხორციელდეს, რაც აქაა გამოთქმული, ერთი დაკვრით გაიწმინდება მთელი საზოგადოება, კაი ბულიონს იწვნევენ მაშინ თქვენი იმპერატორიცა და მისი დამქაშებიც...

მაგრამ პოლიციელმა, რომელსაც ულვაში და წითელი წვერი აუთამაშდა გაფითრებულ სახეზე, სიტყვა შეაწყვეტინა.

– მერე არმია, მიბრძანეთ ერთი, რას უზამთ არმიას!

ახლა ლანტიემ იფეთქა. ის მუშტებს ურტყამდა ჟურნალებს და ღრიალებდა: – მე მსურს მილიტარიზმის მოსპობა, მე მინდა ხალხთა ძმობა... მე მინდა პრივილეგიები, ტიტულებისა და მონოპოლიების გაუქმება... მე მინდა ხელფასის გათანაბრება, მოგების განაწილება, პროლეტარიატის გამარჯვება და ზეიმი... ყოველგვარი თავისუფლება, გესმით? ყოველგვარი... განქორწინებაც...

– დიახ, დიახ, განქორწინება, გაყრა, ზნეობის გულისთვის, – დაუდასტურა ბოშმა.

პუასონმა მედიდური იერი მიიღო და უპასუხა: – და მე თუ არ მსურს ეგ თქვენი თავისუფლებანი, მეც ხომ თავისუფალი ვარ!

– თუ თქვენ არ გსურთ ეს თავისუფლებანი, თუ თქვენ ეს არ გსურთ... – ამოილუღლუღა ლანტიემ, რომელსაც ცხარე გრძნობა ახრჩობდა, – არა, თქვენ თავისუფალი არ ბრძანდებით! თუ თქვენ ეს არ გსურთ, მე თქვენ კაიენში გიკრავთ თავს. მე, დიახ, კაიენში! თქვენ და თქვენს იმპერატორს თავისი წუწკი ბანდითურთ!

ასე ეკვეთებოდნენ ხოლმე ისინი ერთმანეთს ყოველ შეხვედრაზე. ჟერვეზა, რომელსაც არ უყვარდა კამათი, გამზავებლად ერეოდა ჩვეულებრივ. მრეცხავი ქალი გამოვიდა იმ თავდავიწებიდან, რომელშიც იგი ჩააგდო მისი წარსული სიყვარულის უსიამოვნო სურნელებით სავსე ჩემოდნის დანახვამ, და მამაკაცებს ჭიქებზე მიუთითა.

– ეგეც მართალია, – წარმოთქვა უეცრად დამშვიდებულმა ლანტიემ და თავისი ჭიქა აიღო, – იდღეგრძელეთ!

– თქვენც! – მიუგეს ბოშმა და პუასონმა და ჭიქები მიუჭახუნეს.

ამ დროს ბოში ერთ ადგილზე იტკეპნებოდა, შფოთავდა, რაღაც ზრუნვით იყო შეპყრობილი და ცალი თვალით პოლიციელს შეჰყურებდა.

– ეს ყველაფერი ხომ ჩვენ შორის დარჩება, მუსიე პუასონ? – წაიბუტბუტა მან ბოლოს, – თქვენ აქ ზოგიერთი რამ ისეთი გიჩვენეს და გითხრეს, რომ...

მაგრამ პუასონმა სიტყვის დასრულება არ აცალა, გულზე მიიდო ხელი, ვითომ ყველაფერი აქ დარჩებაო. ისე მეგობრებს არ დაასმენს, რა ლაპარაკი უნდა ამას! კუპოც მოვიდა, და ერთი ბოთლი კიდევ დალიეს. პოლიციელი ეზოზე გავლით გაიძურწა და წელში გაჭიმული, მკაცრი, გაზომილი ნაბიჯით შეუდგა ქვაფენილზე სიარულს.

პირველ ხანებში ყველაფერი აირ-დაირია და ყირამალა დადგა მრეცხავი ქალის ოჯახში. ლანტიეს ცალკე ოთახი ჰქონდა საკუთრად, დამოუკიდებელი შესასვლელით, საკუთარი გასაღებით; მაგრამ, რადგანაც მათ უკანასკნელ წუთში გადაწყვიტეს, რომ საერთო კარი ამოუქოლავი დაეტოვებინათ, ამიტომ ლანტიეს ძალიან ხშირად უხდებოდა სახელოსნოზე გავლა. ჭუჭყიანი სარეცხიც ძალიან აწუხებდა ჟერვეზას, რადგან მისი ქმარი, მიუხედავად დაპირებისა, არავითარი სკივრის შეძენას არ ფიქრობდა. ჟერვეზა იძულებული შეიქნა აქეთ-იქით კუთხეებში მიეტენ-მოეტენა ჭუჭყიანი სარეცხი, უმთავრესად თავისი ლოგინის ქვეშ აწყობდა მას, რაც მაინცდამაინც სასიამოვნო არ იყო ზაფხულის ღამეებში. ბოლოს და ბოლოს, ძალიან შემაწუხებელი იყო მისთვის ის გარემოებაც, რომ ყოველ საღამოს ეტიენისთვის ქვეშაგები სახელოსნოს შუაგულში უნდა გაეშალა, ხოლო, როდესაც მუშა ქალები ღამეებს ათენებდნენ, მათი წასვლის მოლოდინში ბავშვი სკამზე იძინებდა. გუჟე ურჩევდა ჟერვეზას გაეგზავნა ეტიენი ლილში, სადაც მისი ძველი უფროსი მექანიკოსი მოწაფეებს მოითხოვდა. ჟერვეზას ძალიან მოეწონა ეს პროექტი, მით უმეტეს, რომ ბიჭს არ ჰქონდა ტკბილი ცხოვრება ამ სახლში. მას უნდოდა თავისი თავის ბატონ-პატრონი თვითონვე ყოფილიყო და ევედრებოდა დედას, დათანხმებულიყო ამაზე. მაგრამ ჟერვეზას ლანტიესგან ეშინოდა ცივი უარისა.

ლანტიე ხომ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გადმოვიდა მათთან, რომ თავის ბიჭთან ახლოს ეცხოვრა და ის არ მოისურვებდა, მისი გადმოსვლის შემდეგ, ზედ მეორე კვირის სწორს შვილი დაჰკარგოდა. თუმცა, როდესაც ჟერვეზა ხმის კანკალით დაელაპარაკა ამის შესახებ, მან დიდად მოიწონა ეს აზრი და თქვა, რომ ახალგაზრდა მუშისთვის საჭიროა მშობლიური ქვეყნის გაცნობა. და იმ დილას, როდესაც ეტიენი მიეგზავრებოდა, ლანტიემ მთელი ლექცია წაუკითხა მას მუშის უფლებებზე, შემდეგ აკოცა და მაღალფარდოვნად განუცხადა: – დაიხსომე, რომ მშრომელი არ არის მონა, ხოლო ის, ვინც არაფერს აწარმოებს, მუქთახორაა.

ამრიგად, ამ სახლის ცხოვრება კალაპოტში ჩადგა, ყველაფერი დაწყნარდა და ყველა შეეგუა ახალ სიტუაციას.

ჟერვეზაც შეეჩვია აქეთ-იქით გაფანტულ ჭუჭყიან სარეცხს და მის თვალწინ ლანტიეს მუდმივ ტრიალს. ხოლო ეს უკანასკნელი სულ დიდ საქმეებზე ლაპარაკობდა. ხანდახან სადღაც მიდიოდა კოხტად დავარცხნილი, თეთრად გაქათქათებული საცვლით, გადაიკარგებოდა და ზოგჯერ დასაძინებლადაც არ მოდიოდა, ხოლო როცა შინ დაბრუნდებოდა, ისეთ სახეს მიიღებდა, ვითომ ქანცი აქვს გამოლეული, თავიც უბჟუის, მთლად დამტვრეულია, თითქოს მთელი ოცდაოთხი საათი უაღრესად სერიოზულ საგნებზე მსჯელობაში გაეტარებინოს. სინამდვილეში კი ტკბილად ატარებდა დროს. მას არ ელოდა საფრთხე, რომ ხელებზე კოჟრები გაუჩნდებოდა. ჩვეულებრივ, დილის ათ საათზე დგებოდა, ნაშუადღევს, საუზმის შემდეგ სეირნობდა თუ მზიანი დარი იყო, ხოლო ავდარში სამრეცხაოში რჩებოდა და გაზეთებს ათვალიერებდა. სამრეცხაო იყო მისი საყვარელი გარემო. იქ ნეტარებდა ქალების კალთას მიტმასნილი, სული მისდიოდა ტლანქი ქალების საზოგადოებისთვის, გაგიჟებით უყვარდა მათი უწმაწური ლაპარაკი, ხელსაც კი უწყობდა ამ მხრივ, ხოლო თვითონ კი დახვეწილი ენით ლაპარაკობდა: ამიტომ გასაგები იყო, რად ეტანებოდა მრეცხავ ქალებს. მათ ხომ ენაზე ჭავლი არ წამოედებათ. როდესაც კლემანსი დაუმარცვლავდა ხოლმე სალანძღავი სიტყვების კრიალოსანს, ლანტიე ნაზად იღიმებოდა და იგრეხდა კოპწია ულვაშს. სამრეცხაოს სუნი, გაოფლიანებული მუშა ქალები, რომლებიც შიშველი მკლავებით მაგრად აწვებოდნენ უთოებს, მთლიანად ეს კუთხე, რომელიც ჰგავდა საწოლ ოთახს, სადაც მთელი უბნის ქალების საცვალი ეყარა, თითქოს ლანტიეს მიერ ნანატრი სორო იყო, ეს იყო თავშესაფარი, რომელსაც იგი დიდი ხანია დაეძებდა თავისი სიზარმაცისა და განცხრომისთვის.

პირველ ხანებში ლანტიე პურს ფრანსუასთან ჭამდა, პუასონიერის ქუჩის კუთხეში. კვირაში სამჯერ თუ ოთხჯერ კუპოებთან სადილობდა, და, ბოლოს, სთხოვა კიდეც მათ, რომ იგი ფასიან მოსადილედ აეყვანათ და დაჰპირდა, თხუთმეტ ფრანკს გადავიხდი ყოველ შაბათობითო. მას შემდეგ ის უკვე სახლს აღარ მოშორებია და იქ მოიკალათა სავსებით. დილიდან საღამომდე მიდი-მოდიოდა პერანგისამარა უკანა ოთახიდან სახელოსნოში, ხმას იმაღლებდა, განკარგულებებს იძლეოდა, კლიენტებს პასუხს აძლევდა, და თითქმის მთელ საქმიანობას ის უძღვებოდა. ის იწუნებდა

ფრანსუას ღვინოს და ჟერვეზა დაარწმუნა, ამიერიდან ღვინო იქვე გვერდით, მენახშირე ვიგურუსთან ეყიდა. ღვინის შესაკვეთად თვითონ მიდიოდა ბოშთან ერთად, და იქ მენახშირის ცოლს სჩქმეტდა. შემდეგ კუდლუს პურიც დაიწუნა, ცუდად გამომცხვარიაო და პურის საყიდლად ოგიუსტინა ვენურ სახაბაზოში გაგზავნა, მაიერთან, პუასონიერის გარეუბანში. შეცვალა აგრეთვე ბაყალი ლეონგრიც, დატოვა მხოლოდ ყასაბი პლონსოს ქუჩიდან, დიდი შარლი, მის პოლიტიკურ შეხედულებათა გამო.

თვის ბოლოს მოისურვა, მთელი საჭმელი ზეთზე დამზადებულიყო. კლემანსი ხუმრობით ამბობდა, თვითონაც ზეთით ისეა გაჟღენთილი ეს წყეული პროვანსელი, რომ ჭენჭი გადმოსდისო. ლანტიე საკუთარი ხელით ამზადებდა ერბოკვერცხს, ერთი მხრიდან მეორეზე აბრუნებდა და ერბოკვერცხი იბრაწებოდა ბლინივით, თანაც ისეთი მკვრივი იყო, იტყოდით, გალეტიაო. ლანტიე თვალყურს ადევდნებდა კუპოს დედას და ითხოვდა მისგან, ბიფშტექსი ძალიან მოეხრაკა, ისე, რომ ფეხსაცმლის ძირივით მაგარი ყოფილიყო, ამასთანავე, ლანტიე ყველაფერში ნიორს ურევდა, ძალიან ჯავრობდა, თუ სალათში მწვანილს ჩააჭრიდნენ, ყვიროდა, ეს საზიზღარი ბალახია, შიგ შეიძლება შხამიანიც ერიოსო. მისი საყვარელი საჭმელი იყო ერთგვარი შეჭამანდი, წყალში მოხარშული ვერმიშელის ძალიან სქელი წვენი, რომელშიც ის თითქმის ნახევარ ბოთლ ზეთს ასხამდა. მარტო ის და ჟერვეზა ჭამდნენ ამ წვენს, ხოლო როცა დანარჩენებმა, – პარიზელებმა სცადეს მისი გასინჯვა, კინაღამ მთელი კუჭ-ნაწლავი თან გადმოაყოლეს.

ნელ-ნელა ლანტიემ ოჯახურ საქმეებშიც დაიწყო ჩარევა. რადგანაც ლორილეები ძალიან ჯუჯღუნებდნენ იმის გამო, რომ ყოველთვიურად კუპოს დედისთვის თავიანთი ჯიბიდან ასი სუ უნდა გაეღოთ, ლანტიე აქეზებდა კუპოებს, შეიძლება ამის გამო სასამართლოში უჩივლოთ მათო. ქვეყანა ჩალით ხომ არ არის გადახურულიო! არამცთუ ხუთს, ათ ფრანკსაც უნდა იხდიდნენ ყოველთვიურადო. ის თვითონ ავიდა მათთან ამ ათი ფრანკის მისაღებად. ისეთი კადნიერი და ზრდილობიანი სახე ჰქონდა, რომ მეძეწკვემ უარის თქმა ვეღარ გაუბედა. ამჟამად მადამ ლერაც ათ-ათ ფრანკს იძლეოდა თვიურად. კუპოს დედა მზად იყო ხელები დაეკოცნა ლანტიესთვის, რომელიც, ამას გარდა, მომრიგებელი შუამავლის როლსაც ასრულებდა რძალსა და დედამთილს შორის მომხდარი ჩხუბის დროს. როდესაც მოთმინებიდან გამოსული ჟერვეზა დედამთილს სიტყვას მკვახედ მოუჭრიდა, ის კი ლოგინს მიაშურებდა სატირლად, ლანტიე ორივეს ხელს მოჰკიდებდა ხოლმე და ძალით აკოცნინებდა ერთმანეთისთვის, თან ეუბნებოდა: თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ დიდად ეხალისება ვინმეს თქვენი მშვენიერი ხასიათის ყურება. მისი აზრით, ნანასაც ძალიან ცუდად ზრდიდნენ. ამაში ის არ ცდებოდა, რადგან, როდესაც მამა გალახავდა გოგოს, დედა ექომაგებოდა, ხოლო როდესაც დედა წაუთაქებდა, მამა ერთ ყოფას აწევდა ცოლს. ნანა აღტაცებული იყო, რომ მისი დედ-მამა ერთმანეთს ჭამდა, წინდაწინვე გამართლებულად გრძნობდა თავს და ათასნაირ ოინბაზობას სჩადიოდა. აი, ახლაც, მათ პირდაპირ, სამჭედლოში თამაში მოეგუნება და მთელი დღე ფორნების

ხელნებზე ქანაობდა. ბიჭბუჭების ხროვასთან ერთად იმალებოდა ბრძმედის წითელი შუქით მკრთალად განათებულ ეზოში. მერე უეცრად გამოვარდებოდა იქიდან, მირბოდა წივილ-კივილით, თმაგაწეწილი. მოთხუპნილი და თან ანცი ბიჭების მთელი კუდი მოსდევდა, თითქოს უროების დარტყმას გაუფანტავს ეს ამოზუნზლული წვრილფეხობაო. მხოლოდ ლანტიეს შეეძლო მისი დატუქსვა. მაგრამ ნანამ მისი მოვლაც ისწავლა. ეს სამაგელი ათი წლის გოგო გვერდით ჩაუვლიდა ხოლმე ლანტიეს დიდი ქალივით თეძოების ქნევით, თანაც კეკლუცად, გვერდიგვერდ გაჰყურებდა უკვე ბიწიერებით სავსე თვალებით. ბოლოს ლანტიემ იკისრა მისი აღზრდა: ასწავლიდა ცეკვას და პროვინციული ჟარგონით ლაპარაკს.

ამნაირად გაირბინა ერთმა წელმა. უბანში ფიქრობდნენ, რომ ლანტიეს რენტა ჰქონდა, თორემ სხვანაირად რით აიხსნებოდა კუპოების ასე ხელგაშლილი ცხოვრება. ჟერვეზა, რა თქმა უნდა, თავისი შრომით ჯერ კიდევ შოულობდა ფულს. მაგრამ ახლა, როდესაც ის ორ უსაქმურ მამაკაცს ინახავდა, სახელოსნოს შემოსავალი, უეჭველია, აღარ ეყოფოდა, მით უმეტეს, რომ სახელოსნო აღარ იყო ისეთი კარგი, აღარ ჰყავდა მუშტრები. მუშა ქალებიც დილიდან საღამომდე ცუღლუტობაში ატარებდნენ დროს. სიმართლე ის იყო, რომ ლანტიე არაფერს იხდიდა არც ბინაში, არც ჭამა-სმაში. პირველ თვეებში კიდევ იძლეოდა ცოტ-ცოტას, ხოლო შემდეგში უკვე კმაყოფილდებოდა მარტო ლაპარაკით, დიდი თანხის მიღებას ველოდები და მერე ერთბაშად გავსწორდებითო. ჟერვეზა ერთი სანტიმის მოთხოვნასაც ვერ უბედავდა ამ კაცს. ეს ქალი პურსაც, ღვინოსაც და ხორცსაც ნისიად ეზიდებოდა. ანგარიშები იზრდებოდა ყველგან, დღეში სამი-ოთხი ფრანკი უჯდებოდა ყველაფერი. მას ერთი სუც არ მიუცია არც ავეჯის გამყიდველის, არც კალატოზის, დურგლისა და მღებავისთვის. ამ ხალხმა უკვე ბუზღუნი დაიწყო და მაღაზიებშიც უკვე ისე ზრდილობიანად აღარ უხვდებოდნენ ჟერვეზას, როგორც წინათ. მაგრამ ჟერვეზა თითქოს მთვრალი იყო ვალების გაშმაგებული ზრდით. გაბრუებულივით, რაც უფრო ძვირი საქონელი იყო, იმას იღებდა და თავისუფლება მისცა სიმსუნაგეს მას შემდეგ, რაც ფულს აღარ იხდიდა. ის კვლავ პატიოსანი იყო გულის სიღრმეში, დილიდან საღამომდე სულ იმას ოცნებობდა, ეშოვა ასობით ფრანკი, თუმცა თვითონაც არ იცოდა, თუ რანაირად მოახერხებდა ამას. ეშოვა იმისთვის, რომ ბღუჯა-ბღუჯა ხუთფრანკიანები დაერიგებინა საქონლის მიმწოდებელთათვის. ბოლოს და ბოლოს, ჟერვეზა სრულიად ჩაეფლო ვალებში, და რაც უფრო მეტად კოტრდებოდა, მით უფრო მეტს ლაპარაკობდა საქმის გაფართოებაზე. შუა ზაფხულში აყლაყუდა კლემანსი წავიდა, რადგან სახელოსნოში ორი მუშახელისთვის სამუშაო უკვე აღარ იყო, ამასთან მას მთელი კვირაობით უხდებოდა თავისი ხელფასის ლოდინი. ამ ნგრევისა და განიავების გარემოში კუპო და ლანტიე ფერხორცს იკრეფდნენ. მუცელი ყელამდე ამოიყორეს. შესანსლეს ეს სამრეცხაო, დაღუპეს იგი და მისი დაღუპვის ხარჯზე თვითონ იბერებოდნენ და სუქდებოდნენ. ერთიმეორეს ხელს უწყობდნენ, რომ ორმაგი ულუფები ეჭამათ, თან მუცელზე ხელს ირტყამდნენ და დესერტის დროს სახუმარო ამბებს ჰყვებოდნენ, რათა საჭმელი უკეთ მოენელებინათ.

უბანში საერთო მითქმა-მოთქმის უდიდეს საგანს წარმოადგენდა საკითხი, მართლა კვლავ დაუახლოვდა ჟერვეზა ლანტიეს თუ არა. ამ მხრივ აზრი სხვადასხვა იყო. ლორილეებისთვის რომ დაგეგდოთ ყური, გაიძახოდნენ, ჩაუხა ყოველ ღონეს ხმარობს, რათა კვლავ ჩაიჭიროს მექუდე, მაგრამ იმ კაცს აღარ უნდა ეგ ქალი, ნამეტანი დაბერებულია მისთვის, სულ სხვა ყაიდის ნატიფი გოგოები ჰყავს ქალაქშიო. ბოშების აზრით კი, პირიქით, მრეცხავი ქალი პირველი ღამიდანვე დაუბრუნდა ძველ მეუღლეს, როგორც კი ყეყეჩმა კუპომ ხვრინვა ამოუშვა. ასე იყო თუ ისე, ყოველივე ეს არ ჩანდა სუფთა საქმედ, თუმცა ცხოვრებაში იმდენი ჭუჭყია ამაზე უფრო მძიმე და უარესი, რომ ბოლოს და ბოლოს, ხალხი შეურიგდა სამისგან შემდგარ ოჯახს და უკვე ბუნებრივად ეჩვენებოდათ იგი, თითქმის მოსწონდათ კიდეც, რადგან კუპოს ოჯახში არასოდეს ერთმანეთის ცემა-ტყეპა არ ყოფილა, და გარეგანი წესიერებაც დაცული იყო. უეჭველია, ამ უბნის სხვა ოჯახებში რომ ჩაჰყოთ ცხვირი, გაცილებით უფრო მომშხამველ და ამაზრზენ რამეებს ნახავთ. ყოველ შემთხვევაში აქ კაიბიჭებად მაინც ჩანან. არიან თავისთვის სამივენი, ფუთფუთებენ თავიანთ სოროში, მეზობლებს მაინც არ უფრთხობენ ძილს. ამასთან, ლანტიეს მთელი უბანი მონადირებული ჰყავდა თავისი კარგი მიხრა-მოხრით, ყველა ჭორიკანას პირში ბურთს სჩრიდა ეს მომაჯადოებელი მამაკაცი. ეს კიდევ რაა! როდესაც ეჭვი იბადებოდა, ჟერვეზას ჰქონდა კავშირი ლანტიესთან თუ არა, და როდესაც მემწვანილე ქალი სახაშის დიასახლისს უმტკიცებდა, მათ შორის არაფერი არ არისო, ეს უკანასკნელი, თითქოს, სინანულს გამოთქვამდა, რადგან კუპოები ამის გამო ნაკლებად საინტერესონი ხდებოდნენ.

ჟერვეზა კი ამ მხრივ დამშვიდებით ცხოვრობდა, სულ არ ფიქრობდა ამ სიბინძურეებზე. საქმე იქამდეც მივიდა, რომ მას უგულობაც კი დასწამეს. მათი ნათესაობისთვის გაუგებარი იყო ჟერვეზას გაბოროტება მექუდის წინააღმდეგ. მადამ ლერა, რომელსაც ძალიან უყვარდა შეყვარებულთა საქმეებში ცხვირის ჩაყოფა, ყოველ საღამოს მიდიოდა კუპოებთან. ეს ქალი ამტკიცებდა, რომ ლანტიე უძლეველია, რომ მის მკლავებში ყველაზე მიუწვდომელი ქალებიც კი დაკარგავენ გონებას. მადამ ბოშიც კი ვერ აგებდა პასუხს სათნოებისთვის, ათი წლით ახალგაზრდა რომ ყოფილიყო. რაღაც ყრუ და დაჟინებული შეთქმულება ინასკვებოდა, თანდათან იზრდებოდა ჟერვეზას გარშემო და უბიძგებდა მას, დაახლოებოდა ლანტიეს. თითქოს ყველა ეს ქალი კმაყოფილებას მოიპოვებდა, თუ ის ისევ დაუკავშირდებოდა საყვარელს. თვით ჟერვეზას კი უკვირდა, ის ვერ ხედავდა ლანტიეში ამდენად დამატყვევებელ ძალას. ეჭვგარეშეა, ეს კაცი შეცვლილიყო, და უსათუოდ თავისდა სასარგებლოდ. მუდამ პალტოს ატარებდა, გამოიბრძმედა კაფეებსა და პოლიტიკურ კრებებზე სიარულში, მაგრამ ჟერვეზა, რომელიც მას კარგად იცნობდა და მის თვალებში ჩახედვით მისი სულის სიღრმეს ხედავდა. ამ სიღრმის ფსკერზე იმდენ რამეს პოულობდა, რომ ჟრუანტელი უვლიდა. ბოლოს და ბოლოს, თუკი სხვა ქალებს ეს ვაჟბატონი ასე მოსწონთ, თვითონ რატომ არ კისრულობენ მასთან ბედნიერების განცდას! სწორედ ეს სიტყვები გააგონა ჟერვეზამ ვირჯინიას, რომელიც ყველაზე მეტად ცხარობდა. მაშინ მადამ ლერამ და ვირჯინამ, ჟერვეზას გასაღიზიანებლად,

ლანტიესა და აყლაყუდა კლემანსის სიყვარულზე დაიწყეს ლაპარაკი. დიახ! ჟერვეზა არაფერს ამჩნევდა, მაგრამ როგორც კი მას სადმე გაიგულებდნენ, მექუდეს თავის ოთახში შეჰყავდა ეს მუშა ქალი. ახლაც მათ ხშირად ხედავენ ერთად. ჩანს, ლანტიე მასთან დადის სახლში.

– მერე მე რა! – ოდნავ აკანკალებული ხმით წარმოთქვა მრეცხავმა ქალმა, – მე რა მესაქმება?!

და მან დაინახა, რომ ვირჯინიას თვალებში ისე, როგორც კატის თვალებში, ოქროს ნაპერწკლებმა გაიელვა. ჩანს, ამ ქალს გულში ბოროტი სურს ჟერვეზასთვის, ცდილობს მასში შური აღძრას, მაგრამ მკერავმა ქალმა ჩვეულებრივი, უწყინარი სახე მიიღო და უპასუხა: – რა თქმა უნდა, თქვენ ეს არაფერს დაგაკლებთ... მხოლოდ მაინც უნდა ურჩიოთ ლანტიეს, თავი დაანებოს იმ გომბიოს, თორემ მასთან უსიამოვნებას გადაეყრება.

ყველაზე ცუდი ის იყო, რომ, როცა ლანტიემ ეს მხარდაჭერა იგრძნო, მან შეიცვალა თავისი ქცევა ჟერვეზასადმი. ახლა, როდესაც ის ჟერვეზას ხელს ართმევდა, წუთით თავის თითებში აჩერებდა ქალის თითებს. იგი ჟერვეზას ღლიდა, ქანცავდა თავისი დაჟინებული, უტიფარი ცქერით, რომელშიც ქალი ნათლად კითხულობდა, თუ რას ითხოვდა მისგან ეს მამაკაცი. როცა ჟერვეზას გვერდით ჩაუვლიდა, განზრახ მუხლს გაჰკრავდა მისი კაბის კალთას, მის კისერთან ქშინავდა, თითქოს უნდა ძილი მოჰგვაროსო. მაგრამ ლანტიე ჯერჯერობით ახანებდა და ტლანქსა და აშკარა საუბარზე არ გადადიოდა. მხოლოდ ერთ საღამოს, როდესაც მარტოდმარტო იმყოფებოდა ჟერვეზასთან, უსიტყვოდ ჰკრა მას ხელი, წინ გაიგდო მთლად აკანკალებული, კედელთან მიაკრა და კოცნა დაუპირა. შემთხვევით, სწორედ ამ წუთში შემოვიდა გუჟე. მაშინ ქალი გაუძალიანდა და ხელიდან გაუსხლტა ლანტიეს. სამივე გამოელაპარაკნენ ერთმანეთს, ვითომც არაფერი მომხდარიყო. გუჟემ, რომელსაც სახე ქაღალდივით გაუთეთრდა, ცხვირი ჩამოუშვა, რადგან ეგონა, რომ ხელი შეუშალა მათ და ქალი მხოლოდ იმიტომ იცავდა თავს, რომ საქვეყნოდ არ ეკოცნათ მისთვის.

მეორე დღეს ჟერვეზა საშინლად გაუბედურებული დაფრატუნებდა სახელოსნოში და ერთი ცხვირსახოცის გაუთოების თავიც აღარ ჰქონდა. მას სურვილი დაებადა ენახა გუჟე და აეხსნა მისთვის, თუ როგორ გააჩერა ის ლანტიემ კედელთან. მაგრამ მას შემდეგ, რაც ეტიენი ლილში იმყოფებოდა, ჟერვეზა ვეღარ ბედავდა სამჭედლოში შესვლას, რადგან მლაშე ხახა ანუ მარადი წყურვილი ეშმაკური ქვეშ-ქვეშა სიცილით ხვდებოდა. ნაშუადღევს ჟერვეზამ ვეღარ დასძლია სურვილი, დაიჭირა ხელში ცარიელი კალათა, ვითომდა პორტ-ბლანშის ქუჩაზე მიდიოდა მუშტარ ქალთან და როცა ლურსმნების ფაბრიკის წინ გაჩნდა, მარკადეს ქუჩაზე, სეირნობა დაიწყო იმ იმედით, ეგებ იღბალზე გუჟეს შეხვედროდა. რა თქმა უნდა, თვითონ გუჟეც, ვითომდა შემთხვევით გარეთ გამოვიდა.

– ოჰო! საქმეებზე წამოსულხართ, – ოდნავი ღიმილით წარმოთქვა მან, – სახლში ბრუნდებით...

გუჟემ მხოლოდ იმიტომ დაილაპარაკა, რომ რამე ეთქვა. ჟერვეზა სწორედ პუასონიერის ქუჩის მხრიდან შემობრუნდა ამ დროს. ისინი მკლავში ხელგაუყრელად, უბრალოდ, ერთიმეორის გვერდით წავიდნენ მონმარტრისკენ. ალბათ ორივეს ერთი აზრი ჰქონდათ, მოშორებოდნენ სამჭედლოს, რათა ისეთი შესახედაობა არ ჰქონოდათ, რომ ფაბრიკის კარის წინ დაუნიშნეს ერთმანეთს პაემანი. თავჩაღუნულები მიდიოდნენ ოღროჩოღრო ქუჩაზე, სამჭედლო ქარხნების გუგუნში. მერე ორიოდე ასეული ნაბიჯი გაიარეს კვლავ გაჩუმებულებმა ისე ბუნებრივად, თითქოს ეს ნაცნობი ადგილი იყო მათთვის. მარცხნივ გაუხვიეს და ერთ მივარდნილ, უშენ ადგილას გაჩნდნენ. სახერხ ქარხანასა და ფაბრიკას შორის იყო ეს ჯერ კიდევ მწვანე და ალაგ-ალაგ გამომწვარი, ბალახის ყვითელი ლაქებით მოჩითული მდელო. იქ პალოზე მიბმული ერთი თხა ტრიალებდა და კიკინებდა, ხოლო მოშორებით გამხმარი ხე იფხვნებოდა მზის კაშკაშა შუქზე.

– კაცს ეგონება, სოფელში ვარო! – წაიბუტბუტა ჟერვეზამ.

ორივენი გამხმარი ხის ქვეშ ჩამოსხდნენ. მრეცხავმა ქალმა ფეხებთან დაიდგა კალათა. მათ წინაშე აღმართულიყო მონმარტრის სერი მწვანე ხეების ჯგუფებში სართულებად განლაგებული, მაღალი, ყვითელი და ნაცრისფერი შენობებით. ქალაქის ზემოთ მოჩანდა ცის ფართო და მოკრიალებული გუმბათი, რომლის ჩრდილოეთ ნაწილსაც სერავდა პატარა, თეთრი, მოძრავი ღრუბლების ზოლი. კაშკაშა შუქი თვალს სჭრიდა და ისინი მზერას ცისკიდურს ავლებდნენ და შორეულ, ცარცოვან გარეუბნებს გაჰყურებდნენ. განსაკუთრებით თვალყურს ადევნებდნენ მექანიკური სახერხი ქარხნის წვრილი მილის სუნთქვას, რომელიც ორთქლის ფთილებს ისროდა ქშენით. ეს მძიმე ოხვრა თითქოს შვებას აძლევდა მათ დახშულ გულს.

– დიახ, – დაიწყო ჟერვეზამ, რომელსაც ეს სიჩუმე აწუხებდა, – საქმეზე ვიყავი, მე გამოვედი...

როგორ ნატრობდა ჟერვეზა, რომ გუჟესთვის აეხსნა ყველაფერი, მაგრამ ახლა მაინც ვერ გაბედა უცბად დალაპარაკება. ძალიან დარცხვენილი იყო. თუმცა კარგად გრძნობდა, რომ ორივენი ამ საგანზე სასაუბროდ იყვნენ აქ წამოსულნი. საუბრობდნენ კიდეც, მხოლოდ უსიტყვოდ. გუშინდელი ამბავი მძიმე ლოდად დასწოლოდათ გულზე და უხერხულობის გრძნობას იწვევდა.

მაშინ მწვავე ნაღველით შეპყრობილმა ჟერვეზამ, თვალცრემლიანმა მოუთხრო გუჟეს, თავისი დამხმარე მრეცხავი ქალი, – მადამ ბიჟარის სულთმობრძაობის ამბავი. მან ამ დილით საშინელ ტანჯვაში დალია სული.

– ეს იმიტომ მოხდა, რომ ბიჟარმა მას წიხლი ჩაჰკრა, – თქვა ჟერვეზამ წყნარი და მონოტონური ხმით, – მუცელი გაუსივდა, ეტყობა, რაღაც ჩაუწყვიტა შიგნით.

ღმერთო ჩემო! სამი დღე იწვალა... კატორღაში კი ისინი იტანჯებიან, რომელთაც მსგავსი რამ არც ჩაუდენიათ. თუმცა მართლმსაჯულებას სად სცალია ამდენი საქმისთვის, სად იზრუნოს ყველა იმ ქალისთვის, რომელსაც ქმარი სულს ხდის. ერთი წიხლით მეტი იქნება თუ ნაკლები, ეს ხომ არ ითვლება, რადგან ყოველდღე ხვდებათ ეს წიხლები. საბრალო ქალი, ქმარი რომ ეშაფოტიდან ეხსნა, ამბობდა, გობზე დავეცი და მუცელი იმით ვიტკინეო... მთელი ღამე ღმუოდა, სანამ სულს დალევდა.

მჭედელი დუმდა და მუჭით გლეჯდა ბალახს.

– ორი კვირა არ არის მას აქეთ, – განაგრძობდა ჟერვეზა, – რაც მან ძუძუს მოაშორა უმცროსი შვილი, ჟიული. კიდევ კარგი, ბავშვი მაინც არ დაიტანჯება... სამაგიეროდ, პატარა გოგოს, ლალის ახლა ორი ბავშვი რჩება მოსავლელად. რვა წლისა ჯერ არ არის და ისეთი გონიერია, ისეთი ჭკვიანი, როგორც ნამდვილი დედა. მიუხედავად ამისა, მამამისი ცემით ჰკლავს. დიახ, ასეა! ტანჯვისთვის არის გაჩენილი ზოგიერთი!

გუჟემ შეხედა ქალს და ათრთოლებული ბაგით უეცრად წარმოთქვა: – თქვენ მე მწუხარება მომაყენეთ, გუშინ. ოჰ! დიახ, დიდი მწუხარება!..

ჟერვეზა გაფითრდა, ხელი ხელზე გადააჭდო, მაგრამ გუჟე განაგრძობდა: – მე ვიცი, ეს ასე უნდა მომხდარიყო... მხოლოდ თქვენ ეს უნდა გეთქვათ ჩემთვის, გულახდილად გეღიარებინათ, რომ ასეა საქმე, რათა მე აღარ მეფიქრა...

მან ველარ დაასრულა. ჟერვეზა წამოდგა, მიხვდა, რომ გუჟეს ჰგონია, თითქოს მას, როგორც ამას უბანი ირწმუნებოდა, სასიყვარულო კავშირი ჰქონდა ლანტიესთან. ქალმა ხელები წინ გაიწოდა და წამოიყვირა: – არა, არა! გეფიცებით... მან მე ხელი მკრა, კოცნა უნდოდა ჩემი, ეს მართალია, მაგრამ მისი სახე არ მიჰკარებია ჩემსას. ეს პირველი შემთხვევა იყო, ის შეეცადა... ოჰ! სიცოცხლეს ვფიცავ, შვილებს ვფიცავ, ვფიცავ ყველაფერს, რაც კი წმინდა მაქვს ამ ქვეყანაზე!

მჭედელი თავს იქნევდა. არ ენდობოდა, რადგან ქალები მუდამ არას გაიძახიან. მაშინ ჟერვეზამ ძალიან სერიოზული სახით, წყნარად წარმოთქვა: – თქვენ მე მიცნობთ, მუსიე გუჟე, მე მატყუარა არა ვარ... ჰოდა! ეს არ მომხდარა, პატიოსან სიტყვას გაძლევთ... ეს არასოდეს მოხდება, გესმით? არასოდეს! იმ დღეს, რა დღესაც ეს მოხდება, მე უკანასკნელი ქალი გავხდები, ღირსი აღარ ვიქმნები ისეთი პატიოსანი კაცის მეგობრობისა, როგორიც თქვენ ხართ.

როდესაც ჟერვეზა ამას ამბობდა, ისეთი ლამაზი და ისეთი გულწრფელი სახე ჰქონდა, რომ მჭედელმა ხელზე ხელი მოჰკიდა და ისევ დასვა. გუჟემ ახლა თავისუფლად ამოისუნთქა. გულში ეცინებოდა, რადგან ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ მას ხელში ჟერვეზას ხელი ეჭირა და მაგრად უჭერდა. ორივენი დუმდნენ. ცაში თეთრი ღრუბლები გედების გუნდივით ნელა მიცურავდნენ. მინდორში მიბმულ თხას პირი მათკენ მიებრუნებინა, შესცქეროდა და ხანგამოშვებით წყნარად კიკინებდა. ხელიხელჩაკიდებულნი, სინაზით დანამული თვალებით გაჰყურებდნენ ორივენი

შორს, მონმარტრის ბუნდოვან სერებს, რომლებიც ოდნავ მოჩანდნენ ქარხნის მილების ხშირი ტყით გადასერილ ჰორიზონტზე. და ამ თეთრი ბურუსით მოცულ, ნაღვლის ამშლელ გარეუბანში უბადრუკი დუქნების წინ გაშენებული, პატარა მწვანე ბუჩქნარი თითქმის ცრემლს ჰგვრიდა, ისე უჩვილებდა მათ გულს.

– დედათქვენი მემდურის, მე ეს ვიცი, – წარმოთქვა ჟერვეზამ ხმადაბლა, – ნუ უარყოფთ... ჩვენ იმოდენა ფული გვმართებს თქვენი.

მაგრამ გუჟემ თითქმის ტლანქად გააჩუმა იგი. ხელი ისე შეუნჯღრია ქალს, რომ კინაღამ მოსტეხა. ფულის შესახებ ლაპარაკის გაგონებაც კი არ სურდა. ბოლოს, ყოყმანის შემდეგ ამოილუღლუღა: – ყური მიგდეთ, დიდი ხანია, რაც მე ფიქრად მქონდა ერთი წინადადება მომეცა თქვენთვის... თქვენ არა ხართ ბედნიერი. დედაჩემი ირწმუნება, რომ თქვენი ცხოვრება ცუდად მიდის...

გუჟე შეჩერდა. სული შეუგუბდა ოდნავ.

– ჰოდა, გავეცალოთ აქაურობას ერთად!

ჟერვეზა შეჰყურებდა მას. ჯერ ვერ გარკვეულიყო, განცვიფრებული იყო სიყვარულის ამ უეცარი გამჟღავნებით, აქამდე გუჟეს სიყვარულზე კრინტი არ დაუძრავს არასდროს...

– რანაირად, მერე? – შეეკითხა ქალი.

– დიახ! – განაგრძო თავჩაღუნულმა გუჟემ, – ჩვენ წავალთ აქედან, ვიცხოვრებთ სადმე, ბელგიაში, თუ გნებავთ... ეს თითქმის ჩემი სამშობლოა... ორივენი თუ ვიმუშავებთ, მალე კარგად მოვეწყობით.

ჟერვეზა უცებ გაწითლდა ძალიან. გუჟე რომ მოხვეოდა და ეკოცნა, ამისი უფრო ნაკლებად შერცხვებოდა. უცნაური ბიჭი იყო გუჟე, მოტაცება შესთავაზა მას, ისე, როგორც ეს რომანებში ხდება, ან უმაღლეს საზოგადოებაში. კაი ამბავია! ჟერვეზა თავის გარშემო ხედავდა მუშებს, რომლებიც სხვის ცოლებს უარშიყდებოდნენ, მაგრამ ეს ქალები სენ-დენშიც კი არ მიჰყავდათ ხოლმე, ყველაფერი უბრალოდ ხდებოდა.

– ახ! მუსიე გუჟე, მუსიე გუჟე!.. – ბუტბუტებდა ჟერვეზა, რადგან სხვა სიტყვა ვერ მოეძებნა.

– ბოლოს და ბოლოს, ჩვენ მარტო ორნი ვიქნებოდით, – განაგრძობდა გუჟე, – სხვები მაწუხებენ მე, გესმით?.. თუ ვინმესადმი მეგობრობას ვგრძნობ, არ შემიძლია მას სხვებთან ერთად ვხედავდე.

ჟერვეზა გონს მოვიდა, ის ახლა უკვე უარზე იყო კეთილგონიერი მოსაზრებით.

– ეს შეუძლებელია, მუსიე გუჟე, ეს ძალიან ცუდი იქნება... მე ხომ გათხოვილი ქალი ვარ, არა? შვილების პატრონი. მე ვიცი, რომ თქვენ მეგობრულად ხართ ჩემდამი

განწყობილი, გული შეგტკივათ ჩემთვის, ისიც ვიცი, რომ მწუხარებას გაყენებთ. მაგრამ ჩვენ სინდისის ქენჯნა დაგვტანჯავს და ვერავითარ სიამოვნებას ვერ ვიგემებთ. მეც ვგრძნობ თქვენდამი მეგობრობას, იმდენად დიდ მეგობრობას, რომელიც სისულელეს არ ჩაგადენინებთ... არა, იცოდეთ, უკეთესი იქნება ისევ ასევე დავრჩეთ, როგორც ვართ. ჩვენ პატივს ვცემთ ერთმანეთს, შეთანხმებული გვაქვს გრძნობები. ეს უკვე ძალიან ბევრია, ეს არაერთხელ დამხმარებია მე. როცა ადამიანები ჩვენისთანა მდგომარეობაში პატიოსნად რჩებიან, კარგად დაჯილდოვდებიან ხოლმე.

გუჟე მას ყურს უგდებდა და თავს უქნევდა. ის ეთანხმებოდა ამ ქალს, ვერაფერს ეტყოდა საწინააღმდეგოს. მერე უეცრად, ამ კაშაკაშა დღის შუქზე ქალს მაგრად შემოხვია მკლავები და ისე მიიკრა, რომ კინაღამ გაჭყლიტა, თანაც გაშმაგებით აკოცა კისერში, თითქოს შეჭმას უპირებდა. შემდეგ ხელიდან გაუშვა. ის მეტს არაფერს ითხოვდა. კრინტი აღარ დაუძრავს სიყვარულზე. ჟერვეზა შეირხა, არ ჯავრობდა, რადგან ესმოდა, რომ მათ სავსებით დაიმსახურეს ეს მცირედი სიამოვნება.

მჭედელი თავით ფეხამდე თრთოდა და ქალს გაერიდა, რათა ხელმეორედ მოხვევის სურვილი დაეძლია. დაიჩოქა და, რადგან არ იცოდა, სად წაეღო ხელები, ბაბუაწვერას ყვავილებს დაუწყო კრეფა. ამ ყვავილებს შორიდან ყრიდა ჟერვეზას კალათში. გადაბუგულ ბალახში ბაბუაწვერას მშვენიერი ყვითელი ყვავილები ამოსულიყო. ამ თამაშმა თანდათან დაამშვიდა გუჟე, დააოკა მისი მღელვარება. მუშაობისგან დაკოჟრებული ხელებით ფაქიზად წყვეტდა ყვავილებს და სათითაოდ ისროდა კალათში, და თუ ყვავილი ზუსტად ხვდებოდა დანიშნულებისამებრ, მაშინ ღიმი კრთოდა გუჟეს უწყინარ თვალებში, რომლებიც ძლიერ ჰგავდნენ ერთგული ძაღლის თვალებს. ჟერვეზა გამხმარ ხეს მიჰყრდნობოდა, მხიარული და დამშვიდებული იყო, ხმამაღლა ლაპარაკობდა, რადგან სახერხი ქარხნის მძლავრი სუნთქვა ხმას ახშობდა.

როდესაც ეს უკაცრიელი ადგილი მიატოვეს, ერთიმეორეს გვერდით გაუდგნენ გზას და მუსაიფი დაიწყეს ეტიენზე, რომელსაც ძალიან მოსწონდა ლილში ყოფნა, ჟერვეზას მიჰქონდა კალათა, რომელიც ბაბუაწვერას ყვავილებით იყო ავსებული.

გულის სიღრმეში ჟერვეზა ისე უშიშრად არ გრძნობდა თავს ლანტიეს წინაშე, როგორც ამას ლაპარაკობდა. ეჭვგარეშეა, მტკიცედ გადაეწყვიტა არ მიეცა ამ კაცისთვის ნება, სულ ოდნავ, თითის წვერითაც კი მიჰკარებოდა მას, მაგრამ ჟერვეზას ეშინოდა, რომ თუ ოდესმე ლანტიე მას ხელს შეახებდა, მას ძველი სილაჩრე არ დაუფლებოდა, არ მომბალიყო და არ გამოეჩინა თავისი დამთმობი ხასიათი, რომლის წყალობით მუდამ ცდილობდა ყველასთვის ესიამოვნებინა. თუმცა ლანტიეს აღარ განუახლებია თავისი ცდა. ბევრჯერ ყოფილა ის მარტოდმარტო ჟერვეზასთან, მაგრამ წყნარად ეჭირა თავი. თითქოს ახლა სახაშის დიასახლისს ეარშიყებოდა, ასე ორმოცდახუთი წლის, მაგრამ ძალიან კარგად შენახულ ქალს. იმ მიზნით, რომ დაერწმუნებინა და დაემშვიდებინა გუჟე, ჟერვეზა ამ სახაშის დიასახლისზე ლაპარაკობდა მის წინაშე. ხოლო როდესაც მადამ ლერა და ვირჯინია აქებდნენ

ლანტიეს, ჟერვეზა მათ საპასუხოდ ამბობდა: ჩემი აღტაცება რაღაში ეჭირვება ამ კაცს, როდესაც მთელი უბნის ქალები გიჟდებიან მასზეო.

კუპო მთელ უბანში ღრიალებდა, რომ ლანტიე მეგობარია, ნამდვილი მეგობარიო. რამდენიც უნდა ჰყარონ დორბლები, მან იცის ის, რაც საცოდნელია და ფეხებზე ჰკიდია ეგ ლაყბობა, როდესაც დარწმუნებულია თავისი მეგობრის პატიოსნებაში. კვირაობით, როცა სამივენი ერთად გამოდიოდნენ ქუჩაში, კუპო აიძულებდა ცოლს ლანტიესთან მკლავში ხელგაყრილს ევლო მის წინ, რათა მეზობლები გულზე გახეთქილიყვნენ. თვითონ კუპო ამ დროს აქეთ-იქით იყურებოდა, ხომ არავის გაბედა მათი სასაცილოდ აგდება, რომ კაი-კაი სილები ეჭმია მათთვის. რა თქმა უნდა, კუპოს ოდნავ ფუქსავატად, ცრუამპარტავნად ეჩვენებოდა ლანტიე, ამტყუნებდა მას, რომ არაყს არ კადრულობდა, დასცინოდა იმის გამო, რომ წერა-კითხვა იცოდა და ლაპარაკობდა როგორც ადვოკატი, მაგრამ ამასთანვე აცხადებდა, რომ მექუდე კაი ძმაბიჭია, სხვა მეორე მისთანას ვერ ნახავ მთელ ლა შაპელში. ამასთან ერთმანეთისა გაგვეგება, ერთმანეთისთვის ვართ გაჩენილი. მამაკაცების მეგობრობა გაცილებით უფრო მტკიცეა, ვიდრე ქალისადმი სიყვარულიო.

ერთი რამ უნდა ითქვას კიდევ, რომ კუპო და ლანტიე დიდ დროს ტარებაში იყვნენ ერთად. თავზე ხელაღებულად ქეიფობდნენ. ლანტიე ახლა, როგორც კი ოჯახში ფულს დაიგულებდა, სესხულობდა ჟერვეზასგან ხან ათ ფრანკს, ხან ოცს, სულ თავისი დიადი საქმეებისთვის. ამისთანა დღეებში ის შეუჩნდებოდა ხოლმე კუპოს, ეუბნებოდა, დიდ საქმეებზე მივდივარო და მასაც თან წაიყვანდა, მერე მიუსხდებოდნენ ერთიმეორეს რომელიმე მეზობელ რესტორანში და სანსლავდნენ ნაირ-ნაირ საჭმელებს, როგორსაც სახლში ვერ შეჭამდნენ. ზედ დაბეჭდილ ღვინოსაც აყოლებდნენ. მესახურავეს უბრალო ძმაბიჭური ქეიფი ერჩია, მაგრამ მექუდე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მასზე თავისი არისტოკრატიული გემოვნებით. ის არაჩვეულებრივი სახელწოდების საწებლებს არჩევდა. ძნელი წარმოსადგენი იყო ამაზე უფრო წუნია და გულაზიზი კაცი. სამხრეთში მგონი ყველა ასეთია. ამრიგად, მას არაფერი უნდოდა გამაღიზიანებელი, ყოველ თავ საჭმელზე მსჯელობდა, იხილავდა მას ჯანმრთელობის თვალსაზრისით და უკან წააღებინებდა ხორცს, თუ ზედმეტი ჰქონდა ან მარილი, ან პილპილი. უფრო უარეს ამბავს დაატრიალებდა ორპირი ქარის გამო. რაღაც თავზარდამცემი შიში ჰქონდა ამ ქარისა, ერთ ღრიანცელსა და ალიაქოთს ატეხდა მთელ რესტორანში, თუ სადმე ერთი კარი ღიად იყო დარჩენილი. ამასთან დიდი წუწურაქი და ძუნწი ვინმეც იყო: მოსამსახურე ბიჭს ორ სუს უტოვებდა, შვიდ-რვაფრანკიანი სადილის შემდეგ. ამის მიუხედავად, ყველა თრთოდა მის წინაშე. მას ძალიან კარგად იცნობდნენ ყველა გარე ბულვარზე, დაწყებული ბატინიოლიდან ბელვილამდე. ისინი ბატინიოლის დიდ ქუჩაზე დადიოდნენ სამხრეთული წესით მომზადებული შიგნეულის საჭმელად. ამგვარად მომზადებულ კერძს მათ პატარ-პატარა ტაფებზე მიართმევდნენ ხოლმე. მონმარტრის ძირას, „ვილ-დე-ბარ-დიუკში“ მთელ იმ უბანში განთქმული ხამანწკები ჰქონდათ, ხოლო როდესაც სერის წვერზე ასვლას გაბედავნენ, მაშინ „გალეტების წისქვილში“

კურდღლის ხორცს აწვევინებდნენ. მარტირის ქუჩაზე რესტორანი „იასამანი“ ხბოს თავით იყო განთქმული, ხოლო კლინიანკურის ქუჩაზე რესტორნები „ოქროს ლომი“ და „ორი წაბლის ხე“ თირკმლებს ამზადებდნენ ისე, რომ თითებს ჩაიკვნეტდით. მაგრამ ესენი უფრო ხშირად მარცხნივ უხვევდნენ, ბელვილის მხარეს. არჩეული ჰქონდათ მაგიდები „ბურგუნდიელ მევენახეში“, „ლურჯ ციფერბლატში“, „კაპუცინში“, – ისეთ რესტორნებში, რომელთაც საერთო ნდობა ჰქონდათ მოპოვებული და რომლებშიც თვალდახუჭულს შეგეძლოთ მოგეთხოვათ ყველაფერი. ისინი ჩუმ-ჩუმად აწყობდნენ ამ ქეიფებს და მეორე დღეს მხოლოდ გადაკრული სიტყვებით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს ამაზე, თან უგემურად ღეჭავდნენ ჟერვეზას მიერ მირთმეულ კარტოფილს. ერთხელ „გალეტების წისქვილის“ პატარა ბაღნარში ლანტიემ ერთი ქალიც კი მოიყვანა, რომელთანაც კუპომ ის მარტო დატოვა დესერტის დროს.

ბუნებრივია, შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს ქეიფობდე და მუშაობდე კიდეც. ამრიგად, მესახურავე ჯერ წინათაც, ვიდრე მექუდე შევიდოდა მის ოჯახში, უქნარა იყო და ახლა ხომ სულ ხელს აღარ აკარებდა სამუშაო ხელსაწყოს. ხოლო როდესაც უსაქმოდ ხეტიალი მოსწყინდებოდა და წავიდოდა ქირით სამუშაოდ, მისი ამხანაგი მოძებნიდა ხოლმე და სასაცილოდ იგდებდა, თოკზე ისე ხარ ჩამოკიდებული, როგორც დაშაშხული ლორი, ჩამო, თითო ჭიქა გადავკრათო. საქმე იმით დაბოლოვდა, რომ მესახურავემ სულ მიატოვა მუშაობა და ხელი მიჰყო ქეიფს, რომელიც მთელი დღეები გრძელდებოდა. ოხ! რა ღრეობა იყო, რა ამბავი და რა ყოფა! ყველა სამიკიტნოს უვლიდნენ მთელ უბანში, დილით გამოთვრებოდნენ, შუადღისას ნაბახუსევს კიდევ გადაჰკრავდნენ, ხოლო საღამოს გასამხნევებლადაც ხომ იყო საჭირო და ასე ერთიმეორის მოყოლებით ჭიქა ჭიქაზე გადადიოდა. ხან მთელი ღამითაც დაიკარგებოდნენ და უკანასკნელ ჭიქას მაშინ გამოცლიდნენ, როდესაც უკანასკნელი სანთელი ჩაქრებოდა. თანაც ეს მექუდე ბოლომდე როდი დათვრებოდა! ის სხვებს ათრობდა, აქეზებდა მეტი დაელიათ, ხოლო თვითონ ზრდილობიან იერს და ღიმილს არ კარგავდა. რაც უნდა მაგრად ყოფილიყო გამომთვრალი, გარეგნულად არაფერი ეტყობოდა. მხოლოდ ის, ვინც მას კარგად იცნობდა, შეატყობდა, რომ თვალები დაუვიწროვდებოდა და ქალებთან უფრო თამამ არშიყობას იწყებდა. მესახურავე კი პირიქით, საზიზღარ მდგომარეობაში ვარდებოდა, არ შეეძლო ისე დაელია, რომ ამაზრზენად არ გალეშილიყო.

ამრიგად, ნოემბრის პირველ რიცხვებში კუპო ერთ ისეთ ქეიფს გადაჰყვა, რომელიც ძალიან უგვანოდ დაბოლოვდა მისთვისაც და სხვებისათვისაც. წინადღეს მან სამუშაო იშოვა. ლანტიე ამჯერად საუკეთესო გრძნობით იყო აღსავსე. იგი ქადაგებდა შრომას, იმეორებდა ცნობილ გამოთქმას, რომ შრომა აკეთილშობილებს ადამიანს. იგი დილაადრიან ლამპის შუქზე წამოდგა, რათა მეგობარი სამუშაოზე გაეცილებინა და სერიოზულად განაცხადა, რომ პატივს სცემს მას, როგორც მუშას, რომელიც ნამდვილად ღირსია, ეს სახელი ატაროს. მაგრამ გაუარეს თუ არა სამიკიტნო „პტიტ-სივეტს“, რომელიც ის-ის იყო გაიღო, მაშინვე შიგ შევიდნენ ქლიავზე დაყენებული

არყის გადასაკრავად; მხოლოდ თითო ჭიქა უნდოდათ დაელიათ, იმ მიზნით, რომ ერთად შეესვათ, დაესველებინათ ამ კეთილი საქმის დასაწყისი. დახლის პირდაპირ სკამზე იჯდა გარუჯული ბიბი, რომელიც კედელს მიყრდნობოდა და დაღვრემილი სახით ჩიბუხს ეწეოდა.

– ოჰო! ბიბი, – წამოიძახა კუპომ, – ქეიფობ, მოხუცო! სიზარმაცემ დაგძლია?!

– არა, არა! – ზმორებით მიუგო მეგობარმა, – ამ მეპატრონეებმა გააჭირეს საქმე... მე გუშინ მივატოვე ჩემი უფროსი... ნამუსგარეცხილი არამზადები არიან ყველანი...

და გარუჯულმა ბიბიმ გამოართვა მათ ქლიავზე დაყენებული არყით სავსე ჭიქა. ის, ალბათ, ამ დაპატიჟების იმედით იჯდა იქ. ამასობაში, ლანტიემ მეპატრონეების დაცვა დაიწყო. იმათაც ბევრი უბედურება ემუქრებათ, მან ეს იცის, რადგან თვითონაც სდგომია საქმეს სათავეში. მუშებიც კაიშვილები არიან! უქნარა არამზადები! სულ ქეიფობენ, მუშაობა ფეხებზე ჰკიდიათ, სწორედ იმ დროს მიგატოვებენ, როცა შეკვეთა გაქვს საჩქარო და საქმე არ ითმენს, ხოლო მაშინ გამოჩნდებიან, როცა ერთი გროში აღარ გააჩნიათ. მე ვიცნობდი ერთ ახალგაზრდა ბიჭს, პიკარდიელს, რომელსაც ახირებული ჩვეულება ჰქონდა, მეტად უყვარდა ეტლით სეირნობა, როგორც კი ერთი კვირის ნამუშევარს ხელში ჩაიგდებდა, მაშინვე ეტლს დაიქირავებდა და მთელ დღეს დააგრიალებდა. განა ეს შეეფერება მუშას? შემდეგ ლანტიემ უეცრად მეპატრონეების წინააღმდეგაც გაილაშქრა. ოჰ! მე კარგად ვხედავ ყველას. პირში სიმართლეს მივახლი თითოეულ მათგანს. ერთი სიტყვით, საზიზღარი მოდგმაა ეს მეპატრონეები, უსირცხვილო ექსპლუატატორები, ქვეყნის მყვლეფელები. მადლობა ღმერთს, მე დამშვიდებული სინდისით შემიძლია ვიძინო, რადგან ყოველთვის მეგობრულად მეჭირა თავი მუშებთან და სხვებივით მილიონების მოგებას არ დავეძებდი.

– წავიდეთ, ჩემო ძმაო, – მიმართა მან კუპოს, – ჭკვიანად მოვიქცეთ, თორემ შეიძლება დაგვაგვიანდეს.

გარუჯული ბიბიც ხელების ქნევით გაჰყვა მათ. ის-ის იყო, ინათა, ატალახებული ქვაფენილის ჭუჭყიანი ანარეკლი დაჰკრავდა განთიადს. წინადღის ნაწვიმარზე ძალიან თბილოდა, ის იყო ჩააქრეს შუქი. პუასონიერის ქუჩა, სადაც ჯერ კიდევ სახლებსა და სახლებშუა, ღამის ბინდბუნდი ფარფატებდა, პარიზისკენ მიმავალი მუშების ფეხის ხმის ყრუ ხმაურით ივსებოდა. კუპოს მხარზე გადაეკიდა ტომარა ხელსაწყოთი და ისეთი გამომწვევი იერით მიაბიჯებდა, თითქოს მზად არის, ახლავე იერიშზე გადავიდესო. ის მობრუნდა და იკითხა: – ბიბი, სამუშაო გინდა? პატრონმა მითხრა, ერთი ამხანაგიც მოიყვანე, თუ შეგიძლიაო.

– გმადლობთ, – მიუგო ბიბიმ, – მე ვქეიფობ... თუ გინდა წაღას უთხარი, გუშინ ის ეძებდა ცოტაოდენ სამუშაოს... მოიცადე, წაღა აქ იქნება უეჭველად.

მართლაც როცა ქუჩის ბოლოში მივიდნენ, ბიძია კოლომბთან დაინახეს წაღა. მიუხედავად ადრიანი დილისა, „ხაფანგი“ გაბდღვრიალებული იყო, დარაბები ღია

ჰქონდა, შუქი ენთო. ლანტიე კართან გაჩერდა და კუპოს ურჩია აჩქარებულიყო, რადგან მათ განკარგულებაში ზუსტად ათი წუთიღა იყო დარჩენილი.

– როგორ, შენ, იმ ბერკვიცა ბურგინიონთან მიდიხარ სამუშაოდ? – წამოიყვირა წაღამ, როდესაც მესახურავის სიტყვები მოისმინა, – მე თოკით ვერ შემათრევ იმ სოროში. არა, მირჩევნია ენაგადმოგდებულმა ვირბინო გაისამდე... მაგრამ შენ, ჩემო მოხუცო, იქ სამ დღესაც ვერ გაძლებ, გეუბნები!

– მართლა ცუდი სოროა? – შეშფოთებით ჰკითხა კუპომ.

– ოხ! ცუდზე უარესი!.. განძრევის ნებას არ მოგცემენ! წელში გაუმართავად, ამოუსუნთქავად გამუშავებენ. ახლა დიასახლისი როგორ გექცევა?! სულ ლოთს გეძახის. რა წესებია, იცი? სახელოსნოში დაფურთხებას გიკრძალავენ!.. მე ჯანდაბისკენ გავისტუმრე ისინი პირველ საღამოსვე, გესმის?

– კარგია, რომ გამაფრთხილე. მე იმათთან სამუდამოდ დასახლებას არც ვაპირებ... ამ დილით მივალ და ვცდი. თუ მეპატრონე აბუჩად ამიგდებს, ერთი ხელს რომ ვტაცებ მას და მის დიასახლისს, სარებივით დავარჭობ ორივეს, წყვილად!

მესახურავემ მაგრად შეუნჯღრია ხელი ამხანაგს, მადლობის ნიშნად, რომ მან გააფრთხილა და წასვლა დააპირა, მაგრამ წაღა გაჯავრდა. დალახვროს ღმერთმა! როგორ? მათ ბურგინიონმა უნდა დაუშალოს არყის გადაკვრა?! მაშ, კაცები კაცებად აღარ ვარგებულან! იმ მაიმუნს ძალიან კარგად შეუძლია ერთი ხუთი წუთი კიდევ მოიცადოს. ლანტიეც შემოვიდა გადასაკრავად და ოთხივე დახლის წინ გაჩერდა. წაღა, რომელსაც დაგლეჯილი ფეხსაცმელი და ჭუჭყიანი ხალათი ეცვა და ზედ კინკრიხოზე ქუდი ჩამოეფხატა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ღრიალებდა და დიდკაცურად აბრიალებდა თვალებს. ის ყველა ლოთიფოთის იმპერატორად და ღორების მეფედ იყო აღიარებული მას შემდეგ, რაც ცოცხალი ხოჭოების სალათა შეჭამა და ზედ მკვდარი კატაც დააყოლა საუზმედ.

– შენ, ეი, ბორჯიების[26] ჯილაგო! – უყვიროდა ის ბიძია კოლომბს, – აბა ყვითელი მოიტა, აი ის, თქვენი, ვირის შარდი ნომერი პირველი.

და როდესაც ბიძია კოლომბმა, მშვიდმა და გაფითრებულმა ლაჟვარდისფერ ფლანელის პერანგში, ოთხი ჭიქა აავსო. ამ ვაჟბატონებმა ჭიქები ერთბაშად გამოცალეს, რათა სასმელი არ აორთქლებულიყო.

– რაც უნდა იყოს, სარგებლობა მოაქვს, როცა სტომაქში ჩადის, – წაიბუტბუტა გარუჯულმა ბიბიმ.

ეს ნადირი წაღა რაღაც სასაცილო ამბავს ჰყვებოდა. პარასკევს ისეთი მთვრალი იყო, რომ ამხანაგებმა ჩიბუხი ჩასჩარეს პირში და კირით ამოულესეს. სხვა მის ადგილას სულსაც განუტევებდა, ეს კი ყოყოჩობდა და თავი მოჰქონდა ამით.

– ხომ არ გაიმეორებთ, ბატონებო, – მსუყე ხმით შეეკითხა ბიძია კოლომბი.

– დიახ, გაგვიმეორეთ, – წარმოთქვა ლანტიემ, – ახლა ჩემი ჯერია.

ამჟამად ისინი ქალებზე ლაპარაკობდნენ. გარუჯულმა ბიბიმ წინა კვირას, მონრუჟში, დეიდასთან წაიყვანა თავისი აბეზარი ცოლი. კუპომ ინდური ჩემოდნის ამბავი იკითხა. ეს იყო ამ სამიკიტნოში კარგად ცნობილი მრეცხავი ქალი საიოდან. ის-ის იყო უნდა დაელიათ, რომ წაღამ რიხიანად მოიხმო გუჟე და ლორილე, რომლებმაც ამ დროს გამოიარეს. ორივენი კართან მოვიდნენ, მაგრამ შემოსვლაზე უარი განაცხადეს. მჭედელს არ უნდოდა დალევა. მიმქრალი, გაფითრებული და აცახცახებული მეძეწკვე კი ჯიბეში მაგრად უჭერდა ხელს ოქროს ძეწკვებს, რომლებიც თან მიჰქონდა. ის ახველებდა, ბოდიშს იხდიდა და ამბობდა, ერთი წვეთი არაყი ბოლოს მომიღებს, გამათავებსო.

– ტვინი წაიღეს ამ ვითომ წმინდანებმა! – წამოროშა წაღამ, – ეგენი, ალბათ, ჩუმად ყლურწავენ კუთხეში.

შემდეგ, როდესაც მან თავისი ჭიქიდან მოსვა, ბიძია კოლომბს ეძგერა.

– ბებერო ყალთაბანდო, ბოთლი შეგიცვლია!.. ჩემთან ეგ არ გაგივა, გაზავებულ ნახადს კარგად ვიცნობ!

დღის სინათლე მატულობდა, მკრთალი შუქი ანათებდა „ხაფანგს“, სადაც მისმა მეპატრონემ შუქი ჩააქრო. კუპო სიძეს ექომაგებოდა, ბოდიშს ხდიდა, რომ დალევა ვერ შეძლო, ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ დანაშაულად არ ჩაეთვლებაო. გუჟესაც უწონებდა საქციელს, რა თქმა უნდა, ბედნიერებაა, როცა ადამიანს არასოდეს სწყურიაო. შემდეგ სამუშაოდ წასვლაზე დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ ლანტიემ ყოვლად რიგიანი ადამიანის იერით დაარიგა. ყოველ შემთხვევაში, საჭიროა შენ კვალობაზედაც გაუმასპინძლდე ყველას, ვიდრე აქედან მოუსვამ: ამხანაგების უგულებელყოფა ფინაჩობაა იმ შემთხვევაშიც კი, როცა ამას მოვალეობის გამო სჩადიხარო.

– ნეტა ეგ დიდხანს გვიპირებს ილაჯის გაწყვეტას თავისი სამუშაოთი? – წამოიყვირა წაღამ.

– ახლა თქვენი ჯერია, რომ გაუმასპინძლდეთ, მუსიე! – მიუბრუნდა კუპოს ბიძია კოლომბი.

კუპომ, რაც თავის ჯერზე ეკუთვნოდა, გადაიხადა. ხოლო როდესაც გარუჯული ბიბის რიგი დადგა, ის სამიკიტნოს პატრონის ყურისკენ დაიხარა, მაგრამ მიკიტანმა დინჯი თავის გაქნევით უარი უთხრა. წაღა მიხვდა, რაშიც იყო საქმე და ლანძღვა დაუწყო ამ მტარვალ ბიძია კოლომბს. როგორ, შენისთანა ვიგინდარამ უნდა გაბედოს ცუდი მოპყრობა ამხანაგისადმი?! ყველა სასმლით მოვაჭრე ნისიად იძლევა! ღირს კი ამისთანა მეძვირის ჯურღმულში მოსვლა იმისთვის, რომ შეურაცხყოფა მოგაყენონ!

მიკიტანი მშვიდად დაყრდნობოდა უზარმაზარი მუშტებით დახლს, აქეთ-იქით ქანაობდა და ზრდილობიანად იმეორებდა: – თქვენ ასესხეთ მას ფული, მეტი არაფერია საჭირო.

– დასწყევლოს ღმერთმა! დიახ, მე ვასესხებ ფულს! – შეღრიალა წაღამ, – აჰა, ბიბი, ხახაში ჩაუტენე ეს ფული მაგ სულგაყიდულს!

შემდეგ წაღა, გაღიზიანებული და გაბრაზებული იმ ტომრის ცქერით, რომელიც კუპოს კვლავ მხარზე ეკიდა, მესახურავეს მიუბრუნდა: – ძიძას ჰგავხარ! გადააგდე ეგ შენი ტიკინა! კუზი არ გაგიჩნდეს!

კუპო წუთით შეყოყმანდა. მერე წყნარად, თითქოს საფუძვლიანი მოსაზრების შემდეგ გადაწყვიტაო, მიწაზე დადო ტომარა და თქვა: – ახლა უკვე ძალიან დაგვიანდა. ბურგინიონთან საუზმის შემდეგ წავალ. ვეტყვი, ჩემს ცოლს ჭვალი დაადგა-მეთქი... გამიგონეთ, ბიძია კოლომბ, ჩემს ხელსაწყოს ამ სკამის ქვეშ ვტოვებ, შუადღისას წავიღებ.

ლანტიემ თავის დაქნევით დაადასტურა, მოიწონა საქმის ამნაირად მოგვარება. ეჭვგარეშეა, უნდა იმუშაო, ხოლო როდესაც მეგობრებში ხარ, თავიდათავია ზრდილობა. ქეიფის სურვილი თანდათან უფრო უღიტინებდა და თავს უბრუებდა ოთხივეს, დამძიმებულნი და მკლავებჩამოყრილები შეჰყურებდნენ ერთმანეთს. რადგან მათ უსაქმურობის ხუთი საათი კიდევ წინ ედოთ. უეცრად სიხარულის ღრიანცელი აუტყდათ. სილებს სთავაზობდნენ და ალერსიან სიტყვებს ჩასძახოდნენ ერთმანეთს. განსაკუთრებით კუპო, რომელსაც გულზე მოეშვა, სულ გაახალგაზრდავდა, და ჩემს ბებერ ტოტს უწოდებდა დანარჩენებს. ერთხელ კიდევ ჩაისველა ყველამ ყელი. მერე წავიდნენ „მხვრინავ რწყილში“. ეს იყო პატარა რესტორანი ბილიარდით. მექუდემ ცოტა ცხვირი აიბზიკა. რადგან ეს დაწესებულება ვერ იყო მაინცდამაინც ძალიან სუფთა: სულ უბრალო არაყი იქ ერთი ფრანკი ღირდა ლიტრი, ორი ჭიქა ათი სუ ჯდებოდა, ხოლო ბილიარდი ისე იყო ხმარებით გაჭუჭყიანებული, რომ ბურთები მაუდს ზედ ეკვროდა. მაგრამ როცა ბილიარდის პარტია შეადგინეს, ლანტიემ, რომელიც დაგეშილი იყო ამ საქმეში და არაჩვეულებრივი დარტყმა ჰქონდა, კვლავ დაიბრუნა თავისი შნო და გამხიარულდა, მკერდს წინ იზნექდა, და ყოველ კარამბოლზე[27] ფეხს კოხტად ატრიალებდა.

როდესაც საუზმის დრო მოვიდა, კუპომ ფეხი დაჰკრა იატაკს და წამოიყვირა: – მლაშე ხახა უნდა მოვიყვანოთ! მე ვიცი, სადაც მუშაობს... თან წავიყვანოთ დეიდა ლუისთან, რომ მანაც ჩვენთან ერთად მიირთვას ქათმის ფეხები თეთრი საწებლით.

დიდი ხმაურით მიიღეს ეს აზრი. დიახ, მლაშე ხახას, იმავე მარად წყურვილს უსათუოდ ესაჭიროება თეთრ საწებელგადასხმული ქათმის ფეხების ჭამა. ყველანი წავიდნენ. წვიმდა. მაგრამ ისე იყვნენ გახურებულნი, რომ ვერაფერს გრძნობდნენ. კუპოს ისინი მარკადეს ქუჩით მიჰყავდა, ლურსმნების ფაბრიკასთან. რადგან მთელი ნახევარი საათით ადრე მივიდნენ, ვიდრე მუშაობა გათავდებოდა, ამიტომ

მესახურავემ ერთ პატარა ბიჭს ორი სუ აჩუქა, რათა შესულიყო და მლაშე ხახისთვის ეთქვა, შენი ცოლი ავად გახდა და გთხოვა ამწუთშივე მოხვიდეო. მჭედელი მაშინვე გამოჩნდა, ის ერთ ადგილზე ტოკავდა, დამშვიდებული სახე ჰქონდა, რადგან ყნოსვით იგრძნო, რომ აქ ქეიფის ამბავი უნდა ყოფილიყო.

– ახ! თქვე ცუღლუტებო! – წარმოთქვა მან, როდესაც კარს უკან დამალული ამხანაგები შენიშნა, – მე ვგრძნობდი ამას... ჰა! რას ვჭამთ?

დეიდა ლუისთან ქათმის ფეხის ძვლებს წუწნიდნენ და თანაც ისევ წარმოებათა მეპატრონეებს ეძგერნენ. მლაშე ხახა უამბობდა მათ, რომ მის ქარხანას ახლა საჩქარო შეკვეთა აქვს. არა უშავს რა, თუ დროზე არ დავბრუნდები, პატრონი არაფერს იტყვის, მადლობელიც უნდა დარჩეს, თუკი საერთოდ დავბრუნდიო... პირველ ყოვლისა, საშიში არაფერია, მეპატრონე ვერც გაბედავს ოდესმე გააგდოს მლაშე ხახა, იგივე მარადი წყურვილი, რადგან ამისთანა მუშაკს ვერასდროს იშოვის...

ქათმის ფეხების შემდეგ ერბოკვერცხი მოითხოვეს. თითოეული საკუთარი ბოთლიდან სვამდა. დეიდა ლუის ოვერნიდან მოსდიოდა სისხლისფერი ღვინო, ისეთი სქელი, რომ დანით იყო საჭრელი. თანდათან უფრო შეტოპეს, გაერთნენ და გახურებული ქეიფი გაჩაღდა.

– ახლა კიდევ რა მომიგონა მაგ ბერიკამ, მაგ ყვავების საფრთხობელამ! – დესერტის დროს ყვიროდა მლაშე ხახა, – ზარის ჩამოკიდება არ მოინდომა ფარდულში? ზარი ხომ მონებისთვის არის კარგი!.. ჰოდა! რეკოს დღეს მთელი დღე! მეხი დამეცეს თავზე, თუ მე დღეს გრდემლს დავუბრუნდე! ხუთი დღეა, რაც ჯანს ვიგდებინებ, ძალიანაც კარგად შემიძლია, ახლა ჭიტლაყი ამოვკრა, მოვიშორო თავიდან! თუ იმან აყალმაყალი ამიტეხა, მაშინ ჯანდაბაშიც გავისტუმრებ!

– მე, – მრავალმნიშვნელოვანი სახით თქვა კუპომ, – იძულებული ვარ, მიგატოვოთ, სამუშაოდ მივდივარ. დიახ, ცოლს შევფიცე... იმხიარულეთ. ხომ იცით, რომ გულით თქვენთან ვარ, თქვენთან, ჩემს ძმაბიჭებთან.

დანარჩენებს სასაცილოდ არ ეყოთ ეს. მაგრამ კუპოს, ეტყობა, ისეთი მტკიცე გადაწყვეტილება მიეღო, რომ როდესაც განაცხადა, ბიძია კოლომბთან მივდივარ, ხელსაწყო უნდა წამოვიღოო, ყველანი გაჰყვნენ. კუპომ სკამის ქვეშიდან გამოიღო ტომარა და წინ დაიდო, სანამ უკანასკნელ ჭიქას გამოცლიდნენ. პირველ საათზე საზოგადოება ისევ სასმელს შეექცეოდა. მაშინ კუპომ გაჯავრებული ჟესტით კვლავ სკამქვეშ ამოსდო თავისი ხელსაწყო. იგი ხელს უშლიდა, დახლს ვერ მიახლოებოდა ისე, რომ ამ ტომრისთვის ფეხი არ წამოეკრა. რა სისულელეა! ბურგინიონთან ხვალაც შეუძლია წავიდეს. დანარჩენ ოთხს, რომლებიც ხელფასის საკითხზე კამათობდნენ, არ გაჰკვირვებიათ, როდესაც მესახურავემ წინადადება მისცა მათ, მცირე ხნით ბულვარზე გაესეირნათ, მუხლი გაეშალათ ცოტა. წვიმა შეწყდა. მათი პატარა გასეირნება ორასი ნაბიჯის გადადგმით განისაზღვრა, ხელებჩამოყრილებმა იყიალეს ერთსა და იმავე გზაზე. ჰაერზე გამოსვლამ სულ მთლად გამოალენჩა ისინი, სიტყვას

ვეღარ პოულობდნენ ერთმანეთთან სალაპარაკოდ. გარეთ ყოფნა მოსწყინდათ და მერე წყნარად, ისე, რომ იდაყვის წაკვრითაც არ მოსთათბირებიან ერთმანეთს, ინსტინქტურად აუყვნენ პუასონიერის ქუჩას და ფრანსუას დუქანში შეიარეს, სულ ერთი ბოთლის გადასაკრავად. ეს, მართლაც საჭირო იყო მათთვის მოსამაგრებლად და სულიერი განწყობილების აღსადგენად. ნამეტანი სევდა მოერია მათ ქუჩაში, სადაც ისეთი ტალახი იყო, რომ პოლიციელიც არ გაიგდებოდა კარში. ლანტიემ ცალკე ოთახში შეიყვანა ამხანაგები. ეს იყო ვიწრო კუთხე ერთი მაგიდით. მას საერთო დარბაზიდან მქრქალი მინის ტიხარი ჰყოფდა. ლანტიეს, ჩვეულებრივ, ამისთანა კაბინეტებში უყვარდა ცხვირის შეყოფა, რადგან აქ ისე გრძნობდა თავს, თითქოს საკუთარ სახლში ყოფილიყო, მოურიდებლად შეეძლო დაეძინა კიდეც. ლანტიემ გაზეთი მოითხოვა, გადაშალა დიდი ფურცლები და წარბშეჭმუხნილმა გადაათვალიერა. კუპომ და წაღამ პიკეტის თამაში დაიწყეს. მაგიდაზე იდგა ორი ბოთლი და ხუთი ჭიქა.

– კეთილი! მაგრამ ნეტავი რას მღერიან მაგ ქაღალდებში? – შეეკითხა გარუჯული ბიბი მექუდეს.

მექუდემ მაშინვე არ უპასუხა. მერე კი თავაუღებლად წარმოთქვა: – პარლამენტზე ვკითხულობ. აი, ეს ოთხ სუდ ღირებული რესპუბლიკელები, ეს წყეული, უსაქმური მემარცხენეები! განა ხალხმა იმიტომ აირჩია ეგენი, რომ შაქრიანი წყალი დორბლონ?! აი, ამ კაცს, თითქოს, ღმერთი სწამს და ამ არამზადა მინისტრებს კი ეკურკურება. მე, მე რომ არჩეული ვყოფილიყავი, ავიდოდი ტრიბუნაზე და ვიტყოდი: ფუნაა! დიახ, მეტი არაფერი, ეს არის ჩემი აზრი.

– თქვენ იცით, რომ ბადენგემ ერთ საღამოს მთელი სამეფო კარის წინაშე სილაქები უთავაზა თავის ქალბატონს, – უამბობდა მათ მლაშე ხახა, იგივე მარადი წყურვილი, – პატიოსნებას ვფიცავ! სულ უმიზეზოდ შეებნენ თურმე ერთმანეთს. ბადენგე გულმოსული ყოფილა.

– დაგვეხსენით თქვენი პოლიტიკით! – შეჰყვირა მესახურავემ, – მკვლელობებზე წაიკითხეთ, ეს უფრო გასართობია.

მერე კვლავ თამაშს დაუბრუნდა, გამოაცხადა: ერთი ტერცი ცხრიანიდან, სამიც ქალი და თქვა: – მე ერთი ნაყარნუყარი ტერცი მაქვს, სამიც მტრედი... დედაკაცები არ მეშვებიან.

ჭიქები გამოცალეს. ლანტიემ ხმამაღლა კითხვა დაიწყო: „შემაძრწუნებელმა დანაშაულმა თავზარი დასცა ყველას სოფელ გალიონში (სენისა და მარნის დეპარტამენტი). ვაჟიშვილმა ბარის დარტყმით მოკლა მამა, რათა ოცდაათი სუ წაეთმია მისთვის“...

თავზარდაცემულებმა ერთხმად შეჰყვირეს, აი, ვისი სიკვდილით დასჯის საცქერად წავიდოდნენ სიამოვნებით. არა, გილიოტინა მისთვის საკმარისი არ არის; ასო-ასო უნდა აკუწონ.

ასევე შეძრწუნდნენ ბავშვის მკვლელობის გამოც, მაგრამ მაღალზნეობიანმა მექუდემ ქალს მიუტევა და მის შემცდენელს დააკისრა მთელი დანაშაული. რადგანაც ბოლოს და ბოლოს, თუ ეს უნამუსო კაცი არ შეაცდენდა, ის ხომ ვერ შეძლებდა უკანონოდ გაჩენილი ჩვილის ფეხსადგილში ჩაგდებას!.. საერთო აღტაცება გამოიწვია მარკიზ ტ-ს თავგადასავალმა. ეს კაცი ღამის ორ საათზე ბრუნდებოდა თურმე ბალიდან. ინვალიდების ბულვარზე მას თავს დაესხა სამი ჯიბგირი. მარკიზს ხელთათმანიც არ გაუხდია, ისე, მუცელში თავური დარტყმით გაუსწორდა ორ ქურდბაცაცას, ხოლო მესამე ყურით მიათრია პოლიციაში. ჰა? რა დარტყმაა! სამწუხაროა, რომ კეთილშობილი ყოფილა.

– ახლა ამას დაუგდეთ ყური, – განაგრძო ლანტიემ, – გადავდივარ ახალ ამბებზე მაღალი საზოგადოების ცხოვრებიდან: – „გრაფი დე ბრეტინიის მეუღლე ათხოვებს უფროს ქალიშვილს ახალგაზრდა ბარონ დე ვალანსეზე, მისი უდიდებულესობის ადიუტანტზე. სამასი ათას ფრანკზე მეტი ღირებულების მაქმანები აქვს მზითევში“.

– ეგ რა ჩვენი საქმეა! – შეაწყვეტინა მას გარუჯულმა ბიბიმ, – ვის რაში ეკითხება მათი პერანგის ფერი. რამდენი მაქმანიც უნდა ჰქონდეს იმ გოგონას, ისიც იმ სანათურიდან დაინახავს მთვარეს, საიდანაც სხვები.

რადგან ლანტიემ ისეთი სახე მიიღო, რომ კითხვის გაგრძელება უნდოდა, მლაშე ხახამ გამოართვა მას გაზეთი, ზედ დააჯდა და თქვა: – ახ! არა, საკმარისია!.. ახლა თბილად არის!.. მხოლოდ ამისთვის არის გამოსადეგი ეს ქაღალდი.

ამ დროს წაღამ, რომელიც თვალყურს ადევნებდა თამაშს, გამარჯვებულმა დაარტყა მუშტი მაგიდას. მან ოთხმოცდაცამეტი გააკეთა.

– მე მაქვს რევოლუცია, – ყვიროდა ის, – კვინტმაჟორი, ხუთიენი ერთ მდელოზე სძოვენ ბალახს... ოცია, არა?.. შემდეგ ტერცმაჟორი ბუბნზე, ეს ოცდასამი. სამოცი ხარი – ოცდაექვსი. სამი ცალთვალა – ოთხმოცდათორმეტი... მე რევოლუციის პირველ წელიწადს ვთამაშობ, ესეც ოთხმოცდაცამეტი.

– ჩავარდი, ძმაო, – შესძახეს დანარჩენებმა კუპოს.

ორი ბოთლი კიდევ მოითხოვეს. ჭიქები ივსებოდა განუწყვეტლივ, სიმთვრალე მატულობდა. ხუთი საათისთვის უკვე ეს საზიზღრობად გადაიქცა, ისე, რომ ლანტიე გაჩუმდა და გაპარვას ფიქრობდა. მას შემდეგ, რაც აღრიალდნენ და ღვინო პირიდან ეღვრებოდათ, ეს უკვე მისი ყაიდის ამბავი აღარ იყო. სწორედ ამ დროს კუპო წამოდგა ფეხზე იმის საჩვენებლად, თუ როგორ ისახავენ პირჯვარს ლოთები. როცა მან ხელი შუბლზე მიიდო, მონპერნასი ახსენა, მარჯვენა მხართან – მენილმონტი, მარცხენა

მხართან – ლა კურტილი, მუცელზე რომ დაიდო ხელი – ბანიოლე, ხოლო, როცა ხელი გულის კოვზთან მიიტანა სამჯერ – კურდღლის ყაურმა. მაშინ მექუდემ ისარგებლა ამ ვარჯიშით გამოწვეული საერთო ღრიანცელით და კარში წყნარად გავიდა. ამხანაგებმა ვერც კი შეამჩნიეს მისი წასვლა. ლანტიესაც კარგა მაგრად უბჟუოდა თავი. მაგრამ გავიდა თუ არა გარეთ, შეირხა და თავისებურად გამოყოჩაღდა. მერე მშვიდად შევიდა სახელოსნოში და ჟერვეზას აუწყა, კუპო ამხანაგებთან დარჩაო.

ორმა დღემ გაიარა, მესახურავე კი არ ჩანდა. ის უბანში ტრიალებდა, მაგრამ ზუსტად არ იცოდნენ, სად იყო. ხალხი ლაპარაკობდა, დეიდა ბაკესთან ვნახეთ „პეპელაში“, „პატარა კაცში, რომელიც ახველებსო“. ოღონდ ზოგი ირწმუნებოდა, რომ ის მარტო იყო, ზოგი კი ამბობდა, შვიდი თუ რვა მასავით ლოთიფოთის კომპანიაშიო. ჟერვეზა მორჩილი სახით იჩეჩდა მხრებს. ღმერთო ჩემო! ეს უკვე ჩვეულებად გადაქცეულიყო. ის ქმარს არ დასდევდა. სამიკიტნოშიც რომ დაენახა, გვერდს აუქცევდა ხოლმე, რათა არ გაებრაზებინა. ჟერვეზა მისი დაბრუნების ლოდინში, ღამღამობით ყურს უგდებდა, კართან ხომ არ ხვრინავდა. კუპო ნაგვის გროვაზე იძინებდა ხოლმე, სკამზე, უკაცურ ადგილას, გარდიგარდმო გაწოლილი, წყლის არხზეც. მეორე დღეს, წინადღის სიმთვრალისგან გამოუფხიზლებელი, კვლავ პატარა დუქნების დარაბებს უკაკუნებდა და შეუდგებოდა ისევ გაშმაგებულ მოგზაურობას პატარ-პატარა ჭიქების, ორთომელებისა და ბოთლების სამყაროში. კარგავდა და ისევ პოულობდა ამფსონებს, დახეტიალებდა მანამდე, სანამ სულ არ გამოლენჩდებოდა და ქუჩები არ აუტრიალდებოდა თვალებში. უღამდებოდა თუ უთენდებოდა, მას ერთი აზრი ჰქონდა თავში: დაელია, დაელია და გამოფხიზლებულიყო იქვე, მერე ისევ დაელია, სანამ სულ არ დავარდებოდა. ამით თავდებოდა მისი ქეიფი. ჟერვეზა მაინც წავიდა მეორე დღეს ბიძია კოლომბის „ხაფანგში“ კუპოს ამბის შესატყობად. იქ იმაზე მეტი ვერაფერი უთხრეს, რომ კუპო ხუთჯერ ჰყავდათ ნანახი. ჟერვეზა იძულებული შეიქნა მხოლოდ იმით დაკმაყოფილებულიყო, რომ მესახურავის მიერ სკამის ქვეშ დატოვებული ხელსაწყო წაეღო სახლში.

საღამოს ლანტიემ შენიშნა, რომ ჟერვეზა მოწყენილი იყო და წინადადება მისცა კაფეკონცერტზე წასულიყვნენ ერთად, ცოტას მაინც გაერთობოდა. თავდაპირველად ქალმა უარი უთხრა, რადგან სიცილის გუნებაზე არ იყო. ეს რომ არა, ჟერვეზა უარს არ ეტყოდა, რადგან მექუდემ ამ წინადადებით მიმართა უბრალოდ, პატიოსნური იერით, რათა ჟერვეზას ეჭვი არ შეეტანა, რომ მას რაიმე ბნელი განზრახვა ჰქონდა გულში. ის თითქოს მონაწილეობდა ამ ქალის უბედურებაში და ახლა მამობრივ ზრუნვას იჩენდა. არასოდეს კუპოს ორი ღამე ზედიზედ სახლის გარეთ არ გაუტარებია. ჟერვეზა, თავისდა უნებურად, ყოველ ათ წუთში ერთხელ, უთოს ხელიდან გაუშვებლად, კართან მიდიოდა და ქუჩის ორივე მხარეს ათვალიერებდა, ხომ არ მოდიოდა მისი ქმარი. არ შემიძლია ერთ ადგილზე გავჩერდე, – ამბობდა ის, – თითქოს მუხლებში ჭიანჭველები მივლის. იქნებ კუპომ რამე მოიტეხა ან ეტლის ქვეშ ჩავარდა და სადღაც გდია. ძალიან კარგი კი იქნებოდა, თავიდან მოეშორებინა ჟერვეზას ეს ზიზღის მომგვრელი არსება, რომლისადმიც გულში აღარავითარი

გრძნობა აღარ ჰქონდა. ბოლოს და ბოლოს, უზომოდ მომაბეზრებელი იყო წამდაუწუმ იმის ფიქრი და კითხვა, მოვიდოდა თუ არა... მერე, როდესაც ქუჩაში შუქი აინთო და ლანტიემ ხელმეორედ ჩამოუგდო ლაპარაკი კაფეშანტანზე, ჟერვეზაც დათანხმდა. სხვა რომ არა იყოს რა, დიდი სისულელე იქნებოდა ჟერვეზას მხრივ ამ სიამოვნებაზე ხელის აღება იმ დროს, როცა მისი ქმარი სამი დღეა, რაც გარეთ იყო და ბერიკასავით პამპულობდა. რადგან ის არ ბრუნდება, ესეც წავა სახლიდან. ასეც უქნია, სულ გადამწვარა ყველაფერი, თვალიც დასდგომია ამისთანა სიცოცხლეს, გული გაუწყალა მას ამ აძაღლებულმა ცხოვრებამ.

საჩქაროდ ისადილეს. რვა საათზე ჟერვეზამ მკლავში ხელი გაუყარა მექუდეს, ხოლო კუპოს დედას და ნანას სთხოვა იმავე წუთს დაწოლილიყვნენ ლოგინში და წავიდა. სახელოსნო დაკეტეს. ჟერვეზა ეზოს კარით გავიდა და გასაღები მადამ ბოშს ჩააბარა, თუ ვინიცობაა ჩემი ღორი მოვიდეს, ეს სიკეთე მიქენით, დააწვინეთო. კარგად ჩაცმულ-დახურული მექუდე მას კართან ელოდა, თან რაღაც არიას უსტვენდა. ჟერვეზას აბრეშუმის კაბა ეცვა. ისინი წყნარად მიაბიჯებდნენ ქვაფენილზე, მაგრად მიჰკვროდნენ ერთმანეთს და დუქნის ფანჯრების შუქზე ჩანდა, რომ ღიმილით ხმადაბლა მუსაიფობდნენ.

კაფეშანტანი ბულვარ როშეშუარზე იყო. ეს იყო პატარა, ძველებური კაფე, რომელიც ეზოში მიდგმული ფიცრული შენობით გაეფართოებინათ. შესასვლელ კართან შუშის ფარნების მწკრივი ანათებდა გალერეას. წყლის არხის გვერდით ქვაფენილზე დადგმულ ხის ფარებზე გრძელი, მიწამდე ჩასული აფიშები გაეკრათ.

– აჰა, კიდეც მოვედით, – თქვა ლანტიემ, – ამ საღამოს მადმუაზელ ამანდას დებიუტია, მომღერალი ქალია.

მაგრამ ამ დროს მან შენიშნა გარუჯული ბიბი, ისიც აფიშას კითხულობდა. ბიბის ცალი თვალი ჩალურჯებული ჰქონდა, ალბათ, წინადღით მოხვედრილი მუშტისგან...

– ოჰო, კუპო სადღაა? – შეეკითხა მას მექუდე, თან ირგვლივ თვალს ავლებდა, – თქვენ კუპო დაკარგეთ?

– ოჰ! კაი ხანია, გუშინდელს აქეთ! – მიუგო ბიბიმ, – დეიდა ბაკესგან რომ გამოდიოდნენ, მუშტი-კრივი გაიმართა. მე მუშტის ტრიალი არ მიყვარს... გესმით, დეიდა ბაკეს მოსამსამხურე ბიჭის გამო მოხდა ეს, ისინი მართლები იყვნენ, ამ ბიჭს ერთსა და იმავე ბოთლში ორჯერ უნდოდა ფულის მიღება... ჰოდა, მე იქაურობას გამოვეცალე, ვთქვი, წავალ და ცოტას წავიხვრინებ-მეთქი.

ბიბი ჯერ ისევ ამთქნარებდა. თუმცა მას თვრამეტი საათის განმავლობაში ეძინა და სრულიად გამოფხიზლებულიყო, მაგრამ მაინც ტუტუცური შესახედაობა ჰქონდა. მისი ძველი ხალათი ბუმბულში ამოგანგლულიყო, როგორცა ჩანს, გაუხდელად სძინებოდა ლოგინში.

– მაშ, არ იცით, ჩემი ქმარი სად არის? – შეეკითხა მას მრეცხავი ქალი.

– არა, სრულებით არ ვიცი... ხუთი საათი იყო, როდესაც დეიდა ბაკე მივატოვეთ. ეს არის და ეს... შეიძლება, ამ ქუჩით ჩაიარა ქვევითკენ! დიახ, ვფიქრობ, სწორედ ის იყო, რომ დავინახე „პეპელაში“ შედიოდა ერთ მეეტლესთან ერთად... ოჰ! რა სისულელეა! მართლა, მოსაკლავია კაცი ამისთვის!

ლანტიემ და ჟერვეზამ სასიამოვნო საღამო გაატარეს კაფეშანტანში. თერთმეტ საათზე, როცა ყველა კარი დაიხურა, ნელი ნაბიჯით წამოვიდნენ აუჩქარებლად. სიცივე ოდნავ იკბინებოდა. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იშლებოდა. ხეების ჩრდილში სიცილით იხოცებოდნენ ვიღაცა ქალიშვილები, როგორც ეტყობა, მათი კავალრები გადამეტებით ხუმრობდნენ. ლანტიე ოდნავ გასაგონი ხმით ღიღინებდა მადმუაზელ ამანდას არიას: „ეს არის ცხვირში რომ მიღიტინებს“... გაბრუებული ჟერვეზაც მთვრალივით აჰყვა მას. ჟერვეზას ძალიან დასცხა. გადაკრული ღვინო თავში აუვარდა. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე მადმუაზელ ამანდამ. ჟერვეზა ვერასოდეს გაბედავდა ასე შიშველი გამოსულიყო საზოგადოების წინაშე. თუმცა სიმართლე უნდა ითქვას, იმ ქალს სწორედ შესაშური კანი ჰქონდა. ჟერვეზა ვნებიანი ცნობისმოყვარეობით ისმენდა ლანტიეს მიერ მოთხრობილ დეტალებს ამ ქალზე. ლანტიე ისეთი სახით უყვებოდა ამ ამბებს, თითქოს იმ ქალის უახლოესი ნაცნობი იყო.

– ყველას სძინავს, – წარმოთქვა ჟერვეზამ მას შემდეგ, რაც სამჯერ დარეკა ზარი და ბოშებს ვერაფერი გააგონა.

კარი გაიღო, მაგრამ თაღის ქვეშ შესასვლელში ბნელოდა და, როდესაც ჟერვეზამ მეკარის ბინის ფანჯარაზე მიაკაკუნა, რომ თავისი გასაღები გამოერთმია, მეკარე ქალი ნამძინარევი ხმით მოუყვა რაღაც ამბავს, საიდანაც ჟერვეზამ ჯერ ვერაფერი გაიგო; ხოლო ბოლოს, ძლივს მიხვდა, პუასონმა მოიყვანა კუპო სავალალო მდგომარეობაში მყოფი და გასაღები, ალბათ კლიტეში იქნებაო.

– დასწყევლოს ეშმაკმა! – წაიბუტბუტა ლანტიემ, როდესაც შევიდნენ, – ეს რა უქნია! სნებაა სწორედ!

მართლაც, საშინლად ყარდა. ჟერვეზა, რომელიც ასანთს დაეძებდა, რაღაც სისველეში ადგამდა ფეხს. როდესაც მან ძლივს აანთო სანთელი, მშვენიერი სანახაობა დაუდგა თვალწინ. კუპოს ერწყია ისე, რომ მთელი შიგნეული თან ამოეყოლებინა. მისი ნარწყევით სავსე იყო მთელი ოთახი, ლოგინი, ფარდები, ყველაფერი მოესვარა, კამოდსაც კი მოხვედროდა შხეფები. ამასთან კუპო გადმოვარდნილიყო ლოგინიდან, სადაც, ეტყობა, პუასონს დაეწვინა. კუპო ხვრინავდა თავისივე სიბინძურეში ჩავარდნილი. ამ სიბინძურეში ეგდო ღორივით გაშხლართული, მოსვრილი ლოყით და მისი დაღებული პირიდან მომწამვლელი სუნი ამოდიოდა, ხოლო უკვე შეჭაღარავებული თმა ცოცხივით ხვეტავდა ირგვლივ დამდგარ ფართო გუბეს.

– ოჰ! ღორი! ღორი! – იმეორებდა შეურაცხყოფილი და აღშფოთებული ჟერვეზა, – ყველაფერი მოუსვრია... არა, ძაღლიც არ იზამდა ამას, მკვდარი ძაღლი უფრო სუფთა იქნებოდა.

განძრევას ვერ ბედავდნენ ორივენი, არ იცოდნენ, სად დაედგათ ფეხი. მესახურავე ასეთ მდგომარეობაში არასოდეს დაბრუნებულა, ასე არ მოუსვრია იქაურობა. ეს სურათი უკანასკნელი დარტყმა იყო იმ გრძნობისთვის, რომელიც მის ცოლს კიდევ შერჩენოდა მისადმი. ოდესღაც, როცა ის ცოტა შეზარხოშებული ან ოდნავ გადაკრული მივიდოდა ხოლმე, ჟერვეზა შემწყნარებლობას იჩენდა, ზიზღს არ გრძნობდა, მაგრამ ახლა უკვე ნამეტანი იყო. გულს ურევდა ქალს. ორ ნაბიჯზედაც ვერ მიეკარებოდა ქმარს. მარტო ფიქრი იმაზე, რომ ეს ბინძური კაცი შესაძლოა შეხებოდა, ისეთ ზიზღს ჰგვრიდა ჟერვეზას, თითქოს მისთვის ეთქვათ, გვერდით მიუწექი ცხედარს, რომელიც შავმა ჭირმა იმსხვერპლაო.

– ლოგინში ხომ უნდა დავწვე, – ბუტბუტებდა ქალი, – ქუჩაში ხომ ვერ წავალ დასაძინებლად?.. ოხ! მირჩევნია ზედ სხეულზე გადავუარო...

ჟერვეზამ სცადა ლოთისთვის გადაებიჯებინა, მაგარმ იძულებული შეიქნა კამოდის კუთხეს მოსჭიდებოდა, რომ სიბინძურეში არ წასხლტომოდა ფეხი. კუპოს სავსებით გადაეღობა საწოლისკენ მისასვლელი გზა. მაშინ ლანტიემ, რომელმაც ოდნავ ჩაიცინა, რადგან კარგად ხედავდა, რომ ქალს ამაღამ საკუთარ ბალიშზე ძილი არ ეწერა, ხელი მოავლო მას და დაბალი და მღელვარე ხმით უთხრა: – ჟერვეზა... გამიგონე, ჟერვეზა...

მაგრამ ქალი მიუხვდა მას, ხელიდან დაუსხლტა გონებადაბნეული და თავის მხრივაც შენობით მიმართა, როგორც ეს ხდებოდა ოდესღაც.

– არა, თავი დამანებე... გევედრები, ოგიუსტ, წადი შენს ოთახში... მე მოვეწყობი როგორმე, გარს მოვუვლი და ავალ საწოლზე...

– ჟერვეზა, გამიგონე, ნუ სულელობ, – იმეორებდა კაცი, – საშინელი სუნი ასდის, შენ აქ ვერ დარჩები... წამო. რისი გეშინია? ეს ვერაფერს გაიგებს.

ქალი იბრძოდა, ენერგიულად იქნევდა თავს უარის ნიშნად. ისე დაიბნა და გაოგნდა, რომ იმის საჩვენებლად, ვითომ მე აქ ვრჩებიო, ტანსაცმელი გაიძრო, სკამზე დააგდო აბრეშუმის კაბა და მხოლოდ პერანგისა და ბოლოკაბის ამარა დარჩა, თეთრად გადაპენტილი, შიშველი ყელითა და მკლავებით. მას ხომ თავისი საწოლი აქვს, არა? მას თავის საწოლზე სურს დაწოლა. ერთიორჯერ კიდევ სცადა სუფთა ადგილი ეპოვა, რომ ზედ გადაევლო. მაგრამ ლანტიე აღარ ეშვებოდა, წელზე ხელი მოხვია და ისეთ რამეებს ეუბნებოდა, რომ სისხლი აედუღებინა მისთვის. ახ! რა შესანიშნავ მდგომარეობაში იმყოფებოდა ეს ქალი: მის წინ ეგდო გალეშილი უქნარა ქმარი, რომელიც მას ხელს უშლიდა, რომ პატიოსნად გახვეულიყო საკუთარ საბანში, ხოლო მის უკან ეს წყეული უნამუსო კაცი, რომელიც მხოლოდ იმას ფიქრობდა, რომ მისი უბედურებით ესარგებლა და კვლავ ხელში ჩაეგდო იგი. რადგან მექუდემ ხმას

აუმაღლა, ქალი შეევედრა მას, გაჩუმებულიყო. ჟერვეზამ ყური მიუგდო, თავი წასწია იმ ოთახისკენ, სადაც ნანასა და კუპოს დედას ეძინათ. პატარა გოგოს და მოხუცს, ეტყობა, მაგრად ეძინათ, რადგან იქიდან ძლიერი ფშვინვის ხმა ისმოდა.

– ოგიუსტ, დამანებე თავი, შენ გააღვიძებ მათ, – მიმართა ქალმა და ხელი ხელს გადააჭდო, – გონება მოიკრიფე, სხვა დროს, სხვაგან... არა აქ, არა ჩემი ქალიშვილის წინაშე...

ლანტიე არაფერს ამბობდა, ის იღიმებოდა მხოლოდ. მერე წყნარად, დინჯად ყურის ძირში აკოცა ქალს ისევე, როგორც ოდესღაც კოცნიდა ხოლმე იმ მიზნით, რომ გაეღიზიანებინა და გაებრუებინა. ქალს უკვე ძალა გამოელია, ძალიან უბჟუოდა თავი, ძლიერმა თრთოლამ დაურბინა სხეულში. თუმცა ერთი ნაბიჯი კიდევ გადადგა მაინც, მაგრამ იძულებული გახდა უკანვე დაეხია. შეუძლებელი იყო ამის ატანა, ისეთი საზიზღრობა იყო, ისეთი ამაზრზენი სუნი ტრიალებდა, რომ ჟერვეზას, შესაძლოა, თვითონაც გული არეოდა. ისე ეძინა, თითქოს ბუმბულზე იყო მოსვენებული პირისახით. მთელი ქუჩა რომ მოსულიყო მისი ცოლის საკოცნელად, ფეხსაც არ გაანძრევდა.

– მით უარესი, – ლუღლუღებდა ჟერვეზა, – ეს მისი ბრალია, მე აღარ შემიძლია... ახ! ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! მან განმდევნა ჩემი ლოგინიდან, მე საწოლი აღარ მაქვს... არა, მე აღარ შემიძლია. ეს მისი დანაშაულია.

ჟერვეზა კანკალებდა, თავგზა ეკარგებოდა და იმ დროს, როდესაც ლანტიე მას თავისი ოთახისკენ უბიძგებდა, პატარა ოთახის შუშაბანდიან კარში ნანას სახე გამოჩნდა. პატარას გამოღვიძებოდა და ჩუმად წამომდგარიყო, პერანგისამარა, ძილისგან გაფითრებული. მან შეხედა მამას, გაგორებულს საკუთარ ნარწყევში. მერე ფანჯრის მინაზე სახემიბჯენილი დარჩა და იცდიდა, სანამ დედამისის ბოლოკაბა მეორე მამაკაცის ოთახში შეიმალა. ნანას ძალიან სერიოზული სახე ჰქონდა. ბიწიერ გოგონას დიდრონი თვალები ავხორცი ცნობისმოყვარეობით უბრწყინავდა.

## თავი მეცხრე

იმ ზამთარს კუპოს დედა კინაღამ სულის ხუთვით მოკვდა. ყოველწლიურად, დეკემბერში მას ასთმა ორი-სამი კვირით მიაკრავდა ხოლმე ლოგინზე. თხუთმეტი წლისა ხომ აღარ იყო, წმინდა ანტონის დღეს სამოცდაცამეტი წელი უსრულდებოდა. ამასთან ძალიან დაძაბუნებულიც იყო. სულ უბრალო მიზეზი კმაროდა, რომ ავად გამხდარიყო, მიუხედავად იმისა, რომ ზორბა იყო და მსუქანი, ექიმმა განაცხადა,

შეიძლება უცებ მოკვდეს, ერთი დაახველოს და ამის წამოძახებაც ვერ მოასწროს: „ღამე მშვიდობისა, სანთელი უკვე ჩაქრა“.

როდესაც კუპოს დედა ლოგინად ჩავარდებოდა, აუტანელი ხდებოდა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ის პატარა ოთახი, სადაც მას და ნანას ეძინათ, მაინცდამაინც დიდად სამხიარულოს არაფერს წარმოადგენდა. მოხუცისა და პატარა გოგოს საწოლებს შუა მხოლოდ ორი სკამისთვის იყო დარჩენილი ადგილი. კედლებზე ნაფლეთებად ეკიდა გახუნებული, ნაცრისფერი შპალერი. ჭერის მრგვალ სანათურში მკრთალი, სუსტი შუქი ჩამოდიოდა, როგორც სარდაფში. აბა, ამ სოროში როგორ არ დაუძლურდებოდა და არ დაბერდებოდა ქალი, რომელიც ისედაც ძლივსღა სუნთქავდა. ღამღამობით, როდესაც მოხუცს უძილობა აწუხებდა, ის მძინარე პატარა ნანას სუნთქვას უგდებდა ყურს და მხოლოდ ამით ერთობოდა. მაგრამ დღე, როდესაც არავინ უჯდა გვერდით, სულ ბუზღუნებდა, ტიროდა, ბალიშზე თავს აქეთ-იქით ატრიალებდა და საათობით მარტოდამარტო დარჩენილი, განუწყვეტლივ იმეორებდა: – ღმერთო ჩემო! რა უბედური ვარ! ღმერთო ჩემო! რა უბედური ვარ!.. სატუსაღოში, დიახ, სატუსაღოში მომკლავენ ესენი.

და თუ ვინმე შემოიხედავდა მის სანახავად, ან ვირჯინია ამოვიდოდა, ან მადამ ბოში და მისი ჯანმრთელობის ამბავს იკითხავდა, ის პასუხის ნაცვლად გაუთავებელ წუწუნს გააბამდა.

– ახ! რა ძვირად მიღირს ის პური, რომელსაც აქ ვჭამ! არა, უცხოებთან ასე არ დავიტანჯებოდი!.. ერთი ფინჯანი ბალახის ნახარში მინდოდა წამლად, გესმით, ერთი! და მთელი დოქით მომიტანეს, თან მისაყვედურეს, ძალიან ბევრს სვამო... ახლა კიდევ ეს ნანა, ბავშვი, რომელიც გამოვზარდე, დილიდანვე ფეხშიშველი გავარდება ოთახიდან და მერე ვეღარ ვხედავ. თითქოს ცუდი სუნი მიდიოდეს! ამავე დროს გოგოს ღამე ფეხგაუნძრევლად სძინავს, ერთს არ გამოიღვიძებს, რომ იკითხოს, ხომ არაფერი უჭირს დიდედას!.. ბოლოს და ბოლოს, მათ ვაწუხებ, ეგენი მხოლოდ იმას უცდიან, როდის ამომძვრება სული. ოხ! მალე იქნება ეგეც. მე ხომ ვაჟიშვილი აღარ მყავს, ამ საძაგელმა მრეცხავმა ქალმა წამართვა იგი. ეგ ქალი გამლახავდა კიდეც, ბოლოსაც მომიღებდა, მართლმსაჯულების რომ არ ეშინოდეს.

ჟერვეზა, მართლაც, ზოგჯერ ტლანქად ექცეოდა დედაბერს. სახელოსნოს საქმეები ცუდად მიდიოდა. ყველა აღრენილ გუნებაზე იყო, ადვილად ბრაზდებოდნენ, და ერთი სიტყვა საკმარისი იყო იმისთვის, რომ ჩხუბი ატეხილიყო. ერთ დილას კუპოს ქეიფის შემდეგ თავი გახეთქაზე ჰქონდა და წამოიყვირა: „ეს დედაბერი სულ გაიძახის, რომ ვკვდებიო და სულ კი ცოცხალია“. ეს სიტყვები პირდაპირ გულში მოხვდა მის დედას. მოხუცს აყვედრიდნენ, რომ მისი შენახვა ძვირი უჯდებოდათ, დამშვიდებით ლაპარაკობდნენ მის გასაგონად, რომ უამისოდ ხარჯები ძალიან შეუმცირდებოდათ. სინამდვილეში მოხუცი ქალი თვითონაც ვერ იქცეოდა ისე, როგორც საჭირო იყო. დაინახავდა თუ არა, მაგალითად, უფროს ქალიშვილს, – მადამ ლერას, – მაშინვე აწუწუნდებოდა, რძალსა და ვაჟიშვილის უჩიოდა, შიმშილით

მკლავენო... და ამას მხოლოდ იმიტომ სჩადიოდა, რომ როგორმე ერთი ოციოდე სუ გამოეცინცლა თავისი ქალიშვილისთვის. ამ ფულს კი სულ ტკბილეულზე ხარჯავდა. საზიზღარი ჭორებითაც უხვევდა თვალს ლორილეებს, უამბობდა, ვითომ მათი ათი ფრანკი იხარჯებოდა სულ მრეცხავი ქალის ახალ-ახალ თავსაბურავებსა, ჩუმად შეჭმულ ტკბილ ნამცხვრებსა და კიდევ უფრო საზიზღარ რამეებზეც, რაც არც კი ითქმის; ორჯერ-სამჯერ მთელ ოჯახს კინაღამ ერთმანეთი აცემინა. კუპოს დედა ხან იმათთან იყო, ხან ამათთან, რის გამოც ერთი ორომტრიალი ატყდებოდა ხოლმე.

იმ ზამთრის ერთ საღამოს, როცა კუპოს დედას ასთმის სასტიკი შეტევა ჰქონდა, მის სარეცელთან შეხვდნენ ერთმანეთს მადამ ლორილე და მადამ ლერა. კუპოს დედამ თვალი ჩაუკრა, რათა მისკენ დახრილიყვნენ. დედაბერს ლაპარაკი უჭირდა და ძლივძლივობით, ოდნავ გასაგონად წამოიხავლა.

– კაი ამბები ხდება!.. მე წარსულ ღამეს ჩემი ყურით გავიგონე. დიახ, დიახ, ჩაუხა და მექუდე... შეუხმატკბილდნენ ერთმანეთს, ერთ ამბავში არიან! კუპოც კაი შვილია! კარგი ამბები ხდება!

დედაბერი ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვებით, ხველებით და სულისხუთვით მოუყვა მათ, რომ ჩემი ვაჟიშვილი, ეტყობა, გახეთქილი მთვრალი დაბრუნდა გუშინ საღამოს და, რადგან მე იმ დროს არ მეძინა, ამიტომ მშვენივრად მესმოდა ყოველი ხმაური: ჩაუხას შიშველი ფეხის ფშლაკუნი იატაკზე, მექუდის სისინა ხმა, რომელიც ამ ქალს იხმობდა, წყნარად გაღებული შუა კარის ხმაური და სხვა დანარჩენი ყველაფერი. ეს ალბათ დილამდე გრძელდებოდა, ხოლო რომელ საათამდე, ეს ზუსტად არ ვიცი, რადგან, მიუხედავად ყველა ღონისძიებისა, ბოლოს, მაინც წამძინებოდაო.

– ყველაზე საზიზღარი ის არის, რომ ნანას შეეძლო ეს გაეგონა, – განაგრძო დედაბერმა, – და მართლაც, ეს გოგო, რომელსაც მკვდარივით სძინავს ყოველთვის, მთელ ღამეს შფოთავდა, წამოხტებოდა, ტრიალებდა ლოგინში, თითქოს ნაკვერჩხლებზე იწვა.

არც ერთ ქალს ეს თითქოს არ გაუკვირდა.

– დასწყევლოს ღმერთმა! – წაიბუტბუტა მადამ ლორილემ, – ეს ალბათ პირველი დღიდანვე დაიწყო... რადგან კუპოს ასე მოსწონს, ჩვენ ვერ ჩავერევით ამ საქმეში. ჩვენ რა გვენაღვლება! თუმცა დიდი სახელის გატეხა კი არის ეს ოჯახისთვის.

– მე რომ იქ ვყოფილიყავი, – ტუჩების კვნეტით წამოიძახა მადამ ლერამ, – იმათ შევაშინებდი, დავიყვირებდი რამეს, სულერთია, რაც იქნებოდა: „მე შენ გხედავ!“ ან უკეთ: „აგერ, ჟანდარმები“... მე ერთი ექიმის მოსამსახურე ქალმა მითხრა, ჩემმა ბატონმა თქვა, ამან შეიძლება უეცრად მოკლას ქალი, როცა იმგვარ მდგომარეობაშიაო. ჟერვეზა რომ ადგილზე დარჩენილიყო, განა ეს კარგი არ იქნებოდა? სასჯელს მიიღებდა იქვე, სადაც შესცოდა!

მალე მთელმა უბანმა შეიტყო, რომ ჟერვეზა ყოველღამე ლანტიესთან შედიოდა. მადამ ლორილეს მეზობლების წინაშე დიდად შეურაცხყოფილად მოჰქონა თავი. იბრალებდა ძმას, ამ ყეყეჩს, რომელსაც თავზე ლაფს ასხამს ცოლი; მე თუ კვლავ დავდივარ ამისთანა ბაზარში, – ამბობდა მადამ ლორილე, – მხოლოდ და მხოლოდ საწყალი დედაჩემისთვის, რომელიც იძულებულია ამ საზიზღარ გარემოში იცხოვროს. მთელი უბანი თავს დაესხა ჟერვეზას, ალბათ ეგ შეაცდენდა მექუდეს, თვალებზე ეტყობაო. დიახ! მაგრამ, მიუხედავად ამ საზიზღარი მითქმა-მოთქმისა, ეს შეჩვენებული ქვეშ-ქვეშა ლანტიე მაინც თვალისჩინად დაურჩა ყველას, რადგან მას კვლავინდებურად რიგიანი კაცის იერი და ქცევა ჰქონდა ყველასთან. ქუჩაში რომ მიდიოდა, ისევ ისე გაზეთი ეჭირა და კითხულობდა, ისევ ისეთი ყურადღებიანი და დარდიმანდი იყო ქალებთან და მუდამ მოეძებნებოდა მათთვის შესათავაზებლად მარმელადი და ყვავილები. ღმერთო ჩემო! მამაკაცი მამაკაცად რჩება მუდამ, ის ხომ მამრია. განა შეიძლება კაცს მოსთხოვო წინააღმდეგობა გაუწიოს ქალს, რომელიც თვითონვე ეკიდება კისერზე? არა, ჟერვეზას არ ეპატიება ეს. მან სახელი გაუტეხა მთელ გუტ-დორის ქუჩას! ლორილეები, ვითარცა ნათლიები, იხმობდნენ თავისთან ნანას, რათა დაწვრილებით შეეტყოთ ყველაფერი, და როდესაც მიხვეულ-მოხვეული გზით ცდილობდნენ გამოეკითხათ, ნანა, ეს პატარა გოგო სულელურ გამომეტყველებას იღებდა და თვალებში ანთებულ ცეცხლს გრძელი წამწამების ქვეშ მალავდა.

ამ საერთო აღშფოთებით გარემოცული ჟერვეზა წყნარად ცხოვრობდა, – დაქანცული და თითქმის ძილში წასული. დასაწყისში ფიქრობდა, ძალიან დამნაშავე და ძალიან ბინძური ვარო, ეზიზღებოდა თავისი თავი. ლანტიეს ოთახიდან რომ გამოვიდოდა, ხელებს იბანდა, ჩვარს ასველებდა და მხრებს იზელდა იქამდე, რომ იკაწრავდა კიდეც, თითქოს ამით სურდა მოეცილებინა ეს ჭუჭყი. როცა მას კუპო დაუწყებდა ხუმრობას და მოფერებას, ის ჯავრობდა, უკან ოთახში მირბოდა და იქ ცახცახით იცვამდა ტანსაცმელს. ასევე ძალიან განიცდიდა, როცა მექუდე ხელს შეახებდა ქმრის ალერსის შემდეგ. მას უნდოდა თვით კანიც გამოეცვალა, როცა მამაკაცს იცვლიდა. მაგრამ ნელ-ნელა ამასაც შეეჩვია. ძალიან მომქანცველი იყო მუდამ ასე დაბანა და გახეხვა. სიზარმაცე მოერია, ღონეც უსუსტდებოდა, და ბედნიერების მოთხოვნილება აიძულებდა, რამდენადაც შეეძლო მეტი სიკეთე და სიტკბო გამოეწურა თვით ამ უსიამოვნებისგანაც კი. ის შემწყნარებელი იყო, როგორც საკუთარი თავის, ისე სხვებისადმი და მხოლოდ და მხოლოდ ამას ცდილობდა, იმდენად კარგად მოეგვარებინა ყველაფერი, რომ საწყენად არავის დარჩენოდა. თუკი ქმარიც კმაყოფილია და საყვარელიც, თუ სახლში ყველაფერი წესრიგშია და დილიდან საღამომდე ხუმრობენ, ყველანი მაძღრად არიან და მხიარულად ტკბებიან ცხოვრებით, მაშ, დასაჩივლიც არაფერი ყოფილა! ყოველ შემთხვევაში, ჩანს, ჟერვეზას არც იმდენად ცუდი რამ ჩაუდენია, რადგან საქმე ასე ყველას სასიამოდ და კარგად მოეწყო. ჩვეულებრივ, ცუდი საქციელისთვის დაისჯებიან ხოლმე. ამრიგად გარყვნილება მას უკვე ჩვეულებად გადაექცა, სმა-ჭამასავით მოწესრიგდა იგი. ახლა ასე იყო: როცა კუპო მთვრალი დაბრუნდებოდა, ჟერვეზა ლანტიესთან მიდიოდა. ეს

კვირაში სამჯერ მაინც ხდებოდა – ორშაბათს, სამშაბათს და ოთხშაბათს. ჟერვეზას განაწილებული ჰქონდა ღამეები. საქმე იმით დაბოლოვდა, რომ უბრალოდ, თუ მესახურავე მაგრად ხვრინავდა, ჟერვეზა მას შუაძილში მიატოვებდა ხოლმე და ტკბილ ძილს განაგრძობდა მეზობელი მამაკაცის ბალიშზე. იმიტომ, რომ ის უფრო სუფთად მიაჩნდა, მის ოთახში უკეთესადაც ეძინა, იქ ისე გრძნობდა თავს, თითქოს, აბაზანა მიიღო. ერთი სიტყვით, ჟერვეზა მიაგავდა კატას, რომელსაც თეთრ საცვალზე უყვარს მოკალათება.

კუპოს დედას არასდროს გაუბედავს ამაზე პირდაპირ ლაპარაკი. მაგრამ ერთი ჩხუბის შემდეგ, როდესაც მრეცხავმა ქალმა მას ხელი წაჰკრა, დედაბერმაც აღარ დაინდო, მოხსნა გუდას პირი და გადაკრული სიტყვებით დაუწყო ლაპარაკი. თქვა, რომ იცნობს ზოგიერთ გამოსულელებულ მამაკაცს და ზოგიერთ მატყუარა, გათახსირებულ ქალსაც. ამაზე უფრო მწარე სიტყვებითაც გაუმასპინძლდა, ძველი მეჟილეტე დედაკაცის დამახასიათებელი გესლიანობით. პირველ ხანებში ჟერვეზა დაკვირვებით მიაშტერდებოდა ხოლმე დედამთილს და პასუხს არ აძლევდა. მერე მანაც დაიწყო პასუხის გაცემა, ოღონდ პირდაპირ ლაპარაკს ერიდებოდა, თავს იცავდა ჩვეულებრივი საერთო ფრაზებით. როცა ქალს ცუღლუტი, ბინძური და ლოთი ქმარი ჰყავს, მას დიახაც ეპატიება სხვაგან ეძებოს სისუფთავე. ჟერვეზა ამაზე კიდევ უფრო შორსაც წავიდა, როცა კუპოს დედას გააგონა, რომ ლანტიე უფრო ადრე იყო და, შეიძლება, უფრო მეტადაც მისი ქმარი, ვიდრე კუპო. განა ის თოთხმეტი წლიდან არ იცნობდა ამ კაცს? განა მისგან არ ჰყავს ორი შვილი? ჰოდა, რა! ამგვარ პირობებში ყველაფერიც ეპატიება, არავის შეუძლია ქვა ესროლოს მას. რასაც ის სჩადის, ბუნების კანონია. სჯობია მოთმინებიდან ნუ გამოიყვანენ, ნუ გააჯავრებენ, თორემ, თუ მან ბოხჩას თავი მოხსნა, ყველას საკადრისს მოახსენებს. გუტ-დორის ქუჩა რა სისუფთავისაც არის, მან კარგად იცის! პატარა მადამ ვიგურუ დილიდან საღამომდე მალაყებს გადადის თავის სანახშირე დუქანში. მადამ ლეონგრი, ბაყალის ცოლი, საკუთარ მაზლთან ცხოვრობს, ერთ ოტროველა და დორბლიან ბიჭთან. მესაათე რომ არის პირდაპირ, აი, ეგ გაპრანჭული ვაჟბატონი, კინაღამ საბრალდებო სკამზე დაჯდა ერთი სისაზიზღრისთვის: თავისივე ქალიშვილს გადაეკიდა, ბულვარზე ნათრევ უტიფარ გოგოს, და ჟერვეზამ ფართო ჟესტით მოხაზა მთელი უბანი. მას ერთი საათი არ ეყოფა, თუ ამ უბნის ხალხის ჭუჭყიანი სარეცხის გაშლა დაიწყო. მხეცებივით ცხოვრობენ ყველანი, ერთიმეორეზე არიან დაყრილნი, მამები, დედები, შვილები, საკუთარ სიბინძურეში კოტრიალებს ყველა! ახ! მან იცის, რომ ეს ღორობა ყოველი მხრიდან ჟონავს და ყველა სახლს სწამლავს ირგვლივ. დიახ! დიახ! აქ, პარიზის ამ კუთხეში, სადაც სიღატაკეს ერთიმეორეზე მიუყრია ისინი. ყველა, ქალიან-კაციანად უნდა შეყარო ერთად, ერთი კირის დუღაბში მოაქციო, და ალუბლის ბაღების გასაპოხიერებლად გამოიყენო სენ-დენის ველზე.

– ჯობს, ჰაერში ფურთხვას თავი დაანებონ, საკუთარ ცხვირზე არ დაეცეთ თავიანთივე ნაფურთხი, – ყვიროდა ჟერვეზა, როცა მოთმინებიდან გამოიყვანდნენ, – იცხოვროს ყველამ ისე, როგორც ნებავს, და კეთილ ხალხსაც თავი დაანებონ; დაე,

იმათაც ისე იცხოვრონ, როგორც სურთ... მე არაფერს ვჩივი. მე კმაყოფილი ვარ, მაგრამ ნებას არ მივცემ, ტალახის გუნდები მესროლონ იმათ, ვინც თვითონ ყელამდე ტალახში არიან ჩაფლულნი.

ხოლო, როდესაც კუპოს დედამ ერთ დღეს უფრო გარკვეულად გამოთქვა თავისი აზრი, მაშინ ჟერვეზამ კრიჭაშეკვრით ჩაულაპარაკა: – თქვენ სარგებლობთ იმით, რომ ლოგინში წევხართ... ძალიან შემცდარი ბრძანდებით, რომ არ გიგრძნიათ, თუ რა კარგი ვიყავი თქვენთვის მუდამ, მე ხომ არასდროს პირში არ მომიხლია თქვენთვის თქვენი წარსული. ოხ! ვიცი, რა მშვენიერიც იყო თქვენი ცხოვრება, ორი თუ სამი მამაკაცი გყავდათ ჯერ კიდევ კუპოს მამის სიცოცხლეშივე... არა, ნუ ახველებთ. მე მხოლოდ იმიტომ ვთქვი, რომ მოსვენება მომცეთ. სულ ეს იყო, მეტი არაფერი.

დედაბერი კინაღამ დაიხრჩო. მეორე დღეს თავისი დედის დავალებით მოვიდა გუჟე, რათა გარეცხილი სარეცხი წაეღო. ჟერვეზა შინ არ იყო, კუპოს დედამ მიიხმო გუჟე, მოისვა საწოლთან და დიდხანს აღარ გაუშვა. მოხუცმა ქალმა კარგად იცოდა მჭედლის მეგობრობა ჟერვეზასთან და ეს ერთი ხანია ამჩნევდა, რომ გუჟე დაღვრემილი და დაღონებული იყო, რადგან ეჭვი ჰქონდა აღებული იმ საზიზღარ ამბებზე, რაც აქ ხდებოდა. დედაბერმა ენის მოსაფხანად და გუშინდელი ჩხუბის გამო შურის საძიებლად, დაუნდობლად აუწყა ამ კაცს სიმართლე, თან ტიროდა და წუწუნებდა, ვითომ დიდად აწუხებდა ჟერვეზას ცუდი ყოფაქცევა. როდესაც გუჟე მისი ოთახიდან გამოვიდა, ფეხზე ძლივს იდგა, კედელს ეყრდნობოდა, სევდა ახრჩობდა, სუნთქვას უკრავდა. მერე, როდესაც ჟერვეზა დაბრუნდა, კუპოს დედამ დაუძახა, ახლავე მადამ გუჟესთან გიბარებენ, სარეცხი უნდა წაუღო, გინდ დაუთოებული იყოს, გინდ არაო. კუპოს დედა ისეთი აღელვებით ლაპარაკობდა, რომ ჟერვეზამ იგრძნო, ამაში რაღაც ჭორების ამბავი და წარმოიდგინა, თუ რა მძიმე სცენა და რა გულის მომკვლელი განცდა ელოდა იქ.

ძალიან გაფითრებულმა, წინდაწინვე მუხლმოკვეთილმა ჟერვეზამ ჩაალაგა კალათში სარეცხი და წავიდა. რამდენმა წელმა განვლო, რაც მას ერთი სუც არ გადაუხდია გუჟეებისთვის. ვალი ოთხას ოცდახუთ ფრანკს შეადგენდა. ყოველ გარეცხვაზე ის ფულს ართმევდა გუჟეებს იმ მიზეზით, რომ უჭირდა. ეს დიდი სირცხვილი იყო მისთვის, რადგან ის თითქოს, მჭედლის მეგობრობით სარგებლობდა და აბრიყვებდა მას. კუპო, რომელიც ახლა უფრო მორიდებული გახდა, დასცინოდა ჟერვეზას და ეუბნებოდა, მჭედელს შეუძლია, სადმე კუთხეში წელზე ხელი მოგიცაცუნოს და გასწორებული ვიქნებითო. მაგრამ ჟერვეზა მიუხედავად თავისი კავშირისა ლანტიესთან, აღშფოთებას გამოთქვამდა ხოლმე და ეტყოდა ქმარს: ნუთუ შენ მანდამდე მიხვედი და მაგ გზით ნაშოვნ პურს შეირგებ?.. არ შეიძლებოდა ამ ქალის წინაშე ავად გეხსენებინათ გუჟე. ნაზი გრძნობა მჭედლისადმი თითქოს უკანასკნელი თავშესაფარი იყო მისი პატიოსნებისა. მუდამ, როცა ჟერვეზას სარეცხი მიჰქონდა ამ კარგ ადამიანებთან, კიბის პირველი საფეხურიდანვე გული ეკუმშებოდა.

– ახ! ეს თქვენა ხართ, ძლივს! – როდესაც კარი გაუღო, მშრალად უთხრა მას მადამ გუჟემ, – თუ სიკვდილი მომენატრება, თქვენ უნდა გაგგზავნოთ მის საძებნელად.

ჟერვეზა შევიდა დაბნეული და ერთი საბოდიშო სიტყვის წამოლუღლუღებაც კი ვერ მოახერხა. ის ახლა აღარ იყო ზუსტი და წესიერი, დანიშნულ დროზე არასოდეს მიდიოდა, კვირაობით აგვიანებდა სარეცხს. სულ აურ-დაურია ყველაფერი თანდათან.

– აგერ, ერთი კვირაა, რაც თქვენი იმედით ვარ, – განაგრძო მემაქმანე ქალმა, – თქვენ კი სულ მატყუებთ, მიგზავნით თქვენ მოწაფე გოგოს და რაღაც ზღაპრებს აბარებთ, რომ ვითომ ჩემს სარეცხზე გიკიდიათ ხელი, რომ იმ საღამოსვე ჩამაბარებთ ან ვითომ უბედურება შეგემთხვათ და სარეცხის ბოხჩა ვედროში ჩაგივარდათ, მე კი მთელი დღე მეკარგება ამის ლოდინში. არაფერს ვხედავ მოტანილს და არ ვიცი, რა ვიფიქრო ხოლმე და რა მოვიმოქმედო. არა, თქვენ კარგად აღარ იქცევით. აბა, ერთი ვნახოთ მაგ კალათაში რა არის. ყველაფერი მაინც არის? მომიტანეთ თუ არა ის წყვილი ზეწარი, რომელიც აგერ ერთი თვეა, რაც თქვენთან არის? ან ის პერანგი მოიტანეთ, რომელიც უკანასკნელი რეცხვის დროს დაგრჩათ?

– დიახ, დიახ, – წაიბუტბუტა ჟერვეზამ, – პერანგი აქ არის! აი!

მაგრამ მადამ გუჟე აღშფოთდა, ეს პერანგი ხომ მისი არ არის და რად უნდა მას სხვისი. მას სარეცხს უცვლიან, ესღა აკლდა სწორედ! ჯერ იყო და, წარსულ კვირას ორი ცხვირსახოცი მიიღო, რომელთაც მისი ნიშანი არ ჰქონდა. სულაც არ ესიამოვნება, ვინ იცის საიდან მოტანილი სარეცხი მიიღო! ბოლოს და ბოლოს, ყველა თავისას დაეძებს!

– ზეწრები სადღაა, – განაგრძო მან. – დაკარგულია, არა?.. კეთილი, ჩემო კარგო, თქვენ როგორც გენებოთ ისე მოაგვარეთ ეს საქმე, და მე კი ჩემი ორი ზეწარი ხვალ დილითვე უნდა მქონდეს, გესმით?!

სიჩუმე ჩამოვარდა. ჟერვეზა საბოლოოდ შეაშფოთა და დააბნია იმ გარემოებამ, რომ მის ზურგს უკან, ნახევრად გამოღებული იყო გუჟეს ოთახის კარი. მჭედელი იქ იყო, ჯერვეზა ამას გრძნობდა და რა სამწუხარო იყო, თუ მას ესმოდა ეს დამსახურებული საყვედურები, რომლებზედაც ჟერვეზას არ შეეძლო პასუხის გაცემა. ჟერვეზა მოიბუზა და უწყინარი სახით, თავჩაღუნული, რაც შეიძლება ჩქარა აწყობდა სარეცხს საწოლზე. მაგრამ ყველაფერი მაშინ გაფუჭდა, როდესაც მადამ გუჟემ სათითაოდ დაიწყო სარეცხის შემოწმება. ის ხელში იღებდა ნაჭრებს და განზე ისროდა მათ.

– ახ! თქვენ ხელი აღარ გივარგათ. ახლა უკვე თქვენი ქება აღარ შეიძლება... დიახ, თქვენ ახლა აჭუჭყიანებთ, აოხრებთ სარეცხს!.. დამიხედეთ ერთი ამ პერანგის გულისპირს, დამწვარია, ნაკეცებს ეტყობა უთოს ნაკვალევი. ახლა ღილები ნახეთ, აწყვეტილია ყველა! მე არ ვიცი ამას რანაირად ახერხებთ, რომ არც ერთი ღილი არ რჩება თავის ადგილას. ოჰ! აი, ბლუზა, რომლის საფასურსაც მე თქვენ არ

გადაგიხდით. შეხეთ ერთი, რას ჰგავს? ჭუჭყი ისევ ზედ აქვს, გაგიფენიათ მხოლოდ და უფრო გაგიჭუჭყიანებიათ კიდეც! გმადლობთ! თუ სარეცხი სუფთაც აღარ იქნება...

მადამ გუჟე შეჩერდა და სარეცხის თვლა დაიწყო. შემდეგ წამოიყვირა: – როგორ? სულ ეს არის, რაც თქვენ მოიტანეთ? ორი წყვილი წინდა აკლია, ექვსი ხელსახოცი, ერთი სუფრა, ტილოები... თქვენ ხომ არ დამცინით? მე შემოგითვალეთ, წამოიღეთ ყველაფერი, დაუთოებული იქნება თუ დაუუთოებელი-მეთქი. თუ ამ ერთ საათში თქვენი შეგირდი გოგო აქ არ გაჩნდება დანარჩენი სარეცხით, ჩვენ წავიჩხუბებთ, მადამ კუპო, მე თქვენ გაფრთხილებთ!

ამ დროს გუჟემ დაახველა თავის ოთახში. ჟერვეზას ჟრუანტელმა დაურბინა ტანში. ოჰ! როგორ ექცევიან მას გუჟეს წინაშე, ჩემო ღმერთო! და ჟერვეზა შუა ოთახს იყო გაჩერებული, შეწუხებული, დარცხვენილი და ჭუჭყიან სარეცხს ელოდა. მაგრამ მადამ გუჟე მას შემდეგ, რაც სარეცხის თვლას მორჩა, წყნარად დაჯდა თავის ადგილას ფანჯარასთან და მაქმანის მოსასხამის დაკერებას შეუდგა.

– შემდეგი სარეცხი? – მოკრძალებით შეეკითხა მას მრეცხავი ქალი.

– არა, გმადლობთ, – მიუგო მოხუცებულმა ქალმა, – ამ კვირას არაფერი იქნება.

ჟერვეზა გაფითრდა. მაშ უარს ეუბნებიან. ამ გარემოებამ სულ მთლად დაუკარგა გონება, და ის იძულებული გახდა სკამზე ჩამომჯდარიყო, რადგან მუხლი ეკეცებოდა. თავდაცვა არც უცდია. მან მხოლოდ ესღა მოახერხა: – მუსიე გუჟე ავად არის?

– დიახ, ვერ არის კარგად, იმის მაგივრად, რომ სამჭედლოში წასულიყო, უკან მობრუნდა, და ახლა საწოლზე წამოწვა და ისვენებს. – როგორც ყოველთვის, შავი კაბით მოსილი მადამ გუჟე სერიოზული კილოთი ლაპარაკობდა, მას გაფითრებული სახე ჰქონდა, მონაზვნის თავსაბური ეხურა, – ლურსმნის მჭედლებს კვლავ შეუმცირეს ხელფასი. ცხრა ფრანკიდან შვიდზე ჩამოიყვანეს იმ მანქანების გამო, რომლებიც ახლა მთელ სამუშაოს ასრულებენ.

მადამ გუჟე უხსნიდა ჟერვეზას, რომ ისინი ახლა ხელმომჭირნეობას იჩენენ ყველაფერში. მადამ გუჟემ კვლავინდებურად თავისი სარეცხი თვითონვე უნდა რეცხოს. ბუნებრივია, ახლა სწორედ დროული იქნებოდა, კუპოებს დაებრუნებინათ მათთვის მისი შვილისგან ნასესხები ფული. მაგრამ მადამ გუჟე, რა თქმა უნდა, მათ სასამართლოს აღმასრულებელს არ გაუგზავნის, რადგან მათ ფულის გადახდა არ შეუძლიათ. სანამ მადამ გუჟე ამ ვალზე ლაპარაკობდა, ჟერვეზა თავჩაღუნული იყო, და თითქოს თვალს ადევნებდა მოხუცი ქალის ყაისნაღის მარდ მოძრაობას, რომლითაც ის ჩავარდნილ თვლებს იღებდა.

– თუმცა, – განაგრძობდა მემაქმანე ქალი, – თქვენ რომ ცოტა შეგეწუხებინათ თავი, უკვე გაასწორებდით ამ ვალს. რადგან დარწმუნებული ვარ, ძალიან კარგადაც ჭამთ

და ბლომადაც ხარჯავთ... თქვენ რომ ათ-ათი ფრანკი გეძლიათ ჩვენთვის ყოველთვიურად...

გუჟეს ხმამ სიტყვა შეაწყვეტიანა.

– დედა! დედა!

როდესაც მადამ გუჟე შვილის ოთახიდან დაბრუნდა და დაჯდა, თითქმის მაშინვე შეცვალა საუბრის საგანი. უეჭველია, მჭედელი შეევედრა მას, ფული არ მოეთხოვა ჟერვეზასთვის. მაგრამ თავისდა უნებურად, ხუთი წუთის შემდეგ მადამ გუჟე კვლავ ამ ვალზე ლაპარაკს დაუბრუნდა. ოხ! მან წინდაწინვე იცოდა, რაც უნდა მომხდარიყო, იცოდა, რომ მესახურავე ლოთობას გადააგებდა სახელოსნოს, და ცოლსაც სწორ გზას ააცდენდა! მის ვაჟს რომ დედისთვის ყური ეგდო, არასოდეს მათ ამ ხუთას ფრანკს არ ასესხებდა. ამჟამად უკვე დაქორწინებულიც იქნებოდა და სევდაც აღარ გამოუხრავდა გულს იმ პერსპექტივით, რომ მთელი სიცოცხლე უბედური უნდა იყოს!.. მადამ გუჟე ღელავდა და დიდი სიმკაცრით სდებდა ბრალს ჟერვეზას, რომ მან კუპოსთან შეთანხმებით გააცურა მისი მიამიტი შვილი. დიახ, არიან ისეთი ქალები, რომლებიც წლების განმავლობაში ფარისევლობენ, და ბოლოს, მაინც სააშკარაოზე გამოდის ხოლმე მათი ცუდი ყოფაქცევა.

– დედა! დედა! – მეორეჯერ დაუძახა მას გუჟემ, ამჯერად უფრო ხმამაღლა.

მადამ გუჟე წამოდგა და, როდესაც უკან დაბრუნდა, კვლავ თავის მაქმანებს მოავლო ხელი და ჟერვეზას უთხრა: – შედით იქ, მას თქვენი ნახვა უნდა.

აცახცახებულმა ჟერვეზამ ღია დატოვა კარი. მას აღელვებდა ეს სცენა, რომელიც თითქოს მათი ნაზი გრძნობის აღიარებას წამოადგენდა მადამ გუჟეს წინაშე. ჟერვეზა პატარა მყუდრო ოთახში გაჩნდა. ოთახის კედლებზე სურათები იყო გაკრული. იქ ვიწრო რკინის საწოლი იდგა, თითქოს ეს თხუთმეტი წლის ბიჭის ოთახი ყოფილიყოს. გოლიათი გუჟე, განადგურებული კუპოს დედის მიერ გამჟღავნებული ამბით, ღონემიხდილი გაჭიმულიყო საწოლის მთელ სიგრძეზე. მჭედელს თვალები დაწითლებული ჰქონდა და მისი ოქროსფერი წვერი ჯერ კიდევ სველი იყო ცრემლებისგან. როგორც ჩანდა, მას გაცოფების პირველ წუთში თავისი საზარელი მუშტი დაერტყა ბალიშისთვის, რადგან გახეული ბალიშისპირიდან ბუმბული ცვიოდა.

– ყური დამიგდეთ, დედაჩემი ცდება, – თითქმის ჩურჩულით უთხრა მან მრეცხავ ქალს, – თქვენ ჩემი არაფერი გმართებთ, მე არ მსურს, რომ ამაზე ილაპარაკონ.

გუჟე წამოიწია და ჟერვეზას შეხედა. მსხვილი ცრემლები მაშინვე თვალებზე მოადგა მჭედელს.

– თქვენ იტანჯებით, მუსიე გუჟე! – წაიბუტბუტა ჟერვეზამ, – რა დაგემართათ? გთხოვთ, მითხარით.

– არაფერი, გმადლობთ, ძალიან დავიღალე გუშინ. მინდა ცოტა წავიძინო.

შემდეგ გუჟემ თავი ვეღარ შეიკავა და მის დაკოდილ გულს კივილი აღმოხდა: – ახ! ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! არასოდეს ეს არ უნდა მომხდარიყო, არასოდეს! თქვენ მე შემომფიცეთ! და ახლა ეს მოხდა. ახ! ღმერთო ჩემო, ეს მეტისმეტად მტანჯავს მე. წადით აქედან.

ის ხელით ანიშნებდა ჟერვეზას, რომ გასულიყო, მაგრამ ვედრებით. ჟერვეზა არ მიახლოებია საწოლს, ისე გავიდა ოთახიდან, თანახმად გუჟეს თხოვნისა. ის გაშტერებული იყო და არაფერი ჰქონდა სათქმელი ისეთი, რაც შვებას მისცემდა გუჟეს გულს. მეორე ოთახში ჟერვეზამ აიღო თავისი კალათა; მაგრამ მაინც არ მიდიოდა, თითქოს სიტყვებს ეძებდა სათქმელად. მადამ გუჟე თავაუღებლივ განაგრძობდა მაქმანების შეკეთებას და ბოლოს, ისევ იმან წარმოთქვა: – ჰოდა, ასე. მშვიდობით. გამომიგზავნეთ ჩემი სარეცხი, შემდეგში გავსწორდებით.

– დიახ, აგრე იყოს! მშვიდობით, – ამოილუღლუღა ჟერვეზამ.

მრეცხავმა ქალმა ნელა გაიხურა კარი, უკანასკნელად მოავლო თვალი ამ სუფთა და წესიერად დალაგებულ ბინას, სადაც ის, თითქოს, თავისი პატიოსნების რაღაც ნაწილს ტოვებდა. სახელოსნოში ჟერვეზა უაზრო სახით დაბრუნდა, როგორც საქონელი ბრუნდება ბოსელში, გამოვლილი გზის შეუმჩნევლად. კუპოს დედა პირველად წამომდგარიყო ლოგინიდან და ღუმლის წინ იჯდა სკამზე. მრეცხავ ქალს ერთი სიტყვითაც საყვედური არ უთქვამს მისთვის. ჟერვეზა მეტისმეტად დაღლილი იყო. ძვლები ჰქონდა დამტვრეული, თითქოს ეცემათ მისთვის. ის ფიქრობდა ცხოვრებაზე, თუ რა მკაცრია იგი, ბოლოს და ბოლოს, რა გადაჭარბებით სასტიკია, სიკვდილიც რომ გსურდეს ამ წუთში, გულს ხომ მაინც შენ თვითონ ვერ ამოიგლეჯ მკერდიდან.

ახლა ჟერვეზას ხელი ჰქონდა ჩაქნეული ყველაფერზე. ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია მთელ ქვეყანას! ასეთი იყო მისი სულიერი განწყობილება. ყოველ ახალ მწუხარებაზე ის მხოლოდ ერთადერთ სიამეს ეძლეოდა: დღეში სამჯერ ჭამდა. სახელოსნო თუნდაც მთლიანადაც დანგრეულიყო, ოღონდ ის ნუ მოჰყვებოდა ამ ნანგრევებში და ხალისით წავიდოდა აქედან, თუგინდ სულ უპერანგოდ. სახელოსნო მართლა ინგრეოდა, მხოლოდ არა უცბად, ერთი დაკვრით, არამედ ნელ-ნელა. ყველა მუშტარი სათითაოდ გაჯავრდა და სხვაგან მიჰქონდათ თავიანთი სარეცხი. მუსიე მადინიე, მადმუაზელ რემანჟუ, თვით ბოშებიც ისევ მადამ ფოკონიეს დაუბრუნდნენ, იქ უფრო მეტი წესიერება იყო. მოსწყინდათ, ბოლოს და ბოლოს, თითო წყვილი წინდის ლოდინი კვირაობით და ისეთი პერანგების ჩაცმა, რომელთაც წინა კვირიდან დარჩენილი ლაქები ისევ ზედ ემჩნეოდა. ჟერვეზა არაფრად აგდებდა ამას და მშვიდობის გზას უსურვებდა მუშტრებს, თან კაი-კაი სიტყვებითაც ამკობდა და ლაპარაკობდა, რომ ძალიან კმაყოფილი ვარ, იმათ უწმინდურებაში მაინც აღარ ვურევ ხელსო. ძალიან კარგი! თუ უნდა, მთელმა უბანმა მიატოვოს იგი, კაი ბლომად ჭუჭყს მოიცილებს

თავიდან. ამასთან, ნაკლები სამუშაოც ექნება. ბოლოს მას მხოლოდ უწესო გადამხდელები შერჩა ხელში, – ქუჩის მეძავი ქალები და მადამ გოდრონი, რომლის სარეცხსაც ამ ქუჩაზე არც ერთი მრეცხავი ქალი ხელს არ ჰკიდებდა, ისეთი მყრალი სუნი ჰქონდა. დაიღუპა სახელოსნო. ჟერვეზა იძულებული გახდა თავისი უკანასკნელი მუშა ქალი, მადამ პიუტუაც გაესტუმრებინა. დარჩა მარტო ელამი ოგიუსტინა, რომელიც, რაც უფრო იზრდებოდა, მით უფრო სულელდებოდა.

ამ ორ ქალსაც არ ჰქონდათ სამყოფი მუდმივი სამუშაო და იძულებული იყვნენ მთელი დღეები უქმად მსხდარიყვნენ ტაბურეტებზე. ეს სრული განადგურება იყო. ბოლოს და ბოლოს, გაკოტრების სუნი დატრიალდა.

ბუნებრივია, სიზარმაცესა და სიღარიბესთან ერთად უსუფთაობაც გაჩნდა. ძნელად საცნობი იყო ახლა ეს ლაჟვარდი, ეს ცისფერი დუქანი, რომელიც ოდესღაც ჟერვეზას სიამაყეს წარმოადგენდა. აღარ ირეცხებოდა მისი ფანჯრის გარსამოსი და ჩარჩოები, და ის ქუჩაში გავლილი ეტლებისგან მოშხეფებული ტალახით მოსვრილიყო. თითბრის მავთულზე კონწიალობდა მხოლოდ საავადმყოფოში გარდაცვლილი კლიენტი ქალების მიერ დატოვებული სამი რუხი ნაჭერი. კიდევ უფრო მეტად საბრალო შესახედაობა ჰქონდა დუქანს შიგნით: ზევით ჭერთან გასაშრობად გაფენილი სარეცხის სინესტეს შპალერები აეძრო. პომპადურის ჩითი მტვრით დამძიმებული აბლაბუდებივით ეკიდა ნაფლეთებად, ხოლო დამტვრეული და დაცხავებული ღუმელი ხარახურით მოვაჭრის დუქანში დაყრილ ძველი რკინეულის გროვას ჰგავდა, საუთოებელ მაგიდას ისეთი შესახედაობა ჰქონდა, თითქოს ზედ მთელ გარნიზონს უსადილიაო, ყავისა და ღვინის ლაქებით იყო დაფარული, ზედ გაგლესილი ჰქონდა მურაბის წვენი და ყოველდღიური ქეიფის შემდეგ დარჩენილი ჭუჭყი. ამას დაუმატეთ ამჟავებული სახამებლის მწვავე სუნი, ობის, ხრაკისა და ქონის სიმყრალე. მაგრამ ჟერვეზა მშვენივრად გრძნობდა თავს ამ გარემოში. ვერ ამჩნევდა, რომ დუქანი გაჭუჭყიანდა. მოეშვა, ჭუჭყში ჩაეფლო, შეეჩვია დაგლეჯილ შპალერს და გაქონილ ავეჯს ისევე, როგორც დაგლეჯილი კაბის ტარებას და დაუბანელ პირს. თვით ეს სიბინძურე თბილი ბუდე იყო, სადაც მან სიამოვნებით მოიკალათა. ყველაფერი ალალბედზე იყო მიგდებული, მიყრილ-მოყრილი; იმის ცქერა, თუ როგორ ავსებდა მტვერი ყველა ნაჩვრეტს, და ხავერდის ხალიჩად იფინებოდა ყველგან, გრძნობა, რომ მის ირგვლივ უსაქმურობაში გარინდული სახლი მძიმდებოდა, დამათრობელ ნეტარებად ევლინებოდა ჟერვეზას. ოღონდ თვითონ ყოფილიყო მშვიდად, თორემ დანარჩენზე თვალს ხუჭავდა. აღარ აწუხებდა ვალები, რომელიც ამასობაში თანდათან უფრო გაიზარდა. დაკარგა პატიოსნება. ვალი გადახდილი იქნებოდა თუ გადაუხდელი, ბუნდოვნად ქცეულიყო. ჟერვეზას ერჩია სულაც არ ეფიქრა ამაზე. როცა ერთ დუქანში უარს ეტყოდნენ ნისიაზე, იქვე გვერდით, მეორე დუქანში გადადიოდა. მთელი უბანი გადაჭამა. ყოველ ათ ნაბიჯზე მოვალე ჰყავდა. მთელ გუტ-დორის ქუჩაზე გავლას ვეღარ ბედავდა, წინ ვერავის გაუვლიდა, – ვერც მენახშირეს, ვერც ბაყალს და ვერც მემწვანილეს. იძულებული ხდებოდა, პუასონიერის ქუჩით შემოევლო ხოლმე, თუ სამრეცხაოში მიდიოდა, რაც

ერთი ათიოდე წუთით აგვიანებდა. საქონლის მიმწოდებელნი არამზადას უწოდებდნენ. ერთ საღამოს იმ კაცმა, რომელმაც ჟერვეზას ავეჯი მიჰყიდა ლანტიესთვის, მეზობლები და მთელი უბანი აიკლო ყვირილით, ჟერვეზას ემუქრებოდა: ვალი დამიბრუნოს, თორემ მაგ დედაკაცს ერთი კარგად შევანჯღრევ და ისე ამოვიგებ ჩემს ფულსო. რა თქმა უნდა, ამგვარი სცენების დროს ჟერვეზა კანკალებდა, მაგრამ მერე ერთს შეიბერტყდა ნაცემი ძაღლივით, და მორჩა! ეს იყო და ეს, ვითომც არაფერი მომხდარა, ისევ გემრიელად ისადილებდა. რა გულს უწყალებენ ეს უტიფრები. არა აქვს ფული და რა ქნას, თვითონ ხომ ვერ მოჭრის! გარდა ამისა, ვაჭრები იმდენს იპარავენ, რომ უნდა იცადონ კიდეც, ამისთვის არიან გაჩენილი! ჟერვეზას დამშვიდებით ეძინა სოროში და ცდილობდა, არ ეფიქრა იმაზე, თუ ხვალინდელი დღე რას მოუტანდა. რა იქნება? დაკარგავს, რაც აბადია და ჯანდაბას! მანამდე მაინც ნურავინ შეაწუხებს.

ამასობაში კუპოს დედა გამოკეთდა. სახელოსნოც ერთი წლის განმავლობაში როგორღაც მიღოღავდა, ზაფხულობით, ბუნებრივად, მუდამ ცოტა უფრო მეტი სამუშაო იყო, – გარე ბულვარებზე მოსეირნე ქალების თეთრი ბოლოკაბები და პირკალის კაბები. სახელოსნო ნელ-ნელა მიდიოდა დაქვეითებისკენ, ყოველი ახალი კვირა უფრო მეტ ჭუჭყში ფლავდა მას. იყო ამაღლების და ძირს დაშვების ხანაც. ერთ საღამოს თუ კუჭი შიმშილით ეწვოდათ, მეორე საღამოს ხბოს ხორცით სკდებოდნენ. ქვაფენილზე ხშირად ნახავდით კუპოს დედას, რომელიც წინსაფრის ქვეშ მალავდა ბოხჩებსა და მოსეირნე ადამიანის ნაბიჯით მიემართებოდა ლომბარდში პოლონსოს ქუჩაზე. ის მიდიოდა წელში წახრილი, წირვაზე მიმავალი ღვთისმოსავი ქალის ჩაშაქრული, მსუნაგი გამომეტყველებით და სახეზე კმაყოფილება ეხატა, რადგანაც სულაც არ ეჯავრებოდა ეს სიარული და ფულისთვის ფუსფუსი. ეხალისებოდა ნაჭერ-ნუჭრებით ვაჭრობა და ჩალიჩი. პოლონსოს ქუჩის მოხელეები ძალიან კარგად იცნობდნენ მას. ისინი ამ მოხუც ქალს დეიდა ოთხ ფრანკს უწოდებდნენ, ვინაიდან კუპოს დედა მათ მუდამ ოთხ ფრანკს სთხოვდა იმ დროს, როდესაც ერთ ციცქნა რაღაცაში მხოლოდ სამ ფრანკს სთავაზობდნენ.

ჟერვეზა მზად იყო მთელი სახლი ბაზარში გაეტანა. იგი ლომბარდის გიჟი იყო, საკუთარ თმასაც კი მისცემდა გასაკრეჭად, თუკი დაიგირავებდნენ. ნივთების გირაოდ მიცემა ლომბარდში ძალიან ხერხიანი, გამოსადეგი საშუალება იყო. ფულის საშოვნელად იქ წასვლას ხომ ვერავინ დაუშლიდათ და ამით უზრუნველყოფილი ჰქონდათ ოთხი გირვანქა პური. მთელი ბარგი-ბარხანა ლომბარდში წავიდა: საცვალი, ტანისამოსი, ჭურჭელი და თვით ავეჯიც კი. თავდაპირველად ჟერვეზა ყოველ შემოსავლიან კვირის ხელფასს დაგირავებული ნივთების გამოსახსნელად იყენებდა, ოღონდ იმ პირობით, რომ შემდეგ კვირას კვლავ დაეგირავებინა ისინი. მან უკვე ხელი ჩაიქნია თავის ქონებაზე, დასაღუპად გაიმეტა ყოველივე და ლომბარდის ქვითრებით ვაჭრობა დაიწყო. მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაეწვა გული, როცა ბუხრის საათის დაგირავება დასჭირდა, რათა ოცფრანკიანი მიეცა სასამართლოს აღმსრულებლისთვის, რომელიც მისი საოჯახო ნივთების ასაწერად მოსულიყო.

მანამდე ფიცი ჰქონდა დადებული, რომ შიმშილით მოკვდებოდა, ვიდრე თავის საათს ახლებდა ხელს. როდესაც კუპოს დედამ ქუდების პატარა კოლოფში ჩადებული საათი წაიღო, ჟერვეზა სკამზე დაეშვა ხელებმოწყვეტილი, თვალცრემლიანი, თითქოს მთელი ქონება წაართვეს. მაგრამ, როდესაც კუპოს დედამ ოცდახუთი ფრანკი მოიტანა, ამ მოულოდნელმა სესხმა და ზედმეტად მიღებულმა ხუთფრანკიანმა ანუგეშა ჟერვეზა. მან მაშინვე გაგზავნა დედაბერი ოთხ სუდ ღირებული ჭიქა არყის მოსატანად, მხოლოდ იმიტომ, რომ ზედმეტად ასი სუს მიღება ედღესასწაულათ. ახლა ხშირად, როცა ერთმანეთში კარგი განწყობილება ჰქონდათ, ეს ქალები დასაუთოებელი მაგიდის კუთხესთან მიმსხდრები წრუპავდნენ არაყს. ეს იყო ნარევი, ნახევარი მოცხარის ნაყენი, ხოლო ნახევარი სუფთა ნახადი. კუპოს დედა ძალიან მოხერხებული იყო. წინსაფრის ქვეშ ამოფარებულ სავსე ჭიქას ისე მოიტანდა, რომ ერთ წვეთს არ დაღვრიდა. რა საჭირო იყო, რომ ეს მეზობლებს სცოდნოდათ? თუმცა სინამდვილეში მეზობლებმა ეს ძალიან კარგად იცოდნენ. მემწვანილე ქალი, სახაშე დუქნის დიასახლისი და საბაყლო დუქნის ბიჭები იტყოდნენ ხოლმე: „ოჰო, დედაბერი დეიდაჩემთან წავიდა“. ან კიდევ: „ოჰო! დედაბერს ჯიბით მოაქვს თავისი სახუხი“. სამართლიანად, ეს უფრო მეტად ამხედრებდა მთელ უბანს ჟერვეზას წინააღმდეგ. ყველაფერს სანსლავს და მალე ბოლოს მოუღებს თავის სახელოსნოს. დიახ, დიახ! ერთი სამი-ოთხი ყლუპი კიდევ და, პირწმინდად მოისპობა ყველაფერი, ნამცეცი აღარაფერი დარჩებაო.

ამ საერთო ნგრევის გარემოში კუპო ჩინებულად გრძნობდა თავს. ამ წყეულ ლოთბაზარას არაყი და შაბიამნის ნაყენი ასუქებდა კიდეც. ბლომად ჭამდა და ძაღლად არ აგდებდა გალეულ ლორილეს, რომელიც ირწმუნებოდა, სასმელი ადამიანს ღუპავსო. კუპო ამის საპასუხოდ მუცელზე ხელს ირტყამდა, კანი ღიპზე ისე ჰქონდა გადაჭიმული, როგორც დაირის ბუშტი. ეს მუცელზე ხელის ტყაპუნი ისეთი მუსიკა იყო, ისეთი ახმაურებული რეკლამა, რომ ვის არ გამოადგებოდა. მაგრამ ღიპის უქონლობით გაბრაზებული ლორილე ამბობდა, ეს ქონი ყვითელია, საღი არ არისო. მაგრამ კუპო ამას არად დაგიდევდა. ის კიდევ უფრო მეტად თვრებოდა საკუთარი თავის სადღეგრძელოდ. მისი შეჭაღარავებული თმა ქარის ერთ შემობერვაზე შეიძლება გიზგიზით აბურბურებულიყო, მისი ლოთური სიფათი მაიმუნისებური ყბებით თანდათან უფრო დაიშაშხა და მოლურჯო ღვინის ელფერი მიიღო. მაგრამ ის კვლავ ბავშვურად მხიარული იყო. ცოლს მუჯლუგუნებს ჰკრავდა, როდესაც ჟერვეზა თავისი გაჭირვების ამბავს მოუყვებოდა. განა მამაკაცები იმისთვის არიან გაჩენილი, რომ ამგვარ სისულელეებზე იფიქრონ? სამზარეულოში პური არ არის, ეს რა იმისი საქმეა? მას დილა-საღამოს თავისი საკვები უნდა ჰქონდეს, ხოლო საიდან ჩამოუვარდებოდა ეს საჭმელი, ამაზე არ ზრუნავდა. როცა თვეობით უმუშევრად იყო, მაშინ უფრო მეტად მომთხოვნი ხდებოდა, თუმცა ლანტიეს, კვლავინდებურად, მუდამ მეგობრულად მხარზე ხელს ურტყამდა. ეჭვგარეშე იყო, მან თავისი ცოლის ცუდი ყოფაქცევის ამბავი არ იცოდა. ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთები, როგორც მაგალითად ბოშები, პუასონები თავგამოდებით ირწმუნებოდნენ, მას ეჭვიც არ აქვს მიტანილი, თორემ ეს რომ შეიტყოს, დიდ უბედურებას დაატრიალებსო. მაგრამ მადამ

ლერა, – კუპოს ღვიძლი და, – თავს აქეთ-იქით აქნევდა და ამბობდა, ვიცნობ ისეთ ქმრებს, რომლებსაც ეს არაფრად მიაჩნიათო. ერთ ღამეს თვით ჟერვეზასაც, როცა ის მექუდის ოთახიდან გამოდიოდა, ძარღვებში სისხლი გაეყინა, რადგანაც სიბნელეში საჯდომზე მაგარი დარტყმა იგრძნო. ბოლოს თვითონვე დაარწმუნა თავი, რომ საწოლის ზურგს მიეჯახა უცაბედად. მართლაც, მდგომარეობა მეტისმეტად საზარელი იყო. მისი ქმარი ამაში გასართობს და სალაზღანდაროს ვერაფერს ნახავდა.

არც ლანტიე ცხოვრობდა ცუდად. ის ძალიან უფრთხილდებოდა და უვლიდა თავს, შარვლის ზონრით ზომავდა მუცელს მუდმივი შიშით, რომ ქამრის ბალთის არც მოჭერა და არც მოშვება არ დასჭირვებოდა. კმაყოფილი იყო თავისი გარეგნობით, კოხტაობდა და ამიტომ არც ძალიან გასუქება უნდოდა და არც ძალიან გახდომა. ამავე მიზეზით ჭამაში წუნია იყო, თითოეულ თავ საჭმელს იმის მიხედვით არჩევდა, თუ როგორ იმოქმედებდა იგი მისი წელის ზომაზე: ეს ზომა არ უნდა შეცვლილიყო. მაშინაც კი, როცა ოჯახში ერთი სუც არ მოიძებნებოდა, მისთვის უნდა ყოფილიყო კვერცხიც, კატლეტიც და ყველაფერი ნოყიერი და მსუბუქი. მას შემდეგ, რაც დიასახლისი მას და ქმარს სანახევროდ ჰყავდა, ლანტიე ამ ოჯახში თავს ყველაფერში მონახევრედ მიიჩნევდა: ფულს ხელს მოავლებდა, თუ ის ცუდად იდო, ჟერვეზას ტუქსავდა, ბუზღუნებდა, ყვიროდა და, საერთოდ, ის უფრო მეტად მოჩანდა ამ სახლის უფროსად, ვიდრე თვით მესახურავე. ერთი სიტყვით, ამ სახელოსნოს ორი მეპატრონე ჰყავდა და შემთხვევითი მეპატრონე უფრო გაქნილი და მოხერხებული იყო. ის საბანს თავის მხარეს ეწეოდა და ყველაფერს თავს ხდიდა, – ქალი იქნებოდა ეს, სუფრა თუ სხვა დანარჩენი. დიახ! კუპოების ოჯახში ის ნაღებს ხდიდა. მან დაკარგა მორიდება, საქვეყნოდ დღვებდა და იღებდა კარაქს. მხოლოდ ნანა ჰყავდა ყველასგან გამორჩეული, რადგან მას პატარა, ლამაზი გოგონები უყვარდა. სულ უფრო და უფრო ნაკლებს ზრუნავდა ეტიენზე და ამბობდა, ბიჭი თვითონვე უნდა იკაფავდეს გზას ცხოვრებაშიო. კუპოს მოსაკითხად თუ მივიდოდა ვინმე, მუდამ ლანტიე დაუხვდებოდა; ფოსტლებში, უპიჯაკოდ, უკანა ოთახიდან გამოვიდოდა ისეთი უკმაყოფილო სახით, თითქოს, ის იყო ოჯახის უფროსი, ქმარი, რომელიც შეაწუხეს. და კუპოს მაგივრად პასუხს ის აძლევდა, თანაც უმატებდა, ეს სულერთია, – მე ვიქნები თუ ისო.

ამ ორ ვაჟბატონს შუა ჟერვეზას ყოფა დიდად სამხიარულოს არაფერს წარმოადგენდა. მადლობა ღმერთს, ჯანმრთელობას კი ვერ დაემდურებოდა. ჟერვეზაც მეტისმეტად გასუქდა. მაგრამ ზურგზე აკიდებული ორი მამაკაცის მოვლა-პატრონობა და მათი დაკმაყოფილება, ხშირად მის ძალ-ღონეს აღემატებოდა. ოხ! უზენაესო! ჯერ ერთი ქმარი რა არის, სიქას გაგაგდებინებს, და ორი რაღა უნდა იყოს?! ყველაზე უარესი ის იყო, რომ ეს ორი უქნარა ძალიან იყვნენ ერთმანეთთან შეხმატკბილებული. არასოდეს ჩხუბობდნენ. საღამოობით, სადილის შემდეგ, მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილები, პირში შეჰყურებდნენ ერთმანეთს და შესცინოდნენ. მთელი დღის განმავლობაში ეხახუნებოდნენ ერთმანეთს კატებივით, რომლებიც მხოლოდ საკუთარ სიამოვნებას დაეძებენ. ხოლო იმ დღეებში, როცა ისინი აღრენილ გუნებაზე დაბრუნდებოდნენ

შინ, ორივენი ჯავრს ჟერვეზაზე იყრიდნენ. აბა, მიდი და დაარტყი ერთი მაგ სულელს. ჟერვეზას კარგი ზურგი ჰქონდა, როცა ისინი ერთად ლანძღავდნენ ქალს, თითქოს ამით მათი მეგობრობა მტკიცდებოდა. ჟერვეზას უკმეხად არ უნდა ეპასუხა მათთვის. თავდაპირველად, როცა ჟერვეზას ერთი მათგანი უყვიროდა, ის თვალით მეორეს ევედრებოდა, რათა მეგობრული დახმარების ერთი სიტყვა მაინც დაეცდინა მისთვის, და გამოჰქომაგებოდა. მაგრამ, ჩვეულებრივ, ამით მიზანს ვერ აღწევდა. ახლა ჟერვეზა დაწყნარდა, დამორჩილდა, უსიტყვოდ მიუშვერდა ხოლმე მსუქან ბეჭებს, რადგან იგრძნო, რომ მათ სიამოვნებდათ მისი ჯიჯგნა, ის ხომ ბურთივით ჩამრგვალებულიყო. ყიამყრალი კუპო მას საზიზღარი, უშვერი სიტყვებით უმასპინძლდებოდა, ლანტიე კი, პირიქით, შერჩევით ამბობდა სისულელეებს და ისეთ სიტყვებს ძებნიდა, რომელთა წარმოთქმაც არავის მოაფიქრდებოდა და ეს მით უფრო შეურაცხმყოფელი და გულსაკლავი იყო ჟერვეზასთვის. საბედნიეროდ, ადამიანი ყველაფერს ეჩვევა. დაბოლოს, ამ ორი კაცის ურიგო სიტყვები და უსამართლო ლანძღვაც ისე ცურდებოდა ჟერვეზას ნაზ კანზე, როგორც მუშამბაზე. ქალი იქამდე მივიდა, რომ ერჩივნა ისინი გაჯავრებულები ყოფილიყვნენ, რადგან იმ შემთხვევაში, როცა კარგად ეპყრობოდნენ, უფრო მეტად უხუთავდნენ სულს, სულ თავს დასტრიალებდნენ და შესაძლებლობას არ აძლევდნენ ერთი თავსაბური მაინც გაეუთოებინა დამშვიდებით. გარდა ამისა, თვალებში უნდა ეცქირა მათთვის, ყველაფერი ისე ეკეთებინა, როგორც მათ ესიამოვნებოდათ. ჭამაშიც მიზეზიანები იყვნენ, ზოგს მარილიანს ითხოვდნენ, ზოგს უმარილოს, ზოგს შავს, ზოგს თეთრსა და უნდა ენებივრებინა ორივენი და მერე ბამბებში თბილად გახვეული მოესვენებინა. კვირის ბოლოს ჟერვეზას თავი უბჟუოდა, სახსრები ჰქონდა დამტვრეული, გამოჩერჩეტებული იყო და გიჟივით ატრიალებდა თვალებს.

დიახ! კუპომ და ლანტიემ გაცვითეს სწორედ იგი, ილაჯი გაუწყვიტეს. სანთელივით ორივე მხრიდან სწვავდნენ ქალს. მესახურავე რეგვენი იყო უსათუოდ. სამაგიეროდ, მექუდე – მეტისმეტად განვითარებული ან, ყოველ შემთხვევაში, ისე იყო განვითარებული, როგორც თეთრი პერანგის მქონე უსუფთაო ადამიანი, რომელიც ქვეშ ჭუჭყს ფარავს.

ერთ ღამეს ჟერვეზას დაესიზმრა, რომ ჭის პირას დგას. კუპო მუშტის წაკვრით აგდებს შიგ, ხოლო ლანტიე წელზე უღიტინებს, რათა უფრო მალე ჩაახტუნოს ჭაში. ჰოდა! ეს სწორედ მის ცხოვრებას ჰგავდა. ახ! ჩინებულ სკოლაში იყო, და გასაკვირიც არაფერი იქნებოდა, თუ გაპირუტყვდებოდა. მათი უბნის ხალხი უსამართლოდ ჰკიცხავდა ჟერვეზას ცუდი ყოფაქცევისთვის, რადგან ამ უბედურების მიზეზი თვითონ ის არ იყო. ხანდახან როცა ჟერვეზა ჩაფიქრდებოდა, ჟრუანტელი დაურბენდა ხოლმე. შემდეგ კი გაიფიქრებდა, ხომ შეიძლება უარესიც მოხდესო. მაგალითად, სჯობდა ორი ქმარი ჰყოლოდა, ვიდრე ორივე ხელი წართმეოდა. ჟერვეზას ბუნებრივად მიაჩნდა თავისი მდგომარეობა. რამდენია ასეთსავე მდგომარეობაში! და ის ცდილობდა ცოტაოდენი ბედნიერება მაინც შეეტანა ამგვარ ყოფაში. თუ რამდენად ხათრიანი, დამყოლი და გულკეთილი იყო ჟერვეზა, ის გარემოება ამოწმებს, რომ მას

არც ერთი მათგანი არ სძულდა, არც კუპო და არც ლანტიე. ერთხელ მან თეატრ „გეტეში“ ნახა, რომ ერთმა უსაქციელო, საზიზღარმა დედაკაცმა ქმარი მოწამლა საყვარლისთვის. ჟერვეზა გაჯავრდა, რადგან თვითონ არაფერს გრძნობდა ამისთანას. განა უფრო გონიერი არ იყო შეთანხმებით, სიამტკბილობაში ეცხოვრათ სამივეს? არა, არა! ოღონდ ეს სისულელეები ნუ იქნება. ეს მხოლოდ არევ-დარევას შეიტანს ცხოვრებაში, რომელიც ისედაც არ არის მაინცდამაინც ტკბილი! საბოლოოდ, ჟერვეზა, მიუხედავად ვალებისა, მიუხედავად სიღატაკისა, რომელიც მას მოელოდა, ძალიან დამშვიდებული და კმაყოფილი გამოჩნდებოდა, მესახურავესა და მექუდეს რომ არ მოექანცათ ასე და ნაკლები ლაძღვა ჰქონოდა მათგან.

საუბედუროდ, შემოდგომის დასაწყისში ამ ოჯახს უფრო ცუდად წაუვიდა საქმეები. ლანტიე ჩიოდა, გავხდიო და ყოველდღე ცხვირჩამოშვებული დადიოდა. ყველაფრის გამო ჯაჯღანებდა, კარტოფილის შეჭამანდზე გულაზიზღებით ფრუტუნებდა, ეს სალაფავი ისე ვერ შემიჭამია, – ამბობდა ის, რომ მუცლის გვრემა არ დამემართოსო. ახლა სულ მცირედი წაკინკლავება კმაროდა, რომ ბოლოს დიდ აყალმაყალსა და წეწვა-გლეჯაში გადასულიყო, რომლის დროსაც ერთმანეთს აბრალებდნენ ოჯახის დაღუპვასა და განიავებას. ეს მუდმივი აურზაური და ჩხუბი მანამდე გრძელდებოდა, სანამ სათითაოდ თავს არ წაჰყოფდნენ ლოგინში დასაძინებლად. როცა ვირებს თივა გამოელევათ, მაშინ დაუშენენ ხოლმე ერთმანეთს წიხლებს. ასე არ არის, განა? ლანტიემ ყნოსვით იგრძნო, რომ საქმე ძალიან ცუდად იყო. იგი გაბრაზებით გრძნობდა, რომ მთელი ქონება უკვე შეჭმულია, მოწმენდილ-მოლოკილია ყველაფერი, და წინდაწინვე სჭვრეტდა იმ დღეს, როდესაც ხელში ქუდის აღება დასჭირდებოდა, რათა წასულიყო აქედან და სხვაგან მოეძებნა ახალი ბუდე და სასმელ-საჭმელი. ის ძალიან შეეგუა თავის სოროს, იქ თავისი პატარა ჩვევები შეიძინა, ყველა მას ანებივრებდა. სადღა ნახავდა ამისთანა განცხრომას! ვაჰ! განა შეიძლება სადმე ასე ყელამდე სავსე იყო საჭმლით და კიდევ ნაჭრები გელაგოს თეფშზე? ყოველ შემთხვევაში, ის მუცელს უნდა გასწყრომოდა, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ამ სახლის ქონება მის მუცელში იყო მოქცეული. მაგრამ იგი ასე არ მსჯელობდა. სხვებზე იყო გაბოროტებული, ეს როგორ მოუვიდათ, რომ ორ წელიწადში გაანიავეს სახლ-კარი. არა, წელმაგარი ხალხი არ ყოფილა ეს კუპოები! ამავე დროს ის ყვიროდა, რომ ჟერვეზა არ იყო ხელმომჭირნე. დალახვროს ღმერთმა! რაღა ეშველებათ ახლა? მეგობრებმა სწორედ იმ დროს მიატოვეს, როდესაც შესანიშნავ საქმეს აწყობდა, ექვსი ათასი ფრანკი ჯამაგირი ექნებოდა ფაბრიკაში და ფუფუნებაში აცხოვრებდა მთელ ამ პატარა ოჯახს!

დეკემბრის ერთ საღამოს მათ არაფერი ჰქონდათ სადილად. ერთი თავი ბოლოკი არსად ეგდო. მოღუშული ლანტიე დილაადრიან გადიოდა გარეთ და ქუჩას ტკეპნიდა იმ მიზნით, რომ მოეძებნა სხვა ისეთი თავშესაფარი, რომლის სამზარეულოს სუნიც სახეზე ნაოჭს არ ტოვებს. ის საათობით იდგა მექანიკურ სახელოსნოსთან და ფიქრობდა. მერე უეცრად უდიდესი მეგობრობის გრძნობით განიმსჭვალა პუასონებისადმი, პოლიციელს სამასხარაო სახელს, ბადენგს უკვე აღარ უწოდებდა და

იქამდეც მივიდა, რომ ეთანხმებოდა პუასონს, შეიძლება იმპერატორი კარგი ბიჭიც იყოსო. ლანტიე თითქოს განსაკუთრებული პატივისცემით ექცეოდა ვირჯინიას, რომელზედაც ლაპარაკობდა, თავიანი ქალია, ძალიან კარგად უძღვება საქმესო. ნათლად ჩანდა, რომ ის ბადეში ხვევდა პუასონებს. ისიც შეიძლებოდა გეფიქრათ, რომ მათთან საცხოვრებლად გადასვლასაც აპირებდა. მაგრამ ლანტიეს სულ სხვა ორმაგი ანგარიში ჰქონდა თავში. გაცილებით ამაზე უფრო რთული. მას შემდეგ, რაც ვირჯინიამ გაუზიარა თავისი სურვილი, – მინდა ვაჭრობას მივყო ხელიო, ლანტიე სულ მის წინ ტრიალებდა და ეუბნებოდა, რომ ეს საუცხოო პროექტია. დიახ! ვირჯინია სწორედ ვაჭრობისთვის არის გაჩენილი: მაღალი, წამოსადეგი, აქტიური. ოხ! ვირჯინია ყოველთვის მიაღწევს იმას, რასაც მოისურვებს, ვინაიდან მას უკვე კაი ხანია მზად აქვს ფული, ერთ-ერთი დეიდის მემკვიდრეობა. ვირჯინია ძალიან გონივრულად მოიქცევა თუ წელიწადში ოთხი კაბის ჩხლართვას თავს მიანებებს და ვაჭრობას მიჰყოფს ხელს. ლანტიე სათითაოდ ჩამოუთვლიდა ხოლმე ვირჯინიას იმ ადამიანებს, რომლებიც მზად იყვნენ გაეყიდათ თავიანთი დუქნები დახლის მთელი ხარახურით. ეს იყო, მაგალითად, მემწვანილე ქალი ქუჩის კუთხეში. ქაშანურის ჭურჭლის პატარა სავაჭრო დუქანი გარე ბულვარზე. დრო საუკეთესო იყო. მაგრამ ვირჯინია ყოყმანობდა: დუქნის დაქირავება კი სწადდა, მაგრამ ამ უბნიდან წასვლა არ უნდოდა. მაშინ ლანტიემ ცალკე კუთხეში გაიხმო ის და ერთი ათ წუთს ჩუმი ხმით ელაპარაკა. ეტყობოდა, ლანტიე რაღაცაში ძალისძალათი არწმუნებდა მას. ვირჯინიაც თითქოს უარზე არ იყო, და თითქოს დაავალა კიდეც ლანტიეს, ემოქმედა. მათ გაუჩნდათ საიდუმლო, რომელიც მჟღავნდებოდა ერთმანეთისთვის თვალის ჩაკვრაში, სწრაფ ჩალაპარაკებაში, და თვით ხელის ჩამორთმევაშიც იგრძნობოდა, რომ რაღაც ბნელი მაქინაცია მზადდებოდა. ამ დროიდან დაწყებული, მექუდე ხმელ პურს შეექცეოდა და თან კუპოებს ჩუმ-ჩუმად თვალყურს ადევნებდა. ამასთან ძალიან ენაწყლიანი გახდა და ამ ოჯახს აბრუებდა თავისი გაუთავებელი იერემიადებით[28]. მაელი დღის განმავლობაში გულს უწყალებდა ჟერვეზას მათ სიღატაკეზე ლაპარაკით. დიდებულო ღმერთო! ის ხომ თავის თავზე არ ფიქრობს! მზად არის შიმშილით სული ამოხდეს მეგობრებთან ერთად, მაგრამ კეთილგონიერება მოითხოვს სწორი ანგარიში გაეწიოს შექმნილ მდგომარეობას. სულ ცოტა, ხუთასი ფრანკი მაინც მართებით მთელ უბანში, მეპურის, მენახშირის, ბაყალის და კიდევ სხვა დანარჩენებისა. ამას დავუმატოთ ისიც, რომ ბინის ქირა არ არის გადახდილი. ორი ვადაა გამოტოვებული, ესეც ორას ორმოცდაათ ფრანკს შეადგენს. სახლის პატრონი მუსიე მარესკო ამბობს, სახლიდან გავრეკავ მათ, თუ ბინის ქირას პირველი იანვრისთვის არ გადაიხდიანო. ბოლოს და ბოლოს, ლომბარდმა წაიღო ყველაფერი, სამი ფრანკის ხარახურასაც კი ვეღარ მიიტანენ იქ. ისეა მთელი სახლი პირწმინდად გამოფხეკილი, მხოლოდ ლურსმნებია კედლებზე დარჩენილი, ისიც ორი გირვანქა თუ გამოვა, და სულ სამი სუ ეღირება. ხელფეხშეკრული ჟერვეზა უძლური იყო რაიმე ეპასუხა ამ ანგარიშზე, ის ჯავრობდა მხოლოდ, მაგიდაზე მუშტებს ურტყამდა ან, უკეთეს შემთხვევაში, ტირილს მოჰყვებოდა უგუნური ბავშვივით. ერთ საღამოს ჟერვეზამ წამოიყვირა: – მე ხვალ მივდივარ აქედან... მირჩევნია, სახლს კლიტე დავადო და ქვაფენილზე დავწვე, ვიდრე ამ საშინელებაში განვაგრძო ცხოვრება.

– გაცილებით უფრო ჭკვიანური იქნება, – ვერაგულად შენიშნა ლანტიემ, – კონტრაქტი გადასცეთ ვისმეს, თუ მსურველი აღმოჩნდება... თუ თქვენ ორივენი გადაწყვეტთ სახელოსნოზე ხელის აღებას...

ჟერვეზამ უფრო მეტი გაცხარებით შეაწყვეტინა: – თუ გინდა ახლავე, ამ წუთში!.. ახ! ძალიანაც მოხარული ვიქნები, თუ თავიდან მოვიშორებ.

მაშინ მექუდემ დიდი პრაქტიკულობა გამოიჩინა: თუ კონტრაქტზე უარს იტყვიან, უეჭველია, დაგვიანებული სახლის ქირის გადახდას იმ ახალ მობინადრეებს დააკისრებენ. და ლანტიემ პუასონების ხსენება გაბედა, მოაგონა ჟერვეზას, რომ ვირჯინია ეძებს მაღაზიას დასაქირავებლად და, ეგება, ეს დუქანი შესაფერისი აღმოჩნდეს მისთვის. ლანტიეს თითქოს მოაგონდა, ყური მოვკარი ვირჯინიას მიერ გამოთქმულ სურვილს, – სწორედ ამგვარი დუქანი მინდაო. მაგრამ მრეცხავმა ქალმა ვირჯინიას სახელის გაგონებზე მყისვე სიმშვიდე მოიპოვა. ჯერ ვნახოთ, გაჯავრებულ გულზე მსუბუქად იმეტებ სახლ-კარს, მაგრამ, როცა ჩაუფიქრდები, ეს არც ისე ადვილი საქმეაო.

შემდეგ დღეებში ლანტიემ ისევ დაიწყო თავისი ლიტანია, ხოლო ჟერვეზა უპასუხებდა, უარეს მდგომარეობაშიც ვყოფილვარ, მაგრამ თავი დამიღწევია. ნეტავი რა სიკეთე მომელის, თუ სახელოსნოს დავკარგავ? ეს ხომ პურს ვერ მაჭმევს! მე პირიქით, ვაპირებ ხელახლა მუშა ქალები ავიყვანო და ახალი მუშტრები გამოვძებნოო. ჟერვეზა ამას მხოლოდ იმიტომ ლაპარაკობდა, რომ როგორმე თავი დაეღწია მექუდისგან. ლანტიე უტკიცებდა, რომ იგი მიწასთან არის გასწორებული, გასრისეს ვალებმა და მცირედი იმედიც აღარ არსებობს, რომ თავს დააღწევს ამ სიდუხჭირეს. მაგრამ ლანტიემ ამ დროს გაუფრთხილებლობაც გამოიჩინა და კვლავ ახსენა ვირჯინიას სახელი, რის გაგონებაზედაც ჟერვეზა გააფთრდა, გაჯიუტდა. არა, არა, არასოდეს! მას ყოველთვის ეჭვი ეპარებოდა ვირჯინიას გულწრფელობაში, და თუ ახლა ის სახელოსნოს შეძენას ფიქრობს, მარტოოდენ იმისთვის, რომ დაამციროს ჟერვეზა. ჟერვეზა ქუჩაში პირველ გამვლელ ქალს დაუთმობს ამ დუქანს, მას კი არა, იმ აყლაყუდა პირმოთნეს, რომელიც, უეჭველად, წლობით ელოდებოდა ჟერვეზას გამოუვალ გასაჭირში ჩავარდნას! ოხ! გასაგებია ახლა ყველაფერი! ახლა კი ესმის ჟერვეზას, თუ რად უელავდა ყვითელი ნაპერწკლები კატის თვალებში იმ ლაქლაქას. დიახ! ვირჯინიას გულში ჰქონდა ჩარჩენილი თავისი მიტყეპვა სამრეცხაოში, მან ნაცარში ჩაფლა და ისე გამოშუშა თავისი შურისძიება. ძალიან კარგი! ძალიან კარგს იზამს, თუ ამ თავისი გალახვის ამბავს შუშის ხუფში შეინახავს. თუ არ სურს, რომ გაუმეორონ და კიდევ მიბეგვონ მაგრად! დიდხანს არ დასჭირდება ლოდინი, მოამზადოს თავისი პეტარდა[29] ამისათვის. ლანტიემ ამ სალანძღავი სიტყვების ნიაღვრის საპასუხოდ კარგად შეახურა ჟერვეზა. უწოდა მას ჭორების გუდა, წუპაკი და იქამდე აიწყვიტა, რომ თვით კუპოსაც კი შეუკურთხა მაგრად, ვირგლა უწოდა იმის გამო, რომ ცოლისთვის ვერ უსწავლებია მეგობრის პატივისცემა. მერე იგრძნო, რომ ამ გაჯავრებით ყველაფერს გააფუჭებდა და დაიფიცა, აღარასოდეს სხვების საქმეში არ ჩარეულიყო, რადგან უმადურობის მეტს არაფერს მიიღებ, და მართლაც,

თითქოს კონტრაქტის გადაცემაზე შეწყვიტა ლაპარაკი. სინამდვილეში კი მოხერხებულ შემთხვევას ეძებდა, რათა კვლავ ამ საქმეზე ჩამოეგდო ლაპარაკი და მრეცხავი ქალი დაეთანხმებინა.

მოვიდა იანვარი. საძაგელი ამინდი იყო, ნესტიანი და ცივი. კუპოს დედა, რომელიც მთელ დეკემბერს ახველებდა და სული ეხუთებოდა, ნათლისღების შემდეგ ლოგინად ჩავარდა. ეს მისი ყოველწლიური ხარკი იყო. ყოველ ზამთარში ელოდებოდა იგი ამას. ამჟამად კი მის გარშემო ლაპარაკობდნენ, რომ ის თავისი ოთახიდან ვეღარ გამოვა და, თუ გამოვიდა, ფეხები წინ ექნება წაშვერილიო. მართლაც, დედაბერი ისე საშინლად ხრიალებდა, რომ ამ ხრიალში სიკვდილის მოახლოება იგრძნობოდა, მიუხედავად იმისა, რომ კუპოს დედა ჯერ კიდევ მაღალიც იყო და სქელიც. მას ცალი თვალი გაუჩერდა, სახის ერთი ნახევარიც წართმეული ჰქონდა. რა თქმა უნდა, მის შვილებს არ სურდათ თავისი ხელით მოეღოთ მისთვის ბოლო. თუმცა კაი ხანია, რაც ის უკვე სულს ღაფავდა და ისეთი შემაწუხებელი იყო, რომ გულის სიღრმეში ყველანი მის სიკვდილს ნატრობდნენ, როგორც გათავისუფლებას. თვითონაც უფრო ბედნიერი იქნებოდა, რადგან მან ხომ თავისი დრო მოჭამა! ჰოდა, როცა კაცი თავის დროს მოჭამს, ის დასანანიც აღარ არის. ექიმს ერთხელ დაუძახეს და მეორედ აღარ მოსულა. რომ არ ყოფილიყო მიტოვებული უყურადღებოდ, მას სასმელად რაღაც ნახარშს აძლევდნენ, ყოველ საათს შედიოდნენ სანახავად, ცოცხალია კიდევ თუ არაო. დედაბერი ვეღარ ლაპარაკობდა, სუნთქვა ეკვროდა, მაგრამ ცალი თვალი საღი ჰქონდა, ცოცხალი და მოწმენდილი, ის აკვირდებოდა ყველას და ბევრი რამ იხატებოდა ამ თვალში, გულის ტკივილი გარდასული ცხოვრების გამო, მწუხარება, რომ ახლობლებს ასე ეჩქარებათ მისი თავიდან მოშორება და რისხვა ამ გაფუჭებული, მანკიერი ნანასადმი, რომელიც აღარაფერს ერიდებოდა და პერანგისამარა გადიოდა მინებიან კართან სათვალთვალოდ.

ერთხელ, ორშაბათ საღამოს, კუპო გალეშილი მოვიდა. მას შემდეგ, რაც მისი დედის სიცოცხლე საფრთხეში იყო ჩავარდნილი, მესახურავე გულაჩუყებული იყო და, მუდამ გულს უჩიოდა. როდესაც კუპო დაწვა და ხვრივა ამოუშვა, ჟერვეზამ ერთ წუთს კიდევ იტრიალა. ღამის ერთ ნაწილს ის ფხიზლობდა ხოლმე კუპოს დედის გამო. თუმცა ნანაც დიდ სიყოჩაღეს იჩენდა, კვლავ დედაბერთან წვებოდა ერთ ოთახში და ამბობდა, თუ გავიგე, რომ ბებია კვდება, ყველას მაშინვე შეგატყობინებთო. იმ ღამეს, რადგანაც ამ პატარა გოგონას ეძინა და ავადმყოფსაც თითქოს მშვიდად ჩასძინებოდა, მრეცხავი ქალი დაჰყვა ლანტიეს, რომელიც თავისი ოთახიდან უხმობდა მასთან მისულიყო და ცოტა მოესვენა. მათ მხოლოდ ერთი, კარადის უკან დადგმული ანთებული სანთელი დატოვეს იატაკზე. ღამის სამ საათზე ჟერვეზა უეცრად ლოგინიდან წამოხტა აცახცახებული და მწვავე სევდით შეპყრობილი. მან თითქოს რაღაცა ცივი სუნთქვა იგრძნო მთელ სხეულში. სანთელი ბოლომდე ჩამწვარიყო. გონებაწართმეული ჟერვეზა სიბნელეში, აკანკალებული ხელით იკრავდა ბოლოკაბას. ის აქეთ-იქით ეჯახებოდა ავეჯს და შემდეგ, როგორც იყო, შეძლო ავადმყოფის ოთახში ლამპის ანთება. ღამის წყვდიადში ჩამოწოლილ

დუმილს მხოლოდ მესახურავის ძლიერი ხვრინვა არღვევდა. პირაღმა გაწოლილ ნანას ფუნჩულა ტუჩები გაჰპობოდა და მსუბუქად ფშვინავდა. ჟერვეზამ ძირს დასწია ლამპა, რომლის სინათლისგან ოთახში ვეება ჩრდილები ცეკვავდნენ, და სახეზე მიანათა კუპოს დედას. დედაბერს სახე გადათეთრებოდა, თავი მხარზე გადმოვარდნოდა, თვალები გახელილი დარჩენოდა. ის მკვდარი იყო.

წყნარად, უხმოდ, შიშისგან გაქვავებული და გაყინული, მაგრამ კეთილგონიერი მრეცხავი ქალი ლანტიეს ოთახში დაბრუნდა. ლანტიეს ეძინა. ჟერვეზა მისკენ დაიხარა და ჩასჩურჩულა: – ყური მიგდე, ყველაფერი გათავდა, ის მკვდარია.

ძილისგან დამძიმებულმა და ნახევრად გამოფხიზლებულმა ლანტიემ ჯერ წაიბუზღუნა: – თავი დამანებე, დაწექი... ჩვენ რაღა უნდა ვუშველოთ, თუკი მკვდარია.

მერე იდაყვზე დაყრდნობილმა წამოიწია და იკითხა: – რომელი საათია?

– სამი.

– მხოლოდ სამი? დაწექი ერთი და! გაცივდები... როცა გათენდება, მაშინ დავინახავთ...

მაგრამ ჟერვეზა მას ყურს აღარ უგდებდა და ტანისამოსს იცვამდა. ლანტიე საბანში გაეხვია, პირი კედლისკენ მიიბრუნა და ქალების წყეულ სიჯიუტეზე მოჰყვა ლაპარაკს. რა არის აქ ისეთი საჩქარო, ახლავე რად უნდა ვაუწყოთ ქვეყანას, რომ სახლში მიცვალებულია. რა სამხიარულო ამბავი ეგ არის, ამ შუაღამისას? ლანტიე ბრაზობდა, რომ ძილი ჩაუშხამეს შავბნელი აზრებით. როცა ჟერვეზამ მთელი თავისი ტანისამოსი უკანასკნელ თმაში ჩასარჭობ ქინძისთავამდე თავის ოთახში გაზიდა, მხოლოდ მაშინ ჩამოჯდა თავისუფლად და ქვითინი დაიწყო; ახლა უკვე აღარ ეშინოდა, რომ მექუდესთან შეუსწრებდნენ. გულის სიღრმეში ჟერვეზას ძალიან უყვარდა კუპოს დედა, და ახლა დიდ მწუხარებას გინიცდიდა, თუმცა პირველ წუთში შიში და უსიამოვნება იგრძნო იმის გამო, რომ დედაბერმა ასე უდროო დროს ისურვა სიკვდილი. ჟერვეზა მარტოდმარტო ძალიან ხმამაღლა ტიროდა, ხოლო კუპო ნირშეუცვლელად განაგრძობდა ხვრინვას. მის ყურს არაფერი ესმოდა. ჟერვეზამ უძახა, აჯანჯღარა, მაგრამ მერე გადაწყვიტა თავი დაენებებინა მისთვის, რადგან იფიქრა, რომ ახალი დარდი გაუჩნდებოდა მისი გაღვიძებით. როდესაც ჯერვეზა ისევ ცხედართან დაბრუნდა, დაინახა, რომ ნანა ლოგინზე იყო წამომჯდარი და თვალებს იფშვნეტდა. პატარა გოგო მიხვდა, რაც მოხდა, მან მანკიერი ბავშვის ცნობისმოყვარეობით წაიგრძელა კისერი, რათა უკეთესად დაენახა დიდედა. ნანა არაფერს ამბობდა, ოდნავ კანკალებდა, გაკვირვებული და კმაყოფილი ჩანდა, რადგან პირისპირ ხედავდა სიკვდილს, რომლის ნახვასაც აგერ ორი დღეა ნატრობდა, და ელოდა, როგორც რაღაც სისაძაგლეს, რომელიც ბავშვებისთვის აკრძალული და დაფარულია. ამ თეთრი ნიღბის წინაშე, რომელიც სულთმობრძაობას დაემანჭა და დაეგრძელებინა, ნანას უფართოვდებოდა ახალგაზრდა კატის თვალების გუგა და ეს

პატარა გოგო ხერხემალში ისეთივე მოდუნებას გრძნობდა, როგორსაც მაშინ, როდესაც მინის კარზე იყო ხოლმე მიკრული და ისეთ რამეებს უთვალთვალებდა, რაც პატარებისთვის აკრძალულია.

– აბა, წამოდექი! – ხმადაბლა უთხრა მას დედამ, – არ მინდა, აქ დარჩე.

ნანა უკმაყოფილოდ მოშორდა საწოლს, თავი უკან მიიბრუნდა და თვალს არ აშორებდა მიცვალებულს. ჟერვეზა დიდ გასაჭირში ჩავარდა ამ ბავშვის გამო: არ იცოდა, სად მოეთავსებინა იგი და, როცა ბოლოს გადაწყვიტა ტანთ ჩაეცმია მისთვის, ამ დროს შემოვიდა საცვლის ამარა და ფოსტლებში ფეხებწაყოფილი ლანტიე. მას ვეღარ მოეხერხებინა დაძინება, ცოტა დარცხვენილიც იყო თავისი საქციელის გამო. ახლა უკვე ყველაფერი კარგად მოეწყო.

– ნანა ჩემს ლოგინში დაწვეს, – წაიბუტბუტა ლანტიემ, – იქ ადგილი სამყოფია მისთვის.

ნანამ თავისი დიდი, ნათელი თვალებით ახედა დედას და ლანტიეს, თან ისეთი მიამიტი გამომეტყველება მიიღო, როგორც ახალი წლის დღეს ჰქონდა ხოლმე, როცა შოკოლადის კანფეტებს აძლევდნენ. რა თქმა უნდა, დიდი თხოვნა არ დასჭირებია. ისე მოკურცხლა პერანგისამარამ, რომ პატარა ფეხებს ძლივს აკარებდა იატაკს. იგი გველივით ჩასრიალდა ლოგინში, რომელიც ჯერ კიდევ თბილი იყო, გაიჭიმა შიგ, ჩაიფუთნა, გაეხვია და მისმა მოქნილმა სხეულმა საბანი ოდნავ ამობურცა. ჟერვეზამ რადენჯერაც შეიხედა იქ, ხედავდა, რომ ნანას თვალები უბრწყინავდა, არ ეძინა, გაუნძრევლად იწვა, ძალიან გაწითლებულიყო და თითქოს ფიქრობდა რაღაცას.

ამასობაში ჟერვეზამ ლანტიეს დახმარებით ჩააცვა კუპოს დედას. ეს ადვილი საქმე არ იყო, რადგან მიცვალებული კარგა მძიმე წონისა იყო. არასოდეს არავინ იფიქრებდა, რომ მოხუცი ასეთი მსუქანი და ასეთი თეთრი იქნებოდა. ჩააცვეს წინდები, თეთრი ბოლოკაბა, ბლუზა და თავსაბური დაახურეს, ერთი სიტყვით, მისი საუკეთესო სამოსი. კუპო სულ ხვრინავდა, ორი ნოტი გამოჰყავდა თითქოს: ერთი ბოხი, რომელიც სულ დაბლა იწევდა, მეორე წვრილი, რომელიც მაღლა-მაღლა ადიოდა, საეკლესიო მუსიკა მოგაგონდებოდათ, რომელიც თან სდევს წითელი პარასკევის მღვდელმსახურებას. როცა მიცვალებულს ჩააცვეს და საწოლზე დაასვენეს, ლანტიემ ჭიქა ღვინო გადაჰკრა გასამაგრებლად, თორემ გული საგულეს აღარ ჰქონდა. ჟერვეზა ხელს ურევდა კამოდში, ეძებდა პატარა სპილენძის ჯვარცმას, რომელიც მას პლასანიდან ჰქონდა წამოღებული, მაგრამ მერე მოაგონდა, რომ ის თვითონ კუპოს დედამ გაყიდა.

ღუმელში ცეცხლი დაანთეს და დანარჩენი ღამე სკამზე მსხდრებმა, ნახევრად მძინარეებმა გაატარეს, თანაც ბოლომდე გამოსცალეს დაწყებული ბოთლი. გამოჩერჩეტებულები იყვნენ და ერთმანეთთან გაბუტულები, თითქოს მათ მიუძღოდათ ბრალი მომხდარ ამბავში.

დილის შვიდი საათისათვის, ჯერ კიდევ გათენებულიც არ იყო, რომ კუპომაც გამოიღვიძა. როდესაც ეს უბედურება შეიტყო, თავდაპირველად გაშრა, რაღაცას ლუღლუღებდა ჯერ კიდევ ბუნდოვანი რწმენით, რომ ემასხრებოდნენ, მერე იატაკზე დაეცა, მიცვალებულის წინაშე დაემხო, ეხვეოდა მკვდარს, კოცნიდა, ხბოსავით ბღაოდა და ისეთ მსხვილ ცრემლებს ჰყრიდა, რომ ლოყების შეწმენდით ზეწარი დაასველა. ჟერვეზაც აქვითინდა, მას გული აუჩვილდა ქმრის მწუხარების დანახვაზე, ამ მწუხარებამ შეარიგა მასთან. დიახ, კუპოს თურმე კარგი გული ჰქონია, ამას ჟერვეზა აღარ ელოდა. კუპოს სასოწარკვეთილებას ზედ ერთვოდა საშინელი თავის ტკივილი. კუპომ თმაში ხელი იტაცა, წინადღით ნაქეიფარს უგემური პირი ჰქონდა, და მიუხედავად ათი საათის განმავლობაში ძილისა, ცოტა შეჭიჭინებულიც იყო, მაგრად ჩაებღუჯა თავისი თმა და წუწუნით მოთქვამდა: ღმერთო სახიერო! საბრალო დედავ, როგორ მიყვარდი. შენ კი დამტოვე! ახ! რანაირად მტკივა თავი. ეს ბოლოს მომიღებს ნამდვილად! თითქოს თავზე ნაკვერჩხლები მადევს. და ახლა გულიც ამომგლიჯეს! არა, არ არის სამართლიანი ბედი, რომელიც ასე სასტიკად მდევნის!

– ჰა, ყოჩაღად იყავ, მოხუცო, – უთხრა მას ლანტიემ და წამოაყენა, – გული უნდა გაიმაგრო.

მექუდემ ერთი ჭიქა ღვინო დაუსხა, მაგრამ კუპომ არ ისურვა დალევა.

– ეს რა მემართება? სპილენძის გემო მაქვს პირში... ეს დედაჩემის გამოა, დავინახე თუ არა დედაჩემი, მაშინვე სპილენძის გემო ვიგრძენი... დედავ, ღმერთო ჩემო! დედავ, დედავ!..

და მან კვლავ ბაშვივით ტირილი მორთო, თუმცა ერთი ჭიქა ღვინო მაინც დალია, რათა ჩაექრო ის ცეცხლი, რომელიც გულმკერდს უდაგავდა. ლანტიემ სასწრაფოდ თავს უშველა იმ მიზეზით, ნათესავებთან მივდივარ შესატყობინებლად და მერე მუნიციპალიტეტში უნდა გავიარო განცხადების მისაცემადო. მას სუფთა ჰაერზე უნდოდა გასვლა. პაპიროსის მოწევით წავიდა აუჩქარებლად და ხარბად ისუნთქავდა დილის სუსხიან ჰაერს. როდესაც ის მადამ ლერასგან გამოვიდა, ბატინიოლის ერთ-ერთ სარძევეში შევიდა, რათა ფინჯანი ცხელი ყავა დაელია. იქ მთელი საათი დაჰყო ფიქრში გართულმა.

ამასობაში დილის ცხრა საათისთვის ნათესაობა უკვე შეიკრიბა სახელოსნოში, რომლის დარაბებიც დაკეტილი დატოვეს. ლორილეს არ უტირია. იმას საჩქარო შეკვეთა ჰქონდა და თითქმის მაშინვე მაღლა ავიდა თავის სახელოსნოში, ხოლო მანამდე წუთით იტრიალა ერთ ადგილას, მდგომარეობისთვის შესაფერისი სახის გამომეტყველებით. მადამ ლორილე და მადამ ლერა გადაეხვივნენ კუპოებს, თან თვალებს ისრესდნენ ძუნწი ცრემლების გამოსადენად. პირველმა მათგანმა შემოავლო თუ არა თვალი იქაურობას, უეცრად ხმას აუმაღლა და თქვა, ეს უგვანობაა, არასოდეს ცხედრის გვერდით ანთებულ ლამპას არ ტოვებენო. საჭირო იყო სანთელი და ნანა გაგზავნეს ერთი შეკვრა დიდი სანთლების საყიდლად. კაი ამბავია! ჩაუხას ხელში

უნდა მოკვდეს კაცი, კარგა არ გააპატიოსნებს?! სასაცილოდ გახდის. რა ტუტუცია, ისიც არ იცის, მკვდარს როგორ უნდა მოექცეს, სიცოცხლეში არავინ დაუმარხავს, თუ რა არის ეს? მადამ ლერა იძულებული გახდა, მეზობლებთან ასულიყო და ჯვარცმა ეთხოვა. ჩამოიტანა ერთი უზარმაზარი შავი ხის ჯვარი, რომელზედაც მილურსმული იყო მუყაოზე დახატული ქრისტე; ამ ჯვარცმამ კუპოს დედას მთელი მკერდი დაუფარა და, თითქოს გასრისა იგი თავისი სიმძიმით. მერე აიაზმის წყალს დაუწყეს ძებნა, მაგრამ იქ არავის აღმოაჩნდა. ისევ ნანა გაიქცა ხელახლა ეკლესიაში ერთი ბოთლი აიაზმის მოსატანად. თვალის დახამხამებაში კუპოს დედის საწოლ ოთახს სულ სხვა იერი მიეცა. პატარა მაგიდაზე ენთო სანთელი, გვერდით იდგა ნაკურთხი წყლით სავსე ჭიქა, რომელშიც ბზის ტოტი იდო. ახლა ვინც უნდა მოვიდეს, წესიერად მაინც დაუხვდება ყველაფერი. მომსვლელთა მისაღებად სახელოსნო ოთახში სკამები შემოამწკრივეს ირგვლივ.

ლანტიე მხოლოდ თერთმეტ საათზე დაბრუნდა. მას ცნობები მიეღო დამკრძალავი პროცესიების ბიუროში.

– კუბოს ფასი თორმეტი ფრანკიდან იწყება, – თქვა მან, – თუ წირვის გადახდასაც მოისურვებთ, მაშინ ათი ფრანკით მეტი ეღირება. სამგლოვიარო ეტლი კი მისი მორთულობის მიხედვით ფასობს...

– ოხ! ეს არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს, – წაიბურტყუნა მადამ ლორილემ, თან თავი მაღლა ასწია განცვიფრებული და შეშფოთებული სახით, – დედას ხომ ამით ვეღარ დავიბრუნებთ, არა? საკუთარი ჯიბის მიხედვით უნდა გავისარჯოთ.

ჩუმი ხმით ლაპარაკობდნენ ოთახში, რომელსაც დარაბების ჭუჭრუტანებში გამომკრთალი შუქი ანათებდა. პატარა ოთახის კარი ფართოდ იყო გაღებული და ამ პირდაღებულ ხვრელში გამოდიოდა დიადი მდუმარება სიკვდილისა. ეზოდან ბავშვების სიცილი ისმოდა. ზამთრის მკრთალ სინათლეზე პატარა გოგო-ბიჭების ფერხული ტრიალებდა. უეცრად ნანას ხმა შემოესმათ. ნანა გამოვარდა ბოშების ბინიდან, სადაც უფროსებმა გაგზავნეს. წივანა ხმით ის ბავშვებს ხელმძღვანელობდა. სიმღერას ზედ ერთვოდა ქვაფენილზე ქუსლების ბაკაბუკი. სიმღერის სიტყვები ჩიტების ჟივილ-ხივილივით ისმოდა: ჩვენს ვირს, ჩვენს ვირს, ფეხი ასტკივდა, ის ავად არი, ქალბატონმა შეუკერა

ფეხის საფარი, და ფეხსაცმელი იასამნისფერი, ჰერი, ჰერი, და ფეხსაცმელი იასამნისფერი!

ცოტა ხნის შემდეგ ჟერვეზამ წარმოთქვა: – მდიდრები რომ არ ვართ, ეს მართალია. მაგრამ მაინც გვინდა ყველაფერი წესისამებრ იყოს... თუ კუპოს დედამ არაფერი დაგვიტოვა, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ძაღლივით უნდა ჩავფლათ მიწაში... არა, წირვაც საჭიროა და კარგი სამგლოვიარო ეტლიც...

– მერე ვინ გადაიხდის ამას? – გაცხარებით შეეკითხა მადამ ლორილე, – ჩვენ არა, რადგანაც ჩვენ წარსულ კვირას ფული დაგვეკარგა. არც თქვენ, ვინაიდან ჯიბეგაფხეკილები ხართ... ახ! თქვენ ხომ უნდა ხედავდეთ თუ სადამდე მიგიყვანათ იმან, მთელი ქვეყნის გაკვირვებას რომ ცდილობთ.

როცა კუპოს შეეკითხნენ, მან რაღაც ამოილუღლუღა, თანაც ისეთი ჟესტით, რომ ჩანდა, მისთვის სულერთი იყო. სკამზე ჩასძინებოდა. მადამ ლერა ჟერვეზას აზრს იზიარებდა, რომ საჭიროა ყველაფერი წესისამებრ იყოს. აიღეს მათ ორივემ და ქაღალდის ნაგლეჯზე გამოიანგარიშეს. ყველა ხარჯი ერთად დაახლოებით ოთხმოცდაათ ფრანკს აღწევდა, რადგან მათ ხანგრძლივი თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ სამგლოვიარო ფორანი ვიწრო ხრახნილებით უნდა ყოფილიყო მორთული.

– ჩვენ სამნი ვართ, – დაასკვნა მრეცხავმა ქალმა, – თითოეული ჩვენგანი ოცდაათ ფრანკს გადაიხდის. ეს ჩვენ არ გაგვანიავებს.

მაგრამ მადამ ლორილემ გააფთრებით დაიჭექა.

– ჰოდა! მე ვამბობ უარს. დიახ, სწორედ მე!.. აქ ოცდაათ ფრანკში კი არ არის საქმე. მე ასი ათას ფრანკსაც მივცემდი, თუ ამის შეძლება მექნებოდა, და თუ ეს ასი ათასი ფრანკი დედაჩემს გააცოცხლებდა... ოღონდ ამპარტავანი ხალხი არ მიყვარს. თქვენ სახელოსნო გაქვთ და გინდათ მთელი უბანი გააკვირვოთ. ჩვენ უბრალო ხალხი ვართ და ეგეები არ გვჭირდება. ჩვენ თავს არავის ვაწონებთ... ოხ! ისე მოაწყვეთ, როგორც გენებებათ. ასეც გიქნიათ, ფრთებიანი სამგლოვიარო ეტლი მოგიწვევიათ, თუკი გეხალისებათ.

– თქვენ არავინ არაფერსა გთხოვთ, – მიუგო ბოლოს ჟერვეზამ, – მე სულაც რომ გავიყიდო, სასაყვედურო არაფერი მინდა. უთქვენოდ ვინახავდი კუპოს დედას და უთქვენოდაც შევძლებ მის დამარხვას... ერთხელ ხომ პირში მოგახალეთ: ქუჩაში გადაგდებულ კატებს ვპატრონობ და დედათქვენსაც ვუპატრონებ-მეთქი.

ამაზე მადამ ლორილემ ტირილი დაიწყო და ლანტიეს რომ არ დაეჭირა, წასვლას აპირებდა. ისეთი ხმამაღალი ჩხუბი ატყდა, რომ მადამ ლერა ენერგიული სუ-ს ძახილით აჩუმებდა ყველას, თანაც თავი ვალდებულად ჩათვალა წყნარად შესულიყო მიცვალებულის ოთახში და გაჯავრებული და შეშფოთებული თვალი შეევლო ცხედრისთვის, თითქოს ეშინოდა, რომ გაღვიძებული დაუხვდებოდა და ყურს მიუგდებდა, თუ რაზე დაობდნენ მის გვერდით. ამწუთას ბავშვების გუნდმა კვლავ სიმღერა დაიწყო. ნანას გამყივანი ხმა დანარჩენ ხმებს ფარავდა.

ჩვენს ვირს, ჩვენს ვირს

მუცელი სტკივა, ის ავად არი, ქალბატონმა შეუკვეთა

მუცლის საფარი, და ფეხსაცმელი იასამნისფერი, ჰერი, ჰერი, და ფეხსაცმელი იასამნისფერი!

– ღმერთო ჩემო. რა ნერვების ამშლელი არიან ეს ბავშვები თავისი სიმღერით! – მიმართა ლანტიეს თავით ფეხებამდე ათრთოლებულმა და სიბრაზისა და მწუხარებისგან თითქმის ატირებულმა ჟერვეზამ, – გააჩუმეთ ერთი ეგენი, ნანა კი პანღურის ცემით შეაგდეთ მეკარის ბინაში.

მადამ ლერა და მადამ ლორილე სასაუზმოდ წავიდნენ, და შეჰპირდნენ, რომ ისევ დაბრუნდებოდნენ. კუპოები მაგიდას შემოუსხდნენ და მშრალად, უმადოდ ისადილეს ძეხვით. ჩანგლის დაჩხაკუნებასაც კი ვერ ბედავდნენ. ძალიან შეწუხებულები და თავგზააბნეულები იყვნენ ამ საცოდავი კუპოს დედის გამო. მიცვალებული თითქოს მთელი სიმძიმით დასწოლოდათ მხრებზე და ეჩვენებოდათ, რომ იგი ყველა ოთახს ავსებდა. მათი ცხოვრება კალაპოტიდან ამოვარდა. პირველ წუთებში ერთ ადგილზე იტკეპნებოდნენ, წინადღით ნაქეიფრებივით. ლანტიემ საჩქაროდ კარს მიაშურა იმ მიზნით, რომ სამგლოვიარო პროცესიაზე დასასწრებად დროზე დაბრუნებულიყო. თან წაიღო მადამ ლერას ოცდაათი ფრანკი და სამოცი ფრანკი, რომელიც ჟერვეზამ ისესხა გუჟესგან, როცა მასთან თავშიშველი და გიჟივით თმაგაწეწილი მიიჭრა. ნაშუადღევს რამდენიმე მნახველი მოვიდა. ესენი იყვნენ ცნობისმოყვარე მეზობლები, რომლებიც ოხვრით შემოდიოდნენ და სიბრალულით სავსე თვალებს ატრიალებდნენ. ისინი შედიოდნენ პატარა ოთახში, მიცვალებულს ათვალიერებდნენ, პირჯვარს იწერდნენ, მერე აიაზმაში დასველებული ბზის ტოტით წყალს ასხურებდნენ, სახელოსნოში ჩამოსხდებოდნენ და იწყებოდა გაუთავებელი ლაპარაკი ამ ძვირფას ადამიანზე. ისინი საათობით არ იღლებოდნენ ერთი და იმავე ფრაზის გამეორებით. მადმუაზელ რემანჟუმ შენიშნა, რომ მიცვალებულს მარჯვენა თვალი გახელილი დარჩენია, მადამ გოდრონი დაჟინებით იმეორებდა, რომ მისი ასაკისთვის შეუფერებელი კარგი ელფერი აქვს, ხოლო მადამ ფოკონიე განცვიფრებული იყო იმის გამო, რომ მას სულ სამი დღის წინათ საკუთარი თვალით ენახა, განსვენებული ყავას მიირთმევდაო. ასეა, დღეს ხარ, ხვალ აღარ იქნები, ყველას ეგ მოგველის... მზად უნდა ვიყოთ შორი მგზავრობისთვის. საღამოსთვის კუპოები უკვე მოთმინებიდან იყვნენ გამოსული. ძალიან ძნელია ოჯახისთვის სახლში ცხედრის დიდხანს გაჩერება. ხელისუფლება კარგს იზამდა, თუ სხვა კანონს გამოსცემდა ამისთვის. ჯერ წინ არის მთელი საღამო, მთელი ღამე და მერე მთელი დილა. არა! ამას არასოდეს ბოლო არ მოეღება. როცა უკვე აღარ ტირი, ხომ ასეა, მწუხარება გაბრაზებაში გადადის, ხოლო ბოლოს უსაქციელობასაც იჩენ. დადუმებული და ვიწრო ოთახის სიღრმეში გაშეშებული კუპოს დედა სულ უფრო და უფრო მეტ ადგილს იჭერდა მთელ ბინაში. მძიმე ტვირთად, სულის შემხუთველ ტვირთად აწვებოდა ყველას. მთელი ოჯახი თავისდა უნებურად ყოველდღიურ ცხოვრებას უბრუნდებოდა და პატივისცემა ეკარგებოდა მიცვალებულისადმი.

– თითო ლუკმა ჩვენთან ერთად შეჭამეთ, – უთხრა ჟერვეზამ მადამ ლერას და მადამ ლორილეს, როცა ისინი ხელახლა გამოჩნდნენ, – ჩვენ ძალიან დაღონებულები ვართ ახლა და ერთიმეორეს ნუ დავშორდებით.

სუფრა საუთოებელ მაგიდაზე გაშალეს. თითოეულ მათგანს, როცა ამ თეფშებს უყურებდა, აქ გადახდილი ქეიფი და ღრეობა აგონდებოდა. ლანტიე დაბრუნდა. ლორილეც ჩამოვიდა. საშაქარლამოდან მოიტანეს ტორტი, რადგან დიასახლისს სამზარეულოში ფუსფუსის თავი არ ჰქონდა. ის-ის იყო დასხდნენ, რომ ამ დროს შემოვიდა ბოში და თქვა, მუსიე მარესკო თხოულობს აქ შემოსვლის ნებართვასო. სახლის პატრონი წარდგა მათ წინაშე მრავალმნიშვნელოვანი, სერიოზული სახით და დიდი ორდენით სერთუკზე. ის უსიტყვოდ მიესალმა მათ და პირდაპირ გაემართა პატარა ოთახისკენ, სადაც მუხლი მოიყარა. ძალიან ღვთისმოსავი კაცი იყო. მღვდელივით სასოებით ილოცა, მერე მიცვალებულს პირჯვარი გადასწერა და ბზის ტოტით აიაზმა ასხურა. მთელი ოჯახი სუფრიდან წამოიშალა და ფეხზე იდგა. დიდი შთაბეჭდილებით იყვნენ გამსჭვალულნი. როდესაც მუსიე მარესკო სათნოების საქმეებს მორჩა, სახელოსნოში გამოვიდა და კუპოებს უთხრა: – მე მოვედი ორჯერ ვადაგადაცდენილი ბინის ქირის მისაღებად, მზად გაქვთ ფული?

– არა, მუსიე, ჯერჯერობით სრულებით არ გვაქვს, – ამოილუღლუღა ჟერვეზამ, რომელიც ძალიან დაამწუხრა და გააჯავრა იმ გარემოებამ, რომ ამას ლორილეების წინაშე ეუბნებოდნენ, – თქვენ ხომ მოგეხსენებათ, რა უბედურება შეგვემთხვა...

– ეჭვგარეშეა, მაგრამ ყველას აქვს თავისი საწუხარი, – მიუგო სახლის პატრონმა და თავისი უზარმაზარი, მუშური ხელის თითები გაშალა, – ძალიან სამწუხაროა, მაგრამ მე მეტის მოცდა აღარ შემიძლია... თუ ზეგ დილით არ გამისტუმრებთ, იძულებული ვიქნები გამოსახლებას მივმართო.

თვალცრემლიანმა ჟერვეზამ უსიტყვო ვედრებით შეაერთა ხელები, მაგრამ სახლის მეპატრონემ თავისი ვეებერთელა თავის ენერგიული გაქნევით აგრძნობინა, რომ ყოველგვარი ხვეწნა-მუდარა უსარგებლო იყო. ამასთან გარდაცვალებულისადმი სავალდებულო პატივისცემაც შეუძლებლად ხდიდა ყოველგვარ შეკამათებას. მუსიე მარესკო მორიდებით და უკან-უკან დახევით გავიდა.

– ათასი ბოდიში, რომ ასე შეგაწუხეთ, – წაიბურტყუნა მან, – ზეგ დილით! არ დაივიწყოთ.

რადგანაც მას გასვლის დროს ხელახლა პატარა ოთახთან მოუხდა გავლა, ფართოდ გაღებული კარის წინ ღვთისმოსავი მუხლმოდრეკით უკანასკნელად კიდევ პატივი სცა მიცვალებულს.

ოჯახის წევრები დასაწყისში აჩქარებით სადილობდნენ, რათა არ ეჩვენებინათ, რომ სიამოვნებას განიცდიდნენ ამით, ხოლო როცა საქმე დესერტზე მიდგა, აქ უკვე შეანელეს ჭამა, კეთილდღეობის განცდით შეპყრობილებმა. დროგამოშვებით ან

ჟერვეზა, ან კუპოს ერთ-ერთი და, საჭმლით პირგამოტენილი წამოდგებოდა, და ხელსაწმენდიანად პატარა ოთახში მიდიოდა თვალის შესავლებად. მერე ხელახლა დაჯდებოდა და კვლავ ღეჭავდა ლუკმის ნარჩენს, სხვები კი ისე შესცქეროდნენ მას, თითქოს ეკითხებოდნენ, ყველაფერი რიგზეა თუ არა გვერდით, პატარა ოთახშიო. მერე მანდილოსნები უკვე უფრო გვიან-გვიან იწუხებდნენ თავს. – კუპოს დედა ლამის დაავიწყდათ. მოამზადეს მთელი როფი ძალიან მაგარი ყავა, რათა მთელ ღამეს ფხიზლად ყოფილიყვნენ. პუასონები სწორედ რვა საათზე მოვიდნენ. კუპოებმა თითო ფინჯანი ყავის დასალევად მიიწვიეს ისინიც. მაშინ ლანტიემ, რომელიც ჟერვეზას უთვალთვალებდა, თითქოს ახლა ჩაიჭირა შესაფერისი შემთხვევა, რომელსაც ის დილიდანვე ელოდა. ლაპარაკი იყო სახლის პატრონის სისაზიზღრეზე, რომ იგი შემოდის სახლში ფულის სათხოვნელად იმ დროს, როცა იქ ცხედარი ასვენია, და ლანტიემ უცებ წამოიძახა: – ნამდვილი იეზუიტია, ეგ ბინძური ეგა, ისეთი სახე აქვს, თითქოს, სწირავს.. მაგრამ მე თქვენს ადგილას მივაფურთხებდი მაგის დუქანს.’

დაღლილობისგან ქანცგამოლეულმა, მომბალმა, განერვიულებულმა ჟერვეზამ თავდავიწყებით უპასუხა: – დიახ, რა თქმა უნდა, მე კანონის წარმომადგენლებს აღარ მოვუცდი... ახ! მეყო ამდენი ჯახირი, ყელამდე სავსე ვარ, ყელამდე!

გახარებულმა იმ აზრით, რომ ჩაუხას აღარ ექნებოდა სახელოსნო, ლორილეებმა ძალიან მოუწონეს მას ეს გადაწყვეტილება. ადვილი სათქმელია, რა ჯდება ეს სახელოსნო? თუ სხვებთან მუშაობის დროს ჟერვეზა მხოლოდ სამ ფრანკს აიღებს დღეში, სამაგიეროდ, მას ამდენი ხარჯიც აღარ ექნება, აღარ დაკარგავს ასე დიდ თანხებს. ამ არგუმენტებს ლორილეები უმეორებდნენ კუპოს წასაქეზებლად. კუპო ბევრს სვამდა, თავი ისე ეჭირა, როგორც მწუხარებით გულაჩუყებულს და თავის თეფშს განმარტოებით აფრქვევდა ცრემლებს. რადგან მრეცხავი ქალი დაყაბულებული ჩანდა, ლანტიემ თვალი ჩაუკრა პუასონებს. მაშინ გრძელფეხა ვირჯინიაც ჩაერია ლაპარაკში და ძალიან თავაზიანად შენიშნა: – ხომ იცით, ჩვენ შეიძლება მოვრიგდეთ. მე ვიკისრებდი კონტრაქტის ვალდებულებებს, მევე მოვაგვარებდი თქვენს საქმეს სახლის პატრონთან... რაც უნდა იყოს, ამაზე უფრო მეტად ხომ იქნებით დამშვიდებულები.

– არა, გმადლობთ, – განაცხადა ჟერვეზამ, რომელსაც გულში მოხვდა ეს სიტყვები. მას თითქოს ჟრუანტელმა დაურბინა ტანში, – მე ვიშრომებ. მადლობა ღმერთს, ჯერ კიდევ შერჩენილი მაქვს ორი ხელი. კიდევ შევძლებ, გასაჭირს თავი დავაღწიო.

– ამაზე შემდეგში შეიძლება ვილაპარაკოთ, – აჩქარებით შენიშნა მექუდემ, – უწესობაა ამ საღამოს... სხვა დროს, ხვალ, მაგალითად.

სწორედ ამ დროს მადამ ლერამ, რომელიც პატარა ოთახში გავიდა, მსუბუქად შეჰკივლა. მადამ ლერას შეეშინდა, როცა დაინახა, რომ ბოლომდე ჩამწვარი სანთელი ჩამქრალიყო. ყველანი აფუსფუსდნენ მეორე სანთლის ასანთებად. თან ყველა თავს იქნევდა იმის გამო, რომ ცუდი ნიშანია, როცა მკვდრის გვერდით შუქი ქრება.

ღამისთევა დაიწყო. კუპო ლოგინზე გაიჭიმა დასაძინებლად კი არა, როგორც ის ამბობდა, არამედ საფიქრელად. ხუთი წუთის შემდეგ მან ხვრინვა ამოუშვა. როდესაც ნანა ბოშებთან გაგზავნეს დასაძინებლად, მან ტირილი მორთო. ის დილიდან დაწყებული სულ იმ იმედით ხარობდა, რომ კარგად ჩაითბუნებდა თავისი კეთილი მეგობარი ლანტიეს განიერ საწოლში. პუასონები შუაღამემდე დარჩნენ. საბოლოოდ, მათ ფრანგული წესით შეამზადეს სასალათეში ღვინო, რადგან ყავა მეტისმეტად მოქმედებდა ქალების ნერვებზე. საუბარმა გულახდილობის ელფერი მიიღო. ვირჯინია ლაპარაკობდა სოფელზე. იგი ისურვებდა, ტყის პირას დაასაფლაონ და მის საფლავზე მინდვრის ყვავილები ყვაოდეს. მადამ ლერას უკვე შენახული აქვს კარადაში თავის დასამარხად საჭირო სუდარა. იგი მუდამ ლავანდის თაიგულით ასურნელებს ამ სუდარას, რადგან სურს მაშინაც კი კეთილი სურნელება უტრიალებდეს ცხვირწინ, როცა საფლავში იქნება. შემდეგ პოლიციელი გადახტა იმ ამბავზე, რომ ამ დილით დააპატიმრა ერთი ლამაზი ქალი, რომელმაც მეძეხვის დუქანი გაქურდა. როცა ეს ქალი კომისართან წაიყვანეს და ტანისამოსი გახადეს, დაინახეს, რომ მთელ ტანზე ათი ძეხვი ჰქონდა ჩამოკონწიალებული წინ და უკან. როდესაც მადამ ლორილემ ზიზღით წამოიძახა, რომ ამ ძეხვს პირს ვერ დააკარებდა, ირგვლივ სიცილი აუტყდათ. ღამისთევა გამხიარულდა, თუმცა წესიერებას მაინც იცავდნენ.

მაგრამ, როდესაც ისინი ფრანგულად შემზადებულ ღვინოს ამთავრებდნენ, რაღაცა სხვანაირი ხმაური, რაღაც ყრუ ჩუხჩუხის ხმა შემოესმათ პატარა ოთახიდან. ყველამ თავი მაღლა ასწია და ერთმანეთს გადახედეს.

– ეგ არაფერია, – წყნარად, დაბალი ხმით შენიშნა ლანტიემ, – ეს იმას გამოსდის.

ამ განმარტებით დამშვიდებულმა ღამისმთევლებმა თავი გაიქნიეს და მთელმა კომპანიამ ჭიქები მაგიდაზე დააწყო.

ბოლოს და ბოლოს, პუასონებმა წასასვლელი გზაც მონახეს, ლანტიეც მათ გაჰყვა.

– ერთ-ერთ ჩემს მეგობართან მივდივარ, – თქვა მან, – ჩემს ლოგინს მანდილოსნებს ვუთმობ, თითო საათს მაინც დაისვენებენ რიგრიგობით. ლორილე მარტოდმარტო წავიდა მაღლა დასაძინებლად და სულ იმას გაიძახოდა, რომ ეს არასოდეს მომხდარა მას შემდეგ, რა ცოლი შეირთო. მაშინ მძინარე კუპოსთან ერთად დარჩენილი ჟერვეზა და კუპოს ორივე და ღუმლის ირგვლივ მოეწყვნენ, ხოლო ღუმელზე ცხლად ინახავდნენ ყავას. წელში ორად მოხრილი, მოკუნტულები მისხდომოდნენ ისინი ცეცხლს, ხელები წინსაფრების ქვეშ ამოედოთ და დუმილში, რომლითაც მოცული იყო მთელი უბანი, ხმადაბლა მუსაიფობდნენ. მადამ ლორილე კრუსუნებდა, რომ მას არა აქვს შავი კაბა და მის ყიდვასაც არ აპირებს, რადგან ახლა ისინი ძალიან, ძალიან გაჭირვებულად ცხოვრობენ. ეკითხებოდა ჟერვეზას, კუპოს დედას ხომ არ დაუტოვებია შავი ბოლოკაბა, რომელიც მას დღეობაზე აჩუქეს. ჟერვეზა იძულებული გახდა მოეძებნა ეს ბოლოკაბა. წელში ნაოჭების გაკეთება სჭირდებოდა მხოლოდ და

გამოდგებოდა, მაგრამ მადამ ლორილემ ძველი საცვალიც მოინდომა, ლოგინზედაც დაიწყო ლაპარაკი, კარადაზე, ორ სკამზე და თვალით ეძებდა წვრილ-წვრილ ნივთებს, რომელთა გაყოფაც შესაძლებელი იქნებოდა. ამაზე კინაღამ წაიჩხუბნენ, მაგრამ მადამ ლერამ მშვიდობა დაამყარა. ის უფრო სამართლიანი იყო: კუპოებმა იკისრეს მათი დედის შენახვა, მაშასადამე, მისგან დატოვებული ოთხიოდე ძონძიც მათ უნდა ეკუთვნოდეს, უდავოდ. შემდეგ სამივეს ჩასთვლიმა და ღუმლის გარშემო შემომსხდრები ერთფეროვანი ხმით აქეთურ-იქითურს ლაპარაკობდნენ, ხანგამოშვებით ირხეოდნენ, მოსვამდნენ ყავას, შეიხედავდნენ პატარა ოთახში, სადაც წითელი და ნაღვლიანი შუქით ენთო სანთელი, რომელზედაც ნაღვენთის მოწმენდა არ შეიძლებოდა და ჩანახშირებულ პატრუქს ნამწვი ემატებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ღუმელი გახურებული იყო, გათენებისას მათ კანკალი დააწყებინა. მძიმე სევდა და ბევრი ლაპარაკით გამოწვეული დაქანცულობა სულთქმას უკარგავდა, ენა გაუშრათ და თვალები ასტკივდათ. მადამ ლერა ლანტიეს ლოგინზე გაწვა და ვაჟკაცური ხვრინვა ამოუშვა, ხოლო დანარჩენმა ორმა ქალმა მუხლებამდე ჩაქინდრეს თავები და ცეცხლის პირას ჩაეძინათ. გარიჟრაჟზე ისინი სიცივის ჟრუანტელმა გამოაღვიძა. კუპოს დედის სანთელი კვლავ ჩამქრალიყო. რაკი სიბნელეში ყრუ წურწურის ხმა ისევ განახლდა, მადამ ლორილე ხმამაღლა იძლეოდა განმარტებებს ამაზე, საკუთარი თავის დასამშვიდებლად.

– ეგ იმას გამოსდის, – იმეორებდა მადამ ლორილე, და თან მეორე სანთელს ანთებდა.

დაკრძალვა თერთმეტის ნახევარზე იყო დანიშნული. დილა, ასეთი ღამის და ასეთი დღის შემდეგ, რა თქმა უნდა, მხიარული არ იქნებოდა. ერთი სიტყვით, ჟერვეზა, რომელსაც ერთი სუც არ გააჩნდა, ას ფრანკსაც არ დაიშურებდა იმისთვის, ვინც მოვიდოდა და კუპოს დედას სამი საათით ადრე გაიტანდა იქიდან. არა, კარგია, როცა ადამიანი გიყვარს, მაგრამ მეტად სამძიმო ხდება იგი, როცა მოკვდება. რაც უფრო მეტად უყვართ ადამიანი, მათ უფრო მეტად ეჩქარებათ მისი თავიდან მოშორება.

დაკრძალვის დილა, საბედნიეროდ, მრავალი გასართობით არის ხოლმე სავსე. რამდენი სხვადასხვა სამზადისია საჭირო. თავდაპირველად ისაუზმეს. მერე სწორედ ბიძია ბაზუჟიც მოვიდა. ეს იყო მეკუბოე მეექვსე სართულიდან, რომელმაც მოიტანა კუბო და ტომარაში ჩაყრილი ნახერხი. ეს კაიკაცი ხომ არასოდეს ფხიზელი არ იყო. იმ დღესაც, წინადღით ნასვამი, დილის რვა საათზეც გამობრუჟული ჩანდა.

– აი აქ, არა? – წარმოთქვა მან.

და ძირს დადგა კუბო. როცა ბიძია ბაზუჟმა კუბოს გვერდით ნახერხით სავსე ტომარა დააგდო, თვალებდაჭყეტილი და პირდაღებული დარჩა, რადგან თავის წინ ჟერვეზა დაინახა.

– უკაცრავად, შემეშალა, – წაიბუტბუტა მან, – მე ეგრე მითხრეს, რომ თქვენთან უნდა მომეტანა.

– ჰოდა, აქ დატოვეთ, აქ უნდა მოგეტანათ.

– ახ! დალახვროს ღმერთმა! უნდა გავერკვიოთ! – წამოიძახა მეკუბოემ და ბარძაყზე ხელი შემოიკრა, – მესმის, დედაბერი ყოფილა...

ჟერვეზას ქაღალდისფერი დაედო. ბიძია ბაზუჟს კუბო მისთვის მოუტანია, ჟერვეზასთვის. ბიძია ბაზუჟი კი კვლავ განაგრძობდა დარდიმანდობას, ცდილობდა მოებოდიშა: – არა, განა? გუშინ ასე ლაპარაკობდნენ, რომ აქ არის ერთი ქალი გასასვენებელი, პირველ სართულზეო. ჰოდა, მე მაშინ ვიფიქრე... ხომ იცით ჩვენ ხელობაში ამისთანა რამეები ერთ ყურში რომ შედის, მეორეში გამოდის... ყოველ შემთხვევაში, მე მაინც გილოცავთ თქვენ. ჰა? რაც შეიძლება უფრო გვიან, ასე სჯობია, თუმცა ცხოვრება მუდამ სამხიარულო არ არის, ახ! უნდა მოგახსენოთ, რომ არა!

ჟერვეზა ყურს უგდებდა მას, და თან შიშით უკან-უკან იხევდა, რომ მეკუბოეს არ ეტაცა მისთვის თავისი უზარმაზარი, ჭუჭყიანი ხელი და თავისი ყუთით არ წაეყვანა. ერთხელ ხომ უთხრა მას ბიძია ბაზუჟმა, მისი ქორწილის საღამოს, მე ვიცნობ ქალებს, რომლებიც მადლობასაც მეტყვიან, თუკი მათ წასაყვანად მივალო. მაგრამ, ჟერვეზა ხომ იმათგანი არ არის, მას მარტო ერთი გაფიქრებაც კი ცივ ჟრუანტელს ჰგვრის ტანში. თუმცა მისი ცხოვრება გაფუჭებულია, მაგრამ მაინც არ სურს ასე ადრე წასვლა ამ ქვეყნიდან. მას ურჩევნია შიმშილით კვდებოდეს რამდენიმე წლის განმავლობაში, ვიდრე ერთ წუთში მოკვდეს უეცრად.

– ეს კაცი მთვრალია, – წაიჩურჩულა ჟერვეზამ ზიზღნარევი შიშით, – ადმინისტრაცია ლოთებს მაინც არ უნდა გვიგზავნიდეს. საკმაოდ ბევრ ფულს გვახდევინებს.

მაშინ მეკუბოემ უტიფარი მასხარაობა დაიწყო.

– მაშ, ასე დედიკო, ეს შემდეგისთვის იქნება, არა? მზად ვარ მოგემსახუროთ, გესმით! თვალით მანიშნეთ მხოლოდ, მე ხომ მანდილოსნების მანუგეშებელი ვარ... ნუ აფურთხებ ბიძია ბაზუჟს, რადგან მას შენზე უფრო კარგები და შნოიანები სჭერია ხელში, და როცა მათ ვაბინავებდი, არ დაუჩივლიათ, ძალიანაც კმაყოფილები იყვნენ იმით, რომ მშვიდ ძილს განაგრძობდნენ ბნელეთში.

– ბიძია ბაზუჟ, ხმა გაიკმინდეთ! – მკაცრად შენიშნა ლორილემ, რომელმაც ამ ხმაურზე მოირბინა, – ეს არ არის რიგიანი ხუმრობა. თქვენ რომ გიჩივლონ, დაგითხოვენ სამსახურიდან... აბა, გასწით აქედან! თქვენ პრინციპების პატივისცემა არა გაქვთ.

მუკუბოე მოშორდა იქაურობას, მაგრამ ჯერ კიდევ კარგა ხანს ისმოდა მისი ბუტბუტი ქუჩაში.

– რის პრინციპები!.. არავითარი პრინციპები არ არის... არავითარი პრინციპები!.. არის მხოლოდ პატიოსნება!

ბოლოს და ბოლოს, ათი საათიც დაირეკა. სამგლოვიარო ეტლი იგვიანებდა. სახელოსნოში უკვე ხალხი შეიკრიბა, მეგობრები და მეზობლები, მუსიე მადინიე, წაღა, მადამ გოდრონი, მადმუაზელ რემანჟუ. ყოველ წუთს, დახურული დარაბების შუა ფართოდ გაღებულ კარში გამოჩნდებოდა ხან ქალის, ხან კაცის თავი, რათა შეეტყოთ, მოვიდა თუ არა ეს ზოზინა სამგლოვიარო ფორანი. შიგნითა ოთახში შეკრებილი ოჯახის წევრები ხელს ართმევდნენ მომსვლელებს. ხანმოკლე სიჩუმეს არღვევდა აჩქარებული ჩურჩული, ხოლო გაბეზრებულ და მღელვარე ლოდინს არღვევდა მადამ ლორილეს კაბის უეცარი გაშრიალება, რადგან მას ცხვირსახოცი დავიწყებოდა, ან მადამ ლერა, რომელიც ლოცვანის სათხოვნელად მიდიოდა. თითოეული მომსვლელი, შემოვიდოდა თუ არა პატარა ოთახში, ხედავდა ლოგინის წინ თავახდილ კუბოს. ყოველი მათგანი, თავისდა უნებურად, ცალი თვალით ათვალიერებდა ამ ყუთს და ზომავდა მას იმ ფიქრით, რომ ზორბა კუპოს დედა ვერასოდეს ჩაეტეოდა შიგ. ყველა ერთმანეთს უყურებდა. ყველას ეს ფიქრი ეხატებოდა თვალებში, მაგრამ ერთმანეთს არ უზიარებდნენ. უცებ ქუჩის კართან ხმაური ატყდა. მუსიე მადინიე შემოვიდა, ხელები დაიკრიფა და დარბაისლური და სერიოზული ხმით განაცხადა: – აი, ისინიც.

ეს ჯერ კიდევ არ იყო სამგლოვიარო ეტლი. ოთხი მეკუბოე შემოვიდა ზედიზედ, აჩქარებული ნაბიჯით, წითელსახიანები, ტვირთის მზიდველთა ტლანქი, მძიმე ხელებით და კუბოებზე ხახუნით გახეხილი და ფერდაკარგული ტანსაცმლით. მათ წინ მოუძღოდა ბიძია ბაზუჟი, ძალიან მთვრალი, მაგრამ წესიერი. მუშაობის დროს მას უბრუნდებოდა თავისი რიხი. მეკუბოეები უსიტყვოდ, თავჩაღუნულები გაჩერდნენ და თვალით წონიდნენ კუპოს დედას. მათ დიდი დრო არ დასჭირვებიათ. ცხვირის დაცემინებაზე უმალ შეკოჭეს საწყალი დედაბერი. ყველაზე პატარამ მათ შორის, თვალებდაელმებულმა ახალგაზრდამ ნახერხი ჩაცალა კუბოში, გაფინა ის და ისე სტკეპნიდა, თითქოს, პურს ზელდა. მეორემ, მაღალმა და ხმელმა, რომელიც ეტყობა, ხუმარა უნდა ყოფილიყო, ნახერხს ზეწარი გადააფარა. შემდეგ ერთი, ორი და აბა, მიდი! ოთხივემ სტაცა ცხედარს ხელი და ასწიეს, ორმა ფეხებში მოავლო ხელი, ხოლო დანარჩენმა ორმა – თავში. ტაფაში კუპატს არ ატრიალებენ ამაზე უფრო ჩქარა. დამსწრეთაგან ყველას, ვისაც კი კისერი წინ წაწვდენილი ჰქონდა, შეეძლო ეფიქრა, თითქოს კუპოს დედა თვითონ ჩახტა ყუთში. ის ისე ჩაცურდა შიგ, როგორც საკუთარ სახლში. ოხ! რა ზუსტად მოერგო მას, ისე ზუსტად, რომ კუბოს ახალ ფიცრებზე შეხების დროს სხეულის მსუბუქი შრიალი მოისმა. სხეული ისე მჭიდროდ იყო კუბოში ჩამჯდარი, როგორც სურათი ჩარჩოში. ბოლოს და ბოლოს, ის მაინც ჩაეტია, რამაც ძალიან გააკვირვა დამსწრენი. უეჭველია, გუშინდელს აქეთ კუპოს დედა დაპატარავებულიყო. ამასობაში მეკუბოეები წამოდგნენ და იცდიდნენ. პატარა ელამმა ბიჭმა კუბოს ხუფი აიღო და, თითქოს ამით იწვევდა ნათესავებს, უკანასკნელად გამოსთხოვებოდნენ ცხედარს. ბიძია ბაზუჟს კი ამ დროს კბილებით ლურსმნები ეჭირა და ჩაქუჩიც მზად ჰქონდა. მაშინ კუპო, მისი ორი და, ჟერვეზა და ზოგიერთი სხვაც მუხლებზე დაეცნენ, კოცნიდნენ მიმავალ დედას, აფრქვევდნენ ცრემლებს, რომელთა ტკბილი წვეთები ზედ ეცემოდა და მიგორავდა მიცვალებულის

გაშეშებულ და გაყინულ სახეზე. ისმოდა გაბმული ხმით ქვითინი. კუბოს თავი დახურეს, ბიძია ბაზუჟმა შემფუთავის შნოიანობითა და ეშხით ჩაურჭო კუბოს ლურსმნები, ჩაქუჩის ორჯერ დარტყმით თითოეულზე. გაწეულ-გამოწეულ დგამის ხმაურში ტირილის ხმა მიწყდა. ყველაფერი გათავდა. საჭირო იყო წასვლა.

– ნუთუ შეიძლება ამისთანა წუთში ამდენი ფართიფურთი? – მიმართა მადამ ლორილემ ქმარს, როდესაც მან კარის წინ დაინახა სამგლოვიარო ეტლი.

სამგლოვიარო ეტლმა მთელი უბანი ააღელვა. სახაშე დუქნის დიასახლისმა მოიხმო საბაყლო დუქნის ბიჭები, პატარა მესაათე ტროტუარზე გამოვიდა, მეზობლები ფანჯრებზე გადმოყუდებულიყვნენ და ყველანი ეტლის ხრახნილზე მოვლებულ თეთრ ფოჩებზე ლაპარაკობდნენ. ახ! კუპოებს არ ერჩივნათ ვალები მოეშორებინათ! მაგრამ, როცა ადამიანი ამპარტავანია, როგორც ამას ლაპარაკობდნენ ლორილეები, ეს ამპარტავნობა ყველგან და ყველაფერში გამოყოფს ხოლმე თავს.

– სამარცხვინოა! – ამბობდა იმავე დროს ჟერვეზა, რომელიც მეძეწკვესა და მის ცოლზე ლაპარაკობდა, – როგორ არ უნდა თქვას ადამიანმა, რომ ამ ქვაწვიებმა იების პატარა თაიგულიც კი არ მოუტანეს საკუთარ დედას.

ლორილეები, მართლაც ხელცარიელები მოვიდნენ. მადამ ლერამ ხელოვნური ყვავილების გვირგვინი მოიტანა. ამას გარდა, კუბოს დაადეს ნეგოს უჭკნობ ყვავილთა გვირგვინი და ერთიც თაიგული, ნაყიდი კუპოების მიერ. მეკუბოეებს მთელი ძალ-ღონის მოხმარება დასჭირდათ იმისთვის, რომ ცხედარი აეწიათ და ფორანზე დაესვენებინათ. სამგლოვიარო პროცესია მძიმედ ეწყობოდა. კუპო და ლორილე, სერთუკებით შემოსილნი, ქუდებით ხელში, წინ მიუძღოდნენ ჭირისუფლებს. პირველი მათგანი გულაჩვილებული იყო, რასაც ხელს უწყობდა დილით გადაკრული ორი ჭიქა თეთრი ღვინო. კუპო მკლავში ხელგაყრილი მიდიოდა სიძესთან ერთად, მუხლებში სისუსტეს გრძნობდა და თავიც სტკიოდა. მათ მოსდევდნენ მამაკაცები: მუსიე მადინიე დიდი სიდარბაისლით მთლად შავით მოსილი; წაღა, ხალათზე გადაცმული პალტოთი; ბოში, მდგომარეობისა და ადგილისთვის შეუფერებელი თვალში საცემი ყვითელი შარვლით; ლანტიე, გოდრონი, გარუჯული ბიბი, პუასონი და სხვა დანარჩენები. მათ შემდეგ მოდიოდნენ ქალები: პირველ რიგში, მადამ ლორილე, გარდაცვლილის გადაკეთებული კაბით; მადამ ლერა, რომელიც შალის ქვეშ მალავდა იმპროვიზებულ სამგლოვიარო ტანსაცმელს – ბლუზას იასამნისფერი არშიებით. მერე ერთიმეორის მიდევნებით მიდიოდნენ ვირჯინია, მადამ გოდრონი, მადამ ფოკონიე, მადმუაზელ რემანჟუ და დანარჩენების მთელი კუდი. ყველამ პირჯვარი გადაიწერა და ქუდი მოიხადა, როდესაც სამგლოვიარო ეტლი დაიძრა და ნელ-ნელა ჩაიარა გუტ-დორის ქუჩა, ოთხი მეჩირაღდნე ჩადგა სათავეში: ორი წინ მიუძღოდა, ხოლო დანარჩენი ორი – მარჯვნივ და მარცხნივ. ჟერვეზა სახელოსნოს დასაკეტად დარჩა. მან მადამ ბოშს ჩააბარა ნანა, თვითონ კი სირბილით დაეწია პროცესიას. მადამ ბოშმა ალაყაფის კართან ხელი მოავლო პატარა გოგოს. ნანა

უაღრესი ინტერესით უყურებდა, თუ როგორ შორდებოდა მას მშვენიერი ეტლით მიმავალი დიდედა.

სწორედ იმ მომენტში, როდესაც სუნთქვაშეკრული მრეცხავი ქალი პროცესიის კუდს დაეწია, მეორე მხრიდან ამ პროცესიას შემოუერთდა გუჟე. მჭედელი კაცებში გაერია, მაგრამ უკან მოიხედა და სალამი მისცა ჟერვეზას ისეთი სათნო და უწყინარი სახით, რომ ჟერვეზამ მყისვე უბედურად იგრძნო თავი და ცრემლებად დაიღვარა. ის მარტო კუპოს დედას კი არ ტიროდა. ამ დროს ის ტიროდა რაღაცას ამაზრზენს, რისი გამოთქმაც მას არც კი შეეძლო და რაც სულს უხუთავდა. მთელ გზაზე ჟერვეზას თვალებზე მიკრული ეჭირა ცხვირსახოცი. მადამ ლორილე მშრალი თვალებით, წამოწითლებული სახით, ალმაცერად გასცქეროდა რძალს და, თითქოს ბრალს სდებდა, რომ მისი მწუხარება მოჩვენებითი იყო.

ეკლესიაში წესის აგება მალე ჩააბულბულეს. მხოლოდ წირვა გაგრძელდა ცოტა დიდხანს, რადგან მღვდელი მეტად მოხუცებული იყო. წაღა და გარუჯული ბიბი გარეთ დარჩნენ შესაწირავის მიზეზით. მუსიე მადინიე მთელი ამ ხნის განმავლობაში თვალყურს ადევნებდა სამღვდელოებას და დაკვირვებებს უზიარებდა ლანტიეს. ეს მატყუარები ლათინურად ბუტბუტებენ და არც კი გაეგებათ, რას არახუნებენო: დამარხავენ ვისმეს, მონათლავენ თუ ჯვარს დასწერენ, ნამცეცი გრძნობა არა აქვთ. შემდეგ მუსიე მადინიემ გაკიცხა ამოდენა ცერემონიები, სანთლების შუქი, სევდიანი ხმები და მთელი ეს ჭირისუფლებისთვის გამართული გამოფენა. მართლაც რომ კაცი თავისიანს ორჯერ კარგავს. ჯერ ერთხელ სახლში, მერე მეორედ – ეკლესიაში. ყველა მამაკაცი დაეთანხმა მას, რადგან სწორედ ამ დროს მძიმე წუთი დადგა, როდესაც წირვა დასრულდა, ლოცვების ბუტბუტი გაისმა და ყველა დამსწრეს ცხედრის წინ უნდა გაევლო და ნაკურთხი წყალი ესხურებინა მისთვის. სასაფლაო, საბედნიეროდ, შორს არ იყო. ეს იყო პატარა ლა შაპელის სასაფლაო ბაღის ბოლოს, რომელიც მარკადეს ქუჩაზე გადიოდა. არეულ-დარეული პროცესია ფეხების ბაკუნით მივიდა სასაფლაოზე, ყველა თავის საქმეზე ლაპარაკობდა. გაყინული მიწა გუგუნებდა და ესენი სიამოვნებით აბაკუნებდნენ ზედ ფეხებს გასათბობად. პირდაღებული ორმო, რომლის წინაც კუბო დაასვენეს, უკვე მთლად მოყინულიყო. იგი მოთეთრო და ქვიანი იყო თაბაშირის კარიერივით. პროცესიის მონაწილენი ღორღის გროვების ირგვლივ შემომწკრივდნენ. არაფერ სამხიარულოს არ წამოადგენდა მათთვის ამ სიცივეში ლოდინი და სამარის ორმოში გულისგამაწყალებელი ცქერა. ბოლოს, ძლივს ერთი პატარა სახლიდან გამოვიდა ოლარით შემოსილი მღვდელი, რომელიც კანკალებდა და თითოეულ მის მიერ წარმოთქმულ „დე პროფუნდისზე“ პირიდან ორთქლი ფთილებად ამოსდიოდა. უკანასკნელი პირჯვრის გამოსახვის შემდეგ მან მოუსვა, რადგან სულაც არ ჰქონდა ლოცვის ხელახლა დაწყების სურვილი. მესაფლავეებმა ნიჩბებს მოავლეს ხელი; გაყინული მიწა გოროხებად ცვიოდა კუბოზე და სამარის სიღრმეში ისეთი ხმაური ატყდა, თითქოს ყუმბარებს ესროდნენ, ზარბაზნები დაუშინეს და ხის ყუთი ახლავე გასკდებოდა. რაც უნდა ეგოისტი ყოფილიყო კაცი, მაინც გულს მოუკლავდა ეს მუსიკა. კვლავ ტირილი ატყდა. უკვე

წავიდ-წამოვიდნენ ყველანი და, თუმცა კარგა შორს იყვნენ წასულები, ეს გრიალი და ბრახაბრუხი მაინც ესმოდათ. წაღამ თითები დაიორთქლა და ხმამაღლა შენიშნა: „ახ! არა, დასწყევლოს ღმერთმა! საწყალ კუპოს დედას მანდ არ დასცხება!“

– ნება მოგვეცით, ცოტა რამით გაგიმასპინძლდეთ... – მიმართა ჭირისუფლებს და მათთან ერთად დარჩენილ რამდენიმე მეგობარს მესახურავემ.

და მარკადეს ქუჩაზე თვითონ პირველი შევიდა სამიკიტნოში, რომელსაც ეწოდებოდა „სასაფლაოდან დაბრუნებისას“. ქვაფენილზე დარჩენილმა ჟერვეზამ მოიხმო გუჟე, რომელიც უკვე წასვლას აპირებდა მას შემდეგ, რაც ჟერვეზას უკვე ხელმეორედ თავის დაკვრით მიესალმა. რატომ არ მოისურვა მან ერთი ჭიქა ღვინო შეესვა? არა, მჭედელს ეჩქარება, სახელოსნოში უნდა დაბრუნდეს. მაშინ წუთით ერთიმეორეს შეხედეს უსიტყვოდ.

– ბოდიშს ვიხდი თქვენ წინაშე იმ სამოცი ფრანკის გამო, – წაილუღლუღა ჟერვეზამ, – გიჟივით ვიყავი და თქვენ მომაგონდით...

– ოხ, ეგ არაფერია, საბოდიშოდ არ ღირს, – სიტყვა შეაწყვეტინა მჭედელმა, – ამასთან იცოდეთ, რომ მუდამ მზად ვარ გემსახუროთ, თუ გასაჭირი რამე დაგადგათ... მაგრამ დედაჩემს ნურაფერს ეტყვით ამაზე, რადგან მას თავისი აზრი აქვს, და მე არ მსურს წინააღმდეგობა გავუწიო და ვაწყენინო.

ჟერვეზა კვლავ უყურებდა გუჟეს. და როცა ხედავდა მის ესოდენ კეთილ, ესოდენ დანაღვლიანებულ სახეს ლამაზი და ოქროსფერი წვერით, მზად იყო მიეღო მისი ძველი წინადადება, – გაქცეულიყო მასთან ერთად სადმე მივარდნილ ადგილას და იქ ბედნიერად ეცხოვრა. ამის შემდეგ მას ერთი ცუდი აზრიც დაებადა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ესესხა მჭედლისგან ორჯერ გადაუხდელი ბინის ქირის ფული. ჟერვეზა აცახცახდა და ალერსიანი ხმით დაიწყო: – ნაჩხუბრები ხომ არა ვართ ჩვენ?

მჭედელმა თავი გაიქნია და მიუგო: – არა, რა თქმა უნდა, ჩვენ არასოდეს წავიჩხუბებთ. მხოლოდ, თქვენ გესმით, ყველაფერი დასრულდა.

მჭედელი დიდი ნაბიჯით წავიდა და დატოვა თავგზააბნეული ჟერვეზა, რომელსაც ზარის რეკვასავით უგუგუნებდა ყურებში გუჟეს უკანასკნელი სიტყვები. როდესაც ქალი სამიკიტნოში შევიდა, გულის სიღრმეში ყრუდ გაისმოდა ეს სიტყვები: „ყველაფერი დასრულდა“. დიახ, ყველაფერი დასრულდა! მე აღარაფერი მეშველება, რაღას ვიზამ ახლა, თუ ყველაფერი დასრულდა! იგი ჩამოჯდა, ერთი პატარა ლუკმა პური და ყველი გადაყლაპა საჩქაროდ და გამოცალა ღვინით სავსე ჭიქა, რომელიც მის წინ იდგა.

სამიკიტნო პირველ სართულზე იყო მოთავსებული. ეს იყო დაბალჭერიანი, გრძელი დარბაზი, რომელშიც ორი დიდი მაგიდა იდგა. ლიტრიანი ბოთლები, პურის ყუები და სამ თეფშზე დადებული ყველის კარგა მოზრდილი სამკუთხედები მწკრივად იყო

დაწყობილი მაგიდაზე. კომპანია სახელდახელოდ შეექცეოდა, უსუფროდ და უჭურჭლოდ. ცოტა მოშორებით მოგუგუნე ღუმელთან ოთხი მეკუბოე საუზმობდა.

– ღმერთო ჩემო! – განმარტებებს იძლეოდა მუსიე მადინიე, – ყველას თავისი დრო აქვს. მოხუცები ადგილს უთმობენ ახალგაზრდებს... თქვენ ძალიან დაცარიელებული გეჩვენებათ თქვენი ბინა, როცა დაბრუნდებით.

– ოხ! ჩემი ძმა ათავისუფლებს ამ ბინას! – ცხარედ წამოიძახა მადამ ლორილემ, – სრული გაკოტრებაა ეგ სახელოსნო.

კუპოს ამუშავებდნენ ყველანი, ყველა აქეზებდა, ხელი აეღო კონტრაქტზე. თვით მადამ ლერაც, რომელსაც ამ ბოლო დროს კარგი განწყობილება ჰქონდა ლანტიესა და ვირჯინიასთან, რადგან მას აღიზიანებდა აზრი, რომ ამ ორ ადამიანს შორის რაღაც სასიყვარულო ამბავი ტრიალებდა. ისიც გაკოტრებასა და ციხეში ჩაჯდომაზე ლაპარაკობდა, და თან თავზარდაცემული ადამიანის სახის გამომეტყველებას იღებდა. უეცრად მესახურავე გაბრაზდა, მისი გულის აჩვილება გააფთრებაში გადავიდა, რადგან უკვე საკმაოდ ბევრი სასმელი დალია.

– ყური დამიგდე, – უყვიროდა იგი ცოლს, – მინდა, ყური დამიგდო! მუდამ შენი გაგაქვს ხოლმე, მაგრამ გაფრთხილებ, ამ ჯერზე ჩემს ნებაზე მოვიქცევი.

– ახ! კარგი ერთი და! – წარმოთქვა ლანტიემ, – განა ოდესმე მასთან კეთილი სიტყვა გავა? ჩაქუჩი უნდა ურტყა გოგრაში, რომ რამე შეასმინო.

და ცოტა ხანს ორივე ურტყამდა ჟერვეზას. მაგრამ ეს გარემოება ხელს არ უშლიდა მათ ყბებს, განეგრძოთ მუშაობა. ყველი ქრებოდა, ბოთლებიდან ღვინო შადრევნებად მოდიოდა, ხოლო ჟერვეზა თითქოს მოალბო ამ მუჯლუგუნებმა. ის არაფერზე პასუხს არ აძლევდა მათ, არაფერს ამბობდა, პირი გამოტენილი ჰქონდა, ჩქარობდა ჭამას, თითქოს ძალიან იყო დამშეული. როდესაც მამაკაცებმა თავი დაანებეს, ჟერვეზამ წყნარად ასწია თავი და თქვა: – კმარა უკვე, მგონი, ჰა? მიმიფურთხებია მაგ სახელოსნოსთვის! აღარ მინდა... გესმით, თქვენ! მიმიფურთხებია. ყველაფერი დასრულდა!

მაშინ მათ დამატებით მოითხოვეს ყველი და პური და სერიოზულ საუბარს შეუდგნენ. პუასონები იღებდნენ კონტრაქტს და ორჯერ გადაუხდელი ქირის გასტუმრებასაც კისრულობდნენ. ამ დროს ბოშმაც მედიდური იერით სახლის პატრონის სახელით დასტური მისცა ამ გარიგებას, თანაც ამავე დროს, სანამ თათბირი გრძელდებოდა, კუპოებსაც მიაქირავა ერთი თავისუფალი ბინა მეექვსე სართულზე, ლორილეების დერეფანში. რაც შეეხება ლანტიეს, ღმერთო ჩემო! მას ძალიან უნდოდა შეენარჩუნებინა თავისი ოთახი, თუკი ეს არ შეაწუხებდა პუასონებს. პოლიციელმა თავი დაუქნია იმის ნიშნად, რომ ეს მათ სრულებით არ შეაწუხებს. მეგობრები ყოველთვის მორიგდებიან, მიუხედავად პოლიტიკურ შეხედულებათა სხვადასხვაობისა. ამის შემდეგ ლანტიე, როგორც ისეთი ადამიანი, რომელმაც უკვე

გამოჩარხა თავისი საქმე, აღარ ჩარეულა საერთო თათბირში. მან გაიმზადა ვეება პურის ნაჭერზე წასმული ყველი და გულმოდგინედ იღეჭებოდა. სკამის ზურგზე გადაწოლილიყო და თვალთმაქცური სიხარულით გაბრწყინებულ სახეზე სისხლი უთამაშებდა. თანაც თვალების პაჭუნით, ქვეშ-ქვეშ, რიგრიგობით ათვალიერებდა ხან ჟერვეზას, ხან ვირჯინიას.

– ეი! ბიძია ბაზუჟ! – დაუძახა კუპომ, – მოდი, ერთი ჭიქა დალიეთ, ჩვენ ამაყი ხალხი არ ვართ, მუშები ვართ ყველა.

ოთხი მეკუბოე, რომლებიც გასვლას აპირებდნენ, ისევ მობრუნდნენ, რათა ჭიქები მიეჭახუნებინათ იქ მყოფთათვის. საწყენად ნუ მიიღებთ ნურავინ, და ის ქალბატონი, ეს არის ახლა რომ... კარგა მძიმე წონისა იყო, და ერთ ჭიქა ღვინოდ კიდევაც ღირდა. ბიძია ბაზუჟი დაჟინებით აშტერდებოდა მრეცხავ ქალს, მაგრამ უადგილო სიტყვის თქმისგან თავი შეიკავა. ჟერვეზა წამოდგა, ცუდად იგრძნო თავი და მიატოვა მამაკაცები, რომლებიც კვლავ ღვინით იჭყიპებოდნენ. კუპო უკვე უგონოდ მთვრალი იყო და ხელახლა მოჰყვა სლუკუნს. ამბობდა, ეს დარდისგან მომდისო.

საღამოს ჟერვეზა სახლში დაბრუნდა. გამოშტერებული დაჯდა სკამზე, ოთახები დაცარიელებული და უზარმაზარი ეჩვენებოდა. მართლაც დიდი ტვირთი მოიშორა თავიდან. მარტო კუპოს დედა ხომ არ დატოვა იქ, იმ ორმოს ფსკერზე, მარკადეს ქუჩის პატარა ბაღში. მას ახლა ბევრი რამ აკლდა: მისი სიცოცხლის მონაჭერი, – მისი სახელოსნო, სიამაყე სახელოსნოს მეპატრონისა და სხვა ბევრი გრძნობა, რომელიც სწორედ დღეს დამარხა. დიახ, ცარიელი იყო კედლები, ცარიელი იყო მისი გულიც, ეს იყო სრული გასახლება, ეს იყო ორმოში ჩავარდნა. ახლა ჟერვეზა მეტად დაქანცულად გრძნობდა თავს და ფიქრობდა, შემდეგში მოვიკრებ ძალას, თუ შევძლებო.

ღამის ათ საათზე ნანამ, ტანისამოსის გახდის დროს საშინელი ტირილი მორთო ფეხების ბაკუნით. მას კუპოს დედის ლოგინში უნდოდა ჩაგორება. დედა მის დაშინებას შეეცადა, მაგრამ ეს პატარა გოგო მეტისმეტად ადრე მომწიფებულიყო და მიცვალებული მასში უდიდეს ცნობისმოყვარეობას აღვიძებდა. ბოლოს იმ მიზნით, რომ ნანას მათთვის მოსვენება მიეცა, ნება დართეს, კუპოს დედის ლოგინზე გაჭიმულიყო. ამ გოგოს დიდი საწოლები უყვარდა. ზედ თავისუფლად იშხლართებოდა და კოტრიალებდა. იმ ღამეს მშვენივრად ეძინა თბილსა და სასიამოვნოდ რბილი ბუმბულის ლეიბზე.

## თავი მეათე

კუპოების ახალი ბინა მეექვსე სართულზე იყო, კიბე B-სთან. როდესაც მადმუაზელ რემანჟუს წინ გაივლიდით, დერეფანში უნდა შეგეხვიათ მარცხნივ. შემდეგ ისევ

შეუხვევდით. პირველი კარი ბიჟარებისა იყო, ხოლო ამ ბინის თითქმის პირდაპირ, ერთ უჰაერო სოროში, სახურავისკენ მიმავალ პატარა კიბის ქვეშ, ბიძია ბრიუს ეძინა. კიდევ ორ ბინას გასცდებოდით და მიადგებოდით ბიძია ბაზუჟს. ბოლოს, ბაზუჟის ბინის პირდაპირ იყო კუპოების ერთი ოთახი საკუჭნაოთი ეზოს მხარეს. მხოლოდ ორ ბინას უნდა გასცდენოდით კიდევ ამ დერეფანში, რომ სულ ბოლოში ლორილეებთან მისულიყავით.

ერთი ოთახი და ერთიც საკუჭნაო, მეტი არაფერი! კუპოები ახლა ამ ქანდარაზე იყვნენ შესკუპებული. მერე რა ოთახი იყო, კუდს ვერ მოიქნევდი! ყველაფერი, რაც საჭიროა: ძილი, ჭამა-სმა თუ სხვა დანარჩენი, ყველაფერი იქ ხდებოდა. ნანას საწოლი ძლივს ეტეოდა საკუჭნაოში. დედ-მამის წინაშე უხდებოდა ტანსაცმლის გახდა. ღამით კი კარს ღიას ტოვებდნენ, რომ ბავშვი არ გაგუდულიყო. ბინა ისეთი ვიწრო იყო, რომ ჟერვეზამ თავისი სახელოსნოს მოწყობილობა პუასონებს დაუტოვა, რადგან ყველაფერი ვერ დატია. საწოლი, მაგიდა, ოთხი სკამი და, ოთახიც გაივსო. მაგრამ გულმოკლულ ჟერვეზას გაბედულება არ ეყო, კამოდს გამოსთხოვებოდა. ამიტომ გახირული იდგა ოთახში და ფანჯარას ნახევრად ფარავდა. ფანჯრის ცალი ფრთა ამის გამო აღარ იღებოდა და ოთახსაც შუქი და მხიარულება აკლდებოდა. როცა ჟერვეზას უნდოდა ეზოში ჩაეხედა, აღარ იცოდა სად წაეღო იდაყვები, რადგან ძალიან გასქელებულიყო და გვერდულად, კისერმოღრეცილი იხედებოდა.

პირველ დღეებში მრეცხავი ქალი იჯდა და ტიროდა. მეტად უმძიმდა ეს გარემოება, რომ საკუთარ ოთახში არ შეეძლო თავისუფლად განძრევა მას შემდეგ, რაც შეჩვეული იყო ასე ფართოდ და ხალვათად ცხოვრებას. სული ეხუთებოდა და საათობით ფანჯარასთან იჯდა, კამოდსა და კედელს შუა ჩაჭედილი, სანამ კისერი არ ასტკივდებოდა. ის მხოლოდ აქ სუნთქავდა თავისუფლად, თუმცა ეზო სევდის მეტს არაფერს ჰგვრიდა. პირდაპირ მზის მხარეზე ჩანდა ოდესღაც მისთვის საოცნებო ესპანური ცერცვი, რომელიც ყოველ გაზაფხულს თავისი წვრილი ღეროებით ეხვეოდა იქვე გაბმული თოკის ბადეს. ჟერვეზას ოთახი ჩრდილის მხარეს იყო და რეზედას ბუჩქი ქოთანში ერთი კვირის განმავლობაში ჩაკვდა. ახ! არა, ცხოვრება კარგად არ შეტრიალდა, ეს არ იყო ისეთი არსებობა, რომელსაც ჟერვეზა ნატრობდა. იმის მაგივრად, რომ სიბერის ჟამს ყვავილები ჰქონოდა, ჭუჭყში გორაობდა. ერთ დღეს ჟერვეზა ფანჯარაზე გადაეყუდა და უცნაური გრძნობა დაებადა, ეგონა, რომ ქვემოთ ხედავდა თავს, შემოსასვლელი კარის თაღის ქვეშ, მეეზოვის ბინის ახლოს, და მაღლა იყურებოდა ისევე, როგორც მაშინ, როცა პირველად ათვალიერებდა ამ სახლს. ამ ცამეტი წლით უკან გადახტომამ ჟერვეზას გულის ტკივილი აგრძნობინა. მას შემდეგ ეზო არ შეცვლილა, გაშიშვლებული კედლებიც ოდნავ უფრო გაშავებულა და გაქუცულა. სიმყრალის სუნი ამოდიოდა დაჟანგული ღარებიდან; ფანჯრების წინ გაბმულ თოკებზე შრებოდა სარეცხი, – ბავშვების ჭუჭყიანი ჩვრები. ეზოს ამოჩიჩქნილი ქვაფენილი ისევ საზეინკლოს ქვანახშირის ნამსხვრევებით იყო მონაგვიანებულ-მოსვრილი და სადურგლოს ბურბუშელით მოფენილი. წყალსადენის აუზის ნესტიან კუთხეში სამღებროდან გამონადენ წყლის გუბეს ისევ ის ლამაზი

ლურჯი ფერი დაჰკრავდა, ისეთივე ნაზი ლაჟვარდი, როგორიც მაშინ, მაგრამ ამ წუთში ჟერვეზა გრძნობდა, რომ თვითონ ის ძალიან შეიცვალა, შეიფერთხა და დაჭკნა. ახლა ქვევით კი არ იდგა მაღლა თვალებაპყრობილი, კმაყოფილი, სიმხნევით სავსე და ლამაზ და კოხტა ბინაზე მეოცნებე. ის ახლა სახურავის ქვეშ იჯდა, უსაზიზღრეს კუნჭულში, ჭუჭყიან სოროში, რომელთანაც მზის სხივი არასოდეს სტუმრად არ მიდიოდა. ამიტომ ტიროდა და არ შეეძლო თავისი ბედით აღტაცებული ყოფილიყო. თუმცა კი, დასაწყისში, როდესაც ჟერვეზა ოდნავ შეეჩვია მდგომარეობას, ახალ ბინაზე თითქოს არც ისე ცუდად ჩანდა ოჯახის საქმეები. ზამთარი თითქმის მიიწურა. გაყიდულ ავეჯში ვირჯინიასგან მიღებულმა გროშებმა მას საშუალება მისცეს პირველ ხანებში ცოტად თუ ბევრად მოწყობილიყო. შემდეგ ბედნიერი შემთხვევაც გამოჩნდა: კუპო გაიწვიეს სამუშაოდ პროვინციაში, ეტამპში. იქ მან სამი თვე გაატარა ისე, რომ ერთხელაც არ დამთვრალა. განმკურნავად იმოქმედა მასზე სოფლის ჰაერმა. ძნელად დასაჯერებელია, თუ ლოთებს როგორ უკლავს წყურვილს პარიზის ჰაერთან დაშორება, პარიზისა, რომლის ქუჩებიც ღვინისა და არყის ორთქლით არიან გაჟღენთილი. კუპო გამოცოცხლებული, ვარდივით ნატიფი დაბრუნდა იქიდან, თან ოთხასი ფრანკიც მოიტანა. ამ ფულით მათ ორი ვადის გადაუხდელი ბინის ქირა მოიშორეს, რომლის თავმდებებადაც პუასონები ჰყავდათ. ამასთან სხვა წვრილ-წვრილი, გადაუდებელი ვალებიც გაისტუმრეს უბანში. ჟერვეზას გზა გაესხნა ორსა თუ სამ ქუჩაზე, რომლებზედაც გასვლას აქამდე ვერ ბედავდა. ბუნებრივია, ჟერვეზა უკვე დღიურ მომუშავედ გადაიქცა. მადამ ფოკონიემ, რომელიც კეთილი დედაკაცი იყო, მაშინ, როცა თავს მოუქონავდნენ, მოისურვა ჟერვეზას აყვანა. ის დღეში სამ ფრანკსაც აძლევდა, როგორც პირველხარისხოვან მუშაკს, მისი ძველი მდგომარეობის, – სამრეცხაოს პატრონის წოდების პატივისცემით. ოჯახი ასე თუ ისე, ნელ-ნელა მიღოღავდა. ჟერვეზას იმედი მიეცა, რომ დადგებოდა დღე, როდესაც ისინი შრომითა და მომჭირნეობით იმდენ ფულს იშოვიდნენ, რომ ყველა ვალს მოიშორებდნენ და ცოტაოდენად ასატან ცხოვრებას შეიქმნიდნენ. თუმცა ის ასე იმედიანად იყო იმ ცხელ გულზე, როცა კუპომ საგრძნობი თანხა იშოვა. მერე კი, როცა გაგრილდა, თავი დახარა ბედის წინაშე, და ამბობდა, კარგ რამეებს დიდი დღე არა აქვსო.

კუპოებს ყველაზე მეტად ის უმძიმდათ, რომ მათ სახელოსნოში პუასონებმა მოიკალათეს. კუპოები ბუნებით შურიანები არ იყვნენ, მაგრამ მათ აღიზიანებდნენ სხვები, რომლებიც განზრახ იკვირვებდნენ და გადაჭარბებით აქებდნენ იმ გაუმჯობესებებს, რაც კუპოების მემკვიდრეებმა შეიტანეს მათ ყოფილ ბინაში. ამ მხრივ ბოშები, განსაკუთრებით კი ლორილეები იყვნენ დაუშრეტელნი. მათთვის რომ ყური დაგეგდოთ, ამაზე უფრო მშვენიერი დუქანი ჯერ არსად, არასდროს არავის ენახა. ისინი ლაპარაკობდნენ იმ ჭუჭყზე, რომელიც პუასონებს იქ დაუხვდა, რომ მათ მარტო მისი გასუფთავება დაუჯდათ თითქმის ოცდაათი ფრანკი. ვირჯინიამ იყოყმანა და, ბოლოს, გადაწყვიტა მცირე საქონლით, – კანფეტებით, შოკოლადით, ყავით და ჩაით სავაჭრო გაეხსნა. ლანტიე მას ცხარედ ურჩევდა ამგვარი სავაჭროს გახსნას, რადგან, ტკბილეულით ვაჭრობა უზარმაზარ მოგებას იძლევა. დუქანი შავად

შეღებეს და ყვითელი ზოლებიც ჩამოუსვეს, რადგან ორივე ფერი შნოიანია. სამი დურგალი მუშაობდა ერთი კვირის განმავლობაში ყუთების, ვიტრინებისა და ლარნაკების დასადგმელი დახლის მოწყობაზე, როგორც ეს საშაქარლამოებშია მიღებული. ალბათ, ის პატარა მემკვიდრეობა, რომელიც პუასონს ჰქონდა შემონახული, საგრძნობლად გაიფცქვნა. სამაგიეროდ, ვირჯინია ზეიმობდა. და ლორილეები, მეკარეების დახმარებით, აუცილებლად ატყობინებდნენ ჟერვეზას თითოეული ყუთის, ვიტრინის ან ლარნაკის ამბავს და უხაროდათ, თუ შენიშნავდნენ რომ ჟერვეზას სახე შეეცვალა. შეიძლება, სულ არ იყოთ მოშურნე, მაგრამ უსათუოდ გაცოფდებით, თუ ვინმე თქვენს ფეხსაცმელს ჩაიცვამს და ამავე ფეხსაცმლით გაგთელავთ.

აქ საკითხი საყვარელ მამაკაცსაც ეხებოდა. მეზობლები ირწმუნებოდნენ, რომ ლანტიემ მიატოვა ჟერვეზა. მთელი უბანი დიდად იწონებდა ამას. ბოლოს და ბოლოს, ცოტათი მაინც ხომ დამყარდა ზნეობა უბანში. განშორების მთელი დამსახურება ამ ვირეშმაკა ლანტიეს მიაწერეს, რადგან ქალები კვლავ ეტრფოდნენ მას. დაწვრილებითაც ჰყვებოდნენ ამბავს, ვითომ მექუდე იძულებული გახდა კაი-კაი სილები ეჭმია მრეცხავისთვის, რათა დაეწყნარებინა ეს ქალი, რომელიც მისთვის გიჟდებოდა. ბუნებრივია, სიმართლეს არავინ ამბობდა. ხოლო ისინი, ვისაც შეეძლო ეს სიმართლე სცოდნოდა, ძალიან უბრალოდ უყურებდნენ ამას და ნაკლებად საინტერესოდაც მიაჩნდათ. თუ ნებავდათ, დიახ ასე იყო, ლანტიემ მართლაც მიატოვა ჟერვეზა იმ გაგებით, რომ ეს ქალი დღე და ღამე თავის განკარგულებაში აღარ ჰყავდა. მაგრამ, ეჭვგარეშეა, ის დადიოდა მეექვსე სართულზე ჟერვეზას სანახავად, როცა ამის სურვილი ექნებოდა, რადგან მადმუაზელ რემანჟუს არაერთხელ ხვდებოდა ფრიად შეუფერებელ საათებში გამოსული კუპოების ბინიდან. ამრიგად, მათი კავშირი გრძელდებოდა, მაგრამ ჯახირით, არც ერთი და არც მეორე ამით დიდ სიამოვნებას არ განიცდიდა. ეს იყო ჩვეულება, თავაზიანობა ურთიერთისადმი, მეტი არაფერი. მხოლოდ მდგომარეობას ართულებდა ის გარემოება, რომ ახლა მთელი უბანი ლანტიესა და ვირჯინიას საერთო ლოგინზე ჭორაობდა. აქაც უბანი მეტისმეტად ჩქარობდა. ეჭვი არ არის, რომ მექუდეს თვალი ეჭირა ამ ახმახ და შავგვრემან ქალზე. ეს გასაგებიც იყო, რადგან ვირჯინიამ იმ ბინაში ყოველმხრივ და ყველაფერში შეცვალა ჟერვეზა. ერთი სახუმარო ამბავიც დადიოდა უბანში, თითქოს ლანტიე ძველებურად მიუჩოჩდა მეზობლის ლოგინს, ჟერვეზას ეძებდა და მის მაგიერ კი ვირჯინია წაიყვანა თავისთან და გათენებამდე ვერ იცნო სიბნელის გამოო. ამ ამბავზე ბევრს იცინოდნენ, მაგრამ სინამდვილეში საქმე არ იყო აქამდე მისული. ლანტიე მხოლოდ იმას ბედავდა, რომ ოდნავ ჩქმეტდა თეძოებზე ვირჯინიას. მაგრამ ლორილეები მაინც ნაზი თანაგრძნობით ლაპარაკობდნენ მრეცხავი ქალის წინაშე ლანტიესა და მადამ პუასონის სიყვარულზე, რათა ეჭვი აღეძრათ მის გულში. ბოშებიც ჟერვეზას გასაგონად ლაპარაკობდნენ, რომ მათ არასოდეს ამაზე უფრო მშვენიერი წყვილი არ უნახავთ. ყველაზე უცნაური მთელ ამ ამბავში ის იყო, რომ გუტ-დორის ქუჩა არ აღშფოთებულა, საწყენად არ მიუღია ეს ახალი სიყვარული სამთა შორის. არა, მორალი, რომელიც მკაცრი იყო ჟერვეზასადმი, ვირჯინიასადმი

შემწყალე აღმოჩნდა. შესაძლოა, გუტ-დორის ქუჩის მოღიმარი შემწყნარებლობა იქიდან გამომდინარეობდა, რომ ვირჯინიას ქმარი პოლიციელი იყო.

საბედნიეროდ, ჟერვეზას სულ არ აწუხებდა ეჭვიანობა. ლანტიეს ღალატს ის ძალიან მშვიდად უყურებდა, რადგან მისი გული დიდი ხანია, რაც არ მონაწილეობდა მათ ურთიერთობაში. და თუმცა ჟერვეზა თვით არ ეძებდა, მაგრამ ბევრჯერ მოუსმენია ბინძური ამბები მექუდზე, მისი თავგადასავალი სხვადასხვა ჯურის ცუდი ყოფაქცევის ქალთან, პირველ შემხვედრ ქუჩის დედაკაცთან. ხოლო იმდენად უმნიშვნელოდ ჩაუვლია მისთვის ამ ამბებს, რომ არ დაუკარგავს არც თავისი შემწყნარებლობა და გულშიც ვერ უპოვია იმდენი მრისხანება, რომ კავშირი გაეწყვიტა ამ კაცთან. მაგრამ ის ვეღარ შეხვდა ადრინდელი გულგრილობით საყვარლის ახალ გატაცებას. ვირჯინია, – ეს უკვე სხვა ამბავი იყო. მათ ხომ ეს ჟერვეზას გასაღიზიანებლად მოიგონეს ორივემ და თუ ჟერვეზა უმნიშვნელო, წვრილმან განცდებს არაფრად აგდებდა, სამაგიეროდ, აქ ფხიზლად უნდა ყოფილიყო, უბრალოდ ამას ვერ ჩაატარებდა. ამიტომ, როდესაც მადამ ლორილე ან რომელიმე სხვა როკაპი განზრახ ლაპარაკობდა, პუასონი სენ-დენის კარის ქვეშ ვეღარ გაივლის თავისი რქების გამოო, ჟერვეზა ფითრდებოდა, სუნთქვა ეკვროდა და გულს ცეცხლი ეკიდებოდა. ტუჩებს იკვნეტდა, ცდილობდა არ გაჯავრებულიყო, რომ მტრები არ გაეხარებინა. მაგრამ ლანტიეს, როგორც ჩანს, ეჩხუბებოდა. ყოველ შემთხვევაში მადმუაზელ რემანჟუმ თითქოს სილის გარტყმის ხმაც კი გაიგონა ერთხელ ნაშუადღევს. ეტყობა, წაჩხუბებულებიც იყვნენ, რადგან ლანტიე მთელი ორი კვირის განმავლობაში არ ელაპარაკებოდა ჟერვეზას. მერე კი ის თვითონვე პირველი მივიდა ჟერვეზასთან და ურთიერთობა კვლავ ისევ განახლდა, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. ჟერვეზამ დამორჩილება არჩია, რადგან არ უნდოდა აყალმაყალი აეტეხა და ამით უფრო მეტად გაეფუჭებინა თავისი ცხოვრება. ახ! ის ხომ ოცი წლის აღარ იყო და იმდენად ხომ აღარ უყვარდა მამაკაცები, რომ ცემა-ტყეპა გაემართა მათი მშვენიერი თვალებისთვის და თავი საფრთხეში ჩაეგდო. მისთვის ეს ამბავი მხოლოდ დამატება იყო სხვა დანარჩენებისა.

კუპო კი მასხრობდა. ამ ხათრიან ქმარს, რომელიც საკუთარ თავზე ვერ ამჩნევდა რქებს, სასაცილოდ არ ჰყოფნიდა პუასონის თავზე ამოსული წყვილი რქა. რაც მის ოჯახში ხდებოდა, ეს სათვალავში მისაღები არ იყო, ხოლო სხვის ოჯახში იგივე ამბავი სასაცილო სეირი იყო. და კუპო არაფერს იშურებდა, ვინ იცის, რას არ სჩადიოდა იმისთვის, რომ დაწვრილებით შეეტყო ყველაფერი ისევე, როგორც ამას იტყობდნენ მეზობელი ქალები, რომლებიც პუასონებს უთვალთვალებდნენ. რა ყეყეჩი რამ არის ეს პუასონი! ეგ უნდა ატარებდეს გვერდზე დაშნას და თავს ნებას აძლევდეს, ხალხს ხელიც ჰკრას ქვაფენილზე?! ბოლოს კუპომ იქამდე მიიყვანა თავისი გამომწვევი კილო, რომ თვით ჟერვეზასაც დაუწყო აგდებით ლაპარაკი. ახ! რა კარგია! ლამაზად არ მიგატოვა შენმა შეყვარებულმა? ბედი არ გქონია: ჯერ იყო და მჭედელთან არაფერი გამოგივიდა, ახლა მექუდეც წაგივიდა ხელიდან. ეს იმიტომ ხდება, რომ არასერიოზულ ხალხს ირჩევ. რატომ კალატოზებს არ მიმართავ,

დარბაისელი ხალხია, პირიანად იციან ბათქაშის დაკვრა! ეჭვგარეშეა, კუპო ხუმრობის კილოთი ამბობდა ამას, მაგრამ ჟერვეზას მაინც მწვანე ფერი დაედებოდა ხოლმე, რადგან ქმარი ისე უფათურებდა სულში პატარა ნაცრისფერ თვალებს, თითქოს უნდოდა ეს სიტყვები ღრმად ჩაებურღა მის გულში. როცა კუპო იწყებდა უწმაწურ ლაპარაკს, ჟერვეზამ არასოდეს იცოდა, ხუმრობა იყო ეს, თუ სიმართლე. როცა კაცი წლობით ლოთობს, ის აღარ არის თავის ჭკუაზე, და არიან ქმრები, რომელნიც ძალიან ეჭვიანები ყოფილან ოცი წლის ასაკში, მაგრამ სასმლის გავლენით, უკვე ოცდაათი წლის ასაკში მეტად დამთმობნი გამხდარან ცოლქმრული ერთგულების საკითხში.

უნდა გენახათ, თუ როგორ იბღინძებოდა კუპო გუტ-დორის ქუჩაზე. ის პუასონს როსანს უწოდებდა. ახლა ხომ პირში ბურთი ჩაეჩარა ყველა ჭორიკანას! ახლა ხომ კუპო აღარ არის რქოსანი! ოხ! მან იცის ის, რაც საცოდნელია! თუ თავის დროზე მას ისეთი იერი ჰქონდა, ვითომ არაფერი იცოდა, ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ჭორები არ უყვარს. ყველამ იცის თავისი შინაური საქმე, ყოველი კაცი იქ მოიფხანს, სადაც მოექავება. კუპოს არ მოჰქავებია, და არ შეეძლო მოეფხანა იმიტომ, რომ სხვებისთვის ესიამოვნებინა. ჰოდა, ამ პოლიციელს თუ გაეგება რამე, რას ფიქრობს ამ საქმეზე? ეს ხომ უბრალო ჭორი აღარ არის, ეს უკვე მართალია! შეყვარებულები ნახეს ერთად... და კუპო ჯავრობდა, ვერ გაეგო, თუ როგორ შეეძლო მამაკაცს, მთავრობის სამსახურში მყოფ მოხელეს, ასეთი სკანდალის ატანა საკუთარ სახლში. ეტყობა, პოლიციელს სხვის მიერ გამოხრული ძვლების წუწნა ჰყვარებია და მეტი არაფერიო. მაგრამ ამის მიუხედავად, როდესაც კუპოს მოსწყინდებოდა საბრალო ბუნაგში სახურავის ქვეშ ცოლთან მარტოდმარტო ყოფნა, ის ლანტიეს საძებნელად მიდიოდა, და მექუდე ძალით ამოჰყავდა შინ. კუპომ მოიწყინა თავის სოროში მას შემდეგ, რაც მეგობარი არ ჰყავდა გვერდით. ის ლანტიეს ჟერვეზასთან არიგებდა, როცა ამჩნევდა, რომ ვერ იყვნენ ერთმანეთში კარგად. დალახვროს ღმერთმა! ჯანდაბამდე გზა ჰქონია მთელ ქვეყანას, განა აკრძალულია ადამიანი ისე ერთობოდეს, როგორც ამას მისი გული მოითხოვს? კუპო ხითხითებდა. მის ლოთურად აციალებულ თვალებში ფართო გაქანების აზრები გამოკრთოდა. მას თითქოს მოთხოვნილება ჰქონდა, ყველაფერი მექუდისთვის გაეყო, ოღონდ ეს ცხოვრება შეელამაზებინა. განსაკუთრებით, ამგვარ საღამოებში ჟერვეზამ არ იცოდა, ხუმრობდა მისი ქმარი თუ მართლა ლაპარაკობდა.

ამ ამბავში ლანტიეს ქედმაღლურად ეჭირა თავი. ის ღირსეულად იქცეოდა. ერთი სამჯერ მაინც შეუშალა ხელი ჩხუბს კუპოებსა და პუასონებს შორის. ამ ორი ოჯახის შეთანხმებით ცხოვრება ხელსაყრელი იყო მისთვის. მისი მზრუნველობის, ნაზი და ამავე დროს მტკიცე ყურადღების წყალობით, როგორსაც იგი ჟერვეზასა და ვირჯინიასადმი იჩენდა, ეს ორი ქალი ცდილობდა თავი ისე ეჩვენებინა, ვითომ დიდი მეგობრები იყვნენ, ფაშის სიმშვიდით ფლობდა ლანტიე ქერა ქალსაც და შავგვრემანსაც, და სუქდებოდა საკუთარი ოინბაზობის წყალობით. ამ ყურუმსაღს ჯერ კუპოები არ მოენელებინა, რომ უკვე პუასონებს ჭამდა. ო! მას მორიდება სულაც არ ჰქონდა. ერთი დუქანი გადაყლაპა, ახლა მეორის სანსვლას შეუდგა. ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ამ ყაიდის ადამიანებს აქვთ გასავალი ცხოვრებაში.

იმ წელიწადს, ივნისში, ნანა პირველად ეზიარა. ის უკვე ცამეტი წლისა გახდა და ნაადრევი სატაცურივით მაღლა აწოწილიყო. მეტად უტიფარი და თამამი ჩანდა. წინა წელს ზიარებაზე არ დაუშვეს საძაგელი ყოფაქცევის გამო, ხოლო თუ ახლა მღვდელი დათანხმდა მის მიღებას, ეს იმის შიშით იყო გამოწვეული, რომ გოგო მეორედ აღარ მივიდოდა მასთან, და მოძღვარს ერთი წარმართით მეტი უნდა გაეშვა ქუჩაში. ნანა სიხარულისგან ფეხზე აღარ იდგა, ცეკვავდა თეთრი კაბის მოლოდინში. ლორილეები, როგორც ნათლიები, დაჰპირდნენ მას თეთრ კაბას, და მთელი სახლი გააყრუეს ამაზე ლაპარაკით. მადამ ლერა აძლევდა პირბადესა და თავსაბურავს, ვირჯინია – ჩანთას, ლანტიე – ლოცვანს. ამრიგად, კუპოებს არ დასჭირვებიათ ამაზე დიდი ზრუნვა. პუასონებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით, რა თქმა უნდა, ესეც მექუდის რჩევით, და თავისთან მიიპატიჟეს კუპოები და ბოშები, რომელთა პატარა გოგოც აგრეთვე პირველად მიდიოდა ზიარებაზე. იმ საღამოს პუასონებთან უნდა შეჰქცეოდნენ შაშხს მისატანებლებით.

სწორედ წინადღით, როდესაც ნანა აღტაცებით შეჰყურებდა კამოდზე დალაგებულ საჩუქრებს, შემოვიდა საზიზღრად გალეშილი კუპო. კვლავ დასძლია იგი პარიზის ჰავამ. მესახურავე დაერია ცოლსა და შვილს მთვრალი კაცისთვის დამახასიათებელი როშვით და მდგომარეობისთვის შეუფერებელი უშვერი სიტყვებით ლანძღავდა. თუმცა კი ნანა თვითონაც ყიამყრალი გოგო იყო, რადგან უწმაწური ლაპარაკის მეტი ირგვლივ არა ესმოდა რა. ჩხუბის დროს დედას მშვენიერი სიტყვებით ამკობდა, აქლემსა და ძროხას უწოდებდა.

– პური-მეთქი! – ღრიალებდა მესახურავე, – მე ჩემი წვნიანი მინდა, ჯაგლაგებო!.. უყურეთ ერთი ამ ქალებს თავიანთი ჩვრებით! კერძი მომიტანეთ, თორემ, იცოდეთ ზედ დავაჯდები მაგ უმაქნის ძონძებს...

– რა დღეს გვაყრის, როცა ნასვამია! – წაიბუტბუტა მოთმინებიდან გამოსულმა ჟერვეზამ.

მერე ქმარს მიუბრუნდა და უთხრა: – წვნიანი ცხელდება, ნუ გაგვიჭირე საქმე.

ნანას მოკრძალებით ეჭირა თავი, რადგან ამისთანა დღეს ძალიან შესაფერისად მიაჩნდა ამგვარი ქცევა. ის განაგრძობდა კამოდზე დალაგებული საჩუქრების თვალიერებას, თვალებს ძირს ხრიდა, ვითომ არ ესმოდა მამის ბინძური ლაპარაკი. მაგრამ მესახურავე ძალიან ჭირვეული იყო სიმთვრალის დროს. მან პირდაპირ ყურში ჩაჰყვირა თავის ქალს.

– მე შენ გიჩვენებ თეთრ კაბებს! გადაგიყრი სულ ყველას! ჰა? კიდევ ჩაიწყობ ქაღალდებს კორსაჟის ქვეშ კოკრების გასაკეთებლად, როგორც წინა კვირას?.. დიახ, დიახ, ცოტა დამაცადე! კარგად ვხედავ, რომ კურტუმის ქნევა გიყვარს. გაღიზიანებს და გიღიტინებს ეს ლამაზი რამერუმეები!.. თავში აგივარდა... წაიღე გადაკარგე მანდედან ეგ წყეული ძონძები! მოავლე თათი, სადმე ყუთში ჩატენე ეგ ყველაფერი, თორემ ისე მოგცხებ, რომ ნახევარიც ვერ დათვალო.

თავჩაღუნული ნანა კვლავ პასუხს არ აძლევდა. მან ხელში აიღო მსუბუქი თავსაბურავი და დედას ეკითხებოდა, რა ღირდა იგი. რადგანაც კუპომ ხელი წაატანა თავსაბურავის წასართმევად, ახლა უკვე ჟერვეზამ წაჰკრა ქმარს ხელი და შეუყვირა; – დაეხსენი მაგ ბავშვს! რა გინდა მისგან? დღეს თავისთვის არის ჭკვიანად. არაფერს აფუჭებს.

მაშინ კი მესახურავემ მოხსნა პირი გუდას: – ახ! თქვე წუნკლებო!.. დედაცა და ქალიც წყვილად ხართ ორივენი. ვითომ, საზიარებლად მიდიხართ და იქ კაცების საცქერლად კი მიეთრევით! ჯანდაბა, გაბედე ერთი, თქვა, არაო, შე გარეწარო, შენა!... ტომარას წამოგაცმევ თავზე, ვნახოთ, დაგეფხაჭნება ეგ ტყავი თუ არა, დიახ, ტომარას, რომ არშიყობის იშტა წაგერთვას შენცა და მაგ შენს მღვდლებსაც. არ მინდა, რომ შენ გაგრყვნან, განა შეიძლება მე ეს მოვინდომო?.. დასწყევლის ღმერთი! გსურთ თუ არა ორივეს, რომ ჩემს ნებაზე იაროთ!

გააფთრებული ნანა უცბად მობრუნდა, ხოლო ჟერვეზა ხელს აფარებდა საჩუქრებს, რომელთა დახევასაც იმუქრებოდა კუპო. შვილმა თვალი მიაშტერა მამას. შემდეგ გადაივიწყა მოკრძალება, რომელიც მოძღვარმა უქადაგა და კრიჭაშეკრულმა წამოიძახა: – ღორო!

კუპომ ისადილა თუ არა, დასაძინებლად მიეგდო და ხვრინვა ამოუშვა. მეორე დღეს კარგ გუნებაზე გაიღვიძა, ნაბახუსევზე. ცოტა კიდევ შერჩენოდა წინადღის სიმთვრალე, მაგრამ სწორედ იმდენად, რომ თავაზიანი ყოფილიყო. იგი დაესწრო ქალიშვილის ჩაცმას, თეთრი კაბის დანახვაზე გული აუჩუყდა და ამბობდა, დიდი არაფერი აცვია, მაგრამ ნამდვილი ქალიშვილის იერი მიეცაო... ბოლოს და ბოლოს, როგორც ის ამბობდა, – ბუნებრივია, რომ მამა ასეთ დღეს საკუთარი ქალიშვილით ამაყობდეს. უნდა გენახათ რა კოხტა, რა შნოიანი იყო ნანა საპატარძლოს დარცხვენილი ღიმილით, მოკლე კაბაში. როდესაც ქვევით, ეზოში ჩავიდნენ და ნანამ მეკარის ბინის კართან დაინახა პოლინა, რომელიც ასევე მორთულიყო, იგი შეჩერდა და თავისი ღია თვალებით აათვალიერ-ჩაათვალიერა, და რაკი დარწმუნდა, რომ მეგობარი მასზე უარესად იყო ჩაცმული, კაბა ტომარასავით ეკიდა ტანზე, ალერსიანად მოეპყრო მას. ეკლესიაში ორივე ოჯახი ერთად წავიდა. ნანა და პოლინა წინ მიდიოდნენ ლოცვანებით ხელში, თან ხელით იჭერდნენ ქარისგან აფრიალებულ პირბადეებს. ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ და სიხარულისგან ფეხზე ძლივს იდგნენ, როდესაც დუქნებიდან მათ საცქერლად გამოსულ ხალხს დაინახავდნენ. მაშინ ისინი ღვთისმოსავ სახეს მიიღებდნენ ხოლმე, რათა მოესმინათ მათზე ნათქვამი: „რა კარგი გოგონები არიან!“ მადამ ბოში და მადამ ლორილე უკან ჩამორჩნენ, რომ ერთმანეთისთვის გაეზიარებიანთ აზრები ამ მფლანგველ ჩაუხაზე, რომელიც ვერასოდეს მიაღებინებდა ზიარებას ქალიშვილს, ნათესავებს რომ არ მიეცათ მისთვის ყველაფერი, დიახ, ყველაფერი, თვით ახალი პერანგიც კი, წმინდა საკურთხევლის პატივსაცემად. მადამ ლორილე სულ თავის ნაჩუქარ კაბაზე ზრუნავდა, ტუქსავდა ნანას და საშინელ პირუტყვს უწოდებდა, როცა პატარა გოგო მაღაზიებთან ახლოს გაივლიდა და ბოლოკაბას მტვერს მოსდებდა ხოლმე.

ეკლესიაში კუპო სულ ტიროდა. ეს სისულელე იყო, მაგრამ თავის შეკავება არ შეეძლო. დიდად აღელვებდა მას მაღლა ხელებაპყრობილი მღვდელი, ანგელოზთა მსგავსი პატარა გოგონები, რომელთაც გულზე სასოებით დაეწყოთ ხელები, ორგანის მუსიკა, რომელიც შიგ გულღვიძლში ატანდა, და საკმევლის ტკბილსურნელება, რომელსაც ის უნებლიეთ ისუნთქავდა, თითქოს თაიგული ჰქონდა ცხვირთან ახლოს მიტანილი. ერთი სიტყვით, კუპო გრძნობამინაზებული იყო, ლამაზ ფერებში ხედავდა ყველაფერს და ეს ყველაფერი მის გულს განსაკუთრებით ესალბუნებოდა. მასზე გამორჩეულად იმოქმედა ერთმა საეკლესიო ჰიმნმა. ეს იყო ტკბილი, სანეტარო და, როდესაც გოგონებმა წმინდა საიდუმლო მიიღეს, თითქოს თვით კუპოს ჩაუვიდა ის ყელში, ჟრუანტელმა დაურბინა მთელ სხეულში, თუმცა მის ირგვლივ სხვა მგრძნობიარე ადამიანებმაც ამოიღეს ცხვირსახოცები ცრემლის შესაწმენდად.

მართლა მშვენიერი დღე იყო, ყველაზე უკეთესი მთელი სიცოცხლის განმავლობაში. მაგრამ, როდესაც კუპო ეკლესიიდან გამოვიდა და ერთი ჭიქა არყის გადასაკრავად წავიდა ლორილესთან ერთად, რომელსაც თვალები მშრალი ჰქონდა და რომელიც მასხარად იგდებდა კუპოს, კუპო გაჯავრდა და ამბობდა, ეს ყორნები, ასე თუ ისე მას ხომ არ დაუმალავს, რომ ტიროდა, ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ მას მკერდში გულის მაგივრად ქვა არა ჰქონია ჩადებული, და მან ერთი ჭიქა კიდევ მოითხოვა.

საღამოს ძალიან მხიარული სუფრა ჰქონდათ პუასონებს. სრული და უხინჯო თანხმობა სუფევდა სუფრის თავსა და ბოლოში. ცხოვრების შავ დღეებშიც გამოერევა ხოლმე კარგი საღამოები, როცა მოძულენიც კი სიყვარულით ექცევიან ერთმანეთს. ლანტიეს მარცხნივ ჰყავდა ჟერვეზა, ხოლო მარჯვნივ – ვირჯინია, და არც ერთს არ აკლებდა ალერსს მამალივით, რომელსაც სურს, რომ მის საქათმეში მშვიდობა სუფევდეს. მათ პირდაპირ იჯდა პოლიციელის მკაცრი და მშვიდად მეოცნებე სახით პუასონი, რომელიც შეჩვეული იყო თავისი ხანგრძლივი მორიგეობის საათებში ბინდგადაკრული თვალებით ქვაფენილზე უაზროდ დგომას. მაგრამ მთელი ამ დღესასწაულის დედოფლები იყვნენ ნანა და პოლინა, რომლებსაც ნება დართეს კაბები არ გაეხადათ. ისინი გამოჭიმულები ისხდნენ იმის შიშით, რომ თეთრი კაბები არ გაჰფუჭებოდათ. დიდებიც სულ უყვიროდნენ ყოველი ლუკმის გადაყლაპვაზე, ნიკაპები მაღლა დაიჭირეთ, სუფთად ჭამეთო. ნანას მოსწყინდა, და ბოლოს, თავისი წილი ღვინო მთლად კორსაჟზე გადაისხა. ამან ერთი ალიაქოთი გამოიწვია, კაბა გახადეს და კორსაჟი მაშინვე წყალში გამორეცხეს.

შემდეგ დესერტის დროს გაიმართა სერიოზული საუბარი ამ ბავშვების მომავალზე. მადამ ბოშს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ პოლინა უნდა შესულიყო მოვარაყებული და მოსევადებული ფიგურების მჭრელ ქარხანაში. იქ დღეში ხუთ-ექვს ფრანკს იღებდნენ. ჟერვეზამ ჯერ არ იცოდა რა აერჩია, რადგან ნანას არაფრის ხალისი და არავითარი მიდრეკილება არ გამოუჩენია. ოჰ! მხოლოდ უსაქმოდ ლაყლაყი, – ეს იყო მისი მოთხოვნილება. რაც შეეხება დანარჩენს, არაფრის უნარი არ ჰქონდა, ხელიდან არაფერი გამოუდიოდა.

– მე თქვენს ადგილას, – წარმოთქვა მადამ ლერამ, – ნანას მეყვავილედ გავხდიდი. ეს სუფთა და ლამაზი ხელობაა.

– მეყვავილე ქალები „მარი, მოდი აქ დაწექი“ არიან ყველანი, – წაიბუტბუტა ლორილემ.

– როგორ, მერე მე! – ტუჩების კვნეტით წამოიწყო ახმახმა ქვრივმა, – თქვენ მეტისმეტად თავაზიანი ბრძანდებით! იცოდეთ, მე ძუკნა არ გახლავართ, დამისტვენენ თუ არა, ფეხები რომ მაღლა ავიშვირო.

მაგრამ მთელმა საზოგადოებამ გააჩუმა იგი.

– მადამ ლერა! ახ, მადამ ლერა!

და ყველამ თვალით ანიშნა პირველად ახალნაზიარებ ქალიშვილებზე, რომელთაც ცხვირები ჭიქებში ჩაეყოთ, რომ არ გასცინებოდათ. აქამდე წესიერების დასაცავად თვით მამაკაცებიც კი შერჩეულ და დახვეწილ სიტყვებს ხმარობდნენ. მაგრამ მადამ ლერამ არ შეისმინა ეს გაკვეთილი. ის, რაც მან ახლა წარმოთქვა, საუკეთესო საზოგადოებაში მოუსმენია. ამასთან, მან კარგად იცის თავისი სიტყვა-პასუხისა და ენის ამბავი. ხშირად შეუქიათ იგი ლაპარაკისთვის, რაზედაც უნდა ვლაპარაკობდე, თვით ბავშვების წინაშეც, არასოდეს უმართებულოს არაფერს ვიტყვიო.

– თქვენ ეს იცოდეთ, რომ მეყვავილე ქალთა შორისაც ბევრი ურევია ძალიან რიგიანი! – ყვიროდა მადამ ლერა, – ისინი ისეთივე ქალები არიან, როგორიც სხვები. მათ იციან თავის დაჭერა და თუ შესცოდავენ, გემოვნებით მაინც იციან არჩევა... ყვავილებიდან მოდის ეს გემოვნება, აი თუნდაც მე, მხოლოდ ამან შემინახა...

– ღმერთო ჩემო! – შეაწყვეტინა მას ჟერვეზამ, – მე ხომ ყვავილები არ მეჯავრება. მაგრამ ეს ნანას უნდა მოსწონდეს და მეტი არაფერი. ბავშვების მოწოდებას წინ არ უნდა აღუდგე... აბა, ნანა, ნუ სულელობ, გვიპასუხე. შენ მოგწონს ყვავილები?

პატარა გოგოს თავი თეფშისკენ ჰქონდა დახრილი და ტკბილი ნამცხვრის ნამცეცებს კრეფდა დასველებული თითით, მერე კი ამ თითს ილოკავდა. იგი არ აჩქარებულა. იცინოდა მანკიერი სიცილით.

– ჰო, დედა, მომწონს! – ბოლოს განაცხადა.

საქმე მაშინვე მოგვარდა. კუპოს ძალიან უნდოდა, რომ მადამ ლერას მეორე დღიდანვე წაეყვანა ბავშვი თავის სახელოსნოში, კერის ქუჩაზე. საზოგადოებამ სერიოზული ლაპარაკი დაიწყო ადამიანის მოვალეობაზე ცხოვრებაში. ბოშმა თქვა, ახლა ნანა და პოლინა უკვე ქალები არიან, რაკი ზიარება მიიღეს. პუასონმა დაუმატა, რომ ამიერიდან მათ საჭმელების მზადებაც უნდა ისწავლონ, წინდის დაკერებაც და, საერთოდ, ოჯახის გაძღოლაც. მერე მათ ქორწინებაზე ჩამოაგდეს ლაპარაკი და იმ ბავშვებზედაც, რომლებიც მათ დროზე შეეძინებოდათ. გოგონები ყურს უგდებდნენ

ამ ლაპარაკს, თავისთვის იცინოდნენ, ერთიმეორეს ეკვროდნენ და გული სიამაყით ევსებოდათ, რომ ახლა უკვე დიდი ქალები იყვნენ, წითლდებოდნენ და დარცხვენილები ჩანდნენ თეთრ კაბებში. მაგრამ ყველაზე მეტად ლანტიეს ხუმრობა მოსწონდათ. მათ თავმოყვარეობას მოესალბუნა, როცა ლანტიემ ჰკითხა, ჯერ ხომ არ გაიჩინეთ პატარა ქმრებიო. ბოლოს მექუდემ ძალით გამოტეხა ნანა, რომ მას ძალიან უყვარს ვიქტორ ფოკონიე, მისი დედის დიასახლისის შვილი.

– ახ, კეთილი! – წარმოთქვა მადამ ლორილემ ბოშების წინაშე, როცა სახლში ბრუნდებოდნენ, – მართალია, ნანა ჩვენი ნათლულია, მაგრამ იმავე წუთიდან, როგორც კი ეგენი მეყვავილედ გახდიან, მასზე ლაპარაკსაც აღარ ვისურვებთ. ერთი შარახვეტია ქალი კიდევ მიემატება ბულვარებს... ექვსი თვე არ გაივლის, რომ ეგ ცხვირიდან ძმარს გამოადენს მაგათ.

როცა მაღლა ადიოდნენ დასაძინებლად, კუპოებმა აღიარეს, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, პუასონები ბოროტები არ ყოფილანო. ჟერვეზამ თვით დუქნის მოწყობილობაც კი შეაქო. ეგონა, გაუძნელდებოდა საღამოს გატარება თავის ძველ ბინაში, სადაც ამჟამად სხვები პარპაშობდნენ, მაგრამ განცვიფრებული დარჩა, რომ წუთითაც არ უგრძნია გაბოროტება. როცა ტანსაცმელს იხდიდა, ნანა დედას შეეკითხა, – იმ ქალიშვილის კაბა, მეორე სართულზე რომ ცხოვრობდა და წინა თვეში გაათხოვეს, ასევე მუსლინისა იყო, როგორც ჩემი თუ არაო.

მაგრამ ეს დღე უკანასკნელი კარგი დღე იყო იმ ოჯახის ცხოვრებაში. ორმა წელმა განვლო და ამ ხნის განმავლობაში სულ უფრო და უფრო უკან მიდიოდა მათი საქმე. განსაკუთრებით ზამთარი აძრობდათ ტყავს. თუ კაი დარში პურს მაინც ჭამდნენ, წვიმასა და სიცივეს თან შემოჰყვებოდა ხოლმე შიმშილი, ცარიელი კარადის წინ კბილების კაწკაწი და ულუკმაპუროდ ყოფნა ციმბირივით ცივ პატარა სოროში. ეს შეჩვენებული დეკემბერი შემოიჭრებოდა კარის ჭუჭრუტანებში და თან შემოიტანდა ყოველნაირ უბედურებას, – სახელოსნოში სამუშაო დღეების გაცდენას, ყინვით დაბუჟებას, უსაქმურობას და მოღუშულ ნესტიან დღეთა სიღატაკეს. პირველ ზამთარს ხანდახან მაინც ანთებდნენ ცეცხლს, ღუმლის ირგვლივ იხრუკებოდნენ და სითბო ერჩივნათ ჭამას. მეორე ზამთარს კი ღუმელს ჟანგი არ მოსცილებია, ის თითქოს ოთახს უფრო ჰყინავდა თავისი პირჩამობნელებული შესახედაობით. მაგრამ რა იყო ის, რაც წელს სწყვეტდა და მთლიანად ანადგურებდა მათ? ეს იყო, პირველ ყოველისა, ბინის ქირა. ოჰ, იანვრის ქირა, როცა სახლში ერთი ცალი ბოლოკიც კი არ მოიძებნებოდა, და ამ დროს ბოში ქვითარს წარმოადგენდა! ამის გამო სიცივე უფრო მაგრად მოუჭერდა და თითქოს ჩრდილოეთის ქარბუქი დაუბერავდა. შემდეგ შაბათს კი მათ კარზე მოადგებოდა მუსიე მარესკო ძვირფასი პალტოთი შემოსილი, მატყლის ხელთათმანებში ჩათბუნებული. ამ კაცს პირზე მუდამ სიტყვა „გასახლება“ ეკერა, ხოლო გარეთ კი ბარდნიდა და თითქოს მათ ქვაფენილზე უმზადებდა საწოლს თეთრი ზეწრებით. ბინის ქირის გადაცდენისთვის ისინი მზად იყვნენ საკუთარი ხორცი გაეყიდათ. ბინის ქირა იყო, რომ ჭამდა მათ სადილს და ღუმელს აცარიელებდა. საერთოდ, ამ დროს მთელ სახლში გოდება ისმოდა. ყველა სართულზე

ტიროდნენ, სიდუხჭირისა და გაჭირვების მუსიკა ზუზუნებდა ყველა კიბესა და დერეფანში. თითოეულ მათგანს მკვდარი რომ ჰყოლოდა ოჯახში, სამგლოვიარო ორგანიც არ გამოსცემდა ამაზე უფრო შემზარავ ხმას. უკანასკნელი განკითხვის დღე იყო სწორედ, მეორედ მოსვლა, აუტანელი სიცოცხლე და ღარიბ-ღატაკთა შემუსვრა. მესამე სართულზე მობინადრე ერთი ქალი მთელი კვირით გავიდა საშოვარზე ბელომის ქუჩაზე. ერთმა მუშამ, მეექვსე სართულზე მცხოვრებმა კალატოზმა თავისი მეპატრონე გაქურდა.

ეჭვგარეშეა, კუპოები მხოლოდ თავიანთ თავს უნდა დამდურებოდნენ. შეიძლება, ძალიანაც გაგიჭირდეთ ცხოვრებაში, მაგრამ წესიერებითა და მომჭირნეობით დააღწიოთ თავი ამ გასაჭირს. რაღა შორს წავიდეთ, აი, თუნდაც ლორილეები, რომელთაც ყოველთვის წესიერად შეჰქონდათ ბინის ქირა, ჭუჭყიან ქაღალდის ნაგლეჯში გახვეული. თუმცა ესეც კია, რომ ისინი დამჭლევებული ობობებივით ცხოვრობდნენ, შეგაძულებდნენ შრომას. ნანას ჯერ არაფერი შემოჰქონდა სახლში თავისი ყვავილებით, ხოლო მისი შენახვა კი საკმაო ხარჯს ითხოვდა. ჟერვეზა იქამდე მივიდა, რომ მადამ ფოკონიესთან კაი თვალით აღარ უყურებდნენ. თანდათან სულ უფრო გაუფუჭდა ხელი. ისე საძაგლად აფუჩეჩებდა სამუშაოს, რომ ბოლოს, დიასახლისმა ორმოც სუზე გადაიყვანა დღეში, ე. ი. სულ უბრალო დამხმარე მჭეჭყავი დედაკაცის საფასურზე. ამასთან, ჟერვეზა ძალიან ამაყიც იყო, ძალიან მგრძნობიარე, ადვილად იცოდა წყენა და ყველას პირში ახლიდა თავის ძველ მდგომარეობას, რომ ოდესღაც ის თვითონ იყო სამრეცხაოს პატრონი. ჟერვეზა სამუშაო დღეებს აცდენდა, მიატოვებდა ხოლმე სახელოსნოს, როცა მოეპრიანებოდა. ერთხელ, მაგალითად, იმდენად გაბრაზდა მადამ ფოკონიეზე, რომელმაც სამუშაოდ აიყვანა მადამ პიუტუა და ჟერვეზას თავისი ძველ მუშა ქალის გვერდით მოუხდა რეცხვა, რომ მთელი ორი კვირა არ გამოცხადებულა სამუშაოზე. ამისთანა საქციელის შემდეგ მას უკვე სამოწყალოდ თუ აძლევდნენ სამუშაოს, რაც კიდევ უფრო აცხარებდა და აბოროტებდა. ბუნებრივია, რომ კვირის ბოლოს მისი გამომუშავება არცთუ ისე სახარბიელო იყო. ამაზე თვითონვე სიმწრით ლაპარაკობდა, კვირის ბოლოს დიასახლისის ვალი იქით მედებაო. რაც შეეხება კუპოს, ის შესაძლოა მუშაობდა კიდეც, მაგრამ როგორც ჩანს, თავის ნამუშევარს მთავრობას უტოვებდა ფეშქაშად, რადგან ჟერვეზას მას შემდეგ, რაც კუპომ ქირით იმუშავა ეტამპში, მისი შემოტანილი ფული რა ფერისა იყო, თვალითაც აღარ უნახავს. ხელფასის მიღების დღეებში, როდესაც კუპო შინ ბრუნდებოდა, ჟერვეზა ხელებში აღარ შეჰყურებდა. კუპო არხეინად, ხელების ქნევით მოდიოდა, ცარიელი ჯიბით და ხშირად ცხვირსახოციც არ მოჰყვებოდა თან, ღმერთო ჩემო! დიახ! მას დაუკარგავს ცხვირსახოცი, ან უკეთ რომელიმე ყურუმსაღ ამხანაგს აუწაპნავს. პირველ ხანებში კუპო რაღაცებს იგონებდა თავის გასამართლებლად. ანგარიშს წარმოადგენდა ხოლმე, – ეს ათი ფრანკი, ვითომ ხელმოწერაზე წავიდა, ოცი ფრანკი გახეული ჯიბიდან გამვარდნია, – თანაც გახვრეტილ ჯიბეს აჩვენებდა ჟერვეზას, – ორმოცდაათი ფრანკი არარსებული ვალების დასაფარავად დასჭირდა. მერე სულ დაკარგა მორიდება, ფული გაქრა, მერე რა? ფული ახლა ჯიბეში კი აღარა აქვს, ფული მის მუცელშია. ეს სრულებითაც არ

არის გასაკვირი, ახლა სხვა ფორმით მოუტანა ფული თავის დედაკაცს. მადამ ბოშის რჩევით, ჟერვეზა სამუშაოდან გამოსვლისას უდარაჯებდა კუპოს, რომ ახალაღებული ხელფასი იქვე, მოულოდნელად ჩაეჭირა ხელში. მაგრამ ამითაც არაფერი გამოვიდა, რადგან კუპოს ამხანაგები აფრთხილებდნენ და ის ფეხსაცმელში ან, შეიძლება, ჭუჭყიან ქისაშიც მალავდა ამ ფულს. მადამ ბოში ამ მხრივ მარჯვე დედაკაცი იყო. როდესაც მას ბოში თითო-ოროლა ათფრანკიანს გადაუმალავდა, რათა კურდღლის ხორცით გამასპინძლებოდა ზოგიერთ ნაცნობ მანდილოსანს, მადამ ბოში გულდასმით გაჩხრეკავდა ხოლმე მის ტანისამოსს და, ჩვეულებრივ, ქუდში მონახავდა ტყავსა და ქსოვილს შუა ჩაკერებულ თანხას. ახ! მესახურავე კი ოქროს არ უდებდა სარჩულად თავის ძონძებს! ის მუცელში ილაგებდა ფულს. ჟერვეზას ხომ არ შეეძლო აეღო მაკრატელი და მისთვის მუცლის კანი გაეჭრა.

დიახ! თვით ამ ოჯახს მიუძღოდა იმაში ბრალი, რომ ასე თავქვე დაეშვა და ყოველ ახალ წელს უფრო დაბლა გორდებოდა. მაგრამ ეს ხომ ისეთი რამ არის, რაშიც ადამიანები არასოდეს გამოტყდებიან. მით უმეტეს, თუ ჭუჭყში არიან ჩაფლულნი. კუპოები ამას უიღბლობას აბრალებდნენ, თითქოს ღმერთი რაღაცაზე უწყრებოდა მათ. ერთი აყალმაყალი იყო ახლა მათთან. ერთმანეთს ეკინკლავებოდნენ მთელი დღის განმავლობაში, თუმცა ჯერ ცემა-ტყეპა არ ჰქონდათ გაჩაღებული, მხოლოდ ერთ-ორ სილას თუ უთავაზებდნენ ერთმანეთს გაცხარებულ ჩხუბში. მაგრამ ყველაზე სავალალო ის იყო, რომ მათ გალიის კარი გაუღეს მეგობრულ თანხმობას და იადონივით გაფრინდნენ კეთილი გრძნობები: მამის, დედის, შვილის სიყვარულის მხურვალე გრძნობები, რომლებიც მჭიდროდ აკავშირებენ და ერთმანეთს აახლოებენ პატარა ოჯახს. ეს გრძნობები განშორდნენ მათ და სიცივით აკანკალებული დატოვეს ისინი თავ-თავიანთ კუთხეში. სამივენი, კუპო, ჟერვეზა და ნანა ცხენის ძუასავით გათითოებულნი ჭამდნენ ერთმანეთს თითოეული სიტყვის გამო. თვალები სიძულვილით ჰქონდათ სავსე. თითქოს, რაღაცამ გადაუტეხა ამ ოჯახს მთავარი ზამბარა. ის მექანიზმი, რომელიც ყველას თანხმობით უძგერებს გულს ბედნიერ ოჯახში. ახ! რა თქმა უნდა! ჟერვეზა ახლა ისე აღარ ღელავდა, როგორც ოდესღაც, როცა კუპოს ხედავდა სახურავის პირზე, თორმეტი ან თხუთმეტი მეტრის სიმაღლეზე ქვაფენილიდან, თვითონ ხელს არ ჰკრავდა ქმარს. მაგრამ, თუ ის თავისით ჩამოვარდებოდა იქიდან, ღმერთი, რჯული! დიდი არაფერი დაეკარგებოდა ამით დედამიწას. იმ დღეებში, როცა გაცხარებული ჩხუბი ჰქონდათ, ჟერვეზა უყვიროდა ქმარს: ნუთუ არასოდეს კუბოთი არ მომიტანენ შენს თავს? მაგას ველოდები, ეგ იქნება ჩემი ბედნიერება, როცა შენს კუბოს ვნახავ. აბა, რის მაქნისია ასეთი ლოთი? ატიროს ცოლი, ყველაფერი შეუჭამოს, უბედურებაში ჩააგდოს! ჰოდა! ამისთანა უსარგებლო კაცი რაც შეიძლება მალე უნდა ჩაუძახო სამარეში და მის საფლავზე პოლკა უნდა იცეკვო თავისუფლების ნიშნად. როცა დედა ამბობდა: „მოკვდი“, ქალიშვილი უმატებდა: „ღრჩობა“. ნანა, გადაგვარებული შვილის აზრებით, გაზეთებში კითხულობდა უბედურ შემთხვევებს. მის მამას ისეთი ბედი აქვს, რომ ერთხელ ომნიბუსმა წააქცია და, ის არც კი გამოფხიზლებულა. ნეტავი როდის ჩაძაღლდება ეს ბეხრეკი!

სიღარიბით გააფთრებულ ჟერვეზას ტანჯავდა აგრეთვე შიმშილის ხრიალი ირგვლივ. სახლის ეს მხარე სიღატაკისა იყო, სადაც სამ თუ ოთხ ოჯახს, თითქოს ფიცი ჰქონდა დადებული, რომ არც ერთ დღეს პური არ ჰქონოდა საჭმელად.

ფართოდ შეგეძლოთ გაგეღოთ კარი, მაგრამ თითქმის, არასდროს სამზარეულოს სუნი არ გამოვიდოდა იქიდან. სამარისებური სიჩუმე სუფევდა დერეფნის მთელ სიგრძეზე, კედლებიც ისე ყრუდ ხმაურობდნენ, როგორც ცარიელი მუცელი. ზოგჯერ ატყდებოდა ფეხის ბაკუნი, ქალების ტირილი, დამშეული ბავშვების წრიპინი. ოჯახები ერთმანეთს ჭამდნენ, რათა მშიერი კუჭი ამით მაინც მოეტყუებინათ. მკერდჩავარდნილი ადამიანები მხოლოდ იმ ჰაერით სუნთქავდნენ, სადაც საკვების უქონლობის გამო თვით ბუზებსაც კი არ შეეძლოთ არსებობა, ხოლო ჟერვეზას უდიდესი სიბრალულის საგანი იყო ბიძია ბრიუ, თავის სოროში, პატარა კიბის ქვეშ. ის ზაზუნასავით შეძვრებოდა ხოლმე თავის ხვრელში, მოიკუნტებოდა, რომ ნაკლებად ეგრძნო სიცივე და მთელ დღეს ასე რჩებოდა გაუნძრევლად მოკრუნჩხული თივის გროვაში. შიმშილიც ვერ აიძულებდა მას, იქიდან გამოსულიყო, რადგან გარეთ გამოსვლა მისთვის ამაო იყო. აბა, რისთვის უნდა გაეღვიძებინა მადა, როცა ქალაქში საჭმელს არავინ შესთავაზებდა? როდესაც ის სამი-ოთხი დღის განმავლობაში არ გამოჩნდებოდა, მეზობლები შეაღებდნენ ხოლმე კარს და შეიხედავდნენ, რომ არ გათავდაო. არა, ის ჯერ კიდევ ცოცხლობდა, თუმცა სული აღარ ედგა, მაგრამ ოდნავ, ცალი თვალით მაინც ცოცხალი იყო სიკვდილის მოლოდინში, რომელსაც იგი დავიწყებოდა! ჟერვეზა, როცა კი პური გაუჩნდებოდა, მასაც უყოფდა. ჟერვეზა თუ ცუდი გახდა და თავისი ქმრის გამო სძულდა ადამიანები, ცხოველები მაინც მუდამ გულწრფელად ებრალებოდა. ბიძია ბრიუც ხომ, საბრალო მოხუცი, რომელიც სულის ამოსახდომად იყო მიგდებული, რადგან სამუშაო იარაღის ხელში ჭერა აღარ შეეძლო, ჟერვეზასთვის იგივე ძაღლი იყო, სამსახურისთვის გამოუსადეგარი ცხოველი, რომლის არც ტყავსა და არც ქონს არავინ იყიდდა. ჟერვეზას მძიმე ტვირთად აწვა გულზე იმის ცოდნა, რომ ეს მოხუცი განუწყვეტლივ იქ იყო, დერეფნის მეორე ბოლოში. ეს ღვთისა და კაცისგან მიტოვებული მოხუცი ბავშვის ოდენა გახდა, გახმა და შეიხრუკა, როგორც ბუხრის თავზე გასახმობად დადებული ფორთოხლის ქერქი.

მრეცხავ ქალს აგრეთვე ძალიან ტანჯავდა მეკუბოე ბაზუჟის მეზობლობა... უბრალო, ძალიან თხელი ტიხარი ყოფდა ბაზუჟის ოთახს კუპოების ბინისგან და იქიდან სულ ოდნავ გაფაჩუნების ხმაც კი ისმოდა მათ ბინაში. საღამოს, როგორც კი ბაზუჟი დაბრუნდებოდა, ჟერვეზა თავისდა უნებურად თითოეულ მის მოძრაობას უგდებდა ყურს: ბაზუჟი შავი ტყავის ქუდს დააგდებდა კამოდზე ყრუ გრუხუნით, თითქოს, ნიჩბით მიწას ყრიდა, კედელზე ჩამოჰკიდებდა შავ წამოსასხამს, რომელიც ღამის ფრინველის ფრთებივით გაიშრიალებდა. ბოლოს, მთლიანად დაყრიდა ძველისძველ, შავ ტანსაცმელს, როგორც გასაყიდად გამოფენილ სამგლოვიარო ძაძებს. ჟერვეზა ყურს უგდებდა მის ფეხის ბაკუნს, თითოეულ მის მოძრაობაზე შფოთავდა და უცებ შეკრთებოდა ხოლმე, როცა ბაზუჟი ან ავეჯს დაეჯახებოდა, ან ჭურჭელს წამოჰკრავდა ხელს. ჟერვეზას მთელი ყურადღების საგანი იყო ეს წყეული ლოთი, რომელიც

ცნობისმოყვარეობასთან შერეულ ყრუ შიშს ჰგვრიდა ქალს. ხოლო მხიარული და ლაზღანდარა ბაზუჟი კი, მუდამდღე გალეშილი მთვრალი იყო. კვირაობით კი ძალზე ფხიზელი იფურთხებოდა, ქუჩურ სიმღერებს ღიღინებდა, ურიგო სიტყვებს ისროდა და კედლებს აქეთ-იქით ეხლებოდა, სანამ საწოლს მიაგნებდა. მთლად გაფითრებული ჟერვეზა ცდილობდა შეეტყო, თუ რა საქმეებს აწყობდა ეს კაცი კედლის უკან. საზარელი აზრები უტრიალებდა ჟერვეზას თავში. წარმოიდგენდა, რომ მეკუბოემ მკვდარი მოიტანა და საწოლქვეშ ტენიდა. ღმერთო ჩემო! გაზეთებში ხომ იყო მოთხრობილი ერთი დაუჯერებელი ამბავი, რომ სამგლოვიარო პროცესიების ბიუროს ერთი მოსამსახურე თურმე თავისთან აგროვებდა ბავშვების გვამებს, რომ დიდი შრომა არ დახარჯოდა და ერთბაშად წაეღო ისინი სასაფლაოზე. ყოველ შემთხვევაში, როცა ბაზუჟი მოდიოდა, თითქოს სიკვდილის სუნთქვა შემოჰქონდა ტიხარში. გეგონებოდათ, პერ-ლაშეზის გვერდით იმყოფებით სამარეთა სამეფოში. შემზარავი იყო ეს პირუტყვი მეკუბოე, რომელიც მარტოდმარტო იცინოდა განუწყვეტლივ, თითქოს თავისი პროფესია ამხიარულებდა. ბოლოს, როცა კუდიანების შაბათობას დაასრულებდა და გულაღმა გაწვებოდა, ისეთ არაჩვეულებრივ ხვრინვას ამოუშვებდა, რომ მრეცხავ ქალს სულთქმა ეკვროდა. ჟერვეზა საათობით ყურებდაცქვეტილი უსმენდა და ეჩვენებოდა, რომ მეზობლის ოთახში სამგლოვიარო პროცესია მიდიოდა.

ყველაზე ცუდი ის იყო, რომ შიშით შეპყრობილ ჟერვეზას იმდენად იზიდავდა ეს მეზობელი, რომ ყური ერთთავად კედელზე ჰქონდა მიდებული, რათა უკეთესად გაეგო, თუ რა ხდებოდა იქ. ბაზუჟი მასზე ისეთსავე შთაბეჭდილებას ახდენდა, როგორსაც ლამაზი მამაკაცები ახდენდნენ ხოლმე პატიოსან ქალებზე: იმათ სურთ ხელი შეახონ ამგვარ მამაკაცს, მაგრამ ვერ ბედავენ; კარგი აღზრდა აკავებს მათ. ჰოდა, შიშს რომ არ შეეკავებინა ჟერვეზა, მასაც სურდა ხელი შეეხო სიკვდილისთვის, ენახა, თუ რას წარმოადგენდა იგი, რისგან იყო აშენებული. ჟერვეზა ისეთი უცნაური გახდებოდა ზოგჯერ, როცა სუნთქვაშეკავებული, ყურადღებით ელოდებოდა ბიძია ბაზუჟის ისეთ მოძრაობას, რომელიც საიდუმლოს აუხსნიდა, რომ კუპო დაცინვით ეკითხებოდა, გული ხომ არ შეგივარდა მაგ მეზობელ მეკუბოეზეო. ჟერვეზა ჯავრობდა და ბინიდან გადასახლებაზე ლაპარაკობდა, იმდენად ეზიზღებოდა მას ეს მეზობლობა! მაგრამ მისდა უნებურად, როგორც კი ეს ბერიკაცი დაბრუნდებოდა, თან მოიყოლებდა სასაფლაოს სუნს, ჟერვეზას ისევ ფიქრი წაიღებდა, ისეთი აღგზნებული, მოშიშარი სახე გაუხდებოდა, როგორც გათხოვილ ქალს, რომელიც ცოლქმრობის ფიცის დარღვევას აპირებს. განა ბიძია ბაზუჟმა ორჯერ არ შესთავაზა მას შეფუთვა და წაყვანა სადღაც განსასვენებელ ადგილას, სადაც ძილი ისეთი ტკბილი და მაგარია, რომ უეცრად დაგავიწყებს ყველა ჭირ-ვარამს? შეიძლება ეს, მართლაც კარგია. ჟერვეზას თანდათან ედებოდა მწველი სურვილი – ეგემა ეს. მას უნდოდა ეს განეცადა ორი კვირით ან ერთი თვით, – მეტხანს არ გაგრძელებულიყო. ოხ! ერთი თვით დაიძინო, მეტადრე ზამთარში, როდესაც ბინის ქირის გადახდის დროა, როდესაც ცხოვრების ჭირ-ვარამი სულს გხდის! მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, ეს ხომ ისეთი ძილია, თუ ერთ საათს გასტან, სამუდამოდ უნდა გაგრძელდეს. ჟერვეზას ამ ფიქრზე

სისხლი ეყინებოდა და მისი ტრფიალება სიკვდილისადმი ქრებოდა იმ მარადიული და მკაცრი მეგობრობის გრძნობის წინაშე, რომელსაც მიწა მოითხოვდა.

მაგრამ იანვრის ერთ საღამოს ჟერვეზამ ორივე მუშტი დაუტყაპუნა ტიხარს. მან საშინელი კვირა გაატარა, ყოველი მხრიდან მუჯლუგუნს ჰკრავდნენ, არც ერთი სუ არ გააჩნდა, ღონემიხდილმა სრულიად დაკარგა მხნეობა. ამასთან, იმ საღამოს კარგადაც არ იყო, ცახცახებდა, ციება ჰქონდა და თვალებში ნაპერწკლები უთამაშებდა. ჰოდა, მაშინ იმის მაგივრად, რომ ფანჯრიდან გადავარდნილიყო, როგორც მან წუთით ისურვა, ბრახუნი და ყვირილი ატეხა: – ბიძია ბაზუჟ! ბიძია ბაზუჟ!

მეკუბოე ამ დროს ფეხსაცმელს იხდიდა და ღიღინებდა: „იყო სამი ქალიშვილი ლამაზი“. ეტყობა, იმ დღესაც ბევრი ემუშავა, რადგან ჩვეულებრივზე მეტად გულაჩვილებული იყო.

– ბიძია ბაზუჟ! ბიძია ბაზუჟ! – ხმამაღლა დაიყვირა ჟერვეზამ.

ნუთუ არ ესმის? ჟერვეზა წაჰყვება მას ახლავე, ზურგზე წამოიკიდოს ბიძია ბაზუჟმა და წაიყვანოს იგი იქ, სადაც სხვა ქალები წაუყვანია, მდიდარნი თუ ღარიბნი და ნუგეში უცია მათთვის. ჟერვეზას ტანჯავდა მეკუბოეს სიმღერა: „იყო სამი ქალიშვილი ლამაზი“, ვინაიდან ამ სიმღერაში ისმოდა მედიდური ზიზღი იმ მამაკაცისა, რომელსაც ბლომად ჰყავს მოტრფიალენი.

– რა იყო? რა მოხდა! – წაილუღლუღა ბიძია ბაზუჟმა, – ავად ხომ არავინ არის?.. მოვდივარ, ჩემო პატარა დედიკო!

მაგრამ ამ ჩახრინწული ხმის გაგონებზე ჟერვეზა თითქოს გამოფხიზლდა კოშმარიდან. ეს რა ჩაიდინა? ჟერვეზამ ტიხარზე დააბრახუნა, ეს ხომ ნამდვილად ასე იყო. თითქოს თავში კომბალი დასცხეს. ჟერვეზამ მთელ ტანში შიში იგრძნო და უკან დაიხია. ასე ეგონა, მეკუბოემ უზარმაზარი ხელები გადმოყო კედლებში და უნდა ქეჩოში სწვდეს მას. არა! არა! მას არ უნდა, ჯერ მზად არ არის! თუ დააბრახუნა, ეს, ალბათ, უცაბედად, გადაბრუნების დროს იდაყვი მოუხვდა. და ჟერვეზას შიშის ჟრუანტელმა დაურბინა თავით ფეხამდე, როცა წარმოიდგინა თავი ამ ბერიკაცის ხელში, შეკოჭილი, გაშეშებული და თეფშივით გათეთრებული პირისახით.

– მაშ ასე! არავინ არის! – კვლავ გაისმა ბაზუჟის ხმა სიჩუმეში, – მოითმინეთ, მზად ვარ ვემსახურო მანდილოსნებს.

– არაფერია, არაფერი! – წარმოთქვა ბოლოს ჩახლეჩილი ხმით მრეცხავმა ქალმა, – მე არაფერი მჭირდება. გმადლობთ.

სანამ მეკუბოე ჩაიძინებდა ბუზღუნით, ჟერვეზა შფოთავდა, ყურს უგდებდა და განძრევას ვეღარ ბედავდა. ეშინოდა ბაზუჟს არ ჰგონებოდა, რომ ის ხელახლა უკაკუნებს. ფიცი დადო, ამიერიდან ყურადღებით ყოფილიყო. უკანასკნელ დღეში რომ იყოს, რომ ხრიალებდეს, დახმარებას მაინც არ მოსთხოვს ამ მეზობელს. ჟერვეზა

თავის დასამშვიდებლად ამბობდა ამას, თორემ ზოგჯერ გრძნობდა, რომ მიუხედავად თავისი შიშისა, გულში მაინც რჩებოდა თავზარდამცემი ლტოლვა ამ მამაკაცისადმი.

ამ ღატაკ კუთხეში, საკუთარი და სხვების ზრუნვითა და მწუხარებით გარემოცულ ჟერვეზას თვალწინ ჰქონდა მხნეობის მშვენიერი მაგალითი ბიჟარის ოჯახში. პატარა ლალი, რვა წლის ბალღი, ერთი ციდა გოგონა ისე უვლიდა ოჯახს, ისე სუფთად ინახავდა, როგორც დიდი ქალი. მისი სამუშაო მეტად მძიმე იყო, მის მოსავლელად ქცეულიყო უმცროსი და-ძმა – ჟიული და ჰანრიეტი, ორი პატარა წრიპა: ერთი სამი და მეორე ხუთი წლის, რომელთათვისაც ლალის მთელი დღის განმავლობაში თვალყური უნდა ედევნებინა, თან ამავე დროს ოთახიც დაეგავა და ჭურჭელიც დაერეცხა. მას შემდეგ, რაც ბიჟარმა მუცელში წიხლის ჩაკვრით მოკლა თავისი ცოლი, ოჯახის პატარა დედად იქცა ლალი. უსიტყვოდ, თავისით დაიკავა გარდაცვლილის ადგილი. მისი გამხეცებული, ნადირი მამა კი ამჟამად უკვე თავის ქალიშვილსაც ისევე სცემდა, როგორც ოდესღაც მის დედას. ეს პირუტყვი ვერ ამჩევდა, რომ ლალი ჯერ პაწაწა იყო. ისე ურტყამდა, რომ დიდ ადამიანსაც ვერ დაარტყამდა უფრო ღონივრად. ერთი სილა სულ უფარავდა ლალის პატარა სახეს, მისი კანი ჯერ იმდენად ქორფა და სათუთი იყო, რომ ხუთი თითის ანაბეჭდი სახეზე ორ დღეს რჩებოდა. ეს იყო უგვანი ცემა-ტყეპა, ცოფიანი მგლის თავდასხმა პატარა, საბრალო, მშიშარა და ჩვილ კნუტზე, რომელიც ისეთი გამხდარი იყო, რომ აგატირებდა და რომელიც ამ წამებას დაუჩივლელად იტანდა თავისი მშვენიერი მორჩილი თვალებით. არა, ლალის არასოდეს ურჩობა არ გამოუჩენია. ის მხოლოდ ოდნავ წაღუნავდა ხოლმე კისერს, რათა სახე დაეფარა. თავს იკავებდა, რომ არ ეყვირა. არ უნდოდა ამით ალიაქოთი აეტეხა მთელ სახლში. ბოლოს, როდესაც მისი მამა წიხლის ცემით და ოთახის ოთხივე კუთხეში ბავშვის მიხეთქ-მოხეთქებით მოიღლებოდა, ლალი დაახანებდა, სანამ ძალას მოიკრეფდა ასადგომად და მერე მუშაობას შეუდგებოდა. პატარებს დაბანდა, დაასუფთავებდა, წვენს მოამზადებდა, ავეჯზე ნამცეც მტვერს არ დატოვებდა. ეს ცემაც მისი ყოველდღიური შრომის ერთ-ერთ ნაწილს შეადგენდა.

ჟერვეზა ძალიან დაუმეგობრდა მეზობელს. ისე ექცეოდა მას, როგორც თანაბარს, როგორც თავის ტოლს, რომელიც უკვე იცნობს ცხოვრებას. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ლალის ჰქონდა გაფითრებული, სერიოზული სახე ხანში შესული, გაუთხოვარი ქალიშვილის გამომეტყველებით. მისი მსჯელობა რომ მოგესმინათ, ოცდაათ წელს მისცემდით. მან ძალიან კარგად იცოდა ყველაფრის ყიდვა, დაკერება, ოჯახის მოვლა-პატრონობა. ბავშვებზე ისე ლაპარაკობდა, თითქოს ცხოვრებაში ორჯერ-სამჯერ ჰქონდა გამოვლილი მშობიარობა. რვა წლის გოგოს ამგვარი საუბარი ღიმილს იწვევდა მსმენელებში, ხოლო მერე ყელში ცრემლი ებჯინებოდათ და შორდებოდნენ, რათა არ ეტირათ. ჟერვეზა ალერსით იზიდავდა ლალის და ეხმარებოდა რითაც შეეძლო, აძლევდა საჭმელს, ძველ კაბებს. ერთ დღეს, როდესაც ის ლალის ნანას ძველ კაბას აზომებდა, სუნთქვა შეეკრა აღშფოთებისგან, როცა დაინახა მისი დალურჯებული ზურგი, დაგლეჯილი, ჯერ ისევ სისხლიანი იდაყვი და მთელი მისი

უმანკო, წამებული და ჩონჩხად ქცეული სხეული. მაშ, ასე! ბიძია ბაზუჟს შეუძლია ყუთი მოუმზადოს მას, რადგან ამ გოგონას ასეთ პირობებში დიდი დღე არ უწერია. მაგრამ პატარა გოგომ სთხოვა მრეცხავ ქალს, ამაზე კრინტი არ დაეძრა. ლალის არ უნდოდა, მის გამო რამე წყენა შეხვედროდა მამამისს. ლალი იცავდა მამას, ირწმუნებოდა, ბიჟარი ბოროტი არ იქნებოდა, რომ არ სვამდეს. ის გიჟია, არ ესმის, რას სჩადის. ოხ! ეს გოგონა მიუტევებდა მას, რადგან გიჟს ყველაფერი მიეტევება.

მას შემდეგ ჟერვეზა ფხიზლად იყო, თვალყურს ადევნებდა და ცდილობდა ჩარეულიყო, როცა ყურს მოჰკრავდა, რომ ბიძია ბიჟარი კიბეზე ამოდიოდა. მაგრამ რა? უმეტეს შემთხვევაში ჟერვეზაც მიიღებდა ხოლმე თავის წილ მუჯლუგუნს. დღის განმავლობაში ჟერვეზა რამდენჯერმე შეიხედავდა ბიჟარებთან და ხშირად ლალი რკინის საწოლის ფეხზე მიბმული უხვდებოდა. ეს ზეინკლის გამოგონება იყო. ბიჟარი წასვლის წინ ფეხებსა და მუცელზე დიდ თოკს შემოუჭერდა ხოლმე ლალის, ღმერთმა უწყის, რატომ და რისთვის! ეს იყო სასმლისგან შერყეული ტვინის ახირებული სიგიჟე, რა თქმა უნდა, იმ მიზნით მოგონილი, რომ თავისი იქ არყოფნის დროსაც მტარვალურად ეწამებინა პატარა გოგო. ლალი მთელი დღე რჩებოდა ასე მიბმული რკინაზე, სარივით გაშეშებული, დაბუჟებული მუხლებით. ერთხელ მთელი ღამეც ასე გაატარა, რადგან ბიჟარს შინ დაბრუნება არ მოჰგონებია. ჟერვეზამ თოკებიდან გამოხსნა შესთავაზა ლალის, გოგონა შეევედრა, ხელი არ ეხლო მისთვის, რადგან მამაჩემი გააფთრდება, თუ ნასკვები იმავე სახით არ დახვდება, როგორც თვითონ დატოვაო. ლალი ამბობდა, რომ ის ცუდად არ გრძნობს თავს, რომ ეს დასვენებაა მისთვის. ღიმილით ამბობდა ამას იმ დროს, როდესაც პატარა, ანგელოზური მუხლები გაშეშებოდა. მას მხოლოდ ის აწუხებდა, რომ ასე საწოლზე მიბმულს მუშაობა არ შეეძლო და ყველაფერი დაულაგებელი რჩებოდა. კარგი იქნებოდა, რომ მამას სხვა რამე გამოეგონა. მიუხედავად ამისა, ლალი მაინც უვლიდა და-ძმას. მიიხმობდა ხოლმე თავისთან ჰანრიეტსა და ჟიულს და ცხვირებს მოწმენდდა. რადგან ხელები თავისუფლად ჰქონდა დატოვებული, თოკების ახსნის მოლოდინში ის ქსოვდა, რათა დრო უქმად არ დაეკარგა. ლალი უმთავრესად მაშინ იტანჯებოდა, როცა ბიჟარი თოკებს შეუხსნიდა. თითქმის თხუთმეტი წუთის განმავლობაში ბავშვი იატაკზე დაფოფხავდა და ფეხის დადგმა არ შეეძლო, რადგან სისხლის მოძრაობა ჰქონდა შეჩერებული.

ზეინკალმა სხვა პატარა გასართობიც გამოიგონა. ის რამდენიმე სუს შეაგდებდა ხოლმე ღუმელში და, როცა მონეტები წითლად გავარვარდებოდა, ბიჟარი ბუხრის თავზე დაალაგებდა, შემდეგ ლალის მოიხმობდა და უბრძანებდა, ორი გირვანქა პურის მოსატანად წასულიყო. პატარა გოგო დაუეჭვებლად მოჰკიდებდა ხელს ამ მონეტებს, წამოიკივლებდა და პაწაწა, დამწვარი ხელის ქნევით მოისროდა ამ ფულს. მაშინ ბიჟარი გაცოფდებოდა. ამ საზიზღარს, ამ უმსგავსს ვერ უყურებთ, რაებს სჩადის?! ფულის კარგვაც რომ დამიწყო! ბიჟარი ემუქრებოდა ბავშვს, რომ კუდუსუნს ამოუგდებდა, თუ იმავე წუთს არ აკრეფდა მონეტებს. ხოლო თუ პატარა ცოტას მაინც დააყოვნებდა, მაშინ პირველ გაფრთხილებას მიიღებდა ხოლმე ისეთი სიძლიერის

წკიპურტით, რომ კოპი დააჯდებოდა და თვალებიდან ნაპერწკლები წამოსცვივდებოდა. დამუნჯებული, თვალზე მომდგარი მსხვილი ცრემლებით ლალი აკრეფდა დაბნეულ ფულს და გავიდოდა, ხოლო გასვლისასას მომუჭულ ხელისგულზე ათამაშებდა მონეტებს, რათა გზაზე გაეცივებინა ისინი.

არა, ვერასოდეს ვერავინ წარმოიდგენს, თუ რა მხეცური აზრები შეიძლება აღმოცენდეს ლოთის გონებაში. ერთ საღამოს, მაგალითად, მას შემდეგ, რაც ლალიმ ყველაფერი მიალაგ-მოალაგა, და-ძმას ეთამაშებოდა. ფანჯარა ღია იყო, ქარი უბერავდა და დერეფანში დატრიალებული ორპირი კარს მსუბუქად აჯანჯღარებდა.

– ეს მუსიე ჰარდია, მობრძანდით, მუსიე ჰარდი. კეთილინებეთ და მობრძანდით! – ამბობდა პატარა გოგონა და თან კარის წინ რევერანსს აკეთებდა. ის ქარს სალამს აძლევდა. მის უკან ჰანტრიეტა და ჟიულიც რევერანსს აკეთებდნენ ამ თამაშით აღტაცებულნი, თითქოს ვინმე უღიტინებდა, ისე იხოცებოდნენ სიცილით. ბავშვების გულიან სიცილზე ლალის სიხარულისგან სახე შეუვარდისფრდა და თვითონაც გაერთო. სიხარული ხომ მეტად ძვირი სტუმარი იყო მის ცხოვრებაში!

– გამარჯობათ, მუსიე ჰარდი! როგორ ბრძანდებით, მუსიე ჰარდი!

მაგრამ ამ დროს ტლანქი ხელი მოხვდა კარს და შემოვიდა ბიძია ბიჟარი. სცენა მაშინვე შეიცვალა, ჰანრიეტა და ჟიული კედლისკენ გადაცვივდნენ საცოდავად, ხოლო ლალის რევერანსი არ დაემთავრებინა, ისე გაშეშდა ერთ ადგილზე თავზარდაცემული. ზეინკალს ხელში ეჭირა ახალთახალი, თეთრი ხისტარიანი მეეტლის შოლტი, რომლის ვიწრო თასმასაც წვრილი თოკის კუდი ჰქონდა გამობმული. ეს შოლტი მან საწოლის ერთ-ერთ კუთხეში დადო. ამჯერად, ჩვეულების წინააღმდეგ, ბიჟარმა წიხლი არ უთავაზა პატარა გოგოს, რომელიც წაკუზული იყო და ელოდებოდა ამას. ზეინკალმა ჩაიცინა და თავისი შავი კბილები გამოაჩინა. მხიარულად ბრძანდებოდა, თანაც ძალიან მთვრალი, სიფათზე ეტყობოდა, რომ ხუმრობის გუნებაზე უნდა ყოფილიყო.

– ჰე, ჰეი! – წარმოთქვა მან, – დიდ ამბავში ხარ, ლაწირაკო! მე უკვე ქვევით შემომესმა შენი ცეკვა-სიმღერის ხმა!.. აბა, ერთი! წინ წამოდგი ფეხი, უფრო ახლოს, დალახვროს ღმერთმა! პირდაპირ მიყურე! ხელი ხომ არ მიხლია, რა გაცახცახებს ცხვრის კუდივით? ფეხსაცმელი გამხადე!

ჩვეულებრივ დარტყმის მიუღებლობით თავზარდაცემული ლალი საშინლად გაფითრდა და გახადა მამას ფეხსაცმელი. ბიჟარი საწოლის ნაპირზე ჩამოჯდა, შემდეგ ტანსაცმელგაუხდელად წამოწვა და თვალი არ მოუხუჭავს, განუწყვეტლივ უთვალთვალებდა პატარა გოგოს თითოეულ მოძრაობას ოთახში. ამ ცქერით გონებაწართმეული ლალი უაზროდ ტრიალებდა, და თანდათან ისეთმა შიშმა შეუხუთა სახსრები, რომ ბოლოს, ფინჯანი გატეხა. მაშინ ბიჟარმა, რომელსაც თავი არ შეუწუხებია განძრევით, ხელში შოლტი აიღო და გოგოს დაანახვა.

– შენ ხედავ ამას, პატარა ხბოვ? ეს შენი საჩუქარია. დიახ, ორმოცდაათი სუ ზედმეტი დამეხარჯა შენზე... აი, ამ სათამაშოთი ხელში სირბილი აღარ დამჭირდება, ვეღარც შენ დამემალები ოთახის სხვადასხვა კუთხეში... გინდა ვცადოთ?.. აბა, იწვნიე ერთი! ახ! შენ ფინჯნებსაც ამტრევ?! აბა, ჰოპ! იცეკვე, რევერანსი გაუკეთე შენს მუსიე ჰარდის!

ბიჟარი არ წამომდგარა, გულაღმა იყო გაწოლილი, თავი ბალიშში ჩაერგო და ოთახში ისეთი ხმაურით ატკაცუნებდა შოლტს, როგორც ფოსტალიონი, რომელიც საფოსტო ცხენებს მიერეკება. შემდეგ ერთი მაგრად გადაუჭირა შოლტი ლალის ტანზე და ბავშვი ბზრიალასავით დატრიალდა, ხან აქეთ, ხან იქით. ლალი წაიქცა და დაოთხილი ცდილობდა როგორმე თავი დაეხსნა, მაგრამ ბიჟარმა ერთხელ კიდევ გადაუჭირა შოლტი მაგრად და გოგონა ფეხზე წამოაყენა.

– ჰოპ! ჰოპ! – ღრიალებდა ბიჟარი, – ეს პატარა ჩოჩრების დოღია... იფ! რა კარგია! ზამთარში, დილაობით, მე წამოწოლილი ვიქნები ხოლმე, აღარ გავცივდები და შორიდანვე მივწვდები ხბოებს. აღარ შემაწუხებს მოზრული ადგილები. ვერსად წამიხვალ! აბა, აქეთ, კუთხეში! მოგწვდა, კაჭკაჭო! ახლა მეორე კუთხისკენ! აქაც მოგწვდა! ახლა იქით კუთხისკენ! ისევ მოგწვდა! ახ! საწოლის ქვეშ მიძვრები? მაშინ მე ტარს ჩაგთხლეშ!.. ჰოპ! ჰოპ! აჩუ! აჩუ!

ბიჟარს მსუბუქი ქაფი მოადგა ტუჩებზე და შავი ბუდეებიდან ყვითელი თვალები გადმოეკარკლა. ხოლო ლალი სიგიჟემდე მისული, ღმუილით ეხეთქებოდა ხან ერთსა და ხან მეორე კუთხეს, იატაკზე იკუნტებოდა, კედლებს ეკვროდა, მაგრამ უზარმაზარი შოლტის ვიწრო ბოლო ყველგან სწვდებოდა და მის ყურებში ტყლაშუნი გაჰქონდა პეტარდასავით, თანაც ტანს უჭრელებდა ბავშვს გრძელ-გრძელი ნაკაწრებით. ეს ნამდვილი გასაწვრთნელი მხეცის ხტუნვა-ტრიალი იყო. უნდა გენახათ, როგორ ცეკვავდა საბრალო პატარა კნუტი! როგორ მაღლა ისროდა ჰაერში ფეხებს თოკზე მოთამაშე ჯამბაზივით, რომელიც ყვირის: „მარდად!“ ლალის სუნთქვა ეკვროდა, ელასტიკური ბურთივით თავისთავად ხტოდა, მამას საცემად უვარდებოდა ხელში, დაბრმავებული და თავშესაფრის ძიებით დაღლილ-დაქანცული. ხოლო მისი მხეცი მამა ამ დროს ზეიმობდა, ცოცხს ეძახდა გოგოს და ეკითხებოდა, – გეყო თუ არა, ახლა ხომ კარგა მიხვდი, ახლა ხომ შეისმინე, რომ ვერსად წამიხვალო.

მაგრამ ამ დროს უეცრად შემოვიდა ჟერვეზა, რომელსაც პატარა გოგოს ღმუილი გაეგონა. ამ სურათის დანახვაზე მრეცხავი ქალი გააფთრდა.

– ახ! შე, საზიზღარი, არაადამიანო! – წამოიყვირა ჟერვეზამ, – გაუშვებ თუ არა ხელს, ავაზაკო! თორემ ახლავე პოლიციაში წავალ და დაგასმენ, იცოდე!

ბიჟარმა იმ ნადირივით, რომელსაც ხელი შეუშალეს, ღრენით წაილუღლუღა: – შენ, ეი, დაჩეხილო! შენი საქმე იცოდე, სხვისაში ნუ ერევი. ეგებ ხელთათმანების ჩაცმაა საჭირო იმ დროს, როცა ჩემს შვილს წავუთაქებ. ეს მხოლოდ და მხოლოდ გასაფრთხილებლად არის, გესმით, მან უნდა გაიგოს, რომ მე გრძელი ხელები მაქვს.

და მან ერთხელ კიდევ უკანასკნელად გადაუჭირა შოლტი ლალის და პირდაპირ სახეში მოახვედრა. ლალის ზედა ტუჩი გაუსკდა და სისხლი წამოუვიდა. ჟერვეზამ სკამს სტაცა ხელი და უნდოდა ზეინკლისთვის დაერტყა. მაგრამ გოგონამ მუდარით გაუწვდინა ხელები და უთხრა, ეს არაფერია, ეს უკვე მორჩაო... ლალი წინსაფრის ყურით იწმენდდა სისხლს და აჩუმებდა პატარა და-ძმას, რომლებიც გულამოსკვნით ტიროდნენ, თითქოს შოლტის აქნევა მათაც ხვდებოდათ.

როცა ჟერვეზა ლალიზე ფიქრობდა, დაჩივლებას უკვე ვეღარ ბედავდა. სურდა ამ რვა წლის გოგოს მხნეობა თვითონაც ჰქონოდა, რადგან ეს ბალღი იმდენს იტანდა, რამდენსაც ამ სახლში მცხოვრები ყველა ქალი ერთად შეკრებილი. ჟერვეზა ხედავდა, რომ ეს ბავშვი სამი თვის განმავლობაში ხმელ პურზე იჯდა. ისე იყო გამხდარი და მისუსტებული, რომ სიარულისას კედელს ჰკიდებდა ხელს. ჟერვეზა მას ჩუმად ხორცის მონარჩენებს მიუტანდა ხოლმე და გული უკვდებოდა მისი ყურებით, როცა ლალის მსხვილი ცრემლი ჩამოუგორდებოდა და ხორცს პატარ-პატარა ნაჭრებად ყლაპავდა, რადგან მის შევიწროებულ ყანყრატოში ლუკმა აღარ ჩადიოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მუდამ ნაზი და თავდადებული, თავისი ასაკისთვის შეუფერებლად გონიერი ლალი დედის მოვალეობას ასრულებდა და იქამდე მიდიოდა, რომ მზად იყო მომკვდარიყო იმ დედობრივი გრძნობისთვის, რომელსაც ასე ნაადრევად გაეღვიძა მასში. ჟერვეზაც ცდილობდა მაგალითი გადმოეღო მისგან, ესწავლა მისებურად ტანჯვის მოთმენა და მიტევება, ესწავლა უსიტყვოდ წამების ატანა. ლალის შენარჩუნებული ჰქონდა მხოლოდ მუნჯი მზერა, თავისი დიდი, მორჩილი, შავი თვალებით, რომელთა ფსკერზედაც ჩანდა სულის წუხილი. არასოდეს არც ერთი სიტყვა, მხოლოდ აი ეს დიდი, შავი ფართოდ გაღებული თვალები.

„ხაფანგის“ შაბიამანზე დაყენებული არაყი კუპოების ოჯახშიც შეუდგა გამანადგურებელ მუშაობას. მრეცხავი ქალი ხედავდა, რომ მალე მოვიდოდა ის საათი, როცა მისი ქმარიც შოლტს აიღებდა ბიჟარივით და ააცეკვებდა თავისიანებს. ეს უბედურება, რომელიც ჟერვეზას მოელოდა, ბუნებრივად, უფრო მეტი თანაგრძნობით ავსებდა მას პატარა ლალისადმი. დიახ. ცუდ გზას დაადგა კუპო. ის დრო წავიდა, როცა მას არაყი ფერხორცს მატებდა. ახლა უკვე აღარ შეეძლო მუცელზე ხელი დაერტყა ტრაბახით და ეთქვა, – ეს წყეული არაყი რანაირად მასუქებსო, ვინაიდან პირველი წლების ავადმყოფური ყვითელი ქონი თითქოს დადნა და კუპოც ლამის ჩამოხმა. მის კანს ტყვიისფერი დაედო. სიმწვანე გადაჰკრავდა, როგორც დიდი ხნის დამხრჩვალს, რომელიც ჭაობში იხრწნება. მადაც წაერთვა. ნელ-ნელა პურის გემოსაც ვეღარ იგებდა და იქამდე მივიდა, რომ შემწვარ ხორცს აფურთხებდა. საუკეთესო ყაურმაც რომ მიერთმიათ მისთვის, მისი კუჭი ვეღარ იტანდა და მისი დასუსტებული კბილებიც უარს ამბობდა საჭმლის დაღეჭვაზე. ყოველდღიურად თითო ბოთლი არაყი სჭირდებოდა ყუათისთვის. ეს იყო მისი ულუფა, მისი სმაცა და მისი ჭამაც. ეს იყო ერთადერთი საკვები, რომელსაც ის ინელებდა. დილაობით, როგორც კი ლოგინიდან წამოდგებოდა, საათის მეოთხედის განმავლობაში ორად იყო

მოკაკული, ახველებდა, თავში ხელს იტაცებდა და ისე ამოიღებდა ნახველს, რომელშიც რაღაც იყო ხოლმე ბალღამივით მწარე. ფეხზე მხოლოდ მაშინ დადგებოდა და ადამიანად იქცეოდა, როცა პირველ ჭიქა ნუგეშს მიიღებდა. ეს იყო მისი ნამდვილი წამალი, რომელიც ცეცხლივით უწვავდა შიგნეულს. დღის განმავლობაში უსიამოვნო შეტევები მეორდებოდა. თავდაპირველად ის იგრძნობდა ღიტინს, ჩხვლეტას მთელ კანსა და ხელ-ფეხზე; კუპო მასხრობდა, თითქოს ვიღაცები მეალერსებიან, ჩემს დედაკაცს ჯაგარი ჩაუყრია ზეწრებში, რომ დამფხაჭნოსო. შემდეგ ფეხები დაუმძიმდებოდა, ღიტინი საშინელ კრუნჩხვაში გადადიოდა, თითქოს ჭახრაკებს უჭერდნენ ხორცზე. ეს უკვე აღარ ეჩვენებოდა მაინცდამაინც სასიამოვნო გართობად. კუპო უკვე აღარ იცინოდა, უეცრად შეჩერდებოდა ქვაფენილზე, გაოგნებული იყო, ყურები უბჟუოდა, თვალებში ნაპერწკლები უთამაშებდა და თვალთახედვას უკარგავდა. მას ყველაფერი ყვითლად ეჩვენებოდა, სახლები ცეკვავდნენ და თითქმის სამ წუთს ის ირხეოდა შიშით, რომ აქვე ქუჩაში არ გაშხლართულიყო. ხოლო როცა ხერხემალზე ცხარე მზე აჭერდა, მას უცებ გააჟრჟოლებდა, თითქოს ყინულიანი წყლის ნაკადი დაურბენდა ბეჭებიდან საჯდომამდე.

კუპოს ყველაზე მეტად თავისი ხელების კანკალზე მოსდიოდა ჯავრი. მეტადრე მარჯვენა ხელი იყო უცნაურად და ცუდად ატეხილი. დასწყევლის ღმერთი, ის ხომ მამაკაცი აღარ არის, დედაბრად გადაიქცა! კუპო გააფთრებით ჭიმავდა კუნთებს, ხელს მაგრად უჭერდა ჭიქას და ნაძლევს დებდა, რომ ჭიქა ისე უძრავად ეჭირებოდა ხელში, თითქოს ხელი მარმარილოსი ყოფილიყოს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ კუპო მთელ ძალ-ღონეს ხმარობდა, ჭიქა ცეკვავდა, ხტოდა ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, და ოდნავ ცახცახებდა აჩქარებით და გამუდმებით. მაშინ გააფთრებული კუპო აიღებდა და ყელში ჩაიცლიდა ხოლმე ამ ჭიქას, თან ღრიალებდა, რომ ერთი თორმეტიოდე ამისთანა კიდევ სჭირდება და მერე თუ გინდა, მთელ კასრს დაიჭერს ხელში ისე, რომ თითსაც არ გაანძრევს. ჟერვეზა ეუბნებოდა, ნუღარ სვამ, თუ გინდა ეგ კანკალი შეგიჩერდესო, მაგრამ კუპო არაფრად აგდებდა ცოლის ლაპარაკს, ლიტრობით სვამდა და კვლავ თავის ცდებს იმეორებდა, ცოფდებოდა და ქუჩაში მიმავალ ომნიბუსებს აბრალებდა, ჭიქაში სასმელს ისინი მირხევენო.

მარტის ერთ საღამოს კუპო თავით ფეხამდე გაწუწული დაბრუნდა. ისა და წაღა ბრუნდებოდნენ მონრუჟიდან, სადაც კარგა ლაზათიანად გადახუხეს და გამოძღნენ კიდეც. გზაში კუპოს, ფურნიეს სადარაჯოდან მოყოლებული, პუასონიერის საყარაულომდე კარგა მოზრდილ მანძილზე თავსხმამ მოუსწრო. ღამე მას წყეული ხველა აუტყდა. სახე ძალიან გაუწითლდა, ისე შეამცივნა, კბილს კბილზე აცემინებდა და ძველი საბერველივით ხიხინებდა. დილით, კუპო ბოშების ექიმმა ინახულა, გასინჯა, მოისმინა მისი სუნთქვა, თავი აქეთ-იქით გადააქნია, მერე ჟერვეზა გაიხმო და ურჩია, იმავე წუთს ქმარი საავადმყოფოში წაეყვანა. კუპოს ფილტვების ანთება ჰქონდა.

ჟერვეზას, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობა არ გაუწევია. ოდესღაც ჟერვეზა არჩევდა აეკუწათ, ვიდრე ქმარი პრაქტიკანტებისთვის მიენდო. ნაციის ქუჩაზე მომხდარი

უბედურების შემდეგ მან ქმრის მოვლაზე სულ მიხარჯა დანაზოგი ფული. მაგრამ თანაგრძნობა იკარგება, როცა კაცი სიბინძურესა და ღორობაში გადავარდება. არა, არა! ჟერვეზა ვეღარ იტვირთებს ამისთანა ხათაბალას. შეუძლიათ წაიყვანონ მისი ქმარი და, თუნდაც ნურც დააბრუნებენ ნურასოდეს. დიდი მადლობის მეტს არაფერს ეტყვის მათ ჟერვეზა. მაგრამ, როდესაც საკაცე მოიტანეს და ზედ უსულო ავეჯივით დადეს კუპო, ჟერვეზა გადაფითრდა და ტუჩი მოიკვნიტა. მართალია, ის კვლავ ბუზღუნებდა და გაიძახოდა, ძალიან კარგიო, მაგრამ ამას უკვე გულით არ ამბობდა და ერთი ათიოდე ფრანკი რომ ჰქონოდა კამოდში, ქმარს აქედან აღარ გაუშვებდა. ჟერვეზამ ლარიბუაზერამდე მიაცილა კუპო და უყურა, სანიტრებმა როგორ მოათავსეს იგი უზარმაზარი დარბაზის ბოლოში, სადაც მწკრივად იწვნენ სხვა ავადმყოფები მიცვალებულთა სახეებით. მათ წამოიწიეს და თვალი გააყოლეს ახალმიყვანილს. სახარბიელო არ იყო აქ სულის ამოხდომა, სადაც ციებ-ცხელების დამახრჩობელი სუნი ტრიალებდა და ჭლექიანთა ხველების იმგვარი მუსიკა, რომ ფილტვებს გაგიფლეთდა. გარდა ამისა, თვით დარბაზიც თითქოს პატარა პერ-ლაშეზიაო, თეთრად გადაპენტილი საწოლებით შემორიგებული სასაფლაოთა ქვების ნამდვილ ხეივანს წარმოადგენდა. მერე, რადგანაც კუპო გაშოტილი იწვა საწოლზე, ჟერვეზა გაშორდა იქაურობას ისე, რომ ვერც ერთი სანუგეშო სიტყვა ვერ მოძებნა მისთვის და, საუბედუროდ, ჯიბეშიც არაფერი ჰქონდა, რომ რითიმე შეემსუბუქებინა მისი მდგომარეობა. გარეთ რომ გამოვიდა, უკან მიიხედა, თვალი შეავლო საავადმყოფოს უზარმაზარ შენობას და გაახსენდა წარსული დღეები, როცა კუპო სახურავის საწვიმარი ღარის პირზე იყო ხოლმე ჩამოკიდებული და თუთიის ფურცლებს აკრავდა მაღლა, თან მზისგულზე ღიღინებდა. მაშინ ის არ სვამდა და მშვენივრადაც გამოიყურებოდა. ხოლო ჟერვეზა ამ დროს სასტუმრო „კაიგულის“ ფინჯრიდან თვალით ეძებდა მას და მერე, როცა სულ მაღლა ცაში აღმოაჩენდა, ორივენი ცხვირსახოცებს ააფრიალებდნენ და უქნევდენენ ერთმანეთს ღიმილით. ეს იყო მათი ტელეგრაფი. დიახ, კუპო მაშინ მაღლა მუშაობდა და, რას იფიქრებდა, თუ ბედი ასე დაუტრიალდებოდა. ამჟამად სახურავზე კი არ შემოსკუპულიყო გიჟმაჟ და მოარშიყე ბეღურასავით, ქვევით იყო, საავადმყოფოში გაიკეთა ბუდე და მივიდა ხორკლიანი ტყავით, რათა სული დაენთხია იქ. ღმერთო ჩემო, რა შორს დარჩენილა სიყვარულის დღეები!

მესამე დღეს, როდესაც ჟერვეზა ქმრის ამბის შესატყობად მივიდა, ლოგინი ცარიელი დაუხვდა. მომვლელმა ქალმა აუხსნა, რომ მისი ქმარი წმინდა ანას თავშესაფარში გადაიყვანეს, რადგან მან გუშინ კინაღამ დაანგრია იქაურობა. ოხ! მთლად გადაირია, კედელს ურახუნებდა თავს, ღრიალებდა, ისე, რომ დანარჩენ ავადმყოფებს ძილს უფრთხობდა. როგორც ჩანს, ეს სასმლისგან მოუვიდა. მის სხეულში დაგროვილმა არაყმა ისარგებლა შემთხვევით და ეძგერა მას, ნერვები გაუღიზიანა იმავე წუთიდან, რა წუთიდანაც ფილტვების ანთებამ ღონემიხდილი მიაკრა საწოლს. მრეცხავი ქალი აფორიაქებული დაბრუნდა სახლში. მისი ქმარი გიჟია ახლა! კაი მხიარული ცხოვრება არ მოელის მას, თუ გამოუშვეს! ნანა ყვიროდა: კუპო საავადმყოფოში უნდა დავტოვოთ, თორემ ბოლოს და ბოლოს, სულს გაგვაფრთხობინებს ორივესო.

ჟერვეზამ მხოლოდ კვირა დღეს მოახერხა წმინდა ანას თავშესაფარში წასვლა. ეს მთელი მოგზაურობა იყო სწორედ. საბედნიერდ, ბულვარ როშეშუარიდან გლასიერეისკენ მიმავალ ომნიბუსს თავშესაფრის წინ უნდა გაევლო. ჟერვეზა სანტეს ქუჩაზე ჩამოვიდა, იქ ორი ფორთოხალი იყიდა, რომ ცარიელი ხელით არ მისულიყო. კვლავ საავადმყოფოს უზარზარი შენობა, ნაცრისფერი პალატებით, დაუსრულებელი დერეფნებით და ძველი, დამჟავებული წამლების სუნით, რომელიც მაინცდამაინც მხიარულ განწყობილებას აქ ქმნიდა. მაგრამ როდესაც ჟერვეზა კუპოს სენაკში შეიყვანეს, განცვიფრებული დარჩა, რადგან ქმარი თითქმის მხიარული დაინახა. კუპო სწორედ ამ დროს წამოსკუპულიყო სამეფო ტახტზე, – ძალიან სუფთა ხის ყუთზე, რომელიც არავითარ სუნს არ ავრცელებდა. ორივეს გაეცინა იმაზე, რომ ამ დროს მიუსწრო ჟერვეზამ. მერე რა, კუპო ხომ ავად იყო, არა? კუპო რომის პაპივით წამომჯდარიყო ტახტზე და თავისებურად, ძველებურად ოხუნჯობდა. უკეთ შევიქმნები, რახან კუჭი იმოქმედებსო.

– მერე ფილტვების ანთება? – შეეკითხა მრეცხავი ქალი.

– გასტუმრებულია! – მიუგო კუპომ, – ერთი ხელის მოსმით გაქრა, ცოტა მახველებს კიდევ, მაგრამ ეს ნარჩენებია და ჩაიწმინდება.

შემდეგ, როდესაც კუპო ყუთს ტოვებდა, რათა ისევ გახვეულიყო საბანში, მან ხელახლა იხუმრა.

– კაი გამძლე ცხვირი გქონია, ერთ მოწევა ბურნუთს რომ არ შეუშინდი.

ამაზე მეტად გამხიარულდნენ ორივენი. გულის სიღრმეში გახარებულები იყვნენ და ამ საჩოთირო ხუმრობებში უსიტყვოდ ამჟღავნებდნენ სიხარულს. უნდა გამოცადოთ ახლობლის ავადმყოფობა, რომ იგრძნოთ, თუ რა სიხარულია, როდესაც მას გაჯანსაღებულს დაინახავთ.

როდესაც კუპო ლოგინში ჩაწვა, ჟერვეზამ მას მისცა ორი ფორთოხალი, რითაც ძალიან აუჩვილა გული. კუპო კვლავ კარგი გახდა მას შემდეგ, რაც მიქსტურას სვამდა და აღარ შეეძლო სამიკიტნოების დახლზე დაეტოვებინა თავისი გული. ბოლოს, ჟერვეზამ გაბედა და მის უეცარ გადარევაზე დაუწყო ლაპარაკი, რადგან გაკვირვებით შეამჩნია, რომ კუპო, როგორც კარგამყოფობის დროს, ისევე საღად მსჯელობდა.

– ახ! ჰო! – წარმოთქვა კუპომ და თვითონვე გაიხუმრა თავის თავზე, – რაებს ვროშავდი!.. წარმოიდგინე, ვირთაგვები მელანდებოდა. დაოთხილი დავდევდი, რომ მათთვის კუდზე მარილი დამეყარა. შენ, შენ მეძახოდი, ვიღაც კაცები გიპირებდნენ მოკვლას. ერთი სიტყვით, ყოველნაირი სისულელე, მოჩვენებები დღის შუქზე... ოხ! მე ეს ძალიან კარგად მახსოვს, ჩემი გოგრა ჯერჯერობით წესიერად მუშაობს... ამჟამად უკვე გაიარა ყველაფერმა, მხოლოდ ძილის დროს ვხედავ სიზმრებს, კოშმარები მაქვს, მაგრამ ეს კოშმარები ხომ ყველას აქვს!

ჟერვეზა საღამომდე დარჩა მასთან. როდესაც სტუდენტი ინტერნი შემოვიდა ჩვეულებრივი ექვსი საათის ვიზიტზე, მან კუპოს ხელები გააშლევინა. ხელები თითქმის აღარ უკანკალებდა კუპოს, მხოლოდ ოდნავი თრთოლა ურბენდა თითების ბოლოებში. მიუხედავად ამისა, როცა დაღამდა, კუპომ ნელ-ნელა შფოთვა დაიწყო. ორჯერ წამოიწია საწოლიდან და ოთახის ბნელ კუთხეებში იატაკს აშტერდებოდა, უეცრად ხელი გაიწვდინა, თითქოს რაღაც ცხოველი მიასრისა კედელს.

– რა იყო? – შეეკითხა თავზარდაცემული ჟერვეზა.

– ვირთაგვები, ვირთაგვები! – წაიბუტბუტა კუპომ, – დასწყევლოს ღმერთმა, ტყავს მიხევენ ეგენი... ოხ! საზიზღარი მღრღნელები!.. დაიჭი, კარგად! კაბა აიწიე! მოერიდე მაგ წუნკლებს, შენ უკან არიან!.. დინგების ხროვა! რამდენი არამზადა! რამდენი ავაზაკი!

კუპო მუშტებს ურტყამდა ჰაერს. საბანი გადმოსწია, დაახვია და გვერდზე მიიკრა შეკუმშული, თითქოს ამით თავს იცავდა იმ წვერიანი კაცების თავდასხმისგან, რომლებიც ელანდებოდნენ. მაშინ შემოვარდა ერთი დარაჯი და შიშისაგან სისხლგაყინული ჟერვეზა წავიდა. მაგრამ, როდესაც ჟერვეზა რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ საავადმყოფოში მივიდა, კუპო სრულიად გამოჯანმრთელებული დახვდა. ის გათავისუფლდა კოშმარებისგან. მთელი ათი საათის განმავლობაში ფეხგაუნძრევლად ეძინა ბავშვური ძილით. ცოლს ნება დართეს, სახლში წაეყვანა. მხოლოდ ინტერნმა წასვლის წინ, ამ შემთხვევისთვის მიღებული კეთილი სიტყვებით მიმართა კუპოს და ურჩევდა ჩაფიქრებოდა ამ სიტყვებს: თუ ის კვლავ სმას დაიწყებს, ავადმყოფობა შემოუბრუნდება ხელახლა და, ბოლოს, სულსაც გაანთხევინებს. დიახ! ეს მხოლოდ და მხოლოდ მასზეა დამოკიდებული. თვითონ ხომ დაინახა, როგორ გამოყოჩაღდა, გამხიარულდა, რა კარგი გახდა, როცა ლოთობას მიანება თავი? ჰოდა! სახლშიც ისეთივე გონიერი ცხოვრება უნდა განაგრძოს, როგორიც წმინდა ანას თავშესაფარში ჰქონდა. წარმოიდგინოს, რომ ისევ ჩაკეტილშია და აღარ არსებობს ქვეყანაზე სამიკიტნოები.

– მართალს ლაპარაკობს ის ექიმი! – უთხრა ჟერვეზამ კუპოს ომნიბუსში, რომელსაც ცოლ-ქმარი გუტ-დორის ქუჩისკენ მიჰყავდა.

– რა თქმა უნდა, მართალს ამბობს! – მიუგო კუპომ.

მაგრამ წუთის ფიქრის შემდეგ დაუმატა: – ოხ, იცი რა, ერთი ორი ჭიქა ხანდახან კაცს არ მოკლავს, საჭმლის მოსანელებლად კარგია.

და იმავე საღამოს კუპომ ერთი პატარა ჭიქა არაყი გადაჰკრა საჭმლის მოსანელებლად.

ერთი კვირის განმავლობაში გონივრულად იქცეოდა, რადგან გულის სიღრმეში ძალიან შეშინებული იყო და სულაც არ უნდოდა ბისეთრში სიკვდილი. მაგრამ ბოლოს ჟინმა გადასძლია: პირველ პატარა ჭიქას, მისდა უნებურად, მოჰყვა მეორე,

მეორეს – მესამე, მესამეს – მეოთხე. და მერე კვირის ბოლოს უკვე დაუბრუნდა ჩვეულებრივ ულუფას, ე. ი. თითო ნახევარკვარტიან[30] რახს ყოველდღიურად. გააფთრებული ჟერვეზა მზად იყო დაერტყა მისთვის. რა სულელი იყო, როდესაც ხელახალ პატიოსან ცხოვრებაზე ოცნებობდა მას შემდეგ, რაც კუპო სრულ გონებაზე ნახა საავადმყოფოში! სიხარულის ეს საათიც გაფრინდა და, უეჭველია, იგი უკანასკნელიც იყო. ოჰ! რადგანაც კუპოს ვერაფერი, – უახლოეს დროში ჩაძაღლების შიშიც კი, – ვეღარ გამოასწორებდა, ჟერვეზამ ფიცი დადო, აღარაფერს მორიდებოდა, ოჯახი თუნდ ყირამალა წასულიყო, თვალსაც აღარ დაახამახამებდა. ჟერვეზამ გადაწყვიტა თავის ნებაზე ეცხოვრა, სიამოვნებით გაეტარებინა დრო, სადაც კი მოასწრებდა. კვლავ დაიწყო ჯოჯოხეთი, ჭუჭყში ცხოვრება და სულ მცირე იმედიც კი მოისპო, რომ უკეთეს რამეს ეღირსებოდნენ ოდესმე. ნანა, როდესაც მამა გაარტყამდა, გააფთრებული კითხულობდა, ეს ჯაგლაგი რატომ საავადმყოფოში არ დარჩა? მე ველოდები ხელფასის მიღებას, რომ არაყი ვუყიდო, რათა უფრო ადრე ჩაძაღლდესო. ერთ დღეს თავის მხრივ ჟერვეზამაც იფეთქა, როდესაც კუპომ მისი ცოლად შერთვა ინანა. ახ! მე ხომ სხვების ნალოკი შემხვდა! ქუჩიდან წამომაყვანინა თავი ქალმა, მისმა უმანკო სახემ მომატყუაო! ძაღლის ნაშობო! კადნიერება კი არ გაკლია! რამდენ სიტყვასაც ამბობ, იმდენი სიცრუეა! მე თვითონ არ მსურდი. აი, სიმართლე! – გაცეცხლდა ჟერვეზა, – ჩემს ფეხებთან დახოხავდი, რათა მიგეღო ჩემი თანხმობა, მე კი გირჩევდი, კარგად დაფიქრებულიყავი. ამის დაბრუნება რომ შეიძლებოდეს, ახლა როგორღა დავთანხმდებოდი ამას! ხელის მოჭრას ვამჯობინებდი, ვიდრე შენ გამოგყოლოდი ცოლად. დიახ, უცოდველი არ ვიყავი, როდესაც შენ გამოგყევი, მაგრამ შემცოდე ქალი, რომელიც ამავე დროს მშრომელია, სჯობია მცონარე მამაკაცს, რომელიც საკუთარ პატიოსნებას და აგრეთვე თავისი ოჯახის პატიოსნებასაც ჩირქს სცხებს ყველა სამიკიტნოში. იმ დღეს კუპოებთან პირველად გაიმართა კაი ლაზათიანი დაკადაკა: ისე მაგრად ურტყეს ერთმანეთს, რომ ერთი ძველი ქოლგა და ჯაგრისიც მიამტვრიეს.

ჟერვეზამ სიტყვა შეასრულა, ის უფრო მეტად დაქვეითდა, უფრო ხშირად აცდენდა სამუშაოს სახელოსნოში, მთელი დღეები ლაქლაქებდა. ისე მოეშვა, ისე მოდუნდა, რომ მუშაობის თავიც აღარ ჰქონდა. ხელიდან რომ რამე ნივთი დაუვარდებოდა, რამდენ ხანსაც უნდა გდებულიყო ძირს, ჟერვეზა მის ასაღებად არ დაიხრებოდა. უზომოდ გაზარმაცდა, მხართეძოზე იყო წამოწოლილი და ქონს უფრთხილდებოდა. ოთახსაც კი აღარ ჰგვიდა, სანამ იმდენი ჭუჭყი არ დაგროვდებოდა, რომ სიარულს შეუშლიდა. ლორილეები ახლა განზრახ ცხვირზე ხელს მოიჭერდნენ ხოლმე, როცა მისი ოთახის წინ გაივლიდნენ; საწამლავია სწორედ! – ამბობდნენ ისინი. თვითონ ლორილეები კარჩაკეტილად ცხოვროდნენ დერეფნის ბოლოში, თავს იცავდნენ იმ სიღატაკისგან, რომელიც სახლის ამ კუთხეში კრუსუნებდა. შეკეტილები იყვნენ, რათა არავისთვის სესხად ოცი სუც არ მიეცათ. ოჰ! რა კეთილი გულის პატრონები იყვნენ, რა უაღრესად ყურადღებიანი მეზობლები! დაიცა, ძაღლის თავი სწორედ აქ იყო დამარხული! საკმარისი იყო ვინმეს მიეკაკუნებინა მათთან კარზე და მოეთხოვა ან ცეცხლი, ან ერთი მწიკვი მარილი, ან ერთი სურა წყალი, დარწმუნებული უნდა

ყოფილიყო, რომ მაშინვე ცხვირწინ მიუჯახუნებდნენ კარს. ამასთან, რა გველის ენა ჰქონდათ! გაჰკიოდნენ, არასოდეს სხვის საქმეში არ ვერევითო, როცა საქმე მოყვასისთვის დახმარების აღმოჩენას ეხებოდა. მაგრამ დილიდან საღამომდე სხვის საქმეში აფათურებდნენ ხელებს, თუკი ეს ვისიმე საკბენი ამბავი იყო, კბილგალესილები ეძგერებოდნენ ყველას. კარი გადარაზული ჰქონდათ, სუფრა ჩამოეფარებინათ ჭუჭრუტანებსა და საკეტის ხვრელზე, რომ კარგად ყოფილიყო დაცობილი, და ამ პირობებში ჭორაობდნენ და თან წუთითაც არ უშვებდნენ ხელიდან ოქროს ძეწკვს. განსაკუთრებით ჩაუხას გაღატაკებაზე კრუტუნებდნენ ისინი მთელ დღეს, იმ ხვადი კატების მსგავსად, რომელთაც უალერსებენ. აი, გაკოტრება, მეგობრებო, აი, დავარდნა ამას ჰქვია! ისინი უთვალთვალებდნენ ჯერვეზას, როცა ის სანოვაგის საყიდლად წავიდოდა და სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ ის პატარა ნაჭერი პური, რომელიც მას წინსაფრის ქვეშ ამოფარებული მოჰქონდა. ლორილეები ითვლიდნენ იმ დღეებს, როდესაც კუპოებს ცარიელი კარადის წინ შიმშილით კბილები უკაწკაწებდათ. იცოდნენ, რა სისქის მტვერი იდო კუპოების სახლში, რამდენი გაჭუჭყიანებული თეფში დარჩათ გაურეცხავი; იცოდნენ ყველაფერი, რაც ამხელდა კუპოების დაუდევრობას და მათ თანდათან გაღატაკება-დაქვეითებასა და სიზარმაცეს. ახლა მათი ჩაცმულობა, ეს საზიზღარი ძონძები, რომელთაც ძველმანებით მოვაჭრეც კი არ მოჰკიდებდა ხელს! უზენაესო! რა ავი დღე დაუდგა ამ ქერა ლამაზმანს, ამ განებივრებულ კეკლუცს, რომელიც ოდესღაც დიდი კუდის ქნევაში იყო თავის ლამაზ ცისფერ დუქანში. აი, სად მიჰყავს კაცი ღორმუცელობას, სიწუწკესა და ქეიფის მოყვარულობას! ჟერვეზა იმასაც გრძნობდა, თუ რანაირი სიტყვებით ამკობდნენ ლორილეები. ფეხსაცმელს იხდიდა და მათ კარს ადებდა ყურს, მაგრამ საფარი უშლიდა რისამე გაგონებას. ჟერვეზამ მხოლოდ ერთ დღეს მოჰკრა ყური, რომ ისინი ჯიქნიანს უწოდებდნენ, რადგან მკერდი მართლაც ცოტა არ იყოს, ღონიერი ჰქონდა, მიუხედავად ცუდი კვებისა, რომელიც სხეულს უფიტავდა. ჟერვეზას მაინც ჰქონდა ურთიერთობა ლორილეებთან, კვლავ ელაპარაკებოდა მათ, რათა მითქმა-მოთქმა აეცილებინა თავიდან, თუმცა მათგან დამცირების მეტს არაფერს ელოდა, მაგრამ ძალა არ ჰყოფნიდა პასუხი გაეცა და იქით მიეგდო ისინი, როგორც სისულელეებით გატენილი პარკი. ეჰ! თუმცა ჯანდაბას! ის ხომ სიამეს ეძებდა, ოღონდ თავისთვის გდებულიყო მხართეძოზე წამოწოლილი და მხოლოდ მაშინ გაინძრეოდა, როცა კაი დარი დაუდგებოდა, მეტი არაფერი.

ერთ შაბათს, კუპო დაჰპირდა ჟერვეზას, რომ ცირკში წაიყვანდა, იქ უნდა ენახათ მათ ცხენებზე მოჯირითე ქალები, რომლებიც ქაღალდის რგოლებში ხტებიან. აი, ყოველ შემთხვევაში ის, რისთვისაც ღირდა თავის შეწუხება! კუპოს სწორედ იმ დღეს უნდა მიეღო ორი კვირის ნამუშევარი და შეეძლო ერთი ორმოციოდე სუ გაეფლანგა. ამასთან, ორივე გარეთ ჭამდა. ნანა იმ საღამოს გვიანობამდე სახელოსნოში უნდა დარჩენილიყო, რადგან საჩქარო შეკვეთა ჰქონდათ. შვიდი საათი შესრულდა და კუპო არ ჩანდა, რვა საათზედაც არავინ გამოჩენილა. ჟერვეზა გააფთრდა. ცხადი იყო, მისი ლოთი ქმარი თავს დოსტებთან ერთად უბნის სამიკიტნოში სანსლავდა ორი კვირის ნამუშევარს.

ჟერვეზამ თავსაბური გაირეცხა და დილიდანვე თავისი ძველი კაბის ნახვრეტებს ჩაჰკირკიტებდა, რომ ცოტაოდენი ლაზათი მიეცა მისთვის. ბოლოს და ბოლოს, ცხრა საათისთვის, მშიერ გულზე სიბრაზისგან გალურჯებულმა ჟერვეზამ გადაწყვიტა ახლომახლო გასულიყო კუპოს საძებნელად.

– ქმარს დაეძებთ? – დაუყვირა მას მადამ ბოშმა, როცა შენიშნა ჟერვეზას არეული სახე, – ის ბიძია კოლომბთან არის. ეს არის ახლა მან და ბოშმა ალუბლის წვენზე დაყენებული არაყი დალიეს ერთად.

ჟერვეზამ მადლობა გადაუხადა. მერე აჩქარებით დაადგა ქვაფენილს. თან თავში უტრიალებდა განზრახვა, – თვალებში სძგერებოდა კუპოს. წვიმა ცრიდა და სეირნობა ამისთანა ავდარში არცთუ ისე სასიამოვნო იყო, მაგრამ როდესაც ჟერვეზა „ხაფანგის“ წინ გაჩნდა, იმ შიშმა, რომ თუ ქმარს ჩააცივდებოდა, ის თვითონ ააცეკვებდა მას, მყისვე დააწყნარა და კეთილგონიერება დაუბრუნა. სინათლე ბრიალებდა სამიკიტნოში, თეთრი მზეებივით კაშკაშებდა სარკეები, ფიალებისა და ორთომელების ფერადი შუშის ანარეკლი კედლებს ხვდებოდა. ჟერვეზა წუთით შეჩერდა, კისერწაწვდენილმა ფანჯრის მინებს მიაბჯინა სახე და ვიტრინაში გამოფენილ ორ ბოთლშუა გასცქეროდა კუპოს, რომელიც დარბაზის სიღრმეში იმყოფებოდა. კუპო და მისი ამფსონები ერთ პატარა თუთიის მაგიდას შემოსხდომოდნენ და ბუნდოვნად მოჩანდნენ ჩიბუხის კვამლის მოლურჯო ბუღში გახვეულები. ვინაიდან ღრიანცელი გარეთ არ ისმოდა, ამიტომ ძალიან სასაცილო სანახავი იყო მათი ხელების ქნევა, წინ წაწვდენილი კისრებისა და თვალების კარკვლა. ღმერთო! როგორ შეუძლიათ მამაკაცებს ცოლისა და ოჯახის მიტოვება იმისათვის, რომ შეიკეტონ ამ სოროში, სადაც თვითვე ეხუთებათ სული? ჟერვეზას წვიმა კისერში ჩაუვიდა. იგი წელში გასწორდა და გარე ბულვარებს გაჰყვა დაფიქრებული. დუქანში შესვლას ვერ ბედავდა. ხომ შეიძლება, კუპო ლაზათიანად გაუმასპინძლდეს მეუღლეს, რადგან მას არ უყვარს, როცა თვალყურს ადევნებენ. მართალიც არის, ეს რა შესაფერისი ადგილია პატიოსანი ქალისთვის! ამასობაში სველი ხეების ქვეშ მდგომ ჟერვეზას ოდნავ კანკალი დააწყებინა. ის სულ ფიქრობდა, ყოყმანობდა, თუმცა ეგონა, რომ ნამდვილად რაიმე ავადმყოფობას შეიძენდა აქ. ორჯერ მიუბრუნდა სამიკიტნოს და ფანჯრების წინ გაჩერდა, ხელახლა მინებზე მიაბჯინა ცხვირი. გული ემღვრეოდა, ბრაზობდა, რომ ეს წყეული ლოთები ისევ სუფრას მისხდომოდნენ, ღრიალებდნენ და სვამდნენ განუწყვეტლივ.

„ხაფანგიდან“ გამოსული შუქის ანარეკლი ჩანდა ქვაფენილის გუბეებზე, რომლებიც თრთოდნენ და ბუშტულებს იკეთებდნენ წვიმის გამო. სამიკიტნოს კარი გაიღებოდა თუ დაიხურებოდა რკინის ანჯამების ჭრაჭუნით, ჟერვეზა დასამალავად გარბოდა. ის თავის შველაზე ფიქრობდა და გუბეებში უხდებოდა ჭყაპუნი. ბოლოს, მან ტუტუცი უწოდა თავს, კარს ხელი წაჰკრა და პირდაპირ კუპოს მაგიდისკენ გაემართა. რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს? ქმრის დასაძახებლად მივიდა იქ, საბუთიც ჰქონდა ამისი, რადგან კუპო ამ საღამოს ცირკში წაყვანას დაჰპირდა. მით უარესი! ჟერვეზას სულაც არ ეხალისებოდა საპონივით ქვაფენილზე დამდნარიყო.

– ვაჰ! ეს შენა ხარ, დედაბერო? – წამოიყვირა მესახურავემ და კინაღამ სიცილით დაიხრჩო, – ახ, უნდა გითხრათ, რომ სასაცილო სანახავია... ა! მართალს არ ვამბობ, სასაცილო არ არის?

ყველანი ხარხარებდნენ, წაღა, გარუჯული ბიბი, მლაშე ხახა, იგივე მარადი წყურვილი. დიახ, მათ ძალიან სასაცილოდ მიაჩნდათ ეს, მაგრამ განმარტებას არ იძლეოდნენ, თუ რატომ. ჟერვეზა ფეხზე იდგა ოდნავ დაბნეული. კუპო მას ისეთი კარგი ეჩვენა, რომ ბოლოს გაბედა და უთხრა: – ხომ იცი, რომ წასასვლელები ვართ. აჩქარებაა საჭირო და მოვასწრებთ დროზე მისვლას.

– ადგომა არ შემიძლია, მიკრული ვარ! – მიუგო კუპომ, რომელიც კვლავ ხუმრობდა, – სცადე, თუ გინდა დარწმუნდე, ხელზე დამეჭიდე, რაც ძალი და ღონე გაქვს, დალახვროს ღმერთმა! უფრო ღონივრად! ოჰ! უჰ!.. ხომ ხედავ, ამ მუტრუკმა ბიძია კოლომბმა რანაირად მიმაჭედა თავის სკამზე.

ჟერვეზა აჰყვა ამ თამაშს, ხოლო როდესაც ხელი გაუშვა კუპოს, მისმა დოსტებმა ეს ისე სამხიარულოდ და სასაცილოდ მიიჩნიეს, რომ ერთმანეთს ეცემოდნენ, ყროყინებდნენ და მხრებით ეხახუნებოდნენ ვირებივით, რომლებსაც სამურველს უსვამენ. მესახურავეს იმოდენაზე გაეღო პირი სიცილის დროს, რომ მთელი ხახა უჩანდა.

– შე, გლახავ, შე ტუტუცო! – წარმოთქვა ბოლოს კუპომ, – გირჩევნია წუთით აქ ჩამოჯდე. აქ ყოფნა არ სჯობია გარეთ ტალახში ტყლაპუნს?.. ჰოდა, ასე! მე სახლში ვერ დავბრუნდი, საქმეები მქონდა. ცხვირი ნუ ჩამოუშვი, მაგით არაფერი გამოვა... თქვენ, ეი! იქით მიიწიეთ.

– მადამ, თუ ინებებთ ჩემს მუხლზე მოსვენებას, უფრო რბილად იქნებით, – ზრდილობიანად შესთავაზა წაღამ.

ჟერვეზამ იმ მიზნით, რომ შეუმჩნევლად დარჩენილიყო, აიღო სკამი და სამი ნაბიჯის სიშორეზე დაჯდა მაგიდისგან. უყურებდა, თუ რას სვამდნენ კაცები. ეს იყო ცხარე ნახადი, რომელიც ოქროსავით ბზინავდა ჭიქებში. მაგიდაზე შეტბორებულიყო დაღვრილი არყის პატარა გუბე, რომელშიც მლაშე ხახა, იგივე მარადი წყურვილი, თითს აწობდა და საერთო ლაპარაკში დიდი ასოებით წერდა ქალის სახელს – ევლალია! ძალიან გაძვალტყავებული ეჩვენა ჟერვეზას გარუჯული ბიბი, გამხდარი იყო მეტისმეტად, ცარიელი ჩხირებიღა დარჩენილიყო, ხოლო წაღას ბურგუნდიის ლურჯი გეორგინივით აყვავებოდა ცხვირი. მეტისმეტად ჭუჭყიანები იყვნენ ოთხივენი ბინძური, თხელი, ჩალორთხილი წვერებით, რომლებიც ღამის ქოთნის საწმენდ ჯაგრისებს მიუგავდათ, დაძონძილი ბლუზებით და შავი თათებით, რომელთაც სამგლოვიაროარშიებიანი ფრჩხილები ამშვენებდა. სამართლიანად, ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო მათი საზოგადოებაში გამოჩენა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ექვსი საათიდან დაწყებული, განუწყვეტლივ ყლურწავდნენ, მაინც წესიერად ეჭირათ თავი და მხოლოდ მსუბუქად იყვნენ შეჭიჭინებულნი. ჟერვეზა იქ ხედავდა ორ სხვასაც, რომლებიც აპირებდნენ ყელის ჩაკოკლოზინებას, მაგრამ ისე ძალიან

გალეშილიყვნენ, პატარა ჭიქები პირის მაგივრად ნიკაპის ქვემოთ მიჰქონდათ, ისველებდნენ პერანგებს, დარწმუნებულნი, რომ ყელი ჩაირეცხეს. უზარმაზარ ბიძია კოლომბს გაეწვდინა თავისი ვეება ხელები, – მისი სამიკიტნოს თავდაცვის იარაღი, – და დინჯად ასხამდა ჭიქებში არაყს.

ძალიან ჩამოცხა, ჩიბუხების ბოლი აირის ლამპების თვალისმომჭრელი შუქისკენ ადიოდა, მტვერივით ტრიალებდა და თანდათან შესქელებულ ბუღში ახვევდა სამიკიტნოს სტუმრებს. ამ ღრუბლებიდან გამოდიოდა გამაყრუებელი და გაურკვეველი ხმაური, ჩახრინწული ხმების ხრიალი, ჭიქების ჯახუნი, ლანძღვა და მაგიდაზე მუშტების ისეთი ბრახუნი, თითქოს აფეთქებდნენ რამეს. ჟერვეზა უხერხულად გრძნობდა თავს, რადგან ასეთი სანახაობა გასართობს არაფერს წარმოადგენს ქალისთვის, მეტადრე მაშინ, როდესაც ის ამას შეუჩვეველია. ჟერვეზას სუნთქვა ეკვროდა, თვალები ეწვოდა, თავი უკვე დაუმძიმდა ალკოჰოლის სუნით, რომელიც მთელ დარბაზს მოსდებოდა. მერე უეცრად უქეიფოდ შეიქნა, განსაკუთრებით შემაწუხებელი რაღაც იგრძნო ზურგს უკან. იქით მიბრუნდა და დაინახა არყის სახდელი ქვაბი, დაინახა ეს ლოთობის მანქანა, რომელიც გამალებით მუშაობდა ვიწრო ეზოს შუშაბანდში, თავისი ჯოჯოხეთური დგანდგარითა და ძაგძაგით. საღამოობით სპილენძის მილები უფრო მკრთალად მოჩანდა და მათ სიმრგვალეს ანათებდა მხოლოდ ფართო, წითელი ვარსკვლავი. მანქანის ჩრდილი შიდა კედლის პირდაპირ წარმოადგნედა საზარელ მოჩვენებას, კუდიან ფიგურებს, პირდაღებულ ურჩხულებს, რომლებიც თითქოს ჩაყლაპვას უპირებდნენ ქვეყანას.

– შენ, ეი, ენაჭარტალავ, ნუ იღრიჯები! – წამოიყვირა კუპომ, – შენ ხომ იცი, ვინც კომპანიას მხარს არ უჭერს, მას კინწისკვრით აგდებენ! რას დალევ?

– რა თქმა უნდა, არაფერს, – მიუგო მრეცხავმა, – მე არაფერი მიჭამია.

– ძალიან კარგი! მით უმეტეს, ცოტა გადაკვრა მოგამაგრებს.

მაგრამ რადგანაც ჟერვეზა კვლავ შუბლგაუხსნელად იჯდა, წაღამ ხელახლა თავაზიანობა გამოიჩინა.

– მადამს ალბათ ტკბილი სასმელები უყვარს, – წაიბუტბუტა მან.’

– მე მიყვარს ადამიანები, რომლებიც არ ლოთობენ, – გაჯავრებით მიუგო ჟერვეზამ, – დიახ, მე მიყვარს, როცა ხელფასი შინ მიაქვთ და პატიოსან სიტყვას ასრულებენ, როცა ვინმეს რამეს დაჰპირდებიან.

– ახ! ამაზე ხარ ამრეზილი? – წამოიძახა მესახურავემ, რომელიც განაგრძობდა ღრეჭას, – შენი წილი გინდა მიიღო? მერედა, დაპატიჟებაზე უარს რად ამბობ, შე, ტუტუცო შენა!.. აიღე, რაღა, მოგებული დარჩები!

ჟერვეზა სერიოზული სახით დაჟინებით მიაცქერდა კუპოს, შავმა ნაოჭმა გადაუსერა შუბლი, და წყნარი ხმით მიუგო.

– იცი, რა, შენ მართალი ხარ, ეგ კარგი აზრია. რახან ასეა, ერთად ვხარჯოთ ფული სასმელზე.

გარუჯული ბიბი წამოდგა, რომ მისთვის ერთი ჭიქა ანისული არაყი მიეტანა. ჟერვეზამ სკამი მისწია და სუფრას მიუჯდა.

სანამ ის თავის ანისულს წრუპავდა, უეცრად ერთი რამ გაახსენდა. მან მოიგონა ქლიავზე დაყენებული სასმელი, რომლითაც კუპო გაუმასპინძლდა ოდესღაც, ამავე დუქანში, კარის ახლოს, იმ დროს, როცა კუპო ეარშიყებოდა. მაშინ ჟერვეზა არაყზე დაყენებულ ხილის წვენს ჭიქაში ტოვებდა, ამჟამად კი ლიქიორს მიჰყო ხელი. ჟერვეზა კარგად იცნობდა თავს. ერთი კინწისკვრა კმაროდა იმისთვის, რომ კოტრიალით წასულიყო ფსკერისკენ. ამასთან მას ძალიან მოეწონა ანისული. თუმცა შესაძლოა, სიტკბო მომეტებული ჰქონდა და ცოტა გულისამრევიც იყო. ჟერვეზა წრუპავდა ჭიქიდან სასმელს და თან ყურს უგდებდა მლაშე ხახას, იმავე მარად წყურვილს. იგი თანამეინახეებს მოუთხრობდა თავისი სიყვარულის ამბავს სქელ ევლალიასთან, რომელსაც ქუჩა-ქუჩა დააქვს თევზი გასაყიდად. ერთი მავნე, შარიანი დედაკაცია, რომელიც სუნით იგრძნობს ხოლმე მის სამიკიტნოში ყოფნას, როცა ქუჩა-ქუჩა დადის. მართალია, ამხანაგები დროზე აფრთხილებენ მლაშე ხახას და მალავენ კიდეც, მაგრამ ევლალია მაინც ახერხებს მის ჩაჭერას. აი გუშინ, მაგალითად, პირდაპირ სიფათში სთხლიშა ქამბალა, რათა სამუშაო დღეების გაცდენას გადააჩვიოს. სასაცილო ამბავი იყო სწორედ, და გარუჯულ ბიბის და წაღას ფერდები აწყდებოდათ სიცილით, თან ჟერვეზას მხარზე ხელს უტყლაშუნებდნენ. ჟერვეზაც თავისდა უნებურად იცინოდა, თითქოს ვინმე უღიტინებდა. კუპოს ამფსონები ურჩევდნენ ჟერვეზას, ამ ფაშფაშა ევლალიასათვის მიებაძა, მოეტანა უთო და სამიკიტნოს თუთიის მაგიდაზე კუპოსთვის გაეუთოებინა ყურები.

– ოჰო! ჰო! მადლობას მოგახსენებთ, – შეჰყვირა კუპომ და მეუღლის მიერ გამოცლილი ანისულის ჭიქა მოაყირავა, – შენ კარგად ხუხავ! შეხედეთ ერთი, ბიჭებო! ტყუილად დროს არ ჰკარგავს!

– მადამ, გაიმეორებთ? – შეეკითხა მლაშე ხახა, იგივე მარადი წყურვილი.

– არა, საკმარისი იყო ჩემთვის, – მიუგო. თუმცა ჟერვეზა ყოყმანობდა. ანისულმა გული აურია. ერჩია მაგარი რამე დაელია კუჭის მოსარჩენად. ალმაცერად იყურებოდა უკან, სადაც ლოთობის მანქანა მუშაობდა. წყეული ქვაბი, მრგვალი იყო სქელი ვაჭრის მუცელივით და გრძელი და მოგრეხილი ცხვირით ჟერვეზას ჟრუანტელს ჰგვრიდა და ეს ვეებერელა მაჯლაჯუნა სურვილთან ერთად შიშსაც უღვიძებდა. თითქოს რომელღაც ჯადოქარი თავისი შიგნეულიდან ცეცხლს უშვებდა წვეთ-წვეთად. ეს იყო საწამლავის ნამდვილი წყარო, რომელიც სადმე სარდაფში უნდა ყოფილიყო ჩაფლული, ისეთი უტიფარი იყო და ამაზრზენი. მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა ჟერვეზას. მას უნდოდა ცხვირი ჩაეყო შიგ, შეესუნთქა მისი სურნელება, შეესვა იგი

თავდავიწყებამდე, თუგინდ ენა დასწვოდა იმდენად, რომ კანი ფორთოხალივით ასაფცქვენი გახდომოდა.

– თქვენ რას სვამთ, რა არის ეგ? – ეშმაკურად შეეკითხა იგი მამაკაცებს და თან გაბრწყინებული თვალით უყურებდა ოქროსფერ სითხეს მათ ჭიქებში.

– ეს, ჩემო მოხუცო, – მიუგო კუპომ, – ბიძია კოლომბის ქაფურია... ნუ სულელობ, დალიე! სულერთია, უნდა იგემო.

როდესაც ჟერვეზას ერთი ჭიქა ცხარე რახი მიუტანეს და მას პირველივე ყლუპზე კრიჭა შეეკრა, მესახურავემ ბარძაყზე ხელი დაირტყა და დასძინა: – ჰა? ხომ ჩაგიშუშხა ყანყრატო?.. ერთბაშად გადაკარი! – თითოეულ ჭიქაზე, ექვსფრანკიანო, შორს ექიმის ჯიბიდან.

მეორე ჭიქის შემდეგ ჟერვეზა უკვე აღარ გრძნობდა შიმშილს, რომელიც აწუხებდა. ახლა ის კუპოსაც შეურიგდა, აღარ ემდუროდა დაპირების შეუსრულებლობას: ცირკში სხვა დროსაც წავლენ. მაინცდამაინც რა გასართობია ცხენზე მოჯირითეების ტრიალი. ბიძია კოლომბთან არ წვიმს და თუ ხელფასი დნება და არაყზე მიდის, სამაგიეროდ, მუცელში ხომ ჩადის გამჭვირვალე, გამდნარ ოქროსავით მბზინავი სასმლის სახით.

ახ! ის ჯანდაბისკენ ისტუმრებდა მთელ ქვეყანას! რა სიხარული მოუტანა მას ცხოვრებამ?! ამასთან, სანუგეშოდაც მიაჩნდა ის აზრი, რომ ფულის ფლანგვაში ისიც წილს დაიდებდა სანახევროდ. აქ ხომ კარგად გრძნობდა თავს, რატომაც არ უნდა დარჩენილიყო? ზარბაზანიც რომ ესროლათ მისთვის, არ დაიძვროდა ადგილიდან, რადგანაც კარგად მოკალათებულიყო. ჟერვეზა ნებივრობდა სითბოში, კორსაჟი ზურგზე მიჰკვროდა, სიამით მოდუნებულსა და მიბნედილს სახსრები დამძიმებოდა. მარტოდმარტო თავისთვის იცინოდა და მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილს არეული თვალები აცაბაცა გაურბოდა. განსაკუთრებით ართობდა ორი სტუმარი, რომელთაგანაც ერთი იყო უზარმაზარი აყლაყუდა, ხოლო მეორე ქონდრის კაცუნა, პატარა ჯუჯა. მეზობელ მაგიდასთან ისხდნენ ორივენი გალეშილები და ერთმანეთის მოხვევას ლამობდნენ. დიახ, ჟერვეზას აცინებდა „ხაფანგში“ ბიძია კოლომბის მთვარესავით მომრგვალებული პირისახე, რომელიც ღორის ქონით გავსებულ ბუშტს უფრო ჰგავდა. სტუმრები, რომლებიც მოკლე ჩიბუხებს ეწეოდნენ, ყვიროდნენ, იფურთხებოდნენ, აირმაშუქების კაშკაშა შუქი კი ელვარებდა სარკეებსა და სითხით სავსე ბოთლებზე. ჟერვეზას აღარ აწუხებდა არყის სუნი, პირიქით, ცხვირში უღიტინებდა და სასიამოვნოდაც კი ეჩვენებოდა. ქუთუთოები ნელ-ნელა ეხუჭებოდა. ამავე დროს აჩქარებით სუნთქავდა, მაგრამ სუნთქვა არ ეკვროდა და ნეტარებით გრძნობდა, რომ ნელ-ნელა ტკბილი რულიც მოერია. მესამე პატარა ჭიქის შემდეგ უკვე ნიკაპი ხელებზე დააყრდნო და კუპოსა და მისი ამხანაგების მეტს ვეღარაფერს ხედავდა. ჟერვეზა გვერდით ეჯდა მათ, ცხვირი ცხვირთან ჰქონდა მიტანილი, ლოყებზე გრძნობდა მათ ცხელ სუნთქვას და მათ ბინძურ წვერებს ისე შეჰყურებდა,

თითქოს მათ ღერებს სათითაოდ ითვლიდა. ახლა ისინი ძალიან მთვრალები იყვნენ. წაღას დორბლი ჩამოსდიოდა, კბილებში ჩიბუხი გაეჩარა, გაჩუმებული იყო და დადინჯებული მთვლემარე ხარივით. გარუჯული ბიბი უამბობდა მათ, თუ ერთხელ როგორ გამოცალა ერთბაშად მთელი ბოთლი, ისე, რომ ტუჩი არ მიუკარებია, პირდაპირ მოაყირავა და ჩაისხა ყანყრატოში. ამასობაში მლაშე ხახამ, იმავე მარადმა წყურვილმა სატრიალებელი მოძებნა დახლზე და თამაში დაიწყო კუპოსთან დაპატიჟებაზე.

– ორასი!.. შე ყურუმსაღო, სულ რომ დიდი ნომრები მოგდის.

სატრიალებლის ზამბარა ჭრიალებდა. ფორტუნის გამოსახულებას წარმოადგენდა შუშის ხუფის ქვეშ მოთავსებული ვეება წითელი ტიკინა ქალი, რომელიც ისე ტრიალებდა, რომ ერთ მრგვალ, ღვინისფერ ლაქად მოჩანდა.

– სამას სამოცდაათი!.. შიგ ხომ არ ზიხარ, ყომარბაზო, არამზადავ, შენ მოიგე! ჯანიც გავარდნია, აღარ ვთამაშობ!

ჟერვეზასაც აინტერესებდა სატრიალებელი. ის განუწყვეტლივ სვამდა, არყით თვრებოდა და წაღას უკვე ჩემო შვილიკოს უწოდებდა. მის ზურგს უკან მიწისქვეშა ნაკადულის ბუტბუტით განუწყვეტლივ მუშაობდა ლოთობის მანქანა. ჟერვეზას სასოწარკვეთილებაში აგდებდა თავისი უძლურება, რომ არ შეეძლო გაეჩერებინა ეს მანქანა, მთლად ამოეწრუპა იგი. ყრუ მრისხანება იპყრობდა ამ მანქანის წინააღმდეგ, უნდოდა, ვით ცოცხალ პირუტყვს, ზედ შეხტომოდა უზარმაზარ ქვაბს, ქუსლით შემდგარიყო, გაექელა, მუცელი გამოეფატრა მისთვის. ჟერვეზას თვალში ყველაფერი აირია. ის ხედავდა მანქანის მოძრაობას, გრძნობდა, რომ მისი სპილენძის თათებით იყო ჩაჭერილი, ხოლო ამჟამად ნაკადული უკვე იმის შიგნეულში ჩადიოდა.

შემდეგ დარბაზი დატრიალდა, აირმაშუქებიც ვარსკვლავებივით ცვიოდა. ჟერვეზა უგონოდ მთვრალი იყო. ესმოდა, რომ მლაშე ხახას, იმავე მარად წყურვილსა და ამ ოინბაზ ბიძია კოლომბს შორის გააფთრებული ჩხუბი გაიმართა. ეს მყვლეფელი, ეს შამფურზე ასაგები წურბელა, ესა! შარაგზებზე ხალხის მძარცველი ავაზაკი! ატყდა აურზაური, ღმუილი, გადაბრუნებული მაგიდების ბრახაბრუხი. ეს იყო ბიძია კოლომბი, რომელმაც მოურიდებლად, ერთი ხელის მოქნევით გარეთ გაუძახა მთელი კომპანია. გარეთ გარეკილები კარის წინ ღრიალებდნენ, შეუკურთხეს კიდეც მიკიტანს, არამზადას უწოდებდნენ.

კვლავ წვიმდა, ყინულივით ცივი, მსუბუქი ქარი ქროდა. ჟერვეზამ დაკარგა კუპო, შემდეგ იპოვა, მერე ისევ დაკარგა. სახლში დაბრუნება სურდა და გზის გასაგნებად დუქნის კედლებს უფათურებდა ხელს. ეს უეცარი დაღამება დიდად აკვირვებდა. პუასონიერის ქუჩის კუთხეში ჟერვეზა წყლის რუში ჩაჯდა, თავი სამრეცხაოში ეგონა. ყოველი მხრიდან წამოდენილი წყალი თავგზას უბნევდა, ძალიან ცუდად ხდიდა. ბოლოს და ბოლოს, სახლს მიაღწია, პირდაპირ მეკარეთა ბინის წინ გაიარა და კარგად

გაარჩია, რომ მათთან სუფრის ირგვლივ ისხდნენ ლორილეები და პუასონები, რომლებიც ზიზღით დაიღრიჯნენ, როდესაც ჟერვეზა ამ ყოფაში დაინახეს.

ჟერვეზამ ვერასოდეს შეძლო გაეგო, თუ როგორ ავიდა მეექვსე სართულზე, ხოლო მაღლა, როდესაც დერეფანში მიდიოდა, მისი ნაბიჯის ხმა შემოესმა პატარა ლალის. ალერსიანად, ხელგაშლილი გამოექანა ჟერვეზასკენ და სიცილით უთხრა: – მადამ ჟერვეზა, მამა არ დაბრუნებულა, მობრძანდით, ნახეთ ერთი ჩემი ბავშვები, როგორ სძინავთ... ოჰ! ისეთი კარგები არიან!

მაგრამ როდესაც ლალიმ მრეცხავი ქალის გამოლენჩებული სახე დაინახა, უკან დაიხია და აცახცახდა. მას ეცნობოდა ეს არყის სუნი, ეს გამოციალებულ-გამოხუნებული თვალები, ეს მოღრეცილი პირი. ჟერვეზამ ბორძიკით გაიარა, უსიტყვოდ, პატარა გოგო კი ამ დროს თავისი კარის დირეზე იდგა და შავი, სერიოზული თვალები გააყოლა ჟერვეზას.

## თავი მეთერთმეტე

ნანა იზრდებოდა, ქალიშვილობის ასაკში შედიოდა. თხუთმეტი წლისამ დეკეულივით აიყარა ტანი. თეთრი იყო, ბამბის ქულა, ძალზე ჩასუქებული და ისეთი ფუნჩულა, იტყოდით, ქინძისთავების ბალიშიაო. დიახ! ეს იყო ნამდვილი თხუთმეტი წელი. თავისი ასაკის შესაფერისი კბილებითა და უკორსეტო ტანით. ცუგრუმელა, ნატიფი, თითქოს რძეგადასხმული სახით, ატამივით ხავერდოვანი კანით, პიკანტური ცხვირით, ვარდისფერი ბაგით და ისეთი ელვარე თვალებით, რომ მამაკაცებს სურვილი ებადებოდათ ჩიბუხი აენთოთ ამ თვალების ცეცხლზე. თავზე უხვად დაყრილი ქერა თმა ჰქონდა, ხასხასა ნამჯისფერი, საფეთქლებთან თითქოს ოქროს ხრილგადაყრილი და ამასთან ჭორფლის პატარა წინწკლები მზის გვირგვინს ადგამდნენ მის პირისახეს. ლამაზი ტიკინა იყო, როგორც ამბობდნენ ლორილეები. ამ ცინგლიან გოგოს, რომელმაც ჯერ ცხვირის მოხოცვაც არ იცოდა ხეირიანად, ფართო მხრები ჰქონდა, მრგვალი, სავსე, და მოწიფული, დასრულებული ქალის სურნელებას აფრქვევდა.

ნანა ახლა უკვე აღარ იტენიდა კორსაჟში ქაღალდებს. მას მკერდის კოკრები წამოეზარდა, ერთი წყვილი თეთრი ატლასის ქორფა კოკორი. არავითარ მოკრძალებას არ გრძნობდა ამის გამო, სურდა დიდი და სავსე მკერდი ჰქონოდა, ხელში რომ ძლივს დაიჭერ, ისეთი. მაგრამ რა ხდიდა ნანას განსაკუთრებით სასურველად? ეს მის მიერ შეძენილი საძაგელი ჩვეულება, – პატარა ენის წვერი, მუდამ რომ გამოყოფილი უჩანდა თეთრ კბილთა შორის. ეჭვგარეშეა, სარკეში ჰქონდა

შემოწმებული, რომ უხდებოდა ეს. ჰოდა, ლამაზი რომ გამოჩენილიყო, მთელი დღის განმავლობაში სულ ასე ენაგამოყოფილი დადიოდა.

– დამალე, ეგ შენი ცრუპენტელა ენა! – უყვიროდა დედა.

ხშირად საჭირო ხდებოდა კუპოს ჩარევაც. მამა მაგიდაზე მუშტების ბრახუნით უღრიალებდა და საშინლად ილანძღებოდა.

– დამალავ მაგ წითელ ჩვარს თუ არა?!

ნანა ძალიან კეკლუცი იყო. შეიძლება, ფეხებს არც ისე ხშირად იბანდა, მაგრამ ფეხსაცმელს კი ისეთ ვიწროს ატარებდა, რომ ეს სენკრეპენის ციხეში შემოღებულ წამებას წარმოადგენდა მისთვის. როცა კი ვინმე შეამჩნევდა, რომ გალურჯებული იყო ტკივილისგან და მიზეზს ჰკითხავდა, ნანა უპასუხებდა, ჭვალი მადგასო, რათა თავისი სიკეკლუცე არ გაემხილა. რადგან სახლში ლუკმაპურიც კი ენატრებოდათ, ამიტომ ნანას უძნელდებოდა ზიზილ-პიპილებით მორთვა, მაგრამ მაინც სასწაულებს ახდენდა, სახელოსნოდან მოჰქონდა ბაფთები და ირთვებოდა. ჭუჭყიან კაბას ბაფთებითა და ფოჩებით ფარავდა. ზაფხული იყო მისი ტრიუმფის ხანა. ექვსფრანკიან პირკალის კაბაში გამოწყობილი, თეთრყირმიზი, ქერა ქალის სილამაზით მთელი გუტ-დორის უბანს ავსებდა. დიახ, მას ყველგან იცნობდნენ, გარე ბულვარებიდან მოყოლებული, სიმაგრეებამდე და კლინიანკურის გზატკეცილიდან ლა-შაპელის დიდ ქუჩამდე.

მას პატარა ვარიკას უწოდებდნენ, რადგან მართლა პატარა ვარიას ჰგავდა თავისი ნაზი, ჩვილი ხორცით და ნატიფი შესახედაობით.

ნანას განსაკუთრებით ერთი კაბა უხდებოდა ძალიან. ეს იყო თეთრი კაბა ვარდისფერი წინწკლებით, მეტად უბრალო, რომელსაც არავითარი მორთულობა არ ამკობდა. ძალიან მოკლე იყო, ფეხებს ვერ უფარავდა, ხოლო განიერ და ჩამოშვებულ სახელოებში იდაყვებამდე უჩანდა მკლავები. კორსაჟის ჭრილისთვის გულის ფორმის მისაცემად ნანა ქინძისთავებით ამაგრებდა ამ კორსაჟს. ამას ის სადმე კიბის ბნელ კუთხეში აკეთებდა, რათა კუპოს ცემა-ტყეპისგან გადაერჩინა თავი. ამ გულამოჭრილი კორსაჟიდან მოჩანდა მისი თოვლისფერი კისერი და მოღეღილი ყელის ოქროსფერი ჩრდილი. ეს იყო და ეს, მეტი არაფერი, გარდა ქერა თმაზე გადაჭერილი ვარდისფერი ბაფთისა, რომლის ბოლოებიც კეფაზე უფრიალებდა. ნანა ხასხასა თაიგულს ჰგავდა. მას ჰქონდა სიჭაბუკის სურნელება და ბავშვისა და ქალის სიშიშვლე.

იმ ხანებში კვირადღეები მისთვის ბრბოსთან შეხვედრის დრო იყო, ეს იყო დღეები პაემნისა ყველა გამვლელ-გამომვლელ მამაკაცთან, რომლებსაც თვალი რჩებოდათ მასზე. ნანა მთელი კვირის განმავლობაში ელოდებოდა ამ დღეს გაღიზიანებული სხვადასხვა პატარა სურვილით, სუნთქვაშეკრული, მოწყურებული სუფთა ჰაერს. ის შეპყრობილი იყო მორთულ-მოკაზმული უბნის ხალხში გარევის, მზიან დღეს

გასეირნების სურვილით. დილიდანვე იწყებდა ჩაცმას, საათობით პერანგისამარა ტრიალებდა კამოდის თავზე ჩამოკიდებული სარკის პატარა ნატეხის წინ, და რადგან მთელ სახლს შეეძლო დაენახა ის ფანჯრიდან, ამიტომ დედა უჯავრდებოდა და ეკითხებოდა, მორჩები თუ არა მალე, ასე დედიშობილა სეირნობასაო. მაგრამ ნანა შაქრიანი წყლით წყნარად იწებებდა შუბლზე თმის ხვეულებს ან ფეხსაცმელზე ღილს აბამდა, ან კაბაზე აკერებდა ბაფთას. ის თმაგაწეწილი და ფეხშიშველი იყო, მხრებიდან ჩამოცურებული პერანგის ამარა. ახ! რა კარგი სანახავია ასე, – ამბობდა კუპო, რომელიც დასცინოდა და მასხრად იგდებდა ნანას, – ნამდვილი მარიამ მაგდალინელია! მას შეუძლია ამ სახით ველურ ქალად გაასაღოს თავი და თითო შეხედვაში ორ-ორი სუ აიღოს. კუპო უყვიროდა: დამალე ეგ შენი ხორცი, ჭამა დამაცადეო. ნანა ამ დროს მართლაც წარმტაცი იყო ოქროსფერი თმით. თეთრი და ნაზი, ამასთანავე მეტად გააფთრებულიც. სიბრაზისგან წამოწითლდებოდა, მაგრამ რაკი ვერ ბედავდა მამისთვის სიტყვის შებრუნებას, მხოლოდ ძაფს კვნეტდა, რის გამოც ერთთავად ირხეოდა მისი ნახევრად შიშველი, ნორჩი სხეული.

შემდეგ, ისაუზმებდა თუ არა, გავარდებოდა, ეზოში ჩავიდოდა. თბილი კვირადღის სიწყნარეში სახლს ეძინა. ქვედა სართულის სახელოსნოები დაკეტილი იყო. ბინებში დარაბები გამოღებული ჰქონდათ და შიგნით მოჩანდა საღამოსთვის გაშლილი სუფრა, რომელიც ელოდებოდა ქალაქის სიმაგრეებზე სეირნობით მადაგახსნილ ოჯახს. მესამე სართულზე ერთი ქალი ოთახის დასასუფთავებლად იყენებდა უქმე დღეს. ლოგინებს კეცავდა, ავეჯს აქეთ-იქით სწევდა და მთელი საათობით წყნარი და მოტირალი ხმით ერთსა და იმავე სიმღერას იმეორებდა. დადუმებული სახელოსნოების სიწყნარეში, ცარიელ ეზოში, სადაც ოდნავი ხმაურიც კი ისმოდა, ნანას, პოლინასა და სხვა მოზრდილ გოგოგებს შორის გაჩაღდებოდა ვოლანის[31] თამაში. სულ ხუთი თუ ექვსი ქალიშვილი იყო იქ, თანაშეზრდილები, ერთად გაფურჩქნილები. ამ სახლის დედოფლებად გადაქცეულნი და მოტრფიალე მამაკაცთა არშიყულ თვალის ჩაკვრას ერთმანეთში ინაწილებდნენ. როგორც კი რომელიმე მამაკაცი გადაივლიდა ეზოს, მაშინვე ატყდებოდა ნაზი, წვრილი ხმით კისკისი და გახამებული ბოლოკაბების შარიშური, თითქოს ნიავმა დაჰბერაო. ხოლო მათ თავზე დანათოდა უქმე დღის ჰაერი, მწველი და მძიმე, თითქოს ზანტად მოდუნებული და გათეთრებული მოსეირნეთა ფეხით დაყენებული მტვრით.

მაგრამ ვოლანის თამაში მხოლოდ თვალთმაქცობა იყო, სახლიდან თავის დასაღწევად მოგონილი. უეცრად სახლში დიდი სიჩუმე ჩამოვარდებოდა. გოგონები ჩუმად გასრიალდებოდნენ ქუჩაში და გარე ბულვარებისკენ გასწევდნენ. ხელს ჩაჰკიდებდნენ ექვსივენი ერთმანეთს და ქუჩის მთელ სიგანეს დაიჭერდნენ. ისინი მიდიოდნენ ღია ფერის კაბებით, თავშიშვლები, თმაზე ბაფთებით. აციმციმებული თვალით, ირიბად, ჩუმ-ჩუმად, ქვეშ-ქვეშ გამოიყურებოდნენ, ხედავდნენ ყველაფერს, და სიცილის დროს თავს უკან გადაიგდებდნენ, რათა ეჩვენებინათ ნიკაპის მსუქანი სიმრგვალე. დიდად მხიარული სიცილ-ხარხარით, თუ ვინმე კუზიანი გაივლიდა, ან ქუჩის კუთხეში მოხუცი ქალი ელოდებოდა თავის ძაღლს, გოგონების წრე

ანაზდეულად გაირღვეოდა: ზოგი უკან ჩამორჩებოდა, ხოლო დანარჩენები მათ, რაც ძალ-ღონე ჰქონდათ, წინ ეწეოდნენ, თან თეძოებს არხევდნენ, იგრიხებოდნენ, მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ გარშემო ბრბო შემოეკრიბათ და ახალაფეთქებულ ნაკვთებზე კორსაჟებს ტკრციალი დაეწყო. მათ ეკუთვნოდა ქუჩა. ისინი იქ გაიზარდნენ, იქ ჩაურბოდნენ დუქნების მწკრივს კაბადაკაპიწებულები. და ახლაც, წვივსაკრავის გასწორების დროს, კაბას ისე მაღლა იწევდნენ, რომ კანჭები უჩანდათ. ბულვარების მჭლე ხეების ქვეშ, ზანტად მიმავალ, უფერულ ბრბოში, ასე მიკიბულ-მოკიბული გზებით დარბოდა მათი გუნდი როშეშუარის სადარაჯოდან სენ-დენის სადარაჯომდე; ისინი ხელს ჰკრავდნენ გამვლელ-გამომვლელებს, შეიჭრებოდნენ ჯგუფებში, გაარღვევდნენ, მერე უკან მიბრუნდებოდნენ და საერთო ხარხარში ხან რას ეტყოდნენ და ხან რას. კაბების ფრიალით მიქროდნენ და ამ ფრიალში იგრძნობოდა ახალგაზრდული კადნიერება. ღია, გაშლილ ჰაერზე და კაშკაშა შუქზე იყვნენ გამოფენილები, ქუჩის ბიჭებივით უხეში და უწმაწურები და ამავე დროს ნაზი და სასურველნი, ვით აბანოდან გამოსული ქალწული, რომელსაც ჯერ კიდევ თმა არ შეშრობია კეფაზე.

ნანა შუაში ჩადგებოდა ვარდისფერი კაბით, რომელიც მზის შუქზე ბრწყინავდა. მკლავში ხელს გაუყრიდა პოლინას, რომლის კაბაც თეთრ ფონზე ყვითელი ყვავილებით მოჩითული თვალისმომჭრელად ელვარებდა და ცეცხლის პატარა ენებს ისროდა. რადგანაც ეს ორი გოგო ყველაზე დიდებიც იყვნენ, უფრო დასრულებულნიც და სხვებზე მეტად თავზე ხელაღებულნიც, ამიტომ ისინი მიუძღოდნენ ამ ბანდას და ყელყელაობდნენ ქათინაურებითა და საერთო მზერით გათამამებულნი. დანარჩენები კუდში მისდევდნენ მათ, ზოგი მარჯვნივ, ზოგი მარცხნივ, და ისინიც ცდილობდნენ დიდები გამოჩენილიყვნენ. ნანას და პოლინას, ამ პატარა, ცბიერ კეკლუცებს, დიდი გეგმები ჰქონდათ გულში დაფარული... ისინი ასე სულმოუთქმელად იმიტომ გარბოდნენ, რომ გამოეჩინათ თეთრი წინდები და თმაზე მოფრიალე ბაფთები. ხოლო შემდეგ, როცა შეჩერდებოდნენ, ვითომდა სულის მოსაბრუნებლად, ყელგადაგდებულნი, ათრთოლებული მკერდით, დარწმუნებული უნდა ყოფილიყავით, რომ იქვე ახლომახლო ვინმე მათი ნაცნობი, მათი უბნის ბიჭი იმყოფებოდა. მაშინ გოგოები ნელა, დინჯად, მოთენთილი ნაბიჯით წავიდოდნენ, ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს, იცინოდნენ და ქვეშ-ქვეშ უთვალთვალებდნენ ბიჭებს. ეს გოგონები უმთავრესად ამ შემთხვევითი პაემნებისთვის დაყიალებდნენ ხალხით გაჭედილ შარაგზებზე. ხალათებით და მრგვალი ქუდებით სადღესასწაულოდ მორთული მოზრდილი ბიჭები ქუჩის არხის პირას შეაჩერებდნენ მათ ერთი წუთით, სალაზღანდაროდ და ამავე დროს იდუმალი განზრახვით, ეჩქმიტათ მათთვის წელზე. ოცი წლის მუშაბიჭები, ფარღალალა, ნაცრისფერი ხალათებით, გულხედაკრეფილები იდგნენ და დინჯად ესაუბრებოდნენ გოგონებს, თანაც პირში უბოლებდნენ მოკლე ჩიბუხებს. ამას არავითარი შედეგი არ მოსდევდა, რადგან ეს ბიჭებიც ხომ მათთან ერთად ამავე ქუჩაზე იზრდებოდნენ. თუმცა მათ შორის გოგონებს მაინც ჰყავდათ თავისი რჩეულები. პოლინა მუდამ მადამ გოდრონის ერთ-ერთ ვაჟიშვილს ხვდებოდა, ჩვიდმეტი წლის ზეინკალს, რომელიც ვაშლებით

უმასპინძლდებოდა მას. ხოლო ნანა ქუჩის თავში რომ ყოფილიყო, იქიდანაც კი თვალს მოჰკრავდა ბოლოში მყოფ ვიქტორ ფოკონიეს, მრეცხავი ქალის ვაჟიშვილს, რომელსაც ის ჩუმ-ჩუმად კოცნიდა ბნელ კუთხეებში. მაგრამ ამაზე შორს საქმე არ მიდიოდა, რადგანაც ეს გოგონები მანკიერები კი იყვნენ, მაგრამ არაფერ სისულელეს არ ჩაიდენდნენ, ოღონდ ტლანქსა და უხეშ ლაპარაკს კი არ ერიდებოდნენ.

შემდეგ, როცა მზე გადაიხრებოდა, ამ ახტაჯანების უდიდეს სიხარულს ქუჩაში გამართული საცირკო სანახაობათა ცქერა წარმოადგენდა. ბულვარზე მოვიდოდნენ თვალთმაქცები, მძლეოსნები და პირდაპირ მიწაზე გაშლიდნენ მეტისმეტი ხმარებისგან გაწყალებულ ხალიჩებს. მაშინ პირღიების ბრბოც შეიკრიბებოდა სეირის საყურებლად, წრე გაკეთდებოდა და ამ წრის შუაგულში ჯამბაზი აათამაშებდა კუნთებს. ნანა და პოლინა საათობით იდგნენ ფეხზე, ყველაზე მჭიდროდ შეჯგუფულ ბრბოში და მათი ლამაზი, ქათქათა კაბები იჭმუჭნებოდა პალტოებსა და ჭუჭყიან ქურთუკებზე ხახუნით. მათ შიშველ მკლავებს, შიშველ ყელს და თმას ახურებდა მოშხამული სუნთქვა, ღვინისა და ოფლის ოხშივარი. გოგონები იცინოდნენ, დიდ გართობაში იყვნენ, არავითარ ზიზღს არ გრძნობდნენ, უფრო მეტად შეწითლდებოდნენ, თითქოს მათთვის ბუნებრივ ნეხვზე იმყოფებოდნენ. მათ ირგვლივ ისმოდა ტლანქი, მაგარი სიტყვები, უკიდურესი სიბინძურეები, მთვრალი მამაკაცების მსჯელობა. ეს ხომ მათი ენაც იყო, მათ ყველაფერი ესმოდათ, ისინი მხოლოდ ღიმილით მიიხედავდნენ იქით, დამშვიდებულნი საკუთარ უსირცხვილობაში და მათი ატლასის კანიც არ ჰკარგავდა სიფერმკრთალეს.

ერთადერთი რამ, რაც არ მოსწონდათ, ეს იყო თავიანთ მამებთან შეხვედრა, მეტადრე, როცა ეს მამები ნასვამები იყვნენ. ქალიშვილები ფხიზლობდნენ და აფრთხილებდნენ ერთმანეთს.

– შეხე, ნანა! – შეჰკივლებდა უეცრად პოლინა, – აგერ მამაშენი კუპო!

– აი, კაი ამბავი! მაგრამ, მგონი მთვრალი არ არის! არა, არ უნდა იყოს! – იძახოდა დაბნეული ნანა, – მე თავს უნდა ვუშველო, იცოდეთ! არავითარი სურვილი არა მაქვს, შემაჯანჯღარონ... შეხე! თავს ვეღარ იჭერს, ტორტმანებს! ღმერთო დიდებულო! ნეტავი კი ეგ კისერს მოიტეხდეს!

ზოგჯერ თუ კუპო პირდაპირ მისკენ წამოვიდოდა და ნანას დრო აღარ რჩებოდა დასამალავად, ჩაცუცქდებოდა და ჩურჩულებდა: – დამმალეთ რა, თქვენ ეი!.. მე დამეძებს, დამემუქრა, სულ ბურტყლებს გაგაცვენ, თუ ქუჩაში მოწანწალე შეგისწარიო.

მერე როდესაც ეს ლოთი კაცი გასცდებოდათ, ნანა წამოხტებოდა და ყველანი მას გაჰყვებოდნენ ფრუტუნით. მონახავს კუპო ნანას, თუ ვერ მონახავს? სწორედ დამალობანას თამაში იყო გამართული. თუმცა კი ერთხელ ბოშმა მონახა პოლინა, მაგრად აუწია ორივე ყური და ისე წაათრია სახლში, ხოლო კუპომ სულ პანღურის ცემით წაიყვანა ნანა.

შებინდებისას ქალიშვილები უკანასკნელ წრეს კიდევ შემოუვლიდნენ და მკრთალ ბინდბუნდში, დაღლილ-დაქანცულ ბრბოში გარეულნი შინ ბრუნდებოდნენ. ჰაერში შესქელებული მტვერი ამკრთალებდა დამძიმებულ ცას. გუტ-დორის ქუჩა პროვინციულ კუთხეს მოგაგონებდათ კარის წინ ჩამომსხდარი ჭორიკანა დედაკაცებით. ხმების ჟრიამული არღვევდა თბილი საღამოს სიჩუმეს უბანში, სადაც აღარც ერთი ეტლი არ ჩანდა. გოგოები წუთით შეჩერდებოდნენ ეზოში და კვლავ ხელში ჩოგნებს დაიჭერდნენ იმის საჩვენებლად, რომ ვითომ იქიდან ფეხი არ მოუცვლიათ. სახლში ასვლისას კი შეთხზავდნენ რამე ამბავს, მაგრამ უფრო ხშირად არ სჭირდებოდათ ამ ამბის შეთხზვა, რადგან მშობლები ან გადამლაშებული, ანდა არასაკმარისად მოხარშული წვნიანის გამო ატეხილ ცემა-ტყეპაში იყვნენ გართულნი.

ახლა ნანა მუშა ქალი იყო, დღეში ორმოც სუს იღებდა ტიტრევილის სახელოსნოში, კერის ქუჩაზე, სადაც წინათ შეგირდად სწავლობდა. კუპოებს არ უნდოდათ ამ სახელოსნოს შეცვლა, რათა ნანა მადამ ლერას მეთვალყურეობის ქვეშ ყოფილიყო. ათი წლის განმავლობაში მადამ ლერა იქ უფროს მუშა ქალად ითვლებოდა. დილაობით დედა გუგულიან საათზე აღნიშნავდა ხოლმე დროს, როდესაც პატარა, ცუგრუმელა, მიმზიდველი გოგო მარტოდმარტო წავიდოდა გამოკრული ძველ, ვიწრო შავ კაბაში, რომელიც მხრებში უჭერდა და მოკლეც იყო. მადამ ლერას დავალებული ჰქონდა ნანას მისვლის დრო აღენიშნა და შემდეგ ეთქვა ეს ჟერვეზასთვის. ნანას სულ ოცი წუთი ჰქონდა მიცემული გუტ-დორის ქუჩიდან კერის ქუჩაზე გადასასვლელად, რაც სრულიად საკმარისი იყო მისთვის, რადგან ამ ეშმაკ გოგონებს ირემივით ცქვიტი ფეხები ჰქონდათ. ზოგჯერ ნანა დროზე მივიდოდა სახელოსნოში, მაგრამ ისე გაწითლებული და ისეთი ქოშინით, რომ ეტყობოდა, მთელი გზა სადარაჯოდან მოყოლებული, მხოლოდ უკანასკნელ ათ წუთში ჰქონდა ხტუნვით გამოვლილი, ხოლო დანარჩენი ათი წუთი, ქუჩაში ყიალისთვის მოენდომებინა. უფრო ხშირად კი ის შვიდი-რვა წუთით იგვიანებდა. მერე საღამომდე მამიდას ელაქუცებოდა, ვედრებით სავსე თვალებით შესცქეროდა, რათა მოელბო მისი გული და მადამ ლერას ამაზე არაფერი ეთქვა ნანას მშობლებისთვის. მადამ ლერა ახალგაზრდებს თანაუგრძნობდა და კუპოებს ატყუებდა, ხოლო თვითონ ნანას დაუსრულებელ რჩევა-დარიგებებს აძლევდა, უქადაგებდა, ელაპარაკებოდა პასუხისმგებლობასა და იმ საფრთხეზე, რომელიც ახალგაზრდა ქალს პარიზის ქუჩებში მოელის. ახ! უზენაესო! როგორ დასდევდნენ მას თვითონ, ოდესღაც! მადამ ლერა მუდამ თავაშვებული აზრებით გაბრწყინებული თვალით უალერსებდა ძმისწულს, აღგზნებული იყო იმ აზრით, რომ ამ პატარა კნუტის უბიწოების დაცვა და ლოლიაობა ჰქონდა ჩაბარებული.

– ხომ იცი, მე ყველაფერი უნდა მითხრა! – განუწყვეტლივ უმეორებდა იგი ნანას, – მე გული მტკივა შენთვის, შენ რომ რამე უბედურება შეგემთხვეს, მე სენაში უნდა გადავვარდე, მეტი გზა არ მექნება... გესმის, ჩემო პატარა ფისო, თუ მამაკაცები დაგელაპარაკებიან, მე უნდა მითხრა ყველაფერი, რასაც ისინი გეტყვიან, ყველაფერი, არც ერთი სიტყვა არ გამოტოვო... ჰა? ჯერ შენთვის არაფერი უთქვამთ? აბა, დაიფიცე!

მაშინ ნანა გაიცინებდა ხოლმე ისეთი სიცილით, რომელიც უცნაურად აუთამაშებდა ტუჩებს. არა, არა, მამაკაცებს არაფერი უთქვამთ ჩემთვის. მე ძალიან ჩქარა დავდივარ. მერე კიდევ, რა უნდა მითხრან მამაკაცებმა? რა საქმე მაქვს მათთან? და ის სულელური სახით უხსნიდა თავისი დაგვიანების მიზეზს, ვითომ, ნახატების დასათვალიერებლად გაჩერდა ან, უკეთეს შემთხვევაში, – გააცილა პოლინა, რომელმაც სხვადასხვა ამბის მოყოლა იცის. თუ არ უჯერებენ, შეუძლიათ გაჰყვნენ: იგი არასოდეს შორდება მარცხენა ქვაფენილს და ისე კარგად დადის, რომ ეტლივით წინ უსწრებს ყველა გოგოს. ერთ დღეს, მართლაც, მადამ ლერამ უთვალთვალა და მიუსწრო, რომ ნანა პტი-კაროს ქუჩაზე იყო გაჩერებული სამ სხვა ნათრევ მეყვავილე გოგოსთან ერთად და იცინოდა, რადგანაც ერთი მამაკაცი წვერს იპარსავდა ერთ-ერთ ფანჯარაში. მაგრამ პატარა გოგო გაჯავრდა, იფიცებდა, იმ კუთხეში მეფუნთუშესთან მივდიოდი, ერთ სუდ ღირებული ფუნთუშის საყიდლადო.

– ოხ! მე თვალი მიჭირავს მასზე, ნურაფრის გეშინიათ! – ელაპარაკებოდა ახმახი ქვრივი კუპოებს, – მე მასზე ისე ვაგებ პასუხს, როგორც საკუთარ თავზე, უმალ თავს შუაზე გავაპობინებ, ვიდრე რომელიმე სალახანას ნება მივცე, ნანას უჩქმიტოს.

ტიტრევილის სახელოსნო წარმოადგენდა ერთ მოზრდილ ოთახს მეორე სართულზე. მთელი მისი შუაგული ხარაჩოებზე დადგმულ ფართო მაგიდას ეჭირა. ოთხ ცარიელ კედლის სიგრძეზე, რომელთა ნაცრისფერ-მოყვითალო შპალერის ნახევებში თაბაშირი მოჩანდა, თაროები იყო გამწკრივებული. ეს თაროები გადატვირთული იყო ძველი მუყაოს ფურცლებით, პაკეტებით და დაწუნებული, დავიწყებული ნიმუშებით, რომელთაც მტვრის სქელი ფენა ეფარა. ჭერი, აირმაშუქის მეოხებით, ჭვარტლით შეღებილს ჰგავდა. ორი ფანჯარა ისე ფართოდ გამოეღოთ, რომ მუშა ქალებს სამუშაო მაგიდის მიუტოვებლად შეეძლოთ მოპირდაპირე ქვაფენილზე მოსიარულე ხალხისთვის ეცქირათ.

მადამ ლერა, მაგალითის მისაცემად, ყველაზე ადრე მოდიოდა სახელოსნოში. შემდეგ კარი ერთი მეოთხედი საათის განმავლობაში ჯახუნობდა და სათითაოდ შემოდიოდნენ პატარა მეყვავილე გოგონები, გაოფლიანებული და გაწეწილები. ივლისის ერთ დილას ნანა გამოცხადდა ყველაზე უკანასკნელი, რაც, საერთოდ, მას ჩვეულებად გადაჰქცეოდა.

– ახ, გიყვარდეს! – წარმოთქვა მან, – ცუდი არ იქნება, საკუთარი ეტლი მქონდეს!

და თავისი ქუდის, შავი, ძველი ნაფლეთის მოუხდელად, რომლის დაკერებითაც მოღლილიყო, მიუახლოვდა ფანჯარას, გადაეყუდა და მარჯვნივ და მარცხნივ ქუჩას თვალიერება დაუწყო.

– მანდ რა უყურებ? – ეჭვიანად შეეკითხა მადამ ლერა, – განა მამაშენმა გამოგაცილა?

– არა, რა თქმა უნდა, – წყნარად მიუგო ნანამ, – არაფერს არ ვუყურებ... ისე ვიხედები, რადგანაც ძალიან ცხელა. მართლაც, შეიძლება ავად გახდეს ადამიანი, როცა ასე არბენინებენ.

დილიდანვე გულისშემხუთველი სიცხე იდგა. მუშა ქალებმა დარაბები ჩამოუშვეს და ახლა ამ დარაბების ჭუჭრუტანებიდან უთვალთვალებდნენ ქუჩის მოძრაობას. ბოლოს, როგორც იქნა, შეუდგნენ მუშაობას, მაგიდის ორივე მხარეს აქეთ-იქით შემომსხდარნი, მხოლოდ მადამ ლერა იჯდა მაგიდის თავში. მუშა ქალები სულ რვანი იყვნენ; თითოეულ მათგანს წინ ედგა თავისი ქილა წებოთი, იქვე იყო პატარა მაშა, საკუთარი სამუშაო ხელსაწყო და ნაკეცების საკეთებლად საჭირო ბალიში. მაგიდაზე ეყარა რკინის მავთულების გროვა, კოჭის ძაფები, ბამბა, მწვანე და წაბლისფერი ქაღალდი და აბრეშუმის, ატლასისა და ხავერდისგან გამოჭრილი ფოთლები და ყვავილთა ფურცლები. მაგიდის შუაგულში ერთ მეყვავილე ქალს დიდი სურის ყელში ჩაერჭო ორ სუდ ღირებული თაიგული, რომელიც გუშინდელს აქეთ ჭკნებოდა.

– ახ! თქვენ არ იცით? – წარმოთქვა ლამაზმა, შავგვრემანმა ლეონიმ, რომელიც თავისი ბალიშისკენ დახრილიყო და ვარდის ფურცლებს ახვევდა, – ჰოდა, თქვენ იცით, რომ ის საბრალო კაროლინა ძალიან უბედურია იმ ბიჭთან, რომელიც საღამოობით უცდიდა ხოლმე?

ნანამ, რომელიც მწვანე ქაღალდს ჭრიდა ვიწრო ზოლებად, წამოიყვირა: – დასწყევლის ღმერთი! ის მამაკაცია, ყოველდღე კუდში რომ დამდევს?!

სახელოსნოს ფრუტუნი აუტყდა და მადამ ლერა იძულებული შეიქნა, სიმკაცრე გამოეჩინა. მან ცხვირი აიბზიკა და წაიბურტყუნა: – ყოჩაღ, ჩემო გოგონავ! კაი სიტყვებს ხმარობ! მე მაგას ვუამბობ მამაშენს, ვნახოთ, როგორ მოგიწონებს!

ნანამ ლოყები გამობერა, ვითომ სიცილს იმაგრებდა. ოჰო! მისი მამა, თორემ ის თვითონ ხომ ნაკლებად მაგარ სიტყვებს ხმარობს! მაგრამ უეცრად ლეონიმ ხმადაბლა და ძალიან ჩქარა წაიჩურჩულა.

– ჰეი! ფრთხილად! პატრონი!

და, მართლაც, შემოვიდა მადამ ტიტრევილი, მაღალი, ხმელი ქალი. ის ჩვეულებრივ ქვემოთ იმყოფებოდა მაღაზიაში. მუშა ქალებს ძალიან ეშინოდათ იმისი, ვინაიდან ის არასოდეს ხუმრობდა. ნელა შემოუარა მაგიდას, რომლისკენაც ამჟამად ყველას თავი დაეხარა და დადუმებულნი ენერგიულად მუშაობდნენ. მადამ ტიტრევილმა არაფრისმაქნისი უწოდა ერთ-ერთ მუშა ქალს, და აიძულა იგი ერთი გვირილა ხელახლა გაეკეთებინა. შემდეგ ის გავიდა ისეთივე გაჭიმული და გაშეშებული, როგორიც შემოვიდა.

– ჰოპ! ჰოპ! – გაიმეორა ნანამ საერთო ფრუტუნში.

– გოგონებო! გოგონებო! – წარმოთქვა მადამ ლერამ, რომელსაც სურდა მკაცრი იერი მიეღო, – თქვენ მე ნამდვილად მაიძულებთ ისეთი ზომები მივიღო, რომ...

მაგრამ ყურს არავინ უგდებდა, სულ არ ეშინოდათ მისი. იგი მეტად შემწყნარებელი იყო მათდამი, კარგად გრძნობდა თავს ამ პატარებში, რომელთა თვალებიც სავსე იყო ანცი აზრებით. მადამ ლერა გაიხმობდა ხოლმე ამ გოგონებს, რათა გამოეტყუა მათი საყვარლების ამბები და ბანქოსაც კი ეთამაშებოდა, თუკი მაგიდის ერთი კუთხე თავისუფალი იყო. მისი ტლანქი კანი, მისი ჟანდარმული ძვლები, ჭორიკანა დედაკაცის სიხარულით შეითამაშებდა, როდესაც ლაპარაკი სასიყვარულო ამბებს შეეხებოდა. მას მხოლოდ უწმაწური სიტყვები შეურაცხყოფდა. ოღონდ უწმაწურ სიტყვებს ნუ იხმარდნენ, და ისე – ყველაფრის თქმა შეიძლებოდა.

ნანამ აქ დაასრულა თავისი მშვენიერი აღზრდა. მას, რა თქმა უნდა, შესაფერისი მიდრეკილებებიც ჰქონდა. მაგრამ სიღატაკისა და ბიწიერებისგან გაცვეთილი გოგონების ხროვაში ხშირად ყოფნამ ეს აღზრდა დაასრულა, დახვეწა მისი ბუნება. ისინი აქ ერთმანეთზე იყვნენ მიყრილნი და ყველანი ერთად იხრწნებოდნენ. ეს სწორედ იმ ერთი კალათი ვაშლის ამბავი იყო, რომელშიც დამპლები გამოერევა. ეჭვგარეშეა, საზოგადოების წინაშე კარგად ეჭირათ თავი, ცდილობდნენ არ გამოეჩინათ ტლანქი ხასიათი და გადაჭარბებით ურიგო სიტყვების ხმარებას გაურბოდნენ. ერთი სიტყვით, რიგიან ქალიშვილებად მოჰქონდათ თავი. ხოლო ყურში ჩურჩულით ან სადმე კუთხეში თუ იყვნენ, ბინძურ სიტყვებსაც იყენებდნენ. ორი არ შეიყრებოდა ერთად ისე, რომ მაშინვე სიცილი არ აეტეხათ უწმაწური სიტყვების გამო. მერე საღამოობით ერთმანეთს აცილებდნენ; და აქ იწყებოდა საიდუმლოებათა განდობა, და ისეთი ამბების მოყოლა, რომ თმა ყალყზე დაგიდგებოდათ. ამგვარი ლაპარაკისთვის გვიანობამდე რჩებოდნენ ქუჩაში ბრბოს შეხლა-შემოხლით და ჩოჩქოლით აღგზნებულნი. ხოლო იმ ქალიშვილებისთვის, რომელთაც ჯერ კიდევ გონიერება შერჩენოდათ, როგორც, მაგალითად, ნანას, ყოვლად უვარგისი იყო ჰაერი, რომელიც ამ სახელოსნოში ტრიალებდა. აქ იყო საქეიფო დუქნებისა და უწმინდურად გატარებული ღამეების სუნი, რომელიც თან მოჰქონდათ ამ გავარდნილ ქალიშვილებს აწეწილ-დაწეწილი თმებით და იმდენად დაჭმუჭნილი კაბებით, რომ იფიქრებდით: ღამეც ასევე ჩაცმულებს სძინებიათო. ეს სიზარმაცე, მოთენთილობა, მოშვება, საქორწინო ღამის მეორე დღისთვის შესაფერისი, ეს ჩაცვენილი თვალები და მათ ირგვლივ შავი რკალები, რომელთაც მადამ ლერა სიყვარულის მუშტის შედეგს უწოდებდა, ფეხარეული, ფერდების ქნევით სიარული, ჩახრინწული ხმა, – ყოველივე ეს გარყვნილების ბუღში ახვევდა სამუშაო მაგიდას, ხელოვნური ყვავილების ბრწყინვალებისა და სინარნარის გარემოში. ნანა იყნოსავდა, ისუნთქავდა ამ ჰაერს. თვრებოდა, როცა თავის გვერდით გრძნობდა ქალს, რომელსაც განცდილი ჰქონდა ყველაფერი. დიდხანს უტრიალებდა გვერდით აყლაყუდა ლიზას, რომელზედაც ლაპარაკობდნენ, ორსულად არისო. ნანა გაბრწყინებულ თვალებს ავლებდა ამ მეზობელ გოგოს, თითქოს ელოდა, რომ ის გაიბერებოდა და უეცრად გასკდებოდა. ნანასთვის რისამე ახლის სწავლება ადვილი

საქმე არ იყო. ამ საზიზღარმა გოგომ იცოდა ყველაფერი, ყველაფერი აითვისა მან გუტ-დორის ქუჩის ქვაფენილზე. ხოლო სახელოსნოში მან მხოლოდ ის ნახა, თუ როგორ კეთდებოდა ეს, და ნელ-ნელა უტიფარმა სურვილმა შეიპყრო, თვითონაც ჩაედინა ასეთი რამ.

– აქ შეიძლება დაიხრჩო! – წაიბუტბუტა ნანამ და ფანჯარას მიუახლოვდა, ვითომ იმ მიზნით, რომ დარაბები უფრო დაბლა ჩამოეწია.

მაგრამ მან თავი გაჰყო, გადაეყუდა ფანჯარას და გაიხედა ჯერ მარჯვნივ, მერე მარცხნივ. ამავე წუთში ლეონიმ, რომელიც უთვალთვალებდა ერთ კაცს მოპირდაპირე ქვაფენილზე, წამოიყვირა: – ნეტავი რას აკეთებს იქ ეს მოხუცი? თხუთმეტი წუთი იქნება, რაც იქ დგას და აქაურობას უთვალთვალებს.

– აბეზარი იქნება ვინმე! – წარმოთქვა მადამ ლერამ, – ნანა, კეთილი ინებე და დაჯექი შენს ადგილას. მე შენ აგიკრძალე ფანჯარასთან ყოფნა.

ნანა კვლავ იის ღეროების დახვევას დაუბრუნდა, ხოლო ის კაცი მთელი სახელოსნოს ყურადღების საგნად გადაიქცა. ეს იყო კარგად ჩაცმული მამაკაცი, პალტოიანი, დაახლოებით ორმოცდაათი წლისა. სახე ფერმკრთალი ჰქონდა, ძალიან სერიოზული, თანაც ძალიან ღირსეული, შემკული შეჭაღარავებული, გემოვნებით შეკრეჭილი წვერით. მთელი საათის განმავლობაში იდგა ის სამკურნალო მცენარეების მაღაზიის წინ, თავს მაღლა სწევდა და სახელოსნოს დარაბებს შესცქეროდა. მეყვავილე ქალები ჩუმ-ჩუმად იცინოდნენ, მაგრამ მათი ხმა იკარგებოდა ქუჩის ხმაურში. ისინი დიდად საქმიანი სახით იხრებოდნენ სამუშაოსკენ და თან თვალს არ აშორებდნენ ფანჯარას, რომ ეს კაცი თვალთახედვიდან არ დაჰკარგოდათ.

– ოჰო! – შენიშნა ლეონიმ, – მას ლორნეტი ჰქონია. ოჰ! ძალიან ლაზათიანი მამაკაცია!.. უეჭველად ოგიუსტინას ელოდება!

მაგრამ ოგიუსტინამ, მაღალმა და მახინჯმა ქერა ქალმა მკვახედ მიუგო, მე არ მიყვარს მოხუცებიო. ხოლო მადამ ლერამ თავი გააქნია და თავისი ორაზროვანი და რაღაცის გადაკვრით მთქმელი ღიმილით წაიბუტბუტა: – თქვენ სცდებით, ჩემო ძვირფასო! მოხუცები უფრო ნაზები არიან!

ამ დროს ლეონის მისმა მეზობელმა ქალმა, პატარა ჩასქელებულმა გოგონამ რაღაც ფრაზა ჩასჩურჩულა ყურში. ლეონი უცბად გადაბრუნდა სკამზე და გიჟური კისკისი აუტყდა. სიცილით ლამის დაოსდა, თან იმ ხანში შესულ მამაკაცს უყურებდა და უფრო მეტად ეცინებოდა. სიცილში მან ძლივს ამოილუღლუღა: – ეგ ეგრეა! ეგრეა! ახ, ეს სოფი! რა ბინძური ენა აქვს!

– რა თქვა მან, რა თქვა? – კითხულობდა მთელი სახელოსნო და ცნობისმოყვარეობით იწვოდა.

ლეონი თვალებიდან ცრემლს იწმენდდა და პასუხს არ აძლევდა მათ. მერე, როცა ცოტათი დამშვიდდა და კვლავ ყვავილების დახვევას შეუდგა, განაცხადა: – ამის გამეორება არ შეიძლება.

დაჟინებით სთხოვდნენ, მაგრამ ლეონი თავის ქნევით ამბობდა უარს და კვლავ მხიარული სიცილი ერეოდა. მაშინ ოგიუსტინა, მისი მეზობელი მარცხნიდან, შეევედრა, ჩუმად მითხარი სოფის ნათქვამიო. ლეონიმაც, ბოლოს, კეთილი ინება, ოგიუსტინას სულ ახლოს ყურთან მიუტანა ტუჩები და წაუჩურჩულა.

ახლა ოგიუსტინა გადაბრუნდა სიცილით, მუცელს სულ ხელით იჭერდა. შემდეგ ოგიუსტინამ გაიმეორა ეს სიტყვები და ასე, – ყურიდან ყურში, – ირგვლივ შემოირბინა ამ ფრაზამ საერთო შეძახილებსა და ფრუტუნში. როდესაც ყველამ გაიგო სოფის მიერ ნათქვამი სიბინძურე, ერთმანეთს გადახედეს და ყველამ ერთბაშად გადაიხარხარა, თუმცა ყველანი ცოტა გაწითლებული და დარცხვენილები იყვნენ. მარტოდმარტო მადამ ლერამ ვერ გაიგო ვერაფერი, რის გამოც ძალიან გაბრაზებული და ნაწყენი ჩანდა.

– ეგ ვერაფერი ზრდილობაა, რასაც ახლა თქვენ სჩადიხართ, ქალიშვილებო, – წარმოთქვა მადამ ლერამ, – საზოგადოებაში მიღებული არ არის ყურში ჩურჩული... ალბათ, ურიგობაა რაღაცა, არა? ახ, რა მოსაწონია! ბარაქალა!

მადამ ლერა ვერ ბედავდა ეთხოვა, რომ მისთვისაც გაემეორებინათ სოფის მიერ ნათქვამი სიბინძურე, თუმცა გაშმაგებით უნდოდა ამის გაგება. მაგრამ მადამ ლერას მხოლოდ ერთ წუთს დასჭირდა ცხვირჩამოშვებული ჯდომა და ღირსეულად თავის დაჭერა. მერე მან სავსებით აინაზღაურა ეს წყენა ამ ქალიშვილებთან მუსაიფით. არც ერთ მათგანს არ შეეძლო უკვე ერთი სიტყვა დასცდენოდა, სრულიად უწყინარი სიტყვა, რომელიც, მაგალითად, სამუშაოს ეხებოდა, რომ დანარჩენებს მაშინვე ცუდად არ გაეგოთ იგი. უკუღმა შეაბრუნებდნენ სიტყვის აზრს და საზიზღარ მნიშვნელობას აძლევდნენ. არაჩვეულებრივად გადაკრული მნიშვნელობა ეძლეოდა სულ უბრალო სიტყვებს, როგორიც, მაგალითად: „ჩემი პატარა მაშა გატყდა“, ან „ვინ აურია ხელი ჩემს პატარა ქილაში“. ეს ქალიშვილები ყველა ამგვარ გამოთქმას უკავშირებდნენ იმ კაცს, რომელიც პირდაპირ ქუჩაზე ფეხმოუცვლელად დარჭობილიყო. ყოველ გადაკვრით ნათქვამ სიტყვებში ის კაცი იგულისხმებოდა. ახ! როგორ უწიოდა, ალბათ, ამ კაცს ყურები. ბოლოს მოჰყვნენ საშინელი სისულელეების როშვას, იმდენად დიდი იყო მათში სურვილი სიცუდისა. მაგრამ ეს ხელს არ უშლიდათ, ეს თამაში დიდ გასართობად მიეჩნიათ, და აღგზნებულები, ამღვრეული თვალებით, სულ უფრო და უფრო შორს მიდიოდნენ. მადამ ლერას გასაჯავრებელი არაფერი ჰქონდა, რადგან მათ არ უთქვამთ არც ერთი სიტლანქე. მადამ ლერამ თვითონვე გადააბრუნა ყველანი სიცილით, როდესაც მოითხოვა: – მადმუაზელ ლიზა, მე ცეცხლი ჩამიქრა, გადმომეცით თქვენი.

– ახ! მადამ ლერას ცეცხლი ჩაჰქრობია! – წამოიყვირა მთელმა სახელოსნომ.

მადამ ლერას განმარტების მიცემა სურდა და დაიწყო: – როცა თქვენ ჩემი ხნისა იქნებით, ქალბატონებო...

მაგრამ იმას ყურს არავინ უგდებდა, გაიძახოდნენ, იმ კაცს უნდა დავუძახოთ, რათა მადამ ლერას ცეცხლი ხელახლა დაუნთოსო.

უნდა გენახათ რანაირად ტკბებოდა ნანა ამ სიცილ-კისკისში. არც ერთი ორაზროვანი სიტყვა არ გამოჰპარვია. თვითონაც ისროდა ასეთ სიტყვებს და თანაც თავმოწონებით ნიკაპს ზევით სწევდა, იბერებოდა და ნეტარებისგან დნებოდა. ამ ბიწიერ გარემოში ის ისე იყო, ვით თევზი წყალში. ნანა ძალიან კარგად ახვევდა იის ღეროებს, თან სიცილით ცმუკავდა სკამზე. ოხ! რა თვალისმომჭრელი ლაზათი ჰქონდა ამ ღეროს! პაპიროსის დახვევას არ სჭირდებოდა ისე ცოტა დრო, რასაც ის ამ ღეროების დახვევას ანდომებდა. მარდად იღებდა ხელში წვრილად დაჭრილ მწვანე ქაღალდებს და აბა, მიდი! ქაღალდი დაიგრიხებოდა, შემოეხვეოდა მავთულს, მერე, ერთი წვეთი წებოს წაცხება, რათა ის მაღლა მიჰკრობოდა, და მორჩა! მზად იყო ნატიფი და ნაზი მწვანე კვირტები, რომელნიც ასე ამშვენებენ მანდილოსანთა მორთულობას. ეს შნო და ლაზათი თვით მის თითებში იყო, გათახსირებული პატარა გოგოს წვრილ, თითქოს უძვლო, მოქნილ და ალერსიან თითებში. მან ამის მეტი ხელობა არც იცოდა. მხოლოდ ღეროების დახვევა აითვისა. ამიტომ სახელოსნოში ღეროებს ყველა ნანას აძლევდა დასახვევად.

ამასობაში ის კაცი, რომელიც ქვაფენილზე იდგა, წავიდა. სახელოსნო დაწყნარდა და მუშაობდა საშინელ პაპანაქებაში. როდესაც შუადღე – საუზმის საათი დაირეკა, ყველანი გამოცოცხლდნენ. ნანამ ფანჯარას მიაშურა და შესძახა ამხანაგებს, რომ ის ქვემოთ მიდის, თუ უნდათ, საყიდლები დააბარონ. ლეონიმ ორი სუს კრევეტები შეუკვეთა, ოგიუსტინამ – ერთი პატარა პარკით შემწვარი კარტოფილი, ლიზამ – ერთი კონა ბოლოკი, სოფიმ – ძეხვი. როდესაც ნანა ქვევით ჩადიოდა, მას დაეწია გრძელფეხება მადამ ლერა, რომელსაც ძალიან საეჭვოდ და უცნაურად ეჩვენა ნანას დღევანდელი სიყვარული ფანჯრისადმი და უთხრა: – დამიცადე, მეც შენთან ერთად მოვდივარ, რაღაცები მჭირდება.

მაგრამ რა ნახა მან? იგივე მამაკაცი კელაპტარივით დარჭობილიყო ხეივანში და ნანას თვალით ანიშნებდა. პატარა გოგო ძალიან გაწითლდა. მამიდამ მაგრად მოჰკიდა მას ხელი და ქვაფენილიდან შუა ქუჩაში გადაიყვანა. ხოლო ის ვაჟბატონი ფეხდაფეხ გაჰყვა მათ. ახ! თურმე ნანასთვის მოდის ეს ხვადი. კაი ამბავია! მშვენიერებაა სწორედ! მეთექვსმეტე წელში გადადგა და კაბის ბოლოზე უკვე მამაკაცები აითრია.

მადამ ლერა მარდად შეუდგა ნანას გამოკითხვას. ოხ! ღმერთო ჩემო! – უპასუხა ნანამ, – არაფერი ვიცი, მხოლოდ ხუთი დღეა, რაც ეს კაცი ასე დამდევს. ცხვირი ვერ გამომიყვია გარეთ, რომ ფეხებში არ წამომედოს; მგონი, ვაჭარია, დიახ, ძვლის ღილების ფაბრიკა აქვს.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ამბავმა მადამ ლერაზე. ის მიბრუნდა და ალმაცერად გახედა ამ ვაჟბატონს.

– ეტყობა, ჯიბე სქელი უნდა ჰქონდეს, – წაიდუდუნა მადამ ლერამ, – გამიგონე, ჩემო პატარა ფისოვ! შენ ყველაფერი უნდა მითხრა ხოლმე. ახლა ხომ საშიში აღარაფერი გაქვს?

მუსაიფით დარბოდნენ ისინი დუქნიდან დუქანში: მეძეხვესთან, მემწვანილესთან, მეხაშესთან და გაქონილ ქაღალდში გახვეული ნაყიდი საქონელი უგროვდებოდათ ხელში, მაგრამ კეკლუცად და თავაზიანად ეჭირათ თავი, ირხეოდნენ, უკან იხედებოდნენ მსუბუქი სიცილით და გაბრწყინებულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ. მადამ ლერაც ახალგაზრდა ქალივით გრაციოზულად კუნტრუშებდა იმ მიზეზით, რომ ღილების ფაბრიკის მეპატრონე კვლავ მისდევდა მას.

– რიგიანი კაცია, – განაცხადა მადამ ლერამ, დაბრუნდენ თუ არა ისინი ხეივანში, – მხოლოდ განზრახვა თუ აქვს პატიოსანი...

მერე, როდესაც ისინი კიბეზე ადიოდნენ, მადამ ლერას თითქოს რაღაც მოაგონდა უეცრად.

– მართლა, მითხარი ერთი, რას ეჩურჩულებოდნენ გოგოები ერთმანეთს? შენ იცი სოფის მიერ ნათქვამი სიბინძურე?

ნანაც აღარ გაპრანჭულა, ყელზე ხელი შემოხვია მადამ ლერას, ორი საფეხურით დაბლა ჩამოიყვანა ძალით, რადგან მართლაც ხმამაღლა ამის გამეორება თვით კიბეზედაც არ შეიძლებოდა, და ყურში წასჩურჩულა ეს სიტყვა. ეს ისეთი სიტლანქე იყო, რომ მისმა მამიდამ მხოლოდ თავი გააქნია, თვალები დაუმრგვალდა და პირიც მოეღრიცა. ძლივს შეიტყო საიდუმლო, გულს აღარ გამოუღრღნიდა ცნობისმოყვარეობა.

მეყვავილე ქალებს მუხლებზე ედოთ საუზმე და ისე შეექცეოდნენ, რათა სამუშაო მაგიდა არ მოსვრილიყო. ისინი ჩქარობდნენ, საჭმელი საჩქაროდ გადაეყლაპათ, რადგან მოსაწყენი იყო ჭამა. ერჩივნათ დასვენების საათი გამვლელ-გამომვლელთა თვალიერებას ან ერთმანეთისთვის საიდუმლოებათა განდობაზე დაეხარჯათ. იმ დღეს ყველა ცდილობდა, შეეტყო თუ სად მიიმალა ის დილანდელი კაცი. ის კაცი მართლაც სადღაც გაქრა. მადამ ლერა და ნანა ხმაგაკმენდილები ხანდახან გადახედავდნენ ხოლმე ერთმანეთს. უკვე ორის ათი წუთი იყო და მუშა გოგონები, როგორც ეტყობოდა, არ ჩქარობდნენ კვლავ თავიანთი პატარა მაშებისათვის მოეკიდათ ხელი, მაგრამ ამ დროს ლეონიმ ტუჩების დამახასიათებელი ხმაურით „პრრუ“, – როგორც მღებავი მუშები ეძახიან ხოლმე ერთმანეთს, – ანიშნა ქალებს სახელოსნოს პატრონის მოახლოება. მაშინვე ყველანი თავიანთ სკამებზე გაჩნდნენ და სამუშაოში წაჰყვეს ცხვირები. მადამ ტიტრევილი შემოვიდა და კუშტად შემოიარა წრე.

ამ დღიდან მოყოლებული მადამ ლერა ტკბებოდა ძმისწულის პირველი სასიყვარულო ამბით. ხელიდან აღარ უშვებდა ნანას, დილა-საღამოს თან დასდევდა, ჩასჩიჩინებდა, მე ვარ პასუხისმგებელი შენს ყოფაქცევაზე. ეს, ცოტა არ იყო, მოსაწყენი ამბავი იყო ნანასთვის, მაგრამ ამავე დროს თავი მოჰქონდა ამით, იბერებოდა, რომ მას, როგორც განძს, ისე უფრთხილდებიან. მუსაიფი, რომელსაც ორივენი ქუჩაში იმ დროს წამოიწყებდნენ, როდესაც მათ ფეხდაფეხ მისდევდა ღილების ფაბრიკის პატრონი, უფრო მეტად აღიზიანებდა ნანას და უფრო ცხოველ სურვილს უღვიძებდა, სისულელე ჩაედინა. ოხ! მისი მამიდა კარგად ერკვეოდა გრძნობებში! ამასთან ღილების ფაბრიკის მეპატრონე, ეს ხანში შესული კაცი, ასეთი რიგიანი, გულს უჩუყებდა მადამ ლერას, რადგან, ბოლოს და ბოლოს, მოწიფული ადამიანის გრძნობას მუდამ უფრო ღრმა ფესვები აქვს. ოღონდ მადამ ლერა მაინც ფხიზლად იყო. „დიახ, უწინ ჩემს გვამზე გადაივლიან, ვიდრე ამ პატარა გოგოს მისწვდებიანო“. ერთ საღამოს მადამ ლერა მიუახლოვდა ამ ვაჟბატონს და ტყვიასავით პირდაპირ პირში მიახალა, რომ ის, რასაც თქვენ სჩადიხართ, არ არის კარგიო. ხოლო ის მამაკაცი ზრდილობიანად მიესალმა ქალს პასუხის მიუცემლად, როგორც ძველი მოარშიყე, რომელიც შეჩვეულია დედ-მამისა და ნათესავებისგან ავად მოპყრობას. მადამ ლერას არ შეეძლო ნამდვილად გასჯავრებოდა ამ კაცს, რადგან მას მეტისმეტად კარგი მანერები ჰქონდა. ამის შემდეგ დაიწყო მადამ ლერას მხრივ პრაქტიკული რჩევა-დარიგებების მიცემა სიყვარულის თაობაზე, გადაკრული სიტყვები ამ სამაგელი მამაკაცების უმსგავსობაზე, სხვადასხვაგვარი ამბავი გულუბრყვილო და გაბრიყვებულ ქალიშვილებზე, რომლებსაც ბოლოს ძალიან სანანებლად რჩებოდათ თავისი საქციელი. ამ ლაპარაკის შედეგად ნანა იბნიდებოდა, ხოლო გადაფითრებულ სახეზე ცბიერი და უწმინდური თვალები უციმციმებდა.

მაგრამ ერთ დღეს ფობურ-პუასონიერის მახლობლად ღილების ფაბრიკის მეპატრონემ გაბედა, ცხვირი გამოყო მამიდასა და ძმისწულს შუა და ისეთი რამეები წაიბუტბუტა, რაც სათქმელი არ იყო. ამის შემდეგ თავზარდაცემულმა მადამ ლერამ, რომელიც გაიძახოდა, საკუთარი თავისთვისაც ვეღარ ვაგებ პასუხსო, ყველაფერი ძმას ჩაუკენჭა. აქ უკვე სხვა ამბავი დატრიალდა. დიდი აყალმაყალი ატყდა კუპოებთან. თავდაპირველად მესახურავემ მაგრად მიბეგვა ნანა. ნეტავი ვისგან ისწავლა ეს? ბებრებს გადაეკიდე, შე საზიზღარო გომბიოვ? მაშ, კარგი, თვალი არ შევასწრო, რომ ქუჩაში დაეთრევი, თორემ იცოდე, მაშინვე ყელს გამოგღადრავ! გაგონილა? უნახავს ვისმეს ამისთანა?! ეს ცინგლიანი გოგო უკვე სახელს უტეხს და თავს სჭრის მთელ ოჯახს! კუპო აჯანჯღარებდა ნანას და თან ღმერთს იფიცებდა, რომ ამიერიდან ნანა სწორ გზას ვეღარ გადაუხვევს, რადგან მომავალში თვითონ მე ვიქნები მისი თვალყურის მდევნელიო! როგორც კი ნანა სახლში დაბრუნდებოდა, კუპო მაშინვე მივარდებოდა და პირდაპირ სახეში უცქერდა, რათა გამოეცნო, ხომ არ მოჰყვა გოგოს თვალის კუთხეში კოცნის უხმო ნიშნები, სუნავდა მას, აქეთ-იქით ატრიალებდა. ერთ საღამოს კვლავ გალახა ნანა, რადგან შავი ლაქა დაუნახა ყელზე. ეს არამზადა გომბიო ბედავს განაცხადოს, რომ ეს ნაკოცნი არ არის! დიახ, ის ამბობს, რომ ეს უბრალო სილურჯეა, რომ ეს ლეონიმ დაულურჯა მას თამაშისას. დალურჯებას ვუჩვენებ და

ახტაჯანობასაც გადავაჩვევ, როცა ფეხებს შემოვამტვრევო. ზოგჯერ, როდესაც კუპო კარგ გუნებზე იყო, ის დასცინოდა თავის ქალს, ემასხრებოდა. მართლა, კაი ნაჭერია ეს გოგო მამაკაცებისთვის, სვიასავით ბრტყელია, მხრებთანაც ისეთი ღრმულები აქვს, რომ მუშტი შეიძლება შიგ ჩასტიოო. ნანა, რომელსაც ჩაუდენელი სისაძაგლეებისა და თავისი მამის ტლანქი და საზიზღარი ბრალდებების გამო სცემდნენ და ათრევდნენ, დევნილი ნადირის ცბიერ და გააფთრებულ მორჩილებას იჩენდა.

– მოსვენება მიეცი მაგ გოგოს, – ჩასჩიჩინებდა კუპოს უფრო გონიერი ჟერვეზა, – იქამდე მიიყვან, რომ მართლა სურვილს გაუღვიძებ შენი ლაპარაკით.

ახ! დიახ, ეს ასეც იყო, მას უკვე აღეძრა სურვილი! მთელ სხეულში ქავილივით გაუჯდა, კუნტრუში უნდოდა, როგორც კუპო ეუბნებოდა. იმდენი უძახა ეს მამამ, ისე უნერგავდა ამ აზრებს, რომ პატიოსანი ქალიშვილიც კი სურვილით აინთებოდა. კუპო, ჩვეულებრივ, ამ ყველაფერს ხმამაღლა ღრიალებდა, და მან შეასწავლა თავის ქალს ისეთი რამეები, რაც მან მანამდე არ იცოდა, თუმცა ეს ძალიან გასაკვირი კი იყო. ამის შემდეგ ნანამ რაღაც უცნაური მანერები შეიძინა. ერთ დილას კუპომ შენიშნა, რომ მას რაღაც ჰქონდა ქაღალდში გახვეული. ეს რაღაც ნანას უნდოდა სახეზე მოეცხო. ეს იყო ბრინჯის ფქვილი. შერყვნილი გემოვნების გამო, ნანა ნაზ, ატლასის კანს ამით ილესავდა. კუპომ მას ამავე ქაღალით მოსწმინდა ეს ფქვილი სახიდან ისე, რომ ტყავი გადააძრო და მეწისქვილის ქალიც უწოდა. მეორეჯერ ნანამ წითელი ბაფთები მოიტანა, უნდოდა დაეკერებინა ძველ, შავ ქუდზე, რომელიც მას ასე არცხვენდა. კუპომ გააფთრებით ჰკითხა, საიდან გაქვს ეს წითელი ბაფთებიო? ჰა? ზურგზე წოლით შეიძინე ეგენი? თუ სადმე ბაზარში აწაპნე? მეძავი ხარ თუ ქურდი, ან შეიძლება ორივე ერთადო? ბევრჯერ კუპომ ნანას ხელში რაღაც კარგი ნივთები უნახა, სარდიონის ბეჭედი, ერთი წყვილი წვრილი მაქმანმოვლებული სამაჯური, ერთი მოვარაყებული პატარა გული, როგორსაც ქალიშვილები მკერდზე ატარებენ. კუპოს უნდოდა ყველაფერი მოესპო, მაგრამ ნანა გააფთრებით იცავდა თავის ნივთებს, ეს ჩემია, მანდილოსნებმა მაჩუქეს ეს ნივთები, ან კიდევ სახელოსნოში გადავცვალეო. მაგალითად, გული აბუკირის ქუჩაზე ვიპოვეო. როდესაც კუპომ ქუსლის ერთი დარტყმით გასრისა ეს გული, ნანა გაშეშდა, გაფითრდა, შეიკუმშა, თუმცა გულში ისეთ აღშფოთებას გრძნობდა, რომ მზად იყო მივარდნოდა მამას და შუაზე გაეგლიჯა იგი. ნანა ორი წლის განმავლობაში ოცნებობდა ამ გულზე და, შეხეთ, როგორ გაუჭეჭყეს იგი! არა, ეს უკვე მეტისმეტია, ბოლო უნდა მოეღოს ამას.

კუპოს მოქმედებაში, რომელიც თითქოს ნანას სწორ გზაზე დასაყენებლად იყო მოწოდებული, უფრო მეტი მასხარაობა და აბუჩად აგდება იყო, ვიდრე კეთილზნიანობა. კუპო ხშირად არ იყო მართალი და პატარა გოგოს ძალიან აბრაზებდა მისი უსამართლობა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ნანამ ერთხელ მთელი დღე გააცდინა სახელოსნოში. მერე, როდესაც მესახურავემ ამის გამო ის კარგა მაგრად მიტყიპა, ნანამ სასაცილოდ აიგდო მამა და უთხრა, არ მსურს ტიტრევილთან სიარული, რადგან მუდამ ოგიუსტინას გვერდით მსვამენ, ოგიუსტინას კი პირი ისე უყარს, თითქოს საკუთარი ფეხები ჰქონდეს გადაყლაპულიო. მაშინ კუპომ თვითონ

წაიყვანა ნანა კერის ქუჩაზე და სახელოსნოს პატრონს სთხოვა, რომ ნანა მუდამ ოგიუსტინას გვერდში დაესვათ დასასჯელად. ორი კვირის განმავლობაში კუპო ყოველ დილას თავის შეწუხებას არ ერიდებოდა და პუასონიერის გალავნიდან ჩამოდიოდა, რათა ნანა სახელოსნოს კარამდე მიეცილებინა. შემდეგ ხუთი წუთის განმავლობაში ქვაფენილზე იდგა დასარწმუნებლად, რომ სახელოსნოში შევიდა. მაგრამ ერთ დილას კუპო ამხანაგთან ერთად სენ-დენის ქუჩის სამიკიტნოსთან შეჩერდა და ათი წუთის შემდეგ დაინახა, რომ მისი გოგო თეძოების რხევით ქუჩის ბოლოსკენ გარბოდა გამალებით. ორი კვირის განმავლობაში ნანა ასე აპამპულებდა მამას, – ტიტრევილის სახელოსნოში შესვლის მაგივრად მეორე სართულზე ადიოდა და იქ, კიბის საფეხურზე ჩამომჯდარი უცდიდა მამის წასვლას. კუპომ მადამ ლერას მოჰკიდა ხელი, მაგრამ მადამ ლერა აყვირდა და პირდაპირ განუცხადა კუპოს, რომ არავითარ საყვედურებს არ ვიღებ, მე ყველაფერი, რაც საჭირო იყო, ვუთხარი ჩემს ძმისწულს მამაკაცებზე და, თუ ამ სამაგელ გომბიოს, მაინც დარჩა მიდრეკილება ამ არამზადებისადმი, ეს უკვე ჩემი ბრალი არ არის, ახლა მე ხელს ვიბან და ფიცს ვდებ, ამიერიდან არაფერში გავერიო, რადგან ძალიან კარგად ვიცი, რასაც ჭორაობენ კუპოს ოჯახში: ზოგიერები ბედავენ ბრალი დამდონ, ვითომ თვითონ მე დავეთრევი ნანასთან ერთად, რათა ამ გოგოს დაღუპვის ცქერით ბინძური სიამოვნება განვიცადო. კუპომ ხომ შეიტყო სახელოსნოს პატრონი ქალისგან, რომ ნანა მეორე მუშა ქალმა გააფუჭა, იმ გათახსირებულმა გომბიო ლეონიმ, რომელმაც ყვავილები მიატოვა გარყვნილი ცხოვრებისთვის. რა თქმა უნდა, ნანა ჯერ ბავშვია, რომელსაც ეხალისება ქუჩაში სირბილი და კეკლუცობა, და ჯერ კიდევ შეიძლება ნარინჯისფერი ყვავილის გვირგვინით თავზე ჯვარი დაიწეროს. მაგრამ, დასწყევლის ეშმაკი, ცოტა აჩქარება კია საჭირო, თუ სურთ, რომ ის ხელშეუხებელი ჩააბარონ ქმარს, სუფთა, უმანკო, უზადო, როგორ სხვა რიგიანი ქალიშვილები არიან.

გუტ-დორის ქუჩაზე მთელ სახლში ნანას ბერიკაცზე ისე ლაპარაკობდნენ, როგორც ყველასთვის ცნობილ ვაჟბატონზე. ის კაცი კვლავ ძალიან თავაზიანი იყო, ცოტა მოკრძალებულიც, მაგრამ ჯიუტი და ჯოჯოხეთურად მომთმენი. მორჩილ ცუგასავით მისდევდა ნანას ათი ნაბიჯის მანძილზე, ზოგჯერ თითქმის ეზოშიც შედიოდა. ერთ საღამოს მადამ გოდრონმა ის მეორე სართულის კიბეზე ნახა, მოაჯირს მიჰყვებოდა ცხვირჩამოშვებული, აღგზნებული და მოშიშარი. ლორილეები იმუქრებოდნენ, რომ ისინი ბინას გამოიცვლიან, თუ მათი მაწანწალა ძმისწული მამაკაცების თავისი კუდით თრევას არ მოიშლის. ეს უკვე საზიზღრობაა, კიბე სავსეა მამაკაცებით. ისე ვერ ჩასულხარ, ყოველ საფეხურზე არ დაგიხვდნენ. დგანან და თითქოს სუნით დაეძებენ, იცდიან, გეგონებათ, სახლის ამ კუთხეში ძაღლია ამძუნებულიო. ხოლო ბოშები იმ კაცის ბედ-იღბალზე წუხდნენ, იბრალებდნენ, ასეთი პატივსაცემი ადამიანი როგორ აიყოლია ამ უმსგავსმა გომბიომ. ის ხომ კომერსანტია, ბოლოს და ბოლოს! ბოშებს უნახავთ მისი ღილების ფაბრიკა ბულვარ ლა ვილეტზე, მას შეეძლო ბედში ჩაეგდო, თუკი რიგიანი ქალიშვილი შეხვდებოდა. მეკარეებისგან მიღებული დაწვრილებითი ცნობების გამო მთელი უბნის მცხოვრებნი, თვით ლორილეებიც კი, პატივისცემით

ეპყრობოდნენ ამ კაცს, როდესაც ის ფეხდაფეხ, სულ კუდში მოსდევდა ნანას სახეგაფითრებული, ტუჩაშვებული, ჭაღარა, ლაზათიანად შეთეთრებული წვერით.

პირველ თვეში ნანა ძალიან ერთობოდა თავისი ბებრუხუნათი. უნდა გენახათ, ის კაცი როგორ ევლებოდა თავს გოგოს შორიდან, ნამდვილი კოვზილოკია იყო, რომელიც ბრბოში ცდილობდა ნანას ბოლოკაბისთვის უკნიდან ხელი შეეხო, თან ისეთი სახე ჰქონდა, ვითომც აქ არაფერიო. ახლა მისი წვივებისთვის უნდა შეგეხედათ, ნახშირის საჩხრეკელას მიუგავდა, ასანთის ღერები იყო სწორედ! მოტიტვლებული თავი, ოთხიოდე ღერი თმა კისერთან ისე დახვეული, რომ ნანას მუდამ სურვილი ებადებოდა ეკითხა მისთვის იმ დალაქის მისამართი, რომელიც თმას უვარცხნიდა. ახ, ეს ბენძღი, ბებრუცუნა! ესეც რომ მარაქაში ერევა და თავის ჭკუაში ვითომ არშიყობს და ცელქობს კიდეც!.

მაგრამ შემდეგში, როცა ნანამ შეიტყო, რომ ეს ბებერი აღარ ეშვებოდა და სულ მუდამ იქ იყო, ეს მას უკვე იმდენად სასაცილოდ აღარ ეჩვენებოდა. რაღაც ყრუ შიშს ჰგვრიდა მას ეს კაცი და ნანა, ალბათ, დაიყვირებდა, ის რომ შეხებოდა.

ხშირად, როცა კი ნანა ოქრომჭედლის მაღაზიის წინ გაჩერდებოდა, უეცრად ამ კაცის ლუღლუღს გაიგონებდა. ის ზურგს უკან რაღაცებს ჩასჩურჩულებდა ნანას. ეს სიმართლე იყო, რასაც ის ამბობდა: ნანას მართლა, ძალიან უნდოდა ოქროს ჯვარი შავი ხავერდის თასმით ან კიდევ მარჯნის პატარა საყურე, ისეთი პაწაწინა, რომ სისხლის წვეთებს ჰგვანებოდნენ. ძვირფას სამკაულებსაც რომ თავი დავანებოთ, მას აღარ შეეძლო, მართლა და მართლა, ასე აძონძილი დარჩენილიყო. ის დაღალა კერის ქუჩის სახელოსნოში აცინცლული ძონძებით ტანისამოსის დაკერებამ. განსაკუთრებით მოჰბეზრდა ძველი ქუდი, რომლესაც ტიტრევილებთან აწაპნილი ყვავილები ღატაკი კაცის უკანა ჯიბიდან ამოჩრილი ხელსახოცის ბოლოებივით ჰქონდა ჩამოკიდებული. იმ დროს, როდესაც ნანა ლაფში გაითხუპნებოდა და ქუჩაში ეტლები ტალახს აშხეფებდნენ, მას თვალს სჭრიდა ბრწყინვალე ვიტრინები, მასში იღვიძებდა მტანჯველი შიმშილივით გულ-ღვიძლის მღრღნელი სურვილი, კარგად ყოფილიყო ჩაცმული, რესტორნებში ეჭამა გემრიელად, თეატრებში ევლო და ჰქონოდა ლამაზი ავეჯით მოწყობილი საკუთარი ოთახი. ამ სურვილისგან მთლად გაფითრებული ნანა შეჩერდებოდა ქვაფენილზე და გრძნობდა, რომ მის ფეხებს ედებობდა პარიზის ქუჩიდან წამოსული ალმური, გააფთრებული სურვილი, კბილით ჩაჰფრენოდა, ხარბად დასწაფებოდა იმ სიტკბოებას, რომელიც დავთარს ურევდა ქუჩის ხმაურსა და ჩოჩქოლში. და სწორედ ასეთ წუთებში უსათუოდ გამოჩნდებოდა ხოლმე მისი ბებრუხუნა, ყურში აწვეთებდა თავის წინადადებებს. ახ! როგორ დაურტყამდა ხელზე ხელს ნანა, მისი რომ არ შინებოდა, თუ ის შინაგანი წინააღმდეგობა, ის აღშფოთება არ ჰქონოდა, რომელიც მის უარს ამტკიცებდა. მიუხედავად მისი ბიწიერებისა, ნანას ააფთრებდა და ზიზღს ჰგვრიდა ის უცნობი რაღაც, რაც თან მოაქვს მამაკაცს.

ზამთარში კუპოების ცხოვრება აუტანელი შეიქნა. ყოველ საღამოს ურტყამდნენ ნანას. როცა მამა მისი ცემით იღლებოდა, ახლა დედა წაუთაქებდა, რათა კარგი ყოფაქცევა ესწავლებინა მისთვის. ხშირად ეს გალახვა საერთო ცემა-ტყეპაში გადადიოდა. როცა ერთი ურტყამდა, მეორე გამოექომაგებოდა, დაბოლოს, სამივენი იატაკზე გორაობდნენ დამტვრეული ჭურჭლის ნამსხვევებში. ამასთან, ვერასოდეს ჭამდნენ მაძღრისად, სიცივით იხოცებოდნენ. თუ პატარა გოგო თავისთვის იყიდდა რაიმე კარგს – ან ბაფთას, ან საკინძეებს სამაჯეებისთვის, მშობლები მაშინვე წაართმევდნენ და სასმელზე გადააგებდნენ ამ ნივთებს. ნანას არაფერი გააჩნდა ქვეყანაზე, გარდა ცემის ულუფისა, რომელსაც ყოველ საღამოს იღებდა მანამ, სანამ გაეხვეოდა დახეული ზეწრის ნაფლეთებში; მთელი ღამე ცახცახებდა ერთადერთი საბნის – პატარა შავი ბოლოკაბის ქვეშ. არა, ასეთი დაწყევლილი ცხოვრების გაგრძელება აღარ შეიძლებოდა; ნანას არ უნდოდა აქ ამოხდომოდა სული. მისი მამა, კაი ხანია ხომ სათვალავში ჩასაგდები არ იყო. როდესაც მამა ასე ლოთობს, ის მამა კი არა, ჭუჭყიანი პირუტყვია, რომელიც რაც შეიძლება მალე უნდა მოიშორო თავიდან. ახლა დედაც კარგავდა თანდათან შვილის სიყვარულს. დედამაც სმას მიჰყო ხელი. ჟერვეზა უკვე სიამოვნებით შედიოდა ბიძია კოლომბთან ქმრის საძებნელად, რადგან იქ დალევა ელოდა. ჟერვეზა ძალიან კარგად შეეწყო სმას, ის ახლა აღარ ცდილობდა ეჩვენებინა, რომ ვითომ სასმელი ეზიზღებოდა, როგორც ეს პირველ ხანებში იყო. ახლა ის ერთი მოქნევით ყლურწავდა ჭიქას და საათობით იდაყვდაყრდნობილი იჯდა სამიკიტნოში, ხოლო როცა იქიდან გამოვიდოდა, პირში ენა აღარ ჰქონდა. როდესაც ნანა „ხაფანგის“ წინ გაივლიდა და შიგნით დედას დაინახავდა ჭიქაში ცხვირჩაყოფილს, დაქვეითებულსა და გამოთაყვანებულს, მოღრიალე მამაკაცთა შორის, საშინლად ბრაზდებოდა, ვინაიდან ახალგაზრდობა სხვა სიტკბოებას დაეძებს და არ ესმის, თუ რა არის სასმელი. ამისთანა საღამოს ნანას მშვენიერი სურათი გადაეშლებოდა ხოლმე თვალწინ: მამა ლოთი, დედა ლოთი, ამ ღვთისგან შეჩვენებულ სოროში, სადაც ლუკმაპური არ მოიძებნებოდა და რომელიც მოწამლული იყო სასმლით. ბოლოს და ბოლოს, თვით წმინდანიც კი ვერ გაჩერდებოდა ამისთანა პირობებში. მეტი რა ჩარა იყო? თუ ერთ-ერთ ამგვარ დღეს ეს გოგო აიკრავდა გუდა-ნაბადს და მოუსვამდა აქედან, მის დედ-მამას საკუთარ თავზე უნდა მიეღოთ ეს დანაშაული და ეთქვათ, რომ მათ თვითონ ჰკრეს ხელი შვილს და გარეთ გააგდეს.

ერთ შაბათ დღეს შინ დაბრუნებულ ნანას ამაზრზენ მდგომარეობაში დაუხვდნენ დედაც და მამაც. კუპო გარდიგარდმო გაშხლართულიყო ლოგინზე და ხვრინავდა, ხოლო ჟერვეზა სკამზე იყო დაგდებული, თავს აქეთ-იქით აქნევდა და ფართოდ გაღებული, ამღვრეული, შეშფოთებული თვალებით სიცარიელეს მისჩერებოდა. მას დავიწყებოდა სადილის, ხარჩოს ნარჩენების გაცხელება. ერთი სანთელი, რომელსაც ჟერვეზა პატრუქსაც არ უწმენდდა, ანათებდა ამ ქოხის სამარცხვინო სიღატაკეს.

– შენა ხარ, საძაგელო გომბიოვ?! – ამოილუღლუღა ჟერვეზამ, – მოიცა, როგორ გაგისწორდეს მამაშენი!

ნანა პასუხს არ აძლევდა, გადაფითრებული იდგა. შეჰყურებდა გაცივებულ ღუმელს, უთეფშო მაგიდას, ჩაქუფრულ ოთახს, რომელსაც ეს წყვილი ლოთი ჰფენდა საკუთარი გამოლენჩებისა და გამოთაყვანების ფერმკრთალ სურნელებას. ნანას ქუდი არ მოუხდია, ერთხელ შემოუარა ოთახს, მერე კრიჭაშეკრულმა გააღო კარი და გავიდა.

– ისევ მიდიხარ? – შეეკითხა დედა, რომელსაც მისკენ მობრუნების თავიც არ ჰქონდა.

– ჰო, რაღაც დამავიწყდა. ისევ დავბრუნდები... მშვიდობით.

ის აღარ დაბრუნებულა. მეორე დღეს გამოფხიზლებული კუპოები ცემა-ტყეპით დაერივნენ ერთმანეთს. ერთიმეორეს აბრალებდნენ ნანას გაქცევას.

ახ! ის ახლა შორს იქნება წასული, თუ კიდევ მირბის! როგორც ბავშვებს ეტყვიან ხოლმე ბეღურებზე, ისე ნანას დედ-მამასაც შეეძლოთ წასულიყვნენ და მისთვის კუდზე მარილი მოეყარათ, ეგება დაეჭირათ როგორმე.

ჟერვეზასთვის ეს დიდი უბედურება იყო, რამაც უფრო მეტად გასრისა იგი, რადგან მიუხედავად სრული დაცემისა, გრძნობდა, რომ მისი გოგოს უზნეობა მისთვის უკანასკნელი ბიძგი იყო, რომელიც უფრო ღრმად ფლავდა ჭუჭყში. ამჟამად, უკვე მარტოდმარტო დარჩენილ ჟერვეზას აღარ გააჩნდა შვილი, რომელსაც პატივს სცემდა, ახლა მას შეეძლო მიეშვა თავისი თავი და უფრო დაბლა დაცემულიყო. დიახ, ამ უკუღმართმა, უბუნებო შვილმა, თავისი ჭუჭყიანი კაბის ბოლოთი წაიღო ჟერვეზას პატიოსნების უკანასკნელი ნამცეცები. ჟერვეზა სამი დღის განმავლობაში გამოუფხიზლებლად სვამდა, გააფთრებული და მუშტებშეკუმშული, პირიდან საზიზღარ ლანძღვას ანთხევდა, თითქოს თავის გათახსირებულ შვილს ემუქრებოდა. ყველა გარე ბულვარი შემოირბინა და ყველა გამვლელ ქალს შეუჭვრიტა ქუდის ქვეშ, კუპო კი კვლავ ჩიბუხს სწევდა დამშვიდებული. მხოლოდ მაშინ, როდესაც მაგიდას მიუჯდებოდა, კუპო ზოგჯერ წამოხტებოდა, დანას დაიჭერდა, ხელს ჰაერში გაიწვდიდა და ყვიროდა, რომ ის პატივაყრილია. მერე ისევ მაგიდას მიუჯდებოდა წვნიანის დასამთავრებლად.

იმ სახლში, საიდანაც ქალიშვილები ყოველდღიურად ისე მიფრინავდნენ, როგორც ჭივჭავები კარგაღებული გალიიდან, კუპოების უბედურება არავის გაჰკვირვებია. მაგრამ ლორილეები ზეიმობდნენ, ახ! იმათ ხომ იწინასწარმეტყველეს, რომ ეს გოგო ცხვირიდან ძმარს ადენდა კუპოებს. დაიმსახურეს კიდეც ასეთი რამ. ყველა მეყვავილე ქალი ასე ცუდ გზას ადგება. ბოშები და პუასონები ხმაშეწყობით ხითხითებდნენ და საქვეყნოდ ამზეურებდნენ არაჩვეულებრივ სათნოებას. მარტო ლანტიე იცავდა ნანას ცბიერად.

– ღმერთო ჩემო! ეჭვი არ არის, – განაცხადა მან თავისი ჩვეულებრივი პურიტანული იერით, – რომ ქალიშვილი, რომელიც ქუჩაში გავარდება, ჰგმობს ღვთისა და კაცის კანონს, მაგრამ, – დაუმატა მან, და თან თვალებში ცეცხლი აუთამაშდა, – დალახვროს

ღმერთმა, ეგ გოგონა მეტისმეტად ლამაზი იყო იმისთვის, რომ თავის ასაკში ამ სიღატაკეს არ გაჰქცეოდა.

– განა თქვენ არ იცით? – წამოიყვირა ერთ დღეს მადამ ლორილემ ბოშების ბინაში, სადაც მთელი ეს კომპანია ყავას მიირთმევდა, – ეს ისეთივე სიმართლეა, როგორიც ის, რომ ახლა დღეა და არა ღამე, ჩაუხამ თვითონ გაყიდა თავისი ქალიშვილი... დიახ, მან გაყიდა ნანა და მე ამის დამამტკიცებელი საბუთი მაქვს... ის ბებერი კაცი, რომელსაც დილა-საღამოს აქ ვხედავდით კიბეზე, ის კაცი ახლა უკვე ზევით ავიდა ანგარიშის გასასწორებლად. ყოვლად სამარცხვინო ამბავია. ახლა გუშინდელი დღე იკითხეთ! ვიღაცას უნახავს ისინი ერთად ამბიგიუში, ის უნამუსო ქალი თავისი ხვადით... პატიოსნებას ვფიცავ! ისინი ერთად არიან, კარგად იცოდეთ.

ამ მსჯელობაში ყავაც გაათავეს. ბოლოს და ბოლოს, ეს შესაძლებელი იყო, ამაზე უარესი ამბებიც ხდება. საბოლოოდ, უბანში ყველაზე დარბაისელი ხალხიც კი იმას იმეორებდა, ჟერვეზამ თავისი ქალიშვილი გაყიდაო.

ახლა ჟერვეზა ფოსტლებით დაფრატუნებდა და ქვეყნის ყაყანს არაფრად აგდებდა. შეეძლოთ ქუჩაში მისთვის ქურდი ეწოდებინათ და ის უკანაც არ მოიხედავდა. აგერ, ერთი თვეც იყო, რაც მადამ ფოკონიესთან აღარ მუშაობდა. მადამ ფოკონიე იძულებული შეიქნა, ყოველგვარი ჩხუბისა და კამათის თავიდან ასაცილებლად, გარეთ გამოეგდო იგი. ჟერვეზა რამდენიმე კვირის განმავლობაში უკვე რვა მრეცხავთან მივიდა სამუშაოდ. სულ ორი თუ სამი დღე რჩებოდა თითოეულ სამრეცხაოში, მერე გუდა-ნაბადს აუკრავდნენ და გამოისტუმრებდნენ ხოლმე, ისე აოხრებდა სარეცხს. დაუდევარი გახდა, მეტად უსუფთაო და ისე აებნა თავგზა, რომ საკუთარი ხელობაც კი გადაავიწყდა. ბოლოს და ბოლოს, რადგან თვითონვე იგრძნო, რომ საქმე ხელთ აღარ მოსდიოდა და აფუჭებდა სამუშაოს, მან უთოობას თავი დაანება და დღიურად დაიწყო რეცხვა. „ახალი ქუჩის“ სამრეცხაოში ის ასრულებდა მხოლოდ ჭუჭყიან, დაბალ სამუშაოს, – ყველაფერს, რაც კი მის ხელობაში ყველაზე შავი და ყველაზე ადვილი იყო, და ერთი საფეხურით კიდევ უფრო დაბლა დაეშვა საერთო დაქვეითების გზაზე. რა თქმა უნდა, ის სამრეცხაოდან გალამაზებული არ ბრუნდებოდა. იქიდან რომ გამოვიდოდა, ქეციან ძაღლს ჰგავდა, დასველებულსა და ამოლუმპულს, კაბის ანახევებში გალურჯებული ხორცი უჩანდა. ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ შიმშილით კუჭი უხმებოდა, თანდათან უფრო სქელდებოდა, თეძო ისე ჰქონდა ამოვარდნილი, იმდენად კოჭლობდა, რომ ვერავის გვერდში ისე ვერ გაუვლიდა, რომ არ დასჯახებოდა და ლამის არ წაექცია.

ბუნებრივია, როცა ცხოვრება ქალს ასე გასტეხს, მისი სიამაყეც მთლიანად იკარგება. ჟერვეზამაც სრულიად დაკარგა ძველი ღირსება, სიკეკლუცე, წმინდა გრძნობები, წესიერებისა და პატივისცემის განცდა. მისთვის შეეძლოთ პანღური ამოეკრათ ყოველი მხრიდან, ის არაფერს იგრძნობდა, ისე იყო მოდუნებული და მოშვებული. ამრიგად, ლანტიემაც სრულიად მიატოვა იგი. ჟერვეზამ თითქოს ვერც კი შეამჩნია, ისე დაბოლოვდა ეს ხანგრძლივი კავშირი, რომელიც ნელა მიღოღავდა და ორივე

მხარის საერთო დაღლილობაში მოეღო ბოლო. ჟერვეზასთვის ეს ერთი ზედმეტი ტვირთის მოშორებას ნიშნავდა. ჟერვეზა ლანტიესა და ვირჯინიას კავშირსაც სრული სიმშვიდით უყურებდა, უაღრესად გულგრილად უხვდებოდა ყველა იმ სისულელეს, რომელიც მას ოდესღაც ასე აცოფებდა. ჟერვეზა სანთელსაც დაუჭერდა მათ, თუ მოისურვებდნენ. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა, რომ მექუდე და ბაყალი ქალი დიდ ამბავში იყვნენ. მათთვის ძალიან ხელსაყრელი იყო ის გარემოება, რომ ეს რქიანი პუასონი, ყოველ ორ დღეში ერთხელ, ღამე სამორიგეოდ გადიოდა და იმ დროს, როდესაც ის დაცარიელებულ ქვაფენილზე სიცივით კანკალებდა, მისი მეუღლე და მეზობელი კაცი ფეხებჩათბუნებულები იყვნენ სახლში. ოხ! ისინი არ ჩქარობდნენ, ყურს უგდებდნენ პუასონის წაღების წყნარ ბაკუნს დუქნის წინ, ჩაბნელებულსა და დაცარიელებულ ქუჩაში, მაგრამ ცხვირის გამოყოფას საბნის ქვეშიდან მაინც ვერ ბედავდნენ. პოლიციელს სადარაჯოზე მხოლოდ თავისი მოვალეობა უნდა ახსოვდეს. ასე არ არის განა? ჰოდა, დილამდე განაგებდნენ მის ქონებას, სანამ ეს კუშტი ადამიანი იცავდა სხვების ქონებას. გუტ-დორის მთელი უბანი ერთობოდა ამ მშვენიერ ფარსზე. ძალიან სასაცილოდ მიაჩნდათ ადგილობრივი ძალაუფლების წარმომადგენლის ასე რქებით შემკობა. გარდა ამისა, ლანტიეს ხომ ბრძოლით ჰქონდა ეს კუთხე დაპყრობილი. საბაყლო დუქანს მედუქნე ქალიც მიჰყვა. ლანტიემ ჯერ მრეცხავი ქალი შეჭამა. ახლა ბაყალ ქალს ახრამუნებდა. ის თუ რიგში დაამწკრივებდა საწვრილმანო დუქნის მეპატრონე ქალებს, საკანცელარიო ნივთების მაღაზიის ქალებს და მოდების მაღაზიის ქალებს, მას ყბების სიფართოვე ეყოფოდა იმისთვის, რომ ყველანი გადაეყლაპა.

არა, ჯერ არავის უნახავს, კაცს რომ ასე ჰქონოდეს ხელი თაფლში ჩაყოფილი. ლანტიემ ძალიან კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა, როცა მან ვირჯინიას ურჩია ტკბილეულით ვაჭრობა. როგორც წმინდა წყლის პროვანსელს, ლანტიეს ძალიან უყვარდა ტკბილეული. ეს იმას ნიშნავს, რომ ლანტიეს შეეძლო ეცხოვრა შაქარლამით, შაქარყინულით, დრაჟეთი და შოკოლადით. განსაკუთრებით უყვარდა მას დრაჟე, რომელსაც ის დაშაქრულ ნუშს უწოდებდა და რომელიც მას ყოველთვის ნერწყვს ჰგვრიდა, ყანყრატოში უღიტინებდა, ყელს უკოკლოზინებდა. მთელი ერთი წელიწადი ის მხოლოდ კანფეტებით იკვებებოდა. როცა მას ვირჯინია დუქანს ყურისსაგდებად ჩააბარებდა, მარტოდმარტო დარჩენილი ლანტიე უჯრებს აღებდა და ჯიბეებს ტკბილეულით ივსებდა. ხშირად ხუთი-ექვსი კაცის თანდასწრებით ლანტიე თან საუბრობდა, თან კი დახლზე მდგომ შუშის ლარნაკს თავს მოხდიდა, ხელს ჩაჰყოფდა და ახრამუნებდა ტკბილეულს. ლარნაკი თავახდილი რჩებოდა და ცარიელდებოდა, ამას ყურადღებას არავინ აქცევდა. ეს იყო ავადმყოფური გატაცება, როგორც თვითონ ლანტიე ამბობდა. ამასთან, ლანტიემ გამოიგონა რაღაც მუდმივი გაცივება, ყელის იმგვარი გაღიზიანება, რომლის დასალბობად ტკბილეული იყო საჭირო. ის კვლავ უსაქმურად იყო, მაგრამ მომავლისთვის უდიდეს საქმეებს გეგმავდა. იმ ხანებში ის ერთ გამოგონებას ულოლიავებდა: ეს იყო ქოლგა-ქუდი, ანუ ქუდი, რომელიც ისე იქნებოდა მოწყობილი, რომ კოკისპირული წვიმის პირველივე წვეთზე დიდ საწვიმრად უნდა გადაქცეულიყო. ის გამოგონების შემოსავლის

ნახევარს პუასონს ჰპირდებოდა და ცდების ჩასატარებლად პოლიციელს ოც-ოც ფრანკს ესესხებოდა. ხოლო მოლოდინში დუქანი მის პირში დნებოდა. მის პირში ჩადიოდა მთელი საქონელი, შოკოლადის სიგარებსა და წითელი შაქრის ლოლუებამდე. როდესაც ლანტიე ამ ტკბილეულით გასკდებოდა, მაშინ სინაზე შეიპყრობდა ხოლმე და სადმე კუთხეში დიასახლისის ლოკვას მოჰყვებოდა. ამ დროს ვირჯინია გრძნობდა, რომ ლანტიე მთლად ჩაშაქრებული იყო, შაქარში მოხალულ ნუშივით. ასეთი მამაკაცის კოცნა სასიამოვნოც არის, თაფლი იყო სწორედ ეს კაცი. ბოშები ლაპარაკობდნენ, რომ საკმარისია ლანტიემ თითი ჩაასველოს და ყავას შარბათად აქცევსო.

ამ მუდმივი დესერტით მინაზებული ლანტიე მამაობრივად ექცეოდა ჟერვეზას: რჩევა-დარიგებას აძლევდა, ტუქსავდა, შრომა აღარ გიყვარსო. დასწყევლის ეშმაკი! ქალმა შენს ასაკში გამოსავლის პოვნა ხომ უნდა იცოდესო. ლანტიე ბრალს სდებდა ჟერვეზას, რომ ის ყოველთვის ღორმუცელა იყო. მაგრამ, რადგანაც საჭიროა ადამიანმა ხელი გაუწოდოს ადამიანს, თუნდაც იგი სულ არ იყოს ამის ღირსი, ლანტიეც ცდილობდა ჟერვეზასთვის პატარ-პატარა სამუშაო ეშოვა. ამნაირად, მან დაიყოლია ვირჯინია, რომ კვირაში ერთხელ მოეყვანა ჟერვეზა დუქნისა და ოთახების დასარეცხად. ნაცარტუტიანი წყლით რეცხვა ჟერვეზასთვის ჩვეული საქმე იყო. ყველა დარეცხვაზე ის ოცდაათ სუს იღებდა. ჟერვეზა აქ ყოველ შაბათ დილას მოდიოდა თავისი სათლით და ჯაგრისით. არ ეტყობოდა, რომ ტანჯავდა შავ სამუშაოზე და ჭუჭყიანი ჭურჭლის დასარეცხად აქ მოსვლა, სწორედ იმ ბინაში, სადაც ის ოდესღაც მეფობდა, როგორც ქერა და ლამაზი დიასახლისი. ეს იყო მისი უკანასკნელი მიწასთან გასწორება, მისი სიამაყის დასასრული.

მას მეტადრე ერთ შაბათს გაუჭირდა ძალიან. სამი დღის განმავლობაში სულ წვიმდა, მყიდველებს თითქოს მთელი უბნის ტალახი ფეხით შემოეტანათ დუქანში, ვირჯინია დახლთან წამომჯდარიყო ქალბატონივით, კარგად დავარცხნილი, მაქმანის პატარა საყელოთი და სამაჯეებით. ხოლო მის გვერდით ვიწრო წითელ მაუდგადაფარებულ მერხზე გადათხლაშულიყო ლანტიე, რომელსაც ისე შინაურულად ეჭირა თავი, თითქოს ამ სავაჭროს ნამდვილი პატრონი ის იყო. უზრუნველი მოძრაობთ ხელს ჰყოფდა ლარნაკში, სადაც პიტნის კანფეტები ეწყო. ამ ტკბილეულის ხრამუნი ხომ მას ჩვევად გადაჰქცეოდა.

– მოიხედეთ აქეთ, მადამ კუპო, – წამოიყვირა ვირჯინიამ, რომელიც ტუჩების კვნეტით თვალყურს ადევნებდა მრეცხავის მუშაობას, – აგერ, იქით კუთხეში ჭუჭყი დაგრჩათ. აბა ერთი, უკეთესად გამომიწმინდეთ ეგ ადგილი.

ჟერვეზა დამორჩილდა. ის მიუბრუნდა და ხელახლა დაუწყო რეცხვა ამ კუთხეს. ჩაჩოქილი იჯდა ჭუჭყიან წყალში, ორად იკაკვებოდა, მხრები ამოვარდნოდა და ხეშეში ხელები გალურჯებოდა. ძველი, დასველებული ბოლოკაბა საჯდომზე მიჰკვროდა. პარკეტზე ჩაცუცქული ჭუჭყიან გროვას ჰგავდა, თმაგაწეწილს პერანგის ნახევებში სხეულის ამობურცული ნაწილები უჩანდა, მისი ქონმორეული ხორცი

ირხეოდა, ტრიალებდა და ხტოდა ტლანქი სამუშაოს დროს აუცილებელი უხეში მიმოხრის გამო. ჟერვეზა ოფლში იწურებოდა და დასველებული პირისახიდან ოფლის მსხვილი წვეთები სცვიოდა.

– რაც უფრო მეტ ოფლს დაღვრი, მით უკეთესად გაპრიალდება, – სენტენციურად წარმოთქვა ლანტიემ, რომელსაც პირი შაქარლამით გამოეტენა.

ვირჯინია დედოფალივით გადაწოლილიყო და ნახევრად მოხუჭული თვალით კვლავ რეცხვას უყურებდა, თანაც თავის მოსაზრებებს ატანდა.

– ცოტა კიდევ, მარჯვნივ. ახლა პანელებს მიაქციეთ ცოტა მეტი ყურადღება... ხომ იცით, კმაყოფილი არ ვიყავი წინა შაბათს... ლაქები იყო დარჩენილი.

და ორივენი, – მექუდეცა და ბაყალი ქალიც, – უფრო მეტად იბღინძებოდნენ, მყუდროდ მოკალათებულიყვნენ სამეფო ტახტზე, იმ დროს, როდესაც ჟერვეზა მათ თვალწინ შავ ლაფში დახოხავდა. ვირჯინია, ეტყობა, ტკბებოდა, რადგანაც მის კატისებრ თვალებში წუთით ყვითელმა ნაპერწკალმა გაიელვა და ოდნავი ღიმილით გადახედა ლანტიეს. ძლივს არ იძია შური, ოდესღაც სამრეცხაოში გადატანილი ცემა-ტყეპისთვის. ის ხომ გულში ატარებდა მუდამ ამას.

როდესაც ჟერვეზა იატაკის ხეხვას შეწყვეტდა, უკანა ოთახიდან პატარა ხერხის ხმაური ისმოდა. გაღებულ კარში ეზოდან შემოსულ მკრთალ შუქზე პუასონის პროფილი მოჩანდა. იმ დღით თავისუფალი პუასონი დროს საყვარელ საქმეს – პატარა კოლოფების გამოჭრას ანდომებდა. ის მაგიდის წინ იჯდა და სიგარის კოლოფების წითელი ხის ფირფიტებზე არაჩვეულებრივი მუყაითობით ჭრიდა არაბულ ჩუქურთმებს.

– გამიგონე, ბადენგ, – შესძახა მას ლანტიემ, რომელიც ამ მეტსახელს მეგობრულად უწოდება პუასონს, – მაგ თქვენს კოლოფს მე ავიღებ, ერთ ქალიშვილს უნდა ვუფეშქაშო.

ვირჯინიამ უჩქმიტა ლანტიეს, ხოლო მექუდემ დარდიმანდულად, სახეზე შერჩენილი ღიმილით, სიკეთით გადაუხადა მას ეს გაბოროტება და დახლის ქვეშ მუხლებზე თითები აუთამაშა. ხოლო შემდეგ, როდესაც ქმარმა თავი მაღლა ასწია და მიწისფერ სახეზე წყვეტიანი წვერი და აბურძგნილი, წითელი ულვაში გამოაჩინა, სრულიად ბუნებრივი მოძრაობით ლანტიემ ხელი უკანვე წაიღო.

– მე სწორედ, – შენიშნა პოლიციელმა, – თქვენთვის ვმუშაობდი, ოგიუსტ, ეს იქნება სახსოვარი ჩვენი მეგობრობის ნიშნად.

– ახ! გიყვარდეს! მაშ, ამ თქვენს პატარა ნივთს შევინახავ, – მიუგო ლანტიემ სიცილით, – იცოდეთ, ამ კოლოფს ყელზე შევიბამ ბაფთით.

მერე უეცრად, თითქოს ამ აზრს სხვა აზრი მოჰყვა, ლანტიემ შეჰყვირა.

– ჰო, მართლა. მე გუშინ საღამოს ნანა ვნახე.

ამ ახალი ამბით გამოწვეული ღელვის გამო, ჟერვეზა ერთბაშად ჩაჯდა ჭუჭყიანი წყლის გუბეში, რომელიც მთელი დუქნის იატაკს ფარავდა. გაოფლიანებული, სუნთქვაშეკრული დარჩა ჯაგრისით ხელში.

– ახ! – წაიბუტბუტა მან.

– დიახ, მე მერტირის ქუჩით ჩამოვდიოდი და ვხედავ ჩემ წინ მოხუც კაცთან მკლავში ხელგაყრილი გოგონა მოდის გრეხით. ჩემთვის ჩავილაპარაკე: რა ვქნა, მე ეს კურტუმი რაღაც მეცნობა-მეთქი... ნაბიჯს მოვუჩქარე და ამ ჩემი შეჩვენებული ნანას ცხვირწინ გავჩნდი... არა, თქვენ არ გმართებთ მისი შებრალება, ის ძალიან ბედნიერია, ლამაზი შალის კაბა აცვია, ყელზე ოქროს ჯვარი ჰკიდია და ამავე დროს რა სასაცილო, რა ოინბაზური შესახედაობა აქვს!

– ახ! – უფრო ყრუ ხმით გაიმეორა ჟერვეზამ.

ლანტიემ შაქარლამის ბოლო ნაჭერი მიირთვა და ახლა მეორე ლარნაკიდან შაქარყინული ამოიღო!

– წამხდარი ბავშვია! – განაგრძობდა იგი, – წარმოდგენილი გაქვთ, მანიშნა, უკან გავყოლოდი, ახლა როგორი რიხით და რა საკუთარი თავის რწმენით! მერე თავისი ბებერი სადღაც შეაჩერჩეტა, რომელიღაც კაფეში... ოხ! გასაშტერებელი მოხუცია, მთლად გამოფიტულა ის ბებრუხუნა... თვითონ ნანა გამოვიდა და ერთ-ერთი კარის შემოსავალში შემომიერთდა. გველია სწორედ. ცუგრუმელა, თან თავიც მოაქვს, ყოყოჩობს და ისე გლოკავს, როგორც ძაღლის ლეკვი. დიახ, მან მე მაკოცა! ყველას ამბავი იკითხა, სუყველასი... ბოლოს და ბოლოს, ძალიან კმაყოფილი დავრჩი მასთან შეხვედრით.

– ახ! – მესამეჯერ წარმოთქვა ჟერვეზამ.

ჟერვეზა ისევ მოთელილი იჯდა და ისევ ელოდებოდა რაღაცას. ნუთუ მის ქალიშვილს ერთი სიტყვა არ მოეძებნა დედისთვის? სიჩუმეში კვლავ გაისმა პუასონის ხერხის ხმაური, ხოლო ამ დროს გამხიარულებული ლანტიე ტუჩების წკლაპუნით, გაჩქარებით წუწნიდა შაქარყინულს.

– ჰო! მე რომ შემხვედროდა, ქუჩის მეორე მხარეს გადავიდოდი, – წარმოთქვა ვირჯინიამ და კვლავ მწარედ უჩქმიტა ლანტიეს, – დიახ, სირცხვილით დავიწვოდი, ამგვარ გომბიოს რომ ჩემთვის ხალხში მოეცა სალამი... ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ თქვენ აქ იმყოფებით, მადამ კუპო, მაგრამ თქვენი ქალიშვილი ნამდვილი მძორია. მაგაზე უკეთესებს ჰკრეფავს ქუჩაში ყოველდღე პუასონი.

ჟერვეზა არაფერს ამბობდა, უძრავად იყო და თვალი ცარიელი სივრცისთვის მიეშტერებინა. ბოლოს მან ნელა გაიქნია თავი, თითქოს პასუხი მისცა ფარულ

აზრებს, ხოლო ამ დროს მექუდემ დამტკბარი სახით წაიბუტბუტა: – ყველა სიამოვნებით აიშლიდა კუჭს მაგ მძორით. წიწილასავით ნაზია...

მაგრამ მედუქნე ქალმა ისეთი საზარელი თვალით გადახედა იმას, რომ ლანტიემ იმწამსვე შეწყვიტა ლაპარაკი და იძულებული შეიქნა, ალერსით დაეწყნარებინა განრისხებული ვირჯინია. მექუდემ ერთი თვალი შეავლო პოლიციელს და როცა შენიშნა, რომ პატარა კოლოფისკენ ჰქონდა ცხვირი მიბრუნებული, ისარგებლა ამ გარემოებით და შაქარყინული ჩაუტენა პირში ვირჯინიას, რის შემდეგად საბაყლო დუქნის მეპატრონე ქალმა გამამხნევებლად გაუცინა მას და იატაკის მრეცხავზე გადაიტანა სიბრაზე.

– ააჩქარეთ ცოტა! წინ კი არ წასწევს სამუშაოს ეგრე ჯირკივით ერთ ადგილზე ჯდომა... გაინძერით, გესმით, სულაც არ მსურს საღამომდე ამ გუბეებში ვიჭყაპუნო.

და მერე უფრო ხმადაბლა, ბოროტად დასძინა: – თითქოს ჩემი ბრალი იყო, რომ მისი ქალი გაირყვნა.

ეჭვი არ არის, რომ ჟერვეზას ეს არ გაუგონია. ის კვლავ პარკეტის ხეხვას შეუდგა. წელში მოწყვეტილი, მიწასთან გასწორებული იყო და გომბეშოსავით მძიმედ დაფოფხავდა. ორივე ხელი ჯაგრისის ტარზე მაგრად მოეჭირა და წინ მიჰქონდა შავი წყლის ნაკადი, რომლის შხეფებიც თითქმის თმამდე სწვდებოდა და ტალახის წინწკლებით ჩითავდა მას.

იმის შემდეგ, როცა ჟერვეზა ჭუჭყიან წყალს ჯაგრისით რუში ჩაუშვებდა, ოთახს ერთხელ კიდევ სჭირდებოდა წყლის გადავლება.

ამასობაში ლანტიემ, რომელმაც მოიწყინა, ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ხმა აიმაღლა.

– თქვენ არ იცით, ბადენგ, – წამოიყვირა მან, – რომ მე გუშინ, რივოლის ქუჩაზე თქვენი ბატონი ვნახე? ძალიან შეფენთხილა, ბევრი-ბევრი ექვს თვეს კიდევ გაძლოს... ახ! მაშ რა გეგონათ? რანაირად ცხოვრობს?

ლანტიე იმპერატორზე ლაპარაკობდა. ხოლო პოლიციელს თავიც არ აუწევია, ისე მშრალად უპასუხა: – თქვენ რომ მთავრობა ყოფილიყავით, არც თქვენ იქნებოდით მსუქნად.

– ოჰ! ჩემო კარგო, მე რომ მთავრობა ვყოფილიყავი, – მიუგო მექუდემ და უეცრად სერიოზული სახე მიიღო, – საქმეები უკეთ წავიდოდა, თავდებად დაგიდგებით ამაში. აბა, ახლა მაგათი საგარეო პოლიტიკა ნახეთ. ცივ ოფლს დაგასხამს, ხომ მართალია? მე, რომელიც ახლა თქვენ გელაპარაკებით, მე რომ ერთ ჟურნალისტს მაინც ვიცნობდე, რათა მისთვის ჩემი აზრები ჩამეგონებინა...

ლანტიე გამოცოცხლდა და ვინაიდან შაქარყინული უკვე სულ ჩაახრამუნა, ახლა სუფრა გამოსწია და იქიდან ტკბილეულს იღებდა, ღეჭავდა და თან ჟესტიკულაციით ლაპარაკობდა.

– სულ უბრალოდ... უწინარეს ყოვლისა, პოლონეთს აღვადგენდი, მერე შევქმნიდი დიდ სკანდინავიურ სახელმწიფოს, რათა ჩრდილოეთის გოლიათი შიშში მყოლოდა... შემდეგ ყველა გერმანული პატარა სამეფოდან რესპუბლიკებს შევქმნიდი... ხოლო, რაც შეეხება ინგლისს, ის საშიში არ არის. ერთი რომ განძრეულიყო, მაშინვე ასი ათას კაცს გავგზავნიდი ინდოეთში... ამას ისიც დაუმატეთ, რომ ერთი ჯოხის წამოკვრით გავაგდებდი დიდებულ სულთანს მექაში, ხოლო პაპს იერუსალიმში... ჰა? ხომ სასწრაფოდ გაიწმინდებოდა მთელი ევროპა? აბა, ერთი აქეთ გამოიხედეთ, ბადენგ!..

ლანტიემ სიტყვა შეწყვიტა, რათა ხუთი თუ ექვსი ცალი კანფეტი მაგრად დაემუჭა.

– ჰოდა! ეს საქმე უფრო ნაკლებ დროს მოითხოვდა, ვიდრე ამისი გადაყლაპვა.

და ლანტიე ერთიმეორის შემდეგ იყრიდა პირში კანფეტებს.

– იმპერატორს სხვა გეგმა აქვს, – წარმოთქვა მცირე ხნის ფიქრის შემდეგ პოლიციელმა.

– გაუშვით ერთი და! – წამოიყვირა ცხარედ მედუქნემ, – ვიცით ჩვენ მისი გეგმა! ევროპა ჩვენ არაფრად გვაგდებს! ყოველდღე ტიულრის ლაქიებს მაგიდის ქვეშიდან გამოჰყავთ ეგ თქვენი ბატონი, წარჩინებული საზოგადოების ორ უნამუსო ქალთან ერთად.

მაგრამ პუასონი წამოდგა. წინ წამოვიდა, ცალი ხელი გულზე მიიდო და უთხრა: – თქვენ მე შეურაცხმყოფთ, ოგიუსტ. იკამათეთ ისე, რომ პიროვნებებს არ შეეხოთ.

მაშინ ვირჯინიაც ჩაერია კამათში და შეეხვეწა, მოსვენება მიეცათ მისთვის. რაში ეკითხება მას ევროპა? ან როგორ შეუძლია ამ ორ ადამიანს, რომლებიც ძმურად იყოფენ ყველაფერს, ასე განუწყვეტლივ ჭამდნენ ერთიმეორეს პოლიტიკისთვის. მამაკაცებმა ერთ წუთს კიდევ იბუზღუნეს და ბოლოს პოლიციელმა იმ მიზნით, რომ გულში ხინჯის უქონლობა ეჩვენებინა, უკვე დამთავრებული პატარა კოლოფის ხუფი მოიტანა. ხუფზე ამოტვიფრული ასოებით იყო გაკეთებული შემდეგი წარწერა: „სახსოვრად ოგიუსტს ნიშნად მეგობრობისა“.

დიდად ნასიამოვნები ლანტიე ისე თავმოწონებით გაიჭიმა და გადაიხარა, რომ თითქმის ზედ გადააწვა ვირჯინიას. ხოლო ქმარი კი უყურებდა ამას ძველი კედლისფერი სახით და თავისი უტყვი, ბინდგადაკრული, მიმქრალი თვალებით. მხოლოდ მისი წითური ულვაშის ბოლოები ირხეოდა ხანდახან ისე უცნაურად, რომ შეაშფოთებდა ყოველ კაცს, რომელიც ნაკლებად დარწმუნებული იყო თავის ძალაში, ვიდრე მექუდე.

ამ პირუტყვ ლანტიეს ახასიათებდა მშვიდი უტიფრობა, რომელიც ქალებს მოსწონთ. როგორც კი პუასონმა ზურგი შეაქცია, მექუდეს დაებადა მხიარული და კომიკური აზრი: ზედ მარცხენა თვალზე ეკოცნა მადამ პუასონისთვის. ჩვეულებრივ ის ცბიერ კეთილგონიერებას იჩენდა, მაგრამ როდესაც პოლიტიკაზე კამათით იყო გაცხარებული, აღარაფერს ერიდებოდა, ოღონდ კი ცოლის თვალში გაემარჯვა ქმარზე. პილიციელის ზურგს უკან თავხედურად აფარებული ხარბი ალერსით ის თითქოს შურს იძიებდა იმპერიაზე, რომელმაც საფრანგეთი უმნიშვნელო მაჩანჩალად გადააქცია. მხოლოდ ამჯერად მას ჟერვეზას იქ ყოფნა გადაავიწყდა. ჟერვეზამ უკვე გადაავლო წყალი იატაკს, გაწმინდა დუქანი და ახლა დახლთან იდგა თავისი ოცდაათი სუს მოლოდინში. ვირჯინიას თვალზე კოცნას ის აუღელვებლად შეხვდა, როგორც სრულიად ბუნებრივ ამბავს, რომელშიც იგი არ უნდა ჩარეულიყო. ვირჯინიას ეტყობოდა, რომ ცოტა დავთრები დაებნა და მან ჟერვეზას დახლზე დაუყარა ოცდაათი სუ. ჟერვეზა არ განძრეულა. ის თითქოს კვლავ რაღაცას ელოდა, იატაკის ხეხვის შემდეგ ჯერ ისევ ტორტმანებდა დასველებული და წუმპედან ამოთრეული ძაღლივით მახინჯი.

– მაშ, მან სულ არაფერი გითხრათ? – ბოლოს შეეკითხა ის მექუდეს.

– ვინ მან? – წამოიყვირა ლანტიემ, – აჰ! ჰო, ნანამ? არა, ამის მეტი არაფერი უთქვამს. რა ტუჩები აქვს იმ სალახანა გოგოს! მარწყვის პატარა ქოთანია სწორედ!

ჟერვეზა გავიდა. მას ხელში ეჭირა თავისი ოცდაათი სუ. მის ამოლუმპულ ფლოსტებს ჭყაპაჭყუპი გაჰქონდა, ტუმბოსავით გასდიოდა წყალი, სწორედ მუსიკიანი ფეხსაცმელი იყო, ერთსა და იმავე ჰანგს უკრავდა და ფართო ძირების სველ ნაკვალევს ტოვებდა ქვაფენილზე.

უბანში, ჟერვეზასავით მსმელი დედაკაცები ლაპარაკობდნენ, ის გულის დარდს იკლავს, თავისი ქალიშვილის დაცემის დასავიწყებლად სვამსო. თვითონ ჟერვეზაც, როცა დახლთან მაგარ სასმელს გადაჰკრავდა, ჯერ ჭიქით ხელში დრამატულ იერს მიიღებდა და, როცა ყელში ისხამდა სასმელს, ზედ აყოლებდა სურვილს, ბარემ სულიც ამომხადოსო. ხოლო, როდესაც სახლში გალეშილი დაბრუნდებოდა, ლუღლუღებდა, ეს დარდით მომდისო. მაგრამ პატიოსანი ხალხი მხრებს იჩეჩდა, იცოდნენ, რომ ის დიდი ხანია „ხაფანგში“ თავის ლოთობას დარდს აბრალებდა. ყოველ შემთხვევაში, ეს ბოთლის დარდი უფრო იყო. ეჭვგარეშეა, რომ დასაწყისში ჟერვეზა ვერ ინელებდა ნანას სახლიდან გავარდნას და, რაც კი პატიოსანი კიდევ დარჩენილიყო მასში, ღელავდა და ბობოქრობდა. ამასთან, საერთოდ, არც ერთ დედას არ ესიამოვნება ფიქრი, რომ აი, სწორედ ამ წუთში, შეიძლება რომელიღაც ვიგინდარასთან წევს მისი ქალიშვილი. მაგრამ ჟერვეზა უკვე მეტისმეტად იყო გამოთაყვანებული, გულიც მეტისმეტად გასრესოდა საიმისოდ, რომ დიდხანს შერჩენოდა სირცხვილის გრძნობა. მან ერთ ყურში შეუშვა, ხოლო მეორიდან გაუშვა ეს ამბავი. ისე მშვენივრად გაატარებდა ხოლმე მთელ კვირას, რომ ერთხელაც არ მოაგონდებოდა თავისი გარყვნილი გოგო. მაგრამ უეცრად ან მშიერ გულზე, ან

მაძღარზე მოერეოდა ხან სინაზე, ხან რისხვა, შეიპყრობდა გააფთრებული სურვილი, სადმე კუნჭულში ხელში ჩავარდნოდა ნანა, ეკოცნა მისთვის ან პირიქით, გაელახა იმის მიხედვით, თუ რა გუნებაზე იყო თვითონ იმ წუთში. ბოლოს ჟერვეზა იქამდე მივიდა, რომ სრულიად დაკარგა წარმოდგენა პატიოსნებაზე. მაგრამ ნანა ხომ მისი შვილი იყო! ჰოდა, როდესაც ვინმეს საკუთრება გააჩნია, ის ხომ არ ინდომებს, რომ ეს საკუთრება ორთქლად ქცეული წაუვიდეს ხელიდან?

როდესაც ჟერვეზას ამგვარი ფიქრები შეიპყრობდა, ჟანდარმის თვალით იწყებდა ქუჩების თვალიერებას. ახ! ერთი კი შენიშნოს სადმე ქუჩაში ის ჭუჭყიანი ნაძირალა და ახლა როგორ გამოიგდებს წინ სახლისკენ. იმ წელიწადს სულ გადააკეთეს ის უბანი. მაჟენტისა და ორნანოს ბულვარები გადაჭრეს, ხოლო პუასონიერის ძველი სადარაჯო გადაიტანეს და გარე ბულვარები გათხარეს. ძნელად საცნობი გახდა ეს უბანი. პუასონიერის ქუჩის ერთი მხარე მიწასთან იყო გასწორებული. ახლა გუტ-დორის ქუჩიდან მოჩანდა ფართო, ფარღალალა ადგილი, სადაც უხვად იყო მზეცა და სუფთა ჰაერიც. იმ ქოხმახების მაგივრად, რომლებიც გადასახედს ფარავდნენ, ახლა ორნანოს ბულვარზე აღიმართა უზარმაზარი, ექვსსართულიანი, ეკლესიასავით ჩუქურთმებით შემკული შენობა, რომლის ნათელი და ნაქარგი ვარდებით დაფარული ფანჯრების იქით სიმდიდრე იგრძნობოდა. ეს თეთრად მოქათქათე სახლი სწორედ ქუჩის პირდაპირ იყო აგებული და თითქოს ზედ შუქის ნაკადი ეფრქვეოდა. ამ სახლის გამო ყოველდღე კამათი ჰქონდათ ლანტიესა და პუასონს. მექუდეს სალაპარაკო მასალა არ ელეოდა, ის სულ პარიზის ნგრევაზე ლაპარაკობდა. ბრალად სდებდა იმპერატორს, რომ იგი ყველგან აშენებს სასახლეებს იმ მიზნით, რომ მუშები პროვინციაში გარეკოს. ხოლო ცივი მრისხანებისგან გაფითრებული პოლიციელი უმტკიცებდა მას, რომ პირიქით, იმპერატორი, პირველ ყოვლისა, ზრუნავს მუშებზე, რომ ის მზად არის, თუ ეს საჭირო გახდა, მთელი პარიზი აღგავოს პირისაგან მიწისა, მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ სამუშაო მისცეს მუშებს. ჟერვეზასაც აწუხებდა ეს რეკონსტრუქციები, რადგან ისინი ძირფესვიანად ცვლიდნენ გარეუბნის იმ ბნელ ქუჩაბანდს, რომელსაც იგი შეჩვეული იყო. მისი უკმაყოფილება უთუოდ იქიდან მომდინარეობდა, რომ უბანი მშვენიერდებოდა იმ დროს, როდესაც მისი ცხოვრება ნგრევის გზაზე დამდგარიყო. ვინც ჭუჭყშია ჩაფლული, მას არ უყვარს, როცა მზის შუქი პირდაპირ თავზე მიადგება. იმ დღეებში, როდესაც ჟერვეზა დაეძებდა ნანას, ის ცოფდებოდა, როცა სამშენებლო მასალებზე გადაბიჯება ან დანგრეულ ქვაფენილზე ღოღიალი უხდებოდა, ანდა გადაღობილ ადგილებს მიადგებოდა. ორნანოს ბულვარის მშვენიერი შენობა ხომ სულ უკარგავდა მოთმინებას. ამგვარი სახლები ხომ ნანასავით ნათრევი ქალებისთვის შენდებოდა.

ამის შემდეგ მან მრავალჯერ შეიტყო ნანას ამბავი. ყოველთვის მოიძებნებიან ბოროტი ენები, რომლებიც ჩქარობენ შეგატყობინონ უსიამოვნო ამბავი. ჟერვეზას უამბეს, რომ ნანამ უკვე მიატოვა თავისი მოხუცი, რომ ეს გამოუცდელი ქალის საქციელია. ამ მოხუცთან ის ძალიან კარგად ცხოვრობდა, ეს კაცი თავს ევლებოდა, ანებივრებდა და ნანას შეეძლო თავისუფლებით ესარგებლა, თუ ჭკვიანად მოიქცეოდა. მაგრამ

ახალგაზრდა ხომ სულელია, ნანა ვიღაც მოარშიყე ბიჭს წაჰყოლია, ხოლო სახელდობრ ვის, ეს ზუსტად არავინ იცოდა. სიმართლე ის იყო, რომ ერთ ნაშუადღევს ნანამ ბასტილიის მოედანზე, თავის მოხუცს სამი სუ სთხოვა მცირედი საჭიროებისთვის, და მას შემდეგ ამ კაცს იგი აღარც უნახავს. საუკეთესო საზოგადოებაში ამას ინგლისურად თავის დასველებას უწოდებენ. ზოგიერთები იწმუნებოდნენ, რომ ამის შემდეგ ნანა ლაშაპელის ქუჩაზე ნახეს „გრანსალონ დე ლა ფოლიში“, სადაც ის თავზე ხელაღებულ კანკანს ცეკვავდაო. მაშინ ჟერვეზამ გადაწყვიტა ხშირად ევლო უბნის ყველა საქეიფო დუქანში. ის არც ერთი დუქნის კარს ისე არ გაუვლიდა, რომ შიგ არ შესულიყო, თუ იქ საცეკვაო საღამო იყო გამართული. კუპოც თან დასდევდა. თავდაპირველად ისინი მხოლოდ შემოუვლიდნენ ხოლმე დარბაზებს და თან აკვირდებოდნენ ყველა ფეხმსუბუქ ქალს, რომლებიც იქ დაკუნტრუშებდნენ. შემდეგ ერთ საღამოს, როცა ფული გაუჩნდათ, მაგიდასაც მიუსხდნენ და ერთი სასალათე ფრანგულად შემზადებული ღვინო გადაჰკრეს გასაგრილებლად, თანაც იცდიდნენ, ეგებ ნანა შემოვიდესო. თვის ბოლოს მათ ნანა უკვე გადაავიწყდათ და დუქნებში საკუთარი სიამოვნებისთვის დადიოდნენ, ცეკვის ცქერა ეხალისებოდათ. ისინი საათობით, ხმაამოუღებლად ისხდნენ მაგიდასთან იდაყვდაყრდნობილები, ტვინგამოთქვეფილები იატაკის ზანზარში და, ეჭვგარეშეა, სიამოვნებით ადევნებდნენ მიმქრალ თვალებს მოცეკვავეთა ტრიალს, ამ სულის შემხუთველსა და წითელი შუქით განათებულ დარბაზში.

ერთხელ სწორედ ნოემბრის საღამოს, ისინი „გრანსალონ დე ლა ფოლიში“ შევიდნენ გასათბობად. გარეთ სუსხიანი ქარი იყო და პირდაპირ სახეში ურტყამდა გამვლელებს. დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. შიგ ისეთი გუგუნი ისმოდა, თითქოს ყველაფერი ქუხდა. ყოველ მაგიდასთან ხალხი იყო, დარბაზის შუაგულშიც – ხალხი, ჰაერშიც კი იყვნენ თითქოს ადამიანები დაკიდებულები. რესტორანი სწორედ საძეხვე დუქანს წარმოადგენდა. დიახ, მსუქანი საჭმლის მოყვარულები აქ კარგად დანაყრდებოდნენ. როდესაც კუპომ და ჟერვეზამ ორჯერ შემოუარეს დარბაზს და თავისუფალი მაგიდა ვერ ნახეს, გადაწყვიტეს, ფეხზე მდგომებს დაეცადათ, სანამ ადგილი გათავისუფლდებოდა. კუპო ხან ერთ ფეხს შეიცვლიდა, ხან მეორეს, ჭუჭყიანი ხალათით იყო, მაუდის უბრალო ქუდით, რომელიც ზედ კეფაზე ჰქონდა მიტყეპებული. რადგანაც კუპო შემოსასვლელ კართან იდგა და გზას უღობავდა შემომსვლელთ, მან შენიშნა, რომ ერთმა ახალგაზრდა, ჩია ტანის, გამხდარმა ყმაწვილმა თავისი პალტოს სახელო გაიწმინდა მას შემდეგ, რაც იდაყვი გაჰკრა კუპოს.

– თქვენ ერთი ამას უყურეთ, – წამოიყვირა გააფთრებულმა კუპომ და ჩიბუხი გამოიღო თავისი შავი პირიდან, – ბოდიშის მოხდა არ გეხერხებათ? თქვენ ზიზღს გრძნობთ, რადგან ხალათი მაცვია?

ახალგაზრდა კაცი მობრუნდა და ახედ-დახედა მესახურავეს, რომელიც განაგრძობდა: – შეიგნე, ქეციანო ლაწირაკო, რომ ხალათი საუკეთესო სამოსია. დიახ! შრომის

ტანისამოსია!.. ხომ არ გინდა, რომ ერთი ორიოდე მაგარი სილა გაჭამო! გინახავთ ოდესმე ამისთანა ყურუმსაღი? ესეც რომ მუშას შეურაცხყოფს.

ამაოდ ცდილობდა ჟერვეზა მის დაწყნარებას, კუპო განზრახ აჩენდა ძონძებს, ხალათზე ხელს ირტყამდა და ღრიალებდა: – აი აქ, ამის ქვეშ, ადამიანის გულია!

ახალგაზრდა კაცი ბრბოს შეერია ბუტბუტით: – დახეთ, ამ ჭუჭყიან მაწანწალას!

კუპოს უნდოდა დასწეოდა და ხელი ეტაცა მისთვის. ის პალტოიანებს თავს აბუჩად არ ააგდებინებს. ის გაუსწორდება ამ ყურუმსაღს, არამზადას, რომელიც, ალბათ ქალებისთვის არის აქ მოსული, ეგებ მუქთად რამე მიიღოს. თუ მივაგენი, მე დავაჩოქებ მას ხალათის წინაშე და სალამსაც კარგა მოვაცემინებო. მაგრამ ისეთი ჭედვა იყო, რომ ფეხის გადადგმა ძნელდებოდა. კუპო და ჟერვეზა ნელა ტრიალებდნენ მოცეკვავეთა ირგვლივ. სამ რიგად დაწყობილი ხალხი ერთმანეთს ეჭეჭყებოდა, ანთებული სახეებით შესცქეროდნენ ისინი, როცა რომელიმე კაცი გაიშხლართებოდა იატაკზე. ან რომელიმე ქალი ისე მაღლა ასწევდა ფეხს, რომ ყველაფერი გამოუჩნდებოდა... რადგან კუპო და ჟერვეზა ორივენი ჩია ტანისანი იყვნენ, ამიტომ ფეხის წვერებზე დგებოდნენ, რათა დაენახათ რამე: ან მოხტუნავე ქალის თმა, ან მამაკაცის ქუდი. ორკესტრი დანჯღრეული საკრავებით გაშმაგებით უკრავდა კადრილს და ამ ხმების ქარიშხლისგან დარბაზი ზანზარებდა. ხოლო ამ დროს მოცეკვავენი ფეხების ტყაპუნით ისეთ მტვერს აყენებდნენ, რომ აირმაშუქის ცეცხლი იბურებოდა. სულის შემხუთველი სიცხე იდგა.

– შეხე ერთი! – უეცრად წამოიძახა ჟერვეზამ.

– რა იყო?

– აი, ის ხავერდის ქუდი, იქით!

ორივე ფეხის თითებზე შედგა.

ეს იყო მარცხნივ, ძველი ხავერდის ქუდი, ორი დაფლეთილი ფრთით, რომლებიც ისე ქანაობდნენ, როგორც სამგლოვიარო ეტლის ჯიღა. ჟერვეზა და კუპო ხედავდნენ მხოლოდ ამ ქუდს: ის ჯოჯოხეთურ კანკანს ასრულებდა, ტრიალებდა, ხტოდა, ჩაყურყუმელავდებოდა და კვლავ ზევით ამოცურდებოდა. კუპოს და ჟერვეზას ზოგჯერ ამ გაშმაგებული თავების ხროვაში ეკარგებოდათ ეს ქუდი, მერე ისევ პოულობდნენ. სხვებზე უფრო მაღლა აწეულს და ისეთი სასაცილო კადნიერებით მოქანავეს, რომ ხალხი მათ ირგვლივ მარტო ამ მოცეკვავე ქუდს უყურებდა და ხარხარებდა, თუმცა არ იცოდა, იმის ქვეშ რა იმალებოდა.

– მერე რა? – შეეკითხა კუპო.

– მაგ ქუდს ვერ ცნობ? – წაიბუტბუტა ჟერვეზამ და სუნთქვა შეეკრა, – თავს მოვიჭრი, თუ ეგ ის არ არის.

მესახურავემ ერთი წაკვრით გაარღვია ბრბო. – ღმერთო დიდებულო! დიახ, ეს ნანა იყო! მაგრამ რა ტანისამოსში! მას ეცვა დუქნის მაგიდებზე ხახუნით მთლად გაქონილი ძველი აბრეშუმის კაბა, ჩამოგლეჯილი არშიებით, რომელთა ნაგლეჯებიც აქეთ-იქით ფრიალებდა. ამასთან წელზევით არაფერი ეცვა, შალიც არ ჰქონდა მოხურული მხრებზე და ცარიელი კორსაჟი უჩანდა დაგლეჯილი საღილე კილოებით. თქვენ ეს თქვით, რომ ამ წუნკალ, ქუჩის გოგოს ყურადღებიანი მოხუცი ჰყავდა, ეს საზიზღარი კი აქამდე დაეცა, რომ ვიღაც ბიჭს გაეკიდა, რომელიც მას, ალბათ სცემდა! მაგრამ რა გინდათ, ის ძალზე ნატიფი იყო, ეშხიანი, ტკბილი, პუდელივით აბურძგნილი, და მხიარული, უზარმაზარი ქუდის ქვეშ ვარდისფერი ტუჩები უჩანდა.

– დამაცადე, მე აგაცეკვებ კარგად! – წამოიყვირა კუპომ.

ბუნებრივია, ნანას ეჭვი არაფრის ჰქონდა. უნდა გენახათ, როგორ იგრიხებოდა, ხან მარცხნივ გაიქნევდა კურტუმს, ხან მარჯვნივ, რევერანსს აკეთებდა ისე, რომ წელში ორად იმტვრეოდა, ფეხები პირდაპირ კავალრის ცხვირ-პირთან მიჰქონდა, გეგონებოდათ, ახლავე გასკდებოდა. დამსწრეებმა წრე გააკეთეს და ტაშს უკრავდნენ. ცეკვით გატაცებული ნანა ბოლოკაბას რომ ხელს მოავლებდა, მაღლა იწევდა მუხლებამდე და გაცხარებულ კანკანში ირხეოდა. ხმაურით აღგზნებული ბზრიალასავით ტრიალებდა, მერე იატაკზე დაენარცხებოდა, თან ფეხებს იმდენად განზე გასწევდა, თითქოს იატაკზე იყო გაბრტყელებული, მერე მცირე მოძრაობით მოკრძალებულ ცეკვას დაუბრუნდებოდა. რანაირად არხევდა თეძოებს, ყელს, რა მოხდენილად, რა თვალისმომჭრელი სილაზათით! გინდოდათ გაგეტაცათ სადმე კუთხეში და ალერსით მოგეკლათ.

კუპო მოცეკვავეთა შორის გაჩნდა, შუაში შეიჭრა და არევ-დარევა გამოიწვია, რაზედაც მას აქეთ-იქიდან აღშფოთებით დაუყვირეს.

– მე თქვენ გეუბნებით, ეს ჩემი ქალიშვილია-მეთქი, – ყვიროდა კუპო, – გამიშვით, გავიარო!

ნანა სწორედ ამ დროს უკან-უკან დახევით მიდიოდა და თავისი ფრთებით იატაკს ჰგვიდა, უკანა ნაწილი მოიმრგვალა და ოდნავ არხევდა მეტი სიკოხტავისთვის. უცებ ლაზათიანი პანღური მიიღო კარგად შერჩეულ ადგილას. წელში გასწორდა და მთლად გაფითრდა, როცა იცნო თავისი დედ-მამა. აი, სად უმუხთლა ბედმა!

– გადით აქედან! – ღრიალებდნენ მოცეკვავენი.

მაგრამ კუპო, რომელმაც თავისი ქალიშვილის კავალერში ის პალტოიანი, გამხდარი ახალგაზრდა იცნო, არავის არაფრად აგდებდა.

– დიახ, ეს ჩვენ ვართ! – ღრიალებდა კუპო, – ჰა? არ ელოდი, განა?.. აჰა! აი, სად ჩაგიჭირეთ! მერე ვისთან ხარ, ამ ძუძუმწოვარასთან, რომელიც ეს არის ახლა უდიერად მომექცა?!

ჟერვეზას კრიჭა შეჰკვროდა, ხელს ჰკრავდა კუპოს, თანაც ელაპარაკებოდა: – გაჩუმდი!.. რა საჭიროა ამდენი ახსნა-განმარტება.

მერე ჟერვეზა თვითონ წავიდა წინ და ორი კარგი სილა სტკიცა ნანას. პირველმა სილამ ნანას ფრთებიანი ქუდი გვერდზე მოუქცია, ხოლო მეორემ წითელი ლაქა დაუტოვა თეთრად გადაპენტილ ლოყაზე. ნანა გაშტერებული იყო. უცრემლოდ მიიღო ეს გარტყმები, წინააღმდეგობის გაუწევლად, ხოლო ორკესტრი განაგრძობდა გრიალს, გაბრაზებული ბრბო კი გაცხარებით იმეორებდა: – გადით გარეთ! გარეთ გადით!

– აბა, გასწი! – მიმართა ჟერვეზამ, – წინ იარე, არ იფიქრო, ხელიდან დამისხლტე, თორემ ციხეში ამოგაყოფინებ თავს.

პალტოიანი ახალგაზრდა კაცი კეთილგონიერად მიიმალა. ნანა წინ მიდიოდა, ძალიან გაჭიმული, ჯერ კიდევ გონზე ვერ მოსულიყო ამ უბედური შემთხვევის გამო. საკმაო იყო ოდნავი შეფერხება, რომ უკნიდან ამოკრული პანღური კვლავ კარისკენ მიმავალს სწორ გზაზე აყენებდა. ასე გავიდნენ სამივენი ამ სავსე დარბაზიდან საერთო სიცილისა და უ-უ-ს ძახილში, ხოლო ორკესტრი პასტურელს ასრულებდა ისეთი გრიალით, გეგონებოდათ, ყუმბარები სკდებოდა.

განახლდა კვლავინდებური ცხოვრება. ნანა, მას შემდეგ, რაც თავის ძველ ოთახში თორმეტი საათი ეძინა, ერთი კვირის განმავლობაში კარგად იქცეოდა. ერთი პატარა, უბრალო კაბა შეიკერა, დაიხურა თავსაბური, რომლის ბაფთებსაც შინიონის ქვეშ იკრავდა. კეთილი სურვილით აღტყინებულმა სახლში მუშაობის სურვილიც განაცხადა. სახლში მუშაობით იმდენ ფულს აიღებ, რამდენიც გინდა. ამას გარდა, სახელოსნოს უწმაწური ლაპარაკიც არ გესმისო... ნანამ სამუშაო მოძებნა და თავისი სამუშაო ხელსაწყოთი მაგიდასთან მოეწყო. პირველ ხანებში დილის ხუთ საათზე დგებოდა იის ღეროების დასახვევად. მაგრამ, დაახვევდა თუ არა ერთ წყებას, მერე ხელებს ჭიმავდა, მკლავები ეხუთებოდა, რადგან ღეროების კეთებას გადაჩვეულიყო. ექვსი თვის განმავლობაში ლაღად სეირნობის შემდეგ ჩაკეტილი ჯდომა სულს უხუთავდა. ქილაში წებო გაშრა, ყვავილის ფურცლებსა და მწვანე ქაღალდს ქონიანი ლაქები ედებოდა, ერთი სამჯერ მაინც მოვიდა მეპატრონე და სცენებს უმართავდა ნანას, უკანვე ითხოვდა თავის გაფუჭებულ მასალას. ნანა უსაქმოდ დაეხეტებოდა, მუდამ მამისგან ნაცემი, დედას კრიჭაში უდგებოდა და დილა-საღამოს ჩხუბი ჰქონდათ. დედა-შვილი უშვერ სიტყვებს ახლიდა ერთმანეთს პირში. შეუძლებელი იყო, ასე გაგრძელებულიყო; მეთორმეტე დღეს ნანამ დაჰკრა ფეხი და გაიქცა, მთელ მის ბარგი-ბარხანას შეადგენდა უბრალო კაბა და ყურებზე ჩამოფხატული თავსაბური. ლორილეები, რომელთაც ამ გოგოს დაბრუნება და დანაშაულის

მონანიება გულზე ჰკბენდა, კინაღამ მიწაზე გაგორდნენ სიცილით. აი, ესეც მეორე წარმოდგენა, სანახაობა ნომერი ორი, ქალბატონებო! ვინც სენ-ლაზარში მიბრძანდებით, ეტლზე დაბრძანდით. არა, ეს მეტისმეტად კომიკური იყო! ნანამ შნოიანად იცის თავის დაძვრენა! ახ! კარგია! კუპოებს თუ სურთ ახლა მისი დატოვება, უნდა ერთი ადგილი გაუკერონ ან არა გალიაში ჩასვან.

კუპოებს ქვეყნის წინაშე ისე ეჭირათ თავი, თითქოს ძალიან კმაყოფილები იყვნენ ნანას თავიდან მოშორებით. გულის სიღრმეში კი გააფთრებულები იყვნენ. მალე მათ შეიტყვეს, რომ ნანა მათ უბანში დაეთრეოდა, ყურიც არ გაუბერტყავთ ამის გამო. ჟერვეზა ბრალად სდებდა ნანას, რომ ის ოჯახის თავლაფდასხმისთვის სჩადიოდა ამას. მაგრამ ჭორებს არაფრად აგდებდა. მე შემიძლია შევხვდე კიდეც ჩემს გათახსირებულ გოგოს, მაგრამ ხელსაც არ გავისვრი მასზე, რომ სილა გავაწნაო. დიახ, ეს უკვე ასეა! ჟერვეზამ შეიძლება იგი მიწაზე დაგდებულიც ნახოს, სული სძვრებოდეს შიშველ-ტიტველს ქვაფენილზე, მაგრამ ისე ჩაუვლის გვერდით, რომ არც კი იტყვის, რომ ეს გარეწარი მას მუცლით უტარებია. ნანა ყველა საცეკვაო საღამოზე ბრწყინავდა. იმ მიდამოებში მას ყველგან იცნობდნენ „რენ ბლანშიდან“ მოყოლებული „გრან სალონ დე ლა ფოლიმდე“... როდესაც ის „ელიზე მონმარტრში“ შევიდოდა, ხალხი მაგიდებზე შედგებოდა ხოლმე, რათა დაენახათ, თუ როგორ ასრულებდა „წუნია კიბოს“. ვინაიდან ორჯერ გამოაგდეს „შატო რუჟიდან“, ამიტომ ის მხოლოდ ამ კაფეს კარის წინ დახეტიალებდა, რომელიმე თავისი ნაცნობის მოლოდინში. ბულვარზე „ლა ბულ ნუარი“ და პუასონიერის ქუჩაზე „გრან ტიურკი“ რიგიანი კაფეები იყო, სადაც ნანა მხოლოდ მაშინ შედიოდა, როცა საცვალი ეცვა. მაგრამ ამ უბნის ყველა საქეიფო ბუნაგებში ნანას ერჩია „ბალ დე ლ’ერმიტაჟი“, ნესტიან ეზოში, და „ბალ რობერი“, კადრანის ჩიხში, ვინაიდან ამ ორ ჭუჭყიან, ნახევრად განათებულ დარბაზში ინტიმი სუფევდა. იქ ყველა კმაყოფილი იყო და თავისუფალი იმდენად, რომ კავალრები თავიანთ ქალებს ოთახის სიღრმეში კოცნიდნენ და ხელს არავინ უშლიდა. ნანას ჰქონდა თავისი მიქცევა და მოქცევა, ნამდვილი ჯადოსნური ჯოხის მოქნევით იგი ხან მორთულ-მოკაზმული იყო საუკეთესოდ ჩაცმული ქალივით, ხან კი კუდით ქუჩას ჰგვიდა, როგორც უკანასკნელი თხუპნია.

ბევრჯერ უფიქრიათ კუპოებს, რომ საეჭვო ადგილებში თითქოს თვალი მოჰკრეს თავიანთ ქალიშვილს, მაგრამ ზურგს აქცევდნენ ნანას, იქით მხარეს გადადიოდნენ, რათა იძულებული არ გამხდარიყვნენ ეცნოთ იგი! მათ აღარ ეხალისებოდათ ახლა მთელი დარბაზის სასაცილოდ გაეხადათ თავი მხოლოდ იმიტომ, რომ შინ წაეყვანათ ასეთი ნათრევი გოგო. მაგრამ ერთ საღამოს, საათის ათი იქნებოდა, უკვე დასაწოლად ემზადებოდნენ, რომ ვიღაცამ კარზე დააკაკუნა. ეს იყო ნანა, რომელმაც მშვიდად მოსთხოვა მათ ღამის გათევის ნებართვა. მაგრამ რა ყოფაში იყო, ღმერთო კეთილო! თავშიშველი, ჩამოფლეთილი კაბით, მოღრეცილი ფეხსაცმლით, ერთი სიტყვით, ისე იყო ჩაცმული, რომ ამისთანა შესახედაობის ადამიანები პოლიციის უბანში მიჰყავთ. რა თქმა უნდა, მიტყიპეს. ამის შემდეგ ის ხარბად ეძგერა ერთ ნაჭერ გამხმარ პურს და

ქანცმილეულმა ისე დაიძინა, რომ უკანასკნელი ლუკმა დაუღეჭავი შერჩა პირში. შემდეგ უკვე ნანამ ეს წესად დაიდო. როდესაც კი მოსულიერდებოდა, ერთ მშვენიერ დილას თვალსა და ხელს შუა გაქრებოდა. არსაიდან ჩამიჩუმი აღარ ისმოდა. ჩიტი უკვე გაფრენილი იყო. კვირები, თვეები გადიოდა, ის დაკარგული იყო, მერე უეცრად გამოჩნდებოდა. არასოდეს იტყოდა, საიდან მოვიდა, ხან ისეთი ტურტლიანი იყო, რომ მთელი მდინარე ვერ გარეცხავდა და სხეულიც თავით ფეხამდე დაფხაჭნილი ჰქონდა. ხან კარგად იყო ჩაცმული, მაგრამ ისეთი მოშვებული და გამოფიტული გარყვნილებით, რომ ფეხზე ძლივს დგებოდა. დედ-მამა იძულებული შეიქნა შეჩვეოდა ამ ამბავს. ცემა-ტყეპით არაფერი გამოდიოდა. თუმცა ისინი ურტყამდნენ, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა ნანას დედ-მამის ბინა სასტუმროდ მიეჩნია, სადაც ზოგჯერ ერთი კვირის განმავლობაში შეიძლებოდა ღამის გათევა. ნანამ იცოდა, რომ ეს საწოლი ერთ მიბეგვად დაუჯდებოდა, აწონ-დაწონიდა ხოლმე ამას და ამ გალახვის მისაღებად მივიდოდა, თუკი ეს სახეირო იყო მისთვის. ბოლოს ეს ცემაც მოსწყინდებათო. საბოლოოდ, კუპოები შეეჩვივნენ ნანას ამგვარ ქცევას. დაბრუნდებოდა ის თუ არ დაბრუნდებოდა, სულერთი იყო, ოღონდ კარს ღია ნუ დატოვებდა. ღმერთო ჩემო! ჩვეულება პატიოსნებასაც ისევე ცვეთს, როგორც სხვა დანარჩენ რამეს.

ერთადერთ რამეს გამოჰყავდა ჟერვეზა მოთმინებდიან. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც მისი ქალიშვილი გრძელკუდიანი კაბით და ფრთებით შემკული ქუდით მობრძანდებოდა. არა, ამ ფუფუნებას ვერ იტანდა ჟერვეზა, ყელზე ადგებოდა იგი. ნანამ იგარყვნილოს, თუკი ასე სურს. მაგრამ როდესაც დედასთან მოდის, ისე მაინც ჩაიცვას, როგორც ეს მუშა ქალს შეჰფერის. გრძელკუდიანი კაბები რევოლუციას ახდენდა მთელ სახლში: ლორილეები ხითხითებდნენ. გამხიარულებული ლანტიე გარს უვლიდა გოგოს, რათა მისი ნელსაცხებლის სურნელი ეყნოსა. ბოშები უკრძალავდნენ პოლინას ამ ოქრომკედებში გახვეულ უნამუსოსთან სიარულს. ჟერვეზა ასევე ჯავრობდა ნანას მაგარ ძილზე, როდესაც მას თავაშვებულობის შუადღემდე ეძინა მკერდგაღეღილს, თმაგაწეწილს, თმაში ჩარჩენილი სარჭებით და ისე იყო ხოლმე თეთრად გადაპენტილი და ისე შეუმჩნევლად, სულ ოდნავ სუნთქავდა, რომ მკვდარს ჰგავდა. ჟერვეზა ხუთჯერ თუ ექვსჯერ შეანჯღრევდა მას დილაობით, თანაც ემუქრებოდა, ერთ დოქ წყალს გადაგასხამო. ჟერვეზას აბრაზებდა, რომ ეს უსაქმური, ნახევრად შიშველი და გარყვნილებით გასუქებული ახალგაზრდა, ლამაზი ქალი ნებივრობდა სიყვარულში, რომელსაც თითქოს გაებერა მისი გათქვირული ტანი. ნანას გამოღვიძების თავიც კი აღარ ჰქონდა. ცალ თვალს გამოახელდა, მერე ისევ დახუჭავდა და განაგრძობდა ლოგინზე გდებას.

ერთხელ ჟერვეზამ მაგრად გამოლანძღა ქალიშვილი ამ გარყვნილი ცხოვრებისთვის და შეეკითხა, ისეთს რას გადაეკიდე, ასე დამსხვრეული რომ ხარო? ბოლოს მან თავისი მუქარაც შეასრულა და სველი ხელი დაარტყა ნანას შიშველ ტანზე. გააფთრებული გოგო ზეწარში გაეხვია და შეჰყვირა: – გეყოფა, გესმის, დედა!

ემჯობინება მამაკაცებზე არ ვილაპარაკოთ, შენ აკეთებდი იმას, რაც შენ გსურდა! მეც იმას ვაკეთებ, რაც მე მსურს!

– როგორ? როგორ? – წაილუღლუღა ჟერვეზამ.

– დიახ, მე არასოდეს არაფერი მითქვამს შენთვის ამაზე, რადგან ეს ჩემი საქმე არ იყო. მაინცდამაინც არც შენ ყოფილხარ ძალიან მორიდებული. ხშირად დამინახავხარ, საღამურით რომ გაისეირნებდი ხოლმე იქით, როცა მამა ხვრინავდა... ახლა შენ ეს აღარ მოგწონს. სამაგიეროდ, ახლა ეს სხვებს მოსწონთ, თავი დამანებე! არ უნდა გეჩვენებინა ჩემთვის ეს მაგალითი!

ჟერვეზა მთლად გადაფითრდა, ხელები აუცახცახდა, ტრიალებდა და თვითონაც არ იცოდა, რატომ. ამასობაში ნანა პირქვე დაემხო, ბალიშს ორივე ხელით მოეჭიდა და ტყვიასავით მძიმე ძილს მისცა თავი.

კუპო ბურტყუნებდა. მას უკვე ცემაზე ფიქრის თავიც აღარ ჰქონდა. მთლად გამოტვინდა, დავთრები აერია. შეუძლებელი იყო უზნეო მამა გეწოდებინათ კუპოსთვის, ვინაიდან სასმელმა სრულიად წაართვა მას სიკეთისა და ბოროტების შეგრძნება.

ახლა უკვე ასე დაწესდა, რომ კუპო ექვსი თვის განმავლობაში გამოუფხიზლებლად მთვრალი იყო. მერე სადღაც დავარდებოდა და წმინდა ანას თავშესაფარში ამოჰყოფდა თავს. ეს მისი აგარაკზე წასვლა იყო. ლორილეები ლაპარაკობდნენ, „ჰერცოგი დე ტიკჭორა“ თავის მამულში გაემგზავრაო. რამდენიმე კვირის შემდეგ კუპო თავშესაფრიდან გამოვიდოდა შეკეთებულ-შემოკეთებული და კვლავ საკუთარი თავის ნგრევას შეუდგებოდა იმ დღემდე, სანამ გვერდზე არ გადაიქცეოდა და კვლავ შეკეთება არ დასჭირდებოდა. ამრიგად, სამი წლის განმავლობაში ის შვიდჯერ შევიდა წმინდა ანას თავშესაფარში. უბანში ლაპარაკობდნენ, რომ იქ, პალატაში კუპოს ადგილს მუდამ უნახავენ. ამ ამბავში ცუდი ის იყო, რომ ეს გამოუსწორებელი ლოთი სულ უფრო და უფრო უარეს მდგომარეობაში ვარდებოდა და მისი ყოველი ახალი დაცემა და დაავადება ცხადყოფდა, რომ ამ ამბავს საბოლოო ზღართანიც მოჰყვებოდა, და ეს ავადმყოფი კასრი, რომლის სალტეებიც ერთიმეორის მიყოლებით სკდებოდა, უკანასკნელადაც გაიჭახუნებდა.

ამრიგად, ცხადია, ის არ გალამაზდებოდა. ისეთი სანახავი იყო, საიქიოდან მოსულს ჰგავდა. სასმლის შხამი სასტიკად ანადგურებდა. ალკოჰოლით გაჟღენთილი სხეული ისე მოეჭმუჭნა, როგორც აფთიაქის შუშის ქილაში შენახული ჩანასახი. როდესაც ფანჯრის წინ დგებოდა, ნეკნებში შუქი გასდიოდა, ისე გამხდარიყო. ჩავარდნილი ლოყები, წირპლიანი თვალები, მხოლოდ ცხვირი ჰქონდა გაძვალტყავებულ სიფათზე მშვენიერ მიხაკივით მუქწითლად აყვავებული. ის, ვინც მისი ასაკი იცოდა, – ორმოცი წელი, – ოდნავ შეკრთებოდა ხოლმე, როდესაც მას მიმავალს დაინახავდა. ის მოკაკული მიდიოდა, ტორტმანებდა, ქუჩის ქვაფენილივით დაბერებულიყო. ხელების კანკალი გაუძლიერდა, განსაკუთრებით მარჯვენა უცახცახებდა ისე, რომ

ზოგჯერ ორივე ხელით უნდა დაეჭირა ჭიქა და ისე მიეტანა ტუჩებთან. ოჰ! ეს ღვთისგან შეჩვენებული ცახცახი! ეს გარემოება იყო ერთადერთი რამ, რაც კიდევ ტანჯავდა მას, საერთოდ უკვე გაპირუტყვებულს. ხშირად ესმოდათ მისი ბუტბუტი, გააფთრებით რომ სწყევლიდა თავის ხელებს. ზოგჯერ ხედავდნენ, რომ საათობით მისჩერებოდა თავისი ხელების ცეკვას, უსიტყვოდ, გაჯავრებული უყურებდა, თუ როგორ ბაყაყებივით უხტოდა თითები და თითქოს უნდოდა შეეტყო, რა იყო ის შინაგანი მექანიზმი, რომელიც ასე ათამაშებდა მათ. ერთ საღამოს ჟერვეზამაც ნახა კუპო ამგვარ მდგომარეობაში. ლოთის დაჭმუჭნილ ლოყებზე ორი მსხვილი ცრემლი მოგორავდა.

ის უკანასკნელი ზაფხული, როდესაც ნანამ დედ-მამასთან სიარული დაიჩემა თავისი ღამეებისგან მონარჩენი დროის გასაჩანჩალებლად, განსაკუთრებით ცუდი იყო კუპოსთვის. ხმა სრულიად შეეცვალა, თითქოს არაყმა ახალი მუსიკა მომართა მის ყელში. ცალი ყურით დაყრუვდა. თვალში სინათლეც დააკლდა. კიბის მოაჯირზე ხელი უნდა მოეკიდა თუ არ უნდოდა დაგორებულიყო. რაც შეეხება ჯანმრთელობას, იგი როგორც იტყვიან, სადღაც განისვენებდა. საშინელი თავის ტკივილი დასჩემდა. ხანდახან ისე დაეხვეოდა თავბრუ, რომ ერთი სანთელი ოცდათექვსმეტად ეჩვენებოდა. უეცრად მწვავე ტკივილი აუვარდებოდა ხელ-ფეხში. გაფითრდებოდა და იძულებული იყო სკამზე ჩამომჯდარიყო. ასე გამოთაყვანებული იჯდა საათობით. ერთ-ერთი ასეთი შეტევის შემდეგ ცალი ხელი მოუდუნდა და მთელი დღის განმავლობაში ვეღარ გაანძრია. ხშირად ლოგინად იყო ჩავარდნილი. მოიკუნტებოდა ზეწარში გახვეული და სნეული პირუტყვივით ძლიერ და განუწყვეტლივ ქშინავდა. მაშინ განუახლდებოდა ის შეტევები, რომელთა გამოც ის წმინდა ანას თავშესაფარში მიჰყავდათ. შეშფოთებული, საშინელი ციებ-ცხელებით გატანჯული, გიჟური გაცოფებით გორაობდა და ტანზე ხალათს იხევდა, თან აცახცახებული ყბებით ყველაფერს ჰკბენდა, ან არადა, პირიქით, მეტისმეტად გულაჩუყებული ქალიშვილივით წუწუნებდა და ტირილით მოთქვამდა, ჩიოდა, არავის ვუყვარვარო. ერთ საღამოს ჟერვეზა და ნანა ერთად დაბრუნდნენ სახლში და კუპო საწოლში აღარ დაუხვდათ. თავის ადგილას ბალიში დაეწვინა, ხოლო თვითონ საწოლსა და კედელს შუა ნახეს დამალული, კბილს კბილზე აცემინებდა და ამბობდა, ვიღაც კაცები მოვიდნენ, რომელთაც ჩემი მოკვლა უნდოდათო. ქალები იძულებული გახდნენ, ხელახლა ლოგინში ჩაეწვინათ და ბავშვივით დაემშვიდებინათ.

კუპომ მხოლოდ ერთი წამალი იცოდა. ეს იყო ნახევარი კვარტი არაყი, რომელსაც ერთბაშად გადაჰკრავდა და, თითქოს სტომაქზე ჯოხი დაჰკრესო, ხელად ფეხზე დადგებოდა. ის ყოველ დილას ამით ჰკურნავდა თავს და ყელს ნახველისგან იწმენდდა. მეხსიერება დიდი ხანია დაკარგა, მისი თავის ქალა ამოცარიელებულიყო. ხოლო, როგორც კი ფეხზე წამოდგებოდა, სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა თავისი ავადმყოფობა, არასოდეს ცუდად არ გავმხდარვარო. დიახ, იმ წერტილამდე იყო მისული, როცა სული ამოხდომაზე აქვს კაცს და გაიძახის, კარგად ვარო. თუმცა სხვაფრივაც ურევდა უკვე. როდესაც ნანა ერთხელ ექვსი კვირის სეირნობის შემდეგ

დაბრუნდა, კუპოს ეგონა, რაღაცის საყიდლად იყო უბანში გასული და ეს-ეს არის, შემოვიდაო. ხშირად რომელიმე ვაჟბატონის მკლავზე დაკიდებული ნანა შეხვდებოდა მამას, და დასცინოდა. კუპო კი ვერ ცნობდა მას. ერთი სიტყვით, ის უკვე სათვალავში აღარ ეწერა. მის ქალს შეეძლო მასზე დამჯდარიყო კიდეც, თუ სკამს ვერ იშოვიდა.

ის-ის იყო პირველი ყინვები დაიჭირა, რომ ნანამ ხელახლა მოუსვა სახლიდან იმ მიზეზით, თითქოს მეხილესთან მიდიოდა იმის გასაგებად, ჰქონდა მას მოხარშული მსხალი თუ არა. ნანამ იგრძნო ზამთარი და არ უნდოდა ჩამქრალი ღუმლის წინ კბილების კაწკაწით ჯდომა. კუპოები იმით დაკმაყოფილდნენ, რომ მას ჭაკი ცხენი უწოდეს, რადგან მსხალს ელოდნენ. ეჭვგარეშეა, ნანა კვლავ დაბრუნდებოდა, წინა ზამთარსაც ასე არ იყო, ორი სუს თუთუნის მოსატანად გასული სამ კვირას დარჩა. მაგრამ განვლეს თვეებმა და გოგონა აღარ გამოჩნდა. ეტყობა, ამჟამად უკვე კარგად მოიკალათა სადღაც. აგერ, ივნისიც მოვიდა და მზესთან ერთადაც არ დაბრუნდა. უკვე ცხადი იყო, ტკბილ ლუკმას მიაგნო. ერთ დღეს კი, როცა ძალიან გაუჭირდათ, კუპოებმა ექვს ფრანკად გაყიდეს ქალიშვილის საწოლი და მიღებული ფულით სენტუენში გადაკრეს. ეს საწოლი უშლიდათ, ფეხებში ედებოდათ.

ივლისის ერთ დილას ვირჯინიამ დაუძახა ჟერვეზას, რომელიც მისი დუქნის წინ მიდიოდა და სთხოვა სასწრაფოდ მისთვის ჭურჭელი დაერეცხა, რადგან წინადღით ლანტიეს ორი მეგობარი ჰყავდა დაპატიჟებული. როდესაც ჟერვეზა რეცხავდა ქეიფის შემდეგ საკმაოდ გაქონილ ჭურჭელს, ლანტიემ, რომელიც კვლავ ამ დუქნის ქონებას მიირთმევდა, უეცრად წამოიძახა: – თქვენ იცით, ქალო! მე რომ ნანა ვნახე იმ დღეს.

ვირჯინიამ, რომელიც დახლთან იჯდა და შეშფოთებული სახით ათვალიერებდა დაცარიელებულ ქილებსა და უჯრებს, გააფთრებით გაიქნია თავი, მაგრამ შეეცადა არაფერი ეთქვა, რადგან შესაძლოა ეს მისთვის ცუდად დამთავრებულიყო. ლანტიე ხშირად ხედავდა ნანას. ოხ! ვირჯინია მდუღარეში ხელს ვერ ჩაყოფდა, რადგან ლანტიე ისეთი კაცი იყო, ყველაფერს ჩაიდენდა, თუკი ვისიმე კაბა უქროლავდა თავში. სწორედ ამ დროს შემოსულმა მადამ ლერამ, – ამჟამად დიდად დამეგობრებულმა ვირჯინიასთან, რომელიც მას საიდუმლოს ანდობდა, სახის თავისებურად ორაზროვანი გამომეტყველებით იკითხა: – რა ყოფაში ნახეთ იგი?

– ძალიან კარგ ყოფაში, – მიუგო მექუდემ, რომელსაც ეს შეკითხვა ესიამოვნა. თავმოწონებით გაიცინა და ულვაშიც გადაიგრიხა, – ეტლში იჯდა! მე კი ქუჩაში ტალახს ვზელდი... მართლა, მართლა, გეფიცებით! ამას ლაპარაკი არ უნდა, წარჩინებული ოჯახის შვილები, რომელნიც მასთან დაახლოებული არიან, თავს ბედნიერად გრძნობენ!

ლანტიეს თვალები აენთო, ის მიუბრუნდა ჟერვეზას, რომელიც დუქნის შუაგულში იდგა და ლანგარს წმენდდა.

– დიახ, ეტლში იჯდა, თან რა საუცხოოდ იყო ჩაცმული!.. მე ჯერ ვერ ვიცანი, წარჩინებული საზოგადოების ქალს ჰგავდა იმ თავისი თეთრი კიჭებით და ყვავილივით ნატიფი სახით... თვითონ დამიქნია სიცილით ხელთათმანი... ვფიქრობ, ვიღაც ვიკონტი[32] ჩაუგია ხელში. ოჰ! ძალიან დიდ ბედშია ჩავარდნილი. ჩვენ აღარც კი მოგვაფურთხებს, რად ვუნდივართ! ყველაფერი თავსაყარი აქვს ამ უნამუსოს... პატარა ფისოს სიყვარული! არა, თქვენ არ იცით, თუ რას ნიშნავს ერთი ამისთანა ფისუნია!

ჟერვეზა კვლავ ლანგარს წმენდდა, თუმცა ლანგარი დიდი ხანია სუფთა იყო და პრიალებდა. ვირჯინია ფიქრში წასულიყო, მას ორი თამასუქი აწუხებდა: არ იცოდა მეორე დღეს რით გაესტუმრებინა ისინი. ხოლო ამ დროს მსუქანი, მისი ტკბილეულით გათქვმრულ-ჩაშაქრული ლანტიე ცუგრუმელა გოგოებით გამოწვეული აღტაცებით ავსებდა საბაყლო დუქანს, რომლის სამი მეოთხედი უკვე შეეჭამა და რომელშიც გაკოტრების სუნი ტრიალებდა. დიახ, რამდენიმე დაშაქრული ნუში ჰქონდა კიდევ ასაწაპნი, და რამდენიმე ნაჭერი შაქარყინული შესაწუწნი, რათა პუასონების სავაჭრო არარაობად ექცია. უეცრად მოპირდაპირე ქვაფენილზე თვალი მოჰკრა პოლიციელს, რომელიც ამ დროს მორიგეობდა და ფორმაში გამოწყობილს ყველა ღილი შეეკრა, ხოლო სიარულის დროს გვერდზე ჩამოკიდული დაშნა ბარძაყზე ურტყამდა. ამან უფრო გაამხიარულა ლანტიე. მან ვირჯინიას ძალით დაანახვა თავისი ქმარი.

– ახ! რა კარგია! – წაიბუტბუტა ლანტიემ, – ბადენგი ამ დილით ძალიან სასაცილო სანახავია! ყურადღება! შარვალი უკან ძალიან აქვს გადაჭიმული, იქ ერთი შუშის თვალი უნდა გაიკეთოს, რომ უკნიდანაც უყუროს ხალხს.

როდესაც ჟერვეზა შინ დაბრუნდა, კუპო საწოლის პირზე ჩამომჯდარი დახვდა, მორიგი შეტევით გამოლენჩებული. მიმკვდარებული თვალებით ჩაშტერებოდა იატაკს. მთლად დამტვერილი ჟერვეზა იქვე ახლოს ჩამოჯდა სკამზე. ხელები ჭუჭყიან კაბაზე ჩამოეშვა და კარგა ხანს კუპოს პირდაპირ უსიტყვოდ იჯდა.

– ახალი ამბავი შევიტყვე, – წაიბურტყუნა ბოლოს, – შენი ქალი უნახავთ... დიახ, შენი ქალიშვილი დიდ ფუფუნებაშია და აღარ სჭირდები. აი, ვინ არის დიდ ბედში ჩავარდნილი... ახ! ღმერთო მაღალო! რას არ მივცემდი, ოღონდ კი მე ვყოფილიყავი მის ადგილას.

კუპო კვლავ იატაკს ჩაშტერებოდა. მერე მაღლა ასწია დაღმეჭილი, დანაოჭებული სახე და იდიოტური სიცილით ამოილუღლუღა: – მერე, ჩემო კარგო, მე ხომ არ გიჭერ... შენ ჯერ კიდევ არა გიშავს რა, როცა პირს დაიბან... ხომ იცი, ნათქვამია: ყოველ ალხანას თავისი ჩალხანა არ გამოელევაო... ჰოდა რა!.. თუკი შენ ამით კარაქს იშოვი ისპანახისთვის...

## თავი მეთორმეტე

ბინის ქირის გადახდის ვადის მომდევნო შაბათი 12 თუ 13 იანვარი იყო, – ჟერვეზას ეს უკვე ზუსტად არ ახსოვდა. მას თავგზა აებნა, გონება დაეკარგა, რადგან მთელმა საუკუნეებმა განვლო მას შემდეგ, რაც არაფერი ცხელი არ ჩასვლოდა მუცელში. ახ! რა ჯოჯოხეთური კვირა იყო! პირწმინდად გაფხეკილები იყვნენ. სამშაბათს ჰქონდათ ორი ოთხგირვანქიანი პური, რომელიც ხუთშაბათამდე ეყოთ. შემდეგ წინა დღით ნაპოვნი ერთი ხმელი ნატეხი და მერე ოცდათექვსმეტი საათის განმავლობაში აღარც ერთი ნამცეცი. ეს უკვე ნამდვილი შიმშილი იყო. რაღა უნდა ხსომებოდა ჟერვეზას. მხოლოდ ბეჭებზე გრძნობდა, გარეთ ისეთი ავდარი იყო, ძაღლი არ გაიგდებოდა. საშინელი სიცივე, ღუმლის დაღებულ ხახასავით გამურული, თოვლით დატენილი ცა, თუმცა კი თოვლი გაჯიუტდა, და არ მოდიოდა. როცა ზამთარია და მუცელი შიმშილით გეწვის, რაგინდ მაგრად უნდა მოიჭირო ქამარი, მაინც ვერ დანაყრდები.

შეიძლება საღამოს კუპომ მოიტანოს ფული. ამბობდა, ვმუშაობო. ყველაფერი შესაძლოა... თუმცა ჟერვეზა ბევრჯერ მოტყუებულა, მაგრამ ბოლოს მაინც ამ ფულის იმედით იყო და ელოდა. ჟერვეზას იმდენი რამ გადახდა თავს, რომ უბანში ერთ ჩვარს ვეღარ შოულობდა გასარეცხად. თვით იმ მოხუცმა ქალმაც, რომელსაც ოთახებს ულაგებდა, გარეთ გამოაგდო, რადგან აბრალებდა, ჩემს ლიქიორს სვამო. არავინ ახლოს აღარ იკარებდა, მთლად დაღუპული იყო, თუმცა ეს გულში უხაროდა კიდეც, რადგან დაქვეითების იმ წერტილამდე მიეღწია, როცა ადამიანს ურჩევნია სული ამოსძვრეს, ვიდრე თითი გაანძრიოს. ბოლოს და ბოლოს, კუპომ თუ ხელფასი მოიტანა, რამე ცხელს შეჭამენ. ამის მოლოდინში, სანამ შუადღე მოატანდა, ჟერვეზა დოშაკზე გაშოტილიყო, რადგან, როცა წამოწოლილი ხარ, ნაკლებად გრძნობ სიცივესაც და შიმშილსაც.

ჟერვეზა თუმცა დოშაკს უწოდებდა, მაგრამ სინამდვილეში ეს მხოლოდ კუთხეში მიყრილი ჩალა იყო. ცოლ-ქმრის ქვეშაგები და საწოლი ნელ-ნელა უბნის ძველმანებით მოვაჭრეთა ხელში გადავიდა. თავდაპირველად, როცა ძალიან გაუჭირდათ, ჟერვეზამ ლეიბი გადაარღვია და იქიდან მუჭა-მუჭა იღებდა მატყლს, რომელიც წინსაფარში გამოხვეული გაჰქონდა და გირვანქობით ყიდდა ბელომის ქუჩაზე. შემდეგ, როცა ლეიბი დაცარიელდა, ერთ დილას ოცდაათ სუდ გაყიდა ლეიბისპირი და ამით ყავა დალიეს. ამას ბალიშისპირი მოჰყვა, ხოლო ბალიშისპირებს ბალიშებიც, მხოლოდ ხის საწოლიღა დარჩა. საწოლს ხომ ვერ დაიჭერდა ჟერვეზა ხელში და ისე ვერ გაიტანდა, რადგან მას ბოშებისა ეშინოდა. ისინი, ალბათ, ერთ ალიაქოთს ატეხდნენ მთელ სახლში, სახლის პატრონის ამ უკანასკნელი გარანტიის გაფრენა რომ დაენახათ. მაგრამ, ამის მიუხედავად, ერთ საღამოს ჟერვეზამ კუპოს დახმარებით დრო იხელთა, როცა ბოშები სმა-ჭამით იყვნენ გართულნი, წყნარად დაშალა საწოლი, და ჯერ ფეხები, მერე საზურგეები და, ბოლოს, ძირითადი ჩარჩოც სათითაოდ გაზიდა. ამაში აღებული ათი ფრანკით სამ დღეს მოხრაკულებს მიირთმევდნენ. განა დოშაკი საკმარისი არ იქნებოდა? მაგრამ

ლეიბისპირს დოშაკისპირიც მიჰყვა. ამრიგად, შეიჭამა ყველაფერი, რაზედაც შეეძლოთ დაწოლილიყვნენ, ამასთან მათ კუჭიც მოეშალათ ოცდაოთხი საათის შიმშილის შემდეგ შეჭმული პურისგან. დარჩენილი ჩალის გაგვა ჯაგრისის ერთი წამოსმით შეიძლებოდა...

ჩალის გროვაზე ტანისამოსიანად დადგებული ჟერვეზა ძაღლივით მოკუნტულიყო, ფეხები გასათბობად ბოლოკაბის ძონძებქვეშ ჰქონდა ამოედო. ასე მოკრუნჩხულს ფართოდ გაეღო თვალები, და იმ დღეს არცთუ იმდენად მხიარული აზრები უტრიალებდა თავში. ახ! არა, დაწყევლოს ღმერთმა! ძაღლური ცხოვრებაა! უჭმელად ხომ ცხოვრების გაგრძელება არ შეიძლება. ჟერვეზა შიმშილს უკვე აღარ გრძნობდა, ოღონდ კუჭში რაღაც ტყვიასავით მძიმე, ხოლო თავის ქალაში თითქოს სიცარიელე ჰქონდა. ეჭვი არ იყო, ოთხკედელშუა სამხიარულოს ვერაფერს ხედავდა. ამჟამად ეს ძაღლის ბუნაგი იყო სწორედ, სადაც უბრალო წარმოდგენითაც კი არ ისურვებდნენ ცხოვრებას ის ლევრეტები,[33] რომლებიც ქუჩაში პალტოთი შემოსილები დაჰყავთ.

მიმქრალი თვალებით შეჰყურებდა ჟერვეზა გაცრეცილ კედლებს. დიდი ხანია, რად შიმშილმა აქედან ყველაფერი წაიღო. დარჩენილი იყო კამოდი, მაგიდა და ერთი სკამი. კამოდის მარმარილო და უჯრებიც იმავე გზით გაქრენ, რა გზითაც ხის საწოლი გაფრინდა. ხანძარიც კი უკეთესად ვერ გააჩანაგებდა ყველაფერს. წვრილმანები ხომ სულ დადნა, დაწყებული თორმეტ ფრანკად ღირებული ჯიბის საათიდან საოჯახო ფოტოებამდე, რომელთა ჩარჩოებიც ერთმა მოვაჭრე ქალმა შეიძინა. კეთილი და ყურადღებიანი იყო ეს მოვაჭრე, რომელთანაც ჟერვეზას მიჰქონდა ხან ქვაბი, ხან უთო, ხან სავარცხელი და ისიც გამოუწოდებდა ხოლმე ხან ხუთ სუს, ხან სამს, ხან ორს, იმის მიხედვით, თუ რა ნივთი იყო. და ამით ჟერვეზა ლუკმაპურით მაინც დანაყრდებოდა ხოლმე. ამჟამად უკვე აღარაფერი დარჩენოდა, გარდა სანთლის ნამწვის საწმენდი გატეხილი მაშისა, რომელშიც ეს ვაჭარი ქალი ერთ სუსაც აღარ იძლეოდა. ოხ! ჟერვეზას რომ სცოდნოდა, თუ ვინ ყიდულობდა ჩეჩქს, მტვერსა და სიბინძურეს, ის საჩქაროდ გახსნიდა დუქანს, იმდენი ჭუჭყი და ნაგავი ამკობდა ამ ოთახს! ჟერვეზა აბლაბუდების მეტს ვერაფერს ხედავდა კუთხეებში. აბლაბუდები შეიძლება ჭრილობისთვის იყოს კარგი, მაგრამ მყიდველი ჯერ არ არსებობდა. მაშინ იმედდაკარგული, რომ რამეს გაყიდდა, თავბრუდახვეული ჟერვეზა უფრო მოიკუნტა დოშაკზე. ერჩია ფანჯრიდან ეცქირა თოვლით დამძიმებული ცისთვის, დაენახა სევდიანი დღე, რომელიც ძვლების ტვინს უყინავდა.

რა უსიამოვნო მოწყენილობაა! რა საჭიროა ყველა ეს ფიქრი და თავის გამოლაყება? დაძინება მაინც შეეძლოს. მაგრამ მისი არეულ-დარეული, მოუწყობელი ქოხი მოსვენებას არ აძლევდა და თავში უჩაკუნებდა. მუსიე მარესკო, სახლის პატრონი, თავისი ფეხით ამოვიდა გუშინ და უთხრა, ბინიდან გაგრეკავთ თუ ამ ერთი კვირის განმავლობაში არ გადაიხდით ორ ვადაგადაცდენილ ბინის ქირასო. ძალიან კარგი! გაგვრეკოს! უეჭველია, ამაზე უარესად არ ვიქნებით ქვაფენილზე. ვერ უყურებთ თქვენ ამ წუნკალს პალტოთი და თბილი ხელთათმნით, ბინის ქირაზე სალაპარაკოდ რომ ამოდის! თითქოს გატენილი ქისა გვქონდეს სადმე გადამალული! ძაღლის

ნაშიერი! ჟერვეზას ფული ჰქონდეს და კუჭს ასე გაიხმობდა? პირველ ყოვლისა, მუცელში ჩაიყრიდა რამეს, წელები ერთიმეორეზე მიჰკვრია! მართლა, თავს გაუვიდა მაგ ჩათლახსა და ღიპიანს, მაგას! წავიდეს იქ, თქვენ რომ იცით, და კარგა ღრმად შებრძანდეს! ამ პირუტყვი კუპოსი არ იყოს, ისე ფეხს არ შემოადგამს სახლში, რომ ჟერვეზას არ მივარდეს და არ გალახოს. მასაც იმავე ადგილას ისტუმრებდა ჟერვეზა, სადაც სახლის პატრონს. ეშმაკმა უწყის, რა ფართო უნდა ყოფილიყო ეს ადგილი იმ საათში, როცა ჟერვეზა მთელ ქვეყანას იქ ისტუმრებდა, იმდენად მოწადინებული იყო თავიდან მოეშორებინა მთელი ქვეყანაცა და თვით სიცოცხლეც. სწორედ ჩხუბისთავად გადაიქცა ეს ქალი. კუპომ ერთი კეტი მოიტანა, რომელსაც ვირების მარაოს უწოდებდა, და უნდა გენახათ, როგორ აუქროლებდა ხოლმე ამ მარაოს თავის დიასახლისს, სულ ჭირის ოფლში აცურებდა. მაგრამ არც ჟერვეზა აკლებდა. დიდ სიკეთეს არც ის იჩენდა. იკბინებოდა და ჰკაწრავდა ქმარს. ისეთი ორომტრიალი და ცემა-ტყეპა გაიმართებოდა ხოლმე ამ ცარიელ ოთახში, ისე მაგრად ურტყამდნენ ერთმანეთს, რომ მართლაც პურის გემო ავიწყდებოდათ. ბოლოს ჟერვეზა ამ დაკადაკასაც აღარაფრად აგდებდა ისევე, როგორც ყოველივე დანარჩენს. კუპოს შეეძლო მთელი კვირები წმინდა ორშაბათად ექცია, თვეობით ესვა, შინ სასმლისგან გაგიჟებული დაბრუნებულიყო და ჟერვეზაც მიებეგვა. ყოველივე ამას შეჩვეული იყო ჟერვეზა. მას მხოლოდ აბეზარად მიაჩნდა კუპო, მეტი არაფერი. სწორედ ამისთანა დღეებში ჟერვეზა ჯანდაბაში, დიახ, ჯანდაბაში ისტუმრებდა თავის ღორ ქმარს! იქ მიბრძანდნენ ლორილეებიც, ბოშებიც, პუასონებიც, იქ მიბრძანდეს მთელი უბანიც, რომელმაც ის აითვალწუნა! მთელი პარიზიც იქ გაემგზავროსო. ჟერვეზა ერთი ხელის მოქნევით, უდიდესი გულგრილობის გამომხატველი ჟესტით ისტუმრებდა იქ მთელ პარიზს და ბედნიერი იყო, რომ ამით შურს იძიებდა მასზე.

საუბედუროდ, ყველაფერს შეიძლება შეეჩვიოს კაცი, მაგრამ უჭმელობის შეჩვევა რაღაც არ ხერხდება. მხოლოდ და მხოლოდ ამის გამო იყო ასე უგუნებოდ ჟერვეზაც. მას არაფრად მიაჩნდა, რომ უკანასკნელზე უკანასკნელი დედაკაცი იყო, რომ ფსკერზე სულ ძირს, ძირს, ღრმად ჩაშვებულიყო და ადამიანები ტანისამოსს იწმენდდნენ, როცა გვერდით ჩაუვლიდა. ცუდი ჩვევები აღარ აწუხებდა, შიმშილი კი შიგნეულს უწიწკნიდა განუწყვეტლივ! დიდი ხანია, რაც გემრიელ საჭმელს გამოეთხოვა. ახლა იქამდე დაეცა, რომ მზად იყო ყველაფერი შეეხეთქა, რასაც კი მიაგნებდა. ამჟამად მისთვის დიდი დღესასწაული იყო, თუ ყასაბს ხორცის ნარჩენებს გამოართმევდა ოთხ სუდ გირვანქას, ვინ იცის როდინდელს, რამდენი დღის ნაგდებს თეფშზე, ჩაშავებულს. ამ ხორცს ერთ მუჭა კარტოფილში აურევდა და ტაფაზე წვავდა, ან უკეთეს შემთხვევაში, ხარის გულს ხარშავდა და ეს ისეთი კერძი იყო მისთვის, რომ სულ ტუჩებს ილოკავდა. ზოგჯერ, როცა ღვინო ჰქონდა, შიგ პურის ნაჭრებს აწობდა. ეს სწორედ თუთიყუშის სამყოფი წვნიანი იყო. ორი სუს იტალიური ყველი, რამდენიმე ცალი ვაშლი ან მცირეოდენი ხმელი ლობიო საკუთარ წვენში მოხრაკულები, – ეს ხომ ისეთი საჭმელი იყო, რომლითაც ის ხშირად ვერ გაუმასპინძლდებოდა თავს. ჟერვეზა იქამდე დაქვეითდა, რომ საეჭვო დუქნებში ერთ სუდ ყიდულობდა აყროლებულ, შემწვარ ხორცის ნაჭრებთან შერეულ თევზის

ნარჩენებს. ამაზე უფრო დაბლაც დაეშვა: ერთ-ერთი რესტორნის მოწყალე მეპატრონესთან თხოულობდა მოსადილეების მორჩენილ ნამცეცებს, და ამ ნამცეცებისგან აკეთებდა შეჭამანდს, რომელსაც, რამდენადაც კი შეეძლო, ხანგრძლივად ათუხთუხებდა რომელიმე მეზობლის ღუმელზე. ისეთი შიმშილის დღეებიც დასდგომია, რომ დილაობით, სანამ ნაგვის გადამყრელები მივიდოდნენ მედუქნეთა კარის წინ, ძაღლებთან ერთად დაძრწოდა და ზოგჯერ იქ მდიდართა საჭმელებსაც პოულობდა, დამპალ ნესვს, კატლეტებს, რომელთაც ძვალს უსინჯავდა, რომ მატლი არ ჰქონოდა, დიახ, ის აქამდე მივიდა! ფაქიზ კაცს ზიზღს ჰგვრის ამაზე ფიქრი, მაგრამ, თუ ეს აზიზი ადამიანი სამ დღეს არაფერს შეჭამს, დავინახავთ, თუ როგორ შემოსწყრება საკუთარ მუცელს. დაოთხილი დაიწყებს ისიც ძმობილებთან ერთად ნაგავში საჭმლის ძებნას. ოჰ! ეს ღარიბთა შიმშილი, ცარიელი მუცლის კივილი, როცა ადამიანს მხეცივით აუკაწკაწებს კბილებს და ის მზად არის ყოველი უწმინდურება ჩაიტენოს პირში ამ უზარმაზარ, მოვარაყებულ ბრწყინვალე პარიზში. თქვენ ის თქვით, რომ ჟერვეზა ოდესღაც მსუქანი ბატის შიგნეულს არ კადრულობდა. ახლა მას საყნოსავადაც აღარ ჰქონდა ეს შიგნეული. ერთ დღეს კუპომ ორი კარგი ნაჭერი პური ასწაპნა ჟერვეზას, რათა გაეყიდა და არაყი გადაეკრა, ხოლო დამშეული ჟერვეზა ისე გაცოფდა ამ ორი ნაჭერი პურის მოპარვის გამო, რომ კინაღამ ბარის დაკვრით მოკლა ქმარი.

ამასობაში, ფერმკრთალი ცის ცქერით დაღლილ ჟერვეზას მძიმე ძილით ცოტა ხნით ჩაეძინა. სიზმარში ხედავდა, რომ თოვლით სავსე ცა ზედ ჩამოექცა, იმდენად ჰკბენდა სიცივე. უეცრად ფეხზე წამოიჭრა, სიმწრის ჟრუანტელმა გამოაღვიძა იგი. ღმერთო ჩემო! ხომ არ კვდება? აცახცახებულმა და გონებააბნეულმა დაინახა, რომ ჯერ კიდევ დღე იყო, მაშ, აღარ უნდა მოვიდეს ღამე! რანაირად მიღოღავს დრო, როცა მუცელში არაფერი გაქვს. კუჭმაც გამოაღვიძა და წვალება დაუწყო. ის სკამზე დაეცა, დაბლა ჩაღუნა თავი, ხელები გასათბობად მუხლებში ამოიდო და ანგარიშობდა, თუ რა დაუჯდებოდა სადილი, როცა კუპო ფულს მოიტანდა. ერთი პური, ერთი ბოთლი ღვინო, ორი ულუფა ლიონურად მომზადებული ხაში. ბიძია ბაზუჟის გუგულიან საათზე სამჯერ დაჰკრა. მხოლოდ სამი საათი იყო. ჟერვეზამ იტირა. არა, შვიდ საათამდე ცდას ვეღარ შეძლებს. მთელი სხეულით ქანაობდა, ფეხებს აბაკუნებდა პატარა გოგოსავით, რომელსაც ტკივილის გაყუჩება სურს. ორად მოკაკულიყო, კუჭს ისრესდა, რათა აღარ ეგრძნო იგი. ახ! სჯობია შობო, ვიდრე გშიოდეს! შემსუბუქება რომ ვერ იგრძნო, გაცოფებული წამოხტა და ოთახში დაიწყო სიარული იმ იმედით, რომ შიმშილს მიაძინებდა ბავშვივით, რომელსაც აქეთ-იქით დაასეირნებენ. ნახევარი საათის განმავლობაში ასე ეჯახებოდა ცარიელი ოთახის ოთხივე კუთხეს. მერე უეცრად შეჩერდა, თვალი გაუშტერდა. რა გაეწყობა, დაე, ილაპარაკონ! რაც უნდათ, ის თქვან. თუ უნდათ, ჟერვეზა ფეხებსაც აულოკავს მათ, მაგრამ ის მაინც უნდა წავიდეს და ათ სუს დაესესხოს ლორილეებს.

ზამთრობით სახლის ამ კიბეზე, ამ ღატაკთა კიბეზე, განუწყვეტელი სესხობანა იყო გამართული. სესხულობდნენ ათ სუს, ოც სუს, – ეს იყო პატარა სამსახური, რომელსაც

ერთმანეთს უწევდნენ შიმშილისგან სიკვდილის პირს მისული ადამიანები. მაგრამ ისინი სიკვდილს არჩევდნენ ლორილეებისთვის მიმართვას, რადგან იცოდნენ მათი სიძუნწის ამბავი. ჟერვეზა ახლა დიდ გაბედულებას იჩენდა, რომ მათთან მიდიოდა კარზე მისაკაკუნებლად. ის ისეთ შიშს გრძნობდა დერეფანში, რომ უეცრად შვება იგრძნო იმ ადამინივით, რომელიც კბილის ექიმს ურეკავს.

– შემოდით! – მჭახე ხმით შეჰყვირა მეძეწკვემ.

ოჰ, რა კარგი იყო იქ, შიგნით! ქურაში მოგიზგიზე ცეცხლი თეთრი ალით აშუქებდა ვიწრო სახელოსნოს, ხოლო ამ დროს მადამ ლორილე ოქროს ძაფს ატარებდა ცეცხლში გასავარვარებლად. ისეთი სიცხე იყო, რომ ლორილეს დაზგის წინ ოფლი სდიოდა. ის სარჩილავზე რგოლებს რჩილავდა, ღუმელზე კი კომბოსტოს წვენი თუხთუხებდა. ისეთი კარგი სუნი ჰქონდა და ისეთი ორთქლი ასდიოდა, რომ ჟერვეზას შიმშილისგან კინაღამ გული შეუღონდა.

– ახ, ეს თქვენ ხართ? – წაიბურტყუნა მადამ ლორილემ და დაჯდომაც კი არ შესთავაზა ჟერვეზას, – რა გნებავთ?

ჟერვეზამ არაფერი უპასუხა. ამ კვირის განმავლობაში მას ცუდი განწყობილება არ ჰქონდა ლორილეებთან. მაგრამ ათი სუს მოთხოვნა ყელში გაეჭედა, რადგანაც იქ შენიშნა ბოში, რომელიც ღუმელს ახლოს მისჯდომოდა და საჭორაოდ გამზადებულიყო. თითქოს მთელი ქვეყანა ფეხებზე ეკიდა, ისეთი შესახედაობა ჰქონდა ამ პირუტყვს. ის იცინოდა უტიფრად, ლოყები ისე გამობერვოდა, რომ ცხვირი აღარ უჩანდა. მართლაც რომ ღორი იყო ნამდვილი, უტიფარი!

– რა გნებავთ? – გაიმეორა მადამ ლორილემ.

– კუპო ხომ არ გინახავთ? – წამოიტიტინა ბოლოს ჟერვეზამ, – მე ის აქ მეგონა.

მეძეწკვეებმა და მეეზოვემ ჩაიხითხითეს. არა, რა თქმა უნდა, მათ არ უნახავთ კუპო. მათ პატარა ჭიქებით ღვინო ხომ არ უდგათ, რომ კუპო ნახონ თავის სახლში... ჟერვეზამ თავს ძალა დაატანა და ენის ბორძიკით წარმოთქვა: – ის დამპირდა, რომ დაბრუნდებოდა... დიახ, მან ფული უნდა მომიტანოს... რადგან მე აუცილებლად მჭირდება რაღაც-რაღაცები...

ღრმა დუმილი გამეფდა. მადამ ლორილე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ქურაში ცეცხლს უბერავდა, ხოლო მუსიე ლორილემ ცხვირი დაუშვა ძეწკვისკენ, რომელიც თითებშუა ეჭირა გაჭიმული. ბოშს სახეზე ბადრი მთვარესავით სიცილი გადაჰფენოდა.

– ათი სუ მაინც რომ მქონოდა, – ხმადაბლა წაიბუტბუტა ჟერვეზამ.

დუმილი გრძელდებოდა.

– თქვენ ვერ შესძლებდით, რომ ათი სუ გესესხებინათ ჩემთვის?.. ჰო, მე ამ საღამოსვე დაგიბრუნებთ ამ ფულს.

მადამ ლორილე მობრუნდა და დაკვირვებით მიაშტერდა მას. ამას ვერ უყურებთ, მიკიბ-მოკიბვით ფულის დასატყუებლად მოსულა მათთან. დღეს ათს გამოგვცინლავს, ხვალ უკვე ოცს და მერე ამას ბოლოც აღარ ექნება. არა, ეგეთები არ იყოს!

– კი, მაგრამ, ჩემო კარგო, – წამოიყვირა მადამ ლორილემ, – თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ ჩვენ ფული არა გვაქვს! აჰა, გადმობრუნებულია ჩემი ჯიბე. შეგიძლიათ გაგვჩხრიკოთ... რომ გვქონოდა, ბუნებრივია, ეს კეთილი გულით იქნებოდა.

– დიახ, კეთილი გულით, მუდამაც, – წაიბურტყუნა ლორილემ, – მაგრამ, რაც არ შეგიძლია, არ შეგიძლია.

ჟერვეზა დასტურის ნიშნად ძალიან მოკრძალებით უქნევდა თავს, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც არ მიდიოდა. ცალი თვალით ალმაცერად გაჰყურებდა კედლებზე ჩამოკიდებულ ოქროს მავთულების შეკრულას. უყურებდა ოქროს ძაფს, რომელიც ცოლს პატარა ხელების დაძაბვით გამოჰყავდა, უყურებდა ოქროს რგოლების გროვას ქმრის დაკოჟრებულ თითებში და ჟერვეზა ფიქრობდა, რომ ერთი პატარა ნაჭერი ამ საზიზღარი ლითონისა სულ იკმარებდა მისთვის, ერთ კაი სადილს აჭმევდა. იმ დღეს სახელოსნო მშვენიერი იყო თავისი ჭუჭყით, ძველი რკინეულით, ნახშირის მტვრით, ცუდად გადაწმენდილი ქონიანი ლაქებით. ჟერვეზას ის ზარაფხანის დუქანივით სიმდიდრით გაბრწყინებული ეჩვენებოდა. ერთხელ კიდევ გაბედა და გაიმეორა წყნარად: – მე ამ ფულს დაგიბრუნებთ, დაგიბრუნებთ უსათუოდ, სულ ათი სუ, ეს თქვენთვის ძნელი არ იქნება.

მაშინ ლორილეებმა ტუჩი მოიკვნიტეს და ოდნავ გადახედეს ერთმანეთს. ჩაუხა უკვე მათხოვრობს! ძალიან კარგი! ეს უკვე სრული განადგურებაა, მთლად ფსკერისკენ წასვლა. მათ არ უყვართ ესეთები! მათ რომ ეს სცოდნოდათ, კარებში ბარიკადებს ააგებდნენ, რადგან მათხოვრებთან კაცს მუდამ ფხიზლად უნდა ეჭიროს თვალი. ისინი ხომ ისეთი ხალხია, რომ რამე საბაბით შემოდიან სახლში და მერე წასვლისას რომელიმე ძვირფას ნივთს ხელს გააყოლებენ. მით უმეტეს, რომ მათთან მოიძებნება რაიმე მოსაპარავი. საკმარისია ხელი გაიწვდინო აქეთ-იქით და ოცდაათი და ორმოცი ფრანკისა წაიღო მუჭით. მათ უკვე მრავალჯერ აუღიათ ეჭვი ჟერვეზაზე, ის ისეთი უცნაური გამომეტყველებით დადგება ხოლმე და უყურებს ამ ოქროს. ახლა კი თვალყური უნდა ადევნონ მას და, რადგანაც ჟერვეზა უფრო მეტად მოახლოვდა და ხის ლასტზე შედგა ფეხი, მეძეწკვემ, რომელსაც ჯერ თხოვნაზედაც არ მიეცა მისთვის პასუხი, უხეშად დაუყვირა: – თქვენ, ეი! ცოტა ყურადღებით იყავით, შეიძლება ოქროს ნახერხი გაიყოლოთ ფეხსაცმლის ძირზე... მართლაც კაცს შეუძლია იფიქროს, რომ გაზრახ გაგიტალახიანებიათ ფეხები, რათა ზედ ოქრო მიეკროს.

ჟერვეზამ ნელა დაიხია უკან. წუთით თაროებს მიეყრდნო და, როცა დაინახა, რომ მადამ ლორილე მას ხელებს უსინჯავდა, უფრო გადაშალა და დაანახვა, თან გაუჯავრებლად, ვით დაცემულმა ქალმა, რომლისთვისაც ყველაფერი მისაღებია, წარმოთქვა: – არაფერი ამიღია, შეგიძლიათ ნახოთ, – და ოთახიდან გავიდა, რადგან კომბოსტოს წვნიანის მაგარი სუნი და სახელოსნოს სასიამოვნო სითბო ძალიან ცუდად ხდიდა.

რასაკვირველია, ლორილეები კაბის კალთზე არ დასჭიდებიან. კეთილი მგზავრობა! შეჩვენებულები იქნებიან თუ კიდევ კარი გაუღეს ოდესმე! ეყოფათ მისი სიფათის ყურება, მათ არ სურთ თავიანთ სახლში სხვის სიღატაკეს უმზირონ, მით უმეტეს, როდესაც ეს სიღატაკე დამსახურებულია. ეგოიზმის დიდ სიხარულს მიეცნენ ლორილეები, რომ ასე კეთილად იყვნენ მოწყობილნი, რომ ასე ძალიან თბილოდა მათთან და თანაც გემრიელ წვნიანს ხარშავდნენ. ბოშიც გადაწვა ლაღად და ისე ბერავდა ლოყებს, რომ მისი სიცილი უკვე ურიგობაში გადადიოდა. კმაყოფილები იყვნენ ყველანი, რომ ასე კარგად იძიეს შური ჩაუხაზე, მისი ჭამა-სმის და სხვა დანარჩენის გამო, კარგად გამოვიდა ყველაფერი. ეს ამტკიცებდა, თუ სად მიჰყავს ადამიანი სიწუწკეს, გემრიელი საჭმლის სიყვარულს. შორს ჩვენგან ღორმუცელა, ზარმაცი და გარყვნილი ქალები!

– ნახეთ, რა ყაიდის ქალია! მოსულა და ათ სუს გვეღიტინება! – ზურგში მიაყვირა ჟერვეზას მადამ ლორილემ, – დიახ! მაგის მეტი დარდი აღარა მაქვს, რომ მაგას იმ წუთშივე მივართვა ათი სუ, რათა წავიდეს და არაყი გადაკრას!

ჟერვეზა დერეფანში მიაფრატუნებდა ფლოსტებს, დამძიმებული და მხრებში წახრილი. როდესაც თავისი ოთახის კარს მიადგა, შიგ არ შესულა. ეს ოთახი მას შიშს ჰგვრიდა უკვე. ხოლო რაც უფრო მეტს დადიოდა, მით უფრო მეტ სითბოს გრძნობდა და შიმშილსაც უფრო ითმენდა. გზაზე კისერი წაიწვდინა და კიბის ქვეშ ბიძია ბრიუს ბუნაგში შეიხედა. აგერ, ერთი არსება კიდევ, რომელსაც კარგი მადა უნდა ჰქონდეს, რადგან სამი დღეა, პირში ნამცეცი არ ჩასვლია, ჰაერით იკვებებოდა მხოლოდ. მაგრამ ბიძია ბრიუ იქ არ აღმოჩნდა. მხოლოდ მისი ხვრელი იყო იქ და ჟერვეზას შური აღეძრა, ეგებ ვინმემ მიიპატიჟაო. შემდეგ. როდესაც ჟერვეზა ბიჟარების ბინის წინ გაჩერდა, იქიდან კვნესა შემოესმა. ჟერვეზა შიგ შევიდა, რადგან გასაღები კლიტეზე იყო დარჩენილი.

– რა ამბავია? – იკითხა მან.

ოთახი ძალიან სუფთად იყო დაწმენდილი. დილით ხედავდნენ კარგად, რომ ლალი გვიდა და ალაგებდა ყველაფერს... მართალია, სიღატაკის სუნი ტრიალებდა აქ და სიღატაკეს კი მუდამ თანა სდევს ბარგი-ბარხანის გაყიდვა და უამრავი ჩეჩქის დაგროვება, მაგრამ ლალი ფეხდაფეხ მისდევდა გაჭირვებას, წმენდდა და ხეხავდა ყველაფერს და სასიამოვნო ელფერს აძლევდა გარემოს. თუ აქ სიმდიდრე არ იყო, დიასახლისის კარგი ხელი მაინც იგრძნობოდა. იმ დღეს ლალის უმცროს და-ძმას,

ჰანრიეტს და ჟიულს ძველი ნახატები ეპოვათ და დამშვიდებით ჭრიდნენ ამ ნახატებს კუთხეში. ჟერვეზა ძალიან გაოცებული დარჩა, როდესაც ლალი ვიწრო, სალტეებიან საწოლზე დაინახა, ზეწარი ნიკაპამდე მიეფარებინა და ძალიან გაფითრებული იყო. ლალი და მწოლიარე?! მაშ, ძალიან ავად უნდა ყოფილიყო!

– რა დაგემართათ? – გაიმეორა შეშფოთებულმა ჟერვეზამ.

ლალი აღარ კვნესოდა. ნელა ასწია გათეთრებული ქუთუთოები და შეეცადა გაეღიმა.

– არაფერია, – ოდნავ გასაგონად წაიჩურჩულა მან, – ოხ! დიახ, მართლა, სრულებით არაფერი.

მერე თვალები დახუჭა და ძლივძლივობით დაუმატა: – ძალიან დავიღალე ამ დღეებში, ახლა კი ვზარმაცობ, ხომ ხედავთ, ვგორაობ ლოგინში.

მაგრამ მისმა ბავშვურმა, თეთრი ლაქებით აჭრელებულმა სახემ ისეთი უსაზღვრო ტანჯვის გამომეტყველება მიიღო, რომ ჟერვეზას დაავიწყდა თავისი სულის ღაფვა. მან ხელი ხელზე გადააჭდო და მუხლზე დაეცა ლალის წინ. უკვე ერთი თვე იყო, რაც ჟერვეზა ხედავდა, რომ ლალი ხელით კედელს ეჭიდებოდა სიარულის დროს. ორად მოკაკულიყო და თითქოს სამარიდან ისმოდა მისი ხველა. პატარა გოგოს ახლა დახველებაც აღარ შეეძლო. მას წამოასლოკინა და სისხლის ზოლები წამოუვიდა ტუჩის კუთხეებში.

– ეს ჩემი ბრალი არ არის, ღონე აღარ მაქვს, – წაიბუტბუტა და თითქოს შვება იგრძნო, – ბევრი ვიფარფატე, ცოტა მივალაგ-მოვალაგე... საკმაოდ სუფთად არის, ხომ?.. ფანჯრებიც მინდოდა გამეწმინდა, მაგრამ ფეხები აღარ დამემორჩილა. რა სისულელეა! ბოლოს და ბოლოს, როცა საქმეს მორჩებიან, წამოწვებიან ხოლმე.

მერე შეჩერდა და თქვა: – მიხედეთ ერთი, მაკრატლით ხომ არაფერი გაიჭრეს ჩემმა პატარებმა.

ლალი გაჩუმდა და კანკალით ყური დაუგდო მძიმე ნაბიჯებს კიბეზე. კარი ბიძია ბიჟარმა მხეცურად შემოაღო. ის, ჩვეულებისამებრ, გადაკრულში იყო და თვალები ცოფიანი, ლოთური სიგიჟით ანთებოდა. როდესაც ლალი მწოლიარე დაინახა, ბარძაყზე ხელი შემოიკრა და ჩაიხითხითა, მერე დიდი შოლტი ჩამოიღო კედლიდან ბურტყუნით: – ახ! დალახვროს ღმერთმა! ეს უკვე ნამეტანია! ჩვენ ახლა ვიცინებთ!.. ძროხები უკვე დღისით-მზისით წვებიან ჩალაზე, შენ სასაცილოდ ხომ არ იგდებ ხალხს, წყეულო უქნარავ!.. აბა, ჰოპ! წამოვდგეთ!

და მან უკვე საწოლთან აატყლაშუნა შოლტი, ხოლო ბავშვი ვედრებით იმეორებდა: – არა, მამა, ნუ დამარტყამ, გეხვეწები... გეფიცები, თვითონ ინანებ ამას... ნუ დამარტყამ!

– გსურს თუ არა გადმოხტომა? – უფრო ხმამაღლა დაიღრიალა ბიჟარმა, – თორემ წამოვიდა, იცოდე, ნეკნებში აგიღიტინებ!.. გსურს თუ არა გადმოხტომა, საცოდავო ჯაგლაგო!

მაშინ ლალიმ წყნარად უთხრა: – მე არ შემიძლია გესმის?.. მე ვკვდები.

ჟერვეზა ეძგერა ბიჟარს და შოლტი გამოსტაცა. გამოლეჩებული ბიჟარი თასმებიანი საწოლის წინ იდგა. რას მღერის ეს ცინგლიანი გოგო? განა ასეთი ახალგაზრდები კვდებიან, როცა ავადაც არ ყოფილან? აქ რაღაც თვალთმაქცობაა დაფარული, მას სურს შაქარი მიიღოს! ახ! ბიჟარი გამოარკვევს ამას, მაგრამ თუ გოგო ტყუილს ამბობს!..

– შენ დაინახავ, რომ ეს სიმართლეა, – განაგრძობდა ლალი, – სანამ შემეძლო, ვცდილობდი თქვენთვის ამეცდინა მწუხარება... იყავი კარგი ამ საათში, მამავ, და მითხარი მშვიდობით.

ბიჟარი ცხვირზე ხელს ისვამდა იმის შიშით, რომ ანკესზე არ წამოგებულიყო. თუმცა ეს სიმართლეს ჰგავდა რაღაც, რადგან ამ გომბიოს... უცნაური სახე გაუხდა, ჩამოუგრძელდა დიდი ადამიანივით.

სიკვდილის სუნთქვამ გაირბინა ოთახში და ბიჟარი გამოაფხიზლა. მან თვალი შემოავლო ირგვლივ, თითქოს დიდი ხნის ძილს დააღწია თავი, და დაინახა, რომ ოჯახში ყველაფერი რიგზე იყო, სუფთად დაბანილი ბავშვები თამაშობდნენ და იცინოდნენ. ბიჟარი სკამზე დაეშვა ბუტბუტით: – ჩვენი პატარა დედა, ჩვენი პატარა დედა...

მან სხვა ამის მეტი ვერაფერი იპოვა და უკვე ესეც დიდი სინაზე იყო ლალისთვის, რომელიც არასოდეს ყოფილა ამდენად განებივრებული. მან ანუგეშა მამა. ლალის მხოლოდ ის აწუხებდა, რომ და-ძმის გაზრდა ვერ მოასწრო. მამა ხომ მოუვლის მათ, არა? ლალი მომაკვდავი ხმით დაწვრილებით უხსნიდა მამას, თუ როგორ უნდა მოუაროს პატარებს, როგორ უნდა შეინახოს ისინი სუფთად. გამოთაყვანებულ ბიჟარს კვლავ სიმთვრალის ბუღი მოერია, თავს ატრიალებდა და დამრგვალებული თვალებით აშტერდებოდა მიმავალ ლალის. ათასმა რამემ გაიღვიძა მასში, მაგრამ სიტყვებს ვერ პოულობდა და ამასთან მეტისმეტად გამომშრალი თვალები ჰქონდა საიმისოდ, რომ ეტირა.

– ყური დამიგდე, – სიჩუმის შემდეგ დაუმატა ლალიმ, – ჩვენ ოთხი ფრანკი და შვიდი სუ გვმართებს მეპურესი, უნდა გადაიხადო... მადამ გოდრონს აქვს ჩვენი უთო და მოსთხოვე... ამ საღამოს წვნიანის მომზადება ვერ შევძელი, მაგრამ პურია დარჩენილი და კარტოფილიც მოიხარშე...

უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ეს საბრალო პატარა დედად რჩებოდა ყველა თავისიანისთვის, ვისაც, უეჭველია ვერავინ შეცვლიდა. კვდებოდა იმიტომ, რომ

თავის ასაკში ნამდვილი დედის გონება ჰქონდა და მკერდი კი ჯერ კიდევ მეტისმეტად უსუსური და ვიწრო იმისთვის, რომ შიგ ამდენად დიადი დედობრივი გრძნობა დასტეოდა. და თუ ეს საუნჯე იღუპებოდა, ეს, უმთავრესად, მისი გამხეცებული, უბადრუკი მამის ბრალი იყო. ამ კაცმა ჯერ წიხლის ჩაკვრით დედა მოუკლა. ხოლო შემდეგ ქალიშვილიც შეიკლა წამებით. ორი კეთილი ანგელოზი იქნება ერთ სამარეში, ხოლო თვითონ მას რაღა დარჩენია, გარდა ძაღლური სიკვდილისა, სადმე ღობის ძირას!

ჟერვეზა თავს იკავებდა, რომ ქვითინი არ წასკდომოდა. ხელებს იწვდიდა, რომ ტანჯვა შეემსუბუქებინა ბავშვისთვის და, როდესაც ლალის საბნის ნაფლეთი ჩამოუცურდა, ჟერვეზამ საბანი ახადა, უნდოდა ლოგინი გაესწორებიან. ამ დროს მომაკვდავის საბრალო, პატარა სხეული გამოჩნდა. ოხ! უფალო! რა სიღატაკე იყო, რა საბრალო სანახავი! ქვები ატირდებოდნენ. ლალი მთლად შიშველი იყო, პერანგის მაგიერ რაღაც ზედატანის ნახევები ეფარა მხრებზე. დიახ, მთლად შიშველი, წამებულის დასისხიანებული, ტანჯული სიშიშვლით. მას ხორცი აღარ ჰქონდა, ძვლები თითქოს კანს უხვრეტდნენ და ფერდებზე თითქმის კოჭებამდე ჩამოდიოდა წვრილი იისფერი ზოლები, – შოლტის ცოცხალი ანაბეჭდი, ლურჯ-ყვითელი ლაქა რკალავდა მარცხენა მკლავს, თითქოს ჭახრაკის ყბით იყო დაღრჯნილი ეს ნაზი, ასანთის ღერისოდენა სახსარი. ხოლო მარჯვენა ფეხზე ეტყობოდა ბოროტი დარტყმის კვალი, – პირშეუკრავი იარა, რომელიც, ალბათ, ყოველ დილას იხსნებოდა, როცა ის სახლში ფუსფუსს დაიწყებდა. ლალი თავით ფეხამედ დალილავებული იყო. ჩაშავებული. ოჰ! ეს გვემა და სრესა ბავშვისა, მამაკაცის მძიმე ხელები შემოჭერილი პატარა, ნაზ ყელზე, – ეს ამაზრზენი ხრიალი სისუსტისა, რომელიც ესოდენ მძიმე ჯვარს ზიდავდა. ეკლესიებში თაყვანს სცემენ ნაცემ-ნაგვემ წმინდანებს, რომელთა სიშიშვლეც არ არის ამდენად წმინდა. ჟერვეზამ ხელახლა მოიყარა მუხლი და ლოგინის გასწორებას აღარ ფიქრობდა: გული გადაუტრიალა ამ საბრალო, ერთი ციცქნა ბალღის გასაცოდავებულმა სხეულმა და მისი მთრთოლარე ბაგე ლოცვის წარმოთქმას ლამობდა: – მადამ კუპო, – ჩურჩულებდა პატარა, – მე გთხოვთ...

ლალი ცდილობდა პატარა ხელებით საბანი კვლავ წამოეხურა. კრძალვით სავსეს და უმანკოს მამის მაგივრად ერცხვინებოდა. ბიჟარი უაზროდ მიშტერებოდა ამ ცხედარს, – მისი ხელის ნამოქმედარს, და გამობენტერებული ცხოველივით თავს ნელა და განუწყვეტლივ აქეთ-იქით ატრიალებდა.

ჟერვეზამ კვლავ საბანი წააფარა ლალის, მაგრამ იქ მეტხანს დარჩენა ვეღარ შეძლო. მომაკვდავი სუსტდებოდა, აღარ ლაპარაკობდა და მხოლოდ ძველებურად იყურებოდა შავი, მორჩილი და დაფიქრებული თვალებით. ის აშტერდებოდა თავის და-ძმას, რომლებიც კვლავ გატაცებით ჭრიდნენ ნახატებს. ოთახი ბნელდებოდა, ამ სულთმობრძავის ცქერით გამოთაყვანებულ ბიჟარს რული ერეოდა. არა, არა, მეტად ამაზრზენი იყო ცხოვრება! ახ! რა საზიზღარი! ახ! რა საზიზღარი! და ჟერვეზა წავიდა, მაგრამ თვითონაც არ იცოდა, როგორ ჩაიარა კიბე. მას თავგზა აჰბნეოდა,

მომაბეზრებელი სიცოცხლით ამღვრეოდა გული, მზად იყო ომნიბუსის ქვეშ ჩავარდნილიყო და ბოლო მოეღო ამ მოსაწყენი საზიზღრობისთვის.

ის მირბოდა ბურტყუნით, თავბედს იწყევლიდა და ამასობაში იმ სახელოსნოს კარის წინ გაჩერდა, სადაც, ვითომდა კუპო მუშაობდა. ჟერვეზა საკუთარმა ფეხებმა მოიყვანეს აქ, ხოლო კუჭმა სიმღერა გააბა, გაუთავებელი სიმღერა, რომელიც ჟერვეზამ უკვე ზეპირად იცოდა. თუ ის კარში გამოსვლის დროს ხელს ჩაავლებს კუპოს, ფულსაც გამოართმევს და ამ ფულით იყიდის სანოვაგეს. სულ ერთი საათი მოუწევს ლოდინი, და ის უცებ გადაყლაპავს საჭმელს, ის ხომ გუშინდელს აქეთ უჭმელია.

ეს იყო შარონიერის ქუჩა, შარტრის ქუჩის კუთხეში, ერთი უხეირო გზაჯვარედინი, სადაც ქარი ოთხივ მხრივ ქშუოდა. რა ოხრობაა, ძაღლი კი მიაკვდეს აქაურობას! მას არ დასცხება ამ ქუჩაში ყიალით. ბეწვში გახვეული რომ ყოფილიყო, კიდევ სხვა იქნებოდა! ცას ისევ უსიამოვნო, ტყვიისფერი გადაჰკრავდა და მაღლა დაგროვილი თოვლი ყინულის მიტრას ადგამდა თავზე მთელ უბანს. ზემოდან არაფერი ცვიოდა, მაგრამ ჰაერში გამეფებული დუმილი პარიზს გადასაცმელად უმზადებდა ლამაზ, სადღესასწაულო კაბას, თეთრსა და ახალს. ჟერვეზამ ცისკენ აღაპყრო თვალი. ჟერვეზა ფეხებს აბაკუნებდა, უყურებდა პირდაპირ საბაყლო დუქანს, მერე ისე უკან გამოტრიალდებოდა, რადგან უსარგებლო იყო წინდაწინვე გადაჭარბებული მადის გაღვიძება. გზაჯვარედინი გასართობს არაფერს წარმოადგენდა. თითო-ოროლა, ყელშეფუთვნილი გამვლელი ჩქარი ნაბიჯით მიეშურებოდა. ბუნებრივია, სეირნობა არავის ეხალისება, როცა გვერდებში სიცივე უჭერს, მაგრამ ჟერვეზამ შენიშნა ოთხი თუ ხუთი ქალი მასავით კარის მოდარაჯე. ეს უბედურებიც, უეჭველია, თანამეცხედრეთა ხელფასს უდარაჯებდნენ, რათა იგი სამიკიტნოსკენ არ გაფრენილიყო. ერთი მათ შორის ახმახი დედაკაცი იყო, ჟანდარმის შესახედაობისა, რომელიც კედელს მიჰყუდებოდა და მზად იყო, გამოვიდოდა თუ არა მისი მეუღლე, მაშინვე ქეჩოში სწვდენოდა. ერთიც ჩია ტანის, შავგვრემანი, მოკრძალებული და ნაზი ქალი შარაგზის მეორე მხარეს დასეირნობდა. ხოლო მესამეს, მოუხეშავ დედაკაცს, თან მოეყვანა თავისი ორი პატარა ბალღი, აქეთ-იქით მიაწიალებდა. ბავშვები სიცივისგან ცახცახებდნენ და ტიროდნენ. ყველა ესენი – ჟერვეზა და მისი თანამოდარაჯენი – მიდი-მოდიოდნენ, თან ალმაცერად შეჰყურებდნენ ერთმანეთს უსიტყვოდ. რა სასიამოვნო შეხვედრა იყო, ახ! დიახ, ძალიან ეკითხებოდათ ერთმანეთი! რა საჭირო იყო გაცნობა, ერთიმეორის სახლის ნომრის შეტყობა. ესენი ყველანი ერთი აბრის ქვეშ ცხოვრობდნენ, – „სიღატაკე და კომპანია“. უსიტყვოდ, აქეთ-იქით მოსიარულე ქალების დანახვაზე, იანვრის სუსხი თითქოს ერთიორად ძლიერდებოდა.

ამის მიუხედავად, სახელოსნოდან ერთი კატაც არ გამოსულა. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა ჯერ ერთი მუშა, მერე ორი. შემდეგ უკვე სამი. მაგრამ ესენი, ეჭვგარეშეა, კაი ბიჭები იყვნენ, რომელთაც პატიოსნად მიჰქონდათ სახლში თავისი ხელფასი, რადგან თავს აქეთ-იქით იქნევდნენ, როცა შენიშნავდნენ სახელოსნოს წინ

მოხეტიალე აჩრდილებს. ახმახი დედაკაცი უფრო მეტად მიეკრა კედელს და მერე უეცრად ეძგერა ერთ პატარა, გაფითრებულ, ჩია კაცუნას, რომელმაც ფრთხილად გამოჰყო თავი კარში. ოხ! მალე მოწესრიგდა ეს საქმე! ამ ქალმა გაჩხრიკა ქმარი და სულ ჩამოართვა, რაც ფული ჰქონდა. დარჩა ეს კაცი გაფცქვნილი, არც ერთი გროში აღარ გააჩნდა, რომ წვეთი არაყი მაინც დაელია! და კაცუნა გაბრაზებული და სასოწარკვეთილი მისდევდა თავის ჟანდარმს, თან ბავშვურად მსხვილი ცრემლებით ტიროდა. კვლავ გამოდიოდნენ მუშები, როდესაც მოუხეშავი დედაკაცი თავისი ორი ღლაპით კარს მიუახლოვდა, ერთმა შავმა გაიძვერა სახის აყლაყუდამ შენიშნა იგი და საჩქაროდ უკან შებრუნდა, რათა მისი ქმარი წინასწარ გაეფრთხილებინა. როცა ამ ქალის ქმარი აქეთ-იქით რხევით გამოვიდა, მას უკვე ხელი უკან გაპარებული ჰქონდა და ორი ახალთახალი ხუთფრანკიანი თითო-თითოდ ფეხსაცმელში ჩააცურა. მან ერთ-ერთი თავისი ბალღი ხელში აიყვანა და გაჰყვა ცოლს, რომელსაც რაღაც სისულელეს უამბობდა იმ დროს, როცა ქალი ეჩხუბებოდა. იყვნენ იქ სხვებიც, თავზე ხელაღებული, მხიარული ბიჭებიც, რომლებიც ერთი ნახტომით გადმოდიოდნენ ქუჩაში, ეშურებოდათ ხელფასი სადმე ძმაბიჭებთან გაეფლანგათ. იყვნენ მოღუშული, დაღვრემილი, სახემოთენთილი მუშებიც, რომელთაც მაგრად ჩაემუჭათ თავისი სამი თუ ოთხი დღის ნამუშევარი, ნაცვლად თხუთმეტი დღისა, და ლანძღავდნენ, მცონარებს უწოდებდნენ თავს, თან ლოთების ჩვეულ ფიცსაც დებდნენ. მაგრამ ყველაზე მეტად დამასევდიანებელი იყო პატარა, შავგვრემანი, მოკრძალებული ქალის ტანჯვა: მისმა ქმარმა, ლამაზმა, ახალგაზრდა ბიჭმა ცხირწინ გაურბინა ისე უხეშად, რომ კინაღამ წააქცია. ქალი მარტოდმარტო ბრუნდებოდა შინ, ტორტმანით ჩაუარა დუქნების მწკრივს, თან მდუღარე ცრემლს აფრქვევდა.

ბოლოს, შეწყდა კარიდან მუშების დენა. ჟერვეზა ქუჩის შუაგულში იყო გაჩერებული და კარს შესცქეროდა, რაღაცა ცუდს მოასწავებდა ეს. კიდევ ორი დაგვიანებული მუშა გამოვიდა. მაგრამ კუპო მაინც არ ჩანდა. ჟერვეზამ ამ მუშებს მიმართა შეკითხვით, – კუპო გამოსვლას აპირებს თუ არაო. ისინი, ეტყობოდათ, კაი გუნებაზე იყვნენ და ხუმრობით უპასუხეს, რომ კუპო ეს-ეს არის, უკანა კარით გავიდა ბიძია ლანტიმეშთან ერთად, მათ უნდათ ქათმებს მოაშარდვინონო. ჟერვეზა ყოველივეს მიხვდა: კვლავ კუპოს ტყუილები! ჟერვეზას შეეძლო გაესეირნა, შეეთვალიერებინა, ხომ არ წვიმდა! მაშინ ჟერვეზა მოღრეცილი ფეხსაცმლის ფრატუნით ნელა დაეშვა შარბონიერის ქუჩით. მისი სადილი კვლავ მირბოდა თითქოს. ტანში ჟრუანტელმა დაურბინა. ახლა კი ყველაფერი მორჩა! აღარავითარი თავისი მოტყუება, აღარავითარი იმედი, წინ მხოლოდ ღამე იყო და შიმშილი. რა მშვენიერი, რა მომაკვდინებელი და რა საზიზღარი ღამე აწვებოდა მხრებზე!

ჟერვეზა მძიმედ მიუყვებოდა პუასონიერის ქუჩას, როდესაც კუპოს ხმა შემოესმა. დიახ! კუპო იქ იყო, „პტიტ სივეტში“, მას წაღა უმასპინძლდებოდა არყით. ამ ტაკიმასხარა წაღამ ხომ ზაფხულის მიწურულს ერთი ფანდი გაითამაშა, – ცოლად შეირთო ნამდვილი მანდილოსანი, თუმცა ხანში შესული, მაგრამ ჯერ კიდევ შერჩენოდა ადრინდელი სილამაზის ნაშთი. ის იყო ნამდვილი ქალი ცოდვილთა

ქუჩიდან, და არა გარეუბნების ნათრევი დედაკაცი! ახლა უნდა გენახათ ეს ბედნიერი მომაკვდავი წაღა რა ამბავში იყო, რა განცხრომით ცხოვრობდა. ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, კარგად იცვამდა, კარგს სვამდა და კარგს ჭამდა. ვეღარ ცნობდნენ, ისე გასუქებულიყო. მისი ამხანაგები ლაპარაკობდნენ, რომ წაღას ცოლს რამდენიც უნდა, იმდენი სამუშაო აქვს ნაცნობ მამაკაცებთანო. ერთი ამისთანა ცოლი, ერთიც სახლი ქალაქგარეთ, და ამაზე უკეთესი რაღა უნდა ინატროს ცხოვრებაში მამაკაცმა. ამიტომ კუპოც აღტაცებით შესციცინებდა წაღას. ამ ყურუმსაღს ოქროს ბეჭედიც რომ ჰქონდა ნეკზე წამოცმული!

ჟერვეზამ მხარზე ხელი დაადო კუპოს სწორედ იმ წუთში, როდესაც ის „ლა პტიტ სივეტიდან“ გამოდიოდა.

– გამიგონე, გელოდები, მე... მშიერი ვარ. ეს იყო შენი ხელფასი?

მაგრამ კუპო მოურიდებლად გაუსწორდა ცოლს.

– თუ მშიერი ხარ, აიღე და შენი ერთი თათი მოწოვე... ხოლო მეორე ხვალისთვის შეინახე!

კუპომ ყბადასაღებ ხუმრობად, სასაცილოდ მიიჩნია ასე საქვეყნოდ დრამის გათამაშება. მერე რა იყო? რა მოხდა? ის არ მუშაობს. მაგრამ მუპურეები ცომს ხომ ზელენ ისევ? ჟერვეზას ის ძუძუმწოვარა ბავშვი ხომ არ ჰგონია, რომ მოსულა აქ და თავისი ამბებით აშინებს.

– მაშ, შენ გინდა, რომ ვიქურდო? – ყრუ ხმით წაიდუდუნა ჟერვეზამ.

წაღამ შემრიგებელი იერით ნიკაპზე მოისვა ხელი.

– არა, ეს აკრძალულია, – წარმოთქვა მან, – მაგრამ, თუ ქალს მოხერხება აქვს, გამოსავალს იპოვის...

კუპომ სიტყვა არ დაასრულებინა, ისე შეჰყვირა: ბრავო! დიახ, ქალს მოხერხება უნდა ჰქონდეს გამოსავლის საპოვნელად. მაგრამ მისი ცოლი მუდამ ასეთი ზოზინა და დონდლო იყო. სულ მისი ბრალი იქნება, თუ შიმშილით დაიხოცებიან ჩალაზე. მერე კუპო კვლავ აღტაცებას მიეცა წაღას ყურებით. რანაირად გასუქებულა ეს პირუტყვი! ნამდვილი მესაკუთრეა, სუფთა საცვალი, ახალთახალი ფეხსაცმელი! ვაჰ! თქვენ ეს ვიგინდარა და ნაყარნუყარა ვინმე არ გეგონოთ! აჰა, ხომ არსებობს ერთი ვინმე მაინც, ვისი დედაკაციც კარგად უძღვება საქმეს!

ორივე მამაკაცი გარე ბულვარისკენ ჩადიოდა. ჟერვეზაც უკან მიჰყვებოდა მათ. სიჩუმის შემდეგ ხელახლა უკნიდან ჩაულაპარაკა კუპოს: – მშია, გესმის?.. შენი იმედი მქონდა. შენ უნდა რამე მიშოვო სახეთქი.

კუპომ არაფერი უპასუხა და მაშინ ჟერვეზამ გულსაკლავი, სულთმობრძავის ხმით გაუმეორა ხელახლა: – მაშ, ეგ იყო შენი ფულის შოვნა?

– მერე, შე ღვთისგან შეჩვენებულო, რაც არაფერი მაქვს, რა მოგცე! – დაუღრიალა კუპომ და გააფთრებით მიუბრუნდა, – დამანებებ თავს თუ არა? თორემ, ხომ იცი, აგადებ!

და მან უკვე ასწია მუშტი. ჟერვეზამ უკან დაიხია და, თითქოს რაღაც გადაწყვეტილება მიიღო.

– წადი, მე თავს განებებ, სხვა მამაკაცსაც ადვილად ვიპოვი.

მესახურავე უეცრად გამხიარულდა. ის ცდილობდა სამასხარაოდ გაეხადა ეს გარემოება, თითქოს ის არ იყო თვითონ, რომ ამ საქციელისკენ უბიძგებდა ქალს.

– ეგ ძალიან კარგი აზრია, ხომ იცი. საღამოს შუქზე შენ კიდევ შეგიძლია ვინმეს მოეწონო. და თუ ვინმე მამაკაცს აიყოლიებ, ვურჩევ რესტორან „კაპუცინში“ წავიდეს, იქ პატარა კაბინეტებია, სადაც ძალიან კარგად აჭმევენ.

როდესაც ჟერვეზა გარე ბულვარისკენ დაიძრა გაფითრებული და გაბრაზებული, კუპომ კიდევ მიაყვირა: – გამიგონე! ჩემთვის დესერტი წამოიღე, ხომ იცი, ტკბილეული მიყვარს... და თუ შენი ვაჟბატონი კარგად ჩაცმული აღმოჩნდეს, ჩემთვის ერთი ძველი პალტოც სთხოვე, გამომადგება.

სანამ ჟერვეზას ეს ჯოჯოხეთური მასხარაობა მისდევდა, ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. შემდეგ, როდესაც მარტო დარჩა ბრბოში გარეული, ნაბიჯი შეანელა. ჟერვეზას მტკიცე გადაწყვეტილება მიეღო. ქურდობასა და მრუშობას შორის, მან ეს უკანასკნელი აირჩია, რადგან ამით ზიანს არავის აყენებდა. თავის ქონებას როგორც უნდა, ისე მოექცევა. ის მხოლოდ თავისი თავის იმედით ყოფილა მუდამ. რა თქმა უნდა, სუფთა საქმე არ იყო, მაგრამ ახლა ერთმანეთში აირია სუფთა და უწმინდური. როცა შიმშილით კვდებიან, ფილოსოფიურ მსჯელობას აღარ დაგიდევენ, ჭამენ იმ პურს, რომელიც ხელთ მოხვდებათ. ჟერვეზა კლინიანკურის გზატკეცილამდე ავიდა. ღამე, ეტყობა, აღარ აპირებდა მოსვლას. ღამის მოლოდინში ჟერვეზამ ბულვარები გაიარა, ვახშმის წინ ჰაერის ჩასაყლაპად გამოსული მანდილოსანივით დასეირნობდა.

ჟერვეზას რცხვენოდა ამ უბანში ყოფნა, – ისე იყო იქაურობა გალამაზებული. ყოველი მხრიდან გაფართოებულმა და გაშლილმა მაჟენტას ბულვარმა, რომელიც პარიზის შუაგულიდან მოდიოდა, და ორნანოს ბულვარმა, რომელიც ქალაქგარეთ გადიოდა, გაარღვიეს ძველი სადარაჯო თავისი მინგრეულ-მონგრეული ქოხმახებით. ამ ორი განიერი ხეივნის აქეთ-იქით მხოლოდ ორი, ფობურ-პუასონიერის და პუასონიერის ოღროჩოღრო, დამახინჯებული და ნაწლავებივით დაგრეხილი ქუჩა დარჩენილიყო. დიდი ხანია, რაც ქალაქის კედლის დანგრევამ ძალიან გააფართოვა გარე ბულვარები, ქვაფენილებითა და ფეხით მოსიარულეთათვის, შუაში დატოვებული განიერი ხეივნით, რომელშიც ოთხრიგად ჩაემწკრივებინათ ნორჩი ჭადრები. ეს უზარმაზარი გზაჯვარედინი შორს, ჰორიზონტისკენ მიდიოდა და მისი დაუსრულებელი და მოფუსფუსე ხალხით ავსებული გზების ქსელი შენობათა ღრმა ქაოსში იკარგებოდა.

მაგრამ ახალ და მაღალ შენობათა გვერდით ბევრი მოფამფალე ქოხმახიც დარჩენილიყო. ქანდაკებებივით შემკულ ფასადებს შორის შავად პირდაღებული, ჩაღრუტნული ადგილებიც მოჩანდა, ხოლო ფარღალალა ძაღლის ბუნაგებს კი თავისი მინგრეულ-მონგრეული ფანჯრის ნაჩვრეტები გამოეფინათ. პარიზის მზარდი ბრწყინვალების ქვეშ გარეუბნები სიღატაკეში სულს ღაფავდნენ და ნაჩქარევად აშენებული ახალი ქალაქიც ხარაჩოებს ჭუჭყს სცხებდა და ალაქავებდა.

ნორჩი ჭადრებით შემორიგებულ, განიერი ქვაფენილის ხმაურსა და აურზაურში ჩაკარგული ჟერვეზა სიმარტოვეს გრძნობდა, გრძნობდა მიტოვებულობას. შორს მიმავალი ხეივნები მას უფრო მეტად უცარიელებდნენ კუჭს. ამ ზღვა ხალხში შეძლებულიც ხომ ერეოდა, მაგრამ ვერც ერთი ვერ მიხვდა, თუ რა მდგომარეობა ჰქონდა მას და ათი სუც არ ჩაუცურებიათ მისთვის ხელში! დიახ, გადაჭარბებით დიადი, მეტისმეტად მშვენიერი იყო ირგვლივ ყველაფერი. ჟერვეზას თავბრუ ესხმოდა, მუხლები ეკეცებოდა ნაცრისფერი ცის ამ განუზომელი ზეწრის ქვეშ, რომელიც უზარმაზარ სივრცეს გადაჰფარებოდა, ბინდბუნდი ჭუჭყიანი და ისეთი ყვითელი ფერისა იყო, როგორიც პარიზის ბინდბუნდია, საზოგადოდ. იმ ფერისა, რომელიც სურვილს ბადებს იმავე წუთში მოკვდე, იმდენად მახინჯად ჩანს ამ დროს ქუჩის ცხოვრება. შებინდდა, მღვრიე ნისლით შეიბურა შორეთი. როდესაც დაქანცული ჟერვეზა სამუშაოდან სახლისკენ მიმავალი მუშების ნაკადში მოექცა, ამ დროს ახალი სახლების მობინადრეები, – ქუდიანი ქალები და კარგად ჩაცმული მამაკაცებიც გაერივნენ ბრბოში, შეუერთდნენ იმ განუწყვეტელ პროცესიას, რომელსაც ჯერ კიდევ დაჰკრავდა სახელოსნოების მოწამლული ჰაერით გამოწვეული სიმკრთალე. მაჟენტის ბულვარისა და ფობურ-პუასონიერის ქუჩის აღმართზე ავლით სუნთქვაშეკრული მუშები გუნდ-გუნდად მოდიოდნენ. ომნიბუსების და ფიაკრების[34] ყრუ ხმაურში, უკვე დაცარიელებული ფორნების, მძიმე ავეჯისა და ტვირთმზიდველი ოთხთვალებისა და ეტლების მსუბუქ ნავარდში ხალათებისა და ქურთუკების ბრბო თანდათან სქელდებოდა და ავსებდა შარაგზებს. ტვირთის მზიდველები ბრუნდებოდნენ მხარზე გადაკიდებული კაუჭებით. მუშები წყვილ-წყვილად მიაბიჯებდნენ ერთმანეთის გვერდით გაჩქარებით. ერთმანეთს არ უყურებდნენ და ძალიან ხმამაღლა და ხელების ქნევით ლაპარაკობდნენ. ზოგი პალტოთი, ქუდით, თავჩაქინდრული მარტო მიდიოდა ქუჩის პირას. ზოგნი ერთად მიდიოდნენ, ხუთი-ექვსი კაცი მისდევდა ერთიმეორეს უსიტყვოდ, ჯიბეში ხელებჩაწყობილები, მიმქრალი თვალებით. ზოგს ჩამქრალი ჩიბუხი პირში გაჩრილი შერჩენოდა. კალატოზებს, ოთხ კაცს, ეტლი დაექირავებინა, რომელზედაც მათი გობები ხტოდა. თვითონაც ამ ეტლით მიდიოდნენ და ფარდებში მოჩანდა მათი კირივით გათეთრებული სახეები. მღებავებს ქანაობით მიჰქონდათ სამღებრო სათლები. ერთ მესახურავეს იმსიგრძე კიბე მიჰქონდა, რომ გამვლელებს ლამის თვალებს სთხრიდა. ამ დროს ერთ შადრევნების მეთვალყურეს ზურგზე ყუთი წამოეკიდა და ამ გულისმომწყვლელ ბინდბუნდში პატარა სტვირზე უკრავდა სევდიან არიას, სიმღერას კეთილ მეფე დაგობერზე. ახ! სევდიანი მუსიკა, რომელიც თითქოს აკომპანემენტი იყო ჯოგის ბაკუნისა, ქანცმილეული, ტვრთმზიდველი

პირუტყვების ჩანჩალისა. ერთმა დღემაც განვლო. მართლა, რა გრძელია დღე და რა მალე იწყება ხოლმე მეორე. ძლივს მოასწრებ შეჭამო რამე და დაიძინო საჭმლის მოსანელებლად, რომ უკვე გათენებულა და კვლავ გაჭირვების უღელში უნდა შეება. ახალგაზრდა ბიჭები მაინც უსტვენდნენ, ფეხების ტყაპუნით მიდიოდნენ გაჩქარებით, ვახშამს ეშურებოდნენ. ჟერვეზა ბრბოს მისდევდა, მისთვის სულერთი იყო, რომ ეჯახებოდნენ, ხან მარჯვნიდან წაჰკრავდნენ, ხან მარცხნიდან. ტრიალ-ტრიალით მისდევდა ხალხის ტალღას. ადამიანებს ხომ არ სცალიათ თავაზიანობისთვის მაშინ, როდესაც დაღლილობისგან წელში ორად არიან მოხრილნი და შიმშილი მიარბენინებთ.

უეცრად მრეცხავმა ქალმა თავი მაღლა აიღო და დაინახა ძველი სასტუმრო „კაიგული“. ეს პატარა სახლი, მას შემდეგ, რაც შიგ გახსნეს საეჭვო კაფე, რომელიც პოლიციამ დახურა, მიტოვებული იყო. დარაბებს აფიშები ფარავდა, ფარანიც გატეხილი ჰქონდა და სახლი თავიდან ბოლომდე წვიმის ქვეშ იფშვნებოდა და ლპებოდა თავისი საზიზღარი ღვინის ნალექისფერი და ობმოკიდებული საღებავით. თითქოს ირგვლივ არაფერი შეცვლილიყო. იქვე იყო საკანცელარიო ნივთებისა და თუთუნის დუქნები. უკან, დაბალი შენობების იქით, კვლავ ხუთსართულიანი, ფასადდალაქავებული, უზარმაზარი სახლების მინგრეულ-მონგრეული სილუეტები მოჩანდა. აღარ არსებობდა მხოლოდ „გრანბალკონი“, და მის გაჩახჩახებულ ათფანჯრიან დარბაზში ახლა შაქრის ქარხანა განეთავსებინათ, საიდანაც მუდამ ხერხის სტვენა და შუილი ისმოდა. სწორედ სასტუმრო „კაიგულის“ ბუნაგში დაიწყო ჟერვეზას წყეული ცხოვრება. ჟერვეზა იდგა და პირველი სართულის ფანჯრებს შესცქეროდა. იქ ერთი დარაბა ჩამოვარდნილი ეკიდა. ჟერვეზას გაახსენდა თავისი ახალგაზრდობა, ლანტიესთან ერთად გატარებული, მათი პირველი შეხვედრები და მისგან სამარცხვინო მიტოვება. მაშინ ჟერვეზა ახალგაზრდა იყო და ეს არაფრად მიიჩნია. შორიდან, მხიარულადაც კი ეჩვენებოდა ყოველივე. მხოლოდ ოცმა წელმა განვლო მას შემდეგ, ღმერთო ჩემო! და ის ქუჩაშია გადასროლილი! სასტუმროს ცქერა უკვე გულს უღონებდა. ხელახლა ავიდა ბულვარზე მონმარტრის მხრიდან.

თუმცა უკვე ბნელდებოდა, მაგრამ მერხებს შორის ქვიშის გროვებზე ბავშვები ისევ თამაშობდნენ. ხალხის ნაკადი კვლავ მოედინებოდა. მუშა ქალები მიდიოდნენ აჩქარებული ნაბიჯით, ცდილობდნენ სახელოსნოში დაკარგული დრო აენაზღაურებინათ. ერთი მაღალი ქალი გაჩერებულიყო და თითქოს თავისი ხელი დავიწყებოდა იმ ახალგაზრდა ვაჟის ხელში, რომელიც თითქმის სახლამდე აცილებდა მას. სხვები გამოთხოვებისას პაემანს უნიშნავდნენ ერთმანეთს ღამისთვის „გრან სალონ დე ლა ფოლიში“ ან „ბულნუარში“. სხვა ჯგუფთა შორის მოდელიერებიც ბრუნდებოდნენ. მათ იღლიაში ამოჩრილი მოჰქონდათ დაკეცილი ტანსაცმელი. ერთი მეღუმელე, რომელიც თასმებით შებმულიყო პატარა ფორანში და სამშენებლო ღორღს მიათრევდა, ცოტას გაწყდა, კინაღამ ომნიბუსმა გაიტანა. ამასობაში, უკვე შეთხელებულ ბრბოში გამორბოდნენ თავშიშველი ქალები, რომელთაც მოესწროთ სახლში ცეცხლის დანთება და სადილს ეჩქარებოდნენ. მუჯლუგუნებით იკაფავდნენ

გზას ბრბოში, საჩქაროდ შერბოდნენ მეპურეებსა და მეძეხვეებთან და მერე დაუყოვნებლივ უკანვე გამორბოდნენ ნაყიდი სანოვაგით ხელში. იქ რვა წლის გოგონებიც იყვნენ საყიდლებისთვის გამოგზავნილები. დუქნების მთელ რიგს ჩაუვლიდნენ, გულზე მაგრად მიკრული დიდი, მათივე სიმაღლის ოთხგირვანქიანი პურებით, რომლებიც ლამაზ ყვითელ ტიკინებს ჰგავდნენ. ხუთი წუთით მაინც ჩერდებოდნენ და ვეებერთელა პურებზე ლოყამიყრდნობილები სურათებს ათვალიერებდნენ. ნელ-ნელა ნაკადი შეწყდა, ჯგუფები დაიშალა, მშრომელი ხალხი სახლში დაბრუნდა და აირმაშუქების ბრიალა შუქზე მას შემდეგ, რაც შრომის დღე დასრულდა, იღვიძებდა ყრუ შურისძიება სიზარმაცისა და ქეიფის სახით.

დიახ! ჟერვეზამ დაამთავრა თავისი შრომის დღე. ჟერვეზა გაცილებით მეტად მოქანცულიყო, ვიდრე მშრომელი ხალხი, რომლის მოძრაობამაც ის შეაშფოთა. მას შეეძლო დაწოლილიყო აქ. საკმაოდ დაიტანჯა ცხოვრებაში იმისთვის, რომ ეთქვა: „ახლა ვისი ჯერია? მე ჩემი დავასრულე!“ ახლა ყველა ჭამდა. მართლაც უკვე დღის ბოლო იყო, მზემ უკვე ჩააქრო თავისი კანდელი და ღამე გრძელი იქნებოდა. ღმერთო ჩემო! გაწვებოდე შენს ნებაზე და სულ აღარ ადგე, ფიქრობდე, რომ სამუშაო ხელსაწყო იქით არის სამუდამოდ გადაწყობილი და ამიერიდან უსაქმურობა იქნება მარადიული! რა კარგი არის ეს, არა? ოცი წლის ჯახირსა და ჯანის გაგდებინების შემდეგ! იმის მიუხედავად, რომ შიმშილი კუჭს უწიწკნიდა, – უნებლიეთ ჟერვეზა თავისი ცხოვრების უქმე დღეებზე, ქეიფებსა და მხიარულ დროს ტარებაზე ფიქრობდა. განსაკუთრებით ერთხელ, როცა დიდმარხვის ხუთშაბათს ისეთი დარი იყო, რომ გარეთ ძაღლიც არ გაიგდებოდა, მან მშვენივრად გაატარა დრო. ჟერვეზა მაშინ ძალიან კარგი იყო, ქერა და ნატიფი. მისმა სამრეცხაომ „ახალ ქუჩაზე“, მიუხედავად მისი სიკოჭლისა, დედოფლად დაასახელა იგი. რამდენი იარეს მაშინ ბულვარებზე მწვანით მორთული ფორნებით. საუკეთესო ხალხი ეხვეოდა მათ და სულ ჟერვეზას შეჰყურებდნენ. მამაკაცები ლორნეტებით სინჯავდნენ, ვით ნამდვილ დედოფალს. მერე საღამოზე ისეთი ღრეობა გამართეს, ისეთი ქეიფი გადაიხადეს, ისეთი მეჯლისი გაიმართა, რომ დილამდე იმათ ფეხს არ შეუსვენია, სულ ცეკვავდნენ. ის დედოფალი იყო! დიახ, დედოფალი, გვირგვინით თავზე, ოცდაოთხი სათის განმავლობაში, სანამდე საათის ისარმა ორჯერ არ შემოუარა ციფერბლატს! ახლა დამძიმებული და შიმშილით გაწამებული ჟერვეზა მიწას დაჰყურებდა, თითქოს ეძებდა ნაკადულს, რომელშიც ჩაუვარდა თავისი დამხობილი დიდება.

კვლავ მაღლა აიხედა. ის იდგა სასაკლაოს შენობის წინ, რომელსაც ანგრევდნენ. გამოფატრული ფასადიდან მოჩანდა ბნელი, მყრალი და ჯერ ისევ სისხლით დასველებული ეზოები. როდესაც ჟერვეზა ბულვარზე ჩავიდა, დაინახა აგრეთვე ლარიბუაზერის საავადმყოფოც ვეებერთელა ნაცრისფერი კედლით, რომლის ზემოთაც მარაოსავით იშლებოდა მოღუშული ფლიგელები, თანაბრად განლაგებული ფანჯრების მწკრივებით. კედელში ჩაყოლებული იყო შესასვლელი კარი, რომელიც თავზარსა სცემდა მთელ უბანს, რადგან ამ კარით მკვდრები გამოჰქონდათ. ეს კარი მაგარი მუხისა იყო, გაუბზარავი, სამარის ლოდივით მკაცრი და მდუმარე. ჟერვეზა

გაეცალა იქაურობას, უფრო შორს წავიდა და რკინიგზის ხიდს მიადგა. მას მოქლონებით დამაგრებული ფურცლოვანი რკინის მაღალი მოაჯირი ეფარებოდა წინ და ცქერას უშლიდა, – პარიზის ბრწყინვალე ჰორიზონტზე მხოლოდ სადგურის განიერ კუთხეს ხედავდა. ნახშირის მტვრისგან გაშავებულ ფართო სახურავსა და ამ ნათელ სივრცეში ჟერვეზას ესმოდა ორთქლმავლების სტვენა, საბრუნავი წრის რიტმული ნჯღრევა და მთელი ეს აქტიური მუშაობა, – ბუმბერაზი და დაფარული. მერე გაიარა მატარებელმა. ის პარიზიდან ისეთი ქშენით გავიდა, თითქოს იხრჩობოდა. თანდათან მატულობდა მისი გრუხუნი. ჟერვეზამ დაინახა მხოლოდ ამ მატარებლის თეთრი ჯიღა, – უეცრად ამოვარდნილი ორთქლის ქულა, რომელიც მოაჯირის ზემოთ გაიფანტა ჰაერში. ხიდმა ძაგძაგი დაიწყო და თვით ჟერვეზაც შეკრთა, ამ გაქანებული, ორთქლის ფრქვევით რბენის შემხედვარე. ჟერვეზა მიბრუნდა იქით, თითქოს უნდოდა გაჰყოლოდა უხილავ ორთქლმავალს, რომლის გუგუნიც თანდათან ჩაკვდა, იმ მხარეს ჟერვეზას ეგულებოდა სოფელი, ღია ცა, და მარჯვნივ და მარცხნივ გაკაფული სივრცის სიღრმეში მაღალი, განმარტოებული, უწესრიგოდ დადგმული სახლები, წინ წამოწეული ფასადებით და გაულესავი კედლებით, რომლებზედაც დახატული იყო უზარმაზარი რეკლამები, მანქანათა ჭვარტლით მოყვითალოდ გაჭუჭყიანებული! ოხ! ჟერვეზას რომ იქ წასვლა შესძლებოდა, აი იქ, შორს, რათა გასცლოდა ამ სიღატაკისა და ტანჯვის სადგომებს! ეგება, ახალი ცხოვრება დაეწყო! მერე მან უაზროდ დაიწყო მოაჯირის რკინებზე გაკრული აფიშების კითხვა. ყოველნაირი ფერის აფიშა იყო. ერთი მათგანი პატარა, ლამაზი, ლურჯი ფერის აფიშა ორმოცდაათ ფრანკ ჯილდოს ჰპირდებოდა იმას, ვინც დაკარგულ ძაღლს იპოვიდა. აი, ცხოველი, რომელიც ეტყობოდა, უყვარდათ!

ჟერვეზა კვლავ დაიძრა ნელი ნაბიჯით მძიმედ და შავად ჩამოწოლილი მღვრიე ნისლის ბურუსში. აირმაშუქები აინთო. გრძელი ხეივნები, რომლებიც ნელ-ნელა ინთქმებოდა და შავდებოდა, კვლავ გამოჩნდნენ გავარვარებულნი და ჰორიზონტის ღრმა წყვდიადამდე ჰკვეთდნენ ღამეს. ძლიერმა ქარმა დაბერა და განუზომელი უმთვარო ცის ქვევით პატარ-პატარა ცეცხლის ენებით დაისერა გაგანიერებული უბანი. ეს ის საათი იყო, როდესაც ბულვარის თავსა და ბოლოში ღვინის სავაჭრო დუქნები, სამიკიტნოები და სარდაფები ერთიმეორის მიყოლებით ელვარებდნენ მხიარულად, დალეული პირველი ჭიქებისა და ქეიფის დასაწყისის ხუმრობა-სიცილის გუგუნში. ორი კვირის ნამუშევარი ხელფასის მიღებამ ქეიფისა და გადაკვრის მოყვარულებით აავსო ქუჩა, იყო ერთი შეხლა-შემოხლა და ხორხოცი. ჰაერში იგრძნობოდა, რომ იწყებოდა ღრეობა, თავზე ხელაღებული, შეჩვენებული ქეიფი, მაგრამ ჯერ კიდევ წესიერი – ეს შეზარხოშების დასაწყისი იყო მხოლოდ, მეტი არაფერი. სასაუზმო დუქნებში ხალხი საჭმლით იყორავდა მუცელს. ყოველ განათებულ ფანჯარაში მოჩანდნენ ადამიანები, რომლებიც ჭამდნენ, პირი საჭმლით გამოეტენათ და ისე იცინოდნენ, რომ თავსაც არ იწუხებდნენ გაცინებამდე მაინც ჩაეყლაპათ ლუკმა. ლოთებმა უკვე მოიკალათეს სამიკიტნოებში, ღრიალებდნენ და ხელებს იქნევდნენ. ქვაფენილზე ფეხების განუწყვეტელ ფრატუნში ისმოდა მიყრუებული, ქუხილისმაგვარი ხმაური, წრიპინა და ბოხი ხმები. „ჰა, სთქვი რაღა,

მოდიხარ საყლაპავად თუ არა?.. წამო, შე ზოზინავ!.. ერთი ბოთლისას მე ვიხდი... აჰა! აგერ პოლინაც! კარგია, კარგი! არა, რა სიცილი იყო, დავწყდით სიცილით!“... კარი განუწყვეტლივ ჯახუნობდა, ღვინის სუნი და კორნეტ-ა-პისტონის[35] წრიპინის ხმა გამოდიოდა. მთელი კუდი იყო გამწკრივებული ბიძია კოლომბის „ხაფანგის“ წინ, რომელიც ისე იყო გაჩირაღდნებული, ვით საკათედრო ტაძარი დიდი წირვის დროს და, ღვთის მადლმა! იფიქრებდით, რომ ნამდვილი წირვა იყო, რადგანაც ძმაბიჭები ისეთი სახეებით მღეროდნენ შიგ, როგორც ეკლესიის მგალობლები, ლოყები გამოჰბერვოდათ და ღიპებიც წინ გაეშვირათ. დღეობა იყო, დღესასწაულობდნენ წმინდა ტუშის დღეს. ეს ძალიან კარგი წმინდანია, ალბათ მას აბარია სამოთხის სალარო. სანახავად მარტო ის ღირდა, თუ როგორი გატაცებით მსჯელობდნენ თავიანთ ცოლებთან ერთად სასეირნოდ გამოსული წვრილი მესაკუთრენი, როგორი თავის ქნევით იმეორებდნენ ისინი, ამაღამ მთვრალი ხალხი ოხრად იქნება პარიზშიო. მთელ ამ აურზაურს ზედ ეფარებოდა ძალიან ბნელი, მკვდარი და სუსხიანი ღამე, რომლის უკუნეთში, ცის ოთხივე კუთხიდან, მხოლოდ ბულვარების ცეცხლი იჭრებოდა მწკრივად.

ჟერვეზა „ხაფანგის“ წინ გაჩერებულიყო და ფიქრობდა, ორი სუ მაინც რომ ჰქონოდა, არყის დასალევად შევიდოდა შიგ. შეიძლება, არაყს ჩაეკლა მისი შიმშილი! ოხ! რამდენი არაყი დაულევია! ჟერვეზას ეჩვენებოდა, რომ არაყი მაინც ძალიან კარგი რამ იყო. ის შორიდან შესცქეროდა ლოთობის მანქანას, გრძნობდა, რომ მისი უბედურება იქიდან მოდიოდა და მაინც ოცნებობდა, თუ ოდესმე ექნებოდა ამის საშუალება, არყით მოეღო ბოლო თავისთვის. მაგრამ მას რაღაც ჟრუანტელმა დაურბინა ტანში. შეამჩნია, რომ ძალიან დაბნელებულიყო, შესაფერისი დროც მოვიდა, წასვლა იყო საჭირო. ეს იყო წუთი, როდესაც მას ძალ-ღონე უნდა მოეკრიბა და მიმზიდველი გამოჩენილიყო, თუ არ უნდოდა, რომ ამ საერთო მხიარულებაში ამოხდომოდა სული. მით უმეტეს, იმის ცქერაში, თუ სხვები როგორ თქვლეფდნენ... ამით მას ხომ არ აევსებოდა მუცელი! ჟერვეზამ ნაბიჯი შეანელა და ირგლივ მოავლო თვალი. ხეების ქვეშ ჩრდილი უფრო მეტად ჩამუქდა. ქუჩაში მოსეირნე ცოტა იყო. უმეტესად ჩანდნენ ადამიანები, რომლებიც მარდად გადადიოდნენ ბულვარს. განიერ და ჩაბნელებულ ქვაფენილზე, რომელსაც მეზობელი შარაგზების სიმხიარულე ვეღარ სწვდებოდა, ქალები იდგნენ და ელოდებოდნენ. დიდხანს იდგნენ ისინი ასე უძრავად, მოთმინებით, მჭლე ჭადრებივით გაშეშებულნი. მერე წყნარად დაიძროდნენ, აითრევდნენ ფეხსაცმელს მოყინულ ნიადაგზე, ათ ნაბიჯს გადადგამდნენ, შემდეგ ხელახლა გაჩერდებოდნენ მიწაზე მიკრულები. მათ შორის იყო ერთი უზარმაზარი ტანის დედაკაცი მწერივით წვრილი ხელებითა და ფეხებით, მოშვებული, უცნაურად სასაცილო, გახვეული შავი აბრეშუმის კაბის ნაფლეთებში, თავზე ყვითელი ფულარის ქალაღაიით. იყო მეორეც, მაღალი, ხმელი, თავშიშველა, შინამოსამსახურე ქალის წინსაფრით. იყვნენ სხვებიც, შეღებილი ბებრები, ახალგაზრდებიც, ძალიან ჭუჭყიანები, ისეთი ჭუჭყიანები, ისეთი საბრალონი, რომ ძველმანებით მოვაჭრეც კი არ მოჰკიდებდა მათ ხელს. ჟერვეზამ არ იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო. ცდილობდა მათგან შეესწავლა ეს, და იმათებურად გარჯილიყო. პატარა

გოგონასავით ღელავდა, თითქოს ყელში უჭერდა რაღაც, არც იცოდა რცხვენოდა თუ არა. როგორც საზიზღარ სიზმარში, ისე მოქმედებდა. თხუთმეტი წუთის განმავლობაში ასე უძრავად იდგა. მამაკაცები ბაწარგაბმით მოდიოდნენ, მაგრამ არც ერთს არ მოუხედავს აქეთ. ბოლოს ჟერვეზა ადგილიდან დაიძრა და გაბედა მიემართა ერთი მამაკაცისთვის, რომელიც სტვენით მოდიოდა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი. ჟერვეზამ ყრუ ხმით წაიბუტბუტა: – მომისმინეთ ერთი, მუსიე...

მამაკაცმა გვერდზე გამოხედა და მერე უფრო ხმამაღლა სტვენით გაუდგა გზას.

ჟერვეზა გათამამდა. გაერთო ამ გაშმაგებულ ნადირობაში, ცარიელი მუცლით, გააფთრებით მისდევდა თითქოს სადილს, რომელიც კვლავ გაურბოდა. დიდხანს იარა ასე, არც გზა იცოდა, არც საათი, მის გარშემო, ხეების ქვეშ დაძრწოდნენ უსიტყვო და შავი ქალები. მტკიცე, გამოზომილი ნაბიჯით მიდი-მოდიოდნენ გალიაში დამწყვდეული მხეცებივით. ეს ქალები ჩრდილიდან გაურკვეველი ლანდებივით ნელა გამოვიდოდნენ, გაივლიდნენ აირმაშუქის სინათლის ზოლში, რომელიც მკაფიოდ აჩენდა მათ მკრთალ ნიღბებს. მერე ხელახლა ჩრდილში შთაინთქმებოდნენ ბოლოკაბების თეთრი არშიების რხევით, და კვლავ მოსძებნიდნენ ქვაფენილის შიშის აღმძვრელ და მომხიბლავ სიბნელეს. მამაკაცები ყასიდად გაჰყვებოდნენ მათ, გაჩერდებოდნენ, დაელაპარაკებოდნენ სალაზღანდაროდ, მერე ისევ წავიდოდნენ სიცილით, ხოლო ზოგიერთი მორიდებული ცდილობდა შეუმჩნეველი დარჩენილიყო და ქალს ათი ნაბიჯის სიშორეზე მიჰყვებოდა. უეცრად სიჩუმეს დაარღვევდა ხმამაღალი ბუტბუტი, დაბალი ხმით ჩხუბი და გაშმაგებული ვაჭრობა. რაც უნდა შორს წასულიყო ჟერვეზა, მაინც ყველგან ხედავდა ღამით სადარაჯოდ გამოსულ ქალებს, თითქოს ისინი გარე ბულვარების ერთი ბოლოდან მეორემდე დარგულიყვნენ. ამრიგად, გადადგამდა ოც ნაბიჯს და ნახავდა ქალს, კიდევ ოც ნაბიჯს გაივლიდა, ახლა მეორეს ნახავდა. ბოლო აღარ უჩანდა ამ ძაფს, თითქოს, მთელ პარიზს უდგნენ დარაჯებად. დაწუნებული და უარყოფილი ჟერვეზა აფთრობდა, ადგილს იცვლიდა და კლინიანკურის გზატკეცილიდან ახლა ლა შაპელის დიდ ქუჩაზე გადავიდა.

– მომისმინეთ ერთი, მუსიე...

მაგრამ მამაკაცები გვერდს უქცევდნენ მას და მიდიოდნენ. ის გასცდა სასაკლაოს, რომლის ნანგრევებსაც სისხლის სუნი ასდიოდა. ცალი თვალი შეავლო ძველ სასტუმრო „კაიგულის“ ჩაკეტილ და გვერდზე მოქცეულ შენობას, ლარიბუაზერის საავადმყოფოს წინაც გაიარა და მექანიკურად ითვლიდა მის ფასადზე განათებული ფანჯრების მწკრივს, რომლებიც მომაკვდავის სარეცელთან დანთებულ ღამის ლამპრების წყნარი შუქით კიაფობდნენ. მან გადაიარა რკინიგზის ხიდი მატარებლების ზანზარსა და გუგუნში, მათი სასტვენების ჰაერში შეჭრილ, სასოწარკვეთილებით სავსე კივილში. ოხ! რა სევდიან ელფერს აძლევდა ღამე ყველაფერ ამას! შემდეგ ჟერვეზა შემობრუნდა და იმავე ქუჩას დაჰყვა ბოლომდე, უყურებდა იმავე სახლებს, და ასე გაიარ-გამოიარა ათჯერ, ოცჯერ, შეუსვენებლივ,

არც ერთ წუთს სკამზე არ დამჯდარა. არა, ის არავის უნდოდა. თითქოს ამ უარყოფითი და მედიდური ათვალწუნებით უფრო მატულობდა მისი შერცხვენა... ის კვლავ საავადმყოფოსკენ ჩავიდა, მერე ისევ სასაკლაოსკენ ავიდა. ეს მისი უკანასკნელი გასეირნება იყო სისხლიანი ეზოებიდან, სადაც პირუტყვს კლავდნენ; მკრთალი შუქით განათებულ დარბაზებამდე, სადაც სნეულები საერთო ზეწრებზე ფშეკდნენ ფეხებს. აქ იყო მისი ცხოვრება.

– მომისმინეთ ერთი, მუსიე...

უეცრად ჟერვეზამ მიწაზე თავისი ჩრდილი დაინახა. როდესაც ის აირმაშუქს უახლოვდებოდა, გაურკვეველი ჩრდილი მკაფიო ფორმას იღებდა, უზარმაზარი გახდებოდა, ბაჯაჯღანა და უცნაურად სასაცილო თავისი სიმრგვალით. სულ მთლად გადაბრტყელებული ჩანდა ზედ ყველაფერი, მუცელი, ყელი, ბარძაყები, და ყველა ერთად მიედინებოდა და მიცურავდა. ჟერვეზა ისე კოჭლობდა, რომ მიწაზე მისი ჩრდილი ყოველ ნაბიჯზე ყირას გადადიოდა. ჯამბაზი იყო სწორედ! შემდეგ, როდესაც ჟერვეზა სანათურს გასცდებოდა, ეს ჯამბაზი უფრო გაიზრდებოდა, გოლიათად გადაიქცეოდა, მთელ ბულვარს აავსებდა და ისეთ რევერანსს აკეთებდა, რომ ცხვირით ხეებსა და სახლებს ეჯახებოდა. ღმერთო ჩემო! რა სასაცილო, რა საზარელი გახდა! არასოდეს ასე ძლიერ არ უგრძნია თავისი დაცემულობა. მაგრამ ახლა თვალს ვერ აშორებდა ამ ჩრდილს და, როცა აირმაშუქს მიაღწევდა, თვალით ჭამდა თავისი ჩრდილის მალაყებს. ახ! რა საზიზღარი მაწანწალა მოსდევდა მას გვერდით! რა ჯირკი. მაშინვე არ გამოუდგებოდნენ მას მამაკაცები! და ხმას ადაბლებდა, ძლივსღა უბედავდა გამვლელებს ზურგში ლუღლუღით ჩალაპარაკებას.

– მომისმინეთ ერთი, მუსიე...

ამასობაში, როგორც ჩანს, კარგა დრომ გაიარა. თითქოს ყველაფერი გაუარესდა უბანში. საქეიფო დუქნები დაიკეტა, აირმაშუქით წითლად განათებული სამიკიტნოებიდან სიმთვრალისგან ჩახლეწილი ხმების ბუბუნი გამოდიოდა.

მხიარულება ჩხუბსა და ცემა-ტყეპაში გადავიდა: ერთი აწოწილი, აყლაყუდა ბიჭი ღრიალებდა: „მე შენ დაგამტვრევ, სულ სათითაოდ ჩამოგითვლი მაგ ნეკნებს!“ ერთ ქუჩის ქალს ერთ-ერთი საქეიფო დუქნის წინ ხელჩართული ბრძოლა გაემართა საყვარელთან, და მას ჭუჭყიან ღორს უწოდებდა, ხოლო მისი საყვარელი ამ დროს სულ იმეორებდა: „ახლა შენი და!“ – ვინაიდან ამის მეტი სათქმელად ვერაფერი ეპოვა. ლოთობა ირგვლივ ავრცელებდა მკვლელობას, რაღაც მძვინვარეს, ველურს, რაც სახეს უფითრებდა და უმანჭავდა იშვიათ გამვლელებს. დიდი დაკადაკა გაიმართა: ერთი ლოთი პირაღმა დაეცა, ხელ-ფეხი ჰაერში შეათამაშა, ხოლო მისი ამხანაგი, დარწმუნებული, რომ მას ანგარიში გაუსწორა, ვეება წაღების ტყაპატყუპით გარბოდა. ლოთების ჯგუფები უწმაწურ სიმღერებს ყროყინებდნენ, შემდეგ ჩამოვარდა დუმილი, რომელსაც მხოლოდ მთვრალების სლოკინი და ძირს დაცემის ყრუ ხმაური არღვევდა. ორი კვირის ხელფასით გამართული ქეიფი მუდამ ამგვარად

ბოლოვდებოდა. ექვსი საათის განმავლობაში იმდენი ღვინო მიედინებოდა, რომ ბოლოს, ქუჩაშიც იღვრებოდა. ოხ! ეს ღვარები! და ქუჩის შუაგულს ფარავდა მელიის კუდივით გაშლილი გუბეები, რომელთაც დაგვიანებული მგზავრები და ფაქიზი ადამიანები ძალაუნებურად ზედ ალაჯებდნენ, რათა ფეხი არ დასველებოდათ. არადა, ვინმე უცხოელს რომ დილით ენახა ეს უბანი, სანამ დაიგვებოდა, ძალიან კარგ აზრს კი შეიქმნიდა მასზე! მაგრამ ახლა ლოთები ხომ შინაურულად გრძნობდნენ თავს და რაში ეკითხებოდათ მათ ევროპა! დასწყევლის ეშმაკი! ახლა ჯიბეებიდან დანებიც ამოძვრა და ეს პატარა დღესასწაული სისხლით დასრულდა. ქალები ჩქარი ნაბიჯით მიდიოდნენ, მამაკაცები დახეტიალებდნენ და მგლური თვალებით იყურებოდნენ აქეთ-იქით. ღამეს ემატებოდა სიბნელე, ამაზრზენი სისაძაგლეებით სავსე წყვდიადი.

ჟერვეზა კვლავ დადიოდა კოჭლობით, ხან ზევით ავიდოდა, ხან ქვევით ჩამოვიდოდა, მხოლოდ და მხოლოდ ერთი აზრით, ასე ევლო განუწყვეტლივ. ძილი ერეოდა და იძინებდა თავისივე სიარულით დარწეული. მერე უეცრად გარშემო თვალს ავლებდა და ამჩნევდა, რომ ასი ნაბიჯი ჰქონდა გავლილი, შეუგნებლად, უგონოდ, როგორც მკვდარს. ამდენი დგომით თითქოს ფეხები გაუგანიერდა დახეულ ფლოსტებში. აღარაფერი გაეგებოდა, ისე იყო დაღლილი და გამოფიტული. უკანასკნელი აზრი, რომელიც აინტერესებდა, ის იყო, რომ შესაძლოა, ახლა მისი გათახსირებული გოგონა ხამანწკებს მიირთმევდა. შემდეგ უკვე ყველაფერი აირია, თვალები გახელილი დარჩა, მაგრამ ძალიან დიდი ძალდატანება სჭირდებოდა იმისთვის, რომ ეფიქრა. ერთადერთი გრძნობა, რომელიც არ ტოვებდა, დაუძლურებასა და ღონემიხდილობაში, ეს იყო გრძნობა ძაღლური სიცივისა, მწვავე, მომაკვდინებელი სიცივისა, როგორიც არასოდეს განუცდია. მკვდრებსაც არ სცივათ მიწაში ასე, უეჭველია. ჟერვეზამ მძიმედ აიღო თავი მაღლა და სახეში რაღაც მოხვდა ყინულივით. ეს იყო თოვლი, რომელმაც ძლივს გადაწყვიტა წამოსვლა მოღუშული ციდან. თოვლი წვრილი იყო და ხშირი. ქარის მსუბუქი შემობერვა კორიანტელს აყენებდა. სამი დღე ელოდებოდნენ ამ თოვლს და სწორედ კარგ დროს წამოვიდა.

ამ პირველი ქარაშოტის წამობერვამ ჟერვეზა გამოაფხიზლა და ნაბიჯს მოუჩქარა. მამაკაცები გარბოდნენ, ეშურებოდნენ შინ დაბრუნებას, მხრები უკვე გასთეთრებოდათ. როდესაც ჟერვეზამ დაინახა ერთი მათგანი, რომელიც ხეების ქვეშ ნელი ნაბიჯით მოდიოდა, მიუახლოვდა და კვლავ წარმოთქვა: – მომისმინეთ ერთი, მუსიე...

ერთიმეორეს შეხედეს ორივემ. ახ! ღმერთო ჩემო! აი, სად შეხვდნენ ერთმანეთს. ბიძია ბრიუ მათხოვრობდა, ხოლო მადამ კუპო ქუჩაში დაწანწალებდა. პირდაღებული იდგნენ ერთიმეორის პირდაპირ. ამ წუთს შეეძლოთ ხელი გაეწოდებინათ ერთმანეთისთვის. მთელ საღამოს დახეტიალებდა მოხუცი შავი მუშა და ხალხის შეწუხებას ერიდებოდა, და პირველი ადამიანი, რომელიც მან გააჩერა, ისეთივე მშიერ-მწყურვალი იყო, როგორიც თვითონ. უფალო! შესაბრალისი ამბავი არ იყო ეს? ორმოცდაათი წელიწადი იმუშაო და მერე იმათხოვრო! ერთ-ერთი საუკეთესო

მრეცხავი ქალი იყო გუტ-დორის ქუჩაზე და სიცოცხლე კი ქვაფენილზე დააბოლოო! ისინი კვლავ ერთმანეთს შეჰყურებდნენ. მერე უსიტყვოდ დაშორდნენ ერთმანეთს, თითოეული მათგანი თავის გზას გაუდგა თოვლის ქვეშ, რომელიც მათ უმოწყალოდ ფარავდა.

ნამდვილი ქარბუქი იყო. ამ მაღლობებზე, ამ ფარღალალა, ღია მიდამოებში წვრილი თოვლი ისე ტრიალებდა, თითქოს ცის ოთხივე კუთხიდან ქარი უბერავდა. ათ ნაბიჯზე არაფერი ჩანდა. ამ თეთრი მფრინავი მტვრის კორიანტელმა შთანთქა ყველაფერი. უბანი გაქრა, ბულვარი ჩაკვდა, თითქოს ამ ქარაშოტმა სიჩუმე დაამყარა და თავისი თეთრი ზეწარი გადააფარა დარჩენილი ლოთების სლოკინს. ჟერვეზა გაჭირვებით, მძიმედ მიდიოდა, მიდიოდა დაბრმავებული და გზააბნეული. ხეებს ხელით ეხებოდა გზის გასაგნებად. იმის მიხედვით, თუ რამდენად მიიწევდა იგი წინ, აირმაშუქებიც ჩამქრალი ჩირაღდნებივით ჩნდებოდა მკრთალ ჰაერში. მერე უეცრად, როდესაც ჟერვეზა გზაჯვარედინს გადადიოდა, ეს შუქის წყაროებიც გაქრა თავისთავად. ჟერვეზა მოთეთრო კორიანტელმა ჩაბღუჯა, დაატრიალა და ვეღარაფერს არჩევდა, არ იცოდა საით წასულიყო. გაურკვეველი მოთეთრო მიწა ფეხიდან ეცლებოდა. ნაცრისფერ კედლებში მოემწყვდა. როცა კი შეჩერდებოდა, შეყოყმანდებოდა და თავს უკან მოაბრუნებდა, ხვდებოდა, რომ ამ ყინულოვანი ფარდის იქით განუზომელი ხეივნები იყო, აირის ლამპების გაუთავებელი მწკრივები – მთელი ეს დაუსრულებელი და შავი უდაბნო მძინარე პარიზისა.

ჟერვეზა იქ იყო, სადაც ერთმანეთს კვეთენ გარე ბულვარი და მაჟენტისა და ორნანოს ბულვარები. ის უკვე ოცნებობდა მიწაზე დაწოლას, რომ ამ დროს ფეხის ხმა შემოესმა. ჟერვეზა გაიქცა, მაგრამ თოვლი თვალებში ეყრებოდა, ხოლო მიმავალი ნაბიჯის ხმაური შორდებოდა. ჟერვეზამ ვერ მოასწრო გაერკვია, – რომელი მხრიდან ისმოდა ნაბიჯების ხმა, მარჯვნიდან თუ მარცხნიდან. ბოლოს მან გაარჩია მამაკაცის განიერი მხარბეჭი, შავი და მოქანავე ლაქა, რომელიც ნისლში იკარგებოდა, ოხ! ეს კაცია, ამას კი ხელიდან აღარ გაუშვებს! და ჟერვეზა უფრო ჩქარა გაიქცა, დაეწია და ხალათში ხელი სტაცა.

– მუსიე, მუსიე, მომისმინეთ ერთი...

მამაკაცი მობრუნდა. ეს გუჟე იყო.

აი, ვინ წამოსდო ახლა ანკესზე ჟერვეზამ, ოქროს ყბა! მაგრამ რა დაუშავა მან კეთილ ღმერთს, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ასე იტანჯება! ეს უკანასკნელი დარტყმა იყო, ჟერვეზა ფეხებში ჩაუვარდა მჭედელს, გუჟემ დაინახა, რომ ჟერვეზა უკანასკნელ ქუჩის ქალად გადაქცეულა და ფერმიხდილი, მიწაზე ფოფხვით ემუდარება მას. ერთ-ერთი აირმაშუქის ქვეშ ხდებოდა ეს ამბავი და ჟერვეზამ დაინახა თავისი დამახინჯებული ჩრდილი, რომელიც თითქოს მასხარაობდა თოვლზე დაწოლილი. კარიკატურა იყო სწორედ! ხომ შეეძლოთ ეთქვათ, რომ ეს დედაკაცი მთვრალია! ღმერთო ჩემო! პურის ნამცეციც არ გქონდეს ჩასული პირში, არც ერთი წვეთი ღვინო

არ გაგესინჯოს და მთვრალი დედაკაცი კი ეგონო! მაგრამ ეს მისი ბრალია, რად ლოთობდა? რა თქმა უნდა, გუჟეს ჰგონია, რომ ჟერვეზა ახლა გადაკრულშია და ბილწ გარყვნილებას ეძლევა ქუჩაში.

გუჟე უყურებდა მას, ხოლო ამ დროს თოვლი ვარსკვლავებად ეფინებოდა მის ლამაზ, ოქროსფერ წვერს. შემდეგ, როცა ჟერვეზამ თავი ჩაღუნა და უკან დაიხია, გუჟემ შეაჩერა და უთხრა: – წამოდით.

თვითონ ის წინ წავიდა. ჟერვეზა გაჰყვა მას. ორივემ უხმოდ ჩაუარეს კედლებს, გაიარეს დამუნჯებული უბანი. საწყალი მადამ გუჟე ოქტომბერში გარდაიცვალა მწვავე რევმატიზმისგან. გუჟე კვლავ იქ ცხოვრობდა, პატარა ბნელ და განმარტოებულ ოთახში, „ახალ ქუჩაზე“. იმ დღეს მას შეაგვიანდა, რადგან დაჭრილ ამხანაგს უვლიდა. როდესაც გუჟემ გააღო კარი და ლამპა აანთო, ის მოუბრუნდა ჟერვეზას, რომელიც მოკრძალებით იდგა კიბეზე. გუჟემ ძალიან ხმადაბლა, თითქოს შიშობდა, მის დედას რომ არ გაეგონა, ჟერვეზას უთხრა: – შემოდით.

პირველი ოთახი, მადამ გუჟეს ოთახი, მოწიწებით იყო დატოვებული იმავე მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც ის მადამ გუჟემ დატოვა. ფანჯარასთან, სკამზე ისევ ქარგა იდო. მის გვერდით იდგა დიდი სავარძელი, რომელიც თითქოს ელოდა მოხუც მემაქმანეს. ლოგინი გასწორებული იყო და მადამ გუჟეს შეეძლო შიგ ჩაწოლილიყო, თუ სასაფლაოს მიატოვებდა და საღამოს გასატარებლად მოვიდოდა შვილთან. ოთახი დალაგებული იყო, და მასში იგრძნობოდა გულჩათხრობილება, სურნელება პატიოსნებისა და სიკეთისა.

– შემოდით, – უფრო ხმამაღლა გაიმეორა მჭედელმა.

ჟერვეზამ გაუბედავად, შიშით შედგა ფეხი, ცუდი ყოფაქცევის ქალივით, რომელიც პატიოსან ოჯახში მიძვრება. გუჟე მთლად გაფითრებულიყო და ცახცახებდა, როდესაც ქალი შემოჰყავდა გარდაცვლილი დედის ოთახში. მათ უხმო ნაბიჯით გაიარეს ეს ოთახი, თითქოს ვინმეს შეეძლო ყური მიეგდო მათთვის. უნდოდათ თავიდან აეცილებინათ ეს სირცხვილი. მერე, როდესაც გუჟემ ჟერვეზა თავის ოთახში შეიყვანა, მან კარი მიხურა. აქ ხომ ის შინ იყო. ეს იყო ვიწრო საწოლი ოთახი, პატარა თეთრფარდიანი რკინის საწოლით, რომელსაც ჟერვეზა იცნობდა. კედლებზე ისევ მხოლოდ ჟურნალებიდან ამოჭრილი ნახატები იყო გაკრული, და ამ სურათების გამოფენა უკვე ჭერამდე ადიოდა. ჟერვეზა ამ სისუფთავეში ფეხის გადადგმას ვერ ბედავდა, ლამპისგან მოშორებით დგებოდა. ამ დროს გაშმაგებულ გუჟეს უნდოდა უსიტყვოდ მოხვეოდა ქალს და გაესრისა თავის მკლავებში. მაგრამ ჟერვეზას ძალ-ღონე ელეოდა და წაიბუტბუტა: – ოხ! ღმერთო ჩემო!.. ოხ! ღმერთო ჩემო!

ქვანახშირის მტვრით დაფარული ღუმელი კვლავ ენთო. რაგუს ნარჩენებს, რომელიც მჭედელს გასათბობად დაეტოვებინა, რათა დაბრუნებისას, თბილი საჭმელი დახვედროდა, საფერფლის წინ ორთქლი ასდიოდა. სითბოში გრძნობაზე მოსული ჟერვეზა მზად იყო დაოთხილი მისულიყო და ტაფაშივე შეეჭამა ეს ნარჩენები. ეს

უკვე მის ძალებს აღემატებოდა, კუჭი სწიწკნიდა. ჟერვეზა დაიხარა და ამოიოხრა. მაგრამ გუჟე მიხვდა. რაგუ მაგიდაზე დადგა, პური დაჭრა და სასმელიც ჩამოუსხა.

– გმადლობთ! გმადლობთ! – გაიძახოდა ჟერვეზა, – ოხ! რა კეთილი ხართ! გმადლობთ!

ჟერვეზა ლუღლუღებდა, არც ერთი სიტყვის წარმოთქმა არ შეეძლო. როდესაც ჩანგალი ჩაბღუჯა, იმდენად ცახცახებდა, რომ ის ხელიდან გაუვარდა. შიმშილისგან სულშეხუთულს თავი მოხუცივით უცახცახებდა. იძულებული გახდა ხელით ეჭამა და პირველივე კარტოფილზე, რომელიც პირში ჩაიტენა, ქვითინი აუვარდა. მსხვილი ცრემლები მოგორავდა მის ლოყებზე და პურს ეცემოდა. განუწყვეტლივ ჭამდა, ხარბად ყლაპავდა საკუთარი ცრემლებით დასველებულ პურს, მძიმედ სუნთქავდა და ნიკაპი ეღრიცებოდა. გუჟემ ძალით დაალევინა, რომ არ დამხრჩვალიყო; ჭიქამ მის კბილებზე გაირაწკუნა.

– გნებავთ კიდევ პური? – ოდნავ გასაგონი ხმით ეკითხებოდა გუჟე.

ჟერვეზა ტიროდა, ამბობდა არა, ამბობდა ჰო, თვითონაც არ იცოდა, რა ეთქვა. ახ! უფალო! რა კარგია და რა სევდიანია ჭამა, როდესაც შიმშილით კვდები!

გუჟე მის პირდაპირ იდგა და უმზეროდა მას. აბაჟურის ქვეშ, ნათელ შუქზე უკვე კარგად ხედავდა ჟერვეზას. როგორ დაბერებულა და მოტეხილა! სითბო ადნობდა თოვლს მის თმასა და ტანსაცმელზე. წყალი წურწურით ჩამოსდიოდა. მისი საბრალო, მოცანცარე თავი მთლად გაჭაღარავებულიყო და ქარს გაეწეწა თმის ბღუჯები. კისერი მხრებში ჩასძვრომოდა, უშნოდ იჯდა მოშვებული და იმდენად მახინჯი და სქელი, რომ ტირილს მოგგვრიდა. გუჟეს გაახსენდა მათი სიყვარული, ის დრო, როცა ეს ქალი ვარდისფერი იყო და თავის უთოს არაკუნებდა, ხოლო მისი ბავშვისებური ნაკეცები თითქოს მშვენიერ ყელსაბამს ქმნიდა მის ყელზე. გუჟე იმ ხანებში დადიოდა სწორედ მასთან, საათების განმავლობაში შესცქეროდა მას, მისი ცქერით ტკბებოდა და მარტო მისი ნახვით იყო კმაყოფილი. მერე, უფრო გვიან, ჟერვეზა მივიდა მასთან სამჭედლოში და იქ მათ დიდი სიხარული იგემეს იმ დროს, როდესაც ის რკინას ურტყამდა, ხოლო ჟერვეზა მისი კვერის ცეკვას უყურებდა. იმ ხანებში გუჟეს ღამღამობით რამდენჯერ დაუკბენია თავისი ბალიში, როცა შეიპყრობდა სურვილი, ეს ქალი თავის ოთახში ჰყოლოდა.

ოხ! ის დაამტვრევდა მას, რომ მოხვეოდა, იმდენად სურდა იგი, და აი ახლა ეს ქალი მისი იყო. ახლა გუჟეს შეეძლო დაუფლებოდა მას. ჟერვეზა პურს შეექცეოდა და ტაფაზე დახრილი ცრემლებს იწმენდდა, მსხვილსა და ჩუმ ცრემლებს, რომლებიც განუწყვეტლივ ცვიოდა საჭმელზე.

ჟერვეზა წამოდგა. ერთხანს თავჩაღუნული იდგა, დარცხვენილი იყო, არ იცოდა სურდა ის გუჟეს თუ არა. შემდეგ თითქოს შენიშნა, რომ გუჟეს თვალებში ცეცხლი აენთო. ჟერვეზამ ხელი ზედატანისკენ წაიღო და პირველი ღილი შეიხსნა, მაგრამ

გუჟემ მის წინ მუხლი მოიყარა, მისი ხელები ხელში დაიჭირა და ტკბილი ხმით უთხრა: – მე თქვენ მიყვარხართ, მადამ ჟერვეზა. მე თქვენ ისევ მიყვარხართ, მიუხედავად ყველაფრისა, გეფიცებით ამას!

– ნუ მეუბნებით მაგას, მუსიე გუჟე, – წამოიყვირა ჟერვეზამ, რომელიც სულ გადარია იმან, რომ გუჟეს თავის ფერხთით ხედავდა.

– არა, ნუ ამბობთ მაგას, მე თქვენ დიდ მწუხარებას მაყენებთ.

და რადგანაც გუჟე იმეორებდა, რომ მას არ შეუძლია ორი გრძნობა იქონიოს ცხოვრებაში, ჟერვეზა უფრო ძლიერმა სასოწარკვეთამ შეიპყრო.

– არა, არა, მე აღარ მსურს, მე მეტისმეტად მრცხვენია... ღვთის გულისათვის! წამოდექით. ეგ ჩემი ადგილია, მიწაზე მე უნდა ვეგდო.

გუჟე წამოდგა და მთლად ათრთოლებულმა ლუღლუღით უთხრა: – ნებას მომცემთ, რომ გაკოცოთ?

მოულოდნელობისა და აღელვებისგან დაბნეულმა ჟერვეზამ ვერც ერთი სიტყვა ვერ იპოვა საპასუხოდ. თანხმობის ნიშნად მან მხოლოდ თავი დაუქნია. ღმერთო ჩემო! ეს ქალი მისი იყო, გუჟეს შეეძლო, როგორც უნდოდა ისე მოჰქცეოდა მას. მაგრამ მან მხოლოდ ტუჩები გაიშვირა.

– ეს საკმარისია ჩვენ შორის, მადამ ჟერვეზა, – წაიჩურჩულა მან, – ეს არის მთელი ჩვენი მეგობრობა, არა, განა?

და გუჟე შუბლზე ეამბორა ჟერვეზას, მისი ჭაღარა თმის ერთ კულულს. მას შემდეგ, რაც დედა გარდაეცვალა, გუჟეს არავისთვის არ უკოცნია. მას მხოლოდ მისი კარგი მეგობარი ჟერვეზაღა დარჩა ამქვეყნად. როცა გუჟე ჟერვეზას ასეთი პატივისცემით ეამბორა, მან უკან დაიხია და გარდიგარდმო დაემხო თავის საწოლზე მწარედ აქვითინებული. ჟერვეზასაც უკვე აღარ შეეძლო იქ დარჩენა. მეტისმეტად სამწუხარო, და მეტისმეტად შემზარავი იყო ასეთ პირობებში დარჩენა მათთვის, ვისაც ოდესღაც ერთმანეთი უყვარდათ. ჟერვეზამ ყვირილით შესძახა: – მე თქვენ მიყვარხართ, მუსიე გუჟე, მეც ძალიან მიყვარხართ... ოჰ! ეს შეუძლებელია, მე მესმის... მშვიდობით, მშვიდობით, რადგან ჩვენ ეს დაგვახრჩობდა ორივეს.

მან სირბილით გაიარა მადამ გუჟეს ოთახი და ქვაფენილზე გაჩნდა. როდესაც ჟერვეზა გონს მოვიდა, ის უკვე გუტ-დორის ქუჩაზე იმყოფებოდა და ზარს რეკავდა. ბოშმა თოკი მოსწია. სახლი მთლიანად ჩაბნელებულიყო. ჟერვეზა ისე შევიდა შიგ, ვით საკუთარ სამარეში. ჭუჭყიანი და პირდაღებული შესასვლელი კარი ღამის სიჩუმეში დაღრენილ დინგს ჰგავდა. ოდესღაც ჟერვეზას თავი მოჰქონდა აქ თავისი კუთხით, ამ გახრეკილ ყაზარმაში! ყურები დაცობილი ხომ არ ჰქონდა მაშინ, რატომ არ ესმოდა იმ ხანებში სასოწარკვეთილების წყეული მუსიკა, რომელიც სისინებდა ამ კედლების იქით? პირველი დღიდანვე, როდესაც მან აქ ფეხი შემოდგა, დაბლობისკენ

დაიწყო დაგორება. დიახ, ამას უბედურება უნდა მოსდევდეს, როდესაც ადამიანები ასე ერთმანეთზე არიან მიყრილი ამ საოხრო უზარმაზარ მუშათა სახლებში. აქ შეეყრებოდა ხოლმე ყველას სიღატაკის ქოლერა. იმ საღამოს თითქოს ყველანი დახოცილიყვნენ. ჟერვეზას მხოლოდ ბოშების ხვრინვა ესმოდა მარჯვნივ, ხოლო ლანტიე და ვირჯინია მარცხნივ ისე კრუტუნებდნენ, როგორც კატები, რომელთაც არ სძინავთ და სითბოში იმყოფებიან თვალდახუჭულები. ეზოში ჟერვეზა ისე გრძნობდა თავს, როგორც ნამდვილ სასაფლაოზე. მიწაზე თოვლს მოთეთრო ოთხკუთხედი გაეკეთებინა. მაღალი, მღვრიე ნაცრისფერი ფასადები ნანგრევთა კედლებივით აღმართულიყო, ნამცეცი შუქი არსად ჩანდა. არსაიდან სუნთქვა არ ისმოდა, თითქოს მთელი მოსახლეობა ჩამარხულიყო, რომელსაც ორთქლი ასდიოდა და რომელიც თეთრ თოვლზე ჭუჭყიან კალაპოტს იკეთებდა. ამ წყალს ჟერვეზას ფიქრების ფერი ჰქონდა. ჩაიარეს უკვე იმ ლამაზმა მოცისფრო და მოვარდისფრო მდინარეებმა!

მერე, როდესაც ჟერვეზა მეექვსე სართულზე ადიოდა, სიცილი ვეღარ შეიკავა, ცუდი სიცილი, რომელიც გულს სტკენდა. გაახსენდა თავისი ძველი იდეალი: წყნარად ემუშავა, საჭმელი პური ჰქონოდა მუდამ, ჰქონოდა ოდნავ სუფთა კუთხე, სადაც დაიძინებდა, კარგად გაეზარდა შვილები, არავის ეცემა მისთვის და საკუთარ ლოგინში მომკვდარიყო. არა, ეს მართლაც სასაცილო იყო, თუ როგორ განხორციელდა ყველაფერი! ჟერვეზა აღარ მუშაობს, არაფერს ჭამს, ჭუჭყში სძინავს, მისი ქალიშვილი გარყვნილების ბუდეებში დაეთრევა და ქმარიც უმოწყალოდ სცემს. ერთიღა დარჩა, რომ ქვაფენილზე განუტევოს სული. შესაძლებელია ეს ახლავეც მომხდარიყო, თუკი გაბედულება ეყოფოდა, ფანჯრიდან გადავარდნილიყო, როცა თავის ბინაში ავიდოდა. ხომ ვერავინ იტყვის, რომ განგებას ოცდაათი ათას ფრანკ რენტას და ბრწყინვალე საზოგადოებრივ მდგომარეობას სთხოვდა? ახ! ცხოვრებაში კაცი მოკრძალებული უნდა იყოს, ჯიბე უნდა გაისინჯოს კარგად. არც ფული და არც ჭერი, აი საერთო ბედი ადამიანისა. ჟერვეზას ბოროტ სიცილს აორკეცებდა მოგონება იმ ტკბილი იმედისა, რომელიც ოდესღაც ჰქონდა, რომ ის ოცი წლის მუშაობის შემდეგ სოფელში წავიდოდა საცხოვრებლად. ჰოდა, რა! ის უსათუოდ წავა სოფელში. მას ხომ ექნება თავისი მწვანე კუთხე პერ-ლაშეზზე.

როდესაც ჟერვეზა დერეფანში შევიდა, გიჟივით იყო. საბრალო თავი დარეტიანებოდა. გულის სიღრმეში ყველაზე მეტად ის აწუხებდა, რომ სამუდამოდ გამოემშვიდობა მჭედელს, ყველაფერი დასრულდა მათ შორის, ვეღარასოდეს იხილავდენ ერთმანეთს. ამასთან, სხვა მძიმე ფიქრებიც აეშალა ჟერვეზას და ეს ფიქრები საბოლოოდ უხეთქავდა თავს. გავლისას მან ბიჟარებთან შეიხედა და დაინახა მკვდარი ლალი, რომელსაც კმაყოფილი სახე ჰქონდა, რომ გაშოტილი იწვა და ამიერიდან სამუდამოდ ინებივრებდა. ახ! რა კარგია! ბავშვებს უფრო ბედი ჰქონიათ, ვიდრე დიდ ადამიანებს! და, რადგანაც ბიძია ბაზუჟის კარში შუქის ზოლი მოჩანდა, ჟერვეზა პირდაპირ მასთან შევიდა, შეპყრობილი გაშმაგებული სურვილით, ისიც ამ პატარა გოგოს გზას გაჰყოლოდა.

ეს ბებერი მასხარა, ბიძია ბაზუჟი, იმ ღამეს რაღაც არაჩვეულებრივად მხიარულ გუნებაზე დაბრუნებულიყო შინ. იმდენი გადაეკრა, რომ მიუხედავად სიცივისა, ძირს გაგდებული ხვრინავდა. ეს გარემოება, ეტყობა, ხელს არ უშლიდა, კარგ სიზმრებში ყოფილიყო, რადგანაც ძილში თითქოს მუცლით იცინოდა. ჩაუქრობლად დარჩენილი ლამპა ანათებდა მის ძონძებს, შავ კუთხეში მიგდებულ ქუდს, შავ წამოსასხამს, რომელიც საბნის მაგივრად წაეფარებინა მუხლებზე.

ჟერვეზამ თვალი მოჰკრა თუ არა მას, ისეთ მოთქმა-გოდებას მოჰყვა, რომ გამოაღვიძა ბიძია ბაზუჟი.

– დალახვროს ღმერთმა! კარი მაინც დაკეტეთ! სიცივე შემოდის მანდედან!.. აჰა! ეს თქვენა ხართ!.. რა მოხდა? რა გნებავთ?

მაშინვე ჟერვეზამ ხელები გაიწოდა და თვითონაც არ იცოდა, თუ რას ლუღლუღებდა, – ისეთი გატაცებით დაუწყო ხვეწნა ბიძია ბაზუჟს.

– ოჰ! წამიყვანეთ, მეყოფა, მე წასვლა მინდა იქ... გულში ღვარძლს ნუ ჩაირჩენთ ჩემს წინააღმდეგ... მე არ ვიცოდი, ღმერთო ჩემო! არასდროს არავინ იცის, სანამ მზად არ არის... ოჰ! დიახ, კმაყოფილი დავრჩები, ერთი დღეც რომ გავატარო იქ... წამიყვანეთ, წამიყვანეთ, მე თქვენ მადლობას გეტყვით.

და ჟერვეზა მუხლზე დაეცა მთლად აძაგძაგებული სურვილით, რომელიც სახეზე ფერს უკარგავდა. მას თავის სიცოცხლეში არ უფოფხია ასე მამაკაცის ფეხებთან. ბიძია ბაზუჟის სიფათი, თავისი მოღრეცილი პირით და სასაფლაოს მტვერში ამოთხუპნილი პირისკანით ჟერვეზას მშვენიერი და მზესავით გაბრწყინებული ეჩვენებოდა, ხოლო ახალგამოღვიძებულ ბერიკაცს ეგონა, აქ რაღაც ცუდი ხუმრობა უნდა ყოფილიყო.

– გამიგონეთ, – ბუტბუტებდა ის, – მე ეს არ მესაჭიროება.

– წამიყვანეთ, – უფრო მეტი გაცხარებით გაიმეორა ჟერვეზამ, – გახსოვთ, ერთ საღამოს ტიხარზე მოგიკაკუნეთ, ხოლო მერე გითხარით, რომ ეს შეცდომა იყო, ვინაიდან მაშინ ჯერ კიდევ ძალიან სულელი ვიყავი... მაგრამ ახლა! გამომიწოდეთ ხელი, მე აღარ მეშინია. წამიყვანეთ დასაძინებლად, თქვენ დაინახავთ, რომ მე არც კი გავინძრევი... ოხ! მე ამის მეტი სხვა სურვილი არა მაქვს. ოხ! მე თქვენ ძალიან მეყვარებით!

მუდამ დარდიმანდმა ბაზუჟმა იფიქრა, არასოდეს ხელი არ უნდა ჰკრა მანდილოსანს, რომელსაც ასე მოსდებია მისი სახმილი. თუმცა ეს ქალი უკვე ძალიან შეფენთხილია, მაგრამ როცა გუნებაზე მოვა, კიდევ აქვს ძველი მშვენების ნაშთები.

– თქვენ, უსათუოდ მართალი ბრძანდებით, – წარმოთქვა ბაზუჟმა რწმენით, – მე დღეს უკვე სამი შევკოჭე და ისინი კარგა ბლომადაც მაჩუქებდნენ გადასაკრავს,

ჯიბეში ხელის ჩაყოფა რომ შესძლებოდათ... მხოლოდ, ჩემო დედიკოვ, ეგ საქმე ვერ მოეწყობა მაგრე...

– წამიყვანეთ, წამიყვანეთ, – კვლავ გაჰკიოდა ჟერვეზა, – მე წასვლა მინდა აქედან...

– ვაჰ, ჯერ ერთი პატარა ოპერაციაა გასაკეთებელი, გესმით, ჩიკ!

და ბიძია ბაზუჟმა ყელით ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს ენა გადაყლაპა. მერე საკუთარი ხუმრობა ისე მოეწონა, რომ ჩაიხითხითა.

ჟერვეზა ნელა წამოდგა. მაშ, ბიძია ბაზუჟსაც არ შესძლებია რისიმე გაკეთება ჟერვეზასთვის. ჟერვეზა თავის ოთახში დაბრუნდა მთლად გამოთაყვანებული, მოდუნებული, და ჩალაზე დაეცა. ახლა ნანობდა, რომ საჭმელი ჭამა.

ახ! არა, ასე მალე არ კლავს კაცს სიღარიბე!

## თავი მეცამეტე

კუპო სულ სვამდა იმ ღამეს. მეორე დღეს ჟერვეზამ ათი ფრანკი მიიღო თავისი შვილის ეტიენისგან, რომელიც მექანიკოსად მუშაობდა ერთ-ერთ რკინიგზაზე. ბიჭი დროდადრო ას-ას სუს უგზავნიდა დედას, რადგან იცოდა, რომ შინ არცთუ ისე მაძღრად იყვნენ. ჟერვეზამ შეჭამანდი გაიკეთა და მარტოდმარტომ შეჭამა, რადგან ეს ჯაგლაგი კუპო მეორე დღესაც არ მოვიდა, ორშაბათსაც არ გამოჩნდა, სამშაბათსაც კვლავ არ ჩანდა. მთელმა კვირამ გაიარა. ახ! ძაღლი კი მიაკვდეს მის სახელს. თუ რომელიმე მანდილოსანმა მოიტაცა, კიდევ კარგი, ბედი იქნება სწორედ! მაგრამ კვირადღეს ჟერვეზას მოუვიდა დაბეჭდილი ქაღალდი, რომელმაც თავდაპირველად შეაშინა, რადგან პოლიციის კომისრის მოწერილობა ეგონა. შემდეგში კი დამშვიდდა, რადგან ეს მხოლოდ ცნობა იყო: ჟერვეზას ატყობინებდნენ, რომ მის ღორს სული ხდებოდა წმინდა ანას თავშესაფარში. ქაღალდში ეს უფრო ზრდილობიანად იყო ნათქვამი, მაგრამ მაინც ხომ იგივე გამოდიოდა. დიახ, მართლაც კუპოს გამტაცებელი ერთი ვინმე მანდილოსანი აღმოჩნდა. ამ მანდილოსანს „სოფი თვალი დაუმიწე“ ერქვა. ის ლოთების კარგი და უკანასკნელი მეგობარი იყო.

ჟერვეზა სულაც არ შეწუხებულა. კუპომ თვითონაც იცის გზა, ძალიან კარგად შეუძლია თავშესაფრიდან მარტო დაბრუნდეს. იმდენჯერ მოურჩენიათ იგი ამ თავშესაფარში, რომ ერთხელ კიდევ შეუძლიათ გაიმეორონ ეს ცუდი ხუმრობა და, ფეხზე დააყენონ იგი. ამ დილით არ იყო, რომ ჟერვეზამ შეიტყო: რვა დღის განმავლობაში სულ ხედავდნენ კუპოს, რუმბივით დამრგვალებული, წაღასთან

ერთად უვლიდა სამიკიტნოებს ბელვილში?! რა თქმა უნდა, წაღას ხარჯზე ქეიფობდნენ ასე მშვენივრად! როგორც ჩანს, წაღას ჩანგალი წამოუდვია მისი ცოლის მიერ შემონახული განძეულისთვის, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, მეტად ლამაზი შრომით იყო ნაშოვნი. ახ! ისინი სვამდნენ და რა სუფთა ფულით სვამდნენ, ფულით, რომელსაც ყოველგვარი ავი სენი შეუძლია შესძინოს კაცს! მით უკეთესი, თუ კუპოს ამით ჭვლები დასდგომია! ჟერვეზა განსაკუთრებით იმაზე აფთრობდა, რომ ამ ორმა უბადრუკმა ეგოისტმა ერთი არ იფიქრეს, მოსულიყვნენ და ერთი ჭიქა არყით გამასპინძლებოდნენ მას. გაგონილა, მთელი რვა დღე თვრებოდე და ერთხელ პატივი არ სცე მანდილოსანს! ვინც მარტო ხეთქავს, სიმარტოვეშიც ამოსძვრება სული. ჰოდა, ასე!

მაგრამ ორშაბათს მაინც, რაკი ჟერვეზას საღამოსთვის ჰქონდა ცოტაოდენი საჭმელი, – ლობიოს ნარჩენები და ერთი ბოთლი არაყი, – მან საბაბი გამონახა, რომ გაესეირნა ვითომდა მადის გასაღვიძებლად. მოსვენებას არ აძლევდა თავშესაფრიდან მოსული წერილი, რომელიც კამოდზე იდო. თოვლი უკვე დადნა, კარგი დარი იყო, წყნარი და ნისლიანი, ჰაერში სიცოცხლის სუნთქვა ისმოდა, რაც ახალისებდა, ამხიარულებდა ადამიანს. ჟერვეზა შუადღისას გავიდა, რადგან გასავლელი გზა დიდი იყო: მთელი პარიზი უნდა გადაეჭრა, ხოლო მისი კოჭლი ფეხი ჩქარა ვერ იძრვოდა. ამასთან ქუჩები ხალხით იყო სავსე, თუმცა ხალხი მას ართობდა. ძალიან მხიარულად გაიარა ეს გზა. როდესაც საავადმყოფოში თავისი თავი დაასახელა, გასაშტერებელი ამბავი უთხრეს: თითქოს კუპო წყლიდან ამოიყვანეს ახალ ხიდთან. ის მოაჯირს იქით გადავარდნილიყო, რადგან მოლანდებოდა, რომ გზას უღობავდა ვიღაც წვერიანი კაცი. კაი ნახტომია, არა? მაგრამ რანაირად გაჩნდა კუპო ახალ ხიდზე, ამას ის თვითონაც ვერ აგიხსნიდათ.

ამასობაში ერთმა დარაჯმა წაიყვანა ჟერვეზა კუპოსთან. ჟერვეზა კიბეზე ადიოდა, როდესაც შემოესმა ღრიალი, რომელმაც ცივად დაურბინა ძვლებში.

– ჰეი! რა მუსიკას უკრავს! – წარმოთქვა დარაჯმა.

– ვინა? – შეეკითხა ჟერვეზა.

– ვინა და თქვენი ქმარი. გუშინდელს აქეთ ეგრე ღრიალებს, თანაც ცეკვავს, თქვენ თვითონ ნახავთ!

ახ! ღმერთო ჩემო! რა სანახავი იყო! ჟერვეზა გაშეშდა ერთ ადგილას, საკანი თავიდან ბოლომდე ლეიბებით იყო მოფენილი. იატაკზე ორი ერთიმეორეზე დაგებული ფარდაგი ეფინა. ერთ კუთხეში იდო ბალიში და მეტი არაფერი. კუპო ამ ოთახში ღრიალებდა და ცეკვავდა. ნამდვილი ტაკიმასხარა იყო დაფლეთილი ხალათითა და ჰაერში მოქანავე ხელ-ფეხით. ტაკიმასხარა იყო, მაგრამ არა სასაცილო, ოხ! არა! ტაკიმასხარა, რომლის ცეკვაც მთელ ტანზე ბალანს აგიბურძგლავდა. სასიკვდილოდ გამზადებულს ჰგავდა. ღმერთმა შეაჩვენოს მისი სახელი! ეს რანაირი მოცეკვავეა. მარტოდმარტო ცეკვავს! კუპო ფანჯარას ეხეთქებოდა, მერე უკან-უკან იხევდა და

ხელებს ის აფართხუნებდა, თითქოს უნდოდა მოეწყვიტა ისინი და ქვეყნისთვის თავში მიეხალა. საქეიფო დუქნებში შეხვდებით ამისთანა მასხარებს, რომლებიც ჰბაძავენ ამ ცეკვას, მაგრამ ისინი ცუდად ჰბაძავენ. თუ სურს ვინმეს გაიგოს, თუ რა ლაზათი აქვს ამ ცეკვას, მან უნდა ნახოს, როგორ ხტიან ლოთები, როცა გულით მონდომებული არიან. სიმღერასაც აქვს ელფერი, ეს განუწყვეტელი ღრიალია, როგორც კარნავალზე, როდესაც ფართოდ გაღებული პირი ჩახრინწული ტრომბონის ერთსა და იმავე ბგერას გამოსცემს. მთელი საათების განმავლობაში კუპო ისე ღმუოდა, როგორც ნადირი, რომელსაც თათი გაუსრისეს. აბა, დასცხე ორკესტრი, ააცეკვეთ თქვენი მანდილოსნები!

– უფალო, ეს რა დამართვია?.. რა დამართვია ეს?.. – იმეორებდა თავზარდაცემული ჟერვეზა.

ერთი თეთრხალათიანი სტუდენტი, მაღალი, ქერა ბიჭი დამშვიდებული იჯდა და შენიშვნებს იწერდა. საინტერესო შემთხვევა იყო და სტუდენტი არ შორდებოდა ავადმყოფს.

– დარჩით ერთ წუთს, თუ გნებავთ, – უთხრა სტუდენტმა მრეცხავ ქალს. – მხოლოდ წყნარად იყავით... სცადეთ მასთან დალაპარაკება, ეგ თქვენ ვერ გიცნობთ.

კუპო, მართლაც, თითქოს ვერ ამჩნევდა ცოლს. შემოსვლისას ჟერვეზამ ის კარგად ვერ დაინახა, ისე ფართხალებდა აქეთ-იქით. ახლა კი, როდესაც კუპო სულ ახლოს ნახა, ჟერვეზას ხელები ჩამოუცვივდა. ღმერთო, განა შესაძლებელია, რომ ადამიანს ასეთი სახე ჰქონდეს, – ჩასისხლიანებული თვალები, ტუჩებზე მიმხმარი დუჟი? რომ არ სცოდნოდა, ეს კუპო იყო, ვერაფრით იცნობდა. ჯერ კუპო საშინლად იბრიცებოდა, უაზროდ მანჭავდა სახეს, უეცრად პირი გვერდზე მოეღრიცებოდა, ცხვირი შეჭმუხნოდა, ლოყები ჩავარდნოდა. პირისახე კი არ იყო ეს, ნამდვილად პირუტყვის დინგი იყო. ისეთი ცხელი კანი ჰქონდა, რომ ორთქლი ჰაერში ადიოდა და მისი ტყავი თითქოს გაპრიალებულიყო მძიმე ოფლისგან, რომელიც წურწურით ჩამოსდიოდა. მიუხედავად ასეთი გაშმაგებული ცეკვისა, მაინც ეტყობოდა, რომ კარგად ვერ იყო, თავი დამძიმებოდა და სახსრებიც სტკიოდა.

ჟერვეზა მიუახლოვდა სტუდენტს, რომელიც სკამის ზურგზე თითებით რაღაც არიას არაკუნებდა.

– ერთი მითხარით, მუსიე, მისი მდგომარეობა ძალიან სერიოზულია?

სტუდენტმა პასუხის მიუცემლად დაუქნია თავი.

– შეხედეთ იმას, თითქოს, რაღაცას ბუტბუტებს ჩუმი ხმით? ჰა? თქვენ გესმით, რა არის ეს?

– ლაპარაკობს იმას, რასაც ხედავს, – ჩურჩულით უთხრა სტუდენტმა, – გაჩუმდით, ყურის გდებას ნუ მიშლით.

კუპო ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა. თუმცა მას ამ დროს მხიარულების ცეცხლი უელავდა თვალებში, ძირს იყურებოდა, ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, ტრილებდა თითქოს, ვენსენის ტყეში დასეირნობდა და თავისთავს ელაპარაკებოდა.

– ახ! ეს კარგია, გაშლილია... პატარა სახლებიც არის, ნამდვილი ბაზრობაა. მუსიკასაც არა უშავს რა! რა მეჯლისია, რა ნადიმი! ჭურჭელს ამტრევენ შიგნით... რა განცხრომაა, რა ფუფუნება! აგერ, ილუმინაცია! წითელი ბუშტები ჰაერში ხტიან, მიფრინავენ... ოხ! ოხ! რამდენი ფარანია ხეებზე!.. ძალიან კარგია! ყოველი მხრიდან შხეფები, შადრევნები, წყალვარდნილები, წყალი, რომელიც მღერის, ოხ! მღერის პატარა მგალობელივით გუნდში... თვალისმომჭრელია, წყალვარდნილები, ჩანჩქერები!

და კუპო მაღლა იწევდა, თითქოს უკეთ უნდოდა მოესმინა წყლის საამური სიმღერა. ღრმად ისუნთქავდა ჰაერს, ვითომ სვამდა იმ გრილ შხეფებს, რომელთაც შადრევანი ისროდა. მაგრამ ნელ-ნელა მისმა სახემ ტანჯული გამომეტყველება მიიღო. მაშინ იგი მოიკუზა და საკნის კედლების გასწვრივ ჩქარი სირბილი დაიწყო ოდნავ გასაგონი მუქარის სიტყვებით.

– ეს იგივე ოინებია ყველაფერი... მე ეჭვი მქონდა... სიჩუმე, არამზადების ხროვავ! დიახ, თქვენ აბუჩად მიგდებთ მე. იმიტომ, რომ გამაბეზროთ თქვენი ტუტუცური სიცილით, სვამთ და ღრიალებთ თქვენს ნათრევ დედაკაცებთან ერთად... მე თქვენ მოგსპობთ მაგ ხუხულა სახლებში! დაგწყევლოთ ღმერთმა! აღარ მომცემთ მოსვენებას!

ის მუშტებს კუმშავდა, უცებ ხრინწიანი ხმით შეჰყვირა და დაოთხილი გაიქცა. შიშისგან თავზარდაცემული კბილს კბილზე აცემინებდა და ლუღლუღებდა: – ეს იმიტომ, რომ მე თავი მოვიკლა. არა, მე არ ჩავვარდები!.. ეს ამდენი წყალი რას ნიშნავს, რომ მე, ვითომ გაბედულება არ მეყოფა! არა, არ ჩავვარდები!

წყალვარდნილები, რომელნიც მის მიახლოებაზე გარბოდნენ, წინ მოიწევდნენ, როდესაც ის უკან იხევდა. მერე უეცრად გამოშტერებული სახით ირგვლივ მიიხედ-მოიხედა და ოდნავ გასაგონი ხმით წაიბუტბუტა: – ეს შეუძლებელია, მათ ჩემს წინააღმდეგ აამხედრეს, გადაიბირეს ყველა მკურნალი.

– მე მივდივარ, მუსიე, მშვიდობით. – მიმართა სტუდენტს ჟერვეზამ, – მეტისმეტად მიმძიმს ამის ცქერა, მერე მოვალ.

ჟერვეზას ფერი აღარ ჰქონდა. კუპო მარტო განაგრძობდა ცეკვას, ფანჯრიდან ლეიბისკენ, ლეიბიდან ფანჯრისკენ. ოფლი სდიოდა, ძალ-ღონე ელეოდა, მაგრამ ერთსა და იმავე ტაქტს კი იცავდა. ჟერვეზამ თავს უშველა. მიუხედავად იმისა, რომ ის კიბეზე თითქმის ჩაგორდა, მაინც სანამ ქვევით ჩავიდოდა, სულ თავისი ქმრის წყეული ცეკვის ხმა ესმოდა. ახ! ღმერთო ჩემო! რა კარგი იყო გარეთ, თავისუფლად სუნთქავდა.

საღამოს გუტ-დორის ქუჩაზე, მთელი სახლი ბიძია კუპოს უცნაურ ავადმყოფობაზე ლაპარაკობდა. თუმცა ბოშები ჩაუხას ზემოდან დასცქეროდნენ და თავის ფეხის მტვრადაც არ მიაჩნდათ იგი, მაგრამ ახლა მიიპატიჟეს შინ, მოცხარის ნაყენიც კი შესთავაზეს, რათა ეს ამბავი დაწვრილებით გაეგოთ. მოვიდნენ მადამ ლორილე, მადამ პუასონიც. კომენტარებს ბოლო აღარ უჩანდა. ბოშმა თქვა, – მე ვიცნობდი ერთ ზეინკალს, რომელიც დედიშობილა გამოვარდა სენ-მარტენის ქუჩაზე და პოლკის ცეკვაში მოკვდა. ის აბსენთს[36] სვამდაო. ქალები სიცილით კვდებოდნენ ამაზე, თუმცა სამწუხარო ამბავი იყო, მაგრამ ამავე დროს სასაცილოც. მერე, რაკი მათ მარტო ნაამბობით ყოველივე ვერ გაიგეს კარგად, წარმოუდგენელი იყო, ამიტომ ჟერვეზამ მისწი-მოსწია ყველა, შეჰყვირა, ადგილი დამითმეთო და ოთახის შუაგულში დამსწრეთა დასანახად კუპოს მიჰბაძა. ჟერვეზა ღრიალებდა, ხტოდა, საზარლად გადმობრუნებულ სახეს ბრეცდა, მანჭავდა, იღრიჯებოდა. დიახ! პატიოსნებას ვფიცავ, ეს სწორედ ასე იყო! – ამბობდა ის, – მაშინ ყველამ გაიკვირვა, – შეუძლებელია, სამ საათსაც ვერ გაძლებდა კაცი მაგ ყოფაშიო! ჟერვეზა იფიცებოდა, რაც კი წმინდა გააჩნდა, რომ კუპო, წინადღიდან დაწყებული, უკვე ოცდათექვსმეტი საათია, რაც ასე იყო. შეუძლიათ წავიდნენ, ნახონ, თუ მისი არ სჯერათ. მაგრამ მადამ ლორილემ განაცხადა, რომ ის დიდ მადლობას მოახსენებს, ის უკვე ნამყოფი არის წმინდა ანაში და არამცთუ თვითონ არ წავა, ლორილესაც ფეხს არ შეადგმევინებს იქ. ხოლო ვირჯინიამ, რომლის სავაჭრო საქმეებიც სულ უფრო და უფრო ცუდად მიდიოდა და რომელსაც მგლოვიარე სახე ჰქონდა, მხოლოდ წაიბუტბუტა, რომ ცხოვრება ყოველთვის მხიარული არ არის... ახ! არა, დალახვროს ეშმაკმა. მოცხარის წვენით შეზავებული არაყი ბოლომდე დალიეს და ჟერვეზაც გამოეთხოვა ყველას. როდესაც ის ლაპარაკობდა, რეტიანის შესახედაობა ჰქონდა ძალიან დაჭყეტილი თვალებით. უსათუოდ მას თავისი ქმარი ელანდებოდა, გართული ვალსის ცეკვაში. მეორე დღეს ლოგინიდან რომ წამოდგა, დაიფიცა, იქ აღარ წასულიყო. აბა, რისთვის? მას არ სურდა, თვითონაც დაჰკარგოდა ჭკუა. თუმცა ყოველ ათ წუთში ჩაფიქრდებოდა ხოლმე და, როგორც იტყვიან, უკვე ჭკუას იყო გადაცდენილი. მას მაინც აინტერესებდა, ნუთუ კუპო ისევ ისე აფართხალებდა ფეხებს. როცა შუადღემ მოაწია, ჟერვეზამ თავი ველარ შეიკავა და წავიდა. გზის სიდიდეც არ შეუმჩნევია, ისე იყო მისი ტვინი შეპყრობილი იმის გაგების სურვილითა და შიშით, თუ რა დაუხვდებოდა იქ.

ოხ! მას ახალი ამბის გამოკითხვა არ დასჭირვებია. კიბის ძირშივე შემოესმა კუპოს სიმღერა. სწორედ იგივე არია იყო, სწორედ იგივე ცეკვა. ჟერვეზას შეეძლო ეფიქრა, რომ ის მხოლოდ ერთი წუთით ჩავიდა ქვევით და ახლა უკანვე ბრუნდებოდა. გუშინდელმა დარაჯმა, რომელსაც შუშებით წამლები მიჰქონდა დერეფანში, შეხვედრისას თავაზიანად ჩაუკრა ჟერვეზას თვალი.

– რა, ისევ ისეა? – წარმოთქვა ჟერვეზამ.

– ოხ, ისევ ისე! – მიუგო დარაჯმა, რომელიც გზას განაგრძობდა.

ჟერვეზა შევიდა, მაგრამ კუთხეში გაჩერდა კართან, რადგან კუპოსთან ხალხი იმყოფებოდა, ქერა სტუდენტი ფეხზე იდგა. მას თავისი სკამი დაეთმო ერთი მოხუცი, ორდენებიანი, თავმოტვლეპილი კაცისთვის, რომელსაც სახე კვერნას მიუგავდა. ეს უსათუოდ მთავარი ექიმი უნდა ყოფილიყო, რადგან თვალები მახვილი და ხრახნივით მბურღავი ჰქონდა. ყველა მაგათ, ამ უეცარი სიკვდილით მოვაჭრეებს, ასეთი თვალები არა აქვთ?

ჟერვეზა ხომ ამ ვაჟბატონისთვის არ იყო აქ მოსული, ის თითის წვერებზე დგებოდა და მისი მელოტი თავის იქით თვალით ჭამდა კუპოს. ის ცოფიანი კი კვლავ ცეკვავდა და ღრიალებდა უფრო ძლიერად, ვიდრე გუშინ. ბევრჯერ უნახავს ჟერვეზას შუა მარხვაში გამართულ ბალზე, რომ სამრეცხაოს გამძლე ბიჭებს მთელი ღამე ცეკვაში გაუთენებიათ. მაგრამ ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ კაცს ესიამოვნებოდა ამდენ ხანს ცეკვა. როდესაც ჟერვეზა ამბობდა ესიმოვნებოდაო, ეს სიტყვის მასალა იყო, თორემ რა სიამოვნება უნდა ნახოს კაცმა საკუთარი სურვილის წინააღმდეგ ჭანარივით ხტომაში, თითქოს, თოფის წამალი ჰქონდეს გადაყლაპული. ოფლში გაწუწულ კუპოს ახლა უფრო მეტი ორთქლი ასდიოდა, მეტი არაფერი. პირი თითქოს უფრო გადიდებოდა ყვირილისგან. ახ! ორსულ ქალს აქ არ ამოესვლებოდა. კუპო იმდენს მიდი-მოდიოდა ლეიბიდან ფანჯრისკენ, რომ იატაკზე მისი ფეხით გატკეპნილი ბილიკი ჩანდა, ჭილოფი მისი ფლოსტებით ამოჭმულიყო.

არა, მართლაც, აქ კარგი არაფერი იყო და აცახცახებული ჟერვეზა თავს ეკითხებოდა, ხელმეორედ რად მოვიდა აქ. თქვენ ის თქვით, რომ გუშინ საღამოს მას ბოშებთან არ უჯერებდნენ, ამეტებო! ახ! რა სათქმელია, ჟერვეზას ნახევარიც არ უჩვენებია. ის ახლა უფრო კარგად ხედავდა, რასაც სჩადიოდა კუპო და თავის სიცოცხლეში არ დაავიწყდება ეს სიცარიელისთვის მიშტერებული ფართოდ გახელილი თვალები! ამასობაში ჟერვეზა ფრაზებს იჭერდა სტუდენტისა და ექიმის საუბრიდან. პირველი დაწვრილებით მოუთხრობდა მეორეს ღამის ამბებს, რომ ჟერვეზას ქმარი ლაპარაკობდა და ხტოდა. ძირითადად ამას ნიშნავდა ის, რასაც სტუდენტი მოუთხრობდა. მერე მოხუცმა ექიმმა, რომელიც მაინცდამაინც ზრდილობიანი არ უნდა ყოფილიყო, თითქოს შეამჩნია ჟერვეზას იქ ყოფნა. და როდესაც სტუდენტმა უთხრა მას, რომ ეს ავადმყოფის ცოლია, მოხუცი ექიმი პოლიციის კომისრის ბოროტი სახით შეუდგა დაკითხვას.

– ამ კაცის მამა ხომ არ სვამდა?

– დიახ, მუსიე, ცოტ-ცოტას სვამდა, როგორც ყველა... ის სიმთვრალის დროს ჩამოვარდა სახურავიდან და ისე მოკვდა.

– მისი დედაც ხომ არ სვამდა?

– ეჰ! მუსიე, როგორც ყველა, ხომ მოგეხსენებათ, ერთ ჭიქას აქ, ერთ ჭიქას იქ... ოხ! ოჯახი ძალიან კარგია! ერთი ძმა ჰყავდა, ის ძალიან ახალგაზრდა მოკვდა, ბნედა სჭირდა.

ექიმმა გამსჭვალავი თვალი მიაშტერა ჟერვეზას. მერე უხეში ხმით განაგრძო: – თქვენ ხომ სვამთ, თქვენ?

ჟერვეზა ალუღულუღდა, თავს იცავდა, გულზე ხელი მიიდო წმინდა ფიცის მისაცემად.

– თქვენ სვამთ! ფრთხილად იყავით, ხომ ხედავთ, სად მიჰყავს კაცი სასმელს... ადრე თუ გვიან თქვენც ასე მოკვდებით.

ჟერვეზა კედელზე აკრული დარჩა. ექიმმა ზურგი შეაქცია მას და ძირს ჩაცუცქდა, არ დასდევდა იმას, რომ შესაძლოა, იმის სერთუკს ჭილოფიდან მტვერი აჰყოლოდა. იგი დიდხანს სწავლობდა კუპოს ცახცახს, უცდიდა მის გამოვლას, თვალს აყოლებდა. კუპოს იმ დღეს უკვე ფეხებიც უხტოდა, ცახცახი ხელებიდან ფეხებზე გადაუვიდა, ნამდვილი პოლიშინელი[37] იყო, რომელსაც თოკზე ათამაშებენ და რომელიც სახსრებს სასაცილოდ ატრიალებს იმ დროს, როცა ტანი ხესავით გაშეშებული აქვს. ავადმყოფობა ნელ-ნელა ედებოდა მას. გეგონებოდათ, კანის ქვეშ რაღაცა საკრავი ჰქონდა. ყოველ სამ თუ ოთხ წუთში ხუთვა ეწყებოდა და ერთ წუთს ედებოდა მთელ სხეულს. შემდეგ შეჩერდებოდა, მერე ისევ დაეწყებოდა და სწორედ ისე აუვარდებოდა კანკალი, როგორც ცივ ზამთარში კართან მიგდებულ ძაღლს. უკვე მუცელი და მხრები უთრთოდა ისე, როგორც წყალი, რომელიც ეს-ეს არის, ადუღებას აპირებს. უნდა ითქვას, რომ უცნაური რღვევაა ეს, კვდებოდე და ისე იგრიხებოდე, როგორც ქალიშვილი, რომელსაც უღიტინებენ.

კუპო ყრუ ხმით რაღაცას ჩიოდა, ის თითქოს გუშინდელზე უფრო მეტად იტანჯებოდა. მისი ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოსროლილი ჩივილიდან შეიძლებოდა მიხვედრა, რომ მას ყოველნაირი უბედურება ტანჯავდა, ათასი ქინძისთავი ჩხვლეტდა. მთელ სხეულზე რაღაც მძიმე აწვებოდა. რაღაც ცივი და სველი ცხოველი მიცოცავდა მის წვივებზე და კბილით აფრინდებოდა ხორცზე. მერე სხვა ცხოველებიც მიჰკრობოდნენ მხრებზე და ბრჭყალებით უგლეჯდნენ ზურგს.

– მწყურია, ოხ! მწყურია! – ღრიალებდა განუწყვეტლივ.

სტუდენტმა პატარა დოქით ლიმონათი მიაწოდა. კუპომ ორივე ხელით დაიჭირა დოქი, ხარბად მოსვა ერთი ყლუპი, თან ნახევარი სითხე ზედ გადაისხა, მაგრამ ეს ყლუპი მაშინვე პირიდან გადმოღვარა, გააფთრებული ზიზღით და დაიყვირა: – დაწყევლის ღმერთი! ეს არაყია!

მაშინ სტუდენმა, ექიმის მითითებით, სურა ხელში დაიჭირა და ასე უნდოდა მისთვის წყალი დაელევინებინა. ამ ჯერზე კუპომ ერთი ყლუპი გადაყლაპა, მაგრამ ისე დაიღმულვა, თითქოს ცეცხლი გადაეყლაპოს.

– ეს ისევ არაყია, დასწყევლის ღმერთი! ეს ისევ არაყია!

გუშინდელს აქეთ რასაც კი დალევდა, არაყი იყო მისთვის. ეს წყურვილს უორკეცებდა და არაფრის დალევა აღარ შეეძლო, რადგან ყველაფერი სწვავდა. წვნიანი მოუტანეს, მაგრამ, ცხადია, მისი მოწამვლა სურდათ, რადგან ამ წვნიანს შაბიამნის სუნი ასდიოდა. პური მჟავე იყო და გაფუჭებული. მის ირგვლივ ყველაფერი საწამლავი იყო. საკანი გოგირდით ყარდა. იმასაც კი აბრალებდა ყველას, განზრახ ჩემი ცხვირის წინ გაჰკრავენ ხოლმე ასანთის ღერს, რათა მომწამლონო.

ექიმი წამოდგა და ყურს უგდებდა კუპოს, რომელიც კაშკაშა შუადღისას ხელახალ მოჩვენებებს ხედავდა. ელანდებოდა, რომ კედლებზე ხომალდის აფრებივით უზარმაზარი აბლაბუდები ეკიდა, მერე ეს აბლაბუდები ბადეებად იქცა, ამ ბადეების თვლები ხან იკუმშებოდა, ხან ისევ იშლებოდა. შავი ბურთები სასაცილო სათამაშოსავით მოგზაურობდა ამ ბადეების თვლებში, ეს სწორედ ისეთი ბურთები იყო, როგორსაც თვალთმაქცები ათამაშებენ ხოლმე, ხან საბილიარდო ბურთისხელები იყვნენ, ხან კი ყუმბარებივით დიდი. ისინი იბერებოდნენ, მერე ისევ პატარავდებოდნენ, რათა გაეგიჟებინათ კუპო. მან უეცრად შეჰყვირა: – ოხ! ვირთხები, აგერ ვირთხები, რა დროსია!

ეს ბურთები ახლა ვირთხებად გადაიქცნენ, ეს საზიზღარი მღრღნელები დიდდებოდნენ, ბადიდან გამოდიოდნენ და ლეიბზე ხტებოდნენ, მერე ისევ ქრებოდნენ. იყო კიდევ ერთი მაიმუნი, რომელიც კედლიდან გადმოვიდა, მერე ისევ კედელში შებრუნდა. ყოველ გამოსვლაზე ისე ახლოს მიდიოდა კუპოსთან, რომ ის უკან იხევდა შიშით, რათა ცხვირი არ მოეკვნიტა მისთვის ამ მაიმუნს. უეცრად ისევ შეიცვალა ყველაფერი. თითქოს კედლები შეინძრა, დატრიალდა, თავზარდაცემული და გაცოფებული კუპო ლამის იხრჩობოდა და სულ იმეორებდა: – ეს ის არის! აი! აი! შემანჯღრიეთ, ჩემთვის სულერთია, ფეხებზე მკიდია... აი, აი! ოთახი! აი! მიწაზე!.. დიახ, რეკეთ ზარები, ყორნების ხროვავ, ორგანზე დაუკარით, რათა მცველებს ვერ მოვუხმო!.. კედლის უკან მანქანა დადგეს ამ ნაძირლებმა. კარგად მესმის, ის გუგუნებს, უნდა აგვაფეთქონ... ცეცხლი! დასწყევლოს ღმერთმა! ცეცხლი! ყვირიან ცეცხლიო! აგერ, ალი ავარდა. ოხ! როგორ ანათებს! როგორ ანათებს! მთელი ცა იწვის, წითელი ცეცხლი, მწვანე ცეცხლი, ყვითელი ცეცხლი... ჩემკენ! მიშველეთ! ვიწვი!

ეს ყვირილი ხრიალში გადადიოდა. ის ახლა მხოლოდ უაზრო სიტყვებს ბუტბუტებდა განუწყვეტლივ, პირზე ქაფი მოერია, ნიკაპი დორბლით დასველებოდა. ექიმი ცხვირზე თითს ისვამდა. ეს მოძრაობა, უეჭველია, მისი ჩვეულება იყო სერიოზულ შემთხვევებში. ის მიუბრუნდა სტუდენტს და ხმადაბლა ჰკითხა: – ტემპერატურა უცვლელია, ორმოცი გრადუსი, არა?

– დიახ, მუსიე.

ექიმმა ტუჩი აიბზუა. ის კიდევ ორ წუთს გაჩერდა იქ და კუპოს მისჩერებოდა დაჟინებით. მერე მხრები აიჩეჩა და დასძინა: – იგივე წამლობა, ბულიონი, რძე,

ლიმონათი, ქინაქინის სუსტი ხსნარი... თავი არ დაანებოთ. თუ საჭირო იქნება, დამიძახეთ.

ის გავიდა. ჟერვეზა უკან გაჰყვა, უნდოდა ეკითხა მისთვის, რაიმე იმედი იყო თუ არა, მაგრამ ექიმი ისე ჩქარა მიდიოდა დერეფანში, რომ ქალმა ვერ გაუბედა შეჩერება. ჟერვეზა წუთით უძრავად იდგა. ყოყმანობდა, შესულიყო ისევ თავისი ქმრის სანახავად თუ არა. მეტად მძიმე ასატანი სანახაობა იყო. როდესაც კვლავ შემოესმა ყვირილი, რომ ლიმონათს არყის სუნი ასდისო, – ჟერვეზამ მოუსვა, რადგან მისთვის ერთი წარმოდგენაც საკმარისი იყო. ქუჩაში ცხენები ისე მიაჭენებდნენ ეტლებს, ისეთი გრიალი გაჰქონდათ, ჟერვეზას ეგონა წმინდა ანას მთელი საავადმყოფო მას მისდევდა. ექიმიც ხომ დაემუქრა! და ჟერვეზას უკვე მართლა ეჩვენებოდა, რომ ისიც ავად იყო.

ბუნებრივია, რომ გუტ-დორის ქუჩა, ბოშები და სხვა დანარჩენები ელოდებოდნენ მას. როგორც კი ჟერვეზა გამოჩნდა, ის მაშინვე მეკარის ბინაზე მიიხმეს. ჰა? ბიძია კუპო ისევ ჭაპანსა სწევს? ღმერთო ჩემო, დიახ, ის კვლავ სწევს ჭაპანს! ბოში განცვიფრებული და გაშტერებული ჩანდა. მას ნაძლევი დაედო ერთ ლიტრ ღვინოზე, რომ კუპო საღამომდე ვერ მიატანდა. როგორ, ის ისევ ცოცხალია? მთელი საზოგადოება იკვირვებდა და მუხლზე ხელს ირტყამდა; კაი მაგარი, გამძლე ბიჭი ყოფილა! მადამ ლორილემ საათები დაითვალა: ოცდათექვსმეტი და ოცდაოთხი, სულ სამოცი საათი. ნახე, ეს შეჩვენებული! სამოცი საათია, რაც ფეხებს იქნევს და ღრიალებს. უნახავს ვისმეს ოდესმე ამისთანა ოინი?! მაგრამ ბოში, რომელიც ნაძალადევად იცინოდა წაგებული ლიტრის გამო, უნდობი სახით ეკითხებოდა ჟერვეზას, დარწმუნებული იყო თუ არა, რომ კუპო არ ატყუებდა. ოხ! არა, ის ისე ძალიან ხტოდა, რომ ეს ნებაყოფლობით ვერ იქნებოდა. მაშინ ბოში ჩააცივდა, ეხვეწებოდა, ერთხელ კიდევ წარმოედგინა ჟერვეზას კუპოს ცეკვა. ჰო, ჰო, ერთხელ კიდევ ცოტა, საერთო თხოვნით. საზოგადოება ეუბნებოდა მას, რომ ეს ძალიან კარგი იქნებოდა, რადგან აქ ორი მეზობელი ქალია, რომელთაც გუშინ არ უნახავთ და რომლებიც საჩქაროდ ჩამოვიდნენ ახლა ამ სურათის სახილველად. მეკარე უყვიროდა ყველას, წესიერად დამდგარიყვნენ, ყველამ გაათავისუფლა ოთახის შუაგული, ცნობისმოყვარეობით ათრთოლებულნი იდაყვს ჰკრავდნენ ერთმანეთს, მაგრამ ჟერვეზამ თავი ჩაღუნა, მას მართლა ავად გახდომისა ეშინოდა. თუმცა, რომ არ ეფიქრათ, განზრახ გვახვეწნინებსო, ერთი-ორი პატარა ნახტომის გაკეთება სცადა. მაგრამ მერე დაიბნა და უკან დაიხია. პატიოსან სიტყვას აძლევდა, რომ არ შეუძლია. იმედის გაცრუებით გამოწვეული საყვედურის დუდუნი გაისმა: რა სამწუხაროა, ის ისე საუცხოოდ აჯავრებდა! რა ქნას, თუკი არ შეუძლია! და რადგანაც ამ დროს ვირჯინია თავის დუქანში დაბრუნდა, ბიძია კუპო გადაავიწყდათ, და გაცხარებული საუბარი გაიბა პუასონების ოჯახზე, რომელიც ახლა არეულ-დარეული იყო. წინა დღით სასამართლოს აღმასრულებლები მოვიდნენ. პოლიციელს ადგილი ეკარგებოდა, ხოლო რაც შეეხება ლანტიეს, ის ახლა ერთ ქალიშვილს დასტრიალებდა. მშვენიერი ქალი იყო მეზობელი რესტორნიდან, რომელიც სახაშის გახსნას აპირებდა.

ვაჰ! ყველანი იცინოდნენ ამაზე, ისინი უკვე ამ დუქანში მობინადრედ შიგნეულით მოვაჭრეს ხედავდნენ. ტკბილეულის შემდეგ ხელშესახები რამეა! მაგრამ! ყველაზე სულელი ამ ამბავში ეს რქიანი პუასონი იყო. რანაირად შეიძლება, რომ კაცი, რომლის ხელობაც სიეშმაკეს, მოხერხებულობას ითხოვს, ასე გაბრიყვებული ჩანდეს საკუთარ სახლში? მაგრამ ყველანი უეცრად გაჩუმდნენ, რადგან შენიშნეს ჟერვეზა. რომელიც მას შემდეგ, რაც მას აღარ უყურებდნენ, ოთახის სიღრმეში მარტოდმარტო ცდილობდა ხელ-ფეხის კანკალით კუპო წარმოედგინა. ბრავო! აი, ეს უნდოდათ სწორედ, მეტს არაფერს ითხოვდნენ. ჟერვეზა გამოშტერებულიყო, თითქოს სიზმრიდან გამოაფხიზლეს. მერე საჩქაროდ გავიდა. ღამე მშვიდობისა, საზოგადოებავ! ჟერვეზა მაღლა ავიდა, რათა ცდილიყო დაეძინა.

მეორე დღეს ბოშებმა დაინახეს, რომ ჟერვეზა შუადღისას წავიდა ისევე, როგორც წინა ორ დღეს. მათ მხიარული დროს გატარება უსურვეს. იმ დღეს წმინდა ანაში დერეფანს ზანზარი გაჰქონდა კუპოს ღრიალისა და ფეხების ბაკუნისგან. ჟერვეზას ჯერ ისევ კიბის მოაჯირზე ეკიდა ხელი, როცა კუპოს ღმუილი მოესმა: – აი, აგერ, ბაღლინჯოები!... აბა, ერთი მომეკარეთ, როგორ გაგსრისოთ!.. ახ! მათ უნდათ სული ამომხადონ! ახ! ბაღლინჯოებო!.. თქვენ რა ხართ ჩემთან, მე თქვენზე დიდი სოვდაგარი ვარ! მომწყდით თავიდან. დაიშალეთ, ღვთისგან შეჩვენებულებო!

წუთით ჟერვეზა კართან გაჩერდა სულის მოსათქმელად. კუპო ისევ მთელ არმიას ებრძოდა. როდესაც ჟერვეზა შევიდა. მან უკეთესი ამბავი ნახა, – ავადმყოფობას მოემატა. კუპო გაცოფებული, დამთხვეული გიჟი იყო, შარანტონიდან გამოვარდნილი გიჟი. ის საკნის შუაგულში ბორგავდა. ხელებს აქეთ-იქით იქნევდა, საკუთარ თავს იცემდა, კედლებს ურტყამდა, იატაკზე ყირას გადადიოდა, სიცარიელესაც ურტყამდა. უნდოდა ფანჯარა გაეღო, მერე იმალებოდა, თავს იცავდა. იძახდა და პასუხს იძლეოდა. მარტოდმარტო ქმნიდა კუდიანების შაბათობას გამწარებული, გაანჩხლებული ადამიანის სახით, რომელსაც ელანდება, რომ მთელი ბრბო დასევია და სტანჯავს. შემდეგ ჟერვეზა მიხვდა, რომ კუპოს თავი სახურავზე ჰგონია, ვითომ თუთიის ფურცლებს აკრავს. ის პირით უბერავდა საბერვლის მაგივრად, რკინას ატრიალებდა მანგალზე, იჩოქებდა, ცერს უსვამდა ჭილოფის ნაპირებს. ეგონა, თუთიის ფურცლებს რჩილავდა. დაიხ, იგი დაუბრუნდა თავის ხელობას იმ წუთში, როდესაც სული უნდა ამოსვლოდა. და თუ ასე ძლიერ ღრიალებდა, ასე ებღაუჭებოდა სახურავს, ეს იმიტომ, რომ დინგები უშლიდნენ, სამუშაო კარგად შეესრულებინა. ყოველ მეზობელ სახურავზე იყვნენ ეს არამზადები და ემუქრებოდნენ, აბუჩად იგდებდნენ. ამასთან, ეს უმსგავსი მასხარები მთელ ხროვა ვირთაგვებს უსევდნენ ფეხებში. ახ! ეს საზიზღარი მღრღნელები, განუწყვეტლივ ხედავდა მათ. მართალია, ბლომადაც სრესდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ფეხებს უხახუნებდა იატაკს, მაგრამ ისინი ახალ-ახალ ხროვებად მოდიოდნენ, სახურავები გაშავებული იყო მათგან. ახლა ობობას არ იკითხავთ? კუპო მაგრად იჭერდა შარვალს კანჭებთან, რათა გაესრისა შიგ შემძვრალი ობობები. მეხიც დაგცემიათ! კუპო ვერასოდეს დაასრულებს დღიურ სამუშაოს, რადგან მისი დაღუპვა სურთ. უფროსი

ალბათ ციხეში გაგზავნის მას. კუპო ჩქარობდა და უცებ წარმოიდგინა, რომ ორთქლის მანქანა ჰქონდა მუცელში. იგი ფართოდ გაღებული პირიდან უშვებდა ორთქლს, სქელ ორთქლს, რომელიც საკანს ავსებდა და ფანჯრიდან გარეთ გადიოდა. ტანში მოხრილი კუპო განუწყვეტლივ ქშინავდა და თვალყურს ადევნებდა ორთქლის ზოლს, რომელიც იშლებოდა, ცაში ადიოდა და მზეს ფარავდა.

– შეხეთ ერთი! – წამოიყვირა მან, – ეს კლინიანკურის გზატკეცილიდან წამოსული ბრბოა, დათვებად გადაცმულან, რა მორთულ-მოკაზმულები არიან!..

კუპო მოკუნტული იჯდა ფანჯრის წინ, თითქოს სახურავის სიმაღლიდან უყურებდა ქუჩაში მიმავალ პროცესიას.

– აგერ, ცხენოსანთა ჯგუფი, ლომები და ავაზები, რომლებიც იღრიჯებიან... ჯამბაზებიც არიან. ძაღლებად და კაცებად გადაცმულან... აგერ, ახმახი კლემანსი, ბუმბულით სავსე აქვს გაწეწილი თმა. ახ! წყეული! გადაკოტრიალდა და ყველაფერი უჩანს... იცი, რას გეტყვი, ჩემო ფურირემო, ჩვენ უნდა მოვრიგდეთ... ეი! თქვენ, სალახანა ჯაგლაგებო, ხელი არ ახლოთ მაგას... ნუ ისვრით, მეხდაცემულებო! ნუ ისვრით...

კუპომ ხმას აუმაღლა, ხრინწიანი და შიშით სავსე იყო ეს ხმა. მერე აჩქარებით დაიხარა და იმეორებდა, რომ პოლიცია და წითელშარვლიანები არიან ქვევით, ისინი თოფებს უმიზნებენ მას. კედელზე ხედავდა დამბაჩის ლულას, რომელიც მისი ფერდისკენ მიეშვირათ. მას კვლავ ართმევდნენ იმ გოგოს.

– ნუ ისვრით, ღვთისგან შეჩვენებულებო, ნუ ისვრით...

მერე, ვითომ სახლები დაინგრა. ის ხმით ჰბაძავდა მთელი უბნის ნგრევის ლაწალუწს. გაქრა ყოველივე, გაფრინდა ყველაფერი, მაგრამ ის სულის მობრუნებას ვერ ასწრებდა, ახლა სხვა სურათები ჩნდებოდა, რომლებიც არაჩვეულებრივი სისწრაფით იცვლებოდნენ. ლაპარაკის გაშმაგებული სურვილი პირს სიტყვებით უტენიდა. ის ამ სიტყვებს ისროდა უაზროდ, ერთმანეთთან დაუკავშირებლად, რაღაც თუხთუხით ყელში, ხმას უფრო და უფრო უმაღლებდა.

– ოჰო, ეს შენა ხარ, გამარჯობა!.. ხუმრობას ნუ დამიწყებ! ნუ მაიძულებ შენი თმა შევჭამო.

კუპომ სახეზე ხელი მოისვა, თან უბერავდა, თითქოს, ბეწვები უნდოდა მოეშორებინა სახიდან. სტუდენტმა ჰკითხა: – ვის ხედავთ?

– ჩემს ცოლს, დასწყევლოს ღმერთმა!

კუპო ჟერვეზასკენ ზურგშექცეული შესცქეროდა კედელს.

ჟერვეზას შეეშინდა და ისიც მიაჩერდა კედელს შესამოწმებლად, – თვითონ ხომ არ ჩანდა იქ. კუპო განაგრძობდა ლაქლაქს.

– იცოდე, ნუ შემომახვევ ირგვლივ... მე არ მსურს, რომ შემკოჭონ... ვაჰ! რა ლამაზი ხარ, რა ლაზათიანად გაცვია. საიდან იშოვე ეგ წუპაკო! ქეიფიდან ბრუნდები, გათახსირებულო! ცოტა მოიცადე, მე კარგად გაგისწორდები შენ!.. ჰა? ბოლოკაბის უკან მალავ შენს ვაჟბატონს? ეგ ვინ არის? აბა, ცოტა ჩაცუცქდი, რომ დავინახო... დასწევლის ღმერთი! ისევ ის არის.

კუპო საშინელი ნახტომით კედელს თავით მიეხალა, მაგრამ თივით გატენილმა გადასაკრავმა შეარბილა დარტყმა, მხოლოდ მისი სხეულის ზღართანის ხმა გაისმა ჭილოფზე, რომელზედაც იგი კედელზე მიძგერებამ დასცა.

– ვის ხედავთ? – გაუმეორა სტუდენტმა.

– მექუდეს! მექუდეს! – ღმუოდა კუპო.

და როდესაც სტუდენტი შეეკითხა ჟერვეზას, ჟერვეზამ ლუღლუღი დაიწყო, პასუხის მიცემა ვერ შეძლო, რადგან ამ სცენამ მასში მთელი მისი ცხოვრების ვაი-ვაგლახი გამოაღვიძა. მესახურავე მუშტებს იქნევდა.

– აბა, გამოდი, ჩემო უმცროსო! საჭიროა, ბოლოს და ბოლოს, რომ კარგად დაგბეგვო! ახ! შენ ამ საზიზღართან მკლავში ხელგაყრილი მიდიხარ ისე უბრალოდ, რომ მე ქვეყნის სასაცილო გამხადო, რომ საქვეყნოდ არაფრად ჩამაგდო. ძალიან კარგი! იცი, რას გიზამ? დაგდაღავ, დიახ, დიახ, მე! ხელთათმნის ჩაცმაც არ დამჭირდება! ნუ ყოყოჩობ... აჰა, მიიღე ეს! ჰკა მაგას! ჰკა მაგას! ჰკა მაგას!

კუპო მუშტებს ურტყამდა სიცარიელეს. ბოლოს, სულ მთლად გაცოფდა. უკან დახევის დროს, როცა კედელი დაუხვდა, ეგონა, უკნიდან მოდიოდნენ მასზე იერიშით. მოტრიალდა და გააფთრებული ეძგერა თივით გატენილ გადასაკრავს. ხან მაღლა ხტებოდა, ხან ერთი კუთხიდან მეორისაკენ აკეთებდა ნახტომს, ეხეთქებოდა მუცლით, საჯდომით, ცალი მხრით, კოტრიალებდა, მერე ისევ წამოდგებოდა. ძვლები სულ დაურბილდა და მის ხორცს სველი ძენძის ხმა ჰქონდა. ამ საშინელ თამაშს იგი მძვინვარე მუქარასა და ყრანტალით, ველური ხმით ყვირილს აყოლებდა. ეტყობოდა, ბრძოლამ არასასურველი მიმართულება მიიღო მისთვის, რადგან სუნთქვა გაუხშირდა, თვალები ბუდეებიდან უვარდებოდა. თანდათან ბავშვურმა შიშმა შეიპყრო.

– გვიშველეთ, გვკლავენ! გვიშველეთ!.. მოშორდით მანდედან ორივენი. ოხ! არამზადები, ისინი მხოლოდ იცინიან. უყურეთ ამ უნამუსოს, როგორ გადაიპლაკა!.. მაგრამ ეს ხომ ასე უნდა დამართოდა, გადაწყვეტილია!.. ახ! ავაზაკი, ჰკლავს ამ ქალს. დანით მოსჭრა ცალი ფეხი, მეორე ფეხი მიწაზე გდია, მუცელი შუაზე აქვს გაპობილი, სისხლით სავსეა... ოხ! ღმერთო ჩემო, ოხ! ღმერთო ჩემო, ოხ! ღმერთო ჩემო!

ოფლში გაწურული, თმაგაბურძგნილი და თავზარდაცემული კუპო უკან-უკან იხევდა და თან გაცხარებით იქნევდა ხელებს, თითქოს თავიდან უნდოდა

მოეშორებინა ეს საზიზღარი და საზარელი სანახაობა. მან ორჯერ შეჰკივლა და გულაღმა გაიშხლართა ლეიბზე, რომელსაც ქუსლი წამოსდო.

– მუსიე, მუსიე, მოკვდა! – წარმოთქვა ჟერვეზამ და ხელი ხელზე გადაიჭდო.

სტუდენტი მიუახლოვდა კუპოს, და ის ლეიბის შუაგულისკენ გამოსწია. არა, მკვდარი არ იყო. მას ფეხთ გახადეს. შიშველი ფეხები ლეიბის გარეთ დარჩა გადმოყოფილი. და ეს ფეხები მარტოდმარტო ცეკვავდნენ, გაზომილად, ერთიმეორის გვერდით, მსუბუქი, აჩქარებული და თანაბარზომიერი ძაგძაგით.

სწორეთ ამ დროს შემოვიდა ექიმი, თან შემოიყვანა ორი კოლეგა: ერთი გამხდარი, ხოლო მეორე – მსუქანი. იმათაც ორივეს ორდენები ჰქონდათ. სამივენი ერთად დაიხარნენ და უსიტყვოდ უსინჯავდნენ ყველაფერს საცოდავ შეშლილს, მერე აჩქარებით, დაბალი ხმით დაიწყეს საუბარი. მათ წელამდე გააშიშვლეს კუპო და როცა ჟერვეზა მაღლა აიწევდა, ხედავდა მის ძირს გაშხლართულ შიშველ სხეულს. დიახ! ხელებიდან ფეხებისკენ წასული ცახცახი ახლა უკვე სხეულსაც მოსდებოდა, ამჟამად სხეულიც ცეკვავდა მხიარულად. პოლიშინელი ნამდვილად მუცლითაც იცინოდა. მთელ ნეკნებს ურბენდა მსუბუქი სიცილი, ხოლო მუცელი ისე იყო შეკუმშულ-შეწეული, თითქოს სიცილით კვდებოდა. ლაპარაკი არ უნდა. ყველაფერი მოძრაობდა. კუნთები ერთიმეორის პირდაპირ ლაგდებოდა, კანი დაირასავით თრთოდა, თითოეული ბეწვი გალოპს[38] ცეკვავდა და თავს უკრავდნენ ერთიმეორეს, საბოლოოდ ეს ერთი დიდი ფერხული იყო, – უკანასკნელი გალოპი, როცა ცეკვა სრულდება, თენდება კიდეც და ყველა მოცეკვავე ხელიხელჩაკიდებული ატყაპუნებს ქუსლებს.

– სძინავს, – წაიჩურჩულა მთავარმა ექიმმა და დანარჩენ ექიმებს კუპოს სახეზე მიუთითა. კუპოს თვალები დაეხუჭა და ნერვიული, აჩქარებული თრთოლა უღეჭავდა მთელ სახეს. ის ახლა უფრო საშინელი იყო, ასე გატყლაპული, წინგამოწული ყბით, ეს იყო დეფორმირებული ნიღაბი მკვდრისა, რომელსაც კოშმარები ტანჯავს. მაგრამ ექიმებმა, როცა მისი ფეხები შენიშნეს, ახლა იქით მიმართეს გამახვილებული ყურადღება. ფეხები კვლავ ცეკვავდნენ. კუპოს მშვენივრადაც რომ სძინებოდა, ფეხები მაინც იცეკვებდნენ. ოხ! მათ პატრონს შეეძლო ეხვრინა, ეს ფეხებს არ ეხებოდა. ისინი განაგრძობდნენ ძაგძაგს აუჩქარებლად და შეუნელებლივ. მექანიკური ფეხები იყო სწორედ, თავქეიფა ფეხები, რომლებიც იქ ერთობიან, სადაც მოეპრიანებათ.

როცა ჟერვეზამ დაინახა, რომ ექიმებმა გვერდზე ხელი დაადეს მის ქმარს, მასაც მოუნდა შეხებოდა და წყნარად მიუახლოვდა კუპოს. მხარზე დაადო ხელი და წუთით ასე ეჭირა, ღმერთო ჩემო! რა ხდებოდა შიგნით? თვით ხორცში ყველაფერი ცეკვავდა, ალბათ, თვით ძვლებიც კი ხტოდნენ. სიღრმიდან მოდიოდა ტალღებრივი, აჭავლებული თრთოლა და მდინარესავით მოედინებოდა კანის ქვეშ. როდესაც ჟერვეზა ოდნავ ხელს დააჭერდა, გრძნობდა, რომ კუპოს ძვლების ტვინიც კი მწვავედ

სტკიოდა. თვალნათლივ ჩანდა პატარა ტალღები, რომლებიც, თითქოს ღრმულებს აკეთებდნენ წყლის მორევის ზედაპირზე. ხოლო შიგნით, ალბათ დიდი განადგურება წარმოებდა: წყეული მუშაობა! თხუნელის მუშაობა! ეს „ხაფანგის“ შაბიამანზე დაყენებული არაყი ურტყამდა ბარს შიგნიდან. მთელი სხეული არყით იყო გაჟღენთილი და აჰა! ასეც უნდა დასრულებულიყო ეს მუშაობა, უნდა დაექუცმაცებინა, დაეფხვნა კუპო და თან გადაეტანა ასე, მთელი სხეულის განუწყვეტელ ცახცახში.

ექიმები გავიდნენ. ერთი საათის შემდეგ სტუდენტთან დარჩენილმა ჟერვეზამ დაბალი ხმით გაიმეორა: – მუსიე, მუსიე, მოკვდა...

მაგრამ სტუდენტმა, რომელიც ფეხებს უყურებდა, უარყოფის ნიშნად თავი გაუქნია. კვლავ ცეკვავდნენ ლოგინის გარეთ შიშველი ფეხები. ეს ფეხები სუფთა არ იყო, გრძელი ფრჩხილები ჰქონდა. კიდევ განვლო რამდენიმე საათმა. უეცრად ფეხები გაშეშდნენ. მაშინ სტუდენტი მოუბრუნდა ჟერვეზას და უთხრა: – გათავდა!

მხოლოდ სიკვდილმა შეაჩერა ფეხები.

როდესაც ჟერვეზა გუტ-დორის ქუჩაზე დაბრუნდა, მას ბოშებთან დაუხვდა მთელი ხროვა ჭორიკანა დედაკაცებისა, რომლებიც გაცხარებით ქაქანებდნენ. ჟერვეზას ეგონა, რომ ისინი, როგორც წინა დღეებში, ახლაც მას ელოდებოდნენ ახალი ამბების შესატყობად.

– თქვენი ჭირი წაიღო, – წყნარად, გამოლენჩებული და დაჩლუნგებული სახით წარმოთქვა ჟერვეზამ, როცა კარი შეაღო.

მაგრამ მას ყურს არავინ უგდებდა. მთელი სახლი აფეთქებაზე იყო. ოხ! რა ამბავი დატრიალდა! პუასონმა თავისი ცოლი დაიჭირა ლანტიესთან. არავინ არაფერი იცოდა ზუსტად, რადგან ყოველი მათგანი თავისებურად ჰყვებოდა ამ ამბავს. საბოლოოდ, პუასონი თავს დაატყდა იმათ სწორედ ისეთ წუთში, როდესაც არ ელოდნენ. ამასთანავე ისეთ წვრილმანებს უმატებდნენ, რომ მანდილოსნები ამის გამეორებისას ტუჩებს იკვნეტდნენ. ბუნებრივია, პუასონს ამ სანახაობამ დაუკარგა ჩვეულებრივი მოთმინება. ის ნამდვილი ვეფხვია! ეს სიტყვაძვირი კაცი, რომელსაც, თითქოს, სარი ჩაუყლაპავს, ღრიალსა და ხტომას მოჰყვა. ამის მეტი არავის არაფერი გაუგონია. ლანტიემ, ალბათ, გაურკვია საქმე ქმარს. სულერთია, ეს ამბავი ასე ვეღარ გაგრძელდებოდა. ბოშმა განაცხადა, რომ ერთი ქალიშვილი, მეზობელი რესტორნიდან, უდავოდ ქირაობს ამ დუქანს, რათა იქ შიგნეულის სავაჭრო გახსნასო. ამ რჯულძაღლ მექუდეს გაგიჟებით უყვარდა შიგნეული.

ამასობაში, როცა ჟერვეზამ დაინახა, რომ მადამ ლერა და მადამ ლორილე მოვიდნენ, დუნედ გაიმეორა: – თქვენი ჭირი წაიღო... ღმერთო ჩემო! ადამიანი ოთხი დღე ასე იმანჭებოდეს და ღრიალებდეს!..

აბა, ამისთანა გარემოებაში სხვანაირად როგორ მოიქცეოდნენ კუპოს დები? ორივემ ცხვირსახოცი ამოიღო: მათ ძმას ბევრი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ხომ ძმა იყო მათი. ბოშმა მხრები აიჩეჩა და საკმაოდ ხმამაღლა, ყველას გასაგონად წარმოთქვა: – ვაჰ! ერთი ლოთით ნაკლები იქნება!

ამ დღიდან მოყოლებული, ჟერვეზა ხშირად კარგავდა გონებას და მთელ სახლს გასართობად ჰქონდა გადაქცეული, თუ როგორ ჰბაძავდა ის კუპოს. მას თხოვნა აღარ სჭირდებოდა, უფასოდ უჩვენებდა ამ წარმოდგენებს, ხელ-ფეხი უცახცახებდა და უნებლიეთ ზოგჯერ სუსტი ხმით წამოიკივლებდა კიდეც. ეს ავი ზნე, უეჭველია, წმინდა ანას საავადმყოფოდან დასჩემდა, იქ ძალიან დიდხანს უყურა ქმარს. მაგრამ უიღბლო კი იყო ეს საცოდავი. კუპო მოკვდა, ეს კი არ კვდებოდა. მაიმუნისებური მანჭვა-გრეხით განისაზღვრებოდა მისი ავადმყოფობა, რის გამოც ბავშვები კომბოსტოს მურკებს ესროდნენ ქუჩაში. რამდენიმე თვეს გასტანა ჟერვეზამ ამგვარად, ის კიდევ უფრო დაბლა დაეშვა, უკანასკნელ დამამცირებელ შეურაცხყოფას იტანდა და შიმშილით კვდებოდა ნელ-ნელა, დღითი დღე. როგორც კი ხელში ოთხი სუ ჩაუვარდებოდა, მაშინვე დალევდა და კედლებს ეჯახებოდა. უბანში ჭუჭყიან საქმეებს ავალებდნენ. ერთ საღამოს მეზობლები დანაძლევდნენ, რომ ის პირში არჩასადებ რამეს შეჭამდა და მან, მართლაც, შეჭამა ეს სისაზიზღრე, რათა ათი სუ მიეღო. მუსიე მარესკომ გადაწყვიტა გამოეგდო ის მეექვსე სართულის ოთახიდან, მაგრამ, რადგანაც ბიძია ბრიუ მკვდარი ნახეს თავის სოროში, ამიტომ სახლის პატრონმა კეთილი ინება და ჟერვეზას დაუთმო ეს ბუნაგი. ახლა ჟერვეზა ბიძია ბრიუს ბუნაგში ცხოვრობდა. იქ ეგდო დაძველებულ ჩალაზე მოცახცახე, ცარიელი მუცლით, გაყინული ძვლებით. მიწა არ იღებდა მას, ეს აშკარა იყო. სრულიად გაიდიოტდა, და მაინც ფიქრად არ მოსდიოდა მეექვსე სართულიდან ქვაფენილზე გადავარდნილიყო და ამით მოეღო ბოლო თავისი ცხოვრებისთვის. სიკვდილს ის ნაწილ-ნაწილ მიჰყავდა, ნაჭერ-ნაჭერ და მან ბოლომდე შესვა თავისი წყეული არსებობის სამსალა. ისიც კი ვერ გაიგეს ვერასოდეს ნამდვილად, თუ რით მოკვდა. ამბობდნენ, – ციებ-ცხელებით, მაგრამ სინამდვილეში ის გაჭირვებამ, ჭუჭყმა და სამაგელი ცხოვრებით გამოწვეულმა დაქანცულობამ მოკლა, და როგორც ლორილეები ამბობდნენ, საკუთარი ღორობით ამოსძვრა სული. ერთ დილას დერეფანში ცუდი სუნი დატრიალდა. გაიხსნეს, რომ ორი დღე იყო ჟერვეზა არ ენახათ, და უკვე გამწვანებული აღმოაჩინეს თავის ბუნაგში.

სწორედ ბიძია ბაზუჟი მივიდა მის შესასუდრავად, იღლიაში ღარიბთათვის განკუთვნილი კუბოთი. ბიძია ბაზუჟი იმ დღეს ძალიან მაგრად შეზარხოშებულიყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, დარდიმანდობდა და მხიარულობდა სკვინჩასავით. როდესაც მიცვალებული იცნო, გაიგო ვისთანაც ჰქონდა საქმე, სანამ სუდარას ამზადებდა, რამდენიმე ფილოსოფიური შენიშვნა დახარჯა: – ყველანი იქ წავალთ... ერთმანეთის ხელის კვრა საჭირო არ არის, იქ ყველასთვის არის სამყოფი ადგილი... სისულელეა აჩქარება, რადგან მოჩქარეს მოუგვიანდესო... მე მეტს არაფერს ვითხოვ, ოღონდ კი ვასიამოვნო ვინმეს. ზოგს უნდა, ზოგს არ უნდა. აბა, ახლა შენ გაერკვიე საქმეში! აი, თუნდაც ეს ქალი, ჯერ არ უნდოდა, მერე მოინდომა. მას ლოდინი

დასჭირდა... ბოლოს და ბოლოს, მიაღწია კიდეც, და მართლაც, მან ეს დაიმსახურა. აბა, მხიარულად გავწიოთ!

და როდესაც მან თავისი უზარმაზარი, შავი ხელებით ჩაბღუჯა ჟერვეზა, სინაზემ შეიპყრო და ნელა, წყნარად ასწია ქალი, რომელიც მას ასე დიდხანს ეტრფოდა. მერე, როცა ცხედარი მამობრივი მზრუნველობით გაჭიმა კუბოში, სლოკინსა და სლოკინს შუა ამოილუღლუღა: – შენ იცი... კარგად დამიგდე ყური... ეს მე ვარ, მხიარული ბიბი, ქალების მანუგეშებელს რომ მეძახიან... ჰოდა, ბედნიერი ქალი ხარ. ტკბილად იძინე, ჩემო ტურფავ!